K 195 456
3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ქართული სამართლის ძეგლები

## VIII

«მეცნიერება»

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*Академия наук Грузинской ССР*
ИНСТИТУТ ЭКОНОМИКИ И ПРАВА



# ПАМЯТНИКИ ГРУЗИНСКОГО ПРАВА

Том VIII

## СУДЕБНЫЕ ПРОШЕНИЯ С ПРИКАЗАМИ И ЧАСТНО-ПРАВОВЫЕ АКТЫ

Тексты издал, примечаниями и указателями снабдил
проф. И. С. ДОЛИДЗЕ

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ
1985

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ქართული სამართლის ძეგლები

ტომი VIII

## სასამართლო არზა-ოქმები
## და
## კერძო-სამართლებრივი აქტები

ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო
პროფ. ი. დოლიძემ

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1985

34 (C41) (09)
34 (47.922) (09)
ქ 279

„ქართული სამართლის ძეგლების" VIII ტომი შეიცავს XVIII—XIX სს. სასამართლო არზა-ოქმებს (1789—1853 წწ.) და XV—XVIII სს. კერძო-სამართლებრივ აქტებს. ამ ხელნაწერი საბუთების დიდი ნაწილი პირველად ქვეყნდება. ტომში შესულ საბუთებს დიდი მნიშვნელობა აქვთ არა მარტო სამართალწარმოებისა და სასამართლო წყობილების ისტორიის, არამედ გვიანფეოდალური ხანის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესასწავლადაც.

ტომს ერთვის წინასიტყვაობა, არქეოლოგიური შენიშვნები, საკუთარ სახელთა და ტერმინთა საძიებლები.

სპეც-2000
შემოწმებულია

ქ $\frac{1201000000}{\text{М } 607(06)-85}$ 210—85

© გამომცემლობა „მეცნიერება", 1985

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## წინასიტყვაობა

წინამდებარე ტომით მთავრდება პუბლიკაცია „ქართული სამართლის ძეგლების“ რვატომეულისა, რომლის პირველი ტომი 1963 წელს გამოქვეყნდა. აქ საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ მაინც შევჩერდეთ ქართული საისტორიო საბუთების შეკრება-გამოქვეყნების ისტორიაზე.

ვახუშტი ბატონიშვილის შემდეგ ქართული სიგელ-გუჯრების შესწავლის საშვილიშვილო საქმის მოთავე აკად. მარი ბროსე იყო, რომელიც თავის წერილებში ქართველ მოღვაწეებს დაბეჯითებით სთხოვდა ამ ტიპის საბუთების შეკრებასა და გადმოწერას. „თქვენ კეთილად შენიშნეთ ესე, წერდა პ. იოსელიანი მ. ბროსეს 1839 წ., რომ უგუჯრებოდ ისტორიისა ქმნა და კრიტიკისა პოვნა სრულიად შეუძლებელია“. სიგელ-გუჯრების დიდ სამეცნიერო მნიშვნელობას კვლავაც რომ ხაზგასმით ალნიშნავდა, მ. ბროსე 1857 წ. სწერდა დ. ბაქრაძეს: „პირველი წყარო ქართული ისტორიისა უნდა იყვნენ გუჯრები და ზედწარწერაები... ეს არის პირველი ნამდვილი წყარო და საფუძველი ისტორიისა“.

ქართული სიგელ-გუჯრები პერიოდულ გამოცემებში უკვე XIX ს. შუა წლებიდან იბეჭდებოდა („ცისკარი“, „დროება“, „ივერია“ და სხვ.). 1866 წლიდან მოყოლებული არაერთი მნიშვნელოვანი საბუთი გამოქვეყნდა „АКАК“-ის ტომებში.

სიგელ-გუჯრების სისტემური პუბლიკაცია პირველად ცნობილმა იურისტმა და მწიგნობარმა დიმიტრი ფურცელაძემ (1818—1890) წამოიწყო. ხელნაწერთა ინსტიტუტის A—76 ნუსხას 248-ე გვერდზე ბოლოში ასეთი მინაწერი აქვს: „Читал Д. Пурцеладзе. 1852 г. декабря 10“. აქედან ჩანს, რომ დ. ფურცელაძეს ქართული საისტორიო საბუთების შესწავლა ჯერ კიდევ ახალგაზრდობის წლებში დაუწყია. გაზეთ „Кавказ“-ის 1864 წლის 84-ე ნომერში გამოქვეყნებული წერილის — „О крепостном состоянии в Грузии“ — სქოლიოში ის შენიშნავდა: „К этому убеждению привело нас прочтение всех княжеских и дворянских грамот, хранящихся в тифлисском депутат-

ском собрании". წერილში იგი ხშირად იმოწმებს ამჟამად საქართველოს ცენტრარქივში დაცულ საისტორიო საბუთების პირების დაკრებულ (59 წიგნი), რომლებიც გადაწერილია XIX ს. ოციან წლებში

წლების განმავლობაში მრავალრიცხოვანი ხელნაწერი საბუთების შესწავლისა და თარგმნის შედეგად, მან რუსულ ენაზე გამოაქვეყნა ქართული სიგელ-გუჯრების სამი წიგნი: „Дворянские грамоты", „Крестьянские грамоты" და „Церковные гуджари", რომლებიც თბილისში 1881 წლის სექტემბერში გამართულ V არქეოლოგიური ყრილობის მასალებად იყო წარდგენილი.

დ. ფურცელაძის დასახელებულმა პუბლიკაციამ დიდი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიის მრავალფეროვანი საკითხების მეცნიერული შესწავლის საქმეში. საუკუნის განმავლობაში მას იმოწმებდნენ და დღესაც იმოწმებენ საქართველოს ისტორიის ყველა დარგის ქართველი, რუსი და უცხო მკვლევარნი.

მაგრამ, როგორც პირველ სერიოზულ ცდას, ამ გამოცემას მნიშვნელოვანი შეცდომები და ხარვეზებიც თან ახლდა, რომელთა მკაცრი კრიტიკა ჯერ კიდევ თ. ჟორდანიამ მოგვცა: „ჩვენ განხილული გვაქვს უმეტესი ნაწილი იმ საბუთებისა, რომელნიც შემოკლებით დაუბეჭდავს დ. ფურცელაძეს და სამწუხაროდ დავრწმუნდით, რომ ეს საბუთები გადამახინჯებით შემოტანილია დ. ფურცელაძის „Гуджар"-ებში. გარდა ამისა, იმ საბუთებისავან, რომელნიც დ. ფურცელაძეს თარიღებიანად აქვს აღნიშნული და წლებს უსხამს, სრულიად უთარიღონი აღმოჩნდნენ, ხოლო თარიღებიანს გუჯრებშიც ისე გადაურევია თარიღები და ქრონოლოგია, რომ ამაებზედ დამყარება სამეცნიერო გამოკვლევისა შეუძლებელი ჰხდება" („შიომღვიმის საბუთები", 1896, გვ. IV). შემდეგ გვერდებზე (V—VI) თ. ჟორდანიას მოყავს საბუთების დ. ფურცელაძისეული გამოცემის მცდარი დათარიღების ცხრილი.

დ. ფურცელაძის პუბლიკაციის მ თ ა ვ ა რ ი ნაკლის შესახებ ივ. ჯავახიშვილი ჯერ კიდევ 1918 წელს წერდა: „მართალია, პირველად დ. ფურცელაძემ დაიწყო ამ დარგში მუშაობა, მაგრამ მან თ ა ვ ი ს ხ ე ლ ი თ ვ ე ძ ი რ ი გ ა მ ო უ თ ხ ა რ ა ამ საქმეს და მისი განვითარება შეუძლებელი გაჰხდა იმიტომ, რომ თვით საბუთების ქართული ტექსტის დაბეჭდვის მაგიერ მან მხოლოდ მათი რ უ ს უ ლ ი შ ე მ ო კ ლ ე ბ უ ლ ი თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ი დაბეჭდა" („მრავალთავი", V, 1975, გვ. 255).

1892—1897 წლებში გამოქვეყნდა თ. ჟორდანიას „ქრონიკების" ორი დიდი ტომი. ბ-ნ ივანეს სიტყვებით, „თ. ჟორდანიამაც, რომელსაც ამ დარგში საპატიო ღვაწლი მიუძღვის, თავის შრომას ს ა ნ ა ხ ე ვ-

როდ ღირსება დაუკარგა მით, რომ საბუთები შემოკლებით გამოაქვეყნა და ისინი მრავალი სხვა წყაროების ცნობებში აქა-იქ ჩაურთო და ამის გამო-ლოდ დამხმარე ხასიათის თვისება მიანიჭა“ (იქვე, გვ. 255).

1899—1910 წლებში ექ. თაყაიშვილმა გამოსცა „საქართველოს სიძველენის“ სამი დიდი ტომი, რომელშიც შევიდა XI—XIX საუკუნეების უმნიშვნელოვანესი საისტორიო საბუთები. „ბატონ თაყაიშვილმა საისტორიო ძეგლების და საბუთების გამოცემით ეგოდენ დიდი სამსახური გაუწია ქართულ საისტორიო მეცნიერებას, რომ თანამედროვე მკვლევარი იმის მეათედსაც ვერ გააკეთებდა ბატონ თაყაიშვილის მრავალ ნაშრომს რომ საამისოდ ნიადაგი არ მოემზადებინა“ (იქვე, გვ. 256).

1913 წელს ს. კაკაბაძემ გამოაქვეყნა „ისტორიული საბუთები“ ხუთ წიგნად. კრებული უმთავრესად შეიცავს XV—XVIII საუკუნეების იმ საბუთების სრულ ტექსტებს, ხელნაწერის ორთოგრაფიისა და განკვეთილობის ნიშნების დაცვით, რომელიც შემოკლებით იყო დაბეჭდილი თ. ჟორდანიას „ჟრონიკებში“. მანვე 1921 წელს ორ წიგნად გამოსცა „დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები“ (XV—XIX სს.). ტექსტები გამოქვეყნებულია შემოკლებით, საბუთების ღვთისმეტყველური შესავლისა და კრულობითი ნაწილის გამოტოვებით. დასახელებულ პუბლიკაციას სხვა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებიც აქვს, რასაც თვით გამომცემელიც კარგად გრძნობდა, როცა აღნიშნავდა: „მე იძულებული ვიყავი დავკმაყოფილებულიყავი საბუთების არა სრული გადმოწერით, ღვთისმეტყველურ წინა და ბოლო სიტყვაობათა გამოკლებით, რადგანაც მუშაობა სწარმოებდა არახელსაყრელ პირობებში და მე ვისწრაფოდი მოკლე ხანში რაც შეიძლება მეტი საბუთის გადაწერას. ამ გარემოებამ იქონია გავლენა წინამდებარე გამოცემის ხასიათზე. მასში მოთავსებული საბუთები დაბეჭდილია ისე, როგორც თავის დროზე გადმოწერილ იქმნა. შეჯერება დედნებთან და მით უმეტეს გადმოუწერელ ტექსტების შესწავლა, საბუთების გაღატანის გამო ჩრდილოეთ კავკასიაში ჯერ კიდევ 1915 წ.. ამჟამად შეუძლებელი იყო. ამისდა მიხედვით ამ გამოცემას შეიძლება მისცემოდა წინასწარ გამოცემის ხასიათი. დროებით, რასაკვირველია, სანამ შესაძლებელი იქმნება საბუთების ჯეროვანი გამოცემა, ასეთს გამოცემასაც შეუძლია ჩვენს ისტორიულ მეცნიერებას სამსახური გაუწიოს“. მართლაც, მიუხედავად გამომცემლის ასეთი მკაცრი თვითკრიტიკული შეფასებისა, ამ გამოცემამ დიდი სამსახური გაუწია ქართულ საისტორიო მეცნიერებას. დასახელებული პუბლიკაციის მნიშვნელობა იმ

მხრივაც დიდია, რომ მასში შესული ბევრი საბუთი სამოქალაქო ომის დროს ჩრდილოეთ კავკასიაში სამუდამოდ განადგურდა.

ქართული საისტორიო საბუთების რევოლუციამდელი პუბლიკაციების მეცნიერულ მნიშვნელობას რომ აფასებდა, ივ. ჯავახიშვილი წერდა: „იმ დიდი და უცილობელი ღვაწლისდა მიუხედავად, რომელიც ზემოდ დასახელებულ გამომცემელთ მიუძღვით, უნდა აღინიშნოს, რომ არცერთი მათი გამოცემათაგანი თანამედროვე მეცნიერულ მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებს, არცერთს მათგანს გამოქვეყნებული საბუთები გამოცემამდე თავისდათავად ვითარცა დიპლომატიკის ძეგლი, არ შეუსწავლიათ და დაუფასებიათ და სწორედ ამიტომაც არის, რომ აქ ნამდვილი და ნატყუარი საბუთები ერთიერთმანეთშია არეული და ყალბი ნამდვილად არის მიჩნეული. ყველა ამ თვისებისა და ნაკლის გამო ზემოაღნიშნული კრებულები შეიძლება მხოლოდ წინასწარ გამოცემად ჩაითვალოს და მათი ხელახალი ჯეროვანი გამოცემა ახლო მომავალში აუცილებელია“ („ქართული დიპლომატიკა“, 1926, გვ. 19).

როგორც „ქართული სამართლის ძეგლების“ III ტომში აღვნიშნეთ, სამართლის ძეგლების პირველ სანიმუშო გამოცემას წარმოადგენს ლ. მუსხელიშვილის „ვაჰანის ქუაბთა განგება“ (1939 წ.).

რაც შეეხება ქართულ საისტორიო საბუთებს, ტექსტების კრიტიკული გამოცემის პირველ ცდად უნდა ჩაითვალოს აკად. ნ. ბერძენიშვილის პუბლიკაციები: „მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის“, ტ. I—III (1938—1955 წწ.) და „დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან“, ტ. I—II (1940—1953 წწ.).

1936 წელს ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილი ქართული საისტორიო წყაროების საგამომცემლო გეგმის პროექტის მიხედვით, იურიდიული ტექსტების ხაზით პირველ რიგში გამოსაცემად უნდა მომზადებულიყო ქვემოთ დასახელებული სამართლის ძეგლები:

1. „დიდი სჯულის კანონის“ ყველა რედაქცია.
2. ეფთჳმე მთაწმინდელის „მცირე სჯულის კანონი“.
3. ეფთჳმე მთაწმინდელის „კანონნი შეცოდებულთანი“.
4. „ქართული საერო სამართლის ძეგლები“.

(იხ. „მრავალთავი“, V, 1975, გვ. 269).

დიდი მოძღვრის ეს ანდერძი დღეს ძირითადად შესრულებულია. ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა მიერ გამოცემუ-

ლია „დიდი სჯულისკანონისა“ და „მცირე სჯულისკანონის“ კრიტიკული ტექსტები. გამოქვეყნებულია ვახტანგ VI-ის „დასტურლამალი“ და „სამართლის წიგნი“, ხოლო ქართული სამართლის სხვა ძეგლები (ბექა-აღბუღას სამართალი, გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დადება და კათალიკოსთა სამართალი) გამოცემულია უძველესი ნუსხების მიხედვით. გამოქვეყნებულია აგრეთვე საქართველოში მოქმედი ბერძნული და სომხური კანონები, რომლებიც XVIII ს. დამდეგს ვახტანგ მეექვსემ თავის სამართლის წიგნთა კრებულში შეიტანა. მართალია, ეს გამოცემები საბოლოოდ დადგენილ კრიტიკულ ტექსტებს არ წარმოადგენენ, მაგრამ რამდენადაც ისინი უძველეს ნუსხებს ემყარებიან, დღესდღეობით სანდო და რიგიან გამოცემებად უნდა ჩაითვალოს.

ქართული საერო სამართლის წიგნებს გარდა, გამოცემულია აგრეთვე უმნიშვნელოვანესი საერო საკანონმდებლო და საეკლესიო საკანონმდებლო აქტებიც (იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 1966 და ტ. III, 1970).

ქართული სამართლის სხვა წერილობით წყაროებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასამართლო განჩინებანი და სასამართლო არზა-ოქმები, რომლებშიც ასახულია სასამართლო პრაქტიკის მდიდარი მასალა. ამ მასალების დიდი ნაწილი, ხელნაწერთა ფონდებში რომ არის დაცული, პირველად გამოქვეყნდა „ქართული სამართლის ძეგლების“ IV, V, VI, VII და VIII ტომებში, სადაც მოცემულია სასამართლო აქტების მეცნიერული კლასიფიკაციის ცდა.

„ქართული სამართლის ძეგლების“ წინამდებარე მერვე ტომი, რომელიც მეშვიდე ტომის უშუალო გაგრძელებაა, შეიცავს სასამართლო არზა-ოქმებს 1789 წლის აგვისტოდან 1853 წლის მაისამდე. აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების და ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების პირველ წლებში, როგორც წესი, მთხოვნელები არზებით სამოქალაქო მმართებლობას მიმართავდნენ.

ჩვენი მასალების მიხედვით დავით მემკვიდრე გამგებლის უკანასკნელი ოქმი წარწერილია არზაზე 1801 წლის 26 აგვისტოს, ვახტანგ ბატონიშვილისა — 1802 წლის 21 მარტს, დარეჯან დედოფლისა — 1803 წლის 6 მარტს, ხოლო ანტონ II-ისა — 1808 წლის 8 სექტემბერს (იხ. საბ. №№ 777, 783, 788 და 791). მაგრამ მაშინაც რეალური სასამართლო ხელისუფლებით ისინი უკვე აღარ სარგებლობდნენ.

ჩვენი პუბლიკაციის მიხედვით საქართველოს სამოქალაქო მმართებლობის პირველი ოქმი, რომელიც წარწერილია არზაზე, 1801 წლის 27 ივნისით თარიღდება (საბ. № 774). ოქმს ხელს აწერენ: „გენერალ-

მაიორი ლაზარევი, თავადი იოანე ჩოლაყოვი, თავადი სულხან თუმანოვი და თავადი ეგნატი თუმანოვი. 1801 წლის 13 სექტემბრიდან ამ ხელრთვებს ემატება ზაალ ბარათოვის, ხოლო 1802 წლის მარტიდან მდივნების შიოშ თუმანოვისა და სერგი ჭობულოვის ხელმოწერები.

ტომში იბეჭდება სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი წლების (1840—1856) უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტები, რომლებშიც ჩამოყალიბებულია სამთავროს ადმინისტრაციული მმართველობის, სასამართლოს წყობილებისა და სამართალწარმოების წესები და ინსტიტუტები. აქვე ქვეყნდება სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავით დადიანის რამდენიმე ოქმიანი არზა, რომლებიც თავისი ფორმითა და ტერმინოლოგიით განსხვავდება ქართლ-კახეთის არზა-ოქმებისაგან.

წინამდებარე ტომში დაბეჭდილი 798 არზა-ოქმიდან მხოლოდ ორ საბუთს არა აქვს ოქმი (საბ. №№ 66 და 332), ხოლო ერთი საბუთი (№ 513) სასამართლო განჩინებაა. დანარჩენი საბუთები ოქმიან არზებს წარმოადგენენ.

ყოველი ხალხის სამართლის ისტორიის შესწავლისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ე. წ. კერძო სამართლებრივ აქტებს (ნასყიდობის, გაცვლილობის, ანდერძის, აზატობის, თავდებობის, სესხის, ჩუქების, გირავნობის, ქირავნობის, იჯარის, შეყრილობის, სახლისკაცობის, საფიცრის, ამხანაგობის, მიბარების და სხვ. წიგნებს). ასეთ ხელშეკრულება-გარიგებებში ბევრი ისეთი ცნობაა დაცული, რომელიც სამართლის წიგნთა ნორმებში არ მოიპოვება. ამიტომ სწორედ მათი შესწავლით ხერხდება ვალდებულებითი სამართლის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტების შინაარსის გამოკვლევა.

წინამდებარე ტომში იბეჭდება 125 ტიპიური კერძო-სამართლებრივი აქტი, რომლებიც XV—XVIII სს. მოიცავს. ამ საბუთების მნიშვნელოვანი ნაწილი, ხელნაწერთა ფონდებში რომ არის დაცული, პირველად ქვეყნდება. აქვე იბეჭდება ორიოდე ოფიციალური (საჯარო) ხასიათის საბუთიც (№№ 842, 855, 865, 878, 941), რომლებიც კერძო-სამართლებრივ გარიგებებს არ მიეკუთვნება.

კერძო-სამართლებრივი აქტებიდან დიდ ნაწილს ნასყიდობის წიგნები შეადგენენ. ნასყიდობა ქართული სამოქალაქო სამართლის უძველესი ინსტიტუტია. პირველი ცნობა ნასყიდობის შესახებ ჩვენამდე შემონახულ საბუთებს შორის დაცულია წყისეს წარწერაში (616—619 წწ.). რაც შეეხება ნასყიდობას, როგორც დიპლომატიკურ საბუთს, ჩვენამდე მოღწეულ საბუთთა შორის უძველესია IX—X საუკუნის მიჯნაზე (893—918) შედგენილი —

ფავნელთა ნასყიდობის დაწერილი („ქართული სამართ. ძეგ.“, ტ. I, 1963, № 1). წინამდებარე ტომში XV—XVIII სს. ნასყიდობის რამდენიმე ტიპიური საბუთი იბეჭდება.

ნასყიდობის თავდაპირველი ფორმა, როგორც ცნობილია, გაცვლილობა იყო. უხსოვარი დროიდან ადამიანები ნივთს ნივთზე, საქონელს საქონელზე ცვლიდნენ. ფულის გაჩენის შემდეგაც კი ნასყიდობა დიდხანს ინარჩუნებს გაცვლილობის ბუნებას, გაცვლილობის ადრინდელი წიგნების დიდი ნაწილი დაკარგული ჩანს. ტომში შესული გაცვლილობის წიგნებიდან უძველესია 1671 წლის საბუთი.

აღსანიშნავია, რომ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში გირავნობის უფლების მომწესრიგებელი ნორმები და თვით ტერმინიც „გირაო“ არ მოიპოვება. „გირაო სხვათა ენაა, ქართულად წინდი ჰქვიან“ (საბა). გირაო სპარსული სიტყვაა, რომელიც გვიან შემოდის ქართულში. ძველ ქართულ სამართალში მის ნაცვლად წინდი იხმარებოდა. ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით (იხ. საბ. № 850) ტერმინი გირაო, თუ არ ვცდებით, XVII საუკუნიდან მკვიდრდება, მაგრამ აღნიშნული საუკუნის მიწურულის ვალისა და გირაოს მხოლოდ რამდენიმე წიგნია შემონახული (იხ. საბ. №№ 864, 867, 877, 880). უფრო დაწვრილებით გირავნობის უფლების შესახებ იხ. ჩვენი „ძველი ქართული სამართალი“, 1953, გვ. 177—185; „საქართველოს ჩვეულებითი სჯული“ 1960, გვ. 93—102.

ქართულ ორიგინალურ საისტორიო წყაროებში უძველესი ცნობები ანდერძის შესახებ დაცულია სერაპიონ ზარზმელისა და გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებათა წიგნებში. ანდერძის წიგნის სახით კი ჩვენამდე მოღწეულია სამი უძველესი საბუთი: ორი ანდერძი დავით აღმაშენებლისა (1123 და 1125 წლ.) და ანდერძი გრიგოლ ქართლის ერისთავთ-ერისთავისა, რომელიც შედგენილია 1247—1249 წლებში („ქართ. სამართ. ძეგლები“, II, 1966, საბ. №№ 7, 8 და 18). გრიგოლ ერისთავთ-ერისთავის საბუთი წარმოადგენს ანდერძის წიგნის ტიპიურ, სამაგალითო ნიმუშს. წინამდებარე ტომში ქვეყნდება 1477 წ. ანდერძი მამისა მეჯინიბეთუხუცესისა, რომელიც მთლიანად დედნის სახით ჩვენამდე მოღწეულ ანდერძის წიგნის უძველეს საბუთს წარმოადგენს. XVI—XVIII სს. ანდერძის წიგნები დაკარგული ჩანს. წინამდებარე ტომში XVIII ს. მხოლოდ ათიოდე ანდერძის წიგნი იბეჭდება. ანდერძის წიგნები საკმაო რაოდენობითაა შემონახული XIX საუკუნიდან.

ჩვენი პუბლიკაციის მიხედვით გაყრილობის უძველესი წიგნი 1523 წლით თარიღდება („ქართ. სამართ. ძეგლები“, IV,

1972, № 1). წინამდებარე ტომში დაბეჭდილი უძველესი შ ე კ რ ი ლ ო ბ ი ს წ ი გ ნ ი კი 1624 წელსაა შედგენილი.

რაც შეეხება ა ზ ა ტ ო ბ ი ს, თ ა ვ დ ე ბ ო ბ ი ს ა ყ ვ ა ნ ი ს წიგნებს, XVII ს. მხოლოდ ორიოდე საბუთი იბეჭდება.

ტომში შესული ყველა დანარჩენი კერძო-სამართლებრივი აქტი შედგენილია XVIII—XIX საუკუნეებში.

ტომის დანართში იბეჭდება XI—XIX სს. მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტები, რომელთა დიდი ნაწილი ბოლო წლებში გამოვავლინეთ.

სამ ათეულ წელზე მეტი ვიმუშავეთ ქართული სამართლის ძეგლების ხელნაწერ ტექსტებზე და გავაკეთეთ, რის გაკეთებაც შევძელით. ვისაც ხელნაწერებზე გულმოდგინედ და საქმის სიყვარულით უმუშავნია, მან კარგად იცის, თუ რაოდენ მძიმეა ეს შრომა და ამასთან რაოდენ დიდია ის სიამოვნება, რასაც მკვლევარი განიცდის ძნელად გასარჩევი ტექსტების წაკითხვის, ტექსტის ხარვეზის ან დაზიანებული ადგილის მართებული აღდგენის დროს. მაგრამ სიხარულს სინანულიც თან ახლავს, თითქმის არ ხერხდება ტექსტების უშეცდომოდ გამოცემა.

„ქართული სამართლის ძეგლების“ რვატომეულის გამოცემით საქმე არ მთავრდება, ჯერ კიდევ დიდი მუშაობაა საჭირო ქ ა რ თ უ ლ ი ს ა მ ა რ თ ლ ი ს წ ი გ ნ ე ბ ი ს კ რ ი ტ ი კ უ ლ ი ტ ე ქ ს ტ ე ბ ი ს დ ა დ გ ე ნ ი ს ა თ ვ ი ს. ახლა, როცა უკვე დაიწყო „საისტორიო საბუთების კორპუსის“ გამოცემა, იურიდიული ტექსტების ხაზით მთავარი ყურადღება სწორედ სამართლის წიგნების კრიტიკული ტექსტების მომზადებას უნდა მიექცეს. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული „საქართველოს ისტორიის წყაროების“ კომისიასთან ს ა მ ა რ თ ლ ი ს ძ ე გ ლ ე ბ ი ს კ რ ი ტ ი კ უ ლ ი ტ ე ქ ს ტ ე ბ ი ს გამოსაცემად მომზადებისათვის შექმნილია სპეციალური ჯგუფი, რომელიც სათავეში უდგას ამ საქმეს.

დღესდღეობით კი „ქართული სამართლის ძეგლების“ რვატომეულის სახით მკითხველსა და მკვლევარს ხელთ აქვს ქართული სამართლის უმნიშვნელოვანესი წერილობითი წყაროები, რომლებშიც ასახულია ჩვენი ქვეყნის ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ე ბ რ ი ვ ი ც ი ვ ი ლ ი ზ ა ც ი ი ს ა და ს ა მ ა რ თ ლ ე ბ რ ი ვ ი კ უ ლ ტ უ რ ი ს განვითარების დონე.

ი. დოლიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ტექსტები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## 1. არზა სამროვლო გლეხებისა გამოსალების თაობაზე იულონ და იოანე ბატონიშვილების ოქმებით

**1789 წ. 29 აგვისტო.**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1829. დედანი. ქაღალდი. 22,5×11 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან მათის უგანათლებულესობის ბედნიერის ჯელმწიფის ძისა და თვით ჩვენის ჯელმწიფის ი უ ლ ო ნ ი ს ჭირი ერთობით სამროვლო გლეხს კაცებს მოსცეს.

რაც ამ ხელად ჯარისაგან მარტო სამროვლო აოხრდა, თქვენს უმაღლესობას მოხსენებული ექნება.

სამი წელიწადია რუისში ხის ნაყოფი თვალით არ გვინახავს და წელს თქვენის ბედნი[ერებით] იმედს ვხედევდით. ...*რამე და...** ხუთი ხარვარი პური და ერთ[ი]... მიგვი[რთმევია]... [აგვისტოს] **კე**, ქორონიკონს **უოზ**.

თავში

ქ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ი უ ლ ო ნ და ი ო ა ნ ე გიბძანებთ ვინც სურსათის მოასილები ხართ! ამ არზის პატრონები ამ არზით რომ ასე ჩივიან, ამათი მოხსენებული სულ ჭეშმარიტი არის. დიაღ, ძალა დაემართათ ჯარისაგანა. ხუთი ხარვარი კი გამორთმევიათ და შვიდი ხარვარი დარჩება. თქვენ ჯელი აიღევით; ამიტომ. რომ მეტიც დახარჯვიათ და კიდევაც გავლა-გამოვლაში ბევრი მოგვინდება და ბევრიც დაეხარჯებათ ხოლმე. აგვისტოს **კთ**, ქორონიკონს **უოზ**.

ორი ბეჭედი:

1. ტომ-სჭესით არ ნაკლისაგან ი უ ლ ო ნ ირაკლისაგან.
2. სასოებად მაქვს ძელი ცხოველი, მრჩობლსა ცხოვრებას მისგან მოველი ი ო ა ნ ე.

---

* აკლია ორი სიტყვა.

** ბოლო მოხეულია.

## 2. არზა მთავარეპისკოპოს პაისიოსისა სურსათის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1789 წ. 6 სექტემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10369. დედანი. ქაღალდი. 21×16 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან უმაღლესის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს მათს მლოცველს მთავარეპისკოპოსს პ ა ი ს ი ო ს ს.

თქვენის უმაღლესობისაგან ჩვენის ეკლესიის ყმათა ორის წლის სითარხნე ებოძა. ერთი წელიწადი გასულა, ერთი კიდევ გვაკლია. ახლა ამ მაისს კიდევ ოქმი გებოძებინათ: იასაულნო, ვადამდინ ნურას სათხოვარს ნურასა სთხოვთო. ახლა სურსათი გვაწერია და ეს ოქმიც იასაულებმა არ იყაბულეს თუ სხვა ოქმი არ მოგვივაო.

წყალობას ვითხოვთ, ვადამდ[ინ ეს] თქვენი წყალობა აღგვისრულდეს, იასაულნი დაგვეხსნენ. ეგების ამ საკირის დაწვა შევიძლო, ჩემო ჯელმწიფევ. სეკდემბერს 3. ქორონიკონს უოზ.

თავში

ქ. სურსათის იასაულებო, რაც ამათ სურსათი ეწეროს, ეკლესიას აკეთებენ, გვიპატივებია, დ[ა]ეხსენით. ენკენისთვის 3, ქორონიკონს უოზ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ე რ ე კ ლ ე.

## 3. არზა ეფიფანესი და ფარსადანისა მამულის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

**1789 წ. 9 სექტემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 1228. დედანი. ქაღალდი. 19,8×10,4 სმ. თავი მოხეულია. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან მათის უმაღლესობის ჩვენის ხემწიფის დედოფლის ჰირი მოსცეს მათ მდაბალს მონათ ე ფ ი ფ ა ნ ე ს ა და ფ ა რ ს ა დ ა ნ ს.

ჩვენო ხემწიფევ, გ რ დ ა ნ შ ი თქვენი წყალობა მამულები გვაქ,

ჩვენ იქიდამ ვერასა ვრჩებით სიშორით და ხან მოუცლელობით; ჩვენი განაყოფები იმ დროს ხან აქ დაესწრებიან, ხან ჩამოვლენ და აიღებენ და ჩვენ წილს არ გვაძლევენ მართებულათ.

ამ წყალობას ვითხოვთ, ღმერთი ჩვენს ხემწიფეს დღეგრძელებს გიდღეგრძელებს, ერთი ბეჯითი ოქმის წყალობა გვიყავით ჩვენ სიძე გოგია უზბაშსა და მილახვრის შვილებზე, რომ თქვენის ბძანებით ჩვენი წილი მამული იმათ ებარებოდესთ; და ისინი აიღებდნენ ჩვენს წილს ღალას და შეგვინახევდნენ; როცა მოვიკითხოთ, ულაპარაკოთ მოგვაბარონ. არცარა თქვენი საწინააღმდეგოა და დიდი წყალობაც იქნება, რომ უშფოთრათ ჩვენს წილს ავიღებდეთ და არ დაგვეკარგოს. ჩვენო ხემწიფევ, დიდათ გევედრებით.

თავში

ქ. უს[ბაშო] გოგიავ და [მილახვრ]ის შვილო...* მერე ამ არზის [პატრონებს] ასე რომ მოუხსენებია, [რომ გრდანს] მამულები აქვსთ და სიშ[ორის] მიზეზით თავის დროზე ვერ მოვლენ, რომ იმ მამულების ღალა აიღონ, ის მამულები თქვენ გებარებოდესთ; და თავის დროზე იმ მამულის ღალას აიღებდე ხოლმე და ამ არზის პატრონებს შეუნახევდე და როცა მოგთხოვდენ, მისცემდეთ ხოლმე; თუ იმ მამულის ღალის ასაღებლათ ლაპარაკი დაგიწყოთ ვინმემ და არ დაგანებოს, ჩხუბს ნურავის უზამთ, თქვენ ჩვენ მოგვახსენე[თ და სამა]რთლიანის სა[ქმით გავარი]გებთ...* წილში აქვსთ გომურები, იმის სარგოსაც აიღებდეთ სამართლიანის საქმით და მოაბარებდეთ. ამაზე ბეჯითნი უნდა იყვნეთ. სექდემბრის თ, ქორონიკონს უოზ.

K195.456/3

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

## 4. არზა ივანე სამგლისშვილისა გამოსაღების თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

**1789 წ. 12 სექტემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2944. დედანი. ქაღალდი. 19×12 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფე დედოფლის ჭირი მოსცეს ჭიკანურს მათს ყმას სამგლისშვილს ივანეს.

შარშან ღორებში დავიკარგე, ვალი ავიღე, ოც თუმნად თავი დავიხ-

---

* მოხეულია ერთი სიტყვის ადგილი.



Гос. Республиканская Библиотека ГССР им. К. Маркса

სენ, მოვალები შინ მისხედან და მაწუხებენ, ჩემისთანის ტყვის მოწყალე ბრძანდებით, ორის წლის კოდისპურსა მთხო[ვ]ენ, ერთის წლისა პური და აბრეშუმი მომირთმევია და შარშანდელი მაჰალეც ვერ გადმოვიღე. გადღეგრძელებს. სეკდემბერს **ი**, ქორონიკონს **უოზ**.

თავში

ქ. გავაზის მოურაო რევაზ და ნაცვალო ივანე! მერმე ამ არზის პატრონს ასე რომ მოუხსენებია, თუ ამისი მოხსენებული ჭეშმარიტი არის და მართლა ასეა, როგორც მოუხსენებია, შარშანდელი კოდისპურიც გვიპატივებია და სხვა ჩვენი გამოსაღებიც.

თქვენ ეს კარგად შეიტყევით, თუ მართლა ეს დაკარგულა, კოდისპური შარშანდელიც გვიპატივებია და ჩვენი სათხოვარი და გამოსაღებიც. სეკდემბრის **იბ**, ქორონიკონს **უოზ**.

ქ. და თუ ვალი დასდებია.*

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

## 5. არზა რამინ ამირეჯიბის ყმებისა გამოსალების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1789 წ. 14 სექტემბერი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3013. დედანი. ქაღალდი. 20,5×12,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი ერთობრივ აბელებს ამირეჯიბი რამინის ყმათ მოსცეს.

მერე ამას მოვახსენებთ ჩვენს ჯელმწიფეს. ღმერთმან ასე თქვენს მტერს გაუჭიროს საქმე, როგორც ჩვენ გვიჭირდეს. ჯერ ღმერთმან ასე წაგვახდინა სეტყვითა, რომ ჩვენს ჭირნახულში ნამგალი არ შეგვიტანია. ასე ჯელი ავიღევით. ამას გარდა ლეკი მოგვიხდა, ორი კომბლი კაცი დაგვეკარგა, და საქონელი ასე დაგვეკარგა, რომ ერთი ხბო არ დაგვრჩენია.

ჩემო ჯელმწიფევ, რაც შეგვძლებია, არასდროს თქვენი სამსახური არ დაგვიკლი[ა]. კობიაშვილი და ქარუმიძე იქ გახლდნენ. იმათ თქვენი მზე აფიცეთ, რომ ჩვენი საბძლები იმათ ნახეს და დიდათ გვიბრალებდნენ, რომ არა მოგვსვლია რა. ღმერთი გაგიმარჯვებს, თქვენის მრავლად მოწყალის თვალით შეგვიბრალეთ. სეკდემბერს **იდ**, ქორონიკონს **უოზ**.

---

* ოქმი დაუთავრებელი ჩანს.

თავში.

ქ. ჩვენი ბძანება არის ერთობილ აბელებო. მერე თქვენ, რომ ეს დაშვიდი კოდი პური გაწერიათ სურსათით, პური გვიბატონდა და თხუთმეტი კოდი სიმინდი უნდა მოგვართვათ და ჩვენ ჩამოვიტანთ მაგ სიმინდსა. თქვენ არ ჩამოგატანინებთ. სეკდემბერს **იდ**, ქორონიკონს **უოზ**. სურსათის იასაულებმაც ასე იცოდნენ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს. დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

**კზ**. ქ. ამით ოცდაშვიდი კოდი პური ჰპატიებია.
**იდ**. ქ. ნაპატიები ამ ოქმებით ხარვალი თოთხმეტი ლ[ი]ტრ[ა].

## 6. არზა ნიკოლოზ თუმანიშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1789 წ. 16 სექტემბერი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3062. დედანი. ქაღალდი. 23,6×16,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. ოქმის თარიღი მცდარი უნდა იყოს.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მათს მიწას თუმანიშვილს ნიკოლაოზს მოსცეს.

მერმე მანუჩარ მდივანს ოქმი აუღია პეტრე ავალიშვილზედ: ხუთი ურემი პური წაართვი და მანუჩარს მოაბარეო. ღმერთი გაგიმარჯვებს, თუ ამბარდანი ვიყავ, როგორ არავინ იცის; თუ მემართა, თამასუქი ექნება და მიჩვენოს; თუ მოვპარე, მთხრობელი ეყოლება; თუ ყმებს წავართვი; ცოცხლები გახლავან, დაიბარეთ და მოგახსენონ. თუ საბუთი მიყონ, წამართვი და უბოძეთ. თუ არადა, ამდენი ტყუილად ჩემი ტანჯვა თქვენთან დაკვლა მოიკითხეთ, ერთს სნეულს კაცს რათ მტანჯავს და თქვენთვის თავს მაწყენინებს.

ღმერთი თქვენს უსასყიდლოს შვილებს გიდღეგრძელებს, ამდენის უსამართლოსაგან გამომიხსენ. მრავალი ტყვე დაგიხსნია, მეც დამიხსენ; იმის გარდამკიდე მკვდარიც დატყვევებული მყავს, ქვრივიცა, თორემ გუში[ნ]სწინ არზაც მოგერთოთ, თუ მმართებს რამე, ქალაქს გიახლები, იქავე გამომართოს. იასაულს მულათი უბძანეთ და ერთი ოქმი მიბოძეთ, რაც სამართალმა დამადოს, გამომართოს. ენკენისთვის **ივ**, ქორონიკონს **უოზ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ავალისშვილო ეშიკაღაბაშო პეტრე! მერე ამ არზით ნიკოლოზ თუმანიშვილს ასე რომ მოუხსენებია ღვთით ჩვენ რომ ქალაქს ჩავალთ, ეს ნიკოლოზ[ი]ც იქ უნდა ჩამოვიდეს და სამართალში მანუჩარ იქ ელაპარაკოს და სამართალი იქ მიეცემათ. ახლა ხელი აიღევ. სეკდემბერს ზ, ქორონიკონს უოზ.

ახლა ნურას და[ა]ღონებ, ხელი აიღევ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს. დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 7. არზა ნიკოლოზ თუმანიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1789 წ. 17 სექტემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 167. დედანი. ქაღალდი. 22×16 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მათს მიწას თუმანიშვილს ნიკოლოზს მოსცეს.

მერმე ოქმი აუღია მანუჩარ მდივანს; პეტრე ავალისშვილი იასაული არის, რუისს ვენაჯზედ ჯელი აუმართეო და სიგლებიც წა[ა]რთვიო. სამოცდათხუთმეტის წლის ნასყიდობის სიგელი ერთი მაქვს, ორმოცდათხუთმეტის წლის სიგელიც ერთი არის. ორი წელიწადია ის ვენაჯი გამოვიტანე, თქვენი რისხვა არა მაქვს, ან გორჯასპი მდივანს ენახოს, ან მამაჩემს და ან მანუჩარის პაპას და ან პაპაჩემს შიოშ მდივანს. მე გამოვიტანე შარშან; ხომ მოგეხსენებათ, თრთვილმა წა[ა]ჯდინა წელს, ცოტა რამ შერჩა, სამუშაოს ფასიც არ გამოვა. ჩემთვის მიმუშავნია, არას მუშაკს ჯელი არ მოეჭრება.

იმდენი თქვენი წყალობა მაქვს, რამდენი ბეითალმანი ვენაჯი კარგი ჩვენს სამს სოფელში იყოს, იმუშაოს და თავისთვის ჰქონდეს. ამაზედ უსამართლოს ნუ მიზამ, ღმერთი გაგიმარჯვებსთ. იასაულზედ ოქმი მიბოძეთ, როდესაც სამართალში მიბძანოთ, თუ არ გიახლო, ჯელიც ამიმართეთ და იმას უბოძეთ, ტყუილად რათ მტანჯავს?

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ავალისშვილო ეშიკაღაბაშო პეტრე და მამაცაშვილო იოსებ!

მერე ამ არზით ნიკოლოზ თუმანიშვილს ასე რომ მოუხსენებია, მადამიდისინ მანუჩარ მდივანი და ეს ნიკოლოზ ერთად სამართალში არ ილაპარაკებენ, მაგ ვენახზედ ჯელს ვერ აუმართამთ, ჯელი აიღევით.

მშვიდობა არის, ქალაქს რომ ჩავალთ, ნიკოლოზიც იქ ჩამოვა და სამართალი იქ გადასწყდება. ენკენისთვის **იზ**, ქორონიკონს **ფოზ**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 8. არზა ივანე კოკბერიძისა გამოსალების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1789 წ. 22 სექტემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 658. დედანი. ქაღალდი. 13×10 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს ფალავანდის შვილის ზურაბის ყმას კობერიძე ივანეს.

ოსისა და ლეკისაგან წამხდარი კაცი გახლავარ. ერთი ოქმის წყალობა მიყ[ავით], რომ სხვის ხარჯი მე არ გადამხდეს. ერთი თოფი ეხლაც დაკარგული მაქვს სხვის ხარჯისათვის, მტრისგანაც წამხდარი ვარ. გოგია უზბაშის ქვრივი და ობლებიც მაწუხებენ, ჩემი სარჩენნი არიან. სეკდენბრის **ით**, ქორონიკონს **უოზ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის, ვინცავინ მოასილნი იქნებოდეთ! ამას რაც თავისი წილი ეწეროს ხოლმე, იმას კი გამოართმევდეთ და სხვის მეზობლისას და მისის ბატონის ყმის წილს ამას ნურას გამოართმევთ, იცოდეთ. სეკდენბრის **კბ**, ქორონიკონს **უოზ**.

ამას რომ თოფი წართმევია სხვის გულისათვის, ის თოფი ვისაც გქონდესთ, ამასვე მიეცით. და ვისაც აკლდეს, იმას გამოართვით.

ქარუმიძევ და კოკრიკვიძე, ეგ თოფი თქვენ გაქუსთ, ამას მოეცით და ვისაც აკლდეს, იმას გამოართვით.

ბეჭედი: ქნარს მიცემს. დავით მიჯობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 9. არზა აბოცელებისა გამოსალების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1789 წ. 22 სექტემბერი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 492. დედანი. ქაღალდი. 15,7×16,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად **ყოველი** სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი. ა-მეტი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჰირი მოსცეს საბრალო გლახა წმინდის გიორგის ყმას აბოცელებს.

შერმე ამას მოვახსენებთ ჩვენს მოწყალეს. რვა კობლი კაცნი დავრჩომივართ. ამ რვა კობლს ოცის კობლისას გვაწერენ. ჩვენ ამისი მიცემა რით შევიძლოთ. რაც ამ რვა კობლს შეგვეძლოს, ის გვმსახურებია ღმერთ[ი] გაგიმარჯვე[ბს], ამისი სამართალი გვიყავით.

აღიწერა ენკენისთვის **კა**, ჭორონიკონს **უ[ოზ]**.

ოთხი კობლი აიყარა და კახეთს გახვეწილან:[1] პ ი რ ი ბ ნ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ქ ა ლ ვ ი ს(?) არის, ჭ ო ნ ი ა შ ვ ი ლ ი იმერეთს წავიდა, კ ი კ ლ ა შ ი ძ ე ცხინვალს არის, ჭ ო ნ ი ა ს შ ვ ი ლ ი ცხინვალს არის, ა ბ უ ლ ა ძ ე დ ი რ ბ ს არის. ესენი, ჩემო ჯემწიფევ, თქვენგან გათ[არ]ხნებული არის და არცერთი არ გვიდგებიან.

თავში

ჭ. ჩვენი ბძანება არის, ვინც ამ ატოცელების სურსათის მოასილნი იყვნეთ, ამ არზით რვა კომლი მოუხსენებიათ, ამათ რვა კომლის კაცისა უნდა გამოართოთ, ოცდაათხი კოდი იქნება, ეს უნდა გამოართოთ. სხვა რაც მეტი ეწეროთ, ის გვიპატივებია. ნულარ გამოართმევთ. სეკდემბრის **კბ**, ჭორონიკონს **უოზ**.

მდივანო ი ო ს ე ბ, რომელიც ამათი კაცი ან იმერეთში გარდასულიყოს და ან კახეთს გარდასულიყოს, უნდა ჰეშმარიტებით გამოიძიო, დავთრიდამ უნდა მოუჭრა, რომ იმათი შენაწერი ამათ აღარ ეთხო[ო]ს. ამაზედ ჩვენ თავი აღარ გვაწყინონ. მუჩალგაც უნდა გამოართოთ წერილით, რამთონიც კომლი აყროდეთ, ჰ[ა]ლბათ, ჰ[ა]ლბათ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ე რ ე კ ლ ე.

მინაწერი: **გ ი** ჭ. ამათ პატიებია სამბარვალნახევარი და ათი ლიტრა.

## 10. არზა კარალელი გლეხებისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1789 წ. 28 სექტემბერი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 415. დედანი. ქაღალდი. 33×11,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ჭ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჭირი მოსცეს თქვენს ყმას ერთობლივ კარალელთ.

მარიამობის თვეს აქეთ გამოგვრთმევია:

---

[1] გახლეწლნ.

ქ. ბატონისაგან შემოწერილი პური გამოგვერთვა კალაურის მოუ-რავის ხელით ორმოცი კოდლი.

ქ. ბატონისშვილის იოვანეს ბარათით ქჳრი[1] [illegible] ექვსი; ერთი ძროხაც გორს ბატონიშვილისათვის გამოგვართვეს.

ქ. კიდევ ოცდასამი კოდი პური აქ გორს მივაბარეთ.

ქ. ბატონიშვილმა იულონმა დახარჯა უბარათოდ ფქვი-ლი კოდი ხუთი, ქერი კოდი ათი, ძროხაც ერთი, ორი მინალთუნი ღვი-ნო.

ქ. თქვენი შვილიშვილი იოვანე გვიდგა ჯარით ხუთი დღე, რაც დაგვემართებოდა, თქვენი გონება უწყის.

ქ. ორი ხარვარი ქერი გუშინ მივაბარეთ.

ქ. ახლა კიდევ გვთხოვენ, იასაულები გვიდგანან: ოთხს ძროხასა, ოთხს ცხვარსა, კომბლზე ქათამსა და ერბოსა. შეუძლებელი გახლა-ვართ, ღმერთი გაგიმარჯვებს, უსამართლობას ნუ გვიზამთ. სეკტემბრის კჱ, [ქორონიკონს] უოზ.

მინაწერი სხვა ხელითა და მელნით:

ბ [ორი] ქ. ძროხა; ბ [ორი] ქ. ცხვარი; გ [სამი] ქ. ქათამი; 0 [ნახე-ვარი] ქ. ერბო ლიტრა.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის, ამათი მოასილი ვინც ხართ, ამათ დიაღ ძა-ლი დამართებიათ და რაც ამათ აწერიათ, ნახევარი კი გამოართვით და ნახევარი კი გვიპატიებია. ენკენისთვის კჱ, ქორონიკონს უოზ.

ქ. ეს ნახევარი ამიტომ ვაპატიეთ რომ, დიაღ, ძალადამართებულ-ნი არიან.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ. კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 11. არზა არაშენდელთა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1789 წ. 29 სექტემბერი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 499. დედანი. ქაღალდი. 20,5×16,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს საქათალიკო-ზოს ვინცავინ არაშენდას გახლავართ.

[1] ქჳერი.

ჩვენო მოწყალევ, თქვენი შვილი რომ აქ ბძანდებოდა, ერთი სა-მასპინძლო გავლევით ერთი ძროხა. ახლა ერთი ძროხა, ერთი ცხვარი და ოთხი ქათამი გვაწერია. მოგეხსენება, რომ ვენახიდამ ხარმა მეტათ გაგვლეწა. თქვენმა შვილმაც იმედი გვიბძანა შემლებით. ჩვე[ნ] ოთხი-ხუთი კომბლი გახლავართ და არ შეგვიძლია, ღარიბები და ვალის პატრონი გახლავართ.

ღმერთ[ი] გაგიმარჯვებს, ერთი რამ შალავათი გვაღირსეთ, მეტათ შეღონებული გახლავართ და შეუძლებელი. მოხსენებისათვის ნუ გა-გვიწყრებით.

თავში

ქ. იასაულებო! ამ არზის პატრონებს ძალა დამართვიათ, ძროხა გვიპატივებია. ცხვარი და ქათმები გამოართვით. ენკენისთვის კთ, ქო-რონიკონს ჳოზ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ე რ ე კ ლ ე.

verso: არაშენდელი ნაპატივები ძროხა ა (ერთი).

სათაური: ქ. ნაპატივების ოქმები ზა[ა]ლ დ ა ვ ი თ ი ს შ ვ ი-ლ ი ს ა.

## 12. არზა ვარიანელებისა გამოსალების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1789 წ. 30 სექტემბერი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3022. დედანი. ქაღალდი. 17,5×15 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ერთობით ვა-რიანელებს.

მერე ამას მოგახსენებთ: ზოგი აიყარა, თოთხმეტი კვამლი კი გაჩ-ლავართ. მეტად სიღარიბემ კი შეგვაწუხა, თორემ[1] თავს კი არ გაწყენ-დით. რა თქვენი შვილები და თქვენ მობძანებუ[ლ]ხართ, რვა ხარვალი პური და ქერი გამოგვართმევია. სამი ძროხა გამოგვართმევია.

ახლა ი ვ ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი გვიდგა. ამას გარდა, დ ა-ვ ი თ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი გვიდგა; ორი კვირა რომ ხარჯი არსიდამ მოსვლია, სულ ჩვენ ვემსახურებოდით; ცხინვალს რომ ბძანდებოდა, ორი ხარვალი პური იქ გამოგვართვა და ორი ძროხა.

---

[1] თურმე.

ღმერთი გაგიმარჯვებს, სამ ძროხას, სამს ცხვარს, ექვს ჭათამს, ნახევარ ლიტრა ერბოს, ახლა შინ იასაული გვიდგას. ღმერთი გაგიმარჯვებს, ამაზე შებრალება გვაღირსეთ. ენკენისთვის კზ. ქორონიკონს უოზ

თავში

ჩვენი ბძანება არის, ვინცავინ ამ არზის პატრონების მოასილნი ხართ, ამათ რაც აწერიათ და სთხოვთ, ნახევარი გვიპატიებია და ნახევარი გამოართვით. სეკდემბრის **ლ.** ქორონიკონს **უოზ.**

ქ. რაც ამათ აწერიათ, ხუთათ გაყავით: ორი წილი გვიპატიებია, სამის წილიდამ, რაც მ ე თ ო დ ი ს კაცთ შეხვდებათ, იმათთვის გვიპატივებია. და სხვა კი გამოართვით ამ მეთოდის კაცთ. ჯაბრით ნამეტნავი არ უნდა დააწეროთ, სწორეთ უნდა გაიყონ.

ბატონო სალთხუცესო მუხრანის ბატონო, შენ აქავ ასე გაუყავ და ისე გამოართმევინე, რაც შეხვდესთ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მეჯმობს ძედ. კახეთის მეფედ ცხებულს ე რ ე კ ლ ე.

verso

ქ. ჩვენ, მეთოდის კაცებს ამ სამასპინძლოსი ცხვარნახევარი შემოგვხვდა.

ნაპატივები ცხვარი **ა 0** (ერთნახევარი).

ქ. ამ ზემო ცხვარნახევარს გარდა, ამათ ორის წილისა ეპატივა ძროხა ერთნახევარი და ერბო ერთი ლიტრა.

## 13. არზა მორდლის ყმებისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1789 წ. 2 ოქტომბერი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 447. დედანი. ქაღალდი. 21,5×16 სმ. მარჯვენა ზემოკიდე მოხეულია. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჰირი [მოსცეს მათ მონ]ას მორ[დ]ლის ყმებს სამ კომლს კაცს მოს...* სამი მილანთუნი საკლავის ფასათ თქვ[ენმა] შვილებმა გამოგვართვეს. ახლა კიდევ შამოგიწერიათ: ერთი ძროხა, ერთი ცხვარი, ქათამი რა მოსახსენებელია. სამს კომლს კაცს ეს არ შეგვიძლია.

ღმერთი გაგიმარჯვებს, ამ წყალობა[ს] ვითხოვთ: რაც ამ სამს კაცს

* აკლია რამდენიმე ასო.

შეგვეძლოს, ისე გვიმსახურეთ. ძროხა არ შეგვიძლია, ცხვარს ფას ყასაბს მივაბარებთ. ამას დაგვჯერდით, ღმერთი გაგიმარჯვებსთ, უწყალო ამდენის შეუძლებელის შამოსაწერით დავიკარგებით, სულ ხელიდამ რენ. ნება თქვენია. ე[ნ]კენისთვის ბ, ქორონიკონს უოზ.

თავში

ქ. იასაულებო, ორს ცხვარს დავსჯერებივართ, სხვა გვიპატივებია, დაეხსენით. ღვინობისთვის ბ, ქორონიკონს უოზ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

verso

დ (ოთხი) ქ. [გვი]პატიებია ქათამი.
გ (სამი) ქ. ძროხისა და ცხვარისაცა.
ნაპატივები ძროხა მორდლისა ა (ერთი).

## 14. არზა გიორგი მირზა იბრეიმას შვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1789 წ. 25 ოქტომბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 784. დედანი. ქაღალდი. 22×11 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია აქა-იქ თითო წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მომცეს მირზა იბრეიმას შვილს გიორგის ნასაღჩიბაშის ნაიბს.

ჩემო ჯელმწიფევ, ორს ოსიაურელს კაცს — კოჩაძეს და მეტივისშვილს ვენაჯები დაუყიდიათ. თუ იმ კაცს ვალი მართებსთ და ან ეჭირება, მოვიდეს, მოგვახსენოს და მე მივსცემ. თუ არადა, ჩემს მამულს სამართლით არ გავასყიდვინებ. მოგეხსენებათ, რის მამულის მჭონებელი ვარ, რომ მამული გავსყიდო. ერთის ოქმის წყალობა მიყავით, ჩემი მამული მე დამნებდეს. თუ სიტყვა აქვს რამე, მოგახსენოსთ. გაუჭირებლივ ჩემს მამულს არ გავასყიდვინებ. თუ უჭირს, მე მივცემ თეთრს. ღვინობისთვის გ, ქორონიკონს უოზ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის სურამის მოურავო ბერო! მერე ამ არზით გოგია ნასაღჩიბაშის ნაიბს რომ ასრე მოუხსენებია, ამის კაცებს ვენაჯები რომ დაუყიდიათ, ამის შეუკითხავად არ უნდა გაეყიდნათ ის ვენახები. ახლა იმ კაცებს დაახსნევინე და ამას დაანებე.

და თუ გაჭირებული საქმე აქვსთ და იმისთვის დაუყიდიათ, მოვიდნენ და ჩვენ მოგვახსენონ და ჩვენ გზას მივსცემთ. თავადის შვილის ყმა სხვის მებატონეს მამულს ვერ მიჰყიდის, თუ არ თავისის მებატონის შეკითხვითა და დასტურით. ოკდონბერს **კე**, ქორონიკონს **უოზ**.

თუ იმ გლეხ კაცს ტყვეობის მიზეზი აქვს და [ს]ხვა ილაჯი არ ექნება რა, გაჰყიდის; და ან ასეთი მიზეზი აქვს, მამულის გასყიდვის მეტი ილაჯი [არ] აქვს რა, მებატონეს ჰკითხამს. თუ ტყვე არის, აღარა ჰკითხამს. და თუ ტყვე არ არის, თავის მებატ[ონე]ს თუ არ ჰკითხავს, ვერ გაჰყიდის. თუ თავისი ბატონი[1] უპოვის რასმე, არ გაასყიდვინებს, თუ სხ[ვას] უპოვის.

სხვა ხელით

თუ თავისის მებატონისათვის უკითხავს და ისე გაუყიდია, თავისი ბატონი ვეღარას შეუა. და თუ შეუკითხავთ გაუყიდია, ის კი ბათილი იქმნება ნოემბერს **კთ**, ქორონიკონს **უპდ**.

ის მამული ისევ გამოერთმევა. თუ ამაში სიტყვა არა ჰქონდეს რა, ნუ გაირჯება, თორემ ზიანი[2] აქვს ამაში.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

აბაშიძე სალთხუცესო გიორგი, მერე ამ ნასაღჩიბაშის ნაიბს გიორგის შენ უნდა თეთრი გამოართვა და ვისაც ამის მამული აქვს, თეთრი იმას უნდა მისცე და მამული ამას დაანებე. და თუ სიტყვა აქვს, მოგვახსენოს.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 15. არზა იოთამ ტატიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1789 წ. 5 ნოემბერი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 46. საბუთი № 3. პირი. ქაღალდი. მხედრული. შდრ. 1787 წ. 19 თებერვლის არზა-ოქმს.

[ჲ] ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ტატიშვილს იოთამს.

ყაყნიასა და ოთარის მამულზედ ზა[ა]ლ დავითიშვილი მედავებოდა, ვილაპარაკეთ და თქვენი სამართლით მე დამრ-

1 ბატონის. 2 ზნიანი.

ჩა, განაჩენი მებოძა და ოქმი ამილახვარზე: ამას ხელი აუმართო და თავისი მამული და[ა]ნებეო და რაც აქამდი ღალა დაჰკლებოდეს, ისიც გამოურთვი და მიეცო. ამილახორმა ხელი ამართა, ერთი წლის ღალაც გამომირთვა და მამცა. მასუკან ამილახორი რომ ჭირის სანც[ვ]ლო [გახდა], ათი წელიწადი ვჩივ[ი]. ოკდომბერს **ლ**, ქორონიკონს **უოზ**.

თითონ რო[მ] გამტყუნდა, ახლა თავისი აზნაურშვილი ამიტეხა და ის მართმევს მამულს; მამიხდა[1], მამული ისევ წამართვეს. ახლა მიველ ო თ ა რ ა მ ი ლ ა ხ ო რ თ ა ნ, ვიჩივლე, თქვენ[ი] განაჩენი მიუტანე და ი ე ს ე ა მ ი ლ ა ხ ო რ ი ს ა, იმანაც ხელი ამართა და დამანება. ახლა ზაალ დავითიშვილმა ხელიც მოგლიჯა და მამულიც წამართვა, ცხრა წლის ღალა უნდა მამცემოდა თქვენის განაჩენის ძალით. სამართალი მაღირსეთ. ღმერთი გაგიმარჯვებს.

თავში

ჩემი ბძანება არის ნასახჩიბაშო გლახავ! ამ არზის პატრონს ეს მოხსენებული მამული სამართლიდამ მიცემულის განაჩენებით აქვს დანებებული; ჩვენგანც დამტკიცებული არის ის განაჩენი და სამართლითაც ამისი არის. ამის განაყოფს რომ არ დაუნებებია, შენ უნდა ახლავ ჯელი აუმართო და ამას მოაბარო. და რაც ამ მამულის ღალა აუღია, უკლებად უნდა გამოურთვა და ამას მოაბარო. თუ ასე არ აღასრულე, იცოდე დიდად გიწყენთ. ნოემბრის **ე**, ქორონიკონს **უოზ**.

თუ სი[ტ]ყვა ჰქონდეს, სამართალში მოვიდეს. □

## 16. არზა გიორგი ლომაშვილისა და გერუა ქიტიაშვილისა გამოსალების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1789 წ. 6 ნოემბერი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3003. დედანი. ქაღალდი. 16,7×10,4 სმ. მხედრული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს გ ო რ ი ჯ ვ რ ი ს ყმას ლ ო მ ა შ ვ ი ლ ს გ ი ო რ გ ი ს ა და ქ ი ტ ი ა შ ვ ი ლ ს ბ ე რ უ ა ს.

ქ. ჩვენ ორნივ უძლური ბერიკაცნი ვართ. ორივ ტყვეობიდამ მოსული. თითო შვილი გვყავს უცოლშვილონი. ახლა სამ-სამს კოდს ფქვილსა გვთხოვენ. გვეშინია შვილები არსაით გაგვექცნენ, რომ მიცემა არ შეუძლიათ, არა გვაბადია რა.

[1] გაგიხდათ.

ჩვენ გორისჯვრის წმინდის გიორგის კარს გახლავართ და თქვენს ჯელმწიფობასა ვლოცავთ. გევედრებით, თქვენი მლოცველი გვამყოფეთ და ეს სურსათი გვაპატიეთ. ხვნა არა გვაქვს და თესვა, მთხოვლობით და ისე ვრჩებით. და ნება თქვენია. ნოემბერს **ე**, ქორონიკონს **უოზ**.

**გ**, ქ. ამით ნაპატიები სამი კოდი.

თავში

ქ. რომელნიც ამისი მოასილი იყვნეთ, ამ ორის გორისჯვრელთს კაცებს სამი კოდი პური გამოართვით, სამი კი გვიპატიებია. ნოემბერს **ვ**, ქორონიკონს **უოზ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 17. არზა ავთანდილ ბაბალაშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1789 წ. 10 ნოემბერი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 407. დედანი. ქაღალდი. 31,8×18 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი ბაბალაშვილს ავთანდილს მომცეს.

მერე სოლაღას ნაყმევი ჩილდირელი ჰაირაპეტასათვის სოლაღას ორმოცი ყურუში ხარჯი ეთხოვნა, ან უნდა გათათრებულიყო და ან უნდა ის ორმოცი ყურუში მიეცა. მიცემის შეძლება რომ არა ჰქონდა, აიყარა და აქ გორს ჩემს ყმათ მოვიდა და სარჩო და სულადი მივეც და ვარჩინე. ამასაც რაც შეძლება ჰქონდა, ისე მსახურა. ესენი თქვენი ჭირის სანაცვლო შეიქნენ.

ამათ აქ ორი ვაჟიშვილი მიეცათ; ეს ორი ობოლიც გავზარდე და შინა მყვანდნენ. მასუკან ხელოსანს მივაბარე და ხელობა ვასწავლე, ცოლი შევრთევი და ცალკე სახლობენ. ორმოცი წელიწადი არის რა რომ ამის მამა მომსვლია და ამ ორმოცს წელიწადში ამათი მოდავე არავინ არ ყოფილა.

ახლა სარდლის შვილს იოანეს თქვენთვის არზა მოურთმევია, რომ ერთი ყმა მყავსო, ოქმი და იასაული მიბოძეო, რომ ამიყაროსო. და თქვენც აყრის ოქმი და იასაული გიბოძებიათ. კაცი ამიყარეს. ერთი ვგონ ერედვს გაუბარებია და ეს ორი ძმანი იქ დაჭერილნი ჰყავს. მრავალი უცია და წიგნი უთხოვნია ბატონყმობისა.

წყალობას ვითხოვ: ერთი ოქმი მებოძოს, რომ სამართლამდის ეს კაცნი გაუშვას და თქვენს სამართალში მელაპარაკოს, თუ სიტყვა აქვს რამ. და როგორც სამართალმა გვიბძანოს, ისე ჰქნას. ნოემბერი 8, ქორონიკონს უოზ.

თავში

ჩვენი ბძანება არის ციციშვილო ნასახჩიბაშო გლახავ! ამ არზით ბაბალაშვილი რომ ასე ჩივის, იმ კაცის აყრა არ იქნება. ისევ თავის ადგილს დააყენოს თავისის ცოლ-შვილითა. და მასუკან ორბელიანი[1] მინბაში იოანე და ეს ბაბალაშვილი ორნივ სამართალში ალაპარაკე და სამართალს მივცემთ. ნოენბერს ი, ქორონიკონს უოზ.

თუ ორბელიანის იოანეს კაცი არის, ელაპარაკოს. და თუ სწორეთ იმისი კაცი არ არის, ნუღარ ელაპარაკება, დაეხსნას და ჯელიც აიღოს. და თუ ელაპარაკება, სამართალში რომელიც გამტყუნდება, თარჯიმალი უნდა გასწიოს.

ბეჭედი: ჭნარს მიცემს. დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 18. არზა დავით გოგიბაშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1789 წ. 14 ნოემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 661. დედანი. ქაღალდი. 42,7×16 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს გოგ[ი]ბაშვილს დავითს.

მერე ჩემო ჯემწიფევ, ჩემი საქმე ხომ მოგხსენდათ, ნასყიდობის წიგნები ხელში მიჭირავს და თქვენ მოწმე[ე]ბზედ მიაგდევით. წყალობას ვითხოვ, რომ თქვენის ბძანებით და ოქმით ვინც მოწმე[ე]ბი მყავს, ებძანოს; იმ მოწმე[ე]ბმა რაც მოგახსენოსთ, თუ შეიწყნარებოდეს, ჩემის წყალობა დამემართოს. და თუ იმათი მოხსენებული მოწმობა არ შეიწყნარებოდეს, თქვენის ჭირის სანაც[ვ]ლო იყოს. ერთი ოქმი მიბოძეთ. ამ მოწმე[ე]ბმა რაც იცოდნენ, სწორე მოგახსენონ. ნოენბრის იდ, ქორონიკონს უოზ.

თავში

[1] ორბილიანი.

ქ. ჩვენი ბძანება არის ხალვათხანის ეშიკაღაბაშო ავალიშვილო პეტრე! ამ არზით ეს გოგიბაშვილი რომ ასე ჩივის, ღმერთს გაფიცებთ და შენს სარწმუნოებასა, რაც ამათი საქმე იცით, ამაზე მოწმობა მოაწერე. და პეტრეს გარდა კიდევ ვინცავინ სხვათ იცოდეთ რამე, თქვენც ღმერთს გაფიცებთ, ამაზე ჭეშმარიტებით მოწმობა მოუწეროთ. ღმერთმა გკითხოთ და გადაგახდევინოსთ, რაც იცოდეთ, თუ სწორე არ მოუწეროთ. ნოენბერს **იდ**, ქორონიკონს **უოზ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს. დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

ჩვენს ჯემწიფესა მოწმობა ებძანა გოგიბაშვილისა და პოვნიას ნასყიდობისა. მე პეტრე ეშიკაღაბაში[1] ჯერ ღმერთსა ვფიცამ, მერმე თქვენს მზესა, რომ ტყუილად არ უმოწმო. ასრე ვიცი: პოვნია დაეყიდნათ ცოლითა და შვილითა. პოვნია გამოპაროდათ, ჩამოვიდა და გიორგი გოგიბაშვილს შემოეხვეწა ცოლ-შვილი დამიხსენ, ჩემს თავსაც ნასყიდობით მოგცემო. გიორგიმ ცოლ-შვილი დაუხსნა, თავის თავიც ნასყიდობით მისცა. ორი სამი წელიწადი ახლდა და ემსახურებოდა. მერე გიორგი თქვენი ჭირი[ს] სანაც[ვ]ლო შეიქნა. მასუკან აიყარა და აბაშიძეს მიუვიდა და მას დაუსახლდა შუა ტყესა. მასუკან იქიდამ აიყარა და თაქთაქისშვილ ელისბართან გადმოვიდა და იყო. მე ეს ჭეშმარიტი მამიხსენებია, ჭეშმარიტებას ვფიცამ. ნება თქვენი მოწყალებისა არის. ნოენბერს **იე**, ქორონიკონს **უოზ**.

მე, სვიმონ ედიშერიშვილი, ამ ზემო წერილის მოწამე ვარ ჭეშმარიტად.

მე, თევდორე ინანიკაშვილი, ღვთის წინაშე ამ ზემო წერილის მოწამე ვარ.

ქ. მე, ერასტი განძიელი, ოთხმოცდაათის წლის კაცი ვარ, უსინათლო და ღმერთს ვფიცამ: პოვნია თვისის ცოლ-შვილით გიორგი გოგიბაშვილმ[ა] დაიხსნა. ამისი მოწამე და დამსწრე ვარ; და ნება მათის უმაღლესობისა აღსრულდეს.

---

[1] ეშიყაბაში.

## 19. არზა იესე მურვანიშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1789 წ. 17 ნოემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1166. დედანი. ქაღალდი. 33,5×10,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი, ორი ან სამი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მ უ რ ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ს ი ე ს ე ს მოსცეს.

მერე ჩემი საჩივარი ა ბ ი ს [ს] ა ც მოგახსენე, მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი ს ა და ჩემი საჩივარი. მაჭავარიანი სუფრაზე იჯდა თავის ბატონთანა და მეც იქ გახლდით. მაჭავარიანი სუფრიდამ ადგა და წავიდა. გამობრუნდა და ს უ რ ა მ ს მოგვიხდა. გამოუდგა თავისი ბატონი, მოვეწიენით. თავის ბატონი უწინ მივიდა.

სანამ მე მივიდოდი, თავისი ბატონისთვის თოფი წაერთმია. მე რომ მიველ, მაჭავარიანმა დისწულს დაუძახა: ნუ მოუშვებ მურვანიშვილსა. მაჭავარიანს ის იამა, გადიქნია ორჯელ თავისი ბატონი და ვერ დასცა. მესამეზე მუხლი და[ა]კვრევინა, მუხლი გაუტეხა.

მერე დამიძახა: «არა გრცხვენიან იასე?», მივეშველე, ორივე თოფი წავართვი. მაჭავარიანმა ეს იხუვა, ერთი ხმალი თავის ბატონს შესცა, ერთიც მე შემამკრა.

ღმერთი გაგიმარჯვებს, ამისი სამართალი მაღირსე. გიორგობის **ივ,** ქორონიკონს **უოზ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ე შ ი კ ა ლ ა ბ ა შ ო თ ა მ ა ზ! ამ არზით მურვანიშვილი იესე რომ მაჭავარიანს ბერს ასე უჩივის, ამათ ერთი იასაული დააყენე. ესე და ბერი მაჭავარიანი და ამათი მო წ მ ე [ე] ბი ყველანი ჩვენს სამართალში მოაყვანინე და ალაპარაკე. ნოენბრის **იზ,** ქორონიკონს **უოზ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს. დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ე რ ე კ ლ ე.

## 20. არზა ზაალ დავითიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1789 წ. 23 ნოემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 8069. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჰირი დ ა ვ ი თ ი შ ვ ი ლ ს ზ ა ა ლ ს მოსცეს.

მერე ამას მოვახსენებ: ბედნიერის ხემწიფე ნეტარად ხსენებულის ბატონის დროს მამაჩემი და ბიძა ჩემები გაიყარნენ. ბალათარ ტატიშვილი თავისის ძმით ბიძაჩემს ერგო — ელიზბარ[illegible]მასა; და ბატონის გასამყრელოთ სომხითში სოფელი გვქონდა, ის მივართვით. ბატონმა ის ხარაბა სოფელი აღარ ინება და ბალათარ თავისის ძმითა და ორის სახლისკაცით გასამყრელოთ მი[ი]რთვა. ეს ბალათარ რომ ბატონმა მიირთვა, რათგან ბარათაში ჩავარდნილი იყო, ამისი მაგიერი ფარდი ძმებმა აუყენეს და ბიძაჩემს მისცეს. ოცდაცამეტი წელიწადი ბალათარ თქვენ გახლდით და ამისი ფარდი ელიზბარს ეჭირა.

ჩემო ხემწიფევ, თქვენს უმაღლესობას თავი ვაწყინე. ეს ჩვენ[ი] გასამყრელო გთხოვთ თქვენმა უხვმა მოწყალებამ შემიწყალა და მიბოძეთ. აჰა თქვენი წყალობის სიგელი.

რათგან ეს რომ მიბოძეთ, წამოდგა ჩემი ბიძაშვილი ელიზბარ, მდივანბეგებთან მიჩივლა: რათგან ბატონმა მაგას წყალობა უყო, ეგ ჩემის ბარათის არისო, ეგ მე მამცესო; და რაც მაგისი მაგიერი ფარდი ან ყმა ან მამული მიჭირამსო, ის მაგას მიეცითო.

ეს მოხსენება მდივანბეგებმა გაუგონეს, ეს თქვენი წყალობა ჩამამართვეს, იმას მისცეს; და მე მისი მაგიერი ფარდი უნდა მამცემოდა, არც ის მამეცა, არც ეს თქვენი წყალობა. აქამდინ მეუბნა — მოგცემო. ან რაც დამეხარჯა აღარა მამცა რა.

უმაღლესობას ამაზე თავს ვაწყენ და ევვედრები; ერთი ოქმი მებოძოს ამილახვარზე: ან რომელიც თქვენგან წყალობა დამემართა და თქვენი წყალობის სიგელი და ნეტარად ხსენებულის ბატონისაგან ბძანებული ოქმი აცხადებდეს, ისივ მებოძოს; ან არა იმისი მაგიერი საფარდო მამეცეს, რათგან თქვენი წყალობა დამემართა.

ღმერთი გაგიმარჯვებს, ოქმის წყალობა მიყავით, ამაზე გაგვასწოროს. მუდამ შფოთში ვართ, რომ გავშველდეთ. ღმერთი გაგიმარჯვებს, ჩვენი ანბავი კარგათ მოგეხსენებათ. ჩვენ რაღა შფოთი გვეჭირება. ნოენბერს კბ. ქორონიკონს უოზ.

თავში

ბატონო ამილახვარო ოთარ, ამ არზით რომ დავითიშვილი ზაალ ასე ჩივის, ამას ან ისივ ბალათარ რომ გასამყრელოდ აგვიყვანია თავისის სახლის კაცებით გოგია და როსტომ და ამ ზაალისათვის წყალობა გვიქმნია და გვიბოძებია, ისივ გამოურთვი ელიზბარსა და მოაბარე.

და თუ იმას არ მოსცემს, იმისი საფარდო რომ უჭირავს ელიზ-

ბარს, ის გამოურთვი და ამ ზაალს მოაბარე. ეს ხომ არ იქნება, რომ ის ბალათარც იმას ეჭიროს და იმისი სამაგიეროც.

თუ ამაში სიტყვა ჰქონდეს რამე, შენთანვე ალაპარაკე და სამართლიანის საქმით გაასწორე. და თუ სიტყვა არა ჰქონდეს რა, ახლავ გამოურთვი და მოაბარე, ნუღარ აჩივლებს, ამაზედ სამართლიანის საქმით გაუსწორდეს, თორემ ვერ მოუწონებთ. ნოემბრის კგ, ქორონიკონს უოზ.

## 21. არზა ნიკოლოზ მღვდლიშვილისა გამოსაღების თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

**1789 წ. 7 დეკემბერი**

ცსსა. ფ. 1448, საბ. № 3027. დედანი. ქაღალდი. 19,8×11,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. ოქმის თარიღი მცდარი უნდა იყოს.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფე დედოფლის ჰირი მოსცეს თქვენს ყმას, ველისციხელს იობ მღუდლის შვილს ნიკოლოზს.

ჩემო მოწყალევ, ველისციხეს პირველად ჩვენ დავსახლებულვართ და ოჯაღი ვყოფილვართ თქვენის წყალობითა. მაგრამ ახლა სიღარიბემ ასე შამაწუხა, რომ დარჩენაც გამჭირვებია და ორი წლის კულუხი და კოდისპური ვერ მომიცია.

მარტოჯელი და მწარედ ნაილაჯი გახლავარ. გევედრები, ბედნიერის ჯელმწიფის სადღეგრძელოთ მაპატიოთ, რომ ფეხის მოკიდება და თქვენი სამსახური შავიძლო. დეკემბერს ზ, ქორონიკონს უოზ.

ორი კვირა არის აქ გახლავარ. მოვალის შ[იშ]ით ვერ მივსულვარ. ათი თუმანი ვალი [მმართ]ებს, ღმერთი არის მოწამე.

თავში

ქ. ველისციხის მოურაო სვიმონ და ნაცვალო! მერე ამ არზის პატრონს ასე რომ მოუხსენებია, თუ ამისი მოხსენებული ჭეშმარიტი იყოს, ორის წლის კოდისპური გვიპატივებია და ორის წლის კულუხი კი უნდა სარქაოში მოაბაროს. ამ ორის წლის კოდისპურს ნუ სთხოვთ და კულუხი კი უნდა გამოერთვას. ღვინობისთვის ზ, ქორონიკონს უოზ.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

## 22. არზა გოგია ფითიკაშვილისა გამოსალების თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

**1789 წ. 11 დეკემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2950. დედანი. ქაღალდი 17×10,5. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია თითო წერტილი.

ქ. ღმერთმან სრულიად საქართველოს დედოფლის ჭირი მოსცეს გავაზელს თითიკაშვილს გოგიას.

ქ. შარშან გიორგობის თვეში დავსტყვევდი. კარდანახელმა კაცმა დამიხსნა და მამიყვანა. ახლა ცოლ-შვილით იმისი გირაო ვზივარ. გეეედრები, ღმერთი შვილებს გიცოცხლებს, სანამ ამ ვალს მოვრჩებოდე, ერთი ოქმი მებოძოს, რომ არა მეთხოვებოდეს რა. ერთი ღარიბი კაცი ვარ სხვის გირაო. ქრისტიშობის **ი**, ქორონიკონს **უოზ**.

გავაზის მოურავის სიტყვით დამიხსნა იმ კაცმა, თეთრი რომ ვეღარ უშოვნე, გირაოთა ვყავარ ცოლ-შვილით.

თავში

ქ. გავაზის მოურაო რევაზ! მერე ამ არზით რომ ასე მოუხსენებია, თუ ამისი მოხსენებული ჭეშმარიტია, შენ კარგად გეცოდინება, ეს შეუძლებელია თუ შეძლებული[1]. თუ ნაილაჯი იყოს და მიცემა არათი შეეძლოს, ორი წლით გაგვიაზატებია. არც საჩვენო სათხოვარში უნდა გარიოთ და არც საქვეყნოში. რადგან თავი აქუს დასახსნელი, გამოსალებში ნუღარას გარევთ. დეკემბრის **ია**, ქორონიკონს **უოზ**.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

## 23. არზა გოგია თუთარაულისა სითარხნის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1789 წ. 13 დეკემბერი**

ცსსა. ფ. 1448, საბ. № 421. დედანი. დაზიანებული. ქაღალდი. 33,5×20,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსც[ეს თ]უთარაულს ახალს სახასოს გოგიას.

მერმე ამას მოგახსენებ ჩემო ჯელმწიფევ: მეფის კოსტანტინესაგან [ბოძებული] სიგელი მქონებია აზნაურშვილობისა და

[1] შეძლებული] შეუძლებელი.

სითარხნისა. თქვენის ჯელმწიფობისაგანაც მოწყალება დაგ[ვეძართა] და წიგნები გვაქვს აზნაურშვილობისა და [სითარხნისა] [illegible] განაც თარხანი გხლებივართ და ახლაც [ამას ვი]თხოვთ [illegible] წყალებისაგან, ჩემო ჯელმწიფევ, [თქ]ვენის შვილების სადღეგრძელოდ ეს მოწყალება მოიღოთ: ერთის ოქმის წყალობა გვიყოთ და ო მ ა ნ მდივანს მიგვაბაროთ, რომ უბრალოს გლეხკაცურს ხარჯში არაში გაგვრიონ თქვენმა მოჯელეებმა. და როგორც ჩვენი თანამდებობა ი[ყოს], ისე გმსახუროთ. ჩემო ჯელმწიფევ, რაც მამული მაქვს, სულ [ნასყ]იდობა არის და ამაზე გახლავარ. დეკენბრის **იგ**, ქორონიკონს **უოზ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ლაშქარნივისო ო [მ ა ნ]. ამ კაცზედ თვალი და [ყ]ური გეჭიროს, უსამართლოდ არავინ შე[აწუ]ხოს. დეკენბრის... [ქორონიკონს] **უოზ**.

ეს კაცი შენ გებარებოდეს. თუ სიტყვა აქვს [ვის]მე, მოგვახსენოს.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ე რ ე კ ლ ე.

## 24. არზა ჯავახიშვილებისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1790 წ. 15 იანვარი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 8824. დედანი. ქაღალდი. 32,8×24 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი და მძიმე.

ქ. ღმერთმან მისის სიმაღლის, ყოვლად მოწყალის ჯელმწიფის ჭირი მომცეს [მ]ათს მლოცველს ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს გ ო შ პ ა რ ი ს შვილიშვილს, მღვდელს ი ო ს ე ბ ს, მ ა ნ უ ჩ ა რ ს და გ ა ბ რ ი ე ლ ს.

მარადღე თქვენი მლოცველი გახლავარ და თქვენის მოწყალებით ვიზრდები. ღმერთს ვფიცავ და თქვენს მზესა, რასაც დღიურად თქვენის სიმაღლისა და ქვეყნის წყალობით ლუკმას არ ვშოობ და იმითი არ ნუგეშვცემ ჩემს სიღარიბეს და ჩემს სახლობას, იმის მეტი ჩემს კერძად არა არის რა, და აქამდე ამისთვის ვერ გავბედე წამოდგომა თქვენს წინაშე. და ახლაც თქვენმა ღვთის მსახურებამ და პირუთნებელმა მსჯავრმა გამაბედვინა და წარმოდგომილვარ წინაშე ღვთისა და თქვენსა.

მე ჩემი პაპის შვილობისაგან და ჩემის სამკვიდრებელისაგან ცა-

ლიერი ვარ ჩემის სახლის კაცებისაგან. მე თქვენს მეტი მოწყალე არავინ მყავს, იმათ ბევრნი ჰყვანან.

გოშპარ ჯავახისშვილი — პაპაჩემი რომ [illegible]სი დიდად მწყალობელი ბძანებულა ჴელმწიფე პაპათქვენი მეფე ერეკლე. აგრეთვე პაპაჩემიც დიდად ერთგული და თავდადებული გხლებიათ. ქართლის მებატონეს იმ დროს პაპაჩემი თქვენის ერთგულებისათვის აუკლიათ და დიდათ დაუგლახაკებიათ. მოგეჴსენებათ, უწინ გახშირებული თათრობა ყოფილა და კითხვა რად იქნებოდა თათრობათათვის.

გოშპარს გლურჯიძის ქალი ჰყოლია. მამაჩემი რომ დაბადებულა, მეფეს ერეკლეს პაპაჩემი კარავში ხლებია. მისულა მახარობელი და გოშპარისათვის შვილის ყოლა, მამის ჩემის შობა, უხარებია. ჴელმწიფე მეფე ასე მწყალობელი ბძანებულა, რომ მძიმის დარაიბაზთით მჯარი აუხვევია.

ესენი ბუშის შვილს მეძახიან; ბუშს რა სამახარობლოს გაღება უნდოდა.

სამ წელიწადს გოშპარ ერევნის ხანად გხლებიათ. ჩემის ბებიის გარდა კიდევ იქ, ერევანს, ვართაპეტის და გამოუთხოვნია და იმასთან ორი ქალ-ვაჟი ჰყოლია, იქიდამ ქეჯათი მოუსხამს. გოშპარ მოხუცებული აქ მიიცვალა და ჩვენის ბებიის მეტი ცოლი არა ჰყოლია. და ჩვენს გვარში ჩვენს მეტი არავინ არის.

სვიმონ გოშპარისა ბიძაშვილი იყო და სვიმონას შვილი დათუა იყო, რომ გლურჯიძის ზედ სიძე იყო, და სვიმონნს მაგათი მამიდა ჰყვანდა ცოლად, სწორედ ავთანდილის და, ასე შორიელნი განაყოფნი ვართ.

მაგრამ ახლა საგზადას მაცთურს ლოთს შეაღგნენ და ამ გოშპარის ძმისწულ დათუას მამული იქრთამეს და დაამტკიცებინ[ეს] და ამაზედ ჩვენ გვბრიყვობენ.

დიდი ხანია მამაჩემი გამოსცლიათ ობლობით და სიღარიბით. გოშპარის ძმა მანგლელად გხლებიათ. იმას წიგნი უსწავლებია. გოშპარ რომ მომკვდარა, მისულა მამაჩემი და ქუთათლისათვის უმსახურია. ამას დიდი ვერცხლის თასი უბოძებია და გოშპარის მოვალეებს წაურთმევიათ.

თუ შვილი არ იყო, გოშპარის ვალისათვის მამაჩემს რად სტანჯევდენ. ისინი ამბობენ, გოშპარის მუშები არიანო; წამოაყენონ ჩვენს მეტი სხვა შვილი ვინ ჰყოლია.

მაგათ ჩვენთან საქმე არა ჰქონია, ჩვენ მაგათთან კი გვაქვს. ქვენადრისი საკუთრად ჩვენია და ხოვლეშიაც წილი გვიძეს, მთასა და ბარში, სასაფლაოში და ყოველს ადგილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვენადრისი რომ გაოხრებულა, მამაჩემი ქალაქში ჩამოსულა, მოქალაქის ქალი შეურთავს, მაგათ გამოსცლია და მღვდლობაზედ დადგრომილა. აქა-იქ უვლია. მერმე ნეტარჯსენებულს მეფის თეიმურაზს ისპაანს აბდულა-ბეგის ქალისათვის გაუტანებია, იქ მომკვდარა. ხუთის წლის ობოლი დავრჩი და თქვენის მოწყალებით გამოვიზარდე.

ახლა ამას ვევედრები თქვენს მართლმსაჯულებას: თქვენს დროში მრავალნი დავრდომილნი აღემართნენ. ვითხოვ, რომ მეც სამართალი დამემართოს; უსამართლოდ და მძლავრებით მამულიდამ ჯელაღებული ვარ ამათგან. შერმაზანის მამა და გოშპარის მამა და პაპა რომ გაყრილან, აგრეთვე ფარემუზის მამა და პაპა, გოშპარის შვილისშვილები ჩვენს მეტი არავინ დარჩომილა.

ჩვენი ამბავი ბასილი მღვდელ-მონაზონმა კარგად იცის. ამ მოხუცებულს ბერს ჰკითხეთ და იმისი მოწმობაც [ხე]ლთ [აქ]ვს რომ გოშპარის შვილისშვილები ვართ.

დედის ჩემის პირის სან[ახა]ვ[ი] კაცები უჭირავს. მოციქული მიუგზავნე, ვთხოვე და არ დამანებეს: სხვაც ბევრი გვაქვს სადაო, [რადგ]ან იმას გვედავები, ესენი რომ დაგანებოთო. ჩვენი წიგნები აკლებაში დაგვკარგვია, მაგათ ჩაუგდიათ და აქვთ.

გუშინ წინ ფარემთხუ[ცესის] სახლში გახლდი. იქ შემოვიდა თეიმურაზ, მითხრა: შენ გითქვამსო, რომ გოშპარის შვილი ვარო, მე არ უარვჰყავ. წამოდგა, მომწვდა, გასალახავად მომინდომა; არ გაუშვეს, თორემ ეგების კიდეც მოვეკალ; მრავალი მაგინა, მამა და დედა და თავი.

ღმერთი განგაძლიერებს, მისაჯეთ. თქვენამდის სამართალში აღარ მომაწევინა. დავრდომილისა და დამდაბლებულის შემწეო, აღმადგინე და მისაჯე მე, რამეთუ დამთრგუნა მე კაცმან. იანვარს **თ**, წელსა **ჩლუ**.

თავში

ქ. უფალნო მსაჯულნო! ამ არზის პატრონი და ამისი მოდავე თქვენთან ალაპარაკეთ და ღვთის წინაშე რასაც მიხვდეთ, კარგის გამოძიებით და გაჩხრეკით ამათი სამართალი ჭეშმარიტებით საჯეთ.

ეშიკაღასბაშო გარსევან! ესენი მსაჯულთ სამართალშიდ შენ მიაყვანინე და ალაპარაკე. იანვრის **იე**. ქორონიკონს **უოჵ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს. დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 25. არზა თეიმურაზ ჯავახიშვილისა საჭირნახულოს თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1790 წ. 18 იანვარი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10000. დედანი. ქაღალდი. 21,3×11,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ჯავახიშვილს თეიმურაზს.

ჩემო ხემწიფევ! მოეხსენება თქვენს სიმაღლეს, ჩემი ძმები რო[მ] გავიყარენით, იმათ საუფროსო და საუმცროსო აიღეს და ჩემთვის საჭი[რ]ნახულო არ მოუციათ. თქვენი ოქმიცა მაქვს და მსაჯულთ განჩინებაც და არა მომეცა რა.

ღმერთი ადიდებს შენს ხემწიფობას! ბეცია თარხნიშვილზე ერთი ოქმი მებოძოს, ჩემი რაც მერგებოდეს, გამომირთოს და მომცეს, რომ ჩემს ძმებთან სალაპარაკო და საძულილო არა იყოს რა. ღმერთი გაგიმარჯვებს. იანვრის **იე**, ქორონიკონს **უოჱ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის თარხნიშვილო ბეციავ! მერე ამ არზით ჯავახიშვილს თეიმურაზს რომ ასე მოუხსენებია, შენ დაადეგ იასაულათ ამის ძმებსა და როგორც ჩვენი განაჩენი ამ თეიმურა[ზ]ს უცხადებდეს, ისე გაურიგე. იანვრის **იჱ**, ქორონიკონს **უოჱ**.

ბეჭედი: ჭნარს მიცემს. დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 26. არზა იოანე მამუჩიშვილისა ყმის თაობაზე ვახტანგ ბატონიშვილის ოქმით

**1790 წ. 21 იანვარი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 53. საბუთი № 9. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[7] ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ძის ვახტანგის ჭირი მოსცეს მათს მონას მამუჩიშვილს იოანეს.

მერე ამას მოვახსენებ მათს სიმაღლეს. თქვენ რომ ოქმი მიბოძეთ და ურიათუბნელი თქვენის ხიზნის ობლები, იმ დედაკაცმა არც თქვენი ოქმი იოქმა, არც ის ობლები დამანება და ასე მითხრა: არც

ბატონიშვილსა აქვსო ჩემთან ჭელიო და არც შენაო, იმერლებში არიანო — ეს პასუხი მომცა.

ახლა ჩემო ხემწიფევ, უფროსი შვილი თქვენის ჭირს წაუღია შეიქნა და ორი ბიჭი დარჩა — ერთი ექვსის წლისა არის და ერთი ოთხისა გახლავთ. ჩემო ჭელმწიფევ, ის ელიოზ მღვდელი თქვენი იყო და ის კაცი ზედსიძედ ჰყვანდა შეყვანილი. იმ ობლების დედა გათხოვდა; და თქვენის ბრძანებით იმ ობლებს არ მანებებს.

ღმერთი გაგიმარჯვებს, ამთენი თქვენი მოწყალება დამემართოს, რომ ერთი ოქმი მებოძოს, რომ ის ობლები დამნებდეს. ღმერთი გადღეგრძელებს.

თავში

ბატონიშვილი ვახტანგ გიბძანებ პა[ა]ტა მაჭავარიანო! მერე ამ არზით რომ ასე მოუხსენებია, ეს ობოლი ბიჭები ახლავ აყარე და ამ არზის პატრონს მიაბარე. იანვარს კა, ქორონიკონს უოჱ.

ეს კაცი ჩვენი ყმა იყო და რომლისამე მიზეზით ამ არზის პატრონ[ს] უბოძეთ და ახლა წართმევა როგორღა იქნება.

მამუჩიშვილო ივანე! ეს მიქელ[ა]ს ობლები შენთვის გვიბოძებია და ამასთან ხელი არავის აქუს. და თუ ჭეშმარიტი სიტყვა გაქუსთ ვისმე, ჩვენ მოგვახსენეთ. მაისის გ, ქორონიკონს უოჱ.

## 27. არზა მანუჩარ ლაშქარნივისისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1790 წ. 24 იანვარი**

საქართველოს სიძველენი, ტ. III, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, 1910 წ. გვ. 529—530. საბუთი № 548.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჭელმწიფის ჭირი ლაშქარნივისს მანუჩარს მამცეს.

მერე ამას მოვახსენებ: ჰამაქარას ქალაქს მოსახლე შვიდის კომლის კაცის სურსათი შემოუწერია ჩემთვის. ფიცით ვარწმუნებ თქვენს სიმაღლეს, რომ ერთის კომლის კაცის მეტი მხვნელ-მთესველი არა მყავს და სხვანი ხელთუბნის წახდენის უკან აქ ხიზნათ გახლავან, რომ ამათიც მსახურები გვყავს. ორი მსახური ჩემს

ძმასთან გახლავს და იმათს ცოლ-შვილს სარჩოს მე ვაძლევ; და სურ-
სათი ვის გამოვართო და მოგართო?

ერთისა მსახურიც აქ მე მყავს, ერთიც მწარეთ უმოწყალოდ
ხა და ღარიბი გახლავს, თუთხ[მ]ეტის თუმნის მოვალე, რომ ამას
ახლა იმერლები უდგანან სახლში, ცოლი და წვრილი შვილები გარეთ
უყრია, სახლში თუ რამ უბრალო რაგინდა რა ჰქონია, ის სულ აუკ-
ლიათ და გაუფუჭებიათ და სახლსაც უქცევენ, ბოძებს უყრიან და
უწვევენ.

ერთისაც ობლები გახლავან და არა შეუძლიათ რა. მოწყალეო
ჯელმწიფევ, თუნდა ეს ზემოხსენებული მიზეზები არა ჰქონდესთ,
მაშინ თქვენი მოწყალება ყოველს სულზე ასე ყოფილა: თუ რომელი-
მე კაცი ან სამსახურზე წარგიგზავნიათ და ან ერთი რამ განსაცდელი
მისდგომია, თქვენი ნუგეშისცემა არა ჰკლებია.

ჩემი ძმა ხომ აგერ რა ერთი ხანია სამსახურზე გახლავს, იმის
წასვლის უკან მე რამთენი რიგი განსაცდელი და შეწუხება მამდგო-
მია, ესეც მოგეხსენებათ. წყალობას ვითხოვ: ამ სურსათის წყალობაც
მოიღოთ და ჩემის ძმის მოსვლამდინაც აღარაზე შემაწუხონ. იანვრის
**იზ**, ქორონიკონს **უოწ**.

თავში

ქ. ჩვენო მოხელენო! ამ არზით მდივანს მანუჩარს რომ ასე მო-
უხსენებია, რაც სურსათი შეგიწერიათ, ისიც გვიპატივებია, და სა-
ნამდინ მდივანი სულხან მოვიდოდეს, მანამდინ ნუღარს სხვას
რასმე შეაწერთ. იანვრის **კდ**. ქორონიკონს **უოწ**, ალბათ. ერეკლე

## 28. არზა ივანე ჯამაძისა მამულის თაობაზე ვახტანგ ბატონიშვილის ოქმით

**1790 წ. 27 თებერვალი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1071. დედანი. ქაღალდი. 21×13,8 სმ. მხედ-
რული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან მეფის ძის ვახტანგის ჭირი მოსცეს ჯა-
მაძე ივანეს მაღრანელს.

ქ. თქვენის ოქმითა და იასაულით ჩემის განაყოფიდამ ერთი სა-
ბელი ვენახი მერგო შემუშავებული. ახლა ჩემს განაყოფს თქვენთან
უჩივლია, რომ იმ ვენახისა ნახევარი გამოსავალი სამართლით მე მერ-
გებაო. თქვენ ოქმი გიბოძებიათ მოსე ნაცვალზე: სამართლიანი

საქმით ამ კაცს თავისი ვენახის ნახევარი გამოსავალი მიეცა. ერთი წელიწადი მე საკუთრათ შევიმუშავე და საკუთრათ იმ ნახევრის ყოფმა წაიღო გამოსავალი, რომ ყურძენიც არ მიჭამია იმ ვენახისა და გამოსაღები კი მე მიმიცია ჩემი წილი. თუ რომ ის იმ ერთის საბლის ვენახის გამოსავალს გამიყოფს, მე იმ ერთის წლის იმ ვენახის გამოსავალსა ვითხოვ სამართლით. თებერვალს **კვ**, ქორონიკონს **უოწ**.

თავში

ქ. ბატონისშვილი ვახტანგ გიბძანებთ მაღნარის მოურაო და ნაცვალო! მერე ამ ჯამაძეების საქმე ამას წინათაც თქვენ მოგწერეთ და ახლაც თქვენთვის გვიბძანებია. ორი სხვა სოფლის კაცი თქვენთან დაისწარით, რაც ამათი სადაო და საჩივარი იყოს, ყველა თქვენ გაუსწორეთ. და როგორც ამათი სამართალი გარდასწყვიტოთ, განაჩენი დაუწერეთ და ჩვენ გვაჩვენეთ, რომ ჩვენც დაუმტკიცებთ. ღმრთის წინაშენ სისწორით მოიქეცით. ფებერვლის **კზ**, კორონიკონს **უოწ**.

ბეჭედი: რტოდ ვარ დავითის, მგელ-ლომად ვით ის, ვახტანგ ვამტკიცებ მეფის ძეობით.

## 29. არზა სოლომონ გეგუჩიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1790 წ. 4 მარტი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 355. დედანი. თავი დაზიანებული. 22,3×13 სმ. ქაღალდი. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმა ყოვლად მოწყალის ჯემწიფის ძის გიორგის ჰირი მოსცეს ბებურისშვილს სოლომან.

მერე ჩემო ჯემწიფევ ამას მოგახსენებ. ღმრთისაგანაც დაქცეული მე შევიქენ და ჩემის მეზობლისაგანაც. თუ თქვენ არას მიშველიო, დამკარგვენ. თქვენს მზესა და თქვენის მამის მზესა ვფიცავ, ე[ს] არ-ბაბობას უწინ მოსული ერთი კომლი კაცი, მამაჩემი და ბიძაჩემი რომ გაყრილან, მე ხომ არ მახსოვს[1], მე მრგებია, ბარათი ისევ ჯელთ მიჰირავს.

შარმაზანს აფხაზის შვილს ჩემი და ყვანდა. მამაჩემს რომ თქვენი ჰირი წაუღია, მეორეს წელიწადს დედაჩემს ერთი

1 მახსვამს.

საქოხე სასახლე უთხოვნია, ისე დაუსახლებია. მანამდის ჩვენს მა-
მულში იდგა, ჩემთვის უმსახურნია, ჩემს ბეგარაზე უვლია, დღემდი-
ლამდი დავთარში ჩემსში სწერია, ჯარში ისე დავიდოდა, ბეგარა-
რე, ქრისტეშობის თვეში მამულზედ დავასახლე.

ბეროზაშვილი ჩამოვიდა და მიჩივლა, ოქმი მაიტანა, არც მე[1] მაჩვენა, არც სოფელს აჩვენა, წამოვიდა, კიდევ მიჩივის.

ამის უსამართლოს ნუ გამჯდი. ღმერთი გაგიმარჯვებს, არც სოფლის სიტყვა და არც ჩემი სიტყვა სიმართლე და [ა]რც სიმტყუნე. გოგია მორდალი მანდ გახლავთ, მაგას კითხეთ[2], თუ მაგის მეტი მოდავე მყოლოდეს ვინმე, მრავალჯერ გვილაპარაკნია[3] ბატონთან: და ნეტარხსენებულის ლევანის სამართალში ჩვენ დაგ[ვ]რჩომია. და [დ]ღეს ახლა ეგ მედავება მამულის თხოვებისთვინ ბეროზაშვილი. დაიწერა თებერვალს **კზ,** [ქორონიკონს **უოჱ**].

თავში

ქ. ბატონისშვილო გიო[რგი], სიკეთით სახსო[ვარო ე]ში[კაღა]თბაშო აიდემურ. მერე ბებურის შვილს სოლომანს ამ არზით ასე რომ მოუხსენებია და ჩივის, ამას შენ კაცნი დაუსხი და რიგიანისა და სამართლიანის გზით გა[ა]რიგე. თუ ჩვენი სიყვარული გაქვს, ეს საქმე კარგათ დ[ა] რიგიანა[თ] შენ [გაა]რიგე [და] გარდუწყვიტე.

მარტის **დ.** ქორონიკონს **უოჱ.**

გიორგი

## 30. არზა იოანე მუხრანბატონიშვილისა მამულის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

**1790 წ. 19 მარტი**

ცსსა. პ. კარბელაშვილის პირადი ფონდი 1461. რვეული № 3. საბუთი № 50. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[30v]. ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის დედოფლის ჭირი მოსცეს მუხრანის ბატონიშვილს იოანეს.

მერე ჩემი მოხსენება ეს არის. ჩემის პაპისა და მამის ნასყიდი მიწები გახლავთ. ჩემი ძმისწულები, რომელიც კარგია, იმას ყიდიან და რომელიც ავია, ის კი რჩება. ერთმა ცხრა დღისა გაყიდა, კიდევაც ყიდიან და მე ამისი სამაგიერო არა მიჭირავს რა. მუხრან-ბატონმაც მოგვცა კაცები, მაგრამ არ დაუჯერეს.

წყალობას ვითხოვ, რომ მუხრანის ბატონს უბძანოთ, ამისი სა-

[1] + მე. [2] + და. [3] გვილაპარაგნია.

მაგიეროც მამცეს და სხვა რაც იმასთან არის ნასყიდი შიწები, ისიც გაგვიყოს, ოქმით ებძანოს. მოხსენებისათვის ნუ გამიწყრებით. ქორონიკონს **უოჱ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავში

ქ. მუხრანის ბატონო სალთხუცესო ი ო ვ ა ნ ე! ამ არზით თქვენი სახლის კაცი თავის ძმისწულს ასე რომ უჩივის, ამათი საქმე თქვენ გაშინჯეთ და სამართლიანის საქმით მოარიგეთ. და რაც გასაყოფი ჰქონდესთ, გაუყავით. მარტის **ით,** ქორონიკონს **უოჱ.**

## 31. არზა სულხან ხიმშიაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1790 წ. 1 აპრილი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 6797. დედანი. ქაღალდი. 21,2×9,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ს უ ლ ხ ა ნ ხ ი მ შ ი ა შ ვ ი ლ ს. ამთონი ხანია თავს გაწყენთ ამ ჩვენის მამულის დავაზედა. ჩვენი სამართალი ხომ გადასწყდა, განაჩენიც იმათ უჭირავსთ და მამულიცა, ჩვენ ცარიელნი ვართ. როგორც თქვენი ოქმი აცხადებს, სანუქფო მამული უნდა ეჩვენებინათ და მერე ისე უნდა დაეფიცათ. არც სანუქფო მამული გვიჩვენეს და არც დაიფიცეს.

ახლა წყალობას ვითხოვთ: ერთის მაგარის ოქმისა და იასაულის წყალობა გვიყავით, რომ ჩვენი საქმე გადასწყდეს.

მარტის **ლა,** ქორონიკონს **უოჱ.**

თავში

ქ. ეშიკაღასბაშო გ ა რ ს ე ვ ა ნ! ხიმშიაშვილს სულხანს რომ ასე მოუხსენებია, ამაზედ ბეჯითი იასაული მიეც, რომ ამისმა სახლისკაცებმა ჯერ იმ ბ უ ლ ა ჩ ა უ რ ი ს საფარდო უნდა აჩვენონ, რომ ამის საფარდოთ შენ ეს გიჭირავსო. და მასუკანით როგორც ფიცი აძესთ და განაჩენი უცხადებსთ, ისე უნდა დაიფიცონ. აპრილის **ა,** ქორონიკონს **უოჱ.**

ამაზედ ბეჯითი კაცი აჩინე, რომ ასე აღასრულოს.

ბეჭედი: ჭნარს მიცემს. დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ე რ ე კ ლ ე.

სხვა ხელით

ქ. ძმაო ქ ა ი ხ ო ს რ ო ტ უ ს ი ს შ ვ ი ლ ო, ეს ბატონის ბძანება შენ გაურიგე. აპრილის **დ,** ქორონიკონს **უო.** ხელრთვა: გ ა რ ს ე ვ ა ნ.

## 32. არზა ლიპოაშვილის ქვრივ-ობლისა მამულის თაობაზე ანტონ II-ის ოქმით

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1790 წ. 18 აპრილი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3152. დედანი. ქაღალდი. 22,2×11,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი ხაზით (:—).

ქ. ღმერთმან მის უწმიდესობის საქართველოს პატრიარხის მეფის ძის უფალის ანტონის ჰირი მოსცეს სვეტისცხოვლის შეწირულის ყმას ახალქალაქელს ლიპოაშვილის ქვრივს და ობოლს.

ჩვენო მოწყალევ, ჩვენი პატრონი თქვენის ჰირის სანაცვლოდ რომ შეიქნა, ქვრივ-ობლები დავრჩით მწარედ შესაბრალისი. რომელიც სვეტისცხოვლის წყალობა იმის შეწირული ან მამული და ან სახლ-კარი გვქონდა, თარხანიანთ და კიდევ სხვებს დაუზავთებიათ. და ეს თქვენი ყმის ობოლი ასე ყელგადაგდებული დარჩომილა. სიგელიც გვიახლებია, გასინჯეთ და ამ თქვენის ყმის ობოლს სამართალი აღირსეთ. აპრილის **ე**, ქორონიკონს **უოჱ**.

თავში

ქ. სალთხუცის შვილო მაღალაძე დავით! ამ არზის პატრონს რომ ასე მოუხსენებია, შენ ამის საქმეზე უნდა გაისარჯო და ვისაც ამისი მამული ქონდეს, უნდა გამოურთო და ამას მოაბარო.

და თუ სიტყვა ჰქონდესთ რამე, ჩვენ მოგვახსენონ. სახლის ადგილიც დაანებებინე, რომ ააშენოს. აპრილის **იჱ**, წელსა **ჩლჯ**.

ხელრთვა: კათალიკ'ოზი.

## 33. არზა დავით მოლარეთხუცისა ყმა-მამულის თაობაზე მდივანბეგთა ოქმით

**1790 წ. 24 აპრილი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 33. საბუთი № 27. პირი. ქაღალდი. მხედრული. აგრეთვე საბუთი № 28.

[19v] ღმერთმან საქართველოჲსა მსაჯულთ ბატონი მდივანბეგებისა ჰირი მოსცეს მოლარეთხუცეს[ს] დავითსა.

მერე რომელიც თქვენგან გასამართლებული ბძანება მომეცა ხიმშიაშვილისა და ჩვენის სადაოსი, ასე რომ ორს წლამდის

თუ იმას ჩემი მოსაცემი სრულათ თეთრი ებო[ძ]ა და მოეცა, ორის წლის იმ თეთრის სარგებელი აღარ უნდა მეთხოა და იმის მოცემ[20]ულს ყმებს კი ჩემთვის უნდა ემსახურათ ვადამდის და ვადაზე სრულათ თეთრი რომ თავისის ანგარიშით მომცემოდა, იმისგან მოცემულ მამულთან და ყმებთან საქმე აღარა მექნებოდა რა.

ახლა იმ ვადაზე რამდენიმე თვეც გასულა მეტი, რომ თეთრის მოცემა ვეღარ შეიძლო. ახლა თქვენის სიმართლით დარჩა, რომ ორის წლის ამ თეთრის სარგებელი მაბლალი იქნება, არც სარგებლის პატრონი შევიქენ და არც იმისგან მოცემული ყმები მიმსახურებია.

ახლა ამ წყალობას ვითხოვ, რადგან თქვენის სამართლით ორ წლამდის ჩვენი სადაო საქმე დამდგარიყო, ერთის ბეჯითის იასაულის წყალობა მიბოძოთ, ხელმეორეთ მე მომაბარონ როგორც მჭეროდეს მამულიც და ყმებიც. და იმ ყმებს რომ ორი წელიწადი მეტია, რომ ჩემთვის არ უმსახურიათ რა და მე მაბლალი თეთრის სარგებელი დამკლებია, ვის როგორც შეძლება ჰქონდეს, ამ ორის წლისა ისე მემსახურნენ. აპრილის **კ**, ქორონიკონს **უოწ**.

ის კაცნი თავ-თავის შაძლებით ამ ორის იასაულმა გამომირთოს.

თავში

საქართველოს მსაჯულთშეკრებილება მოგიწერთ მ ე ღ ვ ი ნ ე თ ხ უ ც ი შ ვ ი ლ ო თ ო მ ა ვ! მერე ამ სადაოსი ამის უწინარეს იასაული შენ იყავ და ახლაც შენა გწერთ. რადგან ამ განაჩენში ასე იყო განჩენილი: თუ ორს წლამდინ რ ა მ ა ზ ამას თავის თეთრს მისცემდა, უნდა მოლარეთხუცეს[ს] ყმა და მამული დაენებებინა, მაგრამ რამაზის ყმასა და მამულს უნდა ამისთვის ემსახურნა, რადგან სარგებელი მოუჭერით.

ამ ორის წლის ვადაც გასულია და იმ განჩინებისაებრ უნდა აღსრულდეს. და ამ ორს წელიწადში იმ კაცებს რომ ამ მოლარეთხუცის დავითისთვის არ უმსახურიათ თავისის შეძლებით, უნდა ამ ორის წლის სამსახური ახლავ თავ-თავის შეძლებით გამოართო და მოლარეთხუცეს დავითს და ამის ძმებს მოსცე. და ამას აქეთ ბატონყმურის სამსახურით უნდა ემსახურნენ. აპრილის **კდ**, ქორონიკონს **უოწ**.

ახლა ეს ასე აღასრულე. მეცხრე კომლი რომ მ ა ც ა ც ა შ ვ ი ლ ი ა, რამაზასაგან მოსყიდული საცა იდგეს, აუყარე და მოაბარე ამ მოლარეთხუცეს დავითს.

ამ მსაჯულთ წერილს ჩვენც ასე ვამტკიცებთ. თომავ! ასევე არა-
სრულე. აპრილის კზ, ქორონიკონს უოჩ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## 34. არზა პაატა თოფჩიბაშისა მამულის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1790 წ. 9 მაისი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 662. დედანი. ქაღალდი. 32×13,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია მძიმე.

ქ. ღმერთმან მოწყალის ჯელმწიფის ძის გიორგის ჭირი მოსცეს თოფჩიბაშს პაატას.

მერმე ამას მოვახსენებ მათს უგანათლებულესობას: ქორონიკონს უჲზ, ამ წელს აიდემურს ნუკრიანში თქვენთვის არზი მოერთმევინა და მოეხსენებინა, რომ ჩემი მამული თოფჩიბაშის კაცმა წამართვაო. ეს ასრე არის ჩემო ჯელმწიფევ, რომ ამ ოცდახუთს წელიწადს უწინ ჩემს კაცსა და იმის კაცს მამულები გაეცვალათ და იმ აიდემურ[ი]ს კაცს ერთი უხმარი ალაგი რიყიანი მოეცა და ამ ჩემს კაცს ერთი სასახლე ხეხილიანი და ერთი იმოდენი მიწაც სხვა მიეცა. იმისგან მოცემული ალაგი ასეთი უხმარი იყო, რომ იმ კაცს ის გაცვლილი მიწა თხუთმეტ მინალთუნათ მიეცა სხვისათვისა და გამოუყენებელი რომ ყოფილიყო, ისევ შეშლოდნენ და აღარ ენდომებინათ.

ადგნენ ამ ჩემმა კაცებმა — ხუთმა სულმა, ეს ოცდახუთი წელიწადი არის, რომ თავეთი სისხლი შიგ ჩაღვარეს, დაუწყეს შენება და უცხოს მამულად გააკეთეს, ვენაჯებად გააკეთეს და სახლიც შიგ უდგათ, რომ დღეს ორას თუმნადა ღირს. ამ მამულის ამბავი ასრე არის ჩემო ჯელმწიფევ.

და თქვენ რომ იქ ნუკრიანში ოქმი გებოძათ აიდემურისათვის, რომ თქვენთვის ყალათათ გაეშინჯებინა, ის ოქმი იმასვე აქვს და გევედრებით, რომ ან ის ოქმი ჩამოართოთ, რადგან ტყუილად მოგახსენათ და ან ერთი სხვა ოქმი იმ თქვენის ოქმის გამბათილებელი და წინა აღმდეგი ოქმი მიბოძოთ, რომ შემდგომადაცა იმ ოქმის ძალით ლაპარ[აკი აღ]არსად დაიწყოს.

ვედრებით ვითხოვ ამის აღსრულებას უგანათლებულესო ჯელმწიფის ძეო, რომ[ელი]ც ის მამული მამის თქვენის სამართლით და ჩვეყნის სამართლით და განაჩენით ის მამული მევე დამნებდა, რომ იმას საქმე აღარა ჰქონდა რა და ტყუილად მედავებოდა. და გევედ-

რები რომ ერთი ოქმი ამ არზაზედ მიბოძოთ და მეორეც ამ თანა-ვე ოქმი სხვა მე მიბოძოთ, რომ ამ ჩემს კაცს მივსცემ, თავისთვის ჰქონდეს და მეორეს აქ მე შევინახავ, რომლისათვისცა ფრიად მად-ლობელი და თაყვანისმცემელი გახლდები. მაისის **ჱ**, ქორონიკონს **უოჱ**.

თავში

ქ. ბატონო ეშიკაღაბაშო ა ი დ ე მ უ რ! მერე[1] თოფჩიბაში ამას რომ ასე სწერს, ორი თვე ვადა არის, თუ რამ სიტყვა გექნება, თუ ამ ორის თვის გასვლამდინ მოიტან, ხომ ის არის, თუ არადა, ჩვენი ოქმი დაყენებული იქნება, რომ ერთ ფულათ აღარ ეღირება. ასე უნდა იცოდე. მაისის **თ**, ქორონიკონს **უოჱ**.

თუ არ მოხვედით და არ ილაპარაკეთ სამართალშია და ის ოქმი არ მოი[ტა]ნეთ არაფერი გამოსაყენებელი არა იქნება რა შენის კა-ცისათვის. ამ ორ თვეს უკან ის ჩვენგან მოცემული ოქმი დაგვიყე-ნებია. გიორგი

ეშიკაღაბაშო აიდემურ! თოფჩიბაში კიდევ ამას ამბობს, რომ მი-სის სიმაღლის ბატონის ბრძანებითაო და მდივანბეგების სამართლი-თაო გადაწყვეტილი არისო, ის ადგილიო ამ ჩვენს კაცს დარჩაო; ეს ჩვენ ხომ არ ვიცით. თუ ეს მართალი არის, ეგ ჩვენი ოქმი და წიგნი რაღას გარგებს, აქ უნდა მოგვიტანო.

თუ კიდევ ასე არ არის, ეს ორი თვე ვადა მოგვიცია, თუ რამ სიტყვა გაქვს და მოხვალ ელაპარაკები, ხომ ის არის. თუ არა, ეგ ჩვენი ოქმი ჩვენვე დაგვიყენებია და შენ აღარას გამოგადგება. და ეგ მამულიც ამ თოფჩიბაშის კაცისა არის და იქნება.

თუ კიდევ ბატონისაგან გადაწყვეტილია და მაინც კიდევ სიტყვა აღარა გექნება რა, ჩვენი წიგნი ახლავ მოგვიტანე. გიორგი

## 35. არზა ლევან აბაზაძისა სამართლის მიცემაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

**1790 წ. 24 მაისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1221. დედანი. ქაღალდი. 19,7×15,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფე დედოფლის ჭირი მოსცეს მათს მონას ა ბ ა ზ ა ძ ე ლ ე ვ ა ნ ს.

[1] +ამ.

მერე ამას მოვახსენებ მათს სიმაღლეს: მურვანის შვილი და გვრიტი მამასახლისი რომ ჩიოდენ და მურვანისშვილს ფიცი დაედვა, რომ გვრიტისათვის უნდა შე[ე]ფიცნა ერთის კაცის ბეჭე-ზე, კაცი მურვანისშვილის ნათლია არის, იმ ჩემის კაცისაგან ბეჭე-ზე მურვანისშვილს გული ეჯერებინა და ფიცში მიეყოლებინა და ისე დაეფიცნა. და გვრიტი მურვანისშვილს დარჩა, რომ განაჩენიც ხელთ უჭირავს.

იმ ფიცს უკან იმ ჩემს კაცს ცოლი მოუკვდა, დიაღ, სწრაფად და შვილი და ძმისწული. ყოველი კაცი ამას მეუბნება: ფიცმა უწიაო. ის გვრიტი ისევ ბატონმა გამოართვა და განაჩენი ისევ მურვანს აქვს. ერთი კომლი კაცი ამამიწყდა.

**ჩემო ხემწიფე**, ერთი ბიჭი დამრჩომია. წყალობას ვითხოვ, რომ ის განაჩენი გამოერთვას და ჩემს კაცს ფიცი აუხსნას, რომ ერთი ოჯახი არ ამოწყდეს. და თუ სიტყვა რამ ჭონდეს, თქვენ მოგახსენოს. ჩემო ხემწიფე[1], ამისი სამართალი მაღირსეთ, რომ ეს ერთი ბიჭი მაინც არ ამომიწყდეს. ღმერთი გაგიმარჯვებს. მაისის **კბ**, ქორონიკონს **უოჩ**.

თავში

დედოფალი დარეჯან გიბძანებ სურამის მოურაო ფავლენიშვილო ბერო! ამ არზით აბაზაძეს ასე რომ მოუხსენებია, თუ მართლა ასე არის, ეს მეტად უსამართლობა მამხდარა, მურვანიშვილს ის კაცი ჩამორთმევია და სახასოთ შექნილა, და განაჩენი იმასვე აქვს. ის განაჩენი ახლავ უნდა [გ]ამოართო და ჩვენთან [უნ]და მოიტანო, არც გამოურთმევლობა იქნება.

და თუ მურვანიშვილს ერთი რამ სიტყვა ჰქონდეს[2], ახლავ ჩვენს აქ ყოფნაში მოვიდეს და მოგვახსენოს. მაისის **კდ**, ქორონიკონს **უოჩ**.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

## 36. არზა პაპუნა მარიამიშვილისა მამულის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

**1790 წ. 24 მაისი**

ცსსა. ფონდი 1449. საბუთი № 957. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფე დედოფლის ჰირი მოსცეს მათ ყმას გორში მოსახლე თქვენგან ჯაფა გაწევით ნაშოვნს მარიამისშვილს პაპუნას.

---

[1] სემწიფე.

[2] +რამ.

ჩემო ჴელმწიფევ, გორს რომ გიახელ, ღმერთმან თქვენი მოწყა-ლება ნუ მოაკლოს თ ა ყ ი ნ ა შ ვ ი ლ ს ზ ა [ა] ლ ს ა, ბეითალმანი იპოვნა თქვენის ყმის და მოგართვათ, რომ მრავალნი [illegible] მიზეზით ჩამოემტრნენ და წა[ა]ხდინეს. მე იმ ადგილზედ [illegible] გავწმინდე, კლდე გამოვკაფე და ერთი სახლი ავაშენე ჩემის ხარჯით. ახლა მუდამ მე მემუქრებიან და გამოგდებას მიპირობენ.

ამ მოწყალებას ვითხოვ: ყმა თქვენი ვარ და ბეითალმანი თქვენი ყმისა არის და ამდენი დანახარჯი მაქვს. მე შეძლება არა მაქვს, რომ ან თქვენ მოგართვათ ფეშქაში და ან თქვენს მოხელეებსა. ნულარავის შემახვეწებ, იმ მცირე ადგილის წყალობა მიყავით და სამუდამოთ მიმსახურეთ. მაისის კდ, ქორონიკონს უოჱ.

თავში

ქ. დედოფალი დარეჯან გიბრძანებ ამ არზის პატრონო! შენ რომ ეს ადგილი გითხოვნია, შენგან აშენებულიც არის, შენც ჩვენი ყმა ხარ, ეგ ადგილიც ჩვენი ყმის ბეითალმანი ყოფილა, შენთვის გვიბო-ძებია. მაგის მცილე ვერავინ გეყოლება.

გორის მამასახლისო, შენც ასე იცოდე. მაისის კდ, ქორონი-კონს უოჱ.

ბეჭედი: დ ე დ ო ფ ა ლ ი დ ა რ ე ჯ ა ნ.

## 37. არზა დეკანოზ ბართლომესი მორიგის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1790 წ. 26 მაისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 664. დედანი. ქაღალდი. 21,5×11,3 სმ. მხედ-რული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჴელმწიფის ჭირი მარადის თქვენს მლოცველს გორიჯვრის დეკანოზს ბ ა რ თ ლ ო მ ე ს მოსცეს.

ჩემო ხემწიფევ, თქვენის ბძანებით მორიგიდამ ორი კაცი გორი-ჯვრის ციხეში იდგა. ახლა ლაშკარნივისებს სანი უნახავთ, ნაკლებში დაუწერიათ ეს ორი კაცი. იმისი შენახვა საჭიროც არის და ქვეყნი-საც შესამატია და ამისი შენახვა თქვენგანაც წყალობათ სჭირდა.

ახლა ნება თქვენის უმაღლესობისა ასრულდეს. მაისის კდ, ქო-რონიკონს უოჱ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ლაშქარნივისებრ! გორიჯვრის ყმა რაც მორიგეთა სწერია, გორიჯვარში უნდა იდგნენ. ამათ ნაკლები ნუ დასწერთ. მაისის **კვ**, ქორონიკონს **უოწ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს. დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 38. არზა იასე გასიტაშვილისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1790 წ. 26 მაისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1502. კრებული. საბ. № 32. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[19]. ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი თქვენგან შეწირულს რუისის მღთეების ყმას გასიტაშვილს იასეს მოსცეს.

ამას მოვახსენებ: რადგან რომ ამ ეკლესიას შემწირეთ, ამ წყალობას ვითხოვ: საციციანო მოხელეებს ჩემთან ხარჯი სათხოვნელათ ჯელი არა ჰქონდესთ, რისაც შემძლებელი ვარ, ეკლესიის საყმოში ვემსახურები.

მეორე ესე, რომ: ჩემგან აშენებული ვენახი მეჭირა, რომ წრეულობით არა წამართვან რა და შემოდგომას იქით მე შიგ აღარ გავივლი.

ამის ოქმის წყალობა ტეტია კალატოზისშვილზე მიყავით, რომ წინამძღვრიშვილმა წუხება არა დამაწყებინოს რა და ჩემი თავი ეკლესიას არ დაუკარგოს. უნდა თქვენს სადღეგრძელოთ ეკლესიის კარზედ გახლდეთ. მაისის **კდ**, ქორონიკონს **უოწ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის, რომელიც ზაქარია ციციშვილის ყმისა და მამულისა აზნაურშვილები და მოხელენი იმყოფებით, ამ გასიტაშვილთან თქვენ საქმე არა გაქვთ რა. ხარჯიც ეკლესიის ყმებთან უნდა აძლიოს და რადგან უმამულოდ შევსწირეთ ეკლესიასა, წელს კი თავისი შემუშავებული ვენახი უნდა მოისთლოს და შემოდგომაზე კი უნდა აიყაროს და ეკლესიის მამულში დასახლდეს და თავის მამულზე ჯელი აიღოს. მაისის **კვ**, ქორონიკონს **უოწ**.

მე შემიწირავს და ვეღარ გამოვსწირავ. ერეკლე

## 39. არზა გორელი მეწისქვილეებისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

ეროვნული ბიბლიოთეკა

1790 წ. 29 მაისი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3018. დედანი. ქაღალდი. 20×9 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი წისქვილის პატრონებს[1] გორელებს მოსცეს.

ამას მოვახსენებ ჩვენს მოწყალეს: ერთს თვალს წისქვილზე ხუთი კოდი პური გიბძანებია. ჩვენ რასაც გემსახურებით, ჩვენის მამულიდამ გემსახურებით. თარხანი არ გახლავართ. რაც გორზე თქვენი ბძანება სამსახური მოდის, უკლებრივ გახლავართ. ხუთი წელიწადია ვენახი და სხვა მამული, რომ ჩვენი აღარ არის, ჯარისაგან წახდება. თითო თვალი წისქვილი დაგვრჩომია, თქვენს სამსახურს ამით ვწევთ. ამას გარდა, რაც თქვენი სამსახური და ბძანება გამოდის, ჩვენს მეზობლებთან უკლებლათ გახლავართ.

ღმერთი გაგიმარჯვებს, სხვა შეწუხებას დაგვაჯერეთ. ამის წყალობა გვაღირსეთ, რომ არ გამოგერთვას. მაისის კჱ, ქორონიკონს უოჱ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის, ვინც ამათი მოასილი ხარ! წისქვილის პატრონებს დაეხსენ. ვისაც წისქვილებში საფქვა[ვ]ები ჰქონდესთ, იმას გამოართვით და, როგორც ფასობს, იმ ფას[ს] მიეცემთ. მაისის კთ, ქორონიკონს უოჱ.

ქ. ფქვილი გამოართვით და ფასი მიეცემათ. რა ერთიც აწერიათ, იმდენი გამოართვით, მეტს ნუ სთხოვთ. ყველამ მეტ-ნაკლებობით გაიყონ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს. დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

---

[1] პატნორებს.

## 40. არზა ერეკლე ფალავანდიშვილისა ყმის თაოგაზე ერეკლე II-ის ოქმით

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1790 წ. 29 მაისი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 31. საბუთი № 44. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[21] ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი ფალავანდისშვილს ერეკლეს მოსცეს.

მერე ამას მოვახსენებ, ჩემო ჯელმწიფევ, ჩემი მოხსენება და ვედრება ეს არის. თითო-ოროლა კაცები მყავს აქა-იქ დაფანტული. ერთი კომლი ფარქოსაძე საერისთოში თავის მოყვრებში არის. ამტენი თქვენი წყალობა იყოს და იასაული მებოძოს, რომ ამიყაროს და მე მომაბაროს ჩემი კაცები. ღმერთი გაგიმარჯვებს. მაისის **კმ**, ქორონიკონს **უომ**.

თავში

ჩვენი ბძანება არის დავითიშვილო ასლამაზ! მერე ამ ფალავანდისშვილის ერეკლეს ყმა საცა იყოს ან მეკომურე და ან ობოლი იყოს, ყველა აუყარე და მოაბარე, რომ აუყრელობა არას საქმით არ იქნება. მაისის **კთ**, ქორონიკონს **უომ**.

თუ სიტყვა ჰქონდეს ვისმე, მოგვახსენოს, მაგრამ თუ გამტყუნდა, უფრო ავი იქნება.

## 41. არზა მაია ქვრივისა ყმა-მამულის თაოგაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

**1790 წ. 31 მაისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 6740. დედანი. ქაღალდი. 21,7×16,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან სრულიად საქართველოს დედოფლის ჰირი მოსცეს ნაზირის იოვანეს და მაიას ქვრივს და ოჯერს უმოწყალეოს.

ღმერთი თქვენს ჯელმწიფობას უმეტესად განაძლიერებს. ჩემს არზას ყური მოუგდევით, ჩემი ვედრება და მოკსენება ეს არის, თუმცა საჩივარი ბევრი მაქვს, მარამ მოკლეთ მოგხსენდესთ: მათი უმაღლესობა ბატონი რომ აქ ბძანდებოდა, მაშინ ჩემი საჩივარი სრულებით მოვახსენე, წყალობა მიყო, ოქმი მიბოძა. ჩემმა მაწლებმა არაფერი არა მამცეს რა. არცარა კაცნი დამნებდა, რომელიც რომ ჯემწიფისაგან მებოძა. ასე უმოწყალოთ ვარ. მრავალი ქვრივი თავისის

ყმითა და მამულით რჩომილა. მეც ჩემის ქრმის წილი ყმა და მამული მებოძოს რომ იმან დამარჩინოს.

თქვენის ყმის ვალი რაც დარჩა, მოვალეები სულ [illegible] მე უშა-წუხებენ მე საიდამ მივსცე; ან ჩემი ყმა და მამული დამწყდეს, რომ იმან გარდასწყვიტოს. მე ჩემი თავი ვერ მირჩენია.

მოწყალებას ვითხოვ, ამისი პასუხი მებოძოს. მწარეთ უმოწყალეო გლახაკი გახლავარ. თქვენს მეტი კი ჩემი მოწყალე არავინ არის. მაისის კდ, ქორონიკონს უოჱ.

თავში:

ქ. დედოფალი დარეჯან გიბძანებ თუმანიშვილო ნიკოლოზ! შენს რძალს ეს არზა ასე რომ მოუცია, ჩვენ ამას გწერთ, რომ რადგან ამგვარად ჩივის, სულხან მდივნის მოსვლამდინ შენ უნდა კარგად თვალყური მიაპყრო, გააძლებინო და თავისი წილი ყმა და მამული უნდა მოხმარდეს და იმან არჩინოს. ამისი შენახვა ერთი საჭირო არა არის რა, თავისის წილის ყმისა და მამულიდამ არჩინე. და ღმრთითით როდესაც სულხან მდივანი მოვა, მასუკან სხვ[ა] გზით სამართალი მიეცემა. და იმის მოსვლამდინ შენ უნდა ამრიგად შეინახო. მაისის ლა, ქორონიკონს უოჱ.

ქ. ღმერთის გულისათვის ნუღარ აჩივლებ, კარგად ყური მიუგდე და შენის შეძლებით გააძლებინე.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

## 42. არზა ელიზბარ დავითიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1790 წ. 5 ივნისი**

საქართველოს სიძველენი. ტ. II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, 1910 წ. გვ. 499. საბუთი № 471.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჴელმწიფის ჭირი ელისაბარ დავითიშვილს მოსცეს!

ჩემო ჴელმწიფევ, ჩემს სახლიკაცს ზა[ა]ლს ეჩივლა, შემოდგომაზე ოქმები აელო ამილახვარზე. თუ ჩემთან საბუთი აქვს რამე, ეს ექვსი თვე არის, ჯერ არ გამოუჩენია ამას. მის მიზეზი იყო, თქვენ რომ აქ მოსაბძანებელი იყავით, ამიტომ ესეც პასუხს მომცემსო. ახლა თუ ერთი თქვენი ბძანება არა დამიგდევით რა, ახლა მოვა, ყმას და მამულს სულ ამიკლებს. ამდენი თქვენი მოწყალეობა იყოს, სანამ ერთად ვილაპარაკებდეთ, დადგეს. ერთი ოქმი მეც მიბოძეთ, რომ ყმა

და მამული არ შემიწუხოს. არაფერი საშური არა აქვს რა. ივნის 8, ქორონიკონს **უოჱ**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავში

ქ. ბატონო ამილახვარო ოთარ! ამ არზით ელისბარ დავითიშვილი რომ ესე ჩივის ზაალ დავითიშვილისათვის, ჩვენ თუ ოქმი მიგვცეს რამე, დააყენე, ჩვენთან მოიტანონ და ჩვენთან ილაპარაკონ. მთიბათვის ე, ქორონიკონს **უოჱ**.

ქ. სულ ყველანი ერთიანად უნდა მოიყვანო ესენი და ამათი ყმები და თავიანთ უჯათებიც[1] მოიტანონ, და ღვთით ჩვენ გავასწორებთ. განაჩენები ჰქონდესთ, თუ ოქმი, ყველა ჩვენთან მოიტანონ და ჩვენ გავარჩევთ. ერეკლე

## 43. არზა დავით მაყაშვილისა ყმის თაობაზე იულონ გაბონიშვილის ოქმით

**1790 წ. 19 ივნისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 676. დედანი. ქაღალდი. 21×10,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ძის იულონის ჭირი მოსცეს მათს ფერჯთა მიწა-მტვერს მაყაშვილს დათუას.

მერე ამას მოვახსენებ მოწყალე ჯელმწიფეს: თქვენგან მოწყალება ოქმი მებოძა ჩემის ყმის თათრის აყრისა მალხაზე და ვერ მოიცალა.

ამ მოწყალებას გეედრები, რო[მ] ალიაღაზე ერთი ოქმი მებოძოს, რო[მ] ჩემი დამანებოს. თქვენის შვილების სადღეგრძელოდ, ნიადაგ თქვენი მოწყალება ჩვენს ოჯახზე უკლებელი არის და ყოფილა.

ამის მოწყალებასაც გევედრები, რომ ეგება ჩემი ცოდვილი თავი უკლებელი იყოს თქვენს წინაშე. და რაც მეგულება, ღმერთმან ისე აღმასრულებინოს. ერთი ბიჭი გახლავს, ჩემი ცხენის მომ[ვ]ლელი ის არის. და ოქმის წყალობა მოიღევით, თქვენს გასამარჯვებლად. ივანობისთვის **იჱ**, ქორონიკონს **უოჱ**.

[1] ოჯათებიც.

თავში

ქ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ი უ ლ ო ნ გიბძანებ ქ ა ფ ა ნ ა ქ ჩ ი ა ლ ი ა ღ ა ვ! მერე ამ დ ა ვ ი თ მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი ს ა [illegible] კაცი მოსულა მანდ შენთან. ეგ კაცი ამისი არის, ახლავ აუყარე და ამ მაყაშვილს მოეც. და თუ სხვა საბუთი ჰქონდეს რამე, ჩვენ მოგვახსენე. ღვინობისთვის **ით**, ქორონიკონს **უოჱ**.

ბეჭედი: ტომ-სქესით არ ნაკლისაგან ი უ ლ ო ნ ირაკლისაგან.

## 44. არზა მაყაშვილებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1790 წ. 23 ივნისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 686. დედანი. ქაღალდი. 22,2×13 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჴელმწიფის ჭირი მოსცეს ერთობლივ მ ა ყ ა შ ვ ი ლ ე ბ ს.

მერე თქვენი წყალობა გვჭირს და მ ა რ ი ა მ ჯ ვ ა რ ი გვიჭირავს და რა თქვენგან გვბოძებია, სულ შემოფარგვლით გვიჭირავს და ღალასაც ნიადაგ ვიღებთ. და შარშან გხლებიან გიორგი წმინდელები და მოუხსენებიათ: აქამდის მაყა[ა]ნთი არ არისო; და ჩვენგან აღებული ღალა აუღიათ და სულ წაუღიათ თორმეტი ხარვარი.

ჩვენ ამდენის დარბაისელთაგან მოცემული განაჩენი ხელთ გვიჭირავს და სანატრელის ცხებულის მეფის ბატონის მამის თქვენისა და თქვენის უმაღლესობისაგან დამტკიცებული გვაქვს; და იმისი მიჯნები თითვეულად გარჩევით სწერია. და ჩვენ მაგ წიგნს გარეთ სხვას მეტს მამულს იმათ არას ვეცილებით. და ახლა ისინი სულ ერთიან გვეცილებიან და გვართმევენ. და ეს წიგნიც მანდ მოგვირთმევია. და თქვენმა უმაღლესობამ გაშინჯოს და ისე სამართლის წყალობა დაგვემართოს. თქვენი წყალობა არის და ნება თქვენია. ივნისის **კა**, ქორონიკონს **უოჱ**.

თავში

ქ. ეშიკაღასბაშო გ ა რ ს ე ვ ა ნ! ამ არზის პატრონებს განაჩენი აქვსთ სანატრელის მამის ჩვენისაგან დამტკიცებული, რომ იმ განაჩენის ძალით გიორგიწმინდელთ საქმე არა აქვსთ რა. თუ იმ განაჩენის თარიღს შემდგომი იმისი გასამტყუნებელი წიგნი და მეფეთაგან ბოძებული განაჩენი არა აქვს, რომელიც მამული ამ მაყაშვილების განაჩენით შემოფარგლული არის, ამაში გიორგიწმინდელთ საქმე

არა აქვსთ რა, მაყაშვილებს უნდა დანებდეს. როგორც მოგვწერია, ასე აღასრულე. ივნისის **კგ**, ქორონიკონს **უოჱ**.

თუ ამათს განაჩენს შემდგომად დაწერილია, როგორც გვწერია, ამათი გასამტყუნებელი წიგნი აქვსთ, მოგვიტანონ და ვიყაბულებთ. თუ არა, დაეხსნან.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 45. არზა ფარსადან ნაზარაშვილისა ყმობის თაობაზე გიორგი გაბონიშვილის ოქმით

**1790 წ. 24 ივნისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 444. დედანი. ქაღალდი. 20×15 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ღმერთმან ბედნიერის მეფის ძის გიორგის ჭირი მოსცეს ბეცია თარხნიშვილის ყმას ნაზარაშვილს ფარსადა[ნ]სა.

მერე ჩემო მოწყალეო, საგარეჯოს აღებ-მიცემაზე გახლავარ და ბატონს ჩემსაც იმითი ვემსახურები და ჩემს ხიზა[ნ]საც იმითი ვარჩენ, თითო-[ო]როლს ქოშსა ეკერავ.

და ამ მოწყალებას გევედრებით, რომ ანი იოაკიმ წინამძღვარსა და ანი ჯამასპი მოურავს მიმაბაროთ, რომა უბრალოთ არავინ არ გამგლიჯოს და ანი არავინ დამჯაბროს, თქვენად სადღეგრძელოდ და თქვენად შვილების სამლოცველოდ. თიბათვის **კბ**, ქორონიკონს **უოჱ**.

თავში

ქ. უფალო არხიმანდრიტო იოაკიმ! მერე ამ არზის პატრონი თქვენთვის მოგვიბარებია; ამაზედ კარგათ თვალყური დაიჭირეთ და ამას ხარჯსა, ბეგარაში ნურვის გა[ა]რევინებთ და ნურც არავის რაზედ შეაწუხებინებთ. კარგად თვალყური მიუგდევით და გააძლებინეთ. ივნისის **კდ**, ქორონიკონს **უოჱ**. გიორგი

## 46. არზა ქრისტეს საფლავის ყმის ზაქარიასი გაჭის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1790 წ. 15 ივლისი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 38. საბუთი № 228. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[**169**] ღმერთმან ბედნიერი ჯემწიფე დედოფლის ჰირი მოსცეს დირბელი [ქ]რისტე[ს] საფლავის ყმას ზ ა ქ ა რ ი ა ს ა. ჩემო მოწ[ყალევ], თქვენს უმაღლესობასაც მოეხსენება, რ[ომ ქრისტეს] საფლავის ყმასა ბაჟი არსად არ [გამოერ]თმევა და თქვენის დოვლათითა კიდე სად ვაძლევთ[1], მაგრამ იმერეთში ბაჟს ყოველს[2] ალაგს იღებენ და გზაზედ გაგვრჯიან[3].

ამ წყალობას ვითხოვთ, რომ ერთი წიგნის წყალობა გვიყოთ, რომე, როგორც [არსად] და არასდროს არ გამოგვრთმევია, ასე ახლა არავი[ნ] რაზედ შეგვაღონონ. მე ერთი გლახა კაცი გახლავარ. ჩემი ბაჟი რა გახდება, მაგრამა, რადგან უდებს საქმეს გვიშვრებიან, ამაზედ მოგახსენეთ: მკათათვის **ზ**, ქორონიკონს **უოჩ**.

თავში

[**168v**] დ ე დ ო ფ [ა ლ] დ ა რ ე ჯ ა ნ ი ს [მარ]ად სიკეთით [სახ]ოვარო ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ო ბ ე ჟ ა ნ, ჩვენ მიერ მოკითხვა გეუწყოს. მერმე ამ არზის პატრონს [ქრისტე]ს საფლავის ყმას ასე რომ მოუხსენებია, ამაზედ ჩვენს შვილიშვილს, მის უმაღლესობის მ ე ფ ე ს ს ო ლ ო მ ო ნ ს ა ც წიგნი მოვართვით და შენც ამას საქმეზედ ჩვენს შვილიშვილთან უნდა დაეხმარო და მაგარი ოქმი უნდა გაურიგო, რომ რადგანც ქრისტეს საფლავის ყმა არის, ამას ბაჟი არ ეთხოება; არც ჩვენს ქვეყანაში ეთხოებათ და არც იმერეთში. როგორც შენგან ვიცოდეთ, ამაზედ იმრიგათ ბეჭითათ უნდა მოიქცე და გაურიგო, რომ რადგან ამ არზის პატრონი ქრისტეს საფლავის ყმა არის, მაგის სადღეგრძელო საქმე იქნება. ივლისის **იე**, ქორონიკონს **უოჩ**.

---

[1] ვალძლევთ. [2] მლიას. [3]+ვალიმე.

## 47. არზა გასპარა შაროას შვილისა გამოსაღების თაობაზე ალექსანდრე ბატონიშვილის ოქმით

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1790 წ. 23 ივლისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 5259. დედანი. ქაღალდი. 22×11,5 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ წერტილი, ორწერტილი ან სამწერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ძის ალექსანდრეს ჰირი მოსცეს ქის[ი]ყის იჯარადარს შაროას შვილს გასპარას.

ჩვენო მოწყალევ, მოგეხსენებათ, ჩემი იჯარა გადაწყვეტილი მაქვს. იმთავათ დახარჯული არის მოხელ[ე]ბის მარიფათითა და ბატონის მუფაზაც ხელში მიჭირამს. ამისი საბაბობაზე მაბლალი ვალი დამედო, რომ იმ თავათ დახარჯეს.

ახლა ბებურისშვილისთვის ერთი თუმნის ბარათი გიბოძებიათ. თავიც რომ გამაგდებინო, მე იმისი მიცემა არ შემიძლია. ნეტაი იმთენი აუვიდე, რომ ეს ჩემს ვალებს მოვრჩე[1]. თქვენის ხათრითა ბატონს არ შევატყობინე, ბატონის ოქმიცა მაქვს და ბძანებაცა.

ღმერთი გადღეგრძელებს, ერთი ოქმის წყალობა მაღირსე, რომ ჩემზე ხელი აიღოს, ჩემი ზარალიც[2] თქვენია, ვიცი რომ ჩვენი მოწყალე ბძანდებით. [მ]კათათვის კგ, ქორონიკონს უოწ.

თავში

ქ. ეშ[ი]კაღ[ა]თბაშო ბებურისშვილო გარსევან! მერე შენ რომ ამას წინათ ბეჭდის იჯარადარს შარუაშვილს გასპარაზედ ერთი თუმნის ბარათი რომ გიბოძეთ, და ახლა ასე შევიტყევით, რომ აღარა დარჩომილა რა ამ შარუას შვილზედ და სულ დაუხარჯამთ. და შენ ხელი აიღე ნუღარ შეაწუხებ. და მაგის სანუქაფოს მოგცემთ საითმე. და ვისაც სხვას ქონდესთ ბარათი ჩვენი ნაბოძები, იმათაც ხელი აიღონ. [მ]კათათვის კგ, ქორონიკონს უოწ. ალექსანდრე

---

1 მოვარჩე. 2 ზარარიც.

## 48. არზა სოლომონ გეგურიშვილისა მამულის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1790 წ. 26 ივლისი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1157. დედანი. ქაღალდი 21,2×14,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. მარცხენა კიდე ალაგ-ალაგ ამოხეულია.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის დედოფლის ჭირი ბებურისშვილის ომანის შვილს მოსცეს.

მერმე ამას მოვახსენებთ მათ სიმაღლეს: ეს ოცი წელიწადია, მეტიც, რომ მამაჩემი და ბიძაჩემი ბებურ გაიყარნენ, უყო ჩხუბი ბებურისშვილმა ნინიამ და ავად მოეპყრა. იმაზედ გახდა ავად და თქვენი ჭირის სანაცვლო შეიქნა. მასუკან დავრჩით სამი ობოლი, არც გამოუშვა თვე და არც კვირა, რომ ჩხუბი და შფოთი არ გვექნა. ახლა ორი ძმა მყვანდა, თქვენი ჭირის სანაცვლო შეიქნენ. დავრჩი ერთი მეღა.

ღმერთი თქვენს ჯელმწიფობას უმეტესად აღამაღლებს, უსამართლოდ ჩემს თავს ნუ მ[ო]აკვლევინებთ. ამ თვის ოცს [მ]ღვდელი გამოეგზავნა და შემოეთვალა: მომერიდეო, საცა მე ვიყოვო, შენ იქ ნურსად გაივლიო. დავიწყე ს[ია]რ[ულ]ი და მოველ ში[ნ] და გახლდი. შუალამისას გვეძინა, მომეპარა თოფით [დ]ა სი[კვ]დილს მიპირებდა. შეუტყევით და ღმერთმა და თქვენმა დოვლათმა მე მომცა იმის თავი სასიკვდილოთ, მაგრამ არ მოვკალ.

ამას გევედრები, რო[მ] თუ დამნაშავე გახლავარ და ავი კაცი, თქვენ გადამახდევინეთ. ჩემი დამნაშავე თავი თქვენ წინ მომიტანია, და თქვენ როგორც გენებოსთ, ისე გადამახდევინეთ, თუ დანაშაული მჭონდეს.

ერთი საცოდავი და უძლური დედა მყავს, მუდამ იმას ელდით და ჯავრით სული არ უდგას. მე იქ აღარ მედვომილება იმის გადამკიდე. ყმა და მამული თქვენთვის [მო]მირთმევია; გ[ე]ნებოსთ იმას უბოძეთ და თუ გენებოსთ, თქვე[ნ] მი[ი]რთვით.

გევედრები, [ე]რთი საქოხე [ად]გილი მიბოძოთ, რომ ერთი უძლური დედა მყავს თქვე[ნ]ის [დ]ოვლათით [გადავარ]ჩინო, რომ ერთი ოჯახიდამ მეღა დავრჩომილვარ, რომ ან სულით არ დავიკარგო და ან ხორცით. ივლისის **კე**, ქორონიკონს **უოჱ**.

თავში

ქ. დედოფლის დარეჯანის სიკეთით სახსოვარო დავით სალთხუცესო, ყორიასაულბაშო ლუარსაბ, გავაზის

მოურაო რევაზ, გიორგი ბებურიშვილო! შერე ბებურ და იმის ძმისწული ომანის შვილი სოლომან სასახლეზე, რომ ჩხუბობენ და ლაპარაკო[ბენ] უნდა თქ[ვე]ნ მიხვიდეთ და გაურჩიო[თ] და გაუმი[ჯნო]თ.

თუ [თ]ქვენს სამართალს არ დასჯერდნენ, [ჩვენ]ს სამართალში უნდა გამოგზავნოთ. მაგრამ ბებურიშვილის ნინიას ჩხუბი გვესმის თავის სახლისკაც სოლომონ[ს] თურმე ეჩხუბება, თუ არ დაიშალა და ჩვენს სამართლამდინ არ დააცალა, იცოდეს, რომ არ შევარჩენთ. ივლისის კვ, ქორონიკონს უოჩ.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

## 49. არზა გლახა ცაბაძისა სამართლის მიცემაზე იულოს ბატონიშვილის ოქმით

**1790 წ. 31 ივლისი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1842. დედანი. 21,5×16,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ჩვენთვის მრავლად მოწყალის მეფის ძის იულონის ჭირი მოსცეს ხერხეულიძე ომან ლაშქარნივისის ყმას ცაბაძე გლახას.

მერე ამას მოვახსენებთ: ერთი ჩემი სიძე ჩემთან იდგა. ბატონის ჩვენის მამულზე და საბძელზე ჩხუბი გამოგვერია. ხელი მოვახვედრე და ცხვირი გაუტყდა. წავიდა, ამილახვართან მიჩივლა. გამოესია ამილახვარს კაცი დირბის დეკანოზიშვილი კიკოლა; ერთი ჯარი მყუანდა და წამართვეს და შვიდი აბაზი თეთრი. ჩაველ, ამილახვართან ვიჩივლე და ეს პასუხი მამცა: თავი გაგიტეხიაო და იმაში წაგართვიო. ექვსი შაური კი მოაცემინა; ჯარი და ხუთი აბაზი კი წამართვეს.

ამისთანას დროს გამოვარდი მარტოკა, მსხალტბას ლეკები[1] დამხვდნენ, კინაღამ დავიკარგე და აქედანაც არ ვიცი, მოვაწევ თუ არა.

ერთი ასეთი ოქმი მიბოძეთ, რომ ჩემი ჯარი მამცენ. ღმერთი გაგიმარჯვებთ, ასეთი ოქმი მიბოძეთ, რომ მეორეთ აღარ გამომაბრუნოს.

---

[1] + ლეკები.

სწორეთ რომ თავი გამეტეხა, მაინც რა საქმე აქვს ჩემთან ამი-
ლახვარს რომ ჯარი წამართვას. [მ]კათათვის **ლ**, ქორონიკონს **უოჱ**.

ერეკლეანელი
ბიბლიოთეკა

თავში

ბატონო ამილახვარო ოთარ, მერე ამ არზის პატრონი ამ არზით ასე რომ ჩივის, ამას თავისი ხარი ისევ უნდა მიაცემინო. საბრალო კაცი არის. თუ გიყვარდე, ამ კაცს თავისი გაურიგებინე და მოაცემინე. ეხლაც კინაღამ არ დაკარგულა გზაზედ. ივლისის **ლა**, ქორონიკონს **უოჱ**.

არც სამართალია მაგ ხარის გამორთმევა, ვის რა საქმე აქვს.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

## 50. არზა ზაალ დავითიშვილისა ყმა-მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1790 წ. 8 აგვისტო**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 554. დედანი. ქაღალდი. 21,7×16 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მათს მონას დავითიშვილს ზაალს მოსცეს.

მერე ამას მოვახსენებ ბედნიერს ხელმწიფეს. უმაღლესობას მოეხსენება ზარდიაშვილი ჩემი ყმა არის, მაგრამ მძლავრობით წართმეული მყამს. თქვენთვინ მრავალჯერ მიწყენია თავი, ოქმები მაქვს, სამართალს გიბოძებო.

ახლა, ჩემო ხემწიფევ, საერისთოდამ მამულსა და ყმას მეცილება, თუ ზარდიაშვილი წამერთმევა. ყმასა და მამულს ხომ ვერ გავატან თანა.

ამდენი თქვენი მოწყალება დამემართოს: სამართლამდინ ყმა და მამული მე დამნებდეს და როსცა თქვენს წინ სამართალში გავიაროთ, თუ გამამტყუნოს, დიდათ ჯარიმით გარდამახდევინე და ერთი იმდონი იმისთვინ მიმაცემინე. ამისთანა ღვთის რისხვა როგორ იქნება ჩემ[მ]ა აზნაურიშვილმა თავიც წამართვას, სხვას ქვეყანას იყოს და იქიდამ ყმას და მამულს მედავებოდეს. ეს თქვენს დროში არ მომხდარა, ასე ყმა თავის ბატონს მორეოდეს და ნურც მე მამრემ ჩემს ყმასა, მიშველე რამე, ღმერთი გაგიმარჯვებს. ამ ყოფას სიკვდილი მირჩევნია, სხვა ქვეყნიდამ ჩემი ყმა მამიხდეს, ავათაც მამეპყრას და ყმასაც და მამულსაც მართმევდეს. ორი კვამლი ჯოხაძე არის თავისის მამუ-

ლით თიხრეველი და[1] თქვენს მოწყალებას ვევედრები: სამართლამდინ ეს ჩემი სამკვიდრო ყმა და მამული მე დამნებდეს, ჩემი მიცემულია, იმას ხომ თან არ მოყოლია და რათგან სამართალში თავსაც წამართმევს და ყმას და მამულსაცა, ჩემი თავი თქვენის [illegible]ცვლო იყოს. ღმერთი გაგიმარჯვებს, ამისი წყალობა მიყავით. აგვისტოს ე, ქორონიკონს უოჱ.

თავში

ქ. ბატონო ამილახვარო ოთარ! ეს ზაალ რომ ასე ჩივის იმ ზარდიაშვილს თუ ან ჩვენი და ან მდი[ვ]ანბეგების განაჩენი არა ჰქონდეს რა, ხომ რასაც ყმასა და მამულს ამ ზაალს ედავებოდეს, ის ყმა და მამული ამ ზაალს დაანებე სამართლამდის. და მასუკან სამართალი თუ მისცემს იმ ზარდიაშვილს, მაშინ მიეცემა. და თუ განაჩენი აქვს რამე იმ ზარდიაშვილს, ხომ ჩვენ რა ვქნათ; თუ სამართლით განაჩენი მისცემია და იმ განაჩენის ძალით ედავება და ის მოგვახსენოს.

და თუ განაჩენი არა ჰქონდეს რა[2], ის ყმა-მამულები ახლავ ამ ზაალს დაანებე. ზარდიაშვილი ვინღაც არის, მაგას რათ მერჩივება, რომ ამგვარებს იწერება. ზაალს ზარდიაშვილი რათ უნდა მერჩიოს. აგვისტოს ჱ, ქორონიკონს უოჱ.

რასაც ყმასა და მამულს უგანაჩენოთ და უსაბუთოთ ედავებოდეს, ის ყმა და მამული ახლავ ამ ზაალს უნდა დაანებო, მანამ სამართალშიდ გაივლიდნენ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 51. არზა ზაალ დავითიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1790 წ. 8 აგვისტო**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 8066. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჭირი მათ მონას დავითიშვილს ზაალს მოსცეს.

მერე ამას მოვახსენებ ბედნიერს ხემწიფეს: უმაღლესობისაგან ბატიშვილის წყალობა დამემართა. ის ჩემ ბიძაშვილს ყამს.

---

[1]+ მამული. [2]+ და.

გ ო რ ს რომ ბრძანდებოდით, არზიც მოგართვით და თქვენი წყალობის სიგელიცა და იმ არზით თვითეულათ მოგახსენე როგორც იყო. ამილახვარზე ოქმი მებოძა: როგორც გვიბოძებია და განგვიწესებია, ისე აღასრულეო; და თუ რამ ერთმანეთში სალაპარაკო ქონდეს, ისიც გა[ა]სწორეო.

ამილახვარმა თაღაფული კრა, ზოგი ჯარიანობის მიზეზით, ზოგი მოუცლელობით და ჩვენ ერთმანეთში შფოთი მოგვივა.

წყალობას ვითხომ, ღმერთი გაგიმარჯვებს, ერთი ოქმი მიბოძეთ ამილახვარზე, როგორც ბძანებული იყოს, გამირიგოს და ერთმანეთს მოგვაშოროს მშვიდობიანათ. აგვისტოს ვ, ქორონიკონს ჳოწ.

თავში

ქ. ბატონო ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ო ო თ ა რ, ამ არზით რომ ეს ზაალ ასე ჩივის, ამ საქმეზედ როგორც ჩვენი ან განაჩენი იყო ან ჩვენი ნაბოძები სიგელი და ოქმი აცხადებდეს, ისე გაარიგე ეს საქმე. და ამ ზაალს მოაბარე.

და თუ ამ საქმეზედ ან განაჩენი და სიგელი არა იყოს რა, ეცადე რომ სამართლიანის საქმით შენ მოარიგო. და თუ შენ ვერ მოარიგო, ორნივ ჩვენთან გამოგზავნე. აგვისტოს ჱ, ქორონიკონს ჳოწ.

ქ. მაგრამ თუ ან განაჩენი იყოს და ან ჩვენგან ბოძებული სიგელი ჰქონდეს ზაალს, სწორედ იმაზედ დააყენე, როგორც ის აცხადებდეს. იმას ნურც მოუმატებ და ნურც დააკლებ. ერეკლე

## 52. არზა გოგიასი გამოსალების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1790 წ. 22 აგვისტო

ცსსა. ფონდი 1448. საბ. № 422. დედანი. მარჯვენა კიდე მოხეულია. ქაღალდი 21×11,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰ[ირი]...* შ ვ ი ლ ს გ ო გ ი ა ს მამცეს.

მერე ამას მოვახსენებთ: ერთი დედმა[მა მიტოვე]ბული მარტოხელი გახლავარ. ყოვე[ლ უპატრონოზ]ედ და სნეულზედ თქვენი მოწყალება გა[მოღებუ]ლია და მეც უმოწყალეოთ და უნუგეშო[დ ნუ] დამაგდეთ. ჩემო ჯელმწიფევ, ერთი სნეული გახლავარ, რომ მიჭირ-

* აკლია რამდენიმე ასო.

დეს, მღვდლის დამამძახებელს ვერ ვიშოვნი, ასეთი უპატრონო და უნუგეშო ვარ.

ჩემო მოწყალევ, ახალდაბას ერთი კომლი ღარიბი გლეხი მყავს და იმის სახლიდამ ერთი მე მახლდა აქამდისინ და ამ[ე]ლევებს და ჩემგან, რომ იმის ხლების სამაგიეროს იმის ოჯახს ან სითარხნით და ან სხვაფრივ შევმატებდი რასმე. მაგრამ მე რომ დავსნეულდი, ისიც ჩემს თავს მოვანდომე და ჩემი შეძლებაცა. ახლა ადგა და ისევ გამექცა. ჩემი გამამძლებინებელი და თითო-ოროლა კოდის სულადის მამცემიც ის გლეხი გახლავთ. ახლა ის მსახურიც წამოვიდა და მე ავანტყოფი მარტო დავრჩი.

თქვენის შვილების სადღეგრძელოთ ამ ერთის კომლის გლეხის თავ[ი] თავს შემოივლეთ და მოხელე[ე]ბს უბძანეთ, დავთრიდამ ამოუშვან. მუდამ სნეული გახლავარ და ერთი მომლელი მეჭირება. თუ თქვენის დოვლათით კარგათ ვიქნები, მეცა და ჩემი კაციც თქვენს სამსახურში გახლდებით. თქვენ მზეს ვფიცამ, რომ დღესაც ეჭიმი მადგია და მწამლოფს. ღმერთი გადღეგრძელებთ, უნუგეშოს ნუ დამაგდეფთ. მოგეხსენება ახალდაბა რამტელჯერ...*

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ჩვენო მოხელეებო! მერმე ამ არზის პატრონის ერთი კომლი კაცი ოთხს წელიწადს გაგვიაზატებია, ნუღარა შეაწუხებთ. და ვინცავინ მოასილნი მიხვიდეთ...*

ოთხს წელიწადს უკან კიდევ მოგვახსენე და პასუხი მოგეცემა. აგვისტოს კბ, ქორონიკონს უოჩ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 53. არზა მანუჩარ ლაშქარნივისისა გამოსალეგის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1790 წ. 3 სექტემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 169. დედანი. ქაღალდი. 19,5×10,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია თითო წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი ლაშქარნივისს მანუჩარს მამცეს.

მერე რა მდივანი თქვენს სამსახურზე გაგისტუმრებიათ, ბევრი რიგი მწუხარება მამდგომია და დღესაც დიდს მწუხარებაშ[ი] გახლავარ, მაგრამ თქვენთვის თავი არ მიწყენია.

---

* აკლია რამდენიმე სიტყვა.

5. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII

ოცდაცამეტი სული შესანახავი გვყავ, ამათ სასმელ-საჭმელი და ტანთსაცმელი მცირე არ ეყოფათ. ასრეთვე თორმეტს პირუტყვს ცხენსა და ჯორს ვინახავთ. ამათს ხარჯს, თქვენის წყალობით, ორნი ძმანი რის ღონისძიებით ავდიოდით; ახლა მარტოკა მე რით შემძლებელი ვარ, რომ ამათ ხარჯი მე შემეძლოს?

დღეში რვა ლიტრა ფქვილი და რვა ლიტრა ქერი გვინდება და ჩვენს სახელზე ერთის დღის მიწა არ მოიხვნება და ამთენის პურისას და ქერისას სულ სყიდვით გახლავართ.

რაც თქვენი ბედნიერი თვალი მე და ჩემს ძმისწულს არა გვხედავთ ტანთ ჩაცმულს, სხვანი ვინცა ვინ გვყვანან, თითქმის სულ შიშველნი გახლავან და იქაური მდივნის ცხოვრებაც ხომ მოგეხსენებათ.

თქვენ მუდამ ამ მოწყალების ჩვეულება გავქსთ, რომ, რომელიც კაცი თქვენსა და ქვეყნის სამსახურზე გაგისტუმრებიათ, იმისი გლეხნი თქვენის და ქვეყნის სათხოვრიდამ გითარხნებიათ და თავისი ბატონი გაუძლებინებიათ.

მეც ამ წყალობას ვითხოვ, რომ მდივნის ხლებამდინ, ის მოწყალებაც ინებოთ და წრევანდელი ჩვენის გლეხების სურსათი ამთენის სულის გამოსაზრდელათ გებოძოთ, რომ სხვა ილაჯი არსით გვაქვს. მარიამობის კგ, ქორონიკონს უოჱ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის: ვინცა ვინ წრევანდელის სურსათის მოსილნი იყვნეთ, მერე რაც სულხან მდივნის ყმას ჩვენის მოხელეებისაგან სურსათი შესწერებოდეს, სულ სულხან მდივნის და მანუჩარ მდივნისათვის გვიბოძებია, თქვენ კი ჯელი აიღევით და ამათ გამოართვან თავიანთთვინ. ენკენისთვის გ, ქორონიკონს უოჱ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 54. არზა მანუჩარ ლაშქარნივისისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1790 წ. 22 სექტემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14878. დედანი. ქაღალდი. 21×11,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მათს მონას ლაშქარნივისს მანუჩარს მამცეს.

მე ამას წინათ ჩემის სახლისკაცის საჩივარი რომ მოგახსენე, თქვენის მოუცლელობისაგან სამართალი არ მომეცა. მე რაც იმისგან უსამართლო მჭირდეს, ღმერთმან თავისი მოწყალება ისე შემკულ და იმას ჩემგან რაც უსამართლობა სჭირდეს, ღმერთმან თავისი მოწყალება იმას ისე მისცეს.

ეს უსამართლო თქვენს საბძანებელში არავის დამართვია, რომ მე დამემართა. გაუყოფელს მამულებს მიყიდოს და ან მსყიდავი რომლის სამართლით სყიდულობს, მაგრამ ხედვენ, რომ სამართალი ვერ ვიშოვე და ამისთვის მოქმედობენ.

მე ამ მოწყალებას ვითხოვ, რომ თქვენმა ღმრთის-მოყვარეობამ ასე შემიბრალოს, რომ ამ უსამართლოს საქმის მიხედვით მე მოუთმენლობისაგან ერთი განსაცდელი არ მამაყენოს, თორემ მოსამართლეთ მერე სამართლის მოცემა დაუმძიმდებათ. მე ამას სამართლით ვითხოვ, რომ ოქმი მებოძოს, ვენახი და ვენახის გამოსავალი მე დამჭნებდეს, მსყიდავმა თავისი თეთრი მიმსყიდავს გამოართოს და მერე ჩემი სახლისკაცი სამართალში მელაპარაკოს. თუ ასე არ ინებებთ, ჩვენში შფოთი მოხდება და წყალობას ვითხოვ, რომ შფოთისაგან გამომიხსნათ. ენკენისთვის **იგ**, ქორონიკონს **უოჱ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის იასაულო...* მერე მანუჩარ ლაშქარნივისის სახლისკაცს რ უ ი ს ს რომ ვენახი გაუყიდნია, მანამ არ გაიყრებიან, მანამდის არცერთის მამულის გასყიდვა არ შეუძლიანთ. და ვინც იყიდოს, იმისი ნასყიდობაც ცუდი იქნება. ახლავ ის ვენახიც და იმისი გამოსავალიც მანუჩარს მოაბარე. მსყიდავმა თავისი პასუხი ვისთვისაც თეთრი მიეცეს, იმას გამოართოს.

და თუ ამის სახლისკაცს სიტყვა ჰქონდეს რამე, ჩვენ მოგვახსენოს. ს უ ლ ხ ა ნ მ დ ი ვ ნ ი ს მოსულამდინ რაც ერთმანერთში სალაპარაკო ექნებათ, იმაში ჩვენ გავასწორებთ. და როდესაც სულხან მდივანი მოვა, მაშინ გაყრისა თითონ იციან. უიმისოთ არც გაყრა იქნება და არც გაუყოფარის მამულის გასყიდვა. სექდემბრის **კბ**, ქორონიკონს **უოჱ**.

ქ. იასაულმა ამ მამულის გამოსავალი ერთს ალაგს უნდა ჩაასხას, დაბეჭდოს სამართლამდინ და მერე სამართალმა იცის. თუ გასაყოფი იქნება[1], მასუკან უნდა გაიყონ. თუ არადა, ვისაც სამართალი მისცეს. იმას უნდა მიეცეს.

---

[1] + იქნება.

* დატოვებულია ცარიელი ადგილი სახელისა და გვარის ჩასაწერად.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 55. არზა ბერო კილარიძისა გამოსალეგის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1790 წ. 24 სექტემბერი

ცსსა. ფონდი 1449. საბუთი № 355. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს რაჭიდამ გადმოსულს ზაქარია[ს] შვილს კილარიძეს ბეროს.

ჩემს ქვეყანაში აზნაურშვილი გახლდი. ახლა თქვენს საფარველს მოვაშურე და შალვაურში ვსახლობვარ. ახლა გლეხკაცთან ბეგარასა და გასაღებში მრევენ. გევედრები, ღმერთი გაგიმარჯვებს, რომ ჩემი აზნაურიშვილობა არ ამოიხოცოს და გლეხკაცურად ბეგარასა და გასაღებში არ ვერიო. რაც სამსახური აზნაურიშვილისა იყოს, იმ სამსახურით მიმსახუროთ. სეკდემბრის კე, ქორონიკონს უოწ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის მოლარეთხუცესო და შალვაურის მოურაო დავით! ამ არზის პატრონს ასე რომ მოუხსენებია, ამ აზნაურს გლეხის კაცის ხარჯსა და გამოსაღებში ნუ გარევ. როგორც აზნაურიშვილს ეთხოებოდეს რამე, ესეც ისე გაიღებს. მეტს ნურაზედ შეაწუხებ. სეკდენბრის კდ, ქორონიკონს უოწ.

თუ სიტყვა ვისმე ჰქონდეს, ჩვენ მოგვახსენოს. ერეკლე

ქ. ჩვენ, მეფის ძე იულონ, ამ ბატონის მამის ჩვენის ბრძანებას ვამტკიცებ. სეკდენბრის კვ, ქორონიკონს უოწ.

## 56. არზა ელენე ბებურიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1790 წ. 8 ოქტომბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 221. დედანი. ქაღალდი. 28,3×18. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოველად მოწყალის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს მათს მლოცველსა ომან ბებურისშვილის ქვრივსა და ობოლს ელენეს და სოლომანს.

მერე ამას მოვახსენებთ ქვრივისა და ობლის მოწყალეს ჯემწიფეს. ჩემო ჯემწიფევ! ამთენი ხანია, რომ შფოთსა და მწუხარებაში გახლავართ, ასე შენი ჭირიმე რომ, რომელიც რომ ბარათიდან მამული მომცემია, მამული წართმეული მაქუს და კაცი მე მიჭირავს.

მეორე ეს, კიდევ კაცი წართმეული მყავს ჩემის მაზლისაგან და მამული მეკე მაქვს.

ერთს კიდევ სხვა ჩემს ბარათში ნარგებს კაცს მამული წაართო და თითონ დაკრიფა.

ამას გარდა საერთო ეკლესია გვაქვს და არც იმაში გვიდებს წილსა. შემოსილი მღვდელი გამოგვიგდო საყდრიდამ.

ამას გარდა, სადაც ან ბეითალმანი მამული და ან მამა-პაპის ხოდაბუნია, შიგ არ გაგვატარ[ა], მუდამ ამაზე შფოთი და ცემა და კაცის კულა არის.

ღმერთი გაგიმა[რ]ჯვებს ბედნიარო ჯემწიფევ, ამას გეეედრები, რომ ამისი სამართალი გვაღირსოთ. ერთი ობოლი დამრჩომია, ან არავინ მოკლას და ან არავის შეაკუდეს. ჩუენს სიმართლესა და სიმტყუნეს ბარათები აცხადებს. ოკდონბრის **ც**, ქორონიკონს **უო[ც]**.

თავში

ქ. უფალნო კახეთის მსაჯულნო ქ ა ი ხ ო ს რ ო, ბ ე ჟ ა ნ და ო ტ ი ა ვ! ამ არზით ბებურიშვილი ომანის ქვრი[ვი] და ობოლი რომ ასე ჩივიან, თქვენ ჩადით კ ა რ დ ა ნ ა ხ ს, ამ ბებურიანთ ნათესავნი და მოყვარენი — ყველანი თქვენთან დაისწარით, ამათი სადაო მამულები ყველა გაშინჯეთ, ალაპარაკეთ და ღმრთის წინაშე რასაც მიხვდეთ, ჭეშმარიტი სამართალი მიეცით. და რაც თქვენ ვერ [გა]დასწყვიტოთ, ის ჩვენზე მოაგდევით. ქალაქს ჩამოვიდნენ და იმის სა[მა]რთალს ჩვენ უსჯით. ოკდომბერს **ც**, ქორონიკონს **უოც**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ე რ ე კ ლ ე.

## 57. არზა იასე საყვარელიძისა მამულის თაობაზე ვახტანგ ბატონიშვილის ოქმით

**1790 წ. 16 ოქტომბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 5280. დედანი. ქაღალდი. 32×14,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი. ა-მეტ-ნაკლული.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალე ხ ე ლ მ წ ი ფ ი ს ძ ი ს ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ჰირი ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი ძ ე ს ი ა ს ე ს მოსცეს.

ამას მოვახსენებთ: ჩემო ხემწიფევ, მოგეხსენებათ ოთხის ძმის პატრონი გახლდი და ყველა თქვენს სამსახურში დამეხოცნენ. ახლა მე დავრჩომილვარ ერთი შეუძლებელი ბერი კაცი და ოფნი [illegible] ვაჟის პატრონი, რომ დიდებულს ხელმწიფეს თქვენთვინ უბოძები-ვართ. ჩემო ხელმწიფევ, ასე ნაილაჯი გახლავარ, რომ ერთი კვალი მამული არ მაქვს, რომ მოვახვნევინო ვისმე და თქვენი წვრილი მო-სამსახურო ყმაწვილები დავზარდო და თქვენი სამსახური შეიძლონ.

ჩემო ხემწიფევ, მოგეხსენებათ, რომ ფ ა ვ ლ ე ნ ი ა ნ თ ტ ბ ე თ ს რაც მამული მქონდა, იმაზე იფიცეს და ხელი ამაღებინეს. და ი ო რ-დ ა ნ ე ს შვილისა ნახევარ საკომბლო მქონდა და არავინ არ წამამდა-ვებია და არც ფიცში ჩაუტანებიათ და არას დროში არავინ მდავებია. და ახლა ჩემო ხემწიფევ, ნეტარხსენებულის ლ ე ვ ა ნ ი ს ხელში არა-ვის უდავნია. და ახლა ეს ნახევარ საკომბლო ბ ი ძ ი ნ ა ს შვილისა-გან მაქვს წართმეული. ა ვ თ ა ნ დ ი ლ ხ ე რ ხ ე უ ლ ი ძ ე ზ ე ოქმი მქონდა და ხელი ამაღებინა თავისი მოსვლითა.

ღმერთი გაგიმარჯვებსთ, ერთის ოქმის წყალობა მიყავით ავთან-დილ ხერხეულიძეზე, რომ ჩემი წართმეული მევე მამაბაროს, რომ თქვენი მამული არც თქვენთვის დამეკარგოს და არც ჩემთვინ. ღვთი-ნობისთვის **იდ**, ქორონიკონს **უოჱ**.

თავში

ქ. ხერხეულიძე ავთანდილ! ამ არზის პატრონისთვის რომ მამული წაგირთმევია, რომლისაც საბუთით ამას ფ ა ვ ლ ე ნ ი ს შ ვ ი ლ ი ბ ი-ძ ი ნ ა ედავება, სანამდის ისიც თავის საბუთს ჩვენთან გამოაცხადებ-დეს და იჩივლებდეს, მანამდის ეგ მამულიც ამ არზის პატრონსვე მოა-ბარე. და მა[თი] მიწებიდამ რაც ბარა აელოსთ, ისიც უკლებრად მოა-ბარე. ამისი გაურიგებლობა არ იქნება. და თუ მეტი საბუთი აქუს ვისმე და ჩვენთან ელაპარაკოს. ოკდომბერს **ივ**, ქორონიკონს **უოჱ**.

ბეჭედი: რტოდ ვარ დავითის მგელ-ლომად ვით ის, ვ ა ხ ტ ა ნ გ ვამტკიცებ მეფის ძეობით.

## 58. არზა ერეკლე ფალავანდიშვილისა ყმის თაოგაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1790 წ. 16 ოქტომბერი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 31. საბუთი № 36. პირი. ქაღალდი. მხედ-რული.

**[15v]** ღმერთმან ბედნიერის ჴელმწიფის ჭირი მოსცეს ფ ა ლ ა-ვ ა ნ დ ი ს შ ვ ი ლ ს ე რ ე კ ლ ე ს.

მერე ამას მოგახსენებ რომ ჩემს აზნაურშვილს თავისი კაცები ზედგინიძისათვის დაუგირაოებია.

ამ მოწყალებას ვითხოვ, რომ ერთი ოქმის და იასაულის წაყვანება მიყავით, რომ ის კაცები როგორც არიან გირაოთ, [16] ის მიმაცემინოს და ის კაცები მე დამანებოს. ღმერთი გაგიმარჯვებს.

თავში

ჩვენი ბრძანება არის ხერხეულიძე დავით! მერე ამ არზის პატრონს რომ ასე მოუხსენებია, ამის აზნაურშვილებს რომელიც თავისი კაცნი ზედგინიძისთვის დაეგირავებინოს, თავისი გირაოს თეთრი ამ არზის პატრონს გამოართვას და თავისის აზნაურიშვილის ყმანი დაახსნევინოს.

და თუ ჭეშმარიტი საბუთი და სიტყვა ჰქონდეს ზედგინიძეს, ჩვენ მოგვახსენოს. ოკდონბერს **ივ**, ქორონიკონს **უოჱ**.

## 59. არზა იოანე გერძნიშვილისა გოგოს თაობაზე ვახტანგ ბატონიშვილის ოქმით

**1790 წ. 18 ოქტომბერი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 52. საბუთი № 66. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[51v] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ძის ვახტანგის ჭირი მოსცეს მათს მონას ბერძნიშვილს იოანეს.

ამას მოვახსენებ. ერთმა კუდაროელმა ოსმა ყულბამ ერთი თავისი შვილი გოგო ჩამოიყვანა და მომყიდა. მეც იმ ჩემს უბედურს შვილს ტეტიას მოვანათვლინე და ქრისტიანათ მყვანდა და ჩემის შვილის მაგიერათ იმას უყურებდი. სამის წლისა ვიყიდე შვიდ თუმნათ და ახლა თექვსმეტის წლისა არის.

ახლა რომ თქვენ იმერეთს გამგზავნეთ, ჩამოსულიყვნენ იმ გოგოს მამა და იმისი ნათესავები. ერთს დღეს პური წაეღოთ და მეორე დღეს გოგო წაეყვანათ და მიფიარეთს ჰყავთ.

მერე თქვენგან ოქმი და იასული მებოძა, მომატყუეს — გოგოს მოგცემთო და აღარ მომცეს. გევედრები, მირზაშვილს თამა-

ზას და თედეულს გალეგას უბძანოთ და თავს დაადვათ[1] და ასანბეგს, რომ ამათ შეუძლიათ იმ გოგოს გამორთმევა და ამათ გამომირთონ.

ღმერთი[2] გაგიმარჯვებს, მე რომ ავი კაცი [ვ]იყო და თქვენ გაწუხებდეთ, ჩემის მიზეზით იმ ერთს ქრისტიანს სულს ღმერთს ნუ დაუკარგავთ. ოკდომბრის **ივ**, ქორონიკონს **უოჱ**.

თავში

ბატონისშვილი ვახტანგ გიბრძანებ მოურაო მირზა-შვილო თამაზ! მერე ამ არზის პატრონი რომ ასე ჩივის, შენ ახლავ წადი და ყულაბანს რომ ამ ნინიასათვის გოგო მოუყიდნია, შენ ის გოგო ახლავ ყივლას და ბაბათასთან მიდი და იმათ თუ ის გოგო ახლავ არ მოაყვანინე ჩვენთან, ჩვენს პირს ვეღარც შენ იხილავ და ვეღარც ისინი. ახლავ გაარიგე, თორემ დიდად გ[ი]წყენთ, შენც და იმათაც დიდად გადაგხდება. ოკდომბრის **იჱ**, ქორონიკონს **უოჱ**.

## 60. არზა იასე საყვარელიძისა მორიგის თაობაზე ვახტანგ ბატონიშვილის ოქმით

**1790 წ. 23 ოქტომბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3954. დედანი. ქაღალდი. 21×16 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი. ა-მეტი.

ქ. ღმერთმან ბედნიერ ხელმწიფის ძის ვახტანგის ჰირი საყვარელიძე იასეს მოსცეს.

ამას მოვახსენებთ: ჩვენო ხემწიფევ, ერთი შვილი უფრო[ს]ი, რომელიც მყვანდა, თქვენ მოგართვი და წვრილები დამრჩნენ საზრდელათა[3]. და ერთი ბერი კაცი ვარ, მორიგეში ვწერივარ და ამ მორიგეს გარდა რაც ჯარის ძახილი იქნება ხოლმე[4], ქარუმიძე ჩვენი მოურავია, მე რომ წასვლა არ შემიძლია, ეს ქარუმიძე ნაკლებში დამწერს ხოლმე[5].

ღმერთი გაგიმარჯვებსთ, ერთი ოქმის წყალობა მიყავით, რომ ვინც ჯარის იას[ა]ულნი იყვნენ, რომ ჩემგნით ხელთ აიღებდნენ. თქვე-

---

1 თავს დაადვათ] თავის დადვათ. 2 ღ~თნ.
3 სასდელათა. 4 ხავლმე. 5 ხვლმე.

ნის მეტი იმედი და მოწყალე არავინ არის ჩვენთვისა. ღვინობისთვის იც, ქორონიკონს უოც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავში

ქ. ამ არზის მომრთმევი ამ ხელად ჯარიდამ დაგვითხოვნია, რომელიც მოასილნი იყვნეთ, ნურას უსაყვედურებთ. ოქტომბრის კგ, ქორონიკონს უოც.

ბეჭედი: რტოდ ვარ დავითის, მგელ-ლომად ვით ის, ვახტანგ ვამტკიცებ მეფის ძეობით.

## 61. არზა იასე საყვარელიძისა თამასუქის თაობაზე ვახტანგ გაბონიშვილის ოქმით

**1790 წ. 23 ოქტომბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14646. დედანი. ქაღალდი. 21,5×12 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ძის ვახტანგის ჭირი საყვარელიძე იასეს მოსცეს.

ამას მოვახსენებთ: შერმაზანას შვილს ჩემი ერთის თუმანის თამასუქი აქვს და თავნი და სარგებელი მიმიბარებია ორი კოდი პური სარგებელში, თამასუქს მიხუთამს. სინემ ჩემი ძმები ცოცხალი იყვნენ, მანამდი იტყუებოდა: მოგცემო. ახლა ის ჩემი ძმები თქვენის ჭირის სანაცვლო შეიქნენ. ახლა ვთხოვ თამასუქსა და ასე მეუბნება: მთლივ გმართებსო. ასე ფიცი შემიძლია ორის კოდის პურის მეტი აღარა მემართოს რა ამ თამასუქისა.

ღმერთი გაგიმარჯვებსთ, ერთი ოქმის წყალობა მიყავით კონჭახაძე გაბრიელზე, ჩემი თამასუქი გამომირთვას. ღვინობისთვის იც, ქორონიკონს უოც.

თავში

ქ. ბატონისშვილი ვახტანგი გიბძანებთ კვანჭახაძე გაბრიელ! მერე ამ არზით რომ ეს ასე ჩივის, ამას თავისი თამასუქი ახლავ უნდა გამოურთო შერმაზანას შვილსა და პატრონს მოაბარო. ოკდომბრის კგ, ქორონიკონს უოც.

ბეჭედი: რტოდ ვარ დავითის, მგელ-ლომად ვით ის, ვახტანგ ვამტკიცებ მეფის ძეობით.

## 62. არზა ბაღნიაშვილისა ყმობის თაობაზე ვახტანგ ბატონიშვილის ოქმით

ერეკლეული ბიბლიოთეკა

**1790 წ. 23 ოქტომბერი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 31. საბუთი № 30. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[12] ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ძის ვახტანგის ჭირი მოსცეს თქვენს ყმას ბაღნიაშვილს.

მერე ამას მოვახსენებ. ყიზილბაშობას აქეთ თქვენს მამულში თქვენს ყმათ გახლავარ და ჩემი მოდავე არავინ ყოფილა. ახლა ერეკლე ფალავანდიშვილისათვის ვიღასაც უთქვამ[ს] — თქვენი არისო[1] ბაღნიაშვილიო[2] და ოქმი აუღია ასლამაზ დავითიშვილზედ და ახლა შინ მიდგია და მყრის.

ამას გევედრები, ერთი ოქმი მიბოძოთ, რომელმა ერეკლე ფალავანდიშვილს უთხრა — ბაღნიაშვილი შენი ყმა არისო, იმან ეკლესიაში დაიფიცოს, რომ მე ერეკლე ფალავანდიშვილის ყმა ვიყო და მას უკან ავიყრები. და თუ ვერ დაიფიცადა, თქვენი ყმა გახლავარ და ვიქნები. ღვინობისთვის კგ, ქორონიკონს უოჱ.

თავში

ბატონიშვილი ვახტანგ გიბძანებ დავითიშვილო ასლამაზ! მერმე ამ არზის პატრონი რომ ფალავანდიშვილს ასე უჩივის, ამას შენ ნუ აყრი, ამაზედ შენ ხელი აიღევ, სანამ ამ არზის პატრონი და ფალავანდიშვილი ჩვენს სამართალში ილაპარაკებდეს. ღვინობისთვის კგ, ქორონიკონს უოჱ.

## 63. არზა ამილბარ სალთხუცესისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1808. დედანი. ქაღალდი. 19,8×11 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს სალთხუცეს ამილბარს.

მერე ამას მოვახსენებ ჩვენს ჯელმწიფეს: თქვენის მოწყალებით

---

[1] ყარისო. [2] ღაღნიაშვილი.

რაღასაც კოშკს მოვუე და სიმაგრეს, რაც შვიდიოდ კომლი კაცი მყავს, ზამთარ და ზაფხულ მეტად ძალი დაემართათ იმისი მუშაობით.

ამ მოწყალებას ვთხოვთ: თქვენს სადღეგძელოთ წელიწადი შაღავათი დაემართოს. ღმერთი გაგიმარჯვებს, თუ ის სიმაგრე გაკეთდა, მგონია არც თქვენი დასაკლისი იყოს და ჩვენის ქვეყნისაც დიდი შესამატი იქნება. და თქვენის მოწყალებისაგან ასეთი იმედი მაქვს, რომ სხვარიგათაც შემეწევნეთ. ოკდონბერს კგ, ქორონიკონს უოწ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ყოველნო ჩვენნო მოხელენო და მოსაქმენო! მერე ამ არზის პატრონის კაცნი ერთს წელიწადს ყოვლისა სათხოვრისაგან განგვითავისუფლებია, ნურასფერს ნურასა სთხოვთ. და თუ წლეულ იმუშავა რამე და იმ კოშკს დაატყო რამე და დასჭირდა, მეორეს წელიწადსაც განვათავისუფლებთ. და თუ დასჭირდა კიდევ, მესამეს წელიწადსაც ასე უზამთ. და თუ წლეულობით არას იმუშავებს და არცარას დაატყობს, ერთის წლის მეტს ვერ ვაპატივებთ. ოკდომბრის კდ, ქორონიკონს უოწ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 64. არზა ზაალ დავითიშვილისა ყმის თაობაზე ვახტანგ გაბონიშვილის ოქმით

**1790 წ. 27 ოქტომბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14214. დედანი. ქაღალდი. 21×11,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. ა-მეტი.

ქ. ღმერთმან ჩემის მოწყალის ხემწიფის ძის ვახტანგის ჰირი დავითიშვილს ზაალს მოსცეს.

მერმე ამას მოვახსენებ: ჩემმა კაცმა ჭავჭავაძე გლახამ რომ მიჩივლა, ზა[ა]ლის ყმა არა ვარო, გერათ მოვყევ ჭავჭავაძესაო და ექვსი წელიწადის მეტი არ ვყოფილვარ ამის ყმათაო, თქვენმა წრფელმან[1] გონებამ ხომ მოიკითხა, თითონ იმასაც კითხეთ და მეც მოწამე მოგართვი, რომ ორმოცი წელიწადი ჩემთან არის. ამ ორმოცს წელში დაიკარგა, ტყეობიდამ მოვიდა და ჩემთან რომელსაც მამულზე ესახლა, იმავ მამულზე დასახლდა. ეს მოხსენებები იმისის პირისაგანაც მოგხსენდა და ჩემგანაცა. ასე ებძანა თქვენის მართალი მოსარჯულო-

[1] გწრფელამან.

ბისაგან: მაგ ხნის საქმეს ვერ მოვშლიო და ვერც გამოგართმევო, და თუ მის უმაღლესობასთან იჩივლებო, იმისი შენ იციო.

მეც ამას გეუბნები: როგორც ბძანეთ, ისე მებძანოს ამ არზაზე. თუ ერთი უჯათი არა მიჭირამს რა თქვენი. ღმერთთან ამრავლოს თქვენი ძმები და ძმისწულები, რომელსაც და[ა]ხელებს მივა და კიდევ თავის სიცრუეს მოახსენებს, ერთი ბეწვი რომ ეწყინოს რამე. და მის უმაღლესობას თუ მოახსენებს, იმისი მე ვიცი. და თქვენთან გავლილი საჩივარი კი წერილით ბძანეთ, ღმერთი გაგიმარჯვებ[ს]. ოკდომბერს **კდ**, ქორონიკონს **უოჩ**.

თავში

ქ. გლახა ჭავჭავაძე თავის ბატონს ზაალ დავითისშვილს ყმობაზე უჩიოდა. ჩვენთან ილაპარაკეს და ეს კაცი ამ ზაალს ვერ წავართვით, რადგან ამასთან დიდის ხნის მოსული იყო; და ვგონებთ, რომ ვერც მისის სიმაღლის სამართლით გაიტანოს თავი ამ კაცმა ზაალის ყმობიდამ. ოკდომბრის **კზ**, ქორონიკონს **უოჩ**.

ბეჭედი: რტოდ ვარ დავითის, მგელ-ლომად ვით ის, ვახტანგ ვამტკიცებ მეფის ძეობით.

## 65. არზა გვარამაძეებისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1790 წ. 30 ოქტომბერი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 32. საბუთი № 383. პირი. ქაღალდი. მხედრული.

**[213v]** ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯემწიფის ჰირი მოსცეს მათ მიწას გვარამაძე სოლომონსა და გრიგოლსა.

ამას მოვახსენებთ თქვენს ღვთის მოყვარებასა. ბადურის შვილმა გლახამა ჩვენი სამკვიდრო მამული გაგვიყიდა — ნახევარი ალექსანდრე სარდალს მიყიდა და ნახევარი ქალანთარსა. ჩვენი ყმებიც ქალანთარს მიგვიყიდა. ერთი ჩემი მემკვიდრე გლეხი ჯავახეთს **[214]** გარდავარდნილიყო მამესწრასშვილი. მასუკან ჯავახეთიდამ გადმოსულიყო და შინდის[ს] დავით მირზაშვილს მიკედლებოდა.

გლახა ციციშვილს შე[ე]ტყო, მისულიყო და ზედ მიეყიდნა. მასუკან ნეტარხსენებულს ბატონს შე[ე]ხვეწნენ მამაჩემი და

ბიძაჩემი — ყმა დაგვახსნევინოსო; ოქმი ებოძებინა, რომ: მორზაშვილო, დაახსნევინეო ყმა გლახასგან გაყიდული[ო]. ასე გვიყვნია სხვა იმათეული კაცი ხომ არა მყავს, მამული თქვენგან ბოძებული რომ [ს] მიჭირავს ათი დღის მიწა, თქვენი ოქმიცა გვაქვს [ს]აცა თქვენთან და არც თქვენს კაცთან ჩემს მეტს ხელი არავისა აქვსო. დღეს [ს]აცა დგეხარ, მანდავ იდეგო, მერე საცა ჩვენი ნება არის, იქ დაგაყენებთო.

ახლა უთქვენოს ბძანებოთ რამაზმა დამიჭირა, ხელები შემიკრა, თოფი და ხმალი წამართვა, თითონ ქვევით წავიდა, ჩემი კაცები გოგია ციციშვილისათვის დაუგირავებია[1]. გოგიამაც ასე მითხრა, რომ ორმოცი თუმანი მივეც შენს კაცებშიო. ჩვენ ასე გვითხრა: თუ თავს არ დამიკრაო, დაგიჭერთო და ახალგორს [v] ყარში ჩაგყრითო.

ჩემო ხემწიფევ, ყმა ხომ ნასყიდი გვყავს, მამული თქვენი გვიჭირავს, ბადურის შვილის ყმა და მამული რომ გოგიამ დაიგიროაოს, ჩვენთან რა საქმე აქვს ან ბადურის შვილსა და ან გოგიასა. თქვენს მეტს ჩვენთან ხელი არავისა აქვს. რათ უნდა, რომ კაცზედ ხელი აგვიმართო და ღმერთი გაგიმარჯვებს, სამართალი გვაღირსეთ. აღიწერა ღვინობისთვის კი, ქორონიკონს უოჩ.

თავში

[213] ჩვენი ბძანება არის გვარამაძე სოლომან და გრიგოლ! მერე ამ არზით ასე რომ მოგიხსენებიათ, ციციშვილმა გლახამ თქვენი მამულები და გლეხები ხომ სულ დაგიყიდათ და მერე ბატონის მამის ჩვენის ბძანებით და ჩვენის ბძანებით თქვენი ყმები თქვენვე დაიხსენით და ჩვენს სახასოს მამულზე დაგაყენეთ და [v] აქა დგეხართ, რომ ციციშვილის რამაზისა არცარა გეყვედრებათ რა და არცარა გიჭირავსთ რა. თქვენთან საბატონყმოთ ჩვენს მეტს არავის საქმე არა აქვს, არც ციციშვილებს და არც სხვათ.

როგორც დღეს აქნობამდინ თქვენი გლეხნი თქვენა გყოლიათ და ყოფილხართ და დღეის იქითაც თქვენი გლეხნი თქვენ უნდა გყვანდეთ. თქვენ თქვენის გლეხით ჩვენი ყმანი ხართ. და თუ რამაზ მოვა და თქვენ გამოისათ სიტყვა ექნება რამე, რამაზმა ჩვენ მოგვახსენოს და იმისი პასუხი ჩვენგან მიეცემა. ღვინობისთვის ლ, ქორონიკონს უოჩ.

---

[1] დაუგრება.

## 66. მოხსენება ქაიხოსრო და ოტია მდივანბეგებისა ერეკლე II-სადმი ბებურისა და ომანის შვილის მამულის თაობაზე

**1790 წ. 1 ნოემბერი**

ერისწულის ბიბლიოთეკა

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1846. დედანი. ქაღალდი. დაზიანებული. 28×15,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან მრავალმოწყალის, ბედნიერ[ი]ს ხემწიფის ჰ[ი]რი მათ მონას, მდიანბეგს [ქ ა] ი ხ ო ს რ ო ს და ო ტ ი ა ს მოსცეს. მა[თს] უმაღლესობას ბედნიერს კალ[თ]ას კოცნას გაუბედავთ.

მერე ამას მოგახსენებთ, ჩვენ კ ა რ დ ა ნ ე ხ ს გიახელით ბ ე ბ უ რ ი ს ა და ო მ ა ნ ი ს შვილის მამულის გასარჩევლათ.

თქვენის ბძანებით ვ ა ჩ ნ ა ძ ი ა ნ ი სულ ერთათ შემოვკრიბეთ. დიდათ ვეცადენით ბებურისა და ომანის შვილის მამულის გარჩევას და დაზავებასა, მოვიღალენით. არ იქნა ჩვენგან ამათი გარიგება და გარჩევა. ბევრს ვეცადენით, ჩვენი სიტყვა ვერ შევასმინეთ.

თქვენი ბძანებაც ასე იყო: თუ თქვენ ვერ გა[ა]რიგოთო, მაღალს კარს გამოგზავნეთო. ბძანება თქვენი აღსრულდეს. გიორგობის თვეს **ა, ქორონიკონს უოჱ.**

ამათს ამბავს დ ი მ ი ტ რ ი გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი მოგახსენებს, იასაულიც ეს იყო.

ორი ბეჭედი
1. ქ ა ი ხ ო ს რ ო
2. მონა ღვთისა ო ტ ი ა.

## 67. არზა სნეული ქალისა გამოსალების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1790 წ. 8 ნოემბერი**

ცსსა. პ. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ს პირადი ფონდი № 1461. რვეული № 3. საბუთი № 114. პირი. ქაღალდი. მხედრული. დაზიანებული.

[49v] ქ. ღმერთმან ჩვენის მოწყალ[ის ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს მათს მონას]... შვილ[ს]...

ჩემო მოწყალ[ევ, ისე ღმერთმან თქვენი ორგ]ული შეაწუხოს, როგორც მე ვწუხვარ ძუძუების ტკივილით. მრავალი ექიმი მოიღალა და ვერა მარგეს რა. საექიმოს თეთრის მიცემით დავიღალებით. იმ საექიმოს მიცემაც აღარ შემიძლიან.

წყალობას ვითხოვ: ხუთი თუმანი აწერია ჩვენს საყმოს და იასტრული აწუხებს[1]. ეს ხუთი თუმანი მე მებოძოს, რომ ექიმებს მივცე. თუ არა, ჩემო მოწყალევ, მოხსენება ნუ გეწყინებათ.

ერისეული
ბიბლიოთეკა

თავში

ქ. [ჩვენი] ბძანება [არის], რომელ[იც]... რის ხართ: თხუთმეტი... ფული კი გვიპატივებია და დარჩომილი გამოართვით. გიორგობის **ჱ**, ქორონიკონს **უოჱ**.

ეს გაცემული დიდი ხანი არის. ეს თეთრი სხვას უნდა მიეცეს.

ერეკლე

## 68. არზა კავლე მღვდლისა გამოსალების თაობაზე ალექსანდრე გატონიშვილის ოქმით

**1790 წ. 9 ნოემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2906. დედანი. ქაღალდი. 25×14 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.

ღმერთმან ყოვლად მოწყალის ბედნიერის მეფის ძის ალექსანდრეს ჰირი მოსცეს თქვენს ყმას დიღმელს წმინდის გიორგის დეკანოზის შვილს, მარადის თქვენს მლოცველს პავლე მღვდელს.

ჩემო მოწყალეო, მოიკითხეთ თუ ძველათგანვე რაოდენი მეფეთგან სითარხნისა და აზატობის წიგნები მაქვს, არაფერი სათხოვარი — არც ღალა და არცარა სხვარამ მეთხუება. ყოველს წელიწადს ამ წმინდის გიორგის ეკლესიაში თორმეტს საუფლო დღეს თქვენის უმაღლესობის კელმწიფობისათვის და კეთილწარმართებისათვის პარაკლის[ს] და მსხვერპლს უნდა შევსწირავდეთ, და[2] მეფობისა თქვენის წარსამართებლად ყოველთაგანვე დამტკიცებული წიგნები მაქვს.

და იმ ეკლესიას თითო-ოროლი დღის მიწა ჭონია და თქვენის მამის ოქმიცა მაქვს, რომ ვინც მოხნავდეთო, ღალას ამ ღდელს მისცემდეთო და როგორ ეჭირება, ეკლესიას მოახმარებსო.

ჩემო კელმწიფევ, შარშან თქვენმა ძმამ რომ ხოდაბუნები დააკვნევინა, ღმერთსა და იმ ეკლესიას და თქვენს თავს ვფიცამ, რომ სწორეთ ჩემი ალალი მამული ექვსის დღისა მოჯნეს შარშან თქვენის ძმი-

---

[1] აწუხებენ.
[2] და] + წ.

სათვის და წელს კიდევ თქვენთვის; სხვა მიწა კი არა მქონდა. მართალია, ოთხიოთ დღის მიწა ბეითალმანში მოვჭან და მოიკითხეთ, რარიგათ მომიცდა, რომ თესლს ვერ გამოვრჩი.

ეროვნული

ეხლა რომ კალოს უკან ღალის პური შესწერლდა [illegible] მთხოვდენ. მარტყოფს თქვენს ძმასთან მოველ, ოქმი მიბოძა, მაგრამ არ შეიწყნარეს. მე აქ გახლდი, ხასადრის კაცს და გლახა ჩაჩიკაშვილსა ჩემი ორმო აუგლეჯიათ და სამი კოდი პური ამოუღიათ.

გევედრებით, თქვენად და თქვენის ძმის სადღეგრძელოთ, ამაზე ოქმი მიყოთ, რომ ისევ მომცენ ჩემი პური, რათა უმეტეს იდიდოს სახელი თქვენი. ნოემბრის ც, ქორონიკონს უოჱ.

თავში

ბატონიშვილი ალექსანდრე გიბძანებ ჩაჩიკაშვილო გლახავ და ცაბაძე დავითავ! უწინდელი სითარხნის წიგნები ხომ აქვს და ჩვენი ძმის ოქმიცა, რომ ნურავინ რას გამოართმევთო; არც მე მინდა ეკლესიის საწყენი. როგორც ამ არზაში მოუხსენებია, რაც წაგერთმიოსთ, ისევ უკანვე მიეცით, თორემ დიდათ გვეწყინება თქვენგან. გიორგობისთვის თ, ქორონიკონს უოჱ.

## 69. არზა გოდერძი ქურხულისა მოფიცრის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

**1790 წ. 18 ნოემბერი**

ცსსა. პ. კარბელაშვილის პირადი ფონდი 1461. რვეული № 13. საბუთი № 131. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[77] ქ. ღმერთმან ბედნიერის ჴელმწიფის დედოფლის ჰირი მოსცეს მათს მონას ქურხულს გოდერძისა.

ამას მოგახსენებთ. მე და დრეიძე პაპუა ვჩიოდით მამულზედა. მდივანბეგებმა განაჩენი გვიბოძეს, რომ უმტერ-უმოყვროს კაცით უნდა შემოეფიცა.

ახლა ჩემო ჴელმწიფევ, ერთი ულვდლო-უმოძღვრო კაცი წამოაყენა, რომ შვილებისაგან გამოგდებული, ერთი იოხსული, სამ ცოლგამოცვლილი კაცი არის. პირველათ რომ მოვიდა ის მოფიცარი, მთელს სოფლის კაცთან გავამტყუნე, რომ ის მოფიცარი ცრუ და ტყვილი ქათამის მოციქული იყო.

იასაულისათვის ქათამი მიეცათ და იმ იასაულსა და ჩემს მოდავეს ჩემი ძმა მოეტყუებინათ და ეს ცრუ-ტყვილი კაცი წაეყვანათ და

დაეფიცებინათ. რომ ფიცემდა, მე მიეედი და მაშინვე უთხარი, რომ შენ ნუ ფიცამ, მე ყაბული არა მაქვს მეთქი, მაგრამ არ დაიშალეს, ჯავრზედ რასაც მედავებოდნენ, ისიც დაიფიცეს და ჩემი მკვიდრო მამულიც თან გაატანეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა ამას გეხვეწებით თქვენის შვილების სადღეგრძელოთ: ერთი ოქმი და იასაული მებოძოს ნაცვალზედ და სოფლის უფროს კაცზედა, მოკითხული ქნან. თუ ის კაცი სარწმუნო ჰეშმარიტი კაცი იყოს, ჩემი თავი თქვენის ჭირის სანაცვლო იყოს. თუ ტყვილი, ცრუ, იოხსული კაცი იყოს და მიშველე რამე.

ღმერთი გადღეგრძელებს, როგორც ნაცვლისაგან და სოფლის კაცისაგან მოგხსენდესთ, ის მოფიცარიცა და ჩემი მოდავეც აქ ჩამოიყვანონ და სამართალი ისე მაღირსეთ. ღმერთი გადღეგრძელებს. გიორგობის **იჱ**, ქორონიკონს **უოჱ**.

თავში

მდივანბეგ ეშიკაღაბაშო თ ე ი მ ურ ა ზ! მერე ამ არზის პატრონს ასე რომ მოუხსენებია, ამაზე ერთი იასაული უჩინე, რომ ნაცვლისაგან და სოფლის უფროს-უფროსის კაცისაგან გამოიკითხოს და კარგათ შეიტყოს, რომ ის მოფიცარი კაცი როგორი სარწმუნო და მოძღვრიანი კაცია და ამათი საქმე კარგათ გამოიკითხოს, ნაცვალს და სოფლის უფროს-უფროს კაცთაგან მუჯალამა გააკეთებინოს და წამოიღოს და დამფიცებელიც და მოფიცარიც აქ ჩვენ სამართალში ჩამოიყვანოს.

ეს ჩვენი ბძანება ასე აღასრულებინე. ნოემბრის **იჱ**, ქორონიკონს **უოჱ**.

ბეჭედი: დ ე დ ო ფ ა ლ ი დ ა რ ე ჯ ა ნ

## 70. არზა იოსებ ციხისთვის შვილისა ნაჭურდალის თაოგაზე მდივანბეგის ოქმით

**1790 წ. 18 ნოემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 8158. დედანი. ქაღალდი. 32,8×9 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბატონის მდივანბეგების ჭირი მოსცეს ციხისთვის შვილს ი ო ს ე ბ ს.

ეოთი საპალნის ქოცო მქონდა, ღვინით სავსე; ის ღვინო მომპარეს, რომ ერთის საპალნისაგან შვიდი ჩაფი ძლივლა ამოვიდა ნაწურითა.

ბევრი ვიკითხე, მაგრამ ვერა გავიგე რა. მასუკან გიორგი ლეკს რძალი გაეჯავრებინა და ქვეყანაში დაეძახნა: «იოსების ღვინო რომ მოიპარეო და ამა და ამ ქოცოებში რომ ჩაასხო და ლოთობდიო, ის დღე კარგათ დაისწავლეო». ამ სიტყვის თქმაზედ მრავალნი დასწრებოდენ. და კიდევ ვისთვინაც აღსარებასავით გასტეხოდა და ეთქვა: «შვიდი ჩაფი მოვიპარეო», ისიც მოგხსენდებათ.

ამ ლაპარაკების ძალით მოურავთან ვიჩივლეთ. ეს მოწმე[ე]ბიც მოაყვანინა; ვილაპარაკეთ, ქვეყანამ გა[ა]მტყუნა, ოცის ჩაფის ღვინისათვის ისევ ოცი ჩაფი ღვინო მოაცემინეს, რომ ნახევარი[1] წყალი და აყროლებული იყო, რომ ორი სამი ჩაფი ღვინო კიდეც გადავღვარე; ეს არის იმისი მონაცემი.

[ქ.] ღმრთის წინაშე მე, ხოჯაანთ ნონე ამას მოვახსენებ ბატონს მდივანბეგებს: გიორგი ლეკს თავისმა რძალმა წააყვედრა: «იქ გახლდი და სხვაც ბევრნი გახლდნენ, იოსების ღვინო რომ მოიპარეო და ლოთობდიო», ქოცოები დაუსახელა, აქ რომ ჩაასხიო. ქვეყანას ესმოდა ეს მოხსენება. მე დავაწერინე და ამის მოწამეცა ვარ ღმრთის წინაშე.

ქ. ღმრთის წინაშე მე, ზათიასშვილი მამუკა, ასე მოგახსენებ: მათე მოძღვარი გახლდათ და ექვსი შვიდი კაცნი ვახლდით სადილათა. ეს გიორგი ლეკი იქ იყო. იმ სუფრაზედ წამოიძახა გიორგი ლეკმა: «ამთენი ღვინო რაში გამომართვესო, თუ მოვიპარეო, თუობით მოგახსენათ, შვიდი ჩაფი მოვიპარეო და მთელი ღვინო წამართვესო». ეს სიტყვა ყველამ გაიგონა, და სიცილი დავიწყევით, რომ შვიდ ჩაფობით გამოაჩინა.

ქ. უმცროსას შვილი კაკასშვილი ღმრთის წინაშე ღმერთსა ვფიცავ: რაც წინა[1] ხოჯაანთ ნონეს მოხსენებული არის, ერთად გახლდით, რომ იმისმა რძალმა წააყვედრა.

ეს მოხსენება ამ მოწმე[ე]ბის სიტყვით მე, დავით დიაკონმა დავწერე აქ ზათიასშვილის სახლში, რომ ჩემთან მოვიდნენ, დამაწერინეს; სხვანიც არიან მოწმენი, მაგრამ თუ არ მოვიდოდნენ, ვერ დავწერდი. მაისის თ, ქრონიკონს უოწ.

თავში

ქ. ჩოლოყასშვილო მოურაო ნიკოლოზ! ამ არზის პატრონი რომ ამ არზით ასე ჩივის, მრავალმა უმოწმეს და შვიდი ჩაფი მოუპარავსთ. ეს შვიდი ჩაფი ვისაც მოეპაროს, შვიდეულათ უნდა გამოართო ახლავ. ნოემბერს იწ, ქრონიკონს უოწ. ფარსადან

1 ნახევალი.

1+ ნონე.

## 71. მოხსენება იასე ნაცვალისა პაპუა დრეიძისა და გოდერძი ქურხულის საქმეზე ერეკლე II-ის ოქმით

ეროვნული ბიბლიოთეკა

1790 წ. 27 ნოემბერი

ცსსა. პ. კარბელაშვილის პირადი ფონდი. 1461. რვეული № 13. საბუთი № 132. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[78] ქ. ჩვენს ჯელმწიფეს დედოფალს პაპუა დრეიძისა და ქურხულის გოდერძის სადაოს მამულზედ ოქმი ებოძა და იასაული. ამათი ფიცის ანბავი ებძანა მათის მონის იესესა და სოფლის უფროსის კაცებისათვის.

ჩვენს ჯელმწიფეს ასე მოხსენდეს. ჯერ წინა დღეს ჩასულიყვნენ იმ სადაოს მამულში, რომ ჩვენს მოჯელეებს არ შეგვიტყვია. იმ დღეს არც მოფიცარი მოყოლოდა და ვერცარა გაერიგებინათ. მეორე დღეს კაცი გამაეგზავნათ, ჩემთვის და ქურხული მღვდლისათვი[ს] — ჩამოდით, გაგვაშველეთო, და ჩავყევით. ჩვენ გვინდოდა, რომ უფიცრათ გაგვეშველებინა. ჩვენი სიტყვა არ დაიჯერეს. ვერც იმ მოფიცარს ვერწმუნენით, რომელიც პაპუას მისდევდა. ჩვენ ფიცში არავინ დავესწარით მოჯელეები, ავდექით და წამოვედით.

ჩვენ, ნაცვალს და [მ]ღვდელს, ეს მოგვიხსენებია. ეგ კაცი და მაგისი წერილი მანდ გახლავსთ და ნება თქვენის სიმაღლის აღსრულდეს.

ქ. ტოპეშაშვილი აღდგომელი, ქ. ილაური აბრამა, ქ. ხუციშვილი გიორგი, ქ. გრატიაშვილი პეტრე და სხვანი უფროსნი კაცნი ფიცით ამას მოგახსენებთ, რომ ეს პაპუას მოფიცარი არსად გვენახოს ამგვარს საქმეში გარეული. ჩვენი ამისი კარის მეზობლები ვართ. ამ მამულისა არც სყიდვა ვიცით და არც უსყიდველობა.

მე, პეტრე მღუდელს, ამათის სიტყვით დამიწერია წინაშე ღვთისა. ნოემბრის **კა**, ქორონიკონს **უოჱ**.

თავში

ქ. მდივანბეგ ეშიკაღაბაშო თეიმურაზ! რომელიც ამ წიგნში მოწმე[ე]ბი სწერიან, აქ ჩვენს სამართალში უნდა გამოგზავნო. ამათი ჩამოუყვანელობა არას გზით არ იქნება. ახლავ აქ უნდა ჩამოაყვანინო. ნოემბრის **კზ**, ქორონიკონს **უოჱ**.

## 72. არზა მანუჩარ ლაშქარნივისისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

ეროვნული ბიბლიოთეკა

1790 წ. 4 დეკემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14371. დედანი. ქაღალდი. 21×12 სმ. დაზიანებული. მარცხენა ქვემო კუთხე მოხეულია. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ თითო წერტილი. ამავე ინსტიტუტის Qd ფონდში (9037, რმზ) დაცულია საბუთის პირი, რომლის მიხედვითაც აღვადგენთ დედნის ხარვეზებს.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი ლაშქარნივისს მანუჩარს მამცეს.

მერე ჩემს ყმას ალიხანას რუისს ერთი ნავენახობი ჰქონდა. ახლა შევიტყე, რომ ის ნავენახობი გაუყიდნია.

წყალობას ვითხოვ, რომ ერთი ოქმი მიბოძოთ, რომ იმ ჩემის ყმის ნავენახობი არავინ იყიდოს, ამისთვის რომ იმ ჩემს ყმას ორი-სამი შვილი ჰყავს და თვითონ ღარი[ბი და ბედოვლათი] არის. იმან რომ თავისი მამუ[ლი გაყიდოს, შვი]ლები მწარეთ უმოწყალონი [დამრჩებიან და კიდ]ეც დამეკარგებიან.

უნდა შევიტყო, რომ რის მიზეზით ჰყიდის, თუ მოვალის გული-[სა]თვის [ყიდის, სხვის სყიდვას ჩემის კაცისა რომ მევე შევისყიდო, ჩემი უპრიანია; ამისთვის, რომ ისევ] იმ ჩემის [ყმის შვილებს] მამუ-ლ[ი] ეჭირებათ და იმით იცხ[ოვრებე]ნ. ქრისტეშობის გ, ქორონიკონს უოწ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის მროვლის სალთხუცესო მამაცა შვილო იოსებ! მერე ლაშქარნივისი მანუჩარ რომ ამ არზით ასე ჩივის, ვისაც ამისი ყმის მამული უყიდნია, იმ მამულისა სხვისაგან სყიდვა არ ექნება; ამისთვის რომ, თუ ამის ყმას ერთი ასეთი მიზეზი არა აქვს, რომ იმ მამულის გასყიდვა არ იქნება, სულ ვერ გაჰყიდის.

და თუ ასეთი მიზეზი აქვს, რომ თუ არ იმ მამულის გასყიდვა, სხვა გზა არ ექნება, მაშინც უთავისბატონოთ ვერ გაჰყიდის; ამისთვის რომ თუ თავის ბატონს ენდომება იმ მამულის სყიდვა, იმისი უპრიანია და იმან უნდა იყიდოს.

და თუ იმის ბატონს არ ენდომება სყიდვა, დასტურს დასცემს წერილის მიცემით; და მერე ვისაც უნდა მიჰყიდოს. დეკემბერს დ, ქორონიკონს უოწ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 73. არზა გოდერძი ჟურხულისა სამართლის მიცემაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1790 წ. 11 დეკემბერი**

ცსსა. პ. კარბელაშვილის პირადი ფონდი 1461, რეული № 13. საბუთი № 133. პირი. ქაღალდი. მხედრული. შდრ. 1790 წ. 18 და 27 ნოემბრის არზა-ოქმებს. ოქმის ქრონიკონი მცდარი ჩანს.

[79] ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფე დედოფლის ჰირი ჟურხულს გოდერძის მომცეს.

მერმე ამას მოგახსენებთ, რომ დრეიძე პაპუა და მე მამულზე ვდაობდით. თქვენი ბძანებით მდივანბეგ ეშიკაღაბაშთან მივედით და ვლაპარაკობდით. იქ გახლდნენ მღუდელი იოსებ, ნაცვალი იასე და ყანდარელი ზაზა და იმათთან თავისი ფიცი თითონვე დააყენა; და მუჩალგის წიგნი მისცა მდივანბეგს და ამ სამღუდელოს და საეროს კაცთ, რომ: ამ მოწმე[ე]ბმა და ამან დაიფიცოს და რომ ამის მამული იყოს და მე ტყუილათ დამეფიცნოს და დამინებებიაო. ის მუჩალგის წიგნი თქვენ მოგართვით დასამტკიცებლათ და დაამტკიცეთ.

იმ ჩემ[მ]ა მოდავემ რომ თქვენგნით დამტკიცება შეიტყო, რომელიც განაჩენი მდივანბეგებისაგან მიცემული ჰქონდა, რომ თვითონვე დააყენა, ის განაჩენი მოურთმევია მოტყუებით და დაუმტკიცებინებია თქვენგნით. და ახლა ეს ჩემი მუჩალგის წიგნი, რომელიც თქვენგან დამტკიცებულია, ეს იმ დამტკიცებით დადგა.

წყალობას ვითხოვთ, რომ ეს თქვენი დამტკიცებული აღარ მოგვიშალოთ. ჩვენ ასე გვგონია, რომ თუ ის განაჩენი გაგესინჯოთ, აღარ დაამტკიცებდით, მაგრამ მოტყუებით დაუმტკიცებინებია იმის მომრთმევს. და წყალობას ვითხოვთ და გვევედრებით, რომ ერთი მტკიცე ოქმი გვიბოძოთ მდივანბეგ ეშიკაღაბაშზე, რომ როგორც თავის მოცემული მუჩალგის წიგნი აცხადებდეს და თქვენგნით დამტკიცებული იყოს, ისე აღასრულოს.

ღმერთი ბედნიერს ჯელმწიფეს გიდღეგრძელებს. დეკემბრის **ია,** ქრონიკონს **უოწ.**

თავში

ქ. მდივანბეგ ეშიკაღაბაშო თეიმურაზ! ამ არზის პატრონს ასე რომ მოუხსენებია, და იმის მოდავეს პაპუა დრეიძეს განაჩენი დაუმტკიცებინებია ჩუენგან, რადგან ბატონის დამტკიცებული იყო, ჩვენც იმისთვის დავამტკიცეთ და კარგათ გასჩხრეკით გავსინჯეთ,

რადგან იმ დრეიძეს თავისი ფიცი თვითონვე დაუყენებია და მუჩალგის წიგნი დაუდვია, რომ ჩუენგანაც არის ის მუჩალგის წიგნი დამტკიცებული. და იმ მუჩალგის წიგნის დამტკიცების შემდგომად ამ ბრძანებამა მოდავემ განაჩენი დაგვამტკიცებინა, ჩვენ ის განჩხრეკით და კვალგათ გასინჯვით ვერ გავსინჯეთ, თორემ არ დავამტკიცებდით.

ჩვენი დამტკიცებული ისევ დაგვიყენებია და როგორც მუჩალგის წიგნში აცხადებდეს და ჩვენგანაც დამტკიცებული არის, ისე აღასრულე.

და კიდევ ეს ამას რომ ჩივის, რომ რადგან იმან ტყუილათ დაიფიცაო და ახლა მე მაფიცებს ორის მოფიცრით, თუ ამ ორის მოფიცარით დავიფიცო, უნდა მომეცესო, ამისი სამართალმან იცის, როგორც რიგია და განწესება. იანვრის **გ**, ქორონიკონს **უოწ**.

ქ. როგორც მუჩალგის წიგნში აცხადებს, რომ თავის ფიცი თვითონვე დაუყენებია, ჩვენს წინაშე სამართალში ასე აღიარა, რომ ჩემი ფიცი მევე დამიყენებიაო.

ბეჭედი: დ ე დ ო ფ ა ლ ი დ ა რ ე ჯ ა ნ

## 74. არზა გარძიმ ამილახორიშვილის გამოსაღების თაობაზე გიორგი გატონიშვილის ოქმით

**1790 წ. 18 დეკემბერი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. H 752. დედანი. 21×12 სმ. ქაღალდი. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალე ხელმწიფის ძის გიორგის ჭირი მოსცეს დავით ა მ ი ლ ა ხ ო რ ი ს შ ვ ი ლ ი ს ქვრივ ობოლს ბ ა რ ძ ი მ ს.

თ ა თ რ ი შ ვ ი ლ ი მყავს მეკუჭნავე. ერთი ნატყვევარია და მეორეც ახლა დასახლდა. მე ხომ აქ გახლავარ და ყოვლის ღონიდამ მოკლებული ვარ. ღმერთმა ნუ დაგიკარგოთ, თქვენის მოწყალებით ვიზდებით.

ამილახორს ამ ორის კაცისათვის ექვსი კოდი პური შემოუწერია და სთხოვენ. იმათ ამისი მიცემის ილაჯი არა აქვსთ და დამეკარგებიან.

ღმერთი შვილებს გიცოცხლებს, მიშველე რამე, ქრისტეს სიყვარულისათვის ერთი ოქმი მიბოძეთ, რომ იასაულმა ხელი აიღოს. ჩემი მოწყალე და პატრონი არავინა მყავს და ამან გამაბედინა მოხსენება. ღმერთს გარდა თქვენ გხედავ მოწყალედ.

თავში

ქ. ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი   გ ი ო რ გ ი   გიბრძანებთ, რომელიც ამათი იასაული იმყოფებით! ამ ქვრივის ორს კაცსა ექვს [illegible] რომა სთხოვთ, ნულარ გამოართმევთ. ამთენი რომ შეიძლონ, თავიანთ ბატონის ქვრივსა და ობოლს რომ ემსახურნენ, მეტი აღარა შე[ე]ძლებათ რა. ახლავ ხელი აიღე, ნურას გამოართმევთ. დეკენბრის **იშ**, ქორონიკონს **უოჱ**. | გიორგი |

## 75. არზა სოლომონ მეითარისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1791 წ. 8 იანვარი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2861. დედანი. ქაღალდი. 21,5×13 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჴელმწიფის ჭირი მოსცეს თქვენს მეითარს ს ო ლ ო მ ა ნ ს.

მერე ამას მოვახსენებ მათს სიმაღლეს: წრეულ ჩემი ორი კომლნი კაცნი ფ ა ფ ა კ ე რ ა შ ვ ი ლ ე ბ ი   ს ი ღ ნ ა ღ ს   ჩავიდნენ, ცოლშვილი აქ დაყარეს და თითონ იქ გახლავან. აქ ხარჯს იმათ მაგიერ სხვას მთხოვენ.

გევედრები, ერთი ოქმი მიბოძოთ მოურავზედ, რომ მებოძოს. ერთს აქა ყამთ ცოლშვილი და ერთმა იქ შეირთო. ჩემი სამკვიდრო ყმანი გახლავან, და თუ სიტყვა აქვს ვისმე, თქვენს სამართალში მელაპარაკოს. იანვარს **ზ**, ქორონიკონს **უოთ**.

თავში

ქ. ბატონო ქისიყის მოურაო ზ ა ქ ა რ ი ა ვ! ამ არზით მეითარს სოლომონს რომ ასე მოუხსენებია, ამაში თუ სიტყვა არავისა ჰქონდეს, თავისი კაცები აუყარე[1] და მოაბარე. და თუ სიტყვა ვისმე ჰქონდეს, ჩვენ მოგვახსენოს. მაგრამ თუ სამართალში გამტყუნდა, უმართებულო იქნება. იანვრის **ჱ**, ქორონიკონს **უოთ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჭმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ე რ ე კ ლ ე.

[1] აუყერე.

## 76. არზა დიმიტრი საგინაშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1791 წ. 10 იანვარი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 30. საბუთი № 62. პირი. ქალაქდი. მხედრული. შდრ. 1784 წ. 12 ივნისის არზა-ოქმს.

[47v] ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი საგინაშვილს დიმიტრის მომცეს.

მერე ამას მოგახსენებ: თქვენი წყალობა ოქმი მებოძა თქვენ შვილს გიორგიზედ ჩემის კაცების აყრისა, მაგრამ ავმა დრომ და ჟამმა არ შემაძლებინა, რომ ამეყარა და [48] ერთს ალაგს დამესახლებინა.

ახლა ამ წყალობას გევედრები: ან ოჯიოს და ან ახატელსში მოვასხა ჩემი კაცნი და იქ დავასახლო, რომ ღვთით და თქვენის დოვლათით მეც მეცხოვრებოდეს, თქვენს საფარველს ქვეშ.

შვიდი-რვა სული ხიზანი შესანახი მყავს და მოგეხსენება ქალაქში ამდენს სულს რა შენახვა უნდა. მე ერთი რამ საიდგანმე სარჩო არსად არა მაქვს რა, თუ არ თქვენის მოწყალების მეტი. და ეგების მეც თქვენის დოვლათით იქ[1] ჩემის ხიზნით მივიდე და ერთი ლუკმა პურის ჭამა შევიძლო. აქ რაღაც ორიოთ კომლი კაცნი მყვანან, ისინიც იქ მიწევენ.

ერთი ოქმის წყალობა დამმართეთ თქვენს შვილს ალექსანდრეზედ, რომ რომელნიც კახეთში ჩემი კაცნი გახლავან, ისინი გამიყრევინოს და სადაც თქვენი ნება [იყ]ოს, იქ მიმისხმევინოს. იანვრის დ, ქორნიკონს უოთ.

თავში

ჩვენო ღვთის წყალობავ შვილო ბატონო ალმასხან. მერე ამ არზით საგინაშვილი დიმიტრი რომ ასე ჩივის, ამაზედ ერთი ბეჯითი იასაული აჩინე, კახეთში ამის კაცნი საცა დაფანტულნი არიან, სულ ერთათ თავი თავს შემოუყაროს და ან ახატელში და ან ოჯიოში, საცა ამას უნდოდეს, იქ დააყენოს. იასაულს ყადაღა უყავ, რომ ამაზედ ბეჯითად მოიქცეს და ეს ასე აღასრულოს. იანვრის ი, ქორონიკონს უოთ.

და თუ ჰეშმარიტი სიტყვა ჰქონდეს ვისმე, თქვენც სამართალში ალაპარაკე.

---

1+ მეც.

თუ მამის ჩვენის რუსეთს წასვლას უწინ ჩამოსულან ამისნი კაცნი და ამას მანდედა[ნ] მსახურებია და ან მიბარებული ჰყოლია, ახლაც ამის იქნებიან. თუ არც უმსახურებია და არც არავინ მიბარებული ჰყოლია, არაფერი საქმე არ ექნება.

და თუ მამის ჩვენის რუსეთს წასვლის უკან ჩამოსულან ამისი კაცნი, ამის იქნებიან, ასე იცოდნენ ეს ბინა ქართლსა და კახეთში ახლა ასე დაიდვა.

## 77. არზა ამილღაბარ ციციშვილისა სამართლის მიცემაზე იულონ გატონიშვილის ოქმით

**1791 წ. 11 იანვარი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 408. დედანი. ქაღალდი 20×14,5 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის მეფის ძის იულონის ჭირი მათს მონას ამილღამბარ ციციშვილს მამცეს.

მოგეხსენებათ, მე და ჩემი ძმა რომ თქვენს წინ გავიყარენით, მამა-პაპისა ერთი კომლი აზნაურშვილი გვყავს კლიმიაშვილი, ერთ-სახლათ არიან გაუყრელი, ის აზნაურშვილი ჩემიც არის და იმისიცა. ახლა ის აზნაურშვილი ამ მამულს გორელს კაცს უგირავებს. თუ კი მამულს დამიგირავებს და გამიყიდის, რიღასი აზნაურშვილი იქნება.

ამ წყალობას ვითხოვ: ერთი ოქმი გვიბოძეთ, რომ რაც ჩემი საწილო იყოს, ნურც და[ა]გირავებს... შვილების პატრონი გახლავართ, ჩემს საწილოს ნურც ყმას და[ა]გირავებს და გაჰყიდის, ნურც მამულსა. ამ ჩემს წილთან ნურც ჩემს ძ[მას] ექნება ხელი, ნურც [აზნაური]-შვილსა. აღიწერა იანვრის [ი, ქორონიკონს **უპვ**].

თავში

ქ. ბატონიშვილი იულონ გიბძანებთ ამილახორიშვილო ერასტი! მერე ამ არზით ამილღაბარ ციციშვილი თავის აზნაურიშვილს კლიმიაშვილს რომ უჩივის, ამილღაბარ და კლიმიაშვილი ორნივ ჩვენს სამართალში დააყენე, რომ ამათი საქმე სამართლიანის გზით გავარიგოთ. იანვრის **ია**, ქორონიკონს **უპვ**.

ბეჭედი: ტომ-სქესით არ ნაკლისაგან იულონ ირაკლისაგან.

## 78. არზა გოგია მარღიშვილის ქალებისა სამართლის მიცემაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1791 წ. 18 იანვარი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 37. საბუთი № 85. პირი. ქალალდი. მხედრული. ოქმის ქრონიკონი მცდარი ჩანს შდრ. 1786. წ. 6 აგვისტოს. არზა-ოქმს.

[52v] ღმერთმან ბედნიერის საქართველოს დედოფლის ჭირი მოსცეს თუმანიშვილის ზურაბის ყმის მარღიშვილის გოგიას ქალებს.

მამაჩვენი რომ ჯავახეთს მოკლეს, ოთხი ობო[53]ლი დავრჩით — ორნი ვაჟნი და ორნი ქალნი. ერთათ დგომა ვეღარ შევიძელით, ჩვენის ბატონის ხელით გავიყარენით. რაც ჩვენ ორს დას მოგვცეს, იმ ჩვენის სარჩოთი, ერთი გათხოვილი და გვყვანდა, იმან თავისთან წაგვასხა. როდესაც ჩვენი თანმიტანილი სარჩო გამოგვართვა, შეუბრალებ[ლა]თ ორნივ კარზედ გამოგვყარა. სხვის კარზედ სამადლოთ ვრჩებით.

გევედრებით, ერთის ოქმის წყალობა მოიღოთ ჩვენს ბატონს თუმანიშვილს ზურაბზედა, რაც ჩვენი რამ წეერთმეევინოს ჩვენს დასა, გამოგვირთვას და მოგვცეს. იანვრის **იჱ**, ქრონიკონს **უოთ**.

თავში

დედოფალი დარეჯან გიბრძანებთ თუმანიშვილო ზურაბ! მერმე ამ არზის პატრონთ ასე რომ მოუხსენებიათ, [თუ] ამათი მოხსენებული ჭეშმარიტი იყოს, რაც ამათ თავის გათხოვილს დასთან მიჰყოლოდეს და მიეტანოს, სამართლიანის საქმით გამოურთვი და მოეც. და თუ ჭეშმარიტი სიტყვა ჰქონდეს, ოთხიოდ მოხუცებული კაცი შენთან დაისწარ და სამართლიანის საქმით და რიგიანის გზით სამართალი უსაჯეთ. ასე მოიქეც, რომ არცერთ მხარეს უსამართლობა არ მოხდეს რა და სისწორით სამართალი მოეცით. იანვრის... ქრონიკონს **უოჱ**.

თუ ამათი გათხოვილი და შენი ყმის ცოლი იყოს, როგორც მოგვიწერია, ისე აღასრულე. და თუ შენის ყმის ცოლი არ [იყოს] და სხვის ყმის ცოლი იყოს, იმის ბატონიც შენთან დაისწარ და ოთხიოთ მართებულნი და ჭკვიანნი კაცნიც დაისწარით და სამართლიანის გზით სამართალი უსაჯეთ.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან

## 79. არზა დარჩიაშვილის ქვრივისა ყმოგბის თაოგბაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1791 წ. 19 იანვარი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 568. პირი. ქაღალდი. მხედრული. შდრ. 1775 წლის 20 მარტის არზა-ოქმს.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის დედოფლის ჭირი მოსცეს ველისციხელს მათს ყმას დარჩიაშვილის გოგიას ქვრივსა.

მოგეხსენებათ ეს თექვსმეტ-ჩვიდმეტი წელიწადია თაქთაქისშვილის იოანესაგან დაგვიხსენით, და ველისციხეში თქვენს ყმათ დაგვასახლეთ. ჩემი პატრონი თქვენის ჭირის სანაცვლოდ გაგვიხდა. ორი ვაჟი დამრჩა და ერთი მაზლი.

გევედრებით, ერთის წიგნის წყალობა გვიყოთ, რომ თქვენი მოწყალების ტკივფარი ჯელთ გვეჭიროს, რომ ჟამიერად მოდავე არავინა გვყვანდეს. ღმერთი გადღეგრძელებს. დეკენბრის **იდ**, ქორონიკონს **უოჩ**.

თავში

ქ. დედოფალი დარეჯან გიბრძანებ ამ არზის პატრონო! ასე რომ მოგიხსენებია, შენ ჩვენგან დახსნილი ხარ, ჩვენ დაგიხსენით თაქთაქისშვილისაგან და ჩვენს ყმათ დაგადგინეთ. ჩვენი ყმა ხარ, შენთან ჩვენს მეტს საბატონყმოთ ჯელი არავისა აქვს, ასე იცოდე. იანვრის **ით**, ქორონიკონს **უოთ**.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან

## 80. არზა მაისურაძეებისა ყმოგბის თაოგბაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1791 წ. 2 თებერვალი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. 1422. დედანი. 20,5×8 სმ. ქაღალდი. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ქრცხინვალელს მაისურაძეს სესიას, გოგიასა და ივანეს.

ქ. შარშანსწინ რომ ომანისშვილმა ზურაბმა გვიჩივლა ჩვენ, თქვენსა და ბატონის დედოფლის სამართალში გავიარეთ, ბატონის დედოფლის ოქმიც გვებოძა ქისიყის მოურავზე, რომ: ეს მაისურაძე[ე]ბი ჩვენი ყმანი არიანო და შენთვის მოგვიბარებიაო.

ჩვენ ასე გვეგონა, ამ ოქმის ძალით ბ ე ბ უ რ ი შ ვ ი ლ ი ახლო ვეღარ გაგვი[ვ]ლისო. ახლა უმცროსი ძმა წამოგვედავა ი უ ლ ო ნ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს ოქმით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა ამ ერთ სახლში ცხრა კაცი გახლავართ. ნუ დაგვკარგავთ, თქვენი ყმანი ვართ. წყალში რომ ჩაგვყაროთ, მაინც იმისი ყმობა არ შეგვიძლია. იანვარს კ, ქორონიკონს უოთ.

თავში

ქ. ბ ე ბ უ რ ი ს შ ვ ი ლ ო პ ა პ ა ვ, ბ ე ბ უ რ ი ს შ ვ ი ლ ო მ ე- ბ უ რ და ბ ე ბ უ რ ი ს შ ვ ი ლ ო ა ი დ ე მ უ რ! მერე ამ არზის მომრთმევთ საქმე თქვენთვის გვიკითხავ[ს]. ღმერთი ნუ წაგწყმენდსთ და შვილებს გიცოცხლებსთ, როგორც იცოდეთ, ისე სწორეთ და ჭეშმარიტებით ცალ-ცალკე დაწერილი ალილათი მოგვახსენეთ, რომ ამათი კახეთს ჩამოსვლა რამთენი წელიწადი იქნება, ის შეგვატყობინეთ. თებერვლის ბ, ქორონიკონს უოთ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძეღ კახეთის მეფედ ცხებულს ე რ ე კ ლ ე.

## 81. არზა ბეჟან ფალვენიშვილისა ყმის თაობაზე იულონ ბატონიშვილის ოქმით

**1791 წ. 7 თებერვალი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 49. საბუთი № 128. პირი. ქძალალდი. მხედრული.

[98] ღმერთმან ბედნიერის მეფის ძის ი უ ლ ო ნ ი ს ჭირი მოსცეს ფ ა ლ ვ ე ნ ი ს შ ვ ი ლ ს ბ ე ჟ ა ნ ს.

მერმე ჩემი მოხსენება ეს არის. მე და ჩემი სახლიკაცი ნ ი ნ ი ა რომ ვჩიოდით დედის ჩემის ნამზითვს ბიჭსა და გოგოზე და თქვენს სამართალში ვილაპარა[V]კეთ და თქვენმა სამართალმაც მე მომცა, თქვენგან განაჩენიც მებოძა.

ახლა თქვენთან უჩივლიათ, ოქმი და იასაული გიბოძებიათ, ერთი თვე არის აქ გახლავარ ცხენით და კაცით შეწუხებული. არსად გიახლათ, რომ გველაპარაკნა.

გვედრები, თქვენის ბრწყინვალე შვილების სადღეგრძელოთ ერთი ოქმი მეც მიბოძოთ, რომ თქვენს სამართალში ლაპარაკი დამცალდეს. ფებერვლის ია, ქორონიკონს უოთ.

თავში

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ი უ ლ ო ნ გიბძანებ ფ ა ვ ლ ე ნ ი შ ვ ი ლ ო ნ ი ნ ი ა. მერე შენ რომ ოქმი წ[ა]ილე, ამ შენის ს[ა]ხლისკაცის [illegible] ახლავ აქ უნდა ჩამოხვიდე. ეს შენი სახლისკაცი აქ არის და სამართალში უნდა ელაპარაკო. ულაპარაკოთ მაგისი წაყვანა არ იქნება. ფებერვლის **ზ**, ქორონიკონს **უოთ.**

ესეც ჩივ[ი]ს და რომ არ ილაპარაკოთ, უმართებულო იქნება.

## 82. არზა იოვანე მუხრანბატონისშვილისა სასისხლო საქმეზე ერეკლე II-ის ოქმით

**1791 წ. 12 თებერვალი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 250. დედანი. ქაღალდი. 21,5×15,5. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჴელმწიფის ჭირი მოსცეს მუხრანის ბატონისშვილს ი ო ვ ა ნ ე ს ა.

მერე ამას მოგახსენებ: ჩემი[1] ძმისწულისაგან დაჭრილი გახლავარ და თქვენს სამართალში გიახელ. ის კი აქ არ გახლავთ, თ ე ლ ა ვ ს გახლავთ დახიზნული ყორჩიბაშის შვილს ბ ე ჟ ა ნ თ ა ნ ა.

ამ წყალობას ვითხოვ, რომ ოქმი და იასაული მებოძოს, რომ აქ გიახლონ თქვენს სამართალში. ქორონიკონს **უოთ.**

თავში

ჩვენო შვილისშვილო ო რ ბ ე ლ ი ა ნ ო მიმბაშო ი ო ა ნ ე და მეითარო ს ო ლ ო მ ო ნ! ახლა რომ თელავს მიხვალთ, ის მუხრანბატონის შვილის ს ვ ი მ ო ნ ი ს შვილი გ ო გ ი ა თან ამოიყვანეთ რომ ამ თვის ბიძაშვილს ამ საჩივრის პასუხი მოსცეს. თებერვლის **იბ,** ქორონიკონს **უოთ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჭმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ე რ ე კ ლ ე.

---

[1] ჩემა.

## 83. არზა იოსებ და ბირთველ მდივნებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1791 წ. 2 მარტი

ცსსა. ფონდი 1449. საბუთი № 959. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს მდივანს იოსებს და ბირთველს.

მერმე ჩვენი სასახლის ალაგი გორს ჩვენის ყურის მიუგდებლობით დ[ა]უჭერიათ უბრალო მისულ კაცებს და დაუყვიათ, რომ არცრა ვისგან უყიდიათ და არც ნასყიდობის წიგნი აქვსთ. რასაც გორის ციხის კარის გზა ჩამოიტანს ენდრონიკაანთ მიდგმამდის და იქით ჩვენისავე სასახლის მიდგმამდის, ის სასახლის ალაგი სულ ჩვენი არის.

ამ წყალობას ვითხოვთ: ერთი ოქმი გვიბოძოთ გორის მამასახლისზედ, გორის მწერალი და ორიოდ კაციც სხვა დაისწროს და ის მამული გაგვირჩიოს და რომელიც ჩვენი იყოს, ჩვენ დაგვანებოს. და კიდევ ორსაოდე ალაგსაც ჩვენის გლეხების სახლების ალაგი არის და ისიც გაგვირჩიოს. ღმერთი გაგიმარჯვებს. ფებერვლის **კ**, ქორონიკონს **უოთ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის გორის მამასახლისო ზურაბ. მერე ამ არზის პატრონებს რომ ასე მოუხსენებიათ, შენ უნდა გორის მწერალი და რამდენიმე ქეთხუდა შენთან დაისწრა და ამათი მამული რომელიც იყოს, სამართლიანის საქმი[თ] გაურჩიოთ და მოაბაროთ. მარტის **ბ**, ქორონიკონს **უოთ.**

თუ სიტყვა ჰქონდეს ვისმე, ჩვენ მოგვახსენონ, თუ არადა, თავეთ მამული ამათვე დაანებონ. ასეთი კაცნი დაისწარ, რომ არც ერთის მხრისა ან მტერი არ იყოს და ან მოყვარე და ისე გაარჩიეთ ღმრთის წინაშე სამართლიანის საქმით. ერეკლე

## 84. არზა მაღალაშვილებისა უმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1791 წ. 15 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2624. დედანი. ქაღალდი. 34×13,5. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია თითო წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს მცხეთის მოურავს დავითს, სვიმონს და იაკობს.

ჩვენო ჯელმწიფევ, პაპის ჩვენის ძმას ნიკოლოზ არღვი-
მანდრიტს იმერეთს ერთი მხლებელი უყიდნია თავისს ბუშით
უკანბერიძისაგან და მამის ჩვენის სოლომონ მდივანი-
სათვის მიუცია: მღუდლათ გაზარდე და შენი იყოსო.

მასუკან მაჩუტაძე გესამანის წინამძღვარი წამოსდავებია და იქაური გლეხი კაცი რიკაძე წინამძღვარი თავისის ეკლესიის ყმობით წამოსდავებია და რიკაძე თავისის ბუშობით ქვეფინისხეველი სვიმონ ბატონისშვილთან ეჩივლათ და კიდევ ფასი მიეცემინებინათ და ხელმეორეთ იმათგანც დაეხსნა, რომელიც რომ სვიმონ ბატონისშვილის განაჩენი აცხადებდა. ის ბიჭი მამა ჩვენს მღვდლათ გაეზარდა, რომ თქვენც კარგად იცნობდით იმ გიორგი მღუდელსა.

გორს რომ ბძანდებოდით კოტოშაშვილის სახლშია, იქ იჩივლეს თქვენთანა ორთავ მამა-შვილთ მღუდელთა. ის წერილები რომ გაშინჯეთ, მაშინვე გვიბოძეთ ორნივ მამაშვილნი.

მასუკან თქვენს შვილს გიორგის შეხვეწნოდნენ კიდევ, რომ თავი დაგვახსნევინონ. მერე ჩვენთვის ოქმი ებოძებინა თქვენს შვილს: ეს მღუდლები მეხვეწებიანო და თავი დაახსნევინეთო. ის ოქმი ხელში გვიჭირავს. რადგან მღვდლები იყვნენ და მამის ჩვენის ჭირნახული იყვნენ, ვერც თავი დავახსნევინეთ და ვერც ბარათში ჩავაგდევით და ჩვენს ეკლესიას მივართვით ბეთლემისა მღვთისმშობელს.

ომარხან რომ გამოვიდა და სოფლები აიყარა, იმ არეულობაში წიგნები დაგვპარეს და ქალაქს ჩამოვიდნენ. იქიდამ აქომამდე ესენი ჩვენნი ნასყიდი ყმები იყვნენ, რომ არავინ გვდავებია. აქ რომ ჩამოვიდნენ შანშე მილახვარი წამოგვადავეს, რომ შენი ყმანი ვართო. იმან სწორე და ჭეშმარიტი რომ შეიტყო, ხელი აიღო, რომ იმისი ყმა არ იყო.

მერე დავითისშვილის ყმის რიკაძის წიგნები ეშოვნა სადღაც და ზაალ დავითისშვილთან მისულიყო, რომ შენი ყმა ვარ რიკაძეო და წიგნები ეჩვენებინა. მერე ზაალს ეთქვა, ეს წიგნები რიკაძისა არის, მაგრამ შენ კი არ ვიცი, მართლა რიკაძე ხარ თუ არაო. წადი, მაღალანთაგან თავი გამოიტანე, გული დამაჯერებინე და მერმე გიყმობო.

ამ სიტყვით ზაალმაც ხელი აიღო. მოდავე კი არავინა გვყავს და თავის თავს ესენი ძალით გვართმევენ. პაპა ამათი ჩვენ ხელში გარდაიცვალა, მამა ამათი სამოცდათხუთმეტის წლისა იქნება და ახლა ესენი თავის თავს ძალით გვართმევენ. ასი წელიწადი მეტი არის, რომ ესენი ჩვენი ნასყიდი ყმანი არიან. თუ რიკაძე იყო და ან წიგნები ჰქონდა, თქვენს უმაღლესობასთან რომ იჩივლა, რატომ არ მოგართოთ

ის წიგნები და ან თქვენს შვილს გიორგის რომ ეხვეწებოდა, თავი და-
მახსნევინონ, იმას რატომ არ უჩვენა, თუ კი ჰქონდათ ის წიგნები.

თქვენის უმაღლესობისათვის თავი უწყენია, რომ [illegible]
ა ნ თ ყმა არა ვარო და ოქმი გიბოძებიათ: ვინც ა[მიხ] მოდგენი
ხართ, მოდით და სამართალში ელაპარაკენითო. გხლებივართ, ჩვენო
ჯელმწიფევ, ღმერთი უმეტესად აღამაღლებს თქვენს ჯელმწიფობას,
ამისი სამართალი გვაღირსეთ. არას კაცს ნასყიდობა არ მოშლია და
ნურც ჩვენ მოგვიშლი. ღმერთი გაგიმარჯვებს. მარტს **იბ**, ქორონიკონს
**უოთ**.

მთელს გაღმა მხარში მოიკითხეთ თავადსა და აზნაურში და გლეხ-
ში თუ ესენი ჩვენი ყმანი არ იყვნენ და თავის დახსნასაც არ გვეხვე-
წებოდნენ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ყორიასაულბაშო ზ ა ა ლ! ამ არზის პატ-
რონი ამ არზით ვისაც უჩივის, ორნივ მდივანბეგებთან უნდა მიიყვანო
და ალაპარაკონ და ჭეშმარიტი სამართალი მისცენ ღვთის წინაშე, რა-
საც მიხვდნენ. მარტის **იე**, ქორონიკონს **უოთ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიქმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს
ე რ ე კ ლ ე.

## 85. არზა ოსეფა გარსუაშვილის დედისა ვალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1791 წ. 19 მარტი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 13140. დედანი. ქაღალდი. 34,8×1,2 სმ. მხედ-
რული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტი-
ლი. ტექსტში ხმოვანი ასოები გამოტოვებულია.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ხემწიფის ჭირი გ ა რ ს უ ა-
შ ვ ი ლ ს ო ს ე ფ ა მემანდრე[ს] დედას მო[ს]ცეს.

ჩვენო მოწყალევ ხემწიფევ, ჩვენი მოხსენება ეს არი[ს]: ოსეფა
ვალში ჩავარ[დ]ა, ვერ აათავა, წყალი გავლო, წავიდა ქვევითა ქვეყ-
ნებში. მუდამ თქვენი შვილების იასაული ედგა.

ჩემო ხემწიფევ, ახლა ერთი პატარა შვილი მყავს, დაბაღის შა-
გირდა[დ] გახლავთ, ოთხსა სულს გვინახავს. ჩემო ხემწიფევ, სულ
უწინ რომ შ უ შ ა ს გახლდათ, იქ თორმეტი თუმანი აუღია. ახლა
იმის იასაული მადგას. ეს ერთი საწყალი შვილი მყავს, ესეც მეკარ-
გება.

ჩემო ხემწიფევ, ერთი ქოხი მჭონდა ჩემი ზითვისა, ისიცა გარაოთ აქვს მო[ვ]ალე[ე]ბს, მე სხვის დაქცეულს ოთახში გახლავარ.

ამას გევედრები: თქვენათ სადღეგრძელოთ, თქვენი შვილების სადღეგრძელოთ, მრავლის მწუხარება შაგსმენიათ, ჩემი მწუხარება შაიწყნარეთ. ღმერთი ბრწყინვალე დედოფალს გიცოცხლებთ. ჩემო ხემწიფევ, ოსეფაც ამ სადგო[მს] მოვიდეს [ბძანე]ბითა, ისევ თქვენ საფარველში უნდა მოსლა.

ამ მოწყალებას ვითხოვ: ერთი წიგნი უბოძოთ, რომ თავის ცოლშვილს მაეპატრონოს. თქვენათ სადღეგრძელოთ, ხადკუათა კაკალუა მიდის, თავრიზს გახლავთ, თქვენი შვილების სადღეგძელოთ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის: ვინც ამ არზის პატრონს ვალსა სთხოვთ და აწუხებთ, რადგან შეძლება არა აქვს, მანამდის შვილი მოუვიდოდეს, დააცალეთ. და როდესაც შვილი მოუა, მაშინ მოგცემსთ. მარტის ით, ქორონიკონს უოთ.

ქ. თუ რომ იცით რომ აქვს, მოგვახსენეთ და ჩვენ გამოგირთმევთ და მოვაცემინებთ. და თუ არა აქვს რა, მაშ, რას უზამთ რომ არ და[ა]ცლით, ხომ ვერ და[ა]რჩობთ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 86. არზა ამირალანთ ოსეგას ჯალაბისა სამართლის მიცემაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

**1791 წ. 25 მარტი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14352. დედანი. ქაღალდი. 24,5×10.5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოველად მოწყალეს საქართველოს დედოფლის ჭირი ამირალანთ ოსეგას ჯალაბს მომცეს.

ჩემო ჯელმწიფევ, ამირალას შვილის თამაზას მამა და ჩემი პატრონი გაუყრელნი ძმები იყვნენ. სანამ რომ ცოცხალი გახლდათ თამაზას მამა, ჩემს პატრონზედ კიდევ თვალი და ყური ეჭირა. იმან რომ თქვენი ჭირი წაიღო, შვილებმაც ვერ შეიტყო. თამაზას მძლავრობა თქვენს უმაღლესობაც მოეხსენებათ.

ხუთი ქალი მყავს და ორი პატარა ვაჟი; ქალებმა ცალკე გამიჭირეს საქმე და მოვალე[ე]ბმა ცალკე. ერთი პატარა ვაჟი აქ გირაოთა

მყავს. ჩემო ჯელმწიფევ, ორი წიგნი აქვს თამაზას: ერთი ძამიდა გულჭანას ანდერძისა და მეორე წიგნი ჯაშინაური დილას ჯელის ნუსხა. ეს ორი წიგნი თქვენმა უმაღლესობამ მოიტანოს და ჩვენს სიმტყუნეს და სიმართლეს ის წიგნები გამოაცხადებენ. თუ აშას იქს, ის ჩემს ფიცს არ დაიჯერებს, მე იმის ფიცსა ვჯერვარ.

და თუ გაყრილობას მოგახსენებს, მთელი გორელები აქ გახლავან, ძველი მამასახლისის შვილი და ახლის მამასახლისისა ორნივე აქ გახლავან და თითონ მამასახლისიცა; ან გაგონილი ექნებათ და [ა]ნ წიგნის და გაყრილობის მოწამენი და დამსწრენი იქნებიან. ამთენი ხანია ამისაგან ასე შეწუხებული გახლავარ. ეს სიმდიდრეს იკვეხის, რომ ბევრს დავხარჯამო და მე გაჯობებო სამართალშიაო.

მე, ჩემო ჯელმწიფევ, მაგის ლაპარაკი სად შემიძლიან, თეთრათაც სულ ღარიბი და გლახა ვარ და ჩემი პატრონიც ერთი უენო და საწყალი გახლავს. სად შეგვიძლიან მაგისი ბრძოლა. ახლა სულ უძლური შეიქნა, რომ იმას ჩვენი დარჩენა აღარ შეუძლიან.

მოწყალებას ვითხოვ ჯელმწიფის გასამარჯ[ვ]ებლად, ამ შეწუხებიდამ გამომიხსნა და ერთ[ი] სამართალი მომეცეს. ღმერთი შენს ჯელმწიფობას უმეტესად აღამაღლებს. მარტის **იდ**, ქორონიკონს **უოთ**.

თავში

დედოფალი დარეჯან გიბძანებ ამირაღაშვილო თამაზ! ამ არზის პატრონი ასე რომ გიჩივის, ამას პასუხი უნდა მოსცე. თუ ჰეშმარიტი სიტყვა გაქვს რამე, ჩვენ მოგვახსენე; და თუ სიტყვა არა გაქვს რა, სამართლით მოურიგდი.

ოქრომჭედლიშვილო დავით! ამ ოქმით თამაზა ამირაღაშვილს შენ უნდა გამოუცხადო და ამისი პასუხი მოგვახსენოს. მარტის **კე**, ქორონიკონს **უოთ**.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

## 87. არზა გეცია თარხნიშვილისა, ყმის თაოგაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1791 წ. 8 აპრილი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 28. საბუთი № 16. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[18v] ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს თარხნისშვილის ბეროს ობოლს [19] ბეციას.

ამას მოვახსენებ: გედევანისშვილს ფარულათ არზა მო-

ურთმევია, უჩივლია, კაცს მიყრის, ბევრი ხანი არის დაობს მ[ა]მ[ა]-
ჩემსაც ედავა, მაგრამ სამართალი არ აძლევს.

გევედრები, თქვენ[ა]თ გასამარჯვებლათ, სამართალში [illegible]
პ[ა]რ[ა]კოთ ბატონიშვილს გიორგისთან, მან[ა]მ კაცი არ ამიყარონ უბრალოთ; ს[ა]მ[ა]რთ[ა]ლი ვის[ა]ც მისცემს, რა ძალი იხმარება, ოქმი გვიბოძოს სამართლამდინ დაცლისა, თქვენ[ი]ს შვ[ი]ლების სადღეგრძე-ლ[ო]თ. გლ[ე]ხი კაცი ცოდვა არის უბრალოთ გაისარჯოს. ნება თქვენი ასრულდეს.

თავში

ჩვენი ბძანება არის გ ე დ ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ო სარდალო ბ ე ჟ ი ა ვ! მერე შენ რომ ამ არზის პატრონს ერთს კომლს კაცს უყრი, ჩვენის ოქმით სამართლამდინ ვერ აუყრი. მშვიდობა არის. კვირაცხოვლობის კვირას უკანა ჩვენს შვილს გიორგის იახელით, მდივანბეგებიც თავისთან დაისწრას და სამართალი გასინჯონ. ვისაც სამართლით დარჩესთ, ის კაცი იმან წაიყვანოს. აპრილის Ი, ქორონიკონს უოთ.

იასაულო ა მ ი ლ ა ხ ო რ! ამ ვადაზედ სამართალში შენ უნდა მი[ი]ყვანო.

## 88. ᲐᲠᲖᲐ ᲗᲐᲛᲐᲖᲐ ᲐᲛᲘᲠᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲧᲛᲐ-ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲖᲔ ᲓᲐᲠᲔᲯᲐᲜ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡ ᲝᲥᲛᲘᲗ

**1791 წ. 10 აპრილი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 13017. დედანი. ქაღალდი. 21,5×12 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჴელმწიფე დედოფლის ჭირი მათ ყმა ა მ ი რ ა ლ ა შ ვ ი ლ ს თ ა მ ა ზ ა ს მოსცეს.

ბიძის ჩემის ჯალაბს არზი მოურთმევია და უჩივლია. ბიძაჩემი რომ გ ო რ ს გახლავს და სოფელშია დადის სავაჭროთ, ის რომ სამართალში გა[ა]ხლოს და თითვან შინ დაჯდეს, ის არა ზჯოფს.

მე შვიდის წლისა გხლებივარ, რომ მამაჩემი მაგის ქმარს გაყრია, ერთმანეთისათვინ გარდაწყვეტის წიგნებიც მ[ი]უციათ. მას დღეს აქეთ რამდენიმე წელიწადი გამოსულა. მამაჩემიც ცოცხალი გახლდათ, რომ მაგის ქმარს არა უდავნია რა. მაგ დედაკაცმა თუ ეს გაყრა არ იცოდა, ეს ხომ იცოდა, ჩვენგან წილში ნარგები დუქანი შარშან მე მამყიდა მაგისმა ქმარმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას გარდა თუ ან საბუთი აქვს და ან მოწამე ჰყავს მაგისი, ან მე და ან ჩემს ძმებს მაგისი გვეჭიროს რამე, მაგისი ქმარი სამართალში მელაპარაკოს ჩვენს მეზობლებთან. თუ რამე დამადგა, ელიტიოთ მივცემ, თუ არადა, ტყვილს მოჩიჩარსაც დატუქსვა რომ ებძანოს, დიახ, კარგი იქნება.

მთელმა გორმა იცის, მოკითხული ბძანეთ. ასე სულ ჩემს ნასყიდობაზე ვდგავარ ყმითა და მამულითა, ერთი მტკაველი მამა-პაპისა არა ვიცი რა, მაგის ქრმისა რა მექნება, მე თუ მექნება, გორელებიც არ დაუმალავენ. მარტის კჱ, ქორონიკონს უოთ.

თავში

ქ. ბატონო ამილ[ა]ხვარო ოთარ! ამ არზის პატრონს თავისი რძალი რომ გაყრაზედ უჩივის, გორის მამასახლისი, ორი სამღვდელო კაცი, ოთხი ქეთხუდა შენთან დაისწარ, რაც წიგნები ჰქონდეს, ორთავე მიატანინე, კარგათ გამოიძიე და ღმრთის წინაშე სამართლიანათ მოარიგე, კარგათ გაფთხილდი, ამ დედაკაცს უსამართლო არ დაემართოს. აპრილის ი, ქორონიკონს უოთ.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან

## 89. არზა იუსტინე ურგანელისა ყმა-მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1791 წ. 1 მაისი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 410. დედანი. ქაღალდი. 32,2×13,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ჩვენის ყოვლად მოწყალის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს მათის უმაღლესობის მარადის მლოცველს ურბნელს იუსტინეს.

ჩემო ხელმწიფევ თქვენმა უმაღლესობამ მრავალი ღვაწლი დადო თავდების[1] მღთისმშობლის ყმისა და მამულის გამოძიებაზედ და თქვენგან განაჩენი ებოძა და სამჯერ ხელი აემართა, ვისაც იმ ხატის მამული და ყმა ეჭირათ, ისევ თქვენი ბრძანება შეურაცყევს და იმათვე დაიჭირეს მძლავრებით და ის მონასტერი ყოვლითურთ უნაწილო არის თავის ყმისა და მამულისაგან.

ამ წყალობას ვითხოვ: ის თქვენი განაჩენი გვებოძოს და იასაული, როგორც იმ განაჩენში იყოს ბრძანებული, ისრე აღასრულოს და

[1] თავდებბის.

თავისის მამულისა ღალა, კულუხი ეკლესიას მიეცეს. და რომელიც თქვენ ბრძანებას უკან გაეყიდოსთ ვისმე, ისიც მოკითხულ იქნას და მამული ეკლესიისათვის დაიდოს. და ვისაც გაუყიდნია [illegible] რა[ვ]ებია, პასუხი იმანვე გასცეს. მამულები ხატს დანებდეს. რაც ან ღალა და ან კულუხი აიღოს, თქვენმა იასაულმა ეკლესიის ყმას მიებაროს, სია მოგვერთოსთ და როგორც თქვენი ნება იყოს, ისე მოხმარდეს ხატს. და ან ვისაც ბეგარა სამთლის, საკმლის და ზეთისა ემართოს, ისიც გამოერთოს.

მუჯირის პირი, რომელიც რომ თქვენ გადააწერინეთ, ისიც ფარსადან მაჩაბელს აქვს[1], ისიც გვებოძოს, რომ დებულობაები იმაზედ აიღონ, ჩემო ჯელმწიფევ. მაისის ა, ქორონიკონს უოთ.

თავში

ქ. უწმინდესო, ჩვენო ღმრთის წყალობავ, კათალიკოზპატრიარქო ანტონი! ყოვლად სამღვდელოს უფალს ურბნელს იუსტინეს ამ არზით რომ ასე მოუხსენებია, ჩემგან დადებული განაჩენი თქვენ უნდა გაშინჯოთ თავდების ღმრთისმშობლის ყმისა და მამულისა, ბატონს ედდათქვენს აბარია, ის უნდა გამოართვათ და ახლა რომ ზეით მიბძანდებით, თან წაიღოთ. იქ კარგა გამოძიებით გაშინჯოთ, როგორც იმ განაჩენში ეწეროს იმ ეკლესიის საქმე, ისე უნდა აღასრულოთ.

ვისაც იმ ეკლესი[ი]სა ყმა და მამული მიმძლავრებული[2] და ან გასყიდული ჰქონდეს ვისმე, უკანვე უნდა დაუბრუნოთ და ისევ ეკლესი[ი]სათვის დაზდვათ. და ვისაც გაუყიდნია, მსყიდველს პასუხი იმან უნდა გასცეს.

და ან კიდევ იმ ეკლესი[ი]ს მამულის ღალა და კულუხი ვისაც მოეტაცნოს და წაეღოს, უკლებრივ იმ ეკლესი[ი]სათვისვე უნდა მიაცემინოთ. და როგორც იმ ჩვენს განაჩენში ეწეროს, ყველაყა ისე უნდა აღასრულოთ ალბათ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჭმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

---

1 აქვს, 2 მიმძლავრებული.

## 90. არზა ზაალ საამისშვილისა მამულის თაოგაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1791 წ. 12 მაისი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 11. საბუთი № 170. პირი. ქალალდი. მხედრული.

[170v] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჰირი მათს მონას ყორიასაულბაშს საამისშვილს ზაალს მოსცეს.

მოგეხსენებათ, რომ ჩვენი სამკვიდრო მამული გაურარხი რას ძალითა და უსამართლობით გვერთმევა. თქვენის სამართლით თქვენგან განაჩენი გვებოძა, ასე რომ ეშიკაღასბაშ დემეტრეს ორმოცდაათი კაცი უნდა შემოეფიცებინა და ფიცს უკან გაურარხი იმას დარჩომოდა. მაგრამ ერთი თავი წყალი [171] რასაც მიწას ეყოფა, ის მიწა და წყალი იალაღებითა ჩემთვის უნდა მოეცა, დაეფიცათ, მით უნდა მოეცათ, და ვერ დაიფიცევდნენ კიდევ მით უნდა მოეცათ საკუთრათ ჩემთვის.

მოგეხსენებათ რომ ვერ შემოგვფიცა და არც მამული დაგვანება. თქვენს სიმაღლეს მოვახსენეთ — ვერ შემოგვფიცა და არც მამულს გვანებებსო. თქვენ ბატონისშვილს გიორგის უბძანეთ: დემეტრე ეშიკაღასბაშს უთხარო ან შეჰფიცოს და ან მამული დაანებოსო. ეშიკაღასბაშმა მოგახსენათ — ტყვილათ ვერ შევფიცავთო მერმე თქვენ გვიბძანეთ, მაშ, ცოტას ხანს დამაცალეთ და კარგათ გაგიგრიგებთო. ჩვენ კურთხეულის ბატონისშვილის ანნას წყენასა და შეწუხებას მოვერიდენით და თავი ველარ გაწყინეთ აქამდინ.

ახლა ამასაც არ დამაჯერა, ოთხიოთ კომლი თათარი მყავს, თავის სამკვიდრო მამულზედ იდგნენ; ახლა იქ მისულა თამაზ და იმ მამულს მართმევს, თახთებს შევკრაო. ჩემს მამულს რათ მართმევს.

თუ [v] თქვენი ბძანება აქვს, რა სიტყვა მაქვს, თუ არა, თავის ძალით რათ მართმევს. მოგეხსენებათ ნაჩალთუკევი მიწა შვიდს წელიწადს აღარ გამოდგება.

ერთის ოქმისა და კაცის წყალობა მიყავით, რომ ხელი აიღოს, ამისთანა ძალი და უსამართლო აქ არსად მინახავს. თუ სიტყვა აქვს რამე, თქვენს სამართალში მელაპარაკოს. სამასი წელიწადია ის მამული ჩემი თათრებისაა. მაისის **ც**, ქორონიკონს **უოთ.**

თავში

[170] ეშიკასბაშო თამაზ! ამ არზით ყორიასულბაში ზა-[ა]ლ რომ ასე ჩივის, ამისი მოხსენებული [v] მართალი არის, პასუხი უნდა მოსცე. ამისის თათრებისათვის რომ მამული გამოგირთმევია,

თუ მართალია და ჩალთუკად მოხნას, თურმე მოხნას აპირებ, მანამდის ჩვენთან სამართალში არ ელაპარაკო, ნუ მოხნავ. ახლავ ეს ოქმი რომ მოგვიდეს, ხელი აიღე და ჩვენს სამართალში ელაპარაკე, თორემ დიდად გვეწყინება. მაისის იბ, ქორონიკონს უოთ.

მე მეწყინება, რომ შენ ბევრი კაცი გიჩიოდეს და მერე შენი მეზობელი, არ სჯობს. თუ არ მოგეხნას, ნუ მოხნავ; და თუ მოგეხნას, ნუ დასთეს.

## 91. არზა თევდორე მაჩხიძისა მამულის თაობაზე გიორგი გატონიშვილის ოქმით

**1791 წ. 29 მაისი**

საქართველოს სიძველენი ტ. II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, 1909 წ., გვ. 462—463. საბუთი № 419.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ძის გიორგის ჭირი მოსცეს მათ ყმას მაჩხიძე თევდორეს!

ამას მოვახსენებთ: მე ხომ წმინდას სამებას შემწირეთ, და ეს არ ვიცი, ჩემის მამულით შემწირე, თუ უმამულოთა. ჩემს მამულს კორინთელი სჭამს და მე არას მანებებს. ჩემი მამული ნასყიდიც იმას უჭირავს და უსყიდიცა და უმამულოთ გახლავარ. ხატსაც ვემსახურები და თქვენცა. უმამულოთ როგორ შევიძლო? ვევედრებით, შფოთისაგან დამიხსნათ და რომელიც ჩემი მამული არის, ან ნასყიდი და ან უსყიდი, მებოძოს. ღმერთი გაგიმარჯვებს. მაისის კთ, ქორონიკონს უოთ.

თავში

ქ. არჯევან სალთხუცესო! მერე ეს მაჩხიძე ჩვენ თავისის მამულით შევსწირეთ წმინდის სამების ეკლესიას, და რაც ამას ან სამკვიდრო და ნასყიდი მამული აქვს და სამარ[თ]ლიანის საქმით ამისი არის, სულ უკლებრივ თავისი მამული, ნასყიდიცა და უსყიდიც, ამას უნდა დაანებო, რომ კორინთელს დიაკონს ამასთან და ამის მამულთან საქმე არა აქვს რა. ამას თავისი მამული უკლებრივ მიაბარე და ნუღარ აჩივლებ. მაისის კთ, ქორონიკონს უოთ. გიორგი

## 92. არზა ელიზბარ თაქთაქიშვილისა მამულის თაობაზე მდივანბეგთა განჩინებით

**1791 წ. 14 ივნისი**

ერეკლეანული
ბიბლიოთეკა

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 28. საბუთი № 58. პირი. ქაღალდი. მხედოული.

[ა რ ზ ა]

[54] ღმერთმან საქართველოს მსაჯულთ შეკრებულების ჰირი მოსცეს მათ მიწას თ ა ქ თ ა ქ ი შ ვ ი ლ ს ე ლ ი ზ ბ ა რ ს.

მისის სიმაღლის დედოფლის ბძანებით ჩვენ და მ ა ჩ ა ბ ლ ი ს ურია რომ ვლაპარაკობდით თქვენს წინ ვენახების გირაობის [v] საქმეზედ, თქვენის ჰეშმარიტის სამართლით გვებრძანა: იმ ურიამ შენი ვენახები ისევ აშენებული უნდა მოგცესო და შენ ხუთი თუმანი უნდა მისცე, როდესაც აშენებულს ვენახებს მოგცემსო.

ამ წყალობას ვითხოვე, რომ განაჩენი მებოძოს, როგორც სამართალი მომცემდეს ჩემს ვენახებს. ივნისის **ც**, ქორონიკონს **უოთ**.

**(გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა)**

მის სიმაღლეს დედოფალს ებძანა — ეს ურია რომ უჩივის თ ა ქ თ ა ქ ი შ ვ ი ლ ს ი ე ს ე ს ალაპარაკეთ და სამართალი მოეცითო, ვალაპარაკეთ და ეს სამართალი მივეცით.

რადგან იესეს ორი ვენახი ხ ვ ი თ ს გირაოდ მოუცია ური[ი]სათვის, რომ უ რ ი ა უ ჩ ი ო დ ა: ჩემი თეთრი მომეციო და შენს ვენახებს მოგცემო.

ი ე ს ე მ ი უ გ ე ბ დ ა: როგორც ვენახები აშენებული მოგაბარე, იმისთან[ა] მომაბარე და შენს თეთრს მოგცემო, რომ ამ მუჯალამის ძალით ხუთი თუმანი მე შენ უნდა მოგცეო და შენ ჩემი ვენახები უნდა მომაბაროო; ახლა სულ გადაგიხარაბაეებია და დაქცეულებს მაძლევო.

რადგან სამართალი სწერს, როგორც ვენახი კაცმა კაცს დაუგიროს აშენებული, ისე აშენებული უნდა მოაბაროსო. რადგან ეს ურია შეუძლებელია და ორისავ ვენახის აშენება არ შეუძლიან, ერთი რომელიც დიდი ვენახი იყოს, ის ერთი ვენახი აუშენოს ამ ურიამა, ერთი აშენებული როგორც მიუბარებია იესეს, ისევ ისეთი აშენებული მოაბაროს და ერთი აუშენებელი; და იესემ ხუთი თუმანი მოსცეს.

სალთხუცესო ა ბ ა შ ი ძ ე გ ი ო რ გ ი! ეს ასე აღასრულებინე.

იუნისის **იდ**, ქორონიკონს **უოთ**. [ ] [ ] [ ]

თავში

[53v] ჩვენ, ყოვლისა საქართველოსა და კახეთისა და სხვათა დე-
დ ო ფ ა ლ ი ბატონის დადიანის ასული პატრონი დ ა რ ე ჯ ა ნ ამ
მსაჯულთ განჩინებას ვამტკიცებთ.

სალთხუცესო გიორგი! ასე აღასრულე. მკათათვის ვ, ქორონი-
კონს ჳოთ. ☐

## 93. არზა ზაალ ყაფლანისშვილისა ვალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1791 წ. 23 ივნისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 13698. დედანი. ქაღალდი. 28×11,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჴელმწიფის ჭირი მათს ფეხთა მტუერს ყ ა ფ ლ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ს ზ ა ა ლ ს მისცეს.

ახლა ამას მოვახსენებ ყოვლად მოწყალეს ჴელმწიფეს: გ ა ნ ჯ ი დ ა მ რომ ქ ი ს ი ყ ს მობძანდით, თალიღა მიბოძეთ, რომ ჩემს მოვალეებს დაეცალათ და სარგებელი ეპატიებინათ[1] მანამდინ ჩემი საქონელი მამესხა ა ხ ა ლ ც ი ხ ი დ ა მ, გამეყიდა და მიმეცა. ის საქონელი აღარ მომცეს.

მოგეხსენებათ, ახლა ჩემს შვილს თ ა რ ხ ა ნ ა ღ ა ს შვილისათვინ ორმოცი თუმანი მიუცია, მამაჩემს ვალები გარდაუხადეო. იმდენი თქუენი წყალობა მაქუს, რამდენი ორმოც თუმანზე მეტი მე მემართოს.

ხომ მოგეხსენებათ, რომ ილაჯი არა მაქვს თუნიერ თქუენის მოწყალებისა. სხვისათვინაც ბევრისათვის გიქნიათ ეს მოწყალება, მეც ამ მოწყალებას ვითხოვ, რომ ერთი ოქმი მიბოძოთ.

ვისაც რა ერგოსთ, თავნი მივცე და სარგებელი მეპატიოს, ღმერთი უმეტესად აღგამაღლებსთ, ყოვლად მოწყალევ ჴელმწიფევ. ასეთისაც არავისია, რომ იმას დააკლდე[ს]. მთიბათვის ივ, ქორონიკონს ჳოთ.

ი ქ. გ ი ო რ გ ი ლ ა რ ა ძ ი ს მმართებს ათი თუმანი.
კვ ქ. მ ი რ ზ ა გ უ რ გ ი ნ ა ს ი მმართებს ოცდა ექვსი თუმანი.
ი ქ. ხ ა ნ უ მ ა დ ა ლ ა ლ ი ს ა მმართებს ათი თუმანი.
ზ ქ. თელეთელის ბაყალი ბ ე ჟ ა ნ ა ს ი შვიდი თუმანი.
ვ ქ. განჯას რომ წაეედით, მაშინ ავიღე ვალი, ცხენები ვიყიდე — ექვსი თუმანი.

[1] ებატიებინათ.

გ ქ. ანა დალალისა მმართებს სამი თუმანი.
[გ] ქ. მამულასშვილისა მმართებს სამი თუმანი.
გ ქ. გორელი დავრიშაშვილის მმართებს სამი თუმანი.

თავში

ქ. უფალნო მსაჯულნო, ამ ზაალს რომ ასე მოუხსენებია, თქვენც იცით, რომ ამ გვარი საქმე ბევრი მომხდარა და ესეც ვალის პატრონი არის, რომ მიცემა არ შეუძლიან და უნდა რომ ამისმა მოვალეებმა სარგებელი აპატიონ და თავნს დასჯერდნენ. თორემ თუ ასე არ იქმონენ, თავნის მიცემაც იქნება ვეღარ შეიძლოს და სულაც დაეწოსთ და რა სარგებელი იქნება მაგათი? ივნისის **კგ**, ქორონიკონს **უოთ**.

ქ. თუ შეუძლიან, საბუთი უყონ და გამოართონ.

ბეჭედი: ჭნარს მიცემს, დავით მიჭმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

კიდეზე

მისის უმაღლესობის ბრძანებისაებრ უნდა აღსრულდეს. აპრილის **კდ**, ქორონიკონს **უპგ**.

სამი ბეჭედი:

1. მეფემ მყო ერთა მსაჯულად, ღმერთს ვედრებ ვიქმნა მარჯულად, ქაიხოსრო.
2. მეთოდი.
3. მსაჯული სამეფოთა ზედა და მდივანი მეფისა სოლომონ.

## 94. არზა დიმიტრი ციციშვილისა ვენახის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1791 წ. 27 ივნისი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 856. დედანი. 21,5×16,5 სმ. ქაღალდი. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს ციციშვილს დიმიტრისა.

მერე თქვენს ყმას რუისელს გივიაშვილს ოქრუას ჩემი თავი შემოუბეზღებია, რომ ჩემი ვენახი ნაძალადევათ უჭირავსო; თქვენი ოქმი მიუტანეო და არ იოქმაო. ესეც თქვენის მზის ფიცით მოეხსენებია, რომ თუ იმას წიგნი ჰქონდესო, მე თვალები დამიდვიაო. ღმერთმან შენი რისხვა მამცეს, თუ მე თქვენი ოქმი მენახოს ან ეჩვენებინოს, თორემ რა ძალა მჭონდა, თქვენის ოქმის წინააღმდეგობისა.

ჩემო ხელმწიფევ, მაგის ის ვენახი გორელის ღანბარაშვილისათვის მიუყიდნიათ და მერე ღანბარაშვილისაგან პაპაჩემს უყიდნია. ეს ნასყიდობის წიგნიც აქ ხელთა მაქვს, თქვენგანაც დამტკი-

ცებული არის; და ის ლანბარაშვილის წიგნიც აქ ხელში მაქვს მაგათ-გან მიყიდულობისა.

ახლა კიდევ ოქმი გებოძათ ამილახვარისათვის და [illegible] ხელი ამიმართეს.

მოწყალებას ვითხოვ: ეს წიგნები გასინჯეთ, თუ შესაწყნარებელი იყოს, ხომ რას მემართლება, ერთი ობოლი კაცი გახლავარ, მუდამ ამ ტანჯვასა და თქვენს წინ ბეზღებასა. თუ შესაწყნარებელი არ იყოს და მძლავრობით მეჭიროს, ჯარიმით გადამხდეს.

მამაჩემი და დედაჩემი რომ თქვენის ჭირის სანაცლო შეიქნა, მე ხომ პატარა გახლდით. მაშინ მაგის მამასაც ეჩივლა, ეს ჩემი ნასყიდობის წიგნები თქვენს ბედნიერს თვალს გაესინჯა, გაგემტყუნებინათ და ეს წიგნი მაშინ დაგემტკიცებინათ. და ახლა ეგ კიდევ ასე ტყუილათ თავს გაწყენთ.

სამართალს ვითხოვ, ღმერთი გაგიმარჯვებს, რას მემართლება, ამისთანას დროს აქ ჩა[მო]მიყვანა, ხომ მოგეხსენებათ ჩემი სიწაწყლობის ამბავი. გევედრებით, რომ დროიანათ გადამიწყვიტოთ. რომ ერთი მარტოხელი გახლავარ, დროიანათ წავიდე. ღმერთი გაგიმარჯვებს. მთიბათვის **კვ**, ქორონიკონს **უოთ**.

თავში

ქ. ბატონო ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ო ო თ ა რ! მერე გივიაშვილის ვენახის საქმეზედ ჯელის ამართვის ოქმი რომ მოგწერეთ, მადამდისინ ჩვენს სამართალში მაგ ვენახის დავა გადასწყდებოდეს, ჯელს ნუ აუმართამ; რომელსაც უჭირამს ეგ ვენახი, ისევ იმასვე ეჭიროს სამართლამდისინ. სამართლით რომელსაც დარჩება, იმას სამართალი გამოაჩენს. მთიბათვის **კზ**, ქორონიკონს **უოთ**. და არც ხელის ასამართავის გამორთმევა იქნება, მადამდისინ მათი დავა არ გადასწყდება.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ე რ ე კ ლ ე.

## 95. არზა იოანე ფავლენიშვილისა მამულის თაობაზე იულონ ბატონიშვილის ოქმით

**1791 წ. 1 ივლისი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 17. საბუთი № 171. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[174v] ღმერთმან ბედნიერის ჯ ე ლ მ წ ი ფ ი ს ძ ი ს ი უ ლ ო ნ ი ს ჭირი მოსცეს მათს ფერხთა მიწა-მტვერს ფ ა ვ ლ ე ნ ი შ ვ ი ლ ს ი ო ა ნ ე ს თავისის შვილებით.

მერე ამას მოვახსენებ: პირველად ღმერთი და მერე თქვენა ხართ ჩვენი ნუგეში, თქვენს მეტი შემწყნ[ა]რებელი და მოწყალე [illegible] ვინა გვყავს. ამას გევედრებით, რომ ტ ყ ვ ი ა ვ ი დ ა მ [illegible] მ ა რომ კაცი აჰყარა, იმისი მამული ბეითალმანი გახლავთ, ერთი ვენახი და პატარა ბაგა არის ხუთიოდე დღის მიწა და ახლო არის ჩვენზე ეს მამული.

თქვენს გასამარჯვებლად და თქვენის შვილების სადღეგრძელოთ იმის მოწყალებას გევედრებით, რომ გვებოძოს და მეც მარად თქვენი და თქვენის შვილების ჭირი სანაცვლოდ მამყოფოს ღმერთმა ცოლითა და შვილით. ჩემთვის დიდი შესამატია და თქვენთ[175]ვის არაფრად დასაკლისი. ნება ჩემის ჴელმწიფისა აღსრულდეს. მთიბათვის ლ, ქორონიკონს **უოთ**.

თავში

[174] ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ი უ ლ ო ნ გიბრძანებთ ფავლენისშვილო ნინიავ! მერე ამ არზით რომ მეითალმ[ალი] მამული გითხოვნია ტყვიავში პ ა პ უ ნ ა [ს] შვილი გ ო გ ი ა ს ნაქონი, ის ხომ აბიათარმა აჰყარა და წაიყვანა, იმისი ყმა იყო. ახლა ეს იმისი მამული [V] შენთვის გვიბოძებია, სხვას საქმე არავისა აქვს. მკათათვის ა, ქორონიკონს **უოთ**.

თუ ერთი რამ საბუთიანი საცილებელი სიტყვა ჰქონდეს რამე, ის კი ჩვენ უნდა შევვატყობინონ. მკათათვის ა, ქორონიკონს **უოთ**.

## 96. არზა ზაალ დავითიშვილისა სასისხლო საქმეზე ერეკლე II-ის ოქმით

**1791 წ. 12 ივლისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2157. დედანი. ქაღალდი. 43,8×16,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. ა-მეტ-ნაკლული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჭირი დ ა ვ ი თ ი შ ვ ი ლ ს ზ ა ა ლ ს მოსცეს.

მერე ამას მოვახსენებ ბედნიერს ხემწიფეს. ღმერთმან იმდენი გამარჯვება მოგცეს, რამდენი კაცი სიმაღლიდამ ჩამოვარდნილიყოს და სიმდაბლიდამ ამაღლებულიყოს. მაგრამ დამდაბლებულის კაცისათვინ თავის ყმას ეს საქმე არ ექნას, რაც მე მჭირს ზ ა რ დ ი ა შ ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ, თავიც წამართვა, ყმა და მამულიცა და კიდეც მკლამს.

ქ. ჩემო ხემწიფევ! არზი ვა[ა]ხელ უმაღლესობას: ზარდიაშვილმა თავი წამართვა და ყმასა და მამულსაც მართმევს მეთქი; ოქმი გებოძათ ამილახორზე: რასაც ყმას და მამულს დაობდენ, მე ზაალს მოაბარეო ჩვენს სამართლამდინაო და როდესაც ჩვენს სამართალში გაივლიან, რომელსაც დარჩება, მერე ჩვენ ვიცითო. ამილახვარმა ბძანებისამებრ აღასრულა. გამოვიდა რვა თვე.

მას უკან ზარდიაშვილს უმაღლესობისათვინ არზი მიერთმია — ტყვილი მოუხსენებიაო. ოქმი გებოძათ ამილახვარზე: როგორც ზაალს მიაბარე, ისევ გამოაბ[ა]რე და ამ ზარდიაშვილს მოაბარეო, მერე შენთან ალაპარაკეო. თუ შენ ვერ გა[ა]რიგო, ჩვენთან გამოგზავნე ორნივეო.

ამილახვარს კაცი გამოეგზავნა, ბზობას დღეს მოვიდა, როგორც თქვენი ბძანება იყო, ისე აღასრულა იასაულმა. დაუჯინა იასაულს ზარდიაშვილმა: აყარე, საერისთოში გავიყვანო. არც თქვენი ბძანება იყო, არც იასაული ყაბულობდა — თავისის მამულიდამ როგორ ავყარო, ამ მამულით ზაალს მიბარებიაო, მეც ასე მოგაბარებო, ბძანებაც ასე არისო: ხელი ამართა, მიაბარა. კიდევ არ მოეშვა, ნიქოზში კაცს რას ვაქნევ, საცა მე ვარ, იქ წავიყვანო.

ეს მე არა ვქენ: ამ კაცს თავისის მამულიდამ არ მოგაშლევინებ და არც ბატონს უბძანებია მეთქი, სამართალში გავიაროთ, თუ დაგრჩეს, მასუკან გინდა აყარე, გინდა აქ იყოს მეთქი.

აქა[ო]ბაში ერთი იმისი ბიჭი წამოდგა, დიაღ, მაღალი სიტყვები მითხრა: დიაღ ავყრითო. მე ის მეწყინა, ერთი ჯოხი გადავკარ ამ ბიჭსა. ღმერთმა ისე თქვენს ორგულს მიაპყროს თავისი რისხვა, რაც მე ისინი მამეპყრენ ან სიტყვით ან საქმით: ორთ ბატონ-ყმათ თოფები დაეცხლეს — ყმამ ჩემზე, ბატონმა ჩემ შვილზე, ფეხზე შესხეს, საპირისწამლე გამოუცვალეს.

ღმერთმან უმაღლოს ზურაბ ფალავანდიშვილს და თქვენი წყალობა მისცეს, იმან დაგვიხსნა ორივ მამა-შვილი სიკვდილისაგან. თქვენი რისხვა არა მაქვს, თუკი არ მოუცდენდათ და გამოიცლებოდა, ორნივ დახოცილნი ვიქნებით.

როგორც მოხდა, თვითეეულათ რომ მოგახსენო, დიაღ, გაგძელდება. და თქვენი მზე აფიცეთ ნიქოზელს და იმ დღის დღესასწაული, თავისი ღვდელთმთავრობა, თითონაც მოგახსენოს, თავის სოფლის კაცთათაც კითხოს, როგორც ენახოსთ ან რის დანაშაულისათვინ გვხოცდა ორს მამა-შვილს, თვითეეულათ წერილით მოგახსენოსთ და აგრეთვე ზურაბ ფალავანდიშვილსა.

ღმერთი გაგიმარჯვებს, ეს ჩემი ამოწყვეტა მოიკითხეთ და სამართალი მაღირსეთ. მრავალჯელ გაწყინე თავი იმ ზარდიაშვილზე, მაგრამ

ასეთს სიმძლავრეში იყო, არა მეშველა რა; და ახლა კიდეც ამომწყვიტა. იმ გზობით სასამართლოთ არ გეცალათ, ვერც თავე გაწყვეტილ და ეს მოიკითხეთ და სამართალი ისე მიბოძეთ. ღმერთი გაგიმარჯვებს. ივლისის **ზ**, ქორონიკონს **უოთ**.

თავში

ყოვლად სამღვდელო უფალო ნიქოზელო ათანასე და ფალავანდიშვილო ზურაბ! ამ არზით ზაალ დავითიშვილი ასე რომ ჩივის, ამაზედ ღმერთს გაფიცებთ, რაც გენახოსთ თქვენცა და სოფლის კაცთაც, ამაზედ სწორე მოაწერეთ, რომ სამართალი თქვენს მოწმობაზედ მოხდება. და მეტ-ნაკლები არა მოაწეროთ რა. ღმრთის წინაშე რაც გენახოსთ, ის მოაწერეთ. ივლისის **იბ**, ქორონიკონს **უოთ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჭმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

ქ. მე, ზებედე მღდელი, ამისი მნახავი ვარ ღმრთის წინაშე, ზარდიაშვილი[ს] კაცმა მაღალი სიტყვა უთხრა ამ ზაალს. ზაალმა ერთი ჯოხი გადაკრა ბიჭს. ეს ზარდიაშვილმა იწყინა, ავი სიტყვაც უთხრეს და თოფიც ფეხზე შესვეს და ამ ზაალს და ამის შვილს გულში ჩაუდვეს.

ქ. მე, კობერაული მოსე, ღმრთის წინაშე ამისი მნახავი ვარ; რაც ამ ზემოწერილი აცხადებს, ამისი მოწამე და მნახავი ვარ, ასე იყო.

ქ. მე, მახარებლიძე, ამისი მნახავი და მოწამე ვარ; რაც ეს ზემოწერილი აცხადებს, ასე იყო ღმრთის წინაშე.

ქ. მე, დავითა ოსი, ღმრთის წინაშე ამისი მნახავი და მოწამე ვარ; რაც ამ ზემოწერილი აცხადებს, ასე იყო: თოფი ფეხზე შესმული ორთავ მამა-შვილთ გულში ჩაუდვეს.

ქ. მე, გოგია ლომსაძე, ამ ზემოწერილის მოწამე და მნახავი ვარ, თოფი გულში ჩაუდვეს.

ქ. მე, ხოსია ლონლაძე, ამ ზემოწერილის მნახავი და მოწამე ვარ ღმრთის წინაშე, თოფი გულში ჩაუდვეს, ფეხზე შეაყენეს.

ქ. მე, კოვზიაშვილი გოდერძი, ღმრთის წინაშე ამისი მნახავი და მოწამე ვარ. ამ ზემოწერილის საქმე ასე იყო: ფეხშესმ[ული თო]ფი გულში ჩაუდვეს.

ამათ წიგნი არ იცოდნენ; მე, ნიქოზელს[1] ათანასის, დამაწერინეს. ეს ჩემი ხელი არის. ივლისის **იგ**, ქორონიკონს **უოთ**.

ხელრთვა: ნიქოზელი[2].

---

[1] მიქოზელს. [2] მიქოზელი.

ქ. მის სიმაღლეს ჩემს ხემწიფეს ჩემთვინ მოწმობა ებძანებინა, დავითისშვილ[ი]ს ზაალ[ი]ს და ზარდიასშვილ[ი]ს.

ღმრთის წინაშე მე, ზ უ რ ა ბ, ამის მოწამე ვარ და მნახავ[ი]: ზაალ და მე გარეთ ვისხედით და იმ სოფლის კაცნ[ი]ც, და ვლაპარაკობდით. ზარდიასშვილის კაც[ი] მოვიდა, ხმამაღლა დაიწყო ლაპარაკი: ავყრითო, წ[ა]ვიყვანთო. ზაალ წამოდგა, ჯოხ[ი] გადაკრა, გამობრუნდა, იქიდამ. ზარდიასშვილი მოეგება, ორნივ ერთათ შეყარნენ, ორთავ თოფებს ხელ[ი] გადმოკრეს, ორსავ მე უტაც[ე] ხელი, ორთავ ფეხზ[ე]შესმული გამოვართვი — ერთი ზარდიაშვილს ასლი და ლ ა ფ ა ჩ მ ა ნ[1] თავის ბატონს ჩასამართშ[ი] ხელი უტაცა, თოფები[2] ფეხზ[ე]შესმული გამოვართვით. ღმრთის წინაშე, ეს ასე იყო. მკათათვის კ, ქრონიკონს უოთ.

## 97. არზა პართენ ბერისა ვალის თაოგაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1791 წ. 18 ივლისი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 423. დედანი. ქაღალდი. 22,7×11,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი ან მძიმე.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მომცეს მათს მარად მლოცველს ნატყვევარს უღირსს პ ა რ თ ე ნ ბერს.

ჩემო ჯელმწიფევ, ზ ა ქ ა რ ი ა ც ი ც ი შ ვ ი ლ ი ს კაცებისათვის შარშან თხუთმეტი თუმნის ბარათი მიბოძეთ გ ი ვ ი ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ზ ე დ ა. ცხრა თუმანი კი მომცა, ექვსი თუმანი დარჩა. ეს ერთი წელიწადი მეუბნა[3] მოგცემო. ახლა ასე მოგახსენათ: წადი, ბატონს მოახსენო, თავადისშვილებმა არა მომცეს რაო, და ვერას მოგცემო.

ღმერთი უმეტესად განგაძლიერებსთ. ეს ერთი წელიწადია ამაზედ გავცდი, ეხლაც სიმაღლეს ამისთვის ვიახელ. ღმერთი გაგიმარჯვებსთ, იმასეე უბძანებთ თუ ახლა რომ მეითრიშვილები დადიან სამოასილოთ, თუ სხვაგნიდამ საიდამაც გნებავდესთ, წყალობა დამემართოს, თქვენს სადღეგრძელოთ. წლის საზრდო ეხლა უნდა მეთხოვნა და მეღვაწა. ახლაც ამისთვის აქ გიახელ, დავრჩი უთხოვარი და უსაზრდოო. და ამას გარდა გზაზე მუდამ განსაცდელში ვარ, მტრისა მეშინიან. ეხლაც რა შიშები ვნახეთ.

ღმერთი განგაძლიერებსთ, ჩემი მებოძოს, რომ ჩემს ალაგს გიახლო და ჩემის ცოდვილის პირით მლოცველი გახლდე. და ამდენის სიარუ-

[1] ლაფაჩმან] ლაფაჩ იმან. [2] თოფების. [3] მეეუბნა.

ლისაგან მოვრჩე თქვენს სამლოცველოდ. ივლისის **იჱ**, ქორონიკონს **უოთ**.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავში

ჩვენი ბძანება არის გიო ავალიშვილო. მერე ამ პართენ ბერს რომ შენზედ ბარათი ჰქონდა, ცხრა თუმანი კი მოგიცია და ექვსი თუმანი ჯერ ისევ დარჩომილი არის და არ მიგიცია. ეს ექვსი თუმანი ან შენ მიე[ც], შენ ხომ არა გაქვს რა, მარამ საიდამაც იყოს მიე[ც] და ან ვიზედაც დარჩომილი იყოს, იმას გამოართვი და მიე[ც], ან აქამდი რატომ არ გამოურთვი და არ მოეცი. ალბათ ეს ჩვენი ოქმი რომ მოგივიდეს, ვიზედაც იყოს დარჩომილი, გამოურთვი და მოეც. მიუცემელს ნუღარ დააგდებ, თორემ იცოდე შენ წაგართმევთ და მივცემთ. მკათათვის **იჱ**, ქორონიკონს **უოთ**.

ქ. თუ ახლავ არ გაურიგე, ერთი კომლი კაცი ხომ მაინცა გყავს, სხვა ხომ კეთილი არა გჭირს რა, იმ ერთს კომლს კაცს წაგართმევთ და მონასტერს შევწირავთ, თუ ასე არ ჰქმენ, ალბათ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 98. არზა თეიმურაზ ფარეშთხუცესისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1791 წ. 26 ივლისი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 45. საბუთი № 160. პირი. ქალალდი. მხედრული.

[107] ღმერთმან ხელმწიფე დედოფლის ჭირი მოსცეს ფარეშთხუცეს თეიმურაზს.

მე და აბიათარის შვილი თქვენის სიმაღლის წინაშე მამულზედ ვლაპარაკობდით. ამ ლაპარაკზედ ბედნიერი ხელმწიფეც იქ მობძანდა და ჩვენი საჩივარი მისმა უმაღლესობამ კარგათ მოიხსენა. რომელიც აბიათარის შვილმა წიგნები მოიტანა, ჩემს საბუთათ ჩემ[მ]ა წიგნებმა ბათილი გახადა და გა[ა]მტყუვნა. ერთი ეს მოგახსენათ: ამ წიგნებს გარდა სხვა წიგნი მაქვსო.

მოწყალებას ვითხომ, თქვენი ბძანება და ოქმი მებოძოს ვიზედაც თქვენი ნება იყოს, რაც წიგნები ჰქონდეს, ისინი მოატანინონ და სამართალი გვიყონ. და ერთის გზით მოგვარჩინონ. მკათათვის კვ, ქორონიკონს **უოთ**.

თავში

[196v] სახლთხუცესო აბაშიძე გიორგი და მდივანო ლო-
ლომონ! მერმე ამ არზის პატრონი ფარეშთუხუცესი თეიმურაზ აბიათარის შვილს კიკოლას ამ არზით ასე რომ უჩივის, ამათმა ლაპარაკმა ჩვენთან გაიარა. და კიკოლამ ეს მიზეზი თქვა, რომ წიგნი აქ არა მაქვსო.

ახლა ორნი ჭრცხინვალს იმყოფებით და ორისავ მხრის საბუთები მიატანინეთ, ალაპარაკეთ და რაც ღმერთმან გაგონოსთ, ღვთის წინაშე ისე სამართალი მიეცით და გარდუწყვიტეთ. ორისავ მხარეს რაც წიგნები ჰქონდა, ის ხომ გასინჯული არის, მაგრამ თქვენც მიატანინეთ და გასინჯეთ. და რომლის წიგნის მიზეზი თქვა, რომ აქ არა მაქვსო, ის წიგნიც მოსთხოეთ და მიატანინეთ და გასინჯეთ და სამართლიანის საქმით ღვთის წინაშე სამართალი უსაჯეთ. მკათათვის **კვ, ქორონიკონს უოთ.**

დასწერეთ და იმ წერილით ჩვენ შეგვატყობინეთ, როგორც გაიაროს.

## 99. არზა ფალავანდიშვილებისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1791 წ. 28 ივლისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 8023. დედანი. ქაღალდი. 21×16,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ძის[1] იულონის ჭირი მოსცეს ფალავანდიშვილს გლახას, როსტომას, ზურაბს, ბერს და იაკობს.

მერე ამას მოგახსენებ: სასახლე და ციხე ნახევარ[ი] ჩვენია და ნახევარი ერეკლე ფალავანდიშვილის; გიორგი მეფეს გაუყრივართ და იმისი გარიგებული საქმეა და განჩინულობა იმასაც უჭირამს და ჩვენც. ახლა რომ ძალინა აშენდა, ციხეში შეგვასწრო და ჩვენი წილი აღარ დაგვანება. მანამდინ, ამას უწინ ჩვენ ჩვენი გვეჭირა და იმას თავისი წილი. ახლა აღარ დაგვანება.

ღმერთი გაგიმარჯვებს, ერთი იასაული გვიბოძოთ, რომ თქვენთან გიახლოთ და გვალაპარაკოთ. თქვენმა ბედნიერმა თვალმა გა[ა]რჩიოს, ჩვენი სამართალი გადასწყვიტოთ. ის კაცი შფოთს გვიშ[ვ]რება. ღმერთი გაგიმარჯვებს, ამას გევედრებით, რომ უშფოთრათ გაგვაშველოთ. [მ]კათათვის **კწ, ქორონიკონს უოთ.**

---

[1] + ძის.

ქ. ბატონიშვილი იულონ გიბძანებ რევაზ მაჩაბელო! მერე ამ არზით ფალავანდიშვილები რომ ასე [illegible] მიდი ერეკლე ფალავანდისშვილთან, ან იქავ გაუსწორდეს—ან [illegible] განაყოფებს და ან არადა, ყველანი ჩვენს სამართალში მოიყვანე. [მ]კათათვის კჱ, ქორონიკონს ჳოთ.

ბეჭედი: ტომ-სქესით არ ნაკლისაგან იულონ ირაკლისაგან.

## 100. არზა რუისელთა ჭყლის თაოგაზე ერეკლე II-ის ოქმით

1791 წ. 6 აგვისტო

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 9886. დედანი. ქაღალდი 46,2×15,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ჩვენის ჯელმწიფის დედუფლის ჭირი მოსცეს ერთობით რუისელთ — სახასოს, სადედოფლო, სამროველოთ, საციციანოს და გარეშე რუის[ს] მსახლობელთ.

ყოველთვინ ჩვენი მწუხარება თქვენთვინ მოგვიხსენებია, უწინაც ასე ყოფილა და ახლაც ასე არის. თქვენი ოქმი მოუვიდა ქალაქის მოურავს: რუისის რუ გა[ა]კეთებინე როგორც ძველთაგან ყოფილიყოს და რიგიც ისე მიეც. თავისი აზნეურშვილები გამოგვატანა და წავედით და როგორც ძველთაგან ყოფილიყო რუ და წყალი ისე მოვიყვანეთ და რიგიც ისე მიეცა.

წასულიყო ზაზა მაღალაშვილი, ის რუ ასე წაგვიხდინა, ცვარი წყალი ვეღარ მოვიყვანეთ, ზოგი არაშენდას წაიყვანა წყალი და ზოგი მინდორს მისცა. დავრჩით უწყლო.

მოურავს შევატყობინეთ. თითონ წაბძანდა და ორასი მუშა წაგვიყვანა. ამ რუს როგორ კეთება დაუწყევით, ისივ მაღალაშვილი მოვიდა. მოურავმა კითხა: ეს რუ შენ წა[ა]ხდინე? და იმან მოახსენა, დიაღ, მე წავახდინე. მოურავმა უთხრა: მეფე[ე]ბის განაჩენია და დედოფლებისა, და ახლა კიდევ ოქმი მომივიდა დედოფლისა და იმის ბძანებით გავაკეთე ეს რუ და რათ წა[ა]ხდინე. ახლა იმან უთხრა: ტყუილათ აკეთებთ, რომ წახვალთ, ისევ წავახდენ. ეს მოურავს ეწყინა და ერთი პანღური ამოაკვრევინა.

ქათალიკოზი რომ გადმობძანდა იმერეთიდამა, ტყუილათ მოახსენეს ქათალიკოზს: ამთენი ცემა მოურავმა მაღალაშვილს, რომ მოკვდა[ო]. ახლა რასაკვირველია, რომ ამაზედ კათალიკოზს გა[ა]ჯავრებდენ. ქათალიკოზს ამილახვარისათვინ წიგნი ებოძა: ახლავ კაცი გაგზავნე, თითონ რუისელები წაიყვანოს, ის რუ გაჭრან და არაშენდას ჩაიყვანონ წყალი.

მოვიდა ამილახვარის კაცი და ის[ი]ვ მაღალაშვილი რომ მოკვდა, წაგვრეკეს ისევ ჩვენ გაგვაჭრევინეს რუ და წაგვართვეს წყალი, არა-ცა გვაქვს დასალევი წყალი; და ვენახი და ფეტვი და სიმინდი რომ მოვრწყოთ, რასაკურველია, აღარ გვექნება.

მოურავს შევატყობინეთ და მოურავი გაგვიჯავრდა და ასე გვითხრა: ჯელმწიფე გყავთ და შეატყობინეთ. მოგეხსენებათ, არც არაშენდა ყოფილა და არც ლელის თავი; არაშენდა მიტომ ჭვიან, არც აქვს წყალი და არც წისქვილი. ახლა ორი სოფელი გა[ა]კეთეს, წყალი წაგვართვეს და წაიყვანეს. თქვენი განაჩენები გვაქვს, ნეტარხსენებულის მეფის თეიმურაზის განაჩენი გვაქვს და ძველის მეფე-[ე]ბისა და დედოფლების განაჩენები გვაქვს. რატომ უნდა დაგვემართოს ესე. თქვენ ცოცხალი უნდა გვყვანდეთ, მაღალაშვილმა და კვალიაშვილმა წყალი უნდა წაგვართვას და აყრასა, დაკარგვას უნდა ვაპირებდეთ.

ღმერთი გადღეგძელებთ და თქვენს შვილებს გ[ი]დღეგძელებთ, ერთი გზა მოგვეცით და მოგვიარეთ რამე; ან სულ აგვყარეთ და სხვაგან დაგვასახლეთ. მეფეს თამარს აქეთ წიგნები გვაქვს: და მეფე[ე]ბისა და თქვენი ოქმი გვაქვს და ვერცერთი ვერ გავიყვანეთ მაღალაშვილზედა და კვალიაშვილზედა. ღვთის გულისათვის გვიშველეთ რამე, წყურვილით ვირჩობით. თუ თქვენი ბძანება და ოქმი ჩქარა არ მოგვეშველა, დიაღ, ძალა დაგვემართება უწყლობით. ივლისს ლა, ქორონიკონს ჳოთ.

თავში

ქ. ჩვენ მაგიერად სარდალ ქალაქის მოურავს დავითს ასე უამბეთ. მერე მაღალაშვილს რომ კათალიკოზისათვის მოუხსენებია და რუისის რუ წაუხდენიათ, როგორც აქამდინ ის რუ ყოფილიყოს. ახლა ისევ ისრე გააკეთებინე ის რუისის რუ და მერე არაშენდელები და რომელნიც იმათი მოლაპარაკენი და წინ[ა]ღმდეგნი რუისელნი იყვნენ, იმათი სია სახელდობრ დასწერე, შენი ძმა და შენი კაცები იქ იმათ დაუგდე, რომ ისინი გამორეკონ; აქ ჩამოვიდნენ, ჩვენთან ილაპარაკონ და სამართალს ჩვენ უზამთ. აგვისტოს ვ, ქორონიკონს ჳოთ.

ქ. ეს თუ ასე არა ჰქმენ, არას საქმით არ იქნება. მარამ რომელნიც გამტყუნდებიან, გარდავახდევინებთ ჯარიმით.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე

მინაწერი: ქ. ღვთით ჩვენს ჯელს დედოფალს მიერთოს.

## 101. არზა გაბრიელ კალატოზიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1791 წ. 8 აგვისტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფონდი 1449. საბუთი № 429. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს კალატოზისშვილს გაბრიელს და მის ძმებს.

ჩვენო ჯელმწიფევ, ჩვენი სახლის კაცები მძლავრობით მამულს იჭერენ. მკ[ვ]იდრი მამული ორი წილი ჩემია და ერთი წილი იმათია. თუ რომ ნასყიდობა აქუსთ ჩემზედ მეტი, წერილი გამოაცხადონ და ღმერთმან მოახმაროთ. თუ არა სიცრუით და ტყუილათ იჩემებენ, იჭერენ.

ამ წყალობას ვითხოვ: ტეტია დიასამიძესზედ ერთი ოქმი მებოძოს, მოატანინოს წერილები და რაც რომ ნასყიდობა ჰქონდეს, ღმერთმან მოახმაროს. და რაც არა, იმას გარდა ორი წილი ჩემი იქნება[1] და ერთი წილი იმისი, რომ ორის ძმის წილობა მე ვარ და ერთისა ის.

ვენახში სამნები ამომიყარა, დაგლიჯა და მიწებშიაც ამომიყარა. ესეც განისინჯოს იმ იასაულისაგან და ისე სამართალი მებოძოს. აგვისტოს ბ, ქორონიკონს უოთ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის მინბაშო დიასამიძევ ტეტიავ! მერე ამ არზის პატრონი თავის სახლის კაცებს რომ ასე უჩივის, იმათი წიგნებიც გამოატანინე, გაშინჯე. ამის წიგნებიც გაშინჯე და როგორც ამ ორისავე მხრის წიგნები აცხადებდეს, ისე აღასრულე[2]. აგვისტოს ჱ, ქორონიკონს უოთ. ერეკლე

## 102. არზა უარანგოზისშვილის ქვრივისა მამულის თაობაზე ვახტანგ გაბონიშვილის ოქმით

1791 წ. 15 აგვისტო

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2549. ქაღალდი. 24×11 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ წერტილი.

ქ. ღმერთმან უმაღლესის მეფის ძის ვახტანგის ჰირი მოსცეს მათს ფეხთა მიწა-მტვერს საცოდავს უარანგოზისშვილის ქვრივსა და ობლებსა.

1 იქნმება. 2 აღასრული.

მერე ამას მოგახსენებთ ჩემო ხემწიფევ: ელიბო შვილი მოვიდა თქვენს ყმასთანა ამ პირობითა: მამული სთხოვა, შვილი მსახურათ უთხრა, ოთხი კოდი ყალანი უთხრა, ოთხსაც ამ მამულზე დამაყენეო. მარამ თქვენს ყმას, დიაღ, შორს ეჭირა. მასუკან როდესაც მამადგა, მისცა, ამ პირობით მისცა; მერე, ჩემო ხემწიფევ, იმას არც ერთი არა მოუცია.

ამ წყალობას ვითხოვ, თქვენი ყმა თქვენვე მი[ი]რთოთ, ჩემი მამული მევე მებოძოს, ჩემო ხემწიფევ. ან როგორც მისცემია, მოიკითხეთ, თუ ვტყუოდეთ.

თავში

ქ. ამ არზით ასე რომ მოგიხსენებიათ, ეს ელიბოშვილი სამართალში მოვაყვანინეთ, მაგრამ ვერც ნასყიდობის წიგნი მოიტანა და ვერც მოწამე და საბუთი, რომ ნასყიდი ქონდეს თქვენგან და ამისის მიზეზით ეს მამული ისევ თქვენ დაგრჩათ. აგვისტოს იე, ქორონიკონს უოთ.

ბეჭედი: რტოდ ვარ დავითის, მგელ-ლომად ვით ის, ვახტანგ ვამტკიცებ მეფის ძეობით.

## 103. არზა მარდახასი უმის თაოგაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1791 წ. 20 აგვისტო**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 23 საბუთი № 132. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[129v] ღმერთმან ბედნიერის ხემწიფე დედოფლის ჭირი მოსცეს გაგიას ძმისწულს მარდახს.

ამას მოგახსენებ: აღათანგის რომ ჩემი კაცი ეჭირა, რამთენიმე წელიწადი იმსახურა, მეტათ გაღარიბდნენ და ათი თუმანიც ვალიც დაედვა. ახლა ღმერთმან, თქვენმა დოვლათმა სამართლით მე მიბოძა ის კაცნი. ახლა ხარჯს ისევ აწუხებს, ისევ იმსახურებს. ჩემი რალა ყმა იქნება, თუ იმან ხელი არ აიღო.

[ღმერთი] გად[ღე]გძელებს, ერთი ოქმი მებოძოს მოხელებზე, ის კაცი იმაზე მოიშალონ და ჩემზე დასწერონ.

თავში

[129] მდივანო ეგნატი! ამ არზით გოგიას ძმისწულს მარდახას ასე რომ მოუხსენებია, რადგან ახალი ქართლი შენგან არის აწერილი, ახლა დავთარში აღათანგი ხერხეულიძის კაცები

საცა გეწეროს, ის მოიკითხე და იმას რომელიც კაცი მლუხსენებია კოკოზაშვილი, ამისი ნასყიდი არის. ის ამისი კაცი იმისის კაცებიდამ უნდა ამოხოცო და ამის ყმათ უნდა დასწერო. [V] ერთი კვამლი კაცი სახელდობ აღათანგის კაცებიდამ უნდა გამოიყვანო. ესე ეს ოქმი მან[დ]ე უნდა შეინახო და როდესაც აღათანგიმ გითხრას რამე, ამ ოქმით უნდა ესრეთ გამოეცხადოს. აგვისტოს კ, ქორონიკონს უოთ.

## 104. არზა ქაიხოსრო ჩიკოიძისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1791 წ. 3 სექტემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 101134. დედანი. ქაღალდი. 33×13,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ჩიკოიძე ქაიხოსროს.

მერე ამას მოვახსენებთ მოწყალეს ხემწიფეს. ეხლა რომ ამილახვარი გიახლათ, აქა ერთი ცხენი მყვანდა, თქვენი მოლაშქრე კაცი ვიყავ და მუდამ ლაშქარს მოველოდი. წამამიარა ამილახვარმა, წამართვა ჯოქში შერივა, შვიდი კოდი ფქვილი აჰკიდა და აქ ჩამოიყვანა. ასრე წამხდარიყო, რომ ტყავი აღარ ეკრა ზურგზედა. მე ხომ თხოვნა არ შემეძლო და კიდევ საპალნე აჰკიდა და თან წაიყვანა.

ამას გარდა, თქვენი ბძანება იყო თუთასშვილი უნდა დაგვეჭირა და დავიჭირეთ, აქ ქალაქში მოგართვით, სამი ამილახვარის საუფლისწულო კაცი გახლდა იასაულად და ერთი მე. იმ ბიჭის ცხენი ჩვენ ოთხთ გავყიდეთ თორმეტ მინალთუნადა.

მერე თქვენთან მიჩივლა მირზასშვილმა და იმ ცხენის მაგიერად ჩემი ცხენი წამართვეს და მირზასშვილს მისცეს თავის ცხენის მაგიერად. მერე თქვენს სიმაღლესთან ვიჩივლე და ოქმი მებოძა, რომ ოთხთ ამხანაკთ იმ ცხენის ფასი თოთხმეტი მინალთუნი უნდა მოგვეცა და ჩემი ცხენი მე მამცემოდა.

ახლა ჩემო ხემწიფევ, ჩემი წილი თეთრიც მაშინვე მივეც და ცხენიც არ მამეცა, თეთრიც მიცემული მაქვს და ცხენიც წართმეული მყავს. ღმერთი გაგიმარჯვებსთ, ამის სამართალი მაღირსეთ და ერთის ოქმისა და იასაულის წყალობა მოიღვაწეთ, რომ ჩემი ცხენი მამეცეს.

თქვენი ოქმიც მამირთმევია, რომ ამილახვარმა არ მოაცემინა. მო-
Სამართლე ხემწიფე ბძანდებით და უსამართლოს საქმ[ი]თ ვ[ი]რჯები,

როლი ცხენი წართმეული მყავს და მე ერთი ბერი კაცი გახლავართ. წყალობას ვითხოვთ, სამართალი დამემართოს. სეკდემბერს **გ**, ქორონიკონს **უოთ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის მდივანო ე გ ნ ა ტ ი! მერე ამ ქ ა ი ხ ო ს რ ო ჩ ი კ ვ ა ი ძ ე ს ამხანაგებით თორმეტი მინალთუნი გამოართვი და მ ი რ ზ ა შ ვ ი ლ ს ნ ი კ ო ლ ო ზ მღვდელს მოეც: და ამ ნიკოლოზ მღვდელს ცხენი გამოართვი და ამ ქაიხოსრო ჩიკვაიძეს მოეც. უამისობა და ამის დაგვიანება არ იქნება. როგორადაც ამ ოქმით გვიბძანებია, ასე უნდა აღასრულო.

და ახლა რომ კიდევ ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ს ო თ ა რ ს ამისთვის ცხენი გამოურთმევია, ის ცხენიც გამოურთვი ოთარ ამილახვარს და მოეც. მოუცემლობა არ იქნება. სეკდემბერს **გ**, ქორონიკონს **უოთ**. ალბათ

ამ ჩიკვაიძეს თავისი წილი გამორთმევია და ამისმა ამხანაგებმაც უნდა მისცენ, რომ ამას თავისი ცხენი არ დაეკარგოს. ამილახვარმა ის ცხენი იმიტომ უნდა მისცეს, რომ რადგანც სახლის კაცებში ერთმანერთთან არეულობა აქვთ, ამის მიზეზით ვერ დაუჭერს.

და თუ სახლის კაცებს ერთმანერთში არეულობა არა ჰქონდესთ და ისე წაერთმევინოს, ის სხვა რიგი საქმე იქნება. სახლის კაცებში რომ არეულობა დაგვიწერია, ესენიც გაგდებულსავით არიან და ამისთვის უნდა მისცეს. მიუცემლობა არ იქნება.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

## 105. არზა წინამძღვარ იოაკიმესი სალაშქრო სამსახურის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1791 წ. 6 სექტემბერი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1284. დედანი. ქაღალდი 35×14,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის საქართუელოს მეფის ჰირი მოსცეს მათს სამარადისოდ მლოცველს, წმინდის დავით-გარესჯის მონასტრის უღირსს წინამძღვარს ი ო ა კ ი მ ს.

ჩვენო ყოვლად მოწყალეო, თქვენის მლოცველის და სამარადისოდ მომხსენებელის მონასტრის ანბავს მოიხსენებთ. ოცდაათი ლეკი მიჯდომოდა დღისით. მონასტრის ახლო რომ მივა კაცი, ერთი გზა ქვე-

მოთ გველაშაპის ჯევისაკენ შავა მონასტერში და ერთი ზევიდან გადაუვლის. იქ რომ მისულიყვნენ, ორათ გაყოფილიყვნენ მისაპარავათ. მონასტრიდამ უწინვე დაენახათ კოშკებიდამ და გვირაბიდამ გამოდახდომოდენ. იმ დროს მე ქისიყს გახლდი. ყარაულები სოფელში გხლებოდენ. ახლო აღარ მიეცადნათ, ბერებს თოფები დაეშინათ. სისხლი ენახათ დაღვრილი. მე, რომ ქიზიყიდამ გიახელ, პურის საღვაწად გახლდი, ეს ანბავი დამახვედრეს. რომელიღაც დაწყეველილი ბელადი არის, იმან აგვიჩემა, ოთხჯერ მოსულა ამ რიგათ.

ახლა თქვენს უმაღლესობას მონასტრის ყმისათვის ორმოცი კაცი ეთხოვნა ჯარათ. ჯერ ორმოცი სად არი, ათი კაცი ახლა გავგზავნე მონასტერში ყარაულათ, სხვა რაც დარჩა, ქისიყს რაც პური ვიშოვნე, იმის მოსატანათ გავგზავნე, მოვატანინო და მონასტერში გავგზავნო, რომ თქვენი მლოცველი ბერები გამოიზარდნენ.

ვეედრებით თქვენს უმაღლესობას, ყოველთვის თქვენგან წყალობა სჭირვებია, მონასტრის ყმა ჯარათ არ გაგიყვანიათ, მონასტერი უნდა შაინახონ. ორივ არ შეუძლიათ.

წყალობას ვითხოვთ, მონასტერი შეანახვინოთ და ჯარათ არ გაიყვანოთ. თუ არადა, ჩვენი თავიც და ესენიც თქვენის ჭირის სანაცვლო ვიყვნეთ.

მოხსენებისათვის ნუ გაგვიწყრებით, ჩვენო ყოვლად მოწყალეო. სეკდემბრის **გ**, ქორონიკონს **უოთ**.

თავში

ქ. მაღალ ღირსო არხიმანდრიტო იოაკიმ! ამ არზით, რომ მოგიწერია, ვითომ რომ მე ჯარი მეთხოვნოს თქვენის კაცებისათვის, შენმა მადლმა, რომ არც მითხოვნია, არც მომგონებია და არც გონებაშიდ გამ[ივ]ლია. ეგების მდივანს როგორმე შესცთა და სიაში ჩააგდო, თორემ მე არ მითხოვნია.

რომელიც მოასილი ხარ, დაეხსენ, ამათ კაცებზე ჯელი აიღე. ამათი ჯარში გამოყვანა არ იქნება. სეკდემბრის **ვ**, ქორონიკონს **უოთ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს.
ერეკლე.

## 106. არზა ზაზა ამირეჯიბისა წყლის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1791 წ. 7 სექტემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1155. დედანი. ქაღალდი. 20,8×14,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. ა-მეტნაკლული.

ქ. ღმერთმან ბედნიერი ხემწიფის ჭირი მოსცეს ამირეჯიბს ზაზას.

მერე ამას მოგახსენებთ: საღოლაშენს სოფელს არა ეშველა რა. ავალია[ნ]თ წყალი არ დაგვანებეს. განაჩენი გვებოძა, ამილახვარმა უთხრა, არ დაუჯერეს.

ღმერთმა ისე თქვენს მუხანათს გაუჭიროს საქმე, როგორც იმ სოფელს გაუჭირდა საქმე უწყლობით. მოგეხსენება სარწყავს ალაგს უწყლობით არა მოვა რა. ეხლაც ორი კომლი[1] ამიყარა და ზემო ქართლში წასულა. ერთი კოშკი ამიშენებია თქვენის მოწყალებითა და ფეხი მამიკიდნია და ახლა ნუღარა გამახარაბებინებ. თქვენის თავის მზემა, კაცი ვეღარა დავაყენე, რო[მ] უწყლობით მოსავალი არ მოზდისთ.

ღმერთი გაგიმარჯებს, ერთი ბეჯითი ოქმი და იასაული გვიბოძეთ, რო[მ] თავის წილი წყალი დაგვანებოთ, ხელმიორეთ აღარა გახარაბავდეს, თქვენ სამლოცველოთ დაკეთეს ენკენისთვის **დ**, ქორონიკონს **უოთ**.

თავში

ქ. ჩვენო ღმრთის წყალობავ შვილო ბატონო იულონ და ბატონო ამილახვარო ოთარ! მერე ამ არზით ამირეჯიბი მინბაში ზაზა ასე რომ ჩივის, როგორც განაჩენი ჰქონდეს და გაგვერიგებინოს წყლის საქმე, ისე უნდა გა[ა]რიგოთ. რომელიც არ იჯერებდეს იმ გარიგებას, უნდა დააჯერებინოთ. თუ რომ ისე არ გა[ა]რიგეთ, იულონ, შენ ჩვენს მამაშვილობაზედ ჯელი უნდა აიღო და ამილახვარო შენ ჩვენს ბატონყმობაზედ ჯელი უნდა აიღო, ასე იცოდეთ. სეკდემბერს **ზ**, ქორონიკონს **უოთ**.

ქ. ამასთან სალაპარაკო არა აქვსთ რა, ისეც უნდა გა[ა]რიგოთ. და თუ რამ სიტყვა აქვსთ ავალიშვილებს, მე მომახსენონ. ეს როგორც მოგვიწერია თავეთის წყალის წილის საქმე, ეს კი ასე უნდა

---

[1] კობლი.

გა[ა]რიგოთ. და თუ რომ ჩვენ მოგვახსენებენ ავალიანი და მასუკან გამტყუნდებიან, კიდეც გადავახდევინებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჰედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

ქ. ფარეშთხუცესო თეიმურაზ და მინბაშო ტეტიავ! ეს ასე გა[ა]რიგეთ ახლავ. მარტის [3], ქორონიკონს უპ.

## 107. არზა ივანე მოურავისა მამულის თაობაზე ვახტანგ ბატონიშვილის ოქმით

**1791 წ. 10 სექტემბერი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 25. საბუთი № 77. პირი. ქაღალდი. მხედრული. აგრეთვე საბუთი № 78.

[89v] ღმერთმან ჩვენთვის მოწყალის ჯელმწიფის ძის ვახტანგის ჭირი მოსცეს თრუსოს მოურავს ივანეს. მათ სიმაღლეს მოხსენდეს: მე რომ არზი მოგართვი, ხევს სიონს რომ ჩემი მამული გახლავსთ, იმ მამულზე ორი ოქმი მივ[ი]ტანე, არც სამართალში მამყვა, არცარა პასუხი მამცა.

ამ მოწყალებას ვითხოვთ. სიტყვა არა აქვსთ რა, ჩემი მამული დამანებოს. ორჯელ მოვიპატიჟე სამართალში, არ მამყვა, იასაულმა გამორეკა, გზიდამ გაგვეპარნენ, ღმერთსა ვფიცამ და თქვენს მზესა, ნება თქვენი აღსრულდეს. სეკდემბრის ჱ, ქორონიკონს უოთ.

თავში

[89] ბატონიშვილი ვახტანგ გიბძანებთ ბურდულო! მერე რომელსაც მამულს ეს თრუსოს მოურავი დაობს, ეგ მამული ამას დაანებე. ამის მოდავეს ხელი ნუ ექნება; ამისთვის, რომ სამართალში გამოუპატიჟნია და არ მოჰყოლია. და თუ მაინც სიტყვა ჰქონდეს, სამართალში მოჰყვეს და სამართლით გაიტანოს. სეკდემბრის ი, ქორონიკონს უოთ.

## 108. არზა ურია გათინაშვილისა მამულის თაობაზე იულონ გატონიშვილის ოქმით

**1791 წ. 13 სექტემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1183. დედანი. ქაღალდი. 17×11 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად მხოლოდ ერთ ადგილას ნახმარია ორწერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ძის იულონის ჭირი მოსცეს თქვენს სახასო ყმას ბათინაშვილს ურიას.

მერმე ამას მოვახსენებ: მე და დანიელა რომ ერთნი გახლდით და დიდი ხანია რომ გაყრილნი გახლავართ და ჩემი ნარგები მიწა დანიელამ გამიყიდა, გიორგი მღვდელს მიყიდა. ვილაპარაკეთ და განაჩენითაც მე დამრჩა, რომ თქვენ დაბეჭდეთ, მაგრამ მაინც არ დამანება. დანიელამაც აძლია თეთრი, მაგრამ არც მით დამანება.

და თქვენგან ამ მოწყალებას ვითხოვ, რომ ერთი ოქმი და იასაული მებოძოს, რომ ჩემი გამომირთვას და მომცეს. ღმერთი გაგიმარჯვებს, ენკენისთვის **იბ**, ჭორონიკონს **უოთ**.

თავში

ქ. ბატონისშვილი იულონ გიბრძანებ მურვანისშვილო ლუარსაბ! მერე ამ არზის პატრონი ამ არზით ასე რომ ჩივის, ჩვენგანაც დამტკიცებული აქვს განაჩენი. როგორც იმ განაჩენში უცხადებდეს, ისე უნდა გაურიგო, თავისი მიწები გამოურთვა და ამ არზის პატრონს მოაბარე, გაურიგებელს ნუ დაუგდებ. ენკენისთვის **იგ**, ჭორონიკონს **უოთ**.

ბეჭედი: ტომ-სჭესით არ ნაკლისაგან იულონ ირაკლისაგან.

## 109. არზა ზაზა ამირეჯიბისა ყმების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1791 წ. 21 სექტემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1094. დედანი. ქაღალდი. 22×16,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს თქვენს მონას ამირეჯიბს ზაზას.

ჩემო მოწყალევ, მოგეხსენებათ, რომ ჩემი კაცები ჯარდან ეშიკაღაბაშს ებარა, ოქმები თქვენი წყალობა ორიცა მაქვს, მაგრამ ჯარდანის შვილი ერთი ყმაწვილი არის.

ერთი ოქმი მიბოძე როსეფ მაყაშვილზედ, უწინაც ლუარსაბ იყო იასაული და ახლაც ეგ იმის ძმა არის. ებძანოს, რომ როგორც ჯარდანის წიგნები აცხადებდეს და ან თქვენი ოქმები, იმ გზით მამაბაროს ჩემი კაცები. ეგების თქვენის წყალობით მოვიხმაროთ რითმე, დიდი ხანია ამის საქმე გადაწყვეტილია[1], ჩემო მოწყალევ. სექდემბრის ით, ქორონიკონს უოთ.

თავში

ქ. მაყაშვილო მინბაშო როსეფ! ამ არზის პატრონს როგორც ჯარდან ეშიკაღასის პირობის წიგნი ჰქონდეს, იმ პირობის ძალით ჯავახიშვილები და დათუნასშვილი უნდა ახლავ აუყარო და მოაბარო. მიბარებული ჰყოლია და რას ემართლება, რომ არ დაანებებს. ახლავ უნდა აუყარო. სექდემბრის კა, ქორონიკონს უოთ.

გიგოლაშვილებიც უნდა აუყარო და მოაბარო.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

## 110. არზა სტეფანესი შენობის გაყიდვის თაობაზე ალექსანდრე გაბონიშვილის ოქმით

**1791 წ. 23 სექტემბერი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 645. დედანი. ქაღალდი. 19,7×11 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერი ჴელმწიფის ძის ალექსანდრეს ჰქირი მოსცეს მათ მონას ნაცვალი აკოფას ძმას სტეფანეს.

ამას მოვახსენებ ჩემს მოწყალეს: ექვსი თუმანი დავხარჯე და ერთი გომური ავაშენე ლასურიანთ წყაროს თავში. ახლა საქონელი კი აღარა მაქვს, მოვალე[ე]ბიც მაწუხებენ და იმ გომურს ვყიდი [და] ყორჩიბაშისშვილები არ მასყიდვინებენ. ღმერთი გაგიმარჯვებს, წყალობა მაღირსე. სექტემბერს კგ, ქორონიკონს უოთ.

თავში

ქ. ბატონისშვილის ალექსანდრეს სიკეთით სახსოვარნო ყორჩიბაშიანო. მერე ამ არზის პატრონს ამ არზით, რომ ასე მოუხსენებია, თავის აშენებულს გომურს რას ემართლებით, რომ არ ასყიდვინებთ. როგორც სხვას გაეყიდნოს, ესეც ისე გაჰყიდის; იმ გო-

[1] გადაწყვეტილია] გადაწყვეტი ამის საქმე.

მურზედ ამასთან საქმე ნურა გაქვსთ რა. და თუ სამართლიანი სიტყვა გქონდესთ, სამართალში ელაპარაკენით. ენკენისთვის **კგ**, ქორონიკონს **უოთ**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჭედი: დავითის რტო სახელ მძესა ალექსანდრე მეფის ძესა.

## 111. არზა იოთამ ტატიშვილისა ვალის თაოგაზე იულონ გატონიშვილის ოქმით

**1791 წ. 8 ოქტომბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 6570. დედანი. ქაღალდი. 19×14,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია **ორი წერტილი**.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ძის იულონის ჭირი მოსცეს ტატიშვილ იოთამს.

მერე ამას მოგახსენებთ: მერეთს ერთი კომლი[1] კაცი მყვანდა. ის კაცი ამამიწყდა და იმისი ქვრივი და ობოლი დარჩა. და ის ერთი ხელოსანი კაცი გახლდა, თუ რამ ჰქონდა რამე, აქა-იქ გაცემული ჰქონდა და მკვდარიც ისევ დაუმარხავი არი და ქვრივი და ობოლიც მწარეთ შეწუხებული გახლანან, რომ არსაით ილაჯი არ აქთ და ვისაც რამ მართებთ[2], არას აძლევენ და სიღარიბისაგან მწარეთ ნაილაჯი გახლანან.

ქვრივისა და ობლის მოწყალე ბძანდებით და ერთი საწყალობელი გახლავთ. ღმერთი გაგიმარჯვებს, ა[მა]ზედ ერთი ოქმი და იასაული [გვიბოძე]თ, რომ ვისაც ემართოს რამე, გამოურთვან და ებოძოს. ჩვენი მოხსენება ეს არი და ნება მათი უმაღლესობისა ასრულდეს. აღიწერა ოქტომ[ბრ]ის თვის **ვ**, ქორონიკონს **უოთ**.

თავში

ქ. ბატონიშვილი იულონ გიბძანებ ბოქოულთხუცესო ფირან! მერე ამ არზით ტატიშვილი იოთამ რომ ასე ჩივის, ერთი იასაული გაგზავნე და ვისაც იმ მკვდრისა ემართოს რამე, ყვე[ლას] უკლებლად გამოერთვას და მოსცეს. ღვინობისთვის **ჱ**, ქორონიკონს **უოთ**.

ბეჭედი: ტომ-სქესით არ ნაკლისაგან იულონ ირაკლისაგან.

---

[1] კობლი. [2] უმართებთ.

## 112. არზა თომაშვილებისა მამულის თაობაზე დავით ბატონიშვილის ოქმით

**1791 წ. 11 ოქტომბერი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 4057. დედანი. ქაღალდი. 34×14,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბატონიშვილის დავითის ჰირი მოსცეს მათს მიწა ფეხთა მტვერს თომაშვილს გიორგის, ვახტანგსა და ღვთისიასა.

ამას მოვახსენებ: ცხრას ძმას მამული გ[ვ]იბოძეთ, არ დამნებდა. მასუკან საკორინთლოს ნაბიჭ[ვ]რიშვილის ბეითალმანი მიბოძეთ. თქვენმა ძმამაც იასაული დამაყენა. ხე ტყე მამ[ა]ჭრევინა. კორინ[თ]ლიანი არ მანებებენ. ოქმი მჭონდა თქვენი წყალობა, ის ოქმი დამეკარგა.

ამდენი მოწყალება მიყავით, ერთი ოქმი და იასაული მებოძოს, ხელი ამიმართონ. სანამ თოვლი მოვიდოდეს სახლი ავიშენო. ბე[ი]თალმანია, საქმე არავის აქ[ვ]ს და ნათლულები გახლავართ. ჩემი ძმისწული თქვენ ალექსიშვილს დავითს უბოძეთ. ამილახვრიანი თავ[ი]ანთს მამულში აღარ გვაყენებენ. ხო ვეღარ გაურჯულოვდებით, თუ ეს მამული არ გვებოძა, უნდა დავიკარგნეთ.

თავში

ქ. ბატონ[ი]შვილის დავით[ის სიკე]თით სახსოვარო შვილო ქაიხოსრო. მერე [ამ არზის] პატრონს ასე, რომ მოუხსენებია, ამას [ოქ]მი ამას წინათაც მიეცით და დაჰკარგვია და კორინთლები თურმე არ ანებებენ.

ახლა შენ ახლავ მიდი და ის ნაბიჭვრიშვილის ბეითალმანი მამული ამ ნაოსრებს მოაბარე. ამათთვის გვიბოძებია. ახლავ უნდა სახლი ააშენონ.

რაც ნაბიჭვრიშვილის ნაქონი მამული იყოს ყველაზედ ხელი ამართე და ამათ მოაბარე. ამათთვის სამკვიდროდ გვიბოძებია. კორინთლებს ხელი არა აქუსთ. ასე იცოდნენ. ოკდონბრის ია, ქორონიკონს უოთ.

ბეჭედი: ერთს ღმერთსა ვესავ სამობით დავით ღთის მამის ტომობით.

## 113. არზა მღებრისშვილებისა გამოსაღების თაობაზე იულონ გატონიშვილის ოქმით

**1791 წ. 12 ოქტომბერი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 644. დედანი. ქაღალდი. 31×16,8 სმ. მხედრული. კვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. ა-მეტ-ნაკლული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის მეფის ძის ·იულონის ჭირი მეჯვრისხველს მღებრისშვილს თამაზს და გლახას მოსცეს.

ჩვენი მამა-პაპა რომ მეჯვრისხევს მოსულა, თვისის თეთრით მამულები უყიდია და იმაზედა დასახლებულა. შანშე [ე]რისთავს რომ ციხის გაკეთება მოუნდომებია, ჩვენს მამულში გაუკეთებია. ამ ჩვენის მამულის მაგიერად სხვა მამული მოუცია. როგორც ჩვენს ნასყიდს მამულს ღალა და კულუხი არ სდებია, ისე იმის ნაბოძებს მამულს ღალა და კულუხი არ დაუდვია და ისე უბოძებია. და მამულის წიგნებიც თქვენ გახლავს. ერთი ალაპი დაუდვია: აღდგომას ერთი ბატკანი უნდა დაეკლათ ბატო[ნისათვის], ერთი ზურგიელი უნდა გაეჭრათ; ამის მეტი არა გვდებია, გუჯარიც ისე აცხადებს. ახლა თქვენი მოხელე[ე]ბი კულუხსა გვთხოვენ. ღმერთი გაგიმარჯვებთ, უსამართლოს და უდებს ნუ დაგვადებთ. არას დროს არ გამოგვრთმევია რა, ნურც ახლა გამოგვართმევთ. ღვინობისთვის იბ, ჭორონიკონს უო[თ].

თავში

ქ. ბატონიშვილი იულონ გიბძანებ თულაშვილო ნაზირო იოსებ! მერე ამ არზის პატრონი ამ არზით რომ ასე ჩივის, რაც დავთარში არ ედვას, იმის მეტს ნურას გამოართმევთ. რაც მამული უჭირავს, იმ მამულში რაც დებულობა ჰქონია, ის უნდა გამოართვათ. რაც დავთარში არ ეწეროს, იმის[1] მეტს ნურას გამოართმევთ. ღვინობისთვის იბ, ჭორონიკონს უოთ.

ბეჭედი: ტომ-სჭესით არ ნაკლისაგან იულონ ირაკლისაგან.

[1] + იმის.

## 114. არზა ზაქარია ჩიქლაძისა მამულის თაობაზე იულონ გატონიშვილის ოქმით

**1791 წ. 13 ოქტომბერი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 7195. დედანი. ქაღალდი. 28,7×10,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი. აკლია ხმოვნები: ა, ე, ი. საბუთის მეორე დედანი დაცულია იქვე (Hd 2216).

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ხელმწიფის ძის იულონის ჰირი მოსცეს მათ მლოცველს ცოდვილ ხუცეს ტყვიავს მსახლობელს ჩიქლაძე ზაქარიას.

ახლა ამას მოვახსენებ მათს უმაღლესობას: როდესაც ტყვიავის წმინდის მღთისმშობლის ეკლესია აშენდა, ერთი პარტახტიც შესწირეს ხუთის ეჭვსის კოკისა. ასე იყო შენი ჰირიმე. სოფლის კაცი თითო კონას სარს მიიტანდენ; შეიმუშავებდენ, რაც გაგივიდოდა, ნახევარს ეკლესიას მიართმემდენ ხილსა, თუ თივასა, თუ ტკბილსა. იმ ეკლესიის გვერდზედ მარანი იყო, იქავ ჩაასხმიდენ[1]. ქარელი მდივანი კი ყმა შეიქნა და იმ სოფლის მოხელე შეიქნა. აღარც სოფელს ამუშავა, ის პარტახტი თითონ დაიჭირა და ის ქვევრებიც ამოყარა და შინ წაიღო; ეკლესიას სამთელს უქრობს, თითონ სჭამს.

ღმერთი გაგიმარჯვებს, მოიკითხე აზნაურშვილები გახლანან და გლეხნი. თუ ეს ჩემი მოხსენებული ტყუილი იყოს, დამსაჯე.

თქვენის დოვლათით დურგლები შეპირებული მყამს, ამ ზამთარ კანკელის გაკეთებას ვაპირებ. ქარელი გლახა არას მანებებს, არც ტკბილსა, არცა კაკალსა. ან რა ვასვა იმ დურგლებს ან რა ვაჭამო.

ღმერთი გაგიმარჯვებს ამისი სამართალი მაღირსეთ, მამყოფეთ თქვენი მლოცველი.

თავში

ქ. ბატონიშვილი იულონ გიბრძანებთ ტყვიავის მოურაო ჩერქეზისშვილო ფირან და მამასახლისო ჩიქლაძე. მერე ტყვიავს, რომ ღმრთის მშობლის ეკლესია არის, ის ეკლესია ჩვენთვის დაგვიდვია. სხვას საქმე არავისა აქვს. ან რაც იმ ეკლესიის შეწირულობა არის, საკუთრად იმას უნდა დანებდეს და იმ ეკლესიას მოხმარდეს. ჩიქლაძე მღდელი ზაქარიაც ასე უნდა იყოს მანდ ეკლესიაში, როგორც აქამდინ ყოფილა. წირვა და ლოცვა, როგორც შეეძლოს, ისე განუწყვეტლად უნდა იყოს. ღვინობისთვის იგ, ჭორონიკონს უოთ.

---

1 ჩასხვდნ.

რაც შემოსავალი აქვს იმ ეკლესიას, ის ჩვენ უნდა შევიტყოთ, რაც მღვდელის მართებულია, იმას ჩვენ მივცემთ. და სხვა რაც მრჩება, იმ ეკლესიას უნდა მოხმარდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდეზე

ქ. ვინც ტყვიავში უფროსნი კაცნი ხართ ღმერთს გაფიცებთ, როგორც იცოდეთ ამისი აღიღათი, ჭეშმარიტებით მოგვახსენეთ. ღვინობისთვის გ, ქორონიკონს უოთ.

**ბეჭედი: ტომ-სქესით არ ნაკლისაგან ი უ ლ ო ნ ირაკლისაგან.**

ქ. ღმერთს ვფიცამ და შენს მზესა გიგუაშვილი ბერუა ამ ვენახში ქარელს ხელი არა აქვს, ძველთაგან ეკლესიისაა. ეს ჩემი ხელია.

ქ. ღმერთს ვიფიცამ მე, გოგია უვართულისშვილი და შენს მზესა, ეს ვენახი წმინდა მხთიშობლის არის, ქარელს ხელი არა აქვს ჭეშმარიტათ.

ქ. ღმერთს ვფიცამ და შენს მზეს მე, ჯაკაშვილი გიორგი, რომ ეს ვენ[ა]ხი ამ ხთ[ი]შობლის არის. ოთხმო[ცი] წლის კაცი გახლავარ.

ქ. ღმერთს ვფიცამ და შენს მზესა სულ ერთობით ტყვიავთანი აზნაურიშვილი და გლეხნი, არას კაცს ამ ვენახში ხელი არა აქვს, არც ქარელსა არც არავის სხვასა, წმინდის მხთისშობლისაა. როდესაც ეს ეკლესია აშენებულა, მას აქეთ ამ ეკლესიისაა. ნება თქვენია. დაიწერა ამათის სიტყვით.

ქ. მოწმეები ებძანა. ეგენი [ს]წორად მოგ[ვ]ხსენდა. აწ რაკი გვახსენებენ, ეს ვენახი ხატის არის ჭეშმარიტათ.

## 115. არზა დავით აფხაზისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1791 წ. 17 ოქტომბერი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 45. საბუთი № 34. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[19v] ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჰირი მოსცეს დავით აფხაზს.

ჩემო ხემწიფევ, ერთობივ იმის ყმას ჩემს ხემწიფეს ამას მოვახსენებთ: შარშან ოქმი მებოძა თქვენის სიმაღლისაგან და მდივანბეგები გვებოძა, იასაული არ გვყვანდა და ჩვენ თავი თავს ვერ მოუყარეთ მდივანბეგებს.

ახლა ამას გევედრებით, რომ ეს ჩემი საჩივარი ცოტა საქმე არის და ახლა ბევრს საქმეში ბძანდებით; ღმერთმან რომ მშვიდობით [illegible] და დაბრუნდეთ, მაშინ ერთი ოქმის და იასაულის წყა[illegible]ვით, რომ მდივანბეგები შემოყაროს და სამართალი გვიყოს. ამათი უმამულობის ცოდვა მაწუხებს და მეც თქვენ გაწყენთ თავს. თქვენის შვილების სადღეგრძელოთ და თქვენათ გასამარჯვებლათ ამ საცოდავებს მოწყალებით მოხედე, ჩემო ხემწიფევ. ღვინობისთვის **იე**, ქორონიკონს **უოთ**.

ჩემო ხემწიფევ, ნა[20]ფიცი რომ წამერთვა, თავიანთ ძალით საყოველთაოთ წამართვეს.

ქ. ორი იმთენი სხვა წამართვეს, რაც რომ მაგათ ნაფიცში დამ[რ]ჩა. ერთის ჩემის კაცის ფ ი რ ა ს ვენახი და [სა]სახლე ა ი დ ე მ უ რ მ ა, გ ი ო რ გ ი მ და ბ ე ბ უ რ მ ა წამართვა. და [ა]ხლა ვინც უკანა მხარში მიჯნები ამოყარა, აიდემურ, გიორგი და ბებურ მოგახსენებსთ;

ქ. ორი მიწა ძეძვში ნაფუზარი გიორგიმ, ბებურმა[1] და აიდემურმა წამართვეს, რომ თექვსმეტის დღისა იქნება.

თავში

ჩვენი ბძანება არის ხ ა ტ ი ა შ ვ ი ლ ო ს ვ ი მ ო ნ! მე[რე] ესენი მსაჯულთ სამართალში უნდა ერთად შემოჰყარო დაალაპარაკოთ და სამართალი მისცენ. ოკდომბრის **იზ**, ქორონიკონს **უოთ**.

## 116. არზა ბერისა გამოსაღების თაოგაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1791 წ. 23 ოქტომბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 375. დედანი. ქაღალდი. 21,4×10,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჴ ე ლ მ წ ი ფ ი ს ძ ი ს გ ი ო რ გ ი ს ჭირი მომცეს მათს ყმას და თქვენის მოახლის წ ყ ნ ა რ ი ს ა ხ ა რ ი ს ძმისწულს ბ ე რ ს ა.

ჩემო მოწყალევ, ორჯელ ტყვეობიდამ თავი დამიხსნია ვალითა და ვახშით და ისევ თქვენს საფარველს ქვეშ გხლებივარ. ხ ი დ ი ს თ ა ვ ს გახლავარ და ლამის რომ მესამედ დამატყვევონ. რაც სული ხიზანი მყავს შესანახავი, იმათი შენახვა ცალკე მაწუხებს და სათხოვარშიაც ცალკე მაწუხებენ.

---

1 ბებურსა.

თქვენი ყმა და მონა გახლავარ, ნუ დამკარგავთ, ღმერთი გაგიმარჯვებსთ, შებრალებით გამიკითხეთ, ერთი მტკიცე ოქმის წყალობა მიყაეთ, რომ ხარჯში არავინ შამაწუხოს და არ მეთხოებოდეს თქვენ გადლეგრძელებსთ. ოკ[დ]ემბერს **კა**, ქორონიკონს **უოთ**.

თავში

ქ. ბატონო ამილახვარო ოთარ, მერე ამ არზის პატრონს ეს ასე რომ მოუხსენებია, ეს კაცი შენ გებარებოდეს, ნურც ხარჯში და გამოსაღებში გარევთ, რადგან ასე შეუძლებელი და ვალის პატრონია. და რომელნიც მოასილნი მიხვიდეთ, თქვენცა ასე უნდა იცოდეთ, რომ ამას არა გამოერთმევა რა და ნურც შეაწუხებთ.

ბატონო ამილახვარო, ეს წიგნი ისევ ამას უბოძე და ნურავის გა[ა]გლეჯინებ. ღვინობისთვის **კგ**, ქორონიკონს **უოთ**. გიორგი

## 117. არზა ზურაბ ფალავანდიშვილისა უმის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით

**1791 წ. 27 ოქტომბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 659. დედანი. ქაღალდი. 26,2×13,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია მძიმე, წერტილი ან ორწერტილი.

ქ. ღმერთმან მეფის ძის გიორგის ჭირი მოსცეს ფალავანდიშვილს ზურაბს.

ერთი გიორგი ფალავანდიშვილის ნაყმევი კაცი პირველად რომ ღრაფი გადმოვიდა, ის კაცი მაშინ თან გადმოყვა. პირველად რა [რ]ომ მორიგე აიწერა, ჩემ ყმათ თავისი თავი დაეწერინებინა. იმ დღიდამ მოკიდებული იმისი მორიგობა თუ ლაშკარი ან გადასახადი ჩემის ყმებისათვის მიხდევინებია, იმის წილს ჯარში ჩემი მსახური მიროწინებია. ამას გარდა, რაც შემძლებია მიცემითა თუ რითაც ფერით, შევწევივარ. დედოფალთანაც მიჩივლა და გავამტყუნე.

ახალდაბას მობძანდა ბატონი; თავათ მე მოვიყვანე, ვიჩივლე და იქაც გავამტყუნე. იოსებ მდივანს უბძანა, ფალავა[ნ]დიენთ დასწრებით იქაც ვალაპარაკე, იქაც გამტყუნდა და ისევ ბატონყმობაზე შემარიგა იოსებ მდივანმა, სულ ერთობით ფალავა[ნ]დიე[ნ]თ.

ახლა თქვენთვის თავი უწყენია; მე თქვენს სამართალს ვჯერვარ, თქვენს სამართალში მოიყვანეთ და გვალაპარაკეთ. ღმერთი გაგიმარჯვებთ. აღიწერა ღვინობის[თვის] **კა**, ქორონიკონს **უოთ**.

ქ. ბატონიშვილი გიორგი გიბრძანებთ ჯ მ უ ხ ა ძ ე ვ ა [illegible]! მერმე ამ არზით ეს ასე რომ მოუხსენებია ზურაბსა დ[illegible]თალში ულაპარაკებიხარ და ამასვე დარჩენიხარ ყმათა, ეს ბატონი იქნება და შენ ამას რიგიანათ ემსახურე. ძალას ვერც ეს გიზამს. თუ კიდევ სხვა სიტყვა გაქ[ვს] რამე, სამართალში ელაპარაკე. მაგრამ თუ სამართალში გამტყუნდები, უფრო ავი იქნება. გიორგობის კზ, ქორონიკონს **უოთ.**

ეს ზურა[ბ] რომ ამბობს, ამთენი სამართალში გამტყუნებულხარ და რაღა სიტყვა გაქვს. მაინცა და მაინც თუ აღარ დაიშლი, სამართალში მოდი, ელაპარაკე. მაგრამ თუ გამტყუნდები, ავი იქნება.

|გიორგი|

## 118. არზა გივი ავალიშვილის ყმა-მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1791 წ. 13 ნოემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 170. დედანი. ქაღალდი. 23×13 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან მოწყალე ჴემწიფის ჴირი მათს მონას ა ვ ა ლ ი-შ ვ ი ლ ს გ ი ვ ს მოსცეს.

მართალია, მე და ჩემს ძმას ერთმანერთთან ლაპარაკი მოგვიხდა, ერთად ველარ დავდეგით, ო ტ ი ა მდივანბეგი გადმოეყვანა, მამული გაყო, არც გაყრა მინდოდა, არც ბარათები ვინდომე.

ჩემი ძმა თქვენის ჴირის სანაცვლო შეიქნა. ჩემი რძალი ფიცხლავ ჩემთან შემოვიდა, რაც შემეძლო მკუდარიც დავმარხე და ჩემს რძალსაც ვინახევდი.

ჩემ[მ]ა მტრებმა ჩემი რძალი ჩემთან აღარ დააყენეს. მოგეხსენება, ჩვენი ყმა და მამული გასაყოფი არა არის რა.

თუ ინებებს ჩემი რძალი, მტრის ქართულს არ აჰყვება, რაც შემეძლება პატივით შევინახავ. და თუ არ ინებებს ჩემთან დგომას, როგორც სხვას განწესებია პური, ღვინო და საცმელი, ჩემს რძალსა და ობოლსაც ისე განუწესეთ და მეტობით მიმაცემინეთ; ობოლი როცა გაიზარდოს, რაც შემეძლება, ისე გავისტუმრებ.

თუ ასე არ ინებებთ, ჩემი თავი თქვენის ჴირის სანაცვლო ქმნას ღმერთმან. ბრძანება თქვენი აღსრულდეს. გიორგობის ი, ქორონიკონს **უოთ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის, ავალიშვილო გიო! შენ ხათრიჯამი იყავი, შენის ძმის იოანეს წილი ყმა და მამული შენ[ი] გერთმევა, შენთვის გვიბოძებია. შენი რძალიცა და შენ[ი] ობოლიც შენ უნდა შეინახო; ობოლი გაზარდო და გა[ა]თხოო და შეძლებისამებრ გაისტუმრო.

და რაც შენს ძმას ვალი დარჩენია გელია შინჯიკაშვილისა, ესეც შენ უნდა მისცე და მოიშოროო. ამაზედ ჩვენთან ნუღარ ილაპარაკებ. გიორგობისთვის **იგ,** ქორონიკონს **უოთ.**

ბეჭედი: ჭნარს მიცემს, დავით მიჯობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

## 119. არზა გიორგი ამილახვარიშვილისა მამულის თაობაზე ვახტანგ ბატონიშვილის ოქმით

**1791 წ. 17 დეკემბერი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 716. დედანი. ქაღალდი. 15,5×12 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ჩვენთვის უღირსად მოწყალის ჯელმწიფის ძის ვახტანგის ჰირი მოსცეს მათს ფერხთა მიწას ამილახორის შვილს გიორგის.

მერე ამას მოვახსენებთ მათს სიმაღლესა: რაც მე აქ ფხვენის[ს] მამულის მოწყალება მიყავით, იმ მამულიდამ ერთი მიწა ზედგინიძემ გამომართო ჩემის ნებაყოფლობითა, არა იქნება რაო, ეს მიწა მაჩუქეო, მამულის მცირე კაცი ვარო და მეც მივეც თქვენის ხ[ა]თრისთვის, მეც იმის ვარ, მიწაცა და ზედგინიძეცა მეთქი, ჩემს გუნებაში ვთქვი. ახლა თურმე სიცრუით გამომართო და აქაურს კაცზე ჩემს შეუტყობლად ოთხს თუმნად გაუყიდნია.

ახლა ამ მოწყალებას ვითხოვ, რომ ერთი ოქმი გვებოძოს, რომ ის მიწა ისევ შეუშალოს. მე მანამ ცოცხალი გახლავარ, ხომ მოწყალებათ გიბოძებია. საბოლო[ო]თ თქვენთვის არ დაიკარგოს. ამას გარდა რაც რამ კიდევ მამული მომაკელით და იმას უბოძეთ, იმას[ა]ც ყიდის თუ იმისი ოქმი არ უბოძეთ, შენი რისხვა არა მაქვს, ჩემს თავს რომ გაბუზღებდათ მამულს ყიდისო, ახლა მოკითხული ბძანეთ, რომელი ყიდის, დეკემბრის **ია,** ქორონიკონს **უოთ.**

თავში

ბატონიშვილი ვახტანგ გიბძანებ ხერხეულიძე აღათანგი! მერე ამილახვარიშვილი გოგია რომ ასე

უჩივის. რომელიც მიწა ამისთვის ზედგინიძეს გამოერთმიოს და გაუყიდოს, ახლავ უნდა წა[ა]რთო ეგ მიწა ვისაც ეყიდოს და თეთრი ზედგინიძეს მიაცემინო და ყადაღა უყავ, რომ მაგისგან მამული არავინ ყიდოს, თორემ წაერთმევათ და თეთრიც დაეკარგებათ. დეკემბრის ქორონიკონს უო[თ].

## 120. არზა გიორგი როსეფაშვილისა ნაშვილებისა თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1792 წ. 8 იანვარი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2671. დედანი, ქაღალდი. 22×11,5 სმ. მხედრული. ალაგ-ალაგ თითო წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მ ჭ ა დ ი ჯ ვ ა რ ს მოსახლე რ ო ს ე ფ ა შ ვ ი ლ ს გ ი ო რ გ ი ს მოსცეს.

ჩემო მოწყალევ, მე ჯავახეთიდამ ვარძიის დეკანოზიშვილი გახლავარ, ერთი ყმარწვილი შვილათ ამიყვანია და გამიზდია. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი ზ ა ქ ა რ ი ა რომ აქიდამ გაიქცა, მაშინ მ ჭ ა დ ი ს ჯ ვ ა რ ს ამ ჩემის შვილით გიახელ.

ახლა ბ ე ჟ ა ნ რ ა ტ ი შ ვ ი ლ ი მეჭიდება და ამ ჩემს გაზდილს შვილს მართმევს, ჩემის ყმის ბიძაშვილი არისო. ჩემო ხელმწიფევ, მე არც მაგისი ყმობით წამამიყვანია და არც სხვისა. ჯ ა ვ ა ხ ე თ ს ობოლი ამიყვანია და შვილათ გამიზდია და ამაგი დამიდვია. მაგას რა საქმე აქვს, ეს ბიჭიც დაკარგვის გზაზე დამდგარა.

ღმერთი გაგიმარჯვებს, და ღმერთი ამ შეჭირვებისაგან დაგიხსნით, მიშველე რამე, ერთი ბეჯითი ოქმი მიბოძეთ, რომ ბეჟანს ამ ბიჭთან საქმე არა ჰქონდეს, თქვენი შვილების სადღეგრძელოთ. იანვრის გ, ქორონიკონს უპ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის იასაული ეშიკაღაბაშო ა ი დ ე მ უ რ! მერე ამ არზის პატრონს ამ არზით რომ ასე მოუხსენებია, ლ ა ბ ა რ ი შ ვ ი ლ ი ბ ა ს ი ლ ა და გ ო გ ი ა ზაქარია ციცისშვილის ნაყმევნი არიან; და ესენი ორნივ ძმანი ჩვენ ბეჟან რატიშვილს უბოძეთ. და ერთი ამათი ბიძაშვილი ნ ა ს ყ ი დ ა რომ [რო]სეფაშვილს გიორგის გერათ ჰყოლია და ეს ბიძაშვილები ამ ნასყიდ[ა]ზედ ჯელს არ იღებენ, ვერ მოვშორდებითო, ახლა ეს ლაბარიშვილის ნასყიდაც ამ ბეჟან რატიშვილისათვის გვიბოძებია. შენ მიდი მჭადისჯვარს, ეს კაცი აჰყარე და ბეჟან რატიშვილს მოაბარე, ჩვენ ბეჟანისთვის გვიბოძებია. ამაში არცარა საქმე ჩვენს შვილებსა აქვს და არც არავის სხვასა. იანვრის ჱ, ქორონიკონს უპ.

ქ. როგორც ზემოთ დაგვიწერია, ამათი ბიძაშვილი ნასყიდაც ბერჟანისათვის გვიბოძებია. თუ ამ ნასყიდაში სხვას სიტყვა ჰქონდეს ვისმე, ჩვენ მოგვახსენოს ალბათ.

ბეჭედი: ჭნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფე-ერეკლე.

## 121. არზა არხიმანდრიტ იოაკიმისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1792 წ. 30 იანვარი**

ცსსა. ფონდი 1449. საბუთი № 1998. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან მათის უმაღლესობის ყოვლად მოწყალის საქართველოს მეფის ჰირი მოსცეს მათს სამარადისოდ მლოცველს უღირსს წინამძღვარს იოაკიმს.

მერმეთ ამას მოვახსენებ. თქვენის ნეტარად ხსენებულთა მამა-პაპათაგან წმიდის მონასტრის შემოწირული სოფელია მთაში ჟატი თავის სამძღვრით მთით. ის სოფელი და იმის მთა პატარძეულელთ ღორს მოაჭამეს.

წყალობას ვითხოვთ: ოქმი გვებოძოს, თავის სამართლით საბალახე მოსცენ მონასტერს, ჩვენო ყოვლად მოწყალეო. იანვრის **ც**, ქორონიკონს **უპ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ნაცვლი შვილო დავით და ონა-შ!ვილო ტეტიავ! მერე ამ არზით ამ არხიმანდრიტს იოაკიმს ასრე რომ მოუხსენებია, ის ჟატი სოფელი წმიდის დავით-გარესჯის მონასტრის შეწირული არის. იქ პატარძეულელთ თუ სხვათ ღორი რომ ჰყოლიათ, თქვენ უნდა მიხვიდეთ და სამართლიანის საქმით საბალახე აართვათ და ამ არქიმანდრიტს მოაბაროთ. თუნდა იქ მდგარიყვნენ და თუნდა სხვაგან, თუ ის სოფელი მოუჭმევიათ საბალახე უნდა მოსცენ. იანვრის **ლ**, ქორონიკონს **უპ**.

თუ ჭეშმარიტი სიტყვა ჰქონდეს ვისმე, მოგვახსენოს. თუ არადა, ტყუილად ნურავინ ილაპარაკებს, თორემ დიდათაც უწყენთ, ასრე იცოდენ. ერეკლე

## 122. არზა მელვინეთხუციშვილებისა უმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1792 წ. 4 თებერვალი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 409. დედანი. ქაღალდი. 34,3×19.5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან მისის უმაღლესობის ჯემწიფის ძის გიორგის ჭირი მოგვცეს მელვინეთხუციშვილს თომასა და პაატას.

ქ. ამას მოვახსენებთ ჩვენს მოწყალეს ჯემწიფეს: თქუენის ჯემწიფე მამისაგან და თქუენგან რომ წედისის მამულის წყალობა დაგვემართა, რაც წედელი კაცი იყო, იმას გარდა იქავ ოთხი კომლი ჯავახი იდგა და ის სოფელი რომ გლეხზედ მცირე იყო, იმ ჯავახებით მოწყალება მოიღო და ისე წყალობა.

იმ ჯავახებიდამ თურმე ერთი კაცი თქუენის შვილის იოანეს გამდლის წუნარისახარის ძმა ყოფილიყო და ორს სამს წელიწადს უკან თქვენის შვილის იოანესათვის თავის გამდელს თავი ეწყინა და შეეწუხებინა, ის ჩემი ძმა გამოიხსენო.

თქუენი შვილი მდივანბეგებთან მიბძანებულიყო. ჩვენთვინ ებძანებინა და ვიახელით; გვიბძანა: მართალია, ეს ჯავახები, პაპაჩემსა და მამაჩემს ასპინძას რომ გამარჯვებიათ, იმჟამათ აუყრიათ და გადმოუყვანიათ და მასუკან თქუენთვის უბოძებიათ, მაგრამ ეს ერთი კაცი მე უნდა დამანებოთ.

ჩვენ იმ ჩვენს ჯემწიფის შვილს ეს მოვახსენეთ: თუნდა[1] რომ თქუენის მამის და პაპისაგანაც ბოძებული არ იყოს და ჩვენი თეთრით ნასყიდი იყოსო, რადგან აგრე მოგინდომებიათ, რა სიტყვა გვაქვსო, ჩვენი თავი თქუ[ე]ნის ჭირის სანაცვლო იყოსო.

ამ ჩვენს მოხსენებაზედ მას უკან მდივანბეგებმა მოახსენეს: რადგან ეს კაცი მოგინდომებია, ამასთან კი ხელი ნუღარ ექნებათ, მაგრამ თქუენს მამასა და პაპას რომ უბოძებიათ, რადგან გამოართმევეთ მაგიერი კი უნდა უბოძოთო.

მერმე თქუენმა შვილმა გვიბძანა: მანამდინ მაგიერს კაცს გიშოვნიდე, ეს კაცი თქუ[ე]ნვე იმსახურეთო. ჩვენ დიდი მადლობა მოვაჯსენეთ, მაგრამ მას დღეს აქეთ თვალითაც აღარ გვინახავს ის კაცი.

ახლა იმის განაყოფს, რომ დღეს იქ გვისახლობს, თქუენთვის თავი უწყენია და არზა მოურთმევია — ღარიბი ვარ და თქვენი ყმა ვარო და სათხოვარში ძალას მატანებენო, შალავათი დამემართოსო; ახლა

---

[1] თუ უნდა.

თქვენ ოქმი გიბოძებიათ ამილახვარზედ: ამ კაცზედ თვალი დაიჭირე, უბრალოთ ძალასა და უსამართლოს ნურავის აქნევინებო. ის ოქმი და არზა ჩვენ არ გვინახავს, მაგრამ იმისმა მეზობლებმა ჩვენთან ასე მოგ[ვ]ახსენეს, რომ ასე სწერიაო.

ამას გევედრები: იმ უწინდელს კაცზედაც თქუენის შვილის მაყურებელნი გახლდით, თვარემ თქვენს მოხსენებას ვაპირებდით. ახლა თქუენის მამის მზესა ვფიცავთ და თქვენს მზესა, რომ თუ ის კაციც გამოგვერთვა, თქვენი წყალობა სიგელი სულ მოგვეშლება და ნება თქუენი აღსრულდეს. დეკე[მ]ბერს **ლა**, ქორონიკონს **უოთ**.

**თავში**

ქ. ბატონისშვილი გიორგი გიბძანებთ ჯავახო ბერუაე! მერე შენ რომ მოგვახსენე, თქვენი ყმა ვარო და ოქმი გამოგვართვი, და ახლა მეღვინეთხუცისშვილი ამ არზით ასე რომ ჩივის, რასაც დროს ეს ჩვენი ოქმი მოგივიდეს, მაშინვე ეგ ჩვენი ოქმიც თან უნდა წამოიღო და აქ სამართალში ჩვენთან ჩამოხვიდე, რომ არ დაიგვიანო. ფებერვალს **დ**, ქორონიკონს **უპ**.

## 123. არზა არტოზნელთა და გულგულელთა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1792 წ. 6 თებერვალი**

ცსსა. ფონდი 1449. საბუთი 2056. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან მათის უმაღლესობის საქართველოს ჯელმწიფის ჰირი მოსცეს ხახულის ღმრთისმშობლის ყმათა არტვანზელთა და გულგულელთა.

ხახულის ღმრთისმშობლის ეკლესიაც თქვენია, მთაცა და ბარიც თქვენის მამა-პაპის ნასყიდი და შეწირული არის და ჩვენი თავიც თქვენგან შეწირული და ნასყიდი არის.

გვცემს ვინმე, ჩვენი პატრონი თქვენა ბრძანდებით და დავას დაგვიჭერს ვინმე, თქვენის მოწყალებით სიმართლის ძალით თ[ქ]ვენ უნდა ყური მოუგდოთ[1] ჩვენს უღონობასა და ეკლესიასა.

მაყაანთ დაგვიჯოცეს კაცები და ეკლესი[ი]ს მამულს თავისას ეძახიან.

ახლა მგალობლისშვილი აგვტეხია და ეკლესიის ძირამდინ ჯარით მოგვიხდა, რომ აქამდინ მერისა არისო. მის უწმინდესო-

[1] მოეგდოთ.

ბის საქართველოს პატრიარხისათვის მოუხსენებიათ მგალობლისშვილებსა და მერელებსა: ჩვენ მთაში ლორები დაუქ-სო: უბოძებია ოქმი მაყასშვილს დათუაზე დ[illegible]-ადეგითო და საბალახე გამოართვიო.

ბიბლიოთეკა

ჩვენ თქვენის შვილის ბრძანების წინაალმდეგობა რას გამოგვად-გება. თქვენვე უწყით, ეკლესიაცა და ჩვენცა თქვენნი გახლავართ, გუ-ჯარიც მოგვირთმევია. თქვენის მოწყალების მეტი არცავინ შეგვეწე-ვა და არცა ვისი პასუხის მიცემა ძალგვიცს და თქვენს უბძანებელი ვერცა ვის ჩხუბს გაუბედავთ.

ამას ვევედრებით თქვენს ბედნიერობასა, რომე ეს გუჯარი გა-სინჯოთ და თქვენი ალალის ფასით ნასყიდი და შეწირული სამართ-ლიანათ გაარჩიოთ, ეკლესიას არ დაეკარგოს. შვიდი საკომლო მამუ-ლი მერეში არის, რომ სიგელი ამისი ცალკე არის. ამისი მთა და ბარი მერელებს უჭირავს, დაიკარგება. და ახლა ეკლესიის ძირამდინ გვედავებიან. თქვენის მეტი მომკითხავი და ყურის მიმგდები არც ეკ-ლესიისა და არც ჩვენი: თუ თქვენი მოწყალება არ შეგვეწია, ბევრი კაცი მოკვდება ერთმანეთში. ფებერვლის **დ**, ქორონიკონს **უპ**.

თავში

ქ. ჩვენო ღმრთის წყალობავ შვილო ბატონო ალმასხან! მე-რე ამ არზით გულგულა-არტოზელნი რომ ჩივიან, მაყა[ა]ნიც თქვენ თან მიუწოდე და მგალობლისშვილები და მერლებიც მიაყვა-ნინე, ხახულისა ღმრთისმშობლის გუჯრებიც მიატანინე, კახეთის მდი-ვანბეგებიც შენთან დაისწარ და როგორც გუჯარი აცხადებდეს ან მთას და [ა]ნ ბარს გულგულა-არტოზნელნი, მაყა[ა]ნი და მგალობლიანი და მერლები ერთმანეთს რიგიანად მოაშველე და გა[ა]რიგე. გაურიგებელი თუ და[ა]გდევ, დაგემდურებით. ამ საქმეს ბეჯითად მოექეც. ფებერვ-ლის **ვ**, ქორონიკონს **უპ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

## 124. არზა ღთისია მემანდრისა ჯამაგირის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1792 წ. 15 თებერვალი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 9688. დედანი. ქაღალდი. 11×9 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი მოსცეს ღთისია მემანდარს.

ქ. ჩემო ჯელმწიფევ! თქვენი წყალობა წელიწადში ორი თუმანი ჯამაგირი მჭონდა, აღარ მეძლევა; აღარც ულუფა მეძლევა. აღარც არა სარგებელი ლეკებიდამა მაქვს; დავსწვრილშვილდი და გავღარიბდი. ქალი გავათხოვე და ვალი დამედვა. თქვენს მეტი ხელის მპყრობელი არავინა მყავს.

გეცოდრები, ღმერთი გაგიმარჯვებს, სიბერის დროს ამ თქვენს განწესებულს ჯამაგირსა და ულუფას ნუ მამიშლით. ფებერვალს **ია.** ქორონიკონს **უპ.**

თავში

ქ. მოხელეებო! ამ არზის პატრონს რაც განწესებული ულუფა და ჯამაგირი ჰქონდეს, გაურიგეთ და მოეცით. ფებერვალს **იე,** ქორონიკონს **უპ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიკმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

## 125. არზა პაპაანთ სტეფანესი სახლის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით

**1792 წ. 26 თებერვალი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 780. დედანი. ქაღალდი. 22,5×16,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ძის გიორგის ჰირი პაპა[ა]ნთ სტეფანეს მოსცეს.

ამას მოვახსენებ: ჩემს ბიძაშვილს გოდერძას ამას წინათ თქვენთან ეჩივლა და თქვენმა იასაულმა ჩემს სახელებზედ ხელი ამიმართა, მაგას მიაბარა.

ახლა კიდევ თქვენი ოქმი აუღია დიასამიძე ტეტიაზედ — სამართალში გამოგზავნეო; და არ მამეშვა გამამაგზავნა.

ჩემო ჯელმწიფევ, რადგან მუდამ ასეთ შფოთში ვყევარ, მე ასე მინდოდა: როდესაც თქვენი იქ მობძანება იქნებოდა, თქვენს ბედნიერს თვალს ენახა ის ჩემი სახლი და როგორც თქვენ სამართალს ბძანებდი, მე ისე ყაბული მჭონდა. და ამიტომაც ჯერ ვერ მოვდიოდი, რომ სახლში ავათმყოფი მყვანდა და ვერ გამეშვა.

ახლა ამ მოწყალებას ვითხოვ: თქვენს მობძანებამდინ დამაცალოთ და მაშინ ველაპარაკები. და თუ არ დამაცლით, ის ჩემი ბიძაშვილი იოსეფა ჩამოვიდეს, ორნივ ერთათ იყვნენ და ისე ველაპარაკო, რომ მერე იმას სიტყვა აღარა ჰქონდეს. და იმის ჩამოსვლამდინ მეც

ორიოთ კვირე მულათი მიბოძოთ, რომ ჩემს ავათმყოფს მოვუპატრონო. თებერვლის **კგ**, ქორონიკონს **უპ**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავში

ქ. ბატონისშვილის გიორგის სიკეთით სახსოვარი დ ი ა ს ა მ ი ძ ე მინბაშო დ ი მ ი ტ რ ი! მერე ამ არზის პატრონი ასე რომ ჩივის, ამაზედ ჯელი უნდა აიღო და და[ა]ცალო. როდესაც რომ პაპა[ა]ნთ ოსეფა წამოვიდეს სამართალში, ესეც მაშინ გამოგზავნე და ორთავ ერთათ ილაპარაკონ სამართალში. მანამდის ამას ნურაზედ შეაწუხებ. ფებერვლის **კვ**, ქორონიკონს **უპ**. გიორგი

## 126. არზა არღუთაშვილებისა სპილენძის წილის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1792 წ. 8 მარტი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 47. საბუთი № 50. პირი. ქაღალდი. მხედრული.

**[40v]** ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ა რ ღ უ თ ა შ ვ ი ლ ებ ს რ ე ვ ა ზ ა ს ა და გ ო გ ი ა ს ა.

მოწყალე ხელმწიფევ, მამა-პაპით მთელი არღუთელებისაგან დამტკიცებული წიგნი გვიჭირავს, ჰ ა ც უ ტ ი ს ს ო ფ ე ლ ი ც წილში ჩვენ გვრგებია და ჩვენი არის. ღვთისა და თქვენის წყალობით სპილენძის მადანი რომ იქ გაიმართა, რადგან ჩვენი სამკვიდრო იყო, შეგვიბრალეთ და იქიდამ სპილენძის წილი გან[ა]წესეთ ჩვენთვის. ეს თქვენი წყალობა რომ დაგვემართა, ჩვენ არ გვეძლევა.

ღმერთი გაგიმარჯვებს, ერთი ოქმის წყალობა გვიყავით სარდალზედ, რომ იმის ხელით მოგ[ვ]ბარდეს. და თუ ვინმე მოდავე იყოს, თქვენს სამართალში გიახლენ; თუ არა, ჩვენ მოგვეცეს თქვენი წყალობა. ორი ოქმი კიდევ ხელთ გვიჭირავს. მესამესაც ამას გევედრებით. ჩვენც ვალის პატრონი ვართ და მწარეთ შეწუხებული. ღმერთი შვილებს გიდღეგრძელებს. ამის მოწყალება მოიღვაწეთ, ღმერთი გაგიმარჯვებს. თებერვლის **კჱ**, ქორონიკონს **უპ**.

თავში

მოხელეებო, ამ არზის პატრონი რომ ასე ჩივის, ამას ჩვენი ოქმებიცა აქვს. თქვენც მოიკითხეთ და რომლისაც მამული იყოს, ჩვენი

წყალობა იმას უნდა მიეცეს. არღუთაშვილებისაგანაც და სხვათაგანაც ბეჭითათ მოიკითხეთ და ისე გაურჩიეთ. მარტის ც, ქორონიკონს უპ.

მელიქის შვილებიც არიან, რომ რადგანც იმათს მამულში მადანი გამოჩნდა, იქიდამ ჩვენგან წყალობა სჭირთ და მაბლაღი ეძლევათ. და ეს სპილენძის მადანი რომლისაც მამული იყოს, ჩვენი წყალობა იმას უნდა მიეცეს. სხვას საქმე არავისა აქვს.

## 127. არზა დავითაშვილისა მამულის თაობაზე ანტონ II-ის ოქმით

**1792 წ. 9 მარტი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 435. დედანი. ქაღალდი. 32,6×10,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. ოქმს კათალიკოსის ხელრთვა არა აქვს. საბუთის უკანა მხარეზე უშნო ხელით მიწერილია ქართლში მცხოვრებ რაჭის ერისთვის ასულის მარიამის თხოვნა საკაბის ან საქათიბის ბოძების შესახებ, რასაც ჩვენ საბუთთან კავშირი არა აქვს.

ქ. ღმერთმან უწმინდესის პატრიარხის მეფის ძის ჭირი მოსცეს დ ა ვ ი თ ა შ ვ ი ლ ს.

მერე ამას მოვახსენებ: ტ ა ტ ა ნ ა შ ვ ი ლ მ ა გ ო გ ი ა მ მამულიც გამიყიდა; ბატონმა იასაული დამაყენა, ვალი ამაღებინა, მამული დავიხსენ; მამული თ უ ხ ა რ ე ლ ს უჭირავს და ჩემი თეთრი სარგებლით ტატანაშვილს უჭირავს.

ღმერთი გადღეგრძელებს, სამართალი მაღირსეთ და ამდენი ცემისაგან დამიხსენით. თუ სამართალი არ დამემართა, აქ დგომის თავი აღარა მაქვს წვრილშვილი გახლავარ[1], შვიდი წიგნი ამიღია და სამართალი არ მამეცა. მარტს ც, ქორონიკონს უპ.

თავში

ქ. სალთხუცისშვილო დ ა ვ ი თ! ამ არზით ასე რომ მო[უხსენ]ებია, დავითაშვილს, თავისი მამული უნდა დარჩეს, იმას უნდა მიაბარო. და ტატანაშვილმა თუხარელს თავისის თეთრის პასუხი უნდა გასცეს. ეს ასე უნდა აღასრულო. მარტს თ, ქორონიკონს უპ.

(მინაწერი თ. ჟორდანიას ხელით): „ალექსანდრე დავითის ძის მაჩაბლის წიგნებიდან“.

[1] გაგლავარ.

## 128. არზა გიორგი პარკაძისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1792 წ. 9 მარტი**

ცსსა. ფონდით 1449. საბუთი № 203. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს მათს სამარადისოდ მლოცველს მღვდელს პარკაძე გიორგის.

ჩემო ჯელმწიფევ. მუდამ თავს გაწყენ, მაგრამ რა ვქნა, ჩემის მამულისას არას მანებებენ ამილახორიანი. ამთონი ძველნი წყალობა იყოს, ერთი ოქმი მებოძოს თქვენს შვილს ფარნაოზ-[ზ]ე, რომ ჩემი მამული იმან გამოარჩიოს და დამანებოს, თვარემ ისინი არას მანებებენ. მარტის კ, ქორონიკონს უპ.

როგორც ამილახორმა იესემ მოიკითხა ჩემი მამული და ქაიხოსრო ამილახორიშვილს დავთარში მომაძებნინა და იმან ამოაწერინა, ნუსხა გააკეთა ქაიხოსრომ და ქაიხოსროს ბეჭედი ზედ დასვა, ის ნუსხა შინა მაქვს, იმ ნუსხით[1] უნდა მებოძოს ჩემი მამული.

თავში

ჩვენო ღმრთის წყალობავ შვილო ფარნაოზ! როგორც რომ ამ პარკაძე მღვდელს მოუხსენებია, ეს მამული უნდა გაურჩიო. რაგვარადაც ამილახვარს გაურჩევია და მოუძებნია, იმ კვალად უნდა მოუძებნო. და თუ სიმრუდე და უსამართლობა შეატყო რამე და შენ ვერ შეიძლო, ჩვენ მოგვახსენე და ჩვენ მოვიკითხავთ. და მასუკან სამართალს ჩვენ უზამთ. მარტის თ, ქორონიკონს უპ.

ან აქეთ არ მოხდეს უსამართლო და ან იქითა.

## 129. არზა ვახტანგ ყაფლანიშვილისა სამართლის მოცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1792 წ. 15 მარტი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 11326. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მათს მონას ყაფლანიშვილს ვახტანგს მოსცეს.

მერე ამას მოგახსენებ მათს სიმაღლეს: თქვენის ოქმით და ბძა-

[1] ნუხსით.

ნებით მდივანბეგებმა სამართალი მოგვცეს. რომელსაც მე უჩივოდი, ის გა[ა]მტყუნეს და მე განაჩენი დამიწერეს და მომცეს...
სიმაღლეს მოვართვი განაჩენი. და დამტკიცება არ ინებეთ,
ნა, ჩვენ უნდა გავშინჯოთო. იმ ჟამად საქმეებში ბძანდებოდით და თავი ველარ გაწყინეთ. წინაზედ არზა მოგართვი და პასუხი აღარ გამოივიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღილით მეშინიან ამდენი თქვენის თავის წყენისათვის, რომ ერთხელ არ გამირისხდეთ, მაგრამ რა ვქნა, ჩემო ჴელმწიფევ; განაჩენზედ სამდივანბეგო გამსვლია და მე ჴელში არა მიჭირავს რა. ამაში უსამართლო მემართება, ჩემო ჴელმწიფევ.

თუ თქვენის სიმაღლის ნება იქნებოდეს, ის ჩემი მოდავე იქ დაიბარეთ და თქვენთან გვალაპარაკეთ. თუ ამას არ ინებებდეთ, ერთს თქვენს შვილზედ ოქმი მიბოძეთ და ღმრთის წინაშე სამართალი გვიბძონ; თვარადა, ნება თქვენის სიმაღლისა არის. უმჯობესი თქვენს სიმაღლეს უფრო მოეხსენება. მარტის **იბ**, ქორონიკონს **უპ**.

თავში

ქ. ჩვენო ღმრთის წყალობავ შვილო ბატონო გ ი ო რ გ ი! მერე ამ არზით ვახტანგ ყაფლანის[შვილს] რომ ასე მოუხსენებია, მდივანბეგებიც შენთან დაისწარ და ღმრთის წინაშე ჭეშმარიტი სამართალი უსაჯეთ რასაც მიხვდეთ. მარტის **იე**, ქორონიკონს **უპ**.

ქ. ამ სამართალში მ ე ლ ი ქ ი ა ვ ე ტ ი ქ ა ც დაისწარ. [ერეკლე]

## 130. არზა ზაალ დავითიშვილისა ყმების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1792 წ. 19 მარტი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 565. დედანი. ქაღალდი. 31,2×18 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჴელმწიფის ჭირი მოსცეს თქვენს მონას დ ა ვ ი თ ი ს შ ვ ი ლ ს ზ ა [ა] ლ ს.

მერე ამას მოვახსენებ ჩემს მოწყალეს: ღმერთმან იმდენი გამარჯვება მოქცეს, რამდენი კაცი საქართველოსი ავის დროთი მიფარული იყოს და დაკარგული იყოს და ზოგნი ერთმანეთისაგან დაყიდული მძლავრობით და ნამეტნავათ ჩემი იყოს, ამიტომ რომ არსად ბინა მქონდა და არსად მამული და ჩემსას ვინ არ წარიტაცებდა და [ა]ნ ვინ არ მამეროდ[ა].

ახლა ამას მოგახსენებ თქვენს მოწყალებას, რომ ერთი ოქმი მე-
ბოძოს: თქვენს საბძანებელში საცა ჩემი მემკვიდრე კაცი იყოს და
[ა]ნ მიფარებული ან გამძლავრებული რომ ავის დროთი და უშამუ-
ლობით ვერ გამოჩენილიყოს და რადგან ღმრთით[1], თქვენის ბედნიე-
რობით და დოვლათით ეს მშვიდობა ჩამოვარდა, საქართველოში ვინც
ჩემი კაცი ან თავის ნებით მოვიდეს ან მე მივიგზნო, ყველასი წყალობა
დამემართოს, ვისაც ან მამის ჩემისაგან და ან ბიძის ჩემისაგან მისყი-
დული არ იყოს ან მოთაბარი მოწამე არა ჰყვანდეს და ან სიგელი არა
ქონდეს, ნურავინ წამომედავება. და თუ მედაოს ვინმე, თქვენს სა-
მართალში მომყვეს. ღმერთი გაგიმარჯვებს, ამისი მოწყალება მაღირ-
სეთ. ღმრთითა და თქვენის წ[ყ]ალობით იქით-აქეთ თითო[ო]როლა
კაცი მიჩნდება და შიშით ვერ გამოსულან, ვაითუ ისევ აგვყარონო;
და ასე გვეტყვიან, ამდენი ხანია ჩვენი ხარო. ამის მიზეზი ზემოთაც
მოგახსენე და კიდევაც მოგახსენებ — ავის დროს მიზეზით და ჩემის
უბინაობით. თუ სხვას უსაბუთოთ წავედავო ვისმე, ჯარიმით გადა-
გვახდევინე[2]. ღმერთი გაგიმარჯვებს, ამისი ოქმის წყალობა მიყავით;
ეგების ღმრთითა და თქვენის წყალობით ცეცხლი დავანთო და ვი-
ცხოვრო. ღმერთი გაგიმარჯვებს, ეს ჩემი ვედრება შეისმინეთ თქვე-
ნის შვილების სადღეგრძელოთ. მარტის **ივ**, ქორონიკონს **უპ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის. მერმე ამ არზით ამ ზაალს ასრე რომ მო-
უხსენებია, ვისაც ამისი ყმა გყუანდესთ, რომ თუნდა, დიაღ, დიდის
ხნის მოსულიც გყუანდესთ, ან ნასყიდობის წიგნი არა გქონდესთ იმი-
სის მამა-ბიძისაგან და ან ერთი სწორე და ჭეშმარიტი საბუთიანი სიტყ-
ვა არა გქონდესთ რა, თავისი კაცი მოეცით. და კიდევ თუ თავისის
ნებით ამას თავისი ყმა მოუვიდეს საითმე, იმას ძალით ნუღარავინ
აუყრით. და თუ სიტყვა გქონდესთ რამე, ჩვენთან მოდით, ელაპარა-
კენით და სამართალს მოგცემთ. მარტის **ით**, ქორონიკონს **უპ**.

თუ მოსლოდეს ვინმე თავისი ყმა, ნურცავინ იმას აუყრით უჩვენ-
ბძანებოთ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს,
ე რ ე კ ლ ე.

---

[1] ღ˘თნ.

[2] დადაგვახდევინე.

## 131. არზა რევაზ ანდრონიკაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1792 წ. 25 მარტი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. პ. კარბელაშვილის პირადი ფონდი 1461. რვეული № 6. საბუთი № 53. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[151] ქ. ღმერთმან მისი სიმაღლისა ბედნიერის ხელმწიფის ჰირი რევაზ ანდრონიკაშვილს მოსცეს.

მერე ქაიხოსრო მდივანბეგის ყმამ ჰანყოსშვილმა ივანემ, წნორიასშვილმა მუსამა და გიორგიმ მამულები გაცვალეს. ის დრო იყო, რომა საღალუღის ციხესა რომ შენობის [v] ბინა დაზდევით, ამას წნორიაშვილმა მუსამა სასახლე მისცა და ჰანყოსშვილმა ვეჯინს სოფლის ბოლოს ორის დღის მიწა მოსცა და ერთი ქვევრი მო[ს]ცა, რომ დღეს ის ქვევრი შინა აქვს.

დღეს აქნობამდისინა ის სასახლე ამ ჰანყოშვილს ეჭირა და ამ წნორიასშვილმა ვენახათ ააშენა, რომ, დიახ, უცხო ვენახია, რომ ას თუმნათ ღირს.

დღეს ქაიხოსროს მდივანბეგს დაუჟინია[1] ამავე ვენახს გამოვართმევ, ჩემთვის ვენახათ მინდაო; თქვენთვის მოუხსენებია — ჩემს ყმას რომ სასახლე მოცესო, ეკლესიისა არისო.

ქაიხოსროს უბძანეთ, რომა საბუთი ქნას, რომ ეკლესიის მამული იყოს. თუ საბუთსა იქს, მასუკან[2] როგორც სამართალი მიბძანებს, ისე ვიქ. მე ხომ ღმრთით[3] განაჩენიც ხელთ მიჭირავს და არც ეკლესიისა არის და სოფლის მოწმობაც. თუ ახლა ის გამოაჩენს და იმისი არ ვიცი. მე მუქთათ ასის თუმნის მამულს ვერ მივართმევ. მარტის კე, ქორონიკონს უპ.

თავში

ქ. მდივანბეგო ქაიხოსრო! ამ არზით რომ შენი ბიძაშვილი რევაზ ასე ჩივის, ამ ხნის გაცვლილს მამულს ვეღარ გამოართმევ. და ასე რომ სჩივი: იმისი გაცვლილი მამული ხატისა არისო, იმაზე საბუთი უნდა ჰქმნათ, რომ ის ხატისა იყოს და მაშინ სიტყვა გექნება. და სანამდინ საბუთს არ უზამ, მანამდინ მაგ მამულთან შენ საქმე არა გაქვს რა. მარტის კე, ქორონიკონს უპ.

ქ. ასეთი საბუთი უნდა ჰქმნა, რომ ეკლესიის მამულად გამოაცხა-

---

[1] დაუნიჭნია. [2] მასკვნა. [3] ღ˜თ. 4+რომ.

დი, რომ მოსამართლეს სიტყვა აღარა ჰქონდეს. და თუ ამისთანა საბუთს ვერა იქ, და საქმე არა გექნება რა. ერეკლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 132. არზა დავით გარეჯის წინამძღვრის იოაკიმისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1792 წ. 29 მარტი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 402. დედანი. ქაღალდი. 31×11 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან მათის უმაღლესობის ჩვენის ყოვლად მოწყალის საქართველოს მეფის ჰირი მოსცეს მათის სამარადისოდ მლოცველს წმიდის დავით გარესჯის მონასტრის წინამძღუარს უღირს არხიმანდრიტს იოაკიმს.

მერმე ამას მოვახსენებთ ჩვენს ყოვლად მოწყალეს: მოეხსენება მათს სიმაღლეს კალაურელთაგან რამთენი ძვირი შეგვამთხვევს მონასტრის მამულისათვის ახურას ბოლოს საჯვავზე. ახლა კიდევ მონასტრის მთაში ღორი უდგათ, აძოებენ და აჭმევენ, საბალახეს არ გვაძლევენ, მძლავრებით გვეკიდებიან.

წყალობას ვითხოვთ: ერთი ოქმი და იასაული გვებოძოს, სამ[ა]რთლით ჩვენი მოგვეცეს, მონასტერს არ დაეკარგოს თავისი. თქვენის სიმაღლის სამარადისოდ მლოცველი გვამყოფოთ, ჩვენო ყოვლად მოწყალევ. მარტის კთ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ქ უ რ უ ხ უ ლ ო ა ბ რ ა მ! მერმე ამ არზით ამ წმიდის დავით გარესჯის მონასტრის არხიმანდრიტი ასრე რომ ჩივის, შენ უნდა წახვიდე და კალაურელთ ამის მონასტრის მთასა და მამულში ღორი რომ უდგათ სადმე და აჭმევენ მონასტრის მამულს, რაც რიგიანი და სამართლიანი საბალახე იყოს, აიღო და მოაბარო. უიმისობა არ იქნება. რას ემართლებიან, რომ არ აძლევენ? ჰ[ა]ლბათ რომ უნდა გამოურთვა და მოსცე. მარტის კთ, ქორონიკონს უპ.

იცოდე, თუ ეს ასრე არ აღასრულე, დიდათ გიწყენთ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

## 133, არზა ზაზა გარათაშვილისა მამულის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

**1792 წ. 2 აპრილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 26. საბუთი № 12. პირი. ქალაქდი. მხედრული. იქვე, საბუთი № 15.

[10] ღმერთმან ყოვლად მოწყალის ხელმწიფე დედოფლის ჰირი თქვენს მონას მსაჯულის შვილს ზაზას მომცეს.

ამას მოვახსენებთ. მამა ჩემ[მ]ა ჩხეიძეებისაგან ღორისთავს სოფელი იყიდა, სიგელი ძველი და ახალი ერთობით ყველა მოსცეს. ეს ოცდაოთხი წელიწადია, რომ ჩვენი მცილე და მოდავე არავინ ყოფილა. ამას წინათ აბაშისშვილი დავით წამოედავა მამაჩემს, ბატონთან გვიჩივლა. ბატონმა მოწმობა მოგვთხოვა საბარათაშვილოს მოხუცებულს კაცთაგან მანგლელისავან, ნიკოლოზ ქავთარის შვილისაგან და იოთამის შვილის რევაზისაგან. ამათ მოწმობა წერილით მიართვეს, რომ ჩვენ დაგვრჩა. ბატონმა განაჩენი გვიბოძა. ახლა მე რომ ავათ გახლდი, ჩემს მალვით არზა მოურთმევია დავითს თქვენის სიმაღლესათვინ, ოქმი და იასაული უთხოვნია — ღორისთავის საბალახე მე უნდა ავიღოო. ოქმი გიბოძებიათ. არა გცოდნიათ ჩვენი [v] მამული არის თუ არა, არც იმას მოუხსენებია.

ჩემო ხელმწიფევ! ჩემს მამულთან მაგას რა საქმე აქვს. გეევედრებით ერთი ოქმის წყალობა მოიღოთ, რომ ჩემის ნასყიდის მამულის ოქმი იმას რათ აუღია. თუ უნდა, ბატონთან სამართალში მელაპარაკოს, მაგრამ არკი გამტყუნდა და განაჩენი მე მიბოძა. ამის სამართალი მაღირსეთ, ღმერთი გაცოცხლებსთ. აქამდინ სად იყო, მბრიყ[ვ]ობს, მაგრამ ვერ მიბრიყვებს თქვენის წყალობით. მარტის კვ, ქორონიკონს უპ.

თავში

[9v] აბაშისშვილო დავით! მერე მსაჯულის შვილს ზაზას რომ ასე მოუხსენებია, როდესაც მე შენ ოქმი გამოგართვი, მაშინ მე ეს საქმეები არ მახსომდა, თორემ მეც კარგათ ვიცოდი, როგორც გარდასწყდა ეს საქმე. ამას ბატონისაგან განაჩენიც აქვს, რომ მოწმე[ე]ბიცა ჰყვანდა; თუ მომგონებოდა, ბატონის ჩემის ოქმით როგორ დავაყენებდი. ახლა რადგან ასე არის, ის ჩემი ოქმი მეფე დამიყენებია. რადგან სამართლით ბატონს ამისთვის მიუცია და ნასყიდი ჰქონიათ, რო[მ] მონასყიდობის ძველი და ახალი სიგლები ხელთ უჭირავს, მე ჩემს ოქმზედ ხელი ამიღია და გამიბათილებია.

თუ რომ რაც ამას წერილები ხელთ უჭირავს და ან ბატონის განაჩენი აქვს, [10] თუ იმისი წინააღმდეგი სიტყვა გექნება, რომ სამართალში შემოსატანი იქნებოდეს, მის უმაღლესობას მეფესთან ელაპარაკე. მე ამასაც გწერ შენის ვაის მდგომობით, თუ რომ საბუთიანი და ჭეშმარიტი სიტყვა აღარა გქონდეს რა, სამართალში ნუღარ ელაპარაკები და ჯაფას ნუღარ გასწევ. თუ არადა, შენ იცი. აპრილის ბ, ქრონიკონს უპ.

## 134. არზა ზაალ დავითაშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1792 წ. 9 აპრილი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 544. დედანი. ქაღალდი. 22,2×14,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. ა-მეტი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჰირი მათს მონას დ ა ვ ი თ ა შ ვ ი ლ ს ზ ა ა ლ ს მოსცეს. მერე ამას მოვახსენებ: ერთი ჩემი მემკვიდრე ყმა სა[ა]ვალიშვილოში თურმე იყო, მე არ ვიცოდი, ზ უ რ ა ბ ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ მ ა მითხრა, შენი მემკვიდრე კაცი ყამს ბ ე ც ი ა ს ა ო და მე მაძლევსო. მე დავითხოე, რათგან ჩემი ყმა არის და შენის პირით მეუბნები, ჩემს კაცს ნუ გამოართმევ, სხვა გამოართვი, რაც შენი მართებს-მეთქი. არ დაიშალა, გამოართვა. ახლა ის ჩემი კაცი თავის ნებით ჩემთან მოვიდა. არ მეშვებიან, მართმევენ. მ ზ ე ჭ ა ბ უ კ მდივანბეგი და თ ე ი მ უ რ ა ზ ასე მეუბნებიან: ეგ მაგას მოეცო, შენ, ვინც ზურაბას მისცაო, იმას ედავეო.

ჩემო ხემწიფევ, ჩემი საქონელი ამდენი ხანია მაკლია, ახლა ღმერთმან კარზე მამაყენა, რათ უნდა წამერთვას; ვინც ჩემი კაცი მისცა, იმას ედაოს: ეს სხვის კაცი რათ მამეო. და თუ ჩემთან სიტყვა აქვს რამე, ის მედაოს; ნასყიდობის წიგნი არ უჩამს მამიჩემისა და ჩემის სახლის კაცისა, მოწამე არა ყამთ; ამაზე მედავებიან: დიდი ხანიაო, მე მაკლია.

ამ საქმეზე არზი გა[ა]ხელი, ოქმი მებოძა: თუნდა დიდის ხნის მისული გყვანდესთ ვისმეო, ნურავინ დაუჭერთ თავის კაცსაო; თუ ან ნასყიდნი არა გყვანდესთო, ან ერთი საბუთი ან სიტყვა არავის ქონდესთო, თავისის ნებით ამისი კაცი რომ მიყიდესო, უჩვენებძანებოთ ნუ აყრითო. არც ეს თქვენი ბძანება იყაბულეს და კაცს მართმევენ.

ამდენი თქვენი მოწყალება დამემართოს, ეს ჩემი კაცი არ წამერთვას თქვენს სამართლამდინ და თქვენს წინ მელაპარაკნენ. და თქვენის სამართლით რაც უნდა გადამხდეს. თუ უთქვენსამართლოდ ვინ კაცი წამერთვა, რაცა მყავს, ისინიც წამოველენ, თორამ სხვა მამივიდეს და თქვენი ოქმიც გამიტყდება; ღმერთი გაგიმარჯვებს, ამისი მოწყალება მაღირსეთ. აპრილის ზ, ქორონიკონს ჳპ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის. მერმე ეს დავითიშვილი ზაალ ასრე რომ ჩივის, ის თავის კაცი ამასვე რომ მისვლია, იმისი აყრა უჩვენოთ აღარ იქნება, ვისაც სიტყვა აქვს, ჩვენს სამართალში ელაპარაკოს. თუ ეს მოხსენება მართალი არის და სწორედ ამისი ყმა არის, რომ არცა ეს ნასყიდობა უჩანს და არცავის მოწამე ჰყავს, რომ ამათგან ეყიდოს ვისმე, რას ემართლებით, რომ თავის ყმას ართმევთ; იმ ზურაბ ავალიშვილს ვისგანაც მისცემია ის კაცი, ის იმას ედაოს. და თუ იმას ჭეშმარიტი სიტყვა ჰქონდეს რამე ამ ზაალთან, მოვიდეს და ჩვენს სამართალში ელაპარაკოს და ღმრთით სამართალს მივცემთ. და ჭეშმარიტი სიტყვა არავისა ჰქონდეს, კი ნუღარავინ ელაპარაკება. აპრილის თ, ქორონიკონს ჳპ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

## 135. არზა დავით ენდრონიკაშვილისა გაყრის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1792 წ. 27 აპრილი

ცსსა. პ. კარბელაშვილის პირადი ფონდი 1461. რვეული № 13. საბუთი № 67. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[42] ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცესთ მათს მონათ დავით ენდრონიკაშვილს და იმის შვილებს.

მოწყალევ ჯელმწიფევ! გაყრას უკან ჩემის სახლის კაცებისაგან რაც წამრთმევია, ეს არის.

ქ. ორი სასახლისაგან ასე ცარიელი ვარ, რომ არცერთში წილი არა გვაქვს რომ დავდგეთ.

ქ. მეორე ესე, ჩემის მამა-პაპის სასაფლაოში შიგ აღარ შემიშვეს. მამა იქ მიმარხია და ძმა.

ქ. მესამე ესე, პირველი საუფროსო კაცი დათო უტიასშვილი საუფროსოთ ავიღე და იმისი სასახლე კი წამართვეს.

ქ. მეოთხე ესე, გურჯაანში ზანდრის შვილის საკომლო ბეითალმად მერგო, ბარათი ჯელში მიჭირავს, წაგვართვეს და ვასილმა გაყიდა.

ქ. მეხუთე ესე, ბარათში მერგო ორი კომლი კაცი. მას უკან დავით სარდალმა და მუხრანბატონმა გვიჩივლეს თქვენთან — ჩვენი ყმანი არიანო. თქვენის ბძანებით აყარეს, წა[ა]სხეს და მე იმათი მაგიერი აღარა მომცეს რა. და იმათი მაგიერი იმათ უჭირავს.

ქ. მეექვსე ესე, რვა კომლი კაცი ავიღე საუფროსოთ, ერთი ისევ იმათ წამართვეს და შვიდიღა დამრჩა.

ქ. მეშვიდე, თათარი რაც ყმა გვყავს, არც საუფროსო მოგვცეს და ნახევარი ხომ ჩემი იყო, არც ნახევარი.

ქ. მერვე, ზიარს რაფიასშვილის საკომლო ნახევარი ჩემი იყო და არც ის მომცეს.

ქ. მეცხრე, რაც კაჭრეთში საკომლო არის, არც ნახევარი მომცეს და არც საუფროსო.

ქ. მეათე ესე, ხუთი კომლი კაცი ერთობაში ნაშოვნი იყო, რომ გავიყარენით, იმაში წილი აღარ დამიდვეს და ჩემს ნაშოვარში კი წილი დაიდვეს.

ქ. მეათერთმეტე, უტიასშვილი და ოდიშასშვილი ორნივ ჩემნი ყმანი გახლდნენ. უტიასშვილს კაცი შემოაკვდა, ოდიშასშვილს ათის დღის ნაფუძარი გამოვართვი და უტიასშვილის სისხლში მივეც. ახლა უტიაშვილი რომ იმათ ერგოთ, იმის მაგიერს აღარას მაძლევენ.

ქ. მეათორმეტე, თუ მაგათს ყმაზედ და მამულზედ ჭირნახული მჭონდეს, საჭირნახულო მომეცეს. და თუ ერთს სხვას არავისა ბოძებია, ნურც მე მიბოძებთ.

რაც ამ არზით [v] მომიხსენებია, ამაზედ ბევრჯელ თავიც მიწყენია თქვენთვის, ოქმებიცა მაქვს, რომ ყური არ მოუგდიათ. ღმერთი გაგიმარჯვებსთ, ერთხელ მოგვარჩინეთ ამ საქმეს. ამთქენი ხანია ჩვენი ყმა და მამული გვაკლია.

თუ ჩემო ჯელმწიფევ, ან ჩხუბი შემძლებოდა და ან თქვენი წინაალმდეგი საქმე, ერთხელაც არის ჩხუბს უზამდი ამაზედ, მაგრამ მე ღმრთითა და თქვენი სამართლით მინდა ყველა. აპრილის **კბ**, ქორონიკონს **უპ.**

თავში

ქ. მდივანბეგო ოტია ვ! ამ არზით დავით ენდრონიკაშვილი რომ ასე გიჩივის, ეს ოქმი რომ მოგივიდეს, მაშინვე ჩვენთან უნდა წამო-

ხვიდე და სამართალში ელაპარაკო. შენი წამოუსვლელობა არ იქნება.

აპრილის **კზ**, ქორონიკონს **უპ**. ერეკლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. ეშიკაბაშო რევაზ და ყორჩიბაშის შვილო ბეჟან! ოტია მდივანბეგს ეს ოქმი თქვენ უჩვენეთ და ისევ ამ თავის პატრონსვე მოეცით: ეს ოქმი არ დაკარგოთ. ერეკლე

## 136. არზა ამილღამბარ ციციშვილისა ყმის მიგარებაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1792 წ. 22 მაისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 404. დედანი. ქაღალდი. 17,6×15,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი. ოქმის თარიღი მცდარი ჩანს.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი ამილღამბარ ციციშვილს მოსცეს.

ამას მოვახსენებთ: რადგან თქვენი მოწყალება დამემართა და ჩემი მზითვის კაცი მე მებოძა, მერე ჩემი შეწუხებაც ხომ მოგეხსენებათ, მოვალე[ე]ბი ცალკე მაწუხებდნენ და ჩემი სიღარიბე ცალკე. ახლა ეს კაცი ეფთვიმე წინამძღვარს მივყიდე.

ახლა ამ წყალობას ვითხოვ, ერთი ოქმი მიბოძეთ აქაზ უზბაშზე, რომ ეს კაცი ხორხელში დგას, აჰყაროს და წინამძღვარს მა[ა]ბაროს. მაისის **კბ**, ქორონიკონს **უპ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ეშიკაღაბაში გარსევან! ამაზედ კაცი აჩინე. მერე შენ უნდა მიხვიდე ხორხელში და ამ არზის პატრონისა ერთი კომლი კაცი რომ არის, ის კაცი უნდა აუყარო და წინამძღვარს ეფთვიმეს მოაბარო. და თუ რომ ამ კაცთან ან სოფელსა და ან სოფლის მოკელეს სიტყვა ჰქონდეს რამე ასეთი, რომ სამართალში შემოიტანებოდეს, ელაპარაკონ. თუ სამართალში შემოსატანი სიტყვა არა ჰქონდესთ რა, ეს კაცი და[ა]ნებონ, აუყარე და წინამძღვარს ეფთვიმეს მოაბარე. მაისის **იდ**, ქორონიკონს **უპ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

verso

ქ. მამა(?) ბატონო ეშიკაღასბაშო ალექსანდრე. ეს ბატონის ბძანება შენ აღუსრულე. იანვრის კე, ქორონიკონს უპა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 137. არზა ამილახვრის ქალის მაიასი მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1792 წ. 27 მაისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10012. დედანი. ქაღალდი. 24,3×15,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს მათს მონას მაიას.

მოწყალევ ჯელმწიფევ, ჩემი ვედრება ეს არის: თქვენგან სამართლით განსჯილის განაჩენით ბოძებული ავნევი ჩემ[მ]ა დედამ მე მამცა აღსასრულის ჟამს; და მანამ ცოცხალი ვარ, ვალი დამდვა: მიცვალებულთ მოხსენების დღეებში წირვას ნუ დამაკლებო და სანთელს ნუ გამიჭრობო. და თავისის პირით თქვენს უმაღლესობასაც მოახსენა: ამ ჩემის შვილისათვის მიმიციაო და თქვენც უბოძეთო.

თქვენს ღმრთაებრ[ივ]ს მოწყალებას ვევედრები: მებოძოს, რომ მანამ ცოცხალი ვარ, ჩემს მამასა და დედასა თავისის დანარჩენით ვემსახურო. ჩემო ჯელმწიფევ, ერთი ოქმი და იასაული მებოძოს, რომ მომბარდეს. მაისის იე, ქორონიკონს უპ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის! მერე ამ არზით ასე რომ მოუხსენებიათ, ჩვენც ასე გაგვიგონია და სხვათაც მრავალთ იმოწმეს, რომ ავნევი სანატრელის ბეგუმისაგან თავის მზითვით ნასყიდი იყო და ამილახვრიანთ საქმე არა ჰქონდათ რა. და კურთხეულმა ბეგუმმა ეს თავის მზითვით ნასყიდი ავნევი თავის ქალს მაიას მისცა.

ეშიკაღახო თამაზ! შენ უნდა მიხვიდე, ჯელი ამართო და ავნევი მაიას მოაბარო. სხვათ ამილახვრის შვილებს ამასთან საქმე არა აქვსთ რა, და ნურც არავინ ამაზედ ლაპარაკს იკადრებს. ამისი არის და ამისთვის გვიბოძებია სამართლით. მაისის კზ, ქორონიკონს უპ.

ამაზედ იასე მორდალი გაგზავნე და ეს ასე აღასრულებინე ალბათ.

ბეჟედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

## 138. არზა გიორგი პარკაძისა გამოსალების თაობაზე ვახტანგ ბატონიშვილის ოქმით

**1792 წ. 6 ივნისი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 8886. დედანი. ქაღალდი. 21×12 სმ. მხედრული: განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ძის ვახტანგის ჭირი მოსცეს მათს მონას და სამარადისოდ მლოცველს მღვდელს პარკაძე გიორგის.

ღმერთი გაგიმარჯვებს, ქარუმიძე ფარსადანისაგან ილაჯი აღარა მაქვს. ღმერთი გაგიმარჯვებს, ჩამომხსენ. მოწყალება მოიღე. მეც ერთი აზნაურიშვილი ვარ და ჩემ[მ]ა ტოლმა კაცმა ასე რათ უნდა მიბრიყვოს და მაწუხებდეს. თუ თქვენ კი არ გამიწყრებით, ქრისტემ ნუ მოგაკლოს გამარჯვება და დღეგრძელობა, ჩემი ხემწიფე თქვენ ბძანდებით, ამას ჩემთან რა საქმე აქვს.

ერთი საცოდავი დაშავებული კაცი მყავს წრიელაშვილი. ამას თქვენი მოწყალებით სავსე ოქმიცა აქვს. მდივანს შევეხვეწე და დავთრიდამ ბატონის ბძანებით ამოვაშლევინე, რომ აღარა ეთხოვება რა. და ფარსადან მოურავი, რაც იასაული და სათხოვარი მოვა, იასაულს უწინ ამას მოაყენებს კარს, ასე მტერობს.

ღმერთი გაგიმარჯვებს და ღმერთი მრავალს წელიწადს გაცოცხლებს, ჩემო ხემწიფევ, ერთი მაგარი ოქმის წყალობა მიყავ, რომ დაეხსნას ამ კაცს, შენის ხემწიფე მამის სადღეგრძელოდ. მაისის **ლა**, ქორონიკონს **უპ**.

თავში

ქ. ბატონიშვილი ვახტანგ გიბძანებ ქარუმიძე ფარსადან! მერმე ამ არზის პატრონს რომ ასე მოუხსენებია, ამას დაეხსენ, ხელი აიღევ, ნუ შეაწუხებ. კვლავაც გვიბძანებია და ახლაც კიდევ გიბძანებთ, ნუ აჩივლებთ. თიბათვის **ვ**, ქორონიკონს **უპ**.

ბეჭედი: რტოდ ვარ დავითის, მგელ-ლომად ვით ის, ვახტანგ ვამტკიცებ მეფის ძეობით.

## 139. არზა გიორგი პარკაძისა ყმის თაოგაზე ფარნაოზ გატონიშვილის ოქმით

**1792 წ. 6 ივნისი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 8887. დედანი. ქაღალდი. 21,4×11,4 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ძის ფარნაოზის ჰირი მოსცეს მათს მარად მლოცველს მღვდელს პარკაძეს გიორგის.

ერთი დაშავებული კაცი მყავს წრიელაშვილი და ის კაცი თქვენის ძმის ვახტანგისაგან განთავისუფლებულია, რომ ჯარში ვერ წაიყვანენ და ბატონის დავთრიდამაც მოშლილია, არა ეთხოება რა; ეგნატე მდივნის ბარათი ხელთა მაქვს. და გადამკიდებია ფარსადან ქარუმიძე, ვინც იასაული გაჩნდება, იმაზე მოუშვერს ხელს და აწუხებენ.

ჩემი ტოლი კაცი ასე რათ მჩაგრავს, არ ვიცი რა მიზეზია. მიშველე რამე, ღმერთი გაგიმარჯვებს და გაცოცხლებს, ერთი ოქმი მიბოძეთ, რომ დაეხსნას ამ კაცს. ივნისის ვ, ქორონიკონს უპ.

და ბატონის ბძანებაცა გაქვსთ ხომ, რომ ყური და თვალი უნდა გეჭიროსთ ჩემზე, მიშველე რამე.

თავში

ქ. ბატონიშვილი ფარნაოზ გიბძანებ ქარუმიძე მოურაო ფარსადან! მერმე ამ არზით რომ ასე ჩივის გიორგი დეკანოზი, ასე რატომ აწუხებ ამის კაცს წრიელაშვილს. ამას ხომ ჩვენის ძმის ოქმიცა აქვს და ბატონის დავთარშიაც ამოშვებულია, რომ მდივანს ეგნატეს მოუწერია შენთვის. თუ ჩვენი ან სიყვარული და თავაზა გქონდეს, დაეხსენ წრიელაშვილს, ნურასფერს ჩვენს სათხოვარში და ბატონის სათხოვარში ნუ გარევ და ნურცა რას სთხოვ. ჩვენ ძმასაც უბძანებია შენთვის და ჩვენც ამას გწერთ, წრიელაშვილზე ხელი აიღე, თორემ დიდათ გვეწყინება შენგან. თუ კიდევ იჩიველა ამან ჩვენთან, ხომ იცი, ეს პარკაძე იასე ჩვენი ყულუხჩია, დაეხსენ ამის კაცს; და დაეხსენ ახლაცა და კვლავაც. ივნისის ვ, ქორონიკონს უპ. გირჩევ, ნუ აჩიველებ.

ბეჭედი. ღვთის მშობელმან წიაღით მფარნა ვაზ კეთილთა რტოდ მეც შემიწყნარა.

## 140. არზა ზემოქართლის სამღვდელოთა ახპატის გორძაკლობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1792 წ. 16 ივნისი**

ერისეული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 2083. დედანი. ქაღალდი. 30×17 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ქვემოთ მოხსენებულთ მარადის მათს მლოცველთ ზემო ქართლის სამღუდელოთ.

ამას წინად ახპატის გორძაკლობა გორის პატარა ტ ე რ-ს ა ა კ ა ს ეჭირა. თუ რაგვარ უსამართლობით და მძლავრობით გვეკიდებოდა ჩვენა თუ ჩვენს ძმათ, წერილით მოხსენება გაგვიჭირდება.

მუდამ შფოთში და საჩივარში ვიყავით, რომ თქუენს უმაღლესობასაც მოხსენებია, მის უწმიდესობას პატრიარქსაც და ახპატის ეპისკოპოზისათვისაც მრავალჯერ მოგვიხსენებია.

შემდგომად ჩვენმა ეპისკოპოზმა თავისი სახელო გორძაკლობა ჩამოართვა, თქვენის ბძანებითაც, რომ თქუენი ნაბოძები ოქმიც ვიხილეთ და ღმერთს მადლი შევასხით.

მოწყალე ჯელმწიფევ! ახლა კიდევ ცდილობს სხვადასხვა საქმით გორძაკლობა იშოროს. როგორც აქნობამდე უსამართლობით მოქცეულა, იმავ გზით მოიქცეს და მუდამ შფოთში გუამყოფოს.

ღმერთი თქვენს ჯელმწიფობას უმეტესად გააძლიერებს, ახპატის ეპისკოპოსზე ოქმი გვიბოძეთ, რომ ჯელმეორედ იმ კაცის ჯელში ტყვედ ნუ მიგვცემს, რომ არას დროს ხუცისგან ხუცის ხეზე მიკურუა და გალახვა არ გაგონილა, მაგრამ ის ჩადიოდა ამგვარ საქმეებს და სხვა რომელი ერთი მოგახსენოთ. ივნისის **ა**, ქორონიკონს **უპ**.

ქ. გორელი დეკანოზი, ახალ საღდრის დეკანო[ზი] ტ ე რ-ყ ა ზ ა რ ა.

ქ. მე, გორელი ახალი საყდრის კრებული ტ ე რ-ს ტ ე ფ ა ნ ა.
ქ. ცხინვალელი ი ა რ ა ლ ა ს შ ვ ი ლ ი ტ ე რ-მ ე ლ ქ ი ს ე თ.
ქ. მე, გორელი ხ ი თ ა რ ა შ ვ ი ლ ი ტ ე რ-ა რ ს ტ ა კ ე ს ა.
ქ. მე, გორელი ტ ე რ-გ რ ი ქ ო რ ა.
ქ. მე, მუხრანის დეკანოზი ტ ე რ-ა რ უ თ ი ნ ა.
ქ. მე, კარალელი ტ ე რ-ბ ა რ ს ე ღ ა.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ტ ე რ-ს ა ა კ ა ვ! მერე მართალია, შენ ამას წინათ მოგვახსენე და ჩვენ ოქმიც გიბოძეთ, მაგრამ ახლა ეს საქმე რომ გავსინჯეთ, ასე უნდა მოხდეს: როგორც რომ შენს წინამძღვარს უნებებია და ან ამისი ნება არის, [ისე] უნდა იქმნას და ჩამორთმეუ-

ლიც გაქვს სადმე გორძაკლობა. და თუ ამ შენს ამხანაგებთან საქმე გაქვს რამე, სამართალში ელაპარაკე და აგრევე წინამძღვართანა. თუ სალაპარაკო გქონდეს, იმასაც ელაპარაკე; და, რაც ახპატის მემოსავალი იყოს, იმისი ანგარიშიც უნდა მოსცე.

ჩვენ არც ჩამოგვირთმევია ჩვენის ოქმით გორძაკლობა და არც მოგვიცია. რომელიც შენს წინამძღვარს უმოქმედებია, ისე უნდა იქმნას. თუ ჩემის წერილით მეტნაკლებობა მოგსვლია რამე, ის ჩვენ არ ვიცით. შენი ჩამოუსვლელობა არას გზით არ იქნება, უნდა რომ ჩამოხვიდე.

მინბაშო დიმიტრი! შენ უნდა გამოუცხადო ეს ჩვენი ბძანება და აქ ჩვენთან გამოგზავნო. მთიბათვის **ივ**, ქორონიკონს **უპ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 141. არზა გლახა მამაცაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1792 წ. 18 ივნისი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 48. საბუთი № 31. პირი. ჭალალდი. მხედრული.

[20] ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს მამაცაშვილს ადამ ნაზირის შვილიშვილს გლახას.

იასე ამილახვარზედ რომ ოქმი მიბოძეთ, ჩემს მეზობლებს რომ ჩემი ვენახი გაეყიდნათ, ვენახი კი ჯელთ მიჭირამს, მაგრამ იმ თარიღში ამილახვარი თქვენის ჭირის სანაცვლო შეიქნა და მონასყიდეს თეთრი არ მისცემია და მევე მაწუხებს და ნახევარს ტკბილს მართმევს.

წყალობას ვითხოვ, ერთი ოქმი გებოძა, ვისთვისაც თეთრი მიეცეთ, მონასყიდეს პასუხი იმათ მისცენ. ამდენი ხანია ჩემი მა[მ]ული ზიანათ ესეც მეყოფა. როგორც სასოფლოთ გაუყიდიათ, სოფელმა მისცეს პასუხი. ღმერთი გაგიმარჯვებს. ივნისის **იე**, ქორონიკონს **უპ**.

ჩემის სიღარიბით ვეღარ გიახელ და თავი ვერ გაწყინე და ამდენ ხანს დარჩა.

თავში

ჩვენი ბძანება არის კალატოზიშვილო დიმიტრი! მერმე ამ არზის პატრონს ასრე რომ მოუხსენებია, ვისაც ის ამისი ვენახი გაუყიდნია და ფასი აუღია, ის ისევ უნდა გამოურთვა, ფასი

მონასყიდეს მოსცე. და ვენახი კი ამისი[ა] და ამას ასე უნდა დანებდეს. ივნისის იზ, ქორონიკონს **უპ**.

უამისო არ იქნება, ასრე უნდა აღასრულოთ. და თუ [illegible] სიტყვა ჰქონდეს, მოვიდეს, გვითხრას.

## 142. არზა ნათლისმცემლის მონასტრის კრებულისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1792 წ. 24 ივნისი**

ცსსა. ფონდი 1449. საბუთი № 2784. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჰირი მოსცეს ნათლისმცემლის მონასტრის ერთობით კრებულთა.

მერე ამას მოვახსენებთ: ამ ქალაქსა ერთს ადგილსა ნასყიდიი ადგილი არის მონასტრისათვისა, მსყიდველნი გახლიან რომ სიგელი ხელთ გვიჭირავს; ხ ა რ ი ტ ო ნ წინამძღვარი, ბ ე ს ა რ ი ო ნ, ს ი მ ო ნ, ს ა-ბ ა, ი ო ა ნ ე და ერთობით მონასტრის კრებულნი სწერიან, რომ უყიდნიათ მეჩახჩუხე ფ ა ს უ ა ს ა გ ა ნ ა, ამისი შვილი გ ი ო რ გ ი ს ა გ ა-ნ ა და თ უ მ ა ნ ა ს ა გ ა ნ ა ხარასხანის თავში უ მ ი კ ა ა ნ თ სახლებთანა. ამათ გარდა სიგელში ნიშნობლივ სწერია სამძღვრები, რომ სიგელიც ხელთ გვიჭირავს.

წყალობას ვითხოვთ, ერთი ოქმი გვებოძოს ი ო ა ნ ე პ ე ნ ტ ე-ლ ა ს შვილზედ, რომ წინაშე ღმრთისა ის სიგელიც გაშინჯოს და ადგილებიცა წვრილითა და გარჩევით მოგახსენოსთ; და რომელიც ნება თქვენი იყოს, მერე ისე აღასრულეთ. მთიბათვის **კდ**, ქორონიკონს **უპ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ამაქარავ პენტელას შვილო იოანე! მერე შენ უნდა მიხვიდე, ნათლისმცემლის მონასტრის კრებულთა ნასყიდობის წიგნი რომ აქვსთ, ის ჩვენც გვინახავს. ის უნდა გაშინჯო, კარგათ, გარჩევით შეიტყო ადგილობაცა, მიჯნაცა წინაშე ღმრთისა, გარჩევით ამ არზის ზურგზედ მოაწერო და ჩვენ გვიჩვენოთ. უნდა ამ საქმის კარგათ გარჩევასა ეცადო, მონასტერს ნასყიდობა არ დაეკარგება. ასე უნდა იცოდეთ. მთიბათვის **კდ**, ქორონიკონს **უპ**.

მელიქ-მამასახლისიც იქ უნდა დაგესწრათ და ნაცვალება.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯობს ძედ კახეთის მეფისა ერეკლე.

## 143. არზა თეიმურაზ ჯავახიშვილისა სამართლის მიცემაზე მდივანბეგეგის ოქმით

**1792 წ. 24 ივნისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 9858. დედანი. ქაღალდი. 22×12,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან მდი[ვ]ანბეგეგების ჭირი მამცეს თეიმურაზ ჯავახიშვილს.

მერმე ერთი კომლი კაცი ნინიაშვილები ორ კომლათ იყუნენ გაყრილნი — ერთი კომლი მე მერგო და ერთი ჩემს ძმას. ვენახი და ნაფუზარი გაყოფილი აქუს და სხვა მამული რაცა აქუს, გაუყოფარია ზოგიერთი, ახლა ის კაცი ძალას უშურება ჩემს კაცს და წილს ღალაში არას უდებს.

ამას გევედრებით, რომ გლახა თარხნიშვილს უბძანოთ, ის ღალა მოკრიფოს, ერთ ალაგს შეინახოს, და ის კაცი თქვენ სამართალში ჩამოიყვანოს და ღვთის წინაშე სამართალი გვისაჯეთ. მთიბათვის **ივ,** ქორონიკონს **უპ.**

თავში

ქ. საქართველოს მსაჯულთშეკრებულებისა მიერ ასე ეუწყოს თქვენს ბრწყინვალებას ბატონო თარხნიშვილო გლახავ, რომ: ეს კაცნი რომ სამართალში ასე ჩივიან, სამართალში მოსვლამდინ ეგ ღალა ერთს ალაგს შეინახე დაბეჭდილი და ეგ მოდავენი თუ მანდ ვერ მ[ო]არიგო, აქ სამართალში გამოგზავნე და ვისაც სამართალმა მისცეს, ისე დაჯერდენ. ივნისის **კდ,** ქორონიკონს **უპ.**

სამი ბეჭედი: 1. ღ[თ]ად კაცად გესავ ქრისტესა, მწე მექმენ აბაშიძესა ნიკოლოზ
2. მდივანბეგი
3. მზეჭაბუკ

## 144. არზა იუსტინე მროველისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1792 წ. 28 ივნისი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1502. კრებული. საბ. № 44. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[27] ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს მროველ მიტროპოლიტს იუსტინეს.

ავალიანი და დიასამიძე მამულს გვართმევს. თქვენი ბძანება ასე იყო: ან იმათ უნდა დაეფიცნა და ან ჩვენ. ერთი ოქმი გვებოძოს ერთს თავადიშვილზე, ჩვენს კაცს ჯვარს მივსცემთ და ჩაიაროს, სადამდისაც ჩვენი მამული იყოს. და თუ უნდათ, მოვიდენ, ჯვარი გამოართვან ჩვენს კაცთ და დაიფიცონ და დავანებებთ.

თუ ასე არა, ღმერთი გაგიმარჯვებს, მძლავრობით ეკლესიას ნუ წაერთმევა მამული. თქვენი მოსაკითხავია, მოწყალის თვალით მოხედე ეკლესიას. ღმერთი გაგიმარჯვებს. ივნისის **ივ**, ქორონიკონს **უპ**.

და სადაც გადაწყდეს, სამძღვარი ჩაჰყარონ. სამნები რომ აღარ აირიოს.

**თავში**

ქ. ჩვენი ბძანება არის ამირეჯიბო მიმბაშო ზაზავ! მერე ამ არზით მროველი რომ ასე ჩივის, შენ მიდი, ავალიანიც იმ სადაოს მიჯნებზე მიიყვანე, დიასამიძეებიცა და მროვლის ყმანიცა. და როგორც ამათ მოუხსენებიათ, თუ უნდოდეთ, ავალიშვილებმა ესენი დიასამიძეებმაც დააფიცონ; და თუ უნდოდეთ, თითონ დაიფიცონ და ეს საქმე გარდაწყვიტონ და მიჯნები ჩა[ა]სხით. და ავალიშვილებს თუ სხვა სიტყვა ჰქონდესთ და ჩვენ მოგვახსენონ. თიბათვის **კჱ**, ქორონიკონს **უპ**.

ერეკლე

ქ. ბატონიშვილი დავით გიბძანებთ ამირეჯიბო ზაზავ! მერე ამ ოქმით როგორც კურთხეულს ბატონს პაპა ჩვენს უბძანებია და ეს ოქმი აცხადებს, ასე აღასრულე. მაისის **ი**, ქორონიკონს **უპჱ**.

დავით

## 145. არზა თეიმურაზ ფავლენიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1792 წ. 7 ივლისი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 45. საბუთი № 191. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[127] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჰირი მოსცეს ფარეშთხუცეს ფ ა ვ ლ ე ნ ი შ ვ ი ლ ს თ ე ი მ უ რ ა ზ ს.

ამას მოვახსენებ. ტ ბ ე თ ს ჩვენს მამულებს შუა ერთი გორა არის, ირგვლივ ჩვენი მამულები ახვევია და ის გორაც ჩვენია, მით დროში იმაზედ კაცი არ მდგარა. ერთხელ იმ გორაზედ დ ე მ ე ტ რ ე ამილახვარისშვილი ციხეს აშენებდა, ჩემ[მ]ა ძმამ ი ვ ა ნ ე მ თქვენის ბძანებით ისევ დაუქცია და ხელი ააღებინა. ახლა ბ ე ჟ ი ა ნ ა მ უ რ ა ძ ე მ ნათხოვარსავით ოსები და ოსის მიმყოლნი კაცნი დააყენა ჩემს მამულში, ხდენითა და ქურდობით აღარას უშვებენ.

ერთის ოქმისა და იასაულის წყალობას გევედრებით, რომ ის ჩვენი მამული დაგვიცალონ და საცა ბეჟიას მამა-პაპა მდგარი იყოს და ან კაცი სახლებოდეს, იქ დააყენოს და ჩვენის მამულიდამ [v] ხელი აიღოს. ღმერთი გაგიმარჯვებს. თუ სიტყვა აქვს რამე, ის ტბეთის გარეშემო კაცნი მოიყვანოს და იასაულმა იმათ გაგვირჩევინოს. თუ არადა, ჩვენის მამულიდამ ხელი აიღოს. ან იმ გირაოს გარდა, საცა ჩვენი მამული ეჭიროს, ისიც იასაულმა გარჩევით და სამართლიანის საქმით დაგვანებოს. თიბათვის ზ, ქორონიკონს უპ.

თავში

ჩვენი ბძანება არის ამირეჯიბო მინბაშო ზ ა ზ ა ვ! მერმე ამ ფავლენიშვილებს ასრე რომ მოუხსენებიათ ორი-სამი ცხინვალელი ქეთხუდა კაცი და გარე კიდევ ნ ი ქ ო ზ ი დ ა მ და ხ ვ ი თ ი დ ა მ რამდენიმე იმ მამულების მცოდნე კაცნი უნდა მიიყვანო და როგორც ამათ მოუხსენებიათ, იმ ტბეთის მამულები ისრე გაურჩევინე და თავთავისი დაანებე.

და გორაზედ რომ ჩივის, თუ იმაზედ ჭეშმარიტი სიტყვა არავისა ჰქონდეს, ისიც ამას მოაბარე. და რომელიც [ამის მამულში იდგეს, რომ ამათი ნება არ იყოს, ისიც დაუცლევინე, ტბეთში იყოს თუ ნიქოზში. ღვთის წინაშე ამაზედ სამართლიანად მოიქეც. მკათათვის ზ, ქორონიკონს უპ.

თუ ჭეშმარიტი სიტყვა ჰქონდეს ვისმე, მოგვახსენოს.

## 146. არზა ვეჭილხარჯ აბელასი გამოსალების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1792 წ. 9 ივლისი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14887. დედანი. ქაღალდი. 32×16,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. ა-მეტი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს მათ მონას ვ ე ქ ი ლ ხ ა რ ჯ ი ა ბ ე ლ ა ს.

მერმე ამას მოვახსენებ ჩემს მოწყალეს. ღმერთმან თქვენი მუხანათი და ორგული შეაწუხოს, როგორც მე დაღონებული გახლავარ. ღმერთს[1] ვფიცულობ და თქვენს ბედნიერს თავს, რომ მობარებისათვის და სტუმრებისათვის და ქარხნის ხარჯისათვის ასე შეჭირვებაში გახლავარ, შინადამ კარში ვერ გამოვსულვარ, თუ სადმე ვიმალები, მამიხდებიან შინ, კარებს მიმტვრევენ და ცოლშვილთან ავათ მეპყრობიან, მუდამ ამ სატანჯველში გახლავარ, ეხტიბარი აღარ დამრჩომია.

ამ წყალობას ვითხოვ თქვენს მოწყალებისაგან: მრავლის დაღონებულის და შეწუხებულის მოწყალე ბძანდებით, ან ერთი ჰოქმი მიბოძოთ, ცოტახანს ჩემზედ ბარათი არ დაიწეროს, არც სტუმრისათვის და არც ქარხნისათვის არა შემაწუხონ, მანამ ჩემი ანგარიში მოხელე[ე]ბთან გავასწორო; თუ სარჭრისა დამედოს რამე, შვილები გავყიდო და მივართო; თუ ჩემი სარჭარზედ დარჩეს, მებოძოს, რომა ისევ სამსახური შევიძლო.

ჩემო ჯელმწიფევ, მოხელე[ე]ბს ბევრჯერ მოვახსენე და შევტირე, ყურს არავინ არა მიგდებს. წელს გორის იჯარაზედ ბარათი მამცეს, ერთი ფული არა მამეცა, ბარათი უკან მამიტანეს.

ღმერთი[1] შვილებს გიდღეგრძელებსთ, მოწყალება მოიღევით ჩემზედ. ამ შეჭირვებასა და სატანჯველს მამარჩინეთ. ღმერთმან ყოველსა სატანჯველისაგან დაგიფაროს. [მ]კათათვის **დ**, ჭორონიკონს **უპ**.

თავში

ქ. მელიქო ა ვ ე ტ ი ქ და მდივანო მ ა ნ უ ჩ ა რ! ახლა რომ ქ ა ლ ო ჰ ა ნ ე ზ ა ს საქონელი ვიყიდეთ, იქიდამ ამ ვექილხარჯს ოცის თუმნისა მოეცით და თავილათ დაწერეთ. მკათათვის **ი**, ჭორონიკონს **უპ**.




verso

[1] ღ~თან.

მელიქისაგან და მანუჩარ მდივნისაგან ა[მ] ბარათის თალლა[1] მ[ო]ბარდა მე, აბელ ვექილხარჯს.

კ ჳ (ოცი თუმანი და ოთხი მინალთუნი). ქ. ამაში მი[illegible] თოფი ჩვიდმეტი ა, ც (ერთი თუმანი და ორი მინალთუნი) [illegible].

## 147. ᲐᲠᲖᲐ ᲛᲔᲚᲕᲘᲜᲔ ᲬᲔᲡᲘᲐᲠᲐᲡ ᲥᲕᲠᲘᲕᲘᲡᲐ ᲚᲐᲚᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ ᲔᲠᲔᲙᲚᲔ II-ᲘᲡ ᲝᲥᲛᲘᲗ

**1792 წ. 12 ივლისი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 32. საბუთი № 280. პირი. ქაღალდი. მხედრული.

**[137v]** ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჭირი მელვინე წ ე ს ი ა რ ა ს ქვრივს და ობოლს მოსცეს.

ჩემო მოწყალევ! **[138]** ობლები წვრილები დარჩნენ, არც ერთს მოგება არ შეუძლიან, ორი ბიჭია და სამი ქალი, არსაით ილაჯი არა მაქვს ამათი საზ[რ]დოსი. დ ი ლ ო მ შ ი თქვენი წყალობა მამული მაქვს. იმ ჩემის მამულის ლალა მუდამ მე მამცემია.

ახლაც ამას გევედრები თქვენი შვილების სადღეგრძელოთ, ქვრივის და ობლის მოწყალევ, ერთი მაგარი ოქმი მიბოძოთ, რომ ის ჩემი მამული უჩემოთ არავინ მოხსნას; და ვისაც მოვახვნევინო, ლალა მე მებოძოს, რომ მეც ეს ობლები შევინახო. ყმა თქვენი არიან. [მ]კათათვის **იდ**, ქორონიკონს **უპ**.

თავში

ჩვენი ბძანება არის დილმის მოურავო და მამასახლისო! მერე **ამ** არზის პატრონს რომ ასე მოუხსენებია, ამას თქვენ ყური მიუგდევით რომ თავისის მიწის ლალა არავინ დაუჭიროს. და ვისიც ამის ნება არ იყოს, ნურც ამის მიწას მოხვნენ უამისოდ, თუ ამას არ შეეკითხნენ.

და თუ ამ ქვრივმა ამგვარად კიდევ იჩივლა, თქვენგან გვეწყინება. და ვინც ამაზე იმძლავრებთ, იცოდეთ გადავახდევინებთ. ივლისის **იბ**, ქორონიკონს **უპ**.

[1] თალლა.

## 148. არზა აღა მეჩენურესი ჰურჰლის თაოგაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1792 წ. 14 ივლისი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 322. დედანი. დაზიანებული. ქაღალდი. 20,4×16,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან [ბე]დნიერის ხელმწიფის ჰირი მოსცე[ს] თქვენს მოსამსახურეს აღას მეჩენურეს.

მერე ამას მოგახსენებ ჩემო ხელმწიფევ: ღმერთმა ასე თქვენი ორგული შეაწუხოს, როგორათაც მოვალებისაგან [ჰურ]ჰლის რთმევისაგან შეღონებული მე გახლდე. ვალს ვიღებ, ვაკეთებ. თქვენი შვილი და შვილიშვილები სამ[ა]სობით, ორასობით მიაქვთ. ერთი ძმა ჩემი ვალს გაექცა, ერთი მარტოკა მე დავრჩომილვარ. აქამდინ ორ მილანთუნათ ვყიდულობდით ტყვიასა, ახლა ოთხ[ა]თ გახ[ა]დეს.

ჩემო ხელმწიფევ, ღმერთი გადღეგრძელებს, გამაძლებინე. ერთი ოქმის წყალობა მიყავით, რომ უთქვენბარათოთ ვერც თქვენმა შვილებმა გამომართოს, ვერც თქვენმა შვილიშვილებმა, თორემ აღარ შემიძლიან, უნდა დავიკარგო.

თავში

ქ. ჩვენი [ბრძა]ნება არის, ამ არზის პატრონი ამ არზით რომ ასე ჩივის, ამას უჩვენს ბარათოთ ჰურჰელი არავინ გამოართვათ, თორემ დიდად ჩვენი საწყენი იქნება, ასე იცოდეთ ყველამა. ჯელი აიღევით, დაეხსენით. [მ]კათათვის **იდ**, ქრონიკონს **უპ**.

ქ. ჩვენო ღვთის წყალობანო, შვილო ბატონო გიორგი, იულონ, ალმასხან, ალექსანდრე, ფარნავაზ და ერთობით ჩვენო შვილიშვილებო!

პირველად თქვენი სახელი არ დავწერეთ, მაგრამ ახლა თქვენთვის პირდაპირ მოგვიწერია, რომ ამათ თქვენ ბარათით ნურას გამოართმევთ, თუ არ ხელდახელ სყიდვითა.

ჩემგან უფრო მეცნიერნი ხართ და ჩემგან უფრო ღმრთის მოშიშნი და რას ემართლებით, რომ აწუხებთ. ჩვე[ნ] კი არა გვმართებს რა ამისი, ვაძლევთ. და თქვენ რაღას ემართლებით, რომ არ აძლევთ. ჩემგან უკეთ იცით, რომ ცოდვა არის და ღმრთის წინააღმდეგი საქმე არის და რატომ იქთ ამასა.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 149. არზა დავით ოქრომჭედლიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1792 წ. 17 ივლისი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 31. საბუთი № 206. პირი. ქაღალდი. მხედრული. იქვე, საბუთი № 207.

[146v] ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჰირი მოსცეს ოქრომჭედლისშვილს დავითს.

მერე ამას მოვახსენებთ: აბითარის შვილს მოუხსენებია დვანს მამული მაქვს ნასყიდიო და არ მანებებსო, თუ ნასყიდი აქვს, ნასყიდობის წიგნი[1] წამოაყენოს, სამართალში გამიმტყუნოს და ერთიორათ წამერთვას და ისე მიეცეს. თუ არადა, ნიადაგ ამისგან რათ უნდა ვიტანჯებოდე. იმას რომ ბევრი თეთრი ქონდეს და ხარჯებდეს, მე უბრალო ვარ.

ერთის ოქმის და იასაულის წყალობას ვითხ[ო]ვთ, რომ რაც იმას თავის ძალით მოუტაცნია მძლავრობითა, გამომირთვას და მომცეს. თუ გამიმტყუნებს სამართალში, ერთიორათ მომაცემინეთ. თუ არადა, ის თავის მამასავით სიცრუეს ეწყობა. თუ სიტყვა ქონოდა რამე, ისიც აქ [147] გახლდა და მეც, რატომ სამართალში არ მელაპარაკა.

ღმერთი გაგიმარჯვებთ, ერთი ოქმი და იასაული მებოძოს. ან სხვას ვისაც ჩემს მამულში ედგას რამე, ისიც გამომირთვას და მამცეს, თქვენის შვილების სადღეგრძელოთ, მეტათ საქმე გვიჭირს. მკათათვის **ი**, ქორონიკონს **უპ**.

თავში

ჩვენი ბძანება არის ხერხეულიძევ აღათანგი და კვანჭახაძეებო! მერე ამ არზის პატრონი რომ ასე ჩივის, აბიათარის შვილსა და სხვას ვისაც ამის მამულის ღალა წაეღოსთ, ახლავ გამოურთვით და ამას მოაბარეთ. და თუ ჭეშმარიტი სიტყვა ჰქონდეს ვისმე, სამართალში ალაპარაკეთ. ივლისის **იზ**, ქორონიკონს **უპ**.

---

1+წიგნი.

## 150. არზა ერასტი ჩოლოყაშვილისა სახელმწ თაოგაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1792 წ. 25 ივლისი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2292. დედანი. 29,5×18,5. ქაღალდი. მხედრული. არზის მხოლოდ მცირე ნაწილია შემორჩენილი, დანარჩენი მოხეულია.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირ[ი] მოსცეს ჩ ო ლ ა ყ ა შ ვ ი ლ ს ე რ ა ს ტ ი ს. მ[ერე ამას მოგახსენებ ჩ]ემო ჯელმწიფევ: [თქვენის ბრძანებით ჭიაურელთ მოურა]ობა მებოძა...*

ამისთან[ა] არზი სხვა მოგართვით, ოქმიცა ბძანეთ. მას უკან აღარ ინებეთ. ახლა როგორიც თქვენი ნება იყოს, ისეთი ოქმი მიბოძეთ, გევედრებით...**

თავში

ქ. ჩვენ მაგიერად ჩ ო ლ ა ყ ა ს შ ვ ი ლ ს თიანეთის მოურავს ქ ა ი ხ ო ს რ ო ს ასე უამბეთ: მერე შენი ძ[მის]წული ერასტი ამ არზით ასე რომ ჩივის, ჭიაურელთ მოურაობა კურთხეულს შენს ძმას, მამა ამის ო მ ა ნ ს ქონდა ნაბოძები და მანამ ის ცოცხალი იყო, იმას ეჭირა და იმის სიკვდილს უკან იმის შვილს — ერასტის უბოძეთ და იმას უნდა ეჭიროს.

თვითონ შენ თიანეთის მოურაობა გიჭირავს; ჩვენის შვილის ი უ ლ ო ნ ი ს ნაზირობა შენს შვილს დ ი მ ი ტ რ ი ს უჭირავს; და კიდევ ჩვენის შვილის ა ლ მ ა ს ხ ა ნ ი ს სალთხუცობა შენს შვილს გ ი ო რ გ ი ს უჭირავს.

ეს სახელოები შენცა და შენმ[ა] შვილებმაც თქვენთვის უნდა იკმაროთ და ჭიაურელთ მოურაობა რომ ამისთვის გვიბოძებია ამას უნდა ეჭიროს და ამ სახელოთი ამასაც უნდა გაეძლებინებოდეს.

და თუ შენ ამაზედ სიტყვა გქონდეს, ის მოგვახსენე და იმისი პასუხი ჩვენგან მოგეცემა. აღიწერა მკათათვის კე, ქორონიკონს უპ.

უფროსი ძმა ომან იყო. შენცა და შენს ძმას ჯ ი მ შ ე რ ს ა ც თქვენს სახლზე დიდი ჭირნახული გაქვსთ, მაგრამ ომან, თქვენი ძმა, ბიჭსავით გემსახურებოდათ, და რატომ უნდა მოხდეს, რომ იმისი შვილი მშიერი იყოს [და] თქვენის სახლიდამ ★რა სცხოვრობდეს, რომ თქვენს ძმას ომანს თქვენზე უფრო ჭირნახულიც ჰქონდა, ბიჭსავით და

---

* აკლია შვიდი სტრიქონი. შემორჩენილია ცალკეული სიტყვები.
** აკლია ოთხი სტრიქონი.

მსახურსავით გემსახურებოდათ და თქვენის სახლის ყარაულად იყო და შემნახავიც იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ ქახეთის შუფენ ცხებულს ერეკლე.

## 151. არზა ახალშენელთა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1792 წ. 3 აგვისტო**

ცსსა. პ. კარბელაშვილის პირადი ფონდი 1461. რვეული № 13. საბუთი № 115. პირი. ქაღალდი. მხედრული.

**[65v]** ქ. ღმერთმან სრულიად საქართველოს დედოფლის ჭირი მოსცეს ერთობით ახალშნელთ.

ჩვენო მოწყალევ! ოთხი წელიწადია ამ ჩვენს მამულზე ვდაობთ. ოთხი წელიწადია უხნავ-უთესი ვრჩებით, არც სადაოში გაგვაროინეს შიგა და არც უდაოში. წელს არც ფეტვი გვინახავს, არც ანიული. ორი განაჩენი მიგვიტანია, მაგრამ არც ერთით არა გვეშველა რა. ქაიხოსრო დიამბეგი იასაული იყო, როგორც განაჩენი აცხადებდა, ისე გაზომა, მაგრამ ველისციხელთ არ იყაბულეს და განაჩენი დააყენეს.

ახლა რადგანაც არ გააყოფინეს, ბატონს არზა მოართვა დიამბეგმა და ხელი აიღო. თორმეტი დღეა აქ გახლავართ. ღმერთი პატიოსანს შვილებს გიცოცხლებს, სამართალი გვაღირსეთ. ერთი სოფელი ჯაცი ვიკარგებით და ნება თქვენია. სანამ აქედამ ერთს პასუხს არ მივიტანთ, ვერცარა ხვნენ და ვერცარასა სთესვენ. ამისი პასუხი დროზე გვებძანოს, ჩვენო მოწყალევ. აგვისტოს გ, ქორონიკონს უპ.

თავში

ქ. ბატონო მდივანბეგო ქაიხოსრო! ამ არზის პატრონები რომ ასე ჩრვიან, როგორც მისის უმაღლესობის მეფის განაჩენი იყოს, ეხლანდელი განაჩენი რომ არის, — არშიაზედაც აწერია, — როგორც იმ განაჩენში ეწეროს, ისე აღასრულე. ვინც არ დაგიჯეროს დაიჭირე და ბატონს მოართვი. აგვისტოს გ, ქორონიკონს უპ.

რომელსაც განაჩენზედ ეხლა ბატონმა არშიაზედ მოაწერა, როგორც იმ განაჩენში ეწეროს, ისე გაარიგე. და რომელმაც არ დაგიჯეროს დაიჭირე და ხელშეკრული ბატონს მოართვი.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

## 152. არზა ზაალ დავითიშვილისა ყმის თაოგაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1792 წ. 5 აგვისტო**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 549. დედანი. ქაღალდი. 31×16,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. ა-მეტნაკლები.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჰირი მათს მონას დ ა ვ ი თ ი შ ვ ი ლ ს ზ ა ა ლ ს მოსცეს. მერმე ამას მოვახსენებ.

ქ. ჩემო ხემწიფევ, მრავალჯერ მიწყენია თავი ზ ა რ დ ი ა შ ვ ი ლ ი ს საქმეზე და კიდევ უნდა გაწყინო თავი, თუ სამართალი არ დამემართა. არზი მოგართვი, რაც ჩემი კაცი ეჭირა და საერისთოში ყვანდა და თავის მამულზე გამოვიდენ, ამას მედავება-მეთქი. ოქმი გებოძათ ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ზ ე: ეგ კაცები ზაალს მოაბარეო და ჩვენთან მოვიდენ და სამართალს მივცემთო. ამილახვარმა ბძანებისაებ აღასრულა, გამოუშვა ხანი, სამართალში კი არ მამყვა.

ქ. მოსულიყო, არზა მოერთმია, ტყუილათ მოუხსენებიაო. ახლა იმისთვის გებოძა ოქმი: ამილახვარო, ისევ ზარდიაშვილს მოაბარეო; ამილახვარს კაცი გამოეგზავნა, მოაბარა; ზარდიაშვილი იმ მიბარებას არ სჯერდებოდა, ყრიდა, საერისთოში მიუდიოდა; თავის მამულის აშვებინება მე იქ წასაყვანათ არ დავანებე, ბატონს არ უბძანებია, სამართალში მივიდეთ, შენც ჩემი ყმა ხარ, თორამ ეს ორი კაცია, ამას სამართალი ვერ წამართმემს მეთქი. ამაზე ჩხუბი მიყო, ორნივ მამაშვილნი კინაღამ თოფებით დაგვხოცა; ეს მოხსენებულიც გაქვსთ, აღიღათიც ნაკითხი გაქვსთ, ოქმი არის, მაგრამ სამართალში არ მამყვა.

წყალობას ვითხოვ, ერთი ოქმი მებოძოს ამილახვარზე, ეს კაცები ისევ მე მამებაროს და ის ზარდიაშვილი ორნივ ძმანი აქ სამართალში გამოგზავნოს. ახლაც მიხდომია ჩემს კაცს და ძროხა წაურთმევია, ჩემს შვილს ჩემს მამულში ღალა აუღია, თავისთავათ რათ მიუხდა, მძლავრობით მიშვრება.

ღმერთი გაგიმარჯვებს, ერთის გზით მამარჩინე მე და [ა]მ ჩემის ყმისაგან ამ ყოფას ვერ გავძლებ და ძნელიც არის. კაცს თავის ყმა წაუიდეს, იქავ მეზობლის მამულში იდგეს და ამ ყოფაში ყვანდეს, არავის დამართია თავისის ყმისაგან და მეც მიშველე რამ ქრისტეს სიყვარულისათვინ, ჩემო მოწყალევ. აგვისტოს **გ**, ქორონიკონს **უჳ**.

თავში

ქ. ბატონო ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ო ო თ ა რ! ეს ზაალ რომ ასე ჩივის, ეგ ზარდიაშვილები ახლავ აქ გამოგზავნე, გალახვასაც უჩივის და კაცებსაც ედავება. ახლავ ჩამოვიდენ, სამართალში გაუსწორდეს, თო-

რემ მაგ კაცებზედ ჴელს აუმართავთ და ამ ზაალს მივცემთ. და მას უკან ვეღარას უშველის. აგვისტოს ე, ქორონიკონს უპ.

ამით ორი და სამი ოქმი მოგვიწერია და სამართალშიც დაგვიწე-რებია, რატომა იქ რომ ან შენ არა გზავნი და ეგ არ მოსდევს სამართალში. ახლავ გამოგზავნე, თორემ თითონ იცის, სადაო კაცებიც თან გამოატანე.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

## 153. არზა ეგნატი და პაპუა თუმანიშვილებისა ღალის თაოზაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1792 წ. 9 აგვისტო**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 9325. დედანი. ქაღალდი. 25×15,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჴელმწიფის ჭირი მათს მიწა მტვერს თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ს პ ა პ უ ა ს ა და ე გ ნ ა ტ ი ს მოგვცეს.

მერე რ ე ხ ა ს ჩვენის ყმის მიწიდამ თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ს ნ ი კ ო ლ ა ო ზ ს ღალა მოუტაცნია და წაუღია. მამები გადიცვალნენ და არავის უდავნია, ჩვენ თითქმის დავბერდით და არავინ წამოგვდავებია.

ამ წყალობას ვითხოვთ, ერთი ოქმი და იასაული გვებოძოს, საიდამაც ჩვენის მიწებიდან ან რეხიდამ და ან ა ხ ა ლ დ ა ბ ი დ ა მ ღალა წაეღოს და მოეტაცნოს, ის უკლებრათ გამოგვ[ი]რთვას და მოგვცეს.

მას უკან თუ სადაო აქვს სამართალში გველაპარაკოს. მოტაცებითა და მძლავრობით რათ უნდა მოქმედებდეს, თქვენ ხელმწიფეთ ბძანდებოდეთ. აგვისტოს თ, ქორონიკონს უპ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი შ ვ ი ლ ო მინბაშო ბ ე ჟ ა ნ! მერე, ამ არზით თუმანისშვილი პაპუა და მდივანი ეგნატი რომ ასე უჩივიან თუმანისშვილს ნიკოლოზს, რაც ამათის მამულებიდამ ღალა მოეტაცოს, ჯერ ის უკლებრად გამოართვი, ამათ მოეც, რადგანც მძლავრობით მოუტაცნია. და მასუკან თუ ჭეშმარიტი სიტყვა ჰქონდეს რამე, ჩვენ მოგვახსენოს. აგვისტოს თ, ქორონიკონს უპ.

თუ შარშანა და შარშანწინ იმას უღია, ის მოტაცნა აღარ ყოფილა. თუ არ აუღია და ისევ მოსცეს, თორემ ერთს ორად წავართმევთ, რათ მოსტაცა თავის თავად.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ე რ ე კ ლ ე.

## 154. არზა გოგია ნასალჩიბაშის ნაიბისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1792 წ. 19 აგვისტო**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 36, საბუთი № 257. პირი. ქაღალდი. მხედრული. იქვე, საბუთი № 266.

[167v] ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს ნასალჩიბაშის ნაიბს გოგიას.

მერე ამას მოვახსენებთ, რომ ჩხეიძე[ე]ბი ოსიაურში მამულს მედავებიან. ჯერ ერთი ეს, რომ ჩემს კაცებს სულ ნასყიდი აქვსთ; მეორე, ამას გარდა ეს საბუთი მაქვს, რომ სანატრელს ცხებულს მეფეს ბატონს ჩამოურთმევია.

ერთი ოქმი მებოძოს იესე მურმანიშვილზე და აბელ მღდელზედ, რომ თუ სიტყვა ჰქონდესთ რამე, თქვენს სამართალში ჩამოვიდნენ და მელაპარაკნენ. თუ სიტყვა არა ჰქონდესთ რა, ამ ოქმზედ ჯელი მამ[ი]წეროთ, რომ ჩემთან სადაო აღარა ქონდესთ რა. და ვადა უბძ[ა]ნეთ, რომ იმ ვადაზედ სამართალში გიახლონ და მიზეზი აღარა თქვან რა მასუკან. ღმერთი გაგიმარჯვებთ. აგვისტოს თ, ქორონიკონს უპ.

თავში

ჩვენი ბძანება არის იასე მურვანისშვილო და აბელ მღვდელო. მერმე ამ არზით პატრონი რომ ასე ჩივის[1], ჩხეიძეებს უთხარით, რომ სამართალში ჩამოვიდნენ და ელაპარაკნენ. ექვსი თვე ვადა მიგვიცია. ამ ექვს თვეზედ თუ არ ჩამოვიდნენ და არ გაუსწორდნენ, მამული ამისი იქნება იცოდნენ და ველარას შეუვლენ მასუკან. აგვისტოს ით, ქორონიკონს უპ.

## 155. არზა ზაალ დავითიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1792 წ. 20 აგვისტო**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 543. დედანი. ქაღალდი. 19,3×11,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. ა-მეტი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჰირი მათს მონას დავითიშვილს ზაალს მოსცეს.

[1] ჩვენის.

მერე ამას მოვახსენებ: ყ ვ ა რ ე ლ შ ი ერთი ჩემი კაცი გახლავსთ, კ ო კ ო რ ა შ ვ ი ლ ს მღვდელს აბარია თქვენის ბძანებით და თავდებიც ის არის. წყალობას ვითხოვ, ერთი ოქმი და იასაული მიბოძოთ; ავყარო: იქ მე კაცი არას მარგებს. მოგეხსენებათ, როგო[რ]ი ახლო მანძილია მე და იმა[ს] შუა. ღმერთი გაგიმარჯვებს, წყალობა მიყავით. აგვისტოს **ზ**, ქორონიკონს **უპ**.

თავში

ქ. ეშიკაღაბაშო გ ა რ ს ე ვ ა ნ! ამ არზით დავითიშვილი ზაალ რომ ასე ჩივის, ერთი იასაული მიეც. რადგანაც ეს თავისი კაცი ყვარელში მიბარებული ჰყოლია და კოკორაშვილის მღვდლის წიგნიც ჯელთ უჭირავს, ახლავ აუყაროს და მოსცეს. აგვისტოს **კ**, ქორონიკონს **უპ**.

თუ იმ კაცს სიტყვა ქონდეს, მოგვახსენოს იმ კაცმა.

ბეჭედი: ჭნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ე რ ე კ ლ ე.

## 156. არზა ახალდაბელებისა წყლის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1792 წ. 23 აგვისტო**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2043. დედანი. ქაღალდი. 29,5×16 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოგვცეს აოხრებულს ახალდაბელთ.

მერე მოგეხსენებათ, სამჯერ ლეკმა აგვაოხრა და ამოგვწყვიტა. ექვსი კაციც იმერეთს გზაზედ დაგვეკარგა, ჯარი რომ გარდაგზავნეთ. დავრჩით რვა კომლი კაცი. ახლა ერთი სარწყავი რუ გვქონდა, ისიც ვარიანელმა ბ უ ზ ა ლ ა ძ ე მ დაგვიხევა, წისქვილი დააბრუნა; სადაც წისქვილი ჰქონია, ის მოიკითხეთ, იქავ დააბრუნოს. ჩვენის უღონობით სადაც ჰქონდა ის ალაგი, და[ა]გდო და სხვაგან აშენა და ჩვენი წყალი მოგვიჭრა.

ერთის ოქმისა და იასაულის წყალობა გვაღირსოთ, საცა ბრუნებულა, იქავ დააბრუნოს და ჩვენი წყალი ისევ დაგვნებდეს, რომ თქვენის დოვლათით ჩვენც ვიცხოვროთ. და თუ ეს წყალი არ დაგვნებდება, ჩვენი დგომა არ იქნება.

ღმერთი გადღეგრძელებს, ამისი მოწყალება მოიღოთ. მარიამობის **კბ**, ქორონიკონს **უპ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ამილახვრისშვილო [illegible] ბეჟან! მერე ამ არზის პატრონებს ასე რომ მოუხსენებიათ, [illegible] მიხვიდე და სწორედ მოიკითხო. თუ იმას იქ წისქვილი არა ბრუნებოდეს, ვერც ახლა დააბრუნებს, ისევ უნდა მოუშალო ის წისქვილი. და სადაც უწინ ბრუნებულა, იქავ დააბრუნოს. სოფელს წყალს ვერ მოუჭრით. აგვისტოს კგ, ქორონიკონს უპ.

ეს ასე გაარიგე, როგორც გვიბრძანებია.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

მასუკან თუ სიტყვა ჰქონდეს, მოგვახსენოს.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 157. არზა ზაალ დავითიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1792 წ. 26 აგვისტო**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 547. დედანი. ქაღალდი. 19×12,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჭირი მათს მონას დავითიშვილს ზაალს მოსცეს. მერმე ამას მოვახსენებ. ავალიშვილი ზურაბ კაცზე რომ მედავებოდა, ჩვენმა საჩივარმა თქვენ წინ გაიარა ხაშმზე. თქვენგან ეს სამართალი შებძანა ოცს აპრილსა: ამაღლებამდინ თუ მამიჩემის გასყიდულობის წიგნი მოეტან[ა] ან ასეთი მოწამე რომ სამართალს შე[ე]წყნარებინა, რომ ის იყო, თუ არა ჩემთან საქმე აღარა ექნებოდა რა.

ჩემო ხემწიფევ, თქვენი ბძანებული ოქმი ეს მეოთხე თვე მიდის, ვერცერთი წამოაყენა; და ამ წყალობას ვითხოვ თქვენის მოწყალებისაგან, რომ ეს თქვენი ბოძებული ბძანება დამემტკიცოს. ღმერთი გაგიმარჯვებს. აგვისტოს ი, ქორონიკონს უპ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის. მერე ამ არზით ზაალ დავითიშვილს ასე რომ მოუხსენებია, ამათმა ლაპარაკმა ხაშმზედ ჩვენთან გაიარა, რომ ჩვენი ოქმიც ზაალს ჴელთ უჭირამს. ზურაბ ავალიშვილს ამაღლებამდის ვადა დაუდევით, რომ ვადაზედ საბუთი უნდა მოეტანა. თუ საბუთს მოიტანდა, სამართალში უნდა ელაპარაკნა. ახლა მაღლებას უკან სამე თვეს გაუვლია, რომ საბუთი ვერა მოიტანა რა. ეს კაცი ზაალ

დავითიშვილისა არის. თუ საბუთს მოიტანს რასმე, სამართალში ელაპარაკოს. და თუ რომ საბუთი ვერასფერი ვერ მოიტანა, ვისგანაც ზურაბს უყიდნია ის კაცი, იმას ედაოს და სამართალი მიეცეს. ამ ბაღთან საქმე არა აქვს რა. ვისგანაც უყიდნია, იმას ედაოს. აგვისტოს კვ, ქორონიკონს უპ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

## 158. არზა ფალავანდიშვილებისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1792 წ. 31 აგვისტო**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3641. დედანი. ქაღალდი. 31,7×15 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან მისის უმაღლესობის, ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს ფალავანდიშვილს როსტომს, ელიაზარს და ბეჟანს.

მერე ამას მოვახსენებთ: ღმერთმან იმდენი დღეგრძელობა და გამარჯვება მოგცესთ, რამდენი კომლი კაცი იმერელი თქვენს საბრძანებელში გადმოსულიყოს და აგრევე ქართლიდამ იმერეთში გადასულიყოს; მაგრამ ძალით, მოხდომით და მოტაცებით, არც თქვენი ყმა იმერეთის მეფესა და თავადებს არ აეყაროსთ და არც თქვენს უმაღლესობასა და თქვენს თავადებს მოეტაცოს და აეყაროს იმერეთიდამ კაცი.

რაც ახლა ჩვენზედ არ წესდება[1] ეს საქმე ბები[ი]ს ჩვენისა მზითვისა...* ურია გვყვანდა და ცხინვალს თქვენს საფარველს ქვეშ გვესახლა. პირველს ხარჯს თქვენს ყმებთანაც აძლევდ[ე]ნ და ამას გარდა ჩვენც...** გვემსახურებოდა და იოლათ მივდიოდით. და ერთს დღეს ორმოცის კაცით ქუთათლისა და ვახუშტი წერეთლისა ძმა გიორგი მოსულიყო. იმ დღეს ცხინვალის ვენახებში დამალულიყო, დაელამებინა და ვახშმობისას შემოსულიყო ცხინვალში, აეყარა და წაეყვანა ის ურია, ამ წასრულს მკათათვეში აგვიყარა და წაიყვანა.

ამგვარი საქმე და ასე მოტაცება თქვენს საბძანებელსა და იმერეთში არასდროს არ მამხდარა. და ამას გევედრებით და წყალობას

---

[1] წეესდება.

* წაშლილია ორი სიტყვა.

** წაშლილია ერთი სიტყვა.

ვითხოვთ, რომ ერთის ბეჯითის წიგნის წყალობა გვიყოთ, რომ ჩვენი ყმა მოგვცენ; ჯერ მზითევი არის და მასუკან ძალას მოვატყლებთ და წაიყვანეს. და ავალიშვილი ბეჟანიც აქ გახლდათ, გასაც რომ ბეჯითათ ებრძანოს, დიდი მოწყალება იქნება. აგვისტოს კგ, ქორონიკონს უპ.

თავში

ქ. ჩვენ მაგიერად ბატონს წერეთელს სალთხუცესს ზურაბს და სარდალს ქაიხოსროს და მოლარეთუხუცესს გიორგის მრავალი მოკითხვა უამბეთ.

მერე ამ არზით ფალავანდიშვილები ასე რომ ჩივიან, ეს როგო-[რ]ი საქადრისი საქმე არის. ეს თქვენც კარგად იცით, რომ ჩემს ქვეყანაში რომელიც იმერელი კაცი მოსულა და თავის ნამზითვსა და ნასისხლს კაცზედ უდავია. ის კაცი მაშინვე თავისის ცოლ-შვილით მიგვიცია და წამოუყვანია. ეგ ურიაც ამათი ნამზითვი არის და უნდა რომ ამათ თავეთი კაცი მოსცეთ; თავისის ცოლ-შვილითა და საქონლითა უკლებრათ უნდა მოაბაროთ. ამგვარი საქმე არ ვარგა და არც საქადრისი არის. ნურც ჩვენს შვილისშვილს მეფეს სოლომონს უზამთ, რომ ამ გვარებში აწუხებდნენ.

ეს ურია გიორგი მოლარეთუხუცესს აუყრია. რატომ იქმთ, მოყვრები არა ვართ და ერთმანერთის სიკეთისა და კაისმდომნი? ამგვარი საქმე არც ჩვენის ქვეყნიდამ უნდა მოხდეს მაგ ქვეყანაში და არც მაგ ქვეყნიდამ ჩვენს ქვეყანაში. ურიგო საქმე არის და ავათ დასანახავი. ამას ნუ იქმთ, რომ ეგ ურია მოუცემელი დააგდოთ.

მუხრანისბატონის სარდალ სალთხუცის იოანეს კაცისა ერთ[ი] საპალნე ბამბა ჰქონია მაგ ური[ა]სა და ისიც თან გადმოუტანია. ეგ ურია თავისის ცოლშვილითა და საქონლით უნდა რომ უკლებრათ ამ თავის მებატონეს მოაბაროთ და წამოიყვანონ. აგვისტოს ლა, ქორონიკონს უპ.

ბეჭედი: მე ფეხთ განბანილთა მიერ ეკდესია ვადიდე ერეკლე.

## 159. არზა იოანე დეკანოზისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1792 წ. 7 სექტემბერი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 266. დედანი. ქაღალდი. 21.2×16 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან მისის უმაღლესობის ყოვლად მოწყალის ჯელმწიფის ჭირი მომცეს სიონის დეკანოსს იოანეს.

სიონთა ღმრთისმშობელს მამული აქვს ნასყიდი ე რ ტ ა ნ ს თ უ რ-ქ ი ს ტ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ მოსყიდული. სარწმუნო მოწმიანი სიგელი მაქვს. ახლა ამ ნასყიდობაში სასახლის ადგილს თ უ რ ქ ი ს-ტ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ტ ე ტ ი ა თამაზის შვილი გვეცილება [illegible] [illegible]-ბებს. წყალობას ვითხოვ, ან თქვენთან გვალაპარაკოთ და ან რომელ-სამე თქვენს შვილს უბძანოთ სამართალი და ან მდივანბეგებზედ გვი-ბოძოთ ოქმი, რომ სამართალი მოგვცენ. სეკდემბერს ზ, ქორონიკონს უპ.

თავში

ქ. უფალნო მსაჯულნო! ამ არზის პატრონი რომ ასე ჩივის, ეს დე-კანოზი იოანე და თურქისტანიშვილები თქვენთან ალაპარაკეთ და ღმრთის წინაშე ჭეშმარიტი სამართალი უსაჯეთ. სეკდემბრის ზ, ქო-რონიკონს უპ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

## 160. არზა ტლაშაძეებისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1792 წ. 14 სექტემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 13768. დედანი. ქაღალდი. 34×13 სმ. მხედ-რული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჴელმწიფის ჭირი ტ ლ ა შ ა ძ ე [ე] ბ ს ა ს ე ს, ი ო ს ე ბ ს მოსცეს.

მერმე ამას მოვახსენებთ: უწინაც სახასო ვყოფილვა[რ]თ და ახ-ლაც ხ ი დ ი [ს] თ ა ვ ს ჩვენს მამულზედ მივედით, აქამდი დ ო ე ს [ს] ზ ა ქ ა რ ი ე ც ი ც ი შ ვ ი ლ ს წილათ ვიყავით და დავთარშიაც იქ ვეწერეთ და გამოსაღებაშიაც აქ ვდგებოდით.

ახლა გევედრებით, რომ ერთი ოქმი გვიბოძოთ გ ლ უ რ ჯ ი ძ ე-ზ ე დ ა, დავთარ[შ]იაც იქ დაგვწერონ და რაც შეგვიძლია გამოსაღებ-შიაც იქ მიუდგებით. ღმერთსა ვფიცამთ, რომ ჩვენთან საქმე არავის [ა]რა აქვს რა. თქვენი სახასო ვყოფილვართ, პაპის თქვენის წიგნები-ცა გვაქვს და ღმერთი გაგიმარჯვებთ, გვაწუხებენ და ყველანი გვლე-ჯენ და სამართალი გვაღირსეთ. სეკდემბრის ია, ქორონიკონს უპ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის გ ლ უ რ ჯ ი ძ ე მოლარეთხუცესო ნ ი-კ ო ლ ა ო ზ! მერე ამ არზის პატრონი ამ არზით რომ ასე ჩივის, ეს

ჩვენს სახასოობას ამბობს, რომ ჩვენი სახასო ყოფილიყოს ატენელი; ახლაც მანდ შენს სამოუაროს ატენელებში დააყენე, თვალი და ყური მიუგდე, უბრალოთ არავის გააგლეჯინო. და თუ სიტყვა ვინმე ჩვენ მოგვახსენოს. სეკდემბრის **იდ**, ქორონიკონს **უპ**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

## 161. არზა მატნელეგისა მამულის თაოგაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1792 წ. 19 სექტემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 1858. დედანი. ქაღალდი. 43,2×17,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჰირი მოსცეს ერთობილთ მატნელებს.

თქვენის მოწყალებით აგერ ორმოცდაათი წელიწადია იქ გალავანი აშენებულია და იქ ვდგევართ, თქვენც გემსახურებით და ქვეყანასაც და რაც შეგვიძლია მტერსაც პასუხს ვაძლევთ. აქამდინ მოსვენებით ვიყავით.

ეს ორი სამი წელიწადია, რომ მარილელნი და ნამეტნავათ ჯუგაშვილი და იმისი შვილი — ესენი მივიდნენ ქაიხოსრო სალთხუცესთან, ისიც მოებირებინათ, ფშავლებს გამოსძღომოდნენ და ნახევარი მატნის მამული ეჩვენებინათ, რომ ეს მამულები ხატის შეწირული არისო და თქვენს მამულს ნუ დაანებებთო.

მას აქეთ ორჯელ სამჯერ ფშაველები შეყრილნი მოგვხდომიან და გვაწიოკებენ. ვინც ამ ბაღჩას გავაკეთებთ ან ბოსტანს, ისინი გვიხდენენ, ველარა მოვხანით რა და ვერა ვიკეთილეთ რა. ჩვენც გული გვიხდება, მუდამ აკლებას გვიქადიან და სიკვდილსა.

ჩვენ თუ ერთი ბინა და წყალობა არა დაგვემართა რა თქვენგან, ჩვენ იქ დგომა არ შეგვიძლიან; ეხლაც ავიყარენით და თქვენი ოქმი და ბძანება მოგვივიდა და ისევ მივედით. და თუ რამ ნამუშევარი გვქონდა[1], გაგვიფუჭდა იმათის მიზეზით; ეხლაც გუთნები ვერ შეგვიბამს, სულ კომლათ კაცნი აქ გახლავართ. ახლა თუ ერთი გზა და მიჯნა არ გვებოძა, იქ ვერ დავსდგებით; და სხვაგან კახეთში ყველგან თქვენი მამული არის, იქ ვიცხოვრებთ.

ეს ჩვენი ამრევი გარშაული და ჯუგაშვილი არის და

[1] +და.

იმისი შვილი. ეს ის ჯუგაშვილი არის რომ ლეკებს მოუძღვა და შეუტყევით და ლეკები დაუხოცეთ. ის დაჭრილი გყუანდათ, თვალებს სთხრიდით და გაგაშვებინესთ. მას დღეს იქით აგვიმტერდა და მტრათ გარდაგვექიდა.

მოგეხსენებათ მტრის ალაგზედ და გზაზედ ვდგევართ; კომლზედ კაცნი აქ გახლავართ. წყალობას ვითხოვთ ამ არზის პასუხი დროზედ გვებოძოს. დეკემბრის **იც**, ქორონიკონს **უპ**.

თავში

ბატონო კახეთის მოსამართლენო — მდივანბეგო ბეჟან და მდივანბეგო ოტია ვ და მდივანო სვიმონ.

მერმე თქვენ უნდა წახვიდეთ მატანსა და საყდრიონის აზნაურშვილები სალთხუცესი გლახა და მდივანი მგალობლიშვილი დავით და ვარჯან მსაჯული და ბოქაულთხუცესი დავით — ესენი თან უნდა წაიყვანოთ.

და თუ მანდ მატანის მამულის გუჯარი[1] ქონდესთ, ისიც მონახონ და საყდრიონელთ თან წამოიღონ; და აგრეთვე ბიკტორ მოძღვართმოძღვარიც თან წაიყვანეთ.

მიდით მატანსა და რომელიც[ან] იმ მატნელებსა ან ფშაველებსა და ან მარილელთ სალაპარაკო ქონდესთ, ფშაველნიც ხომ მანდ იქნებიან სართილოთ ჩამოსულნი, მაგათი უფროსი კაცნიც თქვენთან მი[ი]ყვანეთ. ესენი თქვენ სამართალში ალაპარაკეთ. სამართლით ამათი მამულები უნდა გა[ა]რჩიოთ; რომელიც ეკლესი[ი]ს მამული იყოს, ეკლესიას უნდა და[ა]ნებოთ; რომელიც ჩოლაყაშვილის მამული იყოს საბატნო, ამათ უნდა და[ა]ნებოთ; და რომელიც ფშაველთ მამული იყოს, ფშაველთ და[ა]ნებოთ. და აგრეთვე მარილელთა სამართლით თავ-თავისი მამულები თქვენ უნდა გაურჩიოთ და განაჩენი დაუწეროთ და მისცეთ.

და რომელიც სამართლით მისცეთ წერილით განაჩენი, ის ჩვენთან უნდა მოიტანონ და ჩვენც სამართლით დაუმტკიცოთ. სექტემბრის **ით**, ქორონიკონს **უპ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

---

[1] + თუ.

## 162. არზა ერეკლე ფალავანდიშვილისა გალახვისა და მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1792 წ. 25 სექტემბერი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 31. საბუთი № 71. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[39] ღმერთმან ბედნიერის ჯემწიფის ჰირი მოსცეს ფალავანდიშვილს ერეკლეს.

ამას მოგახსენებ ჩემო მოწყალევ ჯელმწიფევ! ავნევს მამულები მაქვს სამკვიდრო და ნასყიდობა ჩემი სახლისკაცისაგან, ნასყიდ მამულში მკვლენ, არ მანებებენ. ნასყიდობის წიგნებიც ხელში მიჭირავს, თქვენი ოქმებიც მაქვს, მაინც [v] არა მეშველა რა.

შამშე ერისთვის შვილმა, თქვენს ალაყაფის კარზედ ვიჯექი, მამეხვნენ ხუთნი ძმანი, ავათ გამლახეს. თქვენს კარზედ რომელს გლეხს კაცს დამართები[ა] ამათგან; ეს უსამართლობა მოიღეს ჩემზ[ე]დ, თქვენს კარზედ დამემართა, თქვენი მოსაკითხავია, თქვენს მეფობაშიდ თავადიშვილს არ დამართებია, ნურც მიზამთ უსამართლობას. ნასყიდობის წიგნებიც ნახეთ ჩემი. ღმერთი გაგიმარჯვებს, თქვენ მეტი მოწყალე არავინა მყავს, ჩემს მამულშიდ მკვლენ შამშე და იმის კაცი.

სამართალი მოიღეთ, ჩემო ხემწიფევ, თქვენ კარზედ გალახვის. სეკდემბრის კგ, ქორონიკონს უპ.

თავში

უფალნო მსაჯულნო! მერე ამ არზით ფალავანდისშვილი ერეკლე ერისთვის შვილის შანშესაგან გალახვას რომ ჩივის, შანშეც და ესეც ორნივ თქვენს სამართალში მიაყუანინეთ და ჩვენს კარზედ რომ გაულახავს, იმ გალახვაზედ ჭეშმარიტი სამართალი მოეცით. და რომელს მამულზედაც რომ დაობენ, ორისავ მჯრიდამ წერილები თუ ჰქონდესთ, მოატანინეთ და იმ წერილების მიხედვით ჭეშმარიტი სამართალი უსაჯეთ და თავ-თავის მამული თავ-თავისას დაანებეთ. ერეკლეს ჩვენგან ნაბოძვარი ოქმებიც აქვს და ის ოქმებიც გასინჯეთ და ისე მიეცით სამართალი.

დათულაშვილო დათუავ! მერე ეს ერეკლეც და შანშეც — ორნივ მდივანბეგებთან უნდა მი[ი]ყვა[ნო], რომ როგორც გვიბძანებია, ისე აღასრულონ. სეკდემბრის კე, ქორონიკონს უპ.

## 163. არზა ზაალ დავითისშვილისა ყმის თაოგაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1792 წ. 1 ნოემბერი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2237. დედანი. 25×15 სმ. ქაღალდი. მხედრული. ა-მეტი. ყოველი სიტყვის შემდეგ თითო წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მათს მონას დ ა ვ ი თ ი შ ვ ი ლ ს ზ ა ა ლ ს მოსცეს.

ჩემო ხელმწიფევ, ეს ოცი წელიწადია მუდამ თავს გაწყენ, ზ ა რ დ ი ა შ ვ ი ლ ი ჩემი ყმა არის და მძლავრობით თავს მართმევს-მეთქი. ოქმებიც მაქვს სამართლის ბოძების დაპირებისა და ეს სამი წელია მუდამ ხშირად გაწყინე თავი. ამისი ოქმებიც მაქვს, მაგრამ არა გაეწყო რა. ეს არ ვიცი რა ანბავია.

ეხლა რომ წ ა ვ კ ი ს [ს] ბრძანდებოდით, კიდ[ე]ვ გაწყინე თავი. ოქმი მიბოძეთ ამილახვარზე: თუ ახლავ არ ჩამოვიდენო, კაცებზე რომ დაობენ, ამ ზაალს უბოძებო და მას უკან იდაოსო.

ამ სიტყვამ შეაშინა, ჩამოვიდენ, ერთი კვირა გა[ა]თიეს, ისევ წავიდენ. არ მამყვნენ სამართალში. კაცებს ცალკე მართმევენ, ორივ; მამაშვილი დახოცილი ვართ. ამ ზაფხულს კიდევ ჩემს კაცს მიხდომიან, თავისთავათ ძროხა წაურთმევიათ უბრალოს კაცისათვის.

გაზაფხულზე ხ ა შ მ ზ ე რომ ბრძანდებოდით, იმ სადაოს კაცს ეჩივლა, ოქმი გებოძათ ჩემთანაცა და იმასთანაცა, ამ კაცს დაესხნითო სამართალმდინაო. ჩემთან აღარ მოუშვა ის თქვენი ბრძანება. აქ ქალაქში წაერთმია, ამისთანას ძალას ჩადის, თქვენს ბძანებას ამგვარათ წინ უდგება და არ ვიცი, რის ძალით ჩადის.

ახლა ჩემო მოწყალევ, ამდენი წყალობა დამემართოს. ეს ჩემი ორი კაცი ჯ ო ხ ა ძ ე [ე] ბ ი მე მებოძოს, იმისი სამკვიდრო ხომ არ არის, ნასყიდობით დაობს და თუ შემამივიდეს ჯარიმით გადამახდევინე. თავის თავსაც ვედავები, რომ ჩემი ყმა არის. ამ ჩემს სამკვიდრო კაცებზედაც მკლამს. ამ უბრალოს სხვას ჩემს კაცს რომ თავისთავათ ძროხა წაართვა, ესეც მებოძოს. ამ გვარი საქმე იმისთანას კაცისაგან მეტად ძნელია; და ნება უმაღლესობისა აღსრულდეს. ღვინობისთვის **ლა,** ქორონიკონს **უპ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ბატონო ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ო ო თ ა რ! მერე შენ უნდა ზარდიაშვილები ახლავ ავად მოპყრობით სამართალში მოიყვანო, რომ ამ ზაალს პასუხი მოსცეს. თუ ახლავ არ ჩამოვიდნენ, მამულზედაც ელი აუმართე, იმ სადაოს კაცებზედაც და ამას მოაბა-

რე. მასუკან ეგენი მოვიდნენ და ილაპარაკონ. ნოემბრის ა, ქორონიკონს უპ..

ეს უნდა ახლავ ასე აღასრულო. ჩვენ რომ დავიბარეთ, ჩვენი ყვანეთ და ერთს კვირას არ მოიცადეს და ისევ წავიდნენ, რატომ ჭნეს, ამისის კაცისათვის რომ ძროხა წაურთმევია, ისიც გამოურთვი.

ბეჭედი: ჭნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

## 164. არზა ამილახვარის ქალის მაიასი ყმის თაობაზე იულონ გატონიშვილის ოქმით

**1792 წ. 4 ნოემბერი**

ცსსა. ფონდი. 1450. დავთარი № 36. საბუთი № 193. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[125] ღმერთმან ჩემის მოწყალის მეფის ძის იულონის პირი მოსცეს ამილახვრის ქალს მაიას.

ჩემო ხელმწიფის შვილო, ერთი ჩემთან შეზრდილი მოახლე განსაცდელებში გამითხოვდა, მეჯვრისხევს ერთმა ხიზანმა[1] გლახამ კაცმა შეირთო.

ამ მოწყალებას ვითხოვ, რომ ერთი ოქმი მიბოძოთ, აქ ჩამოიყვანოს და რომელიც სამართალია, ის სამართალი მებოძოს. თქვენგან წყალობით ბოძებული იქნება ისიც, ჩემო ხელმწიფის შვილო. სექდემბრის ბ, ქორონიკონს უპ.

თავში

ბატონისშვილის იულონის კეთილსახსოვარო მორდალო იასე! მერე ამ არზით ასე რომ ჩივის, ჩემი მოახლე მეჯვრისხევს ერთმა ხიზანმა კაცმა შეირთოო, ახლავ ხელი უნდა აუმართო ამ კაცსა და ამილახორის ქალს მაიას მოსცე ყმათა. თუ მებატონე ჰყავს ვინმე, იმან დაიხსნას და სისხლი იმან მოსცეს. თუ არადა, ამისი ყმა იქნება, სხვას საქმე არავის აქვს. ნოემბრის დ, ქორონიკონს უპ.

თუ ერთი რამ საბუთი ან ჭეშმარიტი სიტყვა აქვს რამე იმ კაცსა, სამართალში მოვიდეს და ელაპარაკოს.

[1] ყაზანმა.

## 165. არზა ოსეფა ფეიქარისა მორიგის თაოგაზე იულონ გაბონიშვილის ოქმით

**1792 წ. 15 ნოემბერი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 25. საბუთი № 54. პირი. ქაღალდი. მხედრული. იქვე, საბუთი № 55.

[68] ღმერთმან ბედნიერის მეფის ძის იულონის ჭირი მათს ყმას ფეიქარს ოსეფას მოსცეს.

ჩემო მოწყალევ! ერთი შეწუხებული სნეული კაცი გახლავარ. მორიგის იასაულები ამოვიდნენ, სხვის ქსელი დამიჭრეს და წაიღეს. მიშველე რამე, თქვენს მზ[68]ესა ვფიცამ, რომ შეუძლებელი გახლავარ, თორემ მორიგისათვინ თქვენ როგორ შეგაწუხებთ. აღაპის ქარი მაქვს ჩამოსული.

გევედრებით თქვენის შვილების სადღეგრძელოთ მიპატრონე, ერთი ბეჯითი ოქმი მიბოძეთ, რომ რაც წაერთმიოთ, ისიც ისევ მამცენ და ჩემზედაც ხელი აიღონ. გიორგობის **იდ**, ქორონიკონს **უპ**.

თავში

ლაშქარნივისებო! მერე ამ არზის პატრონი ამ არზით ასე რომ **ჩივის** — სნეული ვარო და მორიგეს მთხოვენო, თქვენც გასინჯეთ; თუ მართალი იყოს ამისი სნეულება, ძნელი არის ამისი მორიგის თხოვნა, ნუღარ შეაწუხებთ. ნოემბრის **იე**, ქორონიკონს **უპ**.

## 166. არზა ასა აბაშვილისა მოხელის განწესებისა და წილის თაოგაზე ვახტანგ გაბონიშვილის ოქმით

**1792 წ. 24 ნოემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2201. დედანი. ქაღალდი. 22×17.6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბატონიშვილი ვახტანგის ჭირი ალმასიანში მსახლობელს აბაშვილს ასას მოსცეს.

ახლა ამას მოგახსენებ, თქვენის ბძანებ[ი]თ დავდეგ და სოფელიც ავაშენე, რომ ეხლა რვა კომ[ლ]ი კაცი გახლავს. ამას მოგახსენებთ, ვინც მთას გადმოვა, ყველა ჩვენი შემაწუხებელი გახლავთ. ამას გევედრები, რომ ერთი უფროსი გაგვიჩინო და ერთს მართებულს კაცს მიგვაბარო, რომ ჩვენც მოგვიაროს და თქვენ თავსაც გვამსახუროს.

ახლა ამასაც მოგახსენებთ: ეს ამთენი ქარავანი სულ ჩვენ სოფელში დგება, თივა გვეხარჯება და ცეცხლი და ერთს საპარნეს კი არავინ გვანებებს. ამ მოწყალებ[ას] ვითხოვ, რომ მეც წილი ვიქონიო, რომ მეც ვიცხოვრ[ო]. თუ წილი არ დამედება, ამას გევედრები, რომ ჩვენთან აღარ ჩამოხდენ, უბრალო ხარჯი მოგვდის. ნოემბერს **კგ**, ქორონიკონს **უპ**.

**თავში**

ქ. ბატონისშვილი ვახტანგი გიბრძანებ ვინცავინ ჩვენის ბრძანების მორჩილნი ხართ! მერე ალმასიანი ჩვენ ავაშენეთ და ეს კაცნი ჩვენ დავასახლეთ. ამას მანამდის ერთს მოხელეს გაუჩენდეთ, ნურავინ რას შესცოდებთ, თორემ ჩვენად შეცოდებათ მოგკითხავთ. და რომელიც ქარავანი ამ სოფელში დადგება, იმათ ბარგს ამათაც უნდა წააღებინებდეთ; რაც ერგებოდესთ, ამათაც წილს უნდა მისცემდეთ. ნოემბერს **კდ**, ქორონიკონს **უპ**.

ბეჭედი: რტოდ ვარ დავითის, მგელ-ლომად ვით ის, ვახტანგ ვამტკიცებ მეფის ძეობით.

## 167. არზა ნიკოლოზ თუმანიშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1792 წ. 9 დეკემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 379. დედანი. ქაღალდი. 34×21 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მათს მიწას თ უ მ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ს ნ ი კ ო ლ ო ზ ს მომცეს.

თქვენი ოქმი მქონდა: ვინც ეგ საყდრის ვენაჯი წაახდინოსო, შენ გარდაგაჯდევინებთო. ათჯერ და კიდევ მეტათ. მსხმოვიარე ვენაჯი გააფუჭა გუთნეულით ა ნ ე ს ა შ ვ ი ლ ე ბ მ ა, არც ხვეწნა გაგვეწყო და [ა]რც კარზედ მირეკა. შაბათს დღეს ჟამნაწირის მღვდელის გასალაჯავათაც იწივეს და მრავალი უპატიური გინებაც მიიღეს. მე, დიაღ, მეწყინა, თქვენის ოქმით რომ დღესაც აქა მაქვს. სიტყვით უთხარ: მამულიც შენ გაუფუჭე და შენვე აგინებ; არც დამიკრავს არც მიგინებია. ამოაძრო ხანჯალი ი ა კ ო ბ ა მ და ასე მითხრა: ეხლავე შენს სისხლს აქ დავაქცევ. ჩემს მამულში, ჩემს კარზედ მრავალი მაგინა მამა, დედა, სახლობა და კიდეც მკლევდა. თქვენს ოქმზედ კიდეც იწევდა. სამართალს ვითხოვ.

წყალზედ ჩემი პატარა ბიჭი ნახა, ჩემიდამ რომ გააბრუნეს, მერე იმ ბიჭს შეუტივა ხანჯალგაკრულმა.

ქ. ამას წინათ კიდევ გიჟიყრელი სვიმონ იასული იყო, თქვენს სამსახურს ვარიგებდით. ამ იაკობამ და მეორემ ძმამ თქვენი ოქმი თავზედ დამაწყვიტა. ვიჯექ, დიაღ, მრავალი მაგინა, რაც რამ მყვანდა ცოცხალი თუ მკვდარი.

ქ. კიდევ ამასწინათ ჩვენი ყმის შვილი ქალწული ქალი ამისმა ძმამ შერმაზანამ გააწბილა, დედა-ძენი რომ იყრებოდნენ, ორნივე დაიჭოცნენ. თქვენი ოქმი მაქვს, მაგრამ არად შემეპუებნენ. ამდენი უსამართლოთ ლანძღვა, ჩემზედ საკვდავათ წევა და თქვენის ოქმის წინააღმდეგობა მოიკითხეთ და სამართალი მაღირსეთ.

ერთის გლეხის კაცისაგან როგორ დავთმობდი, მაგრამ მრავალჯერ გამიგონია თქვენგან: ვისგანაც უსამართლო რამ მოგადგესთო, თავისთავათ ნურავინ გარდააჯდევინებთო, სამართალში მოდითო. ახლა თქვენის სამართლისათვის მომიმართავს. ქრისტიშობის ვ, ქორონიკონს უპ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის თომა ჩიკვაიძევ! მერე ამ არზით თუმანისშვილი ნიკოლოზ რომ ანისაშვილებს უჩივის, ესენი ჩვენს სამართალში ალაპარაკე, დეკემბერს თ, ქორონიკონს უპ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

## 168. არზა ნიკოლოზ და ქაიხოსრო აბაშიძეებისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1792 წ. 19 დეკემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 1270. დედანი. 36,3×18 სმ. ქაღალდი. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან მათის უმაღლესობის ჩვენი მოწყალის ჯელმწიფის ჭირი მოგვცეს მათს მონათ მდივანბეგს აბაშიძეს ნიკოლოზს და აბაშიძე ქაიხოსროს.

მერმე მე მდივანბეგი ნიკოლაოს ამას მოვახსენებ: მოგეხსენებათ, მოხუცებულების ჟამში მიწევნილი გახლავარ და ჩემზე სიკუდილი მსწრაფლია. ჩემი ძმისწული ქაიხოსრო გახლავს და მუდამ სნეულობს. არც არავინ ჩვენს ქვეყანაში გვეგულება ასეთი ჩვენი ყმა რომ ჩვენი ოჯახის ამბავი იცოდეს. და მტრისაგან როგორ აოხრდა ჩვენი

ჭვეყანა, ისიც მოგეხსენებათ; თუ რამ თქვენი წყალობა წიგნები გვქონდა, იქ დაგვეკარგა.

ახლა თუ ვინმე თქვენს საბძანებელში და სახელმწიფოში თქვენი მოდაე ვინმე გახლდეს და იყოს — ან დიდებული თავადი და ანუ ბატიო კაცის შვილი, ან აზნაურშვილი ან გლეხი, ან სამღვდელო და ან საერო ჩვენი მოდავე იყოს ვინმე, ან სისხლზე ან ვალზე, ან მამულსა და ადგილსა და ყმაზე. ან მიწასა და წყალზე, ან მთასა და ბარზე, ან გვემართოს ვისიმე, ან უსამართლოთ გვეჭიროს ვისიმე, თქვენს უმაღლესობას მოხსენდეს და გველაპარაკოს სამართალში, როდ ჩვენს სიცოცხლეში ჩვენი საქმე ჩვენე გავწმინდოთ რომ ჩვენმა ძმამ და შვილმა და შვილისშვილმა ჩვენს სიკვდილს უკან ჩვენ გინება აღარ დაგვიწყონ და ავათ ხსენება.

ამ წყალობას ვითხოვთ, რომ თქვენი უმაღლესობისაგან ერთი ოქმი გვებოძოს, რომელიც თქვენი ნება იყოს ამ საქმეზედ, ეს მოწყალება დაგვემართოს. ამიტომ გავბედეთ ეს მოხსენება, რომ ჩვენს ძმასა და შვილებს ჩვენს სიკუდილს უკან აღარავინ ედაოს. დეკემბერს **ბ**, ქორონიკონს **უპ**.

თავში

ქ. ჩვენ მაგიერად ქართლისა და კახეთისა თავადაზნაურთა და გლეხთ ასე უამბეთ. მერე ამ არზით მდივანბეგს ა ბ ა შ ი ძ ე ს ნ ი კ ო ლ ო ზ ს და ა ბ ა შ ი ძ ე ქ ა ი ხ ო ს რ ო ს რომ ასე მოუხსენებიათ, რომელსაც თავადსა, აზნაურსა თუ გლეხს ამათთან სადაო და სალაპარაკო გქონდეს, ჩვენს სამართალში ელაპარაკენით და სამართალი მიიღეთ. როგორც ამ არზით მოუხსენებიათ, ვისაც სალაპარაკო გქონდეს, სადაოდ ნუღარ დააგდებთ. დეკემბერს **ივ**, ქორონიკონს **უპ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

ქ. ბატონო ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ო ო თ ა რ! ამ საქმეზე ერთი შენი აზნაურიშვილი გაგზავნე და შენს სასარდლოში ყველგან ასე შეატყობინე თავადთა და აზნაურთაც და გლეხთაცა გ ო რ ს ა, ქ ც ხ ი ნ ვ ა ლ ს ა...* ს უ რ ა მ ს ა და გალმა საციციანოსაცა, რომ ეს არავინ თქვას: არ შეგვიტყვიაო, ყველამ ასე იცოდეს, ვინც ამათსავ სიცოცხლეში არ ედავება და არ გაიტანს, ამას უკან ამათს ძმებსა და შვილებს რომ ედაოს, სამართალი აღარ მიეცემა. დეკემბერს **ით**, ქორონიკონს **უპ**.

ქ. თუ ვინიცობა არის, ასეთს კაცს სადაო ექნება რამე, რომ ამ

* ერთი სიტყვა არ ირჩევა.

ქვეყანაში არ იქნება, მასუკან მოვა და მასუკან წაედავება და ან წიგნი ვისმე ექნება დაკარგული და მასუკან იპოვნის, ამათ სამართალი მიეცემათ, როგორც მოსამართლე მიხვდება და განსჯის. თქ[illegible] ლი არგენს, არგენენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

## 169. არზა ივანე ლანჩავაშვილისა მორიგის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1792 წ. 20 დეკემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1325. დედანი. ქაღალდი. 20,7×15,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჴელმწიფის ჰირი მოსცეს ზ ა ზ ა ამირეჯიბის ყმას თილველს ლ ა ნ ჩ ა ვ ა შ ვ ი ლ ს ი ვ ა ნ ე ს.

ღვინობისთვის მორიგე გახლავარ. ღვინობისთვეში ვერ გიახელ მორიგეში, ამის მიზეზით რომ ძმა მომიკვდა და იმის დამარხვას მოუნდი, ვერ მოვიცალე და მიცვალებულს ვერ უმტყუვნე, რომ ჩემს მეტი პატრონი არავინა ჰყავდა. ახლა ამ თვეში გახლავარ თვის გასათავებლათ. ახლა მარბევლები წასულან.

გევედრები, ღმერთი გაგიმარჯვებს, შებრალება მაღირსეთ და ოქმის წყალობა მიყავით, რომ არ დამარბიონ. დეკემბრის ით, ქორონიკონს უპ.

ღვინობის წინა თვეს თქვენის ჰირის სანაცვლო შეიქნა ჩემი ძმა. იმ თვეს დავაკლდი. და ეს ქრისტეშობის თვეს ვიხდი. ერთი საწყალი გახლავარ, ღმერთს აპატიეთ, ნუ დამარბევთ.

ეს წერილი მუჩალგათ მომირთმევია.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის მინბაშო ბ ე ჟ ა ნ! მერე ამ არზის პატრონს თუ წლეულ ძმა მოჰკდომია, ამას ნუ დაარბევ. და თუ წელს არ მოჰკვდომია, უნდა რომ და[ა]რბიო. და თუ წელს მოჰკვდომია, ვერ დაარბევ. ამ თვეშიაც თვე უნდა გადაიხადოს. დეკემბერს კ, ქორონიკონს უპ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

## 170. არზა მურვანიშვილებისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1793 წ. 7 იანვარი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1442. დედანი. ქაღალდი. 20,8×12,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი. ხაზით (:—).

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მათს მონათ ერთობით მ უ რ ვ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ე ბ ს მოგვცეს.

ამას მოვახსენებთ: როდესაც ჩვენი მამაპაპანი ს უ რ ა მ ს გხლებიან, იმ დღიდამ იმ ჩვენს მამაპაპათ დ ა მ ღ ა წ ა შ ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ მამულიც უყიდნიათ სასაფლაო და საყდარიცა, რომ წერილი აცხადებს. იმ დღიდამ დღევანდლამდის არცავინ გვდავებიან და არცავის ჩვენთან სადაოდ საქმე ჰქონიათ. საყდარი დაქცეული ყოფილა და პაპათ ჩვენებს თავი მოუდგამსთ და გაუახლებიათ.

ახლა ბ ე ბ ი ა შ ვ ი ლ ე ბ ი და ორიოდ კომლნი კიდევ სხვა კაცნი მისულან თავიანთ თავად და იმ საყდრიდამ ჩვენის მამა-პაპათ სახელი გამოუქცევიათ და საყდარიც წაურთმევიათ.

ღმერთი თქუნს ჯელმწიფობას განაძლიერებს, ერთის ოქმის წყალობა მოიღევით ბ ე ჯ ა ნ მოურავს და მროველზედ, სამართალი და საბუთები გაგვისინჯონ და რომელიც სამართალი ღმერთმან დაანახვოსთ, წერილით მოგახსენონ. და იმათის მოხსენებულის მიხედვით თქვენგან სამართალი გვეღირსოს. იანვრის ზ, ქორონიკონს უპა.

თავში

ქ. ყოვლად სამღვდელოვ მ რ ო ვ ე ლ ო ი უ ს ტ ი ნ ე და ამილახვარიშვილო სურამის მოურაო ბ ე ჯ ა ნ მინბაშო! მერმე ამ არზით ეს მურვანიშვილები რომ ასე ჩივიან, თქვენ მიდით სურამს, მოიკითხეთ და რაც შეიტყოთ, ღმრთის წინაშე ჰეშმარიტებით მოგვწერეთ. ღმრთის გულისათვის ამ საქმეზე ბეჯითნი იყავით. იანვრის ზ, ქორონიკონს უპა.

ბეჭედი: ტომ-სქესით არ ნაკლისაგან იულონ ი რ ა კ ლ ი ს ა გ ა ნ.

## 171. არზა ნოდარიშვილებისა სოფლის აშენების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1793 წ. 10 იანვარი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 247. დედანი. ქაღალდი. 22×13 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია მძიმე.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯემწიფის ჰირი მოსცეს ნოდარიშვილს გიორგის, იმის შვილს იოსებს და როსტომს.

ჩვენო ჯემწიფევ, ნაფარეულსა და გრემს შუა ორი-სამი სასოფლო ალაგი არის. და ზურაბის ჩალის ბოლოში ქუდურზედ რომ საყდარი დგას, თუ თქვენი ნებაც იქნება, იქ სოფლის აშენება გვინდა. ათს კომლს კაცს თავის ცოლ-შვილით და საქონლით ჩვენსას მოგართმევთ და თქვენს ყმათ იქ დავასახლებთ, იქ სოფელს ავაშენებთ, ყმანი თქვენი იყვნენ, ვინც იქ დავასახლოთ და სახელოთ ჩვენ გვიბოძეთ.

სხვა კაცნიც ბევრი გვყვანან შემოპირებულნი და თქუენის დოვლათით წლამდის მგონია ორმოცამდის კომლი დასახლდეს. ყმანი თქვენი იყვნენ და სახელოთ ჩვენ გვიბოძეთ, თქვენიც შესამატი იქნება და ქვეყნისაც და მტრის ფეხის მოსაკვეთიც იქნება. ის კაცნი ჩქარობენ რომ ამ ზამთრობით სახლები იმუშაონ, ზაფხულში გუთნებს ვერ მორჩებიან. და რაც ინებოთ, ახლავე გვიბძანეთ.

ღმერთი გაგიმარჯვებს, დაგვიანება არა სჯობს. იანვრის **ც**, ქორონიკონს **უპა.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ამ არზის პატრონებო! მერე თქვენ რომ ასე მოგიხსენებიათ, ჩვენ ამისი ყაბული გვაქვს. თქვენ ამ ზამთრობით ის კაცნი მიიყვანეთ, ამუშავეთ, რაც შეიძლონ ამ ზამთრობით. და ღმრთით როდესაც ჩვენ იქ გამოვალთ, იმ ადგილს ჩვენ გავსინჯავთ და როგორც მუნასიბი იქნება, იმ რიგად მოგიხაზავთ და დაგაყენებთ. იანვრის **ი**, ქორონიკონს **უპა.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

## 172. არზა სვიმონა ფეიქრისა უმოგის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1793 წ. 16 იანვარი**

ერეკლეანული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 51. საბუთი № 200. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[176v] ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ძის გიორგის ჴირი მოსცეს ნატყვევარს ფეიქარს სვიმონასა.

ჩემო მოწყალევ! ორი წელიწადი თეთრის ზღვის პირზედ ლათახია თათარს ვყვანდი. სხვაგნით რომ არა მეშველა რა, ღმერთმან ეს მამაგონა; ერთს ქრისტიანეს [177] ბერძენს შევეხვეწე და უთხარი მე ქრისტეს საფლავის ყმა ვარ და შენის ქრისტეს სიყვარულისათვის მიშველე რამე. ღმერთმან დაუმადლოს, ეს სიტყვა რომ უთხარი, ამაზედ დიდათ მოიწადინა და მიხსნა, გამამიშო და თქვენის ბედნიერობით ამ საქრისტიანოში მოსვლა მეღირსა.

ჯერ ერთი ესე, რომ ნატყვევარი გახლავარ და ნატყვევარის განწესებაც ხომ კარგად მოგეხსენებათ; მეორედ ესე, რომ ქრისტეს საფლავის სახელობით იმ ქრისტიანისაგან დახსნილი გახლავარ.

რადგან ქრისტეს საფლავის საყმოთ მეურვე თქვენა ბძანდებით, ამისთვის გევედრებით თქვენად სადღეგრძელოთ, ერთი ასეთი ოქმი მებოძოს, რომ ჩემი გათვისება სხვამ არამ კაცმა არ მოინდომოთ. და ჩემი შეძლებისამებრ ქრისტეს საფლავს ვმსახურებდე საუკუნოდ და თქვენის შვილების მლოცავი ვიმყოფებოდე. იანვრის **ი**, ქორონიკონს **უპა**.

თავში

ბატონიშვილი გიორგი გიბრძანებთ ამ არზის პატრონო. რადგან პატარა დაკარგულხარ და შენს ტყვეობაში შენი თავი იერუსალიმისათვის შეგიწირავს და რომელსაც ბერძენს შენ დაუხსნიხარ და იმასაც ნება მოუცია იერუსალიმის შეწირვისა, მისის სიმალლის ბატონის ბძანებაც ისე არის განწესებული: რომელიც ტყვე ძოვა, ვისთანაც უნდა მივა. შენ უცოლშვილო კაცი ხარ, მხოლოდ შენი თავი იერუსალიმისათვის[1] მიგირთმევია[2], შენთან საქმე არავის აქვს, შენც იერუსალიმის ყმებში უნდა იყო და შენის შეძლებით მსახურო იერუსალიმსა, უბრალოთ უსამართლოთ ვერავინ შეგაწუხებს. იან[ვრ]ის **ივ**, ქორონიკონს **უპა**. გიორგი

[1] იელუხარიმისათვის. [2] +არავის.

## 173. არზა დიმიტრი ჯავახიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1793 წ. 19 იანვარი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 9861. დედანი. ქაღალდი. 34,7×12 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ჯავახიშვილს დიმიტრის.

ჩემო ჯელმწიფევ, თუ არ გამჭირებოდა, ღმერთსა ვფიცავ, რომ თავს არ გაწყენდი. მაგრამ გამიჭირდა და ამისთვის ვჩივი. ერთი ნიკოლოზ ჯავახიშვილის მამული, გოშპარის მამული, სვიმონის მამული და ნაბერლი შვილისა და ერასტის მამული — ამ ხუთის კაცის მამული სულ მაგათ უჭირავსთ. უფროსი კაცის შვილი მე ვარ და უმცროსისა ეგენი. შეყრილობის წიგნიცა მაქვს, მაგრამ ამაებს არ ვედავები. ღმერთმან მოახმაროსთ.

მაგრამ ამას კი მოგახსენებთ, რომ იმ განაყოფების მამულში ციხე ააგეს, ჩემს კაცებსაც უმუშავნიათ, და თუნდა არც კი ემუშავნოსთ ჩემს კაცებს, მაინც რადგანც ამდენი მამული იმათ უჭირავსთ, ამაგიც რომ არა მჭონდეს, უფროსის კაცის შვილი მე ვარ. და გევედრები რომ ერთი კოშკი და ერთი სახლის ალაგი მიჭირავს და ნიადაგ მაწუხებენ, რომ დაგვანებეო, — იმის წყალობა დამემართოს, რომ ეს კოშკი და ერთი სახლის ალაგი დამანებონ, რომ დავდგა.

ამას გარდა არც მთის სალბაშს მაძლევენ და არც საბალახის წილს მიდებენ. ამის მეტი არა არის რა.

უძმო, უშვილო, მარტოხელი გახლავარ და თქვენს კარზედ ვგდივარ, იმათ რომ მიბრიყვონ[1] და დამჩაგრონ, თქვენ არ უნდა მიყოთ, ყური უნდა მიყოთ, ყური უნდა მომიგდოთ, თქვენს მეტი პატრონი არავინა მყავს.

გევედრები, რომ ეს ერთი კოშკი და სახლის ალაგი დაანებებინოთ, ღმერთი გაგიმარჯვებს; და რაც ჩემი წილი სალბაში და საბალახე იყოს, ისიც მოაცემინოთ. თუ არადა, თქვენთვის მაინც ნუ დაჰკარგავთ — ნურც მთასა და ნურც ყმასა და ნურც მამულს. რადგანაც ამ ხუთის კვამლის კაცის მამული მაგათ უჭირავსთ, ეს მე დამანებონ და იმაებს აღარ ვედავები. თქვენი ოქმიცა მაქვს, მაგრამ მაინც არ მანებებენ. ერთი დედა მყავს, ერთი ცოლი და ორი ობოლი და მყავს. თუ ამასაც არ დამანებებენ, რა ვქნა, სად წავიდე, საქმე მიჭირს და მიშველე რამე. ღმერთი გაგიმარჯვებს. ერთი იასაულის წყალობა მიყა-

[1] მიბვრიყონ.

ვით, რომ ესენი დამანებონ თქვენის შვილების სადღეგრძელოთ. იანვრის **იდ**, ქორონიკონს **უპა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავში

ქ. თარხნისშვილო ბეციავ! ამ არზის პატრონი რომ ასე ჩივის, შენ უნდა ამის განაყოფებს ასე გამოუცხადო, რომ ეს ერთი კოშკი და ერთი სახლის ალაგი ამას დაანებონ არა იქნება რა, მაგათაც ხომ სამყოფი კოშკები დარჩებათ. ეს ამასაც ამბობს, რომ ხუთის განაყოფის მამული იმათ უჭირავსთო, ეს დამანებონ და იმას აღარ ვედავებიო; და თუ არ დაანებებენ ამ კოშკსა და სახლის ალაგს და ამაზედ ილაპარაკებენ, მასუკან ეს ლაპარაკს დაიწყებს და სამართალი მიეცემა, ისი სჯობს რომ ამაზედ აღარ ილაპარაკონ და ეს ერთი კოშკი და სახლი დაანებონ. იანვრის **ით**, ქორონიკონს **უპა.**

შენ უნდა ეს კოშკი და სახლის ალაგი ამას მოაბარო; და თუ სიტყვა ჰქონდესთ რამე, ჩვენ მოგვახსენონ. ასე ვთქოთ, რომ სწორეთ თქვენი იყოს. ეს ერთი კაცი არის, ამისი მანდ დგომა ხომ თქვენი შესამატი არის. მე გირჩევ, რომ ეს ამას დაანებოთ, თორემ არამც უფრო სამართალში შემოგივიდესთ და უფრო ბევრი გაიტანოს.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

ქ. ჩვენ, ივანე თარხნისშვილი, ამ ოქმის იასაული ვიყავით. ერთი კოშკი და ერთის სახლის ალაგი და[ა]ნებეს დიმიტრის ჯავახიანთ ბატონის ბძანებით. დაიწერა მარტის **ი**, ქორონიკონს **უპა.**

ბეჭედი: მონა ღთისა თარხნისშვილი ივანე.

ქ. ჩვენ, მეფე სრულიად ქართლისა, კახეთისა და სხვათა გიორგი კურთხეულის მეფის ბატონის მამისჩვენის ბძანებისა ამას ვამტკიცებთ. ოქტომბრის **კზ**, ქორონიკონს **უპზ.**

მეფე გიორგი

## 174. არზა ბირთველ თუმანიშვილისა ყმის გაყრის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1793 წ. 20 იანვარი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 17. საბუთი № 181. ქაღალდი. მხედრული.

[182v] ღმერთმან საქართველოს მეფის ძის და უფლისწულის გიორგის ჭირი მათს მონას თუმანისშვილს ბირთველს მოჰსცეს.

თქვენი წყალობა აქ ჩემი კაცნი ბარხუდარაშვილებს გახლავან აბელა და არუთენა. აბელას თქვენთვის არზით მოუხსენებია: ჩემს ძმას არუთენას მინდა გავეყაროო და, თქვენც ოქმი გიბოძებიათ ამათის გაყრისა.

ჩემო ხელმწიფევ, მეც თქვენი მონა გახლავარ და ჩემი კაციცა. მაგრამ თუ გაყრა არის, მე უნდა გავყარო ესენი. და თუ მორიგება იქნება, კიდევ მევე უნდა მოვარიგო. ჩემს კაცთან ვის რა საქმე აქვს.

წყალობას ვითხოვ, ის ოქმი დააყენოთ, თუ მე მოვარიგე და ან სამართლიანად გავყარე, რომ არცერთს მხარეზედ ნაკლები საქმე არა მოვახდინო რა, რომ რაღა სიტყუა ექნებათ და თუ მე ვერ მოვარიგებ და ან ვერ გავყრი, მამაჩემს გიორგის დავიბარებ და ის, დიალ, კარგად და სამართლიანად ან მოარიგებს და ან გაყრის. ჩემს ყმებს აქვს რამე, ისიც ვიცი; და არა აქუსთ რა, ისიც კარგად ვიცი. იანვრის ით, ქორონიკონს უპა.

თავში

ამ არზით ასე რომ მოგიხსენებია, შენის ყმის ეხტიარი გაქვს, როგორც გინდოდეს, სამართლიანად ისე გა[ა]რიგე. ჩვენო იასაულებო, ხელი აიღევით. იანვრის კ, ქორონიკონს უპა.

სამართლიანად და კარგად, [ა]სე უნდა გაურიგო.

## 175. არზა გივი უმიკაშვილისა გამოსაღების თაობაზე იულონ ბატონიშვილის ოქმით

**1793 წ. 25 იანვარი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1828. დედანი. ქაღალდი. 21,4×10 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აბზაცების ბოლოს ნახმარია ორი წერტილი ხაზით (:—).

ქ. ლმერთმან ყოვლად ბედნიერის მეფის ძის იულონის ჰირი მოსცეს უმიკაშვილს გივის.

მერმეთ ამას მოგახსენებთ: მთელ მეჯურისჯევზე მოკითხული ბძანეთ, თუ ან მამაჩემს და ან მე კულუხი გამამრთმეოდეს. შანშე ერისთვისა და დავითის წყალობის წიგნიცა მაქვს, და ახლა კიდევ ეს ერისთვისშვილები უფრო შეწუხებულნი გახლდნენ, მაგრამ არც მაგათგან გამომრთმევია.

ახლა ნაზირი კულუხს მაწუხებს. გეეჭვებით, რომ ერთი ოქმი მიბოძოთ. ერისთვიანთ დროს არ გამომრთმევია და არც ახლა გამომერთოს. იანვრის ე, ქორონიკონს უპა.

თავში

ქ. ბატონისშვილი იულონ გიბრძანებ თუ ალექსეევი ლო ნაზირო იოსებ! მერე ამ უმეკასშვილს ამ არზით ვერ ვერ უხსენებია, თუ ამისი მოხსენებული ჭეშმარიტი იყოს და კულუხი არ გამორთმეოდეს, ნურც ახლა გამოართმევ. იანვრის **კე**, ქორონიკონს **უპა**.

ქ. თუ გათარხნებული არის და ან წიგნები აქვს, დაეხსენით.

ბეჭედი: ტომ-სქესით არ ნაკლისაგან იულონ ირაკლისაგან.

## 176. არზა ავალ ავალიშვილისა ყმის თაოგაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით

**1793 წ. 10 თებერვალი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1446. დედანი. ქაღალდი. 21,5×11,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ძის გიორგის ჭირი ავალისშვილს ავალს მოსცეს.

ამას მოგახსენებთ ჩემო ჯელმწიფევ! ამისთანა უსამართლო არავის დამართებია, რომ მე დამემართა; ოცდახუთს თუმნად ხომ ის კაცი მყვანდა აყვანილი და ორთუმანნახევარიც განაჩენზედ დავხარჯე. ეს თეთრიც დაკარგული მაქვს და არც კაცი მეძლევა.

ღმერთი გაგიმარჯვებსთ, ერთი ოქმი მიბოძეთ ამილახვარისშვილს ბეჟანზედ, რომ ჩემი კაცი მომაბაროს. და თუ სიტყვა აქვს რამ, დავითისშვილს ბეციას ვარისს ედაოს. ამ წყალობას ვითხოვ. თებერვლის **თ**, ქორონიკონს **უპა**.

თავში

ქ. ბატონისშვილის გიორგის სიკეთით სახსოვარო ამილახვარისშვილო მინბაშო ბეჟან! მერე ამ ავალისშვილის ავალი[ს] საქმე შენ უნდა გაურიგო. ამას ეს თეთრიც რომ დაეკარგოს და კაცი-ცა, ხომ უსამართლო იქნება. ეგ კაცი ამას მოაბარე. და თუ სიტყვა აქვს რამე, დავითისშვილს ბეციას ვარისს ელაპარაკოს. თებერვლის **ი**, ქორონიკონს **უპა**.

გიორგი

## 177. არზა ტერ არუთინასი მამულის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1793 წ. 12 თებერვალი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 720. დედანი. ქაღალდი. 21×10.5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის მეფის ძის გიორგის ჰირი სიღნაღიდამ მარადის თქვენს მლოც[ა]ვს ტერ-არუთინას მოსცეს.

ამას მოვახსენებთ: ერთი ტყე ეყიდათ, სამის კაცის ხელი გამოევლო, მეოთხეთ მე ვიყიდე, ათი წელიწადია ტყე გამიტეხია, ვენახი და ბაღჩა ამიშენებია.

ახლა ამას გევედრებით: ერთი ოქმი გვიბოძეთ ან მამული დამნებდეს ან რაც ჯაფა და ხარჯი წამსვლია, ის მამცენ თქვენის შვილების სადღეგრძელოთ.

ოქმი ხიზიყის მოურავზე გვიბოძეთ, რომ უსამართლო არ დამემართოს, ხუთასი ადლი შესაღობავი არის. ფებერვლის **ია**, ქორონიკონს **უპა**.

თავში

ქ. ბატონო ჭიზიყის მოურაო ზაქარიავ და ნაცვალო ნარიმან. მერე ამ არზის პატრონი ასე რომ ჩივის, სამს კაცს უწინ უყიდნია და მეოთხე მონასყიდე ეს არის და ამდენი ჯაფა უნახავს და ხარჯი მოსვლია და, დიაღ, უსამართლო იქნება, რომ ამას ეგ მამული წაერთვას. ამის საქმე კარგათ სამართლით გაშინჯეთ, და ან თავისი ნასყიდი მამული დაანებეთ და ან რაც ფასი გასვლია და ან მაგის კეთებაზედ დახარჯვია და ჯაფა უნახავს, ესე[ე]ბი ყველა უკლებრივ მიაცემინეთ და მაშინ ჯელს აიღებს. თუ არადა, ამას მამული არ წაერთმევა. და ამისი საქმე ასე სამართლით გაურიგეთ. ფებერვლის **იბ**, ქორონიკონს უპა.

გიორგი

## 178. არზა ტერ არუთინასი მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1793 წ. 12 თებერვალი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1407. დედანი. ქაღალდი. 20,8×14,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აბზაცების ბოლოს ნახმარია ორ-წერტილი ხაზით (:—).

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მარადის მათს მლოცველს და ყმას, სიღნაღს მოსახლეს, ყაზახელს ტერ-არუთინას მოსცეს.

ჩემო მოწყალეო! მოგეხსენებათ, რომ სიღნაღელთ ებძანათ უმაღლესობისაგან: სიღნაღს უმამულოდ არ გაუშვებო. მე ერთი ტყე ვიყიდე და გავტეხე, ვენახათ და ბახჩათ ავაშენე.

ჩემს უწინ სამგზით სხუასა და სხუას კაცს ეყიდნა ეს ტყე და ვერ გაეტეხათ. მერე მესამის მონასყიდისაგან მე ვიყიდე და სიმწუხარით გავტეხე და თქუენის ბედნიერობით ბახჩა და ვენახი ავაშენე. ამისი მოწამე მთელი ჭიზიყი და სიღნაღელნი გახლავან.

ახლა ამ მამულს ზაქარია მოურავი მართმევს[1] ამ მიზეზითა: პირველს გამსყიდავს ალხანაშვილს რომ გაუყიდნია, თავისი არა ყოფილა, ქურდაშვილისა არისო. ეს ქურდაშვილი იმ ალხანასშვილს ედავება. ამისთვის ჩემი გაკეთებული ნასყიდი მამული მერთმევა.

ახლა ჩემი ვედრება ეს არის, რომ თქვენად სადღეგრძელოდ ეს ჩემი ნასყიდი მამული არ წამერთვას. და თუ ქურდაშვილს ალხანაშვილთან სიტყვა და საბუთი ჰქონდეს რამე, მამული, დიაღ, მრავალი სხუაცა აქუს. თუ ჩვენი მოწყალის ნებაც იყოს, მაგიერი სხუა მამული მისცეს. მეც თქუენი ყმა გახლავარ და ჩემი მამულიც თქუენი არის.

თქუენის შვილების სადღეგრძელოდ სამართალი მაღირსეთ და უსამართლობით ჩემს თავს ნუ დააკარგვინებთ. თებერვალს ე, ქორონიკონს უპა.

თავში

ქ. ჩვენ მაგიერად ჭიზიყის მოურავს ზაქარიას ასე უამბეთ: მერე ამ ტერტერას ასე, რომ მოუხსენებია, ეს ტერტერა მეოთხე მონასყიდე არის მაგ მამულისა. ამას სამართლით არ წაერთმევა, ამისთვის, რომ სამჯერ სხვაგან გასყიდულა და მეოთხეთ ამას უყიდნია;

---

[1] მართებს.

და ასეც ამბობს, რომ დიდი ჯაფა და ჭირნახული მოსვლოდეს. თუ კი ქურდაშვილისა იყო, სამჯერ რომ გაისყიდა, მაშინ რატომ არ გდავა.

მაგ ალხანაშვილსაც აქვს მამული და თუ ქურდაშვილის ნათესაობა აქვს ალხანაშვილთან, მანდ შენთან ალაპარაკე და სამართალი შენ მიეც. და თუ მანდ ვერ მოარიგო, თავანთის მოწმებით აქ ჩვენს სამართალში გამოგზავნე ალხანაშვილიცა და ქურდაშვილიცა. ამ ტერტერას დაეხსნან და ნუ აწუხებენ, ამასთან საქმე არავისა აქვს. ფებერვლის **იბ**, ქორონიკონს **უპა**.

ქ. ამ საქმის გადაწყვეტის ოქმი ქურდაშვილის პაატა მზარეულისათვის გვიბოძებია. ისე უნდა გარიგდეს. ამ ტერტერასთან საქმე არავისა აქვს ამ მამულის სადაოზედა.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

## 179. არზა გიორგისა მამულის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

**1793 წ. 14 თებერვალი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 10283. დედანი. ქაღალდი. 28,4×13,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფე დედოფლის ჭირი ნასაღჩიბაშის ნაიბს გიორგის მომცეს.

მერე ამას მოვახსენებ თქვენს სიმაღლეს: ჩემი და ციციანთ დავა კარგად მოგეხსენებათ, რომ თქვენს ტახტზედ სისხლი დაღვრილი არის. ჩემი მიწისა და წყლის დავაზედ არა ჰქონიათ და არა აქვსთ. მანამდის მამკლევდენ, ეს უნდა ვთქვა: ალექსანდრეს არ აუღია, დედოფლის შვილს გლახას არ აუღია, ქალანთარს არ აუღია, დემეტრე ციციშვლს არ აუღია, ზაქარიას არ აუღია და თითვან მოურავს არ აუღია, რაც ახლა მძლავრებით არ ჩადგა და მე ჩაუჭერ.

ამ დავას ბედნიერს ჯელმწიფესთანაც ვლაპარაკობდით ამ ათის დღის წინათ. ახლა გავიგონე, რომ ოქმი გიბოძებიათ.

ჯელმწიფევ! თუ არ მიწყრებით, ეს ოქმი არ უნდა გებოძებინათ და თუ მიწყრებით, ღმერთმან ნურც სიცოცხლე მამცეს.

ვეუდრები თქვენს ღთიურს მოწყალებას, რომ ერთის ოქმის წყალობა დამმართოთ, რომ ის თქვენი ნაბოძარი ოქმი სამართლამდის დააყენოთ. სამართალში ვილაპარაკოთ და ღვთის მოწყალებისაგან ვგონებ სამართლით მე დამრჩეს და ნება სამართლისა. ფებერვლის **იდ**, ქორონიკონს **უპა**.

თავში

ქ. ამილახვრისშვილო მინბაშო ბეჟან! მერე ამ-ზის პატრონი საფიჩხულეზედ რომ ლაპარაკობს, ჩვენ იმ ოქმი მოგწერეთ. ის ოქმი აქამდის მოგსლოდეს, თუ ან მოგვიდეს, ამ ოქმის ძალით ჯელი აიღე; ამისთვის, რომ ეს მაგ საფიჩხულეზედ სამართალში ლაპარაკობს. მარამდინ ეგ საქმე გაიჩხრიკებოდეს, ჯელი აიღე. ფებერვლის **იდ**, ქორონიკონს **უპა**.

ორი ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

## 180. არზა კაცია ფავლენიშვილისა ყმა-მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1793 წ. 15 თებერვალი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 5566. დედანი. ქაღალდი. 33,5×20,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი ფალვენიშვილს კაციას მომცეს.

ამას მოვახსენებთ: აპრილში თქვენს შვილს იულონს ვეახელი. იმ ჟამად იულონ ბატონიშვილი საქმეში გახლდათ და რომელიც საქმე მიბძანა, მარიამობის თვემდინ იმ სამსახურში გახლდი. მერე მარიამობის თვეში თქვენი რისხვა მივიდა ერისთავიანზედ და ბატონიშვილიც ქართლს მობრძანდა და რაც სამსახური თქვენის ბრძანებით მიბძანა, სულ ამისრულებია. მერე თქვენი უმაღლესობაც გორს მობძანდა. და დავით მეფის კაცი მოდიოდა და მუხრან ბატონიშვილთან წიგნი მოჰქონდა; ის კაციც დავიჭირე, ჯელშეკრული მოგართვით და იმასთან მოწერილი წიგნიც მოგართვით. და თქვენგანაც წყალობის იმედი მებძანა და ამ სამსახურის მაგიერად თქვენის ბძანებით ტყვიავს ერთი კომლი გლეხი და ერთი საკომლო მამული ბატონიშვილმა იულონმა მიბოძა.

ამ ზაფხულს ტყვიავი რომ ქაიხოსრო ლევანიშვილისათვის გეთხოებინათ, ჩემ მტრებს შემოვებეზღებინე, რომ ფალვენიშვილმა ორი კომლი კაცი და ერთი საკომლო მამული წაართვაო. მე, რომელიც ზემოთ მომიხსენებია, ამ საქმით მჭერია და თუ ტყვილს მოგახსენებ, ბატონისშვილს იულონს უბძანეთ და იმისგან მოიხსენეთ.

აწ ვედრება ეს არის: იმ ყმასა და მამულზედ ჯელი აგვიმართეს და ორმოც კოკა ღვინოსაც სხვასა გვთხოვენ. ათი კოკა ღვინო ოსისა გვედგა, ის წაგვართვეს და იმ ოცდაათის კოკისათვინ გვაღონებენ.

ღმერთი გაგიმარჯვებსთ, გაკითხვა გვაღირსოთ და შტრის ენით ნუ შეგვიბეზღიებთ. ჩემო ჯელმწიფევ. ფებერვალს 3, ქორონიკონს უპა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ტყვიავის მამასახლისო ჩიქლაძე გოგიავ და ქარელო გლახავ! მერე ამ არზით ფავლენისშვილი კაცია რომ ასე ჩივის, ჩვენ რომ ქაიხოსრო აბაშიძეს ტყვიავი ვათხოვეთ, როცა იმის ოქმი დაუწერეთ და მივეცით, რაც იმ ჟამად ჩვენი სახასო გლეხი კაცი ტყვიავში იყო, ის ვათხოვეთ. იმ წიგნის მიცემას უწინ ტყვიავში ჩვენ მიგვიცია ვისთვისმე მამული თუ ჩვენს შვილს იულონსა, იმასთან ქაიხოსრო აბაშიძეს და იმისს სახლობას საქმე არა აქვს რა. ამაებზედ თქვენ სადმე აწუხებთ, ხან რას ლაპარაკობთ და ხან რასა. რაც გამოგერთმიოსთ, ისიც უკანვე მიეცით და ჯელი აიღევით, უბრალოთ ნურავის აწუხებთ, თორემ ჩვენი საწყენი იქნება. და თუ ვისმე ან ჩვენგან არ მისცემოდეს და ან ჩვენის შვილის იულონისაგანა და თავის თავად ან იპარევდეს და ან მძლავრობით ეჭიდებოდეს, ის ჩვენ მოგვახსენეთ და ავათაც მოვეპყრობით და ისე გამოვართმევთ. ფებერვლის იე, ქორონიკონს უპა.

რომელიც წიგნი ქაიხოსრო აბაშიძეს მე მივეც, ის წიგნი მე ჩამომიტანეთ და თუ იმაში დაჰკლებია რამე, ჩვენ სხვაგნიდამ შეუსრულებთ; და გაცემულს მამულებს კი დაეხსენით. თუ ეგ წიგნი ვერ გამოგზავნოთ, პირი მაინც გამოგზავნეთ მაგისი, რომ შევიტყოთ როგორ მიგვიცია.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

## 181. არზა იუსტინე მროველისა გამოსალების თაობაზე ვახტანგ გაბუნიშვილის ოქმით

**1793 წ. 16 თებერვალი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 359. დედანი. ქაღალდი. 16,8×11,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ძის ვახტანგის ჭირი მოსცეს მათს მარად მლოცველს მროველს იუსტინეს.

ხარებაშვილს გიორგი მღვდელს აბისი სოფელი მივაბარე სანახევროთ, რაც ეშოა, შუაზე უნდა გაეყო. და თორმეტი მინალთუნი თეთრი უშოვია და ოცდაოთხი კოდი პური. ახლა არას

იძლევება. და რადგან თქვენი ყმა იყო, ჩვენგან ძალა არ დაიტანებოდა.

წყალობას ვითხოვ ერთი ოქმი მებოძოს იმის მოურავზე, ბანდვარი გამომირთოს და მომცეს.

მე იმერეთს გახლდი და ცოლ-შვილით აყრილიყო და შინდის [ს] გხლებოდა და ეს თეთრი და პურიც მაშინ წაეღო. თებერვალს ი, ქორონიკონს უპა.

თავში

ქ. ბატონიშვილი ვახტანგ გიბძანებ ხერხეულიძე აღათანგი! მერე მის ყოვლად სამღვდელოს მროველს იუსტინეს ხარებაშვილის გიორგის მღვდლისათვის აბისის სოფელი რომ მოუბარებია სანახევროთ, რაც იქიდამ ეშოვნა, შუა უნდა გაეყოთ. ახლა რაც უშოვია, აღარას აძლევს. სამართლიანის საქმით გამოურთვი და მოეც.

თუ სიტყვა ჰქონდეს, ჩვენ მოგვახსენო[ს]. ფებერვლის ივ, ქორონიკონს უპა.

ბეჭედი: რტოდ ვარ დავითის, მგელ-ლომად ვით ის, ვახტანგ ვამტკიცებ მეფის ძეობით.

## 182. არზა ზურაბ თუმანიშვილისა ყმის თაობაზე გიორგი გატონიშვილის ოქმით

**1793 წ. 19 თებერვალი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2805. დედანი. ქაღალდი. 22×11,5 სმ. მხედრული. ალაგ-ალაგ ნახმარია თითო ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის მეფის ძის გიორგის ჰირი მოსცეს მათს მონას ზურაბ თუმანიშვილს. ჩემო მოწყალევ, ტყვეობიდამ ათოა სახელობით კაცი გიახლათ და თავის ნებით ჩემი ყმობა მაინდომა და რაც შემძლებოდა მეც ხელი გაუმართე და სარჩოს გზაზე დავაყენე. ყმობის წიგნი დამიწერა და ბედნიერმა ჯელმწიფემ ალაპარაკა ის კაცი და წიგნიც დამიმტკიცა.

შემდგომად ის ტყვეობიდან მოსული კაცი თქვენ მოგეკითხათ. თქვენც ალაპარაკეთ ის კაცი და იმისგან მოცემული წიგნიც ივანე აბაშიძის ჯელით მოგართვით და გასინჯეთ. ახლა მე ხომ აქ გახლავარ და ანტონს ავალიშვილს ის კაცი დაურბევია.

ჩემო მოწყალევ, კარგათ მოგეხსენებათ, რომ ეს ახლანდელი გარიგებული საქმე არ არის, ეს განწესება საზოგათოთვის განწესებულა და ჩემი კაცნიც დაკარგულან და მოსულან, სხვას ჰყმობიან; რისგან

უნდა დამემართოს, თუ ჩემს კაცს[1] სხვასთან მისვლა შეუძლია, მე რაღა დამიშავებია.

ოქმის წყალობას გევედრები, რომ ანტონმა ჯელიანაშვილს ჩემს ნაყმევის კაცისაგან და ნარბევიც მისცეს, რომ ერთი უბრალო ხიფათი არ მოგვიხდეს რა. ღმერთი ბრწყინვალე შვილებს გიცოცხლებს და გიდღეგრძელებს. თებერვლის **იჱ**, ქორონიკონს **უპა.**

თავში

ქ. ბატონისშვილი გიორგი გიბრძანებთ ამ არზის პატრონო! მერე ამ არზით ეს ასე რომ მოგიხსენებია, როგორც მისის სიმაღლის ბატონის ბრძანება არის და განუწესებია ტყ[ვ]ეობიდამ მოსულის კაცისა შენცა და სხვანიცა იმ ბრძანებაზედ უნდა დასდგეთ და ამ ბატონის ბრძანება აღასრულოთ. ანტონ ავალიშვილო! ამის კაცი რომ დაგირბევია, ის ნარბევი ისევ მოეცი. თებერვლის **ით**, ქორონიკონს **უპა.**

თუ ეს სწორე არის, ასე აღასრულე; თუ არადა, ისიც შეგვატყობინეთ. გიორგი

## 183. არზა ზაქარია მაყაშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1793 წ. 25 თებერვალი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 8275. პირი. ქაღალდი. მხედრული. დაზიანებული.

ღმერთმან ყოვლად მოწყალის ხელმწიფის ჰირი მომცეს მაყაშვილს ზაქარიას.

მერე ამას გევედრები ჩემო ხელმწიფევ. ამას წინათ ერთი ყმა გაგვექცა პეტრე ლაჩაჩაშვილი გალმა მხარს, ახალქალაქს თურმე დგას, ჩვენ კი არ დაგვანებებს სოფელი.

გევედრებით, ერთი ბეჯითი ოქმი გვებოძოს დავით მდივანზე, რომ გამოგვიყვანოს ის კაცი, ისევ თავის სამკვიდრო მამულზე დაგვიყენოს, რომ თავის მოვალე თუშს თავისი თეთრი გარდუწყვიტოს და თითონ[აც] ირგოს რამ იმ მამულიდამ და ჩვენც [გვარგოს].

თავათ რაც შეგვიძლიან აღარაფერზე აღა[რ შევა]წუხებთ. თუ კი-

[1] ჩემი კაცი.

დევ შევაწუხოთ, თქვენი რისხვა გვქონდეს, სხვა რაღა უნდა იმ კაცს. ღმერთი გაგიმარჯვებს. იანვრის **კე**, ქორონიკონს **უპა**.

თავში

ჩვენი ბძანება არის მ დ ი ვ ა ნ ო დ ა ვ ი თ! ზაქარია მაყასშვილი ამ არზით რომ ჩივის და მემკვიდრე კაცი აჰყრია და ნაქალაქარში მისულა, აუყრევინე და თავისავ მამულზე დაუსახლე. თებერვლის **კე**, ქორონიკონს **უპა**.

ქ. თუ ჭეშმარიტი სიტყვა ჰქონდეს ვისმე, მოგვახსენოს.

ერეკლე

## 184. არზა ოთარ ეგიტაშვილისა ყმობის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1793 წ. 2 მარტი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 4298. დედანი. ქაღალდი. 20,8×13 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის მეფის ძის გ ი ო რ გ ი ს ჰირი მოსცეს ტყვეობიდან მოსულს ე ბ ი ტ ა შ ვ ი ლ ს ო თ ა რ ს ა.

ამას მოვახსენებთ: თაობითაც ბატონის ჩვენისაგან თავდახსნილი ვიყავით მეცა და ჩემი ძმებიცა, რომ ჩვენის ბატონის მოცემული წიგნი ჯელში უჭირამსთ ჩემს ძმებსა და თ ე ლ ა ვ ს გახლავან ბატონის ყმათა. მერმე მე დავიკარგე. ცხრამეტი წელიწადი ტყვეთ გახლდი. მერე ეშიკაღ[ა]ბაშმა ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე მ მოჯამაგირეთ დამიჭირა. ორიოდე წელი იმასთან გახლდი. ახლა სამი წელი არის გ ო შ პ ა რ ი ს წისქვილში გახლდი. ოთხი თუმანი ვალი დამედო.

დიდის ვედრებით გევედრებით, ორი ვაჟიშვილი მყავს, ერთი მე გახლავარ, ჩვენი თავი თქვენთვის მოგვირთმევია და ამ შეჭირვებისაგან დამიხსენ. ამისთანა შეწუხება ტყვეობაშიაც არ გამიწევია, რომ ახლა თეთრის პატრონები მაწუხებენ.

ღმერთი გაგიმარჯვებსთ, მოწყალება მოიღევით ჩემი შვილები თქვენ მიირთვით და ჩემთან კი საბატონყმოთ საქმე არავისა ჰქონდეს და ჩემის შეძლებით გემსახურებით. მარტის **ბ**, ქორონიკონს **უპა**.

თავში

ქ. ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი გ ი ო რ გ ი გიბრძანებთ ამ არზის პატრონო! შენ რომ ამ არზით ასრე მოგიხსენებია, თავდახსნილიც ყოფილხარ და ტყვეობიდამაც მოსული ყოფილხა[რ] და შენი თავი ჩვენ-

თვის გიყმია. თუ შენთან სადაო ჰქონდეს ვისმე საბატონყმოთა, ჩვენ მოგვახსენოს. ამას გარდა ვალიც დაგდებია.

ეშიკაღ[ა]ბაშო ალექსანდრე! ჩვენის თეთრიდამ ოთხი ფუთა ბამბა მოეც, თავის ვალში მისცეს, რადგან შეუძლებელი, ღარიბი, უმამულო კაცია. ამას თავის მოვალეებმა თავნი კი უნდა გამოართვან და სარგებელზედ კი ჯელი უნდა აიღონ. თუ შეძლება ჰქონდეს, სარგებელიც უნდა მისცეს, მაგრამ არ შეუძლია.

ეს კაცი ჩვენს ყმებთან დააყენე და თვალყური შენ მიუგდე. ეშიკაღ[ა]ბაშო ალექსანდრე! უსამართლოთ ნურავის გა[ა]გლეჯინებ, თუ გიყვარვარ. მარტის ბ, ქორონიკონს უპა. გიორგი

## 185. არზა გოგია ნასახჩიბაშის ნაიბისა მამულის თაოგაზე ერეკლე II-ის ოქმით

1793 წ. 8 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 8864. დედანი. ქაღალდი. 35,2×11,2 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ ორი წერტილი. ა-მეტი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს ნასახჩიბაშის ნაიბს გოგიას.

მერე ამას მოვახსენებ: ჩემი ციციანთ დავა თქვენ მოგეხსენებათ. მაწუხებენ და მე მუდამ თქვენ გაწუხებ, რომელსაც თქვენი გული უნდობოდეს, ფიცით უბძანეთ, რომ თქვენს მაგიარად ნიკოლოზ ციციშვილს ჰკითხოს ამ მამულის დავა, რომ უფროსობა მამული ნიკოლოზისა არის, რას მედავებიან. ერთის ციციშვილის ოდენი შესავალი მეღვინეთხუცესშვილს თომას ჰქონდა, რომ იმათი სალთხუცესი იყო, იმასაც ჰკითხონ ფიცითა, იმათი ნალაპარაკევი თქვენ წერილით მოიხსენოთ, ჩემს სიმართლეს და სიმტყუნეს იქიდამ შეიტყობთ ჩემო ხემწიფევ. მარტის ბ, ქორონიკონს უპა.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ციციშვილო ნიკოლაოზ და მეღვინეთხუცესშვილო თომავ!

მერმე ციციანთ და ეს ჩვენი ნასახჩიბაშის ნაიბი გიორგი მამულზედ რომ დაობენ, ამაზედ ღმერთს გაფიცებთ, სარწმუნოებას და ჩვენს ბატონყმობასა, რომ რაც ამ დავაზედ ჭეშმარიტი იცოდეთ, ის წერილით მოგვახსენოთ. თქვენ იცით და თქვენმა სულმა რასაც ჭეშმარიტებას დასწერთ.

გაბაშვილო ზაზავ! ეს ჩვენი ბძანება შენ უნდა გამოუცხადო ნიკოლაოზსა და თომასა. და თუ კიდევ იმგვარნი სხვა კაცნიც იყვნენ რომ იმ დავისა სწორე და ჭეშმარიტი იცოდნენ რამეები და რაც იცოდნენ კიდეც მოაწერინო და კიდეც მოგვახსენო. მარტის გ, ქორონიკონს უპა.

ბეჭედი: ქნარს მიცემს დავით მიჭმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 186. არზა იასე გასიტაშვილისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1793 წ. 8 მარტი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1502. კრებული. საბ. № 33. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[19] ქ. ღმერთმან ბედნიერის კემწიფის ჭირი თქვენგან შეწირულს რუისის მღთეების ყმას გასიტაშვილს იასეს მოსცეს.

სანატრელის თქვენის დის ანას და კათალიკოზის სახელზე შეწირული გახლავარ, რომ წელიწადში ორი წირვა მაძევს თქვენგან იმ სანატრელთ მიცვალებულთათვის. ზაქარია[ს] რაც ყმა ჰყამდა რუისში და ანდუყაფარს რომ ებოძა, მღთეების შეწირულს გარდა, მიბოძებ[ი]ა.

ახლა ჩემი ძმისწულებიც გადამბირა ლუა წინამძღვრისშვილმა თქვენგან შეწირული და თავისთვინ დაიჭირა. ორის დღის ნასყიდი მიწა მქონდა, შეწირულობაში შიგ მეწერა, ის წამართვა, ნასყიდი ქვევრები მქონდა, ისიც წამართვა. ასე ცარიელი გამომაგდო. ახლა კიდევ ასაყრელს ნუსხაში დაუწერივარ. ოქმიც მებოძა. შეწირულობას გარდა, რომ ჩემზე ჴელი [V] უნდა აელო ლუასა.

ერთი ბრმა და შეუძლებელი კაცი გახლავარ მწარედ ღარიბი. ღმერთი გაგაძლიერებთ, დამიხსენით ამ ლუას ხელიდამ და ამ ეკლესიას ნუღარ გამომწირამთ, თორემ დაკარგვის მეტი ღონე არა მაქვს. მარტის ჱ, ქორონიკონს უპა.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის. მერე ეს გასიტაშვილი იესე სანატრელის ჩვენის დის ანასათვის და სანატრელის ჩვენ[ი]ს ძმის მისის უწმიდესობისა ანტონისათვის რუისის ეკლესიის მღთეებას სიგლით შევსწირეთ უმამულოდ. ამასთან ეკლესიას გარდა საბატონყმოთ ხელი არავისა აქვს და ხარჯიც თავის შეძლებით ეკლესიის ყმასთან უნდა გაიღოს.

წინამძღვარიშვილო ლუა! ამას ნუღარ აწუხებ, თორემ დიდათ გიწყენთ. მარტის **ც**, ქორონიკონს **უპა**.

უმამულოდ შეგვიწირავს ეკლესიისათვის, როგორც ჩვენგან ბრძებულს სიგელში აცხადებდეს. ერეკლე

## 187. არზა ნასახჩიბაშის ნაიბის გოგიასი მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1793 წ. 26 მარტი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 4816. დედანი. ქაღალდი. 29,7×21 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს მათ ძონას ნასახჩიბაშის ნაიბს გოგიას.

ჩემო ხემწიფევ! ჩემი და ციციანთ დავა ხომ მოგეხსენებათ ამ ოსიაურის წყალზე და მიწაზედ, რომ თქვენს პალატაში სისხლიც დამაღვრევინეს. ამას გევედრებით, ვისაც თქვენი გული ენდობოდეს, იმისის პირით და ოქმით ციციშვილს გიორგის და გლახა ციციშვილს ნასახჩიბაშს და ნიკოლოზს ებძანოს ღმრთის ფიცით, რომ დღეს მოსწრებულნი და ოჯახშიც უფროსნი კაცნიც ესენი არიან, მამულის ამბავი ამათ უფრო იციან, თვითონ სჭერიათ და ან თავიანთ მამათ, თუ არა რომელიც იცოდნენ, ფიცით გარწმუნონ და ხელი მოაწერონ. და თუ გავმტყუნდე, კიდეც გარდამხდეს; თუ არა სამართალი მომცეს, ჩემო ხემწიფევ. მარტის **იზ**, ქორონიკონს **უპა**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება ციციშვილს გიორგის ნასახჩიბაშს, ციციშვილს გლახას და ციციშვილს ნიკოლოზს ასრე ეუწყოსთ. მერმე ჩვენს ნასახჩიბაშის ნაიბს გოგიასა და თქვენ ციციანთ ოსიაურის წყალსა და მიწაზედ დავა რომ გაქვსთ, დღეს ციციანთში მოხუცებულნი და უფროსნი კაცნი თქვენა ხართ და იმ მიწისა და წყლის საქმე თქვენ კარგათ იცით. ღმერთს გაფიცებთ, თქვენს წმიდას სარწმუნოებას, თქვენს სულსა და შვილებს და ჩვენს ბატონყმობას, რომ რომელიც ჭეშმარიტი და სწორე იცოდეთ იმ მიწა-წყლისა, ან თქვენა გჭერიათ და ან მამა თქვენებსა, თუ არა ყველა სისწორით და ჭეშმარიტებით ჯელი მოაწეროთ და ისრე სწორე გვაცნობოთ. მარტის **კვ**, ქორონიკონს **უპა**.

ქ. გაბაშვილო ზაზავ! ეს ჩვენი ბძანება ამათ შენ უნდა გამოუცხადო ფიცით და ჭეშმარიტება მოაწერონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულ', ერეკლე.

verso

ქ. მისს სიმაღლეს ჩვენს ჯელმწიფეს ამ ოსიაურის წყალისა და მიწის აღიღათი ფიცით რომ ეკითხა, მე, გიორგი ციციშვილი ჰეშმარიტებით ამას მოვახსენებ ღმრთის წინაშე, რომ რა ახლა მოურავის დავითისაგან[1] არასდროს იმაზედ დავა არ გამიგონია და არც ვიცი, არც მამის ჩემის დროს და არც ჩემს დროში, არც იქითის მხრიდამ და არც აქეთის მხრიდამ, არც ალექსანდრესაგან და არც სხვა ციციანთაგან. და ნება ჯელმწიფისაა. მარტის **ლა**, ქორონიკონს **უპა**. არც ვიცი ჩვენია და[1] არც სხვისა, ვინც იცოდეს, იმან იდაოს და მე კი ასრე ვიცი, რომელიც მომიხსენებია. გიორგი

ქ. მე, გლახა ციციშვილი ამას მოვახსენებ წინაშე ღმრთისა ჰეშმარიტებით, რომ არც მამის ჩემისა ვიცი და არცავისგან ციციანთაგან დავა გამიგონია [ა]მ ოსიაურის წყალსა და მიწაზედ. ახლა დავით მოურავმა კი მისის სიმაღლის დედოფლისაგან განაჩენი აიღო. და ნება მისის უმაღლესობისა არის ახლა. მარტის **ლა**, ქორონიკონს **უპა**.

ხელთა

ქ. მე, ნიკოლაოზ ციციშვილი ღმრთის წინაშე ასრე მოვახსენებ, რომ როგორც ამ გიორგისა და გლახას მოუხსენებია, მეც ასრე ვიცი, რომ არას ციციშვილს, არც ალექსანდრეს და არც სხვათ, იმ ოსიაურის წყალსა და მიწაზედ არ უდავნიათ და არც გამიგონია, რაც ახლა მოურავი არ ჩიოდა. და ნება სიმაღლისაა. მარტის **ლა**, ქორონიკონს **უპა**. არც მამაჩვენებს უდავნიათ, და არც ბიძაჩვენებს, რომელნიც გახლდნენ და რომელიც მახსოვან.

ბეჭედი: ციციშვილი ნიკოლოზ.

ქ. მე, პაატა შვილი ციციშვილი გოგია, ფიცით მოვახსენებ, რომ როგორც ამ ბიძაჩემებს მოუხსენებიათ, მეც ჰეშმარიტებით მოვახსენებ, რომ არც მამის ჩემისაგან და არც სხვა ციციანთაგან იმ ოსიაურის წყალსა და მიწაზედ დავა არ გამიგონია და ნება ჯელმწიფისაა. მარტს **ლა**, ქორონიკონს **უპა**.

ბეჭედი: ციციშვილი გიორგი.

ქ. მე, გაბაშვილს ზაზას, მებძანა მისის სიმაღლის ჩვე-

[1] +არ.

ნის ჯელმწიფისაგან ამ ოქმით, მე ეს ბძანება ამ ციციშვილებს გამოუცხადე. და ამათ ასრე ფიცით მევე მომაწერინეს. ღმრთის წინაშე სწორედ და ჭეშმარიტებით იმათი თქმული დამიწერია. ზოგსა ბეჭდები სხედს და ზოგმა ხელი ჩართო. აპრილის ა, ქორონიკონს უპა.

ბეჭედი: გაბაშვილი ზაზა.

კიდეზე

ქ. მე, მდივანბეგი თეიმურაზ, ამ ციციანთ თანაჯმა ვარ. აპრილის იგ, [ქორონიკონს უპა].

ბეჭედი თეიმურაზ.

## 188. არზა პაპაანთ სტეფანესი სახლის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1793 წ. 26 მარტი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 781. დედანი. ქაღალდი. 35×15,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი გორელს პაპა[ა]ნთ სტეფანეს მომცეს.

მერე ამას წინათ ახალციხიდამ რომ გიახელ ჩემის ბიძაშვილის ამოწყვეტილის ვარისობა თქვენის ოქმით მებოძა და ჩემის შეძლებით ხარჯშიაც გემსახურები. ერთი ამ ჩემის ბიძაშვილის თავისი წილი სახლი ჩემს ბიძაშვილს პაპა მწერლის ძმას იოსებს უჭირავს. დღევანდლამდის ამისთვის არ ველაპარაკე რომ ბატონის წყალობად მეგონა ბოძებული. ახლა იმისი წერილი ვნახე, რომ არც თქვენგან წყალობა აქვს ნაბოძარი და ამ ჩემის ბიძაშვილის სახლობისაგან ძალადობით წიგნი გამოურთმევია და ისე უჭირავს და არცარას ხარჯში გემსახურებათ.

ამ წყალობას გევედრები, რადგანაც ვარისობის წყალობა თქვენგან მე მაქვს ნაბოძარი და ხარჯსაც მე ვეწევი, ერთი ოქმი და იასაული მებოძოს, რომ ის სახლი მე დამნებდეს. და თუ სიტყვა რამ ჰქონდესთ, ჩამოვიდნენ და სამართალში მელაპარაკნენ; და იმ დედაკაცის მიცემული წიგნიც თან ჩამოიტანონ. თებერვლის კზ, ქორონიკონს უპა.

თავში

ქ. ორბელიანო ეშიკაღასბაშო თამაზ! ამ არზის პატრონი ასე რომ ჩივის, ამას ერთი კაცი უჩინე ვინმე, რომ ორნივ ჩვენს სამართალში ჩამოასხას; და წიგნი თუ აქვს რამე იმ დედაკაცისაგან მი-

ცემული, ისიც თან ჩამოიტანოს. უიმისობა არ იქნება. ჰალბათ რომ უნდა ჩამოვიდნენ და ჩვენთან ილაპარაკონ. მარტის კვ, ქორონიკონს უპა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 189. არზა არუთენა ბარხუდარაშვილისა ვალის თაობაზე ვახტანგ ბაბოღიშვილის ოქმით

**1793 წ. 2 აპრილი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 17. საბუთი № 180. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[182] ღმერთმან ბედნიერის მეფის ძის ვახტანგის ჰირი თუმანისშვილის ბირთველის ყმას ბარხუდარაშვილს არუთენას მომცეს.

ჩემი მოხსენება და ვედრება ეს არის: ერთი ჩემი გაყრილი ძმა გახლავს აბელა. იმას ჩემი ცოტა რამ ფული მართებს, რომ თამასუქი ხელთ მიჰირავ[ს]. ღმერთი გაგაძლიერებს, ერთი ოქმი და იასაული მიბოძეთ, რომ ჩემი ახი მამცეს და თავისი თამასუქი დაიხსნას. მეც სხვისგან ამიღია ვალათ და ნიადაგ იასაული კარს მადგას და მაწუხებს. აპრილის ბ, ქორონიკონს უპა.

თავში

[181v] მეფის ძე ვახტანგ გიბრძანებ ჯავახისშვილო პეტრე! მერე ამ არზის პატრონი თავის გაყრილს ძმას აბელას რომ ასე უჩივის, შენ მიდი და რაც ამისი თამასუქით [182] ემართოს, ახლავ უკლებრად გამოურთვი და ამ არუთენას თავისი მოაბარე და ამის ძმასაც. თუ ერთი რამ ჰეშმარიტი საბუთი ჰქონდეს, ჩვენთან მოიყვანე და ალაპარაკე. მაგრამ თუ გამტყუნდება, ავად მოპყრობით გარდახდება. აპრილის ბ, ქორონიკონს უპა.

## 190. არზა ფალავანდიშვილებისა ყმის თაოგაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1793 წ. 3 აპრილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 14. საბუთი № 138. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[171v] ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს ფალავანდიშვილებს მზეჭაბუკის შვილებს გლახას, გოგიას და თეიმურაზს.

თქვენ რომ იორზედ გაიმარჯვეთ, მამაჩემი მაშინ თქვენის ჰირის სანაცვლო შეიქნა. ჩვენ ობლები თქვენს საფარველს ქვეშე დავიზარდენით. ახლა [172] ჩვენი აზნაურიშვილი ნაგლაძე გხლებიათ და თქვენ ოქმი გიბოძებიათ: შენთან საქმე არავის აქვსო.

ახლა ჩვენც აქ გახლავართ, თქვენი წყალობა წიგნებიცა ნახეთ და სამართლის წყალობას ვითხოვთ. სამჯერ-ოთხჯერ ხელშეკრული თქვენც გიბოძე[ბ]იათ. ღმერთი გაგიმარჯვებსთ, მოწყალებას ვითხოვთ, არ გაგვიწყრეთ და არ წაგვართოთ. თქვენგან სხვის წყალობის მოიმედეც გახლავართ.

თუ [უ]ნდა, მამულზედ დგომას ხომ არავინ უშლის, და თუ არ[ა], მამულს ხომ მაინც თან არ გავატანთ. რაც კაცი არის, მოიკითხეთ, თავადიშვილები გახლავან და მოგახსენებენ ამის კაცობას.

თავში

[171] ჩვენი ბძანება არის წაგალაძევ! მერე შენ ამისი აზნაურშვილი ხარ, ბატონყმობიდან ვერსად წაუხვალ. შენი ყმა და მამული შენ უნდა გეჭიროს და ამას აზნ[v]აურშვილობის რიგით მსახურო. თუ არ დაიშლი, რადგანც აზნაურშვილი ხარ, მამულსა და ყმას კი არ მოგცემს და შენ უმამულოდ და უყმოდ ვისთა[ნ]ც გინდა მიდი, თავისუფალი ხარ.

და თუ მამულსა და ყმას ინდომებ, ამათი ყმა იქნები. ამ შენს საქმეზედ სხვა ოქმებიცა აქვს ჩვენგან ნაბოძები. კარგია, იქმარე, ნულარც შენ ირჯები და ნულარც ჩვენ გვაწყენ თავს. აღიწერა აპრილის გ, ქორონიკონს უპა.

თუ ჰეშმარიტი სიტყვა გაქვს, ახლავ სამართალში მოჰყევ, ელაპარაკე და სამართლითა განწმინდე შენი საქმე.

## 191. არზა იოვანე გედევანიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1793 წ. 1 მაისი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფონდი. 1450. დავთარი № 38. საბუთი № 193. პირი. ჭაღალდი. მხედრული.

[144] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჰირი მოსცეს გედევანიშვილს სარდალს იოვანეს.

მერე ამას ვევედრები თქვენს დიდებულებას. ამას წინათ ჩემ[მ]ა რძალმა რომ თავი გაწყინათ და კაცი გამიყიდა, საქართველოს ჩვეულება კი არ იყო, მაგრ[ამ] იმ დედაკაცმა ჩემზე ისე მოახდინა. ოქვენი ბძანება იყო რომ თეთრი[1] მიმეცა, კაცი მე უნდა დამეხსნა. ხიდიდამ ოცდაათი თუმანი მისცემია.

ჩემო ხელმწიფევ, ჩემი მოხსენება ეს არის: ჩემი სახლისკაცები თქვენის დოვლათით სახსორს აშენებენ, მე იქ მისაყვანი და მემკვიდრე კაცი იმის მეტი არა მყავს.

ამას გევედრებით, იქიდამ არ გამოვიხმო და წილი არ ამამეკვეთოს. მართალია, შეუძლებელი გახლავარ, მაგრამ სხვას ყმებს დავაგირავებ და ის კი უნდა დავიხსნა, მეტი შეუძლებელი გახლა[ვ]ვარ. თუ რასმე მაპატიებთ, დიდი ღთიური მოწყალება იქნება, მეც ეკლესიის ყმა გახლავარ და ისინიცა, და დასტური მებოძოს, რომ დავიხსნა. იმ სოფლის გაკეთება იმ ეკლესიის შესამატიც იქნება.

ღმერთი გაგიმარჯვებს, ამას გევედრები რომ შემაძლებინო. აპრილის **იე**, ქორონიკონს **უპა**.

თავში

ამილბარ სალთხუცესო! მერე რადგანაც პირობა ასე ყოფილა, შენ მათს უწმინდესობას, ჩვენ შვილს, კათალიკოზს ანტონის მოახსენე, რომ რაც ამ გლეხში ეკლესიის თეთრი გასულიყოს, ის თეთრი სარდალს იოანესაგან მიირთვას და თავისი კაცი ამასვე უბოძოს. და თუ ცოტას რასმე აპატიებს, იმისიც ნება აქვს. მაისის **ა**, ქორონიკონს **უპა**. ჰალბათ.

ამაზედ თუ სიტყვა იყოს სათქმელი, ჩვენ მოგვახსენე.

[1] +რომ.

## 192. არზა მელიქი ავეტიქასი სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1793 წ. 6 მაისი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 13. საბუთი № 16. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[14] ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მიწა-მტვერს ავეტიქას მოსცეს. თარხან-აღას შვილი რომ კოსტანტას ყმობაზედ ედავება, ამისი ჰაღიღათის მოხსენება გებძანათ, თარხან-აღა რომ ბასრიდამ მომავალებულა, ამ კოსტანტას დედა თავისის შვილის ძიძათ წამოუყვანია და ეს კოსტანტაც თან წამოჰყოლია, ქალაქს მოსულა, ამ კოსტანტას დედა ძიძათ ჰყოლია და ეს შინ მოსამსახურეთ.

მერმე კოსტანტას ცოლი შეურთავს და თარხან-აღას ბაღში დაუყენებია და რაც მებაღის წილი ყოფილა, უძლევია. ამ ხანებში ბაღისთვის წნელის მოსაჭრელად წასულა და ლეკებს წაუყვანიათ. ამის სახსრად შვიდი თუმანი და ორი მინალთული თარხან-აღას მიუცია. ოცდაექვსი მინალთული თითონ კოსტანტას მოუთხოვნია და ასრე ტყვეობიდამ დახსნილა.

ახლა თარხან-აღას შვილი ამითი ედავება — ბასრიდამ მამაჩემ[მ]ა მოგიყვანაო და მერმე ტყვეობიდამ დაგიხსნაო, ამ მიზეზით ჩემი ყმა ხარო.

კოსტანტა ეუბნება: ბასრიდამ რომ დედაჩემი მამაშენმა ძიძათ წამოიყვანა, იმისი სასიძო და ჩემი ნამსახურობის ჯამაგირი ემართაო და ეს შვიდი თუმანი და ორი მინალთუნი იმაში მამცაო.

მაგრამ ამისი საბუთი ვერა უყო რა, რომ მართლა [v] ამაში მიეცა ეს[1] თეთრი. იმას აქეთ თვრამეტი წელიწადია, რომ ეს თეთრი კოსტანტასთან არის, თავნი რომ შვიდი თუმანი და ორი მინალთუნი ამას აძლევს კოსტანტა: და თარხან-აღას შვილი ეუბნება: მამაჩემს ის თეთრი ყმობის პირობაზედ მოუციაო.

რადგან რამდენიმე წელიწადია რომ ქალაქის დავთარშია, ამ მიზეზით სამართალი ვერ გადავწყვიტე. სამართალს ჯელმწიფე ბძანებს, თუ სხვათა უბძანებს, ბძანება ჯელმწიფისა[2] აღსრულდეს. თებერვლის **კჱ**, ქორონიკონს **უპა.**

თავში

ჩვენი ბძანება არის საამის შვილო ბეციავ! მერმე როგორც მელიქს მოუხსენებია, რომ ეს კაცი თარხან-აღას ბასრიდამ წამოუყვა-

[1] + ეს. [2] ჯელმწიფე.

ნია და მერმე ლეკთაგანაც ტყვეობიდამ დაუხსნია და ამის უჯათათ[1] ერთი უწინდელი ჩვენი ოქმიცა აქვს, ამას ყმათ უნდა დაანებო ეს კა-ცი, ვერ წავართმევთ. ამ თარხან-ალას შვილებისათვის გვიბოძებია, მაი-სის 3, ქორონიკონს უპა.

ბიბლიოთეკა

თუ დაიჯინებს, მდივანბეგებთან მიიყვანე; და თუ ამაზედ გამტყუნ-დეს, ხუთასი ჯოხი დაჰკრან ამას კაცს.

## 193. არზა არუთინა ბარხუდარაშვილისა გაყრის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1793 წ. 13 მაისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 224. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჴელმწიფის ჭირი მოსცეს ხელთუბნელს ბ ა რ ხ უ დ ა რ ა ს შ ვ ი ლ ს ა რ უ თ ი ნ ა ს.

მერე მე და ჩემს მამას ერთმანერთ[თ]ან სალაპარაკო გვაქვს[2] გა-ყრაზედა.

მოწყალებას ვითხოვ, რომ ერთი ოქმი გვებოძოს ჩვენს ბატონს თ უ მ ა ნ ი ს შ ვ ი ლ გ ო გ ი ა ზ ე დ, როგორც სამართალი იყოს, ისე ჩვენმა ბატონმა გაგვასამართლოს; სხვას ვისამე მოსამართლეს საქმე არა ჰქონდეს რა, რადგანაც რიგი არის, ყმა თავისმა ბატონმა უნდა გაასამართლოს. მაისს **იბ**, ქორონიკონს **უპა**.

თავში

ქ. თ უ მ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ო გ ი ო რ გ ი! ამ არზის პატრონი და ამისი მამა გაყრაზედ რომ ლაპარაკობენ, რადგან ორნივ შენი ყმანი არიან, სამართლიანის საქმით შენ მოარიგე და გაასამართლე, სხვას მო-სამართლეს საქმე არ აქვს. მაისს **იგ**, ქორონიკონს **უპა**. ალბათ.

კიდეზე

ქ. ამ არზისა და ოქმის ასლი ვნახე, რომ ეს სავადი სწორეთ იმის პირზედ არის დაწერილი, რომ [მ]ეტ-ნაკლები, არ არის რამე, ა მ ი ლ ა-ხ ვ რ ი ს შ ვ ი ლ მ ა გ ი ო რ გ ი მ და ვემოწმები.

ხელრთვა: გ ი ო რ გ ი.

---

[1] ოჯაათით.

[2] გავქვს.

ქ. ამ არზისა და ოქმის ასლი ვნახე, რომ ეს სევადი უმეტნაკლებოდ იმაზედ არის გადაწერილი და ვემოწმები. სიონის იკონომოს დეკანოსი.



verso

ქ. ამ არზის და ოქმის ასლი ვნახე, რომ ეს სავადი უმეტნაკლებოდ იყო იმაზედ გადაწერილი და ვემოწმები თ უ მ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ი პ ა პ უ ა ამ სავადსა.



ქ.ამ არზისა და ოქმის ასლი ვნახე რომ უმეტნაკლებოთ იყო გარდმოწერილი და ეს სავადი დავბეჭდე, მე, თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ მ ა მდივანმა ე გ ნ ა ტ ი მ.



## 194. არზა ნინია თვალმიხილაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1793 წ. 13 მაისი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 633. დედანი. ქაღალდი. 20,5×15,3 სმ. მხედრულიგანკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს რ ო ბ ი ტ ა შ ვ ი ლ ი ს ი ო ს ე ბ ი ს და ჯ ა ნ ი ს ყმას თ ვ ა ლ მ ი ხ ი ლ ა შ ვ ი ლ ს ნ ი ნ ი ა ს.

ჩვენო ჯელმწიფევ, მამაჩვენი თქვენის ჭირის [ს]ანაც[ვ]ლო შეიქნა, ჩვენ ობლები დავრჩით. ახლა ი ო ს ე ბ მ ა წისქვილი და სხვა მიწა წამართვა. ჯანია ისევ მაძლევს და იოსებ არ მაძლევს. თუ დანაშაული მაქვს, ბატონია და წაართვას; და თუ დანაშაული არა მაქვს და მართმევს, ან თქვენი სამსახური როგორ შევიძლო უმამ[უ]ლოთ და ან ჩემს ბატონს როგორ უნდა ვემსახურო.

ღმერთი გადღეგძელებს, ერთი ოქმი გვიბოძეთ ქ ა ი ხ ო ს რ ო დიამბეგზე. მოიკითხოს, უსამართლოთ მამულს ნუ წამართმევს. და თუ დანაშაული მაქვს სხვარიგათაც გადამახდევინოს. თუ არა, ჩემი წისქვილი და სახნავი მიწა ისევ მებოძოს, რომ სამსახურს გარდა დანაშაული არა მაქვს რა. მაისის იგ, ქორონიკონს უპა.

თავში

ქ. მდივანბეგო ქაიხოსრო! მერე როგორც ამ არზის პატრონს მოუხსენებია, სამართლიანის საქმით ეს ასე გაურიგე. მაისის იგ, ქრონიკონს უპა.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

ქ. როგორც მისის უმაღლესობის მეფის ბძანება იყო, ამ ოქმის ძალით მიბარდა წისქვილი და მიწა თვალმიხილაშვილს. ღვინ[ო]ბისთვის დამდეგს, ქრონიკონს უპა. ქა ხოსრო

## 195. არზა სულხან თაქთაქიშვილისა ყმის თაოგაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

**1793 წ. 18 მაისი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1165. დედანი. ქაღალდი. 21,8×12.1 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. ა-ნაკლულია.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწ[ყა]ლის დედოფლის ჭირი თაქთაქისშვილს სულხანას მოსცეს.

მერმე ამას მოგახსენებ: ერთი ხაბაზი მყვანდა, ამეყარა, ახალქალაქს სოლომან თარხნიშვილის კედლად დადგა. სამჯერ თქვენი ოქმი მივიტანე, თითონ კი ვერ ვნახე. იმისი ძმები სიტყვით ავად მოგვეპყრნენ: ჩემი თეთრი მართებსო. კაცი მეზ[ვ]რეთ უდგა, ცოლი შინ მუახლეთ უზის, რის თეთრი ემართება. თავის საჯამაგიროს თუ უგდებს ვალშია, თუ სხვას მოჯამაგირეს საჯამაგირო არ მიეცემა, ამასც ნურას მისცემს.

ერთი ოქმი მებოძოს, ის ჩემი კაცი დაიბაროთ, რასაც სამართალში დამადებს, აქავ მივცემ; ჩემს კაცს კი წავიყვან. ღმერთი გადღეგრძელებს. მაისის ზ, ქრონიკონს უპა.

თავში

ქ. თარხნისშვილო მეითაროს სოლომონ! ამ არზით თაქთაქისშვილი სულხან რომ ხაბაზს ბიჭს გიჭირავის, შენ ხომ პირობა მოგვეც. მეზვრეთ მიყენია და შემოდგომაზედ აქ სამართალში გამოვაცხადებო. ღვთით ღვინობისთვის გასულს იმ ხაბაზს თუ აქ სამართალში არ მოიყვან და არ ელაპარაკები ამ თაქთაქისშვილს, ამის დავას არ გაუწმენდ, ნაკლებობა იქნება. მაისის იზ, ქრონიკონს უპა.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

## 196. არზა პეტრე ნებიერიძისა გამოსალების თაობაზე დიკასტერიის ოქმით

**1793 წ. 18 მაისი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 361. დედანი. ქაღლდი. 29×17 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან მათის უწმიდესობის საქართველოს პატრიარხის მეფის ძის ანტონის ჭირი მოსცეს მათს მონას სურამელს ნებიერიძე პეტრეს.

მერმე ამას მოვახსენებთ: ერთი მღვდელი შვილი მყვანდა, თქვენს ძმას ბატონიშვილს იულონს ქისიყს ახლდა. ჩემის ცოდვით ყვავილი შეჰყროდა და იქ თქვენი ჭირის [სა]ნაცვლო შექნილიყო. ჯერ არც მკვდარი მომიტანია და არც დამარხვის წესი შემისრულებია.

ახლა მროელმა იასაულათ მურვანისშვილი ლუარსაბ დამაყენა: ან ცხენი, ნიშანი და საწირავი და წასახურავი გამოართვიო; და თუ არადა, სახლით და კარით შეგვიჩვენებიაო.

ჩვენო ჯელმწიფევ, ჩვენს სახლში ამის მეტი მღვდელი არ მომკვდარა. ჩვენი ქვეყნის მღვდელნი ძველეთგან ეს ბებიაშვილები ყოფილან და ამათ სახლში ამ სამოცს წელიწადში შვიდი რვა მღვდელი მომკვდარან; ამ სამოცს წელიწადში მროველიც ბევრნი გარდაცვლილან, ამაზე ზოგნი დიდნი და ზოგნი მცირენი; თუ ერთის მროველის დროს სურამელს მღვდელზე, საწირავს გარდა, თუ ესენი აღებულ იყოს, მე ცოლშვილით ყმათ მიეცემი; და თუ არადა, რას მემართლება, რომ ჩემს მწუხარებას არ მაჯერებს.

ერთი ოქმის წყალობას გევედრებით, რომ უსამართლობით უდები არ დამდოს. რომელიც სურამის მღვდლის განწესება არის, ღვთით კიდეც ვაწირვინებ და კიდეც მივცემ საწირავსა ჩემო ჯელმწიფევ. მაისის **იგ**, ქორონიკონს **უპა**.

თავში

მისის უწმიდესობის ბრძანებას მოგიწერთ დიკასტირია ყოვლად სამღვდელო მროელ მიტროპოლიტო იუსტინე.

მერმე ამ არზის პატრონმა ასე იჩივლა იმის უწმიდესობასთან ჩვენის თანდასწრებით და ამ არზაშიაც გამოუცხადებია: თუ სურამელს მიცვალებულს მღვდელს საწირავის მეტი სდებია რამეო, მე ცოლ-შვილით ყმათ მიმეცითო.

და ასე გიბრძანა ამისმა უწმიდესობამ: იქნება სხვათ კი სტებოდესთო და სურამელთ კი არაო. თუ გუჯარში არ გიწერია, გამოიკითხეო სურამელთ კაცთაგან სამღვდელოთა და საეროთაგან, მახლობელთა და ღმრთის მოშიშთა მოხუცებულთაგან და თუ სდებია სურამელს მღვდელს ნიშანი და წასახურავი ამათაც გამოართვიო. და თუ არა სდებია, უდებს ნურც ამათზედ დასდებო, მხოლოდ საწირავი გამოართვიო. ახლისა და ახლის ჩვეულების შემოღება, დიახ, უმართებულო საქმე არისო. მაისის **იჱ**, წელსა **ჩლჟგ**.

მდაბალი მიტროპოლიტი გერმანოს

სვეტისცხოველის და კარის დეკანოზი ხელრთვა: ნიკოლოზ.

მწიგნობარ-არხიმანდრიტი ტრიფილე

## 197. არზა გიორგი ამილახორისშვილისა საქონლის თაოგაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1793 წ. 24 მაისი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 240. დედანი. ქაღალდი. 22,5×11,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს მათს ფერხთა მიწას საწყალობელს გიორგი ამილახორისშვილს.

ამას წინათ რომ არზი მოგართვით, რაც რამ მცირედი ჩვენი საქონელი აქვს სულხან მდივანს იმის თაობაზედ და ოქმი გებოძათ თქვენს შვილს ალმასხანზე, თქვენმა შვილმა ვერ მოიცალა და არა გაგვირიგდა რა. თქვენი მოწყალება განაჩენი და ოქმი გასამართლებული და გადაწყვეტილი ჯელთ გვიჭირავს.

გევედრებით და ბედნიერს მუხლს გეხვევით, როგორც თქვენი მოწყალების განაჩენი გვიცხადებს, ისე აღგვისრულდეს. მოვალე[ე]ბი ცალკე გვაწუხებენ და სხვა რიგი ჩვენი მწუხარება და სიგლახაკე ყოველივე თქვენს მღთისმოყვარებას მოეხსენება, გრძლად რაღა თავი გაწყინოთ, ჩემო ჯელმწიფევ. მაისის **კდ**, ქორონიკონს **უპა**.

თავში

ქ. მდივანო სულხან და მდივანო მანუჩარ! ამაში თუ სიტყვა არა გქონდესთ რა, თავისი მოეცით, გაუსწორდით და ნულარ ალაპარაკებთ და ნულარც აჩივლებთ, ერთხელ მორჩით და მ[ო]ისვე-

ნეთ. და თუ სიტყვა გქონდესთ რამე, სამართალში შემოდით და სა-
მართლით გაურიგდით. მაისის **კდ**, ქორონიკონს **უპა**.

ალბათ, რომ ერთის გზით გარდასწყვიტოთ და მორჩენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს,
ერეკლე.

## 198. არზა ამილახვრის ქალის მაიასი პირუტყვის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1793 წ. 28 მაისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 13826. დედანი. ქაღალდი. 25×14 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ წერტილი.

ქ. ღმერთმან უმაღლესის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს ამილახვრის ქალს მაიას.

მოწყალევ ჯელმწიფევ! ავნევს ჩემის დედის ნასყიდნი რომ მებოძა, ერეკლე ფალავანდიშვილმა უსამართლოთ მედავა და მოსავალი მოიტაცა. სამართალში ვილაპარაკეთ და ის მამულები მე დამრჩა. ორი ოქმი და იასაული თქვენგან მებოძა, განაჩენი და ოქმი დიამბეგებისაგან მომეცა, რომ ის მოსავალი ისევ უნდა მოეცა.

არც რა მომცა და ის კაცნიც კიდევ დაარბია. ხუთი სული ხარი და ძროხა და ერთი ცხენი წაიყვანა და ერთი ცხენი ჩემს შანშეს მოსტაცა; სამჯერ-ოთხჯერ დარბეულან[1], დალახულან, იარაღი წართმევიათ. და მე ყოველთვის თავს ვერ გაწყენ და შერჩომილი აქვს ყველა.

ღმერთი გაგიმარჯვებს, ერთის ასეთის ოქმისა და იასაულის წყალობა მიყავ, რომ გამომირთვას და ის საწყალი კაცნი უსამართლოთ აღარ შეაწუხოს. ის ძალით იბრძვის; მე თქვენს მეტი არც ძალა მაქვს და არც პატრონი მყავს. ორმოცდახუთი წელიწადია, არავის უდავნია და ახლა მე უსამართლოთ მტანჯვენ. გევედრები, დამეხსნას, შფოთს ნუ მაძლევს და ნუ მტანჯავს, ჩემო ჯელმწიფევ. მაისის **კზ**, ქორონიკონს **უპა**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის იასაულო მაჩაბელო ელიზბარ! მერე ამ არზის პატრონი ამ არზით ასე რომ ჩივის, რაც ან შანშე ერისთვის შვილისათვის მოეტაცნოს და ან გლეხის კაცებისათვის ფალავანდიშვილს ერეკლეს წაერთმიოს, ახლავ უკლებრათ [უნდა] გამოარ-

---

1 დარძეულან.

თვა და მოაბარო. თუ სიტყვა აქვს, სამართალში ერთად ილაპარაკონ და სამართალი მიეცემათ. თავისთავად არ უნდა მოეტაცნა. მაისის კზ, ქორონიკონს უპა.

არას გზით გამოურთმეველობა არ იქნება. რომ არ გამოართვა და არ მოაბარო. ერთის პეწვის დაკლება არ იქნება.

რომელიც იასაული ხარ, თუ რომ ეს წანართმევი ახლავ არ გამოართვი და არ მოაბარე, ეს იცოდე, რომ სულ შენ წაგართმევთ ერთიორად, მამის ჩემის მზემ; ახლავ უნდა წაურთვა და ამათ მოაბარო. ჰალბათ, ჰალბათ.

ბატონმა წამრთმევმა მასუკან ილაპარაკოს; თუ სიტყვა ქონდეს რამე, მოგვახსენოს, გამორთმევის უკან.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

## 199. არზა მურვანისშვილებისა მამულის თაობაზე იულონ გატონიშვილის ოქმით

**1793 წ. 29 მაისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3990. დედანი. ქაღალდი. 31,3×18 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმა ბედნიერის მ ე ფ ი ს ძ ი ს ი უ ლ ო ნ ი ს ჰირი მ უ რ ვ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ე ბ ს მოსცეს.

ჯ ო ბ ა ძ ე [ე] ბ ი ს სადაოზედ ამას წინათ მდივანბეგებთან გვილაპარაკნია. მდივანბეგებს რაც სამართალი უსჯიათ, განაჩენი უბოძებიათ მის უმაღლესობისაგან დამტკიცებული.

განაჩენის ძალით ჯობაძე[ე]ბს ფიცი დასდებიათ, ზ ა ზ ა ა მ ი რ ე ჯ ი ბ ი იასაული ყოფილა, მისულა ზაზა. ჯობაძეს ვეღარ დაუფიცავს; და ზაზასაგან ოქმზედ ხელმოწერილი არის: ჯობაძემ ვეღარ შეჰფიცაო და მამული დარჩათ მურვანისშვილებსა. ოცდაოთხი წელიწადი არის და გვიჭირავს და მოდავე აღარავინ გვყოლია.

ნასყიდობის სიგელი, მდივანბეგების განაჩენი უმაღლესობისაგან დამტკიცებული და კიდევ სხვა ოქმი იასაულისაგან ჯელმოწერილი ხელში გვიჭირავს და მამული ჩვენ დაგვრჩომია.

ახლა კიდევ ოქმი გიბოძებიათ და მოურავისათვის გიბძანებიათ მამული ჩამოართვიო. ჩვენო მოწყალევ, თქვენი ოქმი დააყენეთ სამართლამდის, ჯობაძე[ე]ბი დაიბარეთ, სამართალი გასინჯეთ და რომელსაც მხარეს სამართალმა მისცეს, მამული იმას დანებდეს. მაისს ₰თ, ქორონიკონს უპა.

სურამის მოურავო მინბაშო ბ ე ჯ ა ნ! მერე მართალია, ჩვენ მოგწერეთ ამ ვენ[ა]ხის საქმეზედ, მაგრამ მურვანისშვილ[ებ]მა და მაშინდელი განაჩენები მოიტანა. ჯობაძე[ე]ბს ფიცი დაჰდებიათ, ბატონს ზაზა ამირეჯიბი იასაულათ დაუყენებია, რომ ან როგორც განაჩენში უცხადებსო, ისე შეჰფიცონ; თუ ვერ შეფიცესო მურვანის შვილებს დარჩებაო ის მამულიო.

მასუკან ზაზა ამირეჯიბი ხელს უწერს: ჯობაძე[ე]ბმა ვერ შეჰფიცესო და დარჩა მურვანისშვილებსაო. ეს ხელმოწერილი ჩვენ ვნახეთ, ბატონის ოქმზედ აწერია.

ახლა ამას გწერთ: ეგ ჩვენგან მოწერილი ძირს იყოს; თუ სიტყვა აქვსთ რამე, ზაზა ამირეჯიბსა და მურვანისშვილებს სამართალში ელაპარაკონ ეგ ჯობაძე[ე]ბი. ეს ასე აღასრულე. მაისის **კთ**, ქორონიკონს **უპა**.

ბეჭედი: ტომ-სქეთით არ ნაკლისაგან იულონ ირაკლისაგან.

## 200. არზა გლახა ჭურდღევანიძისა ყმების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1793 წ. 7 ივნისი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 47. საბუთი № 9. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[6v] ღმერთმან ღვთის მოყუარე[1] ჯელმწიფის ჰირი მოსცეს თქვენის მოწყალებით ტყვეობიდგან გამოხსნილს ქ უ რ დ ე ვ ა ნ ი ს ძ ე ს გ ლ ა ხ ა ს ა.

თქვენის ქველის მოწყალება რომ დამემართა, სახსარი მიბოძეთ. იმჟამად ჩემს ყმებზედაც თავი გაწყინეთ, იმ კაცების წიგნები სამკვიდრო იმჟამად ხელთ არა მქონდა. მიბძანეთ, წიგნები მოიტანე, გავსინჯოთო[2] და ბეჯითს ოქმს გიბოძებო, შენს ყმებს აგიყრიან[3] და მოქცემენო.

ამ მოწყალებას ვითხოვ ღვთის მოყვარე ჯელმწიფევო! ამ კაცების წიგნებს თქვენი ბედნიერი თვალი გადა[ა]ვლოთ, რომ ერთი ბეჯითი ოქმი მებოძოს ბ ე ც ი ა რ ო ჭ ი კ ა შ ვ ი ლ ზ ე დ, ის კაცნი თქვენის წყალობით დამნებდეს. ეგები ღმერთმან თქვენს სამსახურში გამაძლებინოს[4], ღმერთი გაგიმარჯვებთ, თქვენს ამაგს უმოწყალეოდ ნუ გამყოფებთ. ივნისის **ზ**, ქორონიკონს **უპა**.

---

1 მოუყარე. 2 გავსინჯეთო. 3 აგაყრიან. 4 გამოძევინოთ.

[6] ჩვენი ბძანება არის ჩვენო დისწულო ანდუყაფარ! მერე ამ ქურდევანიძემ თავის წიგნები ჩვენთან მოიტანა. მდივანბეგებმაც ჩვენთან იყვნენ. ის წიგნები გავშინჯეთ. ციცისშვილები და ეს ქურდევანიძე ჩვენს სამართალში ვალაპარაკეთ და სამართლით ეს კაცნი ამას დარჩნენ. ციცისშვილებს საქმე არა აქვთ. ახლა[ვ] აუყარე და ამას [მოაბარე]... გელაძე და ჯაბაზისშვილი... და ესენი უნდა მოაბარო.

## 201. არზა სოლომონ მეითრისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1793 წ. 12 ივნისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 5385. პირი. ქაღალდი. მხედრული. საბუთის პირი დაცულია ავრეთვე ცსსა. ფ. 1449. საბ. № 460.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მათს მონას მეითარს სოლომონს და იმის ძმებს მოსცეს.

მერე ამას მოვახსენებთ თქვენს სიმაღლეს. მრავალჯერ მიწყენია თქვენის უმაღლესობისათვის თავი და ოქმიც მბოძებია. ამ ჩემს სახლის კაცებთან სადაო მამული მაქვს. თარხანი, გლახა და მე ერთის სახლისშვილები გახლავართ, ნახევარი ჩემი არის რაც მამული გვაქვს და ნახევარი თარხნისა და გლახასი არის. დღეს ჩემი სამკვიდრო მამული მაგათ უჭირავთ.

მოწყალებას ვითხოვ, მანამდინ ეგ კაცნი გაიყრებოდნენ თარხანი და ბეცია, მანამ ჩემი და მაგათი დავა გაასწოროთ. თუ ახლავ არ მომეხსენებინა თქვენის უმაღლესობისათვის, მაგათი პასუხი ჩემთან ეს იქნება: როცა ვიყრებოდით, რატომ იმის სიმაღლეს თავი არ აწყინე და შენი მამული არ გამოგვართვიო. მე ახლა თქვენის სიმაღლისათვის თვითოეულად მომიხსენებია, საცა მაგასთან სალაპარაკო მამული მაქვს.

ქ. მაქვს [დავა] კავთისხევში ჩვენს სამკვიდროში.

ქ. მაქვს ჩემს სამკვიდროში ოძისში დავა.

ქ. მაქვს მუხათის სოფელში დავა, რომ ჩემი სამკვიდრო მამული შერთო.

ქ. ლისს მაქვს დავა რომ ჩემი სამკვიდრო არის.

ქ. მაქვს დავა ერთაწმინდას და ცხირეთს.

ქ. ახალქალაქსა და ნოსტეს მაქვს დავა.

ქ. თქვენს უმაღლესობას კარგათ მოეხსენება, რომე პაპაჩემს დავით როგორ საქმე გაუჭირვეს და ცხრაასი თუმანი წაართვეს თურ-

მე. იმის მიზეზით ამ ქვეყნიდამ გარდავარდა და მამაჩემი პატარა ყიზილბაშებმა წაიყვანეს. შემდგომად თქვენს საფარველს ქვემ იყო.

კარგათ მოგეხსენებათ, რომ თავის მამულში მრავალი სადაო ჰქონდა და თავსაც გაწყენდათ, და თქვენ უბძანებდით: სხვასაც გიბოძებთ შენის შვილების პატრონს, არამცთუ შენი მამული უჭირავს რამე შენს სახლის კაცებს, ის შენს შვილებს დაეკარგოს.

მოგეხსენებათ, ის თქვენის სამსახურიდამ ვერ განთავისუფლდა, რომ ჩვენი მამული გაერჩივა. ახლა წყალობას ვითხოვთ, მუდამ შფოთში ვართ და ერთმანერთს მოგვაშორვოთ მამულზედ. მთიბათვის **ზ,** ქორონიკონს **უპა.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ორბელიანო ეშიკაღაბაშო თამაზ! მერე ამ არზით სოლომონ მეითარი თავის სახლის კაცებს თარხანს გიორგის და ბეციას ექვსს ალაგს მამულებს ედავება. ესენი სამართალში ჩვენთან უნდა ალაპარაკო. და ჯერ ამისი სადაო გადასწყვიტონ და მერე ისე გაიყარნენ. ეს ახლავ ასე უნდა გაარიგო. მთიბათვის **იბ,** ქორონიკონს **უპა.** ერეკლე

## 202. არზა ზაალ გურამიშვილისა სარგოს თაობაზე გიორგი გატონიშვილის ოქმით

**1793 წ. 18 ივნისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 712. დედანი. ქაღალდი. 20,5×11,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის მეფის ძის გიორგის ჭირი ზა[ა]ლ გურამისშვილს მოსცეს.

ამას მოვახსენებთ, ერთი ოქმი მიბოძეთ: ჩემის კაცის ივანე ღვდლისა ვისაც რა მართებოდეს, ფიცითა და მუჩალგით მოგახსენოს, ან ვისთვისაც რა მიეცეს და ან ძირს რა დარჩომოდეს — ესენი დაუფარავთ თქვან თქვენის შვილების სადღეგრძელოთ. თიბათვის **იზ,** ქორონიკონს **უპა.**

თავში

ქ. ბატონისშვილი გიორგი გიბძანებთ ფარშეთხუცესო ანდუყაფარ! მერე ამისის კაცის ივანე მღვდლისა ვისაც რამ მართებოდეს და ან ემართოს, ყველას თითვეულად უნდა მუჩალგით და[ა]წერინო, რომ ვიზედაც ან დარჩომილი იყოს და ან მიეცესთ რამ,

ყველა გარჩევით და მუჩალგით უნდა შეგვატყობინონ. ივნისის **იზ**, ქორონიკონს **უპა**. გიორგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 203. არზა ივანე ნაცვლისა ვალის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

**1793 წ. 20 ივნისი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1399. დედანი. ქაღალდი. 13,9×10.8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფე დედოფლის ჭირი მოსცეს მათს მიწად მტვერს ვ ე ლ ი ს ც ი ხ ი ს ნაცვალს ი ვ ა ნ ე ს.

ჩემო მოწყალევ, თქვენის ბძანებით ანგარიში მინახეს. და ცოტა რამ თქვენის სარჭრისა დამედო. რომ ან უნდა ადგილი უჩვენო და ან უნდა მოგართო. ამაში სიტყვა არა მაქვს რა თქვენს სამსახურში.

მისულა რ ო ს ტ ო მ ნ ო დ ა რ ი შ ვ ი ლ ი და ათითავი ძროხა გამოურეკია და წაუსხამს. ღმერთმა გაგაძლიეროს, თქვენს დროში ორთუმანნახევრისათვის ამისთანა ბეაბრობა რათ უნდა გადამხდეს.

ღმერთი გადღეგრძელებსთ, ოქმით უბრძანეთ: ის საქონელი მოგვცეს და მერე ნება თქვენი აღსრულდეს. ივნისის **იზ**, ქორონიკონს **უპა**.

მოგეხსენებათ უსაქონლოთ მოსავალს ვერ ავიღებთ. ამისთანას დროში საქონელი რომ წაგვერთვას, ან ვალი რით გადავწყვიტოთ და ან ჩვენ როგორ უნდა დავრჩეთ.

თავში

ქ. დ ე დ ო ფ ა ლ ი დ ა რ ე ჯ ა ნ გიბძანებ ნოდარიშვილო როსტომ! რომ ამ არზის პატრონის ივანესი რომ ათი თავი ძროხა გამოგირეკია და წაგისხამს, ჩვენგან ხომ არც ბძანება გქონდა და არც ჩვენს ოქმში გიწერია, რომ ამას საქონელი წაართვი.

ახლავ თავის საქონელი უკლებლათ მოაბარე. და რაც ამას ჩვენი დაზდებია, შემოდგომამდინ იმის მოჰლათი მიგვიცია და შემოდგომას ახალზედ [ა]ნ უნდა ალაგი გვიჩვენოს ვისზედაც არის დარ[ჩო]მი[ლი], ან თითონ უნდა მოგვცეს. და ამას თავის საქ[ონელი] ახლავ უკლებლათ მოაბარე. ივნისის კ, [ქ¯კს უპა].

ან საიასაულო არაფერი არ გამოართვა რა, თო[რემ ე]რთს ორათ შენ წაგართმევთ, თუ ამას დააკელ რამე. [როდი]ს გითხარ საქონლის

წართმევა. შენ კი მეუბნებოდი...* მე როდის მამიცია შენთვის ბძანება.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 204. არზა იულიოს ურბნელისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1793 წ. 22 ივნისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 1056. დედანი. ქაღალდი. 21×14 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ჯემწიფის ჭირი მათს მარად[დ]ღე მლოცველს უღირს უ რ ბ ნ ე ლ ეპისკოპოს[ს] ი უ ლ ი ო ს მოსცეს.

ამას მოვახსენებ მათს სიმაღლეს: ნეტარხსენებულის თქვენი შვილის ლ ე ვ ა ნ ი ს სულის მეოხად და თქვენად სადღეგრძელოდ და განსაძლიერებად წმიდის პირველ მოწამის სტეფანისათვის ერთი ბიჭი უძმო და უთვისტომო შეგიწირამთ ბატონის დედოფლის დამტკიცებით და მისის უწმინდესობის თქვენი შვილის დამტკიცებით, რომ მათგანაც არის დამტკიცებული.

ახლა ც ი ც ი ს შ ვ ი ლ ი ს ზ ა ქ ა რ ი ა ს შვილებისათვის წყალობა რომ მოგიღიათ, ყმა და მამული გიბოძებიათ, წინამძღვრის შვილი ლ[ე]უა იმ შეწირულს კაცსაც მედავება, რომ ბატონმა წყალობა მიყო[ო].

ჩემი უღირსება ევედრება თქვენს ღმრთის მსახურებას: ღმერთი უმეტესად განაძლიერებს თქვენს სიმაღლეს, რომ ერთი სიმტკიცის ოქმი ებოძოს ეკლესიას, რომ ეკლესი[ი]ს მეტს ამ კაცთან ჯელი არავის ქონდეს. მე თქვენის ბძანებით დაბარებული გახლდი, მაგრამ ჩემის ცოდვით და სნეულობით მდებარე გახლავარ. მე ჩემი თანამ დებობა მომიხსენებია და ნება თქვენი უმაღლესობისა[ა]. ივნისის **იჱ**, ქორონიკონს **უპა**.

თავში

ქ. ყოვლად სამღუდელო უფალო ურბნელო იულიოს! ამ არზით ასრე რომ მოგიხსენებია, ის შ ა ვ ე რ დ ა შ ვ ი ლ ი ნ ი ნ ი ა ჩვენ იმ წმიდის სტეფანეს ეკლესიისათვის შეგვიწირავს. როგორც იმ ჩვენგან შეწირულობის სიგელში ეწეროს, ისრე უნდა ამყოფოს. იმასთან საქ-

* აკლია ერთი სიტყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე არავისა აქვს და ვერც არავინ რაზედ შეაწუხებს, ის არც გაგვიცია და არცავის იმასთან საქმე აქვს ვისმე, რომელ იმ ეკლესიისათვის შეგვიწირავს და იმას უნდა მსახუროს, როგორც ჩვენი სიგელში უწყალობებდეს. ივნის[ს] კბ, ქორონიკონს უპა.

ჩვენ იმისი მამული არ შეგვიწირავს და იმისი დედული ერთი ჸმელი კაცი იყო და ის შევწირეთ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჸმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 205. არზა იასე თაქთაქიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1793 წ. 25 ივნისი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 28. საბუთი № 60. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[55] ღმერთმან ყოვლად მოწყალე დედოფლის ჭირი მოსცეს მათ მიწას იასე თაქთაქიშვილს.

ჩვენი მოხსენება ეს არის: ყელქცეულში ხერხეულიძებისაგან ცოტა რამ ნასყიდობა მაქვს; შარშან კალო[ო]ბაზედ ომან მირზაშვილი გადმამიხდა თავისის შვილითა და თავის სახელოს კაცითა ოცდაათი კაცი შეყარა, [V] მამიხდა და ორნი მამა-შვილნი კინალამ დაგვხოცეს და სამის წლის გამოსავალი ჭირნახული რაც მერგებოდა, ერთიანთ წამართვა.

ბატონის ოქმი და ბძანება მქონდა, ამილახვარის კაცს ხელთ ეჭირა და კიდემ თქვენის შვილის ვახტანგ ბატონიშვილის ოქმი, მაგრამ ისივ თავისი ნება აღასრულა.

ამ წყალობას ვითხოვ[1] და გვეედრებით: ერეკლე ფალავანდისშვილზედ მიბოძოთ ბძანება და ოქმი, რომ ჩვენ და იმათი საქმე დავით მირზაშვილის დროს იმან გა[ა]რჩია ბედნიერის ჴელმწიფის ბძანებით, ახლაც იმას ებძანოს; როგორც ან ჩემი განაჩენი აცხადებდეს და ან ჩემი ნასყიდობის სიგლები, ისე მომაბაროს მამულიცა და რაც ჩემი მამულის გამოსავალი ეჭიროსთ, ისიც გამოართვას და მამაბაროს.

და თუ სიტყვა ქონდეს რამე, იასაულმა ამილახვართან მიგვასხას, გორის ქეთხუდები გვერთ დაისხას და ღმრთის წინაშე სამართალი გვიყოს. მაისის ე, ქორონიკონს უპა.

---

[1] + რომ.

ამ არზის პატრონო! შენ რომ ეს ასე მოგიხსენებია, შენი საქმე რადგან მისის სიმაღლის ბძანებითა და ოქმით ყოფილა, გარიგებული, ისევ მის სიმაღლეს მოახსენე. ოქმს ბატონი გიბოძებს, ის მოიკითხავს, უსამართლობით გჭირს ვისგანმე. მაისის **იწ**, ქორონიკონს **უპა**.

ჩვენი ბძანება არის ფალავანდიშვილო ერეკლევ! მერე შენ უნდა მიხვიდე მირზაშვილთან და ამ არზის პატრონი, ასე რომ უჩივის, ესენი თავეთის განაჩენითა და წერილებით ამილახვარს ოთართან მი[ი]ყვანე, ოთხი გორელი მოჰტაბარი ქეთხუდა თავისთან დაისწრას და ამათი საქმე ისე გა[ა]რჩიოს და ეს მამული, რომელსაც დარჩეს სამართლით, იმას დ[აა]ნებოს თავისის გამოსავლითა. თიბათვის **კე**, ქორონიკონს **უპა**.

[56] ამას გაურიგებელს ნუ და[ა]გდებს. თუ ჩვენი მოსახსენებელი არ იყოს, როგორც გვიბძანებია, მანდავ გადაწყვიტოს, ჩვენთან ნუღარ გამოგზავნის ამათა.

## 206. არზა ელიზბარ დავითიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1793 წ. 29 ივნისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1520 გ პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯემწიფის ჰირი დავითისშვილს ელისბარს მოსცეს!

მერე მე და ზაალს პირობა გვქონდა, ერთი წიგნი მე მქონდა მაგის მამისა და ერთი ზაალს ჰქონდა თავისის მამისაგან. თქვენის სამართლით და იმ წიგნების ძალით, ეს ტატიშვილი იოთამ მე დამრჩა, რაც მაგიერები იყო, დავანებე, დღესაც მაგას უჭირავს.

თქვენთვის მოუხსენებია, მაგიერები ელისბარს უჭირავსო და ეს ტატიშვილიცო. ახლა ოქმი გებოძათ. ეს კაციც გამიგლახავა და გაგლიჯა და მაგიერებიც იმას უჭირავს.

ამ მოწყალებას ვთხოვ: ეს კაცი ჩემია და სამართალსაც მოუცია და მაგიერი იმას უჭირავს. როდესაც სამართალმა მე მამცა ტატისშვილი, ამ კარის ამბავი რომ მოგეხსენებათ, დამეხარჯებოდა; ეს ხარჯიც მეკარგება და ტატიშვილსაც ზაალი გლეჯს, და მაგიერებიც ზაალს უჭირავს.

ღმერთი გაგიმარჯვებსთ, სამართალი მაღირსეთ. თუ იხებებთ, ზაალის მამის წიგნსაც მოგართმევ და ნახეთ. მაისის **იე**, ქორონიკონს **უპა**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავში

ქ. ჩვენი ბრძანება არის ხერხეულიძე ავთანდილ! მერე ამ არზით ელიზბარ დავითიშვილს ასე რომე მოუხსენებია, ესენი ჩვენს სამართალში უნდა ალაპარაკო და ჩვენ გავასწორებთ სამართლით-მთიბათვის **კთ**.

## 207. არზა სულხან თაქთაქიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1793 წ. 2 ივლისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14251. დედანი. ქაღალდი. 17,4×11 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჰირი თაქთაქისშვილს სულხანს მოსცეს.

მერმე ამას მოგახსენებ, ქ[ა]რელში ერთი ჩემი კაცი არის. ამდონი თქვენი წყალობა იყოს, ერთი ოქმი და ია[ს]ული მიბოძოთ, რომ ჩემი კაცი ამიყაროს და მომაბაროს, რომ თქვენ ჯელმწიფობას თავი აღარ ვაწყინო.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ამირაჯიბო დავით! მერე ამ არზის პატრონს ქარელში რომ ერთი კომლი კაცი ჰყავს, შენ მიდი, აუყარე და მოაბარე, ნუღარ დააყოვნებ, ახლავ აუყარე და მოაბარე. მკათათვის **ბ**, ქორონიკონს **უპა**. ალბათ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

## 208. არზა ზაალ დავითიშვილისა უმის თაობაზე ვახტანგ ბატონიშვილის ოქმით

**1793 წ. 5 ივლისი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 560. დედანი. ქაღალდი. 22×16,4 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. ა-მეტნაკლული.

ქ. ღმერთმან ჩემის მოწყალის ხემწიფის ძის ვახტანგის ჭირი მათს მონას დავითიშვილს ზაალს მოსცეს.

მერმე ამა[ს] მოვახსენებ ჩემს მოწყალეს: დემეტრე ამილახვრიშვილს ბიძაჩემ[მ]ა ერთი წმინდის სამების შეწირული კაცი მიყიდა. იმისთანა თქვენს ორგულს მოსვლია, როგორც ან იმას მოუხდა და ან დასცდა. ის ბიძაჩემიც თქვენი ორგული ამოსწყდა. მეც ხან ავათ ვიყავ, ხან შვილები გამიხდენ ავათ და ვერცრა იმ კაცმა იკეთილა.

ჩემო ხემწიფევ, ის კაცი მისმა უმაღლესობამ გიორგის უბოძა, ეს მე[ე]ქვსე წელი არის და ზედ თქვენგანც მოწერილია: როგორც მის უმაღლესობას უბძანებიაო, ჩვენც გვიბოძებიაო; აღათანგზე არის ბძანება, მიაბარეო ყმა-მამულითაო, რათგან ნასყიდი არისო. ბატონის და თქვენის ბძანებით მიაბარა, ფხვენის[ს] იდგა, რათგან მამული ჩამოერთვა, გლეხი კაცი ყმა-მამულით რაღას არგებდა, ხან გივს ამილახვრიშვილს შეავაჭრა, ხან ამილახვარსა. რათგან ჩვენი მიყიდული იყო და წმინდის სამების ყმაც იყო, მე დავიხსენ ისევ და იმავ ეკლესიას მივართვი, როგორც ძველათ ყოფილიყო. იმისი ძველი ნასყიდობის სიგელი მის უმაღლესობის ახალი და თქვენი ნაწყალობევი ოქმი და გიორგის მოცემული წიგნი ორივ ბატონს მივართვი და ისინი რომ ნახა, ის ბიძაჩემის მიცემული სიგელიც მიბოძა, რომელიც დემეტრეს ნაქონი იყო. ეს მეექვსე წელი არის მასუკან რომ[1] ფხვენისი გიორგისათვინ გებოძა მამული.

ახლა იმას იქ რაღაებიც გაუყიდნია, თქვენ ოქმი გიბოძებიათ მაჩაბელის ელიზბარისათვინ: რაც გიორგის მამული ან ვენახი ან ქვევრ-მარანი გაეყიდნოსო, ყველა დაიხსნევინეო. იქ მე მამხდომია, ესეც უნდა ავყარო, საიასაულო მომეცითო. ჯერ მისის უმაღლესობისა და თქვენის ბძანებით დამიხსნია ჩემი ტყვე, მერმე წმინდის სამების ყმა არის და ეს ზემოხსენებული წიგნებიც ხელთ მიჭირამს, ასეც მგონია თქვენი ბძანება არ იყოს ჩემზე, მაგრამ ვინც ოქმს ჩაიგდებს, ბძანებას ერთიორათ მოუმატებს.

---

1 ხომ.

ერთის ოქმის წყალობა მიყავით, ხელი აიღოს. და თუ ეს ჩემი მოხსენებული ტყუილი იყოს, ერთი კომლი კაცი ჯარიმათ მიმირთმევია. თუ მისის უმაღლესობის და თქვენი წყალობის წიგნი არ მქონოდა, ის სიგელი ბატონს არ ებოძებინა, მე როგორ დავიხსნიდი. ღმერთი გაგიმარჯვებს და ხემწიფეს მამასა და დედას გიცოცხლებსთ, ოქმის წყალობა მიყავით, იმ წიგნებს თქვენ გაახლებ და თუ ტყუილი იყოს, ჯარიმა წამართვი. მაისის **კვ**, ქორონიკონს **უპა**.

თაეში

ქ. ბატონიშვილის ვახტანგის სიკეთით სახსოვარო ელიზბარ მაჩაბელო. მერე ზა[ა]ლ დავითიშვილს რომ ასე მოუხსენებია, მარამდის უნდა დააცალო, ნუღარ შეაწუხებ. რადგან წიგნები აქვ[ს], ის წიგნები ჩვენ უნდა გვიჩვენოს. იმ წიგნს რომ გავშინჯამთ, თუ მართალი იქნება, საქმე აღარავის ექნება. ივლისის **ე**, ქორონიკონს **უპა**.

ამაზე ამას ნურც საიასაულოზე შეაწუხებ.

ორი ბეჭედი: რტოდ ვარ დავითის, მგელ-ლომად ვით ის, ვახტანგ ვამტკიცებ მეფის ძეობით.

## 209. არზა გელა წიწრიაშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1793 წ. 17 ივლისი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 9964. დედანი. ქაღალდი. 16,5×11,4 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს ყვარელში მოსახლეს წიწრიაშვილს გელას.

ჩემო ჯელმწიფევ, ჩემ[მ]ა განაყოფმა ნაცვალმა ღთისავარ საძნეურები მთხოვა. მე უთხარ: ძნით მიდგს-მეთქი, ძნას თავის მოდგმა უნდა, დავცლი და გათხოვეფ-მეთქი; ამასაც შევეხვეწე ორჯელ, უჩემოთ ჩემი ურემი არ დასცალო, დამიძახე, მე დავცლი, ძნას თავს მოვადგამ და ურემი შენ წაიღევ-მეთქი. ამისი მოწამე[ე]ბი ბევრი მყავს. უჩემოთ დაეცალა ურემი. ბუნჩოში გადაეყარა, იმ ბუნჩოში ცეცხლი იყო, წაჰკიდებოდა და ორმოცდათოთხმეტი ათეული ყანა დამეწვა.

ამისი სამართალი მაღირსეთ, ღმერთი გაგიმარჯვებს. ივლისის **იზ**, ქორონიკონს **უპა**.

ქ. ჩვენი ბძანება არის გლახავ ჰავჰავაძე! მერე ამ არზის პატრონი რომ ასე ჩივის, ამ სოფლის უფროს-უფროსი კაცნიც შენთან დაისწარ და ღვთის წინაშე ჰეშმარიტი სამართალი უსაჯეთ. მკათათვის **იზ,** ქორონიკონს **უპა.**

სოფლის კაცმა უნდა უყოს სამართალი.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 210. არზა სვიმონ მაღალაშვილისა სამართლის მიცემაზე ანტონ II-ის ოქმით

**1793 წ. 19 ივლისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1082. დედანი. ქაღალდი. 26×13,1 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან უწმინდესი პატრიარხის მეფის ირაკლის ძის ანტონის ჰირი მოსცეს მაღალაშვილს სვიმონს.

მერე ამას მოვახსენებ ჩემს ხელმწიფეს: მოურავის ხოდაბუნთან მიწა მაქვს, იმ ხოდაბუნიდამ ის ჩემი მიწა დახნა თითონ; სალთხუცეს[ს] შევეხვეწე, რომ გაგვარიგე — გომის ნაცვალი ესტატე მამისაშვილი მღუდელი, თავის მღუდელი გამოუგზავნე მეტეხის მოურავის შვილსა, რომ გარდმოდი, გავრიგდეთო. იქ იმის ძმას ვეხვეწე სალთხუცის მუშაში გუგულაშვილი და გზირიშვილი წამოიყვანე და გავრიგდეთო, მაგრამ არცერთი არ შეისმინეს.

მერე გუთანი დავიბარე, რომ ჩემი მიწა მინდა მამეხნა. მერე სალთხუცესმა დამიშალა: პატარა კიდევ მოიცადე და სამართლით გარიგდითო. გუთანი გამოვაბრ[უ]ნე და [წამოვიყუა]ნე. ეს რომ შე[ე]ტყოთ, ორნი ძმანი დაიარაღებულიყვნენ და ჩემ სასიკუდილოთ მოდიოდნენ. ორღობეში გუთანი შამოყროდათ, კაცები ხომ[1] თქვენცა ნახეთ, როგორც დაეხოცათ თოფითა და ხლმით, დღესაც შინ ჰყრიან.

იმ დღეს იმის შვილებს ბაღი გადეგლიჯათ და კარზე მამიხდენ სასიკუდილოთა. სალთხუცეს არ დაეტუქსა და ავათ არ მოპყრობოდა, კიდევ ავათ მოპყრობას მიპირებდენ.

ღმერთი მეფეს ერეკლეს გიდღეგრძელებს, ამ შფოთიდამ გამაშორეთ, მუდამ შფოთს მაძლევენ, სიბერის დროს მე არ წამწყმიდონ და თითონაც მოისვენო. ასე ებძანოს თქვენგან: ზევით გაბრიელის

[1] ხუმ.

მიწა უძევს და ქვევით იაკოფისა, შუაზე ჩემიც იმათ ტოლა უნდა იყოს; იმ მიწისაც წყალობა დამემართო[ს] და კაცების დალახვრისაც.

და თუ ტყულათ მამეხსენებინოს, ჯარიმაც გარდამახდევინეთ, და თუ ის ტყუოდეს, ჯარიმაც მოგართოს, ჩემი პასუხიც გამცეს, მიწისაც და ამ კაცების დახოცისაც. ივლისის **ით**, ქორონიკონს **უპა**.

თავში

ქ. თარხანო იოანე და სალთხუცესო ამილბარ! ამ არზით ასე, რომ მოუხსენებია, ამათი სამართალი გაშინჯეთ და ღმრთის წინაშე სწორე სამართალი უსაჯეთ. რომელიც ტყუოდეს, გარდაახდევინეთ. იულის **კბ**, ქორონიკონს **უპა**.

ხელრთვა: კათალიკოზი.

## 211. არზა მანუჩარ თუმანიშვილისა ვალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1793 წ. 20 ივლისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 171. დედანი. ქაღალდი. 16×10 სმ. მხედრული. აქა-იქ თითო წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მათს მონას ლაშქარნივისს მანუჩარს მამცეს. ჩარჩისშვილი შაქარა თავისის მოცემულის თამასუქით თეთრს არის მოსაცემს. წყალობას ვითხოვ ოქმი მებოძოს, რომ ჩემი თეთრი თავისის ანგარიშით გამომირთოს და მომაბაროს. მკათათვის **ჱ**, ქორონიკონს **უპა**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ეშიკაღათბაშო თამაზ! მერე ამ არზით ლაშქარნივისი მანუჩარ ჩარჩიშვილს შაქარას თამასუქით თეთრს რომ უჩივის, თავისი ჰახყი ახლავ გამოურთვი და მოეც. და თუ ჰეშმარიტი სიტყვა ჰქონდეს რამე, მოგვახსენოს. მკათათვის **კ**, ქორონიკონს **უპა**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 212. არზა დავით ოქრომჭედლიშვილისა სამართლის მიცემაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

**1793 წ. 25 ივლისი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 31. საბუთი № 232. პირი. ქაღალდი. მხედრული. იქვე, საბ. №№ 249, 258.

[162v] ღმერთმან ბედნიერის ხემწიფე დედოფლის ჭირი მოსცეს მათს მონას დ ა ვ ი თ ს.

ამას [163] მოვახსენებთ. ამას წინათ თქვენის ბძანებით შვიდი გუთანი მათხოვეს დირბელებმა, რომ ერთს დღეს უნდა ეხნათ. მომიხდა თ ე თ უ ზ ა ფ ა ლ ვ ე ნ ი ს შ ვ ი ლ ი, გუთნის კაცნიც დალახა და მეც იმ დღის ხარჯი გამიფუჭა — საკლავი დაკლული და პური გამომცხვარი და ღვინო გატანილი. იმ წილის სარჩო და საზდოზედ ხელი ამაღებინა, ერთი დღეც თავისი ღვთის გულისათვინ უნდა ეთხოვებინათ და მეზობლ[ო]ბით. თუ ტყუილს მოგახსენებთ, მოკითხული ბძანეთ. მკათათვის **კბ**, ქორონიკონს **უპა**.

თავში

სალთხუცესო ა ბ ა შ ი ძ ე გ ი ო რ გ ი! ამ არზის პატრონი ო ქ რ ო მ ჭ ე დ ლ ი ს შ ვ ი ლ ი დ ა ვ ი თ [ჩივის]: დირბელებს რომ გუთნები უთხოვებიათ, თ ე ი მ უ რ ა ზ ფ ა ვ ლ ე ნ ი ს შ ვ ი ლ ს მოუცდენია; და დირბელი კაციც რომ გაულახავს და გუთნის ხარჯი რომ ჰქონებია და ისიც გაუფუჭებია. დირებელებისაგან და დეკანოზისაგან ფიცქვეშ შევრდომით უნდა[1] მოიკითხო, წინაშე ღვთის როგორც ყოფილიყოს და ენახოთ, მოწმობით მუჯალამა უნდა გა[ა]კეთონ, რომ ბატონის ოქმი აქვსთ, სამართალში უნდა ილაპარაკონ. ამ საჩივარმაც უნდა სამართალში გაიაროს. ეჭირვება რომ მოწმობა ქონდეს, სამართლიან როგორც იცოდნენ, ის მოწმობა მოსცენ სამართალში. მკათათვის **კე**, ქორონიკონს **უპა**.

[1]+უნდა.

## 213. არზა იუსტინე მროველისა გამოსაღების თაობაზე ანტონ II-ის ოქმით

**1793 წ. 29 ივლისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 357. დედანი. ქაღალდი. 17,2×13,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან მათის უწმინდესობის მეფის ძის ჰირი მოსცეს მათ მლოცველს მ რ ო ე ლ ს ი უ ს ტ ი ნ ე ს.

თქვენს უწმინდესობისათვის სურამელს ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე ს პ ა ვ ლ ე ს არზი მოერთმია: მღვდელი შვილიშვილი მომიკვდა და იმის საწირავს და ცხენს მთხოვსო. გუჯარი მოგართვი ეკლესიისა, როგორც განწესება და დებულება ყოფილა, წყალობას ვითხოვ, ეკლესიას თავისი განწესება არ მოეშალოს. ივლისის **კთ**, ქორონიკონს **უპა**.

თავში

ქ. ჩვენ ყოვლისა საქართველოს კ ა თ ა ლ ი კ ო ზ-პ ა ტ რ ი ა რ ხ ი, მეფის ი რ ა კ ლ ი ს ძე, ა ნ ტ ო ნ ი განწესებით ვბრძანებთ, რადგან განწესება ყოფილა, რომ ჩვენ ჩვენის თვალით ეკლესიის განწესება წარვიკითხეთ, რომ დებულება ყოფილა, ამისთვის ჩვენც ის დებულება დაგვიმტკიცებია, რომ ისე უნდა ეკლესიას მიეცეს. მაგრა თუ ვისმე არ შეეძლოს და შეუძლებელი იყოს, ეს თავისმა მღვდელმთავარმა გასინჯოს და შეძლებით იმსახუროს. ივლის[ს] **კთ**, ქორონიკონს **უპა**.

ხელრთვა: კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი.

## 214. არზა ზუა ნაცვლიშვილისა ქვრივ-ოგლისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1793 წ. 30 ივლისი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი. № 51. საბუთი. № 47. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[37v] ღმერთმა ბედნიერის ჯემწიფის ჰირი მოსცეს ბოდბისხეურს ნ ა ც ვ ლ ი ს შ ვ ი ლ ი ს ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს შვილის ზ უ ა ს ქვრივსა და ობლებს.

ჩემო მოწყალევ, ღმერთი გამიწყრა, ჩემი პატრონი თქვენის ჰირის სანაცვლოთ შეიქნა: დავრჩი საწყალობლად, ოთხი გასათხოვარი ქალი დამრჩა. მოგეხსენებათ, თუ როგორი ოჯახი გახლდით, რომ აწ მამულის მეტი არა დამრჩომია რა. ორი ქალი გამისტუმრებია, ორი

კიდევ შინა მყავს გასასტუმრებელი. ერთი თ უ ლ ა შ ვ ი ლ ს ბ ა ხ უ-
ტ ა ს ყავს. მუდამ იასაულად მადგია, მაგრამ რასაც მზითევს დავპი-
რებივარ, ვერ ვაძლევ.

მინამ ეს ჩემი ბატონი ბოდბელი მობძანდებოდა, მიწამდინ დ-
ვ ი თ ბ ო დ ბ ლ ი ს სიცოცხლის დროს რაც გამეყიდნა, ორი ქალი
გავისტუმრე და ოთხი მკუდარი დამიმარხავს. ახლა იმან ეს ყადაღა
მიყო, მამული აღარ გამაყიდვინა. ვერცარა ქალებისთვის მიმიცია, ვე-
ღარც ჩემი თავი დამირჩენია და ობლები მშიერ-მწყურვალენი და შიშ-
ველ-ტიტველნი გახლავან.

ამდენი თქვენი მოწყალება დაგვემართოს ან ის თავისის მამის მა-
მული დანებდესთ, რომ მოიხმაროთ ან თვითონ მიირთოს ის მამული
და იმ ობლებს, განწესება რაც არის, ებოძოს, რომ თავისმა პატრონმა
წაიყვანოს. ღმერთი გადღეგრძელებსთ, რომელიც სამართალი იყოს,
ის გვებრძანოს, ივლისის **ა**, ქორონიკონს **უპა**.

თავში

[37] ყოვლად სამღვდელო უფალო ბოდბელ მიტრაპოლიტო კი-
რ ი ლ ე ვ! მერე ამ არზით ქვრივ-ობოლთ რომ ასე მოუხსენებიათ, ამა-
თი საქმე ასე გა[ა]რიგე, რომ ღმერთსაც იამოს და ვინც შეიტყონ,
კაცთაც დაგიმადლონ. და უსამართლო არა დაემართოს რა. [მ]კათა-
თვის **ლ**, ქორონიკონს **უპა**.

ალბათ მოუარე, უპატრონე, მოეხმარე და გაუმართე საქმე.

ერეკლე

## 215. არზა მაისურაძეებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1793 წ. 9 აგვისტო**

ცსსა. ფონდი 1449. საბუთი № 2118. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჰირი მოსცეს გ უ ლ გ უ-
ლ ა შ ი მსახლობელს მ ა ი ს უ რ ა ძ ე ს გ ი ო რ გ ი ს ა და ნ ი ნ ი ა ს.

მერე ამას მოგახსენებთ: თქვენგან ვართ შეწირულნი და აზატს
კაცისაგან ორის დღის მიწა მიყიდნია. სამი წელიწადია ვენახათ ვაკე-
თებთ და სასახლეც მიყიდნია. და რადგან ეს სავენახე და სასახლე მი-
ყიდნია, ვიწროთაცა ვარ. ცხრა საკაცეთნი გახლავართ, ამით ვერც ჩვენ
დავრჩებით, ვე[რ]ც იმ ეკლესიას ვემსახურებით საღალოის მიწითა.
და თუ ძ მ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს მამული ან სასხლავი ან სახნავი ვისაც

უჭირავთ, თუ ის მოგვეცემა, იმით თქვენს სამსახურსაც შევიძლებ და ეკლესი[ი]ს სამსახურსაცა. მოყალნეთაც დავიწერები. თუ არა, ნასყიდის მამულით ვერ გავიბეგრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემო ჯემწიფევ, გუშინაც მოგახსენეთ, მიბძანეთ: თ ე ლ ა ვ ს ამოდი, არზა მამართვიო. ახლა ეს არზა მამირთმევია, უპასუხოთ ნუ გამიშვებთ, ღმერთი გაგიმარჯვებს.

ის ძმათაშვილის მამული მ ა მ ნ ი ა შ ვ ი ლ ს და კ ე ნ კ ი შ ვ ი ლ ს უჭირავსთ ამის წყალობა გვაღირსეთ. თუ სასხლავი არ მებოძება, სახნავი მაინც მებოძოს. მარიამობისთვის **ჱ,** ქორონიკონს **უპა.**

თავში

ქ. მოძღვართ-მოძღვარო ბ ი ქ ტ ო რ! ამ არზის პატრონი რომ ასე ჩივის, ამას თუ მამულს მოსცემს, სასხლავს და სახნავს რომ ერჩომილებოდეს, მაშინ ამანც ბეგარი და ყალანი უნდა გასწიოს. და თუ მამულს არ მისცემ სამყოფს, ამ თავისის ნასყიდის მამულით კი ვერც ბეგარს გასწევს და ვერც ყალანს. ბოგანოს კაცსავით უნდა ემსახუროს ეკლესიას. აგვისტოს **თ,** ქორონიკონს **უპა.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ე რ ე კ ლ ე.

ქ. დ ე დ ო ფ ა ლ ი დ ა რ ე ჯ ა ნ გიბრძანებთ ერთობლივ გულგულელნო ღმრთისმშობლის ყმანო და მოჯელენო! მერე ეს მაისურაძე რომ ასე ჩივის, ამას ხომ ეს ოქმი აქვს ბატონისა; რას ემართლებით, რომ ხარჯში რევთ. ახლავ ამაზედ ჯელი აიღევით, თორემ ჭეშმარიტად ყველას ჯარიმას წაგართმევთ და გარდაგახდევინებთ.

თუ რომელიც ამ არზით მამული უთხოვნია, იმას მისცემთ, მერე რა სიტყვა ექმნება, როგორც მამულიან[ი] სხვა ემსახურება, ისე ეს ემსახურება. დაეხსენით, სანამ მამულს მისცემდენ ამას, თორემ იცოდეთ ყველას დაგარბევთ ჯარიმითა და ავად მოგეპყრობით. დეკენბრის **იზ,** ქორონიკონს **უპე.**

ბეჭედი: დ ე დ ო ფ ა ლ ი დ ა რ ე ჯ ა ნ.

## 216. არზა ზაზა ამირეჯიბისა ყმის თაოგაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1793 წ. 11 აგვისტო**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1097. დედანი. ქაღალდი. 32,2×16 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ ორწერტილი. ა-მეტი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჰირი მათს მონას ა მ ი რ ე ჯ ი ბ ს ზ ა ზ ა ს მოსცეს.

მრავალჯერ თავი მიწყენია ამ საქმეზედ, მაგრამ ფოსანთი არ მამეც, რომ თქვენის მოწყალების სამართალი მბოძებოდა. შარშან წინ ერთი თვე უკან გდიათ, მაგრამ მრავალჯერ უბძანეთ: მე ულ[უმ]ბის ღმრთისმშობელს ვერ გამაგწირაო[1] და ვერც ამირეჯიბს წაგართმეო.

ქ ი ზ ი ყ ს რომ ჩაბძანდით, იქიდამ ქალაქს გაიპარა, რომ მოწმე[ე]ბს ვიშოვნიო, ვერცა რა იქ ეშოვნა. იქიდამ თქვენს სიმაღლესთან აღარ მოვიდა, რის პირით მოვიდოდა. ახლა აქ გიახელ, მრავალნი გაწუხებდენ, მე თავი ვეღარ გაწყინეთ.

ახლა ჩემო ხემწიფევ, აქ რომ ჩემი მჭედელი გახლამთ, ღმერთს ვფიცავ და თქვენს თავს, ოცი წელიწადია, რომ აქ თქვენგან ნაბოძები მყავს. ო თ ა რ მდივანს ესახლა ორი ჩემი კაცი — ერთი ეს და ერთი სხვა, ორი მამცა. სანამდინ აქ თ ე ლ ა ვ ს გახლდი, აქ მემსახურებოდნენ. ახლა აქ თელავს ჩემი მოყვანილია, ეგ რომ არ მოსულა.

ამ მოწყალებას ვითხომ: ეს მჭედელი რომ გაკეთებული იყოს და ჩემს ბატონყმობას არ კადრულობდეს, ამის მიზეზით ღმრთისმშობელს დაუკარგამთ და ნურც თქვენს მოწყალებას ნუ მამიშლით. ოცი წელიწადია ნაბოძები მყავს და აქ თელავს დამისახლებია. მე ხომ აქედამ ა[რ] ვყრი.. რაც შე[ე]ძლოს, აქედამ მემსახუროს, ან ხატს არ და[ე]კარგოს და ან მე.

რაც თქვენმა ბედნიერმა პირმა ბძანოს, დავჯერდები. მე ხომ ახლა თქვენს სამსახურზედ წაველ, ღმერთი თქვენს სიმაღლეს განაძლიერებს და ბრწყინვალს შვილებს გიცოცხლებს. ამ არძის უპასუხოს ნუ გამხდით, ამის სამართალი მაღირსეთ. [მ]კათათვის **ლ**, ქორონიკონს **უპა**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის! ამ არზით რომ მინბაში ამირაჯიბი ზაზა მჭედელს უჩივის, ეს მჭედელი ულუმბისა ღმრთისმშობლის ყმა არის, და ნიადაგ წელიწადს თელავიდამ ოთხს მინალთუნს ღმრთისმშობელს უნდა მიართმევდეს. როგორც გვიბრძანებია, ასე უნდა გამოართმევდე

[1] გამგაწირაო.

ხოლმე წელიწადში ოთხს მინალთუნს და ულუმბისა ღმრთისმშობელს მიერთმეოდეს. აგვისტოს **ია.** ქორონიკონს **უპა.**

ქ. და თუ ზაზა და ზაზას ძმა და შვილი თელავში მოვიდა ვინმე, უნდა მივიდეს ეს მჭედელი, ძღვენი მიართვას და აამოს რამე შეძლებისამებრ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 217. არზა მანუკა დურგლისა სახლისა და ულუფის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1793 წ. 11 აგვისტო**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 23. საბუთი №175. პირი. ქაღალდი. მხედრული. იქვე, საბუთი № 176.

**[167]** ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჰირი მათს მონას დურგალს მანუკას მოსცეს.

ჩემო ხელმწიფევ, ჩემის ქვეყნიდამ თქვენს ბედნიერს ხელმწიფას მოვატანე და რომელისაც ღირსი ვიყავ, შემიწყალეთ. მაგრამ სახლის აშენება ბრძანეთ, არ ამიშენდა, ულუფა მიბოძეთ — სამი ცალი ღვინო, ოცდაათი კოდი პური — არც ესე[ე]ბი მომეცა. უსახლობით აქა-იქ დავალთ, ცოლი და შვილი დამიშიშვლდა. ეს თვრამეტი წელიწადი თქვენს კარზედ ვიმსახურები, ერთის ხელის ტანისამოსის წყალობა არ დამმართია, დიაღ, შეგვაწუხა შიშლოებამ ცოლ-შვილით. ცოტა რამ საშიშვლო გვებოძოს და სახლი რომ მოგახსენეთ, ეს აგვიშენდეს. თქვენს მეტი პატრონი და მოწყალე არავინა მყავს, ამისთვის გაწყენთ თავს. აგვისტოს **ა,** ქორონიკონს **უპა.**

თავში

მდივანო სვიმონ! იასაულობა უნდა ქნა შალავაურელთზედაც და ბაზრელებზედაც და სახლი გაუკეთებინე. ამას და ულუფაც გაურიგე თავისი, ნუ და[ა]კლებ. აგვისტოს **ია,** ქორონიკონს **უპა.**

შარშანდელი რაც აკლდეს ისიც მოეც.

## 218. არზა ოტია მდივანბეგისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1793 წ. 12 აგვისტო**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 24. საბუთი № 21. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[24v] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს მათს მონას ოტია მდივანბეგს.

ცანკაშვილი[1] ჩემი ყმა ბარათში ნარგები ცოლ-შვილით ამეყარა და ყანდაურაში დასახლდა. მისნი ოთხნი ძმანი შინ მისახლობენ. ლუარსაბ ყორიასაულბაშმა და ჯიმითის მოურავმა როსებმაც კარგად იციან, რომ ჩემი მკვდარი ყმა არის, უბძანეთ და მოგახსენებენ.

წყალობას ვითხოვთ, იასაულისა და ოქმის წყალობა მიყოთ, ჩემი ყმა ამიყაროთ და მომცეთ. მარიამობის **იბ**, ქორონიკონს **უპა**.

თავში

ჩვენი ბძანება არის ყორიასაულებაშო ლუარსაბ! მერე მდივანბეგი ოტია ამ არზით რომ ასე ჩივის, ამას რომ თავისი მკვიდრი ყმა ვეჯინელი ცანკაშვილი რომ აყრი[ლა] და ყანდაურზედ მისულა და იქ დამდგარა, ახლავ ერთი ბეჯითი იასაული მიეც, თავის ყმა აუყაროს და ოტია მდივანბეგს მოაბაროს. აგვისტოს **იბ**, ქორონიკონს **უპა**.

## 219. არზა მოძღვართმოძღვრის გიკტორისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1793 წ. 12 აგვისტო**

ცსსა. ფონდი 1449. საბუთი № 2050. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს თქვენის ჯელმწიფობის მარად მლოცველს მოძღვართ-მოძღვარს ბიკტორს[2].

ჩემთვის გიბძანებიათ, ბეითალმანი უპოვნე და მაისურაძეს მიეცო. რაც ბეითალმანი ყოფილა, სულ მოძღვართ-მოძღვარებს გაუციათ, რომ ერთი ფეხის დადგმა აღარსად არს; ხუთი-ექვსი კაცნი არიან; ოროლი, სამ-სამი საკომლო უჭირავს იმათგან მიცემული; აღარც

1 ჩანაკას შვილი.

2 ბიეტორს.

ეკლესიას ეწევა და აღარც ბატონს, უქმად არის. რაც ამას მოუხსენებია იმის მეტი და ან სხვას რაც აქვს, თუ თქვენი ნება იქნება, რომ ვისაც ბეითალმნები უჭირავს და გამოერთმევა, ამასაც მიეცეს და სხვანიც შვიდი რვა ხიზანი გახლავს, იმათაცა. და თუ არადა, ყველა ცარიელი დარჩება. მე ეს მომიხსენებია და თქვენი ნება არის. ასე მოგახსენებენ, სამოცი საკომლო არისო და ახლა აღარსადა ჩანს, ასე დაკარგულა. აგვისტოს **ი**, ქორონიკონს **უპა**.

თავში

ქ. უფალო მოძღვარმოძღვარო ბიკტორ! რომელნიც ხახულისა ღმრთისმშობლის ყმები გუჯარში აზატათ სწერიან, თუ იმავ აზატობის დროის მამულზედვე დგას, როგორც იმ გუჯარში აზატათ სწერია, ისე უნდა იყოს. და თუ მასუკან სხვა მამულიც შეუმატებია, რომ იმ მამულის პირველი პატრონი აზატი არ ყოფილა და არც გუჯარში აზატათ სწერია, იმ ახალის შემატებულის მამულიდამ უნდა ეკლესიას მსახუროს, რაც იმ მამულს რასათი შეხვდებოდეს.

და რომელიც კაცი გუჯარში არა სწერია აზატათ, თუ მოძღვართ-მოძღვრებისაგან არის გააზატებული, ის მოძღვართ-მოძღვრების მიცემული წიგნი დიკასტირიაში მიიტანოს და იმათგან მიიღოს პასუხი. და რომელსაც ჩვენი და ან ჩვენის ჩამომავლობის წიგნი ჰქონდეს, ჩვენთან მოიტანოს და ჩვენ მივცემთ პასუხს. აგვისტოს **იბ**, ქორონიკონს **უპა**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 220. არზა ყორჩიბაშის შვილებისა ღალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1793 წ. 16 აგვისტო**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 49. საბუთი № 74. პირი. ქალალდი. მხედრული.

[46] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჰირი მოსცეს ერთობით ყორჩიბაშის შვილებს.

მერე ამას მოვახსენებთ. მოგეხსენებათ, გოდლისი ჩვენი მამული არის და თქვენი ოქმი და განაჩენი გვიჭირავს. მთელმა ხოდაშნელთ — სამღვდელოთ და საეროთ — იმ მამულს შემოუარეს და რაც დანიშნეს, ჩვენი შეიქნა.

წყალობას ვითხოვთ, ერთი ოქმი და იასაული გვიბოძოთ გოდლის ჩვენს მამულში რაც ჭირნახული იდგა, იმისი ლალა გამოგვირთოს და მოგვცეს. ჩვენც ჩვენის მამულით უნდა ვიცხოვროთ. აგვისტოს ივ, ქორონიკონს **უპა**.

თავში

ჩვენი ბძანება არის მაყაშვილო გოშპარ! მერე ამ არზის პატრონები რომ ასე ჩივიან, ამათის მამულის გოდლისის ლალა ვისთანაც იყოს, შენ გამოურთვი და მოეც. და თუ იმ მამულიდამ ნასყიდობა ჰქონდეს ვისმე, ნასყიდობის წიგნიც მოიტანოს და ჩვენ მოგვახსენოს. აგვისტოს **ივ**, ქორონიკონს **უპა**.

## 221. არზა იოანე ხუთასისთავის მეუღლის მარიამისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1793 წ. 19 აგვისტო**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 9394. დედანი. ქაღალდი. 22,5×17,4 სმ. თავში მარცხენა და მარჯვენა კუთხე მოხეულია. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან უმაღლესის ხემწიფის ჭირი მოსცეს თამაზა ბებურისშვილის იოანე ხუთასისთავის მეუღლეს მარიამს.

მერე ამას მოვახსენებ ჩემს ხემწიფეს: საწყალობელს დედაჩემს თავის ძმისაგან ერთი ბიჭი ყუანდა მიცემული, ქაიხოსრო ენისელთ მოურავის შვილმა არ და[ა]ნება, თქვენ თავი გაწყინა, თქვენგან ოქმი ებოძა, საწყალობელს თქვენს ყმას მოსცა, აყარა და გზაზე გრიგოლ ენისელთ მოურავის შვილი, დათუა მაყაშვილი დაეწივნენ, თავდებათ დაუდგნენ, ახლა დააცალეთ და ჩვენ მოგაბარებთო, იმათ აღარა დასდვეს რა. დარჩა ასე ის კაცი, დაკარგულია, ცოლშვილი ახალქალაქს დამდგარა.

ვევედრები თქვენს ხემწიფობას, ამისი წყალობა მაღირსეთ, ერთი ობოლი მყავს, ხელზე წყალი დაუსხას. ღმერთი თქვენს ხემწიფობის განაძლიერებს; თუ თქვენი წყალობა მეღირსება, კალაური[ს] მოურავს დათუ[ა] მაყაშვილს ებძანოს, რომ ამათ აყარონ. მარიამობის **ით**, ქორონიკონს **უპ[ა]**.

... მარიამ მო...* [ასე ე]უწყოს. მერმე ამ არზის პატრონი რომ ასე ჩივის, ის კაცი თუ დაკარგულია და ხიზანი და რო[გორმე] მოეც ის ხიზანი. თუ სიტყვა ქონდესთ, ჩვე[ნ მოგვახსე]ნონ. აგვისტოს **იდ, ქრ**ონიკონს **უპა.**

ამაზედ ბეჯითი [იყავი]; თუ სიტყვა არა ქონდეს რა, მიაცემინე. თუ სიტყვა ჰქონდეს რამე, მოგვახსენოს.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 222. არზა სვიმონ მაღალაშვილისა ყმის თაობაზე ანტონ კათალიკოსის ოქმით

**1793 წ. 20 აგვისტო**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 2042. დედანი. ქაღალდი. 30,5×13,5 სმ. მხედრული ქაღალდი. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან უწმინდესი პატრიარხი მეფის ირაკლის ძის ანტონის ჰირი მოსცეს მაღალაშვილს სვიმონს.

მერე ჩემს ხელმწიფეს ამას მოვახსენებ. ბარათში ნარგები ბიძინაშვილი მყვანდა. ზაზა მაღალაშვილმა იჩივლა და გამამერთო. ჩემს ძმებს იმის ფარდათ თითო კომლი კაცი[1] უჭირავსთ თავისის მამულით.

სამი წელიწადია გამამერთო და მაკლია. შევთხოვ და არც მამულს მაძლევენ და არც კაცსა. საკუთრათ ჩემს ბესაბობაზე ხომ არ დამიკარგავს, რომ მარტო მე გარდამხდეს, საყოველთაო იყო.

თქვენს მოწყალებას ვევედრები, რომ ერთი იასაული მებოძოს, რომ კაციცა და მამულიც ჩემი წილი გამამირთოს და მამცეს. არას მემართლებიან. თქვენის ბრძანებით გარიგდეს, რომ ერთმანერთში შეძულება არ მოგვიხდეს. აგვისტოს **ით, ქ**ორონიკონს **უპა.**

თავში

ქ. თარხნისშვილო გლახავ! მერე ეს მაღალაშვილი აბ არზით ასე რომ ჩივის, ახლავ უნდა ჩახვიდე, თავისი კაციც უნდა მიაცემინო და მამულიცა. ამისი გაურიგებლობა არ იქნება. აგვისტოს **კ, ქ**ორონიკონს **უპა.**

ხელრთვა: კათალიკოზი.

მარცხენა კიდეზე

---

* აკლია ერთი სიტყვა.

[1] +იმის ფარდათ.

ეს სვიმონ მაღალაშვილი და ამის ძმები ასე გარიგდნენ: რა[ც] კავთისხევში ან წითელ საყდართან მამულები აქვსთ, საერთოდ სვიმონს მისცეს, ამან უნდა იხმაროს; და რაც ბიძინაშვილ[ებ]ს სამაგიეროს მისცემენ, შუა უნდა გაიყონ. სექდემბრის **ლა**, ქორონიკონს **უპა**.

## 223. არზა ერასტი ჩოლაყაშვილისა გაურის თაოგაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1793 წ. 21 აგვისტო**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3105. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ბედნიერი ჯემწიფის ჰირი მოსცეს ჩოლაყაშვილს ერასტის. მოწყალე ჯემწიფევ, მრავალჯერ გაწყინეთ თავი და არა მეშველა რა, რომ ბიძისა ჩემისაგან გამოძევებული გახლავარ, რომ ერთი ქოხის ალაგი არა მაქვს თავი შევაფარო.

ამას გევედრებით, მოწყალებით მომხედოთ და სამართალი მაღირსოთ და ამთონს მწუხარებას მამარჩინოთ.

მდივანბეგებზედ ოქმი გვებოძა, ჩემი წილი ყმა და მამული უნდა მოეცათ, მდივანბეგებიც მოვიდნენ, ვილაპარაკეთ. ეს პასუხი მამცა: „ივანე აქ არ არისო და უიმისოთ ვერ გავეყრებიო, არც პურს და ღვინოს მივცემო“. ივანეს ებძანოს, რომ ისიც მამყვეს სამართალში, რაც მერგებოდეს, ჩემი წილი მებოძოს. ჩემმა ცოდვამა და უბედურობამ არ მომაცადა, სანამ თელავსა ბძანდებოდით, რომ ჩემი სამართალი თქვენთან გადაწყვეტილიყო. უკაცობით რაღაცა მოსავალი მამივიდა, ისევ გასალეწი მაქვს. მიშველეთ რამე, ღმერთი გაგიმარჯვებს, ერთი ოქმი და იასაული მიბოძეთ. ივანეც ბიძაჩემთან მოიყვანონ და მდივანბეგებიც იქ შეყაროთ და სამართალი გადაგვიწყვიტონ. ჩემი და იმათი ერთათ ყოფნა აღარ იქნება. ღმერთი გაგიმარჯვებს, მამაშორეთ. აგვისტოს **ით**, ქორონიკონს **უპა**.

თავში

ქ. ყოვლად სამღვდელოვ ხარჭაშნელო გრიგოლ! მერე თავისი სახლის კაცები ჯიმშერის შვილი იოანე და ერასტი რომ ასე უჩივის თავის ბიძას თიანეთის მოურავს ჭაიხოსროს, თქვენ უნდა მიხვიდეთ ჭაიხოსროსთან, რაც იმათ თავეთი წილი ან პური ერგებოდეს და ან ღვინო, გამოურთვით და იოანეს თავისი წილი

---

1+კავთისხევში.

რაც ერგებოდეს, ამას მოაბარე. ერასტის კიდევ რაც ერგებოდეს თავისი წილი მოაბარე.

ამას გარდა, ერასტი რომ გაყრას უჩივა და ეყრება, ღმერთმა რომ დესაც ჩვენ კახეთს გამოვალთ, მაშინ გავყრით.

ერასტის რაც თავისი წილი ან პური ერგოს და ან ღვინო, ვეფხის ციხეს უნდა ჩაუტანონ თავეთმა კაცებმა. რადგან რომ ცოლ-შვილით ვეფხის ციხეს დგას, მაშ რას უზმენ[?] რომ თავის საზრდოს არ მიუტანენ. აგვისტოს კა, ქორონიკონს უპა. ერეკლე

## 224. არზა იოანე ჯიმშერის შვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1793 წ. 21 აგვისტო**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 1989. დედანი. ქაღალდი. 34×9,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ჯელმწიფის ჭირი ჯიმშერის შვილს იოანეს მომცეს.

ორმოცს წელიწადს არ მიკლია რა, აქამდინ არც ჩემი სახლი შემიწუხებია და არც თქვენის უმაღლესობისათვის თავი მიწყენია. წყალობას ვითხოვ, ოქმით მებძანოს: თიანეთსა და ფშავ-ხევსურეთსა და ვეფხის ციხეში მეც მოურაობის წილი მაქუს, თუ არა. თუ რამ მამაჩემ[მ]ა თქვენის წყალობით იშოვა რამე, სულ იმათ მოიხმარეს და მეც იმათს ნაშოვარში წილი რატომ არ უნდა მქონდეს. ღმერთი გაგიმარჯვებს, სამართალს ვითხოვ. აგვისტოს კა, ქორონიკონს უპა.

თავში

ქ. ყოვლად სამღვდელოვ ხარჭაშნელო გრიგოლ! მე ამ არზით ჯი[მშე]რის შვილს იოანეს რომ ასე მოუხსენებია, ეს ამათი ძმა არის, როგორ იქნება რომ ამას თავისი წილი რაც ერგებოდეს, არ მისცენ თ[ქ]ვენ მიდით და თავეთის ყმიდამ და მამულიდამ რაც წილი ერგებოდეს სამართლიანის საქმით გამოურთვი თავისი წილი და ამ იო[ა]ნეს მოაბარე. ამას გარდა, რაც ჩვენი წყალობა სახელოები უჭირავსთ, იქიდამაც თავისი წილი გამოურთვი. აგვისტოს კა, ქორონიკონს უპა.

თიანეთის მოურავს ქაიხოსროსთან უნდა გა[ა]რიგო ეს რაც გვიბძანებია.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფეჲ ცხებულსა, ერეკლე.

## 225. არზა ზაალ დავითიშვილისა ყმის თაობაზე გიორგი გაბონიშვილის ოქმით

1793 წ. 3 სექტემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 551. დედანი. ქაღალდი. 22×11,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ჩემის ხემწიფის ძის გიორგის ჭირი დავითიშვილს ზაალს მოსცეს. მერმე ამას მოვახსენებ. შარშან ზურაბ ავალიშვილი კაცზე რომ მელაპარაკებოდა, დიდმარხვაში იმისი საქმე მის უმაღლესობასთან ხაშმზე გადასწყდა, ამაღლებამდინ[1] ვადა ბძანა, თუ მოთაბარი მოწმე[ე]ბი მოეყვანა, კიდევ უნდა გველაპარაკნა. ვერ მოიყვანა. მოგეხსენებათ, რამდენს მაის[ს] ამაღლება იყო და სამთვემ გაიარა. აგვისტოში ის პირობის ბოძებული მივართვი. მერე ასე მიბოძა განაჩენი: რათგან სამ[მ]ა თვემ გაიარაო, ზაალთან საქმე არ აქვს რაო; ვინც მოვიდაო, იმას ედაოს ზურაბაო, სამართალი მიეცემაო, ასე გარდასწყდა.

ახლა თქვენთვინ მოუხსენებია. ოქმი დაუტყევნია, მორდალზე გიბოძებიათ, აუყარეო, აღარ გხსოვნებიათ მისის უმაღლესობის ბძანება, თორამ არ უბოძებდით, თქვენც გაჩვენე.

ახლა ამ წყალობას ვითხომ, ერთი ოქმი მებოძოს, როგორც მისის **უმაღლესობის** ბძანება და განაჩენი აცხადებდეს, იმაზე დადგეს იასაულიცა და მოდავეცა, უბრალოთ შფოთი არა მოგვიხდეს რა, მორდალს ებძანოს. ღმერთი გაგიმარჯვებს. აგვისტოს **კჱ**, ქორონიკონს **უპა.**

თავში

ქ. ბატონიშვილის გიორგის სიკეთით სახსოვარო მორდალო იესე. მერე ამ ზაალის საქმის, როგორც მისს უმაღლესობას ბატონს მამაჩვენს უბრძანებია, ისე მათის ბრძანებისამებრ უნდა აღსრულდეს. ჩვენ ჩვენი ოქმი დაგვიყენებია. სექდემბრის **გ**, ქორონიკონს **უპა.** გიორგი

[1] ამაღლებანდინ.

## 226. არზა თამარ ჩერქეზისშვილისა ძმის თაოგაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით

**1793 წ. 12 სექტემბერი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 11. საბუთი № 176. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[177v] ღმერთმან ჩემის მოწყალის ჯელმწიფის ძის გიორგის ჭირი საცოდავათ სულდგმულს ჩერქეზისშვილის ავთანდილის დედას თამარს მოსცეს.

მერე ამ თორაზასშვილს გოგიასა და იოსებზედ რაც დედაშვილური ამაგი მაქვს, თუ თვითეულად მოგახსენოთ, დიაღ, გრძლად მოვა და ზეპირად კი მრავალჯერ მომიხსენებია. და კარგათ მოგეხსენებათ, რაც ამათზედ ამაგი მიქნია. და რადგან ამათზედ ამდენი ამაგი მჭონდა, ჩემ[მ]ა ხელმწიფემ მათმა უმაღლესობამ ჩემს სამკდროთ და სასიცოცხლოთ ესენი მე მიბოძა.

და ახლა რადგან ასე შვილურად დაზდილნი მყვანდნენ, მეც ამათ ჩემის სულის გულისათვის განთავისუფლების წიგნი მივეც და ახლა ესენი თქვენთ[178]ვის მომირთმევია. ჩემს სიცოცხლეში მევე მემსახურნენ და შემდგომად ღმერთმან თქვენ მოგახმაროსთ. და მე ამათი ცოდვა ამიყრია და მომირთმე[ვია]. თუ გინდათ აცხოვრეთ და თუ გინდათ, წყალში ჩაყარეთ.

ჩემო ჯემწიფევ, ერთი ოქმი უბოძეთ დღესვე, რომ ესენი არავინ ამაზედ შეაწუხონ; ან ჩერქეზიანთ და ან სხვათა ამათთან საქმე არა ჰქონდესთ რა. სეკდემბრის **იბ,** ქორონიკონს **უპა.**

თავში

[177] ბატონისშვილი გიორგი გიბძანებთ თოროზაშვილო გოგიავ და იოსებ! მერმე რადგან თამარის ნება ასე არის, სანამდისინ ცოცხალი იყოს თამარი, უნდა ყოვლისფრით იმას ემსახურნეთ და იმაზედ არა იმტყუვნოთ რა. და სხვა რიგათ კი ახლაც და შემდგომათაც თქვენ ჩვ[v]ენი ყმანი ხართ და ჩვენს ყმათ უნდა იყვნეთ, რომ თქვენთან არც ჩერქეზიანთ და არც სხვათ საქმე არავისა აქვს და ვერცავინ რაზედ[1] შეგაწუხებსთ. ყველამ ასე იცოდეს, თუ თქვენ შეგაწუხებთ და გაგრჯისთ ვინმე რაზედმე, დიაღ, მოვიკითხამთ თქვენს შეწუხებას. სეკდემბრის **იბ,** ქორონიკონს **უპა.**

[1] ვერცრა ვინაზედ.

## 227. არზა იოსებ გეჟანიშვილისა მორწყვის თაობაზე გიორგი გატონიშვილის ოქმით

**1793 წ. 27 სექტემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 8585. დედანი. ქაღალდი. 15,7×11 სმ. მხედრული. აქა-იქ წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ძის გიორგის ჭირი მოსცეს ბეჟანიშვილის იოსებს.

ამას ვევედრები მოწყალეს, მოგეხსენებათ ყოველ წლით თქვენის წყალობით მოვრწყავ ხოლმე ჩემს მიწას. ახლაც ამ წყალობას ვითხოვ, ერთი ოქმით ებძანოს ლუარსაბ თარხნიშვილს, ერთი კაცი დამაყენოს, რომ მოვრწყა. ჯავახიანი არ მანებებენ. ამას გევედრები, ჩემო ჯემწიფევ.

თავში

ქ. ბატონიშვილის გიორგის პატივით სახსენებელო თარხნიშვილო ლუარსაბ. მერე ამ იოსებს ამ არზით როგორც უთხოვნია, ასე გაურიგე და ერთი კაცი მიეც, რომ მიწები მოარწყვევინონ.

სექდემბრის კზ, ქორონიკონს უპა. გიორგი

## 228. არზა ნიკოლოზ თუმანიშვილისა მამულის თაობაზე იულონ გატონიშვილის ოქმით

**1793 წ. 3 ოქტომბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 9037. საბ. რმე. კრებული. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ძის იულონის ჭირი თუმანიშვილს ნიკოლოზს მამცეს.

რეხას მამუკაშვილმა ორი მიწა გაჭრა ჩემი და ერთი მარანი გასჭრა, წისქვილის რუ გაიყვანა, თავისი მკვიდრი წისქვილის რუ გააგდო; ასე უსამართლოთ მართმევს. წყალობას ვითხოვ, სამართალი მებოძოს, ჩემი მამული დამანებოს.

პაპალაშვილმაც წისქვილის არხი გაასწორა მამა-პაპის გაკეთებული და აღარც ის მანებებს; წიგნიც მაქვს, რომ ჩემ სამკვიდროზედ წავიყვანო წყალიო, მაგრამ მძლავრობით არ მანებებენ. ერთი იასაულის და ოქმის წყალობა მიბოძეთ, სამართალში მამყვეს. ოკდომბრის ბ, ქორონიკონს უპა, ჩლჟგ წელს.

თავში

ეშიკაღასბაშო მალხაზ! ამაზედ ერთი იასაული აჩინე და ეს ნიკოლოზ და მამუკაშვილი ორნივ სამართალში მოაყვანინე და ალაპარაკე. ოკდომბრის გ დღეს, ქორონიკონს **უპა, ჩლვგ წელსა**.

## 229. არზა ნიკოლოზ აფხაზისა ყმის თაობაზე ვახტანგ გაბონიშვილის ოქმით

**1793 წ. 4 ოქტომბერი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 12. საბუთი № 25. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[34] ღმერთმან მათის უგანათლებულესობის ჩემის ჯელმწიფის ძის ვახტანგის ჰირი მოსცეს მათს მიწას ნიკოლოზ აფხაზს.

მერე ამას მოგახსენებთ თქვენს უგანათლებულესობას, რომ ჩემი კაცი გახლდათ თქვენს საფაველს ქვეშე ანანურს. ის კაცი თქვენი ჰირის სანაცლო გამხდარა, ქვრივი და ობოლი დარჩენია. წყალობას ვითხოვ, ერთი ოქმი მიბოძოთ მ[ო]ურავზედა, ჩემი ქვრივი და ობოლი ამიყაროს, რომ თქვენის დოვლათით გამოვზარდო, არსად დამეკარგნენ უპატრონოთა. ჩემო ჯელმწიფევ, ღმერთი გადღეგრძელებსთ. ოკდომბრის **დ**.

თავში

ქ. ბატონისშვილი ვახტანგ გიბძანებ ზოტიკისშვილო მოურაო ბარნაბე! მერე მანდ, ანანურს, ნიკოლოზის აფხაზისშვილის ყმის ქვრივი და ობოლი რომ არიან, აუყარე და ამისულს მოაბარე იაკობს ზოტიკისშვილსა, ახლავ უნდა მოაბარო, ამისი უარი არ იქნება. ოკდომბერს **დ**, ქორონიკონს **უპა**.

## 230. არზა მუხრანბატონიშვილებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1793 წ. 9 ოქტომბერი**

ცსსა. პ. კარბელაშვილის პირადი ფონდი 1461. რვეული № 3. საბუთი № 52. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[31] ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს მათს მონას მუხრანბატონისშვილს იოანეს ობოლს ნიკოლოზს და ედიშერს.

ობლის მოწყალე ჯელმწიფევ, სამართლიანის სჯით მომხედე. ჩემნი ბიძაშვილები საერთოს მამულიდამ თავეთს წილს ჰყიდიან. რადგან ძმათაშვილები ვართ და გაუყოფელი მამული გვაქვს, რომ[illegible] გასასყიდლად მამული გამოიმეტონ, მკითხონ — ამ მამულს [illegible] თუ ან ვალის აღებით და ან ისე ჯელი გავიმართე, და რასაც სხვანი შეაძლევენ, ის ფასი მე მივეცი, მე მომყიდონ, რათ დაუშლი თავეთს წილს. თუ არადა, უჩემოთ ნურც ესენი გაჰყიდიან და ნურც მყიდველნი იყიდიან.

ღმერთი გაგიმარჯვებსთ, ამ სამართლიანს ოქმს ვითხოვ. ობოლნი ვართ და ობლის მოწყალე და პატრონი თქვენ ბძანდებით. უსამართლობით ნურავინ მოგვერევიან. ოკდობერს ვ, ქორონიკონს უპა.

ქ. ეს მოხსენება იმისთვის გავბედეთ, ვიცით რომ, როგორც ღმერთს ეწყინება ობლის უსამართლოდ შეწუხება, ისევ თქვენ გეწყინებათ ობლის შეწუხება. ამან გამაბედვინა ეს მოხსენება.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ამათო ბიძაშვილებო! მერე რიგიანი და სამართლიანი საქმე ეს არის: როდესაც მამულის გასყიდვა დაგჭირდესთ და ჰყიდდეთ, მაშინ ამ თქვენს ბიძაშვილებს შეატყობინეთ. თუ ამათ შეიძლონ სყიდვა, ამათ უნდა მიჰყიდოთ. თუ არადა, მასუკან ამათის ნების დართვით სხვაზედ გაყიდეთ. ღვინობისთვის თ, ქორონიკონს უპა.

თუ სიტყვა ჰქონდეს ვისმე, მოგვახსენოს. ერეკლე

## 231. არზა გოგია გერმანოზიშვილის ქვრივისა გამოსალების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1793 წ. 11 ოქტომბერი

ცსსა. ფონდი 1449. საბუთი № 1125. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ღმერთმან ყოვლად მოწყალის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს [სა]წყალობელს გოგია გერმანოზისშვილის ქვრივს და ობოლს.

უმოწყალესო ჯელმწიფეო, ჩემის და ჩემის ობლის სარჩოთ ორი კომლი კაცი დამრჩომია, ხვნაც ის არის, თესვაცა, ზვარიცა და ხოდაბუნიცა, იმის მეტი სარჩო არა გამაჩნია რა. და ვგონებ, რომ რადგან თვისად გაქვსთ ქვრივთ და ობოლთ მოწყალება, ამათი ვამონარჩომი არა ინებოთ რა. ახლა ცხრა კოდი სურსათი შემოუწერიათ და სთხოვენ. იმათ რომ ის გამოურთვასთ, ჩემის სარჩოს მოწყვედა არის.

და ვევედრები თქვენს ღმრთისმოყვარებასა, რომ ერთის ოქმის წყალობა მიყოთ და მეპატიოს თქვენის შვილების სადღეგრძელოთ. და ეს ჩემზე მოწყალება ღმერთს ავასხეთ. სეკდემბრის კთ, ქორონიკონს უპა.

თავში

ჩვენ მაგიერად სალთხუცეს სარდალს დავითს და მოხელეთ ასე ეუწყოსთ, და ვინც სათხოვარის მოასილნი იმყოფებოდეთ, ასე იცოდეთ: ეს ქვრივ-ობოლი ამ ორმა თავისმა ყმამ უნდა გამოზარდონ. საჩვენო თუ საქვეყნო სათხოვარი შეეწერებოდეს, ამ ორს კომლს კაცს ნურას გამოართმევთ, რაც ამათი რასათი იყოს, ამ თავის ბატონს უნდა მსახურონ.

და სურსათის მოასილნო! რაც ახლა ამ ორის კომლის კაცისათვის სურსათი გამოგირთმევიათ, ამ ქვრივს და ობოლს უნდა მისცეთ ახლავ, თორემ ჩვენს შემცოდეთ მოგკითხამთ. ოკდომბრის ია, ქორონიკონს უპა.

ქ. მდივანბეგო სოლომონ! ამ ორს კომლს კაცს შენ ყური მიუგდე და ნურავის რას გამოართმევინებ. ალბათ შეგვატყობინებდე ხოლმე ამათს საქმეს. ერეკლე

## 232. არზა ზაალ დავითიშვილისა ვალის თაობაზე იულონ ბატონიშვილის ოქმით

**1793 წ. 23 ოქტომბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 559. დედანი. ქაღალდი. 16,5×11 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ჩემის ხემწიფის ძის ივლონის ჭირი მათს მონას დავითიშვილს ზაალს მოსცეს. მერმე ამას მოვახსენებ, მე ლქუაშვილს მოუხსენებია ზაალის თეთრი მართებსო, ი[ა]საული გებოძათ, მე ქალაქს გახლდი, ორი-სამი კაცი აეკლოთ. მე მაქვს სადაო, ორმოცის თუმნის მამული უჭირამს, სჭამს, ფიცი აძეს ამილახვრის რევაზისაგან ბატონის ბძანებით, არც შემამფიცა, მამულიც იმას უჭირამს, ახლა თქვენ მიბძანდებით. ერთი ოქმი მიბოძეთ, თქვენს მობძანებამდი იასაულმა ხელი აიღოს, თქვენ წინ გვალაპარაკეთ, ღმერთი გაგიმარჯვებს, ღვინობისთვის კგ, ქორონიკონს უპა.

თავში

ქ. ბატონიშვილი იულონ გიბძანებ, რომელიც ამ არზის პატრონის ი[ა]ს[ა]ული ხარ! მერმე სანამ ჩვენ ქალაქიდამ მ[ო]ვიდოდეთ, უნდა და[ა]ცალო. ჩვენ რომ ქალაქიდამ მოვალთ, მაშინ[ე] ვამართალს ჩვენ უზამთ. ღვინობისთვის **კგ**, ქორონიკონს **უპა**.

ბეჭედი: ტომ-სქესით არ ნაკლისაგან ი უ ლ ო ნ ირაკლისაგან.

## 233. არზა წინამძღვარ თეოდოსისა შემოსავლის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1793 წ. 28 ოქტომბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 656. დედანი. ქაღალდი. 30×13,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია მძიმე ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან მათის დიდებულების ყოვლად მოწყალის ჯელმწიფის ჭირი მისცეს თქვენს სამარადისოდ მლოცველს, თქვენს საცოდავს მოხუცებულს წ ი ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ს თ ე ო დ ო ს ი ს.

უმოწყალესო ჯელმწიფეო! რა მადლობა მოგაჯენო ესევითარისათვის მოწყალებისა; ყოვლად სურვიელ ვიყავ საფლავისა ჩემისა და აწ მებოძა. ღმერთმან ყოველთამან ადიდოს და აღამაღლოს კეთილ მსახური სიმაღლე თქვენი ვითარ დავით და კონსტანტინესი. ღმრთის მოყვარეო მეფეო, თუ დ ო დ ო აშენდებოდა, ჩვენ მზა ვიყავით ვიდრე სიკვდილამდე. და თუ არ იქნება აშენება, გევედრებით დავით-გარესჯას არ ჩამოერთოს ეს დოდოს მამული; დია, საქმე გაჭირებული აქვს დღეს მონასტერს, და ამ მიზეზთა ძლით ვბედავთ მოკსენებას, და გევედრებით მეც და ჩემ-თანა ესე ძმანიცა, რომ უძვირეს პირველისა არ იქმნას. და ნება თქვენის სიმაღლისა[ა] უმოწყალესო ჯელმწიფეო. ოკდომბერს **ივ**, ქორონიკონს **უპა**.

თავში

ქ. ჩვენ მაგიერად დავით-გარესჯის წინამძღვარს თეოდოსის ასე უამბეთ. მერე, როგორც ამ არზით გითხოვია, წმინდის დოდოს შემოსავალი არ ჩამომირთმევია, სრულებით შენ უნდა მიიღო და შემოსავლის რა ერთობა უნდა შეგვატყობინო, რომ იმისი მაგიერი იმ მონასტრისათვის კიდევ ჩვენ უნდა დავსდვათ.

ყოვლად სამღვდელოვ უფალო ნ ი ნ ო წ მ ი ნ დ ე ლ ო ი ო ა ნ ე! დოდოს შემოსავალი სრულებით წმინდის დავით-გარესჯის წინამძღვარს თეოდოსის მოაბარე ახლავ. ოკდომბერს **კჱ**, ქორონიკონს **უპა**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

ქ. ჩვენ საქართველოს უფლისწული მეფის ძე გიორგი-ბატონის მამის ჩვენის ბრძანებას ვამტკიცებთ. ოქდონბერს ... რონიკონს უპა. გიორგი

## 234. არზა ქაიხოსრო და ევგენი აბაშიძეებისა ვალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1793 წ. 3 ნოემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 900. დედანი. ქაღალდი. 21,7×17 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი აბაშიძე[ე]ბს ქაიხოსროსა და ევგენს მოგვცეს.

მერე, ჩვენო ჯელმწიფევ, სამჯერ-ოთხჯერ თავი გვიწყენია და მოგვიხსენებია ჩხეიძე თეიმურაზსა და ჩხეიძე როსტომს ჩვენი თეთრი მართებს, რომ თამასუქი ხელთ გვიჭირავს. მაშინ ღმერთის წყალობა და შენი წყალობა მე მქონდა, იმას ეჭირებოდა და ვასესხე. ახლა მე ავანტყოფი გახლავარ და მეჭირება. თქვენი გარისხებული მოვკვდე, თუ მე შეშის ფასი მქონდეს. იმას ახლა ოცდაათი თუმანი მოქონდა ყაზახიდამა და შვიდი სული ხარი და ძროხა თითვან როსტომსა და ერთი თუმანი არ მამცა.

ერთი ოქმი და იასაული მიბოძეთ, რომ ჩემის პასუხი გამცეს. და თუ იმას სიტყვა ქონდეს რამე, შვიდეულათ მიმაცემინეთ და თქვენც საუპატიო გადამახდევინეთ. ყოველთვინ თქვენ როგორ გაწყინოთ თავი და შეშის ფასი გთხოვოთ. ქრისტემ გადაგიხადოს და შეგძლვნა მაგიერი რაც შენი მოწყალება ჩემზედ არის. გიორგობის ა, ქორონიკონს უპა.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ციცისშვილო მინბაშო გოგიავ! მერე ამ არზით აბაშიძე ქაიხოსრო და ევგენ რომ ჩხეიძეებს ასე უჩივიან. როგორც იმათს მოცემულს თამასუქში უცხადებსთ, ამათი ჰახყი თავის სარგებლით გამოურთვი უკლებრად და მოეც. და თუ ჰეშმარიტი სიტყვა ჰქონდესთ რამე, ახლავ ჩვენს სამართალში ალაპარაკე. ნოენბრის გ, ქორონიკონს უპა.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 235. არზა გიორგი ფისაძისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1793 წ. 10 ნოემბერი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფონდი 1449. საბუთი № 2072. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი ბელთელს ფისაძე გიორგის მომცეს.

ჩემი ვენახი შერმაზანაშვილს იოჰანეზასთან გირაოთ იყო შვიდ თუმნათ. ის ვენახი ქორდს სარდლიანთ კარზედ იყო. ჯერ წართმეული მქონდა იმათგან, მერე თქვენი წყალობა დამემართა და ჩემი ვენახი მევე მებოძა. მერე სიღარიბემ შემაწუხა და ის ვენახი ბეციას სარდალს მივყიდე, სიგელი დაუწერე, მივეც და პირობა ასე მამცა, რომ უწინ შერმაზანაშვილისათვის თავისი თეთრი მიებარებინა და მერე მამულისათვის ჯელი მოეკიდნა.

ახლა ეს მეექვსე წელიწადია იმ მამულს თითონ სჭამს და ჩემი თამასუქი ისევ შერმაზანაშვილს უჭირავს.

ამ წყალობას ვითხოვ, ან ის ჩემი თამასუქი დამიხსნას იმ იოჰანესასგან და მამცეს ან ისივ ჩემი მამული მევე დამანებოს და პასუხს მე გავსცემ. გიორგობის თ, ქორონიკონს უპა.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის აბაშიძე გიორგი სახლხუცესო! მერე ამ არზით რომ ეს ფისაძე ასე ჩივის, ვისაც ეს ვენახი უყიდნია, როგორც პირობა მოუცია, ან ის მოვალე მოაშოროს, თავისი თამასუქი დაუხსნას და მოსცეს და ან თავისი ვენახი დაანებოს; არცა ფასს მოსცემს და არცა თავის ვენახს დაანებებს, ეს რა სამართლი იქნება. შენ უნდა ასე გაარიგო, როგორც გვიბძანებია. და თუ სიტყვა ჰქონდეს რამე, ორნივ სამართალში მოიყვანე ჩვენთან. ნოემბრის ი, ქორონიკონს უპა.

მაგრამ რომელიც გამტყუნდება, გადახდება.

ერეკლე

## 236. არზა გაბრიელ და ვასილ კოგახიძეებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1793 წ. 27 ნოემბერი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 11330 ა. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს მათს მარადის მლოცველს თქვენს დახსნილს ცოდვილს მღვდელს თქვენს ახალს სახასო აზნაურშვილს კობახიძე გაბრიელსა და ჩემს ბიძას თქუენს მონას ვასილს.

ამას მოვახსენებთ ჩვენ ღვთაებრ მოწყალეს ჯელმწიფეს: მეც ამოწყვეტილი ვარ, რომ არც მეუღლე მყავს და არც შვილი; და ეს ბიძაჩემი უძმო არის, შვიდი ქალი თავისი ჰყავს და ერთი ქალიშვილისა დარჩა.

ამას გევედრებით ჩუენო ღვთაებრ მოწყალეო ჯელმწიფევ, რადგანც თქვენგან წყალობა და სამართალი გველირსა და შეგვიწყალეთ, ჩუენი მკვიდრი წართმეული მამული გვებოძა მეჯვრისხევს ქედისუბანს ამოწყვეტილის აზნაურის მოლოზნის შვილის ბეითალმანი მამული. ამ ჩემის ბიძის ვასილისთვის, ესეც მოწყალებით შეგბრალებოდათ და, გებძანათ: უშვილობას ნუ სწუხარო, რადგან შვილი არა გყავსო. შენის ხიზანისა და შენის ქალებისათვის და შენ ზედსიძე შემოუყვანეთო, იმასაც მკვიდრად ჰქონდესო.

ჩვენ ორივე გულმოდგინედ გევედრებით, რადგან ეს უხვი მოწყალება მოიღეთ, ღვთისა დასამადლებლად და თქვენდა სამლოცველოდ და საოხად თუ ვინმე ზედსიძე შემოვიყვანოთ, თუ არ მკვიდრი სიგელი გვებოძოს მე და ამის ქალებს, ვინც შემოვიყვანოთ ზედსიძეთ, რომ თქვენი სამსახური და ლაშქარ-ნადირობა გასწიოს. და რომელი ქალები დარჩნენ, კიდევაც დაათხოვონ და კიდეც შევინახოთ. და ეს მოხუცებული კაცი კიდეც მართებულად დავმარხოთ.

ერთი სამღვდელო კაცი გახლავარ, მე ამდენის სულის ვერც შენახვას შევიძლებ და ვერც გათხოებას. ეს ჩემი ბიძა მოუძლურებული არის, ესეც დავმარხოთ. ღმერთი უმეტესად აღგამაღლებსთ, თქვენს ჯელმწიფებას გიცოცხლებსთ და გიბედნიერებსთ უცხოს შვილებს; რომელიც ზემოდ მოხსენებით ვითხოვეთ. მტკიცე წერილი დაგვემტკიცოს და საუკუნოდ იყოს ჩვენს ამოწყვეტილს ოჯახში თქვენი ლოცვა და მოხსენება ამდონის უძლურის ხალხისაგან. ღვინობისთვის **იე**, ქორონიკონს **უპა**.

თავში

ჩვენი ბრძანება არის ამ არზის მომრთმევო აზნაურშვილო ქ. ბახიძე გაბრიელ მღვდელო! მერმე ამ არზით ასე რომ მოგიხსენებიათ და ამ თქვენის თხოვილის საქმის აღსრულება გთხოვნიათ, რადგანც არც ერთს ვაჟიშვილი არა გყავსთ, რომ თქვენს მოდგილეთ ის იქნებოდა და ქალები გყავსთ, ამ თქვენის თხოვილისა მერე წყალობა გვიქნია[1] და გვიბძანებია, რომ:

თქვენის მამულის სამაგიეროდ რომ მამულის წყალობა გიყავით და წყალობის წიგნი გიბოძეთ და მამულიც გიბოძეთ, ამ მამულზედ ვინც ზედსიძეთ შემოსაყვანად აღგიჩნდეთ, რომ ჩვენი ყმა იყოს, ვინც ზედსიძეთ შემოიყვანოთ თქვენს მამულზედ, რომ ჩვენი სამსახური აზნაურშვილის რიგზე იმან აღასრულოს; და სხვა ვასილის ქალებიც იმ თქვენმა მამულმა არჩინოს და დაათხოვოს.

მაგრამ რომელიც ზედსიძეთ ან აიჩინოთ და ან აღგიჩნდეთ, ჩვენ მოგვახსენოთ და გვიჩვენოთ და ისე ზედსიძეთ შეიყვანოთ, რომ უფრო უმჯობესი იქნება. გიორგობისთვის **კზ**, ქორონიკონს **უპა**.

ერეკლე

ჩვენ, საქართველოს უფლისწული მეფის ძე გიორგი, მისის უმაღლესობის ბრძანებას ვამტკიცებთ. დეკემბრის **ვ**, ქორონიკონს **უპა**.

გიორგი

ჩვენ, საქართველოს მეფის ძე იულონ, მისის უმაღლესობის ბრძანებას ვამტკიცებ. დეკემბრის **ვ**, ქორონიკონს **უპა**[2].

იულონ

## 237. არზა სულხან თაქთაქიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1793 წ. 3 დეკემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 13835. დედანი. ქაღალდი. 26,3×13 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჰირი თაქთაქისშვილს სულხანს მოსცეს.

მერე ამას მოგახსენებ, ამას წინათ არზი მოგართვი და ოქმი მებოძა. გოგია ციციშვილმა არც თქვენი ოქმი გაიგონა და

---

[1] ქვიქნია.

[2] უპე.

არც კაცი დამანება და სიტყვითაც დიდათ ავათ მამეპყრო, თუ იასაული არ დამწრებოდა, ავათაც მამეპყრობოდა.

წყალობას ვითხოვ, რომ ერთი ოქმი მიბოძოთ, ის კაცი ვმეყაროს იასაულმა თავისის საქონლითა და მამაბ[ა]როს. სოფელსაც ებძანოს, რომ ამ კაცის აყრა არ დამიშალოს. ღმერთი გაგიმარჯვებს. გიორგობისთვის **კთ**, ქორონიკონს **უპა**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ამირეჯიბო დავით და მზეჭაბუკ! მერე ეს კაცი აუყარე და ამას მოაბარე თავის საქონლით. და თუ სიტყვა ვისმე ჰქონდეს, მოგვახსენოს და სამართალი მიეცემა. დეკემბრის **გ**, ქორონიკონს **უპა**.

ბეჭედი: ჭნარს მიცემს, დავით მიჯობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

## 238. არზა დავით მგალობლიშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1793 წ. 6 დეკემბერი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 5320. დედანი. ქაღალდი. 21×15,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია წერტილი ან მძიმე.

ქ. ღმერთმან ჩვენის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს თქვენს მონას მგალობლიშვილს პატარა დავითს.

მერმე ამას მოვახსენებ თქვენს უმაღლესობას, რომ თქვენგან ნაბოძები ორი და სამი ოქმი და განაჩენი მაქვს. თქვენი შვილის კათალიკოსის ოქმებიცა მაქვს და თქვენგან ნაბოძები განაჩენებიცა დამტკიცებული მაქვს მისის უწმიდესობისაგანა. იასაულიცა მყავს თქვენის ბძანებითა და ოქმითა — მიხაილ პეტრიაშვილი, მაგრამ იმაზე თქვენი ბძანება და ოქმი ვერ გავიყვანე.

ახლა ამ მოწყალებას გევედრები, ერთის კაცის პირით ებძანოს ჩემს სახლისკაცსა, თქვენს სამართალში გამისწორდეს და მოგახსენოს, რის ძალით აბათილებს თქვენს ოქმსა და ბძანებას. ღმერთი გაგიმარჯვებს, ამის მოწყალებას ვითხოვ და, რაც საბუთი აქვს მოგახსენოს. დეკენბერს **ე**, ქორონიკონს **უპა**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის მიხაილ პეტრიაშვილო! მერე ამ არზის პატრონს ჩვენი ოქმიცა აქვს და მის უწმინდესობის, ჩვენის შვილის

კათალიკოზის ოქმიცა აქვს. როგორც იმ ოქმებში უცხადებდეს და სამართლით მოსაცემს იყოს, რომელსაც უჩივის, ახლავ გამოურთვას და მოეც. და თუ ჭეშმარიტი სიტყვა ჰქონდეს რამე, სამართალში მოსაყოლე. მაგრამ თუ სამართალში მოჰყვა და კიდევ გამტყუნდა, იცოდეს უფრო დაუმძიმდება. დეკემბრის 3, ქორონიკონს უპა.

ქ. ჩვენ ესრეთ გვახსოვს, რომ დიდს დავითს ჩვენი ოქმი ჰქონდეს, მაგრამ მაინც თუ სიტყვა არა ჰქონდეს რა, თავის ჰახყი მოსცეს. და თუ სიტყვა ჰქონდეს, სამართალში მოჰყვეს.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

## 239. არზა სულხან თაქთაქიშვილისა უმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1793 წ. 10 დეკემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14249. დედანი. ქაღალდი. 21,3×11,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი თაქთაქისშვილს სულხანს მოსცეს.

ამას წინათ არზი მოგართვით და ოქმი გვებოძა. გოგია ციცისშვილმ[ა] არც თქვენი ბძანება გაიგონა და არც ჩემი კაცი დამანება. მეცა და იასაულსაცა სიტყვით ავათ მოგვეპყრა. იმ კაცის საქმე ხომ თქვენც კარგათ მოგეხსენებათ, რომ თქვენი განაჩენი ხელთ მიჭირავს.

წყალობას ვითხოვ, ერთი ოქმი მებოძოს, რომ ჩემი კაცი დამნებდეს. ღმერთი გაგიმარჯვებს. დეკემბერს ი, ქორონიკონს უპა.

თავში

ჩვენი ბძანება არის ამირეჯიბო დავით! მერმე ამ არზით რომ ასე მოუხსენებიათ, ამას წინათაც ოქმი გვიბოძებია ამისის კაცის აყრისა და არ აგიყრია, ახლავ უნდა თავისი კაცი აუყარო და მოსცე. და თუ ჭეშმარიტი სიტყვა ჰქონდეს, ჩვენ მოგვახსენოს ამისმა მოდავემ. მაგრამ თუ გამტყუნდა, გარდავახდევინებთ. დეკემბრის ი, ქორონიკონს უპა.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

## 240. არზა სოლომან გეგურიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1793 წ. დეკემბერი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 219. დედანი. ქაღალდი. 22×15 სმ. დაზიანებული. მარჯვენა კიდე ჩამოცრეცილია. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯემწიფის ჭირი მოსცეს ბებურისშვილს სოლომან. ჩვენო მოწყალევ ხემწიფევ, ოცდაორი წელიწადი არის რომ მამაჩემი და ბიძაჩემი ბებურ გაყრილან და მამული ისევ გაუყოფელი გვაქვს და მუდამ შფოთში ვყევარ ბიძაჩემს.

ღმერთი გადღეგრძელებს, თქვენს შვილს გიორგიზე ერთი ოქმი გვიბოძე, რომ ჩვენ ჩვენი მამული გაგვიყოს და შფოთი აღარ მოგვივიდ[ეს. ღმერთ]ი გაგიმა[რჯებს]...

თავში

ქ. ჩვენო ღმრთის წყალობავ, შვილო ბატონო გიორგი! მერე ამ არზის პატრონი ამ არზით ბებურს მამულზედ რომ უჩივის, ღმრთის წინაშე სამართლით ამათი სადაო გაარ[იგე] და თავთავისი [წილი] და[ა]ნებე და ასე [გაარიგე]. დეკემბერს... [ქორონიკონს] **უპა.**

ბეჭედი: მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე ერეკლე.

## 241. არზა დიმიტრი დიასამიძისა გორის ციხის განწესების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1794 წ. 10 იანვარი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 8665. დედანი. ქაღალდი. 24,8×10,3 სმ. მხედრული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს დიასამიძე მინბაშს დიმიტრის.

მერე ამას მოვახსენებ: გორის ციხის დებულება სალბაში და თითო-ოროლა ღერი შეშა არის ურემზედ, რომ მეციხოვნე ცეცხლს აიბ̆თებს და იცხოვრებს; აღარც გორელები მაძლევენ შეშას, აღარც სალბაშს ქარელელნი და მეტეხელები მაძლევენ.

ერთის ოქმის წყალობას გევედრები, რომ სალბაშიც მომცენ და გორელებმა შეშა, რომ ციხეში მყოფთ გასძლონ და იცხოვრონ. თუ არადა, ნება თქვენი უმაღლესობისა არის. დეკენბერს **კჱ**, ქორონიკონს **უპა.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის! მერე როგორც რომ გორის ციხისათვის განწესება არის სალბაშისა და შეშის მიცემისა, ყველამ ისრე უნდა მისცენ; რომელიც განწესებული აქვს გორის ციხის მინბაშსა და ციხის მცველთ, ვერ მოუშლით. თუ რომ არ მისცემენ, მასუკან იასაულ[ი]თ გამოერთმევათ იცოდნენ. იანვრის **ი**, ქორონიკონს **უპბ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 242. არზა არსენ მანგლელისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1794 წ. 23 იანვარი**

ცსსა. ფონდი 1449. საბუთი № 1932. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან მისის უმაღლესობის ბედნიერი ჯელმწიფის ჭირი მოსცეს მათის სიმაღლის მლოცველს მანგლელს არსენის.

მერეთ ამას მოვახსენებ თქვენს უმაღლესობას. ტეტია გოსტაშაბიშვილმა მანგლისის მღვთისმშობლის მამულიდამ ღორის საბალახე მოიტაცა, წამოასხა.

ამ წყალობას ვითხოვთ, ერთი ოქმი და იასაული მებოძოს, რომ ვისაც მანგლისის მღვთისმშობლის მამულიდამ წელს საბალახე აეღოს, ყველას გამოერთვას. და თუ სიტყვა ჰქონდეს ვისმე, თქვენს უმაღლესობას მოახსენონ. მე ამას გევედრები, რომ იმ ეკლესიას მამული არ დაეკარგოს, ჯელმწიფევ. და ნება თქვენია. იანვრის **კგ**, ქორონიკონს **უპბ**.

თავში

ქ. ქეშიკჩიბაშის ნაიბო დავით აბაშო! ვისაც ამისის მამულიდამ ღორი წამოესხას საბალახეთ, ახლავ გამოურთვი და მოაბარე. და თუ ვისმე სიტყვა ჰქონდეს, ჩვენ მოგვახსენოს. იანვრის **კგ**, ქორონიკონს **უპბ**. ალბათ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 243. არზა ნიკოლოზ აბაშიძისა ყმის თაობაზე ვახტანგ ბატონიშვილის ოქმით

**1794 წ. 20 თებერვალი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 5990. დედანი. ქაღალდი. 20×10,1 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან მათის უგანათლებულესობის ბედნიერის ჯელმწიფის ძის ვახტანგის ჭირი მოსცეს აბაშიძე მდივანბეგს ნიკოლოზს და მის შვილებს.

თქვენგან რომ კაცის წყალობა დაგვემართა და სიგელიც გვებოძა და სხვა ოქმებიც გვებოძა აყრისა, ავყარეთ. და ახლა ისევ დაგიყენებიათ ის თქვენი წყალობა.

რომელსაც მოუხსენებია, თუ იმ კაცის ჩვენზედ წყალობით თქვენ დაგაკლდესთ რამე, ერთი ათათ ჩვენ გარდაგვახდევინეთ; თუ არა, მტრის გულისად ნუ გაგვხდით და თქვენს წყალობას ნუ მოგვიშლით. თებერვლის **ზ**, ქორონიკონს **უპბ**.

თავში

ბატონიშვილი ვახტანგ გიბძანებ მურვანიშვილო ნაზირო რევაზ! მერე შენ უნდა წახვიდე და ეს კაცი ამ აბაშიძეს მიაბარო, როგორც ჩვენი სიგელი უცხადებს. ჩვენ ვეღარ მოუშლით ჩვენს სიგელს. თებერვლის **კ**, ქორონიკონს **უპბ**.

ბეჭედი: რტოდ ვარ დავითის, მგელ-ლომად ვით ის, ვახტანგ ვამტკიცებ მეფის ძეობით.

## 244. არზა ზურაბ ენისელთ მოურავიშვილისა ყმის სამსახურის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1794 წ. 22 თებერვალი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 4949. დედანი. ქაღალდი. 25,7×15,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერს ჯელმწიფის ძის გიორგის ჭირი მოსცეს ელისელთ მოურავის შვილს ზურაბს[1].

ჩემო ჯელმწიფევ! ჩემი მოხსენება ეს არის, იმ ჩემს ბიჭს სუხოშვილს რომ თქვენთვის მოუხსენებია, ჩემი დანაშაული ეს არის: ჯერ არის ჩემი მკვიდრი ყმა და მერე ჩემგან პაწაწა გაზდილი, და დე-

1+მოსცეს.

ბულება ეს აძეთ, მაგის მამასა და პაპას ჩემი სახლის ხაბაზობა აძეთ. მამაჩემს მამა მაგისი ახლდა ხაბაზათ და ბიძა და ეგ დღესაც მე მახლავს იმავ პატარაობით გაზდილი და ახლაც ხაბაზია.

ჩემი მაგაზე გაავგულება ეს იყო, რომ ჩემს მიცემულს მამულში შარშან, დიდმარხვაში, იპოვნა თეთრი. მე მაის[ის] გასულს შევიტყე. მოვიყვანე და ვკითხე: მაგ[გ]ვარი საქმე ქვეყნისა არისო და ბატონის მუხანათობა რასაკვ[ი]რელია რომ იქნებაო, რომ კაცმა იპოვნოს რამე და დამალოსო. თუ რომ მართლა გეპოვნოს-მეთქი, სჯობს რომ მითხრა. შემომფიცა: არც მიპოვნია და არც არა ვიც[ი]ო.

მე არზი მივართვი მის სიმაღლეს ბატონს. მანამდის ჩემი არზი მის სიმაღლეს ბატონს მიერთმეოდა, ცოტა რამ თეთრი გაეგზავნა ქალაქს დასახურდა[ვ]ებლად. ის თეთრი მელიქს ჩავარდნოდა და ბატონისათვის მიერთმევნა. ბატონი რომ თ ე ლ ა ვ ს მობძანდა, თ ა მ ა ზ გამოეგზავნა იმ თეთრის მოსაკითხავათ. ის კაცებიც აქ გამოასხა ბატონთან და რაც დამალული თეთრი ქონდათ, გამოაჩინეს და აქ ბატონს მოართვეს.

კიდევ ქრისტიშობისთვის დამდეგს ერთი იმთენი თუ მეტი არ იყო, ნაკლები კი არ იქნებოდა, იმავ ალაგს იპოვა იმავ კაცმა. მე ნათლიღების წინადღეს შევიტყევ ეს მეორე პოვნა. მაშინვე მღვდელი მიუგზავნე. პირველათ ხომ დამიმალე-მეთქი, ამას მაინც ნუ დამიმალავ-მეთქი რომ ბატონს სწორეთ მოვახსენო-მეთქი. რა დროსაც ეს ჩემი სიტყვა გაიგონა, მაშინვე თეთრიც თან წაიღო და ბატონთან ჩავიდა. ს ო ლ ო მ ო ნ მდივანთან მისულიყო, იმას ბატონისათვის მიერთმევინა.

ეს მეორე თეთრი რომ იპოვნა, ცოლშვილი აყარა და ა რ თ ა ნ ა ს წაასხა და ამის გულისათვის ბატონს შემაბიზღა: რატომ მე არ მომიტანე და მიართვი. ახლა, ჩემო ჯელმწიფევ, თუ ეს მაგისი ბატონთან მოხსენება მართალი არის, მანამდის მე არ მოვახსენე ბატონს მაგისი თეთრის პოვნა, რატომ წინადღითვე მაგან არ მოახსენა და ის თეთრი არ მიართო. მაგის სიმტყუნე აქ გაშინჯეთ. ჩვენი სამდურავი ამაზედ არის.

ახლა თქვენ გვიბძანებთ, შეირიგეთო. ჩემო ჯელმწიფევ, ასეთი რა დანაშაული ექნება, რომ რადგან თქვენ გვიბძანებთ, რომ არ შევირიგო. მაგრამ გევედრებით, როგორც მაგის მამასა და პაპას დებულობა ქონია ჩემის ოჯახისა, ისე მემსახუროს. ჩვენცა და ეგეც თქვენი ვართ. და თუ იმას ეს დებულობა მოეშლება, მოგეხსენებათ ვერც ცოლსა და ვერც რძალს პურს ვერ გამოვაცხობინებ[1] და უნდა ჩემის ქვეყნიდამ დავიკარგო. და ნება თქვენის სიმაღლისა იყოს.

---

1 + პურსა.

თავში

ქ. ბატონისშვილი გიორგის სიკეთით სახსოვარო ელი-
სეთ მოურავისშვილო ზურაბ! მერე მაგ შენს ყმასა რაც ძენის ძამა
ჰაპისაგან დებულობა და სამსახური სდებიათ, იმაზედ ვერც შენ მოუ-
მატებ და ვერც ის მოგიკლებს სამსახურსა. ამას გარდა, შენი ყმა
არის, შენც რიგიანათა და ბატონყმურათ იმსახურე თავის შეძლებითა
და მაგასაც, რაც შეიძლება ექნება, რასაკუირველია, გემსახურება[1]. უსა-
მართლოსა და ძალს[2] ნუ [უ]ზამ. ფებერვლის **კბ**, ქორონიკონს **უპბ**.

გიორგი

## 245. არზა დავით მგალობლისშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1794 წ. 27 თებერვალი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 5323. დედანი. ქაღალდი. 22×15,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან მისის უმაღლესობის ჭირი მოსცეს მგალობლის-
შვილს პატარა დავითს.

მერმე ამას მოვახსენებ თქვენს უმაღლესობას, რომ ჩემმა სახლის-
კაცმა ბეჟანმა ხანჯალს ჯელი გაიკრა და კინალამ მომკლა. ამის
მოწამენი მრავალნი გახლავან — მდივანბეგი ვარჯან, ალავერდის
დეკანოზი, ყოდალაშვილი მათე მღვდელი და სხვანიც მრა-
ვალნი. თქვენს დროში, რატომ უნდა დაგვემართოს, ნიადაგ ილაჯი
აღარა გვაქვს ჩვენის სახლის კაცებისაგან. ჩემი ძმა გახლდა როსებ
და ამისთანა შფოთში და წუხილში მოკლეს. მე ისე არის, ჩემო ჯელ-
მწიფევ, რომ ლამის მომკლას.

ღმერთი გადღეგრძელებსთ და შვილებს გიცოცხლებსთ, ერთის
ოქმის წყალობა გვიყავით, რომ მოწმე[ე]ბმა ღვთის წინაშე სწორე მო-
გახსენონ როგორც ყოფილა ის საქმე. ღმერთი გადღეგრძელებსთ, ამ
შფოთისაგან დაგვიხსენ. ფებერვლის **კდ**, ქორონიკონს **უპბ**.

მარცხენა კიდეზე

ქ. ჩვენი ბძანება არის! რომელნიც ამ არზის პატრონს ამ არზით
უმოწმებიხართ, ღმერთს გაფიცებთ და წმიდის გიორგის მადლსა, რო-
გორც იცოდეთ ამ არზის პატრონისა და ამის სახლის კაცის ჩხუბი,
ამათი ჰაღიღათი სიმართლით ნახული ნახულად მოგვახსენეთ და გა-

[1] გემსახურობა. [2] ზაალს.

გონებული — გაგონებულად. როგორც იცოდეთ, სიმართლით მოგვწერეთ, რომ სამართალი უნდა მიეცეს. ფებერვლის კზ, ქორონიკონს უპბ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფეს ცხებულს, ერეკლე.

ქ. მე, ალანდარბაში ქაიხოსრო, ასე ვმოწმობ, რომ ორნი ჩემი ძმა და მეგობრები იყუნენ. მე ბეჟანისაგან მუქარა გავიგონე დავითისა და ჩემი შვილი მიხაილ გაუგზავნე და გავ[ა]ფრთხილე, რომ ეს კაცი გემუქრება, მოერიდე არ მოგკლასო. ამის მეტი არა ვიცი რა.

ბეჭედი: ალამდარბაში ქაიხოსრო.

ქ. ყოდალაშვილი მათე მღ[ვ]დელი ამას მოგახსენებთ, თელავს გახლდით არქიმანდრიტთანა. ბეჟანმა ხანჯალი ამოიღო, ამ პატარა დავითზე მი[ი]წია. ამისი მნახავი გახლავარ.

## 246. არზა იუსტინე მროველისა ძმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1794 წ. 1 მარტი**

ცსსა. ფონდი 1449. საბუთი № 2539. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს მათს მარად მლოცველს მროელ იუსტინეს.

მერე ამას მოვახსენებ მათს უმაღლესობას. უწინარეს ჩემს მროვლობამდიხ თქვენს უმაღლესობას ერთი კომლი ზაქარიას ნაყმევი უმამულო კაცი იესე გასიტაშვილი თავისის ძმისწულებით ღვთაების ეკლესიისათვის შეგიწირავთ. ნეტარხსენებულის თქვენის ძმის კათალიკოზის და ნეტარად ხსენებულის თქვენის დის ანნას სახელზედა და წელიწადში ორი წირვა გიბრძანებიათ იმათთვისა. და თქვენის უმაღლესობის ოქმებიცა აქვს, რაც შეეძლოს ეკლესიის ყმასთან უნდა გამოიღოს ხარჯი თავის შეძლებით. ძმისწულები ამ კაცისა ეკლესიას არ დაანებებ და თვითონ იმსახურებს ლუა წინამძღვრიშვილი.

ეს იესე ერთი ნასაღნაქნარი კაცი არის, რაც შეუძლია ხარჯს ეკლესიის ყმასთან იღებს. შარშან ერთი სია მოერთმევინა ლუა წინამძღვრის შვილის ზაქარიას ნაყმევს კაცების აყრისა და ეს კაციც შიგ ჩაეტანებინა. იასაულები მოვიდნენ, აყრა დაუპირეს, ასაყრელათ არ დავანებე და საიასაულო ცამეტი აბაზი მე მივე, რომ ის კაცი გლახა არის.

მასუკან კიდევ სალეკოს იასაულები გამოუსივა და იმისი სალეკოც მე გამომართვეს. წლეულ კიდევ სია მოურთმევია სურსათისა და ის კაცი კიდევ შიგ ჩაეწერა იმ სიაში და ექვსი კოდი დაეწერა ჯაბისთა. თქვენი ოქმი უჩვენე იასაულებს, მულათი ვთხოვე თქვენად მოხსენებამდინ და მულათი მამცეს და საიასაულო სამი აბაზი მივე.

თქვენი უმაღლესობის ბძანება ასე არის, თუ შეუძლიან, რომე იმ ეკლესიის ყმასთან უნდა მემსახუროს.

ამ წყალობას ვითხოვ თქვენ სადღეგრძელოთ: რადგან იმ ეკლესიისათვის მიგირთმევიათ და თქვენის მიცვალებულთათვის მოსახსენებლად შეგიწირავთ, თქვენი შეწირულობის გუჯარი ამ ოქმ[მ]ა დაამტკიცოს. და იმ ეკლესიას თავისის ძმისწულებით[1] დანებდეს. და ლუა წინამძღვრიშვილს ებძანოს ამ კაცებს დაეხსნას და ნუღარ აწუხებს ყოველთვის.

ერთი ოქმი გვებოძოს, რომ ლუმაც ხელი აიღოს და ვინც მოასილნი მოვიდნენ თქვენის ბძანებით, თქვენი ოქმი რომ უჩვენ[ონ], იმათაც ხელი აიღონ, რომ ყოველთვის იმ კაცებს აღარ აწუხებდენ. ფებერვალს კზ, ქორონიკონ უპბ.

**თავში**

ქ. ჩვენი ბძანება არის. მერე მისს ყოვლად სამღვდელოებას ამ არზით რომ ასე მოუხსენებია, ის კაცი — გასიტაშვილი იესე თავისის ძმისწულებით ამას წინათ რომ ღმრთაების ეკლესიას შევწირეთ და ეკლესიას შეწირულობის გუჯარი მივართვით, ჩვენ იმ გუჯრის მოშლა და იმ კაცის გამოწირვა არ შეგვიძლიან. როგორც შეგვიწირავს, ისე იმ ეკლესიის ყმად უნდა იყოს და საჩვენოს თუ საქვეყნოს ხარჯს თავის შეძლებით ეკლესიის ყმასთან უნდა გამოიღებდეს.

ლუა წინამძღვრიშვილი რომ აწერს სადმე გამოსაღებს, ამ ჩვენის ბძანების შემდგომად ასე იცოდეს, რომ თუ კიდევ გამოსაღები რამ სთხოა ლუამ, ჩვენი საწყენი იქნება და არც უყაბულებთ. ამ კაცთან ეკლესიის მეტს საბატონყმოდ საქმე არავის აქვს. და რომელნიც მოასილნი იქნებოდეთ ან ჩვენი და ან ჩვენის შვილისა, იმათაც ასე იცოდენ და ამ ჩვენს ბრძანებას ასე აღასრულებდეთ.

და თუ ამ ბრძანების წინააღმდეგობა იხმაროთ რამე იმ მოასილთ, გალახვით და ავათ მოპყრობით უნდა გაისტუმროთ, ამისთვის რომ ეკლესიის ყმობით უნდა გამოერთვას გამოსაღები. და სხვის ყმობის გამო არ იქნება ამისი ხარჯის გამოღება.

ამირეჯიბო მინბაშო ზაზავ! წინამძღვრიშვილს ლუას ჩვე-

---

[1] + იმ ეკლესიას.

ნი ბძანება ასე უნდა გამოუცხადო. და იმ გასიტაშვილის ძმისწულები რომ წაუყვანია, ისინი უნდა გამოართვა. და როგორც შეგეწერეს, ისევ ისე ეკლესიის ყმად დასდვა. მარტის ა, ქორონიკონს უპბ.

ბეჭედი: ჭნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

## 247. არზა ერასტი გოსტაშაგიშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1794 წ. 4 მარტი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1480. დედანი. ქაღალდი. 21×16,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ჭ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჭირი ერასტი გოსტაშაგისშვილს მოსცეს.

მერე ამას მოგახსენებთ ჩემო ხემწიფევ, რომ მანგლელისათვის ოქმი გებოძებინათ, ჩემს მამულში ღორი აუღიათო. მე ეს წერილი მოშირთმევია თქვენთვის, რომ თუ მანგლელის მამულში ღორი ამეღოს და ჩემს სოფელში და მთაში არ ამეღოს, როგორც ერთს დამნაშავეს კაცს გადახდომოდეს, მეც ისე გადამახდევინეთ. და თუ სამართალში საბუთი მიყოს მანგლელმა, ერთიორათ მიმცემი ვიყო.

ერთი ოქმი მიბოძეთ იასაულზე, თუნდა თქვენს სამართალში გვალაპარაკონ, თუ უნდა დავით სარდალთან მელაპარაკოს; რომ დავით სარდლისა ამისთვის მოგახსენეთ, რომ ოქმი გიბოძებიათ. დავით სარდალმა მოიკითხოს მანგლელის მამულიო. მარტის გ, ქორონიკონს უპბ.

თავში

ჭ. ჩვენი ბძანება არის, მერმე ამ არზის პატრონს ასრე, რომ მოუხსენებია, მდივანბეგები დავით სარდალთან დაესწრონ, ეს და ამისი მოდავე ალაპარაკონ და ღვთის წინაშე სამართალიც მოსცენ. და თუ ეს ტყუოდეს და იმათაც გაამტყუნონ, როგორც მოუხსენებია ამასა, სწორედ ისე გარდაახდევინონ. მარტის დ, ქორონიკონს უპბ.

ბეჭედი: ჭნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

## 248. არზა თევდორე ხახანაშვილისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1794 წ. 12 მარტი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2973. დედანი. ქაღალდი. 22×13,5 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ წერტილი. არზის ქორონიკონი მცდარი უნდა იყოს.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი წმინდის ესტატეს ყმას ხახანაშვილს თევდორეს მოსცეს.

ციციანთაგან ექვსი თაობის შეწირული გახლავარ, მამუკა თარხნისშვილს ერთი უბრალო წიგნი გაუკეთებია და ჩემის მამულით ჩემს თავს ყმობიდამ ართომს. თქვენს დროში რომ წმინდას ესტატეს ყმა წ[ა]ერთოს, ვილას დროში უნდა იშოვნოს.

ახლა მამუკა რომ ელისაბეთაშვილს მოწმობს, მამა ხომ მკვდარია, შვილები ცოცხალი აქ დაიბარეთ, თქვენს სამართალში გვალაპარაკეთ. თუ ელისაბ[ე]თაშვილმა გამიმტყუნოს, რომ წმინდის ესტატეს ყმა არ ვიყო, მერე სიტყვა აღარ მექნება.

თუ ამას არ ინებებთ, იმ ელისაბეთაშვილმა წმინდას ესტატეზე შემამფიცოს, რომ მე იმისი ყმა არ ვიყო და მერე კი მამუკა[მ] ყმათ დამიჭიროს.

ღმერთი გაგიმარჯვებს, ერთი ოქმი გვიბოძეთ, ის ელისაბეთაშვილი ან აქ გიახლოსთ, ან იქავ დაიფიცოს. ღმერთი გაგიმარჯვებს. მარტის ე, ქორონიკონს უპგ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის დავით თარხნიშვილო! ამ არზის პატრონი რომ ასე ჩივის, ელისაბედაშვილები, რომელნიც მამუკა თარხნიშვილს მოწმობენ, ჩვენს სამართალში მოიყვანე, მარტის იბ, ქორონიკონს უპბ, ალბათ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 249. არზა პეტრე დავრეშაშვილისა მამულის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

**1794 წ. 20 მარტი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 439. დედანი. ქაღალდი. 21,6×17,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალე ჯელმწიფის დედოფლის ჭირი თქვენს სახასო ყმას დავრეშაშვილს პეტრეს მომცეს.

გარსევანაშვილმა ტეტიამ ჩემი სამკვიდრო შარა შეიგდო. ამ შარაზედ ჩემი ერდოს წყლები და კიდევ ჩემი ბაღის წყლის გზაც ეს არის, რომ აქედამ ჩემი ბაღი მოირწ[ყ]ვის. რა გვრდ დაარსებულა, ჩემს სახლს კედელი არ მოსდგომია, რომ გზათა და შარათ არის. ამაზედ მეფის ოქმი მებოძა იასე ამილახორზე. გორელებიც თქვენთან დაისწარით და გარსევანაშვილებიც მი[ი]ყვანეთ და ღმრთის წინაშენა სამართალი უსაჯეთო.

მაგრამ სამართალში არ მომყვა, თავის მძლავრობას ხმარობს და ძალით მეკიდება, სახლში წყალი შემამიგდო, კედელი დამექცა; მერე ერდოს მილები დაგლიჯა; მერე ჩემ სახლობას შეხტომოდა, ცოლი ორსულათ[1] მყვანდა, ვაჟის მუცელი წაუხდა. ამაზედ შეეფიქრა და დადგა.

ახლა კიდევ ამეშალა. იანვარში მილები დაგლიჯა და თავის სახლში წაიღო. ეს ზემომოხსენებული რომ შერჩა, ახლა ორი პატარა ბიჭი ამისია. ხან ღამითა და ხან დღისითა ერდოს მიქცევენ.

ამ ჭირში ვართ. ჯერ თქვენი მოყალნე ვარ, მერე ჩემი ყმა თოფჩათ გახლავსთ. რათ უნდა ასე დამემართოს. თუ თქვენი ბძანებით მიშვრება, მაჩვენოს ოქმი. სახლსაც დაუცლი და მივართვამ. და თუ თქვენი ბძანება არა აქვს, ეს ხომ ერთ აზნაურის ყმაზე არ შეუძლია.

ამთონი თქვენი წყალობა იყოს, სამართლამდინ სახლს ნუ დამიქცევს, ჩემი გზა დამნებდეს. და თუ გორელებისა და თავის სახლისკაცის სამართალს არა სჯერა. ვისიც სამართალში უნდა მივყვები. თავის თავათ ნუ მძლავრობს და სახლს ნუ მიქცევს უბატონოთ. ღმერთი უმეტესად გაგაძრიელებს, სამართალი მაღირსე. ფებერვლის **იდ**, ქორონიკონს **უპბ**.

თავში

ქ. მორდალო იესე! ამ არზის პატრონს ასე რომ მოუხსენებია, ტეტია მგალობელს ასე გამოუცხადე, თუ ამისი მოხსენებული ჭეშმარიტი არის, ამას თავისის სახლის წყალისა და ანუ სხვა გზა დაანებოს და ნუღარ აჩივლებს. და თუ ჭეშმარიტი სიტყვა ჰქონდეს რამე, რამდენიმე გორელნი უფროსნი კაცნი მიიყვანე, ის გზა და ადგილი გააშინჯე და სიმართლით როგორც დაინახონ, ისე მოარიგე და იმათგან მორიგებულს სამართალზედ დააყენე და ჩვენთან ნუღარ აჩივლებ. მარტის **კ**, ქორონიკონს **უპბ**.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან

ქ. ჩვენ, დიასამიძე მორდალი იესე, ამ საქმის ბძანება

---

[1] ურსულათ.

[გვ]ქონდა, რამთენი გორელი მივიყვანე[1], [ყველ]ა გორელმა ასე თქ[ვ]ა: გზა ამაზე აქსო. ამ პეტრეს დარჩა გზა[2]. აპრილის **იე**, ქორონიკონს **უპბ**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 250. არზა დათუა თარხნიშვილისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1794 წ. 21 მარტი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10489. დედანი. ქაღალდი. 21,8×13,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მათ მონას თ ა რ ხ ნ ი ს შ ვ ი ლ ს დ ა თ უ ა ს მოსცეს.

ამას მოვახსენებ ჩვენს მოწყალეს და გევედრებით: სანამდის ჩვენი ძმა ს ო ლ ო მ ა ნ თქვენს თაყვანისცემას და ხილვას ეღირსებოდეს, ეს მოწყალება მოიღოთ, რომ ჩვენს ყმასა და ან რომელიც იქ ჩვენი აზნეურშვილები ყვანან, იმათს ყმას ნურავინ შეაწუხებს.

და ხუთი მსახურის სურსათი დარჩენილა, იმის წყალობასაც ვითხოვთ. და თქვენის დოვლათით თუ მშვიდობით გიახლებიან, ერთიორა[დ] იმსახურეთ ჩვენი ყმაცა და აზნაურშვილიც.

მწუხარებისაგან დიდათ შეწუხებული გახლავართ, თორემ ამაზედ თავი არ უნდ[ა] გვეწყინა თქვენთვის. მარტის **კ**, ქორონიკონს **უპბ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ყოველნო ჩვენო მოხელენო და მოსაქმენო! მერე ამ არზის პატრონს ასრე რომ მოუხსენებია, ეს ყველამ იცის, რომ ის ჩვენი მეითარი ქვეყნის გულისათვის უცხოს ქვეყანაში წასული არის და თუ ყმა და აზნაურშვილი ჰყავს რამე, ისინიც იქ თავისთან ჰყვანან. და სანამ ღმრთით ის მოვიდოდეს, მანამდე ამათს ყმას სათხოვარსა და გამოსაღებზე ნუღარაზედ შეაწუხებთ, ნურც ამათ ყმასა და ნურც ამათს აზნაურშვილის ყმასა. და ხუთის კაცის სურსათი რომ დაჰკლებიათ, ნუღარც იმაზედ შეაწუხებთ, ისიც გვიპატივებია. მარტის **კა**, ქორონიკონს **უპბ**; ჯარიანობასა და მორიგეს გარდა, ესენი კი უნდა გამოვიდნენ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს •ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ე რ ე კ ლ ე•

---

1 მივაყინე. 2 გზასვსა.

## 251. არზა ნოზაძეებისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1794 წ. 24 მარტი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 25. საბუთი № 66. პირი. ქაღალდი. მხედრული. იქვე, საბუთი № 64.

[79v] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჰირი სურამიდამ ფონელებს ნოზაძე[ე]ბს მოგვცეს.

ამას მოვახსენებთ: ძველთაგან თქვენი სახასონი ყმანი გახლავართ, ჩვენი გვარი[ს] კაცი სამოცდახუთი კომლი გახლავართ, ათი კომლი სურამში და ქართლში გახლავართ, სხვა იმერეთსა და ოსმალში არიან დაფანტული. ჩვენი გვარი[ს] კაცი მეფე ვახტანგს ჩხეიძებისათვინ მოუბარებივართ, რომ მიბარებული ვართ, ჩვენ ჩხეიძე-[ე]ბის სამკვიდრო არა ვართ. დღეს ახლა ასე გაგვიჭირდა ჩხეიძებისაგან, რომ დაკარგვის მეტი ღონე არა გვაქვს. მოგეხსენებათ, სურამი, სეფინის ხევი და ფონა ერთი ბატონის ყმა ყოფილა სახასოთ.

ახლა თუ ჩვენ ჩხეიძების ხელისაგან გვეშველება და ერთ-ერთს ბატონიშვილს მიგვცემთ და ერთი ბინა მოგვეცემა, რაც ჩვენი გვარის კაცი დაფანტული არის [80]იმერეთსა თუ ოსმალში, სულ ჩვენ მოგართმევთ, სადაც თქვენი ნება იქნება. და თუ თქვენი საფარველი ჩვენ არ დაგვადგა, ჩვენც დავიკარგებით. მოგვიხსენებია და ნება თქვენი სიმაღლისა აღსრულდეს. მარტის იე, ქრონიკონს უპბ.

თავში

[79] ჩვენი ბძანება არის! მერე ამ არზის პატრონები ჩვენი სახასო ყმანი არიან და ჩვენს ყმათ უნდა [v] იდგნენ. და თუ ვისმე ჰეშმარიტი სიტყვა აქვს ჩვენ მოგვახსენოს და სამართალი მიეცემათ. მარტის კდ, ქრონიკონს უპბ.

ჩხეიძებო! თქვენის ვალისათვის სამართლამდინ ეს კაცნი არ [უნ]და შეაწუხოთ და არც თქვენს მოვალეს ამათთან ხელი არა აქვსთ რა. და თუ სიტყვა გაქვსთ, სამართალში ელაპარაკენით.

## 252. არზა იოსებ მამაცაშვილისა მამულის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

**1794 წ. 24 მარტი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 46. საბუთი № 90. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[63] ღმერთმან ბედნიერის ხემწიფე დედოფლის ჭირი მ ა მ ა ც ა შ ვ ი ლ ს ი ო ს ე ბ ს მოსცეს.

ყიზილბაშისაგან აკლებული ვართ, მრავალი წიგნები დაგვკარგვია, და ამ მიზეზით ერთი საკომლო და ერთი ბოსტანი ჩემს განაყოფებს უჭირა[ვ]თ. საკომლოს განაჩენი და საბოსტნის ნასყიდობის წიგნი ერთს ქსნისხეველს კაცს ჩავარდნოდა, რომ დღეს თ ე ზ ს გახლავთ, ბ ე ჟ ა ნ რ ა ტ ი ს შ ვ ი ლ თ ა ნ შევიტყე. მიველ და შევეხვეწე იმ კაცსა, ისიც მამცა და სხვაცა. თითვან იმ[1] ჩემი განაყოფის მამა-პაპა მიწერია მოწმად, ვისაც უჭირავს.

წყალობას ვითხოვ, მრო[ვ]ელზე ერთი ოქმი მიბოძოთ, თუ ამ ჩემის წიგნის წინა[ღ]მდეგი წიგნი აქვსთ და ან საბუთი, ხმასაც ნუღარ ამამაღებინებს. თუ [v] არა, ჩემი მამული და ნასყიდობა მე დამანებოს. მარტის **კბ**, ქორონიკონს **უპბ**.

თავში

ყოვლად სამღვდელო უფალო მ რ ო ვ ე ლ ო ი უ ს ტ ი ნ ე! ამ არზით იოსებ მამაცაშვილს ასე რომ მოუხსენებია, ესენი თქვენთან ალაპარაკეთ და რომელნიც შეგხვდესთ თავადიშვილი ანუ აზნაურიშვილნი, ორიოდ კაცნიც თქვენთან დაისწარით. ერთათ ალაპარაკეთ, წერილები ორისავ მხრისა გაშინჯეთ და სამართლით გაარიგეთ.

და თუ თქვენ ვერ მოარიგოთ, როგორც თქვენმა გონებამ დაგანახოსთ ამათის საქმისა, ისე გარჩევით წერილით გვაცნობეთ და ორნივ აქ ჩვენს სამართალში გამოისტუმრეთ. თუ ჩვენი სალთხუცესი მანდ იყოს, ამათს სამართალში დაისწარით. მარტის **კდ**, ქორონიკონს **უპბ**.

სხვანიც დაისწარით სხვის მხრისა და სხვა სოფლისანი.

ბეჭედი: დ ე დ ო ფ ა ლ ი დ ა რ ე ჯ ა ნ.

---

[1] იმ]ის.

## 253. არზა ნიკოლოზ ჩუთკერაშვილისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1794 წ. 26 მარტი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 5116. დედანი. ქაღალდი. 33,6×21,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან მისის უმაღლესობის ყოვლად მოწყალის ჯელმწიფის ჭირი მომცეს თქვენ სამარადისოდ მლოცველს ჩუთკერაშვილს მღვდელს ნიკოლოზს.

უმაღლესო ჯელმწიფევ, ურჯულოს ქვეყნიდამ ამისთვის გიახლნენ მამა და ბიძა, რომ პირველად ქრისტიანობა უნდოდად და მერე თქვენი ყმობა სურდათ. შენს საბრძანებელს[1] ატენში გიახლნენ. და ფურცელაძის ქალმა დანათლა, რომ იმათი დამნათლავი დღეს ქალაქში გახლავსთ. გამოვიდა ათი თერთმეტი წელიწადი, მერედ[ა]ში იმყოფებოდენ. ერთი ჩვენი სახლისკაცი დემეტრე ციციშვილს ყმათა ჰყვანდა. იმ აზრით მოვიდა, დავი დაგვიჭირა: თქვენც ჩემი ყმა ხართო. მამაჩემ[მ]აც ასე უთხრა: მე შენი ყმა არცა ვყოფილვარ და არცა ვარო. მაინც არ მოგვეშო, წამოვიდა. ნეტარად ხსენებულის მეფის თეიმურაზის ოქმი მოეტანა და ჰყრიდა.

მამაჩემი ახალი ქრისტიანე გახლდათ და აქაურის სამართლების გამოცდილება არა იცოდა რა. მე პატარა გახლდი. გირაოთ მიმცა მამაჩემ[მ]ა. თეთრი აიღო ვალათ და თავი დაიხსნა, რითაც იმისი გული შეჯერდებოდა და წმინდის გიორგის კარზედ თორმეტი თუმანი მიბარდა დემეტრეს. თავდახსნილობის სიგელი მოგვცა. დღეს ხელთ მიჭირავს. მართალია, დემეტრე ციციშვილთან ხიზნათ გახლდით, თქვენი საფარველი გვეხურა და მეღვინეთხუცეს[2] რევაზს ვებარენით. როდესაც ატენი აშენებულ იყო, იქ უნდა დავეყენეთ თქვენის ბძანებით.

ალიას ხეობაზედ თქვენ და იმერელ მეფემ ერთმანერთი რომ ნახეთ, იმჟამს ჩემ შეუტყობლივ ელისე ალექსიძემ გაგაშინჯათ და ოქმი მომიტანა. მერმე მე გიახელ. დემეტრეს სიგელი მოგართვი. დემეტრეს მტერობით მოურავმა და ელისე ალექსიძემ ასე რიგათ გაგაშინჯათ, რომ გამეცით და ელისე ალექსიძეს მიმეცით. არც თეთრი მომეცა ჩემის თავდახსნილობისა და არც თავი დამნებდა.

ამას გევედრები დიდებულო ჯელმწიფევ! არც მამა ყოფილა და პაპა იმისი ყმა და ნურც მე დამკარგავთ. თქვენი ყმობა მსურს[3] და ამ უსამართლოთ ბატონყმობისაგან განმათავისუფლე. და თუ არა მეშვე-

---

1 საბრძენებელს. 2 მეღვინერთხუცის.

3 მსურის.

ლება რა, კურთხეულ არს ღმერთი, სადიდამაც ჩემი მამა და ბიძა მოსულა, მეც იქ წავალ. მრავალი ქრისტიანე არის უსჯულოში წასული და მეც იქ წავალ. არაფერი საქმე არა მაქვს რა. წინაზედაც გიახელ, მეიტყეს, დამიჭირეს, ერთი კვირა ტუსაღათ გახლდი. ახლა გიახელ დაფარულათ, შიშით კი ვერ გამოვცხადებულვარ და ღმერთსა და შენს სამართალს უყურებ. მარტის **ით**, ქორონიკონს **უპბ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის! მერე ამ არზის პატრონს თავდახსნილობის წიგნი ჯელთა აქვს და დემეტრე ციციშვილისაგან მიცემული. როდესაც ტყვეობიდამ მოსულა ეს მღვდელი ნიკოლოზ, სამართლით ყოფილა თუ უსამართლოდ, თავისი ნაბატონარი დემეტრე ციციშვილი და ალექსიძე წასდევებიან და თორმეტ თუმნათ თავი დაუხსნია. ეს თავდახსნილობის წიგნი თვით ჩვენის თვალით ვნახეთ. დღეის იქით ამათთან საბატონყმოთ არც ციციშვილებს და არც ალექსიძეს საქმე არა აქვსთ. ჩვენი სახასო ყმანი არიან. დღეის იქით ნურავინ შეაწუხებთ, თორემ ჩვენს შეცოდებად მოვიკითხავთ. მარტის **კვ**, ქორონიკონს **უპბ**.

ქ. ამის მოდავეს, რომ ჩვენგან ოქმი აუღია, ეს თავდახსნილობის წიგნი თუ გვენახა, არ უბოძებდით, ალბათ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

## 254. არზა თოროზაშვილებისა მამულის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1794 წ. 29 მარტი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 34. საბუთი № 215. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[159v] ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ძის გიორგის ჭირი მოსცეს თოროზაშვილს გოგიას და იოსებს.

მერე მოგეხსენებათ მათმა უმაღლესობამ ბატონმა ჩერქეზიშვილის ავთანდილის დედას თამარს გვიბოძა, რომ ჩვენს მამულზედ უნდა [ვ]მდგარიყავით და თამარისა და ობლებისათვის გვემსახურნა.

ახლა ჩერქეზიშვილმა ნინიამ აგვყარა მამულიდამ და გამოგვყარა. ოცდაორი წელიწადია იმ მამულს და ვენახს ვაშენებ და ახლა ან რა სამართლით ავიღო ჯელი და ან ქვრივსა და ობლებს რი-

ლათი ვემსახურნეთ. და ან ჩვენი თავი და ცოლ-შვილი რიღათი დავგარჩინოთ.

და მოგეხსენებათ, უმამულოთ გლეხის კაცის ცხოვრება ძნელი იქნება და ვერც თავის მებატონეს ემსახუ[160]რება. და გევედრებით მოწყალება მოიღოთ და ერთი გზა გვიბოძოთ. მარტის **კზ,** ქორონიკონს **უპბ.**

თავში

ბატონისშვილის გიორგის სიკეთით სახსოვარო ჩერქეზიშვილო იოანე! მერე როგორც მისს უმაღლესობას ბატონს უბძანებია, მანამდის ის სახლი დაძველდებოდეს, ის კაცი შიგ უნდა იდგეს, და[ა]ცალეთ. და როდესაც ის სახლი დაძველდება, აიყრება და წავა; მანამდის კი დააცალეთ, რომ სახლი დაძველდეს. მარტის **კთ,** ქორონიკონს **უპბ.**

## 255. არზა ნოდარიშვილებისა ყმა-მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1794 წ. 4 აპრილი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2255. დედანი. ქაღალდი. 24×14,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯემწიფის ჭირი მოსცეს მათ მონას ნოდარისშვილებს.

მერე ენისელთ მოურავიანთ მძლავრებით ერთი კომლი კაცი პატიაშვილი გვერდისძირს უჭირავთ თავისის მამულით. და კიდემ უჭირავთ ინწობის ჯევში ჩვენგან გამოფიცული ცოტა რამ მიწები. ამას გარდა გურჯა[ა]ნში უჭირავთ ერთი საკომლო ვენ[ა]ხი. რაც ამ არზით მოგვიხსენებია, ამისი გამოფიცული წიგნიც ჯელთ გვიჭირავს, რომ ფიცით გვაქვს გამოტანილი.

ამ წყალობას ვითხოვთ: ერთი ოქმი გვებოძოს ან თქვენს შვილს გიორგიზედა და ან მდივანბეგებზედა, ჩვენი წიგნი გასინჯონ და სამართალი გვისაჯონ. ღმერთი გაგიმარჯვებს.

ამას გარდა უჭირავთ ჩვენი სასახლე გვერდისძირს ოსიყმეშვილს მარტის **კზ,** ქორონიკონს **უპბ.**

თავში

ქ. უფალნო მსაჯულნო! ამა არზის პატრონები ამ არზით ასრე რომ ჩივიან, ეს საჩივარი კვლავ ჩვენც ასე გაგვიგონია. მაგრამ რადგან ახლა ჩივიან, თქვენთან მიაყვანინეთ, წიგნებიც გაუსინჯეთ და თუ სასა-

მართლო რამ იყოს, ღმრთის წინაშე რასაც მიხვდეთ, სამართალიც მიე-
ცით. და თუ ვინ იცის, თქვენით არა გარიგდეს რა, ორნივე [illegible]
ჩვენთან გამოგზავნე. აპრილის **დ**, ქორონიკონს **უპბ**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

## 256. არზა გაბრიელ რატიშვილისა მამულის თაოგაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით

**1794 წ. 13 აპრილი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 28. საბუთი № 139. პირი. ქაღალდი. მხედ-რული.

[84] ღმერთმან ბატონისშვილის გიორგის ჭირი მოსცეს რატისშვილს გაბრიელს.

მერე ამას მოვახსენებ: კორინთელმა [v] კაკუტამ ერთი დღის მიწა მქონდა, მომეპარა. და მოხნა. თქვენს მზეს ვფიცამ, რომ გიორგი მეფის დროსა არის ჩემის პაპის პაპისაგან ნასყიდი. იმან თავისი მამული სულ დაყიდა, ჩემის სახლის კაცებს მიყიდა და ჩემის ერთის დღის მიწას კი წაეჴიდა.

მამა ჩემი მანდ გახლავსთ, თქვენი თავი აფიცეთ, მგონია ტყუილი არ მოგახსენოსთ და არც დაიფიცოს ერთის დღის მიწისათვინა. ერთის ოქმის წყალობა მიყავით თადია კორინთელზე, რომ წიგნი მიუტანო და ვაჩვენო, რომ ჩემი მიწა დამნებდეს. აპრილის იბ, ქორო-ნიკონს უპბ.

თავში

ბატონიშვილი გიორგი გიბძანებთ გარაყანიძე თადიავ! მერე როგორც გაბრიელს ამ არზით მოუხსენებია, ეს მიწა ისევ გაბრიელსვე და[ა]ნებე და ახლავ მობარე. და მერე თუ კაკუტას ჭეშმარიტი სიტყვა აქვს რამე, ჩვენ მოგვახსენოს და ჩვენ მოვიკითხამთ და ისერე გავარიგებთ. ეგ მიწა კი ახლავ ამ გაბრიელს მობარე. აპრილის იგ, ქორონიკონს უპბ.

## 257. არზა გოგია ნასახჩიბაშის ნაიბისა წისქვილის რუს თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1794 წ. 19 აპრილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 36. საბუთი № 243. პირი. ქალალდი. მხედრული.

[159v] ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს ნასახჩიბაშის ნაიბს გოგიას.

მერე ამას[1] მოვახსენებ. თერთმეტი წელიწადი არის ერთს წისქვილის რუს ვთხრი. სურამელს კაცს ოსიაურში მიწა აქვს, იმ მიწის სამოცი ადლი სიგძე და რ[ვ]ა ადლი სიგანე მოაკლდა. ამ თერთმეტს წელიწადში მუდა[მ] მიმუშავნია, ჩემთვის ხმა არავის გამოუცია. ჩემო ხემწიფევ.

ახლა მამასახლისმა და კაკონაშვილმა ტერტერამ სოფელი, სახლი და სახლი დაიარეს და ყველას დაუძახეს, ვინც არ წამოვაო, ძროხას დაუკლავთო. შეყარეს ხალხი[2], დაიარაღებულნი მომიხდნენ. ის შეყრილი ხალხი რომ დავინახე, მღვდელი მიუგზავნე — მეფის ირაკლის დროში ამგვარი ჯანყი არავის უქნია და ნურც თქვენ შვრებით. მღვდელიც გამილახეს ტერტერამ, წისქვილის სათავეც დამიქციეს და თერთმეტის წლის ნამუშავარი გამიფუჭეს და ისე წავიდნენ. ამ გაბრუნებაზე ჩემი კაცები სურამას მოახელა ტერტერამ, დამილახა, დაუშინა, აქ აღარ გაგატარეფთო, ვინც იმის კაცნი იქნებითო.

ჩემო ხემწიფევ! [160] სურამელნი ჩემი მეზობლები არიან. მე იმათ არას უჩივი. ჩემის ყმისა და ჩემი ამომწყვეტი შორღულაშვილი და ის ტერტერა[ა]. თუ სამართალი მომცემდეს, ოქმი მიბოძეთ, ის რუ გამოვიტანო თქვენის დოვლათით. და ერთი ოქმიც მებოძოს დივანბეგებზე, ამ ორ კაცს რომ უჩივი ჩემის ყმის ამოწყვეტას, მდივანბეგებმა გვალაპარაკონ სურამში ჩხეიძეცა და ხიდირბეგის შვილიცა და მოვრავნის შვილიცა. და გ[ლ]ახა იმათთანა ნათხოვარი ბატონის გაკეთებული ხომ არა ვარ. თუკი იმათ ვერ უზმენ, მე რატომ უნდა დამემართოს, ჩემო ხემწიფევ. აპრი[ლი]ს იზ, ქორონიკონს უპბ.

თავში

[159] ჩვენი ბძანება არის აბაშიძე გიორგი. მერე ამ არზით ეს ჩვენი ნასახჩიბაშის ნაიბი ასრე რომ ჩივის, წისქვილის რუს ვენახში გაატარებენ და ნაფუზარში; და თქვენ რათ უშლით და ან რო-

---

1+ამას. 2 ხალათი.

გორ დაეშლება. [v] ამ რიგის[1] ჯანყს იცოდეთ, რომ ჩვენ ვერ მოგიწონებთ. და თუ არ მებრალებოდეთ, იქნებოდა უფრო სხვა რიგათაც მომეკითხა. სამართალიც მისცემს და ჩვენც გვიბძანებია, რომ ეხლა გამაიყოს იასაული, ოსიაურელებს შენ უნდა დაადგე და კიდეც გააკეთებინო.

და შორღულაშვილისა[2] და კაკონაშვილს ტერტერას რომ უჩივის, ის კი მსაჯულთ სამართალში უნდა ალაპარაკო. აპრილის **ით**, ქორონიკონს **უპბ**.

თუ სიტყვაც ჰქონდეს ვისმე, მოგვახსენოს. მაგრამ იცოდენ, რომ თუ ალაპარაკებენ და გამტყუნდებიან, უფრო დიდად ავათაც გარდავახდევინებთ. □

## 258. არზა გლახა როჭიკაშვილის ყმეგისა მორიგის თაოგაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1794 წ. 1 მაისი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 37. საბუთი № 202. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[107v] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჰირი გ ლ ა ხ ა რ ო ჭ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს ყმას მოსცეს.

ჩვენ ორნი ძმანი გახლავართ. რა მორიგე განგიწესებიათ, ორნივ ძმანი მორიგეს ვაძლევთ, რომ ერთი წელიწადი არ მეგვალებია (sic), ახლა ერთი ძმა კიდეც დავსნეუ[ლ]დით და კიდეც გავღარიბდით, უმამოულოც გახლავართ, ჩვენის ს[ა]ხრითაც ვრჩებით, სხვა არა ვიცით რა.

ახლა ჩვენი ვედრება ეს არის: ამ ერთმა ძმამ სულ მუღარლათ ვაძლიოთ[3] მორიგე და ერთს კი დაგვეხსნან, რომ შევიძლოთ სამსახური. აპრი[ლი]ს **კზ**, ქორონიკონს **უპბ**.

ფერდის ქარისაგან ავათ ვარ, სიარული არ შემიძლიან. ჩემო ხელმწიფევ.

თავში

[107] ლაშქარნივისებო და უზბაშებო! ამ არზის პატრონი ამ სნეულობას რომ ამბობს სწორე შეიტყევით და თუ მართალი მოეხსენებინოს, უნდა ან ამოუშვ[v]ათ ის ერთი ძმა. და მეორე ძმა კი უნდა გამოვიდეს ხოლმე. მაის[ის] **ა**, ქორონიკონს **უპბ**.

---

1 +რიგს. 2 შოვიღარაშვილისა.

3 აუაძლიოთ.

თუ ასრე სნეული არ იყო[ს] და ტყუოდეს, ავათაც მოეპყარით. და თუ მართალი იყოს, მაშინ კი დაეხსენით, ალბათ[1].

## 259. არზა იოანე გეგურიშვილის ქვრივის მარიამისა ყმის თაოგაზე იულონ გატონიშვილის ოქმით

**1794 წ. 11 მაისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2681. დედანი. ქაღალდი. 32×10,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ხ ე მ წ ი ფ ი ს ძ ი ს ი უ ლ ო ნ ი ს[2] ჭირი მოსცეს საცოდავ[ა]თ დარჩომილს თამაზა ბ ე ბ უ რ ი ს შ ვ ი ლ ს ი ო ა ნ ე ხუთასის თავის მეუღლეს მ ა რ ი ა მ ს.

მერე ამას მოვახსენებ ჩემს ხემწიფის შვილს: ღმერთი გადღეგრძელებს და უცხოს შვილებს გიდღეგრძელებს, მოწყალება მაღირსე, მის სიმაღლის ხემწიფის ოქმიც მიახლებია. ჭრთი ბიჭი მ[ი]ეცა საწყალობელის დედის ჩემისათვის თავის ძმას, ყოლოდა, გაეზარდა, ერთი კომლი კაცი შექნილიყო, იყო გ რ ე მ ს. არ იქნა, ქ ა ი ხ ო ს რ ო ენისელთ მოურავის შვილმა არ და[ა]ნება, ბატონს თავი აწყინა, ბატონმა უბოძა ოქმი, საწყალს თქვენს ყმას მისცა, აყარა, წამ[ო]იყვანა. გზაზე ენისელთ მოურავის შვილი გ რ ი გ ო ლ, დ ა თ უ ა მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი მოეწივნენ, თაღლებათ დაუდგნენ, ისევ და[ა]ბრუნეს, დარჩა ასე. ახლა ის კაცი დაიკარ[გა], ორი ბიჭი დარჩა, ახ[ა]ლქალაქს დგას, ბატონის დისწულმა უთქვენოთ არ დამანება.

მოწყალებას ვითხოვ ქურივისა და ობლის გამომზრდელი, დიდ დღეს მოგცემთ, შვილითურთ მიბოძე, ერთი ობოლი მყავს, ხელზე წყალი დაუსხას. დათუა მაყაშვილი მანდ გახლავსთ, მაგას კითხეთ. მოწყალება მაღირსე, ღმერთი განგაძლიერებს. აპრილის კთ, ქორონიკონს უპბ.

თავში

ქ. ენისელთ მოურაო დიმიტრი! ამ არზის პატრონი ამ არზით რომ ასე ჩივის, თუ ამის მოხსენებული მართალი იყოს, რას ემართლები, თავისი ყმის შვილები დაანებეთ. და თუ ერთი რამ შეშმარიტი და საბუთიანი სიტყვა ჰქონდეს რამ მაგათ და ჩვენს სამართალში გამოგზავნე. მაისის ია, ქორონიკონს უპბ.

ბეჭედი: ღთის მშობლის სასოიანი ი უ ლ ო ნ დავითიანი.

---

[1] ალმათ. და. [2] იულანის.

## 260. არზა თეიმურაზ ფარეშთხუცესისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1794 წ. 23 მაისი**

ერეკლეული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 45. საბუთი № 185. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[123] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჰირი მოსცეს ფარეშთხუცეს თ ე ი მ უ რ ა ზ ს ა.

ჩემის სახლისკაცის ბ ი ძ ი ნ ას კერძი მამული ამილახუარის კაცს ქ ა რ უ მ ი ძ ე ს უჭირამს. ის ჩემი სახლისკაცი მუდამ [მ]ეუბნება — ეგ მამული მძლავრობით[1] შ ა ვ ყ უ ლ ი ხ ა ნ მ ა გამოგვართვაო და თქვენ ისე გიჭირამსთო. ახლა იმ მამულს ქარუმიძე ყიდის.

მოწყალებას ვითხომთ, თუ სამართალი მოგვცემდეს, ჩვენვე დახსნისა ოქმი გვებოძოს. თუ სამართლით აქვს ნაყიდი, როგორც სხვა აძლემს ფას[ს]ა, ჩვენ მივცემთ და ვიზედაც ავაჭრის, ის დააყენოს; ჩვენი მამული ჩვენვე დაგვახსნევინოს. ამის ოქმის წყალობას გევედრებით, ერთი ოქმი გვებოძოს. მაისის **კბ**, ქორონიკონს **უპბ**.

თავში

ჩვენი ბძანება არის ქარუმიძევ! რადგანაც ამის სახლის კაცის მამული შენ გიჭირავს, თუ სამართლით შენი იყოს და ჰყიდდე, სხვაზედ გასყიდვას ამათვე რომ მიჰყიდო უმჯობესია და სამართალიც არის. როგორც სხვა ყიდულობდეს და ფასი გაძლიოს, ამას მოჰყიდე, იცოდე სხვაზედ გაყიდვა არ იქნება, თუ სამართლით შენია და გაჰყიდი. მაისის **კგ**, ქორონიკონს **უპბ**.

რადგანც ამათის ოჯახიდამ არის გასული, სამართალი ამათ არ გამოართმევს, ამათვე უნდა მიჰყიდო; რომელიც სხვა იყიდის, იცოდე არ შერჩება. თუ გაეყიდოს, რაც ფასი აეღოს, იასაულო ის ფასი ამათ გამოართვი, ქარუმიძეს მიეცი და მამული ვისაც ეყიდნოს, იმას გამოართვი, ამათ დაანებე. □

[1] მძრავლობით.

## 261. არზა ღთისია თათრიშვილისა ყმოგის თაოგაზე გიორგი გაბონიშვილის ოქმით

**1794 წ. 26 მაისი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1234. დედანი. 20,4×15 სმ. ქაღალდი. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ძის გიორგის ჰირი მოსცეს თქვენს ფეხთა მიწა-მტვერს თათრიშვილს ღთისიას.

მერე ამას მოვახსენებ ჩემს ჯელმწიფეს. ჩემის ბატონების სამსახურში დავტყვევდი. უმამულო გახლდი, რომ ჩემს ბატონს ჩემთვის მამული არ მოუცია და არცა მქონია, რომ მამული მეჭამა. იმის სამსახურზე დავიკარგე. შვიდი წელიწადი იქ ჩემ[მ]ა ალამ მიმსახურა. მერე აზატი მიყო და თავისუფლების წიგნი მამცა. გამომისტუმრა თავისი ხარჯითა და თქვენ გიახელ. პირველათ [თ]ქვენც ოქმი მიბოძეთ, ამასთან საქმე არავისა აქვსო. გზამ და ჯაფამ დამასნეულა. თავი ველარ ამიღია სნეულობისაგანა.

ამას ვეუდრები თქვენს ღმრთის მოყვარებასა, ოქმიცა მაქვს თქვენი და ჯარში რა საქმე მაქვს. ერთი უბინაო გახლავარ. საცა ჩემი ყოფნა სჯობდეს, თქვენგან უნდა მებძანოს, უწინ თქვენ გიახელ, მანამ ბინას მიბოძებდე. ერთი ოქმი მებოძოს ამილახვართანა, რომ ჩემთან საქმე არავისა ქონდეს, შენის შვილების სადღეგრძელოთ. მაისის **კბ**, ქორონიკონს **უპბ**.

თავში

ქ. ბატონო ამილახვარო ოთარ! მერე ამ არზით ეს ასე რომ მოუხსენებია, თუ სიტყვა აქვს ვისმე ამ კაცთან, ჩვენ მოგვახსენონ. თუ სიტყვა არავისა აქვს ამ კაცთან და თავისუფალი არის, ეს თქვენ გებარებოდესთ. ნურავის რაზედ შეაწუხებინებთ. კარგათ თვალყური მიუგდევით. ნურც არავის რას წა[ა]რთმევინებთ და ნურც არავის შეაწუხებინებთ. ვისაც სიტყვა ჰქონდეს ამასთან, ჩვენ მოგვახსენონ. თუ არადა, ჩვენ გვეყმო ეს კაცი, საქმე არავისა აქვს. მაისის **კვ**, ქორონიკონს **უპბ**. გიორგი

## 262. არზა იოსებ მაჭავარიანისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1794 წ. 30 მაისი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 34. საბუთი № 148. პირი. ქაღალდი. მხედრული. იქვე, საბუთები №№ 151, 152.

[116v] ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს მათს მონას მაჭავარიანს იოსებს.

მერე ამას მოვახსენებთ ჩემს მოწყალეს ჯელმწიფეს. მოგეხსენებათ, სამი წელიწადია ვჩივი იმ ჩემის ძმის სიკუდილზედ. აბაშიძე ევგენმაც მოგახსენა — საქმე არა მაქვს რაო, თქვენგან მიბარებას მოგახსენებსთ. ჩემო ჯელმწიფევ, თქვენ წაბძანდებით სადმე და ეს საქმე ასე დარჩება.

ამ წყალობას ვითხოვ, ოქმი მებოძოს, ის ჩემის ძმის მკულელები აქ თქვენს სამართალში გა[ა]ხლონ. ჩემო ჯელმწიფევ, ძმა ძმათ მაკლია და კაცები კაცებათ. ღმერთი გაგიმარჯვებს, ამისი სამართალი მაღირსეთ, თქვენის შვილების სადღეგრძელოთ. მაისის **კბ**, ქორონიკონს **უპბ**.

თქვენს დროში უსამართლობა არავის დამართვია და უსამართლობა ნურც მე დამემართება.

თავში

ორბელიანო ეშიკაღასბაშო თამაზ! ამ არზის პატრონის ძმის მკვლელები ევგენ აბაშიძეს აბარია ჩვენგან. ის კაცები ახლავ აქ ჩვენს სამართალში უნდა ჩამოასხას, უამისობა არ იქნება. ევგენს სხვა საქმე არა აქვს რა იმ კაცებთანა; ჩვენგან ჰბარებია და ჩვენვე უნდა მოგვაბაროს, რომ ამ მაჭავარიანს სამართალი უნდა მოსცენ. მაისის **ლ**, ქორონიკონს **უპბ**.

შენ ამაზედ დიდათ ბეჯითი უნდა შეიქნე, რომ ის კაცნი აქ ჩამოაყვანინო და სამართალში ალაპარაკო.

## 263. არზა ერისთვის ქალის მაკრინესი სახლის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1794 წ. 2 ივნისი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 25. საბუთი № 110. პირი. ქაღალდი. მხედრული. ოქმის თარიღი საეჭვოა. რადგან არზაზე ადრე, ცხადია ვერ დაიწერებოდა.

[118] ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს მათს მხევალს ერისთავის ქალს მაკრინას.

თქვენგან წყალობა დამემართა და ჩემის მზითევით დახსნილი სასახლე მებოძა. ეს სასახლე სულხან მდივანთან იყო დაგირავებული ეკლესიის თეთრში ას თუმნათ, ნახევარი დავაგირავე და თეთრი მივეც, ნახევარსაც ახლა ვაგირავებ, მაგრამ თქვენი ოქმი აუღია ედია[ს] შვილსა, რომ სასახლეს ნუ და[ა]გირავებთო.

ჩემო ჯელმწიფე[ვ]! სულხან მდივანი მაწუხებ[ს] და წყალობას ვითხო[ვ] ერთი ოქმი მიბოძოთ, რომ ეს სასახლე დავაგირავო და ეკლესიას თავისი თეთრი მივაბარო. თუ სიტყვ[ა] აქ[ვს] რამ[ე] და ან სადაო, სად გავექცევით, გველაპარაკოს, მაგრამ მგონია, რომ თქვენს სამართალში გადა[v]წყვეტილიც იყოს და გარიგებულიცა. თიბათვის **ბ, ქორონიკონს უპბ.**

თავში

[117v] ჩვენი ბძანება არის. მერე რადგან ეს სახლები მდივან სულხანთან გირაოდ იყო, ახლაც ვისთანაც უნდოდეს, უნდა და[ა]გირაოს და ეკლესი[ი]ს ვალ[ი] გარდიხადოს. და თუ ამასთან სადაო აქვს ვისმეს, სამართალში ელაპარაკოს. და თუ სამართლით შეუვა, სხვა ადგილიდამ უნდა პასუხი გასცეს. თიბათვის **ა, ქორონიკონს უპბ.**

ციცისშვილო ნინიავ! როგორც აქამდისინ სულხანთან იყო გირაოდ, ახლა სხვასთან და[ა]გირავე და ორს დღეზე [118] მდივანს თავისი ვალი შეუსრულე. მასუკან ვისაც სიტყვა ჰქონდეს, ელაპარაკნენ ამ ნინიას და სამართალი მიეცემათ. და სახლი კი უნდა და[ა]გირაოს და ეს ვალი გარდაწყვიტოს. რადგან ოცი წელიწადია რომ ეს საქმე ასე ყოფილა და არავის გილაპარაკიათ, ახლაც ეს ვალი ასე გარდაწყდეს. და მერე რაც სალაპარაკო ჰქონდესთ, ილაპარაკეთ.

## 264. არზა ჯავახიშვილებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1794 წ. 7 ივნისი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 9859. დედანი. ქაღალდი. 24,3×16 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოგვცეს ჯავახიშვილებს თეიმურაზს, გოგიას და ვახუშტის.

მერე ამას მოგახსენებთ: ჩვენი სამკვიდრო მამული მაღალაშვილს ამილბარს გირაოთ ჰქონდა. ჩვენ უჩივლეთ კათალიკოზთან და მდივანბეგებთან. და ის ამილბარიც იქ გახლდათ, რომელიც სიტყვა ჰქონდათ, იმათაც თქვეს და ჩვენცა ვთქვით. სამართალი გვიყვეს. და სამართლის წიგნის ძალით სამართალი გვისაჯეს. განაჩენი დაგვიწერეს და მოგვცეს. თქვენგანაც დამტკიცებული არის ის განაჩენი.

მოსულა ახლა, თქვენთვინ მოუხსენებია: მე იქ სამართალში არ გახლდიო, განაჩენი დაუწერიათ და მუუციათ ჯავახიშვილებისათვინაო. როგორ იქნებოდა ასრე, თუ ეგ იქ სამართალში არა გხლებოდათ, განაჩენს რათ დაგვიწერდენ, ტყუილი მოუხსენებია. განაჩენი აქ გახლავსთ, წაიკითხეთ; ჩვენი მოხსენებაც და იმისი მოხსენებაც ორივ შიგა სწერია. ორნივ ძმანი იქ სამართალში გახლდენ, სხვა კი არავინ ჰყავსთ.

ჩვენო ჯელმწიფევ, ჯარიმათ ეს მოგვირთმევია: თუ ჩვენ გავმტყუნდით, რომ ისინი სამართალში არ ყოფილან, რასაც იმათ თეთრს მისაცემს ვართ, თქვენ მოგვართოთ და მამულიც იმათ დარჩეს. თუ რომ ის გამტყუნდეს, რომ სამართალში იქ იყვნენ, ეს თეთრი რასაც მისაცემს ვართ, თქვენ მოგვართოთ და ჩვენი მამული ჩვენ დაგვნებდეს.

ერთი ოქმი გვიბოძეთ, ან თქვენთან გვალაპარაკეთ და ან მოსამართლეთ უბძანეთ, ეს რაც მოგახსენეთ, გაირჩეს. იქ სამართალში იყვნენ ორნივ ძმანი. თუ არადა, ნება თქვენი სუფევდეს. აქამდინ არ ეყო ის მამული რომ მოიხმარა და ახლა სამართლის ძალით მოცემულს ისევ ამ ტყუილებით გაშლევინებსთ. ივნისის **ზ**, ქორონიკონს **უპბ**.

თავში

ქ. ყორიასაულბაშო ზაალ! ამ არზის პატრონები და ამილბარ სალთხუცესი ჩვენს სამართალში მოიყვანე. მაგრამ რომელსაც სამართლიანი სიტყვა არა ჰქონდეს რა, სჯობს რომ არ ილაპარაკოს, არც ჩვენ შეგვაწუხოს და არც თავისი თავი ტყუილად. ივნისის **ზ**, ქორონიკონს **უპბ**.

ქ. ახლავ გამოგვიცხადებია, ტყუილად ნუ შეგვაწუხებს, თორემ ამ დროში ტყუილად ჩვენს შეწუხებას არ მოუთმენთ და ჯარიმით გარ-დავახდევინებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

## 265. არზა ზურაბ მამუკელაშვილისა მამულის თაობაზე იულონ ბატონიშვილის ოქმით

**1794 წ. 11 ივნისი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 34. საბუთი № 205. პირი. ქაღალდი. მხედრული.

**[151v]** ღმერთმან ბედნიერის ჴელმწიფის **[152]** ძის იულონის ჰირი მოსცეს მამუკელაშვილს ზურაბას.

მერე ამას მოვახსენებ. ურიების დავაზედ როგორც ოცი თუმანი გადამხდა, ისე ოცდაათი თუმანი გამივიდა. ახლა რომ ოცდასამ თუმანს კიდევა მთხოვენ, გებძანებინათ — მამული გაყიდოსო, უჩვენო კაცი ნურავინ იყიდისო.

ახლა ვინცავინ აზნაურშვილი და გლეხი არიან, სულ აქ გახლავან. ყველას უთხარ და ყური არავინ მომიგდო. შვიდი რვა ურია და იასაული შინ მიდგანან, სხვა ილაჯი კი არა მაქვს და შვილებს არც თქვენ დამასყიდვინებთ ურჯულოში. ახლა ხომ მოგეხსენებათ, ილაჯი არსითა მაქვს, ოცდათხუთმეტი თუმანი ვალი მაქვს.

რადგან ეს წყალობა მოიღევით, ეს წყალობა დამემართოს, რომ ვინც შეიძლოს, ის მამული იყიდონ და ამათ პასუხი გავსცე უთქვენ-ოქმოთ არავინ ყიდულობს და ამათი კი ვერავინ იყიდოს.

ღმერთი გაგიმარჯვებს, თუ ამის წყალობა არ მიყავით, იასაულები ცემისა და დაწიოკების მეტს ვერას გამომრჩემვვენ. ამ შეჭირებიდამ დამიხსენ. მთიბათვის **თ**, ქორონიკონს **უპბ**.

თავში

ბატონისშვილი იულონ გიბძანებ თულაშვილო ნინიავ! მერე ეს მამუკელაშვილები თუ გინდოდეს, შენ დაიხსენ; და რაც ამ ურემის საქმეზე ვალი დასდებოდეს, შენ გადაწყვიტე და შენი ყმა იქნება. და თუ არადა, ვისაც უნდა თავი მიყიდოს თავის მამულითა.

მ ა ჩ ა ბ ე ლ ო ლ უ ა რ ს ა ბ! თუ თულაშვილმა ვერ შეიძლოს, ვინც ამან ვაჭარი იშოვნოს, იმასთვის მიაყიდვინე მამული. მთიბათვის ია, ქორონიკონს **უპბ**.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნინია თულაშვილისაგან მამებარა მამუკელაშვილის ვალში ოცდასამი თუმანი და ისევ თითონ დაიხსნა თავის კაცი. ბატონის ბძანებაც ასე იყო.

ბეჭედი: მონა ღთისა მილახვარი ლ უ ა რ ს ა ბ.

## 266. არზა პეტრე ავალიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1794 წ. 15 ივნისი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 50. საბუთი № 102. პირი. ქაღალდი. მხედრული. ოქმის თარიღი მცდარი უნდა იყოს.

[70v] ღმერთმან ბედნიერის ჴელმწიფის ჭირი მოსცეს ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ს ე დ ი ა ს შვილს პ ე ტ რ ე ს.

მერე მოგეხსენებათ, მამაჩემი თქვენს წინ აწყურს მომკვდარა, რომ მე არ მახსომბს და მასუკან სხვათა კარზედ გავიზარდე და თქვენის მოწყალების და საფარვლის მეტი სხვა არავინ არის ჩემი შემწე. სამი თაობა მეტი იქნება, რომ ერთი მამული ვენახი ჩემს მამა-პაპათ ჰქონია და დღესაც მე მქონდა და ამდენს ხანში არავინ გვღავებია.

და დღეს თქვენის უმაღლესობისათვის ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ს ა ნ ტ ო ნ ი ს მოუხსენებია — ჩემი არისო და ოქმი გიბოძებიათ და ჴელი ამიმართა იმ ნავენახობზედ. და მოიმედე ვარ თქვენის მოწყალებისა, რომ უსამართლოთ მე მამული არავინ წამართვას. და მრავლის საქმისაგან თქვენი უმაღლესობა ვერ მოიცლის ჩვენის სამართლისათვის და ამილახვარზედ ერთის ოქმის წყალობა მიყავით, რომ იმან გაშინჯოს ჩვენი საქმე და ღვთის წინაშე სწორე სამართალი მოგვცეს. ღმერთი გაგიმარჯვებსთ. ივნისის **იგ**, ქორონიკონს **უპბ**.

თავში

[70] ბატონო ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ო თ ა ვ ა რ! მერე ამ არზის პატრონი რომ ასე ჩივის, ღვთით ეს ჯარიანობა რომ გარდასწყდეს და გ ო რ ს მიხვიდე, ყოვლად სამღვდელო მროველი იუსტინე და სამითხი გორელი ქეთხუდა შენთან დაისწარ. ეს ორნი მოდავენი ალაპარაკეთ. ამათი სადაო საქმე კარგათ გამოიძიეთ და ღვთის წინაშე რა-

საც მიხვდეთ, ჰეშმარიტი სამართალი საჯეთ, განაჩენი დასწერეთ და ჩვენ მოგვართვით.

თუ ჰეშმარიტს სამართალსა იქთ და ამაზედ სამართალი მოკეცვას ეცდებით, ღვთისაც სასიამოვნო იქნება, ჩვენიც და ჟველანაც მოგიწონებსთ და კარგათ ჩამოგართმევსთ. მთიბათვის **იე**, ქორონიკონს **უპა**.

## 267. არზა ფშაველებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის მიმართ

**1794 წ. 17 ივნისი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 28. საბუთი № 230. პირი. ქაღალდი. მხედრული.

**[179]** ღმერთს [ვ]ფიცა[ვ]თ და თქვენს მზეს მთელი[1] ფშავ[ე]ლი და ხევისბერი და თემის უფროსი. ჩვ[ე]ნო ხელმწიფევ! ჰიჩოვლთ და გაბიდაურთ ფიცის დღეს იქ დავესწარი[თ] თქვ[ე]ნის ბძანებით. განაჩენშიაც ის[ე] აცხადებდა, თქვ[ე]ნის მოძმის დროშით მიჯნა ჩა-[ე]სჯათ. ჰიჩველებმა მეორე დღ[ე]ს ის მიჯნ[ა] ისე ამოყარეს და და-[ა]ქცივ[ეს]. თ[ქ]ვ[ე]ნი ბძანებაც გატეხეს და თქვენი მოძმისაც. ერთობით ფშაველი [v] მოგახ[ს]ენებთ, როგორც თქვ[ე]ნ თოფს არ გესვრით, ისე ამ ფ[იც]ის მოშლა არ შეიძლება[2]. ++++++++++

თავში

ჩვენი ბძანება არის თიანეთის მოურავის შვილო დიმიტრი და ხიმშიაშვილო გიგიავ! მერე გაბიდაურებს და ჯიმშიტაშვილებს როგორც ჩვენგან გასამართლებული განაჩენი უჭირავსთ, ის განაჩენი როგორც აცხადებდეს, თქვენ უნდა მიხვიდეთ და რომელიც ვადა ეწეროს, იმ ვადაზედ ესენი დააფიცო.

თუ შეჰფიცეს როგორც განაჩენში აცხადებს ისე, მაშინ ის მამული ამათ უნდა დაანებოთ. და თუ ისე ვერ შეჰფიცეს, მასუკან ის მამული ისევ წიჩოლებს დარჩება. ეს ასრე უნდა აღასრულოთ. ივნისის **იზ**, ქორონიკონს **უპბ**.

---

1 თელილ. 2 მოშლა არ შეიძლება] მოშლას არ იძლება.

## 268. არზა თურქისტანიშვილებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1794 წ. 24 ივნისი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3642. დედანი. ქაღალდი. 34×15,4 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოველად მოწყალის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს მათ მონათ თ უ რ ქ ი ს ტ ა ნ ი შ ვ ი ლ ე ბ ს.

ჯელმწიფევ, ღმერთი გაგიმარჯვებსთ, ვაშლოვნელთ და ჩვენ სამართალი მოგვეცით. თუთხმეტი წელიწადია მუდამ თქვენის ბედნიერის ოქმით ებძანებათ: ვაშლოვნელნო, ან ნასყიდობის წიგნი აჩვენეთ ან სამართალში მოჰყევით ან და[ა]ნებეთ. ესენი არცერთი არა ქნეს. სამართლიანი ოქმი ბძანეთ — რადგან ესენი არც ერთი არა ქნესო, ის სადაო მიწები ამათ დაანებეთო. იასაულმა დაგვანება. მერე როგორ ძალით წაგვართვეს, ის თითონ იციან.

ამდენი თქვენის მოწყალებით აღზრდილნი მონანი ცრემლით გევედრებით, ვაშლოვნელნი სამართალში მოგვაყოლეთ. იქნება ისინი მართალნი იყვნენ, მაგრამ ძალას რომ იქადიან და საქმითაც აღსრულებენ, ამაზედ დიდათ ვწუხთ; და მწუხარეთ ნუგეშს ჯელმწიფეს მოგმართეთ. ან ახლა გვალაპარაკეთ, და თუ ახლა ჟამი არ იყოს, ერთი ოქმი და იასაული გვიბოძეთ. იმ სადაო მიწის ღალა იასაულმა აიღოს, ერთათ შეინახოს. რომელიც მიწა იმათ დარჩეს, ღალაც იმან წაიღოს, რომ ჩვენ და ვაშლოვნელნი სამართალში გავსწორდეთ და ჩვენი გული აღარა წუხდეს ძალით წართმევას.

ღმერთი მრავალჟამ ბედნიერობით გაცოცხლებსთ, სამართლიანი მოწყალება მოიღევით. იუნისს **კა**, ქორონიკონს **ჳპბ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ს ა გ ი ნ ა შ ვ ი ლ ო ი ს ა კ! მერე ამ არზით თურქისტანიშვილებს რომ ასე მოუხსენებიათ, ამ სადაოს მამულის ღალა სრულებით შენ უნდა აიღო და ერთს ადგილს შეინახო, ვინემდის ამათი სამართალი ჩვენთან გარდასწყდებოდეს. მერე სამართალს რომ გარდავსწყვეტთ, ვისაც ის სადაო მამული დარჩება, სამართლით ის ღალაც იმას მიეცემა. როგორც გვიბძანებია, ასე აღასრულე. ივნისის **კდ**, ქორონიკონს **ჳპბ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯობს ძედ ქახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

ქ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ო  დ ი მ ი ტ რ ი! ამ ოქმით, როგორც გვებძა-
ნოს, ეს ასრე შენ აღასრულე.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფეს-ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

## 269. არზა ალექსიძეებისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1794 წ. 6 ივლისი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 25. საბუთი №-105. პირი. ქაღალდი. მხედრული.

**[114]** ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი ა ლ ე ქ ს ი ძ ე  ე ლ ი ს ე [ს] შვილებს დ ა ვ ი თ ა ს  მღვდელს და ზ ა ა ლ ს  მოგვცეს.

ამას მოვახსენებთ: სამი თვე არის აქ გახლავართ, ორი თქვენი ოქმი ხელთ გვიჭირამს და ვერას გზით სამართალში ვერ მოვიყოლიეთ. თუ ჩვენს საბრალოს სახლში წავალთ, ის კიდევ ოქმს აიღებს და უკან მოგვადევნებს. თუ არადა, ამ დაჭირებაში ვიმყოფებით. თქვენად გასამარჯვებლად, ერთი ასეთის ბეჯითი ოქმის წყალობა გვაღირსეთ, რომ სამართალში გაუვლელათ იმისმა ოქმმა ჩვენზედ აღარ იმოქმედოს. კათათვის ბ, ქორონიკონს **უპბ.**

თავში

ჩვენი ბძანება არის ეშიკაღასბაშო თ ა მ ა ზ! მერე ამ არზით ალექსიძე მღვდელს რომ ასე მოუხსენებია, ამისი მოდავე თოფჩი სამართალში მიაყოლე. და თუ სამართალში არ მიჰყვება, რადგან სამი თვე არის სამართლის კარზედ არის და ჩვენს ოქმს არ დაემორჩილა და სამართალში არ მიჰყვა, თუ ახლაც სამართალში არ მოჰყვა, მერე ვისიც უნდა ოქმი აიღოს, სამართალში გაუვლელად ამ ოქმით დაგვიყენებია. ივლისის ვ, ქორონიკონს **უპბ.**

## 270. არზა დავითა სავანელისა ყმის თაოგაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

**1794 წ. 12 ივლისი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 47. საბუთი № 101. პირი. ქაღალდი. მხედრული. იქვე, საბუთები №№ 98 და 100.

**[70]** ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფე დედოფლის ჭირი გიორგი აბაშიძის კაცს ს ა ვ ა ნ ე ლ ს  დ ა ვ ი თ ა ს  მომცეს.

ჩემო ხელმწიფევ, ჩემი კაცი ველისციხის მოურავთან გახლავსთ. შარშან არზა მოგართვი და ოქმის წყალობა დამემართა, რომ ის ჩემი კაცი ველისციხის მოურავს უნდა აეყარა და მოებარებინა. ჩემის ყმის შვილი მოურავმა მომაბარა და თავდებათაც თვითონ მოურავი დამიდგა, რომ ამ შენს ყმას შემოდგომაზედ მევე აგიყრი და მოგაბარებო.

ამ ზამთარ კიდევ თქვენ მოგახსენე და ოქმი მიბოძეთ მოურავზედ. მოურავი აქ გახლდათ [v] და თავის ძმას სოლომონს წიგნი მისწერა, რომ ბატონის ბძანება არის, ეგ თავისი კაცი თავისი ცოლშვილით აუყარე და მოაბარეო. მიეცა მოურავის ძმასთან და ჩემი კაცი მომაბარა. უნდა წამამეყვანა, ჩუმათ კაცი გააპარა ამ ჩემმა კაცმა და თავის ცოლისძმებს შეატყობინა. იქავ სოლომონთა[ნ] მომიხდნენ, ავათაც მომეპყრნენ და ჩემი კაცი წამართვეს და ცოლ-შვილი ჭიკაანში გაიყვანეს.

ღმერთი გადღეგრძელებსთ, ერთი ბეჯითი ოქმი მიბოძეთ სვიმონ მოურავზედ, რომ ჩემი კაცი თავის ცოლ-შვილით მამაბაროს. რადგან თავდები მოურავი არის, ოქმი ისევ იმაზედ მიბოძეთ. მკათათვის ვ; ქორონიკონს უპბ.

თავში

გავაზის მოურავო რევაზ! მერმე ის სავანელს დავითას ასე რომ მოუხსენებია, სწორეთ ასე არის. ახლავ ეგ კაცი თავისის ცოლშვილით უნდა აჰყარო და სიმონ ველისციხის მოურავს უნდა მოაბარო. მოუბარებლობა არა საქმით არ იქნება, ახლავ უნდა მოაბარო. მკათათვის იბ, ქორონიკონს უპბ.

ამიტომ რომ თავდები ეს არის და ამას სთხოვენ. მანდ ჩვენს მამულში იყოს და ამასა სთხოვდნენ. მიუბარებლობა არ იქნება. ამ სიტყვას სამართლით ვიწერები.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

## 271. არზა იოანე ჯიმშერის შვილისა შემოსავლის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1794 წ. 17 ივლისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 9414. დედანი. ქაღალდი. 26,6×12,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ჯიმშერის შვილს იოანეს.

ყოვლად მოწყალევ ჯელმწიფევ! ორმოცს წელიწადში მიწვა ჩემ[მ]ა სოფელში ცხოვრებამ, რომ მხოლოდ თქვენს მამებრივის მწყალებით ვიზრდები და ჩემის სამკვიდროს მამულიდამ და სახელოდამ არა მომძლევია რა.

ვევედრები თქვენის მეფობის უმაღლესობის ტახტს, რომ თქვენს შვილს გიორგის უბძანოთ წელს ჩემის მამულისა და სახელოების შემოსავალი უბძანოს, რომ მე დამანებონ, რომ მეც სულდგმულმა თქვენი სამსახური შევიძლო. ივლისის **იდ**, ქორონიკონს **უპბ**.

თავში

ქ. ჩვენო ღმრთის წყალობავ შვილო ბატონო გიორგი! მერე ამ არზით იოანე ჯიმშერის შვილი რომ ჩივის, რომ ამდენს ხანში თავის მამულიდამ და სახელოებიდამ არ რგებია რა, წლევანდელი ამათის მამულისა და სახელოების შემოსავალი რაც იყოს, ამისთვის წილი მიაცემინე. მკათათვის **იზ**, ქორონიკონს **უპბ**.

სამართლიანის საქმით, რომ არც ერთს მხარეს უსამართლო არ დაემართოსთ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ ქახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

## 272. არზა იოსებ ბიჭიაშვილისა გამოსაღების თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით

**1794 წ. 17 ივლისი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 8716. დედანი. ქაღალდი. 16,4×10,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნები ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ძის გიორგის ჴირი მო[ს]ცეს ბიჭიაშვილს იოსებსა.

ამას მოვახსენებთ. მოგეხსენებათ მისის უმაღლესობის ბატონის მამის თქვენის წყალობის წიგნებიცა გვაქვს, რომ არაფერი გამოსაღები არა გვეთხოვება რა. და კიდევ მრევენ გა[მო]საღებში.

წყალობას ვითხოვ თქვენის სიმაღლისაგან, ერთი ოქმი მიბოძოთ ქემხაზედა, რომ დამეხსნან, ღმერთი გაგიმარჯვებსთ. იულისის **ივ**, ქორონიკონს **უპბ**.

თავში

ქ. ბატონისშვილი გიორგი გიბრძანებთ ანაგის ქემხავ ზაალ! მერე ამ ბიჭიაშვილს იოსებს მისის უმაღლესობის ბატონის

წყალობის წიგნებიცა აქვს, რომ ყოვლის ხარჯისა და გამოსაღებისაგან განუთავისუფლებია და ჩვენც ამასა გწერთ, რომ ამას, როგორც მისის უმაღლესობის ბატონის ბრძანება არის, ისრე აღუსრულებ და ხუთრასფერს გამოსაღებში და ხარჯში ნუ გარევ. იულისის **იზ**, ქორონიკონს **უპბ**.

გიორგი

## 273. არზა იოსებ ზუმბულიძისა მამულის თაობაზე ანტონ II-ის ოქმით

**1794 წ. 17 ივლისი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 31. საბუთი № 111. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[68v] ღმერთმან საქართველოს პატრიარხის მეფის ძის ჭირი მისცეს თქვენს ყმას იოსებს ზ უ მ ბ უ ლ ი ძ ე ს.

მერე ამას გევედრები ჩემო მოწყალევ! ე ლ ი ო ზ ი ს შ ვ ი ლ ს ა ჩვენი მიწები უჭირავს. ამას წინად მამაჩემიც აქ გახლდა და ოქმი გებოძებინათ ა მ ი ლ ბ ა რ სალთხუცესზედ, უნდა უფროსი კაცებისათვის ეკითხა და სწორე ამბავი მოეხსენებინა თქვენთვის: თუ რომ ჩემი მამული ყოფილიყო მე უნდა მბოძებიყო და თუ არა, ნება თქვენი აღსრულებულიყო.

ჩემო მოწყალევ! ნიადაგ მე და ის კაცი შფოთში ვართ და ვერა ვრიგდებით. ღმერთი გადღეგრძელებს, ერთი გზით მოგვარიგე მე და ის კაცი, რომ ყოველ ჟამს ჩხუბს და შფოთს მოვრჩეთ. წყალობას გევედრები, რომ ერთი ოქმი მიბოძო, მანამ სწორე მოგხსენდეს, ის მიწები არც იმან მოხნას და არც მე. აღიწერა ივლისის **იბ**, ქორონიკონს **უპბ**.

თავში

[68] სახლთუხუცესო ა მ ი ლ ბ ა რ, მოლარეთხუცესო ზ ა ზ ა ვ! ამ არზით ასე რომ მოუხსენებია, მაგ მამულისა ვინც იცოდეს, ღმერთს გაფიცებთ და ჩვენს მადლს: მაგ სოფელში ვინცავინ უფროსნი კაცნი იყვნენ, სწორე და ჭეშმარიტი ათქმევინეთ. [v.] და ვისიც იყოს ეგ მამული, იმას განაჩენიც დაუწერეთ და ეგ მამული იმას და[ა]ნებეთ, ვისიც იყოს. თავეთი სარწმუნოება და ჩვენი მადლი უნდა აფიცოთ და სწორე ათქმევინოთ. იულის[ს] **იზ**, ქორონიკონს **უპბ**. კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი.

## 274. არზა ჯოხაძეებისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1794 წ. 22 ივლისი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 557. დედანი. ქაღალდი. 20,6×13,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მომცეს თიხრეველ ჯოხაძეებს ივანეს, თამაზს და ბეჟანს.

ჩემო მოწყალევ, ამას წინად დავითიშვილი და ზარდიაშვილი ჩვენზე რო[მ] დავობდნენ, თქვენ მოგხსენდათ და სამეფოდ დაგვდევით. ზაზა გაბაშვილსაც უბძანეთ, რომ ის დავთრიდამ ამოგვიღოს და თქვენს დავთარში ჩაგვწეროს; იმას არ მოუშლივართ და იმავე დავთარზე ვწერივართ.

მამული დავითიშვილისა იყო და იმანვე ჩამამართვა. ახლა უბინაო გახლავართ და შემოსაწერიც ისევ ზარდიაშვილისაგან გვეწერება. ღმერთი გადღეგრძელებს, იმათ დავთრიდამ მოაშლევინეთ და თუმცა უბინაონი გახლავართ, რაც შეგვეწერებოდეს, თქვენის დავთრით გვიმსახურეთ და მარადის თქვენად მლოცველად გვამყოფეთ. ივლისის 3, ქორონიკონს უპბ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ჩვენო მდივნებო! ამ არზის პატრონები ჩვენი ყმანი არიან და ჩვენის ყმების დავთარში უნდა დასწეროთ[1], ზარდიაშვილის ყმათ რომ სწერიან, იქიდამ უნდა ამოშალოთ. ზარდიაშვილს ამათთან საქმე არა აქვს რა. რომელნიც მოასილნი მიხვიდოდეთ, თქვენც ასე იცოდეთ; და ზარდიაშვილის ყმობით ნურავინ შეაწუხებთ, თორემ იცოდეთ, დიდად გიწყენთ. მკათათვის კბ, ქორონიკონს უპბ. ალბათ, ალბათ.

ფარეშთხუცესო ფალვენისშვილო თეიმურაზ! ესენი შენთვის მოგვიბარებია. უსამართლოთ არავის გააგლეჯინო. და თუ ვისმე ჭეშმარიტი სიტყვა ჰქონდეს, ჩვენ მოგვახსენოს.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულსა ერეკლე.

---

[1] +დავთარში.

## 275. არზა ხმალაძისა უმოგის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

**1794 წ. 23 აგვისტო**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3623. დედანი. ქაღალდი. 21×16,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან მისის უმაღლესობის ბედნიერის ჯემწიფე დედოფლის ჭირი თქვენს ყმას გომრელს აზნაურშვილს ჯ მ ა ლ ა ძ ე ს მომცეს. ავის დროს მიზეზით როგორათაც ჩვენი მეზობლები აყრილან, აგრევე მამაჩემი და ბიძაჩემი ა რ ა დ ე თ ს თქვენს მამულში გხლებიან. არადეთი რამდონჯერ გაცემულა, მაგრამ ჩვენ თქვენს უმაღლესობას არავისთვის უბოძებივართ. ახლა არადეთი წ ე რ ე თ ე ლ ს რომ უბოძეთ, ამის მიზეზით ჩვენ ი ო რ ა მ ი შ ხ ნ ე ლ ს გამოუთხოვნივართ. თქვენც გიბოძებივ[ა]რთ.

გევედრებით[1] მოწყალება მოიღოთ, თუ გ ო მ ა რ [ე] თ ი უბოძოთ ვისმე, მეც იმას მიმეცით; თუ არა, მე იმ ქვეყნის გამშვები არა ვარ. თუ ღვთით და თქვენის ბედნიაროზით აშენდება, სამნი გახლავართ — ბიძაჩემი ზ უ რ ა ბ ა, ჩემი ძმა ხ მ ა ლ ა და მე და ოცი სული ხიზ[ა]ნი გახლ[ა]ვართ. თქვენს სადიდებლათ ნურვის მიგვცემთ, თქვენს საფარველს ნუ გაგვაშორ[ე]ბთ, თორემ ჩვენი და იმისი ბატონყმობა არ იქნება. აგვისტოს **კა**, ქორონიკონს **უპბ**.

თავში

ქ. იშხნელო იორამ! ეს არზა მოგვართო ამ გომარელმა კაცმა. შენ წაიკითხე ეს არზა და ამისი საჩივარი ისე სცან და ამაზედ ხელი აიღე და ამის მაგიერს სხვას წყალობას გიზამთ. აგვისტოს **კგ**, ქორონიკონს **უპბ**.

ვინც ამისი იასაული ხარ, რაც წაგერთმიოს, ახლავ მიეც. მოუცემლობა არ იქნება.

ბეჭედი: დ ე დ ო ფ ა ლ ი დ ა რ ე ჯ ა ნ.

[1] გავედრებით.

## 276. არზა გერუა ხომასურიძისა მამულის თაობაზე იულონ ბატონიშვილის ოქმით

**1794 წ. 7 სექტემბერი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფ. 1448. საბ. 3963. დედანი. ქაღალდი. 25×14 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ძის იულონის ჭირი მოსცეს ამილახვრის ყმას ხომასურიძე ბერუას.

ქართველობას წვერინასშვილს ჩემთვის დღენახევრის მიწა მოუცია და ალაპი დაუდვია ჩემთვის. მას აქეთ სამი ერისთავი გამოცვლილა და არავინ წამამდევებია. იმ წვერინასშვილის მამულს ოთხი ძირიანი აზნაურშვილი გამოუცვლია, რომ იმათ სჭერიათ, მაგრამ მე კი იმ მიწაზე არავინ წამამდევებია.

ახლა იმერლისშვილი ხოსრო მართმევს და ღმერთი გაგიმარჯვებსთ, სამართალში მალაპარაკეთ. თქვენის ოქმით ჯელიც ამიმართა და ღალაც წამართვა. წყალობას ვითხოვ, რომ სამართალში მალაპარაკოთ. მარიამობისთვის **ლა,** ქორონიკონს **უპბ.**

თავში

ქ. ბატონისშვილი იულონ გიბძანებთ თაყაშვილო რევაზ! მერე ამ არზით ეს ხომასურიძე რომ ასე ჩივის, ეს მოიკითხე და თუ ის მიწა შანშე ერისთვის დროსა, დავით ერისთვის დროსა და შალვასა და ყულარაღაზის დროსა[1] თუ ამ ხომასურიძესა სჭერია, იმერლისშვილს საქმე აღარა ექნება რა ამასთან. თუ რომ და ამაზედ ხომასურიძემ მოწმე[ე]ბი ვერ იშოვნა, იმერლისშვილს გული უნდა აჯეროს ფიცით, რომ ის მიწა კიდეც ამას სჭეროდეს და არც არა საქმე ჰქონდეს იმერლისშვილს. და თუ ამ ხომასურიძეს უნდოდეს, იმერლისშვილს შეუგდოს ფიცი და იმ კვალად იმერლისშვილმა შეფიცოს, რომ არც ამ ერისთავების დროსა სჭეროდეს ის მიწა ამ ხომასურიძესა და არც არა საქმე ჰქონდეს. თუ იმერლისშვილმა ამგვარად გული აჯერა, ხომასურიძეს იმ მიწაში საქმე აღარ ექნება; თუ ვერ აჯერა და მიწა ხომასურიძეს დარჩება. სექდემბრის **ზ,** ქორონიკონს **უპბ.**

ბეჭედი: ტომ-სქესით არ ნაკლისაგან იულონ ირაკლისაგან.

ქ. ჩვენ, იმერლისშვილი ხოსრო და [ა]ნდრია და ხომასურიძე ბერი მიწაზედ ვდაობდით. ბატონისშვილის იულონის **ოქმი**

---

[1] +ის მიწა.

მამიტანა, რომ ხომასურიძეს უნდა დაეფიცნა. მე აღარ დავაფიცე, ამიტომ, რომ ფიცი, არც ჩემთვის სჯობდა და არც იმისთვის. ის მიწა ხომასურიძეს დარჩა ✝ ეს ჩემი ხელია. ✝

ქ. მე, თ უ ლ ა შ ვ ი ლ ი ნ ი ნ ი ა, ამ ზემოწერილს ვემოწმები, რომ ხომასურიძე ფიცამდა და [ა]რ დააფიცა ხოსრომ და მიწა დ[ა]ნება.

ხელრთვა

ქ. მე, რ ე ვ ა ზ ბ ა რ ა თ ა ს შ ვ ი ლ ი, ამ ოქმის ბძანებით იასაული ვიყავ. ფიცი დ[ა]ედო ხომასურიძეს, ფიცავდა და იმერლისშვილმა აღარ და[ა]ფიცა. დარჩა ის მიწა ხომასურიძეს. ღვინობისთვის ზ, ქორონიკონს **უპბ.**

ბეჭედი: მონა ღვთისა რ ე ვ ა ზ.

ქ. მე, მოურავი ლ ო ლ ა ძ ე, ამისი დამწერე და მოწამე ვარ ზემოწერილისა.

## 277. არზა ახატლელთა და ყარაჯალელთა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1794 წ. 9 სექტემბერი

ცსსა. ფონდი. 1449. საბუთი № 818. პირი. ქაღალდი. მხედრული. საბუთის მეორე პირი დაცულია ამავე ფონდში, № 912.

ღმერთმან უმაღლესის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ერთობრივ ახატლელთა და ყარაჯალელთ.

მერე ამას მოვახსენებთ ჩვენს ჯელმწიფეს. დიდი ხანია ამ საქმეზედ თავს გაწყენთ და არ იქნა ჩვენი ერთი ბინა არა დაიდვა რა. სამს სოფელს ა ხ ა ტ ე ლ შ ი ცხოვრება არ შეგვიძლიან, სახნავი აღარ გვიშოვნია და საქონლის ბალახი აღარა გვაქვს და შესავალ-გასავალი. ორი-სამი ოქმი გვაქვს, რომ ქაფანაქჩელთ აღარ უნდა ეხნათ იქ და კიდეც უნდა აყრილიყვნენ. აქამდინ ხუთ-ექვს კომლს კაცს ერთი გუთანი ება. და ახლა ოროლთ შეაბეს გუთანი და ჩვენ აღარ გაგვატარეს ჩვენს მამულში.

ღმერთი გაგიმარჯვებს, ერთის მოწყალებით მოგვხედეთ და ამდენის მწუხარებიდამ დაგვიხსენ. ახატლელნი, ყარაჯალელნი და ქაფანაქჩელნი სამში ერთიც არის, იქიდამ აგვყარეთ, ჩვენ იქ ცხოვრება არ შეგვიძლიან. ახტალელნი ამას მოგახსენებთ, თუ ჩვენის მამულიდამ ჩვენ აუყრელობა დაგვემართება, ყარაჯალელთ რითაც იქნება გაუძ-

ლებთ და კიდეც ვიცხოვრებთ; და ქაფანაქჩელთ გაძლება კი არ შე-
გვიძლიან.

ღმერთი გაგიმარჯვებს, თუ ისინი თქვენის ბრძანებით ცლებიან ჩვენ ავიყრებით ჩვენო ჯელმწიფევ და გავეცლებით სადმე. სეკდემბრის ზ, ქორონიკონს უპბ.

თავში

ჩვენი ბრძანება არის ახატლელნო და ყარაჯალელნო! მერე ამ არ-
ზით რომ ასე მოგიხსენებიათ, ქაფანაქჩელთ მაგ სოფლიდამ აყრა კი-
დეც გვიბრძანებია და ჩვენი ოქმიც გიჭირავსთ, მარამ რომელიც ქა-
ფანაქჩელთ იქ ნაფეტვრები აქვსთ, ახლა იმის წართმევა არ იქნება.
ამ გზობით კიდევ იმათ უნდა მოხნან, მარამ თქვენც ხათრიჯამნი იყა-
ვით და ქაფანაქჩელთაც ასე იცოდნენ, რომ იმათი იქ დგომა აღარ
იქნება. ღვთის მოწყალებით ამ შემოდგომაზედ იქნება თუ ამ ზამთარ,
ჩვენ კახეთს გამოსვლა მოგვიხდება და ქაფანაქჩელთ მაშინ სხვაგან
დავაყენებთ.

ქაფანაქჩელნო ამ ჟამათ თქვენი ნაფეტვრები თქვენვე უნდა დახ-
ნათ, მარამ თქვენი და ამათი ერთად მოთავსება აღარ იქნება; მზას უნ-
და იყვნეთ, რომ როდესაც ამ შემოდგომაზედ მანდ გამოვიდეთ, მა-
შინვე როგორც ჩვენგან გებძანოსთ, ისე აიყარენით და საცა ჩვენ და-
გაყენოთ, იქ უნდა დასდგეთ. ღმრთის მოწყალებით თ ე ლ ა ვ ზ ე დ
ახლო კარგს ალაგს დაგაყენებთ. სეკდემბრის თ, ქორონიკონს უპბ.

ქ. მდივანბეგო ბ ე ჟ ა ნ და მდივანბეგო ო ტ ი ა ვ! ქაფანაქჩელთ
პირობის მუჩალგა უნდა გამოართვათ, რომ ამ ზამთარ კი მანდავ იდგნენ.
მარამ ზამთარი რომ გავა, მაშინ საც[ა] ჩვენ ადგილი ვაჩვენოთ, იქ
უნდა დადგნენ. და თუ ამისთანა მუჩალგა არ მოგცენ, ნულარც ნა-
ფეტვრებს მაახვნევინებ. და თუ ამისთანა მუჩალგა მოგცენ, ნაფეტვრე-
ბი კი მოახვნევინე და სხვა კი არასფრის მოხვნა არ იქნება ქაფან-
აქჩელთაგან.

ჩვენ იმათ, დიახ, კაი ალაგს დავაყენებთ, რომ, დიახ, დიდათ მოეწონოსთ და, დიაღ, ნამეტნავათაც იამოსთ. ჩვენ ქაფანქჩელები კი არ მოგეძულებიან, მარამ ის ქაფანაქჩელნიც რომ იქ დადგნენ, ველარც ისინი დადგებიან და ველარც ისინი; და იქიდამ ყველანი აიყრე-
ბიან, ეგენი შფოთისაგან ვერ მოისვენებენ, არ იქნება. ამისთანა საქ-

მე[ე]ბი არის, თორემ როდის ავყრი მანდიდამ. ერეკლე

## 278. არზა თეიმურაზ ფარეშთხუცესისა მოწმის აცილების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1794 წ. 9 სექტემბერი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 45. საბუთი № 208. პირი. ქაღალდი. მხედრული. არზის თარიღი მცდარი უნდა იყოს.

[134], ღმერთმან ყოვლად უწმინდესის მეფის ძის პატრია[რ]ხის ჭირი ფარეშთხუცეს თ ე ი მ უ რ ა ზ ს მოსცეს.

ხელმწიფე მამის თქვენის რისხვა მჭონდეს და თქვენი, თუ მე რომ შევიტყო, ეკლესი[ი]ს მამული ან ვინდომო და ან მინდოდეს. სწორეთ თქვენ რომ მიბოძოთ ან მაშინ მინდოდეს. ხელმწიფე მამის თქვენის ოქმი მაქვს[1] და ბატონის დედოფლის ხელი ზედ აწერია: გ ი ო რ გ ი ა ბ ა შ ი ძ ე, ე რ ე კ ლ ე ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ი ს შ ვ ი ლ ი, დირბის მოურავი მაქსიმე, თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ნ ი კ ო ლ ო ზ — ამათ დ ი რ ბ ი დ ა მ, ძ ვ ი მ ლ ე თ ი დ ა მ და ა ვ ნ ე ვ ი დ ა მ [v] მცოდნე კაცნი უნდა მოიყვანონ, ერთი ეფისკოპოზიცა, იმ ეფი[ს]კოპოზმა შეჩვენებას ქვეშ შეაგდოს და დ ვ ა ნ შ ი ვისიც მამულია, ჩემი მამულიდამ უნდა გაარჩიონ.

ახლა თქვენს სიწმინდეს ამას ვევედრები: მ ე კ ა რ ი ს შ ვ ი ლ ი მღვდელი ჩემი მტერია, ერთი ოქმი მიბოძოთ. იმას გარდა ვინც უნდოდეს კ ო პ ა ძ ე ს მცოდნე კაცი, ის მოიყვანოს. და რომელიც იმისი მამულია, ღმერთმან მოახმაროს. თქვენც მოგეხსენებათ, მტრის მოწმობა არ დაიჯერება. თქვენი რისხვა არა მაქვს, არცარა იცის, რასაც ჩემი მტრობით არ ლაპარაკობს. ამისი მოწყალება მიყავით, იმისი მოწმობა ჩამამხსენით. მ[ე] ხომ არ დავიჯერებ იმის მოწმობას და არც სამართალი. ამისთვინ გევედრებით, ერთხელვე მოვრჩე დავასა. აგვისტოს კთ, ქორონიკონს უპგ.

თავში

სახლთუხუცესო აბაშიძე გიორგი, ერეკლე ფალავანდისშვილო, დირბის მოურავო მაქსიმე და თუმანიშვილო ნიკოლაოს! ეს თქვენ უნდა გამოიძიოთ ამათ[ი] დავა. თუ მეკარიშვილი ამათი მტერია და მტრობით ცრუმოწმობს, არ დაეჯერება. და სხვათ მოწმე[ე]ბისაგან შეიტყვეთ და წინაშე ღვთისა სწორე მოგვახსენეთ დაიწერა სექდემბერს თ, წელსა ჩლჟდ.

ხელრთვა: კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი.

---

[1] მიმაქ.

## 279. არზა კეტრეშვილებისა მამულის თაობაზე ვახტანგ ბატონიშვილის ოქმით

**1794 წ. 10 სექტემბერი**

საქ. ლიტერატურული მუზეუმი საბ. № 16573. დედანი. ქაღალდი. 17×11 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან მეფის ძის ვახტაგის ჰირი ხანდოვლებს პეტრე შვილებს მოსცეს.

ამას მოგახსენებთ. სახნია ჩვენი სახლისკაცი მამულს შამოგვეცილა და ფირან მოურავმა მიგვაცემინა. ახლა ჩვენ წავედავეთ ერთს მამულზედა, ფიცი დაადვა ფირანმა. მოლარეთ[1] უხუცის სიტყვით ან შეფიცეო და ან მამული დაანებო. არც დაიფიცა და არც მამული დაგვანება. ამ მამულის სათხოვრათ რომ მივედით, დამკრა კეტი თავში და თავი გამიტეხა, და მას უკან ასე ამაჩდა თავში ეს. გასამართლებული მამულიც წართმეული გვაქვს და მაგისი გალახულობით დაშავებული შავიქენი. და ღმერთი გაგიმარჯვებსთ, სამართალი გვაღირსეთ.

თავში

მოურაო იოსებ[1] ამ არზის პატრონი რომ ასე ჩივის, სამი ოთხი ამათი მეზობელი, რომელიც დამსწრე და მახსოვარი იყოს, ისინი მიაყვანინე, თან დაისწარ, კიდევ გამოიძიეთ, კარგა ზედმიწევნით შაიტყევით. თუ გასაყოფად გამოჩნდეს, გაუყავით; და თუ ფიცი გაუჩნდებოდეს, ფიცით გასწმინდონ. და თუ ვერც ერთით ვერ შეიძლოთ, ისევ ჩვენთან ილაპარაკონ. სეკდენბერს ი, ქორონიკონს უპბ.

ბეჭედი: რტოდ ვარ დავითის, მგელ-ლომად ვით ის, ვახტანგ ვამტკიცებ მეფის ძეობით.

## 280. არზა გიგაურებისა მამულის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით

**1794 წ. 21 სექტემბერი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 24. საბუთი № 53. პირი. ქაღალდი. მხედრული.

**[44v]** ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ძის გიორგის ჰირი მოსცეს ერთობლივ გიგაურებს.

---

1 მორალეთ.

მერე ამას მოვახსენებთ: ყმაც თქვენი ვართ და მამულიც თქვენია, მაგრამ იმ თავითვე დათვის გველეთი და წინაპარი ჩვენი არის, მაგრამ ზურაბ ერისთავმა ჩვენ რომ გვყარა, ის მამულიც იქავ გაოხრდა. ერთი ობოლი დაგვრჩა, ფშავში გაზარდა. ჯერ ღმერთსა ვფიცავ და მერე თქვენს მზესა, რომ იმ თავით ამ თავამდინ ამ ობოლთან გაუყრელნი გახლავართ, მამულიც, ხატიც — ყველა საერთო გვაქვს. დღეს აღგილი ნათხო[45]ვართა გვაქვს. ყმა თქვენი ვარ, ისევ ჩემს [მ]კვიდრს მამულს უნდა მოეჭიდო, ფშავნი ხომ სულ იმისაკენ არიან, ხადილასაც ამათ თქვენი მზე აფიცეთ, თუ რომ ამ შამიფიცავს, ესენი მოგახსენებენ. ამას წინა[თ] ...* ველი ნაცვალი ხადილა — ესენი ჩვენი მემიჯნე არიან. მოკითხულობა ქენით და ისე გვისამართლე, ჯულურაც იცის. ენკენისთვის კი, ქორონიკონს უპბ.

თავში

დავით ჯანდარისშვილო! ამ არზით რომ ასე[1] მოუხსენებიათ, ამათი მოწმე[ე]ბი ჯულურა და ხადილა ნაცვალი, დათუნა — ესენი აქ ჩვენთან უნდა მაიყვანო სამართალში. სექტემბრის კა, ქორონიკონს უპბ.

## 281. არზა ჩოლაყაშვილებისა ფილის დადებაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1794 წ. 26 სექტემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 9369. დედანი. ქაღალდი. 30,3×14 სამ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი, მძიმე ან წერტილ-მძიმე.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მომცეს ჩოლაყაშვილს მდივანბეგს დავითს და იოანეს.

თქვენი სიმაღლის ოქმი გვებოძა შარშანაც და წელსაც, რომ ჩუენის ყმებიდამ და თქვენის წყალობის სახელოებიდამ წილი უნდა მოგვცემოდა და არა მოგვცეს რა. ბიძაჩემს ხომ აღარა შეუძლიან რა. ჩვენი ბიძაშვილი დიმიტრი თიანეთისას და ფშავ-ხევსურეთისას არასა გვკითხავს და ერასტი ვეფხვის ციხისას. ჩვენ ხომ

---

* აკლია ორი-სამი სიტყვა.

1 + რომ.

ასრეთნი ობოლნი და ყმაწვილები არა ვართ, რომ იმათ ჩვენზედ ძალი რამ შეეძლოსთ და მოწყალებით წილი რამ გვაძლიონ. და თუ არა გვეკითხება რა, ნურცარას იმათს ბრალს გარდაგვახდევინებს, თქვენს სახელოებში თქვენი სამსახური ჩვენც გვებრძანოს და თუ ავად გმსახუროთ, მაშინ ჩუენც სასჯელის ქვემდებარე ვიქმნებით. სეკდემბერს ე. ქორონიკონს უპბ.

თავში

ქ. ჩვენ მაგიერად თიანეთის მოურავს ქ ა ი ხ ო ს რ ო ს, იმის შვილებს და იმის ძმისწულს ერასტის ასე უამბეთ. მერე ესენი რომ ასე ჩივიან, ღმერთი იწამეთ და მორიგდით ერთმანეთში კარგათ, რომ ღმერთსაც იამოს და კაცთაც მოგიწონონ. და თუ არ მორიგდებით, ჩვენს სამართალში უნდა ჩასცვივდეთ და ჩვენ მოგაშველებთ. და ეს კი ასე იცოდეთ, რომ ჯ ი მ შ ე რ უჸირნახულო კაცი არ იყოს, თავის ოჯახზედ რომ ამათ უსამართლო დაემართოსთ. სეკდემბრის კვ, ქორონიკონს უპბ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

## 282. არზა სოლომონ გეგთაგეგიშვილისა უმოგის თაოგაზე ერეკლე II-ის ოქმით

1794 წ. 27 სექტემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 8807. დედანი. ქაღალდი. 22×16 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს მათს მონას ბ ე გ თ ა ბ ე გ ი ს შ ვ ი ლ ს მდივანს ს ო ლ ო მ ო ნ ს.

თ ა ქ თ ა ქ ი ს შ ვ ი ლ ს არდაშელს ერთი თავდების მღვთისმობლის ყმა ზ ო ზ ი ა ს შ ვ ი ლ ი შემოუტყუებია თავის სამკვიდროს ყმობით მამის ჩემისთვის. თქვენი უმაღლესობა საბრალო მამაჩემს კარგათ იცნობდა, რაც კაცი იყო. შენს მზეს ვჰფიცავ, რომ მამაჩემს რომ სცოდნოდა ეკლესი[ი]ს ყმობა, არას დროს არ ინდომებდა, არც თეთრს დახარჯვევდა. ორმოცდაათი მარჩილი ერთი გაუღია ამ კაცის მამაში ნ ა ხ უ ც რ ი ს შ ვ ი ლ ი ს ი ო ს ე ბ ი ს და შეურთავს და შვიდი თუმანი საქორწილოსა და დასახლებაზედ დაუხარჯავს.

იმდენი შენი წყალობა მომეცეს, რამდენი სხვარიგათაც ეჸირნახულოს ამ კაცზედ მამაჩემსაც და მეც.

ამ მოწყალებას ვითხოვ, რომელიც თაქთაქისშვილის არდაშელის მოადგილე და ვარისი იყვნენ, ამ კაცის სამაგიერო ისევ კაცითვე პასუხი აბოძებინე. ეს კაცი როგორც ეკლესი[ი]სა ყოფილა, ეკლესიასვე მტერი თვას. ამ ვალიდამ მეც გამომიყვანეთ და თქვენც გამობძანდით.

მოწყალებას ვითხოვ, როგორც ქისიყის მოურავს ზაქარიას და ქალაქის მოურავს დავითს სამართალი უყავ, მეც ისე წყალობა დამემართოს, ეკლესიის ყმა — ეკლესიას და მე სამაგიერო მებოძოს. სეკდემბრის კვ, ქორონიკონს უპბ.

ქ. ბასილიძისა და სავანლისთვის მიგიბარებიათ. ჩემს ნასყიდს ყმას იმათ რათ აბარებთ, მე ხომ პირობა მომირთმევია, რასაც წამს ეკლესი[ი]ს ყმები, ვისაც ჰყავს სულ რომ ჩამოართმევთ, თაქთაქისშვილი პასუხს რომ გამცემს, რადგანც ეკლესი[ი]საა — ძირს დავდებ, ამრიგათ ოქმი მიბოძეთ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის აბაშიძე ევგენ! მერე ამ არზით სოლომონ მდივანს რომ ასე მოუხსენებია, თაქთაქისშვილს ყარან მდივნისათვის რომ ზოზიაშვილი მიუყიდნია და ეს ზოზიაშვილი თავდებისა ღვთისმშობლის ყმა თაქთაქისშვილს ესრეთ შეუტყუებია, ყარან მდივანი ასეთი კაცი იყო, რომ თუ იმას სცოდნოდა ამ კაცის ეკლესიის ყმობა, არას გზით არც მოინდომებდა და არც ფასს გაიღებდა. მარამ რადგანც თაქთაქისშვილს თავის მემკვიდრეობით მიუყიდნია, ეს ზოზიაშვილი გაბრიელ თავის ორის შვილით თავდებისა ღვთისმშობელს უნდა მიერთვას და იმის მაგიერი ერთი კომლი კაცი ორი შვილიანი ახლავ თაქთაქისშვილებს უნდა გამოართვა და ამ მდივანს სოლომონს მოსცე. უამისობა არასგზით არ იქნება. ახლავ ასე უნდა აღასრულო. სეკდემბრის კზ, ქორონიკონს უპბ.

თაქთაქისშვილს თუ ჰეშმარიტი სიტყვა ჰქონდეს რამე, ჩვენ უნდა მოგვახსენოს, ჰალბათ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 283. არზა მზეჰაბუკ მდივანბეგის ქვრივისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1794 წ. 11 ოქტომბერი**

ცსსა. ღოჯდი 1450. დავთარი № 18. საბუთი № 47. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[55v] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჰირი მომცეს მზეჰაბუკ მდივანბეგის ქვრივს.

ჩემო ჯელმწიფევ ერთს ჩვენის ყმის ცოლს გერი მოჰყვა და ჩვენთან გახლდა. მერმე ის გერი მარილის ურმები რომ წახდა, იქ დაიკარგა და დატყვევდა. ტყვეობიდამ რომ მოვიდა, ჩვენ გვეწყინა [illegible] ნი შეიქნა. ამისთვის როგორც ბატონის წესი იყო ჩვენის [illegible] კიდეც ვინახევდით, ვაცმევდით და დავაქორწილეთ, საქორწილოც მივეცით, ამისთვის, რომ თქვენი ბრძანების განწესებით ტყვე ვისაც მიუვა, იმისი ყმა იქნება. რადგან ჩვენთან მოვიდა ნატყვევარი, ჩვენც ჩვენი ყმობის გამო ვაძლევდით.

ახლა ქვრიობისა და ოხრობის გამო მესმის, რომ სხვას მისდის ყმად. ეს თქვენმა სამართალმა გამოიძიოს; და ამაზედ ერთი ოქმი მებოძოს, რომ ამისთანას უამზედ ყმობიდამ არ წამოვიდეს და სხვას არ მიუვიდეს. აგვისტოს **ით**, ქორონიკონს **უპბ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის. მერე ამ არზით მზეჭაბუკ მდივანბეგის ქვრივი რომ ასე ჩივის, თუ ვისმე ამაზედ ჭეშმარიტი სიტყვა გაქვსთ, ჩვენთან მოდით და მოგვახსენეთ. თუ არადა, ამას ნუ აწუხებთ, თორემ ჩვენი საწყენი იქნება იცოდეთ. ოკდომბრის **ია**, ქორონიკონს **უპბ**.

## 284. არზა გერი გასილიძისა გამოსალეგის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1794 წ. 29 ოქტომბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 11593. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯემწიფის პირი მოსცეს ომან ხერხეულიძის ყმას ქვემო ხვითელს ბასილიძე ბერს და მის ბიძაშვილებს გლახას, ივანეს და მოსეს[1].

მერე ამას მოვახსენებთ მათს უმაღლესობას. ღმერთმა ამისთანა საქმე თქვენს მტერს მოჰგვაროს, ჩვენ საქმე მოგვივიდა. ამ ზაფხულს ოცდაორის წლის ვაჟი კაცი შვილი მომიკვდა და თაქთაქიანთ კაცებმა არც საყდარში დაგვამარხვინეს და არც საყდარს გარეთ სასაფლაოში. ერთი კარგი ცხენი ვაძლიე საფლავის ფასათ და არა ჰქნეს. მასუკან კიდევ ერთი სტამბოლის თოფი ვაძლიე, ხუთ-ექვს თუმანი ღირს, მაგრამ გარეთაც არ დაგვამარხინეს, საყდრის სიახლოვეს.

წავიღევ და სოფელს გარეთ ერთს მინდორში დავმარხე. ღმერთმა

[1] + მოსცეს.

ისე თქვენი მტერი შეაწუხოს, როგორც ჩემი გული ამან შეაწუხა. და ამის მეტი წამალი ვერა მოვიგონე რა ჩემის თავისათვინა, როგორც იქნება ჩემს თავს გავყიდი და ერთ საყდარს ავაშენებ.

თქვენგან ამის მოწყალების მეტი არა მინდა რა, რომ რაც უბრალო სოფლის ბეგარა მოვიდეს, ან სხვის შველა, ან სხვის უბრალოს კაცის შენობაზე მოჯმარება, ან ჯვნა — ამაში არავინ გაგვრთოს მე და ჩემი ორიოდ სამი ხიზანი. და რომელიც საერთოდ საქვეყნო ხარჯი იქნება, იმაზე კი თავს არ გაწყენთ. ღვინობისთვის კთ, ქორონიკონს უპბ.

თუ წლევანდელი, სუ[რ]სათითც გვეპატივება, ხომ დადი წყალობა იქნება. და თუ არადა, ჩვენი თავი თქვენის ჭირის სანაცვლო იყოს. იმ საყდრის იქ აშენება საუკუნოდ თქვენი მოსახსენებელი იქნება.

თავში

ქ. ჩვენი ბძანებაა, რომელიც წელს სურსათის მოასილნი იმყოფებოდეთ, ამ არზის პატრონის ორის კვამლისათვის საყდრის ასაშენებლად თქვენი შენაწერი სურსათი გვიპატივებია. და როგორც ამ არზით უთხოვნია, ვინემდის საყდარს ააშენებდეს, ამათი არც სოფლის ბეგარასა და არც სხვას საშველად მუშაობაში გარევა არ იქნება. ასე იცოდეთ. ოკტომბრის კთ, ქორონიკონს უპბ.

სურსათი კი საყდარს შევსწირეთ ეკლესიას წლეულობით.

ერეკლე

## 285. არზა გერი რაზმიაშვილისა ვალის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით

1794 წ. 30 ოქტომბერი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 33. საბუთი № 274. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[124] ღმერთმან ბედნიერის მეფის ძის გიორგის ჭირი ელიზბარ დავითიშვილის ყმას რაზმიაშვილს ბერს მოსცეს.

მერე ამას გეუბედრები ჩემო ხემწიფეე, ოთხნი ძმანი გახლავართ, ორი თქვენს საბძანებელში არის, ერთი რუსეთს გახლავთ. თქვენის დოლათით ამ ცოტა ხანში მოველი, ღმერთს ვფიცამ და თქვენს მზესა, რომ ამათს ვალს მე მთხოვენ.

ღმერთი გაგიმარჯვებს. ერთი ოქმის წყალობა მიყაე, რომ იმას თავისი გამოართვან და მე ჩემი. მე ჩემი ბატონიშვილები შესანახავი

მყავს. ღმერთი გაგიმარჯვებს, ამისი წყალობა მიყავ, რომ არავინ შემაწუხოს. ორი პირი ხიზანი თავს მაწევს მარტოხელს კაცსა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავში

[123v] ყოვლად სამღვდელო ბატონო მროველო იუსტინე! მერე ამ არზის პატრონი რომ ასე ჩივის, ამისი საქმე ასრე გაურიგეთ, რომ ამას თავისი გამოართვან ვალი და ამის ძმებს თავათი. მარტო ამას ხომ ვე[რ] გამა[ა]რთმევენ თავის ძმების ვალსა. ასრე გაურიგეთ. ოქდომბერს **ლ**, ქორონიკონს **უპბ**.

რიგიან და სამართლიანად გა[ა]რიგეთ.

## 286. არზა ყორღანაშვილეგის ყმეგის ჭრიგოლასი და საჭუასი ყმოგის თაოგაზე იულონ გაბონიშვილის განჩინეგით

**1794 წ. 11 ნოემბერი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 10. საბუთი № 86. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[ა რ ზ ა]

[91] ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ძის იულონის ჰირი ყორღანაშვილის თავილდარის ფარსადანის და ბიღიანის შვილის გოგიას ყმას ალიხანაშვილს საქუას და სა[ა]კასშვილს გრიგოლს მოგვცეს.

ჩვენი მამები პირველად ბიღიანის ყმანი ყოფილან. ბიღიანს ავთანდილ თავილდრისათვის მიუყიდნია, თავილდარს თავი დაუხნევინებია, თავდახსნილობის წიგნი მამის ჩვენისათვის მიუცემია, მაგრამ პირობა ჰქონიათ — ისევ წყალობის ყმად თავილდრისა[1] და ბიღიანის ყმად ყოფილიყვნენ.

შემდგომად თაყაშვილს დავითს უმაღლესობისათვის მოეხსენებინა მამის ჩვენის ბეითალმობა და უმაღლესობასაც ბეითალმობის მიზეზით დავითისათვის უბოძებია. მისულან მამაჩვენები, თავილდარს და ბიღიანს უმაღლესობისათვის მოუხსენებიათ წყალობის ყმობა და მისი უმაღლესობა ხათრიჯამი შეჭნილა. მამაჩვენები თაყაშვილისათვის ჩამოურთმევია და ბიღიანისთვის და თავილდრისათვის უბოძებია. ჯელმწიფეს წყალობის წიგნი უბოძებია. მამაჩვენებსაც წიგნი მიუ-

[1] +დრისა.

ციათ წყალობის [v] ყმობისა. მას დღეს აქეთ მამაჩვენებიც ყმანი ივ-
ნენ. მამაჩვენებს უკან ჩვენც ყმანი ვიყავით და ვემსახურებოდით.

ჩვენი თავდახსნილობის წიგნები კუმელს აკოფა[illegible] დედისნაცვალს ჰქონდათ. ეშმაკის საფრთხით აკოფამ გვირჩივა: თავ-
დახსნილობის წიგნები ხომ მე მაქვსო, თქვენც ეცადენით წყალობის წიგნი ეგები[ს] ჯელში ჩაიგდო, ეჩმიაძინს შეგწირე, ვის რას სიტყვა აქვსო.

[შე]ვცდი და დაუჯერე, წამოველ ბიღიანის სახლში, ქალი მოვატყუე, წყალობის წიგნი მაჩვენე ხელში, წავართვი[1], წამოვიღე, დავხიე. აკოფას უთხარ: წყალობის წიგნი ჩავიგდე და კიდეც დავხიე მეთქი. წამოვიდა აკოფა თან წამოგვასხა, ტერ-ყაზარასთან მიგვიყვანა, თავდახსნილობის წიგნები მისცა, ჩვენც ეჩმიაძინს შეგვწირა.

ეს საქმე[ე]ბი ეშმაკის საფრთხით და აკოფას რჩევით მოგვიხდა. ახლა ვინანით და დანაშაულზე თავს ვდებთ. უწინაც ამათი ყმანი ვიყავით, ახლაც ამ ფარსადანის და გოგიას ყმანი ვართ. ჩვენი დანაშაული და შეცოდება ღმერთს აპატიეთ და თავს შემოგევლევით. ნოემბერს თ, ქორონიკონს უპბ.

[განჩინება]

[89v] ამ არზის პატრონებს ამ არზით რომ ასე მოუხსენებიათ, ესენი ჩვენთან მოვაყვანინეთ და ვალაპარაკეთ და როგორც ამ არზაში სწერია, ეს ჭეშმარიტი არის, რომ ბიღიანის შვილს ავთანდილს რომ ამ თავილდრის ფარსადანისათვის მიუყიდნია და მას თავი დაუხსნევინებია და მასუკან კიდევ მისულან საქუა შვილი ალიხანა და მისი ბიძაშვილი სა[ა]კა და თავილდრის ფარსადანისათვის და ბიღიანის შვილის ავთანდილისათვის წიგნი მიუციათ და წყალობის ყმად ჰყმობიან და მოჰთაბრის კაცებისათვის დაუბეჭდვინებიათ, რომ ის წიგნები ჩვენც ვნახეთ.

და იმ წიგნის მიცემას უკან ეს კაცნი თაყაშვილს დავითს უთხოვნია მისის უმაღლესობის მეფისათვის, რომ თქვენი ყმა არისო ბეითალმანი[2] და უბოძებია. მასუკან ეს თავილდარი ფარსადან და მისი ბიძაშვილი ავთანდილ მისულან, ბატონისათვის მოუხსენებიათ და თავისი საქმე გაუშინჯვინებიათ და მის უმაღ[90]ლესობას მეფეს თაყაშვილის დავითისათვის ისევ ჩამოურთმევია და თავილდრის ფარსადანისათვის და მის[ი] ბიძაშვილის ავთანდილისათვის უბოძებია და წყალობის წიგნიც უბოძებია.

---

1 +წავართავი.

2 ბეითალმალიმანი.

ახლა საკა შვილი გრიგოლ მისულა ბილიანის შვილის ავთანდილის შვილის გოგიას სახლში. გოგია შინ არ ყოფილა და ამ გოგიას ცოლისთვის უთქომს: ქალბატონო, ბატონმა რომ ჩვენი [illegible] ძათო, ის წიგნი შენ გაქვსო, ერთი წამაკითხეო, როგორ წერიაო. ეს ქალი მოუტყუებია, წიგნი ამოუღებინებია და წაუკითხავს, რომ წაუკითხავს, წასწდომია ჯელში[1] ეს გრიგოლა და ის წყალობის წიგნი მოუტაცნია, წაუღია და დაუხევია.

ეს საქმე ჩვენს სამართალში, დიაღ, მძიმედ აღმოჩნდა. პირველად, თავის ბატონის სახლში ასე მცბიერობით მისვლა; მეორედ, თავის ბატონის ჯელში წაჭიდება[2] დედაკაცისა; მესამედ, თავის ბატონის სახლის დარბევა; მეოთხედ, წიგნის დახევა. ეს ჩვენს სამართალში, დიაღ, მძიმედ აღმოჩნდა და ეს სამართალი განვაჩინეთ. ეს სა[ა]კა და გრიგოლ[v] ორნივ თავის ბატონებს ჯელშეკრულები მიეცით, რაც უნდოდესთ, დარბევათ დაკლებით, ისე გარდა[ა]ხდევინონ და საუკუნოდ ამათის ყმობიდან ვერ გამოელენ.

და ბატონის წყალობის წიგნი რომ მოუტაცნიათ და დაუხევიათ, იმის სამართალს ჩვენ ვერ გავაჩენთ, ნება მათის უმაღლესობისა არის, როგორც ენებებოდეს ისე მოიკითხოს.

მაგრამ ამ ბიჭებთან თუ დაიტანონ ვინმე. რომ ამა და ამ კაცმა მირჩიაო და ბატონის წყალობის წიგნი იმან მომატაცებინაო და დამახევინაო, ამ საქმეში ორნივ თანასწორედ ზიარნი იქნებიან და თანასწორად უნდა დაისაჯნენ. ამიტომ ეს გრიგოლი ყმაწვილი კაცი არის, რათ შეადგა და რათ აცდინა და თავის ბატონის და ხელმწიფის მუხანათობაში რათ შეიყვანა. ნოემბერს **ია**, ქორონიკონს **უპბ**.

ქ. ეს გ ა ნ ა ჩ ე ნ ი რომ დავწერეთ, მასუკან კიდევ მოვაყვანინეთ ეს გრიგოლა ბიჭი და ვკითხეთ, ეს არზა რომ დაგიწერიათ, ეს ჭეშმარიტი არის თუ არა. იმან შემოგვფიცა: მამის შენის მზემან და შენმა მზემან, რომ რაც ამ არზაში დაგვიწერია, ეს ჭეშმარიტი არისა, რომ ამაში ტყუილი არა დაგვიწერიაჳ, არც შიშით და არც ხათრით არ არის დაწერილიო, ისე ჭეშმარიტება დავსწერეთ. და ამ [91] სიტყვაში ჩვენთან სხვანი მრავალნი პატიოსანი გვამნიც იყვნენ და ასე გადასწყდა და დავბეჭდეთ.

ბეჭედი: ღთის მშობლის სასოიანი, ი უ ლ ო ნ დავითიანი.

ქ. საქოას და გრიგოლას ყაბუ[92]ლობით ორჯერ და სამჯერ ასე

---

[1] ყელში. [2] წაჯდება. [3] + არა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კითხვით მე, იოანე თურქისტანიშვილმა დავწერე ეს ზემოხსენებული.

ხელრთვა: იოანე.

საქოას და გიგოლას სიტყვით და ყაბულობით მე, თეთრაძე გაბრიელ, მოწამე ვარ. 

საქუას და გიგოლას ყაბულობით და სიტყვით მე, არუთინა ამათი სიძე, ამისი მოწამე ვარ, ამ არზის მოწამე ვარ. 

საქუას და გრიგოლას ყაბულობით მე, გრიგოლას ოსტატი სულხან ამისი მოწამე ვარ. 

ამისი ასლთან შეფარდებული არის, ეს სავადს მოწმობა მოვაწერე თულაშვილი იოსებმან.

ამისი ასლი ვნახე და ეს სავადის მოვაწერე მე, თულათ საყვამ. †

სავადი ასლთან სწორე ვნახე ფითუანთ ისაიას შვილი აღა. 

ამისი ასლი ვნახე და ეს სავადი დავბეჭდე მე, ბასტამასშვილი სტეფანა. 

სტრიქონნახევარი სომხური ტექსტი †

ამის ასლი თანასწორე ვნახე და ამ სავადში ხელი ჩავრთე მე, ფირყულანთ ნაზარბეგის შვილი გიორგი. 

ამისი ასლი თანასწორე ვნახე და ამ სავადში ხელი ჩავრთევი გურგიბეგიან სტეფან. 

საქოას და გრიგოლას სიტყვით იმ არზაზედ მომეწერა და ახლაც ამ სავადზე მოვაწერე მათის უმაღლესობის მწერალ მთარგმნელ დეკანოზი.

ხელრთვა: ტერ-დავით.

[92] ჭალაქის წახდენაზე ამისი ასლი ორ სამს ადგილას დახეულიყო. იმ ასლიდამ ეს იმისი პირი თანასწორედ გადმოვსწერე, მე, ნე თუქისტანიშვილმა, რადგან უწინაც ეს არზა ჩემგან დაწერილი იყო საქუას და სააკას სიტყვით და ყაბულობით, ის დახეულიყო ორსამს ადგილას ახლაც იმისი პირი მე, იოანემ, ასე დავსწერე. ხელრთვა: იოანე. არშიაზე ზემოთ რომ წაკვეცილი არის, რომელშიაც ეწერა: „არც ხათრით არ არის დაწერილიო“. ეს სიტყვები სტრიქონზე რიგზე იყო დაწერილი, მაგრამ უნებლიედ მოხდომოდათ, წაეკვეცათ. ისევ მევე — იოანეს მომიტანეს, რაც აკლდა შიგ, ისევ მევე ჩავწერე. ამაში ეჭვი ნურავის მოგეცემათ. ხელრთვა: იოანე.

ქ. ამ სამართალში მის უგანათლებულესობას მეფის ძეს იულონთან მე, ხერხეულიძე ლაშქარნივისი ომან იქ დავესწარ. და ის ოქმიც იმ არზაზე რომ მოწერილი არის, ჩემგან დაწერილია, რომ ის საქუა და სა[ა]კა ორნივ თავილდარს ყორღანაშვილს ფარსადანს და ყორღანაშვილს ბიღიანის შვილს გოგიას დარჩათ ყმათა.

ის ასლი ალაგ-ალაგ დახეულიყო, ასლიდამ ეს პირი გადმოეწერათ, ვნახე, მოვაწერე და დავბეჭდე. და ის ასლიც ასეთი დახეული არ არის რომ კარგად არ წაიკითხებოდესთ. მაისის კა, ქორონიკონს უპგ. [□]

ქ. მე, სა[ა]მის შვილმა მდივანბეგმა ზაალ, ამისი ასლი ვნახე და ეს სავადი დავბეჭდე. [□]

ამისი ასლი ვნახე და ეს სავადი დავბეჭდე მდივანბეგმა სოლომონ. [□]

## 287. არზა ზურაბ ხმალაძისა უმოგის თაოგაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

**1794 წ. 18 ნოემბერი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3624. დედანი. ქაღალდი. 20,3×15.8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის დედოფლის ჰირი გომარელს თქვენს ყმა ხმალაძე ზურაბას მოსცეს.

მე არადეთს ხიზნათა ვდგავარ. ახლა ჩემი თავი ჯავახათ მოუხსენებიათ. ჯავახი არა ვარ. მკვიდრი გომარელი, ჩემს ქვეყანაში აზნაურშვილი გახლავარ.

ახლა შევიტყე იშხნელისათვის გიბოძებიათ ჩემი თავი. მოიკითხეთ სომხითს საბარათაშვილოში და ჩვენს მოურავისშვილსაც ნიკოლოზ[ს] ჰკითხეთ. იმანაც კარგათ იცის. თუ მთელს გომარეთს გასცემთ, მეც გამეცით. თუ არა, მამა არ გაცემულა ჩემი და პაპა, ნურც მე გამცემთ. თქვენად სადღეგრძელოთ. გიორგობის **ივ**, ქრონიკონს **უპბ**.

თავში

ქ. ეშიკაღათბაშო ავალისშვილო პეტრე. მერმე ამ არზის პატრონი, ჩვენი ყმა გომარელი ხმალაძე ზურაბა არადეთს ხიზნათა დგას. ეს იქიდამ აიყრება და შენთან მოვა და სანამ ჩვენ მოვიკითხემდეთ, მანამ შენ გებარებოდეს. თვალყური გეჭიროს, უსამართლობა და მძლავრობა არავინ მოინდომოს ამაზედ. ნოემბრის **იწ**, ქრონიკონს **უპბ**.

ქ. ამის ძმისწულებიც ხომ მანდ, ბრეთს არიან ისინიც შენ გებარებოდნენ და თვალყური მიუგდევ და ეს ოქმი რომ წაიკითხო, ისევ ამათ უნდა მოსცე.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

## 288. არზა არუთინა გარხუდარაშვილისა ვალის თაოგაზე ვახტანგ გაბონიშვილის ოქმით

**1794 წ. 24 ნოემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 239. დედანი. ქაღალდი. 21,5×13 სმ. დაზიანებული. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალე მეფის ძის ვახტანგის ჭირი ბირთველის ყმას ბარხუდარაშვილს არუთინას მოსცეს.

მერე ღმერთმან ასე თქვენს მტერსა და მუხანათს გ[ა]უჭიროს საქმე, როგორც მე საქმე გაჭირებული გახლდე. მოხუცებ[უ]ლობა ცალკე მაწუხებს და სიღარიბე ცალკე. და ვისაც ჩემი თითო-ოროლა შაური მართებს. უიასაულოდ არას იძლევებიან.

ღმერთი გაგაძლიერებს, შემიბრალეთ და ერთი ბეჯითი ოქმი [მი]ბო]ძეთ, რომ სამართლიანის საქმით ჩე[მი ვისაც რა მა]რთ[ებს, გამომირთოს და მომცენ. გიორ]გობას **კგ**, [ქრონიკონს] **უპბ**.

მეც სხვისა მმართებს და მოვალეები მაწუხებენ.

თავში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. ეშიკაღათბაშო ა ღ ა თ ო ნ ი კ ე! მერე ბ ი რ თ ვ ე ლ ი ს ყმაც ამ არზით რომ ასე მოუხსენებია, ამას ერთი ბეჯითი კაცი უჩინე და ვისაც ამისი რამ ემა[რთოს], თ[ა]ვისის სარგებლითა და სამართლიანი[ს] [სა]ქმით გამოურთვას და ამას თავ[ისი] ჰაყი სრულყოფით მოაბაროს. და თუ ვისმე ჭეშმარიტი სიტყუა რამ ჰქონდესთ, ჩვენს [სა]მართალში მოჰყუნე[ნ] და ელაპარაკნენ. ნოემ[ბ]რის **კდ**, ქორონიკონს **უპბ**.

ბეჭედი: რტოდ ვარ დავითის, მგელ-ლომად ვით ის, ვ ა ხ ტ ა ნ გ ვამტკიცებ მეფის ძეობით.

## 289. არზა კლიმიაშვილის ქვრივ-ობლისა გეგრის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1794 წ. 26 ნოემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 706. დედანი. ქაღალდი. 34,8×15,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია მძიმე ან წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჭირი მოსცეს კ ლ ი მ ი ა ს შ ვ ი ლ ი ს ქურივსა და ობლებს.

მერმე ამას მოვახსენებთ ჩვენს ხემწიფეს: ციციანი რომ გაიყარნენ, ჩვენ ნ ი კ ო ლ ა ო ზ ც ი ც ი ს შ ვ ი ლ ს ვერგენით, ჩვენი საჯლისკაცები იმის საჯლისკაცებს ერგნენ. რა იმის კერძათ გავხდით, რალაც ორიოთ კომლი კაცი გუყავს, მუდამდღე აწუხებს და ამას ეუბნება, ბატონს თქვენს თქვენთან საქმე არა აქვს, მე უნდა მემსახურნეთ. რაც ის უსამართლოდ გამოართუა, ის მოვითმინეთ. ახლა რაც იმათ ან კულუხი და ან ბეგარა პურისაც ზოგი ჩვენ მივეცით და ზოგი იმან გამოართუა და წაიღო. რაც ბეითალმანი მამული გვეჭირა, ნაქრთამები გვქონდა, ისიც გამოგუართვა, თვითან უჭირავს.

მოწყალევ ხემწიფევ, გევედრებით, საქართველოში, დიაღ, მრავალი აზნაურისშვილი გახლავს, რაც ბეგარა და სამსაჯური ედვას, მეც ისე მიმსახუროს. თუ იმასაც არ დასჯერდეს, ჩვენი საჯლისკაცები იმის საჯლისკაცებს ჰყავს ან იმათ წაბაძოს და ისე მიმსაჯუროს. ქურივისა და ობლის[1] მოწყალებისა და ნუგეშის მაგიერად ყმა და მამული ჩამამართუა და თვითან იმსაჯურებს.

ღმერთი გაგიმარჯვებს, ქურივისა და ობლის მოწყალე ბძანდებით,

[1] ოფლის.

ამისი სამართალი მაღირსე, ღმერთი გაგიმარჯვებს და ბარწყინვალე შვილებს გიდღეგრძელებს. ნოემბერს ა, ქორონიკონს უპ[ბ].

თავში

ქ. ჩვენ მაგიერად ნიკოლოზ ციციშვილს ასე უამბეთ. მერე ამ არზით ქვრივი და ობოლი რომ გიჩივის, ესენი შენი ყმანი არიან, მარა აზნაურიშვილები არიან. სამართალი არ არის, რომ ამათ ურიგოს სამსახურით აწუხებდე. შენს სახლისკაცებსაცა ჰყავსთ აზნაურშვილები, როგორც ისინი ექცეოდნენ და იმსახურებდნენ, შენც ისე მოექეც და იმსახურე. დაუნაშავებლად ყმასა და მამულს რომ ართმევ და ამათს გლეხკაცს შენ იმსახურებ, იმათ რიღათ უნდა იცხოვრონ, სამართლიანად მოეკეც; როგორც აზნაურშვილობის რიგი იყოს, იმ წესით იმსახურე, უსამართლობით ნამეტნავს ნურას მოინდომებ, თორემ თუ კიდევ შემოგვჩივლეს, დიდათ გვაწყენინებ იცოდე. ნოემბერს კვ, ქორონიკონს უპბ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 290. არზა ფარსადანისა ულუფის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1794 წ. 27 ნოემბერი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 5652. დედანი. ქაღალდი. 21×10 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს სარაიდარს ფარსადანს.

ჩემო ჯელმწიფევ! მე[ე]ქვსე წელიწადი არის, რომ ჩემთვის სარაიდრობა გიბოძებიათ. ღმერთსა ვფიცავ და შენს ძელს ჰეშმარიტსა, რომ ერთი სტილი ფქვილის ულუფა არა მბოძებია. თქვენი განწესებული ულუფა გექონდა, მაგრამ ახლა აღარა მეძლევა რა. თუ რომ ერთი რამ ნაკლებობა ამ ჩემს სახელოში მამსლოდეს, მოვხსენდებოდა.

გევედრები, ღმერთი გაგიმარჯვებს, რაც რო[მ] ჩემის ამხანაგის სარაიდრის სტეფანესათვის წყალობა გიქნიათ, მეც მებოძოს. ნოენბერს კა, ქორონიკონს უპბ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის მოხელე[ე]ბო და ნაზირებო! მერმე ამ არზით რომ ასე მოუხსენებია, რაც სარაიდარს სტეფანეს ულუფა ჰქონდეს, ამასაც მოეცით. ნოემბრის კზ, ქორონიკონს უპბ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 291. არზა ზაალ დავითისშვილისა სასისხლო სჯისჯზე ერეკლე II-ის ოქმით

1794 წ. 28 ნოემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 552. დედანი. ქაღალდი. 20,3×8,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჭირი მათს მონას დავითიშვილს ზაალს მოსცეს. მერმე ამას მოვახსენებ ჩემს მოწყალეს: ერთი ოქმი მებოძოს ზაზა ამირეჯიბზე, რომ ვინც შემორიგებული ოსი და მძევალში გატეხილი ჩემს ამოწყვეტასა და აკლებაში ყოფილიყოს, ის დავიჭიროთ, საცა დავახელოთ ან იმისი ნათესავი სახლისკაცი, რომელიც დავახელოთ და შემშარიტი შევიტყოთ, ზაზამ და[ა]ხელოს, თუ მე დავიჭირო ჩემი მესისხლე, არავინ დაგვიშალოს, ღმერთი გაგიმარჯვებს. ნოემბერს კბ, ქორონიკონს უპბ.

თავში

ქ. ამირეჯიბო მინბაშო ზაზავ! როგორც ამ დავითიშვილს მოუხსენებია, სადაც ამისი მოსისხლე დაახელოთ შენ თუ ამათ, ან იმისი ნათესავი და ან სახლისკაცი დაახელოთ, დაიჭირეთ და დავითიშვილს მოაბარეთ. ნოემბრის კჱ, ქორონიკონს უპბ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 292. არზა ზურაბა ულუკიაშვილისა ყმობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1794 წ. 1 დეკემბერი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 50. საბუთი № 191. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[113] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს გორელს დავრიშაშვილ[ი]ს ყმას ულუპიაშვილს თოფჩს ზურაბას.

მერმე ამას მოვახსენებთ. გორელებს რომ თოფჩები შა[ა]ერეთ, გორელებმა ჩ[ე]მი თავი გა[ა]ხლეს თოფჩათა. თორმეტი წელიწადია თქვენს სამსახურში გახლავარ. ის ბატონი ჩემი ჩემზედ ხელს არ

იღებს — მეც უნდა მემსახურო და ბატონსაცაო. ერთის კაცისაგან როგორ შეიძლება ორს ალაგს სამსახური.

მოწყალებას გევედრები, თუ თქვენი სამსახური შამეძლოს და გამოსაყენებელი ვიყო, იმ კაცს ხელი ა[ა]ღებინეთ და თქვენ მიმსახურეთ. თუ არადა, დამითხოვეთ, წავალ და როგორც აქამდინ მიმსახურნია იმ კაცისათვინ, ისევ ისრე ვემსახურები იმ კაცსა. ღმერთი გაგამარჯვებს. გიორგობისთვის **ია**, ქორონიკონს **უპბ**.

თავში

ჩვენი ბძანება არის გორის მამასახლისო კაჭკაჭიშვილო მიქელ და გორის ქეთხუდებო!

მერე ამ არზის პატრონი ამ არზით რომ ასე ჩივის, ამას ზოგს თქვენ უნდა შე[ე]წივნეთ, ზოგს თითონ გაისარჯოს და ზოგს ჩვენ უზამთ წყალობას, თუ თავის ბატონს რაზს გახდის, რომ თავი დაახსნევინოს, რომ ჩვენს სახასოს ყმათ დადგეს. დეკემბერს **ა**, ქორონიკონს **უპბ**.

ამან ასე მოგვახსენა და ჩვენც ამისთვის მოვიწერენით ეს ოქმი, თორემ არ მოვიწერებოდით.

## 293. არზა ქეთევან ამირეჯიბისა ყმის თაოგაზე ერეკლე II-ის ოქმით

1794 წ. 8 დეკემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd :0544. დედანი. ქაღალდი. 27,5×13,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. ა-ნაკლული.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ჯელმწიფის ჭირი მათ მხევალს ამირეჯიბის სახლობას ქეთევანს მოსცეს.

ჩემო ხემწიფევ, წინაზედაც გაწყინე თავი და [ა]რზ[ი] მოგართვი, მაგრამ არაფერი პასუხი მებძანა. დიაღ, ვიშიშვი და ვიკრძალვი თქვენს თავის წყენას, მაგრამ რა ვქნა, მრავალი მწუხარება და ამ ჩემის შვილების საცოდაობა მაბედვინებს. ეს ამთონი ხანია ბასანიძე ზურაბზედ თავს გაწყენთ, ის კაცი გაუყოფელი გახლავსთ, თქვენი წყალობა ოქმი უწინ თქვენს ყმას ებოძა.

შარშან ძმებმა ილაპარაკეს თქვენი ბძანებით მდივანბეგებთან და ასე უსაჯეს მზეჭაბუკ და სხვათ მსაჯულთ, რომ ცხრა თუმანი იმ ჩემს მაზლზედ და მაზლის წულზედ იყო თიღვის[1] დანახარჯი ჩვენ-

[1] თიყვის.

გან. იმ თეთრის მაგიერათ ის კაცი ჩვენ გვებოძა, რომ განაჩენიც გვაქვს და თქვენგან დამტკიცებულიც არის. ჩემო ხემწიფევ, ის კაცი თქვენმა ყმამ და ჩემ[მა] შვილებმა მე მომცეს, რომ შენს მზეს ვფიცავ, რომ ის დანახარჯი თეთრი ჩემის დედ-მამის მონაცემი მზითვისა იყო.

ახლა ამ შემოდგომაზედ თქვენთვის სხვარიგათ გაუშინჯვებიათ და ოქმი გიბოძებიათ და ხელი აუმართამსთ. თქვენი ყმა ხომ იქ თქვენს სამსახურზედ გახლავსთ და საცოდავი ყმაწვილები მუდამ შფოთში ჰყავს. და ამ მოწყალებას გევედრები, რომ ის კაცი თქვენგანც მე მებოძოს, რომ ჩემს სასამსახუროთ მინდოდა. მე აქ თქვენს კარზედ ვგდივარ მწარეთ შეწუხებული. ღმერთმან თქვენი რისხვა მომცეს, თუ ერთი ბიჭ[ი] მე მყვანდეს, რომ წყალი მომაწოდოს და ჩემს შვილებს დავაშავინო ჩემის ცოდვით.

მუდამ თქვენს სიმაღლეს ვაწუხებთ, რომ არ იქნა ამათი გასწორება, მუდამ შეწუხებაში ვართ იმ ჩემის მაზლისაგან. ჰეშმარიტებას და თქვენს მზეს ვფიცამ, რომ ამაში ერთი ტყუილი არ ურევია და მრავალი მწუხარებაც გვაქვს იმისგან. ვევედრები თქვენს სიმაღლეს, რომ ეს კაცი ისევ მე მებოძოს და არ მომეშალოს. ღმერთი უმეტესათ აღგამაღლებს. შეწუხებულის გულით მოგახსენებ და ნუგეში მეცით, თუ არადა, მოხსენებისათვის ნუ შემრისხამთ. ნოემბრის კგ, ქორონიკონს უპბ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ავალისშვილი ანტონი! მერე ამ არზის პატრონი რომ ასე ჩივის, როგორც განაჩენი უცხადებდეს ან თავის[ი] კაცი მიაცემინე და ან თავის დანახარჯი. ეს ასე უნდა აღასრულო. დეკემბრის ჱ, ქორონიკონს უპბ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 294. არზა დავითბარეჯის არქიმანდრიტის თეოდოსისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1794 წ. 9 დეკემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 386. დედანი. ქაღალდი. 33×15 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ხელმწიფის ჭირი მომცეს თქვენს მლოცველს დავით-გარესჯის არქიმანდრიტს თეოდოსის.

ჩემო ხელმწიფევ, დიაღ, მოვხუცდი და ყოველთვის თქვენს ხლებას ვეღარ შევიძლეფ. და რომელიც ჩემი მოხსენება იყოს, მოისმინეთ. ვანთის საქმეზედ წინაზედაც ოქმი გვებოძა მდივანბეგებისა და იმათს მოხელე[ე]ბზედ, რომ მამულები უნდა გაერჩიათ. და კიდევ გეედრებით, რომ გამიახლეთ და ერთი მაგარი ოქმი მიბოძეთ მდივანბეგებზედ და იმათ მოხელე[ე]ბზედ და უფროს კაცებზედ, რომ რაც მონასტრის მამული იყოს, გაგვირჩიონ და მოგვაბაროონ.

ეს ამისთვის მოგახსენეთ, ჩემო ხელმწიფევ, რომ ის ვანთელებიც იხვეწებიან, გაგვირჩიეთო, ვეღარ გვიმუშავნიაო, რომ მასუკან გა[ა]რჩიონ და თქვენ დაგრჩესთ, ეს არ გვინდაო. ჩემი მოხსენება ეს არის და ნება თქვენი სიმაღლისა იყოს. დეკენბერს თ, ქორონიკონს უპბ.

თავში

ქ. უფალნო კახეთის მსაჯულნო! ამ არზით თეოდოსი წინამძღვარს რომ ასე მოუხსენებია, თქვენ უნდა ვანთას მიხვიდეთ, იმათი მოურავი და უფროს-უფროსი კაცნიც იქ დაისწრათ და სამართლიანის საქმით მონასტრის მამული გაარჩიოთ და ამათ მოაბაროთ.

ღვთის წინაშე ამაზედ სწორედ მოიქეცით და მონასტრის მამული გაურჩიეთ, გაურჩეველს ნუღარ დააგდებთ. დეკემბერს თ, ქორონიკონს უპბ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 295. არზა გიორგი ცეკუაშვილისა აზნაურობის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1794 წ. 22 დეკემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 8902. დეღანი. ქაღალდი. 33,8×14,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნები ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან მისის უმაღლესობის ბედნიერის ჯემწიფე დედოფლის ჰირი ოდიშის სენ[ა]კის მსახლობელს[1] ცეკუაშვილს გიორგის მომცეს.

ნეტარად ხსენებულმა თქვენმა ძმამ კაცია დადიანმა ფოთს მხევლათ მიმცა ობლობით. პატრონი არავინ მყვანდა მომკითხავი. ერთს წელიწ[ად]ს უკან სტამბოლს გამიყვანეს და გამყიდეს ოსმალთ. იქიდამ ყოვლად მოწყალის ჯემწიფის ელჩი რომ მოვი-

[1] მსახწობელს.

და სტამბოლს, ჩემს აღას გამოვექეც. მოველ ელჩთან, ელჩმა რუსეთს გამომისტუმრა. მოსდოგს გიახელ, ცოლი შევირთე, აქი თორმეტი წელიწადი იქ დაეყავ. თქვენი შვილი პატრიაქმა ბუხიდამ რომ მობძანდა, ავიყარე ცოლ-შვილით, თან გადმოვყევ. თავი სვეტ-ცხოველს შევწირე. პატრიაქმა მიბძანა, საცა გერჩივნოს, ადგილი გამოირჩიე, იქ დადექო. უშიშარი ალაგი რომ იყო, დუშეთს დავდეგ. თუ რამ ღვთის წყალობა მჭირდა, სახლი გავაკეთე, დავბინ[ა]ვდი. იქიდამ ცოლი რომ გადმამყვა, ისიც თქვენის ჭირის სანაცვლო შეიქნა. ქალიც მომიკვდა. ორი ობოლი ვაჟი დამრჩა. თუ რ[ა]მ მჭონდა, დამეხ[ა]რჯა. ღმერთს ვფიც[ა]ვ, ვალიც დამედო.

ჩემი ხვეწნა და ვედრება ეს არის ჩემო ჯემწიფევ, ჩემი ზემომოხსენებული გვარი თქვენც მოგეხსენებათ, ოდიშის აზნაურშვილი ვარ, აქ ჩემი აზნაურშვილობა არავინ იცის. თქვენს უმაღლესობას ვევედრები თუცა ამთონი სიღარიბე და ტყვეობა გავწიე, ჩემი გვარი და აზნაურშვილობა არ დამეკარგოს. თქვენი სამკვიდრო აზნაურშვილი გახლ[ა]ვარ.. თქვენგანვე მოწყალებას ვითხოვ, აქაც აზნაურშვილათ გამომაცხადოთ. დეკემბერს **ივ,** ქორონიკონს **უპბ.**

თავში

ქ. ჩვენ, საქართველოს დედოფალი, დადიანის ასული დარეჯან, ამას ასე ვმოწმობთ, რომ ეს აზნაურშვილია, როგორც ჩვენის ბიძაშვილის გიორგი დადიანის შვილის აზნაურს შვილებს უმოწმებიათ, ჩვენც ისე ვმოწმობთ. ამათ კარგათ ეცოდინებათ. დეკენბრის **კბ,** ქორონიკონს **უპბ.**

ჩვენ ამას ცალკე ოქმს მივცემდით, მაგრამ ჩვენის ბიძაშვილის აზნაურშვილების ხელმოწერილი არის ეს არზა. ამათ ჩვენ ვიცით, რომ ჭეშმარიტი ეცოდინებათ და ამისის გულისათვის მოუწერეთ არზაზე ხელი.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

verso

ქ. რადგან დედოფალს დარეჯანს ხელი მოუწერია ამის აზნაურშვილობაზე, ამისი ბატონიშვილი არის და კარგად ეცოდინებოდა, ამის აზნაურშვილობას ჩვენც ვემოწმებით. ეს ცეკვაშვილი გიორგი ყველამ აზნაურშვილათ მიიღევით. დეკემბერს **კბ,** ქორონიკონს **უპბ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

ქ. როგორათაც იმის უმაღლესობას დედოფალს უმოწმებია, ჩვენც ასე ვმოწმობთ, რომ ეს ოდიშის[1] აზნაურშვილი არის. დეკენბერს **კბ**, ქორონიკონს **უპბ**.

ხელრთვა კათალიკოზი.

ქ. ჩვენ, მეფის ძე ვახტანგ, ამ წიგნს ვამტკიცებთ. იანვრის **იე**, ქორონიკონს **უპბ**.

ბეჭედი: რტოდ ვარ დავითის, მგელ-ლომად ვით ის, ვახტანგ ვამტკიცებ მეფის ძეობით.

ქ. ღვთის წინაშე ჩვენ, გიორგი დადიანის შვილის კაცნი ქაიხოსრო და როსტომ ამას ვმოწმობთ, რომ ოდიშს ცეკვა-შვილი აზნაურშვილი არის, კარგი მამაპაპით.

## 296. არზა გულგულელთა მამულის თაობაზე ანტონ II-ის ოქმით

**1794 წ. 23 დეკემბერი**

ცსსა. ფონდი 1449. საბუთი № 2139. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან მათის უწმინდესობის საქართველოს პატრიარხის ჰირი მოსცეთ ერთობით გულგულელთა.

ნიადაგ მგალობლისშვილებისაგან შფოთისაგან ილაჯი არა გვაქვს ფაცრის თაობაზედა. ზენონ ალავერდელი გახლდათ, მაშინ ვიჩივლეთ. რაც აზნაურისშვილები იყო საყდრიონისა და ან მახსოვრები, სამართალში უნდა მოგვყოლოდნენ და არ მოგვყვნენ. შემდგომ იმისსა ხა[რ]ჭაშნელი გახლდათ, ვიჩივლეთ; კიდევ სამართალში მოუწოდეს და არ მოვიდნენ. ნიკოლოზ ალავერდელი იყო, მაშინ ვილაპარაკეთ და არც მაშინ იკადრეს სამართალში მოსულიყვნენ. და ახლა თქვენა ბრძანდებით.

ღმერთმან თქვენი ლოცვა და კურთხევა საქართველოს ნუ მოაკლოს, ქართლისა და კახეთის მბრძანებელი თქვენა ბრძანდებით, სულიერად ხახულისა ღმრთისმშობელიც თქვენი არის; და ჭეყანასა ჩვენს სამკვიდროს მამულებსა და მიჯნას გარდახდომით გვედავებიან ხახულისა ღმრთისმშობლის მამულსა და საფაცრესა.

ჩვენი პატრონი და სულიერი ჯელმწიფეც ბრძანდებით და სრულიად საქართველოსი. სამართალში გველაპარაკნენ და გაგვამტყუნონ და ერთხელ ამთენს შფოთს მოგვარჩინონ. ერთი დიდი შფოთი და

[1] ოდიშის.

სიკვდილი არ მოგვიხდეს. ყოველთ ქართველთა და კახთ შამა ბრძანდებით, ვალი გაქვსთ ამ შფოთისაგან და სიკვდილისაგან დაგვიხსნათ. ჩვენს თავს ნიადაგ თქვენ გაბეზღებენ. და ჩვენა ვართ მტყუანი-თუ რისანი ღმრთის მეტი ვერავინ სცნობს. ორთავ სწორად სამართლით, მოწყალებით მოგვხედეთ, სამართალში გვალაპარაკეთ და რომელიც გამტყუნდეს, გარდაგვხდეს. დეკენბერს კა, ქორონიკონს უპბ.

თავში

ქ. სახლთხუცესო გლახავ და მდივანო დავით! ამ არზის პატრონები რომ ასე ჩივიან, რატომ არ მოსდევთ. სამართალში თქვენც ჩამოდით, ახატლის გუჯარიც ჩამოიტანეთ და ესენიც ჩამოვიდნენ, თავისი გუჯარი ჩამოიტანონ და სამართალში ილაპარაკეთ და მოშველდით ერთმანეთს. დეკენბრის კგ, ქორონიკონს უპბ.

ხელრთვა: კათალიკოზი.

## 297. არზა ნაფარეულელებისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1794 წ. 31 დეკემბერი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3029. დედანი. ქაღალდი. 21×13 სმ მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. არზის თარიღი მცდარია, რადგან ერეკლე II ამ დროს უკვე გარდაცვლილია.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჴელმწიფის ჰირი მოსცეს ერთობით ნაფარეულელთა.

მერე ამას მოვახსენებთ თქვენს ბედნიერობასა. ოთხი საპალნე ღვინო შემოუწერიათ და რვა თუნგი არაყი. ნახევარს კაცს ერთი ვაზი არ დაურგავს და კიდევ სამი ოქრო ნახევარი შემოუწერიათ შილდისა და ყვარელის. სწორად მოხელე[ე]ბი ჯაბრში გვიდგანან. ამას გარდა თქვენს ბედნიერს თვალს უნახავს, როგო[რ]ი საკირე არის. მოურავი შიგა გვიდგს და გვამუშავებს და არცავინ გარშემო ჩვენი მეზობლები სოფლები გვეშველებიან. ზაფხულ-ზამთარ ციხის შენება ჩვენ დაგვედვა, დიაღ, შევწუხდით.

ერთს ამას გევედრებით, ლალისყური და ართანა შემოგვა[წ]იოთ, ერთი საკირე დაგვიწვან.

მეორე ამ მოწყალებას ვითხოვთ, რომ საკირის კლდის ქვის საჭც[ე]ვლად რკინა გვიბოძოთ, წერაქვები დავაკეთებინოთ. უწერაქ[ვ]ოდ აღარა გა[ე]წყორა, რომ ვეღარას ძალას ვატანთ. და თუ არავინ მოგვეხმარა, ჩვენ არ შეგვიძლიან მარტოკა.

და მესამეს ამას გევედრებით, ამთენს მუშაობაში და შეჭირვებაში გახლავართ. ეს შემოწერილი ღვინოცა და ხარჯიც თქვენს მოწყალებით გვეპატიოს და რაც შეგვიძლიან ამ ციხეზედ ვიმუშაოთ.

ღმერთი გაგიმარჯვებს, თქვენმა ბედნიერობამ გასინჯოს და ისე წყალობით მიგვხედოს. დეკენბრის **კზ**, ქორონიკონს **უპზ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის! მერმე ამ არზის პატრონებისათვის ორი საპალნე ღვინო და ერთი ოქრო და ნახევარი კი გვიპატივებია და სხვა დანარჩომი კი უნდა მოგვცენ. დეკემბერს **ლა**, ქორონიკონს **უპბ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 298. არზა თომა მღვიმეთხუციშვილისა სარგოს თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1795 წ. 11 იანვარი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 410. დედანი. ქაღალდი. 17,7×10,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს თომა მღვიმეთხუციშვილს.

ჩემო ჯელმწიფევ, თქვენი შვილი იულონ რომ ოსებში გაისტუმრეთ და იქა ბძანდებოდა, რომელიც დასაქცევი ციხე იყო, ხომ და[ა]ქცევინა, შიგა და შიგ რომელსაც თქვენს შვილთან პუროობა ჰქონოდა და ერთგულობას ჩემულობდნენ, იმათ თავისი მოყადაღე[ე]ბი დაუყენა, რომ ამათი წახდენა ჩემის ჯარისაგან არ იქნებაო.

მასუკან მოყადაღე[ე]ბმა ლეკის ჯარი ვერ შეიმაგრეს. და მე მიბძანა თქვენმა შვილმა, წაველ რამთონჯერა და მოვაცალე ის ჯარი და ჯაფაც კარგი გადამხდა. თქვენმა შვილმა წყალობა მიყო — კოშკზე თითო თუმანი მისცენ თომასაო. მოყალადღე[ე]ბსაც ასე უბძანა. ახლა მოყადაღე[ე]ბმა თავისიც აიღეს და ჩემიცა და ორივ იმათ უჭირავს.

გევედრები, ღმერთი გაგიმარჯვებს, ერთის ოქმისა და იასაულის წყალობა მიყავით, რომ ის თქვენის შვილის წყალობა ჩემი ახი გამამირთვას მოყადაღე[ე]ბს. იანვრის **ია**, ქორონიკონს **უპგ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ყაფჩიბაშო ავალიშვილო გიო! ამ არზით თომას რომ ასე მოუხსენებია, შენ უნდა დაადგე და ამისი სარგო რაც გამოერთმევინოსთ, ვისაც აეღოს, ახლავ გამოურთვი და მოეც.

ამაზედ უსაბუთოთ ნუ ილაპარაკებენ, თავისი მოსცენ. თორემ თუ გამტყუნდებიან ერთიორად წავართმევთ. იანვრის **ია,** ქორონიკონს **უპგ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 299. არზა ავთანდილ ამილახვრისშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1795 წ. 11 იანვარი**

ცსსა. პ. კარბელაშვილის პირადი ფონდი № 1461. რვეული № 14. საბუთი № 129. პირი.

[52v] ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი ამილახვრისშვილი ერასტის შვილს ავთანდილს მოსცეს.

ორი კვირაა ბიძაჩემი თქვენის ჰირის ნაცვალი შეიქნა. კასპს გადაველ წირვისათვინ, ცხვარი მინდა გადმამეყვანა. ქაიხოსრო ამილახვრის შვილი და ბეჟანის შვილი იქ გახლდათ, სადილათ დავსხედით. ბეჟანის შვილი ამეშალა. მერე ქაიხოსრომ მე ამაყენა, კარზე გამომიყვანა და წამიყვანა. ბეჟანის შვილს ორი აზნაურშვილი და ერთი თავის მსახური და[ა]ეჭრა. მერე უკან მამეწია, თავში ხანჯალი დამკრა და დამჭრა, „გამიშვით მინდა მოვკლაო“.

ამას წინათ კიდევ შინ მოგვიხდა, ჩემს ძმას ორი ხმალი სცა, თუ შინდის ჯოხი არ ეფარებინა, თავსაც გააგდებინებდა. რომ ის დაკაფული ჯოხი რომ თქვენს სიმაღლესაც უნახავთ.

თუ ვტყუი, გადამახდევინე, თუ არა სამართალი გვალირსე. ერთი ოქმი და იასაული გვიბოძეთ, აქ ჩამოიყვანოს და სამართალში გველაპარაკოს. მუდამ რათ უნდა ასე გვიყოს. იანვრის **ია,** ქორონიკონს **უპგ.**

თავში

ქ. ეშიკაღაბაშო ორბელიანო თამაზ! მერე ამ არზით ამილახორისშვილი ერასტის შვილი რომ ასე ჩივის, ახლავ ერთი კაცი გაგზავნე და ამილახვრისშვილი ბეჟანის შვილი აქ ჩვენს სამართალში ჩამოაყვანინე. იანვრის **ია,** ქორონიკონს **უპგ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 300. არზა მათე უოდალაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1795 წ 13 იანვარი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1357. დედანი. ქაღალდი. 17,5×10.9 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ჯემწიფის ჰირი მომცეს მათ სამარადისოთ მლოცველს ყოდალაშვილს მათე [მ]ღ[ვ]დელს.

მერმე ამას მო[გ]ახსენებ: ჩვენს ნაოხარს ადგილშია მატნელებთ და ახმეტელთ ქვევრები დაეთხარათ; და ბახტრიანელთ ეთქვათ: ნუ მიგაქვთ, მაგას პატრონი ყავს; და რო დაეშალათ, წაეღოთ.

და ამას გევედრებით, ერთი იასაული მიბოძოთ, თუ სიტყვა აქვსთ. თქვენ მოგახსენოთ. თუ არა, ჩემი მებოძოს. იანვრის **ი**, ქორონიკონს **უპგ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის იასაულო ყარალაშვილო რევაზ! მერმე ამ არზის პატრონი რომ ასე ჩივის, ვისაც ამისი ქვევრები დაეთხაროს, გამოურთვი და მოეც. თუ სიტყვა ჰქონდესთ ვისმე, ჩვენ მოგვაჯსენოს. იანვრის **იგ**, ქორონიკონს **უპგ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 301. არზა ილია ბერძენისა ულუფის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1795 წ. 23 იანვარი**

ცსსა. ფონდი 1449. საბუთი № 1027. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს ბერძენს ილიას.

ამას მოგახსენებთ. ოდესაც ღვთიურის მოხედვით მოხედეთ კურთხეულს ჩემს ძმას, მამა და ჩემი სიმდაბლე მო[ა]სხმევინეთ და ულუფი და ჯამაგირით ღვთიურის მოწყალებით გვაცხოვრებდით, ისინი თქვენს სამსახურში გარდაიცვალნენ. თქვენის სამსახურის და ხილვის მშიერნი და მე თქვენი ნათლული დავრჩით საცოდავათ. ერთს ღმერთს შევყურებთ და მეორედ თქვენს ქველის მოქმედებას და იმა კურთხეულთ ვალი დარჩათ და უილაჯობით ზოგი მეც დამედვა, და გარდახდის დონე რომ არსაით მაქვს, ბიძაჩემს დაუბარებივარ, მინდა იქ წავიდე თქვენის დასტურით.

და ამას მოველით, ერთი ასეთი მოწყალება მოიღოთ ხელით **აწ** მამისა ან ძმის ულუფა მოგვცეს ჯამაგირი, რომე მეც დავსახლდე[1] და საუკუნოდ დავრჩე თქვენს საფარველს ქვეშე, რომ თქვენმა ხელმწიფემა იცხოვროს და ან მისმა რძალმა. და ახტალას თქვენი ოქმი მეწყალობა, უჩემოთ ვერსაით წავალო, მე თქვენს უბრძანებლად კარის [ზ]ღურბლზედ გარდასვლაც არ შემიძლიან.

გევედრებით, რაც საბძანებელი და სამსახური გქონდესთ, მებრძანოს, რომ ღმერთი წარმიძღვეს და თქვენი ბედნიერება, წავიდე და არზის თხოვნის პასუხიცა იანვრის **იგ**, ქორონიკონს [**უპგ**].

თავში

ქ. სახლთხუცესებო, მდივნებო და მოხელე[ე]ბო! ამ არზის **პატრონს** ჩვენგან ნაბოძები რომელიც თავის მამის ულუფისა და ჯამაგირის სია აქვს დაბეჭდილი, რაც იმ სიაში ულუფა და ჯამაგირი ეწეროს, დღეის იქით ამ ილიას უკლებლად აძლიეთ. ამისთვის წყალობა გვიქნია. იანვრის **კგ**, ქორონიკონს **უპვ**. ერეკლე

ქ. მდივანო ი ო ა ნ ე! ამ ილია ბერძენს თავისი წლის ჯამაგირი რვა თუმანი მოეც იქნება ნახევარი **დ** (ოთხი თუმანი) ამდენი. არ დაუგვიანო და მოეც დეკემბრის **ლა**, ქორონიკონს **უპზ**. გიორგი

ქ. ყასაბაშო რ ი ზ ა ყ უ ლ ი! ბერძენს ილიას თავის წლის ულუფა ხსნილში კვირაში ორი ლიტრა ცხვრისა და ძროხის ხორცი მუდამ **აძ**ლიე. დეკემბრის **ლა**, ქორონიკონს **უპზ**. გიორგი

ქ. მომავლის წლის ღვინის ბაჟის იჯარადარნი იყვნეთ თუ ამანათქარი, ამ ბერძენს ილიას ას სამოცი თუნგი ღვინო მოეც. დეკემბრის **ლა**, ქორონიკონს **უპზ**. გიორგი

მ ი ხ ა ი ლ ბ ე რ ძ ე ნ ს

ქ. წელიწადში მაგას მიეცემა ულუფა დღეში.
**აქ**(?) ქ. პური ლიტრა
**რძ** (ას სამოცი) ქ. ღვინო წელიწადში თუნგი

---

[1] დავსახლდი.

ბ (ორი) ჭ. ხორცი კვირაში ლიტრა ხსნილში
კ (ოცი) ჭ. წელიწადში ყველი ლიტრა
ი (ათი) ჭ. ერბო ლიტრა
კვ (ოცდაექვსი) ჭ. სამარხო წელიწადში ლიტრა თავის ნიგნით
ფ (რვა თუმანი) ჭ. ჯამაგირი წელიწადში — ნახევარი ვეჯი, ნახევარი ნაღდი.

ჭ. შვილსა იმისას ი ო ა ნ ე ს ჯამაგირი და ულუფა ცალკე ექნება.

ჭ. და სახლიც ჩვენ უნდა რაც შეგვეძლოს უშოვოთ და მასუკან თითონაც სახელო გამოუჩნდება რამე და ღ[მრ]თით დარჩება

ერეკლე

## 302. არზა რევაზაშვილებისა ყმობის თაობაზე ანტონ II-ის ოქმით

**1795 წ. 24 იანვარი**

ცსსა. ფონდი 1449. საბუთი № 811. პირი. ქაღალდი. მხედრული. ამავე ფონდში დაცულია საბუთის მეორე პირი № 2304.

ჭ. ღმერთმან ყოვლად უწმინდესის პატრიარხის ჭირი თქვენ ყმას მუხისელთ რ ე ვ ა ზ ა შ ვ ი ლ ე ბ ს მოგვცეს.

ჩვენო მოწყალევ, ხუთი კომლი ერთი თოხუმისანი გახლავართ, მკვიდრნი მუხისელნი. ერთი კომლი აიყარა, კახეთს გადავიდა, იქა სახლობს და ოთხი კომლნი ჩემს მამულზედ გახლავართ.

ჩვენ რომ ობლები გახლდით, იმ ჟამათ ერთი ბებერი გვყვანდათ. კ ვ ა ლ ი ა შ ვ ი ლ მ ა[1] ი ვ ა ნ ე მ ოსები მოუსია. ეს ბებერი ძუძუებით ჩამოაკიდვინა. ამდენი სცეს, რომ ათი ფრჩხილი ფეხისა დასცვი[ვ]და, ჩვარში გამოკრული ქონდა; ჭირის სანაცვლო რომ შეიქნა, ისიც თან ჩავატანეთ, ქვეყანა ამისი მოწამე გახლავს.

რაც წიგნებში ჰქონდა თუ წყალობისა თუ ნასყიდობისა, კედელში დატანებული და შენახული ქონდა, რომ ჩვენთვის ინახვედა, რადგნაც ობლები გახლდით, იმისთვის კედელში შე[ი]ნახა, ვინიცობაო ობლებს არ დაეკარგოსო.

ცემით რომ ძალა და[ა]ტანა, მერე გამოუცხადა კედელში ძევსო, გამოიღეთო. ის წიგნები რომ ჩაიგდო, მას აქათ ჩვენ ყმათ გვეჭიდება. იმის წინად როგორ გახსენებდა ყმობასა. მერე რამთენჯერ ნეტარად ხსენებულთ ბიძა თქვენთან ჩივილს დავაპირებდით, იმას კარი ეჭირა,

[1] კოლიაშვილმა.

ახლოს ვერ ვიახლებოდით. თუ ინებოთ მუხისელებიდგან მოვკითხეთ ფიცითა და შეჩვენებით, ისინი სწორეს მოგახსენებენ, რომ ჩვენ სვეტისცხოვლის ყმანი ვიყვნეთ.

ღმერთი გადღეგრძელებს, გვიპატრონეთ. ქრისტიშობისთვეს კვ, ქორონიკონს **უპბ**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავში

ქ. ყოვლისა საქართველოს კათალიკოს-პატრიარხი, მეფის ირაკლის ძე, ანტონი გიბრძანებ პახუმაშვილო მღვდელო იოანე, ზოიტაშვილო ბერო, ელიაშვილო სესია, გელიაშვილო სესია, ამბოკაძე სეხნია, კოვზიაშვილო ივანე! მერე რასაც წამს ეს ჩვენი ოქმი მოგივიდეს, მაშინვე დაუყოვნებლად თქვენ აქ უნდა ჩამოხვიდეთ, რომელიც დაგვიწერიხართ აქ ჩვენთან წამოსასვლელად[1].

ამას გარდა სხვათ მოხისელთ ვინცა ვინ არიან, სვეტისცხოველს ვაფუცევთ და ჩვენს მადლსა, რომელთაც იცოდეთ, სწორე და ჭეშმარიტი უნდა მოგვახსენოთ თქვენც და ამათცა. მუჯალმა უნდა დააწერინოთ, საჩქაროთ წამოხვიდეთ და მუჯალმაც თქვენ წამოიღეთ. ეს კაცნი რომ ესე ჩივიან, ამათ პასუხი უნდა მიეცესთ; მართლა ჩვენი ყმა არის თუ კვალიაშვილისა, ამისი მართლის შეტყობა გვინდა, რომ სამართალი უნდა მიეცესთ ამათ. ამისი დაგვიანება არ იქნება. როგორც გვიბრძანებია, ახლავ ასე უნდა აღასრულოთ. დეკემბრის **კგ**, ქორონიკონს **უპბ**.

ხელრთვა: კათალიკოზი.

ქ. ყოვლისა საქართველოს კათალიკოზ-პატრიარხი, მეფის ირაკლის ძე, ანტონი გიბრძანებ ზაალიშვილო ნიკოლოზ! მერე შენ უნდა მიხვიდე და კვალიაშვილებს ხელი უნდა აუმართო ამ რევაზაშვილებზედ და სახასოდ უნდა დადო.

და უღელი ხარი რომ გამოურთმევიათ კვალიაშვილებს ისიც უნდა გამოურთო და პატრონს უნდა მოაბარო და მოხისელებსაც უნდა გამოუცხადო, რომ ეს რევაზაშვილები სახასოდ დაგვიდვია, რომ ამათთან დღეს და დღეის იქით კვალიაშვილებს საბატონყმოთ ხელი არა ჰქონდეს. ეს ასე უნდა აღასრულო. იანვრის **კდ**, ქორონიკონს **უპგ**.

რაც სულადი დარჩომოდესთ, ისიც გამოურთვი და ხარებიცა და ამ გოგიას ბერს მოაბარე.

ხელრთვა: კათალიკოზი.

---

[1] + დაგვიწერიხართ.

ჩვენ, მიტროპოლიტმან მცხეთისა და ექსარხოსმან სრულიად საქართველოსამან ვარლაამ, გავსინჯეთ წერილი მოხისს მცხოვრებთ რევაზაშვილებისა, რომელშიაც აცხადებს მათს ეკლესიის ყმობასა, რომელიც არის მიცემული კათალიკოზის ანტონისაგან და ბატონებული მეფეთაგან, რომ ამათთან კვალიაშვილებს საქმე არა აქვსთ. და ჩვენც ესე წერილი ვუბოძეთ, რომელ არიან ესენი ყმანი დიდის მცხეთის ეკლესიისანი და მას უნდა მსახურონ ვითარცა სხვათა ყმათა. ამათთან საბატონყმოთ საქმე არავისა აქვს. ნოემბრის **ი, ჩყიგ.** წელსა.

ხელრთვა: ვარლაამ.

## 303. არზა მეღვინეთხუციშვილებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1795 წ. 6 თებერვალი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 385. დედანი. ქაღალდი. 27,3×16,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოგვცეს მეღვინეთხუციშვილს თომას და პაატას.

ჩვენო ჯელმწიფევ ამ საქმეზედ მრავალჯერ თავი გვიწყენია და [თ]ქვენი წყალობა ხუთი ოქმი გვაქვს, რომ ხი[დი]სთავის გარეშემო ორმოცდაათის დღის ბეითალმანი თუ საგანაყოფო მიწა უნდა მოგვცემოდა, ოცამდინ დღის მიწას სახელი დაგვირქვეს შორსა და გამოუყენებელი. და ამ უბრალოს მიწებში დღენახევრის მიწა არის, რომ კაცს გამოადგება: და თქვენს ოქმშიაც ასე აცხადებს: გორის ძირში რომ მიწა არის, ის უნდა მიეცესო. თქვენს იასაულს სამჯერ ჯელი აუმართავს და ჯვარი დაუსვამს და ვისაც უჭირავს, იმ გლეხს კაცს ჯვარი მიღმა გადაუგდია და კიდევ მოუხნავს.

ჩვენ თქვენს სამართალში ვეპატიჟებით, თუ სიტყვა აქვს რამ, თქვენს სიმაღლეს მოახსენოს. და ისიც პირობას მოგვცემს ხოლმე, მოვალ სამართალშიაო, მაგრამ ექვს წელიწადს ასე გვატყუებს, არც სამართალში მოგვდევს და ახლა ბაღათაც კეთება დაეწყო და თქვენი ამდენი ოქმიც გაგვიბათილა. ჩვენც თქვენის დოვლათით ერთის გლეხის კაცის პასუხის მიცემა შეგვიძლია, მაგრამც თქვენი უნებური საქმე მოგვხდომოდა, ამას ვიშიშვით და ვიკრძალებით.

ამ მოწყალებას ვითხოვთ, ერთის იასაულის წყალობა დაგვემართოს, რაც ხანი გამოსულა, რომ ის მიწა ჩვენა გვბოძებია, იმის ღალა წაგვირთვას და მოგვცეს და ის მიწაც დაგვანებოს. და კიდე სხვა თუ

ბეითალმანი მიწა ეჭიროს ვისმე ისიცა, რომელიც ჩვენ უჩვენოთ, რომ ეგების თქვენი წყალობა შეგვისრულდეს ამ მიწის შეუსრულებლობის მიზეზით. თქვენი წყალობა რამდენიმე კომლი კაცი გვებოძა [illegible] ოდ კომლი ჩვენც გამოგვყვა, აქა-იქა დაფანტულნი გახლავან, [illegible] საქვეყნო ხარჯს და ლაშქარსაც აკლიან და ჩვენ ხომ სულ არა ვიცით რა. იანვრის კთ, ქორონიკონს უპგ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის თ ა რ ხ ნ ი ს შ ვ ი ლ ო დ ი მ ი ტ რ ი! მერე ამ არზით თომა მელვინეთხუცისშვილი ვისაც უჩივის, შენ უნდა მიხვიდე და რომელიც სახნავი მიწები ჩვენის ოქმით ამ თომასათვის გვიბოძებია და იასაულიც მივეცით და მივიდა; ჩვენმა წარგზავნილმა იასაულმა ჯელი ამართა ამ მიწებზედა, და ის ჯელი მოუგლეჯია და გადაუგდია, იმ ჩვენის ოქმის რიცხვიდამ აქამდინ რაც ამ მიწებში მოსავალი მოსვლია, იმისი ღალა უნდა გამოართვა და ამ თომას მოეც და ის მიწებიც ამას დაანებე.

ამისთვის უნდა წაერთვას იმ ჩვენის ოქმის თარიღიდამ დღევანდელამდინ ღალა, რომ ჩვენს ბძანებას არ დამორჩილდა და ჯელი რომ ამართა იასაულმა, იმან მოგლიჯა და გარდა[ა]გდო. თუ სიტყვა ჰქონდა რამე, ჩვენ რატომ არ მოგვახსენა.

ეს როგორც გვიბძანებია, ასე აღასრულე, მიწებიც ამას და[ა]ნებე და მასუკან თუ სიტყვა აქვს რამე, მოვიდეს და მოგვახსენოს. მაგრამ თუ გამტყუნდა. გარდახდება იცოდეს. ფებერვლის **ვ**, ქორონიკონს **უპგ**.

და ამას გარდა, რომელიც ბეითალმანი მიწა ამ თომასათვის გვებოძებინოს და ამ თომამ გიჩვენოს, იმაზედაც ჯელი ამართე და ამ თომას დაანებე. და თუ სიტყვა ჰქონდეს ვისმე, ჩვენ მოგვახსენოს. იმას გარდა სხვა გარდასახადიც გარდახდება, თუ გამტყუნდა.

> ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძეღ კახეთის მეფედ ცხებულს ე რ ე კ ლ ე.

## 304. არზა დათუა მაჩაბლისა ყმა-მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1795 წ. 13 თებერვალი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 26. საბუთი № 220. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[171] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი დ ა თ უ ა მ ა ჩ ა ბ ე ლ ს მოსცეს. მოწყალევ ხემწიფევ, უწინდელს დროს ვისაც უსა-

მართლო დაემართებოდა, თქვენს ხემწიფობაში ყველას სამართალი მიეცა; და მე ჩემის უბედურობით უსამართლო ვრჩები; ჩემის სახლის კაცისაგან ყმითა და მამულით აკლებული ვარ. თქვენს სიმართლეს შორ. ვარჯერ თავი ვაწყინე, მაგრამ ჩემმა უბედურობამ სისრულე არ მისცა. ახლა ამ უსამართლობასაც არ მაჯერებენ. თქვენგან ღთიურის მოწყალებით, რომ ცოცხალი[1] ვარ და იმ ქვეყანაში ვარ, იქიდამაც ჩემს გამოძებასა ცდილობენ, ასეთს მიზეზებს მაძლევენ.

ღმერთი გაგიმარჯვებს, ერთის ოქმის წყალობა მიყავით, რომ ოსებს თავდებათ არავინ მიმცეს და იმ ქვეყნიდამ სრულებით არ დავიკარგო.

და ჩემის ყმის და მამულის სამართალიც დამემართოს, რომ [v] მიმძლავრებით უჭირამთ ჩემის სახლის კაცებს და სხვათაცა: სვერი მთლად, გარწემას გოგიძე, ხეთში საბანაძე, საბაწმიდას, დიცს კაპარჭაძის მამული; კიდევ ჩემი ბარათის კაცნი, მისი შვილები დაუყიდნია თეიმურაზ მაჩაბელსა. ამას გარდა ჩემი წილი ოსები ბარძიმს და ზაზას უჭირამს; კიდევ თამარაშენს ამილახვარიანთ ყმას კახს ერთი საკომლო მამული. თებერვლის **ი**, ქორონიკონს **უპგ**.

**თავში**

ამ არზის პატრონო, შენ რომ ასე სჩივი, შენი ოსებთან თავდებობა არავისგან იქნება, ყველამ ასე იცოდეს — ქართველმაცა ოსმაც. თუ ვინმე შენს შეუტყობრად თავდებათ დაუყენებენ, ბათილი იქნება და შენ თავდებათ არას არგებ. და თუ ვისმე სხვას უჩივი რასმე, ღვთით იმისი სამართალიც მოგეცემა. თებერვლის **იგ**, ქორონიკონს **უპგ**.

## 305. არზა გაბრიელ ზოზიაშვილისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1795 წ. 15 თებერვალი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 264. დედანი. ქაღალდი. 21,8×11,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი ზოზიაშვილს გაბრიელას მოსცეს.

---

[1] ვცოცხლ.

ჩემო მოწყალევ, ქვემო ხვითს ხიზნათ გახლავარ. მე ერთი უსახლკარო კაცი გახლავარ. მუდამ თქვენს სამსახურში გახლავარ.

გევედრებით თქვენად სადღეგძელოთა და გასამარჯვებლოთი ოქმის წყალობა მოიღეთ, რომ სოფელმა გამოსაღებ ხარჯში არ გამრიონ, რასაც სამსახურში გახლავართ, ამას დამაჯეროთ. ფებერვლის **დ,** ქორონიკონს **უპგ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ქვემო ხვითელებო! მერე ეს გაბრიელ, ქვეყნისათვის რაც შეუძლიან და დაპატიჟებენ ხოლმე, იმსახურება და თქვენთვისაც გამოსაყენებელია. ამას რომ ხარჯს არ მიაყენებდეთ, არა იქნება რა. დღეის იქით შალავათი უყავით. ჩვენ ასე გვიბძანებია და თქვენ იცით. ფებერვალს **იე,** ქორონიკონს **უპგ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 306. არზა ჯვარისმამის ათანასესი ყმეგის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1795 წ. 15 თებერვალი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 51. საბუთი № 201. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[177v] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს მლოცველს ჯვარისმამას ათანასის.

ამას მოვახსენებთ. თუ თქვენი ნება და ბრძანებაც ინებებს, დირბს ვაპირებ წასვლას და იქიდამ, ღმერთიც ინებებს, იმერეთს გადასვლას. და ამაზედ თქვენს ბრძანებას ველით. დათხოვებასა თანა ჩვენს უცხოებას ერთი ოქმიც უნდა გვიწყალობოთ — საცა გავიაროთ სასმელ-საჭმლით დაგვიხვდნენ.

და ამასაც გევედრები. პაპის თქვენის შეწირულობის სიგელი გაშინჯეთ და ნახეთ, ამას წინათ თავს დაიდეთ, მელიქსაც ებრძანა — ესენი რომელნიცა შესაწირავია, უნდა იპოვოთ ესე ყუთლუაშვილები. ეს კაცნი ვიპოვეთ, [178] უზურში გახლიან, მეც იმერეთს წამსვლელი გახლივარ.

გევედრებით, თუ პაპის თქვენის შეწირულობა მებოძება, გვეწყალობოს ერთის ოქმით, რომ ესენი თქვენს მფარველს და სასოს წმინდას საფლავს თავის ყმანი მიეძღვანოს. და თუ არა გვებრძანოს, ამაზედ თავი აღარ გაწყინოთ. ამისთვის მოგახსენებ, რომ მე ცოდვას ავიყრი და ნება თქვენია. ფებერვლის **იდ,** ქორონიკონს **უპგ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავში

ჩვენი ბძანება არის ქალაქის მელიქო ავეტიქს. მერე ჯვა-რის მამას არხიმანდრიტს ათანასის ასე რომ მოუხსენებია, როგორც პაპის ჩვენის მეფის ერეკლეს შეწირულობის წიგნში უწერიათ, ის ყუთლუაშვილები ახლავ დაანებე. და თუ იმ ყუთლუაშვილებს სიტყვა აქვსთ რამე, ჩვენ მოგვახსენონ. ფებერვლის იე, ქორონიკონს უპგ.

## 307. არზა თამაზ ეშიკაღასბაშისა ყმის თაოგაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1795 წ. 19 თებერვალი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 20. საბუთი № 21. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[22v] ღმერთმან ბედნიერის ჴელმწიფის ჰირი ეშიკაღაბაშს თამაზს მოსცეს. მერე ჩემს მოწყალეს ჴელმწიფეს ამას მოვახსენებ. ჩემი ერთი კომლი მკვიდრი კაცი ვაშლოვნელი [23] არუთინა ვეჯინს ერასტის შვილის დავითისათვის მამა ჩემს მიუბარებია, რომ რომლისაც ხელით ჩაუბარებია, ის კაცნიც ცოცხალნი გახლავან. მე ყმაწვილი გახლდი, არცარა ვიცოდი.

ჴელმწიფევ, ახლა ამ ჩემს მკვიდრს კაცზედ ბატონი ქათალი და ერასტი[ს] შვილი დაობენ — არა ჩემია, არა ჩემიაო. კაცი ჩემი გახლამსთ, რომ ამისი სახლის კაცები აქ გახლავან, რომ ქვეყანამ იცის, რომ ეს კაცი ჩემია.

ერთი ოქმის წყალობა მიყავით, რომ ამ კაცის წანართმევი, რაც რომ აქვს და ეს კაციც ჩამაბარონ. და სიტყვა ჰქონდეს რამ, თქვენს სამართალში მელაპარაკოს. თებერვლის ით, ქორონიკონს უპგ.

თავში

ჩვენი ბძანება არის აიდემურ ხალვათხანის ეშიკაღასბაშო! მერე რადგანაც ეს კაცი სანატრელის ჩვენის, დის მზითევი ყოფილა და ერასტი[ს] შვილისათვის მიბარებული, ახლავ აუყარე და თამაზ ეშიკაღასბაშს მიაბარე. და თუ სიტყვა ჰქონდეს, ჩვენ მოგვახსენოს. თებერვლის ით, ქორონიკონს უპგ. ჰ[ა]ლბათ, ჰ[ა]ლბათ

## 308. არზა იუსტინე მროველისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1795 წ. 1 მარტი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1502. კრებული. საბუთი № 34. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[19v] ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს მათს მარად მლოცველს მ რ ო ვ ე ლ ი უ ს ტ ი ნ ე ს.

მერე ამას მოვახსენებ მათს უმაღლესობას: უწინარეს ჩემს მროვლობამდინ თქვენს უმაღლესობას ერთი კომლი ზ ა ქ ა რ ი ა ს ნაყმევი უმამულო კაცი ი ე ს ე გ ა ს ი ტ ა შ ვ ი ლ ი თავისის ძმისწულებით ღთეების ეკლესიისათვის შეგიწირავთ. ნეტარხსენებულის თქვენის ძმის კათალიკოზის და ნეტარად ხსენებულის თქვენის დის ა ნ ნ ა ს სახელზედა. და წელიწადში ორი წირვა გიბრძანებიათ იმათთვის. და თქვენის უმაღლესობის ოქმებიცა აქვს: რაც შეეძლოს, ეკლესიის ყმასთან უნდა გამოიღოს ხარჯი თავის შეძლებით.

ძმისწულები ამ კაცისა ეკლესიას არ დაანება და თვითონ იმსახურებს ლ უ ა წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ი ს შ ვ ი ლ ი. ეს ი ა ს ე ერთი ნასაღნაქნარი კაცი არის, რაც შეუძლიან ხარჯს ეკლესიის ყმასთან იღებს. შარშან ერთი სია მოერთმევინა ლუა წინამძღვრისშვილს ზაქარიას ნაყმევის კაცების აყრისა და ეს კაციც შიგ ჩაეტანებინა. იასაულები მოვიდნენ, აყრა დაუპირეს, ასაყრელათ არ დავანებე და საიასაულო ცამეტი აბაზი მე მივე, რომ ის კაცი გლახა არის.

მასუკან კიდევ სალეკოს იასაულები გამოესივა და ამის სალეკოც მე გამომართვეს. წლეულ კიდევ სია მოურთმევია სურსათისა და ის კაცი კიდევ შიგ ჩაეწერა იმ სიაში და ექვსი კოდი დაეწერა ჯაბრითა. თქვენი ოქმი უჩვენე იასაულებს. მულათი ვთხოვე თქვენად მოხსენებამდი [20] და მულათი მომცეს და საიასაულო სამი აბაზი მივე. თქვენი უმაღლესობის ბძანება ასე არის: თუ შეუძლიან რამე, იმ ეკლესიის ყმასთან უნდა გემსახუროს.

ამ წყალობას ვითხოვ, თქვენ სადღეგძელოთ რადგან იმ ეკლესიისათვინ მიგირთმევიათ და თქვენის მიცვალებულთათვის მოსახსენებლად შეგიწირავთ, თქვენი შეწირულობის გუჯარი ამ ოქმ[მ]ა დაამტკიცოს, და იმ ეკლესიის თავისის ძმისწულებით იმ ეკლესიას დანებდეს. და ლ უ ა წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ი ს შ ვ ი ლ ს ებრძანოს, ამ კაცებს დაეხსნას და ნუღარ შეაწუხებს ყოველთვის.

ერთი ოქმი გვებოძოს, რომ ლუამაც ხელი აიღოს და ვინც მოასილნი მივიდნენ თქვენის ბძანებით, თქვენი ოქმი რომ უჩვენონ, იმა-

თაც ხელი აიღონ, რომ ყოველთვის იმ კაცებს აღარ აწუხებდენ. ფე-
ბერვლის კზ, ქორონიკონს უპგ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის. მერმე მისს ყოვლად სამღდელოებას ამ არზით რომ ასე მოუხსენებია, ის კაცი გასიტაშვილი იასე თავისის ძმისწულებით ამას წინათ რომ მღთეების ეკლესიას შევსწირეთ და ეკლესიის შეწირულობის გუჯარი მივართვით, ჩვენ იმ გუჯრის მოშლა და იმ კაცის გამოწირვა არ შეგვიძლიან; როგორც შეგვიწირავს, ისე იმ ეკლესიის ყმად უნდა იყოს, და საჩვენოსა, თუ საქვეყნოს ხარჯს თავის შეძლებით ეკლესიის ყმასთან უნდა გამოიღებდეს.

ლუა წინამძღვრისშვილი რომ აწერს სადმე გამოსაღებს, ამ ჩვენის ბძანების შემდგომად ასე იცოდეს, რომ თუ კიდევ გამოსაღები რამ სთხოვა ლუამ, ჩვენი საწყენი იქმნება და არც უყაბულებთ. ამ კაცთან ეკლესიის მეტს საბატონყმოთ საქმე არავისა აქვს.

და რომელნიც მოასილნი იქმნებოდენ ან ჩვენი და ან ჩვენი შვილისა, იმათაც ასე იცოდენ და ამ ჩვენს ბძანებას ასე აღასრულებდენ.

და თუ იმ ბძანების წინააღმდეგობა იხმაროს რამე იმ მოასილთ, გალახვით და ავათ მოპყრობით უნდა გაისტუმროთ, ამისთვის რომ ეკლესიის ყმობით უნდა გამოერთვას გამოსაღები და სხვის ყმობის გამო არ იქმნება იმის ხარჯის გამოღება.

ამირეჯიბო მიმბაშო ზაზავ! წინამძღვრისშვილს ლუას ჩვენი ბძანება ასე უნდა გამოუცხადო. და იმ გასიტაშვილის ძმისწულები რომ წაუყვანია, ისინი უნდა გამოართვა და როგორც შეგვიწირავს, ისევ ისე ეკლესიის ყმათ დასდვა. მარტის ა, ქორონიკონს უპგ[1]. ერეკლე

## 309. არზა ფარსადან ტარიელიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1795 წ. 1 მარტი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 32. საბუთი № 300. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[153] ღმერთმან უმაღლესის ხელმწიფის ჰირი ტარიელისშვილს ფარსადანს მოსცეს.

ამას მოვახსენებ მათს უმაღლესობას მოწყალეს ხელმწიფეს! ვი-

[1] უპგ]უპბ.

საც უსამართლო ამას წინ დამართებია, თქვენს მეფობაში უპოვნით და თქვენს მეფობაში რომ სამართალი ვერ ვიშოვნო, ვის დრომდის ვიშოვო. ამდენი ხანი ჩემის სამკვიდრო მამულიდამ გამოგდებული ვარ, [v] სანატრელმა ცხებულმა მეფემ მე თავის შვილს მიბოძა მზითევში და ჩემის მამულიდამ დავიკარგე. რაც უნდა დამ[მ]ართოდა ჩემს მამულს მე რაღას ვიკითხევდი. ამდენი ხანი არის სამსახურში გახლავარ, ჩემთვის არც ყმა მოუცია და არც მამული, ისე ხელზედ მინახევდა და მარჩენდა. და როდესაც თქვენს დას მიმცეს, მიცემაში მეც ასე მიბძანეს და ბატონიშვილსაც ასე ფიცით უბძანეს და მეც ასრე მიბძანეს: არც აქ დაგიკარგავ შენს ყმასა და მამულსა და იქაც წყალობა ყმა და მამული მოგეცემაო; და ორისაგანვე ცარიელი შევიქენი.

მე ერთი ბერი კაცი გახლავარ, თქვენის ჭირის სანაცლო ვიყო რაც დამემართა, მაგრამ მოწყალევ ხელმწიფევ, ეს ჩემი ძმისწული პ ა ნ ტ ე ლ ე ი მ ო ნ გახლავს, ამას კი დანაშაული არა აქვს რა, მე დიდის გარჯით გამიზრდია და თქვენთვის მიახლებია, ამდენი ხანია გახლავს, ვალი მაქვს. ამისის მოვალეობისაგან ღმერთთან თავს ვერ გამოვიმართლებ, უნდა თავი გაწყინო, ჩემო ხელმწიფევ და ამისის საცოდავობიდამ გამოვიდე და მოგახსენო, ვისაც ჩვენი სამკვიდრებელი ყმა და მამული უჭირავთ მძლავრობით, თქვენის ღვთის სამართლის მზგავს სამართალს ვითხოვ, ჩემის სამკვიდროს სასაფლაოდამ [154] არ დაიკარგო. და თუ ვისმე სიტყვა აქვს[1], მერმე თქვენ სამართალში გვალაპარაკოთ. ღმერთი გამიმარჯვებს. ფებერვლის ი, ქორონიკონს უპბ.

თავში

ჩვენი ბძანება არის ბატონო სალთხუცესო გ ი ო რ გ ი! მერე ამ არზის პატრონს რომ ასე მოუხსენებია, ვისაც ამისი სამკვიდრო მამული მიემძლავროს, თუ ჭეშმარიტი საბუთი ჰქონდეს ვისმე, ჩვენს სამართალში ელაპარაკოს. და თუ ჭეშმარიტი საბუთი არა ჰქონდესთ რა, მას თავის სამკვიდროს მამულს ვერ დაუკარგავთ. თავის სამკვიდრო მამული ამ ფარსადანსა და პანტელეიმონს უნდა მოჰბარდეს. როგორც გვიბძანებია, ასე აღასრულე. მარტის ა, ქორონიკონს უპგ.

მათის უმაღლესობის ბძანებით ჩვენ, სალთხუცესმა და საგარეჯოს მოურავმა გ ი ო რ გ ი მ, ეს ბძანება ასე აღვასრულე სამართლის ძალით. და თავისი სამკვიდრო მამული და ყმა მივაბარე ტარიელიშვილს პანტელეიმონს. მაისის ლ, ქორონიკონს უპგ.

1 +ვისმე.

## 310. არზა ლალია ხითარაშვილისა ვალის თაობაზე იულონ გაბონიშვილის ოქმით

**1795 წ. 2 მარტი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 7182. დედანი. ქაღალდი. 21,7×16,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან უმაღლესის ჯელმწიფის ძის იულონის ჰირი ხითარაშვილის ობოლს ლალიას მოსცეს.

შემდგომად ამას მოვახსენებ: შვიდი წელიწადი არის მამაჩემი ყიზლარს გახლავთ. იმას იქ თქვენი ყმა მჭედლისშვილი ბერუა რვა თუმნათ დაეხსნა. და ის ხომ აქ გიახლათ. მამაჩემს დედის ჩემისათვის წიგნი მოეწერა, მანდ გამოართვითო, თუ წლამდინ ვერ მოგცეს, წლისთავს ცხრა თუმან[ი] უნდა მოგცესო. ვსთხოვე და არ მაძლევს. ასე მეუბნება[1], მანან თამასუქს არ მოიტანო, არ მოგცემო.

ღმერთი გადღეგრძელებს[2], ჩვენ თამასუქათ არა ვჰკმარვართ, ბათილამის წიგნს მივცემ, რომ მოდავე არავინა ჰყამდეს. ღმერთი გადღეგრძელებს, მოწყალება მოიღევით, რომ ჩემი თეთრი მომცეს.

დედაჩემიც თქვენის ჰირის სანაცვლო შეიქნ[ა], ისიც დასამარხავია და მეც შესანახავი გახლავართ. ღმერთი თქვენს სიმაღლეს უმეტესად აღამაღლებს, მოწყალება მოიღევით ერთის ოქმისა, რომ მებოძოს ჩემი თეთრი. მარტის ა, ქორონიკონს უპგ.

თავში

ქ. თარხნისშვილო დათუკავ! მერე ამ არზის პატრონი ამ არზით ასე რომ ჩივის, რომელსაც ამისი თეთრი ემართოს, გამოურთვი და მოეცი სამართლიანის საქმით. და თუ სიტყვა ჰქონდეს რამე, სამართლით ელაპარაკნენ. მარტის ბ, ქორონიკონს უპგ.

ბეჭედი: ტომ-სჭესით არ ნაკლისაგან იულონ ირაკლისაგან.

---

[1] მეუბნევა. [2] გაგლეგრძელებს.

## 311. არზა ერასტი ამილახვრიშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1795 წ. 5 მარტი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1366. დედანი. ქაღალდი. 35,3×21,4. მარცხენა კიდე ალაგ-ალაგ მოხეულია. მხედრული. აქვე, პ. კარბელაშვილის პირად ფონდში, № 1461, რვეული 14. საბ. № 130, დაცულია საბუთის პირი, რომლის მიხედვითაც აღდგენილია დედნის ხარვეზები.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ამილახვრისშვილს ერასტის.

მერმე ამდონი ხანია აქ გახლავართ და თავს გაწყენთ, სამართალი არ მეღირსა. თქვენი ბძანება და ოქმი მიუიდა, არ წამოვიდა, იასაულსაც ავათ მოპყრობოდა. იასაული აქ გახლავსთ, ეკითხოს და მოგახსენებთ, რაც უთქვამს. ჩვენ აქ გახლდით ოთხნი მამა-შვილნი. ბეჟანისშვილები მიხდომოდენ; ჩემს უსინათლოს ძმას ერთი ბიჭი დაუძლოდა, იმ ბიჭის სახლი აუკლიათ. სამი მინალთუნი და ერთი დამბაჩა წაურთმევიათ და თუ რამ სახლში სიღარიბე ჰქონდა, ისიც კაცებს დაეპარათ იმის შვილებისასა.

ახლა ჩემი ერთი შვილი გავგზავნე, რომ შინ აღარავინ მყვანდ[ა]. სამთავისსა რომ მისულიყო, ეგაძე შემოჰყროდა — ბეჟანის კაცი. ცხენის რთმევა დაეწყო: „რაც ბეჟანის შვილებმა ჩემს კაცს წაართვეს, სანამ არ მომცემენ, ცხენს არ დაგანებებო“. წაუკრავს ჯრმალს ხელი ეგაძესა, თავის ცხენიც დაუჭრია და ჩემი შვილის ედიშერისათვისაც ხელი შეუჭრია; და ხმალს რომ რთმევა დაუწყიათ, ეგაძესაც თავის ხლმით ხელი შეუჭრია. აქა გხლებიათ და თავის ხლმით შეჭრილს ხელს ჩივის. ერთი ჩემი შვილი რომ აქ გახლავთ დაჭრილი ბეჟანის შვილებისაგანა და მეორეც ახლა იმათ კაცს ეგაძეს დაუჭრია.

ღმერთი გაგიმარჯვებთ, გადღეგრძელებთ და შვილებს გიცოცხლებთ. ერთი გზით მოგვხედე. ოთხს რასმე გთხოვთ: დაიბარეთ ისიცა, ან ერთმანეთს გაგვარიგეთ ან სამართალი გვიყავით. და თუ დასასჯელნი ვიყვნეთ, დაგვსჯეთ ან დასტური დაგვეცით, როგორც მოეერივნეთ ერთმანეთს — პასუხი [ისე მივ]ცეთ; ან [არა] გვიბძანეთ, [გავ]ეცლებით სადმე მაინცა, თორემ თუ ერთის გზით [არა გვეშვე]ლა რა, [ამის მეტი მოთმენა აღარ შეგვიძლიან. ჩვენ აქ გახლავართ. ეჩივით, ის იქ კაცებს გ]ვიკლ[ებს და სხ]ვასა და სხვა [შფო]თებს შლის. [ფებერვლის] იდ, ქორონიკონს [უპბ].

თავში

ქ. ჩვენ მაგიერად ამილახვრისშვილს მინბაშს ბეჟანს ასე უანბეთ! მერე ამ არზით ერასტი ამილახვარისშვილი, რომ ასე გე-ჩივის, რას წამს ეს ჩვენი ოქმი მოგივიდეს, მაშინვე ჩამოდი და სა-მართალში ელაპარაკე.

თუ ჩვენ ბატონი ვართ და შენ ყმა ხარ, ხომ ახლავ ჩამოხვალ. თუ არადა შევიტყოფთ, რომ აღარა ყოფილხარ. ამდენი სისხლის ღვრა და შფოთები რა არის. ალბათ ჩამოდი და სამართალში გაუსწორდი.

და ახლა რომ ამ კაცისათვის ფხვენისს, ვენახი წაგირთმევია, ისიც დაანებე. მაგ ვენახის დაუნებებლობაც არ იქნება. მარტის ე, ჭო-რონიკონს **უპგ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 312. არზა მანგლელის ყმის გოგიასი ხარის თაოგაზე ვახტანგ გაბონიშვილის ოქმით

**1795 წ. 14 მარტი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3417. დედანი. ქაღალდი. 19,5×15,2 სმ. მხედ-რული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან მეფის ძის ვახტანგის ჰირი მანგლელის ყმას გოგიას მოსცე[ს].

მერ[ე] ამას მოგახსენებთ: თარხნისშვილს დათუაზედ ოქმი მჭონდა თქვენი, კავთისხეველთათვის ხარი უნდა გამომერთმივა და ჩემთვის მოებარებინა; და იმან არცარა ხარი გამომირთო და არც-არა პასუხი მომცა. და ის ხარი კავთისხეველთ წამართვეს და [ა]რაგვე-ლებს მისცეს და იმათ ჰყავს.

და წყალობას ვითხო[ვ], ერთი მაგარი ოქმი მიბოძოთ, რომ ჩემის საქონლის პატრონი გამხადონ. ამაში დანაშაული არა მქონია რა, მარ-თალი გამოველ და რას მემართლებიან. მარტის **ი**, ჭორონიკონს **უპგ**.

თავში

ქ. ბატონისშვილის ვახტანგის კეთილად სახსოვარი თარხნის-შვილო დავით!

მერე როგორც ამ ოქმში უცხადებს, ისე გაურიგე და ეგ ხარი მოაბარე. და თუ ჭეშმარიტი სიტყვა ჰქონდეს, ჩვენთან ელაპარაკო[ს]. მარტის **ია**, ჭორონიკონს **უპგ**.

ახლავ უნდა გაურიგო, უამისობა არ იქნება და ნურც და[ა]გდებ გაურიგებელს და არც იქნება მაგ კავთისხეველთ თავისი [სი]ტყვა

აქვთ, რომე არაგველთ უნდა ელაპარაკონ, ამასთან რა ხელი აქვთ, თუ სხვა სიტყვა აქვთ რამე, ჩვენ მოგვახსენონ.

ბეჭედი: რტოდ ვარ დავითის, მგელ-ლომად ვით ის, ვახტანგ ვამტკიცებ მეფის ძეობით.

თარხნის შვილო დავით! ეხლაც მოგწერე, რომ ეგ ჯარი ამ მანგლელის ყმას უნდა ყოლოდა, ამისთვის უნდა მოგეცა და მაგას სოფელი უნდა შესწეოდა და ჯარი სოფელს მიეცა. ამას ეგ ჯარი უნდა მოსცე, არასგზით მოუცემლობა არ იქნება. თუ დაიჯერებთ და გაიგონებთ, ხომ ეს არის. და თუ არ დაიჯერებთ, მერე შეიტყობთ მაგიერი ჩვენც შეგუძლებია თუ არა. ამის მეტს აღარასფერს მოგწერ და შენ იცი. მარტის **იდ**, ქორონიკონს **უპგ**.

ბეჭედი: რტოდ ვარ დავითის, მგელ-ლომად ვით ის, ვახტანგ ვამტკიცებ მეფის ძეობით.

## 313. არზა იოანე ჯიმშერის შვილისა მამულის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1795 წ. 16 მარტი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 1946. დედანი. ქაღალდი. 34,8×10,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან მათის სიმაღლის მეფის ძის გიორგის ჭირი მათს მონას იოანე ჯიმშერის შვილს მომცეს.

მოგეხსენებათ[1] ხამხაძეებმა მთა წაგვართვეს და ამაზედ მრავალჯერ თქვენის სიმაღლისათვის თავი გვიწყენია. და ის კაცნი არ გვასვენებენ. ქართლსა და კახეთში მოიკითხეთ, თუ გლეხს კაცს საკუთარი მთა აქუს ვისმე; და იმათ ვისგან იშოვეს. ბიძაჩემებს უთხოებიათ და საბალახე ურთმევიათ. ჩემს დროშიაც მრავალჯერ საბალახე აგვიღია. ეს ოთხი-ხუთი წელიწადია არ გვასვენებენ, წელს ორმოცდა ოთხი ღორი მომიკლეს, ზოგი ქურდულათა და ზოგი აშკარათა და შესჭამეს.

ერთის ოქმის და იასაულის წყალობას ვითხოვ. თუ იმათი მამაპაპის მამულია, ფიცით შემოუარონ და დაიფიცონ; და თუ საზ[ი]არო და იმათ ან ბოძებიათ ან აბარიათ, მოწმე[ე]ბით შემომ[ფ]იცონ და ინებონ[2]. ნიადაგ წელიწადს ამთენს სულს ღორს მიხოცენ; წყალობას ვითხოვ, რაც ჩემი ღორი წელს მოეკლასთ და შეეჭამოსთ, ესეც მომცენ და მამულიც ფიცით გაიტანონ. თუ ფიცი ჩვენ შემოგვხვდება,

---

1 მეგეხსენებათ. 2 ინებიონ.

ჩვენ დავიფიცამთ, რომ ჩვენი საკუთარი მამული იყოს. მარტის ივ, ქორონიკონს უპგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავში

დავით ჯანდიერისშვილო! მერე იოვანე ჯიმშერის შვილი ხამხაძე[ე]ბს რომ უჩივის, ეს ხამხაძე[ე]ბიც აქ ჩვენს სამართალში მაიყვანე[1] ორნივ. მარტის ივ, ქორონიკონს უპგ.

გიორგი

## 314. არზა აღდგომელ გურდულისა მამულის თაობაზე ვახტანგ გაბონიშვილის ოქმით

**1795 წ. 5 აპრილი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 7246. დედანი. ქაღალდი. 32,5×11,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის მეფის ძის ვახტანგის ჭირი ბურდულს აღდგომელს მოსცეს.

შერე გიორგი ერისთვისგან ნაბოძები მამული გვაქვს როროსა. დღევანდლამდინ არავინ წამომდავებია. ახლა ბედოისძები გადმომეკიდნენ მძლავრობითა ჩემს წილს ტყეში ახოს იღებენ. წყალობის წიგნები, ოსის ჯარს დაუტყ[ვევ]ები[ა] პაპაჩემი ცოლშვილითა, მაშინ დაგვკარგვია. ოთხი თაობა არის საყდარი, სასაფლაო იქ მაქვს ჩემს განაყოფებს თავისი წილი გასყიდული აქვთ. თუ იმ ბედო[ი]ძე[ე]ბისა ყოფილ[ა], როცა[2] ჩემ[მ]ა განაყოფებმა გაყიდეს, ან იმათ რატომ არ წაედ[ა]ვნენ, ან მე. ჩვენი მოურავი გახლავსთ და მთიულთ იციან, თუ მაგათი ყოფილა, მოიკითხეთ, ღმერთი განგაძლიერებს, სამართალი მაღირსეთ. მარტის კთ, ქორონიკონს უპგ.

თავში

ქ. ბატონიშვილი ვახტანგ გიბძანებ მთიულეთის მოურაო ზაალ! მერე ამ არზის პატრონს ასე რომ მოუხსენებია, თუ შენ შეიძლებდე ამისა და ბედუ[ი]ძების საქმის გარიგებას სამართლიანის საქმით მანდ მოარიგე. და თუ შენ ვერ შეიძლო ამათი გარიგება, ჩვენს სამართალში უნდა გამოგზავნო. მარამდის ჩვენ გაუსამართლებდეთ,

---

1 მაიყვანო. 2 რაოც.

ყადაღა უნდა უყო, რომ ერთმანერთს არა აწყენინონ რა, მშვიდობიანათ უნდა იყვნენ და იმ მამულს სამანს ზეით უსამართლოთა ნურავის მოახვნევინებ. აპრილის ე, ქორონიკონს უპდ.

ქ. სამართლამდის როგორც სამანზე უხნამთ, ისევ ისე უნდა მოხდნას, სამნის გადაცილება არ იქნება. ახლავ მოარიგე ესენი. და თუ შენ ვერ მოარიგო, ჩვენთან გამოგზავნე.

ბეჭედი: რტოდ ვარ დავითის, მგელ-ლომად ვით ის, ვახტანგ ვამტკიცებ მეფის ძეობით.

## 315. არზა კაკაბლიშვილებისა აურის თაოგაზე გიორგი გაბონიშვილის ოქმით

**1795 წ. 10 აპრილი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 34. საბუთი № 221. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[163] ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ძის გიორგის ჭირი მოსცეს ოთხთავალში მსახლობელს კაკაბლიშვილს გოგიასა და ივანეს.

მერე ამას მოგახსენებთ, დიახ, დიდხან მოსულია მამაჩვენი და თქვენს საფარველში გახლდით მაღრანს თქვენს სახასოშია და ახლა ოთხთავალში გახლავართ. ერთი საგინაშვილია ბაგრატ. თქვენ გახლავსთ, მოგახსენებთ ჩემი ყმანი ხართო. რადგან მაგისი ყმა ვართ, რა სიტყვა გვაქვს, ბატონს სამსახური უნდა. ახლა გვეუბნება, მანდედამ აიყარენითო, ხორხელში გამოდითო.

ჩვენო ხემწიფევ, სახლით, კარით გამართული ვართ; და ერთიც ეს რომ თუ ხორხელში გამოვიდეთ დაგვცადებს, დავიხოცებით, ჩვენო ცოდო რას კაის უზამს. რაც ღმერთი შეგვაძლებინებს, იქიდამაც ვემსახურებით, რაც ბატონყმობის რიგია. იქიდამ ნუ აგვყრით, ღმერთი გაგიმარჯვებსთ, ნუ დაგვხოცე უჟამოდ ქრისტეს გულისათვის. აპრილის ი, ქორონიკონს უპგ.

თავში

[162v] ბატონისშვილი გიორგი გიბრძანებთ საგინაშვილო ბაგრატ! მერე ამ არზით ამ შენს ყმას ასე რომ მოუხსენებია, თაობითაც შენი ყოფილა და ახლაც შენი არის. და ახლა ეს შენი ყმანი საცა დგანან, იქავ უნდა იდგნენ და როგორც მოუხსენებიათ და ბატონყმობის რიგი არის, თავის შეძლებით ბარათი გამოართვი და ისე იმსახურე წლობით, ვეღარც უარს გეტყვის. აპრილის ი, ქორონიკონს უპგ.

შენია და შენ დაგრჩა, არას კაცს საქმე იმ კაცთან არავისა აქვს,
შენი არის და შენ დაგრჩა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## 316. არზა ქაიხოსრო მურვანიშვილისა ყმის თაოგაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

**1795 წ. 14 აპრილი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 7852. დედანი. ქაღალდი. 31×16,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის დედოფლის ჭირი მურვანიშვილს ქაიხოსროს მოსცეს.

ჩემი ერთი კომლი კაცი ჩემს მოყვარეს როსტომ ყიფიანს ებარა. ახლა ამ ჩემის ყმის შვილი ქოჩო ყიფიანმა და მუახლის ძმამა და ბიძაშვილებმა შიაგულიანეს და ქალი მისცეს და წიგნიც მოსცეს. — თუ ამისი მოდავე გამოჩნდეს ან დედა ან მამა და ან ძმა, პასუხი გამცემი ჩვენ ვიყოთო. ეს რომ გიორგი ყიფიანმა შეიტყო, თავის შვილს დაელაპარაკა, ჩემს მუახლეს თუ გავყიდი, ფას მე ავიღებ. ახლა გიორგი აშაზე დგას, არც წიგნები გაქვსთ ჩვენიო და არცარა მოგიციათო. რაც ამ გოგოში გადაწყვეტილი იყო და მისაცემი ფასი მამამ აიღო, შვილმა და გოგოს ძმებმა და ბიძაშვილებმა წიგნ[ი] დაუწერეს.

ქ. კიდევ სამართალში გვილაპარაკნია წიგნები. წიგნები იასე მურვანიშვილს აქვს. ამ გიორგი ყიფიანმა თავისი შვილი მუახლის ძმა და ბიძაშვილი ჩამოიყვანოს და სამართალში ვილაპარაკოთ. რაც სამართალმა მოგვცეს, ჩვენც დავჯერდეთ და ეგენიცა. აპრილის იბ, ქორონიკონს უპგ.

ქ. რაც მუახლეში მიუცია, ამას ქვეით წერია: ქ. ხირიმის მუარი ერთი, ქ. სიათა თოფი ერთი, ქ. ყაუთნი* ერთი, ქ. შალი ერთი, ქ. წითელი ლეინი ერთი, ქ. ერთი თოფი ნარმა.

ქ. ამ გარიგებას უკან უღალატა, დაიჭირა, რაც წა[ა]რთო, მას ქვეით წერია, სახლიც აუკლო: ქ. ხმალი ერთი, ქ. ხანჯალი ერთი, ქ. წელსარტყამი იარაღი ერთი, ქ. სასწრაფო ერთი, ქ. სპარისუმლე ერთი, ქ. ვაზნა ერთი, წაღა ერთი, სარტყელი, ქ. უღელი ხარი, ქ. ერთი სტილი ვერცხლი.

---

* ყუთნი(?)

თავში

ქ. დედოფალი დარეჯან გიბრძანებ ფავლენიშვი-
ლო იორამ! მერე მურვანიშვილი ქაიხოსრო [illegible] ყმას გამო ამგვარად რომ უჩივის, შენ უნდა ქოჩო ყიფიანს გამოუცხადო და ის თავისი კაცი იმან უნდა გაჩვენოს. ის ყიფიანის კაციც, იმის ძმები და ბიძაშვილები და ქოჩო ყიფიანი ახლავ აქ ჩვენს სამართალში უნდა გამოისტუმრო და იესე მურვანიშვილიც თავისის საბუთებით აქ უნდა გამოისტუმრო, რომ სამართალში აქ უნდა ილაპარაკონ. ეს ასე უნდა აღასრულო. აპრილის **იდ**, ქორონიკონს **უპგ**. ეს არის მტკიცე მოწერა, რომ ქოჩო ყიფიანი და იმისი ყმა გოგოს ბიძები და ძმები აქ უნდა გამოისტუმრო, ბეჯითად მოიქეც.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

მინაწერი: ხითირბეგიშვილის წიგნი არის.

## 317. არზა დავით ელიოზიძისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1795 წ. 27 აპრილი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 676. დედანი. ქაღალდი. 32×13,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ჴემწიფის ჭირი ელიოზიძეს დავითს მოსცეს.

მერმეთ ამას მოგახსენებთ: ნეტარად ხსენებულის პაპის თქვენისაგან და ბები[ი]ს თქვენისაგან ჩემს მამა-პაპას ერთი კომლი კაცი ბოძებოდა, რომ იმათი სიგელი დღეს ხელთა მაქვს. ახლა კიდევ, ღმერთმან ადიდოს თქვენი ხემწიფობა, ხელმეორედ ის სიგელი თქვენმა უმაღლესობამ და ხემწიფემ დედოფალმა კიდევ სხვა სიგელი მიბოძეთ იმ კაცისა, რომ თქვენგან და თქვენის შვილებისა და შვილის შვილებისაგან დამტკიცებული არის. მერმე ის კაცი თავისმა მოყვრებმა შემიგულიანეს და ამიყარეს. ახლა ჩემს წამოსვლას უკან იმ თავის მოყვარეს თავისთან მიუყვანია და რუსეთს სადმე ისტუმრებს.

ამ წყალობას ვითხოვ, ერთი ოქმი და იასაული მებოძო[ს], რომ საქართველოდამ არ დაიკარგოს. ღმერთი გაგიმარჯვებს. აპრილის **კზ**, ქორონიკონს **უპგ**.

ეს კაცი ამ თავისმა ნათესავებმა ოსებშიაც გამიქცია და რუსეთსაც ესენი ისტუმრებენ და იმისთვის ვაწყენ თქვენს უმრავლესობას თავსა.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის მაჩაბელო ფარსადან. შენ ამ არზით ამ ელიოზისშვილს დავითს ასე რომ მოუწყენებია, შენ უნდა მიხვიდე ამის კაცთან და კარგი თავდები გამოართვა, რომ არსად წავიდეს. სარწმუნო თავდები უნდა გამოართვა, რომ თუ ის აიყარა და უამისბატონოთ წავიდა სადმე, სულ იმ თავადებს გარდახდეს. აპრილის **კზ,** ქორონიკონს **უპგ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 318. არზა დავითბარეჯის წინამძღვრის თეოდოსისა მამულის თაობაზე ანტონ II-ის ოქმით

**1795 წ. 4 მაისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 398. დედანი. ქაღალდი. 22×11 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარი ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან მათის უწმინდესობის მეფის ძის ანტონის ჭირი მოსცეს თქვენს სამარადისოდ მლოცველს დავით გარეჯის წინამძღვარს თეოდოსის.

მერე ამას მოგაჯსენებ უწმინდესო მეუფეო. თქვენს ჯელმწიფე მამას არზი მივართვი, ვანთას რაც მონასტრის მამული არის იმისი გარჩევისა; და იმისმა სიმაღლემ ოქმი მიბოძა კახეთის მდივანბეგებზე, კალაურისა და შაშიანის მოურავზე, რომ ღვთის წინაშე გაარჩიონ, რაც მონასტრის მამული არის.

და ამას ვითხოვ თქვენის მეუფების მოწყალებისაგან: ერთი ოქმის წყალობა თქვენ გვიყავით, რომ რომელიც მონასტრის მამული არის, ღვთის წინაშე მონასტერს დაანებონ. აპრილის **კთ,** ქორონიკონს **უპგ.**

თავში

ქ. უფალნო კახეთის მსაჯულნო! ამ არზით ასე რომ მოუხსენებია, რომელიც ამისი განაჩენში ეწეროს, ღვთის წინაშე სამართლიანის საქმით გაურჩიეთ და ის მამული ამას დაანებეთ. იმისი უმაღლესობის მეფის ბრძანებაც ასრე არის, ნიშნობრივ რომელიც ეწეროს. მაისს **დ,** ქორონიკონს **უპგ.**

ხელრთვა: კათალიკოზი.

## 319. არზა ზურაბ ფურცელაძისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1795 წ. 19 მაისი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 417. დედანი. ქაღალდი. 34,2×15,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. ა-მეტწაკლული.

ქ. ღმერთმან სრულიად საქართველოს დედოფლის ჰირი მოსცეს შათს მონას ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე ს ზ უ რ ა ბ ს.

მერე ამას მოვახსენებ: ერთი კაცი მოსვლია პაპაჩემს ზურაბს. იმ კაცს პირობა მიუცია პაპიჩემისათვის ბატონყმობისა, ჩემი მოდავე არავინ არისო ხვთის მეტიო. პაპაჩემსაც სარჩო მიუცია და მამული. თქვენს მზესა ვფიცამ, დღევანდლამდინ მაგ კაცისა არც ბატონი გამიგონია და არც არავინ მოდავე გვინახამს. მაგ კაცმა დღეს სარჩო მიცა, მამულის მომატება მოიმდომა, არა მჭონდა, ვერა მივეც რა.

მდივანმა[1] თავისი ყმა კ ა პ ა ნ ა ძ ე შემოუყენა, მატყუა, ის ჩემი კაცი აყარა და ხ ვ ი თ ს გაიყვანა, ერთი კაი ვენახი მისცა, ოცდაათი ძირი ნიგოზი უდგია და ერთი საკომლო მამული ექ[ვ]სი წლის სითარხნე და სხვა წყალობებსაც დაჰპირდა, მდივანი ვარო და კარგათ შეგინახამო.

თუ მაგისი ყმა იყო ჩემო ხემწიფევ, აქამდინ სად იყო, მამა მაგისი რატომ არ მედავა და ან ეგე მაგ კაცმა რატომ არა თქვა ერთხელ, თუ მაგისი ყმა იყო. ამას გარდა ორჯელ-სამჯერ ქართლი აღიწერა, ან იმათ რატომ არ უთხრა მაგისი ყმობა. თუ არადა, მძლავრობით მეჭიდება და მართმევს, ჩემო ხემწიფევ; და ნება თქვენი ასრულდეს. მაისის **ით, ქორონიკონს უპგ.**

თავში

ქ. ფურცელაძე ზურაბ ამ არზით ასრე რომ სჩივი, იმ კაცს ჯერ დაეხსენ, სამართალში უნდა გაიაროთ და სამართალმა როგორც გარდ[ა]გიწყვიტოსთ, იმაზედ უნდა დასდგეთ შენცა და შენი მოდავენიცა. მაისის **ით, ქორონიკონს უპგ.**

ქ. მდივანბეგ-ეშიკაღაბაშო თ ე იმ უ რ ა ზ! რაც წიგნი ჭონდესთ ან მოწამე ჰყვანდესთ, ყველა მოატანინე და მოაყვანინე და ისე ალაპარაკე. მაგ კაცს ნურავის დაარბევინებ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ე რ ე კ ლ ე.

---

1 მანივანმა.

## 320. არზა ზაალ დავითიშვილისა ყმის თაოგაზე ანტონ II-ის ოქმით

**1795 წ. 30 მაისი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 564. დედანი. ქაღალდი. 21,3×15,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. ა-მეტი.

ქ. ღმერთმან მათის უწმინდესობის მეფის ძის პატრიაქის ჭირი მათს მონას დავითიშვილს ზაალს მოსცეს.

მერმე ამას მოვახსენებ: ერთი ჩემი კაცი აწყურს გახლდათ. მის სიმაღლეს მეფეს მოვახსენე, ოქმი მიბოძა აყრისა, მიველი, დამემალა. მასუკან დედოფალს მოვახსენე იმისის ბძანებითა აქ ჩამოვაყვანინე. აქედამაც გამეპარა, წავიდა, აიყარა, ალავერდს ჩავიდა. თქვენს უწმინდესობას მოვახსენე ოქმი მიბოძეთ, იასაული რომ მივიდა, საყდროვანთ არ და[ა]ნებეს. იქიდამ წავიდა, ახლა რომ სოფელი ა[ა]შენეთ ახატენი გაღმა ალაზნის პირზე, იქ გავიდა. იქიდამ აქაზ უზბაშმა აღარ დამანება. მისის უწმინდესობის ბძანება მაქვს, აქედამ კაცს ვერავის დავანებებ უბძანებლათაო.

ჩემო მოწყალეო! ხომ მოხსენდა თქვენს უწმინდესობას, უსჯულოთ ოსთ როგორ ამიკლეს, რომ ჩემს ბედობაზე აღარა გაუშვეს რა. ხუთი ტყვე დასახსნელი მყამს, სხვას მოწყალებასაც მოველი თქვენის სიწმინდისაგან, თორემ ჩემი არ მიბოძოთ, ჩემო ხემწიფევ, ან ეკლესია[ს] რათ უნდა უსამართლო; თუ იქიდამ კაცის აყრას, არ ინებებთ, ფასი მებოძოს. თუ რომ თქვენ არ ინებებთ, დასტური მიბოძეთ, იმავ ეკლესიის ყმას მივცემ და იქავ იყოს. თქვენმა დღეგრძელობამ, ყოველის ნივთით საქმე გაჭირვებული ვარ. ჩემი ამბავი წვრილათ რომ მოგხსენდესთ, შეგ[ე]წყალები. ღმერთი ხემწიფეს მამასა და დედას გიცოცხლებს, მოწყალება მოიღე ამ ჩემის ვედრებისა. მაისის კგ, ქორონიკონს უპგ.

თავში

ქ. უზბაშო აქაზ! ამ არზით ასე რომ მოუხსენებია, რადგან მისის უმაღლესობის მეფისა და დედოფლის ოქმიცა აქვს, ის კაცი ახლავ აუყარე ახადლიდამ და ზაალ დავითიშვილს მოაბარე; უსამართლო არც ეკლესიას უნდა და არც ჩვენა; და ეგ კაცი ახლავ აუყარე და მოაბარე. მაის[ს] ლ, ქორონიკონს უპგ.

ხელრთვა: კათალიკოზი.

## 321. არზა ნინია ჭარუმიძისა უმის თაოგაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1795 წ. 9 ივნისი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1976. დედანი. დაზიანებული ქაღალდი. 33,8×11,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი ქარუმიძე ნინიას მოსცეს. მერე კურთხეულმა თუმანიშვილმა თბილელმა მარტო [ეს ერთი] კაცი დაიხსნა, ოთხი [კაცი მას] ემსახურა. ტფილელი რომ თქვენის ჭირის სანაცვლო შეიქნა, ნეტარად ხსენებული თქვენი ძმა ანტონი კათალიკოსი და ბესარიონ მთავარეპისკოპოსი თქვენთან შუა შემოვიდნენ და წყალობა მიყავით, ბადურაშვილი მიბოძეთ [და ორმ]ოცი წირვა მიბძანეთ და ვაწირვინე. მღუდელიც ისევ ცოცხალი გახლავსთ. ოქმი მიბოძეთ, ის კაცი პაპუა თუმანიშვილს ებარა, ოქმი იმას მიუტანე და კაცი მე მამაბარა. მას აქეთ ოცდასამი წელიწადია მე მყავს და ახლა კიკოლა თუმანიშვილი ჰყრის თქვენის ოქმით. თქვენ კი აღარა გხსოვნებიათ.

წყალობას ვითხოვ ჩემი სამკვიდრო კაცი არის და არ ამიყაროს. ღმერთი გაგიმარჯვებს. თიბათვის ა, ქორონიკონს უპგ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის თუმანისშვილო ნიკოლაოზ! მერე ამ არზით რომ ეს ნინია ქარუმიძე ჩივის ბაინდურაშვილი (sic) ამისი ყოფილა, ამაზედ ჯელი აიღევ. უწინაც სამკვიდროთ ამისი ყოფილა და ახლაც თავისი კაცი ამასვე უნდა დანებდეს. საქმე არავისა აქვს. ივნისის თ, [ქორონიკონს უ]პგ.

თუ სიტყვა ჰქონდეს, სამართალში ილაპარაკოს.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 322. არზა რევაზ ფავლენიშვილისა ვალის თაოგაზე დარეჯან დედოფლისა და ერეკლე II-ის ოქმებით

**1795 წ. 12 ივნისი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 17. საბუთი № 148. ჰირი. ქაღალდი. მხედრული.

[151] ღმერთმან სრულიად საქართველოს დედოფლის ჰირი მათს მიწას ფავლენისშვილს რევაზ[ს] მომცეს.

ჩემი სიძე ცოცხალი გახლდათ რ ე ვ ა ზ ნ ა ზ ი რ ი, რომ თავის სახლობას [v] ერთი კომლი კაცი მისცა. ის რომ თქვენი ჰირის სანაცვლო შეიქნა[1], ჩემს დას ჰყვანდა. ჩემი დაც თქვენის ჰირის სანაცვლო შეიქნა. სამარხი რომ არ ჰქონდა, თქვენის ოქმით მ ა ი ო რ ს დაუგიავეთ, იმითი დავმარხეთ. ახლა ო რ ბ ე ლ ი შ ვ ი ლ ე ბ ი მაიორს იმ კაცს აღარ ანებებენ, არც თეთრს აძლევენ და მე მაწუხებს მაიორი.

მოგეხსენებათ ორი ძმა თქვენის ჰირის სანაცვლო შეიქნენ, ყმა და მამული გავყიდე, იმითი დავმარხე, ვალიც დამედო. ამ წყალობას ვითხოვ: როგორც ერთის თავადისშვილის ცოლს სამარხი მისცემოდეს, იმასაც ებოძოს, რომ მკვდარი არის და საცოდავი, ან ისივ კაცი უბოძოთ,ან თეთრი მიეცე[ს] იმ მკვდარს. ახლაც კიდევ მისმა უმაღლესობამ ბძანა, რომ სამართალი თქვენ გვიბოძეთ, თიბათვის **ზ**, ქორონიკონს **[152] უპგ**.

**თავში**

ფ ა ლ ვ ე ნ ი ს შ ვ ი ლ ო რ ე ვ ა ზ! შენის დის სამარხის გამო ამ არზით სამართალს რომ ითხოვ, იმ ჟამად ჩვენ ეს შევიძელით, რომ ის ერთი კეთილი კაცი ათ თუმნათ ჩვენის შეტყობითა და სიტყვით დაგირავდა, რომ სამარხისა სხვა ილაჯი არა ჰქონდათ. და რადგან ეს საქმე მისის უმაღლესობისაგან გასამართლებული არის, მისს უმაღლესობასაც მოახსენე და რომელიც სამართლით პასუხის ბოძება იქნება, მისის უმაღლესობისაგან გარდაწყვეტით გებრძანება შენის დის სამარხის მოცემისა. ივნისის **ჱ**, ქორონიკონს **უპგ**.

**[152]** ჩვენი ბძანება არის ორბელიშვილებო! მერე ამ კაცის გასყიდვა თუ არ გინდათ, თავისი თეთრი მოეცით და კაცი თქვენი იქნება. და თუ თეთრს არ მოსცემთ, ეს თავისი გირაო კაცი მაიორს დარჩება, თუ [უ]ნდა, გაჰყიდის და თუ უნდა, თითონ იყოლიებს. ივნისის **იბ**, ქორონიკონს **უპგ**. ალბათ, ალბათ.

[1] +შეიქნა.

## 323. არზა გაბრიელ მაიორისა ვალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1795 წ. 27 ივნისი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 408. დედანი. 21,4×14 სმ. ქაღალდი. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჴირი გაბრიელ მაიორს მომცეს. მერმე ამას მოვახსენებ: ფალვენის შვილმა რევაზმა ორბელის შვილის კაცები დამაგირავა[1]. მერე თქვენ მოგხსენდათ და ოქმი გებძანათ — ან უნდა თეთრი მისცენ თავისიო და ან კაცნი უნდა და[ა]ნებონო. ახლა არც ჩემს თეთრს მაძლევენ და არც კაცებს მანებებენ, ისევ თავ[ი]ან[თ] დავთარსა და ლაშკარში ჰყავთ და მე რას მარგებენ. ან ჩემი თეთრი მამცენ და ან კაცნი დამანებონ, რომ ან გავყიდი და ან მე ვიმსახურებ.

ერთი ამის განაჩენის წყალობა მოიღევით და იასაულისა, რომ ან თეთრის პატრონი გამხადონ და ან ხელი აიღონ იმ კაცებზედ. ნურცარა ლაშკართან აქვთ საქმე და ნურცარა სხვაფრივ; დამანებონ, მე ვიმსახურო. ივნისის ით, ქორონიკონს უპგ.

თავში

ქ. ორბელის ჯალაბო! შენს შვილებს ხომ არ შეუძლიანთ ლაპარაკი და შენ უნდა ამისი პასუხი მოსცე. ამას ხომ ვერ იტყვი, რომ არც თავისი თეთრი მოსცე და არც კაცი დაანებო. ამით მესამე ოქმი მოგვიწერია. ახლაც ამას გწერთ, ამ ერთს თვეზედ თეთრი უნდა მოსცე. და თუ ერთს თვეზედ თეთრს არ მოსცემ, კაცი უნდა დაანებო. უამისობა არ იქნება. ამ ორში ერთი უნდა ჰქნა — ან თეთრი მოსცე და ან კაცი დაანებო. ივნისის კზ, ქორონიკონს უპგ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

---

1 დამაგარავა.

## 324. არზა იასე გოგიბედაშვილისა ღალის თაობაზე გიორგი გატონიშვილის ოქმით

**1795 წ. 21 ივნისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 8757. დედანი. ქაღალდი. 20,5×15 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ძის გიორგის ჭირიმე თქუენს მონას გოგიბედაშვილს იასეს მოსცეს.

ამას წინად ხანებში ამილბარ სალთხუცესი და ჯავახიშვილი[1] ურწყავ მამულზედ ჩვენ გვედავებოდნენ. თქვენის წყალობითს სამართალში ვილაპარაკეთ, ფიცი და[ა]დვეს, ვერ დაიფიცეს. ის მამული სამართლით მე დამრჩა.

ახლა იმ მამულში ჯირნახული გახლავსთ. ამდენი თქვენი წყალობა იყოს, ერთი ოქმი და ამილბარ ციციშვილი იასაულათ მიბოძოთ, რომ ის ურწყავი მამულის ღალა ჩემთვის ავიღო. ღმერთი გადღეგრძელებს, ამისი მოწყალება მაღირსეთ. თიბათვის კა, ქორონიკონს უპგ.

**თავში**

ქ. ბატონიშვილის გიორგის სიკეთით სახსოვარო ამილბარ ციციშვილო, მერე ამ არზით ეს გოგიბედაშვილი ასე რომ ჩივის, ეს თავისი მამულის ღალა შენ უნდა ა[ა]რთო და მოსცე. და თუ რამ სიტყვა აქვს ვისმე[2], სამართალში ალაპარაკე. ივნისის კა, ქორონიკონს უპგ. გიორგი

## 325. არზა გიორგი თარხნისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1795 წ. 23 ივნისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3260. დედანი. ქაღალდი. 21×10,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჭირი თარხანს გიორგის მოსცეს. ჩემო ხემწიფევ, ჩემი მოხსენება ეს არის: რაც ან ჯორაშვილს ან კარგალეთელს დეკანოზს და ან იმის ძმას წმინ-

[1] ჯახახიშვილი.
[2] + და.

დის ევსტათის მამული უყიდიათ, ის ძირს უნდა დადვან; ეკლესიის მამულის სყიდვა არ იქნება.

ერთის ოქმის და იასაულის წყალობას ვითხოვ, რომ ვისაც უნდია, ისევ ეკლესიას დაუდვას. უწინ ჩემს ჯ ვ ა რ ა ს შ ვ ი ლ ს დავადებინებ ნასყიდს მამულს. მასუკან სხვებმა დადვან. თიბათვის **კბ**, ქორონიკონს **უპგ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის მ ა ღ ა ლ ა ს შ ვ ი ლ ო ი ა კ ო ბ! მერმე ამ არზით რომ ასე მოუხსენებია, ახლავ უნდა ე რ თ ა წ მ ი ნ დ ა ს მიხვიდე: ვისაც ერთაწმინდის მამული უყიდნიათ, ან ჯორაშვილს, ან დეკანოზს, ან დეკანოზის ძმას და კიდევ სხვათ, ახლავ ჯელი უნდა აუმართო და წმინდა ევსტატისთვის დასდვა. და ვისაც სამართლიანი სიტყვა ჰქონდესთ, ჩვენ მოგვახსენონ. და რომელთაც მიუყიდნიათ, პასუხს იმას გავაცემინებთ. ივნისის **კგ**. ქორონიკონს **უპგ**.

ქ. ვინცავინ წმინდის ევსტატის შეწირულნი კაცნი არიან, იმათ უნდა ეჭიროსთ, სხვათ საქმე არავისა აქვს.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ე რ ე კ ლ ე.

## 326. არზა მოსე გუგულაშვილისა მამულის თაობაზე ანტონ II-ის ოქმით

**1795 წ. 1 აგვისტო**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1801. დედანი. ქაღალდი. 21,5×17,8 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ თითო წერტილი.

ქ. ღმერთმან უწმინდესის პატრიარხის მეფის ძის ჭირი მოსცეს თქვენს ყმას გ უ გ უ ლ ა შ ვ ი ლ ს მ ო ს ე ს.

მერე ამას მოგახსენებ ჩემო ხელმწიფევ, მამა და ბიძა რომ დამეკარგა მე, დიახ, პატარა დავრჩი, ბიძაჩემ[მ]ა პ ე ტ რ ე მ გამზარდა და შვილათ ამიყვანა. თავისი სამკვიდრო მამულზედ ხელი აიღო ჩემის გულისათვის, ეგ ერთის ბიჭის მეტი არა მყავს რაო, ამას აზნაურის ხელში არ ჩავაგდებ და საგინებელს საქმეს არ დავაგდებო. ადგა საცნობელმა ბიძაჩემ[მ]ა გამოვიდა კათალიკოზის ყმათ გახდ[ა], მრავალი დახ[ა]რჯა და ის მამული ჩემის გულისათვის იშო[ვ]ა.

ღმერთია მოწამე, რომ ჯერ შვილი არა ყვანდა ჩემს მეტი. თვრამეტის წლისა ვიყავი, რომ მასუკან მამაჩემი და ბიძაჩემი მოვიდა ტყეობიდამ, იყიდეს მამული თუ წყალობათაც იქრთამეს, ყველაში ვეწერე.

ახლა ბიძაჩემები და მამაჩემი იყრებიან და არც ბიძის ჩემის ნაშოვნს მამულში მიდებენ წილსა და არც ნასყიდში, რომ ეს ყაცი ჩემთვის ჭი[რ]ნახულობდა და ჩემთვის ირჯებოდა, რომ შვილები არა ყავან და. ახლა ასე გა[ა]გდებენ.

ღმერთი გადღეგრძელებს, უწილოთ ნუ დამაგდებთ, ეგება მამაჩემ[მ]ა მეც გამამაგდოს. რით ვიცხოვრო?

თქვენს სადღეგძელოთ, თქვენის ძმების სადღეგძელოთ ერთის ოქმის წყალობა მიყავით, ან ბიძაჩემ[მ]ა რომ მამული იშოვა ჩემთვის, ან იმაში დამიდონ წილი ან ნასყიდობაში.

თავში

სალთხუცესო ამილბარ და მეტეხის მოურავო იოვანე! ამ არზით ასე რომ მოუხსენებია, ეს გუგულაშვილები თქვენთან მი[ი]ყვანეთ და ღვთის წინაშე რასაც ნასყიდობას ჩიოდეს და ან შემატებულს მამულებსა და საქონელს, რაც ერგებოდეს, ამას თავისი წილი მოეცით. ეს ასე უნდა აღასრულოთ. მარიამობის **ა**, ქორონიკონს **უპგ**.

ხელრთვა: კათალიკოზი.

## 327. არზა ერასტი ჩოლაყაშვილისა ყმა-მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1795 წ. 5 დეკემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10466. დედანი. ქაღალდი. 30×13,5 სმ. მარცხენა ზემო კუთხე მოხეულია. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს ჩოლაყაშვილს ერასტის.

მერე ამას მოგახსენებთ ჩემო ხემწიფევ, ხუთი წელიწადი არის, რომ ვჩივი და თავს გაწყენთ, მაგრამ ჩემის ცოდვით სამართალი არ მელირსა. ახლა ინებეთ ჩვენი ლაპარაკი, მაგრამ ჩემის უბედურობით არც ახლა მოხდა. გოგიაც სამსახურზედ გაისტუმრეთ და იმისის მიზეზით დარჩა ჩვენი საჩივარი.

ამ მოწყალებას ვითხოვთ, რომ მატანიდამ ორი მსახური მიბოძოთ, მანამდინ ვილაპარაკებთ და გავშველდებით. ხუთი წელიწადი არის, რომ მე მატანიდამ არაფერი არა ვიცი რა, ვეფხის ციხეს გახლავარ. და ეს მსახურები მაინც მებოძოს ტერტერაშვილი და იმისი სახლისკაცი.

წყალობას ვითხოვთ. ერთი ოქმი და იასაული მიბოძოთ, ეს მსახურებიც მებოძოს და ჩემი წილი საბალახეც. ამ წყალობას ვითხოვ, რომ ჩემ[მ]ა სახლის კაცებმა ამ ჩემს მსახურებს წუხება არ დაბრუნებინონ. ქრისტიშობისთვის **გ**, ქორონიკონს **უპგ**.

თავში

[ქ. ჩვენი ბძა]ნება არის [ბატონი]შვილო დ ა ვ ი თ! მერმე შენ უნდა მიხვიდე ამის სახლის კაცებთან და რომელნიც კაცნი მსახურათ უთხოვნია ამას, ის კაცნი გამოართო და [ა]ახლო. დეკენბრის **ე**, ქორონიკონს **უპგ**. და თავისი წილი საბალახეც გამოურთვი და მოეც.

თუ სიტყვ[ა] აქვსთ, ჩვენ მოგვახსენონ. თუ სამართლია[ნი] სიტყვა არა აქვსთ... [დაა]ნებე.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ე რ ე კ ლ ე.

## 328. არზა პეტრე ლარაძისა სახლების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1795 წ. 6 დეკემბერი**

ცსსა. ფ. 1449. საბ. № 511. პირი. ქაღალდი. მხედრული. საბუთის მეორე პირი დაცულია იქვე, ფ. 1450. დავთარი № 10, საბუთი № 133.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მათს მონას ლ ა რ ა ძ ი ს შვილს პ ე ტ რ ე ს მოსცეს.

მერე ჩვენო ჯელმწიფევ, ღმრთით, თქვენის დოვლათით და ჩვენის გარჯილობით ქალაქს ჩვენის საყდრის გალავანში ზოგიერთი სახლები მოვარჩინეთ, თორმეტი დღე მშივრები ორნი ძმანი ოთხი-ხუთის კაცით იმ სახლების ყარაულნი და ცეცხლის მჭრობელნი გახლდით.

ახლა ზოგიერთნი ჩვენნი მტერნი და მეშურნენი იქ დგომას თურმე ცდილობენ ძალით და უსამართლობით. ღმერთი გაგიმარჯვებსთ, ობლებს ამისთანა უსამართლობა ნუ დაგვემართება. ერთი ოქმის წყალობა მოიღევით, რომ არც სადგომლად და არც საძალოდ ჯელი არავის ჰქონდეს. ჩვენი სისხლი და ძვლები იმ ეკლესიაში და სახლებში ჩაბნეული გვაქვს და უსამართლოს ნურავის ახმარებინებთ თქვენის შვილების სადღეგრძელოდ.

თავში

ქ. ანდრია გაბაშვილო! ამ ლარაძის სახლებზე რადაც შენც მანდა ხარ, ნურავის დააყენებ მოძალედ; ვის რა საქმე აქვს, თვითონ მოუნდება, თავისი სახლია. დეკენბერს ვ, ქორონიკონს უპგ.

ერეკლე

## 329. არზა ზაზა თარხნიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1795 წ. 8 დეკემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10006. დედანი. ქაღალდი. 20,3×12,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მათს მონას თარხნისშვილს ზაზას მოსცეს.

მერე ჩემო ჯელმწიფევ, ჩემს საკუთარს ერთი კომლ კაცზე თარხნიანი მედავებოდნენ. ვილაპარაკეთ და სამართლით მევე დამნებდა რომლის განაჩენი თქვენის სიმაღლისაგან დამტკიცებული არის. ბეციამაც ჯელი აიღო, გლახამაც და თარხანმაცა. თუ ინებებთ, თარხანი აქ გახლავსთ, იმას ჰკითხეთ თუ ტყუილი მომეხსენებინოს. ახლა ძალითა და უსამართლოებით სოლომან მეითარი წამომედავა და აღარ მანებებს.

ღმერთი გაგიმარჯვებს ერთი ოქმი მებოძოს, ის კაცი მევე მყვანდეს. და თუ მეითარს სოლომანს სიტყვა აქვს, თქვენ მოგახსენოსთ. სამართალში ვილაპარაკოთ და სამართალი თუ მისცემს, რაღა სიტყვა მექნება. გევედრები სამართლამდინ ის კაცი მევე მყვანდეს, ოქმი მებოძოს რომ ძალით არ წამართოს. დეკემბერს ჱ, ქორონიკონს უპგ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის თეიმურაზ ჯავახიშვილო! ეს კაცი ამ თარხნიშვილს მოაბარე. და თუ სოლომან თარხნიშვილს სიტყვა აქვს რამე, მასუკან ჩვენ მოგვახსენოს, კაცი კი იმას მოაბარე. დეკენბრის ჱ, ქორონიკონს უპგ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 330. არზა მირზა სირგილაძისა დაგირავების თაობაზე იულონ გატონიშვილის ოქმით

**1795 წ. 11 დეკემბერი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი. № 49. საბუთი № 1. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[1] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ძის იულონის ჰირი მოსცეს მათს მონ[ას] სირბილაძე მირზას.

მერე თქვენგან ოქმი მებოძა გირაოებ[ისა], მაგრამ იმით არავინ დამიგირავ[ა], მარტო შენ რად გვინდიხარო, შვილებიც გამოაცხადე და დაგიგირავებთო. ახლა ამას გევედრები, რომ ერთი ოქმი მებოძოს, შვილებიც შიგ გამამიცხადდეს, რომ თეთრი მამცენ და თქვენის დოვლათით თავი დავიხსნა. როდესაც ღმერთი შემაძლებინებს, ისევ თქვენს მონებას ქვეშე შევიქნა. ქრისტიშობის **ი**, ქორონიკონს **უპგ**.

თავში

ბატონიშვილი იულონ გიბძანებთ ამ არზის პატრონო! შვილებითა და თავით უნდა დაგირ[ა]ვდე და ეგ თეთრი იშოვო. ოდესაც ღმერთი შაგვაძლებინებს, მეც შამოგეწევი დ[ა] ღვთის ძოწყალებით უნდა გარდავიხადოთ. ქრისტიშობისთვის **ია**, ქორონიკონს **უპგ**. და თავი უნდა დაიხსნა.

## 331. არზა ივანე აფხაზიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1795 წ. 23 დეკემბერი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 45. საბუთი № 19. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[12] ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჰირი მოსცეს აფხაზიშვილს ივანეს.

ერთი ჩემი ყმის შვილი გავზარდე პატარა და გამექცა, შილდაში მისულა.

წყალობას ვითხოვ, ერთის ოქმის და იასაულის წყალობა მიყოთ, რომ ჩემი ბიჭი მამაბარონ. თუ სიტყვა ქონდესთ, თქვენ მოგახსენონ.

თავში

ჩვენი ბძანება არის პაატა ჭავჭავაძევ! მერე ამ არზის პატრონის ბიჭი თავის ბიძას რომ წაუყვანია, ახლავ გამ[illegible] მოაბარე, არ დამალოს, უნდა მოაცემინო. დეკემბერს კგ, ქორონიკონს უპგ.

## 332. არზა ყაფლანიშვილებისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-სადმი

**1793—1795 წწ.**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3. რვეული. 22,3×17,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორწერტილი. ხელნაწერის **უჩ** და **ჳ** წარმოდგენილია **უე** და ვი-ეთი. საბუთი უთარიღოა. ქაღალდის ჭვირნიშანი 1793 წელს უჩვენებს. ხელნაწერი საბუთის პირს წარმოადგენს.

[1] ღმერთმან უმაღლესის ჴელმწიფის ჭირი ყაფლანის შვილებს ვახტანგს, ზაალს, იმისს შვილებს და ლუარსაბს მოგვცეს!

ამას მოვახსენებთ ჩუენს ყოვლად მოწყალე ჴელმწიფეს.

1*. დავით სარდალს სამოცის წლისა ყმისა და მამულის გამოსავალსა ვთხოვთ, ამის მიზეზისათვის: ერასტი მდივანბეგი რომ მიცვლილა, შემდგომად სახლისკაცებს ქაიხოსრო სარდრისათვის მიუციათ თავეთი სახლის ბატონობა, ყმა და მამული, აშენებული და გამდიდრებული საყაფლანისშვილო. წელიწადი არ გამოსულა, ამ სახლის ბატონმა საერთო სოფლები ჩამოართვა და სახლისკაცები შიგ აღარ გაატარა. მამაჩემი მიიკრა და მამულში იმას ამოქმედებდა.

მერე სახლისკაცები მოვიდნენ და მამა ჩემს უთხრეს: ამდონი სული რომ გამოგვრეკა მამული, შენ ერთი ხარ და შენ უფრო მოგერევა. მოდი და ჩვენ ერთობა გვიყავ და ძმობა, ფაშასთან უჩივლოთ, ჩვენს მამულს უსამართლოდ ძმისაგან დაჯაბნით ნუ წავირთმევთ.

მამაჩემსაც ჭკვამ გაუჭრა და სახლისკაცებს გაუერთდა. ჩამოვიდნენ ქალაქსა და ფაშასთან ჩივილს უპირებდენ. ერთათ შეიყარნენ და დემეტრე ეშიკაღასბაში მაჰმადბეგს მოციქულად მიუგზავნეს, ქრთამს დაჰპირდნენ, მამულს ნუ წაართმევინებ ჩვენს ძმასაო.

მაჰმადბეგ ქაიხოსრო სარდლისა დიდი მეგობარი იყო და ჰამფალა.

---

* ტექსტი მუხლებად გაკვეთილი არ არის.

მაჰმადბეგ დიდად გაუწყრა დემეტრე ეშიკაღადბაშსა, თქვენ ქაიხოსრო ბეგს როგორ უჩივითო, წადი, ყაფლანიანთ ასე უთხარ, ხვალ დაგიჭერო.

ეს ამბავი ეშიკაღასბაშმა სახლისკაცებს მოუტანა, რასა[v]კვირველია, შეწუხდებოდნენ.

ქაიხოსრო სარდალმა, მაჰმადბეგის შემწეობით, სხვა სახლისკაცები კი აღარ დააჭერინა და მამა ჩემი დააჭერინა, ამ მიზეზითა, რომ მაშინ მამულში ვასაქმებდიო, და დემეტრეს ჯელით ორი ათასი ყურუში და ერთი ალმასის ბეჭედი ფაშას მოვართვიო. მამა ჩემი აღარ გაიკითხეს, ორი ათასი ყურუში და ათასი ყურუშიც ბეჭდის ფასად — ეს სამი ათასი ყურუში წაართვეს.

სახლისკაცები რომ დაჰფანტა და მამაჩემს ეს შარი მოუგონა, მასუკან მოიყვანა ტერ-შიმშონაშვილი მოსესა და საყაფლანისშვილო და საბარათასშვილო იმას დააქცევინა. იმისი მნახავი და გამგონი ბევრნი გახლავან.

წელიწადი არ გამოვიდა, საუფლისწულოებიც წაართვა ყველას სახლისკაცებსა. ეშიკაღაბაში ხომ თქვენს საფარველს ქვეშ ცხოვრობდა, სხვანი ეყარნენ დმანისის ციხეში უყმო, უმამულო და უსარჩოო.

პაპუნა მზეჭაბუკის მამას ერთი გაკეთებული ყმა ჰყუანდა, თავისი საუფლისწულო, ბატონყმობის რიგით ვერ მიეიდოდა ქაიხოსრო სარდლის შიშითა. მოწყალების სათხოვნელად მივიდა, სოფელში არ შეუშვეს, ქვითა და ლოდით გააგდეს: სარდალი შეგვიტყობს და აგვიკლებსო, შენ რომ აქ პური გაჭამოთო.

მამა ჩვენს კი ვერ წაართვა საუფლისწულო ვერც ოსმალობასა და ვერც ყიზილბაშობაში, ამ მიზეზით, რომ კარზედ მეგობრები ჰყვანდნენ.

მამაჩემმა საუფლისწულოს ნაკლებობაზედ უჩივლა ისაყ ფაშასთან სარდალსა: ფაშისა და უსუფბეგის ბრძანება მიუტანა, შვიდის სოფლის ნუსხა მისცა, ეს უნდა დამიდვა ჩემს საუფლისწულოზედაო.

იმ ბრძანების შიშით მაშინვე აიღო ის შვიდი სოფელი და მამაჩემს მოსცა იმ წიგნის ძალითა, რომელიც თქვენს ბედნიერს ყურს მრავალჯერ მოუსმენია, [2] ახლაც მზასა მაქვს აქა.

მოწყალევ ჯელმწიფევ! ეს ჯავრი მკლავს: მამა ჩემმა უსუფბეგის ბრძანებით შვიდი სოფელი გამოართო პაპა მაგისს, და მე ერთი მეცხვარე ვერ დამიხსნია მაგის ჯელიდამ თქვენისთანა მაღლის ჯელმწიფის ბრძანებით.

ეს კმარა საჩივრად. მაგრამ, რადგან მართლმადიდებელი და მეა-
სამართლე ჯელმწიფე ბძანდებით, მონისაგან ყველა უნდა მოგხსენდეს
ჩვენი საჩივარი.

ჲ. რამდენსამე ხანს უკან ოსმალო წავიდა და ყიზილბაშში მოვი-
და. ვერც მაშინ წაართვა საუფლისწულო მამაჩემსა, ამ მიზეზითა: ნა-
დირშა რომ ქალაქში მობძანდა, ორასი ნოქარი სთხოვა სომხით-სა-
ბარათაშვილოსა; ის მამაჩემს ნადირშამ მოაბარა, თვითან წაბძანდა, და
სეფიხან სარდალი აქ სარდლად დააგდო. სეფიხან სარდალმა მამა-
ჩემი დიდათ მიიჩნივა, ეშიკაღაბაშობა მოუტანინა ნადირშადამა, ორ-
მოცდაათის თუმნის ჯამაგირით. მას უკან საერისთო დაიჭირა და ისიც
მამაჩემს მიაბარა..

მერე მამაჩემმა თქვენი ჰირი წაიღო. ჩვენ წვრილები დავრჩით.
მოგვყო ჯელი, მე და ჩემი ორი პატარა ძმა დაგვიჭირა და იმანყუ-
ლიხანს მიგვცა დასახოცლად. ყაფლანმა გაასწრა და და-
ღისტანში ნადირშასთან წავიდა. ამ მიზეზით იმანყულიხანმა ჩვენ
ვეღარ დაგვხოცა და გაგვიშვა.

მემრე დმანისს გვიღალატა, ოთხნი ძმანი ერთათ დაგვიჭირა.
ღმერთმან შეგვიბრალა, სანამ ჩვენ მოგვახსემდა, იმანყულიხან გამო-
ცვალა, ყოჯახან მოვიდა. მე და ყაფლან ჯელხუნდით ჩამოგვასხა
და ჩემი წვრილი ძმები იღლიით დაჰყვანდათ, დასახოცლათ ყოჯახან-
თან მიგვასხა. ყოჯახანმა შეიტყო, რომ შურით ვიყავით იმისგან დაჭე-
რილნი. ჩვენ ჯელხუნდი აგვყარა, გაგვიშვა და ის დატუქსა. და უბძანა:
ამათ თავეთი მამული უნდა მისცეო. იმისის ბძანების ძალით ჩვენ ჩვენს
მამულში მივედით.

მასუკან მოვიდნენ ორნი მამა-შვილნი ქვეშის ციხეში. ჩვენ
დმანისს გახლდით. გამოგვისია რევაზ და ოთხნი ძმანი კიდევ დაგვი-
ჭირა. იმჟამად ყოჯახან აღარ იყო, ალიხან იყო ქალაქში ბეგლარ-
ბეგათ. მოგვი[v]ყვანა და ოთხნივე ძმანი იმას მიგვცა დასახოცლად.
დმანისიდამ რომ ქვეშს ჩამოგვასხა, იქ ერთი თვე მეტი შეგვინახა.

გუდელისის ნახევარი და ტაბახმელის მეოთხედი ჩვე-
ნი ნასყიდი იყო და ერთი საკომლო ხრამში ანდრიას ჰქონდა
ნასყიდი. ეს სამივე სიგელი პატრონისაგან მიცემული მიგვატანინა და
ჩვენც სიგელი დაგვაწერინა და გამოგვართვა. რა ილაჯი გექონდა?
ქვეშის კლდეზედ გადაყრას გვიპირებდა.

მასუკან ალიხანს მიგვცა ოთხნივ ძმანი დასახოცლად. ალიხანმა
ის ორი ჩემი წვრილი ძმები კი გაუშვა. დიაღ, წვრილები იყვნენ და
ჩვენ ორნი ძმანი მოედანზედ გამოგვასხეს დასახოცლად. იაჰიაბეგ-
ზედ რომ გამოეგზავნა ნადირშას გორის! ციხისა და ყორჩა-
ყალის ასაშენებლად, ის იაჰიაბეგ რიზაყულიმირზის სოლ-

ბათიასაულლი იყო, ერთის ბატონის ყმანი ვიყავით და ჩემი მეგობარი იყო. საწყალობელმა დედაჩემმაც იცოდა იმისი და ჩემი მეგობრობა; მიჭრილიყ[ო] და მუხლს მოხვეოდა: მიშველე, შვილო, ... უსამართლოდაო.

მაშინვე იაჰიაბეგ წასულიყო და ალიხანისათვის ეთქვა: ოროლს თავადისშვილს რათა ჰხოც უსამართლოდაო? არ გიჯობსო. იმის შიშითა და ხათრით გაგვიშვა, აღარ დაგვხოცა.

მერე ალიხანმა სოღბათიასაულათ დამაყენა მე და მწყალობდა. გახლდა თორმეტი დღე. რასაკვირველია, სარდლის შიშით მამულში ვეღარ მივიდოდით.

მერმე ჩემმა ძმამ მითხრა: რა ვქნათ, ზაალ, რომ ამ კაცმა საუკუნოდ ჩვენის სამკვიდროს მამულიდამ გამოგვყაროო? მე უთხარ, დასტური მამეც, ნასრულამირზა შირვანს არის, ალიხანს გავეპარები და იმასთან ჩავალ-მეთქი, ჯელი მამიმართვა.

ორის მსახურით გავეპარე და ჩაველ, ნასრულა მირზასთან მიველ ურდოში. და ბაბახან იმასთან ყულებში პირველი იყო, მიველ და იმის კარაეში ჩამოვხე. მივიდა და მირზას მოახსენა, რიზაყულიმირზის ყული ზაალ გლხებიათ აქაო. ნასრულა [3] მირზა კარგათ მიცნობდა. მაშინვე დავეძახნე, მიმიყვანა, მოწყალების თვალით მამხედა და დიდ ხანს მელაპარაკა; მერმე ბაბახანს მიმაბარა.

მეორეს დღეს ბაბახანის პირით ებძანა, ჩემთან დადექო და მოჰბათს გიზამთო. მე მოვახსენე, ცოლშვილის პატრონი ვარ და არ შემიძლიან დგომა მეთქი.

ებძანა, მაშ შენი მათლაბი მოგვახსენეო. მოვახსენე, მამული მაქვს წართმეული და მამის სახელო ეშიკალაბაშობა. მამულისა რაყამი მიბოძა ალიხანზედ; თავისი მამული გამოურთვი და მოეცო; და სახელოსი ასე ებრძანა, უმამოთ სახელოს ვერ გავსცემო. წადი მამაჩემთან. მირზა მეთიხანს მიგიწერო, შენს საქმეს ის კარგა გამართავსო.

მუსაბეგ იყო თალიში, კარგი, პატიოსანი კაცი, მამისაგან ლალათ ჰყვანდა მიცემული, იმას უბრძანა: მირზა მეთიხანს ჩემ მაგიერ მისწერეო — ეს ჩემის ძმის მირზაყულიმირზის ყული არისო, და ამისი საქმე შენ გამართე კარგათაო.

თქვენმა სიმაღლემ, ცხვირმოჭრილი რომ ჩაიყვანეთ და მიჰგვარეთ, ეს ამბები მასუკან იყო.

იმ ჟამად მე რომ იქ გახლდი, მაჰმად უსეინბეგ იედიგარაშვილი გამოგზავნილი იყო მირზასთან ნეტარხსენებულის ბატონისაგანა.

იმ ჟამად რაყამი მიბოძა, ინამი და ხალათიც მიბოძა და გამისტუმრა თავის მამასთანა. მე და მაჰმად უსეინბეგ განჯამდინ ერთათ

მოვედით. ის რაყამი და ზოგიერთი რამ ჩემს ძმას გამოუგზავნე მ[illegible]ალ უსეინბეგის ჴელითა.

და ნადირშასთან წაველი. ნადირშა ბალდადიდამ [illegible]-ბულიყო და აჰმადანს აქედამ შევეყარე. მიველ, მ[illegible] და რაც მათლაბი მქონდა, ყველა აღმისრულა.

ალიხანმა ა[v]ღარ მომიკითხა. და რევაზ სარდალი თურმე გულით მეძებდა და მკითხულობდა: ღმანისს მიკითხევდა, ეტყოდნენ ქალაქს არისო, და ქალაქს მიკითხევდა, ეტყოდნენ ღმანისს არისო. მივიდა ღმანისს, მიკითხა, რომ არ ვიყავ იქა, გული დააჯერა, რომ ქართლში აღარ ვიყავ. მაშინვე პაპუა გერმანოზისშვილი გაისტუმრა, ალიხან სარდალს მისწერა: ზაალ გაიქცა სეფი მირზასთან ყარსსა, ყაფლან დაიჭირე, თორემ ეგეც გაიქცევაო. შუაღამისას მოსულიყო და ალიხანისათვის არზა მიერთმია. ალიხანს ეთქვა: გათენდება და დავიჭერ ყაფლანსაო.

გათენდა, ყაფლან მოაყვანინა, ჰკითხა: ზაალ სად არისო? მოახსენა: თავის ბატონთან წავიდაო. ჰკითხა: ვინ არისი იმის ბატონიო. მოახსენა: ნასრულა მირზაო. უბძანა: სტყუიო. მერე მოიტანა ნასრულა მირზას რაყამი და მიართვა. სხვა ველარა თქვა რა. თუ კი ნასრულა მირზასთან მივიდა, რატომ არ შემატყობინა, რომ მართებულად გამესტუმრებინაო.

3. ახლა ეს მოხსენდეს მათს სიმაღლეს, ელიზბარ ასე მო[ა]კულეჭინა: სახლისკაცებსა სიგლახაკით ილაჯი გაუწყდათ. იმ ჟამად გივი ამილახვარიც უკუდგა. დიამბეგისშვილები გივი ამილახვარის მოყვრები იყვნენ. ვახტანგ, ელიზბარის ძმა, სულხან და დავით, იმის ბიძაშვილები, გაიქცნენ და გივის ამილახვართან წავიდნენ.

ორს ოსმალს ორი საპალნე მიჰქონდათ ყარსსა, წინ შეეყარნენ; ის ერთი მოკლეს, ენდრო იქ გაყარეს. ის ორი ხარი წაიყვანეს, წავიდნენ და გივს ამილახვართან მივიდნენ.

ის, რომელიც ოსმალო გარდარჩა, წავიდა დაღისტანში, ყეენთან მივიდა და მოახსენა. ყეენმა ფათალიბეგ ბეგზადა იასაულად მოსცა და [4] ქაიხოსრო სარდალს რაყამი მოსწერა: ეს შენს ქვეყანაში მომხდარაო და პასუხი უნდა მისცეთო. რაყამი მოუტანა ქაიხოსრო სარდალსა. ქაიხოსრო სარდალმა ელიზბარ მისცა ჴელში, ამისი ძმა და ბიძაშვილები არიან მაგ საქმის მქნელნიო.•

ელიზბარმა ეს პასუხი მისცა: ყმა შენ გიჭირავს და მამული, მე საიდამ მივსცე, აიღე და ჩვენის მამულიდამ მიეცო.

ეს სიტყვა ქაიხოსრო სარდალმა, დიაღ, შორს დაიჭირა და კიდევ იმას მიუსია. ამაში ის იასაული, დიაღ, მოიმდურეს ორთავე.

ამ ჟამად ნადირშას ქართველები დაებარებინა დაღისტანში, სხვა ილაჯი არა ჰქონდა და ელიზბარც ამათ გაჰყვა.

ამაში იმანყულიხანს პირობა გამოართო ქაიხოსრო ხარდალმა: მე რომ წავიდე, ყაფლან და ზაალ დაიჭირე და დახოცო. რომ წავიდნენ, ყაფლან კი დაიჭირა; და მე გავექეც და ამათ განჯას მივეწიე.

ქაიხოსრო სარდალმა რომ მნახა, დიდათ ეწყინა და შეწუხდა. მაშინვე მოსწერა იმანყულიხანს: ყაფლანს ნურას ერჩი ,გაუშვიო; იმ კაცს დააბარა: ყაფლანის წიგნი მოუტანე ზაალსა, რომ გამიშვაო.

დარბანდს რომ მივედით, ის კაცი იქ მოგვეწია და ყაფლანის წიგნი მომიტანა. მივედით დაღისტანში ნადირშასთან. ფათალიბეგ დაწინაურდა და ნადირშასთან მივიდა. ნადირშამ მაშინვე იმ ოსმალოს ამბავი ჰკითხა და ქაიხოსრო სარდალი და ელიზბარც დიდათ დააბეზღა. არც იასაულობა მაქნევინეს და არცა რას შემეპოვნენო.

უბძანა, ელიზბარს ჯმალი შემოხსენო. ჩვენც მივედით და ქეშიკხანაში დავსხედით. მოვიდა ფათალიბეგმა და ელიზბარს ჯმალი შემოხსნა.

ცოტა ხანი გამოვიდა. დაგვიძახა, შევედით, უბრძანა სარდალს: შენს ჭვეყანაში ამისთანა საქმე რატომ მომხდარა? სარდალმა ყეენთანაც ელიზბარს დაადვა დანაშაული. მაშინვე ბრძანა, [v] და ელიზბარ დაარჩვეს. სარდალს უბძანა, შენ იყავ სასიკუდილო და ეგ მოკვდა.

იასაულს უბძანა, ახლავ წადი, იმისს შვილს ჩაუდეგ, ხუთას ორმოცდაათი თუმანი წაართვი და ამ ოსმალოს მოეცო. მოვიდა და სარდლის შვილს ჩაუდგა.

მე ელიზბარ იქავე დავმარხე. და სარდლის საჩივარს შევუდეგ ყეენთან ჩემის მამულის გამოსატანათ. აბდულაბეგ და სხვა ქართველები შემომიყენა და ყეენთან აღარ მაჩივლა. ჩემის მეოთხედის წიგნი მომცა აბდულაბეგისა და ქართველების პირობითა.

ფათალიბეგ რომ მოვიდა, ოსმალო მოიყვანა. რევაზმა ოსმალოსი და ფათალიბეგის საქმე ას ოთხმოც თუმნად გარდასწყვიტა. იმდონი თქვენი წყალობა მაქვს; რამ[დ]ენი ხუთას თუმანზედ მეტი მამულიდამ იმან მოკრიფა.

მე ქაიხოსრო სარდალს ვახლდი. დაღისტანიდამ წამოვედით და ქალაქს მოვედით. ორნივე ძმანი გაგვგზავნა და დმანისს დაგვაყენა. იქ ვიყავით და, რაც შეგვეძლო, ქვეყანას უვლიდით.

სარდალი მობძანდა ქვეშსა კაცი გამოგვისია, გვიღალატეს და ოთხნი ძმანი კიდევ დაგვიჭირეს, ქვეშის ციხეში ჩამოგვასხეს და დიდის ტანჯვით დაგვატუსაღეს. ოთხსავ ძმას კლდეზედ გადაყრას გვიპირებდა.

დმანელი თურმე იმ ჟამად იქ დახვდა, შეხვეწნოდა: შენის ჯილითნუ დაბოც, თათრებს მიეც, რაც უნდა უყონო. მაშინვე ტაბახმელის და გუდელისის სიგლები იქ მიგვატანინა, გამოგვართო და ჩვენც იქ დაგვაწერინა სიგელი. მასუკან წამოგვასხა და ალიხანს მიგვცა დასახოცლად, როგორც ზემო წერილი აცხადებს.

ეს სახლისკაცების მოვლა და ყმისა და მამულის მოვლაც ახლა მოგხსენდებათ.

**4.** ქ. ერთს აღებაზედ ოთხასსა და ხუთასს თუმანს აიღებდა. თავის დღეში ერთი ყარაული არ გაუყენებიათ და არც ერთი თოფი საღმე უსროლიათ [5] ლეკისათვის.

ერთი მსახური იყო ჩვენი, წისქვილში თურმე იყო, სამი ლეკი მიხდომოდა, იმას თოფი ესროლა, ერთი კი წაექცია და ორნი გაქცეულიყვნენ. იმ ლეკის თოფ-იარაღი და თავი რევაზ სარდალს მიართვა დმანისს.

რევაზ სარდალმა უთხრა: ამას ბევრი ოქროები ექნებოდა, უნდა მამიტანოო. შეჰფიცა, არა ჰქონია რაო, თორემ ამ ტანისამოსსა და თოფ-იარაღს ზედ ეტყობაო. არ დაუჯერა, ჯერ ისე უწყალოდ სცა მრავალი, მერე დაჰკიდა და ისე აცემინა. მერე წნელის ჩრჩოლი გაუკეთა, თავზედ ჩამოაცვა და სოლებით გაუჭედა. ვინ იყო მშველელი და გამკითხველი? ოქროები ხომ ვერ მიუტანა. მერე აიკლო, ნაცარი დაუნიავა, და რაც ებადა, სულ წაართვა.

მერე ღმერთმან საქართველოს მოხედა, თქვენი საფარველი დაგვეფარა, და ქართლი ნეტარხსენებულს ბატონს უბოძა ნადირშამა. ნადირშას ბრძანებით და თქვენის მოწყალებით ჩვენ ჩვენს მამულს მიეემთხვივენით და სახელოებსა.

**5.** მერმე ჩემო ჯელმწიფევ, ორს-სამს წელიწადს უკან არბაბი მოვიდა. დაგვიძახეთ ორთავე ბატონებმა ქართველთა: ნადირშას უკუუდექით, ყველამ თქვენი ქვეყანა გაამაგრეთო.

სარდალმა ქაიხოსროთ და რევაზ გაუშვეს თავისი მამული, ყმა, სახელო, გამოიქცნენ: ქართლშიაც აღარ მოიცადეს, ახალდაბის ციხეში ავიდნენ, ის გაამაგრეს და იქ დადგნენ.

მე ჩემმა ძმამ ცოლ-შვილით ნეტარჰხსენებულს ბატონს მაახლა ანანურსა. თითონ თავის ცოლ-შვილითა, დედითა და ორის ძმით თავის ქვეყანას მიეშველა. ასეთს დროს მოვიდა დმანისს, რომ ბარგი აკიდებული ჰქონდათ, იფანტებოდნენ. რომ ნახეს ყაფლან ცოლ-შვილით მოვიდაო, მაშინვე სიხარული შეუდგათ, და ბარგი ჩამოხადეს და შემოეხვივნენ.

ოთხმოცი ლეკი იყო დმანისის ჯევშია და აოხრებდენ. ოცდაექვსი ტყვე ჰყვანდათ ნაშოვნი, და ერთი ჩაჩიკაშვილი ია-

ს ო ნ. გაგზავნა კაცნი და ის ლეკები შემოირიგა. რაც ჰქონდა, იმ [v] ლეკებს მისცა, და იმათაც ის ჩაჩიკაშვილი იასონ უფასოდ მოსცეს, ის ოცდაექვსი ტყვე ხ უ ლ უ ტ ი ს ციხეში დააყენა და ლეკები და თავისი კაცები მოუყენა. თავისი კაცები დაარიგა: ეცადეთო, ეს ტყვეები გააპაროთო. ჩვენმა კაცებმა ის ოცდაექვსი ტყვე გააპარეს, ყაფლანმა ქვეყანა გაიმაგრა.

ა ხ ა ლ დ ა ბ ა ს სარდალმა შეიტყო, ყაფლანმა ქვეყანა გაიმაგრაო. შურმა აღძრა, წამოვიდა ახალდაბიდამ და ა ნ ა ნ უ რ ს მოვიდა. ა ბ დ უ ლ ა ბ ე გ [ი] ც იქ იყო, ქალი მისცა იმის შვილსა, და ყაფლანზედ შემწეობა სთხოვა.

ნეტარხსენებულს ბატონს დაეთხოვნენ და წამოვიდნენ საბარათისშვილოსკენ. აბდულბეგ სამშვილდეს მივიდა, სარდალმა საბარათასშვილოს ჯარი შემოიყარა და ქვეშს მივიდა. დემეტრე ეშიკაღაბაშიც თაფანს მივიდა.

აბდულბეგმა ყაფლანს ლაპარაკი დაუწყო, უნდოდა თავისთან მიეტყუებინა. ყაფლან წამოვიდა აბდულაბეგთან. ერთმა ბარათაშვილმა შემოუთვალა ეშიკაღაბაშს: ვიცი, ყაფლან გიყვარსო, შეატყობინე, აბდულაბეგთან არ მივიდეს, თორემ მაშინვე თვალებს დასთხრისო, ეს პირობა აქვს სარდალთანაო.

ეშიკაღაბაშმა მაშინვე ზ ა ა ლ მ კ ე რ ვ ლ ი ს შ ვ ი ლ ი გაუგზავნა ყაფლანსა: ნუ ენდობი აბდულაბეგსაო, თორემ თვალებს დაგთხრისო; თავის კაცითა და ლეკით რომ მოვიდოდა აბდულაბეგთან ყაფლან, მაშინ შემოეყარა ზაალ და ეს ანბავი უამბო.

ყაფლან, რასაკვირველია, გაფრთხილდა. მოვიდა და სამშვილდის პირდაპირ ჩამოხდა. რაც ლეკი და ქართველი ჰყვანდა, იქ დააყენა და შეუთვალა: ამაღამ ეშიკაღაბაშს ვნახამო და ხვალ მანდ გიახლებიო. წავიდა ყაფლან და ეშიკაღაბაში ნახა. ეშიკაღაბაშმა უფრო გაამაგრა, რომ აბდულ-ბეგთან არ მისულიყო.

მეორეს დღეს თავისი კაცნი წაასხა და დმანისს წავიდა. ქვეშის ახლო რომ მივიდა, სარდალი წინ გადმოუდგა, ომი მოინდომა. ბარათიანი არ აჰყვნენ, [6] ასე უთხრეს: ბატონის ბრძანება არა გვაქვს, ბატონზედ დანაშაული არა აქვს რა, ან რაზედ ამოვსწყდეთ, და ან რაზედ ამოვსწყვიტოთო? სარდალი იქ დარჩა და ყაფლან დმანისს მივიდა.

იმითი რომ ვერა გააწყო რა სარდალმა, ადგა და ისევ ანანურს წამოვიდა. მე იქ გახლდი, ის რომ ანანურს მოვიდა, ყაფლანც უკან გამოსდგომოდა, იქ მოვიდა, და თქვენი სიმაღლეც იქ ბრძანდებოდა.

**6.** მერე ნეტარხსენებულმა ბატონმა ყეენთან წასვლა ბრძანა. ყაფლან დმანისს გაისტუმრა: ლეკი არ დაიფანტოს, არ წაახდინონ

რაო. ენისელთ მოურავი სარდალს გაუგზავნა, მივალ და თან უნდა წამომყვეო. სარდალმა უარი მოახსენა, არ შემიძლიან, ვერ გახლებიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერმე მე დამიძახა და ყაფლანს ოქმი მისწერა: ან შენ უნდა წამოხვიდე და ან ზაალ უნდა გამომატანოო. მე წაველ ჩემს ძმასთან, რომ თადარიკი გვენახა და ორში ერთი ვხლებოდით.

ეს ჩვენი მზადება სარდალმა შეიტყო. მერე კიდევ შეეხვეწა. მე გიახლებიო, და ის იახლა.

ჩვენ გახლდით აქა. მაინცადამაინც მამულის წილი არა დაგვიდვია რა, სულ იმას ეჭირა.

იმდენი ღმერთმან თქვენი წყალობა მოგვცეს, რამდენი იმათგან ჩვენზედ ნაუსამართლევი არზის გაგრძელებისათვის ამაში არ დაგვეწეროს.

ამას ვევედრებით თქვენს ღმერთის მოყვარებას: როგორც ნეტარხსენებულის ბატონის მამის თქვენის ოქმი და ბრძანება იყოს, ან როგორც ჩვენ ერთმანეთში გარიგებისა და პირობის წიგნი მიგვეცეს, იმ ოქმის ძალზედ და იმ ჩვენის ერთმანერთში მიცემულის წიგნების ძალზედ სამართალი გვაღირსოთ.

ღმერთი თქვენს ჯელმწიფობას უმეტესად აღამაღლებს, მოწყალევ ჯელმწიფევ*.

## 333. არზა გაბრიელ ზოზიაშვილისა მამულის თაობაზე იულონ გატონიშვილის ოქმით

**1796 წ. 18 იანვარი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 263. დედანი. ქაღალდი. 17×11,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის მეფის ძის იულონის ჭირი ზოზიაშვილს გაბრიელს მოსცეს.

ერთი ვენახი მჭონდა გირაოთა. მოვიდა ეფემიას შვილმა მამუკამა, მალვით აბიათარის შვილს მიმიყიდა.

გევედრებით ერთი ოქმი და იასაული მიბოძეთ, ვენახს ხელი ამართოს, მე დამანებოს. მერე ვისაც სიტყვა აქვს, თქვენს სამართალში მელაპარაკოს. იანვრის **ივ**, ქორონიკონს **უპდ**.

---

* მინაწერი წინა ყდის შიგნით: „საჩივარი რაც ძვირი შეუმთხვევიათ მამის ჩემისათვის ასლანის შვილებს“.

თავში

ქ. ბატონისშვილი იულონ გიბძანებ დავითიშვილო გლახავ! მერე ზოზიაშვილი გაბრიელ ამ არზით რომ ასე ჩივის, რომელი ვენახიც ამასთან გიროათ ყოფილა და ეფემიაშვილს მამუკას გაბრიელას მალვით აბიათარიშვილისათვინ მიუყიდნია, აბიათარი შვილს იმ ვენახზედ ჯელი აუმართე და ამ გაბრიელს მოაბარე. აბიათარიშვილმა ეფემიაშვილს მამუკას გამოართოს, რაც იმ ვენახის ფასი მიეცეს. და ეფემიაშვილს მამუკას თუ სამართლიანი სიტყვა ჰქონდეს, გაბრიელს ჩვენ წინაშე სამართალში ელაპარაკოს. იანვრის **იჱ**, ქორონიკონს **უპდ**.

ბეჭედი: ტომ-სქესით არ ნაკლისაგან იულონ ირაკლასაგან.

## 334. არზა მანუჩარ მდივნისა ვალის თაოგაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1796 წ. 31 იანვარი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1420. დედანი. ქაღალდი. 17,5×10,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მათს მონას ლაშქარნივისს მანუჩარს მომცეს.

ცხინვალელი მუსეილასშვილი მოსესა თავისის თამასუქით ორმოცს თუმანს არის მოსაცემს. მალაპარაკებს და არ მაძლევს.

წყალობას ვითხოვ ან ჩემი თეთრი თავისის ანგარიშით მომცეს და თუ სიტყვა რამ ჰქონდეს ოთხი კაცი დავსხათ, ორი იმისი მომდომებული და ორი ჩემი მომდომებული და, რაც იმათ სამართალი გვიყონ, ორნივ დავსჯერდეთ და, რომელიც გავმტყუნდეთ სამდივანბეგო იმან გაიღოს. იანვრის **ლ**, ქორონიკონს **უპდ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ამილახვარო ოთარ! მერე ამ არზით მდივანი მანუჩარ რომელსაც უჩივის, თავისი თეთრი, როგორც თამასუქში უცხადებს, ისე თავის ანგარიშით უკლებრად გამოურთვი და მოეც. და თუ ჭეშმარიტი სიტყვა ჰქონდეს რამე, ორი კაცი იმას მოაყვანინე და ორი კაცი ამას და ეს ოთხნი კაცნი დაუსხი და ღმრთის წინაშე ჭეშმარიტი სამართალი უყონ. და რომელიც გამტყუნდეს სამდივანბეგოც იმას უნდა გამოერთვას. იანვრის **ლა**, ქორონიკონს **უპდ**. ალბათ.

ბეჭედი: ქწარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 335. არზა ოქრომჭედელ იასაიასი დუქნის ალაგის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1796 წ. 2 თებერვალი**

ცსსა. ფონდი. 1450. დავთარი. № 47. საბუთი № 8. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[5v] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მომცეს მათს მონას ოქრომჭედელ ი ა ს ი ა ს.

შეწუხებულთ მოწყალევ, ეს ღვთის რისხვა რომ მოვეველინა, სულს იქით რაც რომ გვებადა, სრულიად დაიკარგა, სახლკარი დაიწო, არც ჩვენის ხელობის იარაღი შეგვრჩა არც დღიური საზრდო ასე შეწუხებული მწარედ ნაილ[ა]ჯი უსარიშტო დავრჩომილვარ.

აწ ჩვენი ვედრება და მოხსენება ეს არის, რომ მეიდანზედ ტურფოა შვილის დუქნის ზემოდამ ერთი დუქნის ალაგი არის, იმისი წყალობა დაგვემართოს, რომ ჩემის ხარჯით აღვაშენო. და ალაგის ქირა, როგორც [6] მის გვერდით მედუქნე[ე]ბს აძლევენ, ჩვენც ის მოგართვათ; რომ ორი ვაჟიშვილები მყავს ჩემის მოხუცებულობის ნუგეშათ, თქვენის საფარველიდამ უსარიშტობის მიზეზით არსად წავიდნე[ნ]. მარადის თქვენის წყალობით გვიცხოვრნია. ახლაც თქვენის წყალობით ვიცხოვროთ, ღმერთი გადღეგრძელებს. თებერვლის **ბ**, ქორონიკონს **უპდ**.

თავში

ჩვენი ბძანება არის. მერე ამ არზის პატრონს რომ დუქნის ადგილი მოუხსენებია, ის დუქნის ადგილი რომელიც რომ ტურფოა შვილი[ს] დუქნის ზემოდამ არის, ის ადგილი ამისთვის გვიბოძებია, ააშენოს და როგორც სხვათ ადგილის ქირა ერთმევათ, ამასაც უნდა გამოერთვას.

ჩვენის კარის მოხელენო, თქვენც ასე იცოდეთ და ნურავინ დაუშლით. თებერვლის **ბ**, ქორონიკონს **უპდ**.

ალბათ ჯერხანად ეს ასე მოხდეს და მასუკან როგორც ღვთის ნება იყოს, ისე მოხდეს.

## 336. არზა ხადაკოანთ კაკალოასი ვალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1796 წ. 4 თებერვალი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 37. საბუთი № 216. პირი. ქალალდი. მხედრული.

[120] ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჰირი [მისცეს] ხადაკოანთ კაკალოას ვარისი აზნაური ხიმშიაშვილის დიმიტრისა.

ასე რომ ჩემი სიმამრი ი[ნ]დოეთს, მი[ი]ცვალა თქვენს სამსახურზე და ამ არეულობაში რაცა გვებადა, სრულებითა დამეკარგა. ერთი ობოლი დაგვრჩა, ძლივა ისა თქვენი წყალობით მოვარჩინე. მოგეხსენებათ. ჰაბუხა მოსესა ჩემს სიმამრთან გაყრილი იყო მელიქისა და ქეთხუდების დასწრებითა; თქვენმა უმაღლესობამაც დაგვიმტკიცა. ახლა იმის ვალსა ჩვენ გვთხოვენ.

ამას გევედრებით, ერთი ჰოქმი გვებოძოს მოურავზე და მელიქზეთ, და ოთხიოდ ქეთხუდები დაისწრან, ჩვენი საქმე მაშინ გაში[ნ]ჯონ და თქვენის უმაღლესობისათვის ღვთის [წინაშე] როგორც დაინახონ და ბძანება თქვენი აღსრულდეს. თებერვლის გ, ქორონიკონს **უპდ**[1].

თავში

ჩვენი ბძანება არის პენტელაშვილო იოანე! მერე ეს ჩვენი აზნაური ხიმშიაშვილი დიმიტრი უნდა მელიქთან მიიყვანო რამდენიმე მოქალაქეც დაისწრან და ღვთის წინაშე ამათი სამართალი ჭეშმარიტებით ჰქნან და ჩვენ მოგვახსენონ. თებერვლის **დ**, ქორონიკონს **უპდ**.

და ღვთის წინაშე სწორე სამართალი უნდა უყონ.

## 337. არზა ქალაქის მოურავ ევსტათისა და მინბაშ გიორგისა ჯმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1796 წ. 22 თებერვალი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2565. დედანი. ქალალდი. 20×12 სმ. მხედრული. ალაგ-ალაგ თითო წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს ქალაქის მოურავს ევ[ს]ტათის და მინბაშს გიორგის.

---

[1] +წინაშე.

ჩვენო ჯელმწიფევ, ჩვენ რომ საჭირნახულოთ კაცნი გვეგზავნა, იმათგანი ერთი კომლი კაცი აგვეყარა და ბრეთს გავბდა, თქვენს უმაღლესობას მოვახსენეთ. ერთი ოქმი ამილახვარზედ გვებოძა და ერთი ოქმი ჯავახისშვილს ვახუშტიზედ, მა[გ]რამ ვერ ამიყარეს.

და წყალობას ვითხოვთ, ერთი ოქმი გვებოძოს ბეჟან ამილახვარისშვილზედ, რომ ის ჩვენი კაცი აგვიყაროს და მოგვაბაროს. და თუ ჰეშმარიტი სიტყვა ჰქონდეს ვისმე, მასუკან თქვენ მოგახსენოსთ, ფებერვლის **კბ**, ქორონიკონს **უპდ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ამილახვარიშვილო ბეჟან! ამათი ყმა რომ აყრილა და ბრეთს გასულა, ახლავ უნდა მიხვიდე, დაადგე, აყარო და ამ თავის ბატონებს უნდა მოაბარო. ამისი აუყრელობა არ იქნება. თუ სიტყვა აქვს ვისმე, მასუკან მოვიდნენ და ჩვენს სამართალში მოგვახსენონ. რომელიც გამტყუნდება, ჩვენ სამართლით გარდავახდევინებთ. ფებერვლის **კბ**, ქორონიკონს **უპდ**.

ქ. ავალიშვილებს თუ სიტყვა ქონდეს, ჩვენ სამართალში მოვიდეს და ილაპარაკოს. ჰალბათ. ამათ, დიაღ, ძალიანი განაჩენები აქვს და კაცმა რა უნდა ჰქნას.

ბეჟედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფეღ ცხებულს ერეკლე.

## 338. არზა მანუჩარ მდივნისა სარგოს თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1796 წ. 23 თებერვალი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14093. დედანი. ქაღალდი. 21×11,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჰირი მათს მონას მდივანს მანუჩარს მომცეს.

გორს ხითარაშვილი ზაზა, მამასახლისი ბაბუა და ოჰანჯანას შვილი ისაია გახლავსთ, რომ ესენი მოხელეთაც და იქაურის იჯარების ამღებნიცა გხლებიან და თქვენი წყალობა რაც ჩვენი სახელოს სარგო არის, რამდენიმე წლისა არის იმათზე, რომ ზოგი მოუციათ და ზოგი მაკლია.

წყალობას ვითხოვ, თქვენს შვილს იულონს მიმიწეროთ, რომ ჩემი ანგარიშები მოაცემინოს; თუ რამ დარჩომილ იყოს, ისიც კაცის

მოცემით გამოგვირთვას და მოგვცეს. თებერვლის **კბ**, ქორონიკონს **უპდ**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავში

ქ. ჩვენო ღმრთის წყალობავ შვილო ბატონო იულონ! მერე მანუჩარ მდივანი რომ ამ არზით ჩივის, ამისი მოდავენიც მანდ შენთან მიაყვანინე, ანგარიში უნახეთ, სამართლით რაც დაედოსთ, გამოურთვი და მოეც. ფებერვლის **კგ**, ქორონიკონს **უპდ**.

ქ. თუ მანდ ვერ გადაწყვიტე, ჩვენთან გამოგზავნე. ერეკლე

## 339. არზა თაქლა ქალბალი ოღლი ქაზუმისა გაცარცვის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1796 წ. 4 მარტი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 13917. დედანი. თავი აკლია. ქაღალდი. 17,5×11 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერი ყელმწიფის ჭირი თაქლა ქალბალი ოღლი ქაზუმს მომცეს.

იმ აყრილობის ჟამში ახალქალაქის წყალზედ რო[მ] მივედით, დამიხვდა თარხნიშვილი თავის კაცებით, ერთი მემცხვარე მომიკლეს,...* სურუ ჩემი მცხვარი და ორი სურუ ჩემის სახელო რაიათისა და სხვა რაც გვებადა, იარაღიც დაგვცარცვეს და წავიდნენ. გიახლათ მამაჩემი თელავს და უმაღლესობას მოახსენა, ოქმი ებოძებინა[1] ბატონიშვილს ფარნაოზზედ და მდივანბეგს ქაიხოსროზედ. იმათ წასვლა ვერ შეიძლეს. სარჩო იმათ წაუღიათ და მშიერ-მწ[ყ]ურვალე მე აქ გახლავარ.

თქვენად გასამარჯვებლად სამართალი მაღირსეთ. ფებერვალს **კბ**, ქორონიკონს **უპდ**. სახლიც სარაჩელთ აუკლიათ და ასე დავრჩომილვარ.

თავში

... დივა[ნბეგო]... ქაიხოსრო... ბძანება ჩვენ[ს შვილს ფარ]ნავაზს და თქ[ვენ უ]ნდათ რომ გამოგერ[თვათ]... ჩვენი შვილი ფარნავაზ ახლა

---

[1] + ფარნაოზ.

* აკლია ერთი სიტყვა.

ხომ აქ არ არის თქვე... ფართალი... [რაც თარხნიშვილს] და იმათს გლეხე[ბს, ცხვარი და]ეკლოსთ, ის უკლე[ბლად უნდა გამო]ვრიცხო და მოაბარე. და მე[მცხვარე რომ მ]ოუკლავსთ, იმისი სისხლის სამართ[თლიანი] საქმით მოაცემინოთ. თავეთი ცხვარი... [თუ] ფეხზედ ჰყავსთ, ის უნდა მოსცენ და თუ დაუკლავსთ და ან გაუყიდნიათ, იმისი პასუხი უნდა გააცემინოთ.

თარხანიანო და ჯავახიანო, ამაზედ თქვენც სიმართლით მოიქეცით და გაურიგებელს ნუ დააგდებთ. მარტის **დ**, ქორონიკონს **უპდ**.

ქ. თუ აშა ქნან თავადიშვილებმა, აზნაურშვილებმა და მოხელებმა ფიცით უნდა გაწმინდონ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 340. არზა ქიზიყის მოურავის ზაქარიასი ნაჭურდალის საზღაურის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1796 წ. 17 მარტი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 9037. საბუთი № რჟა. კრებული. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს მათს მონას ქიზიყის მოურავს ზაქარიას.

რაც ჩემი საქონელი გამოჩნდა წიწუაშვილისა და იმის ამხანაგების ჯელში, იმისის შვიდეულის წყალობას ვითხოვ, რომ მებოძოს. და სხვაშიაც თუ გავიმტყუვნე, ხომ კარგია: და თუ არა, რა სიტყვა მექნება.

რომელიც ამაზე იასაული გახლდათ, იმასვე უბძანეთ ამ ჩემის საქონლის გამორთმევა. თუ ამას მოგახსენებს, რომ არა გვაქვსო ჯერაო, რომელიც ყმები ყავს, გირაოთ მომცეს ჩემის საქონლის აყში. და როცა ჩემსას მომცემს, მასუკან თავისი გირაო დაიხსნას. მარტის **იზ** დღეს, ქორონიკონს **უპდ, ჩლვჳ** წელს.

თავში

ჩვენი ბრძანება არის ხალვათხანის ეშიკაღასბაშო აიდემურ და ყორიასაულბაშო ლუარსაბ! მერმე ამ არზით რომ ასე ჩივის ქიზიყის მოურავი ზაქარია, ამ ჭურდებს სულხან მდივნის მეუღლისაც საქონელი მოუპარავთ, მოურავსა სულხანსა და მუღუმას უნდა გამოურთოთ, რაც ქონდეთ ამათი წიწუაშვილს და იმის ამხანაგებს შვიდეულათ. და რაც გამოსჩენიათ, იმისი შვიდეული.

და თუ თეთრი ვერ უშოვნონ, ყმა და მამული გირაოთ უნდა მისცენ. და თუ წიწუაშვილს ყმა არა ყავს და მამული არა აქვს, თავის თავი და საჭონელი ხომა აქვს; თავის თავი და თავისი საჭონელი უნდა მისცეს გირაოთა.

და თუ სხვა საჭონელიც მაგათში გამოჩნდება და ესენი საბუთს უზამენ, ისიც შვიდეულათ უნდა უზღონ. ეს როგორც განგვიჩენია, ასე უნდა აღასრულოთ. მარტის **იზ** დღეს, ქორონიკონს **უპდ, ჩლვჳ** წელს. ერეკლე

## 341. არზა მარჭარაშვილებისა ყმოგის თაოგაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1796 წ. 28 მარტი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 48. საბუთი 12. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[7] ღმერთმან ბედნიერი ჯელმწიფის ჰირი გორელს მაქარაშვილი მამუკას შვილს ქიტესას და სოლომანს მოგვცეს.

მამაჩვენი თქვენი სახასო ყმა [გ]ახლდათ და საჰკაშვილი მანუჩარასათვინ გე[ბოძებ]ინათ. ის მანუჩარაც და მამაჩვენიც რომ ჰირის სანაცვლო შეიქნენ, ჩვენ ოთხნი ძმანი დავრჩით უცოლშვილონი. და ასე საქმე გაგვიჰირეს იმ მანუჩარა[ს] შვილებმა, რომ ორნი ძმანი დაგვეკარგნენ. სად არიან და სად არა აღარ ვიცით. დავრჩომილვართ ორი ძმა და ჩვენც აქ გიახელით.

ამას გევედრებით, იმ ორი ძმის დაკარგვას დაგვაჯეროთ და ჩვენ აქედამ აღარ დაგვკარგოთ, თქვენად გასამარჯვებლად. მარტის **კგ**, ქორონიკონს **უპდ**.

თავში

[6v.] ჩვენი ბძანება არის სააკაშვილო ივანე და ფარსადან, სტეფან! მერმე ამ არზით რომ ასე მოუხსენებია, თუ ეს კაცნი ჩვენთვის სიცრუვით გაგიში[ნ]ჯებიათ და ისე მიგიმძლავრებიათ და ამასთან საქმე არა ჰქონიათ რა, ამაზე საბატონყმოთ ხელი უნდა აიღოთ. და თუ საბუთი გაქვსთ რამე ამათ[თ]ან, და ან შენი კაცნი ყოფილან, აქ უნდა ჩამოხვიდე, ჩვენ მოგვახსენოთ და სამართლიანი საქმით ჩვენ გაგარიგებთ. მარტის **კჱ**, [ქორონიკონს **უ**]**პდ**.

ესეც უნდა იცოდეთ, თუ გამტყუნდებით, ვარდაგხდებათ პირველათ, ალბათ.

## 342. არზა გოგია ციციშვილისა უმის თაობაზე იულონ ბატონიშვილის ოქმით

**1796 წ. 16 აპრილი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 7603. დედანი. ქაღალდი. 20,7×16,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის მეფის ძის იულონის ჭირი ციციშვილს პაატას შვილ გოგიას მოსცეს.

ამ არეულობაში ქალაქს რომ გახლდი, ერთი ჩემი ხაბაზი დამრჩა მახარე მებაღის შვილი, გამოქცეულიყო ერთი ის და ერთი ანასტასია ბატონისშვილის ბიჭი და ნიქოზებში ერთს ქართველს და ერთს ოსს ის ჩემი ბიჭი კი დაეჭირათ და ის მეორე ბიჭი კი გაქცეოდათ, წაეყვანათ და თოთხმეტ ხარათ მირზაშვილის სამოურაოსებში გაეყიდათ.

ამ წყალობას ვითხოვთ, ერთი ოქმი მიბოძოთ მირზასშვილთამაზზედ, რომ ის ბიჭის გამყიდველიც მამიკითხოს, და ის ბიჭიც დახსნით იყოს, თუ რითაც იყოს, ჩამამგვაროს, რომ ის ბიჭი არ დამეკარგოს. იქიდამ შემოეთვალა მეორეთ მყიდიანო. და ღმერთი გადღეგძელებს, ბეჯითი ოქმი მიბოძეთ, რომ არ დამეკარგოს, თქვენს საყმოში არის. აპრილის **ივ,** ქორონიკონს **უპდ.**

თავში

ქ. ბატონიშვილო იულონ გიბძანებ მირზაშვილო მოურაო თამაზავ!

მერე ამ არზით ციციშვილი გოგია რომ ასე ჩივის, ეს შენ უნდა კარგად ბეჯითად უნდა მოიქცე და ეს ბიჭი მოიკითხო და იპოვნო. ამ ბიჭის დაკარგვა და გაყიდვა არ იქნება, უნდა იპოვნო და[1] დიდად ბეჯითად უნდა მოიქცე აპრილის **ივ,** ქორონიკონს **უპდ.**

ბეჭედი: ტომ-სქესით არ ნაკლისაგან იულონ ირაკლისაგან.

[1] + იპოვნო.

## 343. არზა გლახა მჭედლისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1796 წ. 21 აპრილი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1309. დედანი. ქაღალდი. 34×12,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს თქვენს ყმას თ ე ლ ა ვ შ ი მოსახლეს მ ჭ ე დ ე ლ ს გ ლ ა ხ ა ს.

მერე ამას მოგახსენებ ბედნიერო ჯელმწიფევ, ერთი სახლი გავაკეთე ფიცრული, ჩალური, თავისის ხულით რას მწუხარებით. უხარო გახლავარ, სულ ქირით მომიტანინებია იმ სახლის ხე და ფიცარი, ასეთის ხევიდამა ამომიზიდნია, რომ ძნელათ შეიძლებოდა იქიდამ ამოტანა.

ჩემო ჯელმწიფევ, ერთი თვე არა მდგარვარ იმ ჩემს სახლში, ხან ბატონისშვილები იდგნენ, როცა მობძანდებოდნენ და ხან ამალა.

ახლა კ ვ ა ლ ი ა შ ვ ი ლ ი ს ო ლ ო მ ო ნ გიახლათ, ცხენები შიგ დააბა, ბიჭი მოუსყენა; ბიჭს ცეცხლი მიეტანა, კედელთან დაენთო, მიუკიდა შუაღამისას; ასე დამეწო ის სახლი რომ ერთი ხე არ მომრჩომია. გარეშო ფურცელი იდგა, ისიც სულ დამეწო.

ჩემო ჯელმწიფევ, აბა როგორ გავსძლო უსახლოთ. მოწყალებას გევედრები, ამის სამართალი მაღირსო. ეზოც დაიწო სულ. აპრილის **კა**, ქორონიკონს **უპდ**.

თავში

ქ. ბატონო მდივანბეგებო! ამ არზის პატრონი რომ ასე ჩივის, ამის სამართალი თქვენ მოეცით. აპრილის **კდ**, ქორონიკონს **უპდ**.

ულუმბის ღმრთისმშობლის ყმა არის ეს მჭედელი, ამაზედ უსამართლობა არა მოიღოთ რა, სამართლიანათ მოიქეცით.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მეჯმობს ძედ კახეთის მეუფედ ცხებულს ე რ ე კ ლ ე.

verso

ქ. ღთით სურამის მოურავს მიერთოს.

## 344. არზა ალია თალიფხანოღლისა ელის თაოგაჯე გიორგი გატონიშვილის ოქმით

1796 წ. 24 აპრილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 112. დედანი. ქაღალდი. 22×11,5 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ თითო წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერ ჯელმწიფის ძის გიორგის ჭირი ქოლაგირს მოსახლეს მუღალნუ თალიფხანოღლი ალიას მომცეს.

ჩვენ რომ ყარაბაღიდამ გიახელით, უმაღლესობის მამი. თქვენის ბძანებით და ბატონის დედოფლის ბძანებით ქოლაგირს დავსახლდით. და რაც ჩვენი რაიათი იყო, ისიც იქავ მოგვაბარეს, რომ იმ ყარაბაღიდამ მოსულს ელთან ასაყრელათ იქიდამ საქმე არავის არა ჰქონდესთ.

ახლა ჯილავდარ ყასუმოღლის სიბრუდით თქვენთვის მოუხსენებია და ოქმი აუღია, რომ ქოლაგირს ჩემი რაიათი არის და უნდა ავჰყაროო.

ამას გევედრებით, ერთი ოქმი გვიბოძოთ, რომ მინემ მამის თქვენის ოქმი არ იყო და ან ბატონის დედოფლისა, ეს მობარებული რაიათი არავინ აჰყაროს, თქვენად გასამარჯუებლად. აპრილის **კდ**, ქორონიკონს **უპდ**.

თავში

ქ. ბატონისშვილი გიორგი გიბძანებსთ ქოლაგირელნო! მერე მათს უმაღლესობას რომ ელი მოუბარებია, თუ მაგის ასაყრელათ ან ქართველი მოვიდეს და ან თათარი, ორივ დაიჭირეთ და ჩვენთან მოიყვანეთ. უმათს უმაღლესოთ ნურავის დაანებებთ. და თუ აეყაროს ვისმე, ისევ უკან და[ა]ბრუნეთ და იქავ მიიყვანეთ. ჩვენ არცა ვინ გამოგვიგზავნია და არცა ვისთვის ოქმი მიგვიცია. აპრილის **კდ**, ქორონიკონს **უპდ**. გიორგი

## 345. არზა ვეჯინელთა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1796 წ. 24 აპრილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3160. დედანი. ქაღალდი. 32,8×13,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი და მძიმე.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ჯემწიფის ჭირი სულერთობივ ვეჯინე[ლთ] მოგვცეს.

ჩვენო ჯემწიფევ! მოგეხსენებათ ჩვენ და ვაჩნაძიანი ათი წელიწადია მამულს ვდაობთ. თქვენც ბევრჯელ თავი გაწყინეთ და თქვენგან სამართალი და განაჩენი გვებოძა. ასისთავი და ზაალ ქევხა იასაული გახლდათ. რაც თქვენს განაჩენში ეწერა სამართალი ჩვენ საფიცრათ მივყევით და იმათ დაგვაფიცეს.

ამას გევედრებით, რომელიც ჩვენი იასაული გახლავთ ან თქვენს გასამართლებულს სამართალს და განაჩენზედ გაგვატაროთ და ჩვენი მამული დაგვანებონ. ღმერთი გაგიმარჯვებთ. ამის მეტი ილაჯი აღარა გვაქვს, დაკარგვი[ს] გზაზედ ვდგევართ უმამულობით. დღეს უნდა გადავიწყვიტოთ ერთმანეთში სისხლი არ ჩამოგვივარდეს. ჩვენ მამულზე ფიცი გვაძე[ს], ო ლ ე ს გალმა იმათია, გამოლმა ჩვენია, თქვენმა ბედნიერობამაც გამიჯნა. გევედრებით ერთი ოქმი გვიბოძოთ იასაულებზე, ეს საქმე იმათვე გაარიგონ. ღმერთი გაგიმარჯვებთ, სამართალი გვიბოძეთ. აპრილის **კდ**, ქორონიკონს **უპდ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანებ• არის ამ არზის პატრონებო! მერე ჩვენ ღმრთით ამ ორ-სამს დღეში მანდეთ ჩამოვივლით, ჯარში წასასვლელად კარდანეხელთაც დავიბარებთ და თქვენც შაგატყობინებთ. ჩვენ როგორც გაგვირიგებია, ისევ ჩვენვე გაგარიგებთ ორსავ მხარეს. აპრილის **კბ**, ქორონიკონს **უპდ**.

განაჩენებიც არის ამაზედ დაწერილი და გადაწყვეტილსავით არის, ლაშქარს მზად იყავით ყველაყანი, ერთმანეთს შეატყობინეთ მეზობლებმან.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს
ე რ ე კ ლ ე.

## 346. არზა გიორგი ნაზარბეგიშვილისა საქონლის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1796 წ. 29 აპრილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 25. საბუთი № 158. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[175] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჰირი ნაზარბეგისშვილს გიორგის მოსცეს. ამას წინათ ჩემის საქონლის გამო, რომელიც ჩემს მეურმეს სხვას დამპალელის მეურმისათვის მიეცა და იმ დამპალელს კაცს ის საქონელი თავ[ის]თვის წაეღო, არზი მოგართვით და თქვენს [მოწყალებას ვითხოვ], გამომირთოს და მომცეს...*

თავში

ჩვენი ბძანება არის როჭიკაშვილო ნაზირო გლახავ! მერე ამ არზით გოგია ნაზარბეგისშვილი რომ ასე ჩივის, ამის მეურმეს რომ ქალაქის აყრის დროს ერთის დამპალევის მეურმისათვის ამის საქონელი მიუბარებია და ეხლა ის დამპალელი კაცი აღარ აძლევს სადმე, შენ უნდა ახლავ ამის მეურმე დამპალას წაიყვანო და ვისთვისაც ამას საქონელი მიებარებინოს, მიბარება რომ საბუთი უყოს, შენ უნდა გამოურთო უკლებრად და მოსცე.

და თუ ჰეშმარიტი სიტყვა ჰქონდეს რამე, ქალაქს ჩამოიყვანე, სამართალში ალაპარაკე, მაგრამ თუ სამართალში გამტყუნდეს, იცოდეს რომ უფრო დიდად გარდახდება. აპრილის **კთ,** ქორონიკონს **უპდ.**

ახლავ მისცეს თავისი, ჩვენ ნუღარ შეგვატყობინებს ამ საჩივარს, თორემ სწორეთ ნასაღით გარდავახდევინებ[თ] — ან ხელებს დავჭრით, ან ფეხებს დავჭრით და ან ცალს, თვალს მოვთხრით და რაც ამის საქონელი აქვს, იმასაც წავართმევთ.

## 347. არზა ივანე ავთანდილაშვილისა სითარხნის თაობაზე იულონ გატონიშვილის ოქმით

**1796 წ. 10 მაისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 2204. დედანი. ქაღალდი. 21,3×15,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ძის იულონის ჰირი უფლისციხელს ავთანდილაშვილს ივანეს მომცეს.

---

* საბუთის დედანი დაზიანებული ყოფილა, ბოლო აკლია.

ჩემო ჯელმწიფევ, დედოფლის ყმანი გახლავართ, ნესტან-დარეჯან დედოფლის წიგნიცა გვაქვს სითარხნისა და დედის თქვენის ჯელმწიფე დედოფლისაც. აქამდინ გორში გახლდით და ჩვენს შამულს უფლისციხელები იხმარებდენ. ახლა უფლისციხეს დავდეგით და არ გვეშვებიან, ხარჯში უნდა გაერივნეთო.

წყალობას ვითხოვ, წიგნები ნახოთ და თქვენც მოწყალება მოიღოთ. მაისის **ც**, ქორონიკონს **უპდ**.

თავში

ქ. ბატონის შვილი იულონ გიბრძანებ უფლისციხის მამასახლისო! მერმე ამ არზის პატრონს რომ ეს სითარხნის წიგნები აქუს, ჩვენც ისე გაგვითარხნებია; თუ გამოგერთმევინოსთ რამე, უკანვე მოეცით. მაისის **ი**, ქორონიკონს **უპდ**.

ბეჭედი: ტომ-სქესით არ ნაკლისაგან იულონ ირაკლისაგან.

## 348. არზა პაატა ციხკარაშვილისა აზატობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1796 წ. 10 მაისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1303. დედანი. ქაღალდი. 21×11,1 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ თითო წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი გურჯანელს ციხკარასშვილს პა[ა]ტას მომცეს.

მერე ამას მოგახსენებ, ჭისიყის მოურავის ყმა გახლავარ და იმ ჩემის ბატონისგან აზატობის წიგნი მაქვს, რომ მე არაფერ ხარჯში არ უნდა გამრიონ; და კურთხეული მამათქვენის მეფე თეიმურაზის წყალობის წიგნიცა მაქვს, რომ არაფერი არ უნდა გვეთხოვოს, და აზატობისა და თქვენგანაც დამტკიცებული მაქვს. და ახლა არც თქვენგანა მაქვს შალავათი და არც ჩემის ბატონისაგან.

წყალობას ვითხოვ, რომ რაც[1] ამ წიგნებით წყალობა მოგიღიათ და გაგიაზატებიათ, იმა აზატობაზედ დაგვამტკიცოთ და არა გამოგვერთოს რა, თქვენ სადღეგძელოთ. მაისის **თ**, ქორონიკონს **უპდ**.

თავში

ქ. ჩვე[ნი] ბძანება არის მოჯელენო და რომელნიც ჩვენის კარიდამ იასაულნი წარიგზავნებოდეთ! მერე ამ არზის პატრონს ნეტარად ხსე-

[1] არც]არც.

ნებულის ბატონის მამის ჩვენის წიგნი აქვს აზატობისა და ის წიგნი ჩვენგანაც დამტკიცებული არის. ჩვენ იმ წიგნს ვერ მოუშლით, როგორც იმ წიგნში უცხადებს, ისე ყოვლის სათხოვრისაგან აზატი ყოს. ნუღარავინ შეაწუხებთ [ს]ათხოვარზედ, თორემ დიდათ გიწყენთ, იცოდეთ, იმ წიგნის მოშლა არას გზით არ იქნება. ყველამ ასე იცოდეთ და ამ ჩემის ბრძანებისამებრ მოექეცით. მაისის **ი**, ქორონიკონს **უპდ**.

ქ. ბატონო ქისიყის მოურავო ზაქარიავ და მინბაშო აბელ! ამას კურთხეულის მამის თქვენის წიგნიცა აქვს თქვენის სათხოვრისაგან გათარხნებისა და როგორც მამის თქვენის წიგნში უცხადებს, თქვენც ისე უნდა აღუსრულოთ, ალბათ. ბევრს დაემართა მაშინ ეს საქმე — ჩვენს სახასოსაც, ეკლესიების ყმებსაც და თავადისშვილების ყმებსაც და ამასაც ასე უნდა აღუსრულდეს.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ ქახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 349. არზა გაბრიელ ზოზიაშვილისა მამულის თაობაზე იულონ გატონიშვილის ოქმით

**1796 წ. 18 მაისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 679. დედანი. ქაღალდი. 17×10,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. ა-მეტი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯ[ე]ლმწიფის ძის იულონის ჰირი მოსცეს მათს მონას ზოზიაშვილს გაბრიელს.

მერმე ამას მოვახსენებ: მე და ეფემია შვილი ღვდელი მამუკა რომ ვენახზედ ვჩიოდით და მე მებოძა სამართლით, იმისი ხელწერილიც მოგართვით წინამძღ[ვ]რის დაწერილი.

ახლა კიდევ ის ჩამოსულა. მე აქ არა გახლდი, თქვენს სამსახურზედ გახლდი. ოქმი გიბოძებიათ გლახა დავითიშვილზედ, ახლა რისიც გირაო იყო ის ჩემი ვენახი, იმას ვაძლევ და არ მაძლევს.

გევედრები, ლუ[ა]რსაბ მაჩაბელზედ ერთი ოქმი მებოძოს, რომ იმან მოგვარიგოს. უწინაც ის გახლდათ იასაული. ნიადაგ თქვენი თაყვა წყენა არ შემიძლიან. მაისის **იწ**, ქორონიკონს **უპდ**.

თავში

ქ. მაჩაბელო მილახვარო ლუარსაბ! მერე ამ არზით ზოზიაშვილს გაბრიელს ასე რომ მოუხსენებია, ესე და ამის მოდავე შენ მოარიგე სამართლიანის საქმით. და თუ შენ ვერ მოარიგო, ორნივ აქ ჩვენს

სამართალში გამოგზავნე და ჩვენ მოვარიგებთ. მაისის **იჱ**, ქორონიკონს **უპდ**.

ბეჭედი: ტომ-სქესით არ ნაკლისაგან იულონ ირაკლისაგან

ქართული
ბიბლიოთეკა

## 350. არზა პენტელაანთ მიქელისა და გაბრიელისა ვალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1796 წ. 19 მაისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3764. დედანი. ქაღალდი. 35×13,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს სადედოფლო პენტელაანთ გიორგის შვილებს მიქელ და გაბრიელს.

ვანჭის ტერ-პეტრუზასი ორმოცდაექვსი თუმანი გვმართებს. ის ტერ-პეტრუზა თავის ცოლშვილით დაიკარგა. თითონ ტერ-პეტრუზა განჯას მოკვდა. შვილები არსად უჩანს. იმის ცოლი ერთ თუმნად დაეხსნათ.

ახლა იმის ცოლი დაგვდგომია, თეთრს გვთხოვს. ამ ორმოცდაექვსის თუმნის თანხაში ჩვენიც პაშტა უჭირავს. იმ ტერტერას ხუთას თუმნამდინ რუსეთში აქვს, აქ კარგი სახლები აქვს დაუწვ[ა]ვი, კარგი ქარვასლა აქვს. ის დედაკაცი ზარდუკეტაშვილი ისაიას და არის, საქათალიკოზოა. ამდონი თქვენის ყმის საქონელი ამ დედაკაცს თავის ძმისათვინ უნდა.

ერთის ოქმის წყალობა გვიყავით, მანამ მოიცალოთ და თქვენთან ვილაპარაკებდეთ, დაგვაცალოს. მერე თქვენ მი[ი]რთვით, თუ იმას უბოძებთ, ნება თქვენია, მაისის **ვ**, ქორონიკონს **უპდ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის იასაულო ყორღანაშვილო ადიბეგ! მერე ამ არზის პატრონიცა და თავის მოდავეც ჩვენს სამართალში უნდა წარმოაყენო. სამართალს ჩვენ უზამთ. მაისის **ით**, ქორონიკონს **უპდ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 351. არზა იესე თაქთაქიშვილისა უმეგის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1796 წ. 7 ივნისი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 28. საბუთი № 47. პირი. ქალალდი. მხედრული.

[43v] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს მათ მიწას თაქთაქიშვილს იესეს.

მერე ამას მოვახსენებ თქვენს უმაღლესობას: რველი და რველელი კაცნი და ქვემო ხვითს ჩემი წილის ნახევარი მებოძა. ეს რველელები სულ აყრილნი [44] არიან და სხვა სოფლებში დგანან.

ამ მოწყალებას ვითხოვ, რომ დავით ამირეჯიბზე ერთი ოქმი მებოძოს, — საცა ამ სიით ეს ჩემი კაცნი რველელები იდგნენ, ამიყაროს და მამაბაროს. ივნისის ა, ქორონიკონს უპდ.

ქ. ორი კომლი კაც[ი] — ბითაძე ივანე და მარგველაშვილი შიო ჰალას არიან.

ქ. ერთი კომლი ლაცაბიძე ხიზანა აბის[ს] არის, რომ ქაიხოსრო აბაშიძემ და და ძმა წა[ა]რთ[ო].

ქ. ორი კომლი ბითაძე ნადირა და მანძულა ბრეთს[1] დგანან, პეტრეს ეჭირნენ.

ქ. ერთი კომლი ბუჩარიძე ამ ქალაქში დგას, დედოფალს უჭირავს.

ქ. ორი კომლი დარჩიაშვილი მუხრანს არის.

ქ. ერთი კომლი ივანაშვილი ძევარას არის.

ქ. პეტრე ავალიშვილს რომ ბითაძე[ე]ბი ყავს, თქვენი ბძანება მაქვს: მე რომ რველელები არავისთვის გვიბოძებიაო.

წყალობას ვითხოვ, რომ იასაულმა, საცა რველელი კაცი იყოს, მომაბაროს. ივნისის ა, ქორონიკონს უპდ.

**თავში**

ჩვენი ბძანება არის ამირეჯიბო დავით! როგორც ამ არზის პატრონს მოუხსენებია, სადაც რველელი[2] კაცი იყოს, აუყარე და მოაბარე. ივნისის ზ, ქორონიკონს უპდ.

თუ საბუთიანი სიტყვა ვისმე ჰქონდეს, ჩვენ მოგვახსენოს.

[1] ბრეც. [2] რვეველელი.

## 352. არზა ზურაბ ფალავანდიშვილისა ყმის თაობაზე ანტონ II-ის ოქმით

**1796 წ. 9 ივნისი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 663. დედანი. ქაღალდი. 34×12 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. ა-მეტი.

ქ. ღმერთმან ბატონის ძის პატრიარქის ჭირი მოსცეს ფალავანიშვილს ზურაბს უზბაშს.

მერმეთ ამას მოვახსენებთ: ჩემის განაყოფის გაყიდული კაცი პირველათ რომ ღრაფი გადმოვიდა, მაშინ ის კაცი თან გადმოყვა. იოსებ მუშრიბმა პირველათ რომ ქართლი ასწერა, ის კაცი თავის ნებით და ჩემს დაუკითხავათ ჩემს ყმათ დაიწერა, მე უყმო კაცი გახლდი და რასაკურველია რომ მიამებოდა; იმის ხარჯს[1] და იმის ჯარს[2] ჩემს ყმებს ვაწყვეტინებდი. და საწყალი ჩემი ძმა და მე პირველათ რომ ავიყარენით და ძაღინას მივედით, ეს კაცი თან მივიყვანეთ, ხარიც და ძროხაც და რაც ხელის შეწევნა უნდოდა, ყველათ შევეწიენით, რომ ეს კაცი ჩვენათ გვეგუ[ლვ]ებოდა. ჩემი[3] ძმა და ეს კაცი რაღაზედაც შემდურებულიყვნენ, აიყარა და მუხრანს ჩამოვიდა, ავყარე და ისევ მივიყვანე.

ბატონს დედოფალთან მიჩივლა და გავამტყუნე, ბატონიშვილს გიორგისთან მიჩივლა და გავამტყუნე, იულონთან, ვახტანგთან და დავით[თ]ან მიჩივლა და გავამტყუნე. მასუკან ჩემს ხემწიფესთან მიჩივლა, ორჯერ იქაც გავამტყუნე, ავათაც მოეპყრა და იესე მიბოძა.

და ახლა თქვენთვის უწყენია თავი, რომ თქვენი ყმობა მინდაო და ფცას მისულა და დამდგარა, ოქმი გიბოძებიათ: ვისაც სიტყვა ჭონდეს, ჩვენს სამართალში გელაპარაკოსო.

ამდენს სამართალში გამივლია, ომან [მ]დივანს ეგნატეს კითხეთ და მოსურსათე[ე]ბს — ყაფლანიშვილს ზა[ა]ლს და ფალავნიშვილს თემურაზ[ს] და კიდევ სხვათ მუასილებს კითხეთ, თუ მაგის ხარჯი მე არ მიძლევია, მთელს ქართ[ლ]ს კითხეთ, თუ ჩემი ყმა არ არის; ერთი უყმო კაცი გახლავა[რ], ჩემი გამონაგლეჯი ეკლესიას რათ უნდა, ერთი ოქმი მიბოძეთ, რომ ეს კაცი არ დამეკარგოს, ღმერთი გადღეგრძელებსთ, ბატონო. თიბათვის თ, ქორონიკონს უპდ.

---

1 ხარჯი. 2 ჯარი. 3 ჩემიმი.

თავში

ქ. მაღალაშვილო სვიმონ! ამ არზით ასე რომ ჩვენ ჯმუხაძეს, ზურაბ და ესენი ერთმანეთს ედავნენ, ჩვენ ჩვენი ოქმები დაგვიყენებია, და სამართლით თუ ამ ზურაბისაგან თავს გამოიტანს, მასუკან ვიყმობთ. ჩვენი ოქმები დაგვიყენებია. თიბათვის თ, ქორონიკონს უპდ.

ხელრთვა: კათალიკოზი.

## 353. არზა გეჟან ამილახვრიშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1796 წ. 10 ივლისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1387. დედანი. დაზიანებული. ქაღალდი. 20,8×16 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მათს მიწა-მტვერს ამილახვარიშვილს მინბაშს ბეჟანს მომცეს.

მერე ამილახვარიშვილს დემეტრეს თქვენი მუხანათობა რომ შეამჩნდა, იმისის წილის კაცებიდამ ერთი კომლი კაცი იჩქითი კურთხეულს რევაზ ამილახვარს უბოძეთ და ერთი კომლი კაცი ეგაძე მე მიბოძეთ.

ახლა ჩემი ძმისწულები გამეყარნენ და ამ თქვენგან წყალობა ეგაძე საუფროსოთ აიღო. ჯერ სა[ა]მილახვარო გაუყოფელი არის და ჩვენი წილი საუფლისწულო იმდენი არ არის, რომ საუფროსო აიღებოდეს. როდესაც სა[ა]მილახვრო გავიყოთ, თუ ერგება საუფლისწულო, მაშინ აიღოს.

ამ წყალობასვ ვითხოვ, რომ თქვენი წყალობა ეს ერთი კომლი არ გამომართვას. ამისი ერთი ოქმი მებოძოს. ღმერთი გაგიმარჯვებსთ. ივლისის ი, ქორონიკონს უპდ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ნასახჩიბაშის ნაიბო გოგიავ! მერე ამ არზით ამილახვრისშვილი მინბაში ბეჟან ასე რომ ჩივის, ის ჩვენი წყალობა კაცი ამასვე უნდა მოაბარო. და როდესაც სა[ა]მილახვრო გაიწილება და გაიყოფენ, მაშინ თუ ერგება საუფროსო, რასაც სამართალი მისცემს, მაშინ აიყვანოს. ახლა საუფროსოს აღება არ იქნება. ივლისის ჱ, ქორონიკონს უპდ.

ჯერ ჯელი ამართე და ამას მოაბარე და მასუკან თუ სიტყვა [ჰქონ-

დეს, ჩვენ მოგ]ვახსენოს. და თუ სამართალში შემოსატანი [სიტყვა არა] ჰქონდეს რა, ნულარ ილაპარაკებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

## 354. არზა ბეჟან ამილახვრისშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1796 წ. 12 ივლისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 716. დედანი. ქაღალდი. 21,8×12 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მიმბაშს ამილახვარისშვილს ბეჟანს მოსცეს.

მე ხომ განჯას გახლდი. ჩემი შვილი ჩამოსულა, თავისი წილი გუთნები უთხოვნია. მერე ქაიხოსროს ერასტი[ს] შვილები მოუსევია, კინალამ მოუკლავსთ, თქვენ წილი ვინ მოგცათო; აღარც კასპში შეუშვიათ.

ამ წყალობას ვითხოვთ, ერთი ოქმი გვიბოძეთ თქვენს შვილს იულონზე, რომ სამართლიანის გზით გაგვამველოს. ჩემი წილი ყველა გამამირთოს და მამცეს. ჩვენში შფოთი არა მოხვდეს რა. მკათათვის **იბ**, ქორონიკონს **უპდ**.

თავში

ქ. ჩვენო ღმრთის წყალობავ შვილო ბატონო იულონ! მერე ბეჟან მიმბაში რომ ამ არზით ასე ჩივის, სამართლიანის საქმით ეს შენ გაურიგე. ივლისის **იბ**, ქორონიკონს **უპდ**. სამართალი გარდაუწყვიტე.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 355. არზა გოგია ციციშვილისა ყმის თაობაზე იულონ ბატონიშვილის ოქმით

**1796 წ. 13 ივლისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 8151. დედანი. ქაღალდი.. 25×9 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის მეფის ძის იულონის ჭირი მათს მონას გოგია ციციშვილს მოსცეს.

ამას მოვახსენებ: ქიწნისს მდგომი ჩემი ბარათში ნაოგები კაცი ხუციშვილი მღუდელი გიორგი, სამი თაოგბა არის, რა ის კაცი ჩემი ყმა არის და ბარათიც ჯელთ მიჰირავს და საბუთი რამა აქვს.

წყალობას ვითხოვ, ერთი ოქმი მებოძოს, რომ ის კაცი ავყარო და თავის მეზობლებთან დავაყენო. ახლა რომ გავიყარენით, კიდევ მე ბარათით მე მერგო; და იმ კაცის სამაგიერო ჩემს სახლის კაცთ ერგო. მკათათვის **ია,** ქორონიკონს **უპდ.**

თავში

ქ. ბატონისშვილი იულონ გიბძანებ ფალავანდისშვილო ზურაბა!* მერე ამ არზით გოგია ციციშვილს ასე რომ მოუხსენებია, ხუციშვილი მღვდელი გიორგი ახლავე აუყარე და ამას მოაბარე. და თუ სიტყვა ჰქონდეს რამე, ჩვენ მოგვახსენოს. კათათვის **იგ,** ქორონიკონს **უპდ.**

თუ წიგნები და საბუთი ჰქონდეს რამე, სამართალში მოიტანოს.

ბეჭედი ტომ-სქესით არნაკლისაგან იულონ ირაკლისაგან.

## 356. არზა რევაზ ეშიკაღასბაშისა ყმის თაოგბაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1796 წ. 13 ივლისი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 411. დედანი. ქაღალდი. 31,2×10,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ჩემო ჯელმწიფევ, სამი კომლი ყარაბაღელი და ერთი კომლი განჯელი მაჰმადემინ ბეგის ყმა ვიშოვნე. ორი-სამი თუმანი თეთრი დავხარჯე მარტო ამათზედ და რაც პური მქონდა, ისიც ამათ ვაჭამე და მე მშიერი დავრჩი. ურმები ვიქირა[ვ]ე, ჩემი მსახურები გამოვატანე და ღამით გამო[ვ]ისტუმრე. და ფრიდონ ბეგის ძმას ბაღირს მოუტაცნია და წაუყვანია. თქვენს უბრძანებლად იმან ამისთანა საქმე რათ უნდა მიყოს.

წყალობას ვითხოვ, ჩემგან დიდის ჯაფითა და ხარჯით ნაშოვნი კაცნი მევე დამნებდეს. თქვენგან ებძანა გურგენა მოლარის პირით, მარამ სადღაც დაუმალავს, არ გამომიჩინა და არც დამანება ეს ჩემგან მოყვანილი კაცნი. ქალაქის წახდენაშიაც არ ყოფილან და განჯის ციხიდამ ამ თქვენის შვილებისათვის თოფიც ბევრჯერ უსროლიათ და ახლა ეგ ეპატრონება და თავის ძალით მართმევს.

---

* „ფალავანდიშვილო ზურაბა“ ჩაწერილია სხვა ხელით.

თქვენი რისხვა მქონდეს, თუ ღამით მე თითონ არ მისულ[illegible]-
ურდო ბაზართ და ურმები თითონ მე არ მექირავნოს, რომ მეურმე-
ებიც კუკიელნი თქვენი ყმანი არიან. ივლისის ია, ქორონიკონს უპდ.
* ბაღირის უფროსი ძმა იქა განჯას გახლდა. თუ ყმის-[illegible]-
ნი იყო, რატომა ერთი კომლი კაცი ვერა წამოიყვანა. მე ბევრჯულ ვი-
ყავ განჯას, მაგრამ ვერა[1] ვიშოვნე კომლეური. მეფის ერეკლეს
ღმერთმა და მეფის ერეკლეს ძალმა[2] მომცა ხუთი კომლი კაცი ახლა
თქვენს მოუხსენებლათ წამართვა და კოჟორზე რუსებს აბარიათ,
ტყეში ყავთ დამალული. მე თუ ეს ხუთი კომლი სომეხი წამართვა იმან
თავის ძალით, ჭეშმარიტათ მე სირცხვილით აღარ მომესვლება ჩემს
სახლში.

ღმერთი გაგიმარჯვებს, ეს ოცჯერ მიჩივლია და თქვენს ბძანებას
და ისაულს არა ეპოება. მეც აგერ ათჯერ ზეაზრუ გაუხდივარ. კახთ
კითხეთ, თავადნი გახლავან და აზნაური, რას ყოფით მელაპარაკება ან
როგორ მლანძღავს. ნება თქვენია.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ყაფიჩიბაშო გიო! მერე განჯიდამ მოყვა-
ნილი ხიზანი რევაზ ეშიკაღასბაშისაგან მელიქი შვილს ბაღირს დაუ-
ტანია. ახლავ ისინი გამოურთვი და რევაზ ეშიკაღასბაშს მიაბარე. მკა-
თათვის იგ, ქორონიკონს უპდ. ალბათ, ალბათ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს
ერეკლე.

## 357. არზა ოთარის ქვრივ-ოგლის საწირავის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1796 წ. 15 ივლისი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 9695. დედანი. ქაღალდი. 22,3×12,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი და მძიმე.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჴელმწიფის ჭირი მოსცეს მათის მონის
ოთარის ქვრივსა და ობოლს. ჩემო ჴელმწიფევ, ჩვენი შეწუხება
რომელი ერთი მოგახსენო — სიმშილი, სიტიტვლე თუ ცარი[ე]ლზედ
გდება. ამას გარდა, მკვდრის დაუმარხაობა და მღუდლებისაგან საწი-
რავის თხოვნა.

---

[1] ვევერა. [2] ხალამა.

* აქედან ბოლომდე არზის ტექსტი დაწერილია სხვა ხელით და ა-მეტნაკლულია.

ჯელმწიფევ!, როცა რომ თქვენი მონა გახლდათ, თუ არ თქუენი მოწყალება, ერთის ფულის შოვნის გზა არსით არა ჰქონდა. ახლა საიდამ გვექნება ამდენს სულს.

ღმერთი გაგიმარჯვებსთ, მოწყალებით ჯელი აღმიპყარით, რომ ან სიშვლები შევიმოსნეთ და მკვდარი დავ[მ]არხოთ. იულისს **იგ**, ქორონიკონს **უპდ**.

თავში

ქ. სარდალ-სალთხუცესო ი ო ა ნ ე! ამას თავის ჯამაგირში ყოველმა ასნაფმან გასულს მარიამობის თვემდის ექვსის თუმნის ჯინში უნდა მოაცემინო. ივლისის **იე**, ქორონიკონს **უპდ**.

თორმეტი თუმანი აქვს გაჩენილი, ჩვენ ხომ არ მოგიშლით. მეტს ხომ არას მოგცემთ, ჰ[ა]ლბათ. ერეკლე

## 358. არზა ლუარსაბის ძიძისა ვალის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

**1796 წ. 15 ივლისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 328. დედანი. ქაღალდი. 17×10 სმ. მხედრული. აქა-იქ თითო წერტილი.

ქ. ღმერთმან სრულიად საქართველოს დედოფლის ჭირი მოსცეს ლ უ ა რ ს ა ბ ი ს ძიძას.

ჩემო ხელმწიფევ! მ ო ს ი ა ნაცვლისა მემართა შვიდი აბაზი თეთრი და სამი ხადაგი ლეკური, სამ-სამ აბაზიანი.

**ჩს** (ერთი მინალთუნი და ერთი აბაზი) ქ. ამაში მიმიცია ექვსი აბაზი.

**უ** (ოთხი აბაზი) ქ. კიდევ ნახევარ ლიტრა ბამბა, რომ ლიტრა რვა აბაზათ იყო.

**ჭ** (სამი აბაზი) ქ. ამაში წამართვა ორ ლიტრა ნახევარი მარილი, ლიტრა ხუთ შაურათ არი.

**რ** (ორი შაური) ქ. ორი შაურიც კიდევ გამამართვა. შეიქნა ჩემი მიცემული ცამეტი აბაზი. რაც ჩემს შვილს დუქნიდამ მიუცია, ის არ ვიცი, სხვა არი. ახლა კიდევ რ ო ხ რ ო ხ ა შ ვ ი ლ ი მამისია და წელზე სარტყელი შემამახსნა.

ამისი სამართალი მაღირსეთ. ივლისის **იე**, ქორონიკონს **უპდ**.

თავში

ქ. მილახვარო ოსეფ! ნაცვალიც შენთან მოაყვანინე თანდაცვე შენთან ალაპარაკე და ღვთის წინაშე სამართლით მოიმოგე. ჩვენისა ძე, ქორონიკონს **უპდ.**

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

## 359. არზა ამილახორიშვილებისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1796 წ. 29 ივლისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1389. დედანი. დაზიანებული. ქაღალდი. 23.8×10 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი ომან ამილახორიშვილებს ნინიას და გიორგის მოსცეს.

ჩვენო მოწყალევ, ამას წინას ხანებში ბეჟან ამილახვრისშვილისაგან უსამართლო გვჭირდა. მოვედით და თქვენს უმაღლესობას თავი ვაწყინეთ. ღმერთმან თქვენი უმაღლესობა განაძლიეროს, ოქმი გვებოძა თქვენს შვილს იულონზედ და ამილახორზედ, სამართლიანის საქმით ერთმანერთისათვის უნდა მოვერიგებინეთ.

მაგრამ უფრო უსამართლოება და მძლავრობა იხმარა, ერთმანერთ[თ]ან ყოფნა აღარ მოგვიხდა. თქვენი შვილი იულონ დაბძანდა, ამილახორი გაგვყარეს და ერთმანერთს მოგვაშორეს, ბარათები დაგვიწერეს. იმას თავისი წილი მისცეს და მე ჩემი. და ბარათებიც ეს არის, აღარც იმას ჰქონდა ჩემთან სადაო და არც მე იმასთან.

ახლა თქვენის უმაღლესობისათვის თავი უწყენია და ოქმი გიბოძებიათ, ეგაძე[ე]ბი ჩემნი საკუთარნი ყმანი არიანო და იმათ წამართვესო. ჩვენო მოწყალევ, თუ თქვენი წყალობა სჭირს, წყალობის წიგნი მოატანინეთ და მაშინ გამოჩნდება, თუ მამაჩვენი არ სწერია პირველათ და უფროსიც თუ მამაჩვენნი არ იყო. და ბარათიც ეს არის ეგაძე[ე]ბისა, რომ გავიყარენით და წილში ჩვენ გვერგო.

ამ მოწყალებას ვითხოვთ, ეს ბარათი მი[ი]რთვით და ნახეთ; და ოქმი გვებოძოს, იასაულმა ჯელი აიღოს, ჩვენთან საქმე არა ჰქონდეს. ჩვენი მსახურები იმათ ერგო, რომ იმ ჩვენის მსახურებისაგან ვართ დაზდილნი; და ერთი იმისი მსახური ჩვენ გვერგო. ჩვენ როდის ვსჩივით, რომ იმას თავი უწყენია, ჩვენო მოწყალევ. [მ]კათათვის **კდ,** ქორონიკონს **უპდ.**

თავში

ქ. ამილახვარისშვილო მინბაშო ბეჟან! ამ არზით ეს შენი სახლისკაცი რომ ასე გიჩივის, ჩვენ რომ ამ კაცის საქმე მოგვახსენე და ოქმს გვთხოვდი და ჩვენ დაგიჟინეთ, რომ მანამდის ის ჩვენგან მოცემული წიგნი ჩვენგან არ გაიშინჯება და სწორეთ არ შევიტყობთ და არ გავარჩევთ, ახლა ოქმის მოცემა არა სჯობს და შენ დაიჟინე, შემოგვეხვეწე, აღარ მოგვეშვი და ოქმი გამოგვართვი.

ახლა ესენი ასე ლაპარაკობენ. მანამდის იმ ჩვენგან მოცემულს წიგნს არ გავსინჯავთ, ამ სადაო კაცის საქმე არ გარდაწყდება. ის წიგნი ჩვენ მოგვიტანე, გავშინჯავთ და სიმართლე რომელსაც მხარს დასძლევს, ეს კაცი იმას დარჩება. ივლისის **კთ**, ქორონიკონს **უპდ**.

ბეჟედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 360. არზა ციციშვილებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1796 წ. 15 აგვისტო**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 8500. დედანი. ქაღალდი. 36×16,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი ქალაქის მოურავს ევსტატისა და ციციშვილს გიორგის მოგვცეს.

ამას მოვახსენებთ, თქვენის მოწყალებით რაც რამ თითო-ოროლი კაცი გვყვანდნენ ხომ გავიყავით და ქარელში, ხვედურეთსა და დუესს რაც მამულები გვაქვს და ჯელი გვიწვდება ის მიწები გაურჩეველი გახლავსთ და დღე ყოველ გოგია ციციშვილისაგან მოსვენება არა გვაქვს. ჩვენს ყმათ შიგ არ უშვებს, რომ ან მოხნან და ან მომკონ, სცემს და ავად ეპყრობა; ორჯელაც ჩამოგვივიდნენ იმისგან დაჭრილნი კაცები და ჩვენ მოთმინებაში გახლავართ, რომ ასრეთი შფოთი არა შემოგვამთხვიოს რა, რომ ან ღმერთის საწყენი იყოს და ან თქვენი ჯელმწიფობა გავიწყრომოთ, ამას ვერიდებით.

ღმრთით თქვენს შვილს იულონზედ, ერთი ბეჯითი ოქმი გვიბოძოთ რომ ეს მამულები გაგვირჩიოს, ღმერთი გაგიმარჯვებსთ. აგვისტოს **გ**, ქორონიკონს **უპდ**.

თავში

ჩვენო ღმრთის წყალობავ შვილო ბატონო იულონ! მერე ციციშვილები ნიადაგ ამ მამულზედ რომ ჩივა, თუ თითონ ერთმანერთთან

მორიგდნენ, ხომ ის არის, თუ არა აქედამ რომ დაბრუნდე, მასუკან შენ გადი, ჩვენი მდივანი რომელიც დაგესწრას, თან გაიყოლიე და ამა-თი მამულები გაარჩიეთ. აგვისტოს იე, ქორონიკონს უპდ, [illegible] მოიცალო. ალბათ, ალბათ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 361 არზა თანეზასი ვალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1796 წ. 3 სექტემბერი**

ცსსა. ფონდი 1448. საბ. № 490. დედანი. 20,6×15 სმ. ქაღალდი. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჴელმწიფის ჭირი მათ ფეხთ მიწა-მტვერს თანეზას მოსცეს.

მერე ამას მოვახსენებ ხითარაშვილს ზაზას ჩემი თუთხ-მეტი თუმანი მართებს, წისქვილი და სიგელიც გირაოთ მაწერია, რომ თუ სარგებელი არ მომეცეს. წისქვილი მე უნდა დამნებდეს. ეხლა მძლავრობით არც წისქვილს მანებებს, არც თეთრს მაძლევს.

ღმერთი გადღეგრძელებს, ერთი ოქმი და იასაული მიბოძეთ, რომ ან ჩემი თეთრი გამომირთოს და ან რომელიც წისქვილი გირაოთ მიწე-რია, ის დამანებოს ჩემ[ი] თეთრის მოცემამდინ. როცა თეთრი მომცეს მერე ღმერთმა თავისი წისქვილი, თითონვე მოახმაროს. აგვისტოს კე, ქორონიკონს უპდ.

თავში

ქ. ბატონო ამილახვარო ოთარ! რაც ამ არზის პატრო-ნისა[1] თამასუქით ხითარაშვილებს ემართოსთ, თავისი ჰაყის გამოურთვი და მოეც. თუ ახლა თეთრი არ მისცენ, რაც გირაო მიუცია, თეთრის მიცემამდინ გირაო დაანებოს. და როდესაც თეთრი მისცეს, გირაო დაიხსნას. სეკდემბერს გ, ქორონიკონს უპდ.

ეს ასე აღასრულე. ესეც გაცრცვილი და დატყვევებული არის. ერთი კაციც უწმინდესის ჩვენის შვილის კათოლიკოზისა იყოს მოასი-ლად ამაზედ აზნაურშვილებისაგანი.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

---

[1] + რაც.

## 362. არზა ენისელთ ნაცვლისშვილებისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1796 წ. 3 სექტემბერი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 264. დედანი. 34×11 სმ. ქაღალდი. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცესთ ე ნ ი ს ე ლ შ ი მსახლობელთ ხ ო ს რ ო ს ა და ა ს ა ნ ა ს, ნაცვლის შვილს ს ა ბ ა ს, გ ო გ ი ა ს.

მოწყალე ჯელმწიფე, თქვენი მოწყალებაცა გვჭირს მამა-პაპით რომ აზატნიც გახლავართ და მსახურათ კიდევ ახლა თქვენს შვილს ი უ ლ ო ნ ს ვახლავართ და მისგანაც წყალობა გვჭირს.

ახლა ვინც თქვენი მოსაქმე გიახლებათ, გვტანჯავენ და გვაცოდვილებენ. წიგნებიც აქ მოგვირთმევია. ამ მოწყალებას ვითხოვთ, ერთი ასეთი წამალი დაგვედოს, ვინც იასაული მოვიდეს, ჩვენზედ ჯელი აიღონ, თუ ინებებთ, თუ არა, ჩვენი თავი თქვენის ჭირის სანაცვლო იყოს. სექდემბრის **ა**, ქორონიკონს **უპდ**.

ქ. ოთხი ნაცვლის შვილები გახლავართ მსახურათ და ერთი ჯავარას შვილი.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის! რომელნიც ჩვენი მოსაქმენი და მოასილნი ენისელში მიხვიდოდეთ, ენისლის ნაცვლის შვილებს სანატრელის პაპის ჩვენის მ ე ფ ი ს თ ე ი მ ურ ა ზ ი ს წიგნი აქვთ, ყოვლისფრით გა[ა]ზატებულნი არიან. ამათი ხარჯში გარევა არ იქნება. და ნურც გარევთ. სექდემბრის **გ**, ქორონიკონს **უპდ**.

ამათ ასეთი წიგნი აქვთ, რომ სხვას აჩხა-მაჩხას წიგნებს არა გავს ამათი წიგნი. ამათ, დიაღ, უცხო წიგნი აქვთ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ე რ ე კ ლ ე.

## 363. არზა გოგია ხიმშიაშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1796 წ. 7 სექტემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 6866. დედანი. ქაღალდი. 30×15,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი ხ ი მ შ ი ა შ ვ ი ლ ს გ ო გ ი ა ს მომცეს. ჩემო მოწყალევ ჯელმწიფევ!

ქართლელი ხიმშიაშვილები რომ მამულზედ მედავებიან და ჩემს სახლისკაცობას ჩემობენ, ისინი მე დავას არ დამიჭერდნენ, თუ აგ სიცრუეზედ ოსტატი არა ჰყოლოდათ, ბერი ხიმშიაშვილი ახლდა დეკანოზისშვილს სოლომონს.

ჩემო ჯელმწიფევ, მე რომ მოსამართლეებთან ვდაობდე, სხვას მოწამეს არავის ვახსენებ, თქვენს უმაღლესობას მოვმართავ. თუ გაგიგონიათ, რომ ისინი ჩემი სახლის კაცები ყოფილან, ან სანატრელს ბატონს მოხსენებია, რაღათ დავიფიცო. და თუ აქამდის არ მოგხსენებიათ, ახლა საიდამ იქნებიან ჩემი სახლის კაცები.

ბიძაჩემი შერმაზან ინდოეთს გახლდათ, მამაჩემი აქ გახლდათ; ან იქ მოგხსენდებოდათ და ან აქ. მადლობთ ღმერთსა, რომ თქვენ ჩვენზედ ჯელმწიფობთ. ერთხელ როგორ არ იჩივლეს.

ღმერთი გაგიმარჯვებსთ. ფიცში ნუ შემიყვანთ, მამა აღარ დამრჩომია, ბიძები აღარ დამრჩომია და უფროსი ძმა. თუ თქვენ არას მიპატრონებთ, მე საიდამ მეყოლება შემწე და მოწყალე. სეკდემბრის **დ**, ქორონიკონს **უპდ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ამ არზის პატრონო ხიმშიასშვილო გოგიავ! შენ რომ ეს არზა მოგირთმევია, განაჩენიც მოიტანე ჩვენი, თუ გაქვს; და სარწმუნო მოწმეებს თუ იშონი, ისინიც მოიყვანე. და თუ მოწმე[ე]ბს მოსვლა არ შე[ე]ძლოს, მოწმე[ე]ბის ჯელისწერილი მოიტანე სარწმუნო კაცთაგან დაწერილი. სეკდემბრის **ზ**, ქორონიკონს **უპდ**.

ორს კვირაზედ რასაც საბუთებს იშო[ვნ]ი, უნდა მოიტანო.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

## 364. არზა ნადირა კუსრაძისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1796 წ. 20 სექტემბერი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 25. საბუთი № 71. ჰირი. ქაღალდი. მხედრული. იქვე, საბუთი № 72.

[84v] ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს კურდღელაურში მსახლობელს კახის შვილის ყმას კუსრაძე ნადირას[1].

---

[1] + მოსცეს.

მოწყალეე ხელმწიფეე, თავთაგანაც წყალობა მჭირებია და აზატე ვყოფილვარ. ბატონის ჩემის კახის შვილისაგანაც და შემდგომად კიდევ გაუახლებიათ წყალობის წიგნი და ჩვენთვის უბოძებიათ და ხელში გვაქვს გიორგის, გერმანეს და შვილებისაგან დაწერილი და დაბეჭდილი, რომ არა ჩვენი სათხოვარი [85] არა გეთხოებოდეს რაო — არა კულუხი, არა ძიძა, არა მუახლე და არა კალო და არა სათხოვარი, თვინიერ მსახურისა.

და რა ესენი გარდაიცვალნენ, მარადის მაჭირვებენ და მაწუხებენ ბატონი ჩემის შვილები, ნიადაგ მწუხარებაში ვარ და სათხოველს ყველასა მთხოვენ და არც მათგან ბოძებულს წყალობის წიგნს ყაბულობენ და ვყევარ დიდ მწუხარებაში.

ეს ჩემი შეწუხება თქვენ სიმაღლეს მოვახსენე ის წყალობის წიგნებიც მომატანინეთ, გაშინჯეთ და თქვენც წყალობის წიგნი და ოქმი მიბოძეთ. არც იმ თავიანთ მამა-პაპის წიგნებს ყაბულობენ და არც თქვენი ოქმი იოქმა; რა ვქნა. მომიხდა სოლომან ბატონი ჩემი და ვენახი მე უნდა დავკრიფოო, შიგ არ გავატარებო. ეხლა დაკრეფას უპირობს. მე თქვენ სიმაღლეს მოვატანე, ის იქ გახლავს, მიშველე რამე, ღმერთი გაგიმარჯვებს. ხარჯი მეტობით მერთმევა. ექვსი კოდი პური ეხლა ხანს გამომართვეს. მომიხსენებია და შემიბრალე. ენკენისთვის ით, ქორონიკონს უპდ.

თავში

ჩვენი ბძანება არის! მერე როგორც ამ არზის პატრონს ქორონიკონს უპა — ამ წელს ოქმი მისცემია, იმასვე ვამტკიცებთ. რადგანც კახის შვილისაგან მიცემულს მამულზედ ჯელს იღებს და ნასყიდის მამულით უნდა ემსახუროს შეძლებით და მამა-პაპასაგანაც კულუხის აზატია, ახლა ამას კულუხს ვერ გამოართმევს კახი[ს]შვილი.

აიდემურ ეშიკაღასო! ასე გა[ა]რიგე. სეკდემბერს კ, ქორონიკონს უპდ.

თუ ამ სამართალში აკლია რამე, მოვიდეს, ილაპარაკოს და რომელიც გამტყუნდება, იმას გარდახდება ძალიან.

## 365. არზა ესავ და იოანე მდივნებისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1796 წ. 27 სექტემბერი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3035. დედანი. ქაღალდი. 20,2×10,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან მათის სიმაღლის ყოვლად მოწყალის ჯელმწიფის ჭირი თქვენს მონას სულხან მდივნიშვილს ესავს და იოანეს მოგვცეს.

ჩვენო მოწყალევ, ჩვენს ყმას ზებედაშვილს რამაზას და ამის შვილს ბასილს თავის ძმით ფურცელაძე ზურაბ რომ გვედავებოდა და ბატონ დედოფალთან სამართალში ვლაპარაკობდით, იმ სამართალში თქვენი სიმაღლეც შემობძანდა. ჩვენი საჩივარი რომ მოგხსენდათ, ზურაბის არზაზე ოქმი გვიბოძეთ და უბძანეთ: ჯერ ამ კაცსთ დაეხსენო, სამართალში გაიარეთო და სამართლით, როგორც გარდასწყდეს, ორნივ იმაზე უნდა დადგეთო. აღარც სამართალს დააცალა და აღარც თქვენ მოგახსენათ. იმ არეულობის ჟამს უკან მიხდომია ხვითს, ფალავანდიშვილი ზურაბ იასაულათ მიუყვანია, აუყრია და მერეთს წაუყვანია. ჩვენ თქვენის ოქმის ძალით გვყვანდა და მოწმობაც ჯელში გვიჭირავს, რომ ის კაცი ჩვენი ყმა არის და ის თავის ძალით ასე უსამართლოს გვიშვრება.

ღმერთი გაგიმარჯვებს, თქვენი ოქმი და მოწმობის წერილი გაშინჯეთ. თუ კიდევ ინებებდეთ, სამართალში გვალაპარაკეთ. და თუ არადა, ოქმი და იასაული გვებოძოს, რომ ის ჩვენი კაცი აგვიყაროს და მოგვცეს. სექდემბრის კ, ქორონიკონს უპდ.

თქვენის ოქმის შემდეგად არც სამართალში გაგვი[ვ]ლია.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის! მერე ამ არზით მდივანს ესავს და იოანეს რომ ასე მოუხსენებიათ, მერე ამათ ჩვენი ოქმიცა აქვსთ და მოწმეების წერილიც უჭირავსთ, რომ ის კაცი ამათი ყმა არის და ფურცელაძეს ზურაბს სამართალში გაუვლელათ ამათის მამულიდამ აუყრია და მერეთს წაუყვანია. დიაღ, დაუშავებია, რომ ჩვენის ოქმის წინააღმდეგობა უხმარია. ახლავ შენ ის ამათი კაცი უნდა აუყარო და ამათ მოაბარო. და ჩვენის ოქმის ურჩებას და წინააღმდეგობას კი არ შევარჩენთ, დიდათ მოვჰკითხავთ და გარდავახდევინებთ. სექდემბრის კზ, ქორონიკონს უპდ.

და ზურაბ ფალავანდისშვილს რომ ხარი წაურთმევია, ისიც უნდა გამოურთვა და მოსცე. რომელიც ამაში გამტყუნდება, ახლის განწესებისაებრ გარდახდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 366. არზა ანდრია ალექსიშვილისა ოქმის გოძებისა თაოგაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

**1796 წ. 3 ოქტომბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 11009. დედანი. ქაღალდი. 27,7×15,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი, ორი ან სამი წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ხემწიფის დედოფლის ჭირი ხიდისთავს მსახლობელს ალექსიშვილს ანდრიას მომცეს.

ჩემი მოხსენება ეს არის: მირზაშვილი სოლომონ რომ გახლდათ, იმას ჩემი და ყვანდა; სიღარიბემ რომ შეაწუხა და ვეღარ იცხოვრა, ძმებმაც ყური არა უგდეს რა, ადგა და რუსეთს წავიდა, ეგება სარჩო ვიშოვნოო. ორი წელიწადი იქ მოუგვიანდა; ორს წელიწადს გარდა ოთხი წელიწადიც კიდევ მე შემინახამს იმისი ცოლი, რომ იმათის სახლიდამ ერთის ფულისა არა მოსცემია რა ჩემ დასა. რუსეთიდამ რომ მოვიდა ის ჩემი სიძე, რაც რამ ეშოვნა, სულ თავის ძმებთან მი[ი]ტან[ა].

იმავ ჟამათ იბძან[ა] იმერეთს ჯარის გადასვლა; ისიც იქ წავიდა და ნეფე სოლომონის ჭირის სანაცვლო შეიქნა. დარჩა ჩემი და იმისის ძმებიდამ და სახლობიდამ უმოწყალეო, რომ მოწყალება აღარასი აღირსეს.

მერე თქვენ არზი მოგართვით და მოგახსენეთ და მდივანბეგებზე სამართალი მებოძა. ორნივ ერთად გვალაპარაკეს — მირზაშვილი თამაზას ძმა ბეჟანა და მე. სამართლით თამაზასა და ბეჟანს ოცდაერთი თუმანი და[ა]დვეს ჩემის დის სამკდროთა და სარჩოთ, იმათ უნდა მოეცათ, განაჩენი დამიბეჭდეს და მომცეს. ის განაჩენი თქვენგანაც დამტკიცებული [არ]ის. იასაული თაქთაქისშვილი სულხან იყო და იმას კაცი შემოაკვდა და დაიკარგა, უიასაულოთ ჩემს დას იმათ აღარ მოსცეს რა.

ახლა წყალობას ვითხოვ. ღმერთი განგაძლიერებსთ, რომ ერთის მაგარის ოქმის წყალობა ციციშვილს პა[ა]ტა შვილს გოგიაზე მოიღოთ, რომ რაც რომ განაჩენში ეწეროს, ის აღასრუ-

ლოს. თქვენად სადღეგრძელოდ, ყოველი ქვრივი და ოხერი თქვენგან სამართალს იქადიან და ნურც იმას და[ა]გდებთ უმოწყალეოს თქვენის შვილების სადღეგრძელოდ. ენკენისთვის კდ, ქორონიკონს უპდ.

წყალობას ვითხოვ, რომ ამისი ოქმი დროისად მებოძოს და [illegible]ლიც გამომიცხადოთ, რომელიც თქვენი ნება იყოს. ღმერთი თქვენს ხემწიფობას განაძლიერებს ჩემო ხემწიფე.

თავში

ქ. რუისის მოურაო ც ი ც ი შ ვ ი ლ ო გ ო გ ი ა ვ! მერე ამ არზის პატრონის ალექსის შვილის ქალი რომ უჩიოდა მირზაშვილებს, ამისმა სამართალმა დიამბეგებთან გაიარა. და დიამბეგებისაგანაც განაჩენი მიეცა, რომ ის განაჩენი ჩვენგანაც დამტკიცებული არის. იმისი იასაულობა თაქთაქიშვილს სულხანასა ჰქონდა, რომ იმას უნდა გაერიგებინა. ახლა იმას ხომ განსაცდელი შეემთხვა და კიდეც დაიკარგა.

ახლა შენ მიდი, ის განა[ჩე]ნი წაიკითხე და როგორც იმ განაჩენში ეწეროს, ისე გაარიგე და ამ ქვრივს მოაბარე. ღმრთის გულისათვის გაურიგებელს ნუ დაუგდებ, ბრალი არის ეს ქვრივი. ღვინობისთვის გ, ქორონიკონს უპდ.

ბეჭედი: დ ე დ ო ფ ა ლ ი დ ა რ ე ჯ ა ნ.

## 367. არზა ნიკოლოზ თუმანიშვილისა წისქვილის რუს თაობაზე იულონ ბატონიშვილის ოქმით

**1796 წ. 4 ოქტომბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 382. დედანი. 22×16,5 სმ. ქაღალდი. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ თითო წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხ ე ლ მ წ ი ფ ი ს ძ ი ს ი უ ლ ო ნ ი ს ჭირი მათს მიწას თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ს ნ ი კ ო ლ ო ზ ს მომცეს.

რ ე ჯ ს მ ა მ უ კ ე ლ ა შ ვ ი ლ მ ა და ს უ ლ ი ა შ ვ ი ლ მ ა ორის კომლის კაცის ნასახლარები და მარანი გამიჭრეს, წისქვილის რუ გაიყვანეს, ქვევრები ამოყარეს და გამიფუჭეს. ეს უსამართლო არას კაცს დამართებია. თავიანთი სამკვიდრო წისქვილის სათავე და რუს ალაგი დაავგდეს. მთელმა ზემოთმა რეჯამ იცის, საცა იმ[ა]თი სათავე არის წისქვილისა, ამისთანას უსამართლოს ჭმარობენ.

თქვენი ოქმი მიუტანე, წიგნი დააწერინეს ყ ა ფ ლ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ს ე დ ი შ ე რ ს: რასაც წამს წყალი დაპატარავდებაო, ისევ ჩვენს სათავეზედ გამოვი[illegible]ვანთო. ორი წელიწადია მატყუებენ. ის მამულები გამიფუჭდა და წაკლია.

ღმერთი გაგიმარჯვებსთ, ერთის იასაულის წყალობა იყოს, რომ მოვიდეს თორტიზიდამ და ზემო რეჯიდამ კაცნი მოიყვანოს, გაშინჯონ. თუ მართალი იყოს ჩემი მოხსენებული, ჩემი მამულის ბრალი მაგონ; თუ იმათი იყოს, ღმერთმან მოახმაროს და ჯელთაც უჭირავთ. თუ ჩემი იყოს, რაც ჩემის მამულისა ან ქვევრები დაემტვრიოსთ, იმისიც პასუხი გამცენ.

ქ. ამავე იასაულს ებძანოს, ვისაც კიდევ ჩემის ყმის წისქვილის რუ და ვენაჯების თხრილები გაესწორებინოსთ, სადაც ან ჰ[ა]ლალ ჰაყათ ჩემი ღალები უმართოსთ ვისმე, ისიც გამომირთოს. დიდათ მოკრძალული ვარ სამართალში შესვლისა. თქვენი რისხვა არ მამეცემა, ღმერთი გაგიმარჯვებსთ. ენკენისთვის კთ, ჭორონიკონს უპდ.

თავში

ქ. ბატონისშვილი იულონ გიბძანებ ქარუმიძე ფარსადან! მერე ამ არზით თუმანისშვილს ნიკოლოოზს ასე რომ მ[ო]უხსენებია მამუკაშვილისა და სულიაშვილისაგან საჩივარი, ორისამი მახსოვარი და მცოდნე კაცი თორტიზიდამ უნდა მოიყვანო, ორისამი მახსოვარი კაცი რეხიდამ და ნიკოლოოზის მოხსენებული წისქვილის რუ გაშინჯო.

თუ ეს მახსოვარი კაცები ნიკოლოოზის სიტყუას დაემოწმნენ, რომ რომელზედაც მამუკელაშვილს დღეს წისქვილის რუ უდიოდეს, ის ალაგი სწორეთ ამ ნიკოლოოზის კაცების ნასახლარი ყოფილიყოს, ხომ ის ალაგი ახლავ და[ა]გდებინე და ძველათგან რომელზედაც ჰქონდესთ წისქვილის რუ, ისევ იმაზედ გაიტანონ.

და რაც ნიკოლოოზს თავის მამულზედ მამუკელაშვილისა და სულიაშვილისაგან რუს გატანით იმ მამულის გამოსავალი დაჰკლებოდეს, სამართლიანის საქმით ისიც მამუკელაშვილს და სულიაშვილს უნდა მიაცემინო ნიკოლოოზს თუმანიშვილისათვის.

ეს ძე უნდა აღასრულო. და თუ მამუკელაშვილს და სულიაშვილს სამართლიანი სიტყუა ჰქონდესთ, ჩვენს სამართალში ელაპარაკნენ ნიკოლოოზს. ოკტომბერს დ, ჭორონიკონს უპდ.

ბეჭედი: ტომ-სქესით არ ნაკლისაგან იულონ ირაკლისაგან.

## 368. არზა მანუჩარ მდივნისა ვალის თაობაზე იულონ გაბონიშვილის ოქმით

1796 წ. 9 ოქტომბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 11019. დედანი. ქაღალდი. 16,8×10,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბატონიშვილის იულონის ჭირი მათს მონას მ დ ი ვ ა ნ ს მ ა ნ უ ჩ ა რ ს მამცეს.

მერე ამას მოვახსენებ, ცხინვალელი ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი მ ო ს ე ს ა ჩემსას სამოცს ლიტრს ძროხის ქონს არის მოსაცემს, არ მაძლ[ე]ვს. თვითონ ერთი ჰახვერმაზი და იაწმაღი კაცია და უიასაულოთ არ მამცემს; იას[ა]ული მიბოძეთ, რომ გამომირთოს და მამცეს. თუ ასე ცნობა მჭონოდა, მე იმასთან სალაპარაკოთ საქმეს არ გავხდიდი, მაგრამ უცნობლობით მამიხდა, ვივაჭრე იმასთან, ქონის ფასი ხელთ უჭირავს და ნებით არ მაძლევს. ღვინობისთვის **ჱ**, ქორონიკონს **უპდ**.

თავში

ქ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ი უ ლ ო ნ გიბძანებთ! მერმე ამ არზით მდივანი მანუჩარ ასე რომ ჩივის, შენ უნდა და[ა]დგე ხახანაშვილს და რასაც ედავება, ახლავ უკლებრად უნდა გამოართო და მდივან მანუჩარს მოაბარო. თუ სიტყვა აქვს რამე, იქავ ც ხ ი ნ ვ ა ლ ს ორი სამი მოხტაბარი კაცი დაუსხი და მოარიგონ. თუ იმათს სამართალსაც არ დასჯერდება, ასე იცოდეს ერთიორათ გარდახდება. ღვინობისთვის **თ**, ქორონიკონს **უპდ**.

ბეჭედი: ტომ-სქესით არ ნაკლისაგან ი უ ლ ო ნ ირაკლისაგან.

## 369. არზა სოლომონ გვარამიძისა მამულის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1796 წ. 9 ოქტომბერი

ცსსა. ფ. 1450. დავთარი № 32. საბუთი № 385. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[215v] ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის დედოფლის ჭირი მომცეს თქვენს ყმას გ ვ ა რ ა მ ა ძ ე ს ო ლ ო მ ო ნ ს.

მერე მოგეხსენებათ, ჩვენ ჩვენის ნასყიდის ყმით თქვენი სახასო ყმანი გახლავართ. რ უ ი ს [ს] უმამულოთ გახლდით და თქვენგან და ბედნიერის ბატონისაგან წყალობა გვებოძა რუისს დ ე გ ო თ ი ს[1] მი-

[1] + თვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წის წყალობა. და ამ ხ ო ჯ ა ხ ა ნ ი ს მიზეზის გამოისად სახლკარი ველარ გავიკეთეთ.

და კიდევ ახლა ხელმეორედ ბატონს რუის[ს] მ რ ო ვ ე ლ ი უ ს-ტ ი ნ ე ს თ ვ ი ს ოქმი ებოძებინა, რომ სახლკარიც ა[ა]შენებინეო და იმ მიწას ამათ შეუკითხავათ ვერავინ მოხნავსო; და თუ ვინმე[მ] ეს გვარამაძე[ე]ბი რომელიმე[1] უჩვენ საოქმოთ შეაწუხოს[2], შენგან ყველა უნდა [216] მოგვხსენდესო.

ახლა გევედრებით, როგორც ბატონის ბძანებას ის ოქმი აცხადებდეს, თქვენი ბძანება და ოქმიც ისრე მროველზედ გვებოძოს. ჩვენო მოწყალევ, თქვენი ყმანი გახლავართ, თვალყური მოგვიგდევით. ღმერთი ბედნიერს ხემწიფეს და შვილებს გიცოცხლებს და გიდღეგძელებს, ჩვენო მოწყალევ.

თავში

ყოვლად სამღვდელოვ უფალო მროველო იუსტინე, მერე როგორც მის უმაღლესობას ბატონს ამ გ ვ ა რ ა მ ა ძ ი ს ს ო ლ ო მ ო-ნ ი ს ა და გ რ ი გ ო ლ ი ს ა თ ვ ი ს ოქმი უბოძებია დეგოთის მიწისა, ჩვენც ისე წყალობა გვიქმნია. როგორც იმ ოქმში უცხადებდეს, ისე აღუსრულე. და სხვარიგათაცა თვალყური გეჭიროს ამათზე, რომ უსამართლოთ არავინ შე[ა]წუხოს. ოკდომბრის თ, ქორონიკონს უპდ.

## 370. არზა იოსებ ყორღანაშვილისა დაკარგული საბუთების განახლებაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1796 წ. 13 ოქტომბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1038. დედანი. ქაღალდი. 76×40,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ჩემი ქალაქის სახლკარი მ ა რ ი ა მ დ ე დ ო ფ ლ ი ს წყალობა და ცოტა ადგილი მ ე ფ ი ს ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ა გ ა ნ ა ც იყო ნაბოძები, რომ ისიც ჩემს სახლში შემოერთებული იყო. და ამის სიგლები თქვენის სიმაღლისაგან მქონდა დამტკიცებული.

ქ. დ ა ვ ი თ ი ს შ ვ ი ლ ი ს ზ ა ა ლ ი ს ა და ე ლ ი ზ ბ ა რ ი ს ა-გ ა ნ [ბა]ტონისათვის ნასყიდის სომხეთში გ ო გ ი ს ო ფ ლ ი ს სიგლები მქონდა თავთავის წილისა; და მდივანბეგებისაგან იმ სოფლის

[1] რმიმე. [2] + ვინმე.

გაყოფის ბარათებიც მე მქონდა. იქაური ყმა არსადა ჩნდა, მაგრამ თუ გამოჩენილიყო, ასე ეწერა სიგლებში, რომ ბატონ[ის] იქნებოდა; მთით და ბარით იყო ნასყიდი.

ქ. მამის ჩემისაგან ნასყიდი სოლაღაშვილის ავთანდილისაგან მოსყიდული ვერის ჴევზე დრე სოფელი მთით, ბარით. გლეხით და სასახლით; და ამის სიგელი თქვენგანაც და ნეტარად ხსენებულის ბატონის მამის თქვენისაგანაც დამტკიცებული იყო.

ქ. სოლაღაშვილის ყაფარ ბეგისაგან მამის ჩემის ნასყიდი თავისი წილი კუმისს ყმა და მამული, ამის ნასყიდობის სიგლები სარდალსა ჰქონდა წართმეული. რამდენჯერ თქვენის სიმაღლის სამართალში ვილაპარაკეთ და რაც ოქმები და საბუთის წიგნები მე მეჭირა და ან ფრანგი სტეფანესაგან მოცემული წიგნები, სრულად დავჰკარგე.

ქ. ნეტარად ხსენებულის თქვენის ძმის უწმიდესის კათოლიკოზის ანტონისაგან კირაკოზაშვილის ბეითალმალის ორთაჭალის ბაღის ნასყიდობის სიგელი მქონდა, თქვენის შვილის კათოლიკოზისაგან დამტკიცებული იყო.

ქ. თქვენის უმაღლესობისაგან ჩემზედ წყალობა იოსებ მუშრიბის ყმისა და მამულის სიგელი დავჰკარგე.

ქ. ნაზარბეგიშვილი ოსეფა რომ სახლის ადგილს მედავებოდა. ნასყიდობის წიგნი გამოვაჩინე, გამტყუნდა და განაჩენი მომეცა. და რომ გამტყუნდა; ტყუილის დავისათვის მეტი ადგილიც მომცა სამართალმა, რომ ის ადგილი ჩრდილოეთის მხარეს ჩემს დარბაზს აკრავს და მიჭირავს. მაგრამ განაჩენი კი დავჰკარგე.

ქ. იოანე მეითარი რომ ჩემის ძმის ფარსადანისაგან საამხანაგო წიგნით აქულისელის ოჰანეზას ვარისობით მედავებოდა, რომ გამტყუნდა, იმისი განაჩენი მომეცა და თქვენგანაც დამტკიცებული იყო. დავჰკარგე.

ქ. რაც ქალაქში ან მამის ჩემისაგან და ან ჩემგან ნასყიდობის სიგლები მქონდა, ეს მელიქს ებძანოს. რომ გამიახლოს, დავთარში ეწერება.

ქ. ჩემის სახელოების სიგლები და ოქმები სულ დავჰკარგე.

ქ. ჩემის ძმისა და მიღდისი მელჭუას ამხანაგობის გასამყრელო წიგნი მქონდა თქვენგან დამტკიცებული და დავჰკარგე.

ქ. ქვემო ბოლნისს ზავრაშვილებისაგან მამის ჩემის ნასყიდი ორი ვენახი და ექვსის დღის მიწა მაქვს და ნასყიდობის წიგნი დავჰკარგე.

ქ. მამის ჩემის ძმა გივი ქალაქს მოქალაქის ზედ სიძეთ შესულა, საოჯახო ვალზედაც ხელი აუღია და თავის წილზედაც და მასუკან

ყიზილბაშობის ხარჯი, მალუჯათი და მას უკანდელი ხარჯი ჩვენ გაგვიღია, ვალიც ჩვენ მიგვიცია და იმისგან უწილოდ გასვლის წიგნი მქონდა, დავჰკარგე.

ქ. მეფის ვახტანგისაგან ბოძებული ენაგეთს ერთის ჩემის სახლისკაცის წილი ბეითალმალი ყმა და მამული რომ იმის ყმები დღესაცა მყავს და სიგელი დავჰკარგე.

ქ. ჩემო ჯელმწიფევ, შარშან რომ აღამაჰმადხანისაგან ტფილისის ქალაქი წახდა, ჩემი ბარგი ზოგი მცხეთას აქეთ დაიკარგა და ზოგი ქალაქში. და ჩემი წიგნებიც მაშინ ჩემს ბარგთან დაიკარგა.

ახლა ამის მეტი არ მახსოვდა, თორემ იმდენი თქვენი წყალობა მაქვს, რამდენი კარგი საოჯახო სახელოებისა და წყალობის წიგნები მე მქონდა და დავჰკარგე, რომ ამაში არა სწერია. რაც საყორღანაშვილო წილი მქონდა, იმის წიგნები და ბარათებიც დავჰკარგე.

ამას გევედრები, ამ ზემო ნაწერი წიგნების გაახლება თქვენგან მეწყალობოს, როგორც მუნასიბი იყოს. სეკდემბრის **ია**, ქორონიკონს **უპდ**.

ქ. თქვენი უმდაბლესი მონა ყორღანაშვილი მილახვარი ოსეფა მოგახსენებ.

თავში

ქ. ჩვენ, ქართლისა, კახეთისა და სხვათა მეფე ირაკლი მეორე[1] მოგიწერთ ყოველთა საქართველოში მცხოვრებელთა სამღვდელოთა და საეროთა დასთა — თავადთა, აზნაურთა, ვაჭართა და გლეხთა! ასე, რომ ყორღანაშვილს მილახვარს იოსებს რაც საოჯახო წიგნები ჰქონია, სრულად დაჰკარგვია და რომელიც ხსომებია და მოჰგონებია, დაუწერია და ჩვენგან განახლებას ითხოვს.

ჩვენ უფრო ჭეშმარიტის გამოძიებისათვის გიბძანებთ, რომ ვინც რა იცოდეთ ამ წიგნების ვითარება და ან გაგეგონოსთ, ღმერთს გაფიცებთ და ცხოველს მყოფელს ძელს, რომ წინაშე ღმრთისა ჭეშმარიტი მოწმობა მოაწეროთ. ეს წიგნები ჩვენ უნდა განუახლოთ. ოკდომბერს **იგ**, ქორონიკონს **უპდ**.

ქ. თქვენი ცოდვა იყოს, ვინც იცოდეთ და არა სთქვათ და ვინც არა იცოდეთ რა და ტყუილათ სთქვათ, ვინც იცით ჭეშმარიტი და იტყვით, დიდს მადლს მიიღებთ; და ვინც ჭეშმარიტს დაჰფარავთ და არ იტყვით და დიდს ცოდვას მიიღებთ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს. ერეკლე.

---

[1] + მეორე.

ქ. რომელიც ამ სი[ი]თ მილახვარს მოუხსენებია, ჩვენ, საქართველოს დედოფალს დარეჯანს, ღმრთის წინაშე [illegible] კუმისის საქმეზედ სარდალთან ბევრჯელ დავა, დიახ, კარგათ გვახსოვს, როგორც ამ სიაში მოუხსენებია სწორეთ ასე. და გოგის სოფლის ნასყიდობის სიგლები, ორის ძმის — დავითისშვილის ზა[ა]ლისა და ელისბარისაგან მოცემული, როგორც ამ სიაში მოუხსენებია, სწორეთ ასე[ა]. და რომელიც ნაზარბეგისშვილის ოსეფასაგან სახლის ალაგი ჰქონდა განაჩენით მიცემული, როგორც ამ სიაში მოუხსენებია, სწორეთ ასე იყო.

ღმრთის წინაშე, ამაებს გარდა, ესეც გვახსოვს, რომ ერთის მოდიდოს ყუთით სავსე სულ თავისი საოჯახო ბატონებისაგან სახელოებისა, წყალობაების და მამა-პაპისა და თავისგან ნასყიდობის სიგლები და წიგნები ჰქონდა.

და რომელიც მარიამ დედოფლისაგან და მეფის ვახტანგისაგან თბილისის ქალაქში სასახლე ქონდა ბოძებული, იმისი სიგელიც გვახსოვდა, რომ მეფემა და ჩვენც გაუახლეთ.

და რომელიც მისმა უმაღლესობამ მეფემ და ჩვენ იოსებ მუშრიბის ნაქონი ყმა და მამული სიგლით უბოძეთ, ისიც გვახსოვდა და კიდეც გაუახლეთ.

ჩვენ რომელიც გვახსოვდა ღმრთის წინაშე ეს არის, რომელიც დაგვიწერია. ოკდომბერს **ით**, ქორონიკონს **უპდ**.

ქ. და რომელიც ყუთით წიგნები დაგვიწერია, იმის რაოდენობა კი აღარ გვახსომდა, რომ რამდენი წიგნი იყო.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

ქ. ჩვენ, სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარხის მეფის ირაკლის ძეს ანტონის კარგად გვახსოვს, რომ მილახვარი ყორღანაშვილი იოსებ დავით სარდალს კუმისზე ედავებოდა და გარდაწყვეტილება კი არ მახსოვს, როგორ გარდასწყდა. ოკდომბერს **ია**, ქორონიკონს **უპე**.

ხელრთვა: კათალიკოზი ანტონი.

ეგრეთვე ორთაჭალის კირაკოზაშვილის ბაღისა მახსოვდა, სწორეთ ასე იყო, როგორც იოსებ მილახვარს დაუწერია.

ხელრთვა: კათალიკოზი.

ქ. რომელიც ამ სიაში მილახვარს კუმისის საქმე დაუწერია, ჩვენ ბატონისშვილს იულონს კარგად გვახსოვს, რომ სარდალს

ბევრჯელ ედავებოდა. და მასუკან როგორ გადასწყდა, ის კი არ კი-
ცით. ეს ჩვენ ასე გვახსოვს და ასე ვიცით. ოკდომბრის **იფ**, ქორონი-
კონს **უპდ**.

ბეჭედი: ტომ-სქესით არნაკლისაგან იულონ ირაკლისაგან.

ქ. ჩვენ, მეფის ძეს ვახტანგს, რომელიც მილახვარს იოსებს კუმისის დაე ამ სიით მოუხსენებია, ასე გვახსოვს: მუდამ ლაპარა-კობდა და ჩიოდა ამ საქმეზედ და როგორც გარდასწყდა, ის კი არ მახსოვს. ოკდომბრის **ით**, ქორონიკონს **უპდ**.

ბეჭედი: რტოდ ვარ დავითის, მგელ-ლომად ვით ის, ვახტანგ ვამტკიცებ მეფის ძეობით.

verso

ქ. ღმერთ წინაშე მე, თუმანიშვილს მდივანს სულხანს, ეს მახსოვს რომ მილახვარი იოსებ სარდალ სახლთ-უხუცესს დავითს კუმისს ნასყიდობაზედ ედავებოდა; და ეს კი არ მახსომს, იმ სადაოს მამულის საქმე როგორ გარდაწყდა.

ბეჭედი: მონა ღთისა თუმანიშვილი მდივანი სულხან.

ქ. რომელიც ამ სიაში ორთაჭალის ბაღი ჰსწერია მილახურის იოსებისაგან ნასყიდი, მე, თელავის ქალაქის სხოლის რექტორი ალექსის ძე დავით, ღმრთის წინაშე ამის მოწამე ვარ, რომ ის ბაღი სუეტისცხოვლის ყმის ბეითალმანი იყო. და მისის უწმიდესობის კათალიკოს-პატრიარხის მეფის იესეს ძის ანტონისაგან მილახორმა იოსებმა იყიდა. მე იმ ჟამად მისის უწმიდესობის მდივანი და ეგრეთუე დიკასტირიის არხინოტარი ვიყავი, ის სიგელი თვითონ მე დავსწერე. იმ ბაღის თეთრი სრულებით მისს უწმიდესობას მოერთო მილახურისაგან და მეც ჩემი სამუშაკო სამდივნო მომეცა. ოკდომბერს **კა**, ქორონიკონს **უპე**.

დავით

ქ. ამ სიგელში კუმისის[1] დავა რომ მოუხსენებია, ეს მე მახსომს, რომ ბევრჯელ ედავებოდა კუმისზედ დავით სარდალს. ამის მიზეზით ფრანგი სტეფანაც გა[ა]ლახვინა ბატონმა. ღმრთის წინაშე აქიმს ოსეფას ასე მახსომს. ეს ჩემი ხელი და ბეჭედი[ა].

ბეჭედი: ჰექიმი ანტონას შვილი იოსებ.

ქ. ამ სიგელში რომ ნაზარბეგიშვილის ოსეფასაგან სახლის ალაგზე დავა მოუხსენებია, ღმრთის წინაშე მე, იბრეიმ ბეგს, მახსომს რომ ასე იყო, როგორც მოუხსენებია.

[1] გუმისის.

ბეჭედი არა მქონდა და ეს ჩემი ხელი არის.

ქ. ღმრთის წინაშე მე, ყორღანა[ა]ნთ თავილ[illegible] სადანა და ბასტამაშვილი სტეფანა [illegible]რი ვართ. რომელიც ამის ქვემოთ ვწერთ.

ნაზარბეგისშვილი ოსეფა უჩიოდა ყორღანასშვილს მილახვარბაში ოსეფას. ასე რომე: ნარიმანთაგანა ნასყიდი სახლი რომ გიჭირავს, იმ სახლისა ერთის ძმის წილი კი ნასყიდობით გიჭირამთ, მიოერეს ძმის წილი კი ისე გიჭირამს. მისი უმაღლესობისათვინ არზა მიერთმევინა ნაზარბეგისშვილს ოსეფას და მდივანბეგებზე ჰოქმი აეღო.

ამათ სამართალში ილაპარაკეს. სამართალს მუჩალგა მისცეს: რომელიც რომ გამტყუნებულიყო, ორმოცდაათი თუმანი სარქარში ჯარიმა უნდა მიერთმევინათ და რამდენს ალაგსაც ედავებოდნენ ერთმანერთს, ერთი იმოდენა ალაგიც უნდა მეტი ერთმანერთისათვის მიეცათ. ეს მუჩალგა რომ დაზდვეს, მილახვარმა ოსეფამ იმ მიორე ძმისგანა ნასყიდობის სიგელი გამოიტანა სამართალში და ნაზარბეგისშვილი ოსეფა გამტყუნდა. ამისი განაჩენი დივანბეგებმა მისცეს მილახვარს ოსეფას, რომ ის ალაგი უნდა გაეზომათ და ერთი იმდენი ალაგი მილახვრისათვის უნდა მიეცა ნაზარბეგისშვილს ოსეფას.

იასაულმა რომ შეაწუხა, მოვიდა, ჩვენ შემოგვეხვეწა. ჩვენც მივედით მილახვართან, ბევრი ველაპარაკეთ; ზოგი მეზობლობის გულისათვინ და ზოგი ჩვენის ხათრისათვინ რათგან მოყვარე ვიყავით, ჯარიმიდამაც ხელი ავაღებინეთ. და ერთიორათ რომ ადგილი უნდა მიეცა, რომელიც შევიძლეთ მილახვარი რომ დარბაზს აკეთებდა, იმ დარბაზის შანიშინისათვინ ოსეფა[მ] თავის ცოლის სჾთორნის ალაგიდამ მოუჭრა და მილახვარს მისცა, რომ შანიშ[ი]ნათ გა[ა]კეთა და დღესაც იმის საძირკველი ჩანს. და სხვაზე კი ხელი ავაღებინეთ. და ის ალაგი განაჩენის ზურგზე მოვაწერინეთ.

სომხური ბეჭედი. ხელრთვა: ფარსადან.

ქ. მე, თავილდარი ფარსადან. ამ ზემო ნაწერის დამსწრე და მნახავი ვარ. და რადგანაც სანატრელის ხემწიფის მეფის ირაკლისაგან სამართალში თავილდრათ განწესებული ვიყავ და ნაზარბეგისშვილს ოსეფას რომ ჯარიმა ეპატივა, ჯარიმის ხუთის თავიც ნაზარბეგისშვილმა ოსეფამ მოსცა მდივანბეგებსა. ღმრთის წინაშე ასე მინახავს და ასეც იყო. ბეჭედი არა მქონდა ეს ჩემი ხელია.

ხელრთვა: ფარსადან.

ქ. მე, ყორღანაშვილმა მუშრიბმა დავით ასე ვიცი: ვერის ხევზე სოფელი დრე სოლაღაშვილი ავთანდილო-

საგან ყორღანაშვილს ზურაბას ეყიდნა და ნასყიდობის სიგელი მამის ჩემის გიორგის სახელზე დაეწერინებინა, ეს ვერ დღეს მამაჩემმა მე მითხრა.

მე რომ ეს გამეგონა, მოხდა ლაპარაკში, მილახვარს ოსეფას უთხარ, იმის სახლში ვიყავ, მამის ჩემისაგან დრის საქმე ასე გამიგონია და ის სიგელი მაჩვენე-მეთქი. გამოიტანა, წაეიკითხე, სწორეთ ისე იყო. და იმ სიგელის ზურგზე მამაჩემს მოეწერა: ეს სოფელი დრე სოლაღაშვილი ავთანდილისაგან ზურაბას თეთრით ვიყიდე, ამაში ჩემი არა არის რა; ჩემს ძმებს, შვილებს და შვილისშვილებს საქმე არა აქვთო. ღმერთ წინაშე ასე ვიცი და ასე იყო.

კუმისის სალაპარაკო როგორც მილახვარს მოუხსენებია, სწორეთ ისრე არის და ისიც ისრე ვიცი. დამსწრეც ვარ და იმ [ა]ყალმაყალების გამგონიცა ვარ, როგორც დავა ჰქონდა სარდალთან. დავით

## 371. არზა ყარამან და აფრიამ გურგინაშვილებისა ტყვეთა ყმად წყალობის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1796 წ. 19 ნოემბერი**

ცსსა, ფ. 1448, საბ. № 9501. დედანი. ქაღალდი. 26,5×15,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნები ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მათ მონათ მირზა გურგინას შვილებს ყარამანას და აფრიამას მოსცეს.

ჩვენო მოწყალევ, თქვენ რომ განჯას წაბძანდით, ორნივ ძმანი თქვენს უმაღლესობას ვახლდით. თქვენის ბედნიერობით სამი კომლი განჯელი ც[ი]ხიდამ გამოვიყვანეთ რას ყოფითა; და ოთხი კომლი კაციც ყარაბაღელიც მთაში დამალული იყვნენ. ჩვენ წავედით. ხათრიჯამი გავხადეთ, გამოვიყვანეთ და ორდოში მოვასხით. ურმები ვიქირავეთ და ქალაქს მოვიყვანეთ. რადგან თქვენი წყალობა გვჭირს, რომ საიდამაც კაცი მოვიყვანოთ, თქვენი წყალობის წიგნი და ნიშანი უნდა გვებოძოს, თუმცა მცილებელი არა გვყავს, გვეედრებით, ამ კაცებისათვის ერთი სიგელი გვებოძოს, რომ თქვენი წყალობის სიგელი და ნიშანი ჩვენს ოჯახში იყოს. ღმერთი გადღეგძელებს, წყალობა მოიღვით. გიორგობისთვის ით, ქორონიკონს უპდ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის! მერე შვიდი კომლი კაცი რომ მოგიყვანიათ განჯიდამ თქვენის ხარჯითა, ამაზედ თქვენი მოდავე ვერავინ იქ-

ნება; ჩვენც წყალობა გვიქნია და დაგვიმტკიცებია. ნოემბერს ით, ქრონიკონს **უპდ.**

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

## 372. არზა იოანე გოდგელისა გამოსავალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1796 წ. 20 ნოემბერი**

ცსსა. ფონდი 1449. საბუთი № 2557. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ღმერთმან მათის უმაღლესობის ყოვლად მოწყალის ხემწიფის ჭირი მოსცეს მათ მონას და სამარადისოდ მლოცველს უღირს ბოდბელს იოანეს.

ჩემს მოწყალეს მუხლს და ქეჩას თაყვანის ვცემ. თქვენის უმაღლესობის წყალობა რომ დამართვია ეკლესიას თათრებისა, თქვენგან მებრძანა, რომ იმის გამოსავალი მამაგონეთ და წყალობას უზამ ეკლესიასაო. თუ თქვენი მოწყალება დაემართებოდეს ეკლესიას იმის გამოსავლისა, ერთი ოქმი გვებოძოს გარსევან ეშიკაღაბაშზე, რომ იმის გამოსავალი მოგვცეს. და ამ კადნიერებით მოხსენებისათვის ნუ გამირისხდებით, უმაღლესო ხემწიფეო. ნოემბრის **იზ**, ქორონიკონს **უპდ.**

თავში

ქ. უფალო ეშიკაღაბაშო გარსევან! ეს საქმე შენ კარგად იცი. და რაც გაჩენილი აქვს მაგ ელიდამ, როცა თოუჯი იქნებოდეს, შენ აიღებდე და შენის ჯელით მიაბარებდე და ბარათს გამოართმევდე. სხვის ჯელში ნუ ჩააგდებ. და თუ შენ არ მიაბარო, ჩვენ მოგვიტანე ხოლმე და ჩვენ მივაბარებთ. ნოენბერს **კ**, ქორონიკონს **უპდ.**

ქ. რომელიც ამისი ელი იყოს, იმისი გამოსავალი რაც იქნება, ხომ შეიტყობ. და თუ ღმერთი გწამს, იმას ჩვენ ნუღარ მოგვკერძამ, თუ ჩვენი სიყვარული გაქვს და შვილი ნუ მოგიკვდება, რომ ნურასფერს ნურას დააკლებ. ალბათ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე.

## 373. არზა მურვანიშვილებისა ეკლესიის თაობაზე

### ერეკლე II-ის ოქმით

**1796 წ. 23 ნოემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1160. დედანი. ქაღალდი. 21,3×10 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მ უ რ ვ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ს ი ე ს ე ს ა და ლ უ ა რ ს ა ბ ს მოგვცეს.

უმაღლესო ჯელმწიფევ, ამას წინათ გ ი ო რ გ ი ღვდელი ბ ე ბ ი ა ს შ ვ ი ლ ი ეკლესიაზედ რომ ვლაპარაკობდით, მაშინ ჩვენი და იმისი საქმე თქვენის განაჩენით გადასწყდა, რომ თქვენგან ბოძებული განაჩენი ჯელთ გვიჭირავს. ახლა იმ განაჩენს აღარა სჯერდება და კიდევ მეორედ გვაწუხებს და უსამართლოდ გვაცოდვილებს.

ამას გევედრებით, ღმერთი გაგიმარჯვებს, იმისის უსამართლობიდამ დაგვიხსენით. ერთის ოქმის წყალობას ვითხოვთ, რომ რომელიც განაჩენი თქვენგანა გვბოძებია, იმაზედ დავზდგეთ ორნივა. ნოემბერს **ით**, ქორონიკონს **უპდ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ამ არზის პატრონებო, ამ არზით რომ ასე მოგიხსენებიათ, ამ საქმეზე როგორც ჩვენგან განაჩენი არის დაწერილი, ორნივ იმას უნდა დასჯერდეთ, იმისი მოშლა არ იქნება. ნოენბერს **კგ**, ქორონიკონს **უპდ**.

ქ. ჩვენი განაჩენიც გვაჩვენა მურვანიშვილმა; და როგორც ამაში სწერია, ორნივ ამას უნდა დასჯერდნენ. მაგრამ მურვანიშვილის მღდლებს რაც იმ ეკლესიიდამ ერგებოდესთ საწირავი თუ სხვა რამ ფერი, იმის ათისთავს კი ჩვენის სახასოს მღვდლებს მისცემდნენ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ე რ ე კ ლ ე.

## 374. არზა გოგია ხიმშიაშვილისა უმამამულის თაობაზე

### ერეკლე II-ის ოქმით

**1796 წ. 27 ნოემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 6856. დედანი. ქაღალდი. 17,7×15,6 სმ. მხეღრუ-ლი. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ხემწიფის ჰირი მოსცეს ხ ი მ შ ი ა შ ვ ი ლ ს გ ო გ ი ა ს.

მერე ამას მოგახსენებ, თქვენი ბძანება არ ქონდა თიანეთის მოურავის შვილს დიმიტრის თიანეთიდამ წასულიყო, ყმაზე და მამულზედ ხელი აემართა, კაცები დაერბივა. მე თქვენს ბრძანებაზე გახლდით.

წყალობას ვითხოვ, ჩემის კაცების ნარბევი მებოძოს: ქ. თოფი ერთი, ქ. ცული ერთი, ქ. ქობი ერთი, ქ. თუნგი ერთი, ქ. ტახტი ერთი, ქ. ხურჯინი ერთი, ქ. საბელი ერთი.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ტუსი შვილო უზბაშო ქაიხოსრო! მერე ამ არზით ხიმშიაშვილი გოგია რომ ასე ჩივის, ამისის კაცებისათვის ვისაც რამ წაურთმევიათ, რომელიც იმ სიით დაუწერია. ეს ახლავ უნდა გამოართვა ვისაცა ჰქონდეს და ამ გოგიას მოაბარეთ; ამის კაცებთან ვის რა საქმე აქვს. ნოემბერს კზ, ქორონიკონს უპდ.

ქ. ჯელი არ უნდა აემართათ და არც ჯელის ასამართავი გამოერთმიათ, ამიტომ რომ ფალავანდიანი დაობენ ამ საქმეზე და სხვა ბევრი მოწმობაები აქვსთ, და ესენი სულ დარჩომილ[ი] არის, და ჯელი არ უნდა აემართათ. ეს საქმე ჩვენთან უნდა გადასწყდეს ალბათ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 375. არზა პეტრე დეკანოზისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1796 წ. 1 დეკემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3005. დედანი. ქაღალდი. 24×13 სმ. ბოლო მოხეულია ორ ადგილას. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს მათ სამარადისოდ მლოცველს წმინდის ევსტათის დეკანოზს პეტრეს.

ჩემო მოწყალევ ჯელმწიფევ! გოგილაშვილი წმინდის ევსტათის შეწირული ყმა იყო და ამოწყდა. იმის მამულიც წმინდის ევსტათის თეთრით არის ნასყიდი.

თარხნიშვილმა მამუკამ ჯერ სოლომონ მეითარს მიჰყიდეს და თქვენი ბძანებით სოლომონ მეითარს ჯელი ავაღებინე იმ მამულზედ ორი წელიწადი მე მეჭირა და ვაკეთებდი; მეც წამართო და ახლა კათალიკოზის ყმას მიჰყიდა. ჯერ არ უმუშავნია. მასუკან მეც გამომიკითხეს იმ მამულის საქმე და უთხარ: ეკლესიისა არის, ეკლესიის თეთრით ნასყიდი არის-მეთქი. რატომ შენ ეგე სთქვიო, მამუკამ და

იმისმა შვილებმა ძალიან გამლახეს, თითიც მომტეხეს და გამიშვეს. თავიც გა[მიტ]ეხეს.

ის კაცი, რომელიც იმ მამულ[ზედ იყო ე]ვდემოზ ერეკლე II-ის ოქმით კოზისაგან იყო შეწი[რული და] ამოსწყდა. მამულებს ეკარგება. და ახლა თქვენი ნება არის. მე მოკულას მიპირებენ, ჩამომართვით, მაინც ასეთს მიაბარეთ, რომ ეკლესიას არ დაუკარგოს. შენის შვილების სადღეგ[რძელოთ] ეკლესიას იმ მა[მულს] ნუ დაუკარ-[გავთ და მეც] მომარჩინე, თო[რემ არ] ვიცი ამიტეხე[ნ?] ძე ჩემო ჯელმწიფევ. დეკენბრის ა, ქორონიკონს უპდ.

ამაზედ ვერავის ვერ დაეფერები. ვალი მაქუს, უნდა მოგახსენო [და] კიდეც მომიხსენებია. ახლა შენი ნე[ბა არის, ჩემო] ჯელმწიფევ. ძველი ოქმიც აქა [გაახლეთ]. წელიწადს კი იოქმა და მასუკან კი ალარა [უოქმ]ია რა ამ ოქმსა.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არი[ს] ნასაღშიბაშის ნაიბო გოგიავ! მერე ამ არზით ერთაწმინდის დეკანოზი რომ ასე ჩივის, ეისაც ის ეკლესიის მამული უყიდნია, თუ სიტყვა არა ჰქონდეს რა, ჯელი აუმართე და ეკლესიისათვის მოაბარე. და თუ სიტყვა ჰქონდეს რამე, ჩვენ მოგვახსენოს. მაგრამ თუ ჩვენს სამართალში გამტყუნდა, იმასაც რასაკვირველია, გამოვართმევთ და ერთს იმდენს სხვასაც წავართმევთ. დეკემბერს ა, ქორონიკონს უპდ.

ქ. თარხნიშვილს მამუკას და მის შვილებს რომ გალახვას უჩივის ეს დეკანოზი, ისინიც სამართალში უნდა მა[აყ]ოლო.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის შეფედ ცხებულს ერეკლე.

## 376 არზა ლუარსაბ ყორიასაულბაშისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1796 წ. 8 დეკემბერი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1411. დედანი. ქაღალდი. 17,2×15,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ლუარსაბს. ერთს აგათოშვილის კაცს მამული გაუცვალე და ის გაცვლილი მამული ერთს კვირას უკან მაშინვე მე შემომავაჭრა და ფასსაც გაურიგდი, მაძლევდა. მე თქვენს სამსახურში წამოველ: ერთს

აფხაზისშვილის კაცს მოეტყუებინა და ის მამული გამოერთმევინა.

მე ჩემს მამულს სამართლით არ დავანებებ, რაც ძალა, ღონე, სრულებით ვაძლევ. ჩემი მამული ჩემზედ უპრიანი არის. თუ ამას გარდა სხვა სიტყვა აქვს რამე, სამართალში მელაპარაკოს. შარიგებული ვიყავ და იმისის ბატონის უკითხავათ ვერ გამოვართვი. იმას ვკითხე და ასე მითხრა, არ გავასყიდვინებო და მასუკან ჩემის მალვით მოეტყუებინა. აფხაზისშვილის კაცს დაეყიდნა.

მე ჩემს სამკვიდროს მამულს სხვას არ ვაყიდვინებ. თუ იმას თითონ სჭეროდა, სიტყვა არა მქონდა. და რადგან სხვაგან გაყიდა, არავის ვაყიდვინებ. რაც მიუცია, ახლავ მივცემ. მას დღეს აქათ ვეხვეწები, შენ რაც მიგიცია ფასი გამომართვი, წაიღე-მეთქი და არ მანებებს. ამის სამართალს ვითხოვ. დეკემბრის **ბ**, ქორონიკონს **უპდ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ხალვათხანის ეშიკაღასო აიდემურ! მერე ეს ლუარსაბ ყორიასაულბაში რომ ასე ჩივის, თავისი სამკვიდრო მამული რომ ამან დაიხსნას, ამისი უფრო უპრიანია. რაც იმ მამულში მიეცეს სრულებით გამოართვი ლუარსაბს და იმ კაცს მიეც. და თუ სხვა რიგი სიტყვა რამა ქონდეს, სამართალში ელაპარაკოს. დეკემბრის **ჱ**, ქორონიკონს **უპდ**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 377. არზა გიორგი თარხანისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1796 წ. 4 დეკემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2982. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ: ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს მათს მონათ თარხანს გიორგის, ბეციასა და იმის შვილებს.

ოთხმოცი წელი არის ჭაღის მამული ჩვენ გვიჭირავს, დავა არვისგან გაგვიგონია. ლუარსაბ თარხანი და დავით ერთმანერთთან დაბერდენ, ზაზა და გიორგი თარხანი ერთმანერთთან დაბერდენ.

ახლა თქვენს შვილს იულონთან ეჩივლა სოლომონს, ოქმი მოიტანა და მაღალაშვილი დათუა იასაული იყო. ჭაღის მამულზედაც და ოთხს ხოდაბუნზედაც ჯელი აგვიმართეს.

საქართველოს განწესება ასე არის: ოცდაათი წელიწადი რომ ნასყიდი მამული სჭეროდეს და არ ედავნოს, ველარ შეუვა.

ოთხს ხოდაბუნზე რომ ჯელი აგვიმართა, სამას თორმეტ წელიწადს წიგნი მოაქვს და აქამდის კი არ გვდავებია. თუ ამას სამართალი მისცეს წყნარებს, ნება თქვენის სიმაღლისა არის.

წყალობას ვითხოვთ, ერთი ოქმი გვებოძოს, ჩვენი მამულები ისევ ჩვენვე გვეჭიროს. სამართალში გველაპარაკოს და ვინც გამტყუნდეს, ერთიორათ გარდაგვახდევინეთ. დეკემბრის დ, ქორონიკონს უპდ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის მაღალაშვილო დათუავ! მერე ამ არზით გიორგი თარხანს და ბეციასა და იმის შვილებს რომ ასე მოუხსენებიათ, ამათი იასაული შენ ყოფილხარ, მამულზედაც ჯელი შენ აგიმართავს ჩვენის შვილის ოქმის ძალით.

ახლა შენ უნდა მიხვიდე და ის მამული ამ არზის პატრონებს უნდა მოაბარო. კ ა ვ თ ი ს ხ ე ვ ს რომ ოთხს ხოდაბუნზედ ხელი აგიმართავს, ისიც ამათ უნდა მოაბარო ჩვენს სამართლამდი.

და თუ სიტყვა ჰქონდეს სოლომონს, მოვიდეს და ჩვენ მოგვახსენოს. მაგრამ რომელიც გამტყუნდება, ერთიორათ წავართმევთ და რომელიც მართალი იქნება, იმას უბოძებთ.

ენახის კულუხიც მათ უნდა მობარდეს.

და ეს ჩვენი ოქმი ჩვენს შვილს იულონს უნდა აჩვენო და როგორც ამათს ლაპარაკს გაუვლია, ყველა წვრილად უნდა მომწეროს. დეკემბერს დ, ქორონიკონს უპდ.

ქ. ჩვენო ღმრთის წყალობავ შვილო ბატონო იულონ! კარგის გამოძიებით, გამოკითხვით ამათი სამართალი გაუჩივე, რომ არც ამ მხარეს და არც იმ მხარეს უსამართლოთ არა მოხდეს რა. ამისი განაჩენი დააწერინე და ჩვენ გამოგვიგზავნე.

ესენი რომ ზემოდ სწერია, ჯერ უკანვე მიაცემინე; მერე თუ სამართალში მართალი გამოვა, ესენი ხიჯალათს გასწევენ. ან ზევით და ან ქვევით რომელიც მოგვეწეროს, მამაშვილობას ისე იმოქმედე.

## 378. არზა გლახა თარხნიშვილის ოგლისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1796 წ. 8 დეკემბერი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3636. დედანი. ქაღალდი. 18×10,8 სმ. მხედრული, განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯემწიფის ჭირი თარხნისშვილს გლახას ქვრივს და ობოლს მომცეს.

მოგეხსენება, თქვენი მოწყალება ყველას ოჯახზედ მისულა. რომელიც თავადისშვილი თქვენის ჭირის სანაც[ვ]ლო შექნილა, ერთის წლობით ყველას პატიებია თქვენი სათხოვარი. მამაჩემიც თქვენს სამსახურში მოკვდა.

წყალობას ვითხოვ, რომ მეც წყალობა დამემართოს. დეკემბრის ზ, ქორონიკონს უპდ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის, ვინცავინ მოასილები იყვნეთ! ერთის წლობით ჩვენი სათხოვარი რაც იყოს, გვიპატიებია; და რუსის მისასყიდი პური კი უნდა მიჰყიდონ. დეკემბრის ჱ, ქორონიკონს უპდ.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 379. არზა დავით ოქრომჭედლიშვილისა სამართლის მიცემაზე იულონ ბაბონიშვილის ოქმით

**1796 წ. 19 დეკემბერი**

ცსსა. ფ. 1450. დავთარი № 31. საბუთი № 212. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[150] ღმერთმან მეფის ძის იულონის ჭირი მოსცეს მათს მონას დავითს.

მერე მოგეხსენებათ, მე და ფაღლონისშვილი თქვენს სამართალში გახლდი, თქვენის სამართლის მაყურებელი ვიყავ. მომიხდა ფავლენიშვილი ზაქარია და ავათ მომეპყრა და ბიჭის ყურს მიჭრიდა. მეც კინაღამ სიკვდილს მოურჩი.

ღმერთი გაგიმარჯვებს. სანამდინ თქვენგან ერთი ბინა მომეცემოდეს და სამართალი, დამთხოვეთ ჩხუბს და იმისგან სიკვდილს; მეყოფა იმისგან რაც უსამართლობა მჭირს. ღმერთი გაგიმარჯვებს, ნიადაგ დღეს სახიფათოთ მდევს, მიშველეთ რამე, ღმერთი გაგიმარჯვებთ. ქრისტიშობის ით, ქორონიკონს უპდ.

თავში

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ი უ ლ ო ნ გიბძანებთ ფავნელიშვილო ზა-ქარიავ, მერე ამ ოქრომჭედლისშვილი დავით [illegible] რომ ასე გიჩივის, ამას ჩამოეხსენ, მძლავრობით ნუ ეკიდები, [illegible] ვა გაქვს რამე, სამართლით გაუსწორდი, შენთავად ნურაზედ შეაწუ-ხებთ, თორემ იცოდე სამართალი დიდად დაგიმძიმებს და შეწუხდები.

მანამდის თქვენი სადაო და სალაპარაკო საქმე სამართლით გაირ-ჩეოდეს, გირჩევთ და გა[ფრთ]ხილებთ, რომ ამის წუხებაზედ ხელი აიღო, თორემ სამართალი შეგანანებინებს და შენ იცი. დეკემბრის ით, ქორონიკონს უპდ.

## 380. არზა ტერტერაშვილებისა გამოსაღების თაობაზე იულონ ბატონიშვილის ოქმით

**1796 წ. 21 დეკემბერი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1266. დედანი. ქაღალდი. 20,4×10,4 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ი უ ლ ო ნ ი ს ჭირი დ უ ე ლ ს ტ ე რ ტ ე რ ა შ ვ ი ლ ე ბ ს მოგვცეს.

ჩვენს მეზობლებს ჩვენი თ[ა]ვი მოხარჯე კაცათ შემოუსმენიათ. ჩვენი აზნაურშვილობის მოწამე მთელი საციციანო გახლავთ, რომ აზ-ნაურშვილები გახლავართ.

ამას ვითხოვთ, რომ მტრის ენით და შებეზღებით ჩვენ ხარჯი არა-ვინ შემოგვაწეროს, თქვენად გასამარჯუებლად. იმდენი გამარჯვება გაქვსთ, რამდენი გარდმოვარდნილი აზნაურშვილნი სხვანი გახლდნენ, რომ ხარჯი არ ეთხოებოდესთ.

თავში

ქ. ერთობით ც ი ც ი შ ვ ი ლ ე ბ ო, ციციაანთ აზნაურშვილებო და გლეხნო! ამ არზით ტერტერაშვილებს ასე რომ მოუხსენებია, ღმერთს გაფიცებთ, წმინდის იერუსალემის მადლსა და თქვენს სარწმუნოებას, რომ ამათ გვარისშვილობისა რაც იცოდეთ, სიმართლით მოაწერეთ. დეკემბერს კა, ქორონიკონს უპდ.

ბეჭედი: ტომ-სქესით არ ნაკლისაგან ი უ ლ ო ნ ირაკლისაგან.

ქ. მე, მინბაში გ ი ო რ გ ი ამას მოვახსენებ ჩვენს ჴელმწიფის შვილს, რომ ამ ტერტერასშვილსა გაგონითაც აზნაურისშვილათ გამი-გონია და ცოდნითაც ვიცი, რომ აზნაურისშვილი არის.

ბეჭედი: მიმბაში გ ი ო რ გ ი.

ქ. მე, გ[ვ]ერ[დ]წითელი გიორგი ღმერთსა ვფიცავ და თქვენს მზესა, მეც ასე ვიცი სწორეთ.

ქ. მე, გიორგი ბარამაშვილი, ღმერთს ვფიცავ, რომ ასე გამიგონია, რომ ალექსიძის ფარდათ გამიგონია ტერტერაშვილი და კიდეც[1] აზნაურშვილი არის. ⊕

ქ. მე, სტეფანე სიდამონიძეს, ასე გამიგონია, რო[მ] კარგი აზნაურშვილი არისო. ⊕

ქ. მე, ივ[ა]ნე ყენასშვილმაც, ას[ე] ვიცი, რომ კარგი აზნაურშვილი არისო. ⊕

## 381. არზა არსენ ტფილელისა გამოსაღების თაობაზე ალექსანდრე გაბონიშვილის ოქმით

**1796 წ. 30 დეკემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 38. დედანი. ქაღალდი. 21,4×10,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ჯელმწიფის ძის ალექსანდრეს ჭირი მომცეს თქვენს სამარადისოდ მლოცველს ყოვლად უსამღვდელოესს ტფილელს არსენის.

მერმეთ ამას მოგახსენებ ჩემო მოწყალევ, დიახ დიღათ პურზე ნაკლებათ გახლავარ და მუშა მიდგს ეკლესიაზედ და ფასით პურის სყიდვამ შემაწუხა და არ შემიძლიან.

გევედრები: ერთი ოქმის წყალობა მოიღოთ ჩემის ეკლესიის ყმებზედ, მცირედის პურით შემეწიენენ, რომ ეგების პურის ფასი სხვა რიგათ მოვასმარო ჩემს ეკლესიას.

სვიმონ მაღალაშვილს უბრძანეთ, რომ ეს თქვენი ბრძანება იმან აღასრულოს, ჩემო მოწყალევ. დეკემბრის ლ, ქორონიკონს უპდ.

თავში

ქ. ბატონისშვილის ალექსანდრეს სიკეთით სახსოარო მაღალაშვილო სვიმონ!

მერე როგორც რომ ყოვლად სამღვდელოს მიტროპოლიტის ტფილელის პურის სია მოგივიდეს, ისე უნდა დაადგე იმის კაცებს, გამოურთვა და ტფილელს მოაბარე.

---

[1] კიდეცა.

ეს ასე აღასრულე, თუ ჩემი სიყვარული გაქვს, ხათრს ნუ/ შეუნახავ. დეკემბრის **ლ**, ჭორონიკონს **უპდ**.

ალექსანდრე
ეროვნული ბიბლიოთეკა

## 382. არზა მამატალი ასისთავისშვილისა დაკარგული სიგელის განაახლების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1797 წ. 25 იანვარი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3031. დედანი. ქაღალდი. 17,3×13 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. ბოლო ნაკლული.

ქ. [ღმერთმან ბედნიე]რ[ი]ს ჯელმწიფის ჰ[ირი] ალიაბათელს ასისთავისშვილს მ ა მ ა ტ ა ლ ი ს მოსცეს.

თქვენი წყალობა ენისელთ ასის[თავ]ობის წიგნები გვქონდა. ის თქვენი წყალობა წიგნები პაპაჩემსა ჰქონდა. პაპაჩემი რომ ჰირის [ს]ანაცვლო გამხდარა, მამაჩემი პატარა ყოფილა. ის წიგნები პაპის ჩემის ძმას ჰქონდა მიბარებული. სახლი გ[ა]ექურდათ და ბიძის ჩემის და... ათ. ახლა ამ[ას გევედრებით]...*

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის, ამ არზით რომ მოგიხსენებია, თუ ღვთის ნება იქნება, შენი სათხოვარი აღგისრულდება, რაც ამ არზით მოგიხსენებია. იანვრის **კე**, ჭორონიკონს **უპე**.

ქ. შენ რამთენჯერაც გითხოვნია, ჩვენ წიგნი მუდამ მოგვიცია და შენ კი დაკარგავ ხოლმე. ამაში ჩვენ რა ვქნათ.

ბეჭედი: ჭნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ე რ ე კ ლ ე.

## 383. არზა ბიკტორ ბერისა გამოსაღების თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

**1797 წ. 11 თებერვალი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 460. დედანი. ქაღალდი. 21,3×11 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფე დედოფლის ჰირი მოსცეს მათს მარად მლოცველს ბ ი კ ტ ო რ ბერს.

---

* დანარჩენი აკლია.

მერე ამას მოგახსენებ ჩემო ჯელმწიფევ სამი მსახური გახლავს ეკლესიას გ უ ლ გ უ ლ ი დ ა მ. ხემწიფისა და თქვენი წყალობა გვჭირს, თუ ეს მსახურები აქ არ არიან, მე როგორ გავსძლო მართლა, ჩემო ჯელმწიფევ, თუ ეს კაცნი აქ არ არიან, უამათობა არ იქნება. საწყალი კაცნიც გახლავან, ყველა ხარჯში ურევენ და [ა]რ შეუძლიათ. ღმერთი გადღეგრძელებსთ, ერთი ოქმი უბოძეთ, რომ დაეხსნან. სოფელი რევს ამ ხარჯში იმ კაცებს. სოფელი ნაცვლებს არას უჯერებენ და სოფელი ძალათ აღებინებენ ხარჯს. ეს თქვენი ეკლესია ამ სამს კაცს აბარია და თქვენის უმაღლესობის ნება აღსრულდეს. ეს როგორ შეიძლება, აქაც იყვნენ და იქაც ხარჯი გაიღონ.

თავში

ქ. დ ე დ ო ფ ა ლ ი დ ა რ ე ჯ ა ნ გიბრძანებთ გულგულის ნაცვალო და ერთობლივ გულგულელნო! მერე რადგან მათის უმაღლესობისაგან სამი მსახური ჰყავს მაგ სოფლიდამ ხახულის მღვთისმშობლის ეკლესიას განწესებული, თუ იმ ეკლესიის სამსახურში არიან, ამათ სასოფლოს ხარჯში ვერ გარევთ; ამათზედ ჯელი აიღევით, ნუღარ შეაწუხებთ, თორემ ბატონი გიწყენთ, ყველამ ასე იცოდეთ. ბატონის ბრძანებას რატომ უარობთ; თუ იმ ეკლესიას ემსახურებიან, სასოფლოს ხარჯში ვერ გარევთ, ასე იცოდეთ. ფებერვლის **ია**, ქორონიკონს **უპე**.

ბეჭედი: დ ე დ ო ფ ა ლ ი დ ა რ ე ჯ ა ნ.

## 384. არზა მთავარეპისკოპოს პაისიოსისა ღალის თაობაზე ანტონ II-ის ოქმით

**1797 წ. 12 თებერვალი**

ცსსა. ფონდი 1449. საბუთი № 2143. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან უწმიდესის პატრიარხის მეფის ძის ჭირი მოსცეს მათს მონას მთავარეპისკოპოს პ ა ი ს ი ო ს ს.

სამთავროს გარეშემოს მიწებს მცხეთელნი ხვნენ. ღღიურში ერთს კოდს პურს მაძლევენ. წრეული არც ეს მომცეს. ნაფუძვრებს ვინ მოახვნევინებს ერთს კოდათა, მაგრა[მ] ისინი არც ამას მაძლევენ.

წყალობას ვითხოვთ, ვისაც ჩვენს მამულში სდგომოდეს, ნაცვალს უბძანოთ გამოართვას და მომცეს. არას მემართლებიან, ჩემო ჯელმწიფევ. ფებერვალს **თ**, ქორონიკონს **უპე**.

თავში

ქ. ნაცვალო ბ ე ც ი ა ვ! მერმე მთავარეპისკოპოსს რომ ასე მოუხსენებია ჩვენთვის ამ არზით, ვისაც ამის მამულში ჰსდგომოდეს ვისმე ჭირნახული[1], ახლავ ყველას ღალა გამოურთვი რაც ერგებოდეს და მთავარეპისკოპოსს მოაბარე. რას ემართლებიან, რომ თაეისის მამულის ღალას უჭერენ და არ თურმე აძლევენ. ფებერვლის იბ, ქორონიკონს უპე.

ხელთვა: კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი.

## 385 არზა შანშე მილახვრისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1797 წ. 14 თებერვალი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 428. დედანი. ქაღალდი. 21.3×16,3 სმ. ხელდრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჭირი შ ა ნ შ ე მ ი ლ ა ხ ვ ა რ ს მომცეს. მერე ამას მოგახსენებთ ჩემს ხემწიფესა, რომ ბ ა ხ უ ს ტ ი ა ბ ა შ ი ძ ე ს ა რ ა მ ი ნ ი ს მამისაგან მამული დაეგირავებინა და ე ვ მ ე ნ ა ბ ა შ ი ძ ე მ[2] და ქ ა ი ხ ო ს რ ო მ[3] თქვენთან იჩივლეს და თქვენ სამართალი უყავით; და რ ა მ ი ნ ა მ ი რ ე ჯ ი ბ მ ა ილაჯი ვერსაითა ქნა. შენს მზესა ვფიცავ ვალი ავიღევი და ისე მამყიდა რამინ ამირეჯიბმა. უმამულო გახლდი და მისთვის ვიყიდე. თქვენის წყალობით კოშკი გავაკეთ[ე] და თქვენის მოწყალებით ეგებას ვიცხოვრო.

ამას გევედრებით, თქვენს შვილს ი უ ლ ო ნ ზ ე დ ოქმი გვებოძოს და თუ ჩვენი მამული არის სადმე, ის გაგვირჩიოს და გვებოძოს. მეც ამას გევედრებით, რომ მეცა და ჩემი შვილებიცა იულონს მიგვაბაროთ და თვალყური ქონდეს ჩვენზედა. თებერვლის ჱ, ქორონიკონს უპე.

თავში

ქ. ჩვენო ღმრთის წყალობავ შვილო ბატონო იულონ! მერმე შანშე მილახვარს რომ ამ არზით ასე მოუხსენებია, თითონ შენ გაისარჯე, მიდი და რაც ამისი ნასყიდი მამულები იყოს, კარგის გამოძიებით და სამართლიანის საქმით გაურჩიე და მოაბარე.

და თუ ამაში სიტყვა ჰქონდეს ვისმე, მოგვახსენოს. თუ არადა, ტყუილად კი ნურავინ ილაპარაკებს. და თითონ ესენიც შენ გებარე-

---

1 + მამულში ჰსდგომოდეს ვისმე ჭირნახული.
2 აბაშიძესა. 3 ქაიხოსროს.

ბოდეს, თვალყური გეჭიროს. და თუ სალაპარაკო ჰქონდეს რამე საქ-
მართლიანის საქმით შენ გაურიგე. ფებერვლის იდ, ქორონიკონს უპე.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს
ერეკლე.

## 386. არზა თუშ აბრამასი გამოსალეგის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1797 წ. 23 თებერვალი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 8555. დედანი. ქაღალდი. 27,3×17,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია მძიმე.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს თუშს აბრამას.

მერმე ამას მოვახსენებ მათს უმაღლესობას, მოგეხსენებათ ერთი უმამულო და უბინაო ბიჭი გახლდი და ნეტარად ხსენებულს თქვენს შვილს ლეონს ვიახელ. იმისგან რომ ღმერთი გაგვიწყრა, მერმე თქვენს შვილს ალმასხანს ვიახელ; კისისჯევს ცოლი შევირთე და ხიზნად გახლავარ. თუ არ თქვენი და თქვენის შვილის მოწყალების მეტი სხვა სარჩო არა მაქვს რა, ყოვლისფრით უილაჯო გახლავარ. გევედრებით ყოვლად მოწყალევ ჯელმწიფევ ხარჯში მრევენ და მაწუხებენ. მე სხვას ხიზნების თანა არა ვარ. გევედრებით, რომ ხარჯისაგან განმათავისუფლოთ. ფებერვლის კა, ქორონიკონს უპე.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის, ვინც კისისხევში ან თავადიშვილნი იმყოფებით ან მოურავი და ან ნაცვლები, თქვენ ამასა გწერთ: ეს აბრამა თუში თუშეთიდამ გადმოსული არის, ჩვენს შვილს ალმასხანს ახლავს, მანდ კისისჯევში ცოლი უთხოვნია და მანდ ხიზნად ღასახლებულა; ამას მაგ სოფელში მამული არა აქვს და მიწა იმით იცხოვროს, თავისის გარჯილობით რჩება სადმე. ამას მანდ სოფელში აბა რის [ს]ამართლით აწუხებთ და ხარჯსა თხოვთ სადმე. ჩვენ ხომ ხიზანს კაცს საქვეყნოს არასა ვთხოვთ, უფრო ამისთანას გარდმოვარდნილს თუშს კაცს რას გამოვართმევთ. ამას დღეის იქით ნურაზედ შეაწუხებთ, თორემ დიდათ ჩვენი საწყენი იქნება. თუ კიდემ ეს თქვენი მოჩივარი მო-

ვიდა, თქვენს მოხელე[ე]ბს გარდავახდევინებთ[1]. ფებერვლის კგ, ქორონიკონს უპე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბეუედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს,
ერეკლე.

## 387. არზა იოვანე მდივნისშვილისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1797 წ. 6 მარტი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 1. საბუთი 128. ბირი. ქაღალდი. მხედრული.

[162v] ღმერთმა ბედნიერი ხემწიფის ჰირი მომცეს მათ მონას მდივნის შვილს იოვანეს.

მერმე ამას მოვახსენებ. ორჯერ მათს უმაღლესობას მოვახსენე, შეყრილობაში რომ რამდენიმე კომლი სომეხნი მეხვეწებიან პური მომეცით და სარჩო და შენი ყმანი ვიქნებითო, თქვენც ნება მიბძანეთ: და თქვენმა ბძანებამ გამაბედვინა ოციოდ კომლს პური მივეცი და ბინა უჩინე, რომ ეგების თქვენის მოწყალებით ერთი [163] და ერთი სოფელი ავაშენო.

ჩემი ვედრება ეს არის, როგორც თქვენის ბედნიერის ჰირით მებძანა, ისე ოქმი მებოძოს, რომ საბოლო[ო]თ უსამართლოთ არავინ მელაპარაკოს. თებერვლის კგ, ქორონიკონს უპე.

თავში

ჩვენი ბძანება არის მდივნის შვილო იოანე! მერმე ამ არზით რომ ასე მოგიხსენებია, რამდენიც კომლი სომეხი წაგიყვანია, ჩვენ შენთვის გვიბოძებია. არც ჩვენ და არც ჩვენი შვილები და შვილის შვილები გამოგართ[მ]ევთ. და თუ კიდევაც შეიძლებ და წა[ა]სხამ, არც იმას დაგიშლით და არც გამოგართმევთ. მარტის ვ, ქორონიკონს უპე.

[1] გარდამახდევინებთ.

## 388. არზა ჩერქეზიშვილებისა ყმის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

1797 წ. 11 მარტი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 26. საბუთი 147. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[133] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჰირი ჩერქეზიშვილს ნიკოლო[ზ]ს მოსცეს და სოლომანს.

ჩემო ხემწიფევ, ამ არეულობაში თათრები აიყარნენ და აქეთიქით გამექცნენ, ზოგნი ისევ მოვიდნენ და ზოგნი თათრებში დგანან[1]. მაშინც მიბძანეთ, წყალობას ვითხოვ, რომ ერთი ოქმი და იასაული მიბოძოთ, რომ მოვასხა[2] და სხ[ვ]აიცა სხვა[გან] მიდგას, იქ დავასახლო და თქვენც გმსახურო, მეც ვიმსახურო. მარტის ე. ქორონიკონს უპე.

დაფანტული თათრები დგანან: ქ. შიხიში დგ[ა]ს კობლი ბ, ქ. თაქლაში დგას[3] კობლი ბ, ქ. ჩალაბლუში კობლი ა, ქ. ბორჩალოში კობლი ბ, ქ. კობლი ზ.

თავში

ჩვენი ბძანება არის ხალვათხანის ეშიკაღასო ბებურიშვილო აიდემურ! მერე ამ ჩერქეზისშვილების ყმანი თათრები რომ ამ ელებში დაფანტულან და დამდგარან, შენ უნდა აუყარო და მოაბარო თავისი ყმანი. და თუ ამაში სიტყვა ჭონდეს ვისმე საბუთიანი, ჩვენ მოგვახსენონ. და თუ სიტყვა არა ჭონდეს რა, ნულარ ილაპარაკებენ.

მარტის ია, ქორონიკონს უპე.

ეშიკაღასბაშო აიდემურ! ამ ოქმით როგორც კურთხეულს მეფეს ბატონს მამა ჩვენს უბძანებია, ეს ასე შენ უნდა გაურიგო. ნოე[მ]ბრის კჱ, ქორონიკონს უპვ.

## 389. არზა რევაზ ყოდალაშვილისა გამოსაღების თაობაზე გიორგი გატონიშვილის ოქმით

1797 წ. 20 მარტი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 4269. დედანი. ქაღალდი. 27×13 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აბზაცის ბოლოს ნახმარია ორი წერტილი ხაზით.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ჯემწიფის ძის გიორგის ჰირი მოსცეს ყოდალაშვილს რევაზს.

---

[1] დგანათ.

[2] მოვასხვა. [3] + დგას.

ამას მოვახსენებთ თქვენს უმაღლესობას. ობლის მოწყალე ბაან[illegible] დებით, ერთი ობოლი თქვენის წყალობით გავზარდე. [illegible] თავისი მამულით რჩება. ჩემი მამული პ ა ნ კ ი ს ს გახლ[illegible] ტ ა ს რაც რომ სახნავ-სათესი მაქვს, ის მამულები ახმეტელებს უხნავსთ.

ახლა ამას გევედრები, ღმერთი გადღეგრძელებსთ, ვინც ამას იქით ჩემი მამული მოხნას, ღალა მამეცეს, რომ მეც იმითი ვიცხოვრო. ერთი ობოლი კაცი გახლავარ. ერთის ოქმის წყალობას გევედრები ტ უ ს ი ს-შ ვ ი ლ ს ზ ა ა ლ ზ ე დ რომ მებოძოს: ვინც ჩემი მამული მოხნას, ღალა იმან გამამირთოს და მამცეს, რომ არავინ გამალაპარაკოს. შარშანს წინაც დაეხნათ, არა მამცეს რა. ღმერთი გაგიმარჯვებს, კაის ბეჯითის ოქმის წყალობას გევედრები, რომ უბრალოთ არავინ გამაცოდ[ვ]ილოს, თქუენათ სადღეგძელოთ და თქუენის შვილების სადღეგძელოთ. დაიწერა მარტის იზ, ქორონიკონს უპე.

თავში

ქ. ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი ს გ ი ო რ გ ი ს სიკეთით სახსოვარო ტუსისშვილო ზაალ! მერე ამ ყოდალაშვილს რევაზს ამ არზით ასე რომ მოუხსენებია, ამის მამულს ვინც რომ მოხნევდეს ხოლმე, რიგიანის და სამართლიანის გზით, რაც მართებული იყოს, ღალას შენ უნდა გამორთმევდე და ამ ყოდალაშვილს რევაზს უნდა მოაბარებდე უკლებრივ. მარტის კ, ქორონიკონს უპე. |გიორგი|

## 390. არზა ზაალ გურამიშვილისა მღუდლის გაწესებაზე ანტონ II-ის ოქმით

**1797 წ. 7 აპრილი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1283. დედანი. ქაღალდი. 21×12,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან მის[ის] უწმიდესობის საქართველოს პ ა ტ რ ი ა რ ქ ი ს მეფის ძის უფალის ა ნ ტ ო ნ ი ს ჭირი მოსცეს ზ ა ა ლ გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ს.

ა ვ ჭ ა ლ ა ს რომ გიახელით, მაშინ ჩემს განაყოფებს ს ა ბ ა დეკანოზი ჰყვანდათ მღუდლათ და ჩემს მღუდელს ჩემი წილი კაცი ეჭირა სამწყსოთ და ზემო ავჭალა.

საბა დეკანოზი დაბრმავდა და ჩემი მღუდელიც ჭირის სანაცვლოდ გაგიხდათ, რომ ამ ჟამათ ხშირი[1] საოფლე იყო სოფელში; ქრისტეს სული ავათმყოფი ჩვენს სახში იყო.

მერე მიველ, ზემო ავჭალიდამ თქვენი ყმა გიორგი მღუდელი მოვიყვანე, რომ ჭირს არ მოერიდა და ერსაც და მეც ის[ე] მოგვიარა, ეს სამი წელიწადია.

ახლა ჩემი სახლის კაცნი გხლებიათ და ტატიშვილი გამოუთხოვნიათ თავიანთთვისაც და ჩემის წილის გლეხისათვისაც სამღვდელოთ[2] გიორგი მღუდელი.

გევედრები, რომ შემოდგომამდინაც არის ებძანოს, ამ გიორგიმ გვიმღუდელოს, სანამ სხვა მღუდელი ვიშოვო. ჩემი სახლის კაცებს ჩემთან რა საქმე აქვსთ, რომ თავს გაწყენენ და ჩემ კერძოთ მღუდელსა გთხოვენ.

და თუ სამუდამოთ არ მოგვიშლით ამ გიორგის მღუდელობას ჩვენთვის ღმრთის წყალობათ მივითვლით. და თუ ამას ამბობენ, რომ ერთი მღუდელი უნდა იყოსო, არც იმათ მოყვანილს მე დავჯერდები, რადგანც იმათ არა სჯერათ ჩემ[ი]ს მოყვანილ[ი]ს; რომელიც თქვენის უწმიდესობის ნება იქნებოდეს სხვა მღუდელი გვიბოძეთ, საყოველთაოს ის გვიმღუდელოს. აპრილის ვ, ქორონიკონს უპე.

თავში

ქ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარხი მეფის ირაკლის ძე ანტონი გიბრძანებ თუხარელო დავით! მერმე ამ არზის პატრონს რომ ასე მოუხსენებია, რომ გიორგი მღუდელი დიდად გარჯილა და ამაგი დაუდვია ამ ზაალის სახლობაზედ, გიორგი მღუდელმა ამ ზაალს სახლობას და ამის საყმოს უმღვდელოს. და ტატიშვილმა იოანე მღუდელმა სხუათ ჭუემო ავჭალას მყოფთ უმღუდელოს; და რიგით სწირევდნენ ესენი, მანამ სხვას ვისმე მღუდელს ჩვენ გამოვარჩევდეთ და დავადგენდეთ.

და ესეც გამოუცხადე ერთობ გურამიანთ, რომ ამ ზაალს მიუდგნენ და ეგ ეკლესია ააშენონ და გაახლონ, რომ იწირებოდეს. თითონ შენ დაადეგ და გააკეთებინე, თორემ თუ ასე არ იქმოდენ. დიდად გვეწყინება და აღარც მღუდელს დაუდგენთ. აპრილს ზ, წელსა ჩლუზ.

ხელრთვა: კათალიკოზი

---

1 შხირი. 2 + რომ.

## 391. არზა სოლომონ გეგთაბეგიშვილისა მამულის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1797 წ. 7 აპრილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 37. საბუთი № 134. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[70] ღმერთმან მისის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს მათს მონას ბეგთაბეგიშვილს სოლომონს.

თქვენს უმაღლესობას კარგათ მოეხსენება, კურთხეულმა ჩემ[მ]ა ბიძაშვილმა მდივანმა სულხან ჩემზედაც, თავის ძმა ავთანდილზედაც უსამართლობა და მძლავრობა იხმარა, ჩვენის ორის განაყოფის სახლისკაცის მამულები ვაყასა და ხვითში ასე იყიდა, რომ არც მე დამიდვა წილი და არც თავის ძმას. ამის მეტი მიზეზი არა ჰქონდა რა, ამას ამბობდა: მე შვილი მრავალი კაცისა ვარო და მამული მინდაო. იმძლავრა და არ დამანება. ის ჩვენი განაყოფები როგორც იმას ეყოდნენ, ისე მე მეყოდნენ, რა სამართალი იყო, რომ არ დამანება.

მე თქვენს უმაღლესობას ამას მოვახსენებ, ერთი ოქმი მიბოძოთ, ღვთით მშვიდობით და მოცლით რომ ბძანდებოდეთ, სამართალში თქვენთან გვალაპარაკეთ. თქვენმა ნათელმა გონებამ გასინ[ν]ჯონ, თუ უსამართლო დამ[მ]ართებოდეს, მეცა და ავთანდილის შვილს ბეგთაბეგსაც სამართალი გვაღირსოთ. რაც სულხან მდივანს იმ მამულებში გაეღოს, ჩვენი რასათი ფასი მიგვაცემინოთ და მამული დაგვანებოთ. თუ უსამართლოთ ვლაპარაკობდეთ, ჩვენთვის ვიქნებით და ხმას აღარ ამოვიღებთ.

ერთი არა არის რა, მაგრამ სახლისკაცი რომ სახლის დაჩაგვრას ცდილობდეს, მეტათ ძნელი არის. ჩემს გულს თქვენი ჯელმწიფობა ასე მტკიცეთ, საიმედოთ მიჭირავს, ვიცი, რომ უსამართლო არ დამემართება. ის ყმარწვილები სხვარიგათ იმედულობენ, მაგრამ მე თქვენი შეშმარიტი ჯელმწიფობა და სამართალი მიიმედებია.

ასეთი ჰუჯათიც[1] მიჭირავს ჯელში, სამართალში რომ ჩავცე[ვე]თ, იქ მოგერთმევათ. ვგონებ, რომ იმ ჰუჯათმა ამათ აღარც ხმა ამოაღებინოს და არც თქვენ სამართალი გაგიძ[ნ]ელოსთ. მარტის ლ, ქორონიკონს უპე.

თავში

ჩვენი ბძანება არის ბეგთაბეგიშვილო ესავ! მერე ამ არზით რომ ეს ბიძაშენი მდივანი სოლომონ[2] გიჩივისთ, სამართლით

---

1 ჰოჯათი. 2 + რომ.

თუ თქვენ ერთმანერთში გარიგდებით, კარგი იქნება. და თუ თქვენ არ გარიგდებით, ორნივ ჩვენ სამართალში მოდით და ჩვენ მოგცემთ სამართალსა.

იესაულო ამირეჯიბო დავით! შენ უნდა მოსწყვანო ორნივ ჩვენ სამართალში და ალაპარაკო. [აპრილის] ზ, ქორონიკონს უპე.

## 392. არზა იოანე ენდრონიკაშვილისა უმისა და საქონლის თაობაზე მდივანბეგთა ოქმით

1797 წ. 9 აპრილი

ცსსა. პ. კარბელაშვილის პირადი ფონდი. 1461. რვეული № 13. საბუთი № 82. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[47] ქ. ბატონო მდივანბეგო მე იოანე ენდრონიკასშვილი მოგახსენებთ ასე. რომ ეს ჩემი თათარი რომ შამოუბეზღებიათ, რომ ამ დანაშაულში ისიც ურევიაო, თუ ეს იმ დანაშაულში ერიოს და საბუთი უყოს ვინმე, თავის თვალების მეტმა არ მისხნას, უსამართლოთ აუკლიათ[1].

მე, იოანე, ამ წყალობას ვითხოვ, ეს კაცი და საქონელი მებოძოს, რომ ჩემი საქონელი ჩემთან იყოს. თუ საბუთს უზამს ვინმე და გომტყუნებს, ეს თათარიც და ის საქონელიც მე, იოანემ, ჩემის ხელით მოგართვა. და ამ კაცსაც ერთიორათ გადახდეს. აპრილის ზ, ქორონიკონს უპე.

კიდეზე

ქ. რომელნიც ამ სადაოს მოასიელნი ხართ, და იოანეს ეს პირობა მოუცია, რომ თუ ეს კაცი იმ დანაშაულში რეულიყოსო, კაცი და საქონელი მეე მოგაბარო, კაცი და საქონელი რაც წაგირთმევიათ, ისევ ამ იოანეს მოაბარეთ.

ამისი მოდაე ელაპარაკოს სამართალში. თუ გაიმტყუვნებს, რომ ან იმ საქმეში რეულიყოს და ან იმ მკვლელის კაცის საქონელი ამის კაცს ყოლოდეს ან დაემალოს და ან იცოდეს, უნდა აჩვენოს და მოსცეს.

თუ არც რეულა და არც იმისი საქონელი ამას ყუანდეს, უბრალოდ რათ უნდა დაირბეს. ოთხი სული საქონელი თავის ნებით გამოუ-

[1] + თქვენმა.

რივაო, ის კაცი იმისი არის, იმას ნუ გამოართმევთ, სხვა კი უნდა მო-
ბარდეს; რაც ამისთვის გამოგირთმევიათ, მოუცემლობა არ იქნება.

აპრილის თ, ქორონიკონს უპე.

| | | | |
|---|---|---|---|
| | ზაზა | დავით | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 393. არზა სიონის ყმათა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1797 წ. 15 აპრილი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1265. დედანი. ქაღალდი. 22,2×14,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ბედნიერის ჴელმწიფის ჭირი მოქვცეს სიონთა ღმრთისმშობლის ყმათ ერთობლივ, მწარეთ შეწუხებულთ და დაგლახაკებულთ.

მერმეთ ამას მოგახსენებთ ჩვენო მოწყალევ, თითო-ოროლი კაცნი გახლავართ დარჩომილნი და რომელნიც გახლავართ, ღმერთს ვფიცავთ და თქვენს მზეს, რომ ჯერ ისევ ჩვენის ტყვის სახსარი არ გადაგვიწყვეტია და ისევ განჯლები შინ გვისხედან და ვალს გვთხოვენ და ლუკმის შოვნა არ შეგვიძლიან.

ახლა ჩვენო მოწყალევ, ერთს თუმანს თ უ ლ ა შ ვ ი ლ ი გვთხოვს და ოთხს მინალთუნს ნაცვალი. ჩვენო მოწყალევ, მოწყალება მოიღევით და ამ [მ]ცირედს ხანს ამ შეწუხებიდამ გამოგვიხსენით და როდესაც თქვენის დოვლა[თ]ით ვალს გადვიხდით, თქვენთვის როგორათაც გვი[მ]სახური[ა], კიდევ ისე გმსახურებთ. გევედრები, ჩვენ[ო] მოწყალევ, მოხსენებისათვის არ გაგვიწყრეთ. აპრილ[ის] ია, ქორონიკონს უპე.

ჩემო ჴელმწიფევ, ერთს თუმანს თულაშვილი რომ თხოულობს, საქვეყნო ხარჯი რომ გაწერილია. იმისთვის გვთხოვენ; რომელიც ოცდაათი თუმანი გაწერილა, ოთხს მინალთუნს ნაცვალი გვთხოვს მელიქის ბარათით, სამასნაფო ხარჯი არის, რუსის ჯორცისა და ღვინისათვის გვეჭირებაო, როდესაც აშენებულნი გახლდნენ, ას თუმანზე რვა მინალთუნი შეეწერებოდათ სადმე და ახლა ტყვის პატრონებზე და მწარეთ გლახებზე თორმეტს თუმანზე ოთხს მინალთუნს აწერენ და სთხოვენ.

თავში

ქ. ამ საქვეყნოს ხარჯის მოასილებო! ამ არზის პატრონებს ერთს თუმანს რომ სთხოვთ, ხუთი მინალთუნი კი გვიპატივებიხართ და გამოიღონ. აპრილის **იე**, ქორონიკონს **უპე**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 394. არზა ზურაბ ფალავანდიშვილისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1797 წ. 21 აპრილი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი: Hd 665. დედანი. ქაღალდი. 26,4×15,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მომცეს თქვენს მონას ფალავანდიშვილს ზურაბს უზბაშს.

მერმე ამას მოვახსენებ მათს სიმაღლეს: მეცა და ჩემი ძმაც თქვენს საფარველს ქვეშ დავიზარდენით, დღემდის ჩემის მამულის პურიც არ მიჭამია, თქვენი მოწყალებით გამოვზდილვარ. სახელი მქვიან ფალავანდიშვილობისა და მამული კი არსად არ მიჭირავს.

ღმერთი გაგიმარჯვებს, ერთი ოქმის წყალობა მიყავით თქვენს შვილს იულონზე, რაც განაჩენი და ბარათები ჩემის მამულისა სანატრელის ბატონისა მჭონდეს, ისე გამირჩიოს და დამანებოს, რომ მეც ვიცხოვრო. ღმერთი გაგიმარჯვებს.

შენს მზესა ვფიცავ, ერთს სოფელს მუხური ჰქვიან, ცხრა საკომლოს ბარათი მაქვს და არც ერთის დღის მიწა არ მიჭირავს; ზოგთ წისქვილი უბრუნავს, ზოგს მიწებიც უჭირავს და მე ასე უნაწილო ვარ. ავნევს არის და ისიც წართმეული მაქვს და ბარათები ხელში მიჭირავს. ღმერთი გაგიმარჯვებს, სამართლით ერთი ოქმი მიბოძეთ. აპრილის **ით**, ქორონიკონს **უპე**.

თავში

ქ. ჩვენო ღმრთის წყალობავ, შვილო ბატონო იულონ! მერმე ამ არზით ეს ფალავანდიშვილი ზურაბ ასრე როშ ჩიეის, ამილახვარიც შენთაც დაისწარ და ვისთანაც ამას სალაპარაკო და სადაო საქმე რამ ჰქონდეს, ალაპარაკეთ და სამართლიანის საქმით გაასწორეთ. აპრილის **კა**, ქორონიკონს **უპე**.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

# 395. არზა შიო ხუცესისა გაურის თაობაზე ვახტანგ გაბონიშვილის ოქმით

**1797 წ. 8 მაისი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. ლიტერატურული მუზეუმი. საბ. № 19575. დედანი. ქაღალდი. 34×13,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ჩვენის მოწყალის ჯელმწიფის ძის ვახტანგის ჭირი მათს მონას და სამარადისოდ მლოცველს შიო ხუცესს მოსცეს.

თქვენი თავის წყენა დიდად მეზარება და აქამდის ამისთვის ვერ მოგახსენეთ. ახლა მეტად საქმე გამიჭირდა და ჩემი მწუხარება რომ თქვენ არ მოგახსენოთ, მაშ რა ვქნა; ჩემის ძმებისაგან რაც ერთობაში ნაკლებობა მჭირდა, თუ თითოეულად მოგახსენოთ, არზიც გაგრძელდება და არცავისგან დაიჯერება.

ერთი წელიწადია რომ გავეყარე და ამ ერთს წელიწადში ეს უსამართლო მჭირს, რაც გაყრაში მერგო, ზოგი თავეთის მძლავრობით და ზოგი იმათის შიშით მე ნება დავრთე და წაიღეს და იმათა ჰყავთ. რაც სახლის აჯათი არის, სულ ყველა იმათა აქვსთ: თოფ-ხმალი, დაბანჩა, იარაღი, სახნის-საკვეთი, ღვედი, ქვაბი, სხუა ჭურჭელი ან ბარი ან ცული ან წალდი ან ჯელეჩო, სახლი, კარი, ქვევრი, მარანი, და რაც შენობა არის, სულ იმათს ჯელში არის და ისინი ხმარობენ.

ვენახი, რომელიც ჩემი საკუთარი იყო, ჩემთვის შევიმუშავე, სთველში ისიც არ დამანებეს, თავისთვის მიიმძლავრა მახარამ. თქვენ მოგახსენეთ და მოსამართლე[ე]ბი გვიბოძეთ და სამართალი გვიყვეს, და არც ის შეიწუნარეს. რაც მამის მამული გვაქვს — სახნავი თუ ვენახი, სახლი თუ ბოსტანი სახმარი, სულ გამოსული ვარ; ისინი ხმარობენ. მე გულხელი დამიკრეფია და ვარ ასე.

ამასწინდელი თქვენი ოქმი ხომ ასე აცხადებდა, რომელიც თქვენი წყალობა ახოები მაქვს ბოძებული, თქვენს სამართლამდის ისიც ძირს უნდა დადებულიყო; და არც ეს იყაბულეს, ისევ მოხნეს.

დემეტრეს წილი მამული მართალია, თქვენის ძმებისაგან სიტყვითა მაქვს ბოძებული და ესეც ძირს უნდა დადებულიყო თქვენს სამართლამდის, არც ეს შეიწუნარეს. მე ამაებისაგან სულ დაკლებული ვარ და ისინი კი ხმარობენ.

ამას გარდა მოჯამაგირესაც არ მიყენებენ. თქვენმა ბედნიერმა თვალმა ნახა ამ დიდმარხვაში როგორ გაეხედათ მოჯამაგირეც. მოჯამაგირე რომ ვერ დავიყენო, მაშ როგორ ვიცხოვრო.

ამაებს გარდა ესეც კიდევ უსამართლო მგონია, თქვენი მოწყალება ბიჭი რომ მყავს, ათი თუ თერთმეტი წელიწადი იქნება რომ ჩემს

სახლში არის; რასაც ერთი ძმა მუშაობს, ისიც მუშაობს და ერჩება საქონლის ყურებითა თუ სხუას საქმით და ან ჩემთან ყოფნით. ამ გაყრაში არ მისცეს არც ერთი კოდი პური, არც ერთი ხბო, არც ერთი თიკანი და არც ერთი გოჭი, რომ ამაებაში ყველაყაში ჭორი-ლაპარაკი იქნეს და უყურებია.

ესეები სულ ასე მჭირს და ნება თქვენია ჩემო ხელმწიფევ. მაისის ე, ქორონიკონს უპე.

თავში

ქ. სალთხუცესო ო თ ა რ და რომელნიც შიო მღვდლისა და ამის ძმების სამართალში და გაყრაში დაესწარით!

მერე რომელიც თქვენ მაშინ სამართალი გექნასთ და ან სახლის ადგილები გაგეზომოსთ და ან გაგეყოსთ რომე და ან გასაყოფი დაგრჩენოდესთ, ახლა მიდით, ის გასამართლებულიც აღასრულეთ და რაც დაგრჩომოდესთ, ისიც გაუყავით, როგორც ამ ქვეყნის წესი იყოს გლეხის კაცის გაყრისა თუ მსახურისა.

და ამათ რომ თავეთი სახლისკაცის დემეტრეს წილი მამული სჭერიათ, იმ მამულთან არც შიო მღვდელსა აქვს საქმე და არც იმის ძმებს; ბეითალმანი ყოფილა და ტყუილადა სჭერიათ; დემეტრეს წილ მამულზე ჯელი უნდა ამართოთ და საჩვენოთ დასდვათ, ჩვენ როგორც გვინდა, ისე მოვიხმარებთ.

ამ ჩვენს ბრძანებასა და თქვენს გასამართლებულს თუ შიო მღვდელი გარდახდეს, ეს ჩვენ მოგვახსენეთ და ჩვენ გარდავახდევინებთ. და თუ ამისი ძმები გარდახდენ, თქვენ მიუხედით, ავად მოეპყარით და ისე დააჯერეთ. ეს ახლავ ასე აღასრულეთ და მოაშორეთ. მაისის ჱ, ქორონიკონს უპე.

ღმერთს გაფიცებთ, ჩვენს მზესა თუ თქვენს შვილებს, ამაზე სიმართლით მოიქეცით. მამულზედ ჯელის ამართვა კი ბოქოულთხუცის საქმე არის.

ბეჭედი: რტოდ ვარ დავითის, მგელ-ლომად ვით ის, ვახტანგ ვამტკიცებ მეფის ძეობით.

## 396. არზა იასე საყვარელიძისა მამულის თაოგაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

**1797 წ. 12 მაისი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 5286. დედანი. ქაღალდი. 24,5×10,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის ხელმწიფე დედოფლის ჰირი ცხინვალს მსახლობელს საყვარელიძეს იასეს მოსცეს.

მერმე ამას მოვახსენებ: ოთხნი ძმანი გახლდით, სამნი თქვენის ჰირის სანაცვლო შეიქნენ, მე იმათი უნარჩევსი დავრჩი. ამ ილახვარიშვილის დემეტრეს მისული ყმანი ვიყავით ტბეთს, მამულები მოგვცა. მერმე დემეტრე მის უმაღლესობის რისხვით წახდა. ჩვენ ხელმწიფემ თავის ნეკის სისხლათ აგვიყვანა. წამოგვიაროს ფავლენიშვილმა, იმ [მ]ამულებზე დავა დაგვიწყეს. სამართალმა ფიცი და[ა]დვა, რაზედაც დაიფიცეს, მაშინვე გამოგვართვეს. ერთი საკვამლო იორდანაშვილის მამული დაგვრჩა. ღმერთსა ვფიცამ და თქვენს მზესა, რომ იმაზედ არ და[ა]ეფიცნოთ.

ახლა თქვენთვის მოუხსენებია, ოქმი გიბოძებიათ, ისიც წამართვეს. ახლა ამ მოწყალებას ვითხოვ, ერთი ოქმი მებოძოს, ჩემი მამული მე დამანებოს. და თუ სიტყვა აქვს რამე, სამართალში მელაპარაკოს. მაისის **ი**, ქორონიკონს **უპე**.

თავში

ჩემო ღმრთის წყალობავ შვილო ბატონო იულონ! მერე ეს საყუარელიძე ასე რომ ჩივის, რომელიც ფიცით გატანილი მამული ჰქონიათ ფავლენიანთ, ხომ ისევ უჭირავსთ. ახლა ჩვენს ქალაქშივე ყოფნაში ფავლენიშვილს ბიძინა შვილს ნინიას ჩვენთვის არზი მოუცია. იმ არზაში ასე ვგონებ, რომ ყურით ეწერებოდა, რომ ფიცით გატანილი მამული არ მოგვცაო. ახლა მე ოქმს მივცემდი და ისიც გამოურთმევია და რომელიც ფიცში არ ყოფილა, ისიც წაურთმევია, რომ ეს კაცი ასე ჩივის.

და ესენი ორნივ შენთან მიაყუანინე, ალაპარაკე და კარგათ გამოიძიე. თუ როგორც ამ არზაში სწერია, ისე იყოს, ისევ უკანვე გამოართვი და ამასვე მოეც. ის მოწმობის წერილიც რომ ხელში უჭირავს, ისიც წარიკითხე, მაღლია ამისი ყურის მიგდება სამართლით. მაისის **იბ**, ქორონიკონს **უპე**. თუ რომ ფავლენიშვილი ამაზედ გამტყუნდეს, რომელიც ჩემი მიცემული ოქმი აქუს, ისიც ჩამოართვი.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

## 397. არზა თუმანიშვილებისა გამოსალების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1797 წ. 20 მაისი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2008. დედანი. ქაღალდი. 26,3×16 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მათს მიწა-მტვერს თუმანისშვილებს ნიკოლოზს, გიორგის, კვნატის, ელიზბარს და ზურაბის ობლებს მოგვცეს.

მერე რაც თქვენი ბძანება ჯელთუბანზედ სათხოვარი მოსულა, დღეს აქამდინ დავთრით გიბრძანებიათ და ჩვენც დავთრით გვიმსახურნია.

რადგან თქვენი ბძანება ასეა არის რომ, მანამდინ ქვეყანა აიწეროდეს, ვისაც რამდენი კაციც უწერიათ დავთარშიდ, იმაზედ მოკლება არავისი იქმნებაო და ისეც უნდა გამოიღონო. ახლა ამ წყალობას ვითხოვთ. ერთი ოქმი გვებოძოს, რაც ჯელთუბანში სათხოვარი მოვიდეს, ისევ ის გავიღოთ, მძლავრობა არავინ იხმაროს, მანამდისინ ქვეყანა აიწერებოდეს. და როდესაც ქვეყანა აიწერება, მაშინ ვისაც რამდენი კაცი გვეყოლება, ისინი დაიწერებიან და ისე გამსახურებთ. მაისის ა, ქორონიკონს უპე.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ერთობით თუმანისშვილებო! მერე რაც თქვენი ყმანი დავთარში ეწეროს, ვინემდი ქართლი[1] აიწერებოდეს, როგორც დავთარში კაცნი გეწეროსთ, თავ-თავის რასათს სამართლიანის საქმით უნდა გაიღებდეთ, რომ ერთმანეთში უსამართლოთ არა იმოქმედოთ რა. რომელიც ჩვენის ბრძანებით თუ ჩვენის შვილებისა იასაული წარიგზავნებოდეთ, თქვენც ასე უნდა იცოდეთ და ასე გამოართმევდეთ, რაც თავ-თავისი წილი ხარჯი შეხვდებოდესთ, იმას უნდა გამოართმევდეთ. მაისის კ, ქორონიკონს უპე.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

---

1 ქართლის.

## 398. არზა დავით ოქრომჭედლიშვილისა მამულის თაობაზე იულონ გაბონიშვილის ოქმით

1797 წ. 20 მაისი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 31. საბუთი № 251. პირი. ქაღალდი. მხედრული. იქვე, საბ. №№ 230, 241, 242.

[174ვ] ღმერთმან ბატონისშვილის იულონის ჭირი მოსცეს მათს მონას დავითს.

მერმე ასემც თქვენი ორგული შეწუხდეს როგორც[1] ყმიან-თავიან ჩვენ გახლდეთ შეწუხებული თეთუზა ფავლენისშვილისაგან. არაფერი არა გვეშველა რა. იმ სოფლიდამ გარეკილი გახლავართ მეცა და ჩემი კაცებიც. ნიადაგ საშფოთრათ და საჩხუბრად და სასიკვდილოთ დაგვდევენ[2] ისიცა და იმისი კაცებიც. იმის სიტყვით ახლა კიდევე ექვსს[3] იმის კაცს დაეჭირა ჩემი კაცი და მოეკლათ ცემით; და მამულზედ ხომ ხელი ამაღებინა თავისი ძალით და უხთოებით.

მიშველეთ რამე, ღმერთი გაგიმარჯვებთ, თუ არა მეშველება რა, დამითხოვეთ ქრისტეს გულისათვინ. მაისის კ, ქორონიკონს უპე.

ამას გარდა სამი და ოთხი ოქმი თქვენი[4] მივიტანე, მაგრამ თავისას არ იშლის.

თავში

[174] ბატონისშვილი იულონ გიბძანებთ ფავლენისშვილო ფარე[შ]თხუცესო თეიმურაზ! მერე ამ არზით რომ ასე ჩივის ოქრომჭედლიშვილი დავით, ამას ბატონის დედოფლის სამი და ოთხი ოქმი აქვს, რომ უნდა თქვენი მამულები გაირჩეს; სამი და ოთხი ოქმი მოგვიწერია, მაგრამ მაინც აჩივლებ. მადამდის თქვენი მამულები გაირჩეოდეს, მადამდის ნურც სახლის აშენებას დაუშლი, ნურც მიწის მოხვნას; სწორეთ რომ შენი იყოს, მაინც ნუ დაუშლი მადამდის თქვენს მამულებს გავარჩევდეთ, თორემ ეს ასე რიგათ ჩივის, რომ ამას ბატონს დედოფალს მივწერთ და შენ იცი, მასუკან ჩვენ ბრალი აღარა გვექნება რა. კმარა ამდენი მოწერა, ეგ შენი კაცებიც და[ა]რიგე, შფოთზედ ჯელი აიღონ. მაისის კ, ქორონიკონს უპე.

კიდევ ამას გწერთ, ამ ოქრომჭედლისშვილს დაეხსენ, დაეხსენ და დაეხსენ. ეს კაცი შენი ყმა ხომ არ არის, ჩვენი ყმა არის. აბა, რომლის კაცის გალახვა შეგიძლია, რომ ამას ნიადაგ სცემ; რჩევით მირჩევია, რომ ამ კაცს დაეხსენ. [ვ] რასაც ოქმებსა გწერთ, ოქმები ამას უნდა ჰქონდეს, შენ ნუ გამა[ა]რთმევ.

[1] წ+ შეწუხებული. [2] დააგოდევენ. [3] ექვეს.

# 899. არზა ზურაბ ფალავანდიშვილისა მამულის თაობაზე იულონ ბატონიშვილის ოქმით

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1797 წ. 23 მაისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 667. დედანი. ქაღალდი. 21,4×16 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბატონიშვილის იულონის ჰირი მოსცეს ფალავანდიშვილს ზურაბს.

მერმე ამას მოვახსენებთ: ბატონის ოქმი მაქვს, რომ ვის[ა]ც ჩემი მამული უსამართლოთ უჭირამს, თქვენ უნდა სამართლიანათ გაჰმირთვათ და მამცეთ. გლახას უჭირამს ჩემი საწისქვილო და მიწა შაუაშვილისა; კიდევე უჭირამს დონაძის მამული ხუნდის უბანს, კიდევ მუხაურს უჭირამს ჩემი ნასყიდის კაცის ვენახი; არც გირაობის წიგნი მიჩვენა და არც ნასყიდობისა, პასუხს არ[ა]ს მაძლევს. თამასუქი ხომ თქვენც გინახამთ რომ უნდა მამცეს, არაფერი სიტყვა არა აქვს რა.

ამას გარდა სამის თუმნისა და სამის მინალთუნის თამასუქი ჩემს აზნაურსშვილს უჭირამს და არ[ა]ს აძლევს. სხვა უფრო ბევრი საჩივარი მაქვს, მაგრამ ახლა თავს არა გაწყენ. წყალობას ვითხოვთ. თუ თქვენ მობძანდებით, ისი სჯობს; თუ არადა, დიმიტრი დიასამიძეს ებძანოს და[1] ღმრთის წინაშე სამართალი მოგვცეს. მაისის კგ, ქორონიკონს უპე.

თავში

ქ. ბატონისშვილის იულონის კეთილსახსოვარო დიასამიძე მინბაშო დიმიტრი! მერე ამ არზით ფალავანდიშვილი ზურაბ რომ ასე ჩივის, მისის უმაღლესობის მეფის ბძანება არის ჩვენზე ამათის გარიგებისა. ჩვენ ვერ მოვიცალეთ შენ[2] მიდი და ამათი საქმე შენ გაარიგე სამართლიანის საქმით წინაშე ღმრთისა, რასაც მიხვდე. მაისის კგ, ქორონიკონს უპე.

ბეჭედი: ტომ-სჭესით არ ნაკლისაგან იულონ ირაკლისაგან.

---

[1] + და. [2] შენდი.

## 400. არზა დავითგარეჯის წინამძღვრის თეოდოსისა მამულის თაობაზე ანტონ II-ის ოქმით

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1797 წ. 23 მაისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 395. დედანი. ქაღალდი. 17×12 სმ. მხედრული. აქა-იქ ორწერტილი.

ქ. ღმერთმან მათი უწმიდესობის საქართველოს პატრიარხის მეფის ძის ჰირი მოსცეს წინამძღვარს თეოდოსის.

ჩემო ჯემწიფევ, მათმა სიმაღლემ მამა თქვენმა კი ოქმი მიბოძა ვანთის საქმეზედ, გაურჩივეთო. და თქვენგანაც წყალობას ვითხოვ, თქვენს მოურავს ფრიდონს ებძანოს, რომ რაც ჩვენი მამული გახლდეთ, ერთხელ გაგვირჩიონ და მოგვცენ. მაისის კგ, ქორონიკონს უპე.

თავში

ქ. ყოვლისა საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარხი მეფის ძე ანტონი გიბრძანებ ფრიდონ მოურავო! მერე ვანთელებს განაჩენიცა[1] აქუსთ და ძველი წერილებიც, ისიც კარგათ გასინჯეთ. წინამძღვარი თეოდოსიც მანდ მოვა. ეცადე ღვთის გულისათვის, რომ სამართლიანად მოარიგო, რომ უბრალოთ ეკლესიები ერთმანერთის ბრალ ქვეშ არ დარჩეს, რომ ღვთის საწყენი იქნება. მე კიდევ ამას გწერ: ეცადე, რომ სამართლიანად მოარიგო. მაისის კგ, ქორონიკონს უპე.

კარგათ იცი, რომ ერთის ეკლესიის ქვა მეორეს ეკლესიას არ დაედება. ის გურჯები არა მაქვს, ასე რიგათ მოიქეც, რომ მასუკან ის გურჯები თქვენგან გარიგებულს დამარღვ[ევე]ლ არ ექმნას.

ხელრთვა: კათალიკოზი

## 401. არზა იოანე ბებურიშვილის ქვრივის მარიამისა ყმის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1797 წ. 25 მაისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2771. დედანი, ქაღალდი. 21,5×10 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან საქართველოს ხემწიფის ჰირი მოსცეს საცოდავათ დარჩომილის თამაზა ბებურიშვილის იოანე ხუთასის თავის შეუღლეს მარიამს.

[1] განჯენიცა.

მათს ხემწიფობას მოვახსენებ: ერთი ბიჭი ყვანდა დედაჩემს თავისი ძმისაგან მოცემული, საწყალს თქვენს ყმას მისცა. [illegible] ენისელთ მოურავის შვილმა არ დაგვანება, მის სიმა[illegible] თავი აწყინა. ოქმი გვიბოძა, ავყარეთ, წამოვიყვანეთ, გზაზე გ რ ი გ ოლ ენისელთ მოურავის შვილი და დ ა თ უ [ა] მ ა ყ ა ს შ ვ ი ლ ი დაეწივნენ, თავდებათ დაუდგნენ — შამოდგომამდის და[ა]ცალეო და ჩვენ მოგვგვრითო. იქიდამ ა ხ [ა] ლ ქ ა ლ ა ქ ს დადგა. ბატონის დისწულმა აღარ დამანება, კიდევ ოქმი მიბოძა, კიდევ არ დამანება: ი უ ლ ო ნ[1] ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი ს ოქმი მამიტანეო, იმათგანაც წყალობა დამემართა, ოქმი მიბოძა, მაინც არ მანებებს.

ღმერთი თქვენს ხემწიფებას ადიდებს, წყალობა მოიღევით, ერთი ობოლი მყავს. ხელზე წყალი დაუსხას. იასაული მიბოძეთ, ჩემო ხემწიფევ, დამანებოს.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის კალაურის მოურაო ო მ ა ნ! მერე ბებურისშვილის ხუთასის თავის ივანეს ქვრივი ამ არზით ასე რომ ჩივის, ამას კურთხეულის მეფის ბატონის მამის ჩვენის ოქმიც აქვს და ჩვენის ძმის იულონისაცა და თავისი კაცი არ მოუციათ. ახლა შენ უნდა მიხვიდე თარსაგალავანში და ის თავისი კაცი უნდა აუყარო და მოსცე. და თუ სხვა ჭეშმარიტი სიტყვა ქონდეს ვისმე რამ, და სამართალში მოიყვანე. მაისის კე, ქორონიკონს უპე. | გიორგი |

## 402. არზა ნალეკრებისა გამოსაღების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1797 წ. 6 ივნისი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1296. დედანი. ქაღალდი. 20,9×14,4 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჴელმწიფის ჭირი შვიდს ნალეკრებს მოგვცეს.

მერე ამას მოგახსენებთ ჩვენო მოწყალე ხემწიფევ! თქვენი წყალობა გვქონდა ქ ი ტ ე ს ა ამბარდარზედ. ქიტესამ დ ა ვ ი თ ა ბ ა შ ი ს შ ვ ი ლ ზ ე დ ბარათი მოგვცა, ქ ა რ თ ლ შ ი რომ პურის იასაული იყო. წავედით, აგერ ხუთი უკან დავდევთ, ჩვენი ხიზანი აქ შიმ-

1 იოლონ.

შილით იხოცებოდნენ. აქამდინ გვატყუა, თუ: ამ სოფლიდამ მოგცემ, და ხან სამაჩაბლოში აგვასხა. ახლა წამოსვლის დღეებში [illegible] რომ: თუ გინდათ, კოდზედ ექვს აბაზ მოგცემთო; თუ არა [illegible] მოგცემო. ჩვენ აქ ხიზანი შიმშილით გვეხოცება.

კოდი ოთხ მინალთუნათ პური და ჩვენ ექვსი აბაზი როგორ გამოვართოთ კოდში და ან ექვსი აბაზით ერთს თვეს იოლათ როგორ წავიდეთ.

ახლა ცოტა რამ ფული მოგვცა. ის ბარათი დავითმა გამოგვართო და იმის პირი ეს არის, რომ მოგვირთმევია.

ჩვენ თქვენს მეტი მოწყალე და პატრონი არავინა გვყავს. მოგვიხსენებია და ნება თქვენი უმაღლესობისა ასრულდეს. და როგორც თქვენ გვიბძანებთ, თქვენი წყალობა [ა]რის და ისე მოვიქცევით. თიბათვის ე, ქორონიკონს უპე.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის აბაშისშვილო დავით! მერე ამ არზის პატრონებს რომ ასე მოუხსენებიათ, რაც თეთრი მიგიცია, უკანვე გამოართვი და პური უნდა მისცე ამ ნალეკრებს. თიბათვის ვ, ქორონიკონს უპე. ეგ ჩემი სურსათია, სხვისი ხომ არ არის. ვისაც ნაკლები მოუცია შენთვის, ისევ სრულათ უნდა გამოართო.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჴმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 403. არზა ფავლენიშვილებისა მამულის თაობაზე იულონ ბატონიშვილის ოქმით

1797 წ. 7 ივნისი

ცსსა. ფ. 1450. დავთარი № 45. საბუთი № 209. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[138] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ძის იულონის ჴირი მოსცეს ერთობით ფავლენიშვილებს თეიმურაზსა, რევაზსა, არჩილსა და ნინიასა.

უმაღლესობის ხელმწიფე მამითქვენის ბძანება მოგვივიდა, რომ გლახას წილი მამული თქვენ დაიხსენით ერთობით ფავლენიშვილებოვო. თქვენც ნახეთ ის ბძანება რომ ერთობით უნდა დაგვეხსნა თქვენს წინაშე. ჩვენ უთხარით გოგია ამილახვრისშვილსა: ბატონის მოსახსენებელი სიტყვა გვაქვს, ჩვენ ერთობით ბატონს ვიახლებით, მოვახსენებთ ჩვენს სიტყვასა, როგორც მისის სიმაღლისაგან გვე-

ბძანება, ჩვენ ისე აღვასრულებთ. თითონ თქვენც უბძანეთ გოგიას, რომ ბატონის ნახვამდინ უნდა დაეცლია.

წამოვიდნენ ამ მამულის შემდეგნი და მემდომენი, ბატონის პაპუნა გააბრიყვეს, სამას ოცდაოთხის თუმნის თამასუქი გამოართვეს ჩვენ შეუტყობლივ. მოგეხსენებათ, პაპუნას ორის თუმნის შოვნაც არ შეუძლიან. ერთი ორი წელიწადი რომ დასცალდეს, ხომ ის ნასყიდი მამულიცა და თავის მამულიც იმას მოუნდება და ჩვენი მამულიც თან გაჰყვება.

ჩვენო ხელმწიფევ! ჩვენი ამოწყვეტა იქნება და ჩვენს მამულში არც ამილახვრისშვილის შემოშენება იქნება, არც ქსნის ერისთვის შვილისა, არც მაჩაბლისა და არც ნაზარბეგა[v]შვილისა, რომ ამ ჩვენის მამულის მემდომის ვარისია.

მოწყალებას ვითხოვთ, რომ როგორც სახლისკაცობის წიგნები და ფიცი გვაქვს დადებული და ან ერთობით ბატონისაგან არის ნაბრძანები, ის მამული ისევ საერთოთ დაიდვას. და თუ ჩვენს სახლისკაცს პაპუნას საკუთრათ უნდა ის მამული, ჩვენ თამასუქები მოგვცეს და მამულს იმას დავანებებთ, მოვალეს ჩვენ გავსცემთ პასუხს.

ღმერთი გაგიმარჯვებს, გვიშველეთ რამე, ცოლითა და შვილით ნუ დაგვატყვევებთ. ოცდაათი თუმანი გოგია ამილახვარიშვილმა გამოართვა საიასაულოთა; ან იმან რაში გამოართვა და ან სხვა რაში ართმევს. გვიშველე რამე, ღმერთო გაგიმარჯვებს. თიბათვის ე, ქორონიკონს უპე.

თავში

[137v] ბატონიშვილი იულონის კეთილსახსოვარო ამილახვარიშვილო აღათონიკე! მერე ამ არზით ეს ფავლენიშვილები რომ ასე ჩივიან, ამათი მოხსენება, დიაღ, რიგიანი და სამართლიანი არის. ბატონის ბძანება ასე არის, რომ ის მამული საერთოდ უნდა იყიდონ.

ახლა პაპუნას რომ საკუთრად მოუნდომებია ის მამული, პაპუნას სამას ორმოცის თუმნის მიცემა არ შეუძლიან. და თუ ვალს აიღებს და ისე მისცემს, მასუკან ხომ თავის მამულსაც ზედ დაადებს და როგორც ამათ მოუხსენებიათ, ასე უნდა იქმნას.

და თუ უნდოდეს პაპუნას და თეთრი ამათ გამოართვას და თამასუქი იმათ მოსცეს. იმ მამულზე ხელი ამართე და როგორც ბატონის ბძანება არის და ისე საერთოდ დადევ. და მასუკან ბატონთან ილაპარაკონ და ისე გადაწყვიტონ. თიბათვის ზ, ქორონიკონს უპე.

პაპუნას თუ შეეძლოს, მართალია, იმისი უფრო მონასიბია და სხვა საქმეები არა ერი[ო]ს რა, მაგრამ სხვა საქმეები ურეკვნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 404. არზა ტერდავითასი გამოსალეგის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1797 წ. 17 ივნისი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 21. საბუთი № 46. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[75v] ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მათ სამარადის[76]ოდ მლოცველს მწერალს მთარგმნელს დეკანოზს ტერ-დავითას მოსცეს.

წმიდის ეჩმიაწინის ყმები გახლანან თოროზა[ს] შვილები, რომ გორს ხიზნათ იდგნენ, ამის უწინარესს, როგორც მოგეხსენებათ გორელების საქმე, ალაჰ მოასვენეს, ძალიან რომ შეაწუხეს, ღმერთმან აღღეგრძელოს ბატონი დედოფალი, მარტიროზ ვარდაპეტმა[1] და მე არზა მივართვით და გორიდამ ავყარეთ, რუისს დავასახლეთ. ეს მეოთხე წელიწადია თავეანთი ყოველი გამოსაღები რუისელებთან გაუღიათ და ახლა სარუსო პური რომ შეუწერიათ, რაც შეხდომიათ, რუისელებთან ჯმაამოუღებლივ მიუციათ. და ახლა გორელებსაც ცალკე შეუწერიათ და რუსებს უხმენ[2], აცემინებენ და სახლს არბევინებენ, რომ ერთხელ გორში იდექითო.

ჩემო მოწყალევ! ეკლესი[ის პა]ტრონიც თქვენ ბძანდებით და ყმებიც თქვენნი არიან. ღმერთი გადღეგრძელებს, ოქმის წყალობა მიყავით ამილახორს [v] ოთარზედ, რუისელებისაგან მოკითხული ჰქნას, თუ სწორე მომეხსენებინოს, გორელებს ერთი სტუქვის ალვირი ამოედვას, რომ ამ საწყალთ უსამართლოდ ნუ შეაწუხებენ და საქმე აღარა ჰქონდესთ რა. და თუ ასე არ იყოს და თავის შეწერილი სარუსო პური არ მოეცესთ, ერთიორად მიაცემინოს. აღიწერა იანვრის იდ, ქორონიკონს უპე.

თავში

[75] ჩვენ მაგიერად ამილახორს ოთარს ასე უამბეთ: მერე ამ არზით რომ ტერ-დავითა დეკანოზს ასე მოუხსენებია, ეს საქმე თქვენ

---

[1] ვარდაპეტი. [2] უხვენ.

მოიკითხეთ; თუ ამისი მოხსენებული მართალი იყოს, რომ ეს ეჯიაწრინის [v] ყმა თოროზას შვილი გორს ხიზნათ მდგარიყოს, [illegible] წელწადს უწინ გორიდამ აყრილიყოს და რუისს და[illegible] და რუსის მისასყიდი პურიც რუისელებში მიეცეს და ახლა კიდევ გორელებს თავეთში დაეწეროსთ და რუსების მისასყიდს პურს ალონებდნენ, ეს ხომ არ იქნება, რომ ერთს კაცს სათხოვარი ორს ალაგს გამოერთვას. გორს ხიზნა[დ] მდგარა, იქიდამ აყრილა და რუისს დამდგარა და რაც რუისელებს შეუხვედრებიათ, სიწყვით კიდეც გარდაუხდია და მიუბარებია.

თუ მართლა ასე იყოს, გორელები დასტუქსე და ამ კაცზედ ჴელი აალებინე და ნუღარ შეაწუხებინებ. და თუ ასე არ იყოს, ამისი ვითარება გვაცნობე. ივნისის იზ, ქორონიკონს უპე.

## 405. არზა თადიასი ღალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1797 წ. 28 ივნისი**

ცსსა. ფონდი 1449. საბუთი № 605. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ღმერთმან ბედნიერის ჴელმწიფის ჭირი მოსცეს ობოლს სუფრაჯის შვილს თადიას.

თქვენს მეტი მოწყალე და პატრონი ღმერთს გარდა ჩემს ობლობას არავინ უვის, ერთს ოქმის მოწყალებას ვთხოვ: რაცა ჩვენ მამულში გაღმა-გამოღმა ყანა ედგათ, ღალა მომცენ უჯარმის, სამგორის და აწითლობისა. ივნისის კჱ, ქორონიკონს უპე.

თავში

ჩვენი ბრძანება არის! ვისაც ამ ობლის მამულში მოსავალი გედგათ, სამართლიანი ღალა უნდა მისცეთ, ჩვენთან ნუღარ ალაპარაკებთ.

მთიბათვის კჱ, ქორონიკონს უპე. ერეკლე

ჩვენი ბრძანება არის ალამდარბაშო ჯომარდიძევ ქაიხოსრო! მერე ვისაც საგარეჯოს მოურავის ჯამასპის ობლის თადიას მამულში მოსავალი ჰქონდეს, ყოველს დაადევ და სამართლიანის საქმით თავის ღალა უკლებრად გამოურთვი და მიეც. ამაზედ

ბეჯითად მოიქეც და ახლავ ასე აღასრულე. ივლისის იე, ქორონიკონს უპე. ალბათ. უსამართლოდ არ ქნა რა, სამართლიანად მოიქეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 406. არზა როსტომ და სოლომონ ბილახვრის შვილებისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1797 წ. 29 ივნისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 6372. დედანი. ქაღალდი. 27×15 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია თითო წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს მათს მონას შანშე მილახვრისშვილს როსტომს და სოლომანს.

ჩვენი ნასყიდი მამული თქვენმა შვილმა იულონმა თქვენის ბძანებით და სამართლით დაგვანება. იმ ჩვენს მამულში ჩვენ სახლის ადგილი არა გვაქვს. მოხუცებულნი ჩვენი მშობელნი უსახლობით გომურში დგანან და სხვანი კი დგანან ჩვენს მამულში.

წყალობას ვითხოვთ, ერთი ოქმი გვიბოძოთ ბატონისშვილს იულონზე, ჩვენს ნასყიდს მამულში ვისიც კაცი იდგეს, აჰყაროს და ჩემი მამული მე დამანებოს. თუ სიტყვა ჰქონდეს ვისმე, სამართალში მელაპარაკნენ. იუნისს კდ, ქორონიკონს უპე.

თავში

ქ. ჩვენო ღვთის წყალობავ შვილო ბატონო იულონ! მერმე ამ არზის პატრონი ასე რომ ჩივის, ამ გვარად მსახლობელნი ქართლშიაც ბევრნი არიან და კახეთშიაც. თუ სამჯობინარი იყოს, რომელიც ამათს მამულში კაცნი დგანან, იმათი იქ დგომა ხომ რა იქნება, რომ ნათხოვრად იდგნენ. და თუ სამჯობინარი არ იყოს და ვერ ამჯობინო, ამათაც თავისი მამული ეჭირებათ, რომელიც ამათს მამულში დგანან, ისინი[1] იქიდამ აჰყარე და ამათ თავისი მამული მოაბარე, ივნისის კჱ, ქორონიკონს უპე.

ამ გვარად მსახლობელნი შილდასაც არიან, ყვარელშიაც, ველისციხესაც და სხვაგანაც. თუ მოსარიგებელნი იყვნენ და სჯობდეს, ხომ ერთმანერთში მოარიგე, და თუ არ მორიგდებიან, ამას თავისი მამული დაანებონ, რას ემართლებიან. ივნისის კთ, ქორონიკონს უპე.

---

1 ისისინი.

ჩვენ ასე გვგონია: გორშიაც იყოს ასე და სხვაგანაც. ერთად, ბევრია, ალბათ თელავშიაც ბევრია.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიკმობს ძედ კახეთის მეფედ. ცხებულს ერეკლე.

## 407. არზა როსტომ ჟურულისა მამულის თაობაზე იოანე გატონიშვილის ოქმით

**1797 წ. 1 ივლისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2795. დედანი. ქაღალდი. 28×11 სმ. მხედრული. ალაგ-ალაგ თითო წერტილი.

ქ. ღმერთმან მათის უმაღლესობის მეფის ძის იოანეს ჰირი მომცეს თქვენს მონას ჟურულს როსტომს.

მერმე ამას მოგახსენებ ჩემო ყოვლად მოწყ[ა]ლევ ჯელმწიფევ, რომ ისროლის ხევზედ ერთი კომლი კაცი მყუანდა თქვენი წყალობა, მამა-პაპის მემკვიდრე. და ის ჩემი კაცი კი აიყარა და წავიდა და იმისის მამულის წყალობა დამემართა თქუენგანა; და ოსი გუსი რომ გახლავს ტბაზედა, იმას მიაბარეთ ის მამული და უბძანეთ, რომ რაც რამ[1] ერგებოდეს თავისის მამულისა, ამ ჟურულს როსტომს ემსახურეო. სამი წელიწადი არის რომ ის მამული მე მებოძა და ის კაცი სჭამს და ჩემთვის ერთის ფულისა არა მოუცია რა.

წყალობას ვითხოვ, თუ იმ მამულის წყალობა დამემართება, რომ ერთი ოქმი მებოძოს გლახა ბოქაულთხუცის შვილზედა, რომ ის ჩემი მამული მე მებოძოს. გევედრები, რომ მოწყალება დამემართოს, თქვენს მეტი შემბრალებელი არავინა მყავს.

თავში

ქ. ბატონიშვილის იოანეს სიკეთით სახსოვარო მილახვარბაშო გოგიაე [და] ბოქაულთხუცესო გლახავ! მერე ამ არზის პატრონს ასე რომ მოუხსენებია, ეგ გუსი რას ემართლება თავისს მამულსა. ახლავ ეგ მამული მთლად ყოვლიფერი ამ როსტომს მოაბარეთ. და რ[ა] ერთი ხანიც გუსის უჭამია და ამისათვის არა ურგია რა, ისიც სამართლიანის საქმით გამოურთვით და მოეცით. რას ემართლება, თავის მამულს როგორც უნდა, ისე მოიხმარებს და ვი-

---

1 რემ.

საც უნდა, იმას მისცემს. ეს ასე გა[ა]რიგეთ, გა[ურიგებლად] არ გა-
აგდოთ. ივლისის ა, ქორონიკონს უპე. იოანე

და კიდევ ვისაც ამისი მამული ეჭიროსთ, ისიც უნდა გამოსთხოვეთ
და მოაბაროთ. გლახავ, ამაზედ ბეჯითად უნდა მოიქცე. იოანე

## 408. არზა შიო ახალკაციშვილისა მამულის თაობაზე იულონ გაბონიშვილის ოქმით

**1797 წ. 9 ივლისი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 31. საბუთი № 253. პირი. ქაღალდი. მხედრული. იქვე, საბუთი № 198.

[175v] ღმერთმან მეფის ძის იულონის ჰირი მოსცეს მათს მიწას დვანელს ახალკაციშვილს შიოს.

მერმე ასემც თქვენი ორგული შეწუხდეს, როგორც შეწუხებული ჩვენ გახლ[176]დეთ თეიმურაზ ფავლენიშვილისაგან დღეყოველ. არც ბატონის ოქმ[მ]ა გვიშველა და არც თქვენმა. აგრე ვიკარგებით იმის ხელიდამ. ბატონს ჩემს თოთხმეტი კომლი კაცი იდგა, მე იმ ქვეყანაში აღარ მაყენებს, მომიხდა.

ახლა კიდევ თქვენი იასაულები და როსები პურს მთხოვდნენ; კალოს ვთოხნიდი და ვაკეთებდი, მოგვიხდა თეიმურაზ, აღარც კალო დამანება, აღარც საბძელი, თოფით იწივა და გამოვექეცით და აღარ დაგვანება.

ახლა.იმისგან დატყვევებული შვილი კინაღამ მომიკლა და საბძლის კვები დაგვიჭრა, აღარ დაგვანება რა. არც ბატონის ოქმ[მ]ა და არც ბატონის დედოფლის ოქმ[მ]ა და არც თქვენმა ოქმ[მ]ა და ბძანებამ არაფერი არ გვიშველა.

ღვთის გულისათვინ, ერთი გზა მოგვეცით, ამისთანას დროში ყელებსა გვჭრის; და სხვა რაც უსამართლობა გვჭირს, იმას კი აღარა თავს გაწყენთ. დღეყოველ საშფოთრათ და სა[ა]ვკაცოთ გვდევს. ან სუ[რ]სათი საიდგან მივცეთ და ან საქვეყნო ხარჯი და ლაშქ[ა]რი. სხვა რაც ბატონს ჩემს კაცი ყავს, არც მოეშვა და და[ა]ყენა და თითონაც მუმლეთ[ს] გახლამს ხიზნათ.

ღვთის გულისათვინ და თქვენის მარგალიტის შვილების მზესა, დაკარგვის მეტი ილაჯი არა გვაქვს, გვიშველეთ რამე, ერთი ბინა და ალაგი გვებოძოს.

ბატონიშვილი იულონ გიბძანებ დავითისშვილო გოგია! მერმე ამ არზის პატრონი ამ არზით ფავლენისშვილს თეიმურაზს კალო-საბძელზედ ასე რომ უჩივის, შენ უნდა მიხვიდე თეიმურაზთან და ამ არზის პატრონისთვის კალო და საბძელი დაანებებინო.

თუ თეიმურაზმა მიზეზი თქვას, რომ ჩემი მამული არისო, ჩვენ ეს სწორეთ არ ვიცით — ის კალო-საბძლის ალაგი ამ არზის პატრონისა[ა] თუ თეიმურაზისა[ა], მაგრამ უნდა სწორეთ თეიმურაზის მამულიც იყოს, მაშინც სამართლამდინ იმას უნდა და[ა]ნებოს.

და ამ ცოტა ხანში მივალთ და სამართლით ჩვენ გაურჩევთ. თუ თეიმურაზ ფავლენისშვილისა იქნება, იმას დავანებებთ; და თუ ამ არზის პატრონისა იქნება, იმას დარჩება. ახლავ ამ არზის პატრონს უნდა მოაბარო სამართლამდინ. ივლისის თ, ქორონიკონს უპე.

ამისთვის უნდა და[ა]ნებოს, რომ მოსავალი კარს მოსდგომია და სხვა კალო-საბძელი არა აქვს.

## 409. არზა დავით თარხნიშვილისა მამულის თაობაზე გიორგი გაბოძნიშვილის ოქმით

**1797 წ. 15 ივლისი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 23. საბუთი № 108. პირი. ქაღალდი. მხედრული.

**[110v]** ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ძის საქართველოს უფლისწულის მეფის ძის გიორგის ჰირი მოსცეს მათს მონას თარხნისშვილს დავითს.

ბერისშვილის ყმას მამასახლისის შვილს ფარსადანს ჩვენის ყმის გოზალაშვილისათვის მიწა მიეყიდა, ნასყიდობის წიგნიც მოსცა. ბერის შვილის დედა მოვიდა, მამაჩემს შეეხვეწა, ეგ მიწა ისევ ამ ჩემს შვილს მოეცო. მამაჩემმა უთხრა უყიდ[ი]ა, მე რა ექნაო.

მერე თქვენთვის მოეხსენებინათ, თქვენ ოქმი გებოძათ: გლახავ ეგ მიწა ამ ბესარიონს დაანებე, მაგიერს სხვაგან მოგცემსო. თქვენი ბძანებისაებრ ის ნასყიდი მიწა მისცა და ის ნასყიდობის წიგნიცა; სხვა მიწა მოსცა და ეს გაცვლილობის წიგნიც დაუწერა თითონ ამ ბესარიონმა და მოსცა ის მიწა ამ წიგნით. და ის ნასყიდი მიწა იმ ბესარიონმა დაიჭირა.

ახლა თქვენთვის მოუხსენებია ბესარიონს, თქვენ ლუარსაბისათვის გიბძანებიათ — მანდავ უყავ სამართალიო. იქ უსა-

მართლოთ მერთმევა. ამას გევედრები, ერთი ოქმი მიბოძოთ თქვენს სიძეს ლუარსაბზე — რადგან ახლა ეს მიწა მოუნდომებია, ისევ ის ჩემი ნასყიდი მიწა მე დამანებოს და ეს იმას და[ა]ნებოს. და თუ ამას არ დასჯერდება, აქ თქვენს [111] სამართალში გამამატანოს. ღმერთი გვგიმარჯვებსთ, ამის მოწყალება მოიღვაწეთ. ივლისის **იე**, ქორონიკონს **უპე**.

თავში

[110] ბატონო თარხნიშვილო ლუარსებ! მერე ეს შენი ბიძაშვილები დავით და ბესარიონ რომ მიწებზედ დაობენ, ამათ მანდავ შუაკაცნი დაუსხმევინე და შენც იქ დაესწარ და რიგიან და სამართლიანათ მოარიგეთ და გარდაუწყვიტეთ და გარდაწყუეტილობის წიგნი მიეცით და მოაშორეთ ერთმან[ე]თს სამართლით. და მასუკან ის სამართლით გარდაწყვეტილობის წერილი ჩვენც გვიჩვენონ. ივლის[ის] **იე**, ქორონიკონს **უპე**.

## 410. არზა მირზა გურგინას ქვრივისა სახლების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1797 წ. 19 ივლისი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 4. საბუთი № 283. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[173v] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჰირი [174] მოსცეს საცოდავს მირზა გურგინას ქვრივს.

მოწყალეც ხელმწიფევ! ჩვენ რომ სახლები გავიყავით, სამი შვილი მყვანდა და სახლებზედ ვიწროთ ვიყავით. ჩემის სახლის კედელს ერთი პატარა სახლი ეკვრა; შიგ ერთი ყაჯარდუზი არუთინა არის, ის იდგა და იმ სახლის პატრონმა იმ სახლის გაყიდვა მოინდომა.

რადგანც ჩემს სახლს ეკვრა და რიგიც იყო, რომ თუ მენდომებოდა მე უნდა მეყიდნა, მელიქს ავეტიქასაც ჩემთვის შემოეთვალა, რომ შენ იყიდეო. მოვედი, ის ყაჯარდუზი არუთინა[მ] შვილი თუმანი დამტყუა, რომ მე რომ შიგ ვდგევარ, მე დამაცალე, შენთვის უფრო იაფათ ვიყიდიო.

მასუკან ეს რამდენი წელიწადია ის იმ სახლში ზის, არც თეთრს მაძლევს და არც სახლს. იქნება მოხსენებული გქონდესთ, ერთი შვილი და რაც რამ თქვენი წყალობა მქონდა, სრულებით დავჰკარგე და სახლებიც დამეწვა.

ერთის ოქმის და იასაულის წყალობას ვითხოვ, ან ჩემი თეთრი თავის სარგებლით გამომირთვას და ან ჩემის თეთრით ნასყიდი სახლი დამიცლევინოს და მომცეს. და მასუკან თუ სიტყვა ჰქონდეს რამე, სამართალში მელაპარაკოს და რომელიც გავმტყუნდეთ, ახალის დამტკიცებულის სამართლისამებრ გარდავხდეს. ივლისის იგ, ქორონიკონს უპე.

თავში

[173] ჩვენი ბძანება არის მეღვინეთხუციშვილო თომავ! მერმე ამ არზით მირზა გურგინას ქვრივი რომელსაც ამ არზით უჩივის, ახლავ შენ დადექ, [v] ან თავისი თეთრი სარგებლით უკლებრად გამოურთვი და მოეც და ან სახლები დაუცლევინე და მოაბარე. ესეც სახლებდამწვარი, საქონელდაკარგული და ტყვის პატრონი არის და რას ემართლება, რომ ან თეთრს არ მოსცემს და ან ამის თეთრით ნასყიდს სახლებს არ დაანებებს. ალბათ, როგორც ამ ოქმით გვიბძანებია, ასე აღასრულე.

და თუ ჰეშმარიტი სიტყვა ჰქონდეს რამე, მასუკან ჩვენს სამართალში ელაპარაკოს. მაგრამ თუ ჰეშმარიტი სიტყვა არა იქნება რა, ტყუილის ლაპარაკით თავს გვაწყენს და გამტყუნდება. იცოდეს, ახალის დამტკიცებულის სამართლისამებრ გარდახდება. ივლისის ით, ქორონიკონს უპე. ალბათ, ალბათ. □

მეღვინეთხუციშვილო თომავ! მერე ამ ოქმით როგორც მათს უმაღლესობას ბატონს მამაჩვენს უბრძანებია, ესეც ასე აღუსრულე. და სხვა თუ ვისთანმე სალაპარაკო და გამოსართმევი ქონდეს[1], ისიც სამართლიანის საქმით გაურიგე. ნოემბრის იდ, ქორონიკონს უპე. □

როგორც მათის უმაღლესობის მეფის ირაკლის და მეფის ძის გიორგის ბრძანება მქონდა, მე, თომა მეღვინეთხუციშვილმა სახლები დავანებე მირზა გურგინას ქვრივს, თავისის თეთრით ნასყიდი, რადგანც მოვალემ თეთრი ვერ მისცა.

---

[1] + ვისთანმე.

## 411. არზა კათარინე მონაზონისა დუქნის თაობაზე გიორგი გათონიშვილის ოქმით

**1797 წ. 30 ივლისი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 4274. დედანი. ქაღალდი. 22,3×11 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აბზაცის ბოლოს ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან მათის უგანათლებულესობის ბედნიერის მეფის ძის გიორგის ჭირი მოსცეს ჟამ ყოველ თქვენად მლოცველ სარჭისა აღას ასულს კათარინე მონაზონს.

ჩემო მოწყალევ, ამას წინათ ერთი დუქანი მქონდა გირაოთ და იმისი პირველი ასლი სიგელიცა და გირაოების წერილიცა გამოვართვი და მე მოვიხმარე ოცი წელიწადი. და აწ ახლოს ჟამს თურმე ჩემს მალვით სხვასაც დაუგირავებია და ისა ჰსჭამს ჩემს გირავოს და ჩვენ საწყალობლათ გახლავართ. [ი]მას უსამართლობით და უკანონოთ დაუგირავებია, ამისთვის რომ ასლი მე მეჭირა და ხელწერილიცა მრავალი მოწმითა, რომ დღესაც გახლავან; და ის სიგელი და ასლი დავკარგეთ. თქვენს უმაღლესობასაც მოხსენებული აქვს, რომ ყოველი ცხოვრებიდამ გაცრცვნილი ვიქმენით და მხოლოდ ცარიელნი სულნი გადავრჩით. ჩვენი უფროსნი ზოგნი ევროპიას გიახლნენ და ზოგნი ისევ ჩვენს მონასტერში მოვედით და ჩვენი ჯემწიფის მოწყალებას და ნუგეშს მივმართეთ.

ღმერთი გაგიმარჯვებს და თქვენს ბრწყინვალე შვილებს მრავალჟამიერად ჰყოფს, სამართალი მოიღეთ. ერთი მაგარი ოქმით და იასაულით, რომ ჩემი ისოდენი ხნის გირავო მეცე დამნებდეს და ჩვენს შეწუხებულობას ჯელი წარემართოს. ეს უსამართლობა მოიღო, არც ასლი სიგელი გამოართვა და არც მე შემატყობინა.

თავში

ქ. ბატონისშვილი გიორგი გიბძანებთ, საბავ და არუთინ! მერე ამ არზის პატრონი ამ არზით ასე რომ ჩივის, ამისი საქმე. რადგან ასე ყოფილა და პირველი მოგირავნე ეს არის და ამას ჰქონია გირაოთ, ახლაც ამასვე უნდა დაანებოთ ის დუქანი; და იმ მეორე მოგირავნეს იმ დუქნის პატრონმა უნდა გასცეს პასუხი. და სამართალიც ეს არის და ქალაქის განწესებაც, რომ ის დუქანი ამ პირველის მოგირავნისა არის და ამასვე მოაბარე ახლავ. ასე აღასრულე. ივლი-

ს[ის] ლ. ქოროწიკონს უპე. გიორგი

## 412. არზა იესე სპაფაქისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1797 წ. 30 ივლისი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 46. საბუთი № 197. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[139] ღმერთმან მის უღირსად მოწყალის ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მათ მიწად მტვერს სპაფაქს იესეს მოსცეს.

ჩემო მოწყალევ, მოგეხსენებათ, რომ ამას წინათ წლებში თავი გაწყინეთ ჩვე[v]ნგან წართმეული გარეჯვრის მამულებზე. ღმერთმა გაგაძლიეროსთ, თქვენის სიმაღლისაგან ოქმი გვებოძა ამილახვარს იესეზე, მიმბაშს ოთარზე და ამათ სახლისკაცებზე. ესენი ერთათ შეყრილნი სამართალში მელაპარაკნენ. ღვთითა და თქვენის ბედნიერებით სამართლით მე მომეცა და ორ-ორი განაჩენიც ჯელთ მიჭირავს.

ეს მამულები ჩემი და ჩემის სახლის კაცებისა საძმო იყო, მე მეჭირა, რომ რაც ხარჯი მექნა იმის მიზეზედა და როდესაც ჩემს განაყოფებს თავიანთი რასათი ხარჯი მოეცათ, მერე მამულიდამ რაც წილი ჰქონდათ, თავ-თავის რასათისათვის ჯელი მოეკიდათ.

ჩემ[მ]ა ერთმა სახლისკაცმა თოფხანის ატუტენტმა თავის რასათი ხარჯი მომცა და თავის რასათის მამულის მოსავალს ჯელი მოჰკიდა. და ერთი სხვა განაყოფი გვყვანდა, ვთხოვდი ხარჯის თანხას, რო[მ] მომეც და შენს წილს მამულის შემოსავალს ჯელი მოჰკიდე-მეთქი. დღეს-ხვალ მოცემას მპირდებოდა და დღეიმდისაც არ მოუცია.

ახლა რომელსაც ჩემი მამულები წინად წლებში ეჭირა, გიორგა[ს] შვილი უთრუთ გახლავს. იმ უთრუთს მაშინდელი თავისგან ჩამორთმეული მამულისათვის ჯელი მოუკიდნია, ორის წლის მოსავალიც ჯელში უჭირავს; რომ ვეუბნები — რა გრჯის, რომ ჩემს მამულს ჯელსა ჰკიდებ, ამას მეპასუხება — შენმა განაყოფმა მამყიდაო.

ჩემო ჯელმწიფევ! სანამ ჩემი განაყოფი თავის რასათის თეთრის პასუხს არ მამცემს, როგორ [140] შეუძლიან გასყიდვა. ჩემი თეთრი რომ მამცეს, მაშინც თუ თავის წილის გასყიდვა უნდა, მე უნდა მამყიდოს.

გევედრები ერთის იასაულისა და ოქმის წყალობა მიბოძოთ, რომ იმ გიორგის შვილმა იმ მამულზე ჯელი აიღოს, რომ ერთი შფოთი არა მოგვიხდეს რა.

თუ ჩემის განაყოფისათვის მიუცია რამ, თითონ იცის და იმან, როდესაც ჩემი განაყოფი თავის რასათს დანახარჯს მამცემს, თავის წილზე უფლება ექნება. ივლისის კე, ქორონიკონს უპე.

თავში

ჩვენი ბძანება არის! მერე ამ არზის პატრონი ამ არზით ასე რომ ჩივის, შენ უნდა მიხვიდე და იმ მამულზედ ჯელი აუმართო. და რაც იმ მამულის მოსავალი აელოს, გამოაბარო და ამ იასეს მოაბარო. ეგ მამული მანამდინ იასეს უნდა ეჭიროს, მანამ რაც მაგ მამულზედ დანახარჯი მოსელია, იმ დანახარჯს მოსცემდეს თავის განაყოფი.

და თუ რომ მასუკან ამისი განაყოფი თავის წილს გაჰყიდის, ამავ იასეს უნდა მოჰყიდოს, სხვაზედ გასყიდვა არ იქნება, სამართალი ამას მისცემს. და თუ ამის მოდავეს სიტყვა ჰქონდეს, სამართალში ელაპარაკოს. ივლისის ლ, ქორონიკონს უპე.

## 413. არზა ბეჟან რატიშვილისა მამულის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით

1797 წ. 8 აგვისტო

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 28. საბუთი № 175. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[122v] ღმერთმან მეფის ძის გიორგის ჰირი მოსცეს რატიშვილს ბეჟანს.

ამას მოვახსენებ. ერთის დღის მიწა გახლავსთ ჩემი თავისის ჭალითა. შარშან წიგნიც მოგართვით იმისი, რომ ჩემი არის, კიდეც გასჯავრდით და ოქმი მიბოძეთ თადიაზედ, მაგრამ არ დამანება. ამ მიზეზით არ მანებებს, რომ შალვას ეთქოს, რომ — მე კი არა მაქვს და ბეჟანს რათა აქვს აქ მიწაო. ხომ მოგეხსენებათ, რომ შალვას მოწმობა ჩემზედ არ დაიჯერება.

და ერთის ოქმის წყალობას ვითხოვ კიდევ თადიაზედ, რომ ის მიწა მე დამანებოს. ბარათი ხომ მოგართვით შარშან და [123] ნახეთ რომ ჩემი იყო და რას მემართლება. შენის შვილების მზემა და ჩემის ერთის შვილის მზემა, რომ ჩემი ალალი არის ის მიწა. აგვისტოს ჱ, ქორონიკონს უპე.

ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი   გ ი ო რ გ ი   გიბძანებ   გ ა [illegible] თ ა დ ი ა ვ! მერე ამ არზით ბეჟან რატიშვილს ასე რომ [illegible], თუ თქვენ სიტყვა გაქვსთ რამე, ჩვენთან ჩამოდით. და თუ არა, ეგ მიწა ისევ ბეჟანს უნდა მოსცეთ.

და თუ კაკუტას სიტყვა აქვს რამე, ჩვენ მოგვახსენოს; და თუ არა, ამას უნდა და[ა]ნებოთ ეგ მიწა. ავგისტოს ℧, ქორონიკონს უპე.

ორი ოქმი მებოძა ბატონისა, კ ა კ უ ტ ა[1] სამართალში არ წავიდა, ჴელი ავმართე და ბეჟან რატიშვილს მივაბარე ის მიწა მე, გ ა რ ა ყ ა ნ ი ძ ე   თ ა დ ი ა მ ა.

## 414. არზა გიორგი მაჭავარიანისა მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1797 წ. 13 აგვისტო**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1152. დედანი. ქაღალდი. 20×11,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჰირი მოსცეს თქვენს მონას მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ს   გ ი ო რ გ ი ს.

ჩემი მოხსენება ეს არ[ის]: შ ა ლ ა უ რ ი   როგორი ტყე იყო და მტრით სამ[ს]ე იყო, კარგად მოგეხსენება.

შენს მზეს ვფიცამ, რომ ღამის მეხრეობით და გუთნისდედაობით ტყე გამიტეხი[ა] და მამული გამიკეთებია. ზოგნი თქვენი ჰირის სანაცვლონი შეიქნენ და მათი ობლებიც აქა[ა], ჩვენც ისევ ცოცხლები გ[ახლა]ვართ.

ჩემს წილზე და, რომელიც იმ მამულში მოკვდა, მის წილს მამულზედ თავს გაწყუენენ ნიადაგ. ჩემო ხელმწიფევ, თქვენს შვილს მ ე ფ ე ს ო ლ [ო] მ ო ნ ს   ვახლავარ. გონია, რომ ისიც თქვენი იყოს. და თუ თქვენი სა[წ]ყენი იქნება, აღარ ვ[ეა]ხლები. აქ მოვალ და ჩემ სამკვიდრო მამულ[ს] არ დავკარგავ.

წინაზედ მოგახსენე თქვენი [ბედ]ნიერის პირისაგან დიდი იმედი მებრძანა, [რომ] მამულს ვერავინ [გა]მოგართმევსო.

მე იქ გახლავარ, ყო[ვ]ელთვის თავს გაწყუენენ და გთხოვ, თუ შენი ნება იყოს, ამ არზაზედ ერთი მტკიცე ოქმი მიბოძე, რომ ვინცო[ბაა,

[1] კაკუნა.

რომ] თქვენ ალარ მო[გაგონდეთ], ვინც ჩემი მამ[ულის ოქ]მი აიღოს, [ამ] ოქმით ბათილი იყოს, რომ ჩემი მამული არ წამერთმეს, ღმერთმა გაგიმარჯვებს. მარიამობისთვის თ, ქორონიკონს უპე.

თუ არადა, ჩემ[მ]ა თავმაც [თქვენი] ჭირი წაიღ[ო]ს და იმ ობლებმაც.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ამ არზის პატრონო! მერმე შენთვის, რაც მამულის წყალობა გვიქნია, რომ ჯელში გიჭირავს ხათრიჯამი იყავ, რომ ვერცავინ შემოგეცილება და არცავის მივცემთ და თუ ვინ იცის, რომ ზაკვით ოქმი გამოგვართვას ვინმე, ეს ოქმი იმის წინააღმდეგად გვიბოძებია. აგვისტოს იგ, ქორონიკონს უპე.

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჯმობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს ერეკლე.

## 415. არზა ზახორელ ბერუასი მამულის თაობაზე იულონ გატონიშვილის ოქმით

**1797 წ. 17 აგვისტო**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1841. დედანი. დაზიანებული. ქაღალდი. 20,8×16,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. საბუთის პირი დაცულია ცენტრარქივში პ. კარბელაშვილის პირად ფონდში, რვეული № 14, გვ. 53.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალე მეფის ძის იულონის ჭირი მოსცეს მათს მიწას ზახორელ ბერუას.

მერე მათს სიმაღლეს ამას მოვახსენებ რომ, როდენს მტრის მიზეზით ჩემი მამა-პაპა ზახორიდამ აიყარა და ჩემს მამულს ვეღარ მიუდექ, მე ახლა ჯელთუბანს გახლავარ და როდენსაც თქვენი ბრძანება მოვა, მეც ყოველთვინ თქვენს სამსახურზედ გამზადებული გახლავარ. მაგრამ ჩემის მამულიდამ შემოსავალი კი არა მ[ა]ქვს რა; მთის კაცნი ჩამოდიან, ხვნენ და ღალას ამილახვრიანი იღებენ.

ახლა ამ წყალობას ვითხოვ, რომ ერთი ოქმი მიბოძო, რომ ამილახვრიანთ ჩემი მამული მე დამანებონ, რომ როგორათაც მამა-პაპას უღია, ისე მე ავიღო, თქვენის პრწყინვალე შვილების სადღეგრძელოთ. მარტო ჩემის სარგოსათვინაც არ მოგახსენებ. სამუდამოთ ის მამული თქვენთვინაც დაიკარგება და ნება თ[ქვენი]ა. აგვისტოს [იე], ქორონიკონს უპე.

ბატონიშვილი იულონ გიბძანებ მოურაო ქ ა რ უ მ ი ძ ე ს-
ს ა დ ა ნ!

ბიბლიოთეკა

მერმე ამ არზის პატრონი, ამ არზით ასე რომ ჩივის, ვისაც ამის მამულში ჰირნახული სდგომოდეს, თუ იმათთვის ჯერ ლალა არავის გამოერთმევინოს, შენ უნდა გამოურთო და ამ არზის პატრონს მოსცე. და თუ სხვას გამოერთმევინოს, იმას დადექ; და რაც ამისი მამულის ლალა აელოს, სულ უკლებრად გამოურთვი ახლავ და ამ არზის პატრო[ნ]ს მოეც. და ამის შემდგომადაც თუ მოსტაცოს ვინმე თავის მამულის ლალა, მაშინაც შენ უნდა გამოურთო ხოლმე. აგვისტოს **იზ**, ქორონიკონს **უპე**.

ბეჭედი: ტომ-სქესით არ ნაკლისაგან ი უ ლ ო ნ ირაკლისაგან.

## 416. არზა ბეჟან მინბაშისა სამართლის მიცემაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

**1797 წ. 1 სექტემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1363. დედანი. ქაღალდი. თავი მოხეულია. 31×16,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნი[ერი]ს ხელმწიფე დედოფლის ჰირი მოსცეს მათს მონა მინბაშს ბ ე ჟ ა ნ ს და ამის ძმისწულს ი ვ ა ნ ე ს.

მერე თქვენის შვილის[1] ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს ოქმითა ბძანებით ჩემი ძმისწული გ ო გ ი ა ც ხ ი ნ ვ ა ლ ს გზლებოდათ, ხ ე რ ხ ე უ ლ ი ძ ე [ე] ბ ს ჯარი შე[ე]ყარად და სადილზე მჯდომს თავს დასხმოდნენ, ასე უწყალოდ მოეკლად ხლმის ცემით, ხანჯლითა და რამთენივე კეტის ცემით აზნაურის შვილის თოფის სროლითა და მსახურის ხელების დაყრევინებით, იარაღის აყრით და გაცარცვით და სიკვდილის პირობის გაგდებით, რომ თავსაც სადმე სჰრიდა ჯ ა მ ა ს ჰ ი ხ ე რ ხ ე უ ლ ი ძ ე.

ამისთანა რა დანაშაული ქონდა. დღეს არც თქვენსა ყმასა ვგავართ და არც თქვენს საფარველს ქვეშ მყოფს. რომელსაც თქვენს მუხანათს თქვენის მისეულის ჯარისაგან დაემართება, ჩვენც იმგვარად მოგვკლეს ხერხეულიძე[ე]ბმა.

ჩვენ თქვენის სამართლის მაყურებელნი გახლავართ და არცა რა შეგვიცოდნია. წყალობას ვითხოვთ, თქვენს შვილს ი უ ლ ო ნ ზ ე დ

[1] + შვილის.

ერთი ოქმი გვებოძოს, ღმრთის წინაშე სამართალი გვაღირსოს. აგვისტოს **ლ**, ქორონიკონს **უპე**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავში.

[ქ. ჩვენო ღვთის წყალობავ შვილო ბატონო იულონ], მერე [ბეჟან მინ]ბაში და იმის [ძმისწული] ასე რომ ჩივის, ამა[თი სამა]რთალი თქვენ უნდა კარგათ გ[ასი]ნჯოთ, ვისაც უჩივიან, ისინიც თქვენთან მიაყვანინე, კარგათ გამოიძიეთ [და] სამართლიანის საქმით ისე მოარიგეთ, სეკდენბრის **ა**, ქორონიკონს **უპე**.

ბეჭედი: დ ე დ ო ფ ა ლ ი დ ა რ ე ჯ ა ნ.

## 417. არზა მურვანიშვილებისა მამულის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1797 წ. 15 სექტემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1383. დედანი. ჭაღალდი. 22×14,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის მეფის ძის გიორგის ჭირი მოსცეს მ უ რ ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ე ბ ს.

მერმე ამას მოგახსენებთ. ამ ზამთარ მამულებზედ ვჩიოდით ჩვენ და სურამელები. მის უმაღლესობის ბატონისაგან ოქმი გვებოძა დ ი ა ს ა მ ი ძ ე ზ ე დ, რომ ის მამულები ჩვენ უნდა მოგვბარებოდა.

და ახლა ამ წყალობას ვითხოვთ, ერთი ოქმი გვებოძოს დ ი ა ს ა მ ი ძ ე მორდალზე, რომ რაც ბატონის ბძანება იყოს, ისიც ისე აღასრულოს. და ჩვენს კაცებს რომ სახლები დაუქციეს, ისიც მოიკითხოს. თუ ჩვენ ვსტყუოდეთ, ჩვენ გადავვახდევინოს, თუ არადა, იმათ გადახდეთ. თავისთავად რათ უნდა ქნან ამგვარი საქმე, რომ თქვენი ბძანება არ იყოს. სეკდემბრის **იე**, ქორონიკონს **უპე**.

თავში

ქ. ბატონო მორდალო დ ი ა ს ა მ ი ძ ე, ი ე ს ე! მერმე ამ მურმანისშვილების საქმის გარიგება როგორც მათის უმაღლესობისაგან ბრძანება გქონდეს, ისე აღასრულე. და ამას გარდა ამათის კაცების სახლები რომ [და]უ[ქცევი]ათ, ისიც სამართლიანის საქ[მით] მოიკითხე და გაურიგე. სეკდემბრის **იე**, ქორონიკონს **უპე**. გიორგი

## 413. არზა პავლე მღვდლისა სარგოს თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით

**1797 წ. 20 სექტემბერი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 840. დედანი. ქაღალდი. 17,3×16 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან მეფის ძის გიორგის ჭირი კარის საყდრის მღუდელს პავლეს მომცეს.

ბატონის ბეჯითი ოქმი მაქვს მოხელე[ე]ბზედა: ხუთის თავიდამ, ამისთვის რაც ჯამაგირი და ულუფა განგვიწესებია ჩვენის ოქმის ძალითა, არა და[ა]კლოთ რაო. არეულობას აქეთ არა მომცემია რა. მეტად საქმე გამიჭირდა, ოქმის მოწყალებას გევედრები სალთხუცესზედ, რაც არეულობას აქეთ გლახაკთ მოწყალება. ჯამაგირი და ულუფა არ მომცემია, მომცენ და [ა]ნ ბატონის ოქმი მიცხადებდეს, ისე აღგისრულდეს თქვენად სამლოცველოდ, მოწყალევ.

თავში

ქ. ბატონო სარდალ-სალთხუცესო ორბელიანო იოანე! მერე ამ პავლე მღვდელს მათის უმაღლესობისაგან მტკიცეს ბრძანებით როგორც ხუთის თავიდამ ამას განწესებული თავისი ჯამაგირი რაცა აქვს და ან ულუფა რაც დაკლებოდეს და არ მისცემოდეს, ის ნაკლებიცა და წლევანდელიც ორივ გაურიგეთ და მოეცით მათის ბრძანებისაებრ. სეკდემბ[ე]რს კ, ქორონიკონს უპე.

ამას საქმეს გაურიგებელს ნუ დაუგდებთ და ნუღარც აჩივლებთ.

გიორგ[ი]

## 419. არზა ზაზა ბარათაშვილისა სამართლის მიცემაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1797 წ. 21 ოქტომბერი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 26. საბუთი № 10. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[8] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი იესე მსაჯულის შვილს ზაზას მომცეს.

ჩემო მოწყალევ, ჩემი შებრალება და მოწყალება ღმერთს ავასხეთ. ერთის მცირეს შელაპარაკებისა და ჩხუბისათვის ორას ოცდა ოთხს თუმანსა მთხოვენ; მე რომ ცოლითა და შვილით გავიყიდო,

მაინც ვერ აუდგები. ჩემი ვედრება ეს არის, რომელნიც მოსამართლე-ები ჩვენ გვისხდნენ, მე იმათი ყაბული არა მაქვს. იასაუ[illegible] შვილი ტეტია მადგას და მთხოვს.

გევედრებით, ღმერთი გაგიმარჯვებსთ, ერთი ოქმის წყალობა მოიღევით, [V] რომ ან თქვენს სამართალში გვალაპარაკეთ ან ჩვენმა ხელმწიფე დედოფალმა გვიყოს სამართალი; და ან რომელიც თქვენი ნება იყოს, ერთ-ერთმა თქვენმა შვილმა გვალაპარაკო[ს] და ის სამართალი მოგვცენ. ამის ოქმს გევედრები. სამართლამდის იასაულმა დაგვაცალოს და ხელი აიღოს. ოკდომბრის ე, ქორონიკონს უპე.

თავში

ჩვენი ბძანება არის გაბაშვილო ჩვენის ციხის მოურაო ტეტიავ! მერე ამ არზით ზაზა მდივნის შვილი რომ ასე ჩივის, შენ უნდა დააცალო, მანამდის ღვთის მოწყალებით ჩვენ მოსამართლე[ე]ბსა და მოჩივრებს შემოვეყრებოდეთ. როდესაც ერთათ შევიყრებით, გავშინჯავთ ამათს სამართალს და ჩვენ მივცემთ სამართალს. არც საიასაულოს გამორთმევა იქნება, მანამდის ამათი სამართალი ჩვენთან არ გადაწყდება. ოკდომბერს კა, ქორონიკონს უპე.

## 420. არზა ზაალ დავითისშვილისა ყმის თაოგაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

**1797 წ. 4 ნოემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 577. დედანი. ქაღალდი. 20,7×13 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჴელმწიფის დედოფლის ჭირი მოსცეს დავითისშვილს ზაალს.

მერე ამას მოვახსენებ: ერთი ჩემი გაზრდილი ბიჭი გამომექცა. ყვარელში გახდათ; იქ ყვარელში რომ თქვენი უმაღლესობა ბძანდებოდა დიდმარხვაში, მის უმაღლესობას მოვახსენე, ოქმი მიბოძა და იასაულათ ბერი ნაზირის შვილი; უნდა აეყარა და ჩემთვის მოებარებინა. მაშინ შემომეხვეწა და სხვანიც შუა შემოიყვანა. რაც შეიძლო, მაშინაც მემსახურა და წელიწადში სამი მინალთუნი ხარჯიც დაიდო და თავის სიმამრი მღვდელიც თავდებათ მომცა, როდესაც მდომოდა, უნდა აეყარა და მოებარებინა.

ახლა ჩემი შეძლება ხომ მოგეხსენებათ; ღმერთი ბრწყინვალე შვილებს გიდღეგძელებს, ერთი ოქმისა და იასაულის წყალობა მი-

ყავით: ან ამიყაროს ის ჩემი კაცი და მომცეს და ან ვისაც მინდოდეს მივყიდო, რომ წინამდეგობა არავინ მიყოს.

ახლა ბატონი ამისთვის ვერ მოიცლის, რომ ჩემს მოსაჩივარსა ყური მოუგდოს და თქვენ ამისთვის გევედრები. ოკდომბერს კა, ქორონიკონს უპე.

თავში

დედოფალი დარეჯან გიბძანებ ბერ ნაზირის შვილო იოსებ!.. მერე ამ არზის პატრონი ასე რომ ჩივის, როგორც ბატონის ოქმი ჰქონია შენზე გარიგებისა, ისე უნდა გაურიგო: ან აუყარო და მოაბარო, ან თავი დაიხსნას ან თავისი ბატონი მოიმადლიელოს.

ეს ასე უნდა გაურიგო; რადგან ოქმი უწინაც შენზე ყოფილა, ეხლაც შენ უნდა გაურიგო. გიორგობის დ, ქორონიკონს უპე.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

## 421. არზა კალატოზიშვილ კავკასიძისა მამულის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1797 წ. 11 ნოემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3257. დედანი. ქაღალდი. 19×11,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის მეფის ძის გიორგის ჭირი მოსცეს წვერელს კალატოზიშვილს კავკასიძეს.

ჩემი სახლისკაცი ამოსწყდა. ქვრივი დარჩა და ვინახამდი. სხვა რიგათ გაუშინჯვინებია თქვენთვის, ოქმი აულია და მამულს მედავება. თუ სარჩო უნდა, ვარჩენ; სამარხი უნდა, მივცემ; მამულის შეჭმა უნდა, სანამ ცოცხალია, სჭამოს. მამულთან რა საქმე აქვს. მამული ჩემია და მე თქვენი მონა გახლავარ.

წყალობას ვითხოვ, ოქმი მებოძოს, რომ მამულთან საქმე არა ჰქონდეს. და რომლის გზითაც უნდოდეს, ისე პასუხი მიმაცემინეთ. მე ცოცხალი გახლავარ, ჩემს მამულს ბეითალმნობით მედავება. ოქმი მებოძოს, ანტონ ავალიშვილმა ხელი აიღოს, იასაულად ის გახლავს. ნოემბერს ი, ქორონიკონს უპე.

თავში

ქ. ბატონიშვილი გიორგის სიკეთით სახსოვარო ავალიშვი[ლო] ანტონი! მერე ამ არზის პატრონის საქმე რადგან ასე ყოფილა, ამისი მამულის გამორთმევა არ იქნება. მამული ამასვე უნდა ქონდეს. და

ამის სძალი თუ ამასთან დადგება, თავს შეძლებით შეინახამს და არას გაუჭირვებს. და უნდოდეს და თავისი შეძლებით თავისი საქვეყნო და სარჩო გამოართვას და იცხოვროს, სანამ ცოცხალი იყოს, და მამულთან კი საქმე არა აქვს რა, და ვერც გამოართმევთ მამულს. ამ

საქმე ასე უნდა გა[ა]რიგო. ნოენბრის ია, ქორონიკონს უპე. გიორგი

## 422. არზა დათუა გოსტაშაბისშვილისა სამართლის მიცემაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

1797 წ. 8 დეკემბერი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14383. დედანი. ქაღალდი. 20,5×17 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის დედოფლის ჭირი მათს მონას გოსტაშაბისშვილს დათუას მოსცეს.

ჩემო ხელმწიფევ, მოგეხსენებათ, მთელი სომხით-საბარათოსშვილოსა თავადისაც და აზნ[ა]ურშვილისაც ყმა სულ დაფანტული გახლავსთ ქართლში და კახეთში. ჩემი კაცნიც დაფანტულნი გახლავან და ერთი კომლი კაცი ელიოზისშვილს ნინიასა ყავს ჩემი.

წყალობას ვითხოვ, ერთი ოქმის წყალობა დამემართოს თქვენს შვილებზე, სამართალში გვალაპარაკონ. თუ ჭეშმარიტი სიტყვა ქონდეს, თუ რომ არადა, ჩემი კაცი მევე მომცენ. ქრისტიშობის ზ, ქორონიკონს უპე.

თავში

ქ. ჩვენო ღვთის წყალობავ შვილო ბატონო გიორგი, ამ არზის პატრონი ვისაც უჩივის თავის ყმას, ისიცა და ამ არზის პატრონიც ორნივ თქვენთან მოაყვანინეთ, ალაპარაკეთ და ღვთის წინაშე ჭეშმარიტი სამართალი მოეცით. დეკემბერს ჱ, ქორონიკონს უპე.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

## 423. არზა ზაზა ამირეჯიბისა ყმის თაობაზე იოანე გატონიშვილის ოქმით

**1797 წ. 10 დეკემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 10545. დედანი. ქაღალდი. 34×18 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ძის იოვანეს ჰირი ამირეჯიბს ზაზას მოსცეს.

მერე ამას მოვახსენებ: თიღვას ერთი კომლი კაცი ბასანიძე ზურაბა პაპის თქვენისაგან ნაბოძები მყავს. რაც თიღვას დანახარჯი მქონდა იმაში მიბოძა, რომ განაჩენიც ხელთა მაქვს პაპის თქვენის და მსაჯულთ დიამბეგებისა. ჩემი ძმა ღავით ძალითა და უსამართლოებით არ მანებებს და ნიადაგ მიყლებს იმ კაცს და მიგლეჯს. მიზეზს ამას მეუბნება, რომ გასაყოფიაო. გასაყოფი რალათ იქნება, სამი და ოთხი ოქმი და განაჩენი მაქვს. წყალობას ვითხოვ, უსამართლოთ იმ კაცს ნურას აღონებს. როგორც განაჩენი მქონდეს, ისე თქვენ მიბოძოთ. ღმერთი გაგიმარჯვებს. ჭრისტიშობისთვის თ, [ქორონიკონს] უპე.

თავში

ქ. ბატონიშვილი იოანე გიბძანებთ სავანელო რამაზ! მერმე ამ არზით ზაზა ამირეჯიბი რომ ჩივის, ეს ბასანიძე ზურაბა დიამბეგებს სამართლით ამას დარჩომია და ბატონისავ:ნაც დამტკიცებული არის. შენ მიდი თიღვას და ის კაცი ისევ ზაზა ამირეჯიბს მოაბარე.

და თუ სიტყვა რამ აქვს დავითს, სამართალში ელაპარაკოს და ვისაც დარჩება, იმისი იქნება. და ახლა კი ამას უნდა მოაბარო. დეკემბრის ი, ქორონიკონს უპე. როგორც განაჩენი უცხადებს, ისე.

იოანე

## 424. არზა ოტია ზანდუკელისა ყმის თაობაზე გიორგი გატონიშვილის ოქმით

**1797 წ. 11 დეკემბერი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 13. საბუთი № 73. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[60] ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ძის გიორგის ჰირი მოსცეს ზანდუკელს ოტიას.

მერე ამას მოვახსენებ: ჩემი ერთი კომლი კაცი ახმეტას გაბლამთ[1], დავ[ა] არავის აქვს, ჩემი მემკვიდრე გლეხი კაცი გახლავთ. გევედრები თქვენი პატიოსნის შვილების სადღეგძელოდ ერთი ოქმი და იას[ა]ულის წყალობა მიყოთ, რომ ჩემი კაცი ამიყაროს და ქრისტიშობის ვ. ქორონიკონს უპე.

თავში

[59v] ბატონისშვილი გიორგი გიბძანებთ კახიშვილო სოლომონ! მერე ზანდუკელს ამ არზით თავის ყმისა ასე რომ მოუხსენებია ახმეტას ხორ[60]ხელაშვილებისა, შენ უნდა მიხვიდე იმათთან. და თუ სიტყვა აქვსთ რამე, ის კაცები აქ უნდა მოიყვანო ჩვენთან. და თუ სიტყვა არა აქვსთ რა და ამისი ყმანი არიან[2], აუყარე და ამ ზანდუკელს მიაბარე. დეკემბერს ია, ქორონიკონს უპე.

და თუ სიტყვა ჰქონდესთ[3], ჩვენთან უნდა ჩამოიყვანო ის კაცნი.

## 425. არზა დავით ელიოზიშვილისა სამართლის მიცემაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

**1797 წ. 14 დეკემბერი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1363. დედანი. ქაღალდი. 29,6×19,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის დედუფლის ჭირი თქვენს მონას ელიოზის ძეს დავითს მოსცეს.

მერე ამას მოვახსენებ: ჩემს სახლისკაცს მოუხსენებია, რომ ალამამადხანის დროს არეულობაში ჩემის სახლისკაცის კაცი ეკლესური ოსის ჯარით მომიხდაო, და ეკლესიაც დამიწვა და ჩემი და ჩემის კაცისა ხუთასი კოდი პური წაიღოო.

ერთი მოხსენება ესე, რომ ჩემი კაცი არსად არ მისძღოლია; რომ ჭრცხინვალის ხეობიდამ და სხვას სოფლებიდამ რამთონი ათასი კოდი პური წაიღეს ოსებმა, კარგად მოგხსენებია; და ჩემის სახლის კაცის საყდარი და სახლი რომ ოსებმა დაწვან და პურიც წაიღონ ჩემის კაცისა რა გადასახადი არის. იმის პურის წამღები და სახლკარის

---

[1] + არავის. [2] + და. [3] + და.

დამწუელი მაგისი მტერი იყო, რომ მაგან ძმა მოუკლა, იმ მესიხლემ უყო.

მაგრამ ჩემის მტერობით რომ ამ კაცის გატანა უნდა, ჩემგანაც ჩემს კაცს აბრალებს. ხომ მოგეხსენება ამ კაცზედ რამდენი ოხრახა მომიგონა მამაცა და შვილმაცა, მაგრამ თქვენმა სამართალმა არ მისცა. ახლაც ეს მოუგონია და იმ კაცს დიდს წყალობას დაჰპირებია: ოღონც შენ ასე თქვი, რომ ამისი სახლკარი მე დავწვიო და ამისი პურიც მე წავიღეო და რაც ვალი გმართებს მე გარდაგიხდიო. ესეც ხომ მოგეხსენება, იმ კაცს ჩემი თავი არ უნდა და მაგისკენ იწევს. რა საკვირველია, ხელისწერილს მისცემს, რომ რაც დავჰკარგე, რომ რაც ყველა ჩემგან არისო.

თუ კი ტყუილს არ მოგახსენებდენ, რაცა მაგისი სახლკარი აიკლეს და დაწვეს, მაშინ მამა ჩემიც იქა გხლებოდათ და გაეტიტვლებინათ. თუ ჩემი კაცი იქ იყო, რატომ მამაჩემმაც არ ნახა. მგონია კიკოლას სიტყვასთან მამის ჩემის მოხსენებულიც შეიწყნარებოდეს.

კიკოლას ოსტატობა ხომ მოგეხსენებათ, რომ როგორის მამისა და პაპის შვილი არის და მაგ კაცზედ რას ოსტატობასა სცილობდა, ვერა გააწყო რა, ახლა ამ ოსტატობით ცდილობს, რომ ეს კაცი გაიტანოს.

შენს მზეს ვფიცავ, ამაზედ რასაც მიბრძანებ იმ მუჩალგას დავსდებ, რომ ჩემს კაცს არც მაგისი სახლკარი და საყდარი დაეწვას და არც მაგისი პური წაელოს.

გალახვა მოუხსენებია, ამაზედაც მუჩალგას დავსდებ.

ჩემო ჯელმწიფევ, თოფის პირის ჩაკვრა, რომ მოუხსენებია, მისმა სიმაღლემ ბატონმა ოქმი მიბოძა და თქვენი ოქმიცა მქონდა ამილახვარზედ იმ კაცის დაჭერისა და თავდებობისა. ის კაცი რომ დაიჭირა იასაულმა, ჯერ შინ მიხდომა დაეპირებინა, იქ კი აღარ მომიხდა. მეორეს დღეს იასაულებთან გახლდი, ჩამომიხდნენ სამნივ ძმანი და იმდონი ღმრთის მადლი და თქვენი წყალობა მაქვს, რამდონი მე მაგათა მცემეს. ამილახვრის იასაულებმა და ქრცხინვალელთ იციან, თუ როგორ იყო ჩვენი ჩხუბი. ამითი ეს ორჯელ მოუკლავარ. ერთხელ უწინ მომკლა და იარაღი ამყარა და მოგახსენე და არა სამართალი მიბოძეთ და ახლა ეს არის, რომ ასე ავად მომეპყრა.

ამდონი თქვენი მოწყალება იყოს, რომ ერთი ოქმი და იასაული მიბოძეთ, რომ საცა თქვენი მოწყალება და ჯელმწიფება ინებებდეს, ორთავ სახლის კაცებმა თქვენს ჰეშმარიტს სამართალში გავიაროთ. ნოემბრის იწ, ქორონიკონს უპე.

თავში

ქ. ბატონო ამილახვარო ოთარ, მერე ამ არზით ეს ელიოზისშვილი დავით, რომ ასე უჩივის თავის სახლისკაცს კიკოლას, ღმრთით ჩვენ რომ ქალაქში ჩავალთ, ამ დავითის კაციც ჩვენს სამართალში უნდა გამოისტუმროთ თავისის შვილებითა. და კიკოლა რომ დაწვას უჩივის დავითის კაცსა, კიკოლას რაც საბუთები აქვს და მოწმობა, ისიც ჩვენს სამართალში უნდა მოიტანოს და ღმრთის წინაშე სამართლიანის საქმით მოვარიგებთ. მაგრამ თუ კიკოლამ თავისი საბუთები ყველა ჩვენს სამართალში არ მოიტანა და არ გამოაცხადა, სხვას ალაგს ჩვენს მალვით საცა მიიტანს, ბათილი იქმნება, ასე იცოდეს. დეკენბრის **იდ**, ქორონიკონს **უპე**.

. ბეჭედი: დედოფალი დარეჯან

## 4 26. არზა იოსებ მიშკარბაშისა და მელიქ დარჩიასი მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1797 წ. 22 დეკემბერი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 22. საბუთი № 55. პირი. ქაღალდი. მხედრული. საბუთის პირი დაცულია აგრეთვე ამავე ფონდში, დავთარი № 25. საბუთი № 116.

[72v] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჰირი მოსცეს მათს ფეხთ მიწა მტვერს იოსებს, დარჩიას და არსენს.

ჩვენო ხელმწიფევ, ნეტარად ხსენებულის ბატონის მამის თქვენის წყალობა და თქვენი წყალობა ოთარ მდივნის მამული რომ გვიჭირავს ზემო ქართლში, ზოგიერთი მამული გაურჩეველია და ღალა გვეკარგება. წყალობას ვითხოვ, თქვენს შვილს იულონზე და ამილახ[73]ვარზე ოქმი გვიბოძოთ და ფიცით უბძანოთ: რაც ქართლში ჩვენი მამული არის თქვენი წყალობა, ნასყიდი თუ სამკვიდრო, ღმრთის წინაშე თუმანიშვილებს და იქაურს მცოდნე კაცებს ფიცითა ჰკითხონ და სამართლიანის საქმით ჩვენი მამული გაგვირჩიონ და მოგვაბარონ, რომ ერთი შფოთის მიზეზი არა მოგვეცეს რა. ღმერთი გაგიმარჯვებს. დეკემბრის **ი**, ქორონიკონს **უპე**.

თავში

ჩვენო ღვთის წყალობავ შვილო ბატონო იულონ და ამილახვარო ოთარ!

მერე როგორც ამ არზით მიშკარბაშსა და მელიქს მოუხსენებია თუმანიშვილები და სხვა მცოდნე კაცნი დაისწარით და რაც ოთარ

მდივნის წილი სამკვიდრო და ნასყიდი მამული თუ ყმა, რაც იყოს ღვთის წინაშე გაურჩიეთ და მოაბარეთ. გაურიგებელს ნუ დაგდებთ.

დეკემბერს კბ, ქორონიკონს [უ]ჰე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 427. არზა მურვანიშვილებისა განაჩენის აღსრულების თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

**1792—1797 წწ.**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 6750. დედანი. ქაღალდი. ბოლო აკლია. 24,2×14,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. საბუთი შედგენილი უნდა იყოს ერეკლე II-ის მეფობის უკანასკნელ წლებში.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონათ მურვანიშვილი იესესი, ქაიხოსროსი, რევაზისა და ლუარსაბისა.

ხიდირბეგიშვილისაგან მოსაცემი კაცი თუ თეთრი, რომელიც სამართალმა განაჩენით გვიბოძა, რომ იასაულათ ეშიკაღაბაში თამაზ გახლდათ, იმას ახლა ძმები გაყრაში იყოფენ. გევედრებით ოქმი და იასაული გვიბოძოთ, როგორც ის განაჩენი გვიცხადებდეს...*

თავში

ქ. ჩვენ მაგიერად ორბელიანს ეშიკაღაბაშს თამაზს ასე ეუწყოს! მერე ამ არზით მურვანისშვილები ასე რომ ჩივიან, ამათის საქმის გარიგების მოასილი ამასწინათ შენ ჰყოფილხარ და ახლაც ამათი საქმის გარიგების მოასილი ამასწინათ შენ ჰყოფილხარ და ახლაც ამათი საქმე შენ უნდა გა[ა]რიგო, როგორც სამართალი მისცემოდეთ [და] განაჩენი უცხადებდესთ, რასაც ამათს მოსაცემს იყვნენ სამართლით ხიდირბეგიშვილები, ის ისე გამოურთვი და მოეც. და თუ სხვა ჭეშმარიტი სიტყვა ჰქონდეს რამე და სამართალში მოიყვანე. მარტის ლა, ქორონიკონს უპ...**

* ბოლო აკლია.

** ბოლო აკლია.

## 428. არზა თინათინისა ვალის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

**1798 წ. 2 იანვარი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 579. დედანი. ქაღალდი. 31×12 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან საქართველოს ჯელმწიფის დედოფლის ჭირი თქვენს მჯევალს თინათინს მოსცეს.

თაქთაქიშვილებმა ჩვენგან რვა თუმანი აიღეს ვალი. აგერ სამი წელიწადი არის, არც თავნი და არც სარგებელი არა გვიჭირავს რა. იმ თეთრის თაობაზე ოცის თუმნის გირაო დამეკარგა, ჩვენი გაჭირვება თქვენც მოგეხსენებათ. მეც ვალის პატრონი ვარ და მაწუხებენ მოვალეები. ელისბარ მაჩაბელზე ერთი ბეჯითი ოქმის წყალობა მიბოძეთ, რომ გამომირთვას. იანვრის ბ, ქორონიკონს უპვ.

თავში

ქ. მაჩაბელო ელიზბარ! ამ არზით თინათინ რომ ასე უჩივის თაქთაქიშვილებს, ახლავ შენ დაადექ სამართლიანის საქმით, რაც ამისი ემართოსთ, უკლებლად გამოურთვი და მოაბარე. რას ემართლებიან, რომ ალაპარაკებენ. გაურიგებელი არ დააგდო. ახლავ გამოურთვი და მოაბარე. იანვრის ბ, ქორონიკონს უპვ.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან

## 429. არზა ამილღაბარ ციციშვილისა მამულის თაობაზე იულონ გაბონიშვილის ოქმით

**1798 წ. 11 იანვარი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 408. დედანი. ქაღალდი. 20×14,5 სმ. მხედრული. დაზიანებული. ბოლო მოხეული აქვს. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის მეფის ძის იულონის ჭირი მათს მონას ამილღამბარ ციციშვილს მამცეს.

მოგეხსენებათ მე და ჩემი ძმა რომ თქვენს წინ გავიყარენით, მამაპაპისა ერთი კომლი აზნაურშვილი გვყავს კლიმიასშვილი, ერთსახლათ არიან გაუყრელი. ის აზნაურშვილი ჩემიც არის და იმისიცა. ახლა ის აზნაურშვილი ამ მამულს გორელს კაცს უგირავებს. თუკი მამულს დამიგირავებს და გამიყიდის, რიღასი აზნაურშვილი იქნება.

ამ წყალობას ვითხოვ, ერთი ოქმი გვიბოძეთ, რომ რაც ჩემი საწილო იყოს ნურც და[ა]გირავებს [და ნურც გაყიდის. მრავალი?] შვი-

ლების პატრონი გახლავართ. ჩემს საწილოს ნურც ყმას ღ[ა]გირებენ და გაჰყიდის, ნურც მამულსა. ამ ჩემს წილთან ნურც ჩემს ძ[მას] ექნება ხელი, ნურც [აზნაურ]შვილსა. აღიწერა იანვრის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავში

ქ. ბატონიშვილი იულონ გიბძანებთ ამილახორიშვილო ერასტი! მერე ამ არზით ამილღაბარ ციციშვილი თავის აზნაურშვილს კლიმიაშვილს რომ უჩივის, ამილღაბარ და კლიმიაშვილი ორნივ ჩვენს სამართალში დააყენე, რომ ამათი საქმე სამართლიანის გზით გავარიგოთ. იანვრის **ია,** ქორონიკონს **უპვ.**

ბეჭედი: ტომ-სქესით არ ნაკლისაგან იულონ ირაკლისაგან.

## 430. არზა გივი ციციშვილისა ვალის თაობაზე იულონ ბატონიშვილის ოქმით

**1798 წ. 6 თებერვალი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 9994. დედანი. ქაღალდი. 21×11,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. ოქმის თარიღი მცდარი უნდა იყოს.

ქ. ღმერთმან ბედნიერის მეფის ძის იულონის ჭირი ციციშვილს გივს მოსცეს.

მერმე ამას მოვახსენებ: ჩემი შვილი ზაზა რომ სტამბოლისაკენ წავიდა იმ ჟამად მალაქიასაგან ოცე თუმანი ვალად ავიღევით ხელის მოსამართავათ და მმართებს რომ მისაცემს ვარ. ახლა თქვენთვის არზი მოურთმევიათ, რომ: ვისაც ჩემთვის თითო-ორორი შაური მართებს, ერთი ოქმი მიბოძეთ იასაულით, რომ ჩემი გამომირთოს და მომცესო; და თქვენც ბეცია თარხნისშვილზე გიბძანებიათ. მოვიდა ბეცია და მაწუხებს.

ჩემო ხემწიფევ, მე სიტყვა არა მაქვს, ჩემი ვალი არის, უნდა მივცე, მაგრამ მოგეხსენებათ ახლანდელი დროს[1] ამბავი, რომ რას დროს ჩავცვივდით; თუნდა კაცს ვეჯი ჰქონდეს, გასყიდვაც გაუჭირდება, თორემ ისე შოვნა რასაკვირველია. გევედრები, ერთი აყრილი და უბინაო კაცი გახლავარ, ჯერეთ ერთს უალაგოს ალაგს ცოლით, შვილით და ყმით მიველ, ეგების თქვენის ბედნიერებით და ღმრთის შეწევნით[2] შენობა ჩამოვაგდო რამე; ეს კაცი, დიაღ, მაწუხებს; გევედ-

---

1 დროშ.

2 + ეგების.

რები, რომ ოთხს თვეს დამაცალოს და ოთხს თვეს თავისას რითაც ღო-
ნით იქნება გავლონიერდები, მივდგებ-მოვდგები, უშოვნი და [illegible] მივაბარებ. ღმერთი გაგიმარჯვებს, ამის მოწყალება მო[illegible] ბერვლის ვ, ქორონიკონს უპვ.

თავში

ქ. თარხნიშვილო ბეციავ! ამ არზით ციციშვილი გივი ასე რომ ჩივის, რადგანც ახლა ასეთი დროა, რომ შეძლებულის კაცისათვისაც გაჭირებულია ახლა თეთრის შ[ოვნა], ამის მიზეზით ამისთვის ორმოცი დღე [ვა]და მიგ[ვ]იცია და შენც უნდა და[ა]ცადო. ორმოც დღეზედ ისევ შენ გამოურთვი და მიეც. თებერვლის ე, ქორონიკონს უპვ.

ბეჭედი: ტომ-სქესით ძრ ნაკლისაგან იულონ ირაკლისაგან.

## 431. არზა ზაქარია ბებურიშვილისა სამართლის მიცემაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1798 წ. 9 თებერვალი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2474. დედანი. ქაღალდი. 19,5×12 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი ზაქარია ბებურისშვილს მოსცე[ს].

ჩემო ხელმწიფევ, ერთობაში დედაჩემი თქვენის ჭირის სანაცვლო შეიქნა და ბიძაჩემს ორი ფულისა არა დაუხარჯავს რა, ისევ დაუმარხავ[ი] გახლავსთ.

მეორე ეს, ჩემო ხელმწიფევ, რომ: მოგეხსენებათ, შორაგლის მოურაობა საერთოთ წყალობათ გვჭირდა და რაც შემოსავალი გვქონდა, ისიც საერთო იყო. ამ ზაფხულს რომ შორაგალს გახლდათ, ისევ გაუყრელნი გახლდით და რაც მოიტანა, არასფერში წილი არაში დამიდო.

წყალობას ვითხოვ, რადგან ჩვენი საქმე მოსამართლე[ე]ბმა უნდა გა[ა]რიგონ, ერთი ოქმი გვებოძოს, რომ ამ საქმეზე იმათ მოგვარიგონ. იანვრის კზ, ქორონიკონს უპვ.

თავში

ქ. ბატონო მდივანბეგებო! ბებურიშვილს ზაქარიას ამ არზით ასე რომ მოუხსენებია, ამ საქმეზედაც ესე და ეშიკაღასბაში აიდემურ თქვენ უნდა მოარიგოთ და გარდაუწყვიტოთ, რომ სადაო აღარა ჰქონდესთ რა. თებერვლის თ, ქორონიკონს უპვ. |გიორგი|

## 432. არზა დავით ოქრომჭედლიშვილისა მამულის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1798 წ. 2 მარტი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 31. საბუთი № 184. პირი. ქაღალდი. მხედრული. იქვე, საბუთი № 260.

[132v] ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჭირი დავით ოქრომჭედლის შვილს მოსცეს.

მერე ფავლენის შვილს რევაზს არზი ძოურთმევია უურთ და ოქმი გიბოძებიათ, ჩემი მტერი აბიათარის შვილი ჩაუწერია იასაულათ. აბიათარის შვილი ერთხელ მოვიდა, კაცი დამირბია; მეორეთ მოვიდა, სიკვდილს მიპირობდა, თოფი დააცემინა და საპირისწამლე აიღო და არ გამოუარდა, მერმე ხანჯალს ხელი გაიკრა და სოფლის კაცმა არ გაუშვა.

ჩემო ხემწიფევ, სამართალს ვითხ[ო]ვთ აბიათარის შვილზედ[ა]ც და ფავლენისშვილზედაც. მე [ე]ს მუჩალგა მომირთმევია: თუ იმისი მამულისა წამეღოს, ერთიორად მიმცემი ვიყო, და ჩემი სისხლიც ალალი იყოს. თუ არადა, სამართალს ვითხოვთ, ღმერთი გაგიმარჯვებსთ, რაც აბიათარის შვილს წაერთმიოს[1] ან საიასაულოდა დავერბიო, ჩემი მოაცემინოთ. მასუკან თუ გამიტყუნოს, ერთიორად მიმ[ა]ცემინეთ, ჩემო ხემწიფევ. თებერვლის **ც**, ქორონიკონს **უპვ**.

თავში

[132] ჩვენი ბძანება არის ფალავანდიშვილო გლახავ! მერე ამ არზით ოქრომჭედლიშვილი ასე რომ ჩივის, ჩვენ ის არ გვიბძანებია, რომ თუ ამას სიტყვა ჰქონდა რამე, რომ ან ფალვენისშვილის და ან აბიათარის შვილის სამართალში არ მოეშვათ.

ახლა ჩვენ ამას გწერთ, რომ რაც ამისთვის აბიათარის შვილს წაერთმევინოს და ან ფალვენიშვილს საიასაულო თუ სხვა რამე, ყველა ისევ ამისთვის უკანვე მოაცემინე ახლავ.

და თუ რამ ამასთან ჭეშმარიტი სიტყვა ჰქონდეს, მათს უგანათლებულესობას ჩვენს ძმას იულონს ა[ა]ხელ და სამართალს მისცემს.

მარტის **ბ**, ქორონიკონს **უპვ**.

---

[1] წაერთმიმიოს.

## 433. არზა ბაგრატ საგინაშვილისა ყმის სამსახურის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1798 წ. 2 მარტი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 34. საბუთი № 219. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[162] ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჰირი მოსცეს საგინაშვილს ბაგრატს.

ამას მოვახსენებ მათს სიმაღლეს. ჩემო ხემწიფევ, შარშან წინათ თავი გაწყინეთ და ჩემს კაცზე პეტრიაშვილებს ველაპარაკე. და ის კაცი თქვენის სამართლით ხომ მე დამრჩა და სამსახური გადამიკვეთა, რომ წელიწადში რვა მინალთულს გემსახურებიო. იმ წელიწადს კი მომცა და მასუკან კი აღარ მოუცია ეს სამი წელიწადია და არას მეპოვებიან.

ღმერთი გაგიმარჯვებსთ, ერთის ოქმისა და იასაულის წყალობა მაღირსოთ, რომ რაც უთქომთ, მემსახუროთ.

თავში

ეშიკაღასბაშო ალექსანდრე! მერე ამ საგინაშვილის ყმას რაც ამისი სამსახური გადაკვეთით წელიწადში სძევს, შენ უნდა ისე იმ გზით ამსახურო და არ დააკლებინო. მარტის ბ, ქორონიკონს უპვ.

## 434. არზა მანუჩარ მდივნისა ვალის თაობაზე ვახტანგ ბატონიშვილის ოქმით

**1798 წ. 10 მარტი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 5796. დედანი. ქაღალდი. 17×10,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბატონისშვილის ვახტანგის ჰირი მანუჩარ მდივანს მამცეს.

მერე ჭრელასშვილი გიორგი თავისის მოცემულის თამასუქით ცხრამეტს მინალთუნს რომ არის მოსაცემს, იმაზედ შარშანს წინ თქვენ რომ დუშეთს გახლდი, იმის შვილს უჩივლე და თქვენთან გვალაპარაკეთ და ასე ბძანეთ: ჭრელასშვილის გიორგის მოცემული თამასუქი ზაზა გაბაშვილის დაწერილი რომ არის, იმას ეკითხოს და მერე ისე მოვაცემინებთო. ზაზა გაბაშვილი აქ გახლავსთ.

ამისგან აღიღათი მოიკითხეთ, რაც იცოდეს მოიხსენეთ და მერე სამართლით ჩემის თეთრის პატრონი გამხადეთ. მარტის **ვ**, ქორონიკონს **უპვ**.

კიდეზე

ქ. გაბაშვილო ზაზავ! ამის აღიღათი რაც იცოდე, წინაშე ღმრთისა ჭეშმარიტებით მოგვახსენე. მარტის **ი**, ქორონიკონს **უპვ**.

ბეჭედი: რტოდ ვარ დავითის, მგელ-ლომად ვით ის, ვახტანგ ვამტკიცებ მეფის ძეობით.

## 435. არზა ჯვარისმამა ათანასესი გამოსალეგის თაობაზე იულონ გატონიშვილის ოქმით

**1798 წ. 12 მარტი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 51. საბუთი № 217. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[192] ღმერთმან ბატონიშვილის [v] იულონის ჰირი მოსცეს მათს მლოცველს ჯვარისმამას ათანასეს.

ამას მოვახსენებთ, ხომ მოგეხსენებათ დირბი წმინდა საფლავის შეწირული არის და ყოვლის სათხოვრისაგან აზატი გახლავან ძველთაგანვე და ახლაც დამტკიცებული სიგლები არის, რომ არც სათხოვარი და არც მუშაობა არ მართებსთ.

ახლა ორი თუმანი შეშის ფასათ წაურთმევიათ, ღც ურემ შეშაში ათი კოდი პური წაურთმევიათ და ალის სამუშაოთ კიდევ სხვა ურმები დაუწერიათ.

წყალობას ვითხოვთ, რომ ესენიც ისევ მებოძოს და სხვას სათხოვრისაგანაც განთავისუფლდნენ, თქვენად გასამარჯვებლად და თქვენის შვილების სადღეგრძელოდ. მარტის **იბ**, ქორონიკონს **უპვ**.

ორი მინალთუნიც საიასაულო წაურთმევიათ.

თავში

ბატონიშვილი იულო[ნ] გიბძანებთ! ამ არზით ჯვარისმამა რომ ასე ჩივის, რაც დირბელებისათვის გამოგირთმევიათ, ვინც ამათი იასაულები ხართ, შეშის ფასი, პური თუ საიასაულო ახლავ უკლებლად უკანვე მოეცით. და ვინც ალის მუშაობის იასაულები იყვნეთ, თქვენც ჯელი აიღევით. მარტის **იბ**, ქორონიკონს **უპვ**.

ქ. არასდროს მე ამას თქვე[ნ] გარეწრათ არა გწერთ, თქვენ ხათრიჯამნი იყავით, რომ ასე გიზამთ.

## 436. არზა ციციშვილებისა განაჩენის აღსრულების თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1798 წ. 16 მარტი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 425. დედანი. ქაღალდი. 19,5×11 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს ამილღაბარ ციციშვილს და იოსებს.

ჩვენ და ბიძაჩემს რომ ერთმანეთში საჩივარი ჰქონდა და [ა]ნ ერთმანეთში სალაპარაკო, სამართალ ნაქნარი გახლავართ და თქვენის ძმის იულონის იასაულიც გახლავსთ და ის განაჩენიც სანატრელის ბატონის მამის თქვენისაგანაც არის დამტკიცებული. და ამას გევედრებით, ერთი ოქმი ებოძოს თქვენის ძმის იასაულს, რომ როგორც განაჩენში უცხადებდეს, მოგვეცეს; თქვენგან ნაბოძები განაჩენი გახლავსთ. მარტის **ივ**, ქორონიკონს **უპვ**.

თავში

ქ. ჩვენ მაგიერად ამილახვარიშვილს ერასტის და ავალიშვილს ანტონს ასე უამბეთ. მერე ამ არზის პატრონს ასე რომ მოუხსენებია, თქვენ უნდა დაადგეთ და როგორც განაჩენში უცხადებდეს, ისე უნდა აღუსრულოთ და გაურიგოთ, რომ გაურიგებელი აღარ დაუგდოთ. მარტის **ივ**, ქორონიკონს **უპვ**. გიორგი

## 437. არზა ბერი ნაზირისა სარგოს თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1798 წ. 29 მარტი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 5684. დედანი. ქაღალდი. 17,5×11,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწი[ფი]ს ჰირი ნაზირს ბერს მომცეს.

ჩემო ჯელმწიფევ, სანატრელის ჩვენის ჯელმწიფისაგან წყალობით მჭონდა ქიზიყიდამ წელიწადში შვიდი ხარვალი პური, კოდის პურიდამ.

ამას გევედრები, თქვენი მოწყალებაც არ მომეშალოს, ერთი ოქმი მიბოძოთ, რომ რომელიც წყალობა მჭონდა, არ მომეშალოს, ღმერთი გაგიმარჯვებს. მარტის **კბ**, ქორონიკონს **უპვ**.

ქ. ის წყალობა ჩემს შვილს იოსებს არ მოეშალოს.

თავში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქ. ჩვენ მაგიერად ქიზიყის მოურავს ზაქარიას და მეკოდე[ე]ბს ასე უამბეთ, მერე კურთხეულის მეფის, ბატონის მამის ჩვენისაგან კოდის პურიდამ რაც პური განწესებული ჰქონია ნაზირს იოსებს, ის განწესება ამისთვის არც ჩვენ მოგვიშლია. რაც განწესებული აქვს, უკლებრად უნდა მოსცემდეთ ხოლმე კოდის პურიდამ ყოველთვის. მარტის **კთ**, ქორონიკონს **უპვ**. გიორგი

## 438. არზა სოლომონ მეითრისა მამულის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1798 წ. 6 აპრილი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2661. დედანი. ქაღალდი. 30,5×10 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის მეფის გიორგის ჰირი მათს მონას სოლომონ მეითარს მოსცეს.

შემდგომად[1] ამას მოვახსენებ მათს სიმაღლეს: ზურაბ თარხნისშვილისაგან ვენახი ვიყიდე, ის ვენახი პირველად ჩვენეული იყო და ახლა მემიჯნავეცა ჩემი კაცი არის. მისულიყო ჩემს შეუტყობლივ და ჩემის ბიძაშვილის გლახას კაცს ეყიდნა. იმავ საღამოზე თეთრი მიუყარე და სიტყვაცა არა ქონდა, რომ იმას ეყიდნა. ახლა გლახას შვილს დათუას უჩივლია და ოქმი გიბოძებიათ. იმ არზაში ჩემი სახელი არ გამოუცხადებია, ისე ყრუთ მოუხსენებია.

ახლა ამას გევედრები, რომ ოქმი გვებოძოს, ეს გლახაშვილიცა და იმის კაცნიცა თქვენს სამართალში გიახლოთ; და მანემდინ ჯელს ნუ ამიმართვენ. და თუ სიტყვა აქვს, თქვენს სამართალში გამოაცხადოს. მარტის **კვ**, ქორონიკონს **უპვ**[2].

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის, რომელიც ამისი მოასილი ხართ! მერე მეითარს სოლომონს ამ არზით ასე რომ მოუხსენებია, მაგ მამულის საქმე რადგან ასე ჰყოფილა, მაგისის ჯელის ამართვა არ იქნება და ნურც

---

1 შემდგომდგომად.

2 უპუ.

ამართავ სამართლამდის. და თარხნიშვილის გლანას შვილიცა იმის კაციცა და სოლომონ მეითარიც — ესენი ჩვენს სამართალში უნდა მოვიდნენ და სამართალში უნდა ილაპარაკონ. და სამართლიდ რომელსაც დარჩება, მასუკან იმას უნდა დანებდეს. და სამართლამდის კი ვერვინ აუმართავთ ჯელს, იცოდეთ. აპრილის 3, ქორონიკონს უპვ.

გიორგი

## 439. არზა არუუთაანთ როსტომისა ყმეგის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1798 წ. 13 აპრილი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 8894. დედანი. ქაღალდი. 31×14 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალე ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი არუუთაანთ იარალას ძმასა და შვილს როსტომს მოსცეს.

მერე ამას მოვახსენებთ, ოსმალობას სანაჰინი წახდა. მამაჩემი ათს წლის აქეთ გადმოვარდნილა ორიოდი ყმითა. მაში[ნ] ასე დრო იყო ამ ქვეყანასა, რომ სამი დღის მიწა მამული ოთხ მინალთუნათ ყოფილა და აქ მამული არ უყიდნია რა მიზეზითა: თუ მე რომ მამული ვიყიდო, ეს ყმები დამეფანტებია[ნ], ხვალ-ზეგ ღმერთი ჩამოიხედოს, საქართველოს კარი გაეღოს, ისე[ვ] ჩემს სანაჰინში წავალ, სულ ყველას თავის ბინაზედ დავაყენებ, მეც ვიცხოვრებო და ამ ჩემს ყმებსაც ვაცხოვრებო.

ჩვენი ქვეყანა აღარ გაკეთდა, დავრჩით ამ ქვეყანაში. ხაჩმიანი და კუჭატანი რომ კეთდებოდა, ეს ჩვენი ყმებისა ზოგნი იქ იწევდნენ. ბატონის იასაული სიმო[ნ] მდივანი იყო, შეიტყო მამაპაპის ყმები არიან, იმსახურა და თავი დაანება. ახლა მამაჩემი თქვენი ჭირის სანაცვლოთ შეიქნა, ახლა აღარას გვეპუებიან. სიმონ მდივნისათვის ქრთამი მიუციათ ახლაც და ჰყრის, იქ მიჰყავს. ასეთს ყმას მიჰყავს, რომ ამ ქვეყანას დაიკარგა თავის სარჩოზედა და შვილების გულისათვინ, ის კაცი ჯელმეორეთ დამისხნია ლეკისაგან.

ახლა ამას გევედრებით, ამითი საბაბითა უმამულო დავრჩით. ღმერთი გადღეგრძელებს, ახლა გვეფანტება უპატრონობით.

ახლა ამას გევედრებით, ერთი ოქმი გვიბოძოთ, არსაღ დაგვეფანტოს ეს ორიოდე ყმა, მანა[მ] ჩემი ქვეყანა გაკეთდეს და იქ მივიდოდეთ.

ღმერთი გადღეგრძელებს, იქაც შენი ყმა ვარ და აქაცა. უბრალოთ ეს ჩვენი ყმები არავი[ნ] გაგლიჯოს, გამოგლიჯოს. ღმერთი ცხონმწიფე შვილებს გიცოცხლებს. აღიწერა აპრილის იგ, ქორონიკონს უპვ

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ყვარელის მოხელე[ე]ბო და ან ვინც სხვანი მოსაქმენი იყვნეთ ხოლმე! მერე ეს არღუთაშვილი იარალა და ამისი შვილი და ძმისწულები, მანდ ყვარელში დგანან და ეს თავისი ყმებიც მანდ თავისთან ყვანან. და ამასა სანატრელის მეფის ბატონის მამის ჩვენის ოქმიცა აქვსთ, რომ ამათ თავისი ყმები არც გამოერთმევათ და ვერც არავინ აუყრის მანდიდამ. და თუ ვინმე ამათ შეაწუხებს და აუყრის თავის ყმებს, ეს იცოდნენ, რომ საცა მი[ი]ყვანენ, ისევ აუყრიათ და ამას მივსცემთ და იმ ამის კაცებსაც ავად მოვეპყრობით. და ხათრიჯამნი იყვნენ, რომ ვერც სად წაუ[ვ]ლენ ეგ თავისი ყმანი; და მანდ ყვარელში უნდა იდგნენ და თავეთის შეძლებით ამ თავის ბატონს უნდა ემსახურნენ. აპრილის იდ, ქორონიკონს უპვ. გიორგი

## 440. არზა ნიჟოზელისა გამოსალების თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1798 წ. 22 აპრილი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1504. საბ. № 4. პირი. საბუთის პირი დაცულია აგრეთვე ცსსა. ფ. 1449. № 2408.

ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს მათს მარადის მლოცველს ნიჟოზელ ეპისკოპოსს ათანასის.

მათს უმაღლესობას ამას მოვახსენებ: ათი წელიწადი არის ამ ეკლესიაში ნეტარადხსენებულმა ბატონმა დამაყენა. თქვენს მზესა ვფიცავ, მწუხარების მეტი კეთილი არა მინახავს რა. მოკითხული ბრძანეთ, ამ ეკლესიას ან ყმიდამ და ან სამწყსოთად რაც შემოსავალი აქვს. ფარეშთხუცესი თეიმურაზ მანდ გახლავსთ და ეგ სწორეს მოგახსენებსთ.

ხუთი კომლი ყმა ჰყავს და ოთხი სოფელი სამწყსო. ეს ამისი ეპისკოპოსი გახლავარ. რაც მამული ჰქონია ან მეფეთაგან და ან ამ ფავნელიანთაგან ბოძებული და ან შემოწირული, ზოგიერთი ამავე ეკლესიის ყმისაგან არის გასყიდული, და ზოგი უპატრონობით ოსმალობას და ყიზილბაშობას არის გასყიდული და ზოგიერთი მძლავ-

რებითაც არის წარტაცებული. და ეს ეკლესია არის ასე ყმიდამ და მამულიდამ დაცლილი.

ჯელმწიფევ, მამის თქვენისაგან არის ბრძანება და განჩინება, რომელიც ამ ეკლესიის მამული ვისაც უნდა ეჭიროსო, სამართლით ეკლესიას მიწიდამ მართებული ღალა, ვენახიდამ მართებული კულუხი უნდა მიეცესო. ეს ბრძანება თქვენის სიმაღლისაგანაც არის დამტკიცებული.

როდესაც კალო და სთველი მოვა, მიიტაცებენ და ამ ეკლესიას აღარას მოსცემენ. რომელიც თავისი ყმა ჰყავს, ისინიც არც გვიხვნენ, არც გვიფარცხვენ, არც მოგვცემენ მსახურსა, არც სამარხოსა და არც სახსნილოსა, არც მოგვიტანენ შეშასა, არც დაგვიფქვენ და არცა რას სხვას გვმსახურებენ.

ქრცხინვალელს კაცს მურადას შვილს ამ ეკლესიის მამული შიგ ამ სოფელში უჭირავს. და იმ მამულის მართებულს ამ ეკლესიისათვის რომ ავიღებ ხოლმე, რომელნიც თქვენი ძმები მობრძანდებიან მიართმევს არზასა, დამაყენებს იასაულსა, მაწუხებენ, მართმევენ საიასაულოსა.

როდესაც თქვენის ძმების კარზედ მივაღწევ, ველარას გამომართმევენ. თუ არადა, სულ მუდამ ასე მსჯიან და მაწუხებენ.

ერთი საწყალი ბერი გახლავარ, მოწყალებას ვითხოვთ: რომელიც ამ არზით თქვენის სიმაღლისათვის მომეხსენებინოს, სამართლით თეიმურაზ ფარეშთხუცეს[ს] ებრძანოს ამ მამულის ბარისა და კულუხის აღებისა; და რომელსაც ბეითალმანი მამული ეჭიროს, იმისი მოკითხვაცა და ამ ეკლესიისათვინ დადებაცა.

ღმერთი თქვენს ხელმწიფობას და შვილებს უმეტესად აღამაღლებს და განაძლიერებს. ამის სამართლით ოქმი და იასაული გვიბოძეთ. ამ ეკლესიის ყმასაც ბევრი უჭირავს ბეითალმანი მამული და სხვასაცა. ასეთი ოქმი გვებოძოს, რომ განაჩენსავით იყოს. აპრილის **იე**, ქორონიკონს **უპვ**.

თავში

ჩვენი ბრძანება არის ფარეშთხუცესო ფავნელისშვილო თეიმურაზ! მერე ყოვლად სამღუდელოს ნიქოზელს ამ არზით ასე რომ მოუხსენებია, შენ უნდა მიხვიდე და რომელიც ეკლესიის მამული გასყიდული არის და იმისი ღალა-კულუხი რაც რიგი არის, ეკლესიას უნდა მისცეს, ვისაც ის მამული უჭირავს. და ახლაც უნდა გამოურთვა; და ამას იქითაც მოკლება არ იქნება, თავის ღალა-კულუხს უკლებრად უნდა მისცემდეს.

და ამას გარდა ამის ეკლესიის ყმათ რაც რიგი არის, ღალა-კულუხი თუ სხვა რიგი სამსახური, ყადაღა უნდა უყო ყველას, რომ თავისი

ღალა-კულუხი და სამსახური და დებულება არა დააკლონ რა; და უნ უნდა გამოურთმევდე და ყოვლად სამღუდელოს ნიქოზელს უნდა მია- ბარებდე.

და რომელიც ეკლესიის მამული დამალულათ ეჭიროს ვისმე, ისიც უნდა ჭეშმარიტებით გამოიძიო; და ვისაც მძლავრებით და მოპარვით ეჭიროს, უნდა გამოართვა და ეკლესიისათვის დასდვა.

და თუ სიტყვა ჰქონდეს ვისმე რა, ჩვენ მოგვახსენოს. მაგრამ თუ სამართალში გამტყუნდნენ, ნაქურდლეულად გარდავახდევინებთ და ეკლესიას მივართმევთ. აპრილის **კბ**, ქორონიკონს **უპვ**.

და ქართლის რიგიც ასე არის, რომ ეკლესიის მამულს ვინც იყიდის, ეკლესიას თავის ღალა-კულუხს ვერდააკლებს და უნდა უკლებრად აძლიოს. ეკლესიის მამულისაც ასე არის და თავადისა და აზნაურშვილის ყმის მამულისაც ასრე არის, რომ ვინც იყიდის, თავის ღალა-კულუხს ვერ დააკლებენ, რომ მამულს თან გაჰყვება ღალა-კულუხი, რომ პირველსავე მებატონეს უნდა აძლიოს მსყიდველმა ღალა-კულუხი.

## 441. არზა იოსებ ალაპაპაშვილისა სამართლის მიცემაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1798 წ. 23 აპრილი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 684. დედანი. ქაღალდი. 21,7×14,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მათს მონას გორელს ალაპაპაშვილს იოსებს მოსცეს. მოწყალე ჯელმწიფევ, მე თქვენს მეტი მოწყალე და ნუგეში არავინა მყავს და თქვენის მოწყალებით მიცხოვრია.

ამას წინად მანუჩარ მდივანმა მიჩივლა ერთს ტყუილს დავაზედა. და თქვენ მოგახსენეთ და ოქმი გვიბოძეთ, რომ მანამდის მანუჩარ, შაქარა დაა გოდერძა ერთად არ შეიყრებიან, სამართალი არ იქნებაო. მანუჩარმა არა ინება. მდივანბეგი თეიმურაზ გორს იყო, უშაქაროდ და უგოდერძოთ განაჩენი და[ა]წერინა და აქვს. ამაზედ სანატრელს ბატონს მოვახსენეთ მაგისგან უსამართლობა და ოქმი გვიბოძა: უჩვენოდ სამართალი არ იქნებაო. მანუჩარ-

მა ის ტყუილი განაჩენი შეინახა დღევანდლამდის და დღეს თქვენთვის მოურთმევია და დაგიმტკიცებიათ და იასაული მადგია[1] თქვენი

მოწყალე ჯელმწიფევ, ამაზედ სამართლით შემიწყალეთ და ფიცით თან სამართალი მაღირსეთ და მაშინ მოგხსენდებათ მანუჩარის უსამართლობა ჩემზედა. ან როგორ გამოურთმევია ჩემის ძმისათვის ის წიგნი და ან რა დროს გამოურთმევია. თქვენმა ჯელმწიფობამ უნდა შემიბრალოს ამაზედ ღმერთი გაგიმარჯვებსთ. აპრილის **იე**, ქორონიკონს **უპვ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ციციშვილო იოსებ! მერე ალაპაპაშვილის და მანუჩარ მდივნის საქმეზედ რომ იასაული ხარ და მანუჩარს მდივანს მოსამართლების განაჩენ[ი] რომ აქვს, ისიც ხომ მანდ შენა გაქვს. და ახლა კიდევ ალაპაპაშვილი იოსებ ასე რომ ჩივის, რადგან ამას ასე უთხოვნია, ამის ყაბულს მდივანი მანუჩარც გახდა და უნდა ამათ ორი მოთაბარი ქართველი კაცი, ორი სომეხი და ორი ფრანგი დაუსხა, იმათს სამართალში ალაპარაკო და რაც სამართალი მისცენ, იმაზედ უნდა და[ა]ყენო; მაგრამ რომელიც გამტყუნდება, და თუ ან ის პირველივე სამართალი დამტკიცდება, მეტობით გარდავახდევინებთ

იცოდეთ. აპრილის **კგ**, ქორონიკონს **უპვ**. გიორგი

## 442. არზა იოანე მამუჩიშვილისა სამართლის მიცემაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1798 წ. 23 აპრილი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 53. საბუთი № 7. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[4v] მის უმაღლესობას ჩვენს ჯემწიფეს ამას მოვახსენებ. ჩემ[მ]ა ბიძაშვილებმა მ ე რ ა ბ მ ა და ი ო ს ე ბ მ ა ათს წელიწადს აქათ ეს წამართვეს, რაც ამას ქვევით დაიწერება.

ქ. წ ი ნ ა ნ დ ა ლ ს ხოდაბუნი მომიჭრეს და თავის ხოდაბუნს შამატეს.

ქ. კიდევ წინანდალს ამავ ხოდაბუნის [5] ბოლოში ჩემს მამულში წისქვილი ა[ა]ბრუნეს. ვიჩივლე ბატონს დედოფალთან; არცარას ოქმს დასდივეს ისევ უბრუნამსთ მაგათ.

ქ. კიდემ წინანდალს ჩემს ყმას ბეჟუაშვილს ვენახის გზა წა[ა]რ-

[1] მაგდია.

თვეს და ნასყიდობის წიგნიცა და იმ ვენახსაც ეგენი აოხრებენ. იმ მა-
მულის გამსყიდველიც ჩემი ყმა არის და მსყიდველიცა.

ქ. კიდემ ბ ა ლ ს ა დ გ ო მ ს ერთი ბ[ე]ითალმანი მამული გვე-
ჭირავს ორთავ, ნახევარი ჩემია და ნახევარი მაგისი. ორი წილი მამუ-
ლი მაგას მეტი უჭირამს იმ მიწაში მძლავრობით.

ქ. უ რ ი ა თ უ ბ ა ნ ს ხოდაბუნი საძმოთ გაყოფილი გვქონდა.
ახლა მაგათ მძლავრობით ორის დღისა მეტი უჭირამს და აღარ მანე-
ბებენ.

ქ. კიდევ ურიათუბანს იმერელი დავასახლე ჩემს საკუთარს მამულ-
ზე. იმას იმერეთიდამ სხვა ძმა მოუვიდა და იმ ძმასთან დავაყენე და
ცოლი შავრთევ. და ის მამული ორთავ ძმათ გაუერთე. რამდენსამე ხანს
უკან შამოსწყრა თავის ძმას. ვ ე ლ ი ს ც ი ხ ე ს ჩავიდა, ამაიყვანეს
იქიდამ ჩემ[მ]ა ბიძაშვილებმა და მუკუზანს და[ა]ყენეს. მას აქეთ შავ-
თხოვ და [ა]რ დამანებეს ის კაცი.

ქ. კიდევ მ უ კ უ ზ ა ნ ს ჩემი წილში ნარგები საზვრე წამართვეს
და თავისთვის შამოღობეს და დღეს შიგ შენობას აგდებენ და [ა]რ
დამანებეს ჩემი საკუთარი მამული.

ქ. კიდემ მუკუზანში წისქვილი წამართვეს. პირველათ რომ მუკუ-
ზანი ავაშენეთ, ეშ[ი]კაღადბაშის გ ა რ ს ე ვ ა ნ ი ს ა გ ა ნ ჩვენ გვერ-
გო ის წისქვილი. ჩემი წილი ჩემ კაცს მივე. თავის წილი ნაზირმა თა-
ვის კაცს მისცა. ის კაცნი ორთავ აგვიყარეს და ის [v] წისქვილი და-
უბრუნებელი დარჩა. მივიდნენ ეგენი და საკუთრივ ა[ა]შენეს. ცხრა
წელიწადი არის უბრუნამსთ, არც სხვა მაგიერი მომცეს და არც იმაში
დამიდვეს წილი.

ეს რვა კომლი[1] არის ჩემი სადაო. ყოვლად მოწყალევ ხემწიფევ,
ჩემის ბიძაშვილებისაგან ეს ძალა მჭირს. ამ ათს წელიწადს აქათ ესენი
მაქვს წართმეული. ღმერთი თქვენს ხემწიფობას უმეტესად აღამაღ-
ლებს. ამისი სამართალი მაღირსეთ. გენებებოდესთ თქვენთან გვალაპა-
რაკეთ, გენებოსთ კახეთის მოსამრთლე[ე]ბზედ მებოძოს ოქმი. იმათ
გვიყონ სამართალი.

ერთი მარტოხელი კაცი გახლავარ, ლამის ჩემის ცხოვრებიდამ
სულ მომშალოს. ეგების დროზე გარდასწყდეს ჩვენი საქმე, ან თქვე-
ნი სამსახური შევიძლო და ან ჩემს თავს მოუარო, უსარჩო არ დავრჩე.
აპრილის კა, ქორონიკონს უპვ.

თავში

[4v] ჩვენი ბრძანება არის ეშიკაღასბაშო ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე! მერე

---

[1] კამლი.

იოანე მამუჩიშვილს ამ არზით ასე რომ მოუხსენებია, ესე და ამისი ბიძაშვილი იოსებ მდივანბეგებთან ალაპარაკე და რაც საქმო აქვსთ, სამართალი მისცენ და გარდაუწყვიტონ, რომ ერთმანეთი

სადაო აღარა ჰქონდესთ რა. აპრილის **კგ**, ქორონიკონს **უპვ**. მეფე გიორგი

## 443. არზა მაია ამილახვარისა უმეგის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1798 წ. 27 აპრილი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 5651. დედანი. ქაღალდი. 21,8×12,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ჩვენის მოწყალის ჯელმწიფის ჭირი ამილახვარის ქალს მაიას მოსცეს. მერმე ამას მოგახსენებთ. ნეტარად ხსენებულის მამის თქვენისაგან წყალობა მჭირდა და ორიოდ კომლი კაცი დედისჩემის წყალობა აქამდის თარხანი გახლდენ, და იმ მიცვალებულთ სანთელს უნთებდი. დღეს რომ ჩვენის ხელმწიფისაგან ღმერთი გაგვიწყრა, ახლა ვინც მოხუდება, ყველა აწუხებს.

ამ წყალობას ვითხოვ, რომ ერთი სითარხნის ოქმი მიბოძოთ, რომ უბრალოთ აღარავინ შეაწუხოს და იმ მიცვალებულთ სანთელი არ გაუქრეთ და ვალს ქვეშ არ დავრჩე, თქვენად სადღეგრძელოდ და თქვენის შვილების სამლოცველოდ. აპრილის **კვ**, ქორონიკონს **უპვ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის: ვინც ჩვენი მოსაქმენი და მოასილნი რომლისაც საქმისა და სათხოვრისათვის ქართლში მიხვიდოდეთ, მერე ამ ამილახვარის ქალის მარიამის ყმათ ნურას ხარჯსა, გამოსაღებსა და ბეგარაში ნუ გარევთ და ნურცარას სთხოვთ. ჩვენ ყოვლისფრით ასე გაგვითარხნებია. და თუ ამის ყმანი შეაწუხეთ და გამოართვით რამე, ჩვენი დიდათ საწყენი იქნება, იცოდეთ. აპრილის **კზ**, ქორონიკონს **უპვ**. გიორგი

verso

ქ. ყოვლისა საქართველოჲსა მეფის ძე მემკვიდრე დავით მათის უმაღლესობის ბოძებულს სითარხნის წაგნს ვამტკიცებ. დეკენბრის **იბ**, ქორონიკონს **უპჱ**. დავით

## 444. არზა ხიხორაშვილებისა ყმობის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1798 წ. 28 აპრილი**

ერისკაცული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფონდი № 1450. დავთარი № 53. საბუთი № 8. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[6] ღმერთმან ყოვლად მოწყალის ჯემწიფის ჭირი მოსცეს ახმეტელს ხიხორაშვილს პა[ა]ტას და ბეროს.

მერე ამას მოვახსენებთ. ქვეყანა რომ არეულა და ფშავში გარდაცვივლინან, იმ ჟამათ ბატონს ჩვენებს დავი[თ]ს და გარსევანს ჭავჭავაძეს ჩემი მამული გაუყიდნიათ. თიანეთს ჯიმშიტაშვილს ქავთარის მამას უყიდნია. იმ ჟამათ პაპაჩემი გამოქცევიათ და ალავერდს გხლებიათ; აქ დაკარგულა დალეკში ყოფილა. იქი კობიანთ ქალი ყოფილა ტყვეთა, ისიც გამოუპარებია და თითონაც გამოპარულა, გრემს გხლებიათ, იქ ჯვარი დაუწერია. მამაჩემიც გრემს დაბადებულა, პაპაჩემი იქ გრემს მამკვდარა, დარჩომილა ობოლი მამაჩემი; რამდენიმე ხანი იქა გხლებიათ.

ბატონი ჩემები — რევაზ [ე]შ[ი]კაღადბაში და ზურაბ რომ გაყრილან, იმ ჟამათაც იქავ გრემსა გხლებიათ მა[მა]ჩემი. მასუკან ბატონი ჩემი ზურაბ და ბერი ნაზირი რომ გაყრილან, კიდევ იქა გხლებიათ მა[მა]ჩემი. მე არცერთს არ ჩაუგდივარ [v] ბარათში, ამ მიზეზით რომ მამული გაუყიდნიათ ჩემი და ფშავში შაუჭამიათ, ჩემთან რაღა საქმე ექნებოდათ.

გაყრას უკან რამდენსამე წელიწადს უკან ბატონს ჩემს ზურაბს გამოუყვანია მა[მა]ჩემი და თავის საკუთარს მამულზე დაუყენებია. ოცდათორმეტი წელიწადი არის იქ გახლავართ და იოვანეს მამუ-ჩი[ს]შვილს ვემსახურებით. მა[მა]ჩემი რომ მოკვდა, ობლები დავრჩით, ამ ბატონმა ჩემ[მ]ა იოვანემ დაგვზარდა და მან შაგვინახა.

თუ ეს ჭირნახულობა არ ჰქონდეს ჩვენზე, არც ამ იოვანეს ყმანიღა გახლავართ, თორემ ბერს ნაზირს რა საქმე აქვს ჩვენთან. თუ ჩემი ბატონყმობა უნდოდათ, ჩემს საკუთარს მამულს ფშავში არ გაიყიდ[დ]ნენ, მე ისე უმოწყალიოთ არ გამიშვებდნენ.

პაპის ჩემიდამ მოკიდებული იმ იოვანეს მეტი ბატონი არავინ გვინახამს და ზურაბის მეტი, ამათთვინ გვიმსახურია. სად იყვნენ ან პაპის ჩემის დროს ან მამის ჩემის დროს და [ა]ნ ჩემს დროს, რომ აქამდისინ არ მედავნენ. ახლა რას მემართლებიან, ასე რომ მტანჯვენ. ღმერთი გა-

გიმარჯვებს, ამისი სამართალი მაღირსეთ. აპრილის **კთ**, ქორონიკონს **უპვ**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავში

ჩვენი ბძანება არის ეშიკაღასბაშო ალექსანდრე! მერე ამ არზის [პატრონი] ასე რომ ჩივის, რადგან ამისი საქმე ასე ყოფილა და ამისი მამული გაუყიდნიათ და მამულის გასყიდვას უკან ამისი პაპა დაკარგულა და მოსულა და სხვაგან ყოფილა; და მასუკან, თუ რომ ამათს გაყრას უკან ეს ზურაბს გამოუყვანია და თავის ყმათ მამული მიუცია და დაუყენებია, და ეს ჭეშმარიტი მოხსენება არის, ამ კაცთან ჭავჭავაძე ნინიას მეტს საბატონყმოთ საქმე არავისა აქვს.

და თუ რომ ასე არ ყოფილა და ამისი წინააღმდეგი სიტყვა აქვს რამე ამის სახლისკაცს იოსებს, უნდა სამართალში ილაპარაკონ. აპრილის **კჱ**, ქორონიკონს **უპვ**.

მეფე გიორგი

## 445. არზა გიორგი დარჩაშვილისა სამართლის მიცემაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1798 წ. 30 აპრილი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 7257. დედანი. ქაღალდი. 21,2×11,4 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯემწიფის ჰირი მოსცეს დარჩაშვილს მღვდელს გიორგის.

ჩვენ და ჩვენი სახლისკაცს მამული გვქონდა გასაყოფი. ნეტარხსენებულის ბატონის ოქმით მამაჩემ[მ]ა ზოგი გაუყო და ზოგი გასაყოფი დარჩა ისევ. ამის დამსწრენი ბევრნი გახლავან. კიდევ უჭირავს გასაყოფი ერთი კალო, საჯნავი მიწები, ორი ქვევრი ჩვენი საკუთარი.

გევედრებით, ერთი ოქმი და იასაული მებოძოს, რომ თარიმან ნაცვალი, ჩვენი ქვეხა და სოფლის უფროსი კაცნი მოიყვანოს და მოგვაშველონ ერთმანერთთან. აპრილის **ლ**, ქორონიკონს **უპვ**.

თავში

ქ. ჩვენი ბრძანება არის შინჯიაშვილო აბრამ! მერე ამ არზის პატრონი დარჩაშვილი მღვდელი ამ არზით ასე რომ ჩივის, ეს მღვდელიც და ამის სახლისკაცი ორნივ თარიმან ნაცვალთანა და ქევხასთან და სოფლის კაცთან უნდა მი[ი]ყვანო და სწორე სამართლიანის

გზით ერთმანეთს მოაშველონ და ისე გა[ა]რიგო. აპრილის **ლ**, ქორონი-

კონს **უპვ**. გიორგი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## 446. არზა გლახა როჭიკაშვილისა ყმის თაოგაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1798 წ. 2 მაისი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 37. საბუთი № 224. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[125] ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი როჭიკაშვილს ნაზირს გლახას მომცეს.

ამას მოვახსენებ თქვენს უმაღლესობას! მოხსენებული გაქვსთ ჩვენი და ციცისშვილების საქმე, რომ სკრის საქმეზედ ასე უბრალოდ გვტანჯავენ და გვაცოდვილებენ. თითონ რომ ველარას შემოგვივიდნენ და სამართლით გამტყუნდნენ, ახლა ქართველისშვილი [v] წამოგვადავეს.

ქართველობისა წიგნი არა აქვსთ და მოწამე არა ჰყავსთ, მამუკაშვილებსა და კოკობასშვილს გვედავებიან. ამ ორს გვარს ყიზილბაშობაში არა სჭერიათ, ოსმალობაში არა სჭერიათ, მეფის თეიმურაზის დროს არა სჭერიათ და მეფის ერეკლეს დროს არა სჭერიათ. და ახლა არ ვიცი ქართველისშვილი საიდან წამომადავეს.

ჩემო ჯელმწიფევ, თქვენ ჩვენი წიგნები კარგად მოხსენებული გაქვსთ, რამდენი მეფე[ე]ბისა და დედოფლისა და ბატონიშვილების წიგნები გვაქვს, რომ ჩვენ სამკვიდროთ გვიწერენ და გვაძლევენ.

ღმერთი შენს მეფობას განაძლიერებს, ამდენის იმათის უსამართლობისაგან დაგვიხსენით და მოგვარჩინეთ. მძლავრობის მეტი იმათ ჩვენთან საქმე არა აქვსთ რა. მაისის **ა**, ქორონიკონს **უპვ**.

თავში

ჩვენი ბძანება არის ნაზირო როჭიკაშვილო გლახავ! მერე ჩვენ რომ შენი წიგნები გაგვისინჯავს და გვინახავს, სამართლით სწორეთ ეს კაცები შენი ყმანი არიან. და არც ქართველიშვილსა და არცავის სხვას საქმე არვისა აქვს და ვერავინ გამოგართმევს. მაისის **ბ**, ქორო-

ნიკონს **უპვ**. გიორგი

## 447. არზა ალამ მდივანბეგისა ყმის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1798 წ. 23 მაისი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 24. საბუთი № 23. პირი. ქაღალდი. მხედრული. იქვე, საბუთები №№ 24 და 26.

[25v] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს ალამ ერასტი[ს] შვილს.

ახლა ამას მოვახსენებ ბედნიერს ხელმწიფეს. ცანკაშვილი იოთამ ჩემს ბარათში ნარგები ყმა არის. ამეყარა და ყანდაურას მივიდა, დადგა. იმისი ძმები ექვს კომლათ არიან გაყრილნი. ხუთი იმათი ძმები იქ მისახლობენ და ის კაცი კი ამეყარა და ყანდაურს მივიდა, დადგა. თუ სიტყვა აქვს რამე, აქ არის [26] და მოგახსენოს. თუ არა ჰქონდეს სიტყვა, ერთის ოქმი[ს] და იასაულის წყალობა მოიღევით, რომ ჩემი კაცი ავყარო და წამოვიყვანო. მაისის კა, ქორონიკონს უპვ.

თავში

ჩვენი ბძანება არის ეშიკაღაბაშო ალექსანდრე! მერე მდივანბეგს ადამას ამ არზით ასე რომ მოუხსენებია, ცანკაშვილი ამისი ყმა არის, ყანდაურზედ თურმე დგას; ახლავ უნდა აუყარო და ამას მოაბარო. იმის გაყრილნი ექვსნი ძმანი ამას თურმე უსახლობს, და იმათი ძმა არის ის, ისიც ამას ყმობიდამ ვერ წაუა. თუ სიტყვა ჰქონდეს, ჩვენ მოგვახსენოს. და თუ არადა, აჰყარე იქიდამ და საცა ამისი ნება იყოს, ამას მოაბარე და იქ დააყენოს. მაისის კგ, ქორონიკონს უპვ. [ ]

ბატონო ძმაო სოლომონ მოურავის შვილო! ბატონმა გვიბძანა ეს კაცი უნდა აუყარო და მდიამბეგს ადამას უნდა მოაბარო ახლავ. მაისის კზ, ქორონიკონს უპვ. ალექსანდრე.

## 448. არზა შოშია კელასრიძისა გამოსალეგის თაობაზე ალექსანდრე ბატონიშვილის ოქმით

**1798 წ. 28 მაისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 8738. დედანი. ქაღალდი. 22,2×15,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. ა-მეტნაკლული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ძის ჭირი მოსცეს კელასრიძეს შოშიასა. ამას მოგახსენებ: ერთი შვილი მყვანდა, ამის

მეტი არა გამაჩნდა რა, დამარხვას იმისგან ველოდი. ჩემი ცოლი გა-
დიდდა და თქვენი ჰირის სანაცვლო შეიქნა. დავრჩი ერთი ბერიკაცი
და ერთი ბერი მეუღლე[1] მყავს, ორნივ დაუმარხავი გავხდით.

ახლა ამას მოგახსენებ: მე ხარჯის მიცემა აღარა შემიძლიან, მაგ-
რამ ჩემი მეზობლები მაინც ხელს არ აიღებენ და ჯაბრითა მეკიდებიან.

ღმერთი გადღეგძელებს, მოწყალება მაღირსეთ, ამათგან გაკითხვა
მეღირსოს. ჩემი ბატონისაგა[ნ] შებრალება მაქვს, მაგრამ ამათგან არა
მეღირსა. ამას გევედრები, რომელიც სასოფლო ხარჯი მოვიდეს, იმა-
შიაც ისე შემიბრალონ. მე ჩემის სახლის კაცებისაგან მე[ე]ქვსედი მე-
ტი მამული არა მ[რ]გებია და ესენი თავენთ ტოლათ მაწვინებენ ხარჯს.

ღმერთი გაგიმარჯვებს, სამართალი მაღირსეთ. ერთი ოქმი მებო-
ძოს, რომა მ ა ჩ ა ბ ე ლ მ ა მ ი ლ ა ხ ვ ა [რ] ლ უ ა რ ს ა ბ მ ა თვა-
ლი დაიჭიროს და ჩემი შეძლება იმან შეიტყოს, ისე მამსახუროს. თუ
არა შემეძლოს და რას მემართლებიან, ერთი ბერიკაცი გახლავარ.
მ[ა]ის[ის] **კდ**, ქორონიკონს **უპვ**.

თავში

ქ. ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე გიბძანებ ა ბ ა ზ ა-
ძ ე ვ რ ე ვ ა ზ და მამასახლისო ღ თ ი ს ა ვ ა რ! ამ არზის პატრონს
ასე რომ მოუხსენებია და თავის შეუძლებლობას ჩივის და სახლის კა-
ცებსაც უჩივის, თქვენ ამისი შეძლება და გლახაკობა შეიტყევით და
რისაც შემძლებელი იყოს, სათხოვარში ისე გარიეთ, შეძლების მი-
ხედვით; თვალყურიც გეჭიროსთ, რომ უსამართლო არავისგან დაე-
მართოს — ან სხვათაგან ან თავის მეზობლებისაგან და ან თავისის სახ-
ლის კაცისაგან. მაისის **კჱ**, ქორონიკონს **უპვ**. ალექსანდრე

## 449. არზა ზაალ დავითიშვილისა ყმის თაობაზე იულონ გატონიშვილის ოქმით

**1798 წ. 2 ივნისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2245. დედანი. ქაღალდი. 22×12,2 სმ. მხედ-
რული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.
ა-მეტნაკლული.

ქ. ღმერთმან მათის უგანათლებულესობის ჰირი მათს მონას დ ა-
ვ ი თ ი შ ვ ი ლ ს ზაალს მოსცეს.

---

[1] მეუღლმა.

ჩემო ხემწიფევ, ერისთავნი[1] რომ გაიყარნენ მანამდინ და მასუკან სულ ვჩივი მის უმაღლესობასთან — ზ ა რ დ ი ა შ ვ ი ლ ი ჩემი ყმა არის-მეთქი. ოქმები და ბძანებები მაქვს სამართლის ბოძებისა, ძველ სხვა საბუთებიცა თქვენთვინც მამირთმევია და თქვენს ბედნიერს თვალს უნახამს და სამართლის ბძანება გიბძანებია. რამდონი ოქმი მოუტანე, ამილახვარზე, არ იქნა, ბატონთან სამართალში ვერ მამყვა.

შარშან რ ე ვ ა ზ მ ა ჩ ა ბ ე ლ ზ ე ოქმი აეღო, პირობა მივეც, ბატონთან წაველ, თქვენც იქ ბძანდებოდით, არ ჩამოვიდა. ახლა მე რომ ამ საქმეში გავები, მამული ჩამამერთვა, მე აქ გიახელ; იმას თქვენის მამისათვინ მოუხსენებია, იასაულები ჩაუყენებია. მაჩაბელი კაცებს სადმე მიყრის.

ისიც თქვენი ყმა არის, მეცა. თუ ჭეშმარიტი სიტყვა აქვს რამე, თქვენთან მელაპარაკოს. თქვენი იასაული იყოს, ის უფრო მუნასიბი არ არის? იმისგან ოროლი მამაშვილი დახოცილნი ვართ. რა ანბები გადამხდა. კიდევ ის მიჩივის.

ღმერთი გაგიმარჯვებს, ერთი ოქმი უბოძეთ მაჩაბელს, ხელი აიღოს და თქვენს სამართალში მელაპარაკოს. ეს ჩემი წიგნებიც გაშინჯეთ ან რა ოქმები მაქვს და ან რა საბუთები. თქვენის ბრწყინვალის შვილების სადღეგრძელოთ, იმის შფოთს დამეხსენით. თიბათვის **ბ**, ქორონიკონს **უპვ**.

თავში

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ი უ ლ ო ნ გიბძანებ ვინცავინ ამ ზაალ დავითის შვილის კაცებს ჰყრით! მერმე თქვენ ამაზედ ჯელი აიღევით. ამანა და ზარდიაშვილმა ჩვენს სამართალში უნდა გაიაროს. და თუ სამართლით ზარდიაშვილს დარჩება ის კაცები, მაშინ არცარა ზაალს ექნება სიტყვა და ზარდიაშვილს მიეცემა ის კაცები. მთიბათვის **ბ**, ქორონიკონს **უპვ**.

ბეჭედი: ტომ-სჭესით არ ნაკლისაგან ი უ ლ ო ნ ირაკლისაგან.

---

[1] ერისთვუნი.

## 450. არზა ზურაბ მაღრაძისა თავდახსნილობის წიგნის განახლების თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1798 წ. 3 ივნისი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 14. საბუთი № 65. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[90] ღმერთმან ბედნიერის ჯელმ[ვ]წიფის ჰირი მაღრაძის ობლებს ზურაბას და იმის ძმებს მოგვცეს.

მოწყალევ ჯელმწიფევ! თქვენ ღვთიურის მოწყალებით სანატ[რ]ელს მამა თქვენს ჩვენი თავი თქვენ აცნობეთ. ქართლიდამ ქალაქს რომ ჩამოგვიყვანეთ, თქვენს ქალს ნინოს გვატანდით და მერე ხომ აღარ ინებეთ; და ამ გზით ჩვენი ამ სოფელში ყოფნა თქვენი მოწყალება არის.

ჩვენო ჯელმწიფევ, პირველად რომ ჩვენ ბაადურის შვილის ყმანი ვყოფილვართ, იმან ყმა და მამული გაგვიყიდა. და მერე ჩვენც გასყიდ[ვ]ა შევიტყევით, სამართალში ველაპარაკენით, განაჩენი მოგვეცა და ჩვენი სახსარიც სანატრელმა მამა თქვენმა უბოძა, ყმითა და მამულით განვთა[ვ]ისუფლდით, განაჩენიც დაგვიმტკიცა და თავდახსნილობის წიგნიც გვიბოძა, რომ სახასოდ დავიდევით, არას კაცს ჩვენთან თქვენს მეტს საქმე არავისა აქვს. აღამაჰმად ხან რომ მოვიდა, მაშინ დედაც დაჰვკარგეთ და წიგნები გვქონდა და ჩვენის ობლობით [91] თუ რამ გვებადა, ის უფრო რაღათ შეგვრჩებოდა.

მოწყალებას ვითხოვთ, ერთი ოქმი გვებოძოს, ვისაც როგორის წიგნი ახსოვდესთ, ჯელი მოგვიწეროთ, თქვენს სიმაღლეს მოვართვათ და თქვენც წიგნი გაგვიახლოთ, რომ თქვენს მეტს საქმე არავისა აქვს. აპრილის კბ, ქორონიკონს უპვ.

ღმრთის წინაშე მე, ამილახვარიშვილი ბექან, ამას ვემოწმები, რომ ეს მაღრაძეები ბატონმა დაიხსნა ყმითა და მამულით და სახასოთ დასდვა[1] და ამასთან საქმე არავის [აქვს]. მაისის ე, ქორონიკონს უპვ. [ ]

ღმრთის წინაშე მე, აბელ მუშრიბი, ამისი მცოდნე და დამსწრე ვარ, რომ ავთანდილ მაღრაძე თავისის ძმებითა და ბიძაშვილებით სანატრელმა ბატონმა დაიხსნა ყმითა და მამულით. თავდახსნილობის წიგნიც ჰქონდათ და განაჩენიც; სახასოთ დაიდვა,

---

[1] დასდავ.

რომ ამათთან საბატონყმოთ საქმე აღარავისა აქვს. ამათი ისხაული მე ვიყავ და ზედმიწევნით ასე ვიცი. მაისის ვ, ქორონიკონს უპვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ამ მუშრიბს აბელს მოუხსენებია, მეც [v] ასე ვიცი, რომ ეს მაღრაძე[ე]ბი სანატრელმა ჯელმწიფემ დაიხსნა და სახასოთ დადვა. მე, მისის უმაღლესობის კარის ხუცესი ი ვ ა ნ ე, ვსწერ ამ მოწმობას. ეს ჩემი ხელია.

მე, თ ო მ ა მ ე ღ ვ ი ნ ე თ ხ უ ც ი ს შ ვ ი ლ ი ამას მოვახსენებ: როგორც ამ [მ]ოწმე[ე]ბს მოუხსენებიათ, ჰეშმარიტებით მეც ასე ვიცი, რომ ა ვ თ ა ნ დ ი ლ მ ა ღ რ ა ძ ე მისმა უმაღლესობამ ჩვენმა ჯელმწიფემ თავეთის ბატონისაგან თეთრით დაიხსნა — ეს ავთანდილ თავისის ბიძაშვილებით თავეთის ყმითა და მამულითა.

თავში

[89] ჩვენი ბძანება არის! ვინც ამ მაღრაძეების თავდახსნილობა [ი]ცოდეთ, სწორეთ და ჰეშმარიტად უმოწმეთ ღმრთის წინაშე ამათ თავი როგორ დაუხსნიათ და წერილით მოგვახსენეთ ამათი საქმე. აპრილის კვ, ქორონიკონს უპვ.

ჩვენ, ყოვლის საქართველოს მ ე ფ ე მ გ ი ო რ გ ი მ, ამათი საქმე ასე რომ მოვკითხეთ და ამ მოწმე[ე]ბს ასე ფიც[ითა] და ჰეშმარიტებით მოუწერიათ ამათი თავდახსნილობა კურთხეულის მეფის ბატონის მამის ჩვენისაგან; და თავდახსნილობის წიგნი და განაჩენი კი ა ღ ა მ ა მ ა დ ხ ა ნ მ ა რომ ქალაქი წა[ა]ხდინა, მაშინ დაკარგვიათ; და ამ მოწმე[ე]ბმა რადგან ასე იმოწმეს ამისი საქმე, ეს მაღრაძე[ე]ბი თავეთის ყმითა და მამულითა სახასონი არიან და ჩვენს მეტს ამათთან საბატონყმოთ საქმე არავის აქვს და სახასოთაც დაგვიდვია ესენი. ივნისის გ, ქორონიკონს უპვ.

ჩვენ, სრულიად საქართველოს მ ე მ კ ვ ი დ რ ე-მ მ ა რ თ ე ბ ე ლ ი, რუსეთის ღენარალ-ლეიტენანტი და კავალერი დ ა ვ ი თ, ვამტკიცებთ. მაისის ჱ, ქორონიკონს უპთ[1].

[1] + კბ, ქ̃კს უპვ.

## 451. არზა მარილელთა მამულის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1798 წ. 6 ივნისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3280. დედანი. ქაღალდი. 17,2×12,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცესთ ერთობლივ მარილელთ. შარშან დაგვიხნა სალთხუცესმა ნაფეტვრები და წელს კიდევ თქვენთვის რომ დავხანით, შვიდის დღისა დაყვა იმას ალაგი და იმის მაგიარათ ორმოცი დღის მიწა დაგვისარყა და შიგ აღარ გვიშვებს.

გევედრებით იმის შვიდის დღის მიწის ბადალი მიგვაცემინოთ და ჩვენი ალაგი დამწებდეს. ივნისის **ვ**, ქორონიკონს **უპვ**.

თავში

ქ. ჩვენ მაგიერად ჩვენს სიძეს სალთხუცეს გიორგის ასე ეუწყოს! მერე ესენი რომ ასე ჩივიან, რასაკურველია, ჩვენ შენ მამულს არ შემოგეცილებით. და შენც ასე უნდა ქნა და ამათთან რიგიან მორიგდეთ, რომ ჩვენთან აღარ აჩიველოთ. ივნისის **ვ**, ქორონიკონს **უპვ**.

გიორგი

## 452. არზე სავანელეგისა ყმის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1798 წ. 18 ივნისი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 33. საბუთი № 267. პირი ქაღალდი. მხედრული.

[**120v**] ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოგვცეს სავანელს გოგიას და რამაზს.

ჩვენო ჯელმწიფევ ერთი ჩვენი მემკვიდრე კაცი გამოგვექცა და აქ კახეთში ველისციხეს მივიდა. დედოფალს არზით მოვახსენე და ოქმი მიბოძა ველისციხის მოურავზედ. მივედით მოურავთანა, ამიყარა და მომცა. ის ჩემი კაცი შემომეხვეწა: მოს[ა]ვლამდინ დამაცალ[ე]ო, და აღარ ავყარე; დ[ა] ერთი თავის შვილი შინყმათ მომცა. მეორეთ გიახელ, ახლა კიდევ დედოფლისგან ოქმი ავიღე სვიმონ მდივანზედ და ის კაცი აიყარა და კუჭატანში გასულიყო; მივედი კუჭატანში, მეც კიდევლან მომკლეს და არც[1] ის კაცი დამანებეს იმის მოყვრებმა. ახლა ის ჩემი კაცი მუკუზანში გახლავთ.

1 არც]რაც.

ამას გევედრები, ერთი ოქმი და იასაული მიბოძოთ, რომ ამიყა-
რონ და მომცენ, ღმერთი გაგიმარჯვებთ. თიბათვის **ივ, ქორონიკონს**
**უპვ.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავში

[ჩვენი] ბძანება [არის] გონიაშვილო დ[იმიტ]რი! მერე სა-
ვანელს ამ არზით[1] ესე რომ მოუხსენებია, შენ [უ]ნდ[ა] წახვიდე და ის
კაცი ახლ[ავ] უნდა აყარო და მოაბარო, ბეჯითათ მოიქეც. და თუ ერთი
რამ საბუთი და [ა]ნ ჰეშმარიტი სიტყვა ქონდეს, სამართალში ალაპა-
რაკე. თუ საბუთი არა აქვს რა, თავისი კაცი ახლავ მოაბარე. ივნისის
**იწ, ქორონიკონს უ[პვ].** მეფე გიორგი

## 453. არზა ჩიკოიძეებისა ყმის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1798 წ. 22 ივნისი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 28. საბუთი № 225. პირი. ქაღალდი. მხედ-
რული.

[175v] ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ქაიხოს-
რო ჩიკოიძეს და ზაალს.

ჩემო ჯელმწიფევ, ორი კო[176]მლი კაცი ჩვენი ყმანი არ გახლა-
ვან. ერთი ჩვენგან მიბარებულია ბარამ რუსიშვილსა და
იქაურს ნაცვალსა; ერთი მღუდელი კიდევ თითონ არის წამოსული,
უწინ ალავერდს გახლდათ და ახლა ფშაველში გახლავსთ; მკვიდ-
რი ჩვენი ყმანი გახლავან.

ამ მოწყალებას ვითხოვთ, ერთი ოქმი და იასაული მიბოძოთ, თუნ-
და თითონ დაიხსნან თავი, თუნდა რომელთასაც თავადისშვილის თავი
უნდოდეს, იმას და[ა]ხსნევინონ, გენებებათ თქვენ დაიხსენით. აყრა
უფრო გაუჭირდებათ, თორემ თუ აიყრებიან, ჩვენ ის გვირჩევ[ნ]ია.
რომელიც თქვენი ნება იყოს, ის მოწყალება მოიღევით; ნამსახურნი
კაცნი გახლავართ და ერთგულნი, ღმერთი გაგიმარჯვებს, მთიბათვის
**კა, ქორონიკონს უპვ.**

თავში

ჩვენი ბძანება არის ხალვათხანის ეშ[ი]კაღასო იოსებ! მერე ამ

[1] ამ არზით]გორი ბრაზ.

არზით ჩიკოიძეებს[1] რომ ასე მოუხსენებიათ, თუ სიტყვა არა ჰქონდესთ რა, ან აჰყარე და თავის კაცნი მიაბარე და ან თავი დაიხსნან; ამათზედაც ასე არის. და თუ სიტყვა ჰქონდესთ რამე, ჩვენ მოგვახსენონ.

ნისის კბ, ქორონიკონს უპვ.

მეფე გიორგი

## 454. არზა ნიკოლოზ მღვდლისა გამოსალეგის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1798 წ. 1 ივლისი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 9256. დედანი. ქაღალდი. 20,7×14,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან მოწყალე ჯელმწიფის ჭირი იმერელს კ ა ლ ა უ რ შ ი მოსახლე ნ ი კ ო ლ ა ო ზ მღუდელს მოსცეს.

ნეტარჯსენებულმა მამათქვენმა ერთი სასახლის ადგილი მიბოძა. არცა აქვს სასახლევი, არც სახნავი, არც ახო და არც სასაფლაო; ლამქარს წავლენ თუ ბეგარზე, მეჯანღებიან, დაგარბევთო. გ ა ნ ჯ ა ს რომ ბრძანდებოდით, არ შემეძლო წასვლა. ერთი ძროხა დამიკლა სოფელმა. ძმა არა მყავს და სახლისკაცი. ხელმარტო მღუდელი ვახლივარ, უმამულო, თქვენი მლოცველი და სოფლისა.

ამდენი თქვენი წყალობა იყოს, ან გამეზდებოდეს რამე და ან მამულს მიბოძებდეთ, რომ სული მოვიდგა მეცა, რა სიტყვა მექნება; თუ არა ხიზანივით გახლივარ შეუძლებელი და შალავათი დამემართოს ამ მოხსენებისა. ივნისის ლ, ქორონიკონს უპვ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის კალაურის მოურაო ო მ ა ნ! მერე რადგან ამ არზის პატრონი უმამულო და მარტოჯელი კაცი არის, ამას სანამ ან შვილი გაეზდებოდეს და ან მამულს მივსცემდეთ, ამას ხარჯსა, გამოსაღებსა და ბეგარაში ნურაში გარევ და ნურც არაზედ შეაწუხებ.

ივლისს ა, ქორონიკონს უპვ.

გიორგი

---

1 ჩიკოტიძებს.

# 455. არზა კალატოზიშვილებისა ღალის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1798 წ. 12 ივლისი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 2. საბუთი № 130. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[127] ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მოსცეს კალატოზიენთ იოანე მღვდელსა, აბელ მუშრიბსა და იოსებს.

ჩვენო მოწყალევ, ნასოფლარში ჩვენს მინდრის მიწებს გვედავებიან ჩვენი მეზობლები. დღეს აქამდი არცავინა გვდავებია და არც არავის ხმა ამოუღია. ჩვენი სამკვიდრო მამული არის.

გეყედრებით, ღმერთი გაგიმარჯვებს, ერთი ოქმი გვებოძოს ანტონი ავალიშვილზედა და ავალიშვილს ავალზედა, რომ იმ ჩვენის მამულის ღალა სრულად აიღონ, ერთს ალაგს ჩაჰყარონ.

მასუკან თუ ვისმე წერილი და საბუთი ჰქონდესთ, თქვენს სამართალში გველაპარაკონ. და თუ სიტყვა და საბუთი არა აქვსთ რა, [v] იასაულებმა ნახევარი იოანე მღუდელს მისცეს და ნახევარი აბელ. მუშრიბსა და იოსებსა. ივლისის **ჱ**, ქორონიკონს **უპვ**.

თავში

ჩვენი ბძანება არის ავალიშვილო ანტონი და ავალიშვილო ავალ! მერმე ამ არზით ასე რომ მოუხსენებია, ამათი მამულის ღალა უნდა სამართლიანის გზით აიღოთ და რაც ღალა გამოართოთ, ნახევარი ივანე მღვდელს მოეცით და ნახევარ აბელ მუშრიბს და იოსებს უნდა მოსცეთ.

და თუ ამ მამულში სადაო და საბუთი ქონდესთ ვისმე, სამართალში უნდა ალაპარაკოთ. ეს ასე უნდა აღასრულოთ. ივლისის **იბ**, ქორონიკონს **უპვ**.

თუ ჭეშმარიტი სიტყვა აქვს ვისმე, ჯერ ღალა უნდა აიღოთ და ერთს ალაგს უნდა ჩაყაროთ; თუ საბუთი აქვს ვისმე სამართალში უნდა ილაპარაკონ და რომელსაც[1] სამართლით დარჩება, იმას მიეცემა.

[1] რომელიც.

## 456. არზა ჯვარისმამის ათანასისა მამულის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1798 წ. 12 ივლისი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 51. საბუთი № 214. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[189v] ღმერთმან უმაღლესის მეფის ჭირი მოსცეს მათს მარადის მლოცველს იერუსალემელს ექსარხოს არხიმანდრიტს ჯვარისმამას ათანასის.

მერე ამას მოვახსენებთ, ფავლენიშვ'ილი რომ ქრისტეს საფლავს მამულს ართმევს და ედევება, ჩვენ იმ საქმეზე სამართალში გავლი[ლი] ვართ, განაჩენი გვაქვს და სანატრელის ბატონისაგანაც დამტკიცებული არის და თქვენგანაცა ოქმიცა მქონდა, რომ იმ მამულების ბარა ჩვენ უნდა აგველო, მაგრამ ფალვენიშვილმა არ დაგვანება.

ამდენი თქვენი წყალობა იყოს, რომ ერთი ოქმი გვიბოძოთ, სანამ თქვენ მობძანდებოდეთ, იმ მამულების ბარა ჩვენ ვიღოთ და [190] შევინახოთ. და როდესაც თქვენ მობძანდებით, მაშინ თქვენს სამართალში გველაპარაკოს. და მანამ კი ერთს თავადისშვილს ებძანოს თქვენგან ან მორდალს და ან სხვას ვისმე, იმ მამულების ბარა აიღოს და ჩვენ მოგ[ვ]ებაროს, როგორათააც ჩვენ[ი] განაჩენი აცხადებს.

წყალობას ვითხომთ, რომ ამის ოქმი გვებოძოს. ივნისის კდ, ქორონიკონს უპვ.

ექსარხოს არხიმანდრიტი ათანასიოს.

თავში

ჩვენს მაგიერად მორდალს დიასამიძეს იასეს ასე [ე]უწყოს. მერე ამ არზით ჯვარის მამას ათანასეს ასე რომ მოუხსენებია, როგორც განაჩენი უცხადებდეს, ისე იმ მამულების ბარა აიღევით და ჯვარის მამას მიაბარე. და ფალვენისშვილს თუ რამ სიტყვა აქვს, ჩვენ რომ ქართლში მოვალთ, მაშინ მოგვახსენოს და სამართალს მივცემთ.

ივლისის იბ, ქორონიკონს უპვ. გიორგი

## 457. არზა გეგთაბეგიშვილებისა ღალის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1798 წ. 14 ივლისი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 32. საბუთი № 74. პირი. ქაღალდი. მხედრული. არზის თარიღი მცდარი უნდა იყოს.

[59] ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის [v] ჰირი ერთობით ბეგთაბეგიშვილებს მოგვცეს.

ჩვენო ხელმწიფევ, სამი-ოთხი წელიწადი არის, რომ ალს ჩვენს მამულში ხვნა და თესვა არის. აქამდინ ღალა არ გვითხოვნია. და ახლა ამ მოწყალებას ვითხოვთ, რომ სამართლიანის ოქმით ალიდამაც და ან სხვაგან, სადაც ჩვენი მამულები იყოს, სამართლიანი ღალა მოგვცეს. ეს ერთის ბეჯითის ოქმისა და იასაულის წყალობა მოიღევით. ივნისის **იზ**, ქორონიკონს **უპე**.

თავში

ჩვენი ბძანება არის აბაშიძე ალის მოურავო დავით! მერე ამ არზით ბეგთაბეგისშვილებს რომ ასე მოუხსენებიათ, ალსა და ან სხვაგან, საცა ამათი მამულია, ვისაც მოსავალი ედგას, ყველას სამართლიანი ღალა გამოართვი და მოეცი. ივლისს **იდ**, ქორონიკონს **უპვ**.

## 458. არზა იმერელ მახარებლისა გათარხნების თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1798 წ. 21 ივლისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 579. დედანი. ქაღალდი. 21,3×12,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან საქართუელოს ჯელმწიფის ჰირი მომცეს ვანთას მყოფს მახარებელს.

ჩემო ჯელმწიფევ, იმერეთიდამ გადმოვარდი, შვიდი წელიწადი ფხოველში გახლდი და შვიდი წელიწადია რომ აქ ვანთას გახლავარ.

იმერეთიდამ ჩემი ნაბატონევი გარდმოვიდა, ქრთამი დახარჯა და ორი ვაჟი და ერთი ქალი ჩემი შვილები დამტაცეს იასაულებმა და მიმიცეს; იმ ჩემმა ნაბატონევმა იმერეთს გარდაასხა. ჩემი მეუღლე იმაზედ ავათ გახდა, ასე მითხრა: თუ შვილებს არა ვნახავ, მოვკვდე-

ბიო. წაველ იმერეთს, იმათი მოპარვა დავაპირე, შემიტყეს და მეც დამიჭირეს, გაყიდვას მიპირებდენ, გამოვეპარე.

აქ რომ გიახელ, შვილების ჯავრით ცოლიც მომიკვდა, ქალიშვილა დამრჩა, ვართ ორნი სულნი. ჩვენი სარჩო და ქონება, მუნ მზეს ვიფიცავთ, ერთი დღის ყანა არის, ისიც ტყისა, რომ ნახევარ დღისა ძლივ არის. ის ჩემი ქალიც ექვსის წლისა არის, მეც სხვა რიგათ სნეული გახლავარ.

გევედრები თქვენად ასამაღლებლად, რომ ბეგარიდამ, ხარჯიდამ და ჯარიდამ გამათავისუფლოთ. ივლისის **კა**, ქრონიკოს **უპვ**.

თავში

ქ. ჩვენ მაგიერად მოურავს ფრიდონ ჯანდიერიშვილს ასე ეუწყოს. მერე ამ არზის პატრონი რადგან ამისთანა ღარიბი და შეუძლებელი ხიზანი კაცი არის, ამას ხარჯსა, გამოსაღებსა, ბეგარას და ჯარში ნუ გარევ, რადგან სნეული არს; და ნურას სთხოვ და ნურცა რას გამოართმევ. ივლისის **კა**, ქრონიკონს **უპვ**. გიორგი

## 459 არზა იოანე მუხრანბატონისა უმის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1798 წ. 21 ივლისი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 34. საბუთი № 68. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[54v] ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჰირი მომცეს მუხრანის ბატონს იოანეს.

მერე პეტრე მღვდელს არზი მოურთმევია. ჩემო ჯელმწიფევ, იქნება მოხსენებული არა გქონდესთ, რომ ეკლესი[ი]ს ყმობის გარდა პეტრე მღვდელს რამდენი ჯაფი უჩვენებია ჩემთვის. ჯერ თავისის სიტყვით და მონდომებით სანატრელს ბატონთან დამაჩოქა და სამი თვე საჩივარი გვქონდა. რას ყოფით და სამართლით მაყაანთაგან გამოვიტანე, რამდენი ბატონის ოქმები მაქვს ან მაგ მღვდლისაგან მოცემული ფიცისა და პირობის წიგნები; თუ ინებებთ, ყველა მიირთვით და გასინჯეთ.

მეორე ეს, ჩემო ხელმწიფევ, მგონია ეპისკოპოსთავანაც თქვენ უკეთ იცოდეთ სჯლისკანონი და უფრო მტკიცეთაც გეპყრასთ, რომ ერთის ეკლესიის ყმა რომ მეორეს ეკლესიას შესწიროს, როგორ და-

ყენებულა. და თუ ეკლესიის ყმა არ იყოს, თქვენის თავის მზემ თავს არ გაწყენდით. ჩემი ვედრება ეს არის და ნება თქვენია. ივლისის **იზ,** ქორონიკონს **უპვ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავში

ჩვენ მაგიერად სარდალ-სალთხუცეს[ს] მუხრანის ბატონს იოანეს ასე უანბეთ. მერე ეს პეტრე მღვდელი შენი ყმა არის. ჩვენ ამ მღვდელს არ გამოგართმევთ და კიდეც გვიბოძებია. რადგანც წილკნის ეკლესიის ყმა არის, ამას ვერავინ ვერ გამოგართმევს ვერც თქვენა და ვერც ეკლესიასა. როდესაც გინდოდეს, აჰყარე და წაიყვანე. ივლისის კა, ქორონიკონს **უპვ.**

## 460. არზა ზაალ დავითიშვილისა მამულის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1798 წ. 22 ივლისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 578. დედანი. ქაღალდი. 20,8×15,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჰირი მათს მონას დავითიშვილს ზაალს მოსცეს.

ჩემო ხემწიფევ, სატივე ჩემი სამკვიდრო მამული არის, ქალანთარმა მძლავრობით წაგვართვა. სანატრელს ბატონთან ვიჩივლეთ, შეიტყო ბატონმა რომ უსამართლოთ გვქონდა წართმეული, კიდეც გვიბოძა, მუხლსაც მაკოცნინა, მაგრამ ანახანუმ დედოფალს შემოეთვალა: სიგელი უჭირამს, მოკითხული ბძანეთო და ისე უბოძეთო.

ბატონმა ამილახვარს იესეს ოქმით უბძანა, ქართველთ კითხეო ამისი ანბავი როგორ ყოფილაო. მოიკითხა, თითონც როგორც იცოდა და სულ ქართველთ მომიწერეს, მუჯალმა მოვართვი ბატონს. სამართალში მოუწოდა, ბატონმა ველარ მოიცალა, იმგვარი ჟამები მოადგა. ეს წერილებიც მაქვს, ბატონის ბძანებაცა. ახლა ედიას შვილი ტეტია ყიდის სადმე.

მოწყალებას ვითხომ, ერთი ოქმი მებოძოს, თქვენს სამართლამდინ ნურც გაყიდის, ნურც და[ა]გირავებს. თქვენ წინ სამართალში გავიაროთ, ჩემი საჩივარიც მოიხსენეთ, სანატრელის ბატონის მამის თქვენისაგან მოკითხული მუჯალმაც გაშინჯეთ. და თუ სამართალმა და[ა]ნარჩუნოს, რაც უნდა უყოს. ღმერთი გაგიმარჯვებს, ამისი ოქმი მიბოძეთ. [მ]კათათვის **კბ,** ქორონიკონს **უპვ.**

თავში

ქ. ჩვენი ბრძანება არის ციციშვილო დიმ[illegible] დავითიშვილი ზაალ ამ არზით ასე რომ ჩივის[illegible] გასყიდვა ჯერხანად არ იქნება და ვერცრა ვინ იყიდის, მანამ ჩვენს სამართალში არ ილაპარაკებთ და არ გარდასწყდება თქვენი დავა. ივლისის კბ, ქორონიკონს უპვ. გიორგი

## 461. არზა ეგნატე თუმანიშვილისა საოჯახო წიგნების თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1798 წ. 1 აგვისტო**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2223. დედანი. ქაღალდი. 28,7×15,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჴელმწიფის ჭირი თუმანისშვილს ეგნატის მომცეს.

მერე რაც საოჯახო წიგნები გვქონდა ყმისა და მამულისა ნასყიდობა თუ მეფეთაგან წყალობა, სულ ბიძაჩემსა ჰქონდა და ახლაც ჩემს ბიძაშვილსა აქვს, რომ ერთი წიგნი ჩემთვის არ მოუცია. ერთი რუსული მგრგვალი რკინით გადაჭედილი ზანდუკი სავსე წიგნებით იყო. რომ ჩვენი სახლისკაცი ფარსიაშვილი გიორგი ბიძის ჩემისას შევიყვანე და მოწმათ დავისწარ. ის ზანდუკი განვასხნევინე; ნახევრათ ძლივ იყო და თერთმეტი წიგნების პარკები დაეცალა და წიგნები დაემალა. პარკების წიგნებს გარდა წიგნები დავთვალე, ორასოთხმოცი წიგნი იყო, ისევ ზანდუკშივე ჩავაწყევით და ის პარკებიც შიგავ ჩავყარეთ და დავკეტეთ და ჩემის ბეჭდით და ლაქით დავბეჭდე და ისე მოვაბარე, რომ ჩვენმა სახლისკაცმა ფარსიაშვილმა გიორგიმ კარგად იცის.

ამ წყალობას ვითხოვ, თქვენს შვილს იოანეზედ ოქმი მიბოძოთ ჩემის წილის წიგნების პასუხი მოაცემინოს, გამომირთვას და მიბოძოს, როგორც ჩვენს განაჩენში სწერია. აგვისტოს ა, ქორონიკონს უპვ.

თავში

ქ. ჩვენო ღმრთის წყალობავ შვილო ბატონო იოანე! მერე მდივანი ეგნატი ამ არზით ასე რომ უჩივის თავის ბიძაშვილს თავისის წილის წიგნების პასუხი სამართლიანის საქმით მოაცემინე. აგვისტოს ა, ქორონიკონს უპვ. გიორგი

## 462. არზა დავით დიაკვნისა ულუფის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1798 წ. 10 აგვისტო**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 5742. დედანი. ქაღალდი. 21,5×11,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან მათის უმაღლესობის ბედნიერის საქართველოს ჯელმწიფის ჭირი მოსცეს დ ა ვ ი თ დიაკონსა.

ჩემო ჯელმწიფევ! ერთი საწყალი, უმამულო და უბინაო კაცი გახლავარ, თქვენს საფარველში დაბერებული. თქვენს მეტი მოწყალე ვინღა არის ჩემთვისა და ან ვისღა მივატანო. ნეტარხსენებულის ბატონის ოქმები აქვს მოჯელე[ე]ბზედ ულუფისა. წელს კოდის ჰურზედ მჭონდა ბარათი, ეპატივა და აღარა მომეცა რა. თქვენი ორგული დარჩეს, მე გლახა შევიქენ. კარისკარ დავალ და ისე ვთხოულობ და ისე ვიზრდები საცოდაობითა.

ღმერთი თქვენს ჯელმწიფობას ასი ათასად აღამაღლებს. ჩემი შებრალება და ყურის მოგდება ქრისტეს ავასხეთ, ულუფის წყალობას ღირს მყავით, სიბერის ჟამს უწყალოდ ნუ დამაგდებთ. ამთენი ხანი არის თქვენ გახლავარ, ისევ თქვენ ინებებთ, თუ თქვენს შვილებთანა განმაწესებთ, თქვენს სამსახურში აღვასრულო ჩემი ცხოვრება. აგვისტოს **თ**, ქორონიკონს **უპვ**.

თავში

ქ. ჩვენ მაგიერად ბატონს სალთხუცეს და საგარეჯოს მოურავს გ ი ო რ გ ი ს და მდივანს დ ა ვ ი თ ს ასე ეწყოს! მერე ამ არზით დავით დიაკვანს ასე რომ მოუხსენებია, რაც ამას კურთხეულის მეფის ბატონის მამის ჩვენისგან ან ულუფა ქონია განწესებული და ან საკლავი, ახლაც ისე უნდა მისცემდეთ ხოლმე. აგვისტოს **ი**, ქორონიკონს **უპვ**.

გიორგი

verso

ქ. ქ რ ი ს ტ ე ს ი ა ამბარდანო, დავით დიაკონს თავისი განწესებული ულუფა ოცდახუთი კოდი ჰური და ქერი უნდა მისცე. მარიამობის **იზ**, ქორონიკონს **უპვ**.

## 463. არზა დავითა სამნაშვილისა სამართლის მიცემაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1798 წ. 18 აგვისტო**

ერისკაცული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 717. დედანი. ქაღალდი. 24×14 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს დავით ნაზირის ყმას სამნაშვილს დავითას.

ჩემო ჯელმწიფევ! ერთი და მყვანდა და შარშან გავათხოვე, მარტყოფელს კაცს მივეც. მერმე გიორგიწმიდულმა ჯამალაშვილმა დავა დამიწყო, რომ შენი და სხვას რათ მიეც და მე არ მომეცო.

ნინოწმიდელთან ვიჩივლეთ; და ჩემს დას მოძღვარი გაუგზავნეს, ჰკითხეს, ეგების ქალის ნება ეს იყოს და ეს უნდოდესო. ჩემ[მ]ა დამაც დიდი ვარი თქვა, რომ თავს მოვიკლავ, თუ მაგას მიმეცითო; და გაამტყუნეს ის კაცი.

და არც ნიშანი მქონია იმისი და არც შუამავლობით ლაპარაკი გვქონია რამე იმ კაცთანა. ამ მიზეზით გადამეკიდა ის კაცი, რატომ შენი და მე არ მომეცო. ერთხელ კინაღამ შვილი მომიკლა, რომ სხვათ ჯელიდამ გაეგდებინებინათ. მერე კიდევ ჩვენც გვემუქრებოდა.

ახლა ერთს ღამეს მოგვეპარა და ფიჩვის ხით ნაშენი საბძელი გვქონდა გზით სავსე. შვიდი ურემიც თივა გვერთ ედგა და ყოველიფერი კალოს იარაღი — ორთითი, ფიწალი და ნიჩაბი — ყველა შიგ იყო. მისცა ცეცხლი და სულ ერთიანად დამიწვა უბრალოთ მტერობითა.

და ამის სამართალს გევედრებით, ღმერთი გაგიმარჯვებსთ.

თავში

ქ. ჩვენ მაგიერად ყოვლად სამღვდელო ნინოწმინდელს მიხაილს ჯელს-მთხვევნა ეუწყოს. მერმე ამ არზის პატრონი ასე რომ ჩივის, დავით-გარეჯის მონასტრის არხიმანდრიტი თეოდოსი, ქურხული იოსებ მღვდელი და სხვა სამღვდელონი და საგარეჯოს ნაცვალი და ნაცვლიშვილი დავით[ი]ც თქვენთან დაისწარით; და ამაზედ ჯაბადარი ნიანია გამოგვიგზავნია, და ამ არზის პატრონი და ამისი მოდავე თქვენთან ალაპარაკეთ და ჭეშმარიტი სამართალი მიეცით და გარდაუწყვიტე.

და ჯაბადარო ნიანიავ! რაც ამათ სამართალი მისცენ, ისე უნდა გა[ა]რიგო ამათი საქმე. აგვისტოს იჱ, ქორონიკონს უპვ. გიორგი

## 464. არზა პეტროზა ვართაპეტისა სარგოს თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1798 წ. 19 აგვისტო**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 2086. დედანი. ქაღალდი. 22×15,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერი ჯელმწიფის ჰირი მარად ჟამს მათ მლოცველს, ახპატის წმინდის მონასტრის კრებული პეტროზ ვართაპეტს მოსცეს.

ჩვენო მოწყალევ, აქ ახპატს ორი ვართაპეტები გახლავართ, სამი დიაკვანი, ორი მიღდისა, კიდევ მეძროხენი და წამსვლელ-მამსვლელნი. ჩვენის ცოდვით ქვეყანა შეწუხდა, ქალაქი გაიფანტა, არსაით მოწყალე არავინა გვყავს, საყდარი უსანთლო გვაქვსთ და ჩვენ მშიარ-მწყურვალენი ვყრივართ. მაინც ვერ მოვსულვართ და აქეთ ყაზახის სომხები არას გვეპუებიან და ჩვენს განწესებას არას გვაძლევენ.

მოგეხსენებათ, თქვენის მეტი მოწყალე არცა გვყოლია და არც არა გვყავს. გევედრებით თქვენად სადღეგრძელოდ ერთი მაგარი ოქმი გვიბოძეთ ყაზახის სამღვდელოთზე და მამასახლისებზე, რომ ჩვენი ეკლესიის განწესება მოგვცენ. და რომელიც წინ აღუდგეს თქვენ ბრძანებას, თქვენად შემცოდებლად მოეკითხოსთ. ასეთი შიში მიეცით, რომ ჩვენი რიგი მოქვცენ, რომ ჩვენც თქვენის წყალობით ამ წმინდა მონასტრის სანთელი ავანთოთ და ჩვენი დღიური საზრდოც მივიღოთ და მარად ჟამს თქვენი ხემწიფობის განძლიერებისათვის ვილოცვიდეთ, ღმერთი გადღეგრძელებსთ წყალობა გვაღირსეთ. აგვისტოს... ქორონიკონს უპვ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ყაზახის სომხების მელიქებო, ქევხებო და სამღვდელონო და საერონო[1]. მერე ამ არზით წმინდის ახპატის მონასტრის პეტროზ ვართაპეტს ასე რომ მოუხსენებია, რაც თქვენ ახპატის მონასტრის განწესება და სამსახური გაძევსთ, რომ ყოველს წელიწადს უნდა მისცეთ იმ განწესებისამებრ, ახლაც მისცემდეთ ხოლმე. და თუ არ მისცემთ, მერმე ჩვენი იასაული ჩამოგვივათ და ისე გამოგერთმევათ. აგვისტოს ით, ქორონიკონს უპვ. გიორგი

[1] საერენო.

## 465. არზა ამილღაბარ ციციშვილისა ვალის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

1798 წ. 23 აგვისტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 4582. დედანი. ქაღალდი. 20,3×15,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნები ნახმარი არ არის. დაზიანებული.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ამილღაბარ ციციშვილს.

მერე ამას მოგახსენებ ჩემო ხელმწიფევ, გიორგი ციციშვილისა თუ [სხვისი] ვალი ყოველივე ჩემს ძმას ნიკ[ოლოზს აუღია]. გიორგი ციციშვილმა ერთი კომლი კაცი გამომართვეს[1] იმ ვალის გულისათვის და ჩემს ძმას ნიკოლოზს მისცეს, რომ რაც ვალები გაყრაზე აუღია, იმან უნდა გადაწყვი[ტო]ს, ამის მიზეზით გამომართვეს.

ახლა თქვენი ბძანებით გიორგი ციციშვილმა ერთს კომლს კაცზე ხელი ამიმართა უსამართლოთ, რომ განაჩენშიაც ასე გვიცხადებს, რადგან ის ერთი კომლი კაცი იმას მისცეს, იმან უნდა გადაწყვიტოს ვალი.

ღმერთი გაგიმარჯვებს ერთის ოქმის მოწყალება მოიღეთ ჩვენი კაცი მოგვეცეს და ვალი ნიკოლოზმა მისცეს. თუ არა ჩემო ხელმწიფევ, რომელიც კაცი ვალის გულისათვის [ნიკოლო]ზს მისცეს, მე მომცეს და ყველას ვალს მე მივ[ცემ]. [აგვისტო]ს კა, ჭორონიკონს უპვ.

თავში

ქ. ჩვენ მაგიერად მინბაშს ციციშვილს გოგიას ასე ეუწყოს! მერე ამილღაბარის განაჩენი ჩვენ გავშინჯეთ, რომ რაც ვალი [ჰქო]ნიათ. სრულად ნიკოლოზს დაზდებია და ნიკოლოზმა უნდა გადაწყვიტოს ის ვალები. ამილღაბარს საქმე არა აქვს რა. და ამილღაბარის კაცზედ რომ ხელს იმართავს, ეგ კაცი ისევ ამილღაბარს მოეც და ბიძაშენს გიორგის ნიკოლოზმა უნდა გასცეს პასუხი. აგვისტოს კგ, ჭორონიკონს უპვ.

გიორგი

[1] გამომართმევეს.

## 466. არზა გაზაზი პაპასი ვალის თაოგაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1798 წ. 29 აგვისტო**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 424. დედანი. ქაღალდი. 16,5×11 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის, ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის, თელაველის ბაზაზი პაპასი.

კონდოლს ცამეტი კოდი პური თავის საცალოებით ალადაშვილის სახლში მქონდა. იმ პურის გვერდითაც იმის პურები ეწყო. იმისი ისევ არის და ჩემი კი დაიკარგა. აქეთაც მეკომური კაცი იდგა დ იქითაც და შუაში ჩემი პური იკარგება.

ამის სამართალს ვითხოვ. ამის გარდა, თითო-ოროლი შაური ვისაც მართებს[1] და ნებით არ იძლევებიან, ამისთვისაც ოქმი და იასაული უნდა მიბოძოთ, რომ გამამირთოს ჩემი ჰახი და მამცეს. აგვისტოს **კზ, ქორონიკონს უპვ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის იასაულო იოსებ და გურამ! მერე ამ არზის პატრონს ასე რომ მოუხსენებია, შენ უნდა დაადგე და ვისაც ამის პური თუ თეთრი ემართოს, უნდა სამართლიანის საქმით გამოურთო და ამას მოსცე. თუ სიტყვა ჰქონდესთ რამე, სამართალში მოიყვანე და ალაპარაკე. აგვისტოს **კთ**, ქორონიკონს **უპვ.** გიორგი

## 467. არზა იოსებ დეკანოზიშვილისა ყმის თაოგაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1798 წ. 11 სექტემბერი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 4293. დედანი. ქაღალდი. 21,8×18,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აბზაცის ბოლოს ნახმარია წერტილი.

მათის უმაღლესობის, ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი, მათის მარად მლოცუელის, უღირსის მღუდლის დეკანოზისშვილის იოსების მიერ.

ჩემო ჯელმწიფევ, გევედრებით რომ ჩემი ვედრება მოიხსენოთ. პაპაჩემი აბრამ დეკანოზი ყმაწვილათ გხლებიათ, რომ იმასთან ერთი კაცი ჯავახეთიდამ გხლებიათ და იმასთან ყოფილა. პაპაჩემს შეუ-

[1] მიმართებს.

ნახამს თავისის ხარჯით რამთვენიმე წელიწადი და მერე ჭ ო რ ხ ე ლ ს მამულზედ დაუყენებია, დამდგარა მამულზედ ოც წლამდინ.

პაპაჩემი რომ თქვენის ჭირის სანაცვლო შექმნილა, [illegible] მოუხსენებიათ ზ ე ნ ო ნ ა ლ ა ვ ე რ დ ლ ი ს ა თ ვ ი ს, რომ [illegible]-ხ ა რ ს რომ აშენებას უპირებთ, ჯავახი გახლავსთ, ეკლესიის ხიზანი არისო და ისიც იქ დააყენეთო. ʻაუყრიათ და ნასომხარში დაუსახლებიათ.

იმ ჟამებზედ ნეტარად ხსენებული მის[ი] უმაღლესობა მეფე მობძანებულა და იმათთან უჩივლიათ ბიძაჩემსა და მამაჩემს, რომ ამთვენის ხნის კაცი გახლდათ ჩვენთან ერთი ჯავახი და ახლა ალავერდელმა აგვიყარაო. მაშინვე ოქმი და იასაული ებოძებინათ და ის კაცი ისევ ბიძის ჩემისათვის ებოძებინა. მას აქეთ ის კაცი ჩვენს მამულზედ გახლავსთ და საქვეყნოს ხარჯში.

ღმერთმან თქვენი რისხვა მომცეს ჩემო ხელმწიფევ, თუ, როდესაც ჯავახეთიდამ წამოსულა ის კაცი, ან ქართლსა და ან კახეთში ან თავადისშვილთან და ან აზნაურშვილთან ჩვენს გარდა ან ყოფილიყოს ვისთანმე და ან პური ეჭამოს ვისიმე. ოთხმოცი წელიწადია რა ის კაცი ჩვენს მამულზედ გახლავსთ და არცავის უდავნია. ნურც თქვენ ინებებთ იმის წართმევას. ღმერთი გაგიმარჯუებს. სეკდენბრის **ი**, ქორონიკონს **უპვ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის, რომელიც ამისი მოასილი ხარ! მერე ეს კაცი ამდენი ხანი ამისი ყმა ყოფილა ჯავახეთიდამ მოსული და კურთხეულის მეფის ბატონის მამის ჩვენის ოქმებიცა აქვს და ამისი ყმა არის. ამასთან საქმე ნურა გაქვსთ რა, ჴელი აიღევით. სეკდემბრის **ია**, ქორონიკონს **უპვ**.

ბეჭედი: მეფე სრულიად ქართლისა კახეთისა და სხვათა გ ი ო რ გ ი.

## 468. არზა ზურაბ ლონანაშვილისა ვალის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1798 წ. 14 სექტემბერი**

ცსსა. ფ. 1448, საბ. № 820. დედანი. 23×16,4 სმ. ქაღალდი. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჭირი მოსცეს ლ ო ნ ა ნ ა შ ვ ი ლ ს ზ უ რ ა ბ ს.

მერმე მათ უმაღლესობას ამას მოვახსენებ: გრიგოლ ჭავჭავაძის ყმისაგან მამულს ვყიდულობდი; ჭავჭავაძე გრიგოლმა ორი თუმანი გამამართვა, კაის წიგნს დაგიწერ და მოგცემო; მაგრამ დღემდე ვერ გავრიგდით და ორ თუმანს ჩემს ეგ გრიგოლი ჭავჭავაძე ვამბ, ვთხომ და ალარ მაძლევს.

ღმერთი გაგიმარჯვებთ, სამ[ა]რთალი წყალობა მაღირსეთ. სეკდენბერს **ი**, ქორონიკონს **უპვ**.

თავში.

ქ. ჩვენი ბძანება არის ჭავჭავაძე გრიგოლ! მერე ამ არზის პატრონისათვის ორი თუმანი მამულის წიგნის საბეჭდავი რომ გამოგირთმევია, იმ მამულზე ხომ ვერ მორიგებულან და არც უყიდნია. და ახლა რასაც დროს ეს ჩვენი ოქმი მოგივიდეს, ეგ თავის ორი თუმანი ისევ უნდა მოსცე, ნუღარ ალაპარაკებ. და თუ სხვა სიტყვა გაქვს რამე, სამართალში ელაპარაკე. სეკდემბერს **იდ**, ქორონიკონს **უპვ**.

ბეჭედი: მეფე სრულიად ქართლისა და სხვათა გიორგი.

## 469. არზა იესე მურვანიშვილისა ყმის თაობაზე ფარნავაზ ბატონიშვილის ოქმით

**1798 წ. 17 სექტემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1241. დედანი. ქაღალდი. 23,3×10,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. ა-მეტნაკლული.

ქ. ღმერთმან მეფის ძის ფარნაოზის ჰირი მოსცეს მურვანიშვილს იესესა.

მემრე ამას მოგახსენებ, ღმერთმა იმტელი თქვენი წყალობა მამცეს, რამტელი კახელთა და ქართველთა თქვენს ყმას განჯელი ყვანდეს, რომ არავინ ედავებოდეს.

მემრე ამ სომხისთვის ოქმი გიბოძებია, იასაული მადგია და სომხის შვილს მთხოვენ. მემრე ჩემო ხემწიფე, სალთხუცესი რომ აქ გახლდათ, მაშინც ილაპარაკა, მაგრამ პასუხიც არ აღირსა და ისევ მევე მიბოძა. იმტელი ამ შვილზე არ მაქვს, რომ ამ სომეხზე მაქვს.

წყალობას ვითხომ, რომ იასაული ჩამამხსნათ, რომ დიაღ[1] ძალას მატანს, თვარადა ნება თქვენია. თუ ეს სომეხი წავიდეს სადმე, ჩემი

[1] დაღა.

ყმა მოგართვა. თუ არადა, მეც შენი ყმა გახლავარ და ისიც თუ მებრძებაა, ხომ თქვენი წყალობა იქნება. თუ არადა, ნება თქვენია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავში

ქ. ბატონო სახლთხუცეს[ო] სურამის მოურაო ერისთვის შვილო ელიზბარ! ამ არზით მურვანისშვილს რომ ასე მოუხსენებია, რადგანც ამათს ლაპარაკს თქვენთან გაუვლია და[1] სამართლით გარდაგიწყვეტია, თქვენვე უნდა გაშინჯოთ ამათი საქმე და სამართლიანის საქმით გაარიგოთ, რომ ამას უსამართლო არა დაემართოს რა.

კორინთელო ნინია! მანამდინ ბატონს სახლთუხუცეს ელიზბართან ილაპარაკებდნენ, ამას რომ სომხის ბიჭი ჰყავს, ამას ვეღარ გამოართმევ. სეკდემბრის **იზ**, ქორონიკონს **უპვ**.

ბეჭედი: ღვთისმშობელმან წიაღით მფარნა ვაზკეთილთა რტოდ მეც შემიწყნარა.

## 470. არზა ზაზა მაღალაშვილის ქვრივისა ყმა-მამულის თაობაზე ანტონ II-ის ოქმით

**1798 წ. 17 სექტემბერი**

ცსსა. ფონდი. 1450. დავთარი № 23. საბუთი № 61 .პირი. ქაღალდი. მხედრული.

[62] ღმერთმან სრულიად საქართველოს პატრიარხის ჭირი მომცეს თქვენს ფეხთა მტვერს ზაზა მაღალაშვილის ქვრივსა და ობლებსა.

მერე ამას მოგახსენებ ჩემო ხელმწიფევ, რომ ღმერთი გამიწყრა, თქვენის ყმისაგან დავრჩი უწყალო ქვრივი, დამრჩნენ უნუგეშოდ ობლები ვალების პატრონნი.

და ახლა ვედრება ჩემი ეს არის ჩემო ნუგეშინის მცემელო [v] ხელმწიფევ, მეც მაცხოვროთ და ობლებიც[2] დამაზრდევინოთ; თქვენ საყმოში ისიც თქვენის ნაწყალობევით[3] და ობლებით ჰცხოვრებდა და თქვენ ახლა იმისი ქვრივი და ობლებიც გვაცხოვროთ თქვენად სადღეგრძელოდ.

ასე თქვენს მტერს უჭირდეს, როგორც ჩვენ გახლავართ. ოცის წლის ვაჟი კაცი შვილი ოთხი თვე არის ავათა მყავს და მეორე შვიდის წლისა გახლავსთ.

გევედრები ჩემო ხელმწიფევ, მანამ ჩემი შვილები მოვლასა, პატრონობას შეიძლებდნენ, ჩემი ყმა და მამული და სახელო ჩემს

---

[1] + და. [2] ობლებით. [3] მაწყალობევი.

მაზლს — სალთხუცესს მიაბაროთ თქვენის ბრძანებითა. სეკდემბერსა-იც, ქორონიკონს უპვ.

თავში

სალთხუცესო ამილბარ! მერე ამ არზით ასე რომ მოუხსენებია, შენის სახლისკაცის ყმა-მამულიც ამისი ქვრივი და ობლები შენთვის მოგვიბარებია. ამათზედ თვალყური გეჭიროს, რომ უბრალოთ არავინ რა შესცოდო[ს] და არავინ რა შეაწუხოს. სეკდემბერს იზ, ქორონიკონს უპვ.

ხელრთვა კათალიკოზი.

## 471. არზა ჭაიხოსრო ამილახვრიშვილისა გამოსაღების თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1798 წ. 18 სექტემბერი**

ცსსა. პ. კარბელაშვილის პირადი ფონდი. № 1461. რვეული № 14. გვ. 70v—71r.

[70v] ქ. ღმერთმან ჩემის მოწყალის მეფის ჭირი მოსცეს მათს მიწად მტვერს ამილახვრიშვილს ქაიხოსროვს უსი[71]ნათლოს და მწარედ შეწუხებულს.

ჩემო ჯელმწიფევ, თუმცა ჩემის ცოდვის მიზეზით არა მაქვს თვალი რომ გიახლო, მუხლთ გაკოცო, თქვენი ბედნიერობა და დაგვირგვინება დავინახო და მოგილოცო, მაგრამ ჯელაპყრობით ვითხოვ ზეციერის მამისაგან რომ მეფობა თქვენი მრავალჟამიერ ჰყოს, ბედნიერობით ბძანდებოდეთ, ჩემსაებრ დავრდომილისა და შეწუხებულის სასიქადულოთა და სანუგეშოთ.

და შემდგომად ამას მოგახსენებ ჩემო ჯელმწიფევ. უფალმან სულით გაანათლოს ნეტარად ხსენებული ჯელმწიფე, მამათქვენს ოქმით ჩემის ექვსის კაცის სურსათის გამოსაღები ჩემთვის ებოძებინა.

გევედრები და მუხლთ გეხვევი, იმის მოსახსენებლად და თქვენად სადღეგრძელოთ იმისი მოწყალება არ მამიშალოთ და ოქმის წყალობა მოიღოთ რომ მეც თქვენის მოწყალებით ვიცხოვრო და მარადის თქვენის ჯელმწიფობისა და დღეგრძელობისათვის მავედრებელი ვიყო. სეკდემბერს იდ, ქორონიკონს უპე.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის, რომელნიც იასაულნი იქნებოდეთ ხოლმე! მერმე ამ არზის პატრონს ასე რომ მოუხსენებია, და ამის ექვსის

კომლის კაცის სურსათი და გამოსაღები კურთხეულს მეფეს ბატონს მამაჩვენს ამისთვის უბოძებია, და რომელნიც იასაულნი მიხვიდოდეთ, როგორც იმ ბოძებულს ოქმში უცხადებდეს, ისე უნდა აღასრულებდეს და არას გამოართმევდეთ. სეკდემბერს **იწ**, ქორონიკონს **უპვ**.

მეფე გიორგი

## 472. არზა ერასტი ამილახვარიშვილისა სამართლის მიცემაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1798 წ. 21 სექტემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 1443. დედანი. ქაღალდი. 27,5×11 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ამილახვარიშვილის ერასტისა.

ჩვენ[ი] და ბეჟანის შფოთი რომ არ დასცხრა, სანატრელის მეფის ოქმიც მაქვს ამ რიგათ, რომ: თქვენს სამართლამდისინ წართმეული რომელსაც გქონდესთ, ერთმანერთს ისევ მიეცით; და როდესაც თქვენს სამართალში შევალთ, მაშინ ჩვენ გაგასწორებთ; და ეს პირობაც უნდა იყოს — თქვენში რომელიც დღეის იქით შფოთის მიზეზი შეიქნება, სიმტყუვნე იმას დაედებაო.

და დამშვიდების მაგიერ რაოდენი შფოთი მოუღია ჩემზედ, იმისი სია მაქვს სამართლისათვის დამზადებული; ინებებთ თქვენს წინაშე გვალაპარაკეთ; ინებებთ თქვენს შვილს იოანეზედ გვიბოძეთ ოქმი, რომ იმან გაგვაშველოს სამართლით, მოწმე[ე]ბის გამოძიებით. სეკდემბერს **იწ**, ქორონიკონს **უპვ**.

თავში

ქ. ჩვენო ღმრთის წყალობავ შვილო ბატონო იოანე მერე ეს ამილახვრიშვილი ერასტი ასე რომ ჩივის, ბეჟანს უჩივის. ესენი ორთავე შენთან მიაყვანინე და სწორეს და რიგიანის სამართლის გზით ერთმანეთს მოაშველე და გარდაუწყვიდე, რომ კვლავ ერთმანეთში დავა და სალაპარაკო აღარა ჰქონდესთ რა. სეკდენბრის **კა**, ქორონიკონს **უპვ**.

თუ შენ ვერ მოარიგო, ჩვენთან გამოგზავნე.

ბეჭედი: მეფე სრულიად ქართლისა და კახეთისა და სხვათა გიორგი.

## 473. არზა ადამ ტარუაშვილისა სამართლის მიცემაზე იოანე გაბონიშვილის ოქმით

**1798 წ. 29 სექტემბერი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფ. 1448. საბ. 1814. დედანი. 14,3×10,3 სმ. ქაღალდი. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან სრულიად საქართველოს მეფის ძის იოვანეს ჭირი მინბაშის დიმიტრის ყმას ტარუაშვილს ადამას მოსცეს.

მერმე ამას მოვახსენებ: ღოღეთიდამ ძნა მამჭონდა დავით ამირეჯიბი[ს] შვილი დამხვდა ბრეთსა და დირბ[ს] შუა, ერთი ხარი წამართვა და ხმლით დამჭრა კისერში, ერთი საყევარიც წამართვა.

ერთი წელიწადია ხარი წართმეული მყავს. ერთი იასაული და ოქმი მიბოძეთ, ჩემი ხარი და საყევარი გამამირთვას და სამართალშიც მელაპარაკოს, რა დანაშაული მქონდა, რომ დამჭრა. სეკდენბრის **კთ**, ქორონიკონს **უპვ**.

თავში

ქ. მეფის ძე იოანე გიბძანებ ნინიავ და რამაზი! მერე ამ არზის პატრონი დავით ამირეჯიბს რომ უჩივის, ხარი რომ წაურთმევია და კიდეც დაუჭრია, ხარი ახლავ გამოურთვი და მოეც. და დაჭრაზედ ორთავ ჩვენთან ალაპარაკე. ენკენისთვის **კთ**, ქორონიკონს **უპვ**. იოანე

## 474. არზა უთრუთიშვილეგისა ყმოგის თაოგაზე ფარნაოზ გაბონიშვილის ოქმით

**1798 წ. 30 სექტემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 9960. დედანი. ქაღალდი. 21,5×15 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან ჩვენის მოწყალის მეფის ძის ფარნაოზის ჭირი უთრუთიშვილებს მოგვცეს.

ჩვენი მოხსენება ეს არის: ბაგრატის შვილს გოგიას ამის მეტი საბუთი ჩვენთან არა აქვს რა — პაპის ჩემისაგან ნაშობი იყო პაპა მათიო. მართალიც არის, იმგვარად იყო ნაშობი, მაგრამ თავის შვილებზე უკეთ ყვარებია, ჯერ მღთითა და მერე სანატრელის ხემწი-

ფით აღზრდილი[1] გხლებიათ და ყველანი მწყალობელნი ყოფილან. და თუ თავისის გარჯითა და კაცობით უშოვნია რამე, თითო-ოროლა დღის მიწა ქვემო ციციენთაგან და მათის აზნაურშვილებისაგან შეძენია და ისრე ცხოვრებულა, როგორც იმერეთს წილობასთან ყოფილა, ისრე სხვეფთან გხლებია.

**რა** ისინი გარდაცვლილან, პაპა ჩვენს უთრუთს ორი ობოლი დარჩენია — ერთი მამა ჩვენი და მეორე უფროსი სხვა. ამდგარან და სხვა ციციშვილებს მიკერძებიან და დაზრდილან. უფროს ძმას არა დარჩენია რა და უნცროსის ძმისა ჩვენ გახლავართ.

და ახლა კიდევ ჩვენი უფროსი ძმა, რომელიც თქვენს სამსახურში აღსრულდა, ისი თხუთმეტ-თექვსმეტი წელიწადი ალექსანდრეს შვილს გოგიას ახლდა. და როდესაც ღმერთმან და სანატრელმა ბატონმა თქვენს ხლებას ღირსგვყო, მაში[ნ] დაგვიწყო დავება, მანამდინ გოგიას ახლდა. თუ სიტყვა ჰქონდა რამე, სად იყო. როდესაც თქვენს საფარველს ღირს ვიქმენით, მასუკან დაგვიწყო დავება და ბატონისშვილის იოვანეს ოქმით ხელი აგვიმართა.

ღმერთი გაგიმარჯვებს, ერთის გზით ბინა გვიბოძეთ, რომ ჩვენ ბატონისაგან ბოძებულნი თქვენ გახლივართ. თუ სიტყვა ჰქონდეს რამე, თქვენთან გველაპარაკოს, რომელიც ჩვენი მოდავე იყოს. ამისი მოწყალება დაგვმართეთ თქვენად გასამარჯვებლად. სეკდემბრის **კზ**, ქორონიკონს **უპვ**.

თავში

ქ. მეფის ძე ფარნავაზ გიბრძანებ უთრუთისშვილებო! ამ არზით ასე რომ მოგიხსენებია, სანატრელს ბატონს მამაჩვენს თქვენი თავი ჩვენთვის უბოძებია და მას აქეთ ჩვენ გვიჭირავხართ და არცავის ხმა ამოუღია, თქვენთან საქმე არავისა აქვსთ. და თუ ვისმე სიტყვ[ა] ჰქონდეს, ჩვენთან მოვიდნენ და ჩვენ გველაპარაკნენ, შენთან საქმე არავისა აქვს. ენკენისთვის **ლ**, ქორონიკონს **უპვ**.

ბეჭედი: ღთის მშობელმან წიაღით მფარნა ვაზკეთილთა რტოდ მეც შემიწყნარა.

ქ. არცავის შენს მამულთანა აქვს ვისმე ხელი, არც ნასყიდთან, არც უსყიდთან; შენც ჩვენი ხარ და შენი ნასყიდი და უსყიდი მამულიცა, შენთან ჯელი არავისა აქუს, ყველამ ასე იცოდენ.

ბეჭედი: ღთის მშობელმან წიაღით მფარნა ვაზკეთილთა რტოდ მეც შემიწყნარა.

---

[1] აღსდილი.

ქ. მათის უგანათლებულესობის ბძანებას ვამტკიცებ მინბაში ცრ-
ციშვილი გიორგი და არცა რა საქმე მაქს სიყვარულობის მე-
ტი. ენკენისთვის **ლ,** ქრონიკონს **უპვ.**

მინბაში
გიორგი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## 475. არზა იოსებ ნახუცრიშვილისა ყმობის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1798 წ. 3 ოქტომბერი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 51. საბუთი № 170. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[135v] მათის უმაღლესობის ბედნიერის ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის დირბიდამ ქრისტეს საფლავის ყმის ნახუცრიშვილის იოსებისა.

სანატრელის მეფის ოქმი მაქვს და მღვდელთმთავარის ნიქოზლისაგან მოწმობის წიგნი მოცემული, რომ მაქსიმეს ჩვენთან საქმე არა აქვს. ასე რომ მამის თქვენის ბძანებით მთელი დირბის მოხუცებულთ კაცებში ნიქოზელს მოწმობა ფიცით უკითხავთ და ყოველს სულს დაუმტკიცებიათ, რომ ჩვენ ქრისტეს საფლავის ყმანი ვყოფილვართ. და ახლა მაქსიმემ ორი წელიწადია ჩვენის მამის ნასყიდს მამულზედაც ალარ მიგვიშვა. იმას რომ ჩვენი დაკარგვა უნდოდეს, თქვენ ნუ დაგვკარგავთ.

ამას გევედრებით, სანატრელის მეფისგან ბოძებული ოქმი თქვენც დაგვიმტკიცოთ და არ მოგვიშალოთ. სექდემბრის **იდ,** ქრონიკონს **უპვ.**

თავში

[135] ჩვენი ბძანება არის ამ არზის პატრონო. მერე სანამდის რომ აქ ათანასი ჯვარისმამა მოვიდოდა, მანამდისინ უწმინდესის პატრიარხისაგან ჩვენ გვებარნენ წმინდა საფლავის ყმანი.

ახლა რადგან უწმინდესის პატრიარხის ბძანებით ჯვარისმამა ათანასი მოვიდა, ყოველი საქმის უფლება იმას აქვს მიცემული უწმინდესის პატრიარხისაგან. და ჯვარისმამის ათანასის ნება არის და უფლებაცა აქვს, ნებევდეს მიგცეს და ნებევდეს გამოგართოს, ჩვენ საქმე არა გვაქვს ამაში.

და მასუკან როგორსაც წერილს ათანასი ჯვარისმამისას მოგვიტან, მაშინ იმაზედ დაგაყენებთ. ეს ასე იცოდე. და ჯვარისმამის ათანასესაგან უნდა გადასწყდეს შენი საქმე. ოკდომბრის **გ,** ქრონიკონს **უპვ.**

და თუ წმინდის საფლავის ყმა ხარ და იცის ჯვარისმაშამ ათანასიმ, ეგ უფლება კი არა აქვს, რომ გაგცეს წმინდა საფლავის ყმა და დაგიმტკიცოს წერილით. და როგორც ის ხელს მოგიწერს, ჩვენც ხელს დაგიმტკიცებთ. მეფე გიორგი

## 476. არზა ტეტია მგალობლიშვილის ქვრივისა მოახლის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1798 წ. 4 ოქტომბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10214. დედანი. 16,5×11 სმ. ქაღალდი. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ თითო წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მხევლის მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი ტ ე ტ ი ა ს ქვრივისა და ობლებისა.

ერთი ნასყიდი დედაკაცი მყუანდა და გამითხოვდა. პატონს დედა თქვენთან ვიჩივლე და ერთი შვიდის წლის გოგო სისხლში წაართო და მე მიბოძა. ახლა ის გოგოც რომ გავზარდე, ისევ იმ დედამ გამიორგულა, გამეპარა და ქმარი შეირთო. თორმეტი წელიწადია ქვრივ-ობრობით გამიზდია. გევედრებით, ამის სამართალი მაღირსოთ. ოქდომბერს ბ.

თავში

ქ. უფალნო კახეთის მოსამართლებო! ამ არზის პატრონსა და ამის მოდავეს სამრთალი თქვენ უსაჯეთ. და რაც სამრთალი საჯოთ, განაჩენი მიეცით და ჩვენ დაგვამტკიცებინეთ. ღვინობისთვის დ, ქორონიკონს უპვ. მეფე გიორგი

## 477. არზა ერეკლე II-ის დისწულის მარიამისა გამოსალეგის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1798 წ. 15 ოქტომბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 566. დედანი. ქაღალდი. 22,4×11,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერს ჯელმწიფეს წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ბატონის დისწულისა მ ა რ ი ა მ ი ს.

მერე ამას მოგახსენებთ, თქვენის ჯელმწიფის მამისაგან განწესებული ენისლიდამ ორი მსახური მყვანდა. ახლა ის ხარჯში ჩაუგდიათ ის ორი კაცი. იმათ რომ ხარჯი გამოერთოს, ჩემთან [illegible] დასდგებიან. აქამდისინ იმათ ხარჯი არ გამორთმევიათ.

აძ წყალობას ვითხოვთ, ღმერთი გადღეგრძელებსთ, რომ აღარ გამოართონ ხარჯი, ერთი ოქმის წყალობა მიყავით, რომ აღარ შემიწუხონ ის კაცნი და ჩემიდამ არ გავიდნენ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის. ვინც ჩვენი მოსაქმენი ენისელში მიხვიდოდეთ, მერე ამ ჩვენს მამიდაშვილს რომ ორი მსახური ახლავს, ამის მსახურების ხარჯსა გამოსაღებში ნუ გარევთ და ნურც არას გამოართმევთ თორე[მ] ჩვენი საწყენი იქნება იცოდეთ. ოკდომბრის **იე,** ქორონიკონს **უპვ.** გიორგი

## 478. არზა შანშე მილახვრისა ყმათა გააზატების თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1798 წ. 16 ოქტომბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10484. დედანი. ქაღალდი. 30,2×11,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის შანშე მილახვრისა და შვილებისა როსტომისა და სოლომანისა წინაშე მათსა.

ამას მოვახსენებთ ჯელმწიფეს. ჩვენი საქმე რომ მოგეხსენება როგორ გაჭირებულნი ვართ და უსჯულოთაგან წამხდარნი, ამას გევედრებით ყოვლად მოწყალეო ჯელმწიფევ, რომ რომელნიც ჩვენს მამულში გახლავან ფცას ან მეკომურნი და ან ხიზანი, ამის წყალობას ვითხოვთ, რომ სამს ან ოთხს წელიწადს აზატი უბოძოთ, რომ არა ეთხოებოდეს რა. ოკდომბრის **ა,** ქორონიკონს **უპვ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის! ვინც ფცაში ჩქენი მოსაქმენი მიხვიდოდეთ ხოლმე, მერე ფცაში მოსახლეთ ნურც მეკვამურსა და ნურც ხიზანს ამ ოთხს წელიწადს ნურას გამოართმევთ და ნურცა რაზედ შეაწუხებთ. ოკდომბრის **გ, უპვ.** გიორგი

ამ ოთხს წელიწადს გაგვიაზატებია, რაც ფცაში მოსახლენი არიან ამათ წილს მამულში ხიზანი არის თუ მეკომური, იმათთან საქმე ნურავის გაქვსთ, ნურც ჩვენის ძმების მოსაქმეთა და ნუ[რ]ც ჩვენს შვილების მოსაქმეთა. ოკდომბრის **ივ**, ქორონიკონს **უპვ**. გიორგი

ქ. ამ არზის პატრონისათვის ბატონს მამაჩვენსაც წყალობა უქნია და ჩვენც ამ ოთხს წელიწადს გაგვიზატებია. აპრილის **დ**, ქორონიკონს **უპმ**. დავით

ქ. როგორც მისს უმაღლესობას უბძან[ებია], ყოველმა მოსაქმემ ისე უნდა აღასრულოთ. იანვრის **კე**, ქორონიკონს **უპზ**. იოანე

## 479 არზა მამადუსეინ სულთნიშვილისა ყმების თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1798 წ. 2 ნოემბერი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 9693. დედანი. ქაღალდი. 21,3×14,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი, მათის მონის სულთნიშვილის მამადუსეინასი.

ჩემო ხელმწიფევ, სანატრელმა ბატონმა მამათქვენმა წყალობა მიყო და ოთხიოდ კომლი კაცი მიბოძა, რომ ამისი წყალობის ოქმიცა მქონდა; და აღამაჰმადხან რომ მოვიდა და ავიყარენით, მაშინ სხვაც მრავალი რამ დავჰკარგე და ისიც იმათთან დამეკარგა. და ახლა ვითხოვ თქვენგან მოწყალებასა, რომ ის მამის თქვენის წყალობა ოქმი გამიახლოთ და ისევ მიბოძოთ ის ჩემი წყალობად ნაბოძები კაცნი, რომ როგორც სხვათ ჩემს ტოლს კაცსა აქვსთ თქვენგან წყალობა და იმსახურებენ, ისე მეც მოწყალება მიყავით ერთის ოქმისა, რომ უბრალოთ სხვათ აღარავინ გაგლიჯონ ეს ჩემი წყალობად ნაბოძები კაცნი და მე მემსახურნენ, თქვენ სადღეგრძელოდ. ოკდომბრის **ლ**, ქორონიკონს **უპვ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ბაიდრის სულთანო და ან ვინც ჩვენი მოსაქმენი მიხვიდოდეთ ხოლმე! მერე კურთხეულის მეფის ბატონის მამის ჩვენისაგანაც წყალობა სჭივრებია ამ სულთნისშვილს მამად უსეინას

ოთხი კომლის კაცისა და ჩვენც ამის[თ]ვისვე გვიბოძებია ის ოთხი კომლი კაცი და ამას უნდა ყვანდეს და ემსახურნენ. სხვას საქმე [არა]ვისა აქვს და ნურც არავინ რაზედ შეუწუხებთ და ნურც არას გამოვართმევთ, ამას უნდა ემსახურნენ. ნოენბრის ბ, ქორონიკონს უპვ.

გიორგი

## 480. არზა მართა ყორღანაშვილისა ვალის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1798 წ. 5 ნოემბერი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 37. საბუთი № 218. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[121v] მათის უმაღლესობის ბედნიერის მეფის გიორგის ჭირი მოსცეს თქვენ[ი]ს ყმის ყორღანაშვილის შანშეს ქალსა მართასა.

ასე რომ ჩემი და ჰყვანდა მოქალაქე ჩოლახ შერმაზანას შვილსა არუთინასა მეუღლეთა და უშვილოთ ამოწყდა. მას ჰქონდა მამის ჩვენისაგან [122] მოცემული ნუსხითა ოთხმოცდათექვსმეტის თუმნისა ზითევი ამდენი. და კიდევ დარჩა თავისის ხელითა და ყაირათითა თეთრი მიცემული ასოცდა ათი თუმანი, რომელიც არის სარგებლითა დღესაც მანდენათ დუქანზედ, ასის თუმნისა ზანდუკში დარჩა საქონელი. ამდენის პატრონს მართებულათ სულის რიგიც არა უყო. მეორეს კვირას ცოლიც შეიყვანა. გამოვიდა ხანი, მეც გაუგზავნე კაცი, ჩემი დის მზითევი ვსთხოვე, ნებაყოფლობით არას მაძლევდა პასუხსა.

მერე დიდს ბატონს არზით მოვახსენე. მისი ბძანებით ოთხი კაცნი დავსხით: ერთი ციხის ეკლესიის დეკანოზი ტერ-არქელა, გურგინბეგის შვილი სტეფანა, თავი[ლ]დარი ფარსადან და ყამაზა[ა]ნთ ოჰანეზა. ესენი დასხდნენ, თავია[ნ]თ გონებით სამართალი გადასჭრეს, სამოც[და]თორმეტი თუმანი თეთრი ერთი წლის ვადით. ვადაზედ ეს თეთრი სრულათ უნდა მოეცა ჩვენთვის; და თუ ვადაზედ არ მოეცა, რაც ხანი გასულიყო, თვეში თუმნის თავსა ორ[ი] შაური სარგებელი უნდა მოეცა ჩემთვისა არუთინასა.

ახლა ორი წელიწადია არც თავნის პატრონი ვარ და არცა სარგებლისა, რამთენიც ვსთხოვე და განაჩენი გაუგზავნე, შეუთვალე: ეს შენი ვალია და დაიხსენ, მამეცი ჩემი რაცა გმართებს, ნულარ მაჩივ-

ლებ-მეთქი. ტ ე რ-ა კ ო ფ ა ს ხელით, რომელიც ნორაშნის [illegible] გახლავთ, მოეტყ[უვე]ბინა, წავიდეთო დუქანში, ნახევარს [illegible] გითლიო და ნახევარისა შემოდგომას მოგცემო. [V] თეთრი [illegible] ბინა და არ მოეცა, ხელიდამ განაჩენი გამოერთო და დაეხივა არუთინასა. ახლა ასე შეუბნება: მთრალი ვიყავიო და დავხიეო, წადიო და მიჩივლეო. ახლა მეც მამიხსენებია, ჩემო ხემწიფევ ის, რომ სიმთრალით კაციც მოკლას, მოსათმენი[ა] სამართლისაგან? გევედრებით, ღმერთი გაგიმარჯვებს, ასეთი ოქმი და იასაული გვიბოძოთ ბეჯითი, ეს თეთრი თავისის სარგებლითა გამომირთონ და მებოძოს, დაიწერა გიორგობის გ, ქორონიკონს უპვ.

თავში

ჩვენი ბძანება არის ფ[ა] ნ ც ე რ ა შ ვ ი ლ ო ა ნ დ უ ყ ა ფ ა რ, კ ვ ე ზ ე რ ე ლ ო დ ა ვ ი თ! მერე ასე რომ არზის პატრონს თავისი შეწუხება მოუხსენებია, ამისი იასაულობა თქვენთვის მოგვიცია, თქვენ იცით როგორ ბეჯითად[1] მოიქცევით. რა რიგათაც ამ ოთხ შუაკაცებს სამართლით გადაუჭრიათ სამოცდათორმეტი თუმანი თეთრი თავისის გავლილის ხნის სარგებლით სრულებით [გა]მოართვით ჩოლახ შერმაზანას შვილ არუთინასა და ამ არზის პატრონს მოეცით.

და თუ კიდევ უარჰყოს და ან უსამრთლოთ მოიქცეს, მერე ავათაც მოებყარით და სახლიც დააცლევინეთ, ამას მოეცით თავის თეთრშია. მინამ ამ სამოცდათორმეტ თუმანს[2] მისცემდეს, მინამ ამ თეთრის პატრონი შიგ სახლებში უნდა იდგეს. სამართალი ასე არის. და როგორ შეიძლო განაჩენის დახევა, არ იცოდა, რომ სამართალი უწყენს? და თუ სიტყვა ჰქონდეს რამე, მოვიდეს ჩვენ მოგვახსენოს. ეს ბძანება ასე უნდა ა[ა]სრულოთ. გიორგობის ე, ქორონიკონს უპვ. | გიორგი |

## 481. არზა იოანე კლიმიაშვილისა მსახურის თაოგაზე იულონ ბატონიშვილის ოქმით

**1798 წ. 21 ნოემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 696. დედანი. ქაღალდი. 17,5×10,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან ჩვენი მრავლად მოწყალის ჯემწიფის საქართველოს მ ე ფ ი ს ძ ი ს ი უ ლ ო ნ ი ს ჭირი მათს მიწას ი ო ა ნ ე კ ლ ი მ ი ა შ ვ ი ლ ს მოსცეს.

[1] ბეჭეთი.
[2] თუმანი.

ამას მოვახსენებთ ჩვენს ჴემწიფეს: რაღაც თქვენი წყალობ[illegible]-ცები მყვანან, იმათი მსახურები უნდა მოეცათ, რომ ყოველთვის მყო-ლია; როცა შვილი არ მოუციათ, მოჯამაგირე დაუჭერიათ [illegible]-ციათ. და ახლა აღარ მაძლევენ. და წელს ორი მოჯამაგირე [illegible].

ამ მოწყალებას ვითხოვ, დათუა მამაცაშვილზე ერთი ოქმი მიბოძოთ, რომ იმ მოჯამაგირის თეთრიც იმ ჩემს კაცებს მიაცე-მინოთ. და როგორც კვლავ მსახური მოუციათ, ახლაც მსახური გა-მომირთოს და მომცეს. ნოენბრის კ, ქორონიკონს უპვ.

თავში

ქ. მამაცაშვილო დავით! მერე ამ არზით ეს კლიმიაშვი-ლი ასე რომ ჩივის, ამის კაცებს უნდა და[ა]დგე. ამ ორის კაცის საჯა-მაგირო ახლავ გამოურთო და ამას მოაბარო. ამას გარდა როგორათაც იმ კაცებს ამისი მსახური სდებიათ, ის მსახურიც უნდა მოსცენ. ამა-ზედ დიდად ბეჯითათ უნდა მოიქცე და გაურიგებელი არ და[ა]გდო. გიორგობის კა, ქორონიკონს უპვ.

ბეჭედი: ტომ-სქესით არ ნაკლისაგან იულონ ირაკლისაგან.

## 482. არზა არღუთაშვილებისა ყმის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1798 წ. 27 ნოემბერი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 650. დედანი. ქაღალდი. 31×11 სმ. მხედრული. გან-კვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჴელმწიფის წინაშე მოსახსე-ნებელი მათი მონის არღუთაშვილი ალამდარბაში მანუჩა-რისა და ალამდარი ბეჟანისა.

ჩვენი ერთი კომლი კაცი ასლიკა ჩვენს განაყოფს სისუას უჭირავს თავისის მამულით სამკვიდრო ჩვენი არის და ის კი გვართ-მევს, არ მანებებს იმ კაცს რომ ვიმსახუროთ. აქამდისინ ჩვენ ობლები ვახლდით. მამები თქვენს სამსახურში ჭირის სანაცვლო ქმნილან. ერთი ძმა გვყვანდა, ისიც თქვენს სამსახურში ჭირის სანაცვლო იქნა; და ჩვენც თქვენს ერთგულათ მსახურობაზედ თავდადებულნი გახლავართ.

არღუთაშვილს მიქელას ჩემი სოფლის საბალახე ორი წლის თოთხმეტი მინალთუნი აეღო. ეს რომ ვთხოე, გამლახა, ავათ შამეპყრა. და თუ მაქვს რამე, აღარას მანებებს. გევედრებით სამარ-თალი მაღირსოთ. ნოემბრის კზ, ქორონიკონს უპვ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის იასაული...* მერე ამ არზით [illegible] ლი მანუჩარა თავის სახლისკაცს, ერთს კომლს კაცზედ რომ უჩივის [illegible] სამის წლის საბალახეზედა და კიდეც გაულახამსთ, თუ სიტყვა არა ჰქონდეს რა, რასაც უჩიოდეს, გამოურთვი და მოეც. და თუ სიტყვა ჰქონდეს მოგვახსენოს. მაგრამ თუ გამტყუნდა, გარდავახდევინებთ.

დეკემბერს გ, ქორონიკონს უპვ. გიორგი

## 483. არზა გაბრიელ ჯაჯანაშვილისა ყმის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1798 წ. 4 დეკემბერი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 24. საბუთი № 64. პირი. ქაღალდი. მხედრული. იხილე აგრეთვე ამავე საქმეზე საბუთები №№ 63, 66—68 და 72.

[70] მათის უმაღლესობის [v] ბედნიერის ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ჯაჯანაშვილი გაბრიელისაგან.

თქვენმა უმაღლესობამ ოქმი მიბოძა და ჩემი ყმა არ დამნებდა. წყალობას ვითხოვ, ერთი ოქმი და იასაული მიბოძოთ, რომ ჩემი ყმა დამნებდეს. და თუ ვისმე სიტყვა აქვს, თქვენს სამართალში მელაპარაკოს. დეკემბრის გ, ქორონიკონს უპვ.

თავში

ჩვენ მაგიერად თარხანს გიორგის და მისს მაღალღირსებას არხიმანდრიტს ანტონის ასე ეუწყოს.

მერე ამ ჯაჯანაშვილის ყმების აღიღათი ხომ წინამძღვარო შენც მოგეწერა, რომ ის გლეხნი ყმანი კი ამისნი არიანო და ეკლესი[ი]ს სამსახური კი სძეთო[1], რომ გუჯარი აცხადებსო. რაც ეკლესი[ი]ს სამსახური გუჯრით ამის ყმათა სძევს, იმას უნდა ეკლესიას ემსახურნენ ყოველთვის. და ის გლეხნი კი ამას უნდა და[ა]ნებოთ, რომ ამისი ყმანი ყოფილან და ამას უნდა ყვანდეს და გმსახურნენ ბატონყმურის რიგით. დეკემბერს დ, ქორონიკონს უპვ.

---

* დატოვებულია ცარიელი ადგილი იასაულის სახელის ჩასაწერათ.

1 სმეთო.

## 484. არზა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილისა სახლის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1798 წ. 4 დეკემბერი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 14. საბუთი № 87. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[118v] მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოხსენებული მათის მონის ჩ ე რ ქ ე ზ ი შ ვ ი ლ ი ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს ა და იმის ძმებისაგან.

ქალაქს რომ ჩვენი სასახლე გახლავთ, ის პაპის ჩვენის ჰირნახული და ამაგია, რომ სხვა აღარა დაგვრჩომია რა. ის მ ი რ ზ ა რ ა ბ ა ს სადმე გამოუთხოვნია თქვენის უმაღლესობისაგან, კურთხეულს მეფესაც, დიაღ, მრავალნი შეადგნენ, მარა არ ინება იმ სახლებიდამ ჩვენი ჩამორთმევა. ამას გევედრებით, თუ მოდავე არის ვინმე, სამართალში გველაპარაკოს, თუ არადა, თქვენი წყალობა არ მოგვეშალოს. დიაღ, მრავა[119]ლი კაც[ი] გვევაჭრებოდნენ, მაგრამ თქვენი წყალობა როგორ უნდა გაგვესყიდნა. დეკემბრის **გ**, ქორონიკონს **უპვ**.

თავში

[118] ჩვენი ბძანება არის ამ არზის პატრონებო! მერე როგორც კურთხეულის პაპის ჩვენისაგან და მამის ჩვენისაგან წყალობა გჭირებიათ ქალაქში მეტეხში ქვეშ სახლები გქონიათ, ჩვენც თქვენთვის გვიბოძებია. დეკემბრის **დ**, ქორონიკონს **უპვ**.

## 485. არზა სოლომონ თარხნიშვილისა ყმების თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1798 წ. 7 დეკემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 13699. დედანი. ქაღალდი. 28×11,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. ოქმის თარიღი მცდარი უნდა იყოს.

ქ. მათის უმაღლესობის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ს ო ლ ო მ ო ნ თ ა რ ხ ნ ი შ ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ.

მერე ამას მოვახსენებ: თქვენი უმაღლესობა ქალაქს რომ ბძანდებოდა და იმ სნეულობის მიზეზით რომ ავიყარენით, იმჟამად ხუთიოდ კომლი განჯელი სომეხი იმ ჩემის სომხების სოფლისაგანი იქ ა ხ ა ლ-

ქ ა ლ ა ქ ს მოვიდნენ და რაც შეიძლებოდა, თვალყური გვეჭირა ყოვლისფრით და ჭირიც იმის მიზეზით შემოგვიდგა.

ახლა ბატონს დედოფალს ი[ა]საულები გაუსევია, აყრილ და ქოულაგირში მი[ი]ყვანეთო. თუ დავა აქვს ვისმე, თქვენი უმაღლესობა უნდა მართმევდეს, ო ს ე ფ ა ს იასაულს ჩემს ყმაში რა ხელი აქვს, დღესაც შიგ დგანან და [ა]წუხებენ.

წყალობას ვითხოვ, ერთი ოქმის წყალობა მიყოთ, ხელი აიღონ. მასუკან რაც თქვენი ნება[ა], ის აღსრულდეს. დეკემბრის ზ, ქორონიკონს უპვ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ვინც ამ სომხების აყრის იას[ა]ულნი ხართ, მერე თქვენ მაგათზედ ჯელი აიღ[ე]ვით, ნუ აყრით, მაგათთან საქმე არა გაქვსთ რა. ეგენი ჩვენი ყმანი არიან და ჩვენ ვიცი[თ] და მეითარ-

მა ს ო ლ ო მ ო ნ. დეკემბრის ვ, ქორონიკონს უპვ. გიორგი

## 486. არზა ზაალ გურამიშვილისა გამოსაღების თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1798 წ. 23 დეკემბერი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 665. დედანი. ქაღალდი. 21,5×11 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ზ ა ა ლ გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ს ა.

რაც ს ა გ უ რ ა მ ო შ ი არაგველთ და ან სხუათ ცხვარი უყენიათ, შვიდი წელიწადია იმათს საბალახეს ჩემის სახლის კაცნი იღებენ და მე არას მაძლევენ. შარშანაც მცხეთელებს ღალა იმათ გამოართვეს.

ამას გევედრებით, ან თავეთი აღებულისა ჩემი წილი ნახევრის პასუხი მოაცემინოთ, ან რამდენი წელიც იმათ ეჭამოსთ, იმდენი მე დამანებონ, რომ ახლა მე ვჭამო. დეკემბერს კ, ქორონიკონს უპვ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ხალვათხანის ეშიკაღაბაშო ი ო ს ე ბ! მერე შენ უნდა მიხვიდე გურამისშვილებთანა და ამ არზით გ უ რ ა მ ი ს შ ვ ი ლ ს ზ ა ა ლ ს ასე რომ მოუხსენებია, ეს ზაალ გურამიანთ მონახევრე არის და რაც ან ღალა აეღოსთ და ან საბალახე, ნახევარი უნდა გამოურთვა და მოაბარო. დღის იქითაც ასრე უნდა ქმნან, რაც

აიღონ, ყველა უნდა შუა გაიყონ ღალაცა და საბალახეცა. დეკემბერს კგ, ქორონიკონს უპვ. გიორგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. პატარიძე! ეს საქმე შენ უნდა გაარიგო, როგორც ბატონის ბძანება არის.

ხელრთვა: იოსებ

## 487. არზა სტეფანე მოსესაშვილისა გამოსალების თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1798 წ. 27 დეკემბერი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 5688. დედანი. ქაღალდი. 27×14,4 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის, ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი, მათის მონის, სტამბოლიდამ ტყვეთ მოსული მოქალაქე მოსესაშვილი სტეფანასი.

ერთი გლახა, ნაილაჯი, ობოლი და ვალის პატრონი გახლავარ. მოხელე[ე]ბის შიშით ფეხი ველარ მამიკიდნია, რომ ერთს ბინაზედ დავდგე, რომ ხარჯსა და გამოსაღებს მაღონებენ.

გევედრებით, ერთის ოქმის წყალობა მოიღოთ, რომ ჩემგან ჯელი აიღონ ხარჯსა და გამოსაღებში აღარ გამრიონ და მოვალეებმაც შეძლებამდისინ დამაცალონ. დეკემბრის კზ, ქორონიკონს უპვ.

თავში

ქ. ჩვენ მაგიერად ქალაქის მელიქს დარჩიას ასე ეუწყოს. მერე ამ არზის პატრონის მოხსენებული თუ ჰეშმარიტი არის, ასე უნდა აღუსრულო და ხარჯსა და გამოსაღებში არ გარიო და არც არაზედ შეაწუხო და კარგად გააძლებინო. და ამას გარდა, რომელიც ამის მოვალენი იყვნეთ, ყველათ უნდა დააცალოთ შეძლებამდის; და როდესაც შეიძლებს მერე თავის დაჰფათით თავის მოვალეებს პასუხს გაგცემთ. და რადგან ახლა შეძლება არა აქვს მოცემის, მაშ რას უზამთ, რომ არ დააცლით. დეკემბრის კზ, ქორონიკონს უპვ. გიორგი

ქ. მელიქო დარჩიავ! მერე ამ არზის პატრონი რადგან ტყვე და ვალის პატრონი არის, ოქმი უბოძეთ, რომ ეს ხარჯსა და გამოსაღებში აღარ გაგერივა. ახლა ჩივის, რომ აწუხებ თურმე. ამისი ხარჯისა

და გამოსაღების გამორთმევა არ იქნება და ნურარც შეაწუხებ და მოვალემაც შეძლებამდის უნდა დააცალონ. მარტის ზ, ქრონიკონს უპზ.

ბიბლიოთეკა

| გიორგი |

# 488. არზა დიმიტრი ხიმშიაშვილისა მამულის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1798 წ. 30 დეკემბერი**

ცსაა. ფონდი 1450. დავთარი № 37. საბუთი № 209. პირი. ქაღალდი. მხედრული.

**[115]** მათის უმაღლესობის ბედნიერის მ ე ფ ი ს გ ი ო რ გ ი ს ჭირი მოსცეს თქვენს ერთგულს ყმას აზნაურ ხ ი მ შ ი ა შ ვ ი ლ ს დ ი მ ი ტ რ ი ს ა ასე, რომ ჯერ ჩემის ულირსის პირით მოგილოცამ მეფობასა და ბატონობასა მუდამ გამარჯვებაშია, ჩემო ხემწიფევ.

ახლა ამას მოგახსენებ, რომ რასაც ვნატრობდი, ღმერთმა ისმინა ჩემი ცოდვილი პირის ვედრება, აგრეთვე თქვენ უნდა ისმინოთ ჩვენი მოხსენება. როგორც იმედსა და ნუგეშსა მიბძანებდით მალ-მალ, თუ: დიმიტრი ნუ სწუხარო, ბევრი მოგიცდიაო, ცოტაც მოიცადეო, როცა მე ბატონობას ვიშოვნიო, სარწმუნო იყავიო, რომ შენი სამკვიდრო ყმა და მამული — სოფელი დ ი ღ ო მ ი სრულებით გებოძებაო[1].

ჩემო ხემწიფევ, ახლა არის დროცა და ჟამიც, რასაც ნატრობდით აგვისრულე ვედრება ჩვენი. ღმერთი გაგიმარჯვებს, აშდენი ასე უყმოთა და უმამულოთ ყოფა გვაკმარე, ჩემო ხემწიფევ, გვიბოძეთ ჩვენი სამკვიდრო [V] სოფელი დიღომი. ჩვენი მკვიდრი ხომ კარგათ მოგეხსენებათ, რომ იმთავითაც[2] მამა-პაპით თქვენც მოწყალე ბრძანებულხართ[3] ჩვენზედა და ჩვენც ერთგული და მონა [ვ]ყოფილვართ. მეორე[4] ესე, რომ არაფერი დანაშაულობისათვის არ ჩამოგვრთმევია ჩვენი ყმა და მამული, თუ არ ჩვენის ობლობითა და უგუნურობითა.

ამდენს ხანს კი[5] დიდმა ბატონმაც ბძანა, დაუნაშავებლათ ერდგულ კაცს ყმა და მამული არ წაერთმევაო ნამეტნავათ აზნაურშვილსაო და ხელმეორეთ წყალობის სიგელიც გვიბოძა, დედოფალმაც და თქვენც დაამტკიცეთ.

ახლა, ჩემო ჴემწიფევ, კარგათ მოგეხსენებათ, რომ ასეთი უმსახურო ყმა არ გახლავარ, რომ ღირსება არა მქონდეს თქვენი მოწყალებისაგან, ამისთვისა რომ ჩვენს დღეში რაც საქართველო დაარსე-

---

[1] გიბოძებო. [2] + და იმთავითაც. [3] ბნანებულხართ. [4] მიორე. [5] იკი.

ბული, ერდგულების მეტი არაფერი დანაშაულობა არა გვაქვს რა თქვენზედა.

მე იმედი მაქვს თქვენი მოწყალებისაგანა, რომ სხვაც მეტობითა ყმა და მამული, თორემ ჩემსას რას მემართლებით. ქრისტიშობის კთ, ქორონიკონს უპვ.

თავში

ჩვენი ბძანება არის ამ არზის პატრონო აზნაურო ხიმშიაშვილო დიმიტრი. მერე რაც ამ არზით მოგვახსენეთ სულ სწორეა და ჭეშმარიტია, მაგრამ რადგან ამდენს [ხანს] ჩვენს ხელთ ყოფილა უმიზეზოთ თქვენი სამკვიდრო ყმა და მამული დიღომი, ახლაც მე უნდა დამითმოთ, ამისთვის რომ ამის ფარდი სამაგიეროთ სხვას უმეტეს[ს]ა და უკეთეს სოფელს გიბოძებ და გიწყალობებთ ქართ[ლ]შია, საცა სჯობდეს და ან აქავ ქალაქში თათრის მეიდანზედ ახალი დუქნებისას გიბოძებთ. სარწმუნო იყავ, რომ უსამართლოთ არავინ გიზამსთ არც ჩვენგანა და არც შემდგომათ მემკვიდრეთ-მეპატრონეთაგან. ეს ასე უნდა ასრულდეს. ქრისტიშობის კი, ქორონიკონს უპვ.

## 489. არზა ეგნატე მდივნის ყმის სოსიასი სამართლის მიცემაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1798 წ. 30 დეკემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2844. დედანი. ქაღალდი. 21×12 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია თითო წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის მდივნის ეგნატის ყმის სოსიასაგან.

ამას წინათ არზა მოგართვი, დავითისშვილმა ბერმა და ლევანიკამ უღელი ხარი წამართვეს. ეს მეათე თვე არის მდივანბეგებზედ ოქმი და იასაული გვებოძა, რომ უნდა გვებოძა, რომ უნდა გველაპარაკნა; მდივანბეგები არ შეიყარნენ.

წყალობას ვითხოვ, ოქმი და იასაული გვებოძოს მუხრან ბატონზედ. და რომელიც მდივანბეგი დარჩება ქალაქში, ამათ გვალაპარაკონ და სამართალი მოგვცენ. ღმერთი გაგიმარჯვებს. დეკემბერს ლ, ქორონიკონს უპვ.

თავში

ქ. სარდალსალთხუცესო მუხრანის ბატონო იოანე და რომელნიც მდივანბეგები ქალაქში იყვნეთ, მუხრან ბატონთან მუყარენით და ამათი სამართალი მიეცით. იასაულო! ესენი შენ უნდა მოიყვანო და ალაპარაკო. დეკემბერს ლ, ქორონიკონს უპვ. გიორგი

## 490. არზა ივანე სულთნიშვილისა გამოსაღების თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 1 იანვარი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 9691. დედანი. ქაღალდი. 20×11,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის, ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი, მათის მონის სულთნიშვილი ივანესი.

იმ დღეს ჩემის კაცების სითარხნის წყალობა მიბძანეთ. იმის ოქმს და სხვა მცირე მოწყალებას რითმე გევედრებით და ცოტა ხანს კიდეც დამითხოოთ, მამიჩემის ობლებს ბინა მივცე და ისევ მალე გიახლოთ. დეკემბრის კთ, ქორონიკონს უპვ.

თავში

ქ. ჩვენი ბრძანება არის! მერე სულთნიშვილი იოანეს კაცები გაგვიაზატებია; ამათ არაფერი არა ეთხოვებათ რა, არც ხარჯი და არც სხვა რამ სათხოვარი. და რომელნიც მოასილნი მიხვიდეთ, ამის კაცებზედ ჯელი აიღევით. იანვრის ა, ქორონიკონს უპზ. გიორგი

## 491. არზა გიორგი მინბაშისა ყმის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 7 იანვარი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14279. დედანი. ქაღალდი. 23,5×11,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის გიორგი მინბაშისა.

ჩემს კაცზედ ავალიშვილს უმაღლესობის წინაშე სამართალში ველაპარაკე თელავს. კურთხეულის მეფის განაჩენიც მქონდა, მოგართვით და ის კაცი მევე მიბოძეთ და კაცი კი არ მამბარებია.

გევედრებით, ბატონიშვილს იოანეზედ ოქმი მიბოძოთ, ეს კაციც მამბარდეს. და თუ სხვა რამ გასარიგებელი საქმეები მქონდეს, ისინიც იმან გამირიგოს. იანვარს ზ, ქორონიკონს უპზ.

თავში

ქ. ჩვენო ღმრთის წყალობავ შვილო ბატონო ფელცეხმეისტარო იოანე! მერე ამ არზით მინბაშს გიორგის ასე რომ მოუხსენებია, ავალიშვილს ამისი კაცი ჰყავს, ისიც ამასვე მოაბარე; და რაც გასარიგებელი საქმე ჰქონდეს რამე, ისიც გაურიგე რიგიანად. იანვრის ზ, ქორონიკონს უპზ. გიორგი

ქ. მეფის ძე იოანე მოგიწერთ კოსტანტილე შვილო იოსებ! მერე როგორც ბატონს მამაჩვენს მეფეს უბრძანებია, ასე გაურიგე. იანვრის კ, ქორონიკონს უპზ. იოანე

## 492. არზა ვახუშტი მდივანბეგისა სასაფლაოს თაობაზე იოანე გატონიშვილის ოქმით

**1799 წ. 10 იანვარი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 9875. დედანი. ქაღალდი. 21,5×10,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის ძის იოანეს წინაშე მოსახსენებელი მათის მონის დივანბეგი ვახუშტისაგან.

მოგეხსენებათ, ჩვენს სამკვიდრო ეკლესიას ველარ ამოუდექით მტრის მიზეზით. ცხრა წელიწადია ერთ საყდარს ვაშენებ. თუ რამე ყოფა-ცხოვრება მქონდა, სულ იმაზე დამეხარჯა. ჩემთვისა და ჩემის მოსამსახურისათვის სასაფლაოთ მინდოდა. ახლა მისულა უცხო ხალხი, — თუ აზნაურშვილი, თუ გლეხი, გარეშემო სულ მკვდრით აუვსიათ ჩემს შეუკითხავათ.

წყალობას ვითხოვ, რასაც სამართლის წიგნი აცხადებს, ის სამართალი მიბოძოთ. იანვრის ე, ქორონიკონს უპზ.

თავში

ქ. მეფის ძე იოვანე გიბძანებ იასაულო გლურჯიძე ნინიავ! მერე მდივანბეგი ვახუშტი ასე რომ ჩივის ამ არ-

ზით, რომ ჭირით დახოცილი მკვდრები ამის სასახლის ეკლესიაში შიგნით და გარეთ დაუმარხავთ[1], ეს, დიაღ, ურიგოთ მოსვლიათ. არა თუ იმ ეკლესიაში შიგნით და გარეთ უნდა დაემარხათ, იმისთანა ხეირი და ხოცილნი სოფელზე და შენობაზე დიდათ მოშორებით ასეთს ალაგს უნდა დაემარხათ, რომ ის ადგი[ლი] აღარ შეძრულიყო. ვისაც იქ ან თავადის შვილს და ან გლეხს იმ ეკლესიაში შიგნით და გარეთ კვდრები დაემარხოთ, ყველანი მდივანბეგთან უნდა შემოჰყარო და ყველამ თავის შესაფერისად ამ საქმეზე მდივანბეგის გული შეიჯერონ და სალაპარაკოთ არ მოახდინონ. თორემ მასუკან სამრთლის წიგნის ძალით უფრო დაუმძიმდებათ. და თუ თავის სამართლებელი სიტყვა ჰქონდეს ვისმე, ჩვენ მოგვახსენონ. იანვრის **ი**, ქორონიკონს **უპზ**. იოანე

## 493. არზა ტეტია ელუაშვილისა გამოსალეგის თაობაზე იულონ გატონიშვილის ოქმით

**1799 წ. 10 იანვარი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10746. დედანი. ქაღალდი. 77×11 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. ოქმის თარიღი მცდარი უნდა იყოს.

ქ. ღმერთმან მეფის ძის იულონის ჭირი მოსცეს ნიქოზს მსახლობელს წმინდის ესტატის ყმას ელუაშვილს ტეტიას.

ქ. ძველადგანაც თავისუფალი აზატი გახლავარ. აქამდინ აყრილი გახლდ[ი], ერთი თვე არის გიახელ და სოფლის ხარჯში მრევენ. გე-[ვ]ედრები, თუ ეს ჩემი სანათები შეიწყნარებოდეს, მოწყალება დამემართოს, რომ ნიქოზელებმა ხარჯში აღარ გამრიონ. იანვარს **ი**, ქორონიკონს **უპზ**.

თავში

ქ. ყოველად სამღუდელო უფალო ნიქოზელო ათანასი, მერმე ამ არზით ასე რომ ჩივის, ამას მათის უმაღლესობის სანატრელის ბატონის მამის ჩვენის ოქმი აქვს, რომ არ უნდა რა ეთხოვებოდეს[2] ამას. ბატონის ბრძანებისაებრ აღარავინ უნდა შეაწუხოს. და სხვა ვინცა ვინ მანდ ჩვენი მოსაქმე მოვიდეს, იმათაც ასე უნდა იცოდნენ. იანვრის **თ**, ქორონიკონს **უპჱ**.

ბეჭედი: ტომ-სქესით არ ნაკლისაგან იულონ ირაკლისაგან.

---

[1] დაუმარხავათ.

[2] + რა.

## 494. არზა კალატოზიშვილებისა ღალის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 19 იანვარი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 2. საბუთი № 128. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[125v] მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის კალატოზიშვილებისა აბელ მუშრიბისა და იოსებისაგან.

წვერს ნასოფლარი გვაქვს. ამაზედ წერეთელი, ციციანი, დიასამიძე და ფალავანდიან[ი] გვედავებოდნენ, უმაღლე[126]სობას გევედრენით, არზით მოგახსენეთ. სამასის წლის ჩვენი სამკვიდრო მამული ეს არის და არ წაგვერთვასო. წყალობა მოიღეთ და ანტონ ავალიშვილზედ ოქმი გვიბოძეთ იმ მიწების ღალის მოგროებისა. ბძანება აღასრულა, მოაგროა და იმასვე აბარია.

წყალობას ვითხოვთ, ოქმი გვიბოძოთ, რომ ჩვენი ღალის პური ჩვენ მოგვაბაროს, იანვრის **იწ**, ქორონიკონს **უპზ**.

თავში

ჩვენი ბძანება არის ავალიშვილო ანტონი! მერე ამ არზის პატრონს ასე რომ მოუხსენებია, რაც შენ ამათი მამულის მოგროებული ღალა გქონდეს, ამათ უნდა მოაბარო. თუ სიტყვა ქონდეს ვისმე, სამართალში ილაპარაკონ. იანვრის **ით**, ქორონიკონს **უპზ**.

## 495. არზა დათუა მაყაშვილისა მამულის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 21 იანვარი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 51. დედანი. ქაღალდი. 42,6×19,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი ან მძიმე.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონათი მაყაშვილის დათუასი და გოგიასი.

მოწყალევ ჯელმწიფევ, ქართლსა და კახეთში ჩვენს გარდა მრავალნი გაყრილან და ეს უსამართლო არავის დამართებია, რომ თუ სასახლ[ე]ში უფროსი წილი არ მისცემია, ცარიელი ადგილი კარგს

ადგილს მისცემია. ჩვენ რა შევიქენით და ან რა დანაშაული გვაქვს, რომ ასე უსამართლობა გვემართება, სასახლე არ გვეძლევა, რუისპირის ბოლოს სასახლეს გვაძლევს და დაკარგვას გვიპირობს ბიძაჩვენი. თუ სხვას ვისმე იმგვარს ადგილს მისცემია, ჩვენ რა სიტყვა გვაქვს.

მაყა და მამაჩემი რომ გაიყარნენ, მაყასაგან რომ უმცროსი იყო, ნახევარი გალავანი და ბაღი გამოიტანეს. და მასუკან რამთენი შენობა გაგვიკეთებია: საყდარი, თავლა, ჩალური ფიცრისა, საბძელი ფიცრისა და გომური, ბაღი და ბაღჩა ფურცლისა. ესენი მაყას გაყრას უკან შაგვიმატნია, რომ დღეს ბიძაჩვენს დარჩა. არც ცარიელი ადგილი გვეძლევა, რადგან ჩვენთვის სოფელში სასახლის მოცემა და ჩვენი დგომა ეჯავრება და დასაკარგავად და დასაღუპავად უნდივართ. რაც მამაჩვენმა[1] მაშინ საუფროსო აიღო, ჩვენც ის მოგვცეს. თუ ამას არ მოგვცემს, მაშ, ასეთი ადგილი მოგვცეს, რომ კაცს დაედგომლებოდეს.

ღმერთი გაგიმარჯვებსთ, მოგვხედე, აღარ შეგვიძლიან სხვის კარზედ ამთენი ყრა და ტანტალი. ილაჯი აღარა გვაქვს, თუ დასაკარგნი და ასეთის დანაშაულის პატრონი და დამნაშავენი ვართ, რომ სამართლის ღირსნი არა ვარ[თ], ჩვენის ცოლ-შვილით და ჩვენის თავით გენებებოდესთ, ყათლანი გვიყავით. თუ არადა, ჯელმწიფე და პატრონი თქვენ ბძანდებით, ან ვისთან ვიჩივლოთ და ან ვინ გვიყოს სამართალი. კარის-კარ სიარული მოგვეწყინა, აღარ შეიძლება კაცისაგან. ციხის ფასი უნდა მოეცა და არც ის მოგვცა.

წყალობას ვითხოვ, ბიძაჩემი დაიბაროთ და ამაების სამართალი გვიბოძეთ. ღმერთი გაგიმარჯვებს. იანვრის კა, ქორონიკონს უპზ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ყორიასაულბაშო დიმიტრი! მერე ამ არზით მაყაშვილს ნაზირს დავითს ასე რომ მოუხსენებია და თავის ბიძას ასე უჩივის, უნდა შენ ამისი ბიძა მინბაში როსებ აქ გადმოიყვანო და სამართალში ალაპარაკო. და ეს ასე აღასრულო. იანვრის კა, ქორონიკონს უპზ. გიორგი

---

1 მამაჩვენს.

## 496. არზა სოლომონ მეითარისა უმის თაობაზე დავით გატონიშვილის ოქმით

**1799 წ. 21 იანვარი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2854. დედანი. ქაღალდი. 26,5×13,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. უგანათლებულესობისა მათისა წინაშე უმდაბლესი მოხსენება. მათის უმაღლესობისაგან რამდენიმე კომლი განჯელი ზურნაბათელი სომეხი მებოძა და ახალქალაქში მიდგანან. ახლა ბატონს დედოფალს იასაული უბოძებია და იმათა ჰყრიან. გევედრები, რომ რომელიც თქვენი ნება იყოს, ის მებძანოს; და ერთი ოქმი იასაულებსაც ებოძოს, რომ როგორც იმისის უმაღლესობის მამითქვენის ბძანება მჭონდეს, ისე შეასრულონ. იანვრის **კა**, ქორონიკონს **უპზ**.

ხელრთვა: მეითარი სოლომონ

თავში

ქ. მეფის ძე დავით გიბძანებ რომელნიც იასაულები ხართ! მერმე ბატონის მამის ჩვენისაგანც აქვს ეგ კაცნი ნაბოძები სოლომონ მეითარს, რომ ის ოქმი თქვენც გინახავსთ. მის სიმაღლეს უნდა მოხსენდეს და როგორც იმისი ნება იქნება, ისე უნდა აღსრულდეს. უბატონოთ ვერ აჰყრით მაგ სომხებს. იანვრის **კა**, ქორონიკონს **უპზ**.

მეითარო სოლომონ! როგორც ბატონის მამის ჩვენის ბძანება გვაქვს, ისე აღასრულე. დავით

Verso: ინგორდახლი ნურალოღლი მახსუტ.

## 497. არზა მახაროგელ ღოლოგერიძისა მამულის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 21 იანვარი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 902. პირი. ქაღალდი. მხედრული.

მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მარადის მლოცველის ტაბაკანის მონასტრიდამ წამოსულის მახარობლის მღვდლის.

შაშიანის პირში კლდეზედ ერთი ეკლესია არის. ის ეკლესია თავის შეწირულის მამულებით თქვენმა ძმამ კათალიკოზმა მე მომაბარა.

ამას გევედრები, რომელიც ცხადი არის და ჩანს, იმას ხომ ძებნა არ უნდა, რომელიც აქა-იქა დაფანტულია, იმ ეკლესიის სამკვიდრო მამულები იყოს და ვიპოვნო, ოქმი მიბოძეთ შაშიანის მოურაზედ ფრიდონზედ, მომაბაროს. იანვრის კა, ქორონიკონს უპზ.

თავში

ჩვენი ბრძანება არის შაშიანის მოურაო ფრიდონ! მერე ამ არზის პატრონს ასე რომ მოუხსენებია და მათს უწმიდესობას ჩვენს ძმას კათოლიკოზს ან მღვდლის მახარობლის აზნაურისათვის ეკლესიაც მიუბარებია და მაგის შეწირული მამულები, და ახლა როგორც მაგ წერილში უცხადებდეს, მაგ ეკლესიის მამული ერთიანად ამ მახარობელს მღვდელს უნდა მოაბარო და ეს ასე აღასრულო. იანვრის კა, ქორონიკონს უპზ. [ ]

შაშიანის მოურაო ფრიდონ! როგორც მოგვიწერია, ამისი არასფერს ხარჯში და გასაღებში არც ბეგარაში არ უნდა გარიოთ და ნარბევიც ახლავ გამოურთვი, ნუღარ აჩივლებ, თორე შენგან გვეწყინება, აზნაურშვილი თავისუფალია და არა ეთხოება რა. მაისის კე, ქორონიკონს უპზ*. ხელრთვა

შაშიანის მოურაო ფრიდონ და ერთობივ შაშიანელნო! მერე ეს მახარობელი მღვდელი ღოღობერიძე აზნაურშვილი არის და მას წმიდის გიორგის მამული რომ უჭირავს, მაგაზედვე უნდა იდგეს. და მას ან კოდისპური ან კულუხი არ უნდა გამოართვათ, რადგან აზნაურშვილი არის, არც ბეგარში უნდა გაიყვანოთ. და ეგრეთვე თუ წვრი[ლ]მანი სასოფლო ხარჯი შემოვარდეს, ნურც იმაში გარევთ, თორემ დიდად გიწყენთ იცოდეთ. ფებერვლის იჱ, წელსა ჩყგ. ხელრთვა.

## 498. არზა მთავარეპისკოპოს პაისიოსისა მამულის თაობაზე იოანე გაბონიშვილის ოქმით

1799 წ. 22 იანვარი

ცსსა. ფონდი 1449. საბუთი № 2161. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ღმერთმან სრულიად საქართველოს მეფის ძის იოანეს ჰირი მომცეს მათს მლოცველს მთავარეპისკოპოს პაისიოს.

სანატრელის ჯელმწიფის პაპის თქვენის ბძანება ჰაქვს, მორდალი

* საბუთშია: „უპა“.

იესე და თუმანიშვილი ნიკოლაოზ იასაული გახლავან: ეკლესი[ი]ს მამულს თავად ვერავინ იყიდისო და თუ უყიდნია ვისმეო, და ან იყიდოსო, იმ ადგილიდამ ღალა უნდა გამოურთოთო და ვარეპისკოპოს მოსცეთო. ბერბუკსა და სხვაგან მრავალი მამული გაუყიდნიათ გლეხკაცებს.

და წყალობას ვითხოვთ, რომ ეკლესიას თავისი ღალა არ დაეკარგოს და ის ბძანებული თქვენც გამიახლოთ. ისევ მორდალს იესეს და თუმანიშვილს ნიკოლოზს ებძანოს: ვისაც ჩემის ეკლესიის მამული ნასყიდი ჰქონდეს, იმათ ღალა გამოგვირთვან ყოველს წელიწადს. და თუ უნდათ, რომ ღალა არ ედვასთ, ჩვენი რაც მოუციათ, იმ ჩვენს მამულში ის გამოგვართვან და ჩვენი მამული დაგვახსნევინონ. ღმერთი გაგიმარჯვებს. იანვარს კ, ქორონიკონს **უპზ.**

თავში

ქ. საქართველოს მეფის ძის იოანეს სიკეთით სახსოვარო მორდალო იასე და თუმანიშვილო ნიკოლოზ. მერე როგორც მისის სიმაღლის ბატონის ბძანება იყოს, ისე გაურიგეთ რიგიანის საქმით. ან ღალა უნდა აძლიონ ან რაც ფასი მიუციათ, ისე დაახსნევინეთ. იანვრის **კბ.** ქორონიკონს **უპზ.** იოანე

## 499. არზა იასე მორდლისა ქვევრის თაოპაზე იოანე ბატონიშვილის ოქმით

**1799 წ. 26 იანვარი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 715. დედანი. ქაღალდი. 16,5×14,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია მძიმე.

ქ. ღმერთმან საქართველოს მეფის ძის იოვანეს ჭირი მორდალს იასეს მოსცეს. მერე ტარუაშვილი ნინია შესულიყო ჩემის აზნაურშვილის მარანში, ორი ქვევრი ოც-ოციანი ჩაემტვრია და სამი ქვევრი კი წამოელო. მერმე მთხრობელი მამივიდა და სამთხრობლოც გამივიდა.

და წყალობას ვითხოვ, ერთი ოქმი და იასაული მიბოძოთ, რომ ქურდეულათ გატეხილიცა და წამოღებულიც გადამიხადოს. იანვარს კვ, ქორონიკონს **უპზ.**

თავში

ჭ. ბატონო მდივანბეგო ვახუშტი! ამ არზით მორდალი იასე ვე-
საც უჩივის, თქვენთან მოაყვანინეთ და სამართალი მიეცით შემატე-
ტებით. იანვრის კვ, ქორონიკონს უპზ. იოანე

## 500. არზა გრემელთა მამულის გამიჯვნაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 5 თებერვალი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 545. დედანი. ქაღალდი. 25×16 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ჭ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონათ გრემელთ ერთიან სოფლისა.

უმაღლესობამ მამულის წყალობა რომ მოიღეთ, გზას ქვეით ხომ სახასო არის და გზას ზეით მოუცადამდისინ, თავს ციხის ჯუარამდინ, ხიდის ყურის ბოგირებს ზეით --- ეს ასრე ამ მიჯნებით მამა-პაპასაც ისე სჭერიათ და ჩვენც ამის წყალობას გევედრებით. იანვარს კჱ, ქორონიკონს უპზ.

თავში

ჭ. ჩვენი ბძანება არის ერთობით გრემელნო. მერე ამ არზით ასე რომ მოგიხსენე[ბიათ], როგორადაც კურთხეულის მამისჩვენი[ს] დროს და აქამდის გიხნამსთ და გჭერიათ მამულები, ახლაც ისე უნდა გეჭიროსოთ და ხნათ რიგიანად. ფებერვლის ე, ქორონიკონს უპზ.

ბეჭედი: მეფე სრულიად ქართლისა და სხვათა გიორგი.

## 501. არზა ბირთველ თუმანიშვილისა უმის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 20 თებერვალი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 17. საბუთი № 177. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[180v] მათის უმაღლესობის ბედნიერის ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის თუმანიშვილი გიორგის შვილი ბირთველისაგან.

აქ ბარხუდარაშვილი არუთინა ჩემი ყმა ჭირის საცვლო იქნა, ორი შვილი დარჩა რუსეთს. იმათ თავები დედაც აქე-

დამ რუსეთს წააყვანინეს, აქ რისაც მქონე გახლდათ, ჩემს მეტი ბატონი აღარავინ გახლავთ. გევედრებით ბძანება მამეცეს, რომ მე მფუარო. თებერვლის **ით**, ქორონიკონს **უპზ**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავში

ჩვენი ბძანება არის თუმანისშვილო ბირთველ! მერე შენის ყმისა რაც რომ დარჩომილა, შენი არის. რუსეთიდამ აქ ვერაფერს გაჰყიდიან და არც გავასყიდვინებ. თებერვლის **კ**, ქორონიკონს **უპზ**.

შენის ყმის საქონელთან საქმე არავისა აქვს.

## 502. არზა ნასახჩიბაშის ნაიბის გიორგი ვეზირიშვილისა გამოსაღების თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 22 თებერვალი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 10282. დედანი. ქაღალდი. 21,6×11,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ნასაღჩიბაშის ნაიბის ვეზირიშვილი გიორგისაგან.

ექვსი კომლი კაცის გამოსაღები მეწერება. აქედამ სამი ჩემთან გახლავთ. ორი კომლი — ერთი ცაცანა და მეორე სააკაშვილი გაბრიელა — ესენი ალსა დგანან და ერთი კომლი სადაღაშვილი ნონია სურამსა დგას.

გევედრებით ოქმი მიბოძოთ, რაც გამოსაღები შემომაწერონ, იასაულმა იმათ თავ-თავის წილი გამოართოს და ამ ჩემს სოფელში იმათ მაგიერ არ შეაწუხონ, თქვენი ბძანება მოვიდეს თუ თქვენი შვილებისა. ფებერალს **კბ**, ქორონიკონს **უპზ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ყოველნო ჩვენო მოასილნო და მოსაქმენო! მერმე ამ არზით ამ ნასახჩიბაშის ნაიბს გიორგის ასრე რომ მოუხსენებია, ამას რაც თავისის ყმის სათხოვარი რაც შეეწერებოდეს, საცა ეს სამი კაცი უდგეს, ამათ თავეთ შეხვედრებული რასათი იქ გამოართვით. ამ კაცების მაგიერ სხვას კაცს ნუ შეუწუხებთ. ფებერვლის **კ**, ქორონიკონს **უპზ**.

გიორგი

## 503. არზა არუთინასი სახლის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 26 თებერვალი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 4278. დედანი. ქაღალდი. 31,5×14,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის თოფსაზი არუთინასი.

ოცდათხუთმეტი წელიწადია კურთხეული მეფისა და უმაღლესობისათვის მიმსახურნია. ხუთის ტყვის პატრონი გახლავარ. და ცოლშვილით ჯანშუანთ გიორგის სახლში გახლავარ, ოცდაცამეტის თუმნის გირაოთ იმ პატრონისაგან მოცემული მეჭირა. ახლა აფრიამაშვილი ზურაბა მაგდებს, ეგ სახლები უნდა დამიცალოო. ის სახლები ჩემსი თუმნისა არის. მე იმაზედ მეტობით მიმსახურნია და არც ერთი ფეხის მოსაკიდი ადგილი სადმე მაქვს. სხვა წყალობის იმედიც დიდი მაქვს და ამას არ მოველი, რომ თქვენი ჩირაღი იმ სახლებიდამ გამომაგდოთ. თებერვალს **კბ**, ქორონიკონს **უპზ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის კვეზერელ[ო] დავით! მერე ამ არზის პატრონს ასე რომ მოუხსენებია, ჯერ იმ გირაოს პატრონისათვის უნდა მიაცემინო თეთრი და რადგან თეთრი მიბარდება, სახლებთან ხომ ხელი აღარ ექნება. თებერვლის **კვ**. ქორონიკონს **უპზ**.

გიორგი

## 504. არზა აბელა დანდურაშვილისა მამულის თაობაზე იოანე გაბონიშვილის ოქმით

**1799 წ. 6 მარტი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3249. დედანი. ქაღალდი. 20,5×14,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მისს უგანათლებულესობას მეფის ძეს იოანეს მათის მონის დანდურაშვილი აბელასაგან ეს მოხსენდეს.

ორი დღისი მიწის მაგიერი მისაქციელში როგორც დაფასდეს, ან თეთრით უნდა ჩემი გული შეიჯეროს. და ან იმის ფარდის მიწის მოცემით მამაცაშვილმა ელისბარმა ან თარხ-

ნიშვილმა ზურაბმა და რევაზმა; და საკაფს ჭალა რომ სამართალმა მე მამცა.

გევედრებით, დავით თარხნიშვილზედ ოქმი მოართვათ, რომ ეს საქმეები იმან აღასრულოს. მარტის ვ, ქორონიკონს **უპზ.**

თავში

ქ. ბატონის შვილის იოანეს სიკეთით სახსოვარო თარხნისშვილო დათუავ! მერე ამ არზის პატრონს ამ არზით ასე რომ მოუხსენებია, ამათ მაინც შენ უთხოვნიხარ და ამათ როგორც უთხოვნია, სწორე სამართალი შენ უყავ და ამისი საქმეც შენ გაურიგე სამართლიანად.

მარტის ვ, ქორონიკონს **უპზ.** იოანე

## 505. არზა მათე ყოდალაშვილისა მამულის თაობაზე მირიან გაბონიშვილის ოქმით

**1799 წ. 14 მარტი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 2445. დედანი. ქაღალდი. 32,5×11 სმ. მხედრული.

ქ. ღმერთმან ყოვლად მოწყალის მეფის ძის მირიანის ჭირი მოსცეს მათს სამარადისოს მლოცველს ყოდალაშვილს მღვდელს მათეს.

მერე ამას მოვახსენებ: ხორბალაში ჩემს მამა-პაპათ თქვენგან წყალობა ქონიათ სასაფლაო საყდრით გაწყობილნი. გხლებივართ, ამას წინ[ა]თ არ გაკეთდებოდა ხორბალაში ვ[ე]ნახები, მაგრამ ჩემი რომ გახლავს, ვერ გა[ა]კეთეს და მის მიზეზით ვერც სანატრელმა ბატონმა უბოძა.

ახლა ოქმი გიბოძებიათ თუშთ მოურავზედ, ხორბალისაკენ ვენახებათ დაუყაო. ჩემი ხე[ლ]მწიფევ, თუ ამაზედ მიწყრებით, აქ, ფშაველში გახლავართ მე სამწყსოს გულისათვის, ჩემს შვილს იმის მეტი რა ბინა აქ[ვ]ს.

ახლა ამ მოწყალებას გ[ე]ვ[ე]დრებით, რაც თქვენმა უგანათლებულესობამ ცნოს ეს ჩემი მოხსენება, იმის მოწყალება [მა]ღირსეთ. მარტის იგ, ქორონიკონს **უპზ.**

თავში

ქ. ბატონო თუშთ მოურაო დურმიშხან! მათე მღვდელს არზით ასე რომ მოუხსენებია, ამას, როგორც სანატრელის მათის უმალ-

ლესობის ბატონის მეფის მამის ჩვენის ოქმებში უცხადებს, ასე უნდა აღუსრულოთ და გაურიგოთ. ამის მამულთან საქმე არავისა აქვს. მარტის **იდ**, ქორონიკონს **უპზ**.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბეჭედი: დავითის ტომთა სჭესისა მე ვარ ირაკლი მეფისა მ ი რ ი ა ნ.

## 506. არზა ბეჟან ამილახვარიშვილისა ვალის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 14 მარტი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1439. დედანი. ქაღალდი. 21,7×11,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი შ ვ ი ლ ი ბ ე ჟ ა ნ მინბაშისა.

რომელიც დანახარჯი ჩემს ძმას და ძმისწულებზედ გჩონდა ასაღები, იმის სია მომირთმევია. მეც სახლის კაცები მაღონებენ თეთრსა.

გევედრებით, ოქმი და იასაული მიბოძოთ, რომ ჩემი თეთრი მამცენ. მარტის **იდ**, ქორონიკონს **უპზ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ო მ ზ ე ჭ ა ბ უ კ და მ ა ღ რ ა ძ ე ვ დ ა თ უ ა ვ! მერე შენ უნდა მიხვიდე და ამ ბეჟან მინბაშს რაც ან ძმაზედა ან ძმისწულებზედა დანახარჯი ჰქონდეს, რაც სია აქვს, უნდა გამოურთვა და მოსცე, რომ ამასაც ვალსა სთხო[ვ]ენ.

და თუ სიტყვა ჰქონდეს, მოგვახსენოს. მაგრამ თუ სამართალში შემოსატანი სიტყვა რამ ჰქონდა[1], გაუსწორდება; ახლა კი მისცეს. ჩვენთან ნუღარ ილაპარაკებს. მარტის **იდ**, ქორონიკონს **უპზ**.

გიორგი

## 507. არზა შერმაზან ნონეშვილისა შვილიშვილის ჰემკვიდრედ შეუვანის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 15 მარტი**

ცსსა. ფონდი 1449. საბუთი № 2391. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ს ა გ ა რ ე ჯ ო დ ა მ ნ ო ნ ე შ ვ ი ლ ი შ ე რ მ ა ზ ა ნ ი ს ა.

[1] + რამე.

მე თითონ ბერიკაცი გახლავარ და უშვილო ერთი ქალის ვაჟის მეტი აღარა შემრჩა რა, რომ ესეც ობოლი გახლავთ. პირველათ თქვენის სამსახურის მარადისობისათვის და მერე ჩემის საბოლოოსათვის ეს შვილიშვილი შვილათ შემყავს ჩემთან, რომ ცოცხალს მაძიაროს და მკუდარი დამმარხოს.

ამის სიმტკიცისათვის გევედრებით ოქმი მიბოძოთ, რომ ჩემს სიკუდილს უკან ჩემის სამკვიდრებლის მემკვიდრე და პატრონი ეს გახლდეთ და ვერვინ ეცილებოდეს. მარტის **იბ**, ქორონიკონს **უპზ**.

ნინოწმინდლის ყმა გახლავარ და ოქმიც იმაზედ მიბოძეთ.

თავში

ქ. ჩვენ მაგიერად ნინოწმინდელს მიხაილს წმინდას მარჯვენას ხელს მთხვევნა მოხსენდეს. მერე ამ არზის პატრონს ასე რომ მოუხსენებია, რომელიც ამას თავის შვილად კაცი შეჰყავს, მანამდის ცოცხალი არის, კარგად უნდა მოუაროს. და როცა მოკვდება ეს ბერიკაცი, მერე ამისი მამული ამას უნდა დარჩეს. ეს საქმე თქვენმა ყოვლად სამღვდელოებამ უნდა კარგათ გაურჩიოს და ასე გაურიგოთ. მარტის **იე**, ქორონიკონს **უპზ**.

მეფე გიორგი

## 508. არზა იასე კოშაძისა სამართლის მიცემაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

**1793 წ. 18 მარტი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 5741. დედანი. დაზიანებული. ქაღალდი. 33×15,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ჯელმწიფე დედოფლის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის იასე კოშაძისა.

ჩემო მოწყალევ, თელავს ორჯელ გიახელ. ჩემი საჩივარი მოგახსენე ორჯელვე თქვენი წყალობა და ოქმები მებოძა აბაშიძე ევგენზედა, რომე ალს უნდა მივეყვანე თქვენის ბძანებითა და დავეყენე. და რაც გოგიას ჩემთვის საჭონელი წ[ა]ერთმევინა, ისიც უნდა ამ აბაშიძის ხელით მომცემოდა. ამასობაში სურამს რომ მივატანე, გოგია დამიხვდა, [ც]ხენი წამართო, რაც ცხენზედაც მეკრა — ხურჯინი, ოქმები, ნაბადი, შალვარი სრულათ ამიკლო.

მეორედ ფარნავოზს შე[ე]ხვეწა. ეს კაცი კიდევ მიჩივლებსო. საქართველოში არ და[ა]ყენოო. ბატონისშვილის იასაულით იმერეთს გადაგვრეკა. ექვსი თვეა რომ ხიზნით იმერეთს გახ-

ლავართ. ერთი შვილი სიმინდზედ[1] დამიგირავებია და ხიზანს იმით ვინახავ; და იმ თქვენს ნაბოძებ ოქმს უკან ორჯელ აკლებული ვერ იმ კაცისაგანა.

მე ოსიაურში მემკვიდრე ვიყავ. ერთი საკომლო მამული მე მჭონდა, მეორე საკომლო მამული თქვენგან წყალობათა მჭირდა. ამ ორს საკომლო მამულზედ ხელი ამაღებინა. მე თქვენის ყმობიდამაც რათა მკარგავს. ცხრა კომლი მემკვიდრე კაცი ასე გამოგვრეკა, რომ არც ერთს ბინა აღარსაითა გვაქვს.

ღმერთი გადღეგძელებს, სამართალი გვაღირსეთ. მარტის იზ, ქორონიკონს უპზ.

თავში

ქ. ჩვენო ღვთის წყალობავ შვილო ბატონო იულონ! მერე ამ არზის [პა]ტრონს ასე რომ მოუხსენებია, რადგ[ან] მირზა იბრეიმაშვილს ეს კაცი ოსიაურში არ დაუყ[ენებია], ამასაც იქ მამული დაუგდია და წამოსულა და ჩვენის ყმობიდ[ან] ხომ ვერ დავჰკარგამთ. ალს უნდა დააყენო. და თუ მამულის ალავი იყოს, მამულიც უნდა მისცე და ეს იმუშა[ვ]ებს და გააკეთებს. შენი დასაკლისი არა იქნება რა და იმ ქვეყანას შეემატება. ვინც კიდევ ოსიაურელნი სხვაგან დაფანტულნი იყვნე[ნ, ისინ]იც უნდა [მი]აყვაინო და ალს დაასახლო. რაც საქონელი წაერთმიოს ამისთვის გოგიას, ისიც უნდა გამოურთმევინო. მარტის იჱ, ქორონიკონს უპზ.

ქ. თავის საქონელი არა და[ა]კლდეს რა, უკლებრივ უნდა მიაცემინო ამაზე ბეჯითად უნდა მოიქცე.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

## 509. არზა ელისბარ თაქთაქიშვილისა ყმის თაობაზე იოანე გატონიშვილის ოქმით

**1799 წ. 20 მარტი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 28, საბუთი № 41. პირი. ქაღალდი. მხედრული. იქვე, საბუთები №№ 36 და 64.

[39] უმაღლესის ბედნიერის ჯელმწიფის ძის იოანეს წინაშე მოსახსენებელი მათის მონის თაქთაქიშვილის ელისბარისა.

---

[1] სიმინდრზედ.

ამას მოგახსენებთ თქვენს უგანათლებულესობას: ჩემ[მ]ა ბიძაშვილმა სულხან ორი კომლი კაცი წამართვა თავის ძალით. თქვენ რომ აქეთ წამობძანდით, მასუკან ლეკები უდგნენ, ის ლეკებიც გამოურეკ[ი]ა. ვკითხე, რატომ შვრები? ასრე [v] მითხრა: ოქმი მაქვს მეფისა, ბატონიშვილს იოანესთან უნდა ვილაპარაკოთ.

ის კაცნი ჩემს დავთარზე სწერია და ბარათითა მე მაქვს, რომე მრგებიან გაყრაში. ამ მოწყალებას ვითხოვ, რომ ერთი ოქმი მიბოძოთ, ის კაცნი მე დამნებდეს და ხარჯიც ჩემზე გაიღონ და ის ჩემი მოდავე თქვენს სამართალ[შ]ი მელაპარაკოს. მარტ[ი]ს კ, ქორონიკონს უპზ.

თავში

სულხან თაქთაქისშვილო! ამ არზით შენი ბიძაშვილი რომ ასე გიჩივის, ამისთვის კაცი რათ წაგირთმევია, ჯერ ხომ სამართალს არ მოუცია შენთვის. ეგ კაცნი ისევ ამას დაანებე, შენ საქმე არა გაქვს სამართლამდინ. ამას გარდა, რომელიც ლეკები სდგომიან, ისინიც ისევ მაგათ უნდა შეინახონ. მარტის კ, ქორონიკონს უპზ.

## 510. არზა მუხრანბატონის შვილის ედიშერისა მამულის გაყოფის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 22 მარტი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 706. დედანი. ქაღალდი. 21×10,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია მძიმე ან ორი წერტილი.

ქ. მათის მეფობის უმაღლესობის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის მუხრან ბატონის შვილის ედიშერისა.

ჩემი ბიძაშვილები ნასყიდს გაუყოფარს მიწებს ჰყიდიან და მამაპაპის სასახლეში და მარანში წილს არ მიდებენ, არც ბაღებში მიდებენ წილსა. რადგან მონახევრე ვარ, ნახევარი უნდა მომკენ. მასუკან თავეთი ნახევარი თუნდა გაყიდონ და თუნდა ააშენონ.

ასე მეპასუხებიან: ძმა მოგიკვდა და შენ კი დაგჩაგრავთო. ჩემი მოწყალე და პატრონი თქვენი უმაღლესობა ბრძანდება. ამისთვის ერთის ოქმისა და იასაულის წყალობას გევედრები, რომ ჩემი წილი სამართლიანათ დამანებონ, რომ თქვენის წყალობით მშვიდობით მოვშველდეთ. მარტს კა, ქორონიკონს უპზ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ნასახჩიბაშის ნაიბო, ვეზირის შვილო გოგია! მერე შენ უნდა მიხვიდე და ამ არზის პატრონი ამ არზით ფავის სახლის კაცებს რომ უჩივის, ამათი მამული რაც აქვსთ და ბაღები, სამართლიანის საქმით გაუყავ, როგორც წილი აქვსთ და თავთავისი წილი დაანებე. და მასუკან თავეთი წილი ამისმა სახლის კაცებმა თუნდა გაყიდონ და თუნდათ შეინახონ. ეს ასე უნდა გა[ა]რიგო როგორც გვიბძანებია და მოაშორო ერთმანერთსა. მარტს კბ, ქორონიკონს უპჯ.

გიორგი

## 511. არზა ზაალ დავითიშვილისა სამართლის მიცემაზე გიორგი XII-ის ოქმით

1799 წ. 25 მარტი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 571. დედანი. ქაღალდი. 24,7×15 სმ. ბოლო აკლია. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის დავითიშვილი ზა[ა]ლისა.

მის უგანათლებულესობას[1] თქვენს შვილს ებძანოს: რაც ჩემს მოდავეს თქვენგან ბოძებული ან განაჩენი[2] ან ოქმები ქონდეს, ან სანატრელის ბატონისაგან ან თქვენის ძმებისაგან აღებული, ყოველი მოიტანოს და მეც რაც წიგნები მქონდეს, ისიც მი[ი]რთვას... სიცრუის ბარათითა ასე მტანჯა თქვენი ნაბოძები რომ...*

თავში

უგანათლებულესო შვილო ბატონო იოანე! მერმე რაც ამ დავითიშვილს ზაალს ძველი თუ ახალი განაჩენები ჰქონდეს და ან ამის მოდავეს, ორთავესი შენთან უნდა მოატანინო, ალაპარაკო და რომელიც სამართალმა გაამტყუნოს, იმათ რაც განაჩენები თუ ოქმები ჰქონდესთ კურთხეულის ბატონის მამის ჩვენისა, ჩვენი თუ ჩვენი ძმებისა, უნდა ერთიანად ჩამოართვა, ეს ზაალ [თუ] გამტყუნდეს — ამას; თუ ამის მოდავე გამტყუნდეს — იმას; და ერთიანად დახიო; გამტყუნებულის წიგნების შენახვა აღარ იქნება. აგვისტოს კე, ქორონიკონს უპჯ.

მეფე გიორგი

---

[1] უგანათლიებულიესობას. [2] განაჩენია.

* დანარჩენი აკლია.

## 512. არზა გიორგი ნოდარიშვილისა სოფლის აშენების თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 29 მარტი**

ერეკლეს ბიბლიოთეკა

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 4587. დედანი. ქაღალდი. 21,5×11,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ნოდარიშვილი სალთხუცის გიორგისა. თქვენი წყალობა დაგვემართა ხიდისყურის სოფლის აშენებისა. ჩავედით და ვიმუშავეთ. ახლა თამაზს სხვარიგათ გაეშინჯებინა, რომ ერთი სოფლის მეტი არ გაიმართებაო; და იქ ორიც დიდი სოფელი გაიმართება. და თუ ამას ტყვილს მოგახსენებ, ოქმი მიბოძეთ, თქვენს მობძანებამდისინ იქ მუშაობასა და ხვნას ნუ დაგვიშლით. მობძანებაში გაშინჯეთ. თუ თქვენი შესამატი საქმე იყოს, სიმტკიცეც უბოძეთ. თუ საწყენი იყოს, მოშალეთ და ნუ იქნას. მარტის **კწ**, ქორონიკონს **უპზ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ნოდარისშვილებო! მერე თქვენც უნდა იქ შენობას მოყვეთ და ხვნასა და თესვას, რომ ენისელთ მოურავისშვილები ვერ დაგიშლიან. და მასუკან მშვიდობა არის, ან ჩვენ მოვალთ და ან ჩვენს შვილებს გამოვგზავნით და გავშინჯავთ მაგ ალაგს; და ორი სოფელი გაიმართება თუ ერთი, მასუკან ისე ბინას მივსცემთ. მარტის **კთ**, ქორონიკონს **უპზ**.

თუ ორივ გაიმართება, თქვენც იყავით და ისინიც. და თუ ორივ ვერ გაიმართება და მასუკან ერთს გაგაკეთებინებთ; და ჩვენს ნახვამდის კი ორნივ იყავით. გიორგი

## 513. განჩინება ვახტანგ გატონიშვილისა ნადირა ხევსურიშვილისა და მიქელიშვილის ფიცქვილების თაობაზე

**1799 წ. 4 აპრილი**

საქ. ლიტერატურული მუზეუმი. საბ. № 16577. დედანი. ქაღალდი. 33,5×21 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი ან ორწერტილი.

ქ. გრემისხეველმა ხევსურისშვილმა ნადირამ უჩივლა მიქელისშვილს მერებს: სათქვენო ჭალა და ტყე არის

უქმად და იმაში წისქვილს ვაკეთებო და მერებ მიქელიშვილი არ მგკეთებინებს, ჩემს წისქვილს პირდაპირ არისო და შენ რომ წისქვილი დააბრუნო, ჩემს წისქვილს დააბათილებსო, წყალ ცოტაც არ ეყოფაო, არ ავაბრუნებინეო, ჯაფა გავსწიე, მუშა დავხარჯე და ახლა ჭირნახულს მიფუჭებსო.

ჩვენ, არაგვისმპყრობელი მეფისძე ვახტანგ, იქ მივედით და ორივ საწისქვილო გავშინჯეთ. მერების საწისქვილო გაღმა არის და ხევსურისშვილის გამოღმა, საჩვენოს ტყესა და ჭალაში ეკეთებინა.

მერებ ვალაპარაკეთ და ასე უპასუხა: ჩემი წისქვილი ძველად ბრუნებულა და ეგ ჭალა ჩემს პირდაპირ არის და ეგ ჭალაც ჩემია; და თუ ჭალა ჩემი არ არის, მაგან რომ ეგ წისქვილი ააბრუნოს, ჩემი წისქვილი დადგება, ამისთვის რომ ეს წყალი ორსავ არ ეყოფაო.

ჩვენ გრემისხეველნი ერთობით მოვიყვანეთ და ვკითხეთ: ეს ჭალა საჩვენო არის თუ მიქელისშვილისაო; ერთობით თქვეს: სათქვენო არის, მიქელიშვილს გამოღმა ხელი არა აქვსო.

ამათი სამართალი ასე ვსაჯეთ, რადგან მიქელისშვილის მერებს ძველადვე ბრუნებია, ახლაც მერების წისქვილმა ყადიმად იბრუნოს, რუ გაიყვანოს, მერებისა და იმას ქვეითმა წისქვილებმა იმ რუთი იბრუნოს. და ხევსურისშვილი ჩვენი სახასო არის და იმ საჩვენო ალაგში იმან ააბრუნოს.

როდესაც წყალდიდობა არის, ორმავ იბრუნოს, მერებ ვერ დაუშლის; და როდესაც წყალი დაცოტავდეს, ხევსურიშვილის წისქვილი დადგეს და მერებისა და იმას ქვეითმა წისქვილებმა ყადიმად უნდა იბრუნოს, ხევსურისშვილი წყალს ვერ გაუყოფს.

თუ ხევსურისშვილი ამაზედ მერებს აწყენინებს რასმე და ამ განწესებას გარდახდება, წისქვილსაც მოუშლით და ჯარიმასაც გარდავახდევინებთ.

ამ საჩვენოს ტყეში როდისმე ჩვენს სახასოს ტოტიკაშვილსა და ტერისშვილის ყმას საკარულს წისქვილი ბრუნებიყოთ და ჟამთა ვითარებისაგან წამხდარიყო და ცოტად ნარუალი კიდევ ეტყობოდა. და ამათ ხევსურისშვილს ლაპარაკი დაუწყეს: უწინ ჩვენ გვიბრუნებია და ახლაც ჩვენ უნდა ავაბრუნოთ, როდესაც შევიძლებთ.

ის ადგილი რადგან საჩვენო იყო და ტოტიკაშვილსა და საკარულს არც ეთხოვნათ მეპატრონეთათვის და არცა ვისგან ნაბოძები ჰქონდათ, თავის თავად შესულიყვნენ და გაეკეთებინათ და კიდეც ეხმარათ, მიწასაც მოხნავს მებატონისასა კაცი და ერთი მეორისასა, მაგრამ სა-

მკვიდროდ კი ვერ დაიჭერს. იმის მსგავსად ეს ყოფილა, უბატონოდ შესულან, მომკითხავი არა ყოლიათ, გაუკეთებიათ და კიდეც უჭამიათ, ამით ჩვენს ადგილს მამულათ არ მივსცემთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოტიკაშვილსა და საკარულს ამ ჭალასთან საქმე არა აქვსთ რა; ჩვენ ხევსურიშვილის ნადირასათვის გვიბოძებია სრულებით ტყეცა და ჭალაცა. ღმერთმან ჩვენს ერთგულებაში მოახმაროს.

ამ პირზე ორი განაჩენი დაიწერა: ერთი მიქელიშვილს მერებს მიეცა და ერთი ხევსურიშვილსა და ორნივ ამ განწესებას უნდა დასჯერდნენ და ამაზედ დადგნენ.

ტერისშვილო ზაალ! ეს ასე გამოუცხადე ორთავ და ამ სამართალზე დააყენე. ამას იქით ერთმანეთს ნუღარას შესცოდებენ. აპრილის **დ**, ქორონიკონს **უპზ**.

ბეჭედი: რტოდ ვარ დავითის, მგელ-ლომად ვით ის, ვახტანგ ვამტკიცებ მეფის ძეობით.

## 514. არზა თარხნიშვილებისა გამოსაღების თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 5 აპრილი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 33. საბუთი № 209. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[82] თარხნისშვილი დათუასი და ტეტიასი [V] ამოწყვეტილის კაცების სია.

ქ. ბოჩიტაშვილი ზურაბა სულ ამოსწყდა.

ქ. ნავროზაშვილი გოგია სულ ამოსწყდა.

ქ. მაისურაძე გოგია სულ ამოსწყდა.

ქ. კოკონობერიძე სულ ამოსწყდა.

ქ. გოჩიტაშვილი პა[ა]ტა ამოსწყდა და ერთი სამი წლის ბიჭი დარჩა.

ქ. აბრამა გოჩიტაშვილი ამოსწყდა, ერთი ათის წლის ბიჭი დარჩა.

ქ. ამილბარაშვილი ივანე მოკვდა, ერთი ძმა დარჩა ისიც სნეული, ორი წვრილი ობოლი.

ქ. გელიტაშვილი ღვთისია მოკვდა ცოლით და შვილით, ერთი შვილი და მამა დარჩა.

ქ. აბოაშვილის ცოლ-შვილი ამოსწყდა, თითონ და ერთმა იმის პატარა ბიჭმაც იხადა.

რემელიც ამ სიით მომიხსენებია, ჯერ ღმერთსა ვფიცავ, მერე თქვენს მზესა, რომ არცერთი ტყუილათ არ მომიხსენებია. თუ ამაში ერთი სიმტყუნე შამაჩნდეს, რაც დამრჩომია, იმაზედაც [illegible] რაც თქვენი წყალობა კაცი დამრჩა და ტყეში დაიხიზნეს, ერთი კომლი აზნაურშვილი ცოლით და შვილით დაიკარგა და გლეხი კაცნი სახლის ავეჯულობით სულ აიკლეს. მარტის **კთ**, ქორონიკონს **უპზ.**

თავში

ჩვენ მაგიერად სარდალ-სალთხუცეს მუხრანის ბატონს ი ო ა ნ ე ს და მდივნებს ასე ეუწყოსთ. მერე ამ თარხნისშვილს ეს კაცნი რომ ამოსწყვეტია, უნდა თქვენც გაში[ნ]ჯოთ და რადგან ამოსწყვეტიათ, ამ ამოწყვეტილებს უნდა გამოხვიდეთ. და სხვა რაც ძირს დარჩომოდეს, იმას რასათს უნდა შეაწერდეთ ხოლმე ხარჯს. აპრილის **ე**, ქორონიკონს **უპზ.**

## 515. არზა თამაზ ენისელთ მოურავის შვილისა მამულის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 7 აპრილი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 1477. დედანი. დაზიანებული. ქაღალდი. 21,2× ×14,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჴელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონისა თ ა მ ა ზ ი ს ა გ ა ნ.

თქვენს სიმაღლეს მოხსენებული გახლავთ, რომ ეს შფოთები სულ ნ ო დ ა რ ი შ ვ ი ლ მ ა ამიტეხა. ახლაც კიდევ ოქმი აუღია, რომ იქ უნდა ხნას. ამას იმისთვის ცდილობს, რომ იმ სოფლის მოშლა უნდა. და მე გევედრებით, თქვენს მობძანებამდისინ ხვნას დაეხსნას, რომ ის სოფელი არ მოი[შალ]ოს, ამის ოქმი მიბოძოთ, რომ შფოთი არ მოხდეს. მარტის **ლა**, ქორონიკონს **უპზ.**

თავში

ქ. უგანათლებულესო შვილო ბატონო ბ ა გ რ ა ტ! მერე მაგ ნოდარიშვილს გიორგი სალთხუცესს უნდა გამოუცხადო, რომ მაგისის მხრიდამ ხ...* ის ყურის [სო]ფელ[ში] ხვნა არ იქნება მანდ ორი სოფელი ვერ გაიმართება სარ...* [ხვ]ნა არ იქნება და ნურც ახვნევინებ.

* მარცხენა კიდე მოხეულია.

შფოთი მოუათ და ვერ დადგება ორი სოფელი და არც იქნება. თა-
მაზ ენისელთ მოურავის შვილის სამოურაო კაცნი უნდა დადგნენ.
სხვისა არც ხვნა იქნება მანდა და არც დგომა. აპრილის ზ. ქრონი-
კონს უპზ.

მანამდინ ჩვენ გნახემდეთ, მანამდინ ასე უნდა იყოს. მშვიდობა არის, ჩვენ რომ მოვალთ გავშინჯამთ და ისე გავარიგებთ, როგორცა სჯობს. გიორგი

## 516. არზა იესე დიასამიძისა გამოსალეგის თაოგაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 10 აპრილი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 744. დედანი. ქაღალდი. 34×14 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის მორდლის იესესაგან.

კურთხეულის მეფის დროს ჩემს სახლისკაცზედ მეტი არა გამომრთმევია რა, ამისთვის ლეკმა რომ წაგვახდინა, შვიდი კომლი კაცი ლეკებმა დახოცეს და იმათი ცოლ-შვილი დაატყვევეს. შვიდი კომლი კაცი დამრჩომია. იასაულები და ზაალ ყაფლანიშვილი მოგახსენებენ, ახლა ეგების ჯაბრით შემომაწეროს ვინმე, ესენიც დამეკარგებიან და რიღათი უნდა დავრჩე.

მუჩალგა მომირთმევია. თუ ამაზედ მეტი მყუანდეს ან მუშა, ან გუთანი, ან ყმა თქვენთვის მომირთმევია ჯარიმაში. იმდენი არც მუშა მყავს და არც გუთანი. თუ მე ამას გარდა ერთი ხარი მყუანდეს, რომ გუთანში შევაბა, თქვენი რისხვა მჭონდეს. თქვენგან ხომ არა გვთხოვებია რა, მაგრამ უიმისობა არ იქმნება. მოწყალე ჯელმწიფევ, მოწყალება მოიღე, რომ სწორეთ შემოგვაწეროს, ლეკებსაც სწორეთ ვნახავთ. მარტის ლ, ქრონიკონს უპზ.

თავში

ქ. ჩვენ მაგიერად სარდალ-სალთხუცესს მუხრანის ბატონს იოანეს და მდივნებს ასე ეუწყოს: მერე დიასამიძეს მორდალს იესეს ასე რომ მოუხსენებია, თუ ამისი მოხსენებული ჰეშმარიტი იყოს, ამას შვიდი კომლის კაცის სათხოვრის მეტს ნუ შეაწერთ. და რაც სასოფლო სათხოვარი მივიდეს, ნახევარი იასეს მორდლის წილო-

ბას უნდა ეთხოს და ნახევარი დიმიტრი დიასამიძის წილობას უნდა ეთხოვ[ო]ს. აპრილის **ი**, ქორონიკონს **უპზ**.

ბეჭედი: მეფე სრულიად ქართლისა და კახეთისა და სხვათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 517. არზა ზურაბ თუმანიშვილის ქვრივისა ღალის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 11 აპრილი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 14. საბუთი № 19. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[23v] ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ზ უ რ ა ბ ი ს ქვრივობლისა.

გ ი ვ ი მდივნის შვილიშვილი პ ა ტ ა რ კ ა ც ი რომ ამოსწყდა, კურთხეულმა მეფემ იმის წილი ყმა და მამული საერთოთ გვიბოძა, იმ მამულის ნახევარი ჩემის მაზლებისა არის და ნახევარი ჩემის ობლებისა, იმისთვის რომ ერთის ძმისა ისინი გახლიან და მეორისა — ეს ჩემი ობლები. ასე მიმძლავრებაში გახლავართ, რომ ყმის სამსახური არა ვიცით რა. ყოელს წელს ღალის წილი ცოტა ყოფილა თუ ბევრი, მოუციათ და წელს ს[რ]ულობით არა მოგვცეს რა.

ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ს არზი მივართვი, ოქმი მიბოძა, რომ ნ ი კ ო ლ ო ზ ს ა და მ ა ნ უ ჩ ა რ ს უნდა მოეცათ და არ მამცეს. გევედრებით ოქმი და იასაული მიბოძოთ, რომ წლევანდელი ღალა ჩემი წილი სრულობით მამეცეს. აპრილის **ა**, ქორონიკონს **უპზ**.

თავში

[23] ჩვენ მაგიერად ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ს ბატონს ო თ ა რ ს ასე ეუწყოს! მერე ამ არზის პატრონი ქვრივ-ობოლი ასე რომ ჩივის, რაც პური აქვსთ გასაყოფი, ახლავ უნდა რაც ღალის პური არის, უნდა გაუყო შუაზე და მისცე ამას თავისი წილი და იმათ თავეთი წილი. და რაც საერთო ყმა ჰყვანდესთ, რასაც ამისი სახლის კაცები იმსახურებენ, ის სამსახურიც ამ რიგად უნდა იმსახურონ კაცებმა და ისეც უნდა ამსახურო. ეს ასე უნდა გა[ა]რიგო, რომ ამ ქვრივ-ობოლთ უსამართლო არა დაემართოსთ რა. აპრილის **ია**, ქორონიკონს **უპზ**.

## 518. არზა ვახუშტი ჯავახიშვილისა გამოსალეგის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 12 აპრილი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10388. დედანი. ქაღალდი. 20,5×12 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ თითო წერტილია.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ჯავახიშვილი ვახუშტი მდივანბეგისაგან.

ჭირისაგან სამოცდაცამეტი სული დამეხოცა ყმა და ჩემოდენი ჩემს სახლის კაცებს არ დახოციათ. ამას გევედრებით, როგორც ჩემის ძმის წულებისათვის წყალობა მიგიღიათ, ის ჩემზედ მოიღოთ. აპრილის **ია,** ქორონიკონს **უპზ.**

ოთხიოდ კომლი კაცი მამირჩა და ისინიც ასე, რომ ზოგს ძმა და ზოგს შვილი მოუკვდათ.

თავში

ქ. ჩვენ მაგიერად სარდალ-სალთხუცესს მუხრანის ბატონს იოანეს და მდივნებს ასე ეუწყოსთ: მერმე ამ მდივანბეგს ვახუშტის ამისთანა ზარალი მოსვლია და ამდენი სული დახოცია. ოთხი კომლი კაცი გარდარჩენია. ამისი ოთხი კომლი კაცი ორს წელიწადს გაგვიაზატებია. ამის კაცებს ნუღარაფერს შეაწერთ ამ ვადის შესრულებამდინა. და მასუკან, რაც შეძლება ექნებათ, თავიანთის შეძლებით იმსახურებენ. რომელნიც იასაულები მიხვიდეთ, თქვენც ასე უნდა იცოდეთ. აპრილის **იბ,** ქორონიკონს **უპზ.**

ბეჭედი: მეფე სრულიად ქართლისა და კახეთისა და სხვათა გიორგი.

## 519. არზა თუშთ მოურავის დის მარიამისა ყმის თაობაზე ბაბრატ ბატონიშვილის ოქმით

**1799 წ. 12 აპრილი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2570. დედანი. ქაღალდი. 34×18,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. მათის უგანათლებულესობის ბედნიერის ჯელმწიფის ძის ბაგრატის წინაშე მოსახსენებელი თუშთ მოურავის დის მარიამისაგან.

ჩემო ჯელმწიფევ, ერთი ბიჭი დედის ჩემისათვინ კიკოლა ყაფლანისშვილს და დიმიტრი ყაფლანისშვილს

მიეცა ენისელთ მოურავიანთ სახლში. იქ ქმარი მოუკვდა, ერთი ვაჟი-შვილი დარჩა; ის კაცი იქ ცოლით, შვილით ჰყავნდა ჩემს [illegible] თქვენის ჭირის სანაცვლო შეიქმნა. ის კაცი მე დედაჩემმა [illegible] რომ უპირობდით, ქაიხოსრო ენისელთ მოურავის შვილმა არ დაგვანება, ბატონი გამაეჩინა ვილაც. ნეტარად ხსენებულს ბატონს დედაჩემმა თავი აწყინა, ის კაცი ჩვენ დაგვნებდა. მოგეხსენებათ, ყაფლანისშვილს კაცი ეშოებოდა, რომ სხვისა არ მიეცა.

საწყალობელმა თქვენმა ყმამ აჰყარა ბატონის ოქმით; ალაზანს გამოყვანილი გრიგოლ ენისელთ მოურავის შვილი [და] დათუა მაყაშვილი დაეწივნენ, თავადებათ დაუდგნენ — ამ შამოდგომამდინ დააცალეო. გამააბრუნეს, იმ თქვენს ყმას ორი თვეც აღარ დაუყვია, მოკუდა. იმ კაცმა დაიწყო სიარული, ახალქალაქს მივიდა.

მერმე მე ვაწყინე ბატონს პაპა თქვენს თავი, ოქმი მიბოძა: ბატონის დისწულო, ამას თავის ყმა მიეცესო. ეს მიპასუხა: ახალქალაქი იულონ ბატონისშვილის არისო, იმისი ოქმი მამიტანეო. არზი ვაახელ, იმისგანაც წყალობა დამემართა, ოქმი მიბოძა — მიეცო.

ახლა კიდევ ბატონის მამის თქვენისაგანაც წყალობა დამემართა, ოქმი მიბოძა: კალაურის მოურავო, ახლავ აჰყარეო, მიაბარეო. ეხლა გიახლათ, აყრას უპირობდა, თქვენ იმ კაცისათვინ ოქმი გიბოძებიათ, ბატონამდინ დააცალეო.

ღმერთი გაღლეგრძელებს, სადაო აღარ არის რა, გარდაწყვეტილი საქმეა. ორი ოქმი ბატონის პაპის თქვენისაა, ბატონის მამის თქვენისაა, იულონ ბატონისშვილისაა. გევედრებით, ნუღარ მამიშლით. კალაურის მოურავი აქ გახლავსთ. თქვენგან ამისი იმედი არ მაქვს, რომ ეს კაცი წამართო. ღმერთი გაღლეგრძელებსთ და თქვენს გამრავლებას დამასწრობს, ამის წყალობა მოიღეთ, ოქმი მიბოძე — აჰყაროს.

მოგეხსენებათ, მე ლაპარაკის თავი არა მაქვს. გარდაწყვეტილს საქმეს ნუ მამიშლი ჩემო ჴელმწიფევ. ღმერთი დიდს დღეს მოგცემსთ, ერთი ობოლი მყავს, ხელზედ წყალი დაუსხას. დიმიტრი მაყაშვილი გახლავს მანდა, ჰკითხეთ როგორც იყო. მუხლთ გეხვევი, ამის წყალობა მოიღეთ; აქ გახლავსთ კალაურის მოურავი, აჰყაროს. აპრილის **იბ**, ქორონიკონს **უპზ**.

თავში

ქ. ბატონო კალაურის მოურაო ომან! მერე ამ არზით რომ ასე მოუხსენებია, შენ რადგან მის უმაღლეს[ო]ბის ბატონის მამის ჩვენის ბრძანება გაქვს, ისე აღასრულე. აპრილის **იბ**, ქორონიკონს **უპზ**.

ბაგრატ

## 520. არზა ყარაჯალელთა ღალის თაოგაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 13 აპრილი**

ცსსა. ფონდი 1449. საბუთი № 821. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ერთობ ყარაჯალელთ.

მუდამ გვიხნამს იქ და ფეტვისა და სიმინდის ღალა არასდროს არ მიგვიცია. ახლა მგალობლიშვილი პატარა დავით ჯაბრით გვეკიდება, მაგის ღალა უნდა მამცეთო. თუ გამოგვერთო, არ შეგვიძლია, რომ იქ დავდგეთ. გევედრებით ჯელი ააღებინოთ. აპრილის **იგ, ქორონიკონს უპზ.**

ქერის და პურის ღალას კი ვაძლევთ, ბატონის განწესებაც ასე გვაქვს.

თავში

ჩვენი ბრძანება არის ამ არზის პატრონებო! მერე როგორც კურთხეულის მამის ჩვენის დროს ყოფილა, თუ მაშინ გიძლევიათ ღალა, ახლაც აძლიეთ. და თუ მაშინ არ გიძლევიათ, ნურც ახლა მისცემ. როგორც კურთხეულს მამის ჩვენის დროს ყოფილა, ახლაც ისე უნდა იყოს. აპრილის **იგ, ქორონიკონს უპზ.** მეფე გიორგი

## 521. არზა გოგია ფირალაშვილისა სამართლის მიცემაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 13 აპრილი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 4257. პირი. ქაღალდი. მხედრული.

მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის გიორგი თარხანისა და ლუარსაბ მიმბაშისა ყმის ფირალაშვილი გოგიასი.

ფაშისშვილი წისქვილს მედავებოდა. თქვენს წინაშე სამართალში გამოვითხოვე და თქვენი ოქმი რომ მიუტანე, აქ სამართალში მოყოლის მაგიერ დამსხა იმან ორი იასაული გედეონიშვილი თავის ამხანაგით და ორი ძროხაც სხვა წამართვეს.

გევედრებით ოქმი და იასაული მიბოძოთ ის ჩემი მოდავეც თქვენს სამართალში მომაყოლოთ და ის წართმეული ძროხებიც ასევე ჩემის მოაცემინოთ. აპრილის ე, [ქორონიკონს] უპჯ.

თავში

ჩვენი ბრძანება არის ფირალაშვილო! მერე შენ ნუღარ ელაპარაკები იმ მღვდელს, უნდა ორთავ ჩვენთან სამართალში ილაპარაკოთ და სამართალი მოგეცემათ. აპრილის იგ, [ქორონიკონს] უპჯ.

რომელიც ამათი იასაულები იყვნეთ, ამთზედ ხელი უნდა აიღოთ, ჩვენს სამართალში უნდა იაროთ. და რაც გერთმევინოს ძროხები, ისიც უკანვე უნდა მოსცე.

ჩვენ და მათი უწმიდესობა ჩვენი ძმა კათალიკოზი ერთად რომ შევიყრებით, მათს საქმეს მაშინ გავარიგებთ. მეფე გიორგი

## 522. არზა იოვანე მდივნისა ყმის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 20 აპრილი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 32. საბუთი № 54. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[44] მათის უმაღლესობის ბედნიერის ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის მდივანი იოვანესაგან.

გარსევანიშვილი პაატა მდივანს ყარანს ეყიდნა, რამდენიმე ხანი ხაბაზათ ჰყოლოდა, მერეთ ეს კაცი სისუასთვის მიეცა, რომ ნასყიდობის წიგნიც ხელთ გვიჭირავს კორკოტიშვილი ლუარსაბისა და იმისი შვილი დათუასაგან. ვინემ მდივანი ყარან და სოლომონ ცოცხალნი გახლდნენ, ამ პა[ა]ტაზედ ბატონყმობით ხმა არავის ამოუღია; და ახლა იმათ უკან მჩაგრავენ და დაფანტვა უნდათ.

ეხლაც დავით კორკოტს არზი მოურთმევია და ამ თავიანთგან მოსყიდულს კაცს აცოდვილებს. გევედრებით ოქმი მიბოძოთ, ჩვენი ნასყიდი მე მამბარდეს. და თუ სიტყვა აქვს, გახლავარ და მელაპარაკოს. მარტის ი, ქორონიკონს უპჯ.

თავში

ჩვენ მაგიერად სარდალ სალთხუცეს[ს] მუხრანის ბატონს იოანეს ასე ეუწყოს. მერე ამ არზის პატრონს ასე რომ მოუხსენებია,

რადგან ეს კაცი ამათი ნასყიდი არის, ნასყიდობა არავის გამორთმევია და არც ამას გამოერთმევა. ეს კაცი ამ იოანეს უნდა ჰყვანდეს, და თუ ის ჭეშმარიტი სიტყვა ჰქონდეს რამე, ჩვენს სამართალში ილაპარაკონ და სამართალი მიეცემათ. აპრილის კ, ქორონიკონს უპზ. | მეფე გიორგი |

## 523. არზა იასე ქოჩაძისა სამართლის მიცემაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 22 აპრილი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 5740. დედანი. ქაღალდი. 24,8×14 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჴელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ქოჩაძე იასესი[1].

ყვარელში ომარხანი გამოსვლას რომ აპირებდა, იმ თარილში გოგიამ ამიკლო. ჩემი საჩივარი თქვენ მოგახსენე. პაატა აბაშიძეზედ უმაღლესობის ოქმი მებოძა: დედოფლის ყმა რათ აგიკლიაო, ეს კაციც შენ გებარებოდესო და რაც წაერთმიოს, სრულად გამოურთვიო. არაფერი არა მამცემია რა, ორმოცის კოდის პურის მეტი.

გოგიას თქვენთვის მოეხსენებინა, ის დედოფალის ყმა არ არისო. იმისთვის ოქმი გებოძებინათ. მასუკან ორჯელ კიდევ ამიკლო. მერე ფარნავაზის იასაულით იმერეთს გადაგვრეკა ხიზნითა რვა თვე ათი სული ხიზნით იქ გახლავარ მშიარ-მწყურვალნი[2].

რადგან ჩემი სამკვიდრო მამულიდამ და ნასყიდობიდამ ხელი ავიღე, დამკარგა, უმაღლესობის საფარველქვეშ მამყოფეთ. ოქმი მიბოძეთ, წართმეული საქონელიც მამეცეს და მეც ხიზნით თქვენს საბძანებელში გადმოვიდე. აპრილის კბ, ქორონიკონს უპზ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის აბაშიძევ პაატავ! მერე ამ არზის პატრონს ასე რომ მოუხსენებია, რაც იმისთვის გოგიას საქონელი თუ სხვა რამ წაურთმევია, ამას წინად შენზე ოქმი უბოძეთ, რომ ეგ მაგისგან წართმეული რაცა ჰქონდა, უნდა სრულებით გამოგერთმევინა და ამისთვის მოგეცა; და ამას არა მოსცემია რა.

---

1 ისასესი.

2 მწყუვარლნი.

და ახლა ეს ჩვენი ოქმი, რომ მოგვივიდეს, უნდა რაც ამას წაართმევია საქონელი თუ სხვა რამ, სრულებით გამოართვა და ამას მოაბარო; და იმერეთიდამაც თავის ცოლ-შვილი გადმოასხმევინო და სადაც უნდა ჩვენს საბძანებელში დადგეს. და თუ გოგიას ამასთან ჯუმარიტი სიტყვა ჰქონდეს რამე, ჩვენს სამართალში ილაპარაკონ. და სხვა როგორც მოგვიწერია, ასე გაურიგე. აპრილის **კბ**, ქორონიკონს **უპზ**.

ერთმანეთში გაარიგე კარგათ და რიგიანად.

ბეჭედი: მეფე სრულიად ქართლისა და კახეთისა და სხვათა გიორგი.

## 524. არზა ივანე როსტევანაშვილისა უმოგის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 22 აპრილი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 5733. დედანი. ქაღალდი. 22,5×13,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის როსტევანაშვილი ივანესი.

ჯელმწიფისაგან წყალობის ყმა მრავალსა ჰყავს. გასყიდული არავის გვინახავს. გოგია ნასყიდობის[1] წიგნსა მთხოვდა, რადღანც დედოფლის ყმა ვიყავი, მე ნასყიდობის წიგნს რათ მივცემდი. იმიზეზა, ჩემის მამულიდგან და ალაგიდამ გამამრეკა. წიგნიც მამცა, ვისაც გინდა ეყმეო. ეს ჩემი შეწუხება დედოფალს მოვახსენე, ოქმი მიბოძა — ალს დადექო. იქიდამ იასაულით იმერეთს გადაგვკარგა, საქართველოში არ დაგაყენებო. რვა თვეა იმერეთს გახლავარ ხიზნითა.

წყალობას ვითხოვთ, რადღანც მამულზედ და ალაგზედ ხელი ამიღია, საქართველოს ღირსი გაგვხადოთ და თქვენს საფარველს ქვეშ გვამყოფოთ. აპრილის **იბ**, ქორონიკონს **უპზ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ამ არზის პატრონო! მერე ამ არზით ასე რომ მოგიხსენებია, უნდა შენის ცოლ-შვილით იმერეთიდამ გადმოხვიდე და სადაც გინდა ჩვენს საბძანებელში უნდა დასდგე[2]. შენთან საქმე არავისა აქვს. აპრილის **კბ**, ქორონიკონს **უპზ**.

ბეჭედი: მეფე სრულიად ქართლისა და კახეთისა და სხვათა გიორგი.

---

[1] სანყიდობის.

[2] დაასდგე.

## 525. არზა ზურაბ თუმანიშვილის ქვრივ-ობლისა მამულის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 27 აპრილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფონდი 1450, დავთარი № 37. საბუთი № 84. პირი. ქაღალდი. მხედრული.

**[52]** მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ზ უ რ ა ბ ი ს ქვრივისა და ობლისა.

ჩვენის მამა-პაპის სასახლე საუმცროსოთ ბარათით გვრგებია ხ ე ლ თ უ ბ ა ნ ს. ამ სასახლის ალაგს ჩვენი[1] სახლის კაცებისა და სხვების ყმანი ხიზნათ სახლობენ[2]. ახლა ჩვენი სახლის ალაგი ჩვენ გვეჭირება. პირით და მოციქულით ველაპარაკეთ, რომ ჩვენი ადგილი დაგვიცალეთ და თავ-თავის ადგილს დადექით. ქვრივ-ობლობით არას გვეპასუხებიან.

გევედრებით ერთი ოქმი და იასაული გვებოძოს, რომ ჩვენი სამკვიდრო მამულიდამ აიყარონ და ჩვენი მამული ჩვენ მოვიხმაროთ. აპრილის კ, ქორონიკონს უპზ.

თავში

ჩვენი ბძანება არის შ ა ტ ბ ე რ ა შ ვ ი ლ ო გ რ ი გ ო ლ! მერე ამ არზის პატრონი-ქვრივი და ობლები ასე რომ ჩივიან, ამათ ბარათში ნარგებს სასახლის ადგილში ვინცა დგანან, ვისიც ყმანი უნდა იყვნენ, უნდა ყველანი აჰყარო ახლავ და თავ-თავის მამულში დააყენონ თავეთი ყმანი. თავ[ი]ანთი მამული ამ ქვრივ-ობოლთ თითონ ეჭირებათ. ეს ასე უნდა გაარიგო. აპრილის კზ, ქორონიკონს უპზ.

## 526. არზა მეთოდისა გამოსალეგის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 29 აპრილი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3040. დედანი. ქაღალდი. 21,5×11,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი. ოქმის თარიღი მცდარი უნდა იყოს.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის მ ე თ ო დ ი ს ა გ ა ნ.

[1] + ჩვენის. [2] სახლობონ.

თქვენი წყალობა ორიოდ კომლი იმერელი გახლავთ, ჩემი თან-გადმოყოლილი იმერლები პატარძეულს სამი წელწ[illegible] უმსახურიათ რა. ერთი მსახური მყვანდა, ისიც მამპარეს [illegible] გვევედრებით, ოქმი და იასაული მიბოძოთ, ისინიც მამსახურონ და აქაც ვისაც ჩემი თითო-ოროლი შაური ემართოს, ისიც მოაცემინოს. აპრილის კთ, ქორონიკონს ჟპზ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ხალვათხანის ეშიკალაბაშო[1] იოსებ! მერე ამ არზის პატრონს თავის კაცები როგორც ბატონყმობის რიგი იყოს, ისე უნდა ამსახურო და ვისაც ემართოს რამე, ისიც გამოურთვი. აპრილის კტ, ქორონიკონს ჟპზ.

ბეჭედი: მეფე სრულიად ქართლისა და კახეთისა და სხვათა გიორგი.

## 527. არზა ბეჟან ამილახვრისშვილისა ყმის თაობაზე დავით ბატონიშვილის ოქმით

**1799 წ. 29 აპრილი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1351. დედანი. ქაღალდი. 38,5×12,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უგანათლებულესობის მეფის ძის დავითის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის მიმბაში ამილახვარისშვილი ბეჟანისაგან.

მის უმაღლესობის ჴელმწიფის მამის თქვენის ოქმი და ბძანება [ა]რის თქვენზე, რომ მე და ჩემი ძმისწულები მსაჯულთ თან დასწრებით მოგვარიგოთ. ახლა ამ სამართალს აღარ და[ა]ცალეს, ბატონისშვილის ალექსანდრეს ოქმი აუღია, ჩუმათ წაუღია. სამი კომლი იმერელი მყვანდა წერეთლისაგან გამობარებული და ორიც ქართველი ჩემი სამკვიდრო ყმა, რომ ხუთი კომლი კაცი იქნება. ამათზე ხელი აუმართავს. ორმოცი წელიწადია მოშორებული გახლავარ. მე იმასთან მისულს კაცებს როდის ვეცილები, რომ ის ჩემთან მოსულს ყმათ კაცს მეცილება.

ამას გარდა, პაპაჩემს ბეშოეთიდამ ერთი კომლი კაცი წმინდის შიოსთვის შეუწირავს. ბეგარა წმინდის შიოსი სძეს და ჩვენს სასაფლაოს კი უნდა ემსახუროს. ახლა მარტო ჩემი ძმისწული იმსახურებს.

---

[1] ეშყაბაშო.

ახლა ამ წყალობას ვითხოვ, ერთი ოქმი და იასაული გვიბოძეთ, ის კაცები როგორც ყოფილან, ისევ მე დამნებდეს. და ეს შეწირული კაცი როგორც პაპის ჩვენისაგან შეწირულია იმ გვარათ ორფავ გვემსახუროს, მარტო ის ნუ იმსახურებს. მე უხემწიფოთ ნურავინ რას წამართმევს.

ა ქ. იმერელი კაპანაძე დათუა
ა ქ. იმერელი მამუკელა
ა ქ. ბერიკელა იმერელი
ა ქ. სეხნია
ა ქ. გუჯია წმინდის შიოს შეწირული
აღიწერა აპრილის **კზ,** ქორონიკონს **უპზ.**

თავში

ქ. მეფის ძე დავით მოგიწერ ამილახვარისშვილო ნინიავ! მერე ბეჟანისათვის კაცები რომ წაგირთმევია, ეგ კაცნი ისევ მიეც და დაანებე სამართლამდინ. და როდესაც სამართალში ილაპარაკებთ და დააბჭო[ბთ], არა თუ მარტო მაგ კაცებს, სხვა გარდასახდიც გარდაგხდება. კაცნი ახლავ უნდა დაანებო. აპრილის **კთ,** ქორონიკონს **უპზ.** დავით

ერისთვის შვილო მირმანოს, ეს კაცნი შენ გამოურთვი და შოაბარე. დავით

## 528. არზა იოსებ მღვდლისა ვალის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 7 მაისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 423. დედანი. ქაღალდი. 18,4×12,2 სმ. მხედრული. ალაგ-ალაგ თითო წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯვლმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ნეკრესელის სიძის იოსებ მღვდლისა.

მერმე ამას მოგახსენებ, მოლარე მოსე შვილის თეთრი მემართა, ჩემი გირაოები ჰქონდა. ახლა ასე მეუბნება: ჩემ[მ]ა შვილმა არ ვიცი ვის მიაბარაო. პასუხს არას მაძლევს.

მოწყალებას ვითხოვ, ერთი ოქმი მიბოძოთ, ჩემი გირაო მომცეს, თავის თეთრი გამომართოს. მაისის დ, ქორონიკონს უპზ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის, ციციშვილ[ო] იოსებ! მერე ამ არზის პატრონს ასე რომ მოუხსენებია, რომელსაც ამის გიროები აქვს, უნდა რაც ამას მართებს, ის მოაცემინო და თავის გიროები გამოურთო და მოს[ცე]. მაისის ზ, ქორონიკონს უპზ.

მეფე გიორგი

## 529. არზა პეტრე დავრეშაშვილისა ვალის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 7 მაისი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 4296. დედანი. ქაღალდი. 22,8×11,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. ტექსტი ალაგ-ალაგ გადასულია.

ქ. მა[თი]ს უმაღლესობ[ი]ს ბედნიერის კელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის დავრეშაშვილი პეტრესი.

ქორონიკონს უპბ, ამ წელს ნაზარბეგიშვილს ოსეფას თამასუქით თექ[ვსმე]ტი თუმან[ი უ]ნდა მოეცა თავნი და სარგებელი. ეს თამასუქი აქ მებურნუთე[1] პეტრეს ებარა და დაიკ[არ]გა. ოსეფა განჯას მოკვდა. მართალია, თამასუქი დაიკარგა, მაგრამ მოწმე[ე]ბი უზურში გახლიან.

გევედრებით, რომელიც აქ იმის მამულს ხმარობდეს, ეს თეთრი იმას მოაცემინოთ და სადაც აქა-იქ ასაღები ქონდეს, ისიც იასაულმა გამამირთოს და მამცეს. მაისის ე, ქორონიკონს უპზ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება ა[რი]ს მელიქო დარჩიავ! მერე ამ არზის პატრონი ამ არზით ასე რომ ჩივის, ეს შენი გასარიგებელი საქმე არის და შენ უნდა გაურიგო. მაისის ზ, ქორონიკონს უპზ.

ბეჭედი: მეფე სრულიად ქართლისა და კახეთისა და სხვათა გიორგი.

verso

ქ. რადგანც ამისმა სიმაღლემ ამ სამართლების გაშინჯვა ენკენისთვემდის დააყენა, ენკენისთვეში ჩამოდი და რიგიანის საქმით შენს

[1] მებურნიოთე.

საქმეს გავარიგებთ, და როგორც ბატონის ბძანება არის, ისე აღვასრულებთ. მაისის **ივ**, ქორონიკონს **უპზ**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 530. არზა მღვდელ-მონაზონ გენედიქტისა მამულის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 11 მაისი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 51. საბუთი № 213. პირი. ქაღალდი. მხედრული. იქვე, საბუთი № 216.

[189] მათის უმაღლესობის ბედნიერის ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მარადის მლოცველის მღვდელ-მონაზონის ბენედიქტესაგან.

სამი წელიწადია ფალვენიანთ უჩივი, თქვენს უმაღლესობასაც ვაწუხებ და ჩვენცა ვწუხვართ, ეკლესიასაც აკლდება. ბატონისშვილს იოვანესთან. ვილაპარაკეთ. ფიცი გვიბძანა და დავიფიცეთ.

გევედრებით, ერთის გზით გარდაგვიწ[ვიტ]ოთ. ორი განაჩენი იულონისა კურთხეულის მეფისაგან დამტკიცებული და ერთი ბატონიშვილი იოანესაგან, ხელთ გვიჭირამს. სიგელი ეს არის. თქვენც გინახამსთ. მუშაობისა და მოსავლის დრო არის. მოგვარჩინეთ, წფოთი არ მოხდეს რა. მაისის **ვ**, ქორონიკონს **უპზ**.

თავში

[188] უგანათლებულესო შვილო ბატონო იოანე! მერე ამათ რადგან დაუფიცნიათ იმ მამულის საქმეზედ და ფიცით გაუტანიათ, რაღა სიტყვა აქვსთ მაგ ფავლენიშვილებს, რატომ არ დაანებებენ ამათ მაგ მამულსა.

და თუ რომ [v] დაუფიცნიათ და კიდევ ერთათ შემოყარე ესენი, როგორც ამათთვის სამართალი მიგეცეს, ისე იმაზედ დააყენე. მაისის **ია**, ქორონიკონს **უპზ**.

დაიფიცონ დირბელებმა, ჩაიაროს, ფიცით გაწმინდონ ეგ სადაო მამული, მასუკან შენც ხელი მოუწერე. და ეს კი არ იქნება, რომ დირბელნი საფიცრათ მივიდნენ და ფალვენიშვილები კი არ მიყვნენ. რადგან საფიცრათ მივლენ და ჩაივლიან და შენც კაცს დააყენებ და დაიფიცვენ, მაშინ დაფიცებულნი იქნებიან და კიდეც უნდა დაიფიცონ, ჩაიაროს და ისე გაიტანოს.

მეფე გიორგი

მეფის ძე იოანე მოგიკითხავ ელიზბარ ერისთავისშვილო! მერე მის სიმაღლეს ბატონს როგორც ამ ოქმით უბოძებია ამ დირბელებისათვის სამართალი, ფავლენიშვილები ხომ აგრეთვე გაჰყვებიან, ამ დირბელებმა კიდევ გული აჯეროს და ისე ჩაუსხი სამნები. თუ არ გაყვნენ, შარშან ხომ დაიფიცეს, ჩვენის განაჩენით როგორც შარშან მიჯნები ჩასხეს, ისევ დაუნიშნე, და ნება მისის სიმაღლისა[ა], და ამათ მოაბარე ეგ მამული.

გაბაშვილო! შენც თან უნდა გაყვე და ასე აღასრულო. ამ ბენედიქტეს და მოურავს უნდა მობარდეს ეგ მამული. მაისის **კშ**, ქორონიკონს **უპზ**.

იოანე

## 531. არზა ბარძიმ ამილახვრიშვილისა ყმის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 14 მაისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 8946. დედანი. ქაღალდი. 21,5×11,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ამილახვარიშვილი დავითის შვილი ბარძიმისა.

ჰალას ჩემი ყმა ტიღაშვილები ერასტისაგან მძლავრობით მერთმევა. გევედრებით ოქმი მიბოძოთ, ჩემი ყმა მე მამაბაროს. და ამ ერასტის თუ სიტყვა ჰქონდეს, აქ თქვენს სამართალში მელაპარაკოს. მაისის **იდ**, ქორონიკონს **უპზ**.

თქვენი ოქმი მქონდა, იასაული რომ არ მეწერა, არ დამანება.

თავში

ქ. უგანათლებულესო შვილო ბატონო იოანე! ამ არზით ასე რომ მოუხსენებია, სადაც ამისი ყმა იდგეს, აუყრევინე და მოეც. და თუ სიტყვა ჰქონდეს რამე, ჩვენ მოგვახსენოს. ამის აუყრელობა არ იქნება. მაისის **იდ**, ქორონიკონს **უპზ**.

ბეჭედი: მეფე სრულიად ქართლისა და კახეთისა და სხვათა გიორგი.

## 532. არზა ბარძიმ ამილახვარიშვილისა სამართლის მიცემაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 16 მაისი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 4410. დედანი. ქაღალდი. 34,5×15 სმ. მხედრული, განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის დავით ამილახვარიშვილის ბარძიმისაგან.

ოცდათორმეტი წელიწადია მამაჩემს თავისი სამკვიდრო მამული და სახელო ჩამორთმეული ჰქონდა თავისის სნეულობით და უპატრონობით. მე გამოვიზარდე და თქვენს დიდებულს კარს ჩემის უღონობით ვერ მოვაწიე. ახლა რომ დიდათ საქმე გამიჭირდა, მოვმართე თქვენს მართლმსაჯულს ჯელმწიფებას და ვედრება ეს არის.

ქცხინვალის მოურაობა ნაბოძებია ძველათ. თქვენი წყალობა და წილი არ მიძეს. გრაკალი ბიძის ჩემის შაჰყულიხანის ნასყიდია და მე წილი არ მიძეს, საიალღუზიშვილო და საბედიანაშვილო ჯელმწიფეთაგან და მე წილი არ მიძეს. ამას გარდა, რამდენი სხვა უსამართლობა მჭირს.

მამავ ობლისავ, მსაჯულო ქვრივისავ, უმაღლესო ჯელმწიფევ, ინებოთ თქვენს წინაშე, ინებოთ ბატონიშვილს იოანესთან სამართალი გვაღირსეთ. მაისის **იე**, ქორონიკონს **უპზ**.

თავში

ქ. უგანათლებულესო შვილო ბატონო იოანე! მერე ამ არზით ეს ამილახვარისშვილის დავითის ობოლი. ამ არზით ასე რომ ჩივის, ამისი სამართალი შენ უნდა მისცე და გაურიგო და ყველა რიგიან და სამართლიანად, რაზედაც რომ ჩივის. მაისის **ივ**, ქორონიკონს **უპზ**.

გიორგი

## 533. არზა ნასყიდასი სამართლის მიცემაზე ვახტანგ გაბონიშვილის ოქმით

**1799 წ. 16 მაისი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. 4036. დედანი. დაზიანებული. ქაღალდი. 23,3×12 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. მის უგანათლებულესობის მეფის ძის ვახტანგის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ტაბახმელელი ნასყიდასი.

შარშან მარტში შაბურისშვილი ზაზას ორჯერ და სამჯერ ჩემთან კაცი მომიგზავნა, შენი შვილი მამეც, ცხვარს დაუზიარებო; და მეც მივეც ერთი შვილი. სამოცი სული ცხვარი დამაბრუნა, მაგრამ როდესაც გაუჭირდებოდა, მეორეს[1] შვილსაც მივამველებდი ხოლმე. ორი დოლი აუღიათ. როგორც მოზიარის წესია, ისე არ მექცევა. ორი წელიწადი არის მე შორიდამ მაყურებინებს და თვითონა სჭამს. ყველი არის, მატყლი არის, თუ რაცა, ასე მძლა[ვრებით] მეკიდება.

[გევედ]რები თქვე[ნ]ს მოწყალებასა, სამართალი მაღირსოთ, თქვენად სადღეგძელოთ. მაისის **ივ**, ქორონიკონს **უპზ**.

შუა კაცი ზაზასივე სახელო გახლ[ა]მს. მეტი ღონე აღარა მაქვს, იმასვე უნდა უბძანოთ, აფიცოთ; რასაც ის მოგახსენებსთ თითონ და თავისი ღმერთი, თუ სწორეს არ იტყვის, რასაც იტყვის, მეც დავჯერდები.

თავში

ქ. ბატონისშვილი ვახტანგ გიბრძანებ ბოქოულისშვილო იოსებ! მერე ამ არზის პატრონი რომ ამ არზით შაბურისშვილს ზაზას ასე უჩივის ამას ერთი იასაული უჩინე, ორი კაცი ამას მიაყვანინოს, მემცხვარი ორი ზაზას დაუსხას, და რაც სამართალი უყონ, ორნივ დააჯეროს; რომელსაც დაედვას, გამოართოს და მისცეს, და ისე მოარიგოს. მაისის **ივ**, ქორონიკონს **უპზ**.

ბეჭედი: რტოდ ვარ დავითის, მგელ-ლომად ვით ის, ვახტანგ ვამტკიცებ მეფის ძეობით.

## 534. არზა ედიშერ მუხრანბატონისა ყმების თაობაზე იოანე ბატონიშვილის ოქმით

**1799 წ. 16 მაისი**

ცსსა, ფ. 1448. საბ. № 3506. დედანი. ქაღალდი. 22,2×16,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. საქართველოს მეფის ძის იოვანეს წინაშე მუხრანის ბატონის მათის მონის ედიშერის მოხსენებული.

ის სამი ბიჭები რომ მოგახსენეთ, ერთი სწორეთ ქსნიდამ თქვენი ყმა არის, ერთი ლიახვიდამ გადმოსული კაცის შვილია, რომ თავის მტერს აღარც ქსანზედ დაუყენებია და მამა ამისი მუხ-

[1] მიორეს.

რანს მამაჩემთან მოსულა და ეს ბიჭი მე მახლავს, აღარც მამა ჰყავს, აღარც დედა, ერთიც არაგვიდამ თავის მტერს გადმოუგდია ქსანზედ, მეტათ რომ იქაც შეუწუხებია, მუხრანს ჩამოსულა მამაჩემთან.

ამათი აღიღათი ასე მოიხსენეთ, მიბოძებთ, თქვენი ნება არის, არ მიბოძებთ, ჩემი თავიც თქვენის ჭირის სანაცვლო იქნას და ეს კაცნიცა.

თავში

ქ. საქართველოს მეფის ძე იოანე გიბრძანებთ, რომელნიც ამ არზით მოხსენებულის კაცების მოასილნი ხართ! მერმე ამ კაცების აყრა გიორგობის თვემდის არ იქნება უჩვენოთა. და მაშინ როგორც ჩვენი ბრძანება მოგვივიდეს, ისრე აღასრულეთ. მანამდის არც შეწუხება იქნება და არც აყრა. მაისის **ივ,** ქორონიკონს **უპზ.** იოანე

## 535. არზა მარიამ ნათლულისა მზითვის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 16 მაისი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 14. საბუთი № 106. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[139] მათის უმაღლესობის წინაშე მოსახსენებელი თქვენის ნათლულის მარიამისაგანა. მერე ჩემი დისწული ტერ-შიმოვანა შვილს აბელ რომ ჰყვანდა, ის ხომ ჭირის სანაცვლოთ გაგიხდათ და შვილი არ დარჩა. თქვენს უმაღლესობას კარგად მოეხსენება, რომ ის ქალის დედა და პატრონი მე გახლდი და თქვენის ბძანებით მე შავრთევ აბელსა ეს ჩემი დისწული. მამის ჩემისაგან გატანებული [v] მზითევ[ი] და რაც ამ ჩემის დისწულისათვის გამიტანებია, ის მზითევი და მეორე დისწული ქალი მყვანდა, იმისი რაც რომ იყო, ისიცა და ჩემის სძლის საქონელი სულ აბელსა აქვს.

წყალობას ვითხოვ, რომელიც ქალაქის განწესება არის მელიქს ებრძანოს, რომ ორი უმტერ-უმოყვრო მოქალაქე ჩვენის მხარიდამ მოგვაყვანინოს და ორი იმისის მხარიდამა. და რაც აბელასა აქვს, ჩვენ იმისი სია გვაქვს, გასინჯონ, გვალაპარაკონ და სამართლით გამოგვართვან და მოგვცენ. ამისი ბეჯითი ოქმი გვიბოძეთ. მაისის **ივ,** ქორონიკონს **უპზ.**

და რაც როსტევანას მამულის წიგნები აქვს, ისინიც უნდა გამოვართვათ.

თავში

[138v] ჩვენ მაგიერად მელიქს დარჩიას ასე ეწყოს! მერე ეს ჩვენი ნათლული ამ არზით ასე რომ უჩივის, ტერ-ეფთვიმეს ნას შვილს აბელს, ორისავ მხრიდამ ოროლი უმტერ-უმოყრო მოქალაქენი [უნდა] მიაყვანინო შენთან დ[ა] ესენი უნდა ალაპარაკოთ; და ამათ[ი] საქმე სი[ს]წორით უნდა გაშინჯოთ და ისე სამართალი მოსცეთ და გარდაუწყვიტოთ, რომ გაურიგებელი და გარდაუწყვეტელი არ და[ა]გდოთ და ჩვენთან აღარ აჩივლოთ. მაისის **ივ,** ქორონიკონს

**უპზ.**

## 536. არზა ზაალ ჯილაურისა სამართლის მიცემაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 17 მაისი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 4575. დედანი. ქაღალდი. 20×12 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ჯილაური ზაალისა.

სანინოწმინდოელთ სწორე გზა თითონ შეიგდეს და გზათ ჩემი მამული გააკეთეს. გევედრებით მოურავსა და ნინოწმინდელს უბძანოთ ოქმით, ჩვენი საქმე ამათ გარჩიონ. მაისის **იზ,** ქორონიკონს **უპზ.**

თავში

ქ. ყოვლად სამღვდელოვ ნინოწმინდელო მიხაილ და საგარეჯოს მოურავო ორბელიანო ვახტანგ! ამ არზის პატრონს ასე რომ მოუხსენებია, ესეც და რომელსაც უჩივის, ორნივ თქვენთან მოაყვანინეთ და ამათი საქმე სამართლიანის საქმით თქვენ გარდასწყვიტეთ. მაისის **იზ,** ქორონიკონს **უპზ.** გიორგი

## 537. არზა ჯავახიანთა მამულის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 18 მაისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 9990. დედანი. ქაღალდი. 22×11 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ თითო წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონათ ერთიან ჯავახიანთი.

ჩოჩელს ფაშიშვილს მღუდელს უჩივლია, ჯავახიანთ ჩემი მამული უჭირავთო. ოქმი მოიტანა და ჯელი აგვიმართა. გვკადრებით სამართალში გვალაპარაკოთ და თუ მართალი გახლდეთ, ჩვენი სამართალი გვაღირსოთ. მაისის **ივ**, ქორონიკონს **უპზ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ეშიყაბაშო ალექსანდრე! მერე ამ არზით ჯავახიანი ფაშიშვილს მღვდელს ასე რომ უჩივიან, ის აქ სამართალში უნდა ჩამოაყვანინო. მაისის **იწ**, ქორონიკონს **უპზ**.

მეფე გიორგი

## 538. არზა დათუა პარკაძისა მამულის თაობაზე იულონ გაბონიშვილის ოქმით

**1799 წ. 18 მაისი**

ცსსა. ფონდი 1449. საბუთი № 204. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ღმერთმან ბედნიერის ჯელმწიფის ძის იულონის ჰირი პარკაძე დათუას მოსცეს.

მერმე ამას მოგახსენებთ: წრიალაშვილი ძველადგან ჩემი ყმა გხლებია, მძლავრობით ამილახვარიანთ წაურთმევია. ერთი იმის სახლისკაცი ისევ მე მყავს.

ახლა ერთს საკომლო მამულს მედავება. თუ ჩემი წყალობის წიგნები აქვს, ჩემი წყალობის წიგნებით რათ მიეცემა, როდესაც ჩემი ყმა ყოფილა, მამული მიმიცია, ისიც ჩემი ყმა ყოფილა და ის მამულიც ჩემი ყოფილა. მაგრამ როდესაც თავი წამართვა, მამულს თან რაღათ გავატან. თუ ამილახვარიანთ წყალობის წიგნები აქვს, თქვენმა იასაულმა გაშინჯოს, ერთის გზით მამაშოროს ის კაცი, ღმერთი გაგიმარჯვებს.

თავში

ბატონიშვილი იულონ გიბრძანებ ალანდარო ივანე! მერე ამ არზით პარკაძე რომ ასრე ჩივის, თუ ვისმე სიტყვა და საბუთი ჰქონდეს, ჩვენ მოგვახსენოს. თუ არადა, ამ მამულის ღალას ნურავის დაანებებ. მაისის **იწ**, ქორონიკონს **უპზ**.

## 539. არზა ევსტათი ჯავახიშვილისა თავდებობიდან დახსნის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

1799 წ. 19 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 9998. დედანი. ქაღალდი. 22,8×12 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ჯავახიშვილი თეიმურაზის შვილი ევსტათისაგან.

გივი ციციშვილის თაობაზედ მე უბრალოთ ვირჯები და იასაულები სახლში ჩამდგომიან. გევედრებით ოქმი მიბოძოთ გორჯასპი ფარეშთხუცესზედ, რომ თავეთი მისაცემი იმას მიაცემინოს და მე თავმდებობიდამ დამიხსნათ. მაისის **იზ**, ქორონიკონს **უპზ**.

რომლისაც თავმდები იყო მამაჩემი, იმას ყმაცა ჰყავს და მამულიც. ამ ყმასა და მამულსაც თვალთ უჩანს და მოვალესაც ხელში მივცემ, მე კი ამიშვით.

თავში

ჩვენი ბძანება არის ფარეშთხუცესო გორჯასპი! მერმე ამ არზის პატრონი თავდებობიდამ უნდა გამოიყვანო და ვისიც თავდებია, ვალი იმას მიაცემინე, ამას რას ემართლებიან. მაისის **ით**, ქორონიკონს **უპზ**. მეფე გიორგი

## 540. არზა ივანე ტუსიშვილისა მამულის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

1799 წ. 22 მაისი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 46. საბუთი 277. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[148] მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ივანე ტუსიშვილისა.

თქვენის ბძანებით სალთხუცესმა გიორგიმ და სვიმონ მდივანმა კაცები გაგვიყვეს. ვენახები და მიწები ისევ გასაყოფათ დაგვრჩა. ის სანახევრო მიწა და ვენახი რომ ჩემ[მ]ა ბიძაშვილებმა დამიყიდეს, უმაღლესობასთან ვიჩივლე. იასაულათ სოლომონ კახიშვილი მებოძა. მოვიდა, მამულს ჯუარები დაურ-

ჰო და მე მამაბარა. ახლა ამათ ის ჯუარებიც ისევ დაგლიჯეს და მა-
მულიც წამართვეს, ექვსი საპალნე ღვინოც სხვა წამართვეს. გვევედრე-
ბით, ბატონიშვილს ბაგრატზედ ოქმი მიბოძოთ, რაც საჯოს სამართალი. მაისის **კბ**, ქორონიკონს **უპზ**.

თავში

უგანათლებულესო შვილო ბატონო ბაგრატ! მერე კახეთის მოსამართლე[ე]ბიც შენთან დაისწარ, დიმიტრი ჩოლაყაშვილიცა და სალთხუცესი გიორგიც თუ მანდ იყოს, ისიც დაისწარ ჩოკაშვილებიცა და ახმეტელნი უფროს-უფროსი კაცნიც მიაყვანინე და იმათი საჩივარი ისე გაარჩიე. და რაც გასაყოფი ჰქონდეს, ისე გაუყავი და გა[ა]რჩივე და ერთმანერთს ისე მოაშორე. მაისის **კბ**, ქორონიკონს **უპზ**[1].

## 541. არზა დიმიტრი ხიმშიაშვილისა ციხის კარების გაღების თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 24 მაისი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 37. საბუთი № 217. პირა. ქაღალდი. მხედრული.

**[120v]** მათის უმაღლესობის ბედნიერის მეფის გიორგის ჭირი მოსცეს თქვენს ყმას აზნაურს ხიმშიაშვილის ხადაკო[ნ]თ ვარისი დიმიტრისა.

ასე რომ, ჩემო ხემწიფევ ბატონო, მამითქვენისაგან და თქვენგან ალაგი მაქვს ნაწყალობევი ზეით ციხის შუაკარის გარედამ — სამოცი ადლი სიგძე და სამოცი ადლი სიგანე — ხიდისა და ქარვასლისათვისა.

ამის გარდა, **[121]** რაც დუქნები გვაქვს, სამი[ო]დ დუქანი გარედამ გახლავთ, თორმეტი დუქანი შიგნით გახლავთ, ციხის კარებს[2] იგი ქოლამს. ჩემო ხემწიფევ, ამთენი მამულები სულ ბათილათ არის, რაც თეთრია, თქვენზედ არის.

ჩემო ხემწიფევ, ან რით ვიცხოვროთ და ან მოვალე[3] რით გავისტუმრო. ამთენი თქვენი მოწყალ[ება] მოიღეთ ჩვენზედა; უბძანოთ, რომ ციხის კარები გავაღოთ მამულებისათვის საჭირო არის, ეგების ქარი[4] მივცეთ და მოვალეებისაგან სული დავიხსნათ. ღმერთი გაგი-

---

1 უნზ.

2 კარები. 3 მოვალეს. 4 ქარით.

მარჯვებს, ბეჯითათ უბძანოთ. დაიწერა მაისის **კბ**, ქორონიკონს **უპზ**.

თავში

ჩვენი ბძანება არის პ ე ნ ტ ე ლ ა შ ვ ი ლ ო ი ო ა ნ ე ს ძ ი ს ზ ე ც ი ხ ის კარი მოშენებულია და უნდა გა[ა]ღებინო, ისევ როგორც უწინ ყოფილა, ისრე უნდა კარგათ გა[ა]კეთებინო; ამისთვის რომ, რადგან ჩვენს აზნაურ ხიმშიაშვილს დიმიტრის მამულები იქით ქონიათ და ჩვენგანაც აქვს ნაწყალობევი ალაგი — სამოცი ადლი სიგძე და სამოცი ადლი სიგ[ა]ნე ბოძებული კაკალოასა, ამისთვის ის კარი საჭირო არის მამულებისათვის, ბათილათ არ დარჩეს. ეს ასე უნდა აასრულოთ. და ვინც მეკარე და[ა]ყენოთ, ასე უთხარ მეკარეს: ღამით ბეჯითი იყავ, უცხო კაცი არავინ შემოვიდეს და გავიდეს-თქო, თორემ თქვენ მოგეკითხებათ. მაისის **კდ**, ქორონიკონს **უპზ**.

## 542. არზა ალიყულა მახუმაშვილისა გალის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 26 მაისი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 12. საბუთი № 3. პირი. ქალალდი. მხედრული.

[6v] მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ალა მ ა ხ უ მ ა შ ვ ი ლ ი [7] ა ლ ი ყ უ ლ ა ს ა გ ა ნ.

ცოლ-შვილი დავკარგე[1], ვიპოვნე და თქვენის დოვლათით თ ა ვ რ ი ზ ს მოვასხი, აქამდინ მოსხმა ხელმოკლობით ვეღარ შევძელ და იმედი მაქვს ახლა შევძლო და აქ მოვასხა. გიახელ აქ, სახლები დამწვარი დამიხვდა, ბაღი მქონდა, კრჩხა და ღობე აღარ შეურჩენიათ, ასე გამხდარა.

გევედრებით ოქმი მიბოძოთ, ჩემი ბაღი მე დამნებდეს, რომ გავაკეთო. მაისის **თ**, ქორონიკონს **უპზ**.

თავში

ჩვენი ბძანება არის ამ არზის პატრონო! მერე ეს შენი ბაღი [ი]სევ

[1] დავკაიგე.

შენთვის გვიბოძებია, შენი მამული არის და შენ მოუარე და მოიხმა-
რე, საქმე არავისა აქვს. მაისის თ, ქორონიკონს უპზ.

ეს ბაღი ამის სამკვიდრო მამული არის და ჩვენგან დასტური აქვს, ვის[ა]ც დაგიგირაოსთ, დაიგირავეთ. მაისის კვ, ქორონიკონს უპზ.

## 543. არზა ფალავანდიშვილებისა მამულის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 29 მაისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 4776. დედანი. ქაღალდი. 20,6×11,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ფალავანდიშვილი იაკოფისა და დიმიტრისა.

კნოლეთს ჩვენს განაყოფეფთან გასაყოფი მამულებ[ი] გვაქვს. იმათ მიმძლავრეს. გევედრებით ამილახვარზედ ოქმი გვიბოძოთ, რომ ჩვენი წილი ჩვენ მოგვაბაროს. მაისის კზ, ქორონიკონს უპზ.

წერილებიც მიგვატანინოს და ისე გაგვირჩიოს.

თავში

ქ. ჩვენ მაგიერად ამილახვარს ოთარს ასე ეუწყოს! მერე ამ იაკობ ფალავანდიშვილსა და ამის სახლისკაცთ რაც კნოლეში სადაო მამული ჰქონდესთ, ორისავ მხრიდამ წერილები და საბუთებიც მიატანინე და გაურჩიე, თავ-თავისი წილი და[ა]ნებე და მოაშორე ერთმანეთს, რომ სადაო აღარა ჰქონდეს რა. მაისის კთ, ქორონიკონს უპზ.

მეფე გიორგი

## 544. არზა პეტრე დავრეშაშვილისა ყმის სამსახურის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 3 ივნისი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 50. საბუთი № 193. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[114] მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის დავრეშაშვილი პეტრესი.

მე და ჩემს ძმას ჩვენის ყმის ორი ობოლი დაგვრჩა ნათელაშვილები. ერთს ძმას იმან გამოართო თეთრი და ის კაცი ეჩმიაწინს შეეწირა. მეორე ძმა რომ ჩემს წილათ დარჩა, არც ყმობაზედ თავს მიდებს და არც თავს იხსნის.

გევედრებით ოქმი და იასაული მიბოძოთ, როგორც ბატონყმობის რიგი იყოს, ისე მემსახუროს. მაისის კჱ, ქორონიკონს უპზ.

თავში

ჩვენი ბძანება არის დიასამიძევ მორდალო იესევ! მერე ამ არზის პატრონი თავის ყმას რომ უჩივის, შენ უნდა რიგიანათ ამსახურო ამ თავის მებატონესა. ივნისის გ, ქორონიკონს უპ[ზ].

მეფე გიორგი

## 545. არზა სოლომონ მეითრისა გამოსალების თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 7 ივნისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2866. დედანი. ქაღალდი. 21,9×12,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის სოლომონ მეითრისა და ჩემის ბიძაშვილებისაგან.

ჭირისაგან ხუთას სულამდინ ადამიანი დაგვეხოცნენ. ჩვენ ხომ გაცვინულნი გახლდით თერთმეტი თვე და ჭირნახული და ვენახის მოსავალი სადღა გვეღირსებოდა. ამ წლის სურსათზედ იასაულები გვიდგანან და გვაღონებენ. წყალობას ვითხოვთ, სამართლით ეს გვაპატიოთ. ივნისის ზ, ქორონიკონს უპზ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის სურსათის იასაულებო! მერე სოლომონ მეითრისათვის ეს სურსათი გვიპატივებია, ხელი აიღევით. ივნისის ზ, ქორონიკონს უპზ. | მეფე გიორგი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 546. არზა მღვდელ-მონაზონ ბენედიქტესი საბეჭდავის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 9 ივნისი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 51. საბუთი № 164. პირი. ქაღალდი. მხედრული.

**[131]** მათის უმაღლესობის ბედნიერის ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მარადის მლოცველის მღდელ-მონაზონის ბენედიქტესაგან.

თქვენის ბრძანებით დირბს მეჩითები გახლიან, იმათი საბეჭდავიც გორის იჯარადარს ეძლევა; და ცხინვალის იჯარადარიც ემუქრება — მეც წაგართმევო. ორის მიცემა ხომ არ იქნება. და გევედრებით ოქმი გვიბოძოთ, იმ ცხინვალის იჯარადარს საქმე არ ჰქონდეს. ივნისის **თ**, ქორონიკონს **უპზ.**

თავში

ჩვენი ბძანება არის, რომელიც გორში მეჩითები სხედხართ! მერე რასაც გა[ა]კეთებთ მანდ თქვენ, ის გორის ბეჭდის იჯარადარს უნდა და[ა]ბეჭდინოთ ხოლმე; და საბეჭდავსაც გორის ბეჭდის იჯარადარს უნდა მისცემდეთ ხოლმე. სხვას საქმე არავისა აქვს თქვენთან. ივნისის

**თ**, ქორონიკონს **უპზ.** | მეფე გიორგი |

## 547. არზა ლუარსაბ ონანაშვილისა გაყრის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 12 ივნისი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 747. დედანი. ქაღალდი. 32,7×14,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჴელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ლუარსაბ ონანაშვილისაგან.

მერე ჩემი სახლისკაცი ზაქარი[ა] მედავება. სამი კაცი მყავს ნასყიდი ორი წისქვილი; ეს[ე]ბი ჩემის სათავისთაოთი მიყიდნია, არც არა ყმიდამ მიმიცია, არცარა სახლიდამ და მამულიდამ; ჩემის მწიფის მოწყალებით, თქვენის მოწყალებით და ჩემის გარჯილობით მიყიდნია. მის სიმაღლეს მოახსენა. როდესაც გავიყარენით, არაფერი პასუხი მისცა. ახლა კი მედავება.

მოგეხსენებათ თქვენს საბრძანებელში ყოველს ოჯახში სათავისთაოდ ნასყიდობა არის, რომ სახლისკაცს წილი არ უძევს. როდესაც ისინი თავის სახლის კაცებს ამგვარს ნასყიდობაში წილს მისცემენ, თუ მე ეს თქვენთანღა ვალაპარაკო, ავად მომეპყარით. თუ არა, ნება თქვენის სიმაღლისა[ა]. თიბათვის **ია**, ქორონიკონს **უპზ**.

თავში

ქ. ჩვენი ბრძანება არის ხალვადხანის ეშიკაღაბაშო იოსებ! მერე ამ არზის პატრონი და ამისი სახლისკაცი ზაქარია ჩვენს სამართალში უნდა მოიყვანო და ალაპარაკო და სამართალში გასწორდნენ. ივნისის **იბ**, ქორონიკონს **უპზ**.

მეფე გიორგი

მინაწერი

„ბატონის ოქმი რომ თავისთან სამართალში მიგვიწვევია“.

## 548. არზა რევაზ ფავლენიშვილისა მამულის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 13 ივნისი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 31. საბუთი № 191. პირი. ქაღალდი. მხედრული.

**[136]** მათის უმაღლესობის ბედნიერის ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ფანუელიშვილი რევაზისა.

ოქრომჭედლიშვილი დვანს მიწას მედავება, იმას იქ მემკვიდრე კაცი უსახლობს და მე კი არა. იმ კაცმა გული მაჯეროს, რომ მიწა [v] იმისი იყოს და მე კი დავანებებ. თუ არა, ოქმი მიბოძეთ ერისთვის შვილს შანშეზედ, რომ ჩემი მამული მე დამნებდეს. ივნისის **იგ**, ქორონიკონს **უპზ**.

თავში

ჩვენი ბძანება არის ნაიბ-ეშიკაღაბაშო შანშე! ამ არზის პატრონი მამულზედ ოქრომჭედლიშვილს რომ უჩივის, ოქრომჭედლიშვი-

ლის კაცმა გული აჯეროს და ან მიწა და[ა]ნებოს. ივნისის **იგ,** ქორონიკონს **უპჯ.** მეფე გიორგი

ამ სადაოს საქმეზ[ე] დავით ოქრომჭედლიშვილმა გულ[ი] მაჯერა, დავანებ[ე]. მე, რევაზ ფავლ[ე]ნიშვილ[ი], ვწერ. ეს ჩემი ხელია. რევაზ.

მე, ერისთვის შვილი ელიზბარ, ამისი მოწამე ვარ. ივლისის **კა,** ქორონიკონს **უპჯ.** ელიზბარ

## 549. არზა ხერხეულიძეებისა სამართლის მიცემაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 23 ივნისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 365. დედანი. ქაღალდი. 22,5×12,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონათ ხერხეულიძე ეშიკაღაბაშის გიორგისი და ჯამასპისაგან.

ჩვენ სოფელში ოსები გახლდენ, იმათი ორი ტყვე დავითიშვილის კაცმა იმერელმა გაყიდა. ოსები ჩვენ გვემტერებიან. ეს ტყვეები ყორნისიდამ მოიპარეს. ბატონიშვილმა იოანემაც კარგათ იცის ეს საქმე.

გევედრებით იმაზედვე ოქმი გვიბოძოთ, რომ·ის საქმე იმან გარდაგვიწყვიტოს. ივნისის **კბ,** ქორონიკონს **უპჯ.**

სხვასაც ვისაც უჩიოდეთ, სამართალი იმან გვიყოს.

თავში

უგანათლებულესო შვილო ბატონო იოანე! ამათი სამართალი შენ უნდა მისცე და გაურიგო სამართლით. ივნისის **კგ,** ქორონიკონს **უპჯ.** მეფე გიორგი

## 550. არზა თეიმურაზ ფავლენიშვილისა ყმის თაოგაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 25 ივნისი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 45. საბუთი № 145. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[97v] მათის უმაღლესობის ბედნიერის ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ფანველიშვილი თეიმურაზისა.

ქარელში ჩემი სამი კომლი კაცია — ერთი ნასყიდი და ორი სამკვიდრო. წყალობას ვითხოვ ოქმის და იასაულისას, ჩემი კაცნი ამიყარონ და მამაბარონ და არავინ გამიგლიჯოს. ივნისის **კბ**, ქორონიკონს **უპზ**.

ეს კაცნი მოურავსა და ალექსიძე დავითს ჰყუანან.

თავში

უგანათლებულესო შვილო ბატონო იოანე! მერე ეს თეიმურაზ ასე რომ ჩივის, ამის საქმე სამართლიანათ შენ უნდა გა[ა]რიგო და თავისი კაცები უნდა მოაცემინო. ივნისის **კე**, ქორონიკონს **უპზ**.

მეფე გიორგი

## 551. არზა გეჟან ამილახვრიშვილისა მამულის თაოგაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 3 ივლისი**

ცსსა. პ. კარბელაშვილის პირადი ფონდი. 1461. რვეული № 14, გვ. 71V. პირი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ამილახვარიშვილი ბეჟანისაგან.

მე და ჩემი ძმისწული ივანე რომ გავიყარენით იულონ ბატონის შვილის სამართლით, ჩემს ძმისწულს საუფროსოთ ფხვენის [ს] ეგაძე მისცეს; ჭალას საუმცროსოთ — ბაღი, სასახლე, დორიეთს ათის დღის მიწა და ნახევარ[ი] საწისქვილო მე მამცეს.

სამი წელიწადია საუფროსოც იმას უჭირავს და ამ ჩემს საუმცროსოსაც ისი სჭამს წრევანდლამდინ. და წელს ერასტიმ რომ მიჩივლა ბატონიშვილს იოანესთან, ოცდათვრამეტი თუმანი დამადვა და ეს ჩემი საუმცროსო იმას დაუგირავე. ახლა ჩემი ძმისწული მეუბნება: ბატონმაც ოქმი მიბოძა და ის მე უნდა დავიხსნაო.

ამას ვითხოვ, დაუნაშავებლივ არ წამართოთ და ოქმი მიბოძოთ, ჩემი წილი მამული ვისიც ჩემი ნება იყოს, იმას დაეგირაოს და გასყიდოს რას ედა[ვ]ოს. ივნისის კთ, ქორონიკონს უპზ.

თავში

ჭ. ჩვენი ბძანება არის ამილახვარისშვილო ერასტი! მერე მინბაშს ბეჟანს რომ შენთვის ეს თავისი მამული გირაოთ მოუცია, როდესაც მინბაში ბეჟან მაგ მამულის დახსნას შეიძლებს, ბეჟან მინბაშს უნდა დაახსნევინო. სხვას მაგის დასახსნელათ საქმე არავისა აქვს. და სხვას ვერც არავის დაახსნევინებ, იცოდე. ივლისის გ, ქორონიკონს უპზ.

## 552. არზა ნონია ხიზნისა გამოსალეგის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 3 ივლისი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 51. საბუთი № 167. პირი. ქაღალდი. მხედრული.

**[133]** მათის უმაღლესობის ბედნიერის ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის წმინდის საფლავის ყმის მეჩითე ნონია ხიზნისა საგარეჯოდამ.

თქვენი აზატობის ოქმი მქონდა, ლეინებსა მთხოვდნენ. არზი მოგართვი და ის ოქმი მამთხოეთ, აქ არა მქონდა კაცი [v] გავგზავნე, ის ოქმიც მოვატანინე. გევედრებით გასინჯოთ და მაპატივებდეთ, თუ არა, ნება უმაღლესობისა აღსრულდეს. ივლისის ბ.

თავში

ჩვენი ბძანება არის იასაულებო! მერე ეს არც სალეკო სიაში სწერია და ეს წმინდა საფლავის ყმა არის და ამას ვერას გამოვართმევთ, ხელი აიღევით. და ვისაც აწერია, იმას გამოართვით. ივლისის გ, ქორონიკონს უპზ. მეფე გიორგი

ჩვენ, სალ[ე]კოს იასაულს[1], ნონია მჩითა[ვ]მა ბატონის ოქმი მოგვიტანა, ფული უკანვე უნდა მიგვეცა, საქმე გაჭირებული იყო და ვერ უშოვნეს. საგარეჯოს ნაცვალმა გიორგიმ ეს თამასუქი მო-

[1] იასაულმა.

გეც, რომ რაწამს[1] მოურავი აქ მობძანდება, შენი ხუთმეტის[2] ხალაგის ფასი აგიკრიფო, მოგცე. მკათათვის ე, ქორონიკონს უპზ.

მე, გიორგი[3] ნაცვალმა, მოგცე თუ ამათ არ მოგცე.

## 553. არზა ელიზბარ თაქთაქიშვილისა მამულის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 6 ივლისი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 28. საბუთი № 45. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[43] მათის უმაღლესობის ბედნიერის ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის თ ა ქ თ ა ქ ი ძ ე ე ლ ი ზ ბ ა რ ი ს ა გ ა ნ.

ხემწიფევ! მ ი რ ზ ა შ ვ ი ლ ი გ ი გ ი ა ნასყიდს მამულებს მართმევს ყ ე [ლ] ჭ ც ე უ ლ ს თავისის ძალით. იმ მამულების სიგლები ხელში მიჭირავს და კურთხეულის ბატონის ოქმი და განაჩენი.

ამ მოწყალებას ვითხოვ, ერთი ოქმი და იასაული მებოძოს ჩემი ნასყიდი მამული თავის გამოსავლით მომაბაროს. და თუ ჩემს მოდავეს სიტყვა აქვს თქვენს შვილს იოვანესთან მელაპარაკოს. ივნისის კგ, ქორონიკონს უპზ.

თავში

[42v] უგანათლებულესო შვილო ბატონო ი ო ა ნ ე! მერე ამ არზით ეს თაქთაქიშვილი თავის ნასყიდს მამულზედ მირზაშვილს ასე რომ უჩივის, ამათი საქმე შენ უნდა გაშინჯო. და მირზაშვილს გიგიას თუ სიტყვა არა ჰქონდეს რა, თავისი ნასყიდი მამული თავისის გამოსავლით და[ა]ნებებინე.

და თუ მირზაშვილს გიგიას ჭეშმარიტი სიტყვა ჰქონდეს რამედა, ორნივ შენთან ალაპარაკე და ჭეშმარიტი სამართალი მიეც. ივლისის ვ, ქორონიკონს უპზ.

[1] რასწამ. [2] ხუტმეტის. [3] გიორგის.

## 554. არზა იესე კოჩაძისა სამართლის მიცემაზე დავით გაბონიშვილის ოქმით

**1799 წ. 10 ივლისი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 5739. დედანი. ქაღალდი. 21,5×16,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნები ნახმარი არ არის ა-მეტ-ნაკლები.

ქ. მათის უგანათლებულესობის მეფის ძის დავითის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის იესე კოჩაძისა.

მის უმაღლესობის მეფის ოქმი და იასაული მებოძა, რომა გოგიამ რომ ამიკლო, ჩემი წანართმევი სრულებით უნდა მოებარებინა; ოთხი ხარი და ერთი ძროხა მამცეს; და რაც სხვა დანარჩომი არის, ამისი წერილი და პირობა თავდებით, რომ ორს კვირეზე უნდა მოებარებინა; ახლა აღარას მაძლევს.

ამ წყალობას გევედრები: ერთი ოქმი მებოძოს თქვენს ძმას იოვანეზე, რომ ჩემი, რაც წართმეული აქვს, სრულათ გამამი[რ]თვას, მიბოძოს; როგორც ხემწიფე მამის თქვენის ოქმში მიცხადებდეს, იესე აღასრულოს. თუ გოგიას ამ საქონელზე სიტყვა ქონდეს, იმან გვალაპარაკოს და სამართალი გადაგვიწყვიტოს. რასაც გოგია შარითა მე ცილსა მწამებს, ჩვენი სიმტყუნე-სიმართლე იქ გამოცხად[დ]ება მოწმე[ე]ბითა. მკათათვის ი, ქორონიკონს უპზ.

თავში

ქ. უგანათლებულესო მეფის ძეო იოანე! რაც ამ არზის პატრონს გოგია მირზა იბრეიმაშვილთან სადაო რამ ჰქონდეს, გევედრება, რომ ყოველივე სამართლით გაურიგო და თავისი მოაბარებინო და მოარჩინო. ივლისის ი, ქორონიკონს უპზ. დავით

## 555. არზა ლუარსაბ ონანაშვილისა გაურის თაობაზე დავით გაბონიშვილის ოქმით

**1799 წ. 18 ივლისი**

ცსსა. ფ. 1448. № 703. დედანი. ქაღალდი. 38,5×23 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია მძიმე, წერტილი და ორი წერტილი.

ქ. მათის უგანათლებულესობის მეფის ძის დავითის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ონანაშვილის ლუარსაბისაგან.

მერე ჩემის სახლისკაცის ზაქარიას და ჩემი სამართალი მათს უმაღლესობას ბატონს მამათქვენს თქვენთვის უბრძანებია. ჩემს სახლისკაცს ზაქარიას რომ მოუხსენებია — ნასყიდს კაცებში და წილ ქვილში წილი მიძევსო, ჩემო ჯემწიფევ, სამი კაცი მყავს ნასყიდი და ორი წისქვილი. ესენი ჩემის სათავისთაოთი მიყიდნია, არცარა ყმიდამ მიმიცია, არცარა სახლიდამ მიმიცია და არც მამულიდამ. ჩემის ჯემწიფის მოწყალებით, თქვენის მოწყალებით და ჩემის გარჯილობით მიყიდნია.

მის სიმაღლეს კურთხეულს პაპათქვენთან ილაპარაკა, როდესაც გავიყარენით და არაფერი პასუხი არა მისცა რა და ვერცა რა გაიტანა. ახლა კი რავდენსამე წლის გავლილს საქმეს მედავება.

მოგეხსენებათ ქართლში და კახეთში ყოველს ოჯახში სათავისთაოდ ნასყიდობა არის, რომ სახლისკაცს წილი არ უძევს. როდესაც ისინი თავისს სახლის კაცებს ამგვარს ნასყიდობაში წილს მისცემენ, თუ მე ეს თქვენთანღა ვილაპარაკო, ავად მომეპყარით; თუ არადა, ნება თქვენის უგანათლებულესობისა აღსრულდეს. ღმერთი გაგიმარჯვებს, სწორე სამართალი მაღირსეთ. ივლისის **იზ**, ქორონიკონს **უპზ**.

თავში

ქ. ყორიასაულბაშო ონანაშვილო ლუარსაბ! შენ რომ ეს არზი მოგიცია, მათის უმაღლესობის ბატონის მამის ჩვენისაგან თქვენი სამართალი მდივანბეგების თანდასწრებით ჩვენ გვებძანა. ჩვენ ახლა ამას გწერთ: რაც შენის საკუთრის საქონლით ყმა და მამული გიყიდნია, საქართველოს სამართლისამებრ[1] იმაში შენს სახლისკაცს წილი არა აქუს.

ქართლსა და კახეთში მრავალს ოჯახში არის სათავისთაოდ ნასყიდობა და შენც გიყიდნია სათავისთაოდ ყმა და მამული. საქართველოს სამართალი სახლისკაცს წილს არ აძლევს და ვერცრას შენ შემოგეცილება. ივლისის **იჱ**, ქორონიკონს **უპზ**. დავით

ქ. რომელშიაც ჩაწერილია, იმაში კი წილი უძევს; და რომელშიაც არა სწერია, საქმე არა აქვს რა. სამართლით გაყარეთ.

დავით

მარცხენა კიდეზე ბეჭედი: მდივანბეგი იოანე.

მინაწერი: „დავით ბატონისშვილის ოქმი არის“.

---

[1] სამართლისამებრ] სამართლისსალისამებრ.

# 556. არზა იოანე აბაშიძის ქვრივისა ყმის თაოგაზე იოანე გაბონიშვილის ოქმით

**1799 წ. 25 ივლისი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 1873. დედანი. ქაღალდი. 44×18 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან მათის უმაღლესობის მეფის ძის იოვანეს ჭირი აბაშიძის იოვანეს უბედურს ქვრივსა და ობოლს მომცეს.

მერმე ამას მოგახსენებ ჩემო ხემწიფევ: ღმერთმან ისე თქვენს მუხანათს გაუჭიროს საქმე, როგორც მე ყოვლის გზით საქმე გაჭირვებული მე[1] გახლდე, არც არავინ პატრონი მყავდეს. მაგრამ თქვენის მოწყალების მოიმედე გა[ხ]ლავართ, თქვენით ვნუგეშობ, რადგან თქვენს წინ სისხლი დააქცია[2] თქვენმა მონამ აბაშიძემ; იმის ბიზეზით ვსულდგმულობ კიდევ, ვიცი მოწყალებას მოიღებთ, ამიტომ რომ მუხანათის ქვრივი და ობოლი არა ვართ.

ჩემი მოხსენება ეს არის, ჩემო ხემწიფევ, თავის მამიდისაგან ვალი აიღო საქორწილოთ. ქალაქი რომ იყრებოდა, ჩემს საუბედუროთ აღამამათხან რომ მოვიდა, მაშინ მოლოზანს თავის მამიდას ეთქვა თავის ძმისწული აბაშიძისათვის: ოღონდა აქედამ გამიყვანეო, რაც ვალი ჩემი შენზედ არისო, სულ მიპატივებიაო. მაშინვე ყევარი ხარი თავის ურმით მიერთმია; კაცი, ცხენი სულ იმას მონდომოდა და დუშეთს გაეგზავნა; თავათ ნეტარხსენებულს ბატონს ხლებოდა. ის ხომ თქვენი ჭირის სანაცვლო შეიქნა; ხარებიც იმას დაჩა, თამასუქიც; ვი[ნ]ღა გამომრთმევდა. ერთი ხარი ნეტარხსენებულის ბატონისათვისაც მიერთმია მოლოზანს.

ახლა, ჩემო ხემწიფევ, მათის უმაღლესობის მამითქვენის ოქმი თქვენ გბოძებიათ: აბაშიძის თამასუქიც ქვრივსა და ობოლს გამოურთვიო და ან ყელქცეულსაო და მოეცო. თქვენ იასაული ციციშვილი ივანე გებოძათ, თქვენი ოქმიც.

ღმერთი გაგიმარჯვებს, ორიოდ კომლი კაცი გვყავს, ნუ დამიკარგვინებთ, ჩემი ობლების გამომზდელნი ესენი არიან. მოწყალებას ვითხოვ სამართლის დღემდის მაცალოთ, იასაული მომაშოროთ. ღმერთმა შენი რისხვა მომცეს თუ ან თეთრათ ან სხვა იმას დარჩენოდეს რამე ყმისა და მამულის მეტი; ერთი ობოლი დარჩა, ისიც თქვენის ჭირის სანაცვლოთ მინდა.

---

[1] + მე. [2] დაგცია.

თუ მაინც გამირისხდებით, მოწყალებას არ მაღირსებთ, სამართლის დღემდის არ მიმიშვებთ, ხომ მოგეხსენებათ გაუყრელი იყვნენ ეს აბაშიძე[ე]ბი, ერთობით უნდა გად[ა]გვხდეს, მარტო ყელ[illegible]გორ შეუძლია გადახდა. ჩემი ვედრება თქვენს წინაშე [illegible] თქვენი აღსრულდეს. თიბათვის კე, ქორონიკონს უპზ.

თავში

ქ. ყოვლისა საქართველოსა მეფის ძე იოანეს სიკეთით სახსოვარო ც ი ც ი შ ვ ი ლ ო ი ო ა ნ ე! მერე ამაზედ ჯელი უნდა აიღო, მანამ სამართალში გაივლიდნენ და მერე სამართლით როგორც გადუწყდეთ, ისე აღასრულე. ახლა კი ხელი აიღე. ივლისის კე, ქორონიკონს უპზ.

იოანე

## 557. არზა იაკოფისა და ველასი სამართლის მიცემაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 27 ივლისი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 45. საბუთი № 30. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[17v] მათის უმაღლესობის ბედნიერის ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ჩალაუბნიდამ ი ა კ ო ფ ი ს ა და ვ ე ლ ა ს ი.

მამაჩვენი დატყვე[ვ]ებული იყო და ისევ საქრისტიანოსათვის თავი მოემართა და ისევ მამა-პაპის მამულზედ დამდგარიყო. ჩვენც იმისი შვილები გახლავართ. და მამაჩვენი ჭირის სანაცლო შეიქნა. ჩვენც ჩვენის შეძლებით ა ფ ხ ა ზ ი შ ვ ი ლ ს ნ ი ნ ი ა ს ვემსახურებოდით.

ახლა ჯაშარიტათ დაგვადგა, ცოტა რამ ლაპარაკი მოგვივიდა. რაც რამ გვებადა სახლში, სულ ერთიან საქონლით აგვიკლო. მდივანბეგის კაცი და ო ნ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს კაცი მიუგზავნეთ: დავაშავეთ, შეგვირიგე; იმას შემოეთვალა: აღარც მაგათი ყმობა მინდაო და ნურც დადგებიანო. სხვაგან ვეღარ წავედით. მ ა ღ ა რ ო,ს დავდექით, იქაც დაგვიჭირა, ორთა ძმათ ბორკილითა და ხუნდით შეგვინახა. მე კი გიახელ, ჩემი ძმა ბორკილში ჰყავს.

ამ წყალობას ვითხოვთ, ჩალაუბნელებზედ ერთი ოქმი გვიბოძოთ, როგორც ჩვენი მამის ტყვეობა ან მოსვლა ყოფილა, წერილით მოგახსენონ [18] და იმ რიგათ სამართალი მისაჯოთ, რომ საურჯულეთ არ გავხდეთ. მკათათვის კე, ქორონიკონს უპზ.

თავში

[17] ჩვენი ბძანება არის ა ფ ხ ა ზ ი შ ვ ი ლ ო ნ ი ნ ი ა! მერე ჩვენ შუა ვართ, რომ ამ კაცის ძმაც აუშვი, ესეცა და ისიც ორნივე მოგე-გე, რაც წაგერთმევინოს, ისიც ისევ მ[ი]ეც, მიიყვანე და თავისვე ალაგს ჩალაუბანს და[ა]ყენე; და როგორც ამა[თი] შეძლება იყოს, ისე ბატონყმურის რიგით იმსახურე. მაგდენის ყმის პატრონიც არა ხარ, ამისთანა კაცები კარგო.

და რაც ან მამული ან სასახლე გამოგერთმევინოს, ისიც ისევ მიეც და და[ა]ყენე, ეს შენი ყმა არის და შენ ამისი ბატონი ხარ და შენც რიგიან მოექეც და ესენიც რიგიან იმსახურე, ასე სჯობს. ივლისის **კზ**, ქორონიკონს **უპზ**.

და ჩვენ ამ კაცისათვის აქ მუჩალგა გამოგვირთმევია, რომ შენ თავეთის შეძლებით კარგათ და რიგიან ბატონყმურის რიგით მოგექცეს და გემსახუროს და შენც ამ გზით უნდა მოექცე. [ ]

## 558. არზა ბეჟან არღუთაშვილისა ყმის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 1 აგვისტო**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 8889. დედანი. ქაღალდი. 22×11,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჴელმწიფის წინა'შე მოსახსენებელი მათის მონის ა რ ღ უ თ ა შ ვ ი ლ ი ალამდარი ბ ე ჟ ა ნ ი ს ა-გ ა ნ.

ერთი განჯელი ბიჭი ჩემ[მ]ა ყმამ ხურო ჰ ა მ ზ ა მ მოიყვანა, ავათმყოფი მოარჩინა, სიმშილში შეინახა და შვილათ აიყვანა. ის კაცი. ჩემი ყმა რომ მოკუდა, ისევ იმის სახლში იყო. ახლა გავიდა და სხვაგან ცოლი შეირთო.

ერთი ოქმი მიბოძეთ, რომ იმასთან ჩემს მეტს საქმე არავის ჰქონდეს ვისმე. თქვენთან მელაპარაკოს. ივლისის **ლ**, ქორონიკონს **უპზ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის არღუთაშვილო ბეჟან! მერე ამ არზით ასე რომ მოგიხსენებია, რადგან იმ ბიჭის საქმე ასე ყოფილა, ის ბიჭი შენი ყმა არის. სხვას საქმე არავის აქვს და თუ ვისმე ჭეშმარიტი სიტყვა აქვს[1] ჩვენ მოგვახსენოს. აგვისტოს **ა**, ქორონიკონს **უპზ**. [მეფე გიორგი]

[1] + ვისმე.

## 559. არზა ალმატელთა გამოსალეგის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 5 აგვისტო**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 14. საბუთი № 150. პირი. ქაღალდი. მხედრული.

**[183]** ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოხსენებული მათის მონის ალმატელთა[1].

თუთხმეტი კომლი ცალკე კაცნი გახლავართ. ამ წყალობას ვითხოვთ: რაც რამ სათხოვარი იყოს, ჩვენ ცალკე შემოგვწერდეს, ჩვენც ჩვენის შეძლებით თქვენი სამსახური ავათაოთ და იმათ[თ]ან საქმე არ [გვ]ქონდეს. აგვისტოს ე, ქორონიკონს უპზ.

თავში

ჩვენი ბძანება არის კახეთის მოხელებო და მდივნებო! მერე როდესაც კახეთს ხარჯი შესწერებოდეს, ამ ალმატელთ თუთხმეტს კომლს რაც სათხოვარი შეხვდებოდესთ, ცალკე შეაწერდეთ და ისე გამოერთმეოდესთ. სხვას სოფელს ნურავის მოუყენებთ. აგვისტოს ე, ქორონიკონს უპზ. მეჯე გიორგი

ასლიდამ თანასწორები გარდმოვიღე და ხელს ვაწერ მე, მდივანი მ ო ძ ღ ვ რ ი შ ვ ი ლ ი ა რ ტ ე მ.

მე, კნიაზ ნ ი კ ო ლ ო ზ ა ფ ხ ა ზ მ ა, შავამოწმე და სწორეთ ასლის პირი არის გადმო[ღ]ებული. ა ფ ხ ა ზ ო ვ ი.

## 560. არზა გოლნელი ოსეფასი გამოსალეგის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 11 აგვისტო**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 52. საბუთი № 103. პირი. ქაღალდი. მხედრული.

**[84v]** მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ბ ო ლ ნ ე ლ ი ო ს ე ფ ა ს ი.

ჩემო ჯელმწიფევ! მე აზნაურშვილი გახლავარ და გლეხებთან ხარჯს მართმევენ, ლაშქარსაც ცალკე მართმევენ და გლეხკაცობითაც მიმსახურებენ. ერთი მენაბდე გახლავარ, დღიურს ლუკმას ძლივა ვშო[ულ]ობ.

[1] ალმეტელთა.

წყალობას ვითხოვ, ერთი ოქმი მიბოძოთ, რომ გლეხებთან არც გამრიონ და არც იმათი ხარჯი გამამერთოს. როგორც მამა-პაპანი გვლეხებიან, მეც ისრე სახელი არავინ მამიშალოს და სიღარიბით არავინ დამჩაგვროს. აგვისტოს **ც**, ქორონიკონს **უპზ**.

თავში

ჩვენი ბძანება არის მოხელებო! მერე ამ არზის პატრონი აზნაურშვილი ყოფილა და გლეხკაცებში ხომ ვერ გარევთ. რადგან აზნაურშვილი არის, ამას გლეხებთან ვერ გარევთ[1]. აგვისტოს **ია**, ქორონიკონს **უპზ**.

მეფე გიორგი

## 561. არზა მამუკა უზნაძისა გამოსალეგის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 17 აგვისტო**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 808. დედანი. ქაღალდი. 21,7×12 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის მ ა მ უ კ ა უ ზ ნ ა ძ ი ს ა[2].

ერთი კომლი კაცი მყავს ც ხ ი ლ ვ ა ნ ს ა. იმ კაც[ი]ს კურთხეულის მეფის ოქმი და ბატონის დედის თქვენის დედოფლის ოქმიც მაქვს, რომ ცხილვანის დავთრით იმას გამოსაღები ხარჯი არ უნდა ეთხოებოდეს. როგორც სხვა აზნაურშვილს კაცს აქედამ მოხელე[ე]ბი შეაწერენ, იმასაც ისე უნდა შეაწერონ. მოხელე[ე]ბის ბარათიც მაქვს. ახლა არ ეშვებიან ცხილვანელები და ხარჯში რევენ.

წყალობას ვითხოვ, ერთი ოქმი გვიბოძოთ, როგორც ოქმები მიცხადებდეს, ისევ ის წყალობა არ მამეშალოს. აგვისტოს **ვ**. ქორონიკონს **უპზ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ცხინვალის მოურა[ვო], მამასახლისო და ერთობით ცხინვალელნო! მერე უზნაძეს მამუკას კურთხეულის ბატონის მეფის მამის ჩვენისა და ბატონის დედის ჩვენის დედოფლისაგან როგორც ოქმები აქვს, ჩვენც ასრე გიბრძანებთ. როგორც სხვას აზ-

[1] + რადგანც აზნაურშვილი არის. [2] უვნაძისა.

ნაურშვილების ყმათ აქედამ შეეწერებათ სათხოვარი, ისე მაგის ყმას შეეწერება. თქვენს დავთარსა და გამოსაღებში ნუ გარევთ, იცოდეთ, აგვისტოს **იზ**, ქორონიკონს **უპზ**. მეფე გიორგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 562. არზა წინამძღვარ თეოდოსისა ჯარში გაყვანის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 17 აგვისტო**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1279. დედანი. 22,3×12,5 სმ. ქაღალდი. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის უმდაბლესის მონისა და მარად მლოცველის დავით-გარესჯის წინამძღვრის თ ე ო დ ო ს ი ს.

თქვენის სიმაღლის ოქმი და იასაული გვებოძა, რომ მონასტრის ყმაზედ სამი კაცი არის ბრძანება ჯარში წამოვიდესო. მოეხსენება თქვენს სიმაღლეს სანატრელთ თქვენთ მამა-პაპათ მეფეთაგან არ გაყვანილან ჯარში და თქვენის სიმაღლისაგან **უმეტესად დამტკიცდა.**

მოწყალებას ვითხოვ, რაგვარად თქვენი მოწყალება აქვს მონასტერს, ის ჩვეულობა არ მოაკლოთ და მოწყალე ოქმი გვებოძოს განთავისუფლებისა და ყოველთვის არ/გვაწუხებდენ. ჩემი მოხსენება ეს არის და ნება თქვენი სიმაღლისა აღსრულდეს. აგვისტოს **ივ**, ქორონიკონს **უპზ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის, რომელნიც ჩვენი მოხელენი ხართ და ან ჯარის გამომყვანი მიხვიდეთ! მერე ყველამ ასე უნდა იცოდეთ: ამ მონასტრის ყმის ჯარში გამოყვანა არც პაპის ჩვენის დროს ყოფილა, არც მამის ჩვენის დროს და ვერც ჩვენ გამოვიყვანთ; და არც იქმნება ამათი ჯარში გამოყვანა არც ერთისა, არც ორისა, არც სამისა, არც ათისა და არც ასისა. ამათი ჯარში გამოყვანა არ იქნება. ყველამ ასე უნდა იცოდეთ. აგვისტოს **[ი]ზ**, ქორონიკონს **უპზ**.

და თუ ძალა მოინდომოს ვინმე, უფალო წინამძღვარო, თუ შენ ბძანდებოდე მანდა, თქვენ ავათ მოეპყარით; და თუ თქვენ არა ბძანდებოდეთ მანდა, მონასტრის ყმანო და რომელიც მოურავი გყავსთ, თქვენ ავათ მოეპყარით. თქვენი ჯარში გამოყვანა არ იქმნება და არ იქმნება! მეფე გიორგი

## 563. არზა მეღვინეთხუცისშვილეგისა სარგოს თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 23 აგვისტო**

ერეკლეული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 387. დედანი. ქაღალდი. 43,3×16,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის მეღვინეთხუცისშვილის თომასაგან, ღვთისიასაგან და მირზასაგან.

მერე კურთხეულის ბატონის მამის თქვენისაგან როგორც ჩვეულება გვაქვს ჩვენის სამემანდროსი და განწესებული გახლავართ, თქვენგანაც სამჯერ და ოთხჯერ გვბძანებია, როგორც მამის ჩემისაგან გაქვსთ განწესება, იმას არ მოგიშლითო.

ღმერთმან უმეტესათ აღგამაღლოსთ, მეფე თქვენ ბრძანდებით. წყალობას ვითხოვთ, არც თქვენ მოგვიშალოთ და ჩვენს განწესებულს მოსაცემზედ გაგვატაროთ. რომელნიც ახლა ან ახალი შემოსული არის და ან ჩვენი ამხანაგი, თითო არზი მოურთმევია და ოქმი გიბოძებიათ, რომ ამისთვის ეს გვიბოძებიაო.

კურთხეული ბატონიც მრავალჯერ თავადიშვილებს ლეკების საქმეში სამსახურს უბძანებდა ხვალმე, მაგრამ იმათ ჩვენთან წილი არ აუღიათ. მოკითხული ბძანეთ. თუ ტყვილი მოხსენება იყოს, ჩვენ სულ ხელს ავიღებთ და რომელიც ამ საქმეში არ გინდოდეს, იმას ხელი ა[ა]ღებინეთ.

თუ რომ ეს მოწყალება არ დაგვემართება, ეს მაინც ინებეთ, რომელმაც ამ ლეკების საქმეში იშოვნა რამე, ისიც საძმოთ დაიდვას და ყველა ისე გავიყოთ მემანდარმა თუ სხვამა. მაგრამ როგორც გაგვიყობდეთ თავ-თავის წილს, თქვენვე დაგვინიშნეთ. აგვისტოს **იბ**, ქორონიკონს **უპზ**.

კურთხეულის ბატონის დროს ოცდასამ შაურს ასე ვიყოფდით:

ს (ერთი აბაზი) ქ. მოლარეთხუცესს ქონდა და რამდენიც იყვნენ.
ნ (ერთი შაური) ქ. მირზა რაბიას ქონდა,
რ (ორი შაური) ქ. სალაროს ნაზირს,
რ (ორი შაური) ქ. აშხარბეგას ქონდა,
ნ (ერთი შაური) ქ. მდივანს ქონდა,
სნ (ერთი აბაზი და ერთი შაური) ქ. თომა მემანდარს ქონდა,
რ (ორი შაური) ქ. აკოფას ქონდა,
რ (ორი შაური) ქ. ღვთისიას ქონდა,
რ (ორი შაური) ქ. მირზას ქონდა,

რ (ორი შაური) ქ. გარსევანას შვილს ქონდა,
ასე გვქონდა განწესებული და ახლა თქვენი ნება არის, როგორც გაგვიყოფდეთ, თქვენ დაგვინიშნეთ, რომ ისე გავიყოთ, ჩვენ არ შეგვიძლია და შფოთიც მოგვივა.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ჩვენო მოხელებო! მერე ამ არზით მემანდრებს ასე რომ მოუხსენებიათ, როგორც კურთხეულის ბატონის მამის ჩვენისაგან განწესებული არის, ჩვენ იმას ვერ მოვშლით და ამავ განწესებით უნდა ყველამ თავ-თავისი განწესებული სარგო აიღონ. და რომელსაც ამ ლეკების საქმეში უშოვნიათ რამე, ისიც საძმოთ უნდა დასდვან და ისე უნდა გაიყონ. ეს როგორც გვიბძანებია, ასე უნდა გადასწყდეს და ასეც უნდა გარიგდეს. და ამ განწესებით უნდა მოიქცნენ.

და თუ ვისთვისმე ამ განწესებას გარდა სხვარიგათ ოქმი ეჭიროსთ, ჩვენგან ის დაყენებული არის. როგორც კურთხეულს ბატონს განუწესებია, ამაზედ უნდა გაიაროთ. აგვისტოს კგ, ქორონიკონს უპზ.

მეფე გიორგი

ქ. ივანე გარსევანიშვილის წილი იოსებ ნაზირის შვილისათვის გვიბოძებია, ერთი მემანდარი ესეც იყოს. აგვისტოს ლა, ქორონიკონს უპზ.

მეფე გიორგი

ქ. არმას ეშიკაღაბაშო ხერხეულიძევ გოგიავ! ესენი სარდალ-სალთხუცესს მუხრანის ბატონს იოანესთან და მელიქს დარჩიასთან მიიყვანე და იმათ უნდა გა[ა]რიგონ, როგორც გვიბძანებია ამ რიგათა. ნოემბერს კე, ქორონიკონს უპზ.

მეფე გიორგი

## 564. არზა კაკალასი სარგოს თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 23 აგვისტო**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 321. დედანი. ქაღალდი. 34,8×14,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის კაკალასი.

ჩემო ჯელმწიფევ! კურთხეულის ბატონისაგან ლეკის ჯარის მოვარიბობის წყალობის წიგნი მაქვს, რომ ამას წინათ თ ე ლ ა ვ ს თქვენც გაშინჯეთ ის წიგნი. თქვენც მოწყალება მოიღეთ ჩემზე და ის წიგნი თქვენც მიბოძეთ, რომ დღევანდლამდისინ[1] ამ საქმეში გვნდლავარ.

ჩემო ხელმწიფევ, ღმერთი აგრე როგორ გამიწყრება, რომ მე სამსახური დავიკვეხო. თქვენი მოხელებისაგან მოიკითხეთ თუ ან რაჯაფაში ვყოფილვარ[2] და ან რამდენჯერ გალახულვარ. ო ჰ ა ნ ე ზ ა მდივანს[3] ამ სახელოში სულ არ გაუვლია, რას მემართლება. ა შ ხ ა რ ბ ე გ ა ს ორი სახელო ეჭირა: მოანგარიშობა და ლეკისა და მთის კაცის მწერლობა. კურთხეულმა ბატონმა მოანგარიშობა ოჰანეზას უბოძა და მწერლობა მე.

ღმერთმან შენი რისხვა მამცეს, თუ ათი თვე არის სულ ვალით არა ვცხოვრობდე, რომ ბოლოს დროს ორიოდ შაური მაინც მერგოს, რომ ამ ვალებს მოვრჩე, გაშინჯეთ და მოწყალება მოიღეთ. აგვისტოს კა, ქორონიკონს უპზ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ჩვენო მოხელებო და მემანდრებო! ჩვენ კურთხეულის ბატონის მამის ჩვენის ნაბოძებს წყალობას ვერ მოუშლით, ჩვენც გვიბოძებია. და რაც სარგო არის აშხარბეგასი, იმას უნდა მიეცეს. აგვისტოს კგ, ქორონიკონს უპზ.

როგორც კურთხეულს ბატონს უბძანებია, ისე უნდა მოხდეს.

მეფე გიორგი

## 565. არზა ფარსადან ამირალაშვილისა ღალის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 31 აგვისტო**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14168. დედანი. ქაღალდი. 23×14,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ა მ ი რ ა ლ ა შ ვ ი ლ ი ფ ა რ ს ა დ ა ნ ი ს.

ა ლ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ს ვენახის გვერდზედ თქვენი წყალობა ერთი საბოსტნე ადგილი მქონდა. ის ერთს საცოდავს ბიძაჩემს ი ო ს ე ბ ს ეჭირა ჩემის ნებით და ისი სჭამდა. ახლა მე რომ აქ გახლდი, ბ ე რ უ ა

[1] დღემდლამდისინ. [2] ვყოფილვარ. [3] მდივანი.

ჯავახს გაუკეთებია ბოსტნათ და იმ ბიძიჩემისათვის ლალაც აღარ დაუნებებია.

გევედრებით ოქმი და იასაული მიბოძოთ, რაც ჰახე [illegible] ლალა მიაცემინოს. აგვისტოს **კზ**, ქორონიკონს **უპზ**.

თავში

ქ. ჩვენი ბრძანება არის ყაითმაზაშვილო სტეფანე! მერე ამ არზის პატრონს ასე რომ მოუხსენებია, ბერუა ჯავახს ამისი მიწა ბოსტნად რომ გაუკეთებია, იმისი ლალა უნდა მოაცემინო, რაც ერგებოდეს. აგვისტოს **ლა**, ქორონიკონს **უპზ**.

თუ სიტყვა ჰქონდეს, სამართალში ალაპარაკე. [მეფე გიორგი]

## 566. განჩინება უკანა ფშაველთ და ლალისყურის ფშაველთ მამულის საქმეზე

**1799 წ. 8 სექტემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 2957. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. მათის მეფობის უმაღლესობის ბრძანებით ჩემს ძმას ბაგრატს უკანა ფშაველთ და გაღმა ლალისყურის ფშაველთ სამართალი ბრძანებოდათ. ბაგრატს მოუცლელობის მიზეზით ეს სამართალი რომ დარჩომოდა და ჩვენ რომ თელავს ჩამოვედით თიანეთიდამე, ამისთვის მოვიდნენ უკანა ფშაველნი და სამართალი ითხოვეს.

ჩვენ ბრძანებისამებრ სამართალი მივეცით. მართალია, რომ წმინდის გიორგის წყაროს თავამდის ხატი უკანა ფშაველთი ყოფილა და მასუკან ის წმინდის გიორგის ხატი გაღმა ლალისყურის ფშაველთ წამოუსვენებიათ და მისთვის რაც მამული აქვს წმინდის გიორგის ხატსა, ორნივ დავობდნენ.

ჩვენ ასე გავაჩინეთ: რადგან უკანა ფშაველნიც და გაღმა ლალისყურის ფშაველნიც ორნივ წმინდის გიორგის წყაროს თაველის ხატის მლოცავნი არიან, ამათ რაც წმინდის გიორგის ვენახები აქვს, ანუ სახნავი რამე მამული, მთა — ყოველივე საერთო არის; და იმ ვენახების გამოსავალი ორ წილად დავსდევდით — ერთი წილი გამოსავალი უკანა ფშაველთ მიეცემოდეს და მეორე წილი გამოსავალი გაღმა ლალისყურის ფშაველთ. ასე გარდავსწყვიტეთ და მასზედ უნდა დადგნენ. სეკდენბრის **ჱ**, ქორონიკონს **უპზ**. [დავით]



ეროვნული ბიბლიოთეკა

თავში

ჩვენ ყოვლისა ქართლისა, კახეთისა და სხვათა მეფე გ ი ო რ გ ი. განჩინებას ამას ვამტკიცებთ. ოქტომბრის კზ, ქორონიკონს უპზ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჭედი: მეფე სრულიად ქართლისა და კახეთისა და სხვათა გ ი ო რ გ ი.

## 567. არზა გენეგაშვილისა და სხვათა გამოსაღების თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

**1799 წ. 7 სექტემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 756. პირი. ქაღალდი. მხედრული.

მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფე დედოფლის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის გ ე ნ ე ბ ა შ ვ ი ლ ი ს და დ ა ვ ი თ ა მზვარეულის და გ ლ ა ხ ა ფ ა რ ე შ ი ს ა.

ჩვენო ჯელმწიფევ, რაღაც მამული გვებადა დ ი ღ ო მ ს, ერთი ჩვენი განაყარი სახლიკაცი გახლამს იქავ დიღომს, იმ ჩემს მამულს ის სჭამს. და მრავალს სხვას ვინც უნდა, იმას აჭმევს, რომ არც ღალა ვიცით და არცარა სხვა. ვისაც ჩვენ მოსახნავათ მივცემთ, იმასაც შივ არ უშვებს.

ამ წყალობას გევედრებით, რომ ერთის ოქმის წყალობა დაგვემართოს დიღმის მამასახლის გ ა ბ რ ი ე ლ ზ ე დ, რომ იმან მოკითხულობა ქნას, რომ ვისაც ჩვენ მამულში სდგომოდეს რამე, სამართლიანის გზით მოიკითხოს და ვინც მოსაცემს იყოს ჩვენის ღალისა, გამოგვირთვას და მოგვცეს.

თუ რომ ან ჩვენს სახლისკაცს და ან სხვას ვისმე სიტყვა ჰქონდეს, თქვენს უმაღლესობას იახლოს და მოგახსენოთ. და მასუკან ნება თქვენის სიმაღლისაა. სექდემბრის ვ, ქორონიკონს უპზ.

თავში

დედოფალი დარეჯან გიბძანებ დიღმის მამასახლისო გაბრიელ! მერე ამ არზის პატრონებს რომ ასე მოუხსენებიათ, შენ მოიკითხე, ვისაც ამათს მამულში მოსავალი ჰქონდეს, სამართლიანათ ღალა შენ გამოურთვი და ამათ მობარე, პური იყოს, შქერი, ფეტვი, თუ სიმინდი[1], რაც ზდგომოდეს, ყველას ღალა სამართლიანათ აურთვი და მოეც.

და თუ სიტყვა ჰქონდესთ ამის სახლის კაცებს თუ სხვათ, ჩვენს სამართალში ელაპარაკონ და ესეც ყველას ყადაღა უყავ, რომ ამათ

---

1 სიმინდრი.

შეუკითხავათ ამათს მამულში არავინ მოხნას. სეკდემბრის ზ, ქორო-ნიკონს უპზ.

ესენი ხომ მანდაურნი არიან, ამათ თავიანთი მამული ხელიდამ არ უნდა დანებდესთ; სხვას ქვეყანაში ხომ არ არიან წასულნი, აქავ არიან. და რადგან მოხელე შენა ხარ, მართებულია, რომ შენ უნდა გაურიგო.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

## 568. არზა დავით გოსტაშაბისშვილისა ყმის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

**1799 წ. 11 სექტემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3943. დედანი. ქაღალდი. 18×11 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ღმერთმან ყოვლად მოწყალის დედოფლის დარეჯანის ჭირი მათს მონას გოსტაშაბისშვილს დავითს მოსცეს.

ჩემო მოწყალევ, ერთი პატარა ბიჭი მყვანდა შინ მოსამსახურეთ. მე თქვენს შვილს დავითს ვახლდი თათრებში. ის ბიჭი გაპარულა და ველისციხეს ბიძები ყავს და იქ მისულა.

ვითხოვ თქვენის მოწყალებისაგან, ერთი ოქმი მებოძოს სვიმონ მოურავზე, რომ ის ბიჭი მომცეს. ოთხი თვე არის, რომ ის ბიჭი გამე-პარა და, დიახ, უმოსამსახუროდ გახლავარ. ვევედრებით ის ბიჭი არ დამეკარგოს. ენკენისთვის ვ, ქორონიკონს უპზ.

თავში

ქ. დედოფალი დარეჯან გიბძანებ, ველისციხის მოურაო სვიმონ! ამ არზის პატრონს ასე რომ მოუხსენებია, ამისი ბიჭი ველის-ციხეს, რომელთანაც რომ იყოს, ახლავ თავისი ბიჭი მოუყვანინე და მოაბარე. მაგრამ თუ იმ ველისციხელ კაცს სიტყვა ჰქონდეს რამე იმ ბიჭზედა, ის კაცი მოიყვანე და ჩვენთან სამართალში ალაპარაკე. სექ-დემბერს ია, ქორონიკონს უპზ.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

## 569. არზა იესე მორდლისა გამოსაღების თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 14 სექტემბერი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფ. 1448. № 654. დედანი. 30×14 სმ. ქაღალდი. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის მორდალის იესი.

კურთხეულის ბატონის დროს თუთხმეტი კოდი სუ[რ]სათი მიღია ყოველს წელიწადსა, რომ იასაული ყაფლანიშვილი ზაალ გახლავსთ, თუნდ იმისაგან მოიკითხეთ და არც ჩემს სახლისკაცზედ ერთი კომლი ყმა მეტი არა მყავს. თუ ამაში ტყუილს მოგახსენებდე, შენი რისხვა მჭონდეს. რა ვქნა, უსამართლო მემართება ამ სუ[რ]სათში.

ღმერთი გაგიმარჯვებსთ, ან ჩემს სახლის კაცთან დამაჯერეთ და ან რომელიც აქამდის გამომრთმევია, იმას დამაჯერეთ, მინემ მეორეთ აიწერებოდეს. თორემ რაღაც ორიოდე გლეხნი გახლავან, დამეკარგებიან. ეხლახანს რომ ჩვენში ჯარი მოვიდა, ოთხს კომლს კაცს ასე დაეკარგა საქონელი, რომ ოთხფეხი არ დარჩომიათ, ასე წახდნენ. აქამდინ ხარვარნახევარი გვიძლევია, ახლა მეტი დაუწერიათ. ამისი მოწყალება გვაღირსეთ, ახლაც იმას დაგვაჯერეთ. ღმერთი გაგიმარჯვებსთ. სეკტემბერს **ბ**, ქორონიკონს **უპზ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის სურსათის იასაულებო! მერე მორდალს იესეს რაც აქამდის სურსათი ეძლიოს თავისის კაცებიდამ, ახლაც ის გამოართვით, მეტს ნუ გამოართმევთ. თხუთმეტი კოდი უძლევია და კიდევ ის უნდა გამოართვათ ხოლმე. სეკდემბერს **იდ**, ქორონიკონს **უპზ**.

მეფე გიორგი

კიდეზე

ქ. სრულიად საქართველოს მემკვიდრე დავით ვამტკიცებთ ამ მამის ჩვენის ბძანებასა. მარტის **კზ**, ქორონიკონს **უპთ**.

დავით

## 570. არზა ლუარსაბ ონანაშვილისა ყმა-მამულის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 16 სექტემბერი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 723. დედანი. 21,5×15,7 სმ. ქაღალდი. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ლუარსაბ ონანაშვილისაგან.

მერე ჩემო ჯელმწიფევ, ჩემი სახლისკაცი რომ წისქვილებზედ და ნასყიდს კაცებზედ მიჩივის, ამას წინათ თქვენს შვილს დავითთან ვილაპარაკეთ, იმ ჟამს მე ჩემი საბუთები აქ არა მქონდა, ის განაჩენი რომ დაიწერა. ახლა თქვენი შვილიც მობძანდა, ზოგი ჩემ სათაგისთაოთ მაქვს ნასყიდი, თქვენ შვილს ებძანოს გაშინჯოს კარგად, რომელშიაც წილი მიეცემოდეს, რაც ერგებოდეს, იმას მისცენ; ჩემი წილი და ჩემი საკუთრათ ნასყიდი მე მომცენ. ენკენისთვის **იგ**, ქორონიკონს **უპზ**.

ასე რიგათ არის ერთმანეთში გაბმული, კარგად უნდა იანგარიშონ და ისე გაგვირჩიონ და მოგვაშველონ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ხალვათხანის ეშიკაღაბაშო იოსებ! ამ არზით ასე რომ მოუხსენებია ყორიასაულბაშს ონანაშვილს ლუარსაბს, ახლა ესეც და ამისი სახლისკაცი ზაქარია ჩვენს შვილს ბაგრატთან და მდივანბეგებთან და მდივნებთან უნდა ალაპარაკოთ და სამართლიანის საქმით სამართალი უსაჯონ და ერთმანეთს მოაშველონ. ამისი წიგნებიც კარგა გაჩხრიკონ და ისე მოარიგონ; რაც რომ ნასყიდობა ჰქონდესთ, სამართლიანის საქმით სამართალი უსაჯონ. სექდენბრის **იგ**, ქორონიკონს **უპზ**. მეფე გიორგი

მინაწერი:

„ქ. ბატონის ოქმი არის ბაგრატთან რომ სამართალში მიგვიჩინა“.

## 571. არზა გლახა ქევხისშვილისა გამოსაღების თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 21 სექტემბერი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 5704. დედანი. ქაღალდი. 28,8×15,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნები ნახმარი არ არის.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ჯუგაანთ ქ ე ვ ხ ი ს შ ვ ი ლ გ ლ ა ხ ა ს ი.

თქვენი მონა და მოსამსახურე გახლავარ. შინ იასაულნი მისხედან, კოდისპურსა და საჯაროსა მთხოვენ.

გევედრებით მოწყალება მოიღოთ, წლევანდელი გასაღები, რაც ჩემთვის შემოუწერიათ, მაპატიოთ. სეკდემბრის კა, ქორონიკონს უპზ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ვინცავინ კოდისპურის და საჯაროს პურის შემწერნი და მოასილნი ხართ! ამაზე ეხლავ ხელი აიღევით. დ ა ვ ი თ ა ლ ა დ ა შ ვ ი ლ ი ს ა და იმის შვილის შვილისა სურსათისა და საჯაროს პურის შეწერა რა ეშმაკმა მოგაგონათ. ხელი უნდა აიღოთ და არც საიასაულო უნდა გამოართოთ. სეკდემბრის კა, ქორონიკონს უპზ.

მეფე გიორგი

verso

ქ. ჯ უ გ ა ნ ი ს ქ ე მ ხ [ა] ვ ი ვ [ა] ნ ე ვ! ამ ქემხის შვილს, როგორც მის უმაღლესობას მეფეს უბძანებია, ამას ნურას შიაწერ. აგვისტოს კჱ, ქორონიკონს უპჱ.

რევაზ

## 572. არზა გოგია ხმალაძისა უმის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 25 სექტემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2195. დედანი. ქაღალდი. 24,7×14,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი და მძიმე.

ქ. მისის სიმაღლის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოხსენება ხ მ ა ლ ა ძ ი ს[1] გ ო გ ი ა ს ი. აგერ მესამე წელიწადია ერთი ჩემი ყმა,

[1] ჯდალაძის.

ორმოც-სამოც წელიწადს ჩემთან ნასახლები, თქვენის სიმაღლის ბძანებით ამეყარა და კვეზერელს დავითისაგან თამასუქი მომეცა, რომ ან ოცდაოთხი თუმანი უნდა მომცემოდა, ან [illegible] ჩემი კაცი. ამთენი ხანია ორივ მაკლია.

გევედრები, ღმრთის მოყვარევ ჴელმწიფევ, ის კაცი მაგთენი თქვენის სიმაღლის შესამატი არა არის რა; და თქვენს სადღეგრძელოთ ისევ მებოძოს, რომ მაგთენის ყმის პატრონი არა ვარ რა. თქვენის სახელის დიდება იქნება; და თუ არა, ის თეთრი მაინც მებოძოს. ის ჩემი კაცი ბეგიაშვილს აბარია მეჯვრისჴევს. სეკდემბერს კგ, ქორონიკონს უპზ.

თავში

ჩვენი ბძანება არის ამ არზის პატრ[ონ]ო! მერე ამ არზით ასრე რომ მოგიხსენებია, ჩვენ რაც თეთრი აღგვითქვამს, რომ დავითა კვეზერელის მოცემულს წიგნში გიწერია, ჩვენ მოსაცემსა ვართ და იცოდე კიდეც მოგცემთ. გიორგობის თვეში მოდი, ეს ოქმი მოგვიტანე და თეთრს მოგცემთ. სეკდემბერს კე, ქორონიკონს უპზ. | მეფე გიორგი |

verso

ქ. საქართველოს მემკვიდრე და მმართებელი დავით გიბრძანებ მოურაო ბეგიაშვილო გოგიავ! მერმეთ როგორც ნეტარხსენებულს უბრძანებია, მანამ თავისი თეთრი მიეცემოდეს ხმალაძეს, მანდ რომ ტილა არის, აუყარე და მოეც ხმალაძე გოგიას. მარტის იე, ქორონიკონს უპთ. | დავით |

## 573. არზა აღდგომის სოფლის მსახლობელთა მამულის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 14 ოქტომბერი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 51. საბუთი № 159. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[128] მათის უმაღლესობის ბედნიერის ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის [v] ერთობლივ აღდგომის სოფელში მსახლობელთ.

თქვენის ბრძანებით გიახელით და ერთს წელიწადს აღარა აკლია რა, რომ რომელიც გლეხის კაცის რიგია შენობისა, ისე ვმუშაობთ.

და ენისელნი არ გვაქნევინებენ, გუთნებს გვირევენ, ვაზი ჩაგვყარეთ, გვიხდენენ.

მოწამე გამოჩნდა გრემიდამ[1], რომ არც წმინდის საფლავის ყმა არის, დროული კაცი ასეთი რომ დიდის სიბერით საყდრიდ[2] კარი-საც ვეღარ მისულა ხახუტაშვილი. ამას თქვენის ბძანებით ნეკრესელმა გრიგოლ ნოდარიშვილმა და ერთიან შილდელთ სამღუდელომ და საერომ ფიცით კითხეს და რომელიც აღდგომის მამულის სამძღვრები მოგახსენათ, წიგნათ დასწერეს და უმაღლესობას მოართვეს. ოქმი გვებოძა და არ ყაბულობენ.

ერთიან შეყრილი ენისელნი სოფლეურათ მოგვიხდნენ ღამე. ჩვენ ამათი შფოთი არ შეგვიძლიან, უღონოს ღონე თქვენ ბძანებით; თითონ იმათი კაცი მოწმობს დარჩინაშვილი პაპუა და არც იმას ყაბულობენ.

გევედრებით სამართალში დაიბაროთ და გვალაპარაკოთ. ამის მოჯანყენი გახლიან ველაშვილი დავითა, ნაცვლის ძმა სოლომონ, შუხო [129] და ბასილა. თუ არ გაგვეძლებინებოდეს, გვიბძანეთ და ისევ დავიფანტებით. ოკტომბრის **იგ**, ქორონიკონს **უპზ**.

**თავში**

[127v] ჩვენი ბრძანება არის ველიაშვილო დავითო, ნაცვლის ძმავ სოლომონ, შუხოვ და ბასილავ და ერთობით ენისელებო! მერე ამ არზის პატრონები ასე რომ ჩივიან, ღამით მიხდომიხართ და ერთი შფოთი გიქმნიათ ამათთვის.

თუ ერთი საბუთიანი სიტყვა გაქვსთ რამე, ჩვენ უნდა მოგვახსენოთ. ამათ ვერც გუთნების ხვნას დაუშლით და ვერც სხვას მამულების მუშაობას. რომელიც რომ აღდგომის საყდრის მამულების მიჯნა არის და სამძღვარი, იქამდის თქვენ საქმე არა გაქვსთ და ვერცარას შეეცილებით.

გრემიდამვე წმინდის საფლავის ყმა ხომ არის, ხახუტაშვილი რომ არის, დიახ, მოხუცებული კაცი, იმას ფიცით დაეჭეშმარიტებინა, აღდგომის საყდრის მამულის მიჯნები სადამდისაც არის და წერილიც ჩვენ მიგვერთო.

ახლა თქვენ შფოთი გიქნიათ და არ უნდა გექმნათ. თითონ ერთი თქვენი კაციცა მოწმობს თურმე დარჩინაშვილი პაპა და არც იმას უჯერებთ. ამას იქით თუ ან შფოთი მოახდინეთ და ან წაეჩხუბენით, იცოდეთ რომ ჩვენი დიდი საწყენი იქნება და კიდეც გარდაგხდე-

---

[1] + გრემიდამ. [2] საღდრის.

ბათ. იმათ თავიანთ მამულში მუშაობას ვერ დაუშლით და არც იქნება. ოკდონბრის **იდ**, ქორონიკონს **უპზ**.

სადამდინაც ხუტას დაუვლია და სამძღვრები განურჩევია, დგომის საყდრის მამულებისა, სულ წერილით გაურჩევია, რომელიც რომ ის წერილი ჩვენ მოგვერთო, იქამდისინ თქვენ არაფერი საქმე არა გაქვსთ რა და ვერც ჰხნამთ, ამათი მამული არის.

და თუ სადამდინაც ხუტას რომ შამოუფარგლავს, იმის წინააღმდეგი გაქვს რამე[1], ჩვენ უნდა მოგვართოთ. და თუ არადა, საქმე არა გაქვსთ, ასე იცოდეთ. დადექით, მშვიდობიანათ იყავით, უბრალოდ ჩხუბს ნუ მ[ო]ახდენთ და თქვენის ავადმოპყრობის მოვალედ ნუ გაგვხდით.

მეფე გიორგი

## 574. არზა შაქარას შვილი არუთინასი სახლის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 22 ოქტომბერი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 43. საბუთი № 106. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[153v] მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის მექვაბე შაქარა შვილი არუთინასი.

ბიძაჩემს ასატურას ქალაქის მოურავისა თეთრი ემართა და მოურავს თაფთი დაეხარჯა და დანარჩომიც (sic) ბიძის ჩემის ქალსა სთხოვდნენ. ქალაქის წახდენის [წინ] მოურავის ნაცვალი ავთანდილა და ბიძის ჩემის ქალი თქვენს სამართალში გიახლენ. თვრამეტ მინალთუნზედ მეტი მისაცემს არ დარჩომილიყო. ოქმი გებოძებინათ, რომ თვრამეტი მინალთუნი უნდა მიეცა. [v] ქალაქიც რომ წახდა, ბიძის ჩემისა ქალიც დატყვევდა და ბიძის ჩემის სახლში მოურავის ნაცვალი დამდგარა თანდილა.

ოქმი და იასაული მიბოძოთ, თავისი თვრამეტი მინალთუნი გამამართოს, სახლი დამანებოს. ოკდომბრის **კბ**, ქორონიკონს **უპზ**.

თავში

ჩვენი ბძანება არის! მერე ამ არზის პატრონს ასე რომ მოუხსენებია, შენ უნდა მიხვიდე მოურავის ნაცვალ ავთანდილთან და როგორც ამ არზაში უწერია, ეს თავის თვრამეტი მინალთუნი მიაცემინე

[1] რომე.

და თავის სახლი დაუცალოს და მოსცეს. თუ სხვა რამ სიტყვა ჰქონდეს, სამართალში მოიყვანე, ალაპარაკე და სამართალი მიეცემათ. ოკ-დომბრის კბ, ქორონიკონს უპზ.

[მეფე გიორგი]

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 575. არზა გურამიშვილის ყმების გამოსაღების თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 23 ოქტომბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2876. დედანი. ქაღალდი. 22×12 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჴელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ზ ა [ა] ლ გ უ რ ა მ ი ს შ ვ ი ლ ი ს ყმებისა.

დავთარში ათი კაცი ვეწერენით ჩვენ. ოცდარვა კომლი სხვა გურამიანთი ეწერა დავთარში. იმათ ეს შაღავათი სჭირს, თხუთმეტი კაცი ეწერებათ, სხვა ამოშვებულნი გახლანან. ათი კომლიდამ ბატონმა ჩვენმა ერთს თავი და[ა]ხსნევინა, მეორე რუსეთს წავიდა. დავრჩომილვართ რვა კომლნი. წყალობას ვითხოვთ, შაღავათი დაგვემართოს. თუ შაღავათი არ დაგვემართა, ნურც მეტობით შემოგვაწერენ. ოკდომბრის **კგ**, ქორონიკონს **უპზ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის, რომელიც ამათი მოასილი ხართ! მერე ამას ამჟამად ორი კაცი რომ სწერებია, ამას ერთის მეტს ნუ სთხოვთ. და ჩვენო კარის მოხელენო და მდივნებო, რადგან ამ გურამიშვილს ზაალს რვა კომლის კაცის მეტი არა ჰყავ, ამას იქითაც ამათ ამ რვა კაცის რასათს გარდა მეტს ნურასფერს სათხოვარს ნუ და[ა]წერთ, თორემ ჩვენი საწყენი იქნება. და თეთრიც შვიდს მინალთუნს რომ სთხოვთ, სამი მინალთუნის მეტს ნუ გამოართმევთ, რომ ამაზე მეტი არ ეთხოვებათ.

ოქტომბერს **კგ**, ქორონიკონს უპზ.

[მეფე გიორგი]

## 576. არზა ლევან გურამიშვილის მამულის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 25 ოქტომბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 6745. დედანი. ქაღალდი. 21,3×12 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის გ უ რ ა მ ი ს შ ვ ი ლ ი ლ ე ვ ა ნ ი ს ა.

ამას წინათ განაჩენი გა[ა]ხელ, ყმისა და მამულისა თქვენი წყალობა დამემართა. ახლა გევედრებით ოქმი და იასაული მიბოძოთ, რომ ყმა და მამული გამამირჩიოს და მამაბაროს. ოკდომბრის კ, ქორონიკონს **უპზ.**

თავში

ქ. ხალვათხანის ეშიკაღასბაშო ი ო ს ე ბ! მერე ამ არზით რომ ასე მოუხსენებია, შენ უნდა ჭეშმარიტობით გადაუწყვიტო და რაც სიგელში ეწეროს, ისიც უნდა გაშინჯო და როგორც რიგი და მართებული იყოს, ისე მოარიგო და თავისი მამული ამას ჩააბარო. ოკდონბრის კე, ქორონიკონს **უპზ.** მეფე გიორგი

## 577. არზა ნოდარიშვილებისა მამულის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 30 ოქტომბერი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 38. საბუთი № 116. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[85] მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ნ ო დ ა რ ი შ ვ ი ლ ი გ რ ი გ ო ლ ი ს და დ ა ვ ი თ ი ს ა.

კ ა რ ჭ ა უ ლ მ ა თქვენი ოქმი მოგვიტანა და ბ ა გ რ ა ტ ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი ს იასაული მოიყვანა. ვენახზედ, სასახლეზედ, წისქვილზედ ხელი აგვიმართა და ერთი ხარიც იასაულმა წაგვართო. თქვენს ნახვამდინ აღარ დაგვაცალეს.

ჩვენ იმასთან გვაქვს საქმე, ორ[v]ჯელ-სამჯერ იმისგან აკლებული გახლავართ, ყმობიდან თავი წაგვართვა, თავის საქონლით გამართუ-

ლი წავიდა. ამასაც არ დაგვაჯერა, ნახირში შევიდა, შვიდ სულ[1] საქონელს გაზ-გაზები დააყრევინა — კანბეჩსა და ხარსა.

თუ ინებებთ, დაიბარებთ და გვალაპარაკებთ, კაი წყალობა იქნება და თუ დაბარებას არ ინებებთ, ოქმი გვებოძოს, წასული კაცია ხასყიდთან და უსყიდთან საქმე აღარ ქონდეს. მამული ჩვენ დაგვნებდეს. ოკდომბრის **კთ**, ქორონიკონს **უპზ**.

თავში

უგანათლებულესო შვილო ბატონო ბაგრატ მრავალი მოკითხვა მოგხსენდეს! მერე ამ არზით ნოდარიშვილს გრიგოლს და დავითს ასე რომ მოუხსენებიათ, კარჭაულის მამული ნასყიდიცა და უსყიდიც სულ ამათი არის. ამათ თავიანთს მამულს ვერ ჩამოვართმევთ და არც ჩამოგვირთმევია, ამათვე უნდა მოაბარო კარჭაულის მამული. ასე უნდა გაარიგო რიგიანის საქმით და ამ გრიგოლს და დავითს მოაბარო უკლებრივ კარჭაულის მამული — ნასყიდიცა და უსყიდიცა. ჩვენ არ ჩამოგვირთმევია და ამათთვის გვიბოძებია, რაც საბუეს მამული აქვს კარჭაულს, ამათი არის.

თუ ნაფარეულში დგომა უნდოდეს, მამული აქვს იქა და გარსევანის ყმა იქნება და იქ დადგეს. და თუ არადა, გარსევანის ყმობა არ უნდა, ჩვენს სახასოში საცა უნდა დადგეს და მამულს უშოვნი. ოქტომბრის **ლ**, ქორონიკონს **უპ[ზ]**.

## 578. არზა მთავარეპისკოპოს პაისიოსისა სამართლის მიცემაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 2 ნოემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2691. დედანი. ქაღალდი. 22×14½ სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წ[ინაშ]ე მოსახსენებელი მათის მლოცველის მთავარეპისკოპოსის პაისიოსისგან.

ორი იმერელი სამთავროს ყარულად ჯამაგირით მეყენა, დიდი ხანი იყვნენ. მცხეთას რომ ჭირი გაჩნდა, სამთავროს შევიდნენ, იქაც ჭირი გაუჩნდათ. სხვანი გამოვიდნენ, ორი კომლი ჭირნახადნი სამთავროს დარჩნენ. ერთს ჩემს იმერელს შეეყარა, მოკვდა. ერთი იმერელი

[1] შვიდი სული.

კი მორჩა და გაიქცა. ეს სახლი ამ ორ კომლ კაცს მცხეთელს დარჩათ.

ათი კოკა ღვინო სამთავროს იდგა, ოცი — მცხეთასა. ფქვილი, ქერი, სამარხო, ნიგოზი, ჟურჭელი, ქვაბები, სახლის ავეჯული რაც არის, თოფ-იარაღი — ესენი სულ ამ მცხეთელებს ჰქონდათ. ჭირითაც სახლი ამივსეს, კიდეც ამიკლეს.

ჩემი იმერელი რომ მოკვდა, ოთხი თუმანი წელზედ ჰქონდა და სამის თუმნის თოფ-იარაღი ჰქონდა. მკუდარი საკირეში ჩააგდეს და რაც ჰქონდა, ამ ორმა კომლმა წაიღო შვიდის თუმნისა.

წყალობას ვითხოვთ, მცხეთის მოურავს ბეციას ებრძანოს: ეს ჩემი სახლის აკლებაც მოიკითხოს, რა უყვეს; და იმერელი რომ დამარხეს, როგორც სხვას ჭირნახადს ჭირიანი მკვდარი დაემარხოს, მომატებით მისცეს; და სხვა გამოართვას, რომ იმ საწყალობელსა ანდერძის აგება უნდა და წირვა, ჩემო ჯელმწიფევ. ოქტომბრის **ლა,** ქრონიკონს **უპზ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის მცხეთის მოურავო გედავანისშვილო ბეციავ! მერე ამ არზით მთავარეპისკოპოზს პაისიოს ასე რომ მოუხსენებია, ეს საჩივარი შენ უნდა გაურიგო და მოაბარო, უამისობა არ იქნება. ნოემბრ[ი]ს **ბ,** ქრონიკონს **უპზ.** მეფე გიორგი

## 579. არზა ბერი დავითიშვილისა ყმის თაობაზე დავით ბატონიშვილის ოქმით

**1799 წ. 3 ნოემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 400. დედანი. ქაღალდი. 19,7×10 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი.

ქ. მის უგანათლებულესის ბედნიერის ჯელმწიფის ძის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის დავითიშვილის ბერისა.

ქარელში ჩემი ბიჭი ერთ თუმნათ მოჯამაგირეთ დამდგარა, იმისი ცოლ-შვილი თავს მაწევს. ერთის ოქმის წყალობა მიყავით, რომ ჩემი კაცი წამოვიყვანო და რაც ხანი მოჯამაგირეთ მდგარა, ისიც გამამირთვას იასაულმა. ნოემბერს **ბ,** ქრონიკონს **უპზ.**

თავში

ქ. ბატონიშვილი დავით გიბძანებთ ამილაბარ ციციშვილო! მერე დავითისშვილის ბერის კაცი ქარელში ვისაც

მოჯამაგირეთ უდგეს, რაერთი ხანიც ემსახუროს იმ ბიჭს, თავისი საჯამაგირო გამოურთვი, და[ვ]ითის კვიციც გამოურთვი და მოეცი. ჩვენის ძმის ი ო ა ნ ე ს ოქმიცა აქუს ამ კვიცის გამოსართმევად. ნოემბრის გ, ქორონიკონს უპზ.

დავით

## 580. არზა ნოდარიშვილებისა გამოსაღების თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 3 ნოემბერი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი 38. საბუთი № 120. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[88] მათის უმაღლესობის ბედნიერის ჴელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ნ ო დ ა რ ი შ ვ ი ლ ი გ რ ი გ ო ლ ი ს ა და დ ა ვ ი თ ი ს ა.

ნ ა ფ ა რ ე უ ლ შ ი ჩვენი ათი კომლი დავთრის კაცი გახლავსთ. იმ დავთარზედ გვაწერენ ხარჯსა და სურსათსა. [V] აქამდინ ათის კომლის კაცის წილსა იმათზედ მივაგდებდით, რაც შეხვდებოდათ.

ახლა იასაულებმა არ იყაბულეს წელს. ამ მოწყალებას ვითხოვ, იმ ათი კომლი კაცის სახელი დავთრიდამ ამოიშალოს; იმათი წილი გამოსაღებიც მოგვეჭრას; ან იმათ გამოერთოს ან ჩვენ გვეპატიოს. ოკდომბრის **იდ**, ქორონიკონს **უპზ**.

თავში

ჩვენი ბძანება არის სალთხუცესო და მდივანო! მერე ნოდარიშვილის გრიგოლისა და დავითისა ყმა რამთენიც კომლი დავთარში გეწეროსთ, ათი კომლი უნდა მოუჭრათ. და სხვა რაც დარჩეს, იმაზედ შეაწერეთ. ოკტომბრის **ი**, ქორონიკონს **უპზ**.

ამ ბრძანებისაებრ მე, მდივანმა დ ა ვ ი თ, ამათი დავთარი ვნახე, ოცდაოთხი კომლი კაცი უწერიათ სადაც ყავთ. რადგან სალთხუცესი აქ [ა]რ იმყოფებოდა, ამათ ყარაულები აწუხებდენ, დავთრიდამ ათი კომლი კაცი მოუჭერ, რომ ამ ათის კომლ[ი]ს კაცის წილი პური იქნება სურსათისა კომლზედ სამ-სამი კოდი — ოცდაათი კოდი. თოთხმეტი კომლი დარჩებათ, ამას იქით იმაზედ უნდა შესწერდეს.

იასაულო, ვინც იმყოფებოდეთ! ეს ოცდაათი კოდი პური უნდა გამოხვიდეთ და სხვა დანარჩომი გამოართოთ, რომ თოთხმეტის კომ-

ლისა იქნება სამ-სამი კოდი — ორმოცდაორი კოდი. ეს უნდა გამოართო, ანგარიშ[შ]ი ჩაგივარდებათ. გიორგობისთვის გ, ქორონიკონს უპზ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 581. არზა კოსტანტინე ციციშვილისა უმის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 3 ნოემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14283. დედანი. ქაღალდი. 22,2×11,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ციციშვილი კოსტანტინესი.

ჩვენი ბარათით ნარგები ერთი კომლი კაცი აგვეყარა და ბრეთს გახლავთ. ოქმი და იასაული გვებოძა, უნდა აეყარათ და იქავ ჩვენთვის მოებარებინა. გლახა ავალიშვილს აღარ დაენებებინა.

გევედრებით სხვა ოქმი და ერთი ბეჯითი იასაული მიბოძოთ, რომ ჩვენი კაცი ჩვენ მოგვბარდეს. ნოემბრის გ, ქორონიკონს უპზ.

თავში

ჩვენი ბძანება არის იასაულო მამაცაშვილო დათუ[ა]! მერე ამ არზის პატრონი ამ არზით ასე რომ ჩივის, ამისი კაცი აუყარე და მოაბარე. თუ სიტყვა აქვს რამ, მოგვახსენოს. და თუ სიტყვა არა ჰქონდეს[1] და[ა]ნებოს და ნუღარ აჩივლებს. ნოემბერს გ, ქორონიკონს უპზ. თუ სიტყვა ჰქონდეს, მოვიდეს, ილაპარაკოს. და სამართლამდისინ კი ნუ აჰყრი, სამართალში როგორც გარდასწყდება, ისე იქმნება.

მეფე გიორგი

## 582. არზა სიონის უმის გოგიასი გამოსალეგის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 8 ნოემბერი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 5690. დედანი. ქაღალდი. 21×11,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი სიონის ყმა გოგიასი.

[1] + და.

მარტყოფს გახლავარ ერთი მთის ძირში; წელიწადია, რაც დასახლებულვარ. გევედრებით მოწყალება მოიღოთ, რომ არაფერზედ უბრალოთ არ შემაწუხონ და არც მე დავიკარგო. ნოემბერს ვ. ქრონიკონს **უპზ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის მარტყოფის მოურაო ზაალ და ნაცვალო კეჟერაშვილო ნიკოლოზ! მერე ამ არზით ყოვლად სამღვდელოს თბილელის ყმა ასე რომ ჩივის, ამას ნურაზედ შეაწუხებთ და ნურც არას სთხოვთ, თორემ ჩვენი დიდათ საწყენი იქნება. ნოენბრის **ჱ**, ქრონიკონს **უპზ.**

მეფე გიორგი

## 583. არზა მაია გოგიბედაშვილისა მამულის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 12 ნოემბერი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 819. დედანი. ქაღალდი. 20,5×14,4 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის გოგიბედაშვილის ქალის მაიასი.

მამაჩემი და დედაჩემი თქვენს საფარველს ქვეშ გიახლნენ. თქვენის ბძანებით ჩემი შვილი შვილათ აიყვანეს, მამაშვილობის წიგნი დაიდვეს თქვენგან დამტკიცებული. იმ დღეს აქათ იმისი შვილია და იმისი გაზდილი. მე დედაშვილობისა აღარა ვიცი რა. მამაჩემი მოვიდა ჩემთან, მოკვდა. დათუა კვეზერელი ჰოვიდა, მამულზედ ხელი აუმარ[თია], ეს ობოლი აღარც სახლში შეუშო.

ახლა თქვენის საფარველისათვის მოგვიტანებია. ნება თქვენი ათავდეს. ნოემბრის **იაა**, ქრონიკონს **უპზ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის თარხნიშვილო დიმიტრი! მერე შენ უნდა მიხვიდე და ამ არზის პატრონისათვის კეზელს ხელი რომ აუმართვინებია მამულზედა, კეზელი დაპატრონებია. ის ხელამართულებიც დაგლიჯე და გადაყარე და კეზელიც იქიდამ გამოაგდე. გოგიბედაშვილი ეს სვიმონ და სოლომონ არის, და ჩვენს ბატონისშვილობაში ჩვენი წილათხვდომილი საბატონიშვილო არის, არც გავცემთ და არც გაგვიცია. არც კეზელსა აქვს იმ მამულში საქმე და

არცავის სხვასა. რისაც მქონებელი გოგიბედაშვილი ნიკოლაოზ იყო, ის მამული უკლებრათ, როგორც შვილად აყვანილობის სიგელი უცხადებს ჩვენგან დამტკიცებული, ყველა ამათგან არის და ვერცავინ შეეცილება. ჩვენც გვიბოძებია.

კეზელო! შენ რა საქმე გაქვს, ესენი ჰყვანდა შვილად აყვანილი, შენ ის გინახემდა და რა საქმე გაქვს ამის მამულთანა. ნოემბერს **იბ**, ქორონიკონს **უპზ**. მეფე გიორგი

## 584. არზა ორბელიანის ქვრივისა ყმის თაობაზე

### გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 15 ნოემბერი**

ცსსა. ფონდი 1449. საბუთი № 1455. პირი. ქაღალდი. მხედრული.

მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მხევლის ორბელიანის ქვრივისა.

ჩემო ჯელმწიფევ, რაღაც კაცნი გახლანან, კაცნი სულ კახეთში არიან. ეს ორნი კაცნი დაგვრჩომია, ქვრივსა და ობლებს ესენი გვემსახურებიან და ახლა იასაულები ადგანან. კურთხეულის მეფისაგან თარხანნი იყვნენ ჩვენი კაცნი. წყალობას ვითხოვთ, რომ ამ კაცებს დაეხსნან. რაღაც კაცნი მყვანდნენ ქართლში, არას გვემსახურებიან, ორი ბიჭი მყვანან, იმის მეტი. გევედრები თქვენად სადღეგრძელოდ, მოწყალებით მოგვხედოთ. ნოემბერს **იდ**, ქორონიკონს **უპზ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის! მერე ამ არზის პატრონს ასე რომ მოუხსენებია, ამის კაცებს ნურავინ შეაწუხებთ. და თუ რაცა რა ვინ გამოართმევთ რასმე, ყველამ ასე იცოდეთ, ამათი შეწუხება არავისგან არ იქნება. ნოემბერს **იე**, ქორონიკონს **უპზ**. მეფე გიორგი

## 585. არზა ნიკოლოზ თუმანიშვილისა ყმის თაობაზე ფარნაოზ ბატონიშვილის ოქმით

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1799 წ. 28 ნოემბერი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1817. დედანი. ქაღალდი. 16,4×11 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან საქართველოს ჴელმწიფის ძის ფარნავაზის ჭირი თუმანისშვილს ნიკოლაოზს მომცეს.

რამდენიმე წელიწადია ჩემს მამულში რეჯს იდგა კოშაძე. მერმე ჴელთუბანს მოვიყვანე, დავასახლე. ორმოც კოდამდინ სულადი მივე. მერმე ისევ რეჯს მოინდომა დგომა. ისევ ჩემს მამულში დავაყენე. ახლა აყრას აპირებს.

ერთის ოქმის წყალობა მიყავით გოგია ჩაჩიკაშვილზედ, ესეც რეჯს დგას: ან ჩემი მამცეს და რაც დაუხარჯავს, ან ფასი მომცეს. თუ სიტყვა ჰქონდეს რამე, სამართალში წამომყვეს.

ესეც ებძანოს გოგიას, ვისაც კიდევ ჩემი ლალა ემართოს და ან ისე მესესხებინოს, ისიც გამომირთოს. ღმერთი გაგიმარჯვებს, ნუ დამიგვიანებთ. ამ კაცმა არ გამასწროს კოშაძემ.

თავში

ქ. მეფის ძე ფარნავაზ გიბძანებ ჩაჩიკაშვილო გოგიავ! მერე ამ თუმანისშვილს ნიკოლოზს ასე რომ მოუხსენებია, შენ უნდა მიხვიდე, ვისაც უჩივის ან უნდა ეყმოს და ან, რაც ამას იმაზე დაუხარჯავს და მიუცია, თავისი გამოურთო და მოსცე. და თუ სიტყუა ჰქონდეს, რამე, სამართალში ელაპარაკოს.

მეორე კიდევ იულონის სამასპინძლო ვისაც ემართოს და ან ესესხებინოს, ახლავ გამოურთვი და მოეცი. ეს როგორც გვიბძანებია, ასე უნდა აღასრულო. ნოენბერს კჱ, ქორონიკონს უპზ.

ბეჭედი: ღმრთის მშობელმან წიალით მფარნა ვაზ-კეთილთა რტოდ მეც შემიწყნარა.

## 586. არზა ქაიხოსრო ამილახვრიშვილისა უმის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

1799 წ. 29 ნოემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 751. დედანი. ქაღალდი. 21×12 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ამილახვარშვილი უსინათლო ქაიხოსროსი.

თქვენი წყალობა ექვსი კომლი კაცი გათარხნებულნი მყუანან, და ამათთვის ერთი კაცი საერევნო ჯარისათვის შეუწერიათ.

გევედრებით, ჩემი ჯელის მომკიდებელნი ესენი არიან და ეს ერთი კაცი მე მზითვისა. ნოემბრის **კზ**, ქორონიკონს **უპზ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის! რომელნიც ჯარის გამომყვანი იასაულნი იყვნეთ, ამ ქაიხოსროვს რომ ერთი კაცი მზითვის ჩვენ გვიპატიებია, თქვენც უნდა ხელი აიღოთ. ნოენბრის **კთ**, ქორონიკონს **უპზ**.

მეფე გიორგი

## 587. არზა ქევხა არუთინასი მორიგის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

1799 წ. 29 ნოემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 5692. დედანი. ქაღალდი. 22×14 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის შნოღნელი არუთინ ქევხისა.

თვეში თხუთმეტი მორიგე გვერთმევა. თქვენი ბძანება ასეა: წელიწადში ერთხელ ერთი კაცი მორიგეში უნდა გამოვიდეს. ახლა კაცზედ ორს მორიგესა სთხოვენ წელიწადში. ამ მიზეზით ფეხი ვერავის მოუკიდნია.

გევედრებით, როგორც წესი იყოს, ისრე გვიმსახუროთ. ნოენბრის **კზ**, ქორონიკონს **უპზ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის შინიხის ქევხავ ა რ უ თ ი ნ! მე[illegible] ში მორიგე როგორც ამას წინათ წელიწადში გეძლეოდა [illegible] მიეცით, მეტს ვერავინ გამოართმევსთ. ნოენბერს კთ, ქორონიკონს უპზ.

მეფე
გიორგი

რადგან აქამდის ათი მუშა გიძლევიათ, ახლაც ათი მუშა აძლიეთ მუღარლათ, მეტს ვერავინ გთხოვსთ.

მეფე
გიორგი

## 588. არზა სანადიროს ნაცვლისა ყმის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 30 ნოემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 4455. დედანი. ქაღალდი. 21,5×14 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჴელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის სანადიროს ნაცვლისა და გ ლ ა ხ ა ჯ ა ბ ა დ ა რ ი ს შვილისა.

სამ კომლს კაცს გვიყრიან. თუ ესენი აიყარნენ, ველარც ჩვენ მოვიკიდებთ ფეხსა. გევედრებით მოწყალება მოიღოთ, იქიდამ ასაყრელი კაცი ვერავინ[1] დაძრას, რომ თქვენი აშენებული სოფელი არ მოიშალოს. ნოებერის კთ, ქორონიკონს უპზ.

თავში

ქ. ჩვენი ბრძანება არის რომელნიც მოასილნი ხართ და სანადიროდამ კაცებსა ჰყრით, ამათი აყრა არ იქნება და ვერც აყრით. თუ სიტყვა აქვს ვისმე, ჩვენ მოგვახსენონ. ნოენბრის ლ, ქორონიკონს უპზ.

ამათზედ ჴელი აიღევით.

მეფე
გიორგი

---

[1] ვერანინ.

## 589. არზა ივანე გამსახურდაშვილისა ყმოგის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 10 დეკემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1502. კრებული. საბ. № 49. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[29] ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის რუისელი გამსახურდაშვილი ივანე სი.

მამა-პაპით აქაური მემკვიდრე და ფერისცვალების ხატის ეკლესიის ყმა გახლავარ. ზაზა მანუჩარის შვილს მოტყუებით ოქმი აუღია და ყმობას მედავება. მიბრძანებთ, მთელის რუისელების მუჯალამას მოგართმევ, რომ იმას ჩემთან საქმე არა ჰქონდეს; მიბრძანებთ, აქ გახლავარ და სამართალში მალაპარაკეთ. დეკენბრის თ, ქორონიკონს უპზ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის რომელნიც ამ არზის პატრონის მოდავე ხარ! ჩვენ ყოვლად სამღვდელო მროველი მიტროპოლიტი იმერეთს გავგზავნეთ; და სანამ იქიდამ მროველი არ მოვა, მანამდის ამასთან სადაოთ საქმე არა გაქვს რა. და იქიდამ მროველი მოვა, მაშინ სამართალში ერთათ მოდით და სამართალს მოგცემთ. დეკენბრის ი, ქორონიკონს უპზ.

მეფე გიორგი

## 590. არზა ქიტესა კოკოლაშვილისა მოსავლის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 16 დეკემბერი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 4568. დედანი. ქაღალდი. 17×10,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის დავითისშვილის ყმის კოკოლაშვილი ქიტესასაგან.

მუსხალაშვილებმა წლევანდელი მოსავალი ჩემის მამულისა თორმეტი ურემი ყანა წამართვეს. ღმერთი გაგიმარჯვებს, ერთი ოქმი და იასაული გვიბოძეთ, გამომირთოს და მამცეს. მერე თუ სიტყვა

აქვსთ, სამართალში მელაპარაკონ. ქრისტიშობის **იე**, ქორონიკონს **უპზ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის იაკობ ფალავანდიშვილო! მერე ამ არზის პატრონს ასე რომ მოუხსენებია, ეს შენ უნდა გამოურთო და მოსცე. თუ სიტყვა ქონდეს, სამართალში ალაპარაკე. დეკენბრის **ივ**, ქორონიკონს **უპზ**. მეფე გიორგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 591. არზა გარეჯელ ყმათა გამოსაღების თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 16 დეკემბერი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1306. დედანი. ქაღალდი. 27,3×14,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი, მათის მონათ ერთიან გარეჯელთაგან.

დავით-გარეჯის ყმებისათვის ოქმი გიბოძებიათ: არც რუსის ცხენი დაიბან, არც თივა მისცენ და არც ჩვენ მოგვდგნენ.

მოგეხსენებათ ამგვარ საქმეში გასაღებზედ გაუშორებელი ვჰყოფილვართ და ახლაც ისე გვამყოფოთ.

რუსი უწინაც იყო, რომ ისინი ჩვენგან მოუშორებელნი იყვნენ. ჩვენ იმათი წილი ხარჯის მიცემა არ შეგვიძლია. იმდენი შევძლოთ, ჩვენი წილი გარდავიხადოთ. დეკემბრის **იე**, ქორონიკონს **უპზ**.

სარუსო შეშა რომ გვაწერია, ისიც იქავ რუსებს მოუნდებათ და აქ აღარ გვთხოონ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ერთობით გარეჯელნო! მერე დიდს მეფეს თეიმურაზს აქეთ მონასტრის ყმანი თქვენთან ერთათ არა ყოფილან გამოსაღებში, ცალკე არიან. მდევარს გარდა თქვენთან შეერთებულნი არ არიან. ასე იცოდეთ. და რაც სარუსო შეშა გაწერიათ, ისიც უნდა ჩამოიტანოთ. დეკემბრის **ივ**. ქორონიკონს **უპზ**. მეფე გიორგი

## 592. არზა ჯავახიშვილის ქვრივ-ობლისა გამოსაღების თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 19 დეკემბერი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 13802. დედანი. ქაღალდი. 28×14,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მხევლის ი ვ ა ნ ე ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს ქვრივ-ობლისა.

დავთარში თერთმეტი კომლი კაცი მეწერა, წინაზედაც მოგართვით არზი, ოთხი კომლი ჭირმა ამამიწყვიტა და ერთი კომლი ხ ა ნ დ ა კ ი რომ აიღეს, მაშინ სულერთიან აიკლეს და წა[ა]სხეს. ექვსი კომლი კაცი გვყავს.

წყალობას ვითხოვ, რომ ხარჯს ექვსი კომლი კაცისას შემამაწერდნენ. თქვენი ოქმი მებოძა ოთხის წლის სითარხნისა. ფიცით მოგახსენებ, სურსათის მეტი არა მპატიებია რა, ახლაც შვიდი ურემი და ნახევარი შეშა მაწერია. თქვენად სადღეგრძელოთ, მიპატრონეთ. დეკემბრის **იჱ**, ქორონიკონს **უპჳ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ჩვენო მოჯელენო! ამ არზის პატრონის ყმანი ოთხს წელიწადს უკან ექვსს კომლს კაცზედ შეაწერდეთ ხარჯს. დეკენბრის **ით**, ქორონიკონს **უპჳ**.

მეფე გიორგი

ქ. ჩვენ საქართველოს და კახეთის მეფის ძე ი ო ა ნ ე მისის უმაღლესობის ბატონის მამის ჩვენის ბოძებულს სითარხნის ოქმს ვამტკიცებთ. დეკემბერს **კე**, ქორონიკონს **უპჳ**.

იოან

## 593. არზა მოსესი და თეოდოსისა სარგოს თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 20 დეკემბერი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 34. საბუთი № 118. პირი. ქაღალდი. მხედრული.

**[93]** მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის კ რ წ ა ნ ი ს ი ს მოურავის მ ო ს ე ს ი და თ ე ო დ ო ს ი ს ა.

ო რ თ ა ჭ ა ლ ი ს სამოურაოს გარდა ჩვენ მამული და სარჩო არსად არა გვაქვს. კურთხეულის მეფის ოქმი გვქონდა, რაც იმ ჩვენს სამოურაოს ბაღებს და კრწანისს საჯელმწიფო სამსახურით შესწირდე-ბოდათ, იმის ათისთავი ჩვენ მოგვეცემოდა. ის ოქმი ხ[illegible] მოსლვაზედ დავჰკარგეთ.

და უმაღლესობას გევედრებით, იმის მაგიერი ახალი ოქმი უმაღლესობიდამ გვებოძოს, რომ რაც შესწერდესთ, იმის ათისთავი იასაულიდამ ჩვენ მოგვეცეს. დეკენბრის **ივ**, ქორონიკონს **უპზ**.

თავში

**[92v]** ჩვენი ბძანება არის ჩვენო კარის მოხელენო და ვინც იასაული მიხვიდოდეთ ხოლმე! მერმე ორთაჭალას და კრწანისს რაც საჩვენო შესწერდებოდეს, ამათ თავეთი სამოურა[ო] სარგო ათისთავი რაც იმ შენაწერიდამ ჰქონდესთ, იმას ნურას დააკლებთ, მისცემდეთ ხოლმე. დეკენბერს კ, ქორონიკონს უპზ.

## 594. არზა მანუკა დურგლისა სახლის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1799 წ. 28 დეკემბერი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 14. საბუთი № 133. პირი. ქაღალდი. მხედრული.

**[166v]** მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოხსენებული მათის მონის მ ა ნ უ კ ა დ უ რ გ ლ ი ს ა.

ცოლ-შვილით აქ გახლავარ, ერთი ქოხი არა მაქვს, თავი მოვაფარო. ი ო ჩ ი შ ა რ ა ბ ა ბ ი ს გვერდზედ ერთი ხარაბა სახლი არის სამეფო და იმის წყალობას ვითხოვ, მე მიბოძოთ. დეკემბრის კ, ქორონიკონს **უპზ**.

თავში

ჩვენი ბძანება არის! მერე იოლჩი შარბაბას გვერდზე სახლი რომ არის თავისის აიათით, ამ ჩვენის ყმის მანუკას, დურგლისთვის გვიბოძებია. დეკემბრის **კჱ**, ქორონიკონს უპზ.

მღვთის წინაშე მეფე გიორგის ნაბოძები წერილის ასლი ვნახე. ამ სავადზედ ჯელი მოვაწერე მე, ტ ე რ-ო ა ნ ე ს ხ ა ნ გ უ ლ ო ვ ი.

მეფე გიორგის [167] ნაბოძები წერილის ასლი ვნახე, თანასწორ ეს სავადი გადმოვწერე. ციხის დიდის ეკლესიის კანდელაკი ტერ-არუთინ.

მე, ტერ-ვარდანოვი, ჯსენებული ნეფის გიორგის ნაბოძები ჰოქმი ვნახე და ამ სავადზე ხელი მოვაწერე. გეურქ ალექსანდროტოვი.

## 595. არზა ალექსი მღვდლისა მამულის თაობაზე იულონ გაბონიშვილის ოქმით

**1799 წ. 29 დეკემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 7648. დედანი. ქაღალდი. 21,5×16 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. ღმერთმან ჩემის ჯელმწიფის მეფის ძის იულონის ჰირი მომცეს მღუდელს ალექსის.

რადგან თქვენმა ჯელმწიფებამ ასე ინება, რომ ფარსადან ღვთისიაშვილის მამული ნახევარი მიყავით წყალობა და მეც თქვენი საფარველი დამაფარეთ და ჩემთვის უღირსი ღვთის წყალობა ბძანებაები მიბრძანეთ, მეც კიდევ ვედრება გავბედე. მე ხომ იქ დგომა და მუშაობა არ შემიძლიან, და ვიდრემდის ცოცხალი ვარ, დედათქვენს არ მომაშორებთ, მე კაცი უნდა ვიშოვო, იმ მამულზე დავაყენო, თითონაც დარჩეს და მეც მარჩინოს. ვითხოვ შენის ჯელმწიფე დედის სადღეგრძელოთ თქვენი სახიერი თვალი და გული დაატკბოთ და მოწყალებით ეს ინებოთ. და თქვენგან ბძანებაც ასე მოვიდა: რაც ვალია და ან დამარხვა უნდათ, მაგ ღვთისიაშვილებმა გარდაიხადონ, რადგან მამულის ნახევარი ეძლევათ.

მეორეც ესე, სასახლის ადგილი და საბძელ-კალო საკუთრივ მე მებოძოს, მაგათ საკუთარი აქვსთ. და ქალაქში სახლი რომ არის, ისიც მე მებოძოს.

მესამეც ესე, სავენახეებიც საკუთრივ მე მებოძოს. მაგათ ვენახიცა აქვსთ და სავენახეებიც საკუთარი, რომ ჩემ[მ]ა კაცმა თავისთავისაც გაიკეთოს ვენახი და მეც გამიკეთოს.

მეოთხეც ესე, იმ სახნავის მიწებიდამ ნახევარზე ათის დღის მიწა მომატებით მე მიწყალობეთ, მე თუ შენი დოვლათი შემეწევა და იქ კაცს დავასახლებ, ის კაციც შენი იქნება და მეც. დ[ა] ორნივ შენი მოსამსახურენი ვიქნებით.

ღმერთი გაგიმარჯვებს. მოხსენებისათვის ნუ გამიწყრებით და გიბძანებიათ ერთს ნიშანს მივცემ ბოძებისასაო. და ამაზედ მიბოძეთ

თხოვისაებრ ჩემისა. იმდენი გამარჯვება გაქვს, რამდენი ყმა და მამული შენ გაგეცეს. და რადგან წყალობა მიყავ, ეს თხოვილიც აღმისრულე. დეკემბრის **კთ**, ქორონიკონს **უპჯ**.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**თავში**

ქ. პატიოსანო მღუდელო ალექსი! ფარსადან ღვთისიაშვილის მამულის ნახევარი მოგვიცია შენთვის. როდესაც გაყოფის დრო იქნება და იმ მამულს გაგიყოფთ, მაშინ რაც საჯმარი იქნება შენთვის და იმგვარი რამ საჭირო, იმასაც შეგისრულებთ, რომ შენი გული კარგათ დასჯერდეს. ამაზედ სარწმუნო იყავ. დეკემბრის **კთ**, ქორონიკონს **უპჯ**.

რადგან ბატონს დედოფალს დედაჩვენს ახლავხარ, მე სულ მთლათაც კარგათ გამოვიმეტებდი ამ მამულს მოსაცემათ, სარწმუნო იყავ ამაზედ შენ ჭეშმარიტად. მაგრამ ხომ კარგათ იცი შენ და შეიტყე რაც მიზეზები იყო. მაგრამ ბატონს დედაჩვენს დედოფალს როგორც ხლებიხარ და გიმსახურნი[ა], ისევ ისე კარგათ უნდა ემსახურო ბეჯითათ. და რადგა[ნ] შენ იმის სამსახურზედ ბეჯითათ იქნები, ჩვენც ვეცდებით, რომ სხვა რიგათაც მადრიელი გამყოფოთ, შენმა მადლმა.

ბეჭედი: ტომ-სქესით არ ნაკლისაგან იულონ ირაკლისაგან.

## 596. არზა დავით ელიოზიშვილისა ყმის თაოგაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 5 იანვარი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 4277. დედანი. ქაღალდი. 33,5×16,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ელიოზისშვილი დავითისა.

ასემც თქვენი მტერი და ორგული ამოწყდეს, როგორათაც მე ჭირით ამოვწყდი, აღარავინ დამრჩნენ, თვრამეტი სულიდან ხოლოთ მე გადავრჩი. ერთი კომლი ყმა მყვანდა, ამათაც ჭირი შეუდგათ, კაცი მოკვდა. იმისი ობლები დარჩნენ და მე რომ ბინა არსადა მაქვს, იმათთან გახლავარ და ვაწუხებ და ვალით ყელამდინ სავსენი არიან და მამულიც დაგირა[ვ]ებული აქვსთ. ახლა ცალგნით მოვალე[ე]ბი აწუხებენ; მეორედ, გამოსაღების იასაულნი უდგანან და აღონებენ; მესამედ, ხომ მე შევიქენ იმით სინაბარას და ვაღონებ.

ჩემო ჯელმწიფევ, ეს კაცი ძველათგან თარხანი გახლდათ და ამათი სითარხნის წიგნი აღამაჰმადხანის დროს დაიკარგა, გევედრებით მოწყალება მოიღოთ და ეს კაცი გამითარხნოთ, რომ ან ჩემი

მოვლა შეიძლოს ან ვალის პასუხის მიცემა. დეკე[მ]ბრის ლ, ქორონი-
კონს უპჳ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავში

ქ. ჩვენ მაგიერად სარდალ-სალთხუცეს მუხრანის ბატონს იოანეს და მდივნებს და სხვათ მოსაქმეთა და მოასილთ ასე ეუწყოსთ! მერე ამ ელიოზისშვილს დავითს ჭირისაგან რადგან ამისთანა საქმე მოსვლია და აღარავინ დარჩომია, ამისი ეს ერთი კაცი ორს წელიწადს გვითარხნებია, რომ ამას ამ ორს წელიწადს ნურას ხარჯსა, გამოსაღებსა და ბეგარ[ა]ში ნუ გარევთ და ნურცარას და[ა]წერთ.

ჩვენმა მოსაქმემაც და ჩვენის შვილების მოსაქმეთაც ასე იცოდეთ, რომ რაც ამ კაცს თავისი რასათი შეხვდებოდეს, ჩვენს ხარჯში უნდა უანგარიშებდეთ და ჩვენი მოხელე[ე]ბიც თქვენ ანგარიშ[შ]ი ჩაგიგდებენ და ამას კი ნურას გამოართმევთ. იანვრის ე, ქორონიკონს

უპჳ.

მეფე გიორგი

## 597. არზა საამ შანშიაშვილისა ვალის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 10 იანვარი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 4458. დედანი. ქაღალდი. 31,2×15,7 სმ. მხედრული განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. დაზიანებული.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის შანშიაშვილი საამისა.

თქვენის უმაღლესობის ო[ქმი]თ [ხა]ტია [და კა]კალა ორმოცის წლის ვალს მთხოვენ. არ ვიცით ვისი აღებული არის და არც თამასუქი უჩვენებია. ამ ორმოც წელიწადში აქამდინ როგორ არვის გამოართვეს, თუ გვემართა ან მამაჩემს ან ბიძაჩემს ან მე. ახლა რომ ვიყრებოდით მე და ბიძაჩემი, მაშინ ბიძაჩემ[მ]ა რატომ არ გამოაცხადა ვალებთან. იმ დღესაც არზი მოგართვით და პირათ გებძანებინათ: ამდენის ხნის ვალს როგორ გამოართმევენო, ახლა ხელი უნდა აიღონო; კიდეც აიღეს ხელი, მაგრამ ის თქვენი ოქმი იმათ უჭირავსთ. კულავ კიდევ იმ ოქმით გამაცოდვილებენ.

გევედრებით იმ თქვენის ოქმის დასაყენებელი ოქმი მეც მიბოძოთ, რომ კულავ ვეღარ გამაცოდვილოს. თქვენად სადღეგრძელოდ ჩემი ვედრება ისმინეთ. იანვრის ი, ქორონიკონს უპჳ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ამ არზის პატრონო! ამ არზიდგან ესე რომ მოგიხსენებია, ხატიასა და იმის ძმას რომ ჩვენი ოქმი აქვსო, ჩვენი ოქმი დაგვიყენებია და იმითი თქვენ ვერაფერს ვერას გთხოვსთ. და ის ვალი რადგან ამდენს ხანს არ უთხოვნია, ვერცარას ახლა და ვერცარას მასუკან ვერას გთხოვსთ. იანვრის **ი**, ქორონიკონს **უპჱ**.

მეფე გიორგი

## 598. არზა პეტრე ავალიშვილისა ყმის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 12 იანვარი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 50. საბუთი № 104. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[71v] მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოხსენება მათის მონის ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ს პ ე ტ რ ე ს ი.

თქვენი წყალობა ჩემი მკვიდრი ყმანი — კ ბ ი ლ ა ძ ე და ს ხ ი რ ტ ლ ა ძ ე ამეყარნენ ბ რ ე თ ი დ ა მ და ბ ე კ ა მ ს გახლავან. აქამდის მატყუეს ჩამოვალთო და არ ჩამოვიდნენ.

ახლა წყალობას ვითხოვ, ერთი ოქმი მიბოძეთ და იასაული, რომ ის კაცები ამიყაროს და მამცეს. თუ სიტყვა ჰქონდესთ რამეღა, მოგახსენონ. იანურის **ია**, ქორონიკონს **უპჱ**.

თავში

ჩვენი ბრძანება არის მ ა მ ა ც ა შ ვ ი ლ ო დ ა თ უ ა ვ! მერე ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი პ ე ტ რ ე რომ ასე ჩივის, ამას ეს თავისი ყმანი ახლავ აუყარე და მოაბარე. და თუ ჭეშმარიტი სიტყვა ჰქონდესთ რამე, ჩვენ მოგვახსენონ. იანვრის **იბ**, ქორონიკონს **უპჱ**.

ე შ ი კ ა ლ ა ბ ა შ ო ნ ი ნ ი ა ვ! როგორც მათს უმაღლესობას უბძანებია ამ ოქმით, ამას იასაული გააყოლე, რომ ასე აღუსრულოს. თებერვლის **კზ**, ქორონიკონს **უპჱ**.

დავით

## 599. არზა პანტელეიმონ მღვდლისა ვალის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 16 იანვარი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 4919. დედანი. ქაღალდი. 33,6×15,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მარადის მლოცველი ურბნისიდამ გლახაკი ხუცისა პ ა ნ ტ ე ლ ე ლ ი მ ო ნ ი ს ა.

რაც ამ დროს გაეწყობა, ეკლესიას შემოსავალი არ აკლია, შემატება არა აქვს რა, მარამ სანთელი გამჭრალია, გატეხილი ფეშხუმი იყო, წმიდა ნაწილები იბნევოდა. ყოვლად სამღვუდელოს სიტყვით გავაკეთებინე და აღარ დაიხსნა; მათ უწმიდესობას მოხსენდა, ეკლესიას განაჩენი ებოძა; ამაზედ ამიჩემა და იმისი შვილები მლანძღვენ და მათრევენ, არც მათის უწმიდესობის ბძანება და შუამავლობა და არც დეკასტირისა, არც მღუდელთმთავრისა და არც მოძღვრისა[1] არ შეიწყნარა ეკლესიის თაობაზედ.

ვიტანჯები, წყალობას ვითხოვ, იმ ეკლესი[ი]ს დანახარჯზედ მოვალე[ე]ბი მაწუხებენ, ის მოაცემინოთ და ან იმასა ჩემი დანახარჯი ჭონდეს და იმ ეკლესიაში ჩემი კონდაკის ნაღვაწი იყოს, ისიც მებოძოს.

და შენდობას ვითხოვ, ერთი ცოდვის შვილი მყავს და გავეცლები, სიკვდილის თანამდები კაცი გახლავარ და მოხუცებული. თუ ამისთანა შფოთში და უწყალოებაში მოვკვდე, ხომ წავწყმდები. იანვრის **იდ**, ქორონიკონს **უპჱ**.

თავში

ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოსა და სხვათა მ ე ფ ი ს გ ი ო რ გ ი ს ა გ ა ნ ესრეთ გეუწყოსთ. ყოვლად სამღვდელო ურბნელო ი უ ლ ი ო ს[2], მერე სამთავნელათ იჯექ და შფოთისაგან არ მოისვენე, ნიჭოზლათ იჯექ და არ მოისვენე, ურბნელათ ზიხარ და შფოთავ და არ ისვენებ. რა მოხდა ამისთანა, დასცხერ ამდენის შფოთისაგან. როგორც ჩვენს მამას მის უწმინდესობას უბძანებია, ახლავ მიეც და ნუ აწუხებ ამ პატიოსანს მღვდელსა; და ამ გლეხს კაცთა თავისი ყველა უკლებრათ მოეც; და ნუღარ აჩივლებ ამ მღვდელსა.

მ ა მ ა ც ა შ ვ ი ლ ო მროვლის სალთხუცესო დ ა ვ ი თ! როგორც

---

[1] + და.

[2] იულისიოს.

მისის უწმინდესობის განაჩენი უჭირამს ამ მღდელს, შენ უნდა ყველა უკლებრად გამოურთვა და მოაბარო. და ეს ჩვენი ბძანებაც ასე გამოუცხადო, რომ დასცხრეს ამდენის შფოთისაგანა. იანვრის ივ, ქორონიკონს უპჱ. სათნოებაც არ ვარგა შფოთითა. მეფე გიორგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 600. არზა ბესარიონ თარხნიშვილისა სახლის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 17 იანვარი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 29. საბუთი № 68. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[86v] მათის უმაღლესობის ბედნიერის ხელმწიფის წინაშე არზი ბ ე ს ა რ ი ო ნ თ ა რ ხ ნ ი შ ვ ი ლ ი ს ა.

ჩემო მოწყალევ, ხიზნათ სხვის სახლში გახლდი აქა და ახლა თავის პატრონი მაცლევინებს, მე უსახლოდ ვრჩები. თქვენი ძველი სახაბაზო რომ არის, იმის წყალობას ვითხოვ, ერთი ოქმი მებოძოს, შიგ დავდგე თქვენს წყალობაში. იანვრის იე, ქორონიკონს უპჱ.

თავში

ჩვენი ბძანება არის თარხნიშვილო ბესარიონ! მერე შენთვის გვიბოძებია ის სახლი და სამკვიდროდ დადექ. იანვრის იზ, ქორონიკონს უპჱ.

## 601. არზა ხატიასი და კაკალასი ვალის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 18 იანვარი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 368. დედანი. ქაღალდი. 23,5×14,2 სმ. მხედრული. აქა-იქ თითო წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჴელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ხ ა ტ ი ა ს ა და კ ა კ ა ლ ა ს ი.

წინაზედ შ ა ნ შ ი ა შ ვ ი ლ ე ბ ი ს თაობაზედ არზი მოგართვით, ოქმი და იასაული გვებოძა: ან მოეც და ან სამართალში ელაპარაკეო. არც ერთი არა ქნა. მართალია, თამასუქი წახდენაში დავჰკარგეთ, მაგრამ იმ თამასუქის დამბეჭდავი და მოწმე[ე]ბი ისევ უზურში გახლიან.

გევედრებით ოქმი გვიბოძოთ, რომ სამართალში გველაპარაკოს, იანვრის **ია**, ქორონიკონს **უპჱ**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ეშიკაღაბაშო ორბელიანო ასლან! ესენი მდივანბეგებთან სამართალში ალაპარაკე და ჭეშმარიტი სამართალი უსაჯონ. იანვრის **იჱ**, ქორონიკონს **უპჱ**.

მეფე გიორგი

## 602. არზა ამირანა ჩარუხაშვილისა და ფეიქარ გაღდასარასი ყმოგის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 24 იანვარი**

ცსსა. ფ. 1449. საბუთი № 145. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოხსენება სულხან მდივნის ყმის ჩარუხაშვილის ამირანასი და ფეიქარი ბაღდასარასი.

ჩვენ სულხან მდივნის საკუთარნი ყმანი გახლავართ. მე, ამირანა, თავათაც ამათის ოჯახის საკუთარი ვიყავ, რომ დღესაც ჩვენ საკერძო მამულებთან და გვარის კაცთან არც ერთს სახლისკაცს საქმე არა აქვს. მერე უფლისციხეს დავიკარგე, თავისუფალი ტყვე მოველ და ისევ სულხან მდივანს ვეყმე.

მე, ფეიქარი ბაღდასარა, და ჩემი მამა-ბიძა დავით სარდალმა თავის ყმად გაგვიტანა. იმას ყმად გახლდით და მერე წერილის მიცემით სულხან მდივანს აჩუქა ჩვენი თავი. ახლა რომ იქ უპატრონო და დაჩაგრული დავგიხელა, ნიკოლოზ თუმანიშვილმა წუხება დაგვიწყო.

თქვენს მოწყალებას მოვატანეთ, ერთს ოქმს გევედრებით, რომ ნიკოლოზს ჩვენთან საქმე არა ჰქონდეს, უსამართლოდ არ შეგვაწუხოს. თუ სიტყვა აქვს, თქვენს სამართალში თავის სახლის კაცებს გაუსწორდეს. იანვრის **კდ**, ქორონიკონს **უპჱ**.

თავში

ქ. ჩვენ მაგიერად ამილახვარს ოთარს ასე ეუწყოს. ამ არზის პატრონს ასე რომ მოუხსენებიათ, ამათ ნურავის შეაწუხებინებ უბრალოდ. და ნიკოლოზ თუ სიტყვა აქვს რამე, სამართალში ელაპარა-

კოს თავის სახლისკაცს და ისე გაუსწორდეს სამართლიანის საქმით. იანვრის **კდ**, ქორონიკოს **უპწ**.




ეროვნული
ბიბლიოთეკა

## 603. არზა ფრიდონ მელიქისა ყმეგის თაობაზე
### გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 24 იანვარი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 9626. დედანი. ქაღალდი. 28,7×14,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადვილ ნახმარია წერტილი. ოქმის თარიღი მცდარი უნდა იყოს.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ფ რ ი დ ო ნ მელიქისა.

თხუთმეტი წელიწადია გიახელით. თუ რამ ვარიოხი გვქონდა იმ ჩვენს კაცებზედ გარდავაგეთ. თითო თითოთ მოვაგროე, რომ ბორჩალოს გახლიან. ახლა, რომელიც იქიური მემკვიდრე და ას-ასის წლის მოსულნი და ოჯახით გამართულნი კაცნი არიან, ამათ ისინი თავეთთან ხარჯს აწევინებენ. ამათში შეძლება აღარ დარჩომილა. ვშიშოფ არ დამეფანტონ და თქვენთან პირშავი არ დავრჩე.

წყალობას ვითხოვ, რომ ამათ არა გამოართონ რა და სითარხნის ოქმი უბოძოთ და თქვენი მლოცავნი გახლდენ. იანვარს **იზ**, ქორონიკონს **უპვ**.

თავში

ქ. ბატონო სარდალ-სალთხუცესო მუხრანის ბატონო ი ო ა ნ ე და მდივნებო! მერე ბ ო რ ჩ ა ლ ო შ ი რაც ფრიდონ მელიქისშვილის კაცები არიან, იმათ ნურას შეაწერთ. და ახლა რომ ორმოცი საპალნე შეშა აწერიათ, იმაზედაც ხელი [ა]აღებინეთ და დღეის იქითაც არა შეაწეროთ რა. იანვრის **კდ**, ქორონიკონს **უპწ**.




## 604. არზა გოგია თამაზაშვილისა ვალის თაობაზე
### ვიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 27 იანვარი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 7197. დედანი. ქაღალდი. 28×14 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ თითო წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის თ ა მ ა ზ ა შ ვ ი ლ ი გ ო გ ი ა ს ი.

ცხრა სულით დავტყვევდი, მე გამოვიპარე; ჩემი ტყვე[ე]ბიდან ზოგი დავიხსენ და ზოგი დასახსნელი არიან. კარგა ვალი დამედო; ახლა ვისაც ჩვენი რამ მართებს, იმათი თამასუქი და ანდერძის წიგნი გვიჩვენებს, ვთხოვ, პასუხს არას მაძლევენ.

ოქმისა და იასაულის წყალობას ვითხოვ, ვისაც ჩვენი ემართოს, მოაცემინოთ. თუ ვისმეს სიტყვა ქონდეს, სამართალში მელაპარაკნენ. იანვრის **კვ**, ქორონიკონს **უპწ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის აფიცარო პეტრე! ამ არზით რომ ასე მოუხსენებია, ვისაც ჰეშმარიტობით ამისი ემართოს რამე, შენ უნდა გამოურთვა და ამას მოსცე. თუ სიტყვა ჰქონდეს ვისმე, მელიქ დარჩიასთან სამართალში ილაპარაკონ. იანვრის **კზ**, ქორონიკონს **უპწ**.

მეფე გიორგი

## 605. არზა იასე დიასამიძისა გამოსალების თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 30 იანვარი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 745. დედანი. ქაღალდი. 34×13,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯემწიფის წინაშე მოსახსენებელი მორდლის იასესაგან.

მერმე ამას მოვახსენებ: ჩემის სახლისკაცზედ თუ ან ერთი კვამლი კ[აც]ათ ნამეტანი მყვანდეს, ღმრთის რისხვა მჭონდეს და მერმე თ[ქვენი] რისხვა. ეს მუჩალგა მამირთმევია — თუ ნამეტანი მყვანდეს, სხვას უბოძეთ. ლეკმა ამოწყვიტა, დაწერას უკან წავიდნენ, მე ხელი არ მიმიწვდება. არც მამითქვენისთვის მიმირთმევია ამაზე მეტი. მაგ კარიდგან უსამართლოთ მეწერება.

იმას გევედრები, სალეკოც მეტი გამოგვერთვა და რუსის შეშაც, ეს ორიოდ კვამლი კაცია, დამეკარგება. თუ წყალობა დამემართება, რომელიც მოსაქმე მოვიდეს, იმისთანა ოქმი მებოძოს, რომ ნამეტანი არ გამამერთვას ჩემს სახლისკაცზე. იანვარს **კწ**, ქორონიკონს **უპწ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის რომელნიც იასაულნი და ან მოსაქმენი შიხვიდეთ! მერე რაც სათხოვარი იქმნებოდეს, მორდალს იესეს კაცებ-

სა და დიმიტრის კაცებს სწორეთ გამოართმევდეთ; მეტს ნუ გამო-/ართმევთ მორდლის კაცსა. იანვრის **ლ**, ქორონიკონს **უპჱ**.

ეროვნული ბიბლიოთეკა



verso

ქ. რომელნიც იასაულნი მიხვიდოდეთ მორდალთან, როგორც მისის უმაღლესობის მეფის გიორგის ოქმი აცხადებდეს, იმას გამოართმევდეთ ხოლმე. თავის ბიძაშვილებზედ მეტს ვერას გამოართმევთ, ეს ყველამ ასე იცოდეთ.



## 606. არზა ტეტია ზალდასტანიშვილისა გამოსაღების თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 1 თებერვალი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 8879. დედანი. ქაღალდი. 27,5×14,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის მაჩხანიდამ ზალდასტანაშვილი ტეტიასი.

ძველთაგან ნამსახურნი და აზნაურშვილათ აღმოჩენილი გახლავართ. თუ რამ ჩვენის სილარიბით ყმა გვყვანდა, ისიც თქვენ. გახლავსთ. კურთხეულის მეფის საფარველი მჭირდა. [მ]სახურობის მეტი გამოსაღები არა გვეწერა რა.

ამ წყალობას ვითხოვთ, როგორც ამას წინად გვიმსახურნია, ისევ ისრე აზნაურშვილის რიგზედ გვიმსახუროთ. და უმაღლესობისაგან წიგნის წყალობასაც ვითხოვ, რომ აზნაურშვილის რიგზედ გვიმსახუროთ. იანვრის **ვ**, ქორონიკონს **უპჱ**.

თავში

ქ. ბატონო სარდალ ჭიზიყის მოურაო ზაქარიავ! მერე ეს ზალდასტანაშვილი აზნაურშვილი არის. ძველათგან ამას არაფერი ხარჯი არა ეთხოება რა, მსახურის მეტი. ამას ნურასფერზედ ნულარ შეაწუხებ, როგორც ძველათგან აზნაურშვილნი არიან, ჩვენ ხომ ვერ მოუშლით. ეს როგორც მოგვიწერია ასე უნდა აღასრულო. ფებერვლის **ა**, ქორონიკონს **უპჱ**.



## 607. არზა მოხევე იასესი მიწის დახსნის თაობაზე ვახტანგ ბატონიშვილის ოქმით

**1800 წ. 2 თებერვალი**

საქ. ლიტერატურული მუზეუმი. საბ. № 16579. დედანი. ქაღალდი. 21×13 სმ. დაზიანებული. მარჯვენა ქვემო კუთხე მოხეულია. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. მათის უგანათლებულესობის მეფის ძის ვახტანგის წინაშე მოსახსენებელი მოხევე ი ა ს ე ს ი.

მოხევე გ ო ჩ ი ს შ ვ ი ლ ს ჯ ა რ ი ა ს ერთის შაბათის მიწა დაუგირავე და ერთი თუმანი გამოვართვი. და ახლა თქვენის დოვლათით იმ მიწას ვიხსნი. აღარ დამანება, შარი მამ[დვ]ა, ექვსი მილანთუნი კი-დე[ვ მერგება]ო. თქვენს მზეს ვიფი[ცებ, ერთი] თუმნის მეტი არ [გა-მომერთმიოს. გევედრე]ბით ერთი ო[ქმი მიბოძოთ, გირაო]სი ერთი [თუმანი მან აიღოს და ჩემი] მიწა დამანებოს. თებერვლის ბ, ქორონიკონს უპჱ.

თავში

ქ. მილახვარო გ ლ ა ხ ა ვ! ამ არზით რომ ასე მოუხსენებია, თავისი მიწა დაანებოს. და თუ სიტყვა აქვს, ჩვენ მოგვახსენოს. მაგრამ თუ გამტყუვნდა, კი არ შევარჩენთ ამის წუხებასა. ფებერვალს ბ, ქორონიკონს უპჱ.

ბეჭედი: რტოდ ვარ დავითის, მგელ-ლომად ვით ის, ვ ა ხ ტ ა ნ გ ვამტკიცებ მეფის ძეობით.

## 608. არზა იოანე მუხრანბატონისა სამართლის მიცემაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 6 თებერვალი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3717. დედანი. ქაღალდი. 36×14,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის მუხრანბატონის ი ო ა ნ ე ს ი.

ჭ ა პ ა ლ ა და ჩემი სოფელი ა ღ დ ა შ ი მესამძღურენი არიან. ბოლნისის წყალიდამ თქვენს სახასოს მამულში არხის სათავეა ამოღებული. თქვენს მამულს გამოივლის, ჭაპალის მამულზედ გამოივლის და ჩემს მამულში გამოვა, რომ არხი ძველათგან გამოტანილი არის, ერთს ალაჯს გაივლის, ეს არხი ჩემს მამულში დღეს კარგათ ჩანს. თა-

მაზ ეშიკაღასი წყალს არ მანებებს. თუ იქიდამ წყალი არა გვქონდა, ამ არხს რათ გასჭრიდნენ.

წყალობას ვითხოვ, ან თქვენს სიმაღლის წინაშე გვალაპარაკონ ან იოანე ბატონიშვილს უბძანოთ სამართალი გვისაჯოს. თებერვალს **დ**, ქორონიკონს **უპგ**.

თავში

ქ. უგანათლებულესო შვილო ბატონო იოანე! მერე ამ არზით მუხრანბატონს ასე რომ მოუხსენებია, ესენი თქვენთან მოაყვანინეთ და სამართალში ალაპარაკე და სწორე სამართალი მიეც და გარდასწყვიტე.

თებერვლის **ვ**, ქორონიკონს **უპგ**. მეფე გიორგი

## 609. არზა გაბრიელ რამინაშვილისა ვალის თაობაზე

გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 6 თებერვალი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 416. დედანი. ქაღალდი. 22,2×12,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის, ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის რამინიშვილი გაბრიელისა.

კეხველი იორდანე ტყვეთ გახლდათ, ჩვიდმეტი თუმნის თავმღებათ დაუდექ და ისე დავიხსენ. ოთხი წელიწადია თუმანი სამ შაურათ იმ თეთრის პატრონის სარგებელი მაძევს და ეს მე აღარას მაძლევს.

გევედრებით ოქმი და იასაული მიბოძოთ, თავნი და სარგებელი სრულობით მამცეს, რომ მეც თავი გამოვიხსნა. ფებერვალს **ე**, ქორონიკონს **უპგ**.

თავში

ქ. ჩვენი ბრძანება არის ამილღამბარ ციციშვილო! მერე ამ არზის პატრონი ამ არზით ვისაც უჩივის, შენ უნდა რიგიანისა და სამართლიანის საქმით გაურიგე და მოეც. და თუ სიტყვა ჰქონდეს, სამართალში ალაპარაკე. ფებერვლის **ვ**, ქორონიკონს **უპგ**.

მეფე გიორგი

## 610. არზა ოსეფა გეზირგნიშვილის სახლობისა ვალის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 11 თებერვალი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 8672. დედანი. დაზიანებული. ქაღალდი. 33,5×14,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიე[რის ჯე]ლმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მხევლის ბეზირგნიშვილი ოსეფას სახლობისა.

მრავალი სხვანი წახდნენ, მაგრამ უპატრონობით მე თავით, შვილებით და საცხოვრებლით ასე გავფუჭდი, რომ შვილები ისევ ტყვეთ მყუანან და მე სამადლოთ დამიხსნეს. ისე გიახელ. მაგრამ ვაი, ამ პურის ჭამას, რომ ლ[უ]კმის თხოვნით ჭვეყანას ვაწუხებ და ასე ვძლებ.

ახლა ჩემ[მ]ა უბედურებამ მოვალე[ე]ბი ამიტეხა და მაღონებენ. არსაით იმედი აღარა მაქვს თქვენის მო[წყა]ლების მეტი. თუ ასეთი ოქმი არ მებოძა, რომ ჩემის ქმარ-შვილის მოსვლამდინ მოვალეებმა არ დამაცალეს და კიდევ მთხოეს, კიდეც მოვჰკუდები ელდით. და ნება უმაღლესობისა აღსრულდეს. ფებერვალს თ, ქორონიკონს უპჱ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის რომელიც ამ არზის პატრონის მოვალენი ხართ! მერე მანამდის ამას თავის ქმარი და შვილები მოუვიდოდე[ს]თ, ყველამ[1] უნდა დააცალოთ და ვერც შ[ეა]წუხებთ გირაოების პატრონმა თუ სხვათ; და როდესაც თავის ქმარი და შვილები მოუვლენ, მაშინ პასუხს გაგცემთ. და იმათს მოსვლამდის ვერც იასაული დაადგებით ვინმე ამას. ფებერვლის ია, ქორონიკონს უპჱ.

მეფე გიორგი

## 611. არზა ჯამასპი ხერხეულიძისა გაურის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 12 თებერვალი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 367. დედანი. ქაღალდი. 22,2×12 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ხერხეულიძე ჯამასპისა.

---

[1] ყველათ.

ათი-თორმეტი წელიწადია მე და ჩემი ბიძაშვილი დ ა ვ ი თ არც შეყრის ნიშანზედ გახლავართ და არც გაყრისაზედ. ამას გევედრებით, ისიც აქ გახლავთ და მეც, უმაღლესობის წინაშე მოვედით თუ ბატონიშვილების წინაშე, ერთი გზა გვიბოძოთ რომ ერთმანეთს მოვშორდეთ. ფებერვალს **ია**, ქორონიკონს **უპჱ**.

თავში

ქ. უგანათლებულესო შვილო ბატონო დ ა ვ ი თ! მერე ამ არზით ხერხეულიძე ჯამასპი თავის ბიძაშვილს დავითს გაყრაზედ რომ უჩივის, ესენი შენთან მა[ა]ყვანინე და სამართლიანის საქმით შენ გაჰყარე და მოაშორე ერთმანერთსა. ფებერვლის **იბ**, ქორონიკონს **უპჱ**.

მეფე გიორგი

## 612. არზა ფშაველებისა გეგრის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 20 თებერვალი**

ცსსა. ფონდი. 1449. საბუთი № 441. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონათ ერთობით თქვენის უნჯუმათ ფშაველთაგან.

თქვენს მოძმეს თქვენის მამა-პაპისაგან მ ა რ ი ლ ი ს ი შეწირული ჰყავს და ამდენი ხანია იმათგან მისართმელი სამსახური აკლია.

ამას გევედრებით, როგორც ალავერდისა და ანუ სხვათ ეკლესი[ი]ს ყმათ თავეთი ბეგარა უკლებრათ ედოთ და ემსახურებოდენ, ისე რაც იმათ დებულობა სდებოდეს, იმათაც ის მოაცემინოთ. იქავ მარილისში მოსახლე ალავერდლის ყმანი გახლიან, როგორც ისინი იმ მონასტერს მსახურობდენ, ისე ის მარილისში მდგომნი თქვენს მოძმეს ამსახუროთ. თქვენის მოძმის გუჯარიც აქ გახლავთ და სხვა სიტყვაც პირათ მოსახსენებელი გვაქვს, რომ უნდა მოიხსენოთ. ყ[ო]ველთვის. თავს ვერ გაწყენთ. ფებერვლის **კ**, ქორონიკონს **უპჱ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის თიანეთის მოურაო დ ი მ ი ტ რ ი! მერე ამ არზით ფშაველთ ასე რომ მოუხსენებიათ, რაც მარილისს შეწირული კაცები ჰყვანდესთ, როგორც მამა-პაპით დებულობით სამსახური სდე-

ბოდესთ, ეხლაც ისე უნდა იმსახუროთ. ფებერვლის კ, ქორონიკონს უპმ.

არც მომატება იქნება და არც დაკლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 613. არზა იულიოს ურბნელისა სამართლის მიცემაზე ვახტანგ ბატონიშვილის ოქმით

**1800 წ. 25 თებერვალი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 504. დედანი. დაზიანებული. ქაღალდი. 22,5×11,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უგანათლებულესობის მეფის ძის ვახტანგის წინაშე მოსახსენებელი ყოვლად უღირსის ურბნელ ეფისკოპოზის იულიოზისაგან.

შემდგომად ესრეთ სიმდაბლით მოვახსენებ მათს ღმრთის მსახურებასა. ჰილურტს ერთი კომლი კაცი გახლდათ ჩემის სამშობლოთი. ის ქვეყანა რომ წახდა, იმ ჟამს ის საწყლები იქ დატყვევდენ. იმათის ბეითალმანის წყალობა გებოძათ სრულობით.

თქვენათ სადღეგრძელოთ და გასამარჯვებლად ამათ აქ შფოთი და იძულება აქვსთ ერთმანეთში იმ საქონელზე, ერთმანეთს არ ანებებენ, ჩემი ძმა მოგახსენებს. ბატონიშვილთან ფეშქაშათ ორი თუ[მა]ნი დავხარჯეო. იმ დანახარჯს ეს ყმაწვილები ვერ ერწმუნნენ[1], ჰეშმარიტი არ არის ეგ შენი სიტყვაო, მაგთენს არ ინებებდა მიღებასაო. ამ საქმეზედ მეტათ წინააღმდეგომნი ერთმანეთზედ არიან.

ჩემი უღირსება თქვენს განათლებულს გონებას დიდის ვედრებით ევედრება, რომ ისმინოთ ჩემის უღირსები მოხსენება და ავასხოთ ღმერთსა, ერთი სიმტკიცის ოქმი ებოძოს, რომ თქვენ[ი] წყალობის ოქმით მშვიდობა მიეცესთ და აღასრულოთ სამღთო საუფლო ხმა: „ნეტარ იყვნენ მშვიდობის მყოფელნი“*. ფებრვლის ვ, ქორონიკონს უპმ.

თავში

ქ. ყოვლად სამღვდელო მეუფეო ურბნელო იუსტინე! წმიდას მარჯვენეს ამბორის ყოფა მო[ხ]სენდეს. მემრე რომელიც ჩვენთვის გი-

---

[1] + ამ დანახარჯსა.

* მათე, 5,9.

კითხავსთ, თქვენმა მადლმა და ჭეშმარიტად არას დროს არ მახსოვს, რომ იმას ჩვენთვის ან ორი თუმანი მოერთმევინოს ან ორს თუმანზედ მეტი და ან ნაკლები ერთს აბაზამდინ. რომელნიც ჩვენზე მახლობელნი და ან მოხელენი არიან, იმათაც ბევრი ვკითხეთ და გამოვიძიეთ, მაგრამ ყველა[მ] შორს დაიჭირეს.

ახლა თუ ან წერილი აქვს სადმე და ან შესაწყნარებელი საბუთი, მოვიდეს და მოგვაგონოს, და რა სიტყვა გვაქვს. ეს კი მართლა, ღვინო მოგვართო თავის მაგიერ ძღვნად ან რვა თუნგი იქნებოდა და ან ცხრა. მაგისი იყო თუ იმ კაცისა, ის კი არ ვიცი. თებერვლის **კე**, ქორონიკონს **უპჱ**.

ბეჭედი: რტოდ ვარ დავითის, მგელ-ლომად ვით ის, ვახტანგ ვამტკიცებ მეფის ძეობით.

## 614. არზა აბრამის ქვრივისა დუქნის გაყიდვის თაობაზე ანტონ II-ის ოქმით

**1800 წ. 27 თებერვალი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 2755. დედანი. ქაღალდი. 18×13,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უწინდესობის წინაშე მოსახსენებელი მათის მონა ყმის აბრამის ქვრივისა და ობლისაგან.

ჩემი მოხსენება ეს არის, ჩემო ხემწიფევ, ორმოცი თუმანი ვალი გვმართებს. იასაულები მადგანან და მთხოვენ. არაფერი ილაჯი არა მაქვს რა ერთი დუქნის მეტი.

ამას გევედრები ჩემო ხელმწიფევ! ერთის ოქმის წყალობას გევედრები, რომ ის დუქანი გაიყიდოს და მოვალეებს პასუხი გავსცე. მეტად უილაჯო გახლავარ. ოთხი ობოლი შესანახავი მყავს და მკვდარი დაუმარხავი. ქორონიკონს **უპჱ**.

თავში.

ქ. ამ არზის პატრონო! რადგანც იასაულები გადგანან და შენის დუქნის გაყიდვა მოგინდომებია, ჩვენც ნება გვიბოძებია, მაგრამ თუ ჩვენს ყმას უნდოდეს ვისმე, იმას უნდა მიჰყიდო, სხვის მისყიდვა არ იქნება. და თუ ჩვენს ყმას არავის უნდოდეს, მასუკან სხვას მიჰყიდე.

მოურაო მაღალაშვილო დავით! ეს ასე აღუსრულე ფებერვლის **კზ**, ქორონიკონს **უპჱ**.

ხელრთვა: კათალიკოზი.

## 615. არზა ზაალ დავითიშვილისა ყმის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 1 მარტი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 583. დედანი. ქაღალდი. 26,6×15,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის დ ა ვ ი თ ი ს შ ვ ი ლ ი ზ ა ა ლ ი ს ა.

შ ა ნ შ ე მ ი ლ ა ხ ვ რ ი ს შვილები მამულზედ რომ მედავებიან, ფიცი დამადვეს, უნდა შევფიცო, მარხვამ გვისწრო, თუ იქნება ახლა ფიცი, შევფიცავ; თუ არა, გახსნილდება, თუ შევფიცე ხომ კარგია, თუ არადა, როგორც ბძანება[ა], ისრე აღსრულდეს. ჯერ ხომ არ გარდაწყვეტილა, იასაულები ჩაუყენებია ბატონიშვილსა, კაცებს მიყრის, რომ ვერ ვიფიცო, როგორ იცის, რომ ის ალაგი ერგება.

ერთი ოქმი მებოძოს, სანამდინ ერთმანერთს მოვრჩებოდეთ, იმ კაცებს ნუ ამიყრიან. მარტის **ა**, ქორონიკონს **უპჱ**.

თავში

ჩვენი ბძანება არის რომელნიც ჩვენის შვილის დავითისაგან გაგზავნილნი იასაულები ხართ! მერე ამ დავითიშვილმა მოწმე[ე]ბიც იშოვა და ამ მარხვაში დაფიცება ხომ არ იქნება, მშვიდობა არის, ბრწყინვალეს კვირას იქით დაიფიცავს; მანამდინ მაგ კაცებს ვერ აუყრით, რაც მანდ ფ ც ა ს კაცნი ჰყავს და ვერც მუშაობას დაუშლით. როგორც გვიბრძანებია, ასე უნდა აღასრულოთ და ახლავ ხელი უნდა აიღოთ. ამ ვადამდინ არცარა შანშეს შვილებმა უნდა აწყენინონ[1] და არცარა შესცოდონ. ასე იცოდნენ. მარტის **ა**, ქორონიკონს **უპჱ**. და ნურც საიასაულოს გამოართმევთ. ასე იცოდეთ. მ ე ფ ე გიორგი

ქ. გ ა რ ა ყ ა ნ ი ძ ე ზ უ რ ა ბ! როგორც მის სიმაღლეს ბატონს უბრძანებია, ისე უნდა აღასრულო. მარტის **ბ**, ქორონიკონს **უპჱ**.

იო ანე

ქ. როგორც მათს უმაღლესობას ბატონს მამას ჩვენს უბრძანებია, იმ ვადამდის არც აყრა იქნება და არც მუშაობის მოშლა. მარტის **კვ**, ქორონიკონს **უპჱ**. დავით

[1] + რამ.

## 616. არზა მელიქი შაქარასი სახლის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 1 მარტი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 11. საბუთი № 46. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[54v] მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის მ ე ლ ი ქ ი ს შ ა ქ ა რ ა ს ი.

ორჯელ მუხლს მაკოცნინეთ, თქვენს სამსახურში გახლდით და ვეღარ მოგახსენეთ, ხიზანი კარში მიყრია, ერთი ქოხი არა მაქვს, რომ თავი შევაფარო, ოთხასი თუმანი მიმსახურია, რომ სია და ბარათები გახლამთ, ის ჭირის სანაცლო იქნას. და ამას გევედრებით, ერთი ოქმი მიბოძოთ მელიქსა და პენტელაშვილზედ, რომ სადაც ეგულებოდეს ერთი ბეითალმალი სახლი გვიშოვნოს, რომ თავი და ცოლ-შვილი მოვაფარო. თუ გზა და ილაჯი მქონდეს, თავს არ გაწყენთ. თებერვალს კთ, ქორონიკონს უპჱ.

თავში

[54] ჩვენი ბძანება არის მელიქო დ ა რ ჩ ი ა ვ და პ ე ნ ტ ე ლ ა შ ვ ი ლ ო ი ო ა ნ ე! მერმე კარგად იცით მელიქი შაქარა ჩვენი ერთგული კაცი არის, ამას ასეთი ბეითალმალი სახლი უნდა მისცეთ, რომ არც მოდ[v]ავე ჰყვანდეს და არც ვალი ედოს იმ სახლს. ამისი გაუ-

რიგებლობა არ იქნება. მარტის ა, ქორონიკონს უპჱ.

## 617. არზა ნიკოლოზ აფხაზისა ყმის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 9 მარტი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 12. საბუთი № 30. პირი. ქაღალდი. მხედრული. იქვე, საბუთი № 41.

[37] მათის უმაღლესობის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ნ ი კ ო ლ ო ზ ა ფ ხ ა ზ ი ს ა გ ა ნ.

მერმე ხომ ჩემო მოწყალევ ჯელმწიფევ კარგათ მოგეხსენება თქვე[v]ნს უმაღლესობას, რომ არც მე გახლავარ ჩემს ადგილსა და არც ჩემნი ყმანი; ვინცავინ თქვენი წყალობანი მყვანან აქა-იქ, ისინიც დაფანტულნი გახლავან. და ერთი კომლი ჩემი ყმა ფ უ რ ც ე-

ლაძესთან გახლავსთ და ოთხი ძმანი გახლავან — ორი ძმა მე რომ პირველათ რუსეთიდამ გიახელ და შეიტყოთ ჩემი მოსვლა, ჩამოვიდ-ნენ ცოლ-შვილით და ჩემთან გახლავან იმ დღიდამ აქამომდის, და იმ ორს ძმას თავს არ ანებებს, სწორეთ ყმათ ეჭიდება.

ვევედრები თქვენს სიმაღლეს ბატონიშვილს დავითზედ ერთი ოქმი მებოძოს, რომ ჩემი გლეხი ამიყაროს და საცა მე მინდა, იქ დამისახლოს. და თუ სიტყვა რამ ჰქონდეს, თქვენს სიმაღლეს მოახ-სენოს. ნეტარად ხსენებულის ბატონისაგანაც ოქმის წყალობა მაქვს, ვისაც მამულში ჩემი ყმა გახლავსთ, ვერ დამიჭერენ. მარტის ე.

თავში

ქ. უგანათლებულესო ძმაო ბატონო იულონ! ამ არზით ნიკოლოზ აფხაზი ასე რომ ჩივის, ამას კურთხეულის მამის ჩვენისაგანა ყავს ნა-ბოძები ეს კაცნი და სამართლიანის გზით თქვენ ნუ წაართმევინებთ ამავ კაცს. მარტის თ, ქორონიკონს უპჱ.

## 618. არზა დიმიტრი ავალიშვილისა მამულის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 12 მარტი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2693. დედანი. დაზიანებული. ქაღალდი. 31,5× ×15 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ თითო წერტილია.

ქ. [მათ]ის უმაღლესო[ბის ბ]ედნიერის ჴელმწიფის წინაშე მოსა-ხსენებელი მათის მონის ავალისშვილი დიმიტრისა.

ჩემი ერთი კაცი დაიკარგა, იმისი ვენახი რუსთვლის კაცმა ხუთ თუმნად დაიგირავა. ახლა თავის თეთრს ვაძლევ და ვენახს [ა]რ მაძ-ლევს, მიყიდნიაო. თუ [ნასყი]დი აქვს, ის კაცი ეხლა დაიკარგ[ა], თუ წიგნს გამოიტანს ან მამის ჩემის, ან პაპის ჩემის და ან ჩემი ბეჭედი უზის, მეც ხელს ავიღებ.

გევედრებით თავისი თეთრი მიმაცემინოთ, ჩემი ვენახი მე მამბარ-დეს. თუ სიტყვა ქონდეს, თქვენს შვილ ბაგრატთან მელაპარა-კოს, მარტის ია, ქორონიკონს უპჱ.

თავში

ქ. ჩვენი ბრძანება არის არმის ეშიკაღაბაშო ალექსანდრე! ამ არზის პატრონს ასე რომ მოუხსენებია, ესეც და რომელსაც უჩი-ვის, ორნივ ჩვენს შვილს ბაგრატთან მდივანბეგების თანდასწრებით

უნდა ალაპარაკო და სწორე და რიგიანი სამართალი უსაჯოს და მა[თალი] გარდაუწყვიტოს. [ამის გა]ურიგებლობა არ იქნ[ება, ეს ასე] უნდა აღასრულო. [მა]რტის **იბ**, ქორონიკონს **უპც**.



## 619. არზა ქაიხოსრო უორჩიბაშის შვილისა მამულის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 16 მარტი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 49. საბუთი № 68. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[42v] მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის უორჩიბაშის შვილის ქ ა ი ხ ო ს რ ო ს ი.

ჰ უ ა ძ ე ს ორის დღის მიწა უჭირავს ჩემი; მეუბნება, თქვენგან ნასყიდი მაქვსო. თუ ნასყიდი აქვს, სიგელი [43] გამა[ა]ჩინოს; თუ არადა, ოქმი და იასაული მიბოძოთ, ჩემი მამული მე მამაბაროს. თუ სიტყვა ჭონდეს, თქვენ სამართალში მელაპარაკოს. ან ამ ნასყიდობას გარდა სხვა სიტყვა ჭონდეს, ისიც მოგახსენოს. მარტის **ივ**, ქორონიკონს **უპც**.

თავში

ჩვენი ბძანება არის იასაულო ს ა გ ი ნ ა შ ვ ი ლ ო ბ ა გ რ ა ტ. მერე ამ უორჩიბაშის შვილს ქაიხოსროს ამ არზით ასე რომ მოუხსენებია, ჰუაძეს რომ ამისი ორის დღის მამული რომ უჭირავს, ამას თავის მამული მუაბარე. და თუ ჭეშმარიტი საბუთი ჰქონდეს რამე, ჩვენ მოგვახსენოს ჰუაძემ. მარტის **ივ**, ქორონიკონს **უპც**.

## 620. არზა პეტროზა არეშაშვილისა ვალის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 21 მარტი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 32. საბუთი № 17. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[13] მათის უმაღლესობის ბედნიერის ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ა რ ე შ ა შ ვ ი ლ ი პ ე ტ რ ო ზ ა ს ი.

მერე მოგეხსენებათ გორელი თ ა ყ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს ა თ ვ ი ს ვა-ლათ თეთრი ავიღე თ ე ლ ა ვ ს და ზ ა ა ლ ს ვასესხე ორას ოთხმო-ცი თუმანი, ამის გირაოთ მომცა თავის წისქვილები და [illegible] ორის თვის ვადით. ახლა მოგახსენებენ, ს ტ ა მ ბ ო ლ ს თქვენის ჭირის სა-ნაცლო შექნილა. შარშან მაისშია ქალაქიდამ წიგნები მივწერე იმის ცოლ-შვილსა, შემეხვეწა — ზაალის მოსულამდინ დაგვაცალეო. ზაა-ლიც ხომ თქვენის ჭირის სანაცლო შეიქნა, ვეღარ დავაცალე, მეც მო-ვალე მაწუხებს. ოქმის წყალობას ვითხოვ, თავნი და სარგებელი მამა-ბარონ. მარტის კ, ქორონიკონს უპჱ.

თავში

[12v] ჩვენი ბძანება არის მოძღვრის შვილო ზ ა ქ ა რ ი ა ვ და ქ ა ი ხ ო ს რ ო! მერე ამ არზით არეშაშვილი პეტროსა ასე რომ უჩი-ვის გორელს თაყინაშვილს, თქვენ უნდა მიხვიდეთ და ამ არზით რო-გორც მოუხსენებია, გამოურთვი და მოეცით. არას ემართლება, უსეს-ხებია და მოსცეს, ამის გაურიგებლობა არ იქნება. მარტის კა, ქორო-ნიკონს უპჱ.

თუ თეთრის ილაჯი არა ჰქონდეს, მამული გაყიდოს და ამას თავი-სი თეთრი შეუსრულოს, ერთ რიგად თავის ვალს მორჩეს, როგორც [13] იყოს და გარდაუწყვიტოს.

## 621. არზა მროველისა ყმის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 22 მარტი**

ცსსა. ფ. 1448, საბ. № 660. დედანი. ქაღალდი. 31×14,3 სმ. მხედრული. გან-კვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჴელმწიფის წინაშე მოსახსე-ნებელი მათის სამარადისოდ მლოცველის მ რ ო ვ ლ ი ს ა.

თავდებისა ღმრთისმშობლის მონასტერი მე მაბარია ნეტარხსენებუ-ლის ჩვენის ჴელმწიფისაგან და ავის დროს მიზეზით უფრო ოსისაგან დაიცალა.

ამ წყალობას ვითხოვ, ოქმი ებოძოს ზ ა ზ ა მ ა ჩ ა ბ ე ლ ს ა, სა-დაც იქ ხატის ყმა იყოს, აჰყაროს და იქავ მი[ი]ყვანოს, სამიოდ წელი-წადი შაღავათი ებოძოს სათხოვარიდამა, რომ დადგნენ. და იმ მონას-

ტერში წირვა გაჩნდეს თქვენს სადღეგრძელოთ. მარტის **კა**, ქორონიკონს **უპჱ**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავში

ჭ. ჩვენი ბძანება არის მაჩაბელო მიმბაშო ზაზავ. მერე ყოვლად სამღვდელოს მროელს ამ არზით ასე რომ მოუხსენებია, სადაც თავდებისა წმინდის ღმრთისმშობლის ყმა იყოს, უნდა აჰყარო[1] და თავის ალაგს დააყენო. და სამის წლის სითარხნე მიგვიცია, რომ არაფერს ხარჯში არ უნდა გარიონ. მოხელეთაც ასე იცოდნენ და მოასილთაც, რომ ამ სამს წელიწადს მაგ თავდებისა ღმრთისმშობლის ყმათ არა ეთხოებათ რა, მარტის **კბ**, ქორონიკონს **უპჱ**.

მეფე გიორგი

## 622. არზა ვახუშტი მდივანბეგისა მამულის თაობაზე დავით მეკვიდრის ჩჩვით

**1800 წ. 23 მარტი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 8576. დედანი. ქაღალდი. 27,2×12 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ჭ. მათის უგანათლებულესობის საქართველოს მ ე მ კ ვ ი დ რ ი ს მეფის ძის დ ა ვ ი თ ი ს წინაშე მოსახსენებელი მათის მონის მ დ ი-[ვ]ა ნ ბ ე გ ი ს ვ ა ხ უ შ ტ ი ს ა.

ჩემო ჯელმწიფევ, ჩემი უღონობა მის უმაღლესობის მეფის გიორგისათვის მომიხსენებია და ჩემის მეზობლების გაძალიანებაცა. ახლა ც ი ც ი ს შ ვ ი ლ ე ბ ი, რომელიც მ ე ფ ე ს ვ ა ხ ტ ა ნ გ ს ჩვენი მამულები და ხოდაბუნები ჩვენთვის გაუყვია და წილში გვრგებია, იმას ახლა თავეთთვინ იყოფენ.

წყალობას ვითხოვ, ერთი წიგნი ებოძოს თქვენს ძმასა, ჩემს მამულს — ნ ა მ გ ა ლ ა ს ნუ გაიყოფენ უბატონოთ, მე მაგათი ლაპარაკი არ შემიძლიან. მარტის **კგ**, ქორონიკონს **უპჱ**.

თავში

ჭ. ჩემო სასურველო ძმაო ბატონო ი ო ა ნ ე! ეს არზა გაშინჯეთ და შემსგავსებისამებრ საჯეთ, რომ ამათ რათ უნდა წაერთვასთ თავიანთი მამული. მარტის **კგ**, ქორონიკონს **უპჱ**.

ხელრთვა: დ ა ვ ი თ.

---

1 ჰაყარო.

## 623. არზა იმერელ პეტრესი გამოსაღების თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 26 მარტი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 397. დედანი. ქაღალდი. 21×14,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის იმერელი პეტრესი.

საგარეჯოს მსახლობელთ იმერეთიდამ რომ მოვსულვარ უდაბნოში ვყოფილვარ და თავიც წმიდის დავითისათვის შემიწირავს. ცოტა რამ სახასო მამული დავიგირავე, იმის საბაბობით სახასო გამოსაღებში მოხელები მრევენ, რაც შემიძლია უდაბნოს ვმსახურებ.

გევედრებით ჩემზედ ხელი ა[ა]ღებინოთ. თუ გამამწირავთ, ნება თქვენი აღსრულდეს. მარტის **კე**, ქორონიკონს **უპჱ**.

თავში

ქ. ჩვენ მაგიერად საგარეჯოს მოურავს ორბელიანს ვახტანგს და ნაცვალს გოგიას ასე ეუწყოს!

მერე ამ არზის პატრონი წმინდის დავით გარეჯის მონასტრის ყმა და შეწირული არის თურმე და სახასო კაცის მამული გირაოდ აქვს და ამ არზით ჩივის — მოხელე[ე]ბი სახასო ხარჯსა და გამოსაღებში მრევენო. ამის სახასო კაცებთან ხარჯის გაღება არ იქნება. რომლისაც მამული უჭირამს, როდესაც თავის თეთრს მისცემს, მამულს იმასვე დაანებებს. ამან თავის შეძლებისამებრ წმინდა დავით გარეჯის მონასტერს უნდა მსახუროს. მარტის **კვ**, ქორონიკონს **უპჱ**.

სხვას კაცს ამასთან საქმე არავისა აქვს მონასტრის მეტსა.

მეფე გიორგი

## 624. არზა მჱდლიშვილის ქვრივ-ობლისა წისქვილის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 26 მარტი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 49. საბუთი № 66. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[41v] მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მჱდლისშვილის ქვრივ-ობლისა.

ჭუაძეს და ჩვენ საერთო ერთი წისქვილი გვაქვს. სანამ პატრონი ცოცხალი მყვანდა, იმ წისქვილის გამოსავალი ნახევარი მე მიმჭირდა, ნახევარი — იმასა. როდესაც დავქვრივდი, მას აქეთ ჩვენ წილს ყველა გვაძლევს.

გევედრებით ერთი ოქმი და იასაული მიბოძოთ, ჩემი წისქვილის ნახევარი როგორც აქამდინ მჭონია და ან წიგნში მიცხადებს, ისე მომეცეს. თუ [42] რამ სიტყვა ჭონდეს, თქვენს წინ მელაპარაკოს. მარტის კვ, ქორონიკონს უპჱ.

თავში

ჩვენი ბძანება არის საგინაშვილო ბაგრატ! მერე ამ არზის პატრონს ამ არზით ასე რომ მოუხსენებია, როგორც აქამდისინ ამ წისქვილის ნახევარი ჰქონია და ან წიგნში როგორც უცხადებდეს, ისე მოაბარეთ ნახევარ[ი] წისქვილი. და თუ ჭუაძეს სიტყვა ჰქონდეს რამე, ჩვენ მოგვახსენოს. მარტის კვ, ქორონიკონს უპჱ.

## 625. არზა ჯავახიშვილებისა არხის გამოღების თაობაზე დავით გაბონიშვილის ოქმით

**1800 წ. 29 მარტი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14078. დედანი. ქაღალდი. 26,2×13,4 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უგანათლებულესობის საქართველოს უფლისწულის მემკვიდრის მეფის ძის დავითის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ერთობით ჯავახიანთაგან.

არხი გვაქვს გამოსაღები და ჭირისაგან რომ კაცნი ამოგვიწყონენ, ეს ორი წელიწადია ვეღარ შევძელით გამოღება. ამგვარებში ჩვენც მოვხმარვივართ სხვათა. და წყალობას ვითხოვთ, ჩვენი მეზობლები თვითოს დღეს მოგვეხმარნენ, რომ თქვენის წყალობით ის არხი გამოვიღოთ ან ჩვენ ვიცხოვროთ და ან თქვენი სამსახური შევიძლოთ. მარტის კთ, ქორონიკონს უპჱ.

თავში

ქ. მეფის ძის დავითის სიკეთით სახსოვარო თარხნისშვილო ტეტიავ! მერე ამ არზით ჯავახიანთ ასე რომ მოუხსენებიათ, სასირეთმა. მეტეხმა და ჩოჩეთმა ერთი დღე არხის მუშაობას უნდა უშველონ. ამ საქმეზე შენ უნდა იყო ბეჯითი და ეს

ზემოხსენებული სოფლები, ხიზანი და მემკვიდრე, უნდა აშველოთ არხის მუშაობას. მარტის **კთ**, ქორონიკონს **უპჱ**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით

## 626. არზა მროველისა ყმის თაოგაზე გიორგი XII-ისა და დავით გატონიშვილის ოქმებით

**1800 წ. 29 მარტი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1502. კრებული. საბ. № 50. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[29] ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის სამარადისო მლოცველი მ რ ო ვ ლ ი ს ა.

ეს გ ა მ ს ა ხ უ რ დ ა შ ვ ი ლ ი რ უ ი ს ი ს მღთეების ყმა გახლამსთ. თუმცა ავის დროს მიზეზითა წამოსულა და მ ი რ ი ა ნ ა შ ვ ი ლ ს მიჰკედლებია, მერე ქსნის ერისთვის მამულში მდგარა ქ ი წ ნ ი ს [ს]. იქ ცოლი შეურთავს, დამდგარა იმათ ყმათა. ახლა ეკლესიაც თქვენია და მისი ყმაცა. ჩემი ვალი ეს არის რომ მოგახსენებ. ნება თქვენი უმაღლესობისა ათავდეს. მარტის **კზ**, ქორონიკონს **უპჱ**.

მთელი რ უ ი ს ი ს მუჯალამა აქ გახლავს. ამას გევედრებით, ეს კაცი ეკლესიას არ დაუკარგოთ.

თავში

ქ. უგანათლებულესო შვილო ბატონო დ ა ვ ი თ! მერე ეს ყოვლად სამღდელო მროველი ამ კაცზედ ასე რომ ჩივის და მუჯალამაც მა[ა]ქვს, ეს მუჯალამაც შენ გაშინჯე და მანდაც გამოიძიე, რომ ეკლესიას ეს კაცი არ დაეკარგოს. მარტის **კთ**, ქორონიკონს **უპჱ**.

მეფე გიორგი

### [მოწმეთა მოწმობა]

ქ. ჩვენ, რუისში მსახლობელნი კაცნი, რუისის ეკლესიის მღთეების ყმანი, სახასონი და საციციანონი, აზნაურშვილნი და გლეხნი ღმერთს ვფიცამთ და მეფის გ ი ო რ გ ი ს მზესა, რომ გამსახურდაშვილი პირველი მემკვიდრე გლეხია ამ ჩვენი მღთეების ეკლესიისა, ეს არის.

მე, ი ო ს ე ბ კ ლ ი მ ი ა შ ვ ი ლ ი, ღმერთს ვფიცამ და ჩემს მღდელობას და მეფის გიორგის მზეს. ხელთვა: ი ო ს ე ბ.

მე, მამაცაშვილი სტლომონ, ღმერთს ვფიცამ, რომ ეს გამსახურდაშვილი ამ ჩვენის ეკლესიის ყმა არის.

მე, დათუა მამაცა[v]შვილი, ღმერთს ვფიცამ და ჩემს სარწმუნოებას, რომ ეს გამსახურდაშვილები, პაპა ამისი გამსახურდა, მამა ამისი იორდანე, ის იოვანე მოსწრებულის კაცებისაგან ასე გამიგონია, რომ ამ ჩემის ეკლესიის მემკვიდრე გლეხი არის. ⊕ ხელრთვა: დათუა.

ეგნატაშვილი ქრისტესა, გურასპაშვილი გიორგი, მამასახლისი მღებრისშვილი გურგენა, ნასყიდაშვილი ბერუა, ნასყიდაშვილი ივანე, დავითისშვილის ყმა რაზმიაშვილი ბერუა, კლიმიაშვილის ტეტიას ყმა მირიანაშვილი გიორგი, საათაშვილი ბეჟანა — მოხუცებული კაცი გახლავართ, ზოგიერთნი ღმერთს ვფიცამთ და ჩვენს სულსა, მეფის გიორგის მზეს, რომ ეს გამსახურდაშვილი ამ ჩვენის ეკლესიის ყმა არის.

მე, ონოფრე მღდელს, ამ სოფლის სიტყვით დამიწერია და მეც ასე გამიგონია და მოწამეცა ვარ ამ ზემო წერილებისა.

ქ. ჩვენ, ბატონისშვილი დავით, ამ მოწმობის წიგნს ვამტკიცებთ. რადგან მთელი რუისელნი ასე ემოწმებიან, ამ კაცთან საქმე აღარავისა აქვს. რუისის ეკლესიის ყმა არის. აპრილის **ცხრას**, ქორონიკონს **უპჱ**.

და თუ სამართალში შესაწყნარებელი სიტყვა ექნება ვისმე, სამართალს მოახსენოს. დავით

## 627. არზა ბეჟან რატისშვილისა ულუფის განწესებაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 30 მარტი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2508₂. დედანი. დაზიანებული. ქაღალდი. 22× ×11,3 სმ. მხედრული. აქა-იქ წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის [ბედ]ნიერის, ჯელმწიფის წინაშე მ[ოსახსე]ნებელი [მ]ათის მონის ბეჟან [რა]ტისშვილისაგან.

ჩემ[ი მო]ხსენება ეს არის: თქვენის კურთხეულის [მამ]ის ულუფის განწესება [მქ]ონდა, რომ მეძლეოდა. და [ა]ღამ[ამა]დხანს წინა წელიწადში ჩემის კაცების სურსათი და სამსპინძლო — ესენი ჩემს ულუფაში მის[ცეს. პურ]ს ხარვალნახევარს იქს.

ამის [წყა]ლობას გევედრებით რომ: მოგეხსენებათ, ალარც ყმა მყავს და ალარც მამული მაქვს, რაღაც ერთი-ორი კაცი მახლავს, ისინიც უმამულოთ იქით-აქეთ დაიფანტნენ. ერთი ოქმი მიბ[ძ]ეთ და წელს კი მიცემული...

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის! რომელნიც იასაულნი მიხვიდეთ, მერე ამ ბეჟან რატისშვილის კაცების სურსა[თიდა]მ ბეჟანს[1] თავის ულუფაში მივე[ცი]თ. კურთხ[ეულ]ის ბატონის მამის ჩვენისაგანაც ჰქონია [განწესებული] და ჩვენც ასე გვიბოძებია...

სალთხუცესო მუხრანის ბატონო იოანე და მდივნებო! თქვენც ასე უნდა იცოდეთ. მარტის ლ, ქორონიკონს უპჱ. მეფე გიორგი

## 628. არზა დემეტრე ელოაშვილისა გამოსაღების თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 31 მარტი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10747. დედანი. ქაღალდი. 20,8×13 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ქვემო ნიქოზიდამ წმიდის ესტატის ყმის დემეტრე ელოაშვილისა.

ას ოცდა თვრამეტის წლის შეწირულობის წიგნი მაქვს და კურთხეულის მეფის ოქმიც ხელთ მიჭირავს და სოფელი არ მეხსნება, ხარჯში მაგდებენ.

ამ წყალობის ვითხოვ, ეს წიგნები გაშინჯოთ და ივანე ფავლენისშვილს მიმაბაროთ. მარტის კთ, ქორონიკონს უპჱ.

თავში

ქ. ჩვენ მაგიერად ფავლენისშვილს ივანეს ასე ეუწყოს! მერე ამ არზის პატრონი წმინდის ესტატის შეწირული ყოფილა და შენთვის მოგვიბარებია და [ნ]ურავის შეაწუხებინებ, თვალყური მოუგდე და სოფლის ხარჯში ნულარავის გაარევინებ, რომ კურთხეულის

[1] ბეჯანს.

ბატონის მამის ჩვენისაგანაცა აქვს ოქმი ბოძებული და ჩვენც ახე გვიბოძებია. მარტის **ლა**, ქორონიკონს **უპჱ**.

მეფე გიორგი

ქ. როგორც მის სიმაღლეს ბატონს მამა ჩვენს ამ ოქმით უბძანებია, ჩვენც ამგვარად დაგვიმტკიცებია. მაისის **იგ**, ქორონიკონს **უპთ**.

დავით

## 629. არზა ივანე ტუსისშვილისა მამულის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 1 აპრილი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 11315. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჴელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ივანე ტუსისშვილისა.

ორი და სამი წელიწადია რომ გაწუხებ. გამიჭირდა და შარშან თქვენს შვილს ბაგრატს უბძანეთ ჩემი სამართალი და იმან ვერ მოიცალა ჩემთვის. მითამ ტყვეობიდამ დაგიხსნივარ; შარშანწინ და წელსაც წამართვეს ჩემი გაკეთებული ვენახის გამოსავალი, დავრჩი ცარიელი, იმათ სამი ვენახი გაყიდული აქვსთ და ჩემი ბიძაშვილებიც იქ არიან.

ერთიან ბეჯითის ოქმის წყალობას ვითხოვ ქაიხოსროვ სალთხუცესზედ, რაც საბუთი მოვიტანო, მემიჯნეც ის არის; ვინც თქვენი ოქმი არ შევიწყნაროთ, ავათ მოგვეპყრას. მარტის **კზ**, ქორონიკონს **უპჱ**.

თავში

ქ. ჩვენ მაგიერად სალთხუცეს[ს] ქაიხოსროს ასე ეუწყოს! მერე ივანე ტუსიშვილი და იმის სახლისკაცი ორნივ შენთან უნდა მიაყვანინო. იმათი მემიჯნავეც უთხარი და ორთავ მუჩალგა [გა]მოართვი, რომ არც სამართალი მისცე, დაგიჯერონ. ორი კაციც შენთან დაისწარ და რაზედაც ჩივის, ყველაზე რიგიანათ მოარიგე[1]. და რომელმაც არ დაგიჯეროს, ავათ მოეპყარ. აპრილის **ა**, ქორონიკონს [**უ**]**პჱ**.

[1] მოარიგო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 630. არზა გეცია გნოლიძისა მოწყალეგის გოძეგაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 2 აპრილი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 323. დედანი. ქაღალდი. 22×11,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ბ ე ც ი ა გ ნ ო ლ ი ძ ი ს ა.

ხუთი თვე არის სამნი მამა-შვილნი სამსახურში გახლავართ. უღელი ხარი შარშან რომ ბძანეთ ბარათით, არც ის მოგვეცა. წელს ეს არის შიშველნი გახლავართ. წყალობას ვითხოვთ, კ[ი]დეც გვებოძოს რამე და დასტურიც გვებოძოს. მარტის **კთ**, ქორონიკონს **უპჱ**.

თავში

ქ. ბაზაზბაშო კაკალავ! თორმეტი მინალთუნის ფარჩა რაც ითხო[ო]ს, მოეც გლონიძეს; რაც ითხო[ო]ს, ახლავ გაისტუმრე. აპრილის **ბ**, ქორონიკონს **უპჱ**. გიორგი

## 631. არზა ივანე ციციშვილისა გამოსალეგის თაოგაზე დავით მეფკვიდრის ოქმით

**1800 წ. 2 აპრილი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 10288. დედანი. ქაღალდი. 33,7×10,1 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნები ნახმარი არ არის.

ქ. მათის უგანათლებულესობის საქართველოს მეფის ძის დ ა ვ ი თ ი ს წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ც ი ც ი ს შ ვ ი ლ ი ს ი ვ ა ნ ე ს ა გ ა ნ.

ამას მოვახსენებ: მერე მ ი რ ზ ა ი ბ რ ე ი მ ა ს შვილს გ ო გ ი ა ს უჩივლია ბატონთან, რომ საწყლისპირო წამართვაო და ბატონს ოქმი უბოძებია ზაალ ამირეჯიბზედა, რომ რაც იმ წყალს ემუშავნოს, გამოურთვი და მოეცო. ახლა ადგია ჩემს კაცებს და სთხოვს.

ამ მოწყალებას ვითხომ, რომ ერთი ოქმი მებოძოს ზაალ ამირეჯიბზედა, რომ კვირაცხოვლობამდის დამაცალოს და საკვირაცხოველოთ მეც იქ გიახლები, სამართალში დაველაპარაკები, თუ რომ ის მამული იმისი იქნება, მერე სიტყვა არა მაქვს, უნდა მოვსცე. აპრილის **ბ**, ქორონიკონს **უპჱ**.

თავში

ქ. ბატონისშვილი დავით გიბძანებთ ამირეჯიბო ზაალ! ნინია ციციშვილს კვირაცხოვლობამდინ უნდა დააცალოთ ნიერი დღეები არის, ახლა ხელი აიღე. აპრილის ბ, ქორონიკონს უპჱ.

ქ. მის სიმაღლეს ბატონს იახლება ქალაქს და იქ მისცემს თავის ვალსა.

დავით

## 632. არზა გლახა ჰავჰავაძისა მამულის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 2 აპრილი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 589. დედანი. ქაღალდი. 27×13,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი ზაალ დავითისშვილის ყმის ნულიდამ გლახა ჰავჰავაძესი.

გლეხი კაცი თუ ჰკვიანი იყოს, თავის საქმეს კეთილად წაიყვანს. მე შინ არ გახლდი. ჩემი შვილები ყმაწვილი კაცნი გახლანან. ვილასაც თავის მეზობლებს შე[ე]გულიანებინა, აყრილიყვნენ და წამოსულიყვნენ. მოვეწივე უკან და არ დაბრუნდნენ. მეც ჩემს შვილებს უკან გავყევ. თქვენი ოქმი და იასაული მოგვეწია, დაგვაბრუნეს.

ახლა ზაალ გურამისშვილი ავჭალას თავს არ გვანებებს, რომ წავიდეთ. ოქმის წყალობას ვითხოვთ, რომ გვებოძოს, წავიდეთ. აპრილის ბ, ქორონიკონს უპჱ.

თავში

ქ. ჩვენ მაგიერად ზაალს გურამისშვილს ასე ეუწყოს!მერე ამ არზის პატრონს ასე რომ მოუხსენებია, ამ კაცს თავი დაანებე, რომ თავის მამულზედ წავიდეს და ნურას შეაწუხებთ. აპრილის ბ, ქორონიკონს უპჱ.

მეფე გიორგი

## 633. არზა დათუა მაყაშვილისა მამულის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 3 აპრილი**

ერეკლეული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 45. დედანი. ქაღალდი. 27×17 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი დ ა თ უ ა ს ი.

ბიძაჩვენი და ჩვენ გავიყარენით, ზვარი გავიყავით, გზა დადო ზევითის მჯრიდამ, ბოლოს ზვარს მისცა. ბევრჯელ მოვახსენე და ვეხვეწე ქვევით ზვარს ზემოდამ გზა არ ეჭირება-მეთქი. არ ინება, გავყავით ზევითი მხარე. ზვარი იმას ერგო და ქვევითი მე. შარშანვე აღარ გამატარა, კინალამ ძმაც მამიკლეს. კიდენ წყალი ქვევით მამულს ზევიდამ ეჭნება და იმასაც ქონდა და პირობაც დავდევით, რომ როგორც პაპისჩვენის დროს რწყულა ის ვენახი, ახლაც ისრე უნდა მორწყულიყო. ახლა დიმიტრის აღარ დაუნებებია და წაურთმევია, დღეს აღარ ვაშენებთ იმ ვენახებს.

წყალობას ვითხოვ, ბიძაჩემი დაიბაროთ და აქ მოგვაშველოთ და ამთენის იმათი შფოთისაგან დამიხსნათ. ერთი ძმა მყავს, იმას მამიკვლენ და მამული რაღათ მინდა. აპრილის **გ**, ქორონიკონს **უპჱ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის მაყაშვილო გოშპარ! მერე რ ო ს ე ბ თუნდა ავათ იყოს, ურემზედ დაუსვი და ისე გამოგზავნე დიმიტრიც და ეგ როსებაც ორნივ აქ ჩვენთან უნდა გამოგზავნო. ერთხელ გაუსწორდეს ამ თავის სახლისკაცს და მორჩეს. ჩამოუსვლელობა არ იქნება მაგათი. აპრილის **გ**, ქორონიკონს **უპჱ**.

ჩვენთან კი არ ვალაპარაკებთ, ეს ნუ ეგონებათ; სხვასთან ილაპარაკებთ, მდივანბეგებს დაუსხამთ და ისე გააროგებენ რიგიანად, როგორც სამართალი არის. ვისაც ეგენი მოინდომებენ იმასთან ვალაპარაკებ; ჭეშმარიტად მაგათ სამართალში მე არ გავერევი არას გზით. როსებსაც ასე გამოუცხადე და დიმიტრისაც, სარწმუნონი გახდნენ. ვისაც თითონ გამოირჩევენ, სამართალში იმათ დაუსხამ. მეფე გიორგი

## 634. არზა ნასახჩიბაშის ნაიბის გიორგისა უმის თაობაზე დავით მემკვიდრის ოქმით

**1800 წ. 9 აპრილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 10284. დედანი. ქაღალდი. 21,5×12,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. ა-მეტი.

ქ. ღმერთმან ბატონისშვილის დავითის ჰირი მოსცეს ნასახჩიბაშის ნაიბს გიორგის.

მემრე ამას მოვახსენებ: ცოცნა ჩემი კაცი უმაც არის და ნასყიდიც, ალსა დგას; ოთხჯერ ბატონისშვილმა იულონმა ოქმი მამცა და აბაშიძემ არ დამანება. ერთი კომლი კაციც ახლა აიყარა და ავიდა ალს, ისიც ჩემი კაცია დალაქი. ასეთი იასაული მიბოძე, რომ მამათქვენის ოქმი და თქვენი ოქმი არ გასტეხოს. აღიწერა აპრილის[1] დ, [ქორონიკონს უპჶ].

თავში

ქ. ეშიკალაბაშო იოანე! ამას ერთი იასაული მოეც, რომ თავისი კაცი აუყაროს და მოაბაროს. აპრილის თ, ქორონიკონს უპჶ.

დავით

## 635. არზა მიქელ ასათიანისა უმის თაობაზე დავით ბატონიშვილის ოქმით

**1800 წ. 13 აპრილი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 33. საბუთი № 24. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[17] მათის დიდებულების ბრძანებით საქართველოს მმართებლის დავითის წინაშე მოსახსენებელი დადიანის კაცის ასათიანის მიქელისა.

ჩემი კაცნი ორნი [v] ძმანი გახლდნენ — ერთი ცოლიანი, მეორე უცოლო. კურთხეულს ბატონს მამათქვენს მოგახსენე, მიბოძა, ავყარე თორდის წავიყვანე იაკობ ქარუმიძისას, გაუშვი. იქით არეულობა იყო, თავი დავანებე.

---

[1] აპრილილა.

ამ წყალობას ვითხოვ, გიორგი ამილახვარზედ ერთი ოქმი მიბოძოთ, ჩემის კაცის წაყვანაზედ არავინ დამიშალოს. აპრილის **იბ**, ქორონიკონს **უპწ**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავში

ბატონო ამილახვარო გიორგი, მერმე ამ არზით რომ ასე მოუხსენებია თავისი კაცთ წაყვანა არავინ დაუშალოს. აპრილის **იგ**, ქორონიკონს **უპწ**.

## 636. არზა ზაალ დავითიშვილისა ფიცის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 19 აპრილი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10186. დედანი. ქაღალდი. 30×14,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის დ ა ვ ი თ ი ს შ ვ ი ლ ი ზ ა ა ლ ი ს ა.

მე რომ ფიცი მაძევს, რამაზისშვილს უნდა შევფიცო, ასეთს დროს მამცეს მოფიცრის ნუსხა, რომ თხუთმეტმა დღემ მარხვა მა[ა]სწრო. უმაღლესობას მოვახსენე, ოქმი მებოძა: ამ მარხვაში არა იქნება რა, გახსნილდეს, ახალ კვირას უკან იფიცეო. და ვინც შემომიგდეს, ვაშოვნე.

ერთი ოქმისა და იასაულის წყალობას ვითხოვ, მამიყვანოს ჩემის მოფიცრით და თქვენის შვილის განაჩენი მოიტანოს, ჩემი მოდავეც მამყვეს, ვიფიცო; თუ ვერ ვიფიცო, ორივ თქვენს უმაღლესობას მოხსენდეს. აპრილის **იზ**, ქორონიკონს **უპწ**.

თავში

ქ. უგანათლებულესო შვილო ბატონო დ ა ვ ი თ! მერე ამ არზის პატრონს დავითისშვილს ზაალს ასე რომ მოუხსენებია, მარხვაში ხომ არ იქნებოდა და ამ კვირაცხოვლობის კვირას ახლა არის დრო შეფიცებისა და შენთან მოაყვანიე და როგორც ამას უთხოვნია, ისე თქვენ გაურიგეთ. აპრილის **ით**, ქორონიკონს **უპწ**.

შეფ გიორგი

ქ. იოანე მდივანბეგო! როგორც იოანე — ჩემის ძმის განაჩენით არის გარდაწყვეტილი, დააფიცე ისე და მორჩი ამ საქმეს და ნულარ დააგდებ. მაისის **ია**, ქორონიკონს **უპწ**.

დავით

## 637. არზა მარდახასი ყმის თაოგაზე დავით გატონიშვილის ოქმით

**1800 წ. 20 აპრილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3509. დედანი. ქაღალდი. 22×17,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. მათის წინაშე ბედნიერის მეფის ძის დავითის მოსახსენებელი მათის მონის მაგიას ძმისწულის მარადახისაგან.

ამას მოგახსენებ: ჩვენ ასე ხელმოკლებით ვალითა დავიჩაგრენით. ჩვენმა მეზობლებმა და მოხელემა დაკარგვას ცდილობენ, მამულების მეტი აღარა დაგვრჩა რა და ერთი კვამლი კაცი. ასე გვეპასუხებიან: მამული გაყიდე და ხარჯში აძლიეო. ჩემო ხემწიფევ, ეს რა სამართალია. მეორეს მე ცალკე მაწერს ხარჯს, ამ ჩემს კაცს ცალკე. მე სანატრელის პაპისთქვენის და ბებიას თქვენის და ბატონისშვილებისაგან დამტკიცებული რომ სოფლის ხარჯომი[ა], ამ ჩემს კაცს ერთი მორიგის მეტი არა თხოებია რა; და მე უნდა მემსახუროს, მამულიც ჩემი მიცემული აქვს. ახლა ასე მეძალება, მე აღარას მეპუება და შვილს აძლევს თოფჩათა.

ღმერთი გაგიმარჯვებს, ნუ მიზამთ, ჩემს ნასყიდს ყმას ნუ წამართმევთ, ნურც სანატრელის პაპის თქვენი[ს] განწესებულს წყალობასაც ნუ გამიტეხთ. მე თქვენი წყალობის მაიმედე გახლავარ. თუ გეჭირებათ თოფჩი და ინებებთ, რომელიც განწესება[ა] გა[ა]ზატებისა, ისე წყალობა დამემართება ხემწიფე მამისთქვენისაგანა და თქვენგანა, მოგართმევ. თუ არადა, ჩემზე უსამართლოს ნუ გა[ა]ჩენთ. ღმერთი გაგიმარჯვებს.

თავში

ქ. ბატონო ბატონისშვილო იოანე, მერმეთ მარდახას კაცს თოფჩათ შემოსვლა მოუნდომებია. თუ ჩემი ძმობა გინდოდეს, ნურც თქვენ ინებებთ და არც იქნება, რადგან ნასყიდი ჰყავს. არც მოხელეს და არც არავის სხვას ხელი არა აქუს ამასთან. თავისი ნასყიდი კაცი თითონ ემსახუროს. და თქვენც ასე ინებეთ და დაუმტკიცეთ, ამას დაემორჩილოს. აპრილის კ, ქორონიკონს უპგ. დავით

## 638. არზა ჯანდიერებისა მამულის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 21 აპრილი**

ერთიანი ბიბლიოთეკა

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 5557. დედანი. ქაღალდი. 32,7×15 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ერთობლივ ჯანდიერიანთი.

დღეს აქამდინ არავინ გვდაევებია. დღეს კალაურნი შეყრილან ჩვენზედ, აღარც მინდორში გაგვატარეს, აღარც ტყეში. ჩვენს სამკვიდრო მამულში შიგ თოფითა და იარაღით დგანან და ხვნენ და კიდეც გვემუქრებიან. და გაფიცულნიც არიან, თუ იმათი კაცი მოვიდეს, მოვკლათო. თუ სადავო აქვსთ, თქვენთვის უნდა მოეხსენებინათ; თუ არადა, არა კაცი არ წამხდარა, რომ ჩვენ ესენი გვახდენენ. იმათის ზორბიდამ გამოგვიხსენით ამდენი ქრისტიანენი, მანამდი თქვენს წინაშე ვილაპარაკებდეთ, რომ ესენი შფოთს დაგვეხსნენ. გზებიც კი ჩაგვიხერგეს, რომ ჩვენს კაცს ვერ გაუვლია, შფოთზედ დგანან. ჩვენ უხნავ უსარჩო[ო]თ ვიკარგებით. აპრილის კა, ქორონიკონს უპჱ.

თავში

ქ. უგანათლებულესო შვილო, ბატონო ბაგრატ, მერე ამ არზით თავადთა და გლეხთა ასე რომ მოუხსენებიათ, შენ ყადაღა უნდა უყო, რომ შფოთი არა მოუვიდესთ რა. ის მამული ორთავა ხნან, მანამდის ჩვენ კახეთში მოვიდოდეთ. და როდესაც მოვალთ მანდ, ჩვენ გავარიგებთ. აპრილის კა, ქორონიკონს უპჱ. მეფე გიორგი

## 639. არზა ვახუშტი იაშვილისა ულუფისა და ჯამაგირის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 22 აპრილი**

ცსსა. ფ. 1448. № 4292. დედანი. ქაღალდი. 28×14,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის, ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის იაშვილი ვახუშტისა.

ორი წელიწადია თქვენი წყალობა არა მბოძებია. ახლა ცოლ-შვილის პატრონი ვარ. [ა]ყალმაყალი იყო და ჩემი შეწუხება ვერ მოგახსენე. მეცა და ჩემი ხიზანიც, დიახ, შეწუხებულნი გახლავართ. რაც სა-

ნატრელის ბატონისაგან წყალობა მჭირდა ულუფისა და ჯამაგირისა, გევედრებით რომ თქვენც გვიბოძოთ და თქვენს საფარველს ქვეშ მაძლებინოთ. თუ ასე ღარიბათ არ გახლდე, მე თავს არ [illegible] თქვენს იქით გზა არსათა მაქვს. აპრილის **იზ**, ქორონიკონს **უპჱ**.

თავში

ქ. ბატონო სარდალ სალთხუცესო მუხრანის ბატონო ი ო ა ნ ე! მერე ამ ვახუშტი იაშვილს საიდამაც გზა მიეცემოდეს, შენ გაურიგე და მიეც და ჩვენც დაუბეჭდავთ და მივცემთ. აპრილის **კბ**, ქორონიკონს **უპჱ**. მეფე გიორგი

## 640. არზა გოგია ბითაძის ცოლისა შვილების თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 24 აპრილი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 717. დედანი. ქაღალდი. 26×13,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტალი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ბ ი თ ა ძ ე გ ო გ ი ა ს ცოლისა.

ამას წინად ხ მ ა ლ ა ძ ე ზ ე დ ოქმი მიბოძეთ და ბ ე ჟ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ი ი ო ს ებ იასაული იყო, რომ თ ა ქ თ ა ქ ი ს შ ვ ი ლ ე ბ ი ს ა გ ა ნ ჩემი შვილები გასყიდული მყვანდა. იასაულს ოქმი წა[ა]რთვეს და ავათაც მე[ე]პყრნენ. ის ჩემი შვილები ორივ თქვენთვის მამირთმევია და ოსებში ნუ და[ა]ყიდვინებთ. აპრილის **კდ**, ქორონიკონს **უპჱ**.

თავში

ქ. უგანათლებულესო შვილო ბატონო დ ა ვ ი თ! ამ არზის პატრონი ასე რომ ჩივის შვილები თაქთაქიშვილებისაგან გასყიდული მყავსო, ამის საქმე სამართლიანის საქმით შენ გაურიგე და გაურიგებელს ნუ გაუშვებ, რიგიანის საქმით გარდაუწყვიტე, ჩვენთან ნულარ აჩივლებ. აპრილის **კე**, ქორონიკონს **უპჱ**.

ამ საქმეზე ეს ბეჟანიშვილი განგვიწესებია, იასაული მაინც ეს ყოფილა. მეფე გიორგი

აპრილის **კდ**, ქორონიკონს **უპჱ**.

## 641. არზა პაატა მელვინეთხუცისშვილისა ოგლისა და საქვრივოს თაოგაზე დავით გაბონიშვილის ოქმით

**1800 წ. 26 აპრილი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 404. დედანი. ქაღალდი. 20,5×15 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. მათის უგანათლებულესობის ყოვლის საქართველოს მეფის ძის დავითის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის მელვინეთხუცისშვილის პაატასაგან:

ჩემო ჯელმწიფევ, ერთის ჩვენის ყმის ქვრივი ჩვენს შეუტყობრად ამირეჯიბის დავითის შვილმა როსტომმა თავის მსახურს უთხოვა. და როდესაც ეს ასე შევიტყე, მიველ იმათთან და საქვრიოს თხოვნა დაუწყე. ერთს თუმანზედ გადავსწყვიტეთ, მეტი აღარ შევაწუხე; და ამ ერთს თუმანსაც ხან მეუბნება მოგცემო და ხან აღარც ამას მაძლევს.

ამ წყალობას ვითხოვ, ერთი ოქმი და იასაული მებოძოს, ის ჩემი ყმის ობოლი და საქვრიო გამომირთვას. და თუ სიტყვა ჰქონდეს რამე, თქვენს სამართალში მელაპარაკოს, ჩემო ჯელმწიფევ.

თავში

ქ. ბატონისშვილი დავით გიბძანებ ეშიკაღაბაშო, იოანე! მერმე ამას თავისის ყმის ობოლი და საქვრივო ახლავ გამოურთვი ამირეჯიბიშვილს და მოაბარე. და თუ სიტყვა ჰქონდეს რამე, სამართალში ელაპარაკოს. აპრილის კვ, ქორონიკონს უპფ. დავით

ქ. სა[რ]თისჭალის ნაცვალო გოგიავ, როგორც უბძანებია ამ ოქმით, ასე აღასრულე.

## 642. არზა დიმიტრი ჯომარდიძისა ყმის თაოგაზე დავით გაბონიშვილის ოქმით

**1800 წ. 26 აპრილი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14380. დედანი. ქაღალდი. 18×10½ სმ. დაზიანებული. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარია არ არის.

ქ. მათის უგანათლებულესობის სრულიად საქართველოს მეფის ძის დავით[ი]ს წინაშე მოსახსენებელი ჯომარდიძე [დ]იმიტრი მღვდლისაგან.

ჩემო ჯელმწიფევ, ერთი ჩემი ყმის შვილი პატარა თურმე დაობ[ლდა დ]ა წაიყვანა თავისმა ძიძამ და ციციშვილის კაცს თათანაშვილს გააზდევინა. როდესაც გაიზარდა, ამ თაგვსმა ძიძამ კიდეც გაასომხა და ცოლიც თავისთან შერთო.

მამაჩემ[მ]ა ილაპარაკა, სამართლით ეს კაცი დარჩა. შემდგომად კიდევ ეს კაცი არ დგებოდა. მე სანატრელს მეფესთან ვილაპარ[აკე]თ და პატრიარხთან, ოქმი მებოძა. ნი[ნია ჯ]ავახის[შვილი] რომ გახლდათ, იმას კიდეც უნდა აეყარა და კიდეც უნდა გაგვეჭართველებინა. იმ ჟამად იმას განსაცდელი მიადგა, თქვენი ჰირის სანაცვლო [შე]იქმნა და ეს კაცი იქავ დარჩა. ის კა[ც]ი წმინდის გიორგის მნათეც გახლა[ვთ, არ]ც ხატი აყენებს და მთელმა გალმა მხარმა იცის, რომ ჩემი ყმა გახლავთ.

მოწყალებას ვითხოვ, ერთი ოქმი და იასაული მებოძოს, რომ ის კაცი ამიყაროს და თავის სამკვიდრო მამულზე დავაყენო.

თავში

ქ. ბატონისშვილი დავით გიბრძანებ იასაულო! მერე ამ დ[იმიტრი] მღუდ[ელ]ს რომ ასე მოუხსენებია, ეს კაცი ა[ხლავ] აუყარე და ამას მოაბარე. მერე [თ]უ სიტყვა ექნება ვისმე, სამართალში ელაპარაკოს. მის უწმინდესობის ოქმიც ვნახეთ, რომ სამართალში ულაპარაკნიათ იმასთანა და სამართლით ამას დ[ა]რჩენია სანატრელის კათალიკოზის სამართლითა. აპრილის კე, ქორონიკონს უპჱ.

იასაულო! ესენი ორნივე სამართალში უნდა მოიყვანო. აპრილის კვ, ქორონიკონს უპჱ. დავით

## 643. არზა ზაზა ბარათაშვილისა ვალის თაობაზე

### გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 26 აპრილი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 26. საბუთი № 31. პირი. ქაღალდი. მხედრული. იქვე, საბუთი № 32.

[32] მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის იასე მდივნის შვილის ზაზასაგან.

მერე ჩვენო ხელმწიფევ, მოქალაქე ავეტიქასი ორმოცი თუმანი გვმართებს, გირაო[დ] დუქნები უჭირამს და თვე და თვე სარგებელს მუდა[მ] ვაძლევთ. ახლა გვაღონებს თეთრს. წყალობას ვითხოვთ,

ერთი ოქმი გეებოძო[ს], მანამ თეთრს უშოვიდეთ, დაგვაცალოს, სარგებელი კი აიღოს. აპრილის **კე**. ქორონიკონს **უპჱ**.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავში

ჩვენი ბძანება არის ა ვ ე ტ ი ქ! მერე ამ არზის პატრონს უნდა დააცალო, მანამდის შენის თეთრის მოცემას შეიძლებდეს. სარგებელი ხომ გეძლევა და თავნი კი უნდა დააცალო შეძლებამდის. აპრილის **კვ**. ქორონიკონს **უპჱ**.

## 644. არზა ევსტათი ციციშვილისა სახელოს თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 29 აპრილი**

ქ. მარჯვის სახელობის საჭ. სსრ სახელმწიფო ბიბლიოთეკა. S –81. დედანი. ქაღალდი. 26×14,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ქალაქის მოურავის ე ვ ს თ ა ტ ი ს ა.

თქვენი წყალობა მჭირს და მოურავი გახლავარ. ჩემს სახელოს სხვანი არიგებენ და მე უქმად გახლავარ. ჩემს მტრებს ასე დაუნახვებიათ ქვეყნისათვისა.

წყალობას ვითხოვ, როგორც მამაჩემს სჭირდა თქვენი წყალობა და ესაქმოს და ემსახუროს, ისე მე მებძანოს თქვენი სამსახური. ქვეყანამ შეიტყოს, რომ თქვენს სამსახურში ვიმყოფები. აპრილის **კჱ**, ქორონიკონს **უპჱ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის მელიქო დ ა რ ჩ ი ა ვ! მერე ჩვენ[ი]ს დისწულ[ი]ს ქალაქის მოურავ[ი]ს ე ვ ს ტ ა თ ი ს ა ამრიგად უნდა იცოდე რომ, რომელიც ამისი საქმე იყოს და ან საკითხავი, ყველას უნდა ჰკითხემდე ხოლმე; როგორც აქამდის ყოფილა, ახლა ისე უნდა და იმ რიგად კიდეც უნდა ისამართლოს და საქმეც ისე გა[ა]რიგოს. ამ ქალაქში რომელიც საქმე იქნებოდეს, უამისოთ ნურას დაიჭერთ და არც იქნება; რომელიც მოურავის საქმე არის უამისოდ არ იქნება და არც უამისოთ უნდა იქმნებოდეს. აპრილის **კთ**, ქორონიკონს **უპჱ**.

ეს მეორე ოქმი მოგვიცია და ასე უნდა იქმნას, რაგორც გვიბძანებია. ძეფე გიორგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 645. არზა ლაზარე ვარძიელაშვილისა ყმობის თაობაზე დავით გატონიშვილის ოქმით

**1800 წ. 30 აპრილი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 34. საბუთი № 223. პირი. ქაღალდი. მხედრული. არზის თარიღი მცდარი უნდა იყოს.

[164] მათის უგანათლებულესობის სრულიად საქართველოს მეფის ძის დავითის წინაშე მოსახსენებელი მათის ყმის ვარძიელაშვილის ლაზარესაგან.

მე, ჩემო ხელმწიფევ, ქისიყელი გახლავარ. მამაჩემს იქ კაცი შემოკლდომია, აყრილა და ქართლში გხლებია და დავითიშვილს ჩელტია იასეს შე[ე]ხიზნა. ახლა აღარ მიშვებს. მამაჩემი თქვენის ჭირის სანაცვლო შეიქნა. ორი ობოლი დავრჩით. ჩემი ძმა აქ გიორს სომეხთან დამიგირავა, მეც ასე მძლავრობს და მაწუხებს. მეტი ღონე არსაითა მაქვს.

სანატრელის ბატონის პაპის თქვენის ოქმიცა მაქვს, რომ ამას ჩემთან საქმე არა აქს რა. მართალია, ხიზნათ გახლდით იმასთანა, ამის მეტი დავა არა აქვს რა. ის ისე დავითისშვილიც თქვენის ჭირის სანაცლო შეიქნა და იმისი შვილი გლახა აღარ მეშვება, [v] ჩემი ყმა ხარო.

ხუთი სული ხიზანი გახლავართ. ღმერთი გაგიმარჯვებს, ნუ დაგვკარგავთ. მრავალი ხიზანი კაცი მდგარა ქართლში, მაგრამ ყმობით კი არავინ დასჭიდებია, ჩემო ხელმწიფევ. მაისის ა, ქორონიკონს უპჱ.

თავში

ბატონიშვილი დავით გიბრძანებ დეკანოზისშვილო იოსებ! მერმეთ ამ არზით რომ ასე მოუხსენებია, რადგან ნეტარხსენებულის პაპის ჩვენის ოქმი აცხადებს, რომ ხიზანი ყოფილა და მაგისი ყმა არა, ხელი უნდა აუმართო და სახასოთ იყოს. და თუ საბუთიანი სიტყვა ჰქონდეს ვისმე, ჩვენ მოგვახსენოს და უსამართლოდ არ წავართმევთ. აპრილის ლ, ქორონიკონს უპჱ.

## 646*. არზა ნიკოლოზ თუმანიშვილისა დუქნების წილის თაობაზე დავით მემკვიდრის ოქმით

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1801 წ. 28 აპრილი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 306. დედანი. ქაღალდი. 27×16,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის იმპერატორების დიდებულების ნებით მმართებელის და მემკვიდრის მეფის ძის დავითის წინაშე მოხსენება თუმანისშვილის მათის მონის ნიკოლოზისა.

მანუჩარ მდივნის ოქმი გებოძათ ჩემზე, ამილახვარი იასაულია, ორი კალამი უჩივლია დუქნების ქირა და მიწის ღალა. მაგდენიც არა არი რა, მაგრამ თუ წილი არ მიძევს კურთხეულს ჯელმწიფე მამათქვენი მომიტყუებია და გადამაჯდევინე, რომ ჩემისთანამ კაცმა ველარ გაბედოს, საბაოთ ღმერთს ვიფიცავ, რაც თუმანისშვილები ვართ, ყველას წილი უძევს; და მე უფროსის ძის შვილს წილი როგორ არ მექნება. ეგნატე მდივანი, დიმიტრი მდივანი და ბირთველ მდივანი მანდ გახლავან, ჰკითხეთ თუ წილი არ მიძევს, მანუჩარმა ორმოცი თუმანი და სამასი კოდი პური შეჭამა იმ დუქნებისა და მიწისა. მე უფროსის ძმის შვილს წილი როგორ არ მექნება. მაგის უსამართლობა გაშინჯეთ. ცრუობით თითონ ოქმი დაუწერია, თქვენთვის დაუბეჭდინებიათ. ამილახვარი იასაულათ მადგა, ცხრა მინალთუნს და ცამეტს კოდს პურს მთხოვს. თქვენი რის[ხვა] არა მაქვს, მანამ სამართალში არ მოვალ, სულ რომ ამიკლოს, არ მივცემ. თქვენი წყალობა პურიცა მაქვს და თეთრიცა, ალალი ჩემი წილი ამიღია.

მე ამას გევედრები, ამილახვარზედ ოქმი მიბოძეთ, ამ ათს დღეს დამაცალოს, რომ თქვენი ვენაჯის მუშაობა ცოტა კიდევ მიკლია. თუ ეს არა მჭონდა, ეხლავ წამოვიდოდი და მაგის საბუთებს და წიგნებს თან წამოვიღებ[დი]. ამ ათს დღეზედ მანდ ვიახლები და თქვენთან გამოვაცხადებ როგორც კურთხეულს მამათქვენთან და თქვენს ძმას იოვანესთან. თქვენ ეს მოწყალება მოიღეთ, ამილახვარმა ის ოქმი და[ა]ყენოს, მე თავათ მანდ გიახლები.

**თავში**

ქ. ბატონო ამილახვარო გიორგი. მერმე ამ არზით რომ ასე მოუხსენებია, ეს საერთო ყოფილა, ახლავ ჯელი აიღეს ნიკოლო-

* ეს საბუთი თარიღის მიხედვით უნდა წავიდეს 766-ე საბუთის შემდეგ.

ზისაგან. რამდენსამე ხანს უკან ნიკოლაოზ აქ ჩვენთან ჩამოვა და სა-მართალში ვალაპარაკებთ და ჩვენთან გარდავსწყვეტთ. აპრილის კჱ, ქორონიკონს უპთ. | დავით |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 647. არზა იოვანე ჭავჭავაძისა ყმის თაობაზე ბაგრატ ბატონიშვილის ოქმით

**1800 წ. 1 მაისი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 53. საბუთი № 29. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[25] მათის უგანათლებულესობის ბედნიერის ჴელმწიფის ძის ბაგრატის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ჭავჭავაძე იოვანესაგან.

ერთი კომლი კაცი გამეპარა და ბაიხოში გავიდა. რას მიზეზით გამექცა ვერ შევიტყე. გევედრები ერთი ოქმი და იასაული მიბოძოთ, რომ ის კაცი [ა]ჰყაროს და მომცეს. თუ სიტყვა ჰქონდეს რამე, თქვენ სამართალში მელაპარაკოს. მაისის ა, ქორონიკონს უპჱ.

თავში

ეშიკაღასო დიმიტრი! ამ არზის პატრონს რომ კაცი გაქცევია, თუ ეს მოხსენებული ჭეშმარიტი არის, აუყარე და მოაბარე. და თუ სიტყვა აქვს რამე, ჩვენთან ალაპარაკე სამართალში. მაისის ა, ქორონიკონს უპჱ. | |

## 648. არზა ძეგველეგისა გამოსალეგის თაობაზე კათალიკოს ანტონ II-ის ოქმით

**1800 წ. 2 მაისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2734. დედანი. ქაღალდი. 34×10,5 სმ. მხედრული. ალაგ-ალაგ თითო წერტილი.

ქ. მათის უწმინდესობის მეფის ძის ანტონის წინაშე მოსახსენებელი მათ მონათ ერთობლივ ძეგველებისგან.

ჩვენი მოხსენება ეს არის: ვინცა ვინ თქვენის ბძანებით ძეგვს მოსვლა ებძანა, ვისაც შე[ე]ძლო, იქ აღარ დადგა და ისევ აიყარნენ და წავიდნენ. ამ აყრილს კაცთ გარდა, რვა კომლი ჭირმა ამოწყვიტა

და ზოგიერთი იქ გახლავსთ, მაგრამ იმათიც არყოფნა არის. ასეთი შეუძლებელნი გახლავან, არც ხარჯში და არც ბეგარში არ გვეგებიან.

და ოთხიოდ-ხუთი კომლი კაცნი გახლავართ. და ჩვენ [illegible] გაძლიერებული სოფელი გახლავსთ, იმათთან ხარჯში და ბეგარაში გვწერენ და კიდეც გვერთმევა. ამ გამოსაღებს გარდა, ხომ მოგეხსენებათ, გზა ადგილი გახლავსთ და მარტო ავლელ-ჩამომლელისაგან ილაჯი გვაქვს წართმეული, ზოგი მოძალისაგან და ზოგიერთი სტუმრისაგან. ეხლაც ბატონისშვილმა დავითმა რომ ამ[ო]იარა, ოცდახუთი კოდი ქერი გამოგვერთო და ხუთასის კაცის პური სასმელ-საჭმელი სხვა იყო.

ამას წინათ ორმოცდათექვსმეტი ხე გებძანებინათ, მოგართვით და ახლაც ორი ტივი მოგართვით, ჩვენ ჩვენი სამსახური არ გვაკლია და თქვენ მოგერთმევათ თუ არა არ ვიცით, თორმეტი მინალთულიც ეხლა სამასპინძლო გამოგვერთო. მაისის ბ, ქორონიკონს უპჱ.

თავში

ქ. ვინცა ვინ ჩვენი და ყოველნი მოსაქმენი მიხვიდეთ, ამ ძეგველებს ნურაზე შეაწუხებთ ხოლმე და ყოველითურთ ხელაღებულნი უნდა იყვნეთ ამთზედა, ამიტომ რომ საშიშს გზაზედ დგანან — შუა შარაზედ და ესენი მცველნი არიან; და არც ამათი ჯარში წასვლა იქნება, ამისათვის რომ სოფელი უკაცურად დარჩება, ერთი განსაცდელი შე[ე]მთხვევათ, ეკლესიასაც და[ა]კლდება და ქვეყანასაც. და ნურცა-ვინ გამლელ-გამომლელი შეაწუხებთ. და თუ საქმე რამ იყოს, ჩვენ შეგვატყობინებდეთ ხოლმე და ჩვენ გავარიგებთ, რომელიც მართებული იქნება.

თუ დაიჯერებთ ამ წერილსა, კარგი და პატიოსანი, თუ არა ღმერთსაც თქვენ გაეცით პასუხი და ეკლესიასაც.

ხელრთვა: კათალიკოზი.

## 649. არზა ელიზბარ თაქთაქიშვილისა ყმების თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 2 მაისი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 28. საბუთი № 50. პარი. ქაღალდი. მხედრული.

[45v] მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის თაქთაქიშვილის ელიზბარისაგან.

სადაც აქა-იქ დაფანტულნი კაცნი მყვანდნენ ან ვის[ა]ც ეჭირა, ამათი აყრის ოქმი კურთხეულის მეფისაც მქონდა და თქვენც გვევე-დრებით. ამ სი[ი]თ თითეულათ მომიხსენებია და თხოვნა შეგვი-სრულოთ.

ბიბლიოთეკა

ქ. ბ რ ე თ ს არის ბ ი თ ა ძ ე [ე] ბ ი ოთხი კომლი.

ქ. ჭ ა ლ ა ს ორი კომლი მ ა რ გ [ვ] ე ლ ა შ ვ ი ლ ი და ბ ი-თ ა ძ ე.

ქ. ც ხ რ ა მ უ ხ ა ს ერთი კომლი ა მ ი რ ა შ ვ ი ლ ი.

ქ. ს ვ ე რ ს ს ა ლ ა მ ა ძ ე.

ქ. მ უ **[46]** ხ რ ა ნ ს ორი კომლი დ ა რ ჩ ი ა ს შ ვ ი ლ ე ბ ი.

ქ. აქ ჰ [ა] ვ ლ ა ბ ა რ ს ბ უ ა ჩ ი ძ ე.

ქ. ბ ე შ ო ე თ ს ი ვ ა ნ ა შ ვ ი ლ ი.

გვევედრებით ოქმი და იასაული მიბოძოთ, ამიყარონ და მამაბა-რონ, როგორც კურთხეულის მეფის მოცემული ოქმი მიცხადებდეს. აპრილის **კე**, ქორონიკონს **უპჱ**.

თავში

ჩვენი ბძანება არის ყორიასაულბაშო დ ი მ ი ტ რ ი! ამ არზის პატრონს ასე რომ მოუხსენებია ამ სი[ი]თ, სადაც ამას კაცები ჰყვან-დეს, აუყარე და მოეც. თუ სიტყვა ჰქონდეს ვისმე, ჩვენ მოგვახსე-ნოს. მაისის **ბ**, ქორონიკონს **უპჱ**.

მე, თავადს თ ა რ ხ ა ნ ო ვ ს დ ი მ ი ტ რ ი ს, იმ ჟამში მეფის გი-ორგის ეშიკაღაბაშობა მქონდა და ეს ოქმი თავის ჴელით მიბოძა ბა-ტონმა. ამაში ცვ[ლ]ილება არა არის რა, ჭეშმარიტი ბოძებული ოქმი არის. ნოემბრის **კ**, ქორონიკონს **უჟ**.

## 650. არზა მაყაშვილებისა გაყრის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 6 მაისი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 659. დედანი. ქაღალდი. 34,5×17,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჴელმწიფის წინაშე მოსახსე-ნებელი მათის მონის მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი ს რ ო ს ე ბ ი ს ა და დ ი მ ი-ტ რ ი ს ა.

ჩვენო ჴელმწიფევ, ამთენი ხანია უსამართლოებაში ვართ და თავს გაწყენთ. თუ ჩვენ შეცოდება და დანაშაული გვაქვს რამე, ის დანა-

შაული თქვენს შვილებს და დ ა ვ ი თ ი ს და ი ო ა ნ ე ს დედის საუ-
ლავს აპატიოთ ჩვენი დანაშაული; და სამართლიანის გზით მაგ ჩვენს სახლისკაცს მოგვაშოროთ და ნიადაგ თქვენს თავის წყენ[illegible] მოვრჩეთ და თქვენის მოწ[ყ]ალებიანის სამართლით ჩვენ[illegible] და არ დავიკარგნეთ.

კახეთში მრავალი თავადიშვილები გაყრილან, ჩვენც იმათ რიგზე გაგ[ვ]ყარეთ. კახეთში თქვენი შვილი ბ ა გ რ ა ტ გახლავსთ, სამღდელონი და საერონი, იმათ უბძანეთ ფიცით და მოიკითხონ ჩვენი საქმე და ისინი მოგახსენებენ სამართალი გვჭირს თუ უსამართლო. ამის მეტი ილაჯი აღარა გვაქვს, ლამის მაგ კაცმა დაგ[ვ]კარგოს. მაისის ვ, ქორონიკონს უპჱ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ხალვათხანის ეშიკაღაბაშო ი ო ს ე ბ! მერმე ვინცავინ აქ კახნი არიან, უნდა შეჰყარო ნაზირი დ ა ვ ი თ და რ ო ს ე ბ უნდა ალაპარაკონ და რაც სამართალი იყოს უნდა გარდაუწყვიტონ. მაისის ვ, ქორონიკონს უპჱ. | მეფე გიორგი |

## 651. არზა ზაალ გურამიშვილისა გამოსაღების თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 10 მაისი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 8702. დედანი. ქაღალდი. 33,4×14 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჴელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ზ ა ა ლ გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ს ა.

რვა კომლი კაცი მყავს. ამაში, რომელიც ოჯახლამა კაცი გახლავსთ, მსახურათა მყავს ორი და ექვსი ხელმარტო კაცნი გახლანან. რომელიც იქ ოჯახლამანი გახლდნენ, იმათ[თ]ან იმსახურონ თანასწორედ, რომ უსამართლობა არ დაემართოსთ და ამ მიზეზით არ დამეკარგნენ.

იასაულები გვადგანან, გვაწუხებენ. ერთი ოქმის მოწყალება მოილოთ, რომ ამ გზით იმსახურონ. მაისის ჲ, ქორონიკონს უპჱ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის რომელნიც სათხოვრისა და გამოსაღების მოასილნი მიხვიდოდეთ! მერე ამ ზაალ გურამისშვილს ექვსი კომლის

კაცის მეტი არა ჰყოლია ხარჯის გამღები და ამის ექვს კომლს რაც სათხოვარი შეხვდებოდეს, ექვსის კომლისას გამოართმევდეთ, მეტისას ნუ სთხოვთ.

რომელნიც შემწერნი ხართ სალთხუცესი თუ მდივნები, თქვენც ასე უნდა იცოდეთ, ექვსის კომლის მეტს სათხოვარს ნუ სთხოვთ და ნურც შეაწერთ. მაისის ი, ქორონიკონს უპჱ.

მეფე გიორგი

## 652. არზა გეჟან ფავლენიშვილისა ვალის თაობაზე დავით გაბონიშვილის ოქმით

**1800 წ. 10 მაისი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 49. საბუთი № 132. პირი. ქაღალდი. მხედრული. იქვე, საბუთი № 131.

[100] მათის უგანათლებულ[ეს]ობის ბედნიერ[ი]ს მეფის ძის დავითის წინ[ა]შე მოსახსენებელი მათის მონის ფავლენიშვილის ბეჟანისაგან ეს არის.

სა[ა]კ[ა]ძე ზურაბს ჩემი ხუთი მინალთ[უ]ნი მართებს, თამასუქიც მაქვს, არ მაძლევს.

ვითხოვე ერთი ოქმი მებოძოს, როგორც იმისი თამასუქი მიცხადებს, ჩემი ახი მომცეს. და თუ სიტყვა ქონდეს, თქვენ მოგახსენოს. მაისის გ, ქორონიკონს უპჱ.

თავში

მდივანბეგო იოანე! ამ არზის პატრონს სამართალი უსაჯე. მაისის ი, ქორონიკონს უპჱ.

იასაულო კონჭახაძე სვიმონ! ეს ფული თავნ-სარგებლით გამოურთვი დ[ა] მოეც. თუ სიტყვა ჰქონდეს, სამართალში მოიყვანე.

[v] მაისის იბ, ქორონიკონს უპჱ.

იოანე

## 653. არზა ლუარსაბ მურვანიშვილისა ყმის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 17 მაისი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14208. დედანი. ქაღალდი. 28×13,9 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ლუარსაბ მურვანიშვილისა.

ერისთვის შვილმა რევაზმა კაცები წამართო აბის[ს]ა და თიღოს და[ა]სახლა ჩემი სამი კომლი კაცი. გევედრებით ეს ჩემი საჩივარი გაშინჯოთ და მოწყალება მოიღოთ. მაისის **ივ**, ქორონიკონს **უპჱ**.

პაატა აბაშიძეზედ ოქმი მიბოძოთ, ამიყაროს და მამაბაროს.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის აბაშიძე პაატავ! მერე ამ მურვანიშვილის კაცები სადაც იდგნენ, უნდა შენ აუყაროთ და ამას მოსცე და ეს ასე გაურიგო. მაისის **იზ**, ქორონიკონს **უპჱ**.

მეფე გიორგი

## 654. არზა ლუარსაბ მურვანიშვილისა ყმების გამოსალების თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ.17 მაისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1177. დედანი. ქაღალდი. 30,3×14,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ლუარსაბ მურვანიშვილისა.

ასემც თქვენს მტერს და ორგულს გაუჭირდეს საქმე, როგორათაც ჩემს კაცებს უჭირდეს. ნაპირს ქვეყანას გახლანან.

გევედრებით ოთხის წლის სითარხნე უბოძოთ, რომ აღარაფერზედ არ შეაწუხონ. ეგების ერთი სიმაგრე კოშკი გავაკეთებინო. მაისის **ივ**, ქორონიკონს **უპჱ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის რომელნიც ჩვენი მოხელენი და მოსაქმენი ხართ! მერე ამ არზის პატრონის კაცებისათვის ოთხი წელიწადი სი-

თარხნე გვიბოძებია, რომ ამ ოთხს წელიწადს ყოველისფრით თა[რ]ხანი უნდა იყვნენ. ყველამ[1] ასე იცოდეთ. ამის კაცების არაფერს ხარჯში გარევა არ იქნება. მაისის იზ, ქორონიკონს ფპჱ. | მეფე გიორგი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 655. არზა ესავ და იოანე ბეგთაბეგიშვილებისა სამართლის მიცემაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 18 მაისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2329. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჴელმწიფის მოსახსენებელი მათის მონის ე ს ა ვ ი ს ა და ი ო ა ნ ე ს ი.

ჩვენს ბიძაშვილს ბ ე გ თ ა ბ ე გ ს მოუხსენებია, სისხლის განაჩენი მაქვსო და სისხლი უნდა მამცენო. გიბძანებიათ სამართალში ლაპარაკი. ნიადაგ უსამართლოდ ჩვენს მტერობაშია და ჩვენს დაკლებასა და გაგლეჯას ცდილობს და გვაწუხებს, თორემ ჩვენთან საქმე არა აქვს რა.

ჩვენს ყმას ორიოდ თუნგი ღვინო გამოვართვით, ეგ მოგვეწია, ჩხუბი დაგვიწყო და არ დაგვანება. ჴელით მაგანაც შემოგვკრა და ჩვენც შემოვჰკარით, გატეხილობა და ჭრილობა არა მამხდარა რა, ქრთამით დიანბეგებს განაჩენი დააწერინა. დედათქვენმა ბატონმა დედოფალმა რომ გაშინჯა, უსამართლო იყო, აღარ დაამტკიცა და დააყენა. ათი წელიწადი იქნება გაბათილებულია და ახლა კიდევ ცდილობს უსამართლოთ ხარჯი მოგვცეს.

ოქმის წყალობას გევედრებით, დაგვეხსნას საბოლოოთ, შფოთს ნუ აგდებს, იასაულმა ჴელი აიღოს. და წყალობას ვითხოვთ ზ ა ა ლ მორდალზე ოქმი გვიბოძოთ — ორი თავადიშვილი იმან გამოიყვანოს, რომელიც ამგვარის საქმის მცოდნე იყოს, ორს ჩვენ მივიყვანთ. ამაზედაც და რაც სხვა კიდევ ერთმანერთში სალაპარაკოები გვაქვს სულყველაზე იმათთან ვილაპარაკოთ; და რაც იმათ გაგვისამართლონ, ორნივ იმას დავჯერდეთ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ზაალ მორდალო! მერმე ამათი იასაული შენ რომ ხარ, ორი თავადიშვილი ამისის მხრიდამ მიიყვანე, ორი ბეგთაბე-

[1] ყველათ.

გის მხრიდამ ვინც უნდოდესთ. იმათთან ალაპარაკე და სამართალი იმათ მისცენ, რაც სალაპარაკოები აქვსთ. მაისის იჱ, ქორონიკონს უპჱ. მეფე გიორგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. მისის უმაღლესობის ჩვენის ჴელმწიფის ბძანებისამებრ გამორჩევიხართ ჩვენ — ბეგთაბეგისშვილებს ბეგთაბეგს, ესავს და იოანეს თქვენ — ბატონი მდივანი სულხან, მდივანი ომან და თურქისტანიშვილი იოანე; რაც ჩვენი საბრჭო მოგხსენდესთ, ყველაზედ ყაბული გვქონდეს. თუ თქვენს სამართალს გარდავხდეთ, ღმრთისაც შემცოდენი ვიყვნეთ და ჩვენის ჴელმწიფისაცა. მაისის ით, ქორონიკონს უპჱ.

ქ. მე, ბეგთაბეგს, დამიწერია, ყაბულიცა მაქვს.

ქ. მე, ესავს, ამისი ყაბული მაქვს. ხელრთვა: ესავ.
ქ. მე, იოანეს, ამ წერილის ყაბული მაქვს. ხელრთვა: იოანე.

## 656. არზა გიორგი სალთხუცისა მამულის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 22 მაისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 8518. დედანი. ქაღალდი. 21,3×13,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჴელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის გიორგი სალთხუცისა.

მატანს ჩვენ და თიანეთის მოვრავს მამულებზე დავა გვაქვს. წყალობას ვითხოვ თქვენს შვილს ბაგრატზედ ოქმი გვიბოძეთ, სამართლით მოგვაშველოს. მაისის კ, ქორონიკონს უპჱ. მეფე გიორგი

თავში

ქ. უგანათლებულესო შვილო ბატონო ბაგრატ, მერე ამ არზის პატრონი და თიანეთის მოურავი შენთან უნდა ალაპარაკო. რაც ერთმანეთთან დავა აქვს, ყველაზედ ჭეშმარიტებით მოარიგო. მაისის კბ, ქორონიკონს უპჱ.

## 657. არზა ნინია აფხაზიშვილისა ოქმის გოქების თაობაზე დავით მემკვიდრის ოქმით

**1800 წ. 23 მაისი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 45. საბუთი № 4. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[3] მათის უგანათლებულესობის საქართველოს მემკვიდრის მეფის ძის დავითის წინაშე უმდაბლესი მოსახსენებელი აფხაზისშვილის ნინიასაგან.

მათმა უმაღლესობამ ბატონმა მამათქვენმა ბებურა[ა]ნთ ონანაშვილის და ჩვენი სამართალი თქვენს უგანათლებულესობაზედ ბრძანა, [v] მდივანბეგები გახლდნენ და გვალაპარაკეთ, განაჩენი გვებოძა. ორი კაცი უნდა შემეფიცებინა — ერთი, რომელიც იმათი ნება იქნებოდა და მეორე, რომელიც ჩემი ნება იყო. იმათ ორი კაცი შემომიკვეთეს და მე სიმართლისათვის ორი იმათი გამორჩეული კაცი და მესამე კიდევ სხვა მივიყვანე, საცა რომ ზურაბ აფხაზის მიზეზით მამულს მედავებოდნენ ნადირა[ა]ნთ ეზოში და ჩემი მოდავე[ე]ბიც იქ იყვნენ.

ჩვენი ხატი მოვთხოვეთ და იმათ ხატი ვეღარ მოგვცეს. ლუარსაბ წამოდგა და თქვენს ეშიკაღაბაშს ხელი მისცა, რომ ვეღარ დავაფიცებო, ხელი ამიღია ამ დავაზედაო. რადგან იმ ჩემს მოდავე[ე]ბში უფროსი ის იყო და ხატიც იმას უნდა მიეცა. ამის მიზეზით ვეღარც ამათ მოგვცეს ხატი და ასე თქვეს, აღარც ჩვენ დავაფიცებთო.

ამისი იასეული იყო თქვენი ეშიკაღაბაში ერასტისშვილი ნინია, მოფიცარი კაცებიც მაგისი პირით შემომიკვეთეს, რომელიც დღეს აქ გახლავსთ და მაგასაც ჰკითხეთ. ამ საქმეში სხვანიც მრავალნი გახლდნენ.

და ამ წყალობას ვითხოვ, რომ გარდაწყვეტილობის ოქმი მებოძოს. ამას იქით ამაზედ აღარას მედავნენ, მაისის კბ, ქორონიკონს უპფ.

თავში

ნინია აფხაზიშვილს ამ არზით რომ ასე მოუხსენებია, ნინია ეშიკაღაბაშისაგანაც მოგვხსენდა, ამ მამულთან საქმე არავისა აქვს, დარჩა ნინია აფხაზისშვილს. მაისის კგ, ქორონიკონს უპფ.

## 658. არზა ზურაბ თუმანიშვილის ქვრივისა გამოსაღების თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 24 მაისი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2576. დედანი. ქაღალდი. 35,5×17 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნები ნახმარი არ არის.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი ზურაბ თუმანიშვილის ქვრივისა და ობლებისაგან.

წინაზედ ოქმი გვიბოძეთ, რომ ვინცა ვინ ჩვენს საკუთარს მამულში იდგნენ, აიყარნონ და თავ-თავის მამულში და თავათ ბატონის საყმოში მისულიყვნენ. თქვენი ოქმი უჩვენეთ, თავს არ შეიდვეს.

გევედრებით ერთი ოქმი და იასაული გვებოძოს, ან აიყარნონ ან არა ერთი ვენახის მეტი აღარა გვაქვს სამუშაოთ, ვისაც დგომა უნდოდეს, წელიწადში კომლზედ სამოცი ურემი ნეხვი მოგვიზიდოს ვენახში; ვისაც არ უნდოდეს, ჩვენი მამულიდამ აიყაროს. ღმერთი გადღეგრძელებსთ, ობლობით არაეინ დაგვჩაგროს.

**თავში**

ქ. ჩვენი ბძანება არის შატბერაშვილო გრიგოლ! მერე ამ არზის პატრონი ქვრივ-ობლები ასე რომ ჩივიან, რომელნიც ამათს მამულში დგანან, ვისიც ყმანი უნდა იყვნენ, ან წელიწადში სამოცი ურემი ნეხვი შეატანინე კომლზედ ამათს ვენახშია, და ან აჰყარე ამათის მამულიდამა და ამათი მამული და[ა]გდებინე. ეს ასე უნდა გა[ა]რიგო. მაისის **კდ**, ქორონიკონს **უპჱ**. მეფე გიორგი

## 659. არზა ოჰანეზას ქვრივისა სახლების თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 24 მაისი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 11. საბუთი № 122. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[121v] მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მხევლის აჭიმი ოჰანეზას ქვრივისა.

მელიქი შაქარა ბეითალმანობით სახლებს გვართმევს — ბატონმა მე მიბოძაო. ის სახლი ჩემის მზითვით [122] არის ნასყიდი. რვა თუმანი თქვენის ყმის ნაქმარი ვალი დარჩა, შვიდ თუმნათ ორი ოთახი არის გირაოთა, რომ ტყვის ძებნაში დაიხარჯა. ხუთი თუმანიც

ვალი ამილია, რომ სიკუდილის დღეს იმით დაგვიმარხამს. ეს ორი თუ-მანი ვალი არის. ამ ვალს პასუხი მიაცემინოთ, მერე ნება თქვენი [illegible]-დეს. თუ იმისი შვილები ტყვეობიდამ მოვლენ, ისიც თქვენი [illegible] არიან, იმათაც მაშინ ერთი პასუხი მიეცემა. მაისის **კგ**, ქორონიკონს **უპჱ**.

თავში

მელიქო დარჩიავ! ამ არზის პატრონის საქმე შენ უნდა გასინჯო, კვეზერელი დავითიც შენთან დაისწარ. მაისის **კდ**, ქორონიკონს **უპჱ**.

მათს უმაღლესობას ამ არზის პატრონ[ი]ს სახლის ალილათი ებძა-ნებინა და გაშინჯვა, რომელიც ამ დედაკაცს მოუხსენებია, თავის ზით-ვის თეთრით არის ნასყიდი, ზოგიც თავის ქმრის დაუყრია და ეს სახ-ლი უყიდნია, ვალიც რომ მოუხსენებია, ჰეშმარიტია; ტყვე[ე]ბიც და-სახსნელი ჰყავს და არც ქალაქის განწესებით მე[ე]შლება. ბძანება უმაღლესობის აღსრულდეს. თიბათვის ჱ, ქორონიკონს **უპჱ**.

ტყვის მიზეზით ვალი რომ მოუხსენებია, ჰეშმარიტი არის. ცი-დიდის ეკლესი[ი]ს დეკანოზი ტერ-არაქელ. [V] მათს უმაღ-ლესობას ეს ალილათი რომ მოხსენდ[ა], ამასვე უბძანა, რომ როგორც უნდა, ისე მოიხმაროს და თავის ტყვე[ე]ბს მოიხმაროს.

როგორც მელიქს მოუხსენებია, სამართლით და ქვეყნის განწესე-ბით უმაღლესობის ბძანებით ამას დარჩა. ხელჩართული.

## 660. არზა მეწვრილმანეებისა უსტაბაშის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 29 მაისი**

ცსსა. ფონდი 1449. საბუთი № 323. პირი. ქაღალდი. მხედრული.

მათის უმაღლესობის ბედნიერის ჴელმწიფის წინაშე მოსახსენე-ბელი მათის მონის ერთობლივ მეწვრილმანეებისა.

თქვენის ბრძანებით ასლანას უსტაბაშობაზედ ჴელი ა[ა]ღე-ბინეთ. ჩვენ უიმისოთ იოლს ვერ წავსულვართ. გევედრებით მოწყა-ლება მოიღოთ, იმისი დანაშაულობა ჩვენ გვაპატივოთ და ისევ ამაზედ

უსტაბაშობის მოწყალება მოიღოთ და უბოძოთ. მაისის **კე, ქორონიკონს უპჱ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავში

ჩვენი ბრძანება არის ასლანავ! მერე თუ აღარ მოგვატყუებ და ჩვენს სამსახურზე ბეჯითი იქმნები, მეწვრილმანების უსტაბაშობა ისევ შენთვის გვიბოძებია. მეწვრილმანებო, ესევ დაგვიყენებია თქვენს უსტაბაშათა. მაისს **კთ, ქორონიკონს უპჱ.** მეფე გიორგი

## 661. არზა სტეფანე მოსესაშვილისა სახლის თაოგაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 1 ივნისი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 8713. დედანი. ქაღალდი. 26,5×14 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ,ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის სტანბოლიდამ ტყვეთ მოსული მოქალაქე მოსესაშვილი სტეფანასი.

ქირით სხვა სახლში გახლდი. ის სახლი წამართვეს. ახლა ჩემს მოყვარეს შევკედლებივარ. იმასაც წართმევას მიპირობენ.

გევედრებით ერთი ოქმი მიბოძოთ, რომ არავინ წამართოს. მაისის **კე, ქორონიკონს უპჱ.**

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის თეიმურაზავ! მერე ამ არზის პატრონს სახლს ნუღარ წაართმევ, კმარა ამდენი სიპლუტე შენგანა. ამის სახლზედ ჯელი აიღევ. მთიბათვის **ა, ქორონიკონს უპჱ.** მეფე გიორგ

## 662. არზა ალიხანას ქვრივისა ვალის თაოვაზე იულონ ბატონიშვილის ოქმით

**1800 წ. 3 ივნისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 7646. დედანი. ქაღალდი. 21×11,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ღმერთმან მეფის ძის იულონის ჰირი ალიხანას ქვრივსა და ობოლს მომცეს.

ამას მოვახსენებთ: თქვენის ყმის მხარგძელის ცოლს ჩემი თეთრი მართებს და ვენახი გირაოთ მიწერია. აქ რომ ბძანდებოდით, თავი გაწყინეთ, ოქმი ებოძა: თუნდა გაყიდეო და თუნდა [illegible] ვ[ე]ო და ვალი გადაიხადეო. ეს ოქმი გვებოძა, იმან აღარა დადო რა, მე მოვალები და ქვრივ-ობრობა მაწუხებს. გევედრებით ერთი ოქმი და იას[ა]ული მებოძოს ან გა[ა]ყიდვინოს თქვენის ბრძანებისაებრ და ან და[ა]გირაოს და ჩემი მომცეს, რომ ჩემი მოვალე[ე]ბი გავისტუმრო. ღმერთი გაგიმარჯვებსთ. თიბათვის **ბ**, ქორონიკონს **უპჱ**.

თავში

ქ. ბატონისშვილი იულონ გიბრძანებ თულაშვილო ნინიავ! ამ არზის პატრონი რომ ასე ჩივის, ის ვენახი ან დაუგირავებინე ან გაასყიდვინე და ამისთვის თავის თეთრი მიაცემინე თიბათვის **გ**, ქორონიკონს **უპჱ**.

ბეჭედი: ტომ-სჭესით არ ნაკლისაგან იულონ ირაკლისაგან.

## 663. არზა აღალოასი ვალის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 4 ივნისი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 705. დედანი. ქაღალდი. 20,5×15,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია მძიმე და სამი წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის აღალოასი.

მირიამ სხვისა ცოტაოდენი ჯელათ თეთრი ამაღებინა ვადით, ჯელწერილი მამცა, ვადამ გაიარა, ვთხოვ და არ მაძლევს. გევედრებით ოქმი და იასაული მიბოძოთ, როგორც თავისი წერილი აცხადებდეს, ჩემი თეთრი ისე სარგებლით მოაცემინოს. თუ სიტყვა ჰქონდეს, ან მელიქთან ან ფითოაშვილს აღასთან მელაპარაკოს სამართალში. თიბათვის **გ**, ქორონიკონს **უპჱ**.

თავში

ჩვენი ბძანება არის იასაულო ლაზარევ! მერე ამ არზის პატრონი ამ არზით თეთრზედ რომ უჩივის, როგორც თამასუქი აცხადებდეს, გამოურთვი და მოეც. და თუ სიტყვა ჰქონდეს, მელიქთან და ან ფითუაშვილს აღასთან ალაპარაკე და სამართალი მისცენ. ივნისის **დ**, ქორონიკონს **უპჱ**.

მეფე გიორგი

verso

სხვა ხელით: ყორღანოვებისა მირიმანოვებთან.

## 664. არზა გოგია ცანკაშვილისა ყმოგის თაოგაზე გიორგი XII-ის ოქმით და დავით მეფის ძის განჩინებით

1800 წ. 5 ივნისი

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 24. საბუთი № 25. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[27v] მათის უმაღლესობის ბედნიერის ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ყანდაურს მსახლობელი გოგია ცანკაშვილისა.

ადამ მდივანბეგს თქვენთვის მოუხსენებია, ყანდაურაში ერთი კომლი კაცი მყავსო. მე ძველადგან თქვენი ყმა გახლავარ სახასო ყარლიაჩიდამ. ცანკა[ა]ნთ საყდარი ხომ მოგეხსენებათ, იმ ეკლესიის გამკეთებლის შვილი გახლავარ. ავის დროს მიზეზით იქიდამ რომ წამოსულან, მაგის კედლად ყოფილან. მამულის სივიწროს გულისათვის მამული ვთხოვე. ამ მიზეზით რისაც მქონებელი ვიყავით, სულ ერთიან წაგვართო და გამოგვყარა. წავედით თქვენ სახასოში, კუჰატანში გავედით. იქიდამ ტყუებით გამოგვიყვანა, აგვიკლო და კიდევ გამოგვყარა.

გევედრებით ამისი სამართალი მაღირსოთ. მაისის **იდ**, ქორონიკონს **უპწ**.

თავში

[27] უგანათლებულესო შვილო ბატონო დავით! მერე ამ არზის პატრონი და მდივანბეგი ადამ შენთან ალაპარაკე და წერილობით ამათი საქმე ჴეშმარიტებით სამართალი მიეც. თუ ჩვენი სახასო ყმა არის და სამართალში აღმოჩნდა, ხომ ჩვენს სახასო[დ] დასდვა, და თუ ჩვენი ყმა არ იქნება, იმასაც რიგიანი სამართალი უნდა მოსცე. მაისის **იზ**, ქორონიკონს **უპწ**.

მათის უმაღლესობის ბრძანებისაებრ ჩვენ, საქართველოს მემკვიდრემან მეფის ძემ დავით, მდივანბეგების თანდასწრებით ესენი სამართალში ვალაპარაკეთ და დიდად გამოვიძიეთ და ეს გოგია ცანკაშვილი ადამ მდივანბეგის ბარათის ყმად აღმოჩნდა და დარჩა ყმად სამკვიდროდ მდივანბეგს ადამს. ივნისის **ე**, ქორონიკონს **უპწ**.

ჩვენ, სრულიად საქართველოს მეფის [V] ძე იოანე, ვამტკიცებთ სამართალსა ამას. ივნისის იგ, ქორონიკონს უპჱ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 665. არზა ივანე მუნჯიშვილისა მამულის თაობაზე თეიმურაზ ბატონიშვილის ოქმით

**1800 წ. 7 ივნისი**

ცსსა. ფონდი 1449. საბუთი № 738. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. მათის უგანათლებულესობის ბედნიერის ჴელმწიფის ძის თეიმურაზის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის მუნჯისშვილის ივანესი.

გარეჯვარს მამა-პაპის ნასყიდობა მამული გვაქვს კალოსახლკარის ადგილი. ქარუმიძე გლახა და ბეციამ ალამათხანს უკან კალოები გავცვალეთ სოფლის პირითა. ამის მიზეზით გამიცვალა, რომ ჩემი კალო იმის სახლს ახლო იყო. [ჩ]ემი კალო ხომ იმას უჭირამს, თავისი გამოცვლილიც წამართო.

გევედრებით ამის სამართალი მაღირსოთ. სოფლის კაცნი დაიბარეთ და ისინი მოგახსენებენ სწორესა, როგორც არის ჩვენი საქმე. თუ სიტყვა რამ ჰქონდეს[1], თქვენს სამართალში მელაპარაკოს. თუ არადა, რას მემართლება, მოწყალეო.

თავში

ქ. მეფის ძე თეიმურაზ გიბრძანებ იოსებ! მერე ამ არზის პატრონს ამ არზით ასე რომ მოუხსენებია, შენ უნდა წახვიდე. ქარუმიძე გლახა აქ [ჩ]ვენს სამართალში უნდა ამოიყვანო და ვინცაინ ამ არზის პატრონს გარეჯვარში მოწამე ჰყვანდეს, ისინიც იქ უნდა ჩამოიყვანო. ივნისის ზ, ქორონიკონს უპჱ. | თეიმურაზ |

ქ. მე, იასაულმა იოსებმა, როგორც ბატონის ბრძანება მქონდა ქარუმიძისა და მუნჯისშვილისა, სოფლის კაცნი დაუსხი და სოფელმა გაუსამართლა. სამნები ჩაუყარეს. დღეს ამას იქით ქარუმიძესა და მუნჯისშვილს ერთმანერთთან საქმე აღარა აქვსთ. ივნისის ზ, ქორონიკონს უპჱ.

---

[1] + რამე.

## 666. არზა დიმიტრი მაყაშვილისა გაყრის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 8 ივნისი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 658. დედანი. ქაღალდი. 38,8×14 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის მაყაშვილის დიმიტრისა.

მე და ჩემს ბიძაშვილსა თქვენი შვილი იოანე და თქვენი ძმა მირიან მოსამართლე[ე]ბითა ჩვენი სამართალი თქვენ ინებეთ. იმათა საუფროსო იმას მისცეს და საუნცროსო მე მიბოძეს. რამთენს ხანს უკანა ჩემი თავი შემოგაბეზღეს თქვენა, და თქვენის წყრომითა ეხელი ამიმართეს საუნცროზედა და იმ კაცს მიაბარეს. მეორე წელიწადია ამ უსამართლობაში გახლავარ. ჩემი შეცოდება თქვენის შვილის დავითის დედის საფლავს აპატიე და ამ უსამართლობიდამ გამამიყვ[ა]ნე. ივნისის **ც**, ქორონიკონს **უპც**.

თავში

ქ. უგანათლებულესო შვილო ბატონო ბაგრატ! მერმე ამ არზით ასე რომ ჩივის ამ არზის პატრონი თუშთ მოურავი, გამოაყვანინე მდივანი სვიმონ, მდივანი იოანე, გოშპარ მაყაშვილი, მამუჩის შვილი ნინია და დეკანოზი გიორგი — ესენი დაუსხი და ამათი სამართალი თქვენ გაშინჯეთ და როგორც თქვენ სამართალს მისცემთ და გაარიგებთ, ჩვენ იმას დავბეჭდავთ. ივნისის **ც**, ქორონიკონს **უპც**. მეფე გიორგი

ქ. ხარჭაშნელი მოძღვართ-მოძღვარი და ჩოლოყაშვილი დიმიტრიც უნდა დაისწრა ამათ სამართალში. მეფე გიორგი

## 667. არზა ივანე შავდათუაშვილისა ყმობის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 9 ივნისი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 30. საბუთი № 240. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[197] მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის შავდათუაშვილის ივანესი.

თაობით გუჯარელი გახლავარ, მერმე ხიზნად ქარელში ვიდექით. ფაშა რომ შემოადგა, მაშინ წამოველ და ქალაქის პირს ვადექ. მასუკან ორჯელ დავტყვევდი — ერთხელ ოსმალიდამ გამოვექეც და მეორედ დაღისტნის გზიდამ გამოვექეც და ისევ ქალაქს გიახელ.

ახლა ქალაქის მოურავი მაწუხებს, ჩემი ყმა ხარო. მე თავადაც სახელმწიფო გახლავარ და ტყვეობი[v]დამაც თქვენს საფარველს მოვმართე.

ერთი ოქმის წყალობას ვითხოვ, რომ არავინ შემაწუხოს და თქვენს ყმად გახლდე. ჩემი გვარი სულ თქვენა გხლებიან. ივნისის **ზ**, ქორონიკონს **უპ**.

თავში

ჩვენი ბძანება არის ამ არზის პატრონო! რადგან პირველადაც სახასო ყოფილხარ და მერმე ტყვეობაც გამოგივლია, შენთან საბატონყმოდ საქმე არავისა აქვს. და როგორც ჩვეულება არის ტყვეობიდამ მოსულის კაცისა, შენც ისე სახასოდ უნდა იყო ჩვენს ყმათა. სხვა ვერავინ რას შეგაწუხებს. ივნისის **თ**, ქორონიკონს **უპ**.

თუ სიტყვა ვისმე ჰქონდეს, ჩვენ მოგვახსენოს. მეფე გიორგი

ქ. როგორც სანატრელს ჩვენს ჯელმწიფე მამაჩვენს უბძანებია, ამ ოქმით ჩვენც ასე ვამტკიცებთ. არავის საქმე არა აქვს ამ კაცთან, ჩვენი სახასო ყმა არის. მარტის **ვ**, ქორონიკონს **უპთ**.

## 668. არზა ნასიფ ჯაფარ უზბაშის შვილისა სარგოს თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 11 ივნისი**

ცსსა. ფონდი 1449. საბუთი № 1067. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. მათის უმაღლესობას ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ყაზახიდამ ნასიფ ჯაფარ უზბაში[ს] შვილისაგან.

ოთხი წელიწადია ყარაბაღიდამ გიახელ. რაც საქონელი მქონდა, სულ დავკარგე, დაღისტანში გადაიტანეს ლეკებმა. აბაზისა არა გამამყვა რა. თქვენს საბძანებელში გიახელ. თქვენის დოვლათით სამოც

თუმნამდინ სახლის ავეჯულობა მოვიქონიე, ისიც ყაზახელებმა გამქურდეს.

გევედრებით გარსევან ეშ[ი]კაღასბაშთან მიმაბარონთ. ერთი ოქმიც მიბოძოთ, წლისწლამდინ სულადიდამ, ფულიდამ მოაცემინოთ, რომ მეც თქვენი წყალობით დავრჩე. ივნისის თ, ქორონიკონს უპჱ.

თავში

ქ. ეშ[ი]კაღასბაშო გარსევან! მერე ამ არზის პატრონი შენთვის მოგვიბარებია და ამას მუდამ წელიწადს ჩვენის მახთიდამ თეთრს ხუთს თუმანს და პურიდამ პურს მისცემდე ხუთს ხარვალს; ნუ დააკლებ, ასე გაურიგებდე და მოსცემდე. ივნისის ია, ქორონიკონს უპჱ.

მეღე გიორგი

## 669. არზა ლუარსაბ ონანაშვილისა ყმა-მამულის თაობაზე დავით გატონიშვილის ოქმით

**1800 წ. 18 ივნისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 4185. დედანი. ქაღალდი. 31×14,4 სმ. შედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. მათის უგანათლებულესობის მეფის ძის დავითის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ლუარსაბ ონანაშვილისაგან.

მერე მოგეხსენებათ შარშან მე და ჩემ[მ]ა სახლისკაცმა რომ ვილაპარაკეთ თქვენთან კაცებზედა და წისქვილებზედ, თქვენ განაჩენი უბოძეთ. იმ განაჩენში სულ საკითხავი საქმე[ე]ბი იყო, თვითო-თვითო უნდა მკითხოდა და საბუთები მამეტანა. არც საბუთები მამატანინეთ, არც საკითხავი რომელიც ეწერა, არც ისე მკითხეთ. კაცებზედაც და წისქვილზედაც ხელი ამიმართეს.

ეს ვერ შევიტყე, თქვენის ბძანებით მოხდა, თუ როგორ მოხდა. თუ იმ განაჩენის ძალით მოხდა, იმაში გარდაწყვეტილი არ არის, სულ საკითხავი საქმე[ე]ბი არის. თუ მე საბუთს ვერას მოვიტანდი, მაშინ უნდა აემართათ ხელი. ჩემი ალალი ნასყიდობა არის, ნასყიდობის წიგნები უნდა გენახათ, გამოგეძიებინათ, განაჩენშიც ისე სწერია და ისე გარდაწყვეტილიყო. თიბათვის ჱ, ქორონიკონს უპჱ.

თავში

ქ. საქართველოს მეფის ძე მემკვიდრე დავით მოგიწერ ეშიკაღადბაშო იოანე! ამ არზით ლუარსაბ ონანაშვილს ყორიასა-

ულბაშს ასე რომ მოუხსენებია, ზაქარიას განაჩენში ასე უწერია, რო-
გორც ამას მოუხსენებია, ის განაჩენიც მოატანინე, ლუარსაბის ნასყი-
დობის წიგნებიც მოატანინე და სამართალი ისე მიეცემათ. მინამდის
გამოძიებით სამართალი არ მიეცემა, მანამ წისქვილსა და კაცებზედ
ხელის ამართვა არ იქნება. სამართლის გარდაწყვეტამდი ისევ ლუარ-

საბს უნდა ეჭიროს. ივნისის იგ, ქორონიკონს ჳპჱ. | დავით |

მინაწერი იმავე ხელით: „დავით ბატონისშვილის ოქმი არის“.

## 670. არზა ევგენ აბაშიძისა სარგოს თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 15 ივნისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 4361. დედანი. ქაღალდი. 33,5×14 სმ. მხედრუ-
ლი. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჴელმწიფის წინაშე მოსახსე-
ნებელი მათის მონის ე ვ გ ე ნ ა ბ ა შ ი ძ ი ს ა.

მოწყალეჳ ჴელმწიფევ, ჩემზე ასეთი მოწყალება მოიღევით რომ
ჩვენთვის ულირსი, ჩვენც ამას ვითხოვთ, ყოველს მამის ჩემის შვილო-
ბას თქვენს წინ თქვენს ერთგულობაზე სისხლის დანთხევა გვეღირსე-
ბოდეს.

ამ წყალობასაც ვითხოვთ, რომელიც თქვენის უმაღლესობისაგან
წყალობა გვჭირს ნაზირობისა და მემანდრობისა, იმის სარგო თქვენად
დაუსაკლისოთ იჯარადრები და მემანდრები მოგვცემდნენ, რომ იმით
თქვენს კარზედ პურსა ვჭამდეთ და გემსახურებოდეთ. ერთი ასეთი
ოქმი და იასაული გვებოძოს, რომ ის აგვართვას. ივნისის ია, ქორო-
ნიკონს ჳპჱ.

verso

ქ. სტეფანე გურგინბეგის შვილო*. ქ. სტეფანა მიღდისისშვილ-
ზედ, ქ. პაპაშვილზედ, ქ. ბურნუთისა და ბეჭდის იჯარადარზედ, ქ. სალ-
ბაშზედ, ქ. სპილენძის იჯარა, ქ. ყასაბხანა, ქ. ენდროს იჯარა, ქ. შარ-
შანდელი და წლევანდელი რუსუმი.

* შემდეგ სწერია: „მეჰმანდარი აკოფაზედ“, რაც ხაზგადასმულია.

ქ. მისკარბაშო ი ო ს ე ბ! ამ აბაშიძე ევგენს ამ თავის საქმის შენ გაურიგებდე სამართლიანად. ივნისის იე, ქორონიკონს უპჯ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფე გიორგი

## 671. არზა ხოსრო ხოსრუაშვილისა მამულის თაობაზე ვახტანგ ბატონიშვილის ოქმით

**1800 წ. 15 ივნისი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3241. დედანი. ქაღალდი. 21,7×18,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. მისის უგანათლებულესობის მ ე ფ ი ს ძ ი ს ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს წინაშე მოსაჯსენებელი მათის მონის ხ ო ს რ უ ა შ ვ ი ლ ი ს ხ ო ს რ ო ს ი.

ჩემო ჯელმწიფევ! თქვენი წყალობა დაგვემართა და ჭ ი ლ უ რ ტ ს მ ა ჩ უ რ ი ს ბეითალმანი მამული გვიბოძეთ. ეს მამული რომ კარგა ხანი ბეითალმნათ ყოფილა, ამ მიზეზით ვინც მოხვედრია, ყველას თავისთვის გაუგლეჯია და ასე დაუმცირებიათ, რომ ამ მამულიდამ ბევრი გვაკლია, ვიცით სხვასთ უჭირავსთ, მაგრამ არ გვანებებენ: ფ ა რ ე შ ი შ ვ ი ლ ს ა ც უჭირავს, ს ი ს ო უ რ ს ა ც უჭირავს, კ ი ტ რ ი ს შ ვ ი ლ ს პ ა წ ა წ უ ნ ს თავის ვენახს ზემოთ იმისი ნავენახობი უჭირავს. ამას გარდა სხვასაც გვედავებოდა. მამაჩემმა და იმან თქვენს სამართალში ილაპარაკეს და მოწმე[ე]ბი მოკითხეთ; მოწმე[ე]ბმა როგორც იყო იცოდენ და ღმრთის წინაშე ისე იმოწმეს.

მერე რომელსაც ეს კიტრიშვილი მიწას გვედავებოდა, ის მიწა ჩვენვე გეებოძა თქვენის სამართლით, თქვენი ნაბოძები განაჩენი ისევ გახლავსთ. ახლა დღეს გუთანი შევიტანეთ მოსახნავათა და გამოგვიგდო, არ დაგვანება: მალვით რაღაც წიგნი დააწერინეთ, მე იმით მამულს როდის წავირთმეო. ეს თქვენი ნაბოძები განაჩენი თქვენი ბეჭედი ზედ აზის მოწმე[ე]ბი ში[გ] სწერიან. თუ ამისთანა წიგნი სხვაგან მოპარულა სადმე, ესეც მალვით დაწერილი იქნება, თუ არა ამ კაცმა ეს თქვენი ბძანება არ შეიწყნარა.

თავად მოგეხსენებათ მტრისაგან დავიღუპე[ნ]ით და რაღაც გადავრჩით, მაგ კაცს ჩვენიც დაკარგვა უნდა იმ ადგილიდამ. გევედრებით რომ სამართალი მაღირსოთ. ეგ ნიადაგ ძალსა და ხმალზე დგას. ჩვენ მაგათი ბრძოლა არ შეგვიძლია. რადგან თქვენი წყალობა დაგვე-

მართა — მაჩურის მამული გვიბოძეთ, ვისაც ამ მამულისა უჭირავს კიტრიშვილსა თუ სხვასა, თქვენის სამართლით ყველას ვედავები.

ჩემო ჯელმწიფევ, მე რომ სულ არ მიბოძოთ ეს მამული, მაინც თქვენი მამული სხუამ მალვით რათ უნდა ჭამოს. გევედრებით ღმრთის წინაშე სამართალი მაღირსოთ. ღმერთი გაგიმარჯვებსთ. ივნისის **იბ**, ქორონიკონს **უპჱ**.

თავში

ქ. ბატ[ო]ნისშვილი ვახტანგ გიბრძანებ ნაზირო რ ე ვ ა ზ და ბოქოულ[თ]ხუცის შვილო ი ო ა ნ ე! მერე ამ არზის პატრონი რომ ასე ჩივის, რომელიც ჩვენგან დამტკიცებული განაჩენი უცხადებდეს და ან მ ა ჩ უ რ ი ს მამულს რომელსაც ადგილებს ნიშნევდეს, ისე გაურიგეთ და მიაბარეთ ამ არზის პატრონს. და თუ ჰეშმარიტი სიტყვა ჰქონდეს ვისმე, მოვიდეს და ჩვენთან ილაპარაკოს. მაგრამ თუ გამტყუნდება, იცოდეს რომ ავად მოპყრობით გარდახდება. ამას [გ]არდა, ამან ვისაც მაჩურის მამული უპოოს რომ მოპარვით ეჭიროს, ისიც ჩვენ მოგვახსენეთ. ივნისის **კე**, ქორონიკონს **უპჱ**.

ქ. მაჩურის მამულისა კიტრისშვილს უპოოს თუ სხვას მეზობელს, უნდა რომ ყველამ და[ა]ნებონ, რას ემართლებიან, სამართლიანის საქმით.

ბეჭედი: რტოდ ვარ დავითის, მგელ-ლომად ვით ის, ვ ა ხ ტ ა ნ გ ვამტკიცებ მეფის ძეობით.

## 672. არზა ყორჩიბაშიანთა ღალის თაობაზე

### გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 16 ივნისი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 49. საბუთი № 70. პირი. ქალაქდი. მხედრული.

[44] მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ერთობლივ ყ ო რ ჩ ი ბ ა შ ი ა ნ თ ი.

მოგეხსენებათ ა რ ა შ ე ნ დ ა ჩვენი არის. მამის თქვენის განაჩენიცა გვაქვს და ოქმიც არის.

გევედრებით თქვენს შვილს ბ ა გ რ ა ტ ზ ე დ და ი ო ა ნ ე მდივანზედ ერთი ოქმი გვიბოძოთ, წლევანდელი ღალა მოგვცენ. ივნისის **იგ**, ქორონიკონს **უპჱ**.

თავში

უგანათლებულესო შვილო ბატონო ბაგრატ და მდივანო იოანე. მერე ამ არზით ყორჩიბაშისშვილები ასე რომ ჩივიან, რაგან არაშენდა ამათი მამული არის, ხომ ვერ წავართმევთ. ამ საქმეზედ კურთხეულის ბატონის ოქმებიცა აქვსთ და ამ მამულის ღალას ყოველწლივ თქვენ უნდა გაურიგებდეთ და ამათ მოსცემდეთ. ივნისის **ივ, ქორონიკონს უპ**.

თუ სიტყვა ჰქონდეს ვისმე ან თქვენს სამართალში ალაპარაკეთ და რიგიანად მოარიგეთ. და თუ მანდ ვერ მოარიგოთ, ორნივ ჩვენს სამართალში გამოისტუმრეთ.

## 673. არზა ნიკოლოზ თუმანიშვილისა ყმების თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 21 ივნისი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3948. დედანი. ქაღალდი. 19,7×15,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი თუმანისშვილის ნიკოლოზისა.

ხუთი კომლი კაცი მყავს აჭა. ექვსი წელიწადია არა უმსახურნიათ რა.

წყალობას ვითხოვ, ოქმი და იასაული მებოძოს, ბატონყმობის რიგზედ მემსახურნენ. თუ სიტყვა ქონდეს რამე, სამართალში მოგახსენონ. ივნისის **ვ, ქორონიკონს უპ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის, საყვარელიძე გოგიავ! მერე ამ არზის პატრონს ეს თავისი კაცები, როგორც ბატონყმობის რიგი იყოს, სამართლიანის საქმით ამსახურე.

თუ სიტყვა ჰქონდეთ რამე, ჩვენ მოგვახსენონ. ივნისის **კა, ქორონიკონს უპ**.

მეფე გიორგი

# 674. არზა ლუარსაბ ონანაშვილისა ყმა-მამულის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 25 ივნისი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 664. დედანი. ქაღალდი. 31,3×16,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მორის ლუარსაბ ონანაშვილისაგან.

მერე მე და ჩემი სახლისკაცი ზაქარია შარშან ორს კომლს კაცზედ და წისქვილებზედ ვდავობდით, თქვენ შვილს დავითთან ვილაპარაკეთ, ჩემი ნასყიდი იყო კაცებიც და წისქვილებიც. თქვენმა შვილმა განაჩენი გვიბოძა. იმ განაჩენში გარდაწყვეტილი არ იყო, საკითხავი საქმე[ე]ბი იყო, უნდა საბუთები და წიგნები თქვენს შვილს ენახა და ისე გარდაწყვეტილიყო; არც საბუთები მომატანინეს, ნინია ერასტიშვილმა ხელი ამიმართა; უბატონოთ ხელის ამართვა არ გამიგონია. იმან თქვენს უბძანებლად ხელი ამიმართა[1], სამი ხარი წაიყვანა და ნება თქვენია. თიბათვის **კდ**, ქორონიკონს **უპჱ**.

თავში

ქ. უგანათლებულესო შვილო ბატონო დავით! ამ არზით ყორიასულბაშს ონანაშვილს ლუარსაბს ასე რომ მოუხსენებია, ნინია ერასტიშვილი ხომ ზაქარიას მოყვარე არის, და ეგ არ უნდა დაგეყენებინა ამაზედ იასაულად. და შენგან მიცემული წიგნიც აქვს, რომ ამათი საქმე ჯერ არ გარდაწყვეტილაო; და ჯელი აუმართამსთ კაცებზედაც და წისქვილზედაც. როდესაც ამათი სამართალი შესრულდება და გარდასწყდება, მანამდი ჯელის ამართვა როგორ იქნება; სამართლის გარდაწყვეტამდის წისქვილებიც და კაცებიც ამასვე უნდა ეჭიროს; და მასუკან როგორადაც სამართლის რიგი არის, ისე უნდა გარიგდნენ ორნივ სამართლის ძალით. მთიბათვის **კე**, ქორონიკონს **უპჱ**.

მეფე გიორგი

მინაწერი. „მეფის გიორგის ოქმი განაჩენის დაყენებისა“.

[1] ამიმართეს.

## 675. არზა დესპოტი გერასიმესი ვალის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 26 ივნისი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 47. საბუთი № 3. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[2] მათის უმაღლესობის ბედნიერის ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი თქვენის მლოცველის პორტოაიტის[1] დ ე ს პ ო ტ ი გ ე რ ა ს ი მ ე ს ი.

ეს ორი ოქმი ამილახვარზე რომ მიბოძეთ, ამ წყალობას ვითხოვ, ის ორი ოქმის საქმე თქვენს შვილს თ ე ი მ უ რ ა ზ ს ოქმი უბოძოთ, რომ იმან გამირიგოს ჩემო ხემწიფევ. სამი თუმანი და ნახევარი, რომელსაც წისქვილი უჭირავს, იმას გამომირთვას და მომცეს. ივნისის **კდ,** ქორონიკონს **უპწ.**

თავში

უგანათლებულესო შვილო ბატონო თ ე ი მ უ რ ა ზ! ვერე ხითარაშვილს ამ დესპოტის თეთრი რომ მართებს, ის რომ გაპარულა და იმისი წილი წისქვილი ყ უ ზ ა ნ ა შ ვ ი ლ ს ა ბ ე ლ ა ს დაუჭერია გირაოთა, ამისი თეთრიც იმ აბელას მოაცემინე. და წისქვილი რაც იმ ხითარაშვილის წილია, საკუთრათ ყუზანაშვილმა დაიჭიროს. და სხვასთან ვისთანაც ასაღები ჰქონდეს და გამოსართმევი, სამართლიანის საქმით გამოურთვი და მოაცემინე. და თუ სიტყვა ვისმე ჰქონდეს, მანდავ შენთან ალაპარაკე და სამართალი მიეცი. ივნისის **კვ,** ქორონიკონს **უპწ.** გიორგი

## 676. არზა ნიკოლოზ თუმანიშვილისა ყმის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 27 ივნისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 975. დედანი. ქაღალდი. 32,8×16 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის თ უ მ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ი ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს ა.

თქვენი ოქმი და იასაული მებოძა, აქ ვინც კაცი გახლდათ, ბატონყმობის რიგზედ ამსახურეო; ორი კომლი გ ა ლ ე გ ა შ ვ ი ლ ე ბ ი დაურიგებიათ: ნუ ემსახურებითო, ჩემს ბიძაშვილებს წილი არ უძევს

[1] პორტოაიცის.

თქვენშიაო. დღეს აქამდინ ყმანი იყვნენ, ჩვენს მამულში იდგნენ, ერთი საკომლო მამული მამის ჩემისაგან და ბიძის ჩემის გორჯასპისაგან ჰქონდათ მიცემული, ერთი საკომლო კიდევ ეხლა სულხანმა და მე მივეცით, რომ წიგნი შინ უძევსთ. გენებებათ, ქრისტესა და ლის კაცი მყვანან, ყველას მუჯალამას მოგართმევ; გენებებათ, სამი სოფლისა ქართლიდამ მოგართმევთ.

სულხანისაგან, მანუჩარისაგან და იმათის შვილებისაგან ამდენს ტანჯვისაგან დაგვიხსენით. სამი ობოლი და ქვრივი შესანახავი მყვანან. თუ ყმიდამა და მამულიდამ არა მერგება რა, რით დავარჩინო.

ქეყანამ იცის, გაუყრელი ოჯახი გვაქვს. უფროსი ძმისა მე გახლავარ. უნცროსის ძმისა ეგენი გახლანან. თუ საჯილდაოში გიბოძებიათ, წიგნი ექნებათ, მიჩვენონ. ჩემი თავი თქვენის ჭირის სანაცლო იყოს. ივნისის **კვ**, ქორონიკონს **უპწ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის საყვარელიძე გოგიავ! მერე ამ არზის პატრონი და რომელსაც უჩივის, ესენი მოსამართლებთან ალაპარაკე და ჭეშმარიტი სამართალი მისცენ. ივნისის **კზ**, ქორონიკონს **უპწ**.

ჩვენს შვილს იოანესთან მოიყვანე და ალაპარაკე და სამართალი მისცეს და გარდასწყვიტოს.

მეფე გიორგი

## 677. არზა მოსე თაზიშვილისა სარგოს თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 29 ივნისი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 34. საბუთი № 119. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[93v] მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის მოსე თაზიშვილისა.

მოსმაზედ დებულობა არის, რომ ერთს აბაზს გამოვართმევთ ერთს თევზედა. ჩვენ არც ჩანგალზედ აგვიღია და არც თქვენს მორთმეულზედა. ბაზარში რომ გაჰყიდიან, იმაზედ არის და გამოვართმევთ.

გევედრებით თქვენად სადღეგძელოდ მოწყალება მოიღოთ, რომ ჩვენი დებულება არ მოგვეშალოს. ივნისის **კვ**, ქორონიკონს **უპწ**.

თავში

ჩვენი ბძანება არის რომელიც მომსმელები ხართ! მერე ამ თაზიშვილს მოსეს ასე რომ მოუხსენებია, რაც დებულება არის, ხომ ვერც

თქვენ დაუჭერთ და არც უსამართლობას ეს მოინდომებს. ივნისის **კთ,**
ქორონიკონს **უპც.** და ვერც ჩვენ მოუშლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 678. არზა ფარსადან კვალიაშვილის ყმის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 3 ივლისი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 38. საბუთი № 166. პირი. ქაღალდი. ხელნაწერი.

[122] მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის კეთილშობილი ფარსადან კვალიაშვილისაგან მოსახსენებელი.

ღმერთი გაგიმარჯვებს, ჩემო ჯელმწიფე[ვ], ვითხოვ თქვენის მოწყალებისაგან, კარგად მოგეხსენებათ რევაზაშვილები ჩემი ყმები გახლავან თქვენის მოწყალებით, არ მემსახურებიან და არც თავს მიდებენ.

გევედრებით, მოწყალევ ჯელმწიფევ, დავით აბაშიძეზედ ერთი ოქმი მიბოძოთ, დამიმორჩილოს და მამსახუროს. ივნისის **კე,** ქორონიკონს **უპც.**

თავში

აბაშიძე დავით! მერე ამ არზის პატრონი ფარსადან რომ ჩივის, ჩვენის გულისათვის მიდი, ჩვენ შუა ვყევართ, რევაზიშვილები მიაბარე, ნუ აჩივლებ. ივლისის **გ,** ქორონიკონს **უპც.**

თუ სიტყვა გქონდეს, სამართალში მოგვახსენე.

მეფე გიორგი

## 679. არზა დიმიტრი ბარათაშვილისა ყმის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 4 ივლისი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 32. საბუთი № 335. პირი. ქაღალდი. ხელნაწერი.

[183] მათის უმაღლესობის ბედნიერის ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ბარათაშვილის დიმიტრისა.

ჩემს კაცს სამართალი მოეტყუებინა და ყმობიდამ თავს მართმევდა. მერე ისევ სამართალმა მე [v] მომცა და თავს არ მიდებს, არ გე-

ყმობით. ამ ორიოდ დღის წინათ თქვენც დაბეჭდეთ ჩვენი განაჩენი, რომ უნდა მოგვბარებოდა.

ახლა ერთის ოქმის წყალობას გევედრებით, რომ ის კა[illegible]-დეს, თუ თქვენ არ მიწყრებით და არ მართმევთ, თუ არადა, ნება თქვენია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავში

ჩვენი ბძანება არის ს ა გ ი ნ ა შ ვ ი ლ ო  დ ი მ ი ტ რ ი! მერე ამ არზის პატრონს ასე რომ მოუხსენებია, თავისი კაცი ახლავ უნდა მოაბარო. ჩვენ კი არ წაგვირთმევია და სხვას ვისმე რა საქმე აქვს. ახლავ უნდა მოაბარო. ივლისის **დ**, ქორონიკონს **უპჱ**.

## 680. არზა დავით მგალობლიშვილისა ყმის გათარხნების თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 8 ივლისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 784. პირი. ქაღალდი. მხედრული. ოქმის თარიღი მცდარი უნდა იყოს.

მათის უმაღლესობის ბედნიერის კელმწიფის მოსახსენებელი მათის მონის მ გ ა ლ ო ბ ლ ი ს შ ვ ი ლ ი ს  კ ო ნ დ ო ლ ი ს  მოურავის დ ა ვ ი თ ი ს ა გ ა ნ.

ასემც მტერი და თქვენი ორგული შეწუხდეს, როგორც სიბერის ჟამს მე ვიყო შეწუხებული. ორი შვილი მომესწრენ, ვამბობდი: ესენი შემინახავენ და ცოლ-შვილსაც შემინახავენ. ორივ წამართვეს, არც-ერთი ჩემთან არ გაივლის. ერთი ბიჭი არა მყავს, რომ მე თქვენს სამსახურზედ წავიდე, თან წავიყვანო, ან ცოლ-შვილისათვის ცეცხლი ამინთოს.

ერთი კვამლი კაცი ვიყიდე  ო თ ა რ  თ ო თ ა ძ ე, ორის დღის მიწა მიმიცია, იმაზედ ცხოვრებს (sic), რომ იმ ალაგს არა მდგარა რა. თქვენი რისხვა ნუ მომეცემა, არც მკვიდრი მამული იყოს და არცარა სხვა ეჭიროს.

ამ კაცის მოწყალებას გევედრებით, რომ ხარჯიდამ, ბეგრიდამ, ყოვლის ფერიდამ ამოუშოთ, მოწყალებათ მებოძოს, რომ თქვენი სამსახურიც შევიძლო; თუ მოწყალებას მოიღებდე, დავთრიდამ ამამიშლევინოთ, რომ სხვა გლეხთ იმისი ხარჯი არ დაედოს. მკათათვის **ც**, ქორონიკონს **უპჱ**.

თავში

ჩვენი ბრძანება არის სალთხუცებო მდივნებო და ჩვენო მოსაქმეო[ნო]! მერე ამ კონდოლის მოურავის მდივნის დავითის ყმა რომ არის თოთაძე ოთარა, ეს ჩვენის ხარჯიდამ და გამოსაღებიდამ გაგვითარხნებია. ამას უნდა მსახუროს. და როდესაც ჩვენი იასაული მიხვიდოდეთ, ამ კაცის ბარათს გამოართმევდეთ, მდივანს დავითს და ჩვენს ანგარიშ[ში]ი ჩაგივარდებათ. ივლისის **დ**, ქორონიკონს **უპჱ**. მეფე გიორგი

როგორათაც მათს უმაღლესობას ბატონს მამაჩვენს უბოძებიათ ეს სითარხნის ოქმი, ჩვენ, მათი შვილი მემკვიდრე დავით, ისე ვამტკიცებთ. ივლისის **ჱ**, ქორონიკონს **უპჱ**. დავით

მეფის ძე იოანე წიგნსა ამას ვამტკიცებთ. ივლისის **ჱ**, ქორონიკონს **უპჱ**. იოანე

## 681. არზა დავით ოქრომჭედლიშვილისა მამულის თაობაზე დავით მემკვიდრის ოქმით

**1800 წ. 11 ივლისი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 31. საბუთი № 204. პირი. ქაღალდი. მხედრული. აქვე, საბუთები №№ 193, 195, 233.

[145] მათის უგანათლებულესობის მეფის ძის მემკვიდრე დავითის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ოქრომჭედლის[v]შვილის დავითისაგან.

მერე ამდონი ხანია თე[თ]უზა ფავლენის შვილი ვერანობის მიზეზით ჩემის კაცების ბეითალმანის მამულის მიწებს მოძლავრებით მართმევს და მგლეჯს. ხემწიფეს მამა თქვენს მოვახსენე და ოქმი მიბოძა თქვენზედ და თქვენც ოქმი და იასაული მიბოძეთ, მაგრამ სამართალს არ დამორჩილდა და არ ჩამოვიდა.

წყალობას ვითხოვთ, როგორც მამა თქვენის ბრძანება იყოს, რაც ჩემს სიაში მამული მეწეროს, შარშანდელი ღალაც და წრევანდელი[1] ღალაც ისე მომაბაროს. და თუ სიტყვა აქვს, მასუკან სამართალს დამორჩილდეს და მელაპარაკოს. ღმერთი გაგიმარჯვებთ, უსამართლოთ

---

[1] წრევანდელი.

თქვენს დროში რათ უნდა მგლეჯდეს, მლაშკრობდეს[1]. მკათათვის 3. ქორონიკონს უპმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავში

ქ. ეშიკალაბაშო შანშე! მერე ამ არზით რომ ასე მოუხსენებია, შარშანდელი და წრევანდელი ღალა უნდა გამოურთვა და მოაბარო. და რაც სიაში მამული უწერია, ისიც უნდა მოაბარო.

და თუ სიტყვა აქვს, ჩვენს სამართალში ელაპარაკოს. და თუ ეს გაიმტყუნა, ერთიორად ამ ღალას გამოვართმევთ და თეიმურაზს მივსცემთ. ივლისის ია, ქორონიკონს უპმ.

## 682. არზა დიმიტრი ციციშვილისა მამულის თაობაზე დავით ბატონიშვილის ოქმით

**1800 წ. 13 ივლისი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 805. დედანი. ქაღალდი. 21,3×15 სმ. მხედრული.

ქ. მათის უგანათლებულესობის საქართველოს მეფის ძის დავითის წინაშე მოსახსენებელი ციციშვილის დიმიტრისა.

სურამს ერთი ვენახი ჩემგან მაქვს და ჩხეიძის ბუში გახლდათ ჩემთან და ის ვენახი ჩემგან აქვს მიცემული. მანამდინ ის ჩხეიძის ბუში კიკოლ[ა] ცოცხალი გახლდათ. მანამდინ ჩემი ხელდებული გახლდათ. ახლა ის თქვენის ჭირის სანაცლო შეიქნა და ერთი შვილი დარჩა. აქამდინ მტყუვა — შენ გეახლებიო და ვენახს ნუ წამართმევო. ახლა აღარ მეახლა, ვენახს რაღათ დავანებებ.

ახლა ამ წყალობას ვითხოვ. იასე მურვანისშვილზედ ერთი ოქმი მიბოძოთ, ის ჩემი ვენახი მე დამანებოს. და თუ სიტყვა აქვს რამე, სამართალში მელაპარაკოს. და თუ ვენახზედ ხელს ვერ აიღებს, თითონ მეახლოს. ამისი ოქმი მიბოძე. ივლისის იგ, ქორონიკონს უპმ.

თავში

ქ. ბატონო აბაშიძევ ევგენ! მერე ამ არზის პატრონი ამ არზით რომ ასე ჩივის, ამისი საქმე რიგიანის საქმით თქვენ გაარიგეთ. ივლისის იგ, ქორონიკონს უპმ. დავით

---

[1] მალშკრობდეს.

## 683. არზა ეგნატე თუმანიშვილისა ყმის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 16 ივლისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 1929. დედანი. ქაღალდი. 25,5×15,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი და მძიმე.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ე გ ნ ა ტ ი ს ა გ ა ნ.

მერე დ ა ლ ა ლ ა შ ვ ი ლ ი გახლდათ თქვენი სახასო აზნაურშვილი ის ახლა მდევარში თქვენის ჰირის სანაცვლოთ გამხდარა, უცოლშვილო გახლდათ. იმას ერთი კომლი გლახა კაცი ჰყვანდა. ჯ ე ლ თ უ ბ ა ნ ს ჩემს კედლათ დგას.

წყალობას ვითხოვ ის კაცი მე მებოძოს. მოგეხსენებათ კაცნი ჰირმა ამომიწყვიტა და აღარა მყავს და ამისთვის თავს გაწყენთ. ჩემო ხელმწიფევ. ივლისის **იე**, ქორონიკონს **უპჱ**.

და ერთი კომლი კაცი აქ ქალაქში გახლავსთ. და ამათი წყალობა დამემართოს, რომ ერთმანერთის სახლის კაცები არიან. ეს ს ა ი ფ ა შ ვ ი ლ ე ბ ი საცა არიან, სულ ერთის სახლის კაცები არიან; ამათი წყალობა დამემართოს.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის მდივანო ე გ ნ ა ტ ე! მერე როგორც ამ არზით მოგიხსენებია და ეს კაცნი გითხოვნია და თუ ასე არის და მოდავე არავინა ჰყავს, ეს კაცნი შენთვის გვიბოძებია, და თუ სიტყვა და დავა ჰქონდეს ვისმე, ჩვენ მოგვახსენონ. ივლისის **ივ**, ქორონიკონს **უპჱ**.

მეფე გიორგი

## 684. არზა ბირთველ თუმანიშვილისა ვალის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 25 ივლისი**

ცსსა, ფონდი 1450. დავთარი № 17. საბუთი № 182. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[183] მათის უმაღლესობის ბედნიერის ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ბ ი რ თ ვ ე ლ ი ს ა გ ა ნ.

შარშან აქ გახლდი და თქვენს უმაღლესობას არზი მოვართვი, რომლითაც ჩემის ყმის დანარჩენისა მოვლა და პატრონობა გთხოვეთ. ღმერთმან უმეტესად განაძლიეროს თქვენი ხელმწიფება, თქვენც ოქმი

მიბოძეთ: შენის ყმის დანარჩენი შენი არის, იქიდამ ვერაფერს გაპყიდიან და არც გავ[ა]სყიდვინებთ, შენის ყმის საქონელთან არავის ხელი აქუსო.

ერთი გირაო დუქანი ვიპოე აშხარბეგასაგან მიცემული, აშხარბეგა ხომ თქვენის ჭირის სანაცვლო შექნილა. იმისმა ძმამ დათუამ თავის სახელზედ თამასუქი მომცა და იმ [v] დუქნის ქირა სარგებელში აღმითქვა, რომ უკლებრად უნდა ეძლია. აქამდის მატყუა მოგცემო. თქვენი ოქმიც უჩვენე, მაგრამ მაინც არაფერი პასუხი მომცა.

ღმერთი უმეტესად აღამაღლებს თქვენს ხელმწიფებას, ოქმისა და იასაულის წყალობა მოიღევით, რომ ჩემის ყმის დანარჩენი თავისის სამართლიანის სარგებლით გამომირთვას და მომცეს. ივლისის კ, ქორონიკონს უპჱ.

თავში

სალთხუცეს-ეშიკაღაბაშო ალექსანდრე! ამ არზის პატრონი ამ არზით ვისაც უჩივის, როგორც თამასუქი მოუცია, თავისის თეთრის თავნი და სარგებელი უნდა გამოურთვა და მოსცე. ეს ასე უნდა გა[ა]რიგო. ივლისის კე, ქორონიკონს უპჱ.

## 685. არზა ენისელთ მოურავის ზურაბისა მეციხოვნეთა თაოგაზე ბაგრატ გატონიშვილის ოქმით

**1800 წ. 29 ივლისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3125. დედანი. ქაღალდი. 21×15,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის ძის ბაგრატ ის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ენისელთ მოურავის შვილის ზურაბისაგან.

ჩემო ჯელმწიფევ, მეციხოვნე რვა კაცნი არიან განწესებულნი, ოთხნი ავათ არიან, ამათს თუ ინებებთ, ზოგს ძმა ჰყავს და ზოგს შვილი, ამათ დავითხოვთ და იმათ კი შემოვიყვანთ.

ამას გარდა, მისის უმაღლესობის ბძანება გექონდა ტყვია-წამლისა, არც ის მოგვცემია და ვისზედაც ულუფა გექონდა არას გვაძლევენ, მშივრები გახლავართ. და რაც თქვენი ბძანება იყო საბუეზე, არცარას ისინი გვაძლევენ.

გევედრებით ერთი ბეჯითი ოქმი გვებოძოს, რაც დაგვიწერია, ესენი სრულებით მოგვეცეს. მკათათვის კთ, ქორონიკონს უპჱ.

თავში

ქ. ენისელთ მოურავის შვილო ზურაბ! მერე ამ არზით მაგა ციხისა და მეციხოვნეებისა რაც მოგიწერია, ვინც მანდა დგანან, თუ [illegible] ეგენი გაისტუმრე და მაგათი ძმები და შვილები მოაყვანინე. წამალი და ტყვია ჯერ ხომა გაქვთ და თუ დაგჭირდებათ, გამოგიგზავნით. პური ხომ გა[რი]გებული და შეწერილი არის. შენ ამიტომა ხარ მანდ ციხეში, რაც მაგათთვის შევაწეროთ, შენ უნდა გაურიგო. ღვინოც ენკენისთვემდინა გაქვთ და საკლავი. და თუ არ მოუციათ და აკლია ვისმე, ეგეც შენ გაურიგე. მკათათვის კთ, ქორონიკონს უპჱ.

შაწერილია, ხომ შენ იასაულობა უნდა ჰქმნა, გამოურთო და მიატანინო. შენ იცი როგორც კარგათ და ბეჯითათ მოიქცევი. რაც გასაკეთებელი იყო და მოგწერეთ, ისიც უნდა გააკეთებინო. რაც შავაწერეთ, თუ გაგიძალიანდეს ვინმე, ჩვენ შაგვატყობინე. [ბაგრატ]

## 686. არზა არღუთაშვილებისა ყმის თაობაზე ვიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 6 აგვისტო**

ცსსა. ფონდი 1449. საბუთი № 332. პირი. ქაღალდი. მხედრული.

მათის უმაღლესობის ბედნიერის ჴელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის არღუთაშვილის ალიხანას და პაპიასი.

კურდღელაურს ივანე ნაზირს ძმისწულის დიმიტრის კედლათ კაცები გვყავს და ერთი კომლიც არტოზანში დავით მდივნის კედლათ გახლამსთ. ესენი ყრიან, ძველ გალავანში აყენებენ; ჩვენი მკვიდრი ყმანი არიან. იმათი საბუთებიც ჴელთ გვიჭირავს და დღევანდღლამდინ უმსახურნიათ.

წყალობას ვითხოვთ, ერთი ოქმი გვიბოძოთ, ჩვენს ყმებთან არავის საქმე[1] ქონდეს და როგორც უმსახურნიათ, ისრევ გვემსახურნეს. აგვისტოს ა, ქორონიკონს უპჱ.

თავში

ჩვენი ბრძანება არის! მერმე ამ არზის პატრონებს ასე რომ მოუხსენებია, ამათი ყმები სადაც დგანან, იქავ უნდა იდგნენ, ამათი იქიდამ აყრა არ იქნება. როგორც აქამდინ უმსახურნიათ ამათ თავისის ბატო-

---

1 + არავის.

ნებისათვის, ახლაც ისრე უნდა ემსახურონენ. რომელიც აყრის მუასილნი ხართ, თქვენც ასე უნდა იცოდეთ. ამათი აყრა არ იქნება. აგვისტოს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ, ჭორონიკონს **უპ**. მეფე გიორგი

## 687. არზა პეტრე მღვდლის შვილის გოგიასი გამოსალეგის თაობაზე იოანე ბატონიშვილის ოქმით

**1800 წ. 24 აგვისტო**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 5543. დედანი. ქაღალდი. 33×13,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ჭ. მისს უგანათლებულესობას მეფის ძის იოანეს წინაშე მოსახსენებელი თქვენის ხელდებულის პეტრე მღვდლის შვილის გოგიასი.

ამას გეუდრები რომ რადგან ხელსა გვდებთ, შენის ქრისტეს სიყვარულობისათვის არა გვკარგამ, ჩემს თავს სხვის ხელში ნუ ჩა[ა]გდებ დასარბევათ და წასახდენათ. თქვენი კი ჭირის სანაცვო ვიყო.

ეხლა ენისელნი რომ ჯარში მოდიოდნენ, დამაბარეს ჯარში წამოდიო. ჩემის მოდავისა მეშინოდა, თორემ დიდათ მრცხვენიან, რომ ჯარში წაუსვლელობისათვის დავირბა. გხლებივარ, ჩემი თავი თქვენი ჭირის სანაცვლო იყოს. თქვენთან რაც უნდა დამემართოს, უთქვენოდ ნურავინ მახდენს. აგვისტოს **კბ**, ჭორონიკონს **უპ**.

თავში

ჭ. მეფის ძის იოანეს სიკეთით სახსოვარო ენისელთ მოურაო დიმიტრი! მერე ეს პეტრე ღდლის შვილები მათმა უმაღლესობამ ბატონმა მამა ჩვენმა მანდ კარისა მღთისმშობლის მამულში და[ა]ყენა და ეგ ეკლესია მიაბარა. მანდ უნდა იდგნენ და მათის უმაღლესობისაგან ჩვენ გვაბარია. ამას თურმე ენისნელები აწუხებენ და [ა]რბევენ, ახლაც დაურბევიათ.

ენისლის ნაცვალსაც და ენისნელთ ასე გამ[ო]უცხადე: ამათთან მაგათ არაფერი საქმე აქვთ, არც ჯარში გამოსაყვანათ და არც ხარჯში და ბეგარაში გასარევათ. დღეის იქით თუ ამათ აწყენინეთ და შასცოდეს რამე, შენგანაც დიდათ გაეწყინება და მაგათაც გადავაჭდევინებთ.

და ახლა რომ დაურბევიათ, ეგ ნარბევიც ახლავ წაურთვი და პეტრე ღდლის შვილებს მოეც და კახაშვილებსაც ყადაღა უყავ. ამათ ნურაზედ აწუხებენ. აგვისტოს **კდ**, ჭორონიკონს **უპ**. იოანე

## 688. არზა ერასტი ამილახვრისშვილისა სამართლის მიცემაზე გიორგი XII-ის ოქმით

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1800 წ. 25 აგვისტო**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 4450. დედანი. ქაღალდი. 33,8×14,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ამილახვრისშვილი ერასტისა.

მე თქვენი ბძანება მამივიდა. საჩქაროთ აქ გიახელ. იქ ამილახვრის კაცს ჩემის შვილისათვის მკლავში დაუკრავ. დიახ, ავათა აქვს. ფალავანდიანი აქ გახლანან, იმათაც კარგათ იციან. კიდევ იმის კაცს დაუკრავს ჩემის კაცისათვის, თავი შუაზედ გაუტეხია. კიდევ იმისმა კაცმა ხელაშვილმა, თქვენი ძმა იულონ რომ ჭალას ბძანდებოდა, მუხანათობა მაყვედრა, სასიკვდილოთ მიმცა ხელში. ახლა კიდევ ამილახვარს თეიმურაზისათვის ცთელი ფალავანდიანი გამოუსევინებია და ჩემი შვილები დაუწიოკებიათ. ფალავანდიანი აქ გახლანან, მოიკითხეთ და სამართალი მაღირსეთ. აგვისტოს **კე**, ქორონიკონს **უპჱ**.

თავში

ქ. უგანათლებულესო შვილო ბატონო დავით, მერე ამ არზით ამილახვარიშვილი ერასტი ვისაც უჩივის, ისინი შენთან დაიბარე, მდივანბეგებიც დაისწარ და სამართალი შენ მიეც და გარდაუწყვიტე. აგვისტოს **ლა**, ქორონიკონს **უპჱ**.

მეთე გიორგი

verso

ქ. დავითელავ! ჩუთლაშვილს ახლავ ჯელი ააღებინე და სამართალში ჩამოიყვანე ჩვენთან, მისის სიმაღლის ბრძანებაა. აგვისტოს **ლა**, ქორონიკონს **უპჱ**.

დავით

## 689. არზა იასა მეითრის შვილისა მამულების თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 3 სექტემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 4460. დედანი. ქაღალდი. 34×14,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის მეითრის შვილი იასასაგან.

თქვენ რომ სოფელი წყალობა გვიყავით, იმ სოფლელებს თავიანთ მამულს არ ახვნევინებენ, ართანელნი ხვნენ კურთხეულის მეფისაგან და მოხელე[ე]ბისაგან გარჩეული არის და გუჯარიც თქვენგან ქონებული ბული არის.

ამ წყალობას ვითხოვ, თქვენს შვილს ბაგრატზედ ერთი [ოქმი] გვიბოძოთ, ჩვენ ჩვენი დაგვნებდეს და იმათ თავიანთი. და რაც იმათი ნახნავი იყოს ჩვენს მამულში, ჩვენ დაგვნებდეს. იმის სამაგიეროთ თავიანთ მამული გვიჩვენონ, ჩვენ მოუხნათ. სეკდემბერს გ, ქორონიკონს **უპჱ**.

თავში

ქ. უგანათლებულესო შვილო, ბატონო ბაგრატ, მერე ამ არზით მეითრის შვილს იასას. ასე რომ მოუხსენებია, სანადიროელთ თავეთი სახნავი მამულები როგორადაც გარჩეული ჰქონდესთ კურთხეულის მამის ჩვენისაგან, იმაზედვე უნდა დააყენო. სადამდინაც ამათი მამულების მიჯნები იყოს, ამ სანადიროელთ უნდა დაანებო, იქით კი საქმე არა აქვსთ.

ეს რიგიანად და სამართლიანად მოკელეების თანდასწრებით უნდა გარდაუწყვიტო და ამათ თავიანთი მამულები დაანებო. სეკდენბრის გ, ქორონიკონს **უპჱ**. მეფე გიორგი

ქ. ბატონო თუშთ მოურაო დურმიშხან, მდივანბეგო იოანე და მდივანო იოანე!

მერე მისს უმაღლესობას ბატონს მამაჩვენს ამ ოქმითაც უბძანებია, თქვენ უნდა მიხვიდეთ სანადიროში. როგორც პაპის ჩვენისაგან დანიშნულ და ნაბძანები იყოს, ან როგორც კიდევ ფშაველთ მოწმობა რომ არის და ბატონისაგან დამტკიცებული, ართანელთა და სანადიროველთ მიჯნა იქ უნდა ჩაჰყაროთ და სანადიროელთ თავიანთ მამული უნდა მოაბაროთ. სეკდენბრის **კდ**, ქორონიკონს **უპჱ**. ბაგრატ

## 690. არზა თომა ჩიკოვრიძისა ვალის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 15 სექტემბერს**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 369. დედანი. ქაღალდი. 22,6×14 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის თომა ჩიკოვრიძესი.

კიკოაშვილი მოსესასი სახლი მაქვს გორათის, ას თქვენის ჭირის სანაცლო შეიქნა. მეტად სილარიბემ საქმე გამიჭირა. მელიქზედ ერთი ოქმი მებოძოს, ჩემი თეთრი მოაცემინეთ. სეკდემ-ბრის იგ, ქორონიკონს უპჱ.

ბიბლიოთეკა

თავში

ქ. მელიქო დარჩიავ! ამ არზის პატრონს ასე რომ მოუხსენე-ბია, ამას თავისი თეთრი სამართლიანის საქმით შენ გაურიგე და მოეც, ნულარ აჩივლებ. სეკდენბრის იე, ქორონიკონს უპჱ. | მეფე გიორგი |

## 691. არზა ზაზა ციციშვილისა ლალის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 17 სექტემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 6459. დედანი. ქაღალდი. 31,8×13,5 სმ. მხედ-რული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჴელმწიფის წინაშე მოსახსე-ნებელი მათის მონის ციცისშვილი ზაზასი.

ალაიბეგის შვილისათვის ოქმი გიბოძებიათ, ოხერას თავისი მამულის ლალა მიეციო. იქ რაც ლალა იყო, სულ უთოუთის შვილებმა წაიღეს. კინაღამ მეც მამკლეს. იასაული მე მაწუხებს.

წყალობას ვითხოვ, ერთი ოქმი მიბოძოთ, ჩემზედ ხელი აიღონ. ვისაც წლევანდელი ლალა წა[ა]ეღოს, იმას გამ[ო]ართოს. სეკდებრის იზ, ქორონიკონს უპჱ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის იასაულო! მერე ამ არზის პატრონზედ ჴელი უნდა აიღო და რომელთაც ლალა წაუღიათ, იმათა სთხოე. ამას ნუ შეაწუხებ. სეკდემბერს იზ, ქორონიკონს უპჱ. | მეფე გიორგი |

## 692. არზა ზაალ დავითიშვილისა ყმის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 17 სექტემბერი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 592. დედანი. ქაღალდი. 34,2×14,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის დ ა ვ ი თ ი ს შ ვ ი ლ ი ზ ა ა ლ ი ს ა.

ა ვ ა ლ ი ს შ ვ ი ლ ს ა ვ ა ლ ს მოუხსენებია, ჩემი კაცი ჰყავსო. ოქმი გიბოძებიათ: აუყარეთ და მიეცითო.

ეს საქმე სანატრელის ბატონისაგან არის გადაწყვეტილი თქვენი ოქმიცა მაქვს. თუ მართალი მაჩივარი იყო, აქ არ გახლავარ, რატომ არ მელაპარაკა? მოპარვით წაიღო.

ერთი ოქმის წყალობა მიყავით, ვინც იასაულია, ხელი აიღოს; აქ ჩამოვიდეს, სამართალში მელაპარაკოს. ეს ზემო მოხსენება თუ ტყვილი იყოს, ჯარიმით გადამხდეს. უბრალოდ კაცს ნუ გარჯიან სამართლამდინ და ნურც საიასაულოს გამოართმევენ. სექდებრის **იზ**, ქორონიკონს **უპჱ**.

სანატრელი მეფის განაჩენი მიჭირავს.

თავში

ქ. ჩვენი ბრძანება არის ვინც ზაალის კაცის იასაული ხარ! მერმე ამ არზით ასე რომ მოუხსენებია, რადგანც ამისი საქმე კურთხეულის ბატონის მამის ჩვენის დროს ყოფილა გარდაწყვეტილი, ჯელი უნდა ა[ა]ღებინო. და რაც საიასაულო გასვლია, ისიც უკანვე უნდა მიაცემინო.

და თუ ჭეშმარიტი სიტყვა ჰქონდეს, განაჩენის შემდგომი სამართალში ილაპარაკონ. მაგრამ თუ ახლა კიდევ გამტყუნდა, დაუმძიმდება. სექდემბრის **იზ**, ქორონიკონს **უპჱ**.

ა ვ ა ლ! შენც აქ ჩამოდი, იასაულიც აქ ჩამოიყვანე, ის სადაო კაციც. ზაალც აქ არის და აქ სამართალში ელაპარაკე.

მეფე გიორგი

## 693. არზა ფრიდონ ჯანდიერიშვილისა მამულის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 20 სექტემბერი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 52. საბუთი № 119. პირი. ქაღალდი. მხედრული. იქვე, საბუთები №№ 116, 118, 121, 122 და 125. შდრ. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, საბ. № 31.

[99v] მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ჯანდიერისშვილის ფრიდონისაგან.

ჩვენო ჯელმწიფევ, სამართლი[თ] ვენახი დაგვრჩა, გოგია ნატროშვილს უჭირავს. ის ვენახი და იმისი გამოსავალი ნახევარი ჩვენთვის უნდა მოეცა სამართლითა და თქვენის ბძანებითა. და ახლა ძალზედ შემდგარა და სიკვდილსაც დაგვმუქრებია.

ერთის ოქმის და იასაულის წყალობას ვითხოვ, რომ იმ ვენახის გამოსავალი ნახევარი ჩვენ მოგ[ვ]ბარდეს. რომელიც სამართლით მოგვცემია. ჩვენ ჩხუბსა და შფოთს ვერიდებით. თქვენის სამართლით ვითხოვთ. სეკტემბერს კ, ქორონიკონს უპჱ.

თავში

ჩვენი ბძანება არის ფარეშთუხუცესო ანდუაფარ! ამ არზით რომ ასე ჩივის, ამათ საქმეში იასაულად უწინაც შენ იყავ და იცი რომელიც სამართლით ამათ მამული რგებია და სანახევროთ მიუცია, ვენახის გამოსავლის ნახევარიც უნდა მიაცემინო. სეკტემბრის კ, ქორონიკონს უპჱ.

მეფე გიორგი

## 694. არზა ლუარსაბ ონანაშვილისა მიწების გაყოფის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 21 სექტემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 7426. დედანი. ქაღალდი. 24,5×13 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ლუარსაბ ონანაშვილისა.

მე და ჩემს სახლისკაცს ზაქარიასა მიწები გვაქვს გასაყოფი. ამ წყალობას ვითხოვ: მდივანბეგს ადამსა, მარტყოფის მოუ-

რავის შვილს დიმიტრის ებძანოს, მოვიდნენ, გაგვიყონ, თავთავისი წილი მოგვცენ. სეკდებრის კ, ქორონიკონს უპჱ.

თავში

ჭ. ჩვენი [ბ]რძანება არის მდივანბეგო ადამ, ზაალიშვილო ნინიავ და ერასტიშვილო დიმიტრი!

მერე ეს ონანაშვილი ყორიასულბაში ლუარსაბ და ამისი სახლის კაცი ზაქარია თავეთს მიწებზედ მოაშველეთ. რაც მიწები ჰქონდესთ, გასაყოფი, თქვენ გაუყავით და ერთმანეთს მოაშველეთ რივიანისა და სამართლიანის საქმით. ამას თავისი წილი მოეცით და იმას თავისი წილი. სეკდენბრის კა, ქორონიკონს უპჱ. მეფე გიორგი

## 695. არზა სოლომონ თარხნიშვილისა სამღებროს თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

**1800 წლის 21 სექტემბერი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთ. № 23. საბუთი 68. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[68v] მათის უმაღლესობის საქართველოს დედოფლის დარეჯანის წინაშე მოხსენება თარხნიშვილი სოლომონ.

ამას წინად თქვენის სიმაღლისაგან ახალქალაქის სამღებრო მე მებოძა. მაშინ ხომ ჩემს სახლის კაცებმა თავი გაწყინესთ, რომ ჩვენც წილი უნდა გ[ვ]ქონდესო; და ამ მიზეზით აღარც მე მიბოძეთ და აღარც იმათ, თქვენთვის დაიჭირეთ. ახლა გავიგონეთ, რომ ახალქალაქის სამღებრო თქვენი შვილიშვილის — ჩემის რძლის სოფიოსათვის გიბოძებიათ.

რადგან ეს ასე მომხდარა, ამას გევედრები, რომ მეც ნება მიბოძოთ, რომ ჩემს თელეთგორში სამღებრო გავაკეთო და თქვენის მოწყალებით ამით მეც უნუგეშო არ დავრჩე. თუ ამას ახალქალაქის სამღებროს აღარ ჩამოართმევთ, მეც ეს წყალობა ნუ მომეშლება. და თუ ამას გამოერთმევა, მეც ხელი ამიღია, აღარც მე გაწყენ ამაზედ თავსა. ენკენისთვის იზ, ქორონიკონს უპჱ.

თავში

[68] თარხნიშვილო მეითაროს სოლომონ! ამ არზით რომ ასე მოგიწერია, ჩვენ რასაც მიზეზით ჩვენს შვილიშვილს სოფიოს

ახალქალაქის სამღებრო[1] მიეცით, ის მიზეზი იქნება შენც იცოდე. და რადგანც ამჟამად ასე მოხდა, შენთვისაც თელათგორის სამღებროს გაკეთების ნება მოგვიცია და იმის შემოსავარი შენთვის გვიბოძებია.

ასე რომ, თუ ახალქალაქის სამღებროს ჩემ შვილიშვილს სოფიოს გამოვართმევთ, შენც თელათგორის სამღებრო უნდა მოშალო. და თუ იმას ახალქალაქის სამღებროს არ გამოვართმევთ, არც შენ თელათგორის სამღებროს მოგაშლევინებთ სექდემბრის კა, ქორონიკონს უპჱ.

ქ. ვინიცობა არის, ჩვენს უნებურად ეგების კიდევ წერილი გამოგვართონ იმათ იმ სამღებროს საქმეზედ, ისიც უჯერო იქნება და ბათილი.

## 696. არზა ნიკოლოზ ციციშვილისა უმა-მამულის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 25 სექტემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 394. დედანი. ქაღალდი. 32×15 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ციციშვილი ნიკოლაოზ მდივანბეგისა.

მაღრაძე მღვდელს განაჩენი მისცემია. ფიცით მოგახსენებ, ჩემი და ჩემის შვილის სარჩო ის არის.

გევედრებით მოწყალებით მამხედოთ, როგორც მართებული და სამართლის რიგი იყოს, მეც იმ გზაზედ დამაყენოთ. უსამართლობით ხელის ამართვით დავიკარგებით. ნუ მ[ო]აღებინებ ჩემზედ უსამართლობას.

სულ ოცდაშვიდი თუმანი მიბარებია, ჩემო ხემწიფევ[2], წიგნები გახლავსთ. ახლა ასორმოც თუმანს ანბობს, ყმასა და მამულს მართმევს. ამაზედ ყური მამიგდევით. მაშინდელი მოანგარიშებიც გახლანან და ოქმებიც არის. თუ ინებოთ, კიდევ მიანგარიშონ, რაც დამედება, მივცემ. ჩემი ყმა და მამული მე დამნებდეს. სექდემბრის კდ, ქორონიკონს უპჱ.

---

[1] სამღებროთ.

[2] ჩემო ხელმწიფევ] ჩემს ხელმწიფესა.

თავში

ქ. უგანათლებულესო შვილო ბატონო დ ა ვ ი თ! მერე ამისი მოხსენებული მეორეთ გაშინჯეთ და სამართალი მიეც, სეკდემბერს [illegible], ქორონიკონს უპჱ.

| მეფე გიორგი |
|---|

## 697. არზა ჩოლაყაშვილებისა მამულის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 26 სექტემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 5157. დედანი. ქაღალდი. 33,5×12,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჴელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ჩ ო ლ ა ყ ა შ ვ ი ლ ი გ ი ო რ გ ი ს ა და ქ ა ი ხ ო ს რ ო ს ი.

ხევსურებისათვის მამული გიბოძებიათ. მოვიდა დიმიტრი მოურავი, რომელიც ვაჩვენეთ, ის არ მოსცა ხევსურებს. შარშან მოვიდა და გ ი ლ დ ა შ ვ ი ლ ი ს მამული მისცა. ახლა კიდევ ჩემი ორი საკომლო მამულზე ხელი ამიმართა და მისცა. ჩვენი და როშაკიანთ საქმეს სწორეთ ვერ გა[ა]რიგებს.

ერთი ოქმი გვიბოძეთ თქვენს შვილ ბაგრატზედ და ან დავითზედ, მოიკითხონ და სამართალი მოგვცენ. სეკდებრის კე, ქორონიკონს **უპჱ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის! ამ არზით რომ ასე მოგიხსენებიათ, თავის ჟამს ჩვენთან უნდა გამოსცხადდეთ, თქვენს მოდავეებსაც დავიბარებთ და ჩვენს წინ უნდა გადასწყდეს ეს სამართალი. სეკდემბერს კვ, ქორონიკონს უპჱ.

| მეფე გიორგი |
|---|

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## 698. არზა მდივანბეგ ნიკოლოზ ციციშვილისა ყმა-მამულის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 8 ოქტომბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 3304. დედანი. ქაღალდი. 33×14 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი. ოქმის თარიღი მცდარი უნდა იყოს.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჴელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ციცისშვილი ნიკოლოზ მდივანბეგისა და ჩემის შვილებისა იოვანესი, რევაზისა და დავითისა.

ჩემს ოჯახში ჩემი წილობა ის ერთი აზნაურშვილი გახლავსთ თავისის ყმითა და მამულითა, ცოცხლისაც ის არის და მკვდრისაც საზდო ჩემი. ასე უსამართლოთ ხელი აუმართავთ, აქ, დოეს[ს] აუკლიათ ჩემი კაცები და იქ იასაულები უდგანათ ასე გაუკითხავათ და გაუშინჯავათ.

ეს რა ყოფა[ა] ჩემს თავსა, ხელს მიმართავენ. წყალობას ვითხოვ, გაუშინჯავათ და მოუკითხავათ ნურავის ამაკლებინებ. ოკდომბრის **ჱ**, **ქორონიკონს უპჱ**.

თქუენი წყალობა ოქმიცა მქონდა. აქედა[ნ] გამპარვია, მაღრაძეს დაუქრთამავს, გაუსევია და ასე აუკლია. საქონელი ჩაურეკიათ გორს, ჰყიდიან.

თავში

ჩვენი ბრძანება არის თავლიდრიშვილო სოლომ[ონ]! მერე ნიკოლოზ ციცისშვილს ამ არზით ასე რომ მოუხსენებია, ამის გაუშინჯავათ ჴელის ამართვა არ იქნება; და ამას კაცებისათვის რაც წაგერთმიოსთ, ისევ სრულათ უკანვე უნდა მისცეთ. არც საიასაულოს გამართმევა იქნება და არც სხვის რისამე. ამათზედ ხელი აიღევით. ოქტომბრის ზ, ქორონიკონს უპჱ. [მეფე გიორგი]

## 699. არზა სოლალაშვილებისა მამულის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 8 ოქტომბერი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 4571. დედანი. ქაღალდი. 31,3×15,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია წერტილი ან მძიმე.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჴელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის, სოლალაშვილის იასეს და იოსებისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენო ჴელმწიფევ, მოგეხსენებათ მამის ჩვენის კ ა ხ ე თ ი ს გადა-ვარდნა და ჩვენის ქვეყნის აოხრება ავის დროს მიზეზით. გევედრე-ბით მოწყალებით მოგვხედოთ. ს ო ღ ა ნ ლ უ ხ ი დ ა მ რომ ჩვენი არ-ხი არის აღებული და კიდევ პატარა არხი, მტკვრის პირზედ მოხვეული ჭალა საყაზახოს გზის ქვემოთ, სულ ჩვენი არის მტკვრის პირამდინ თა-ვის საწყლისპიროთი. თქვენის პაპის ნაბოძები სიგელიც მოგვირთმე-ვია. ამ ჭალას და მინდორზედ ელები ესახლა. ჩვენის შეუძლებლობით და გადავარდნის მიზეზით ბატონს ვერა მოვახსენეთ რა. ეს ადგილი და არხები ძველათგან ჩვენი არის. გევედრებით, არ დაგვეკარგოს. ვინც იქ ელი დააყენოს, ჩვენს განწესებას მოგვცემდენ. ღვინობისთვის გ, ქორონიკონს უპჱ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის სოლაღაშვილებო! მერე ჩვენც ასე ვიცით, რომ ის ადგილები ძველადგანვე თქვენი სამკვიდრო ყოფილა. ახლა ჩვენც თქვენთვის გვიბოძებია, არას კაცს იმ ადგილებთან საქმე არა-ვისა აქვს; და იმ ელებსაც ყველას თავისი პატრონი ჰყავს. თუ ვინმე თქვენს მამულში დააყენოს, რაც განწესება იყოს, მოგცემდენ. ვინც მოხნას, ღალას გამოართმევდეთ. ოკდომბრის ჱ, ქორონიკონს უპჱ.

თუ არხის გაკეთება მოინდომოთ, ვერავინ დაგიშალოსთ. საიდა-მაც გინდოდესთ, იქიდამ აიღებდეთ. [მეფე გიორგი]

## 700. არზა სულხან მდივნის შვილის ესავისა გამოსაღების თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 9 ოქტომბერი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 8691. დედანი. ქაღალდი. 21.3×11,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია წერტილი ან მძიმე.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჴელმწიფის წინაშე მოსახსე-ნებელი მათის მონის ს უ ლ ხ ა ნ მდივნის შვილის ე ს ა ვ ი ს ა გ ა ნ.

ხ ვ ი თ ს ა და ხვითს შუა ჩვენი მამული არის და სანატრელის მეფის მოწყალებით კოშკის გაკეთებას ვაპირებთ. იმისის ოქმით, რო-მელს სოფელსაც რამდენი ურემიც აწერიათ საშენებელი ქვა და ქვი-შა, ზოგს სოფელს მოუტანია და ზოგს აკლია, და ზოგს სოფელს სულ არ მოუტანია.

წყალობას ვითხოვ, როგორც იმის შეწერილს სახელდობ სოფ-ლებს ეწეროს, ვისაც აკლდეს ოქმი და იასაული გვებოძოს, რომ მოი-

ტანონ, რაც აწერიათ. ქვეყნის შესამატი საქმე. რა იქნება როგორც ნაბძანებია, ისე აღასრულონ. ოკდომბრის **ბ**, ქორონიკონს **უპწ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის აბაშიძე გიორგი! მერე ამ სულხან მდივნის შვილებს როგორც კურთხეულის მეფის ბატონის მამის ჩვენის **ოქმი** ჰქონდესთ, და რომელსაც სოფლებს იმ კოშკზე მოხმარება და **მუშაობა** ეწეროსთ, ისე უკლებრივ კიდევ ახლა გაურიგე და მოახმარე ყველანი. ოკდომბრის **თ**, ქორონიკონს **უპწ**. გიორგი

## 701. არზა გაზაზეგისა გამოსალეგის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 13 ოქტომბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 9038. დედანი. 21,5×13 სმ. ქაღალდი. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ხემწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონისა ერთობით ბაზაზებისა.

ხემწიფევ, ათი დღე არ არი ორმოცი თუმანი გვიმსახურნია საქვეყნო გამოსაღებს გარდა; და მას აქეთ ათი დუქანი მეტი დაიკეტა შეუძლებლობით, ორმოციოდ დუქანი დარჩომილვართ ღარიბ-ღატაკი.

ახლა კიდევ სამოცს თუმანსა გვთხოვენ. ამ ხალხის ნახ[ე]ვარი გათარხნდა. ჩვენ სად შევიძლებთ. თქვენად გასამარჯვებლათ, ეს ორმოციოთ ღარიბ-ღატაკს გაგვაძლებინეთ. ჩვენ ამას არ შევიძლებთ. ღვინობისთვის **იბ**, ქორონიკონს **უპწ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის იასაულო! მერმე როგორც ბაზაზბაშმა გასწეროს, ეხლავ დადექი და ყველას გამოართვი, თეთრით ფარჩას ვყიდულობთ, ამაში თარხანი არავინ იქნება. ყველამ შეძლები[ს] კვალად უნდა მისცენ. ოკტომბრის **იგ**, ქორონიკონს **უპწ**.

მელიქო! შენთან ორიოდე ბაზაზი დაისწარი და ეხლავ გა[ა]ტარიგეთ[1]. მეფე გიორგი

[1] + ეხლავ გარიგეთ.

ქ. ამ ოქმით ორმოცი თუმნის[1] ფარჩის იასაული ვიყავ მე, გრ[ი]ტაშაბისშვილი ზა[ა]ლ, რომ მე მოვაგროვე და ეკუთვნის მდივნის ხელით ოსებს მიჰბარდა. ღვინობისთვის კ, ქორონიკონს უპჱ.

ხელრთვა: ზაალ.

## 702. არზა ზაზა ხითარაშვილისა წისქვილის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 14 ოქტომბერი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 47. საბუთი № 1. პირი. ქაღალდი. მხედრული. იქვე, საბუთი № 4.

[1] მათის უმაღლესობის ბედნიერის ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის გორიდამ ხითარაშვილი ზაზასი.

ყუზანაშვილმა აბელამ წისქვილის ბაროპაზედ როგორც უხდოდა, ჩემს ძმას გოგიას წიგნი და[ა]წერინა და გამაიპარა ძმა რუსეთსა. თქვენ მოგახსენე, ოქმი მებოძა თქვენს შვილს დავით ზედა; მდივანბეგები იახლა. მე და ყუზანაშვილი გვალაპარაკა. წისქვილი მე დამნებდა, განაჩენიც მებოძა. ახლა ყუზანაშვილი აბელა ისევ მედავება.

წყალობას ვითხოვ, ჩემი ძმა მოაყვანინოს, თქვენს წინაშე სამართალში მელაპარაკო[ს]. სამართლით ის წისქვილი ვისაც ერგოს, იმას დარჩეს. ოკდო[მ]ბრის იდ, ქორონიკონს უპჱ.

თავში

უგანათლებულესო შვილო ბატონო თეიმურაზ! მერე ამ არზით ხითარაშვილი ზაზა რომ ასე ჩივის, რომელსაც უჩივის, ორნივ თქვენთან უნდა მოაყვანინო და სამართალი უყოთ. ოკტომბრის იდ, ქორონიკონს უპჱ.

## 703. არზა გლახა ფალავანდიშვილისა ყმის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 24 ოქტომბერი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 50. საბუთი № 188. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[110v] მათის უმაღლესობის ბედნიერის ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი ფალავანდიშვილის გლახასი.

[1] თუმათმნის.

იმერეთიდამ ერთი კომლი კაცი მამივიდა ბარჯაძე სესია, მამულიც მიმიცაა და ადგილიცა. ათი წელიწადია აქ გა[illegible]-დენი გამარჯვება გქონდესთ, რამდენი კაცი იმერელი ქართლში [illegible]დეს. ბძანება ასეა: ვერც ჩვენ ავყრით და ვერც ისინი აჰყრიან ძალითა.

ახლა ფარსადან წერეთლისათვის ოქმი გიბოძებიათ, კაცს მიყრის. ამ წყალობას ვითხოვ, ერთი ოქმი მიბოძეთ, რომ უსამართლოთ კაცი არ ამიყაროს. თუ სიტყვა ჰქონდეს, თქვენს სამართალში მელაპარაკოს. ოკდო[მ]ბრის კბ, ქორონიკონს უპჱ.

თავში

ჩვენი ბძანება არის! რომელნიც ამის კაცსა ჰყრით, ამის აყრა არ იქნება და ვერც აჰყრით. მაგაზედ ჯელი აიღევით. ანდა, თუ სიტყვა ჰქონდეს რამე, ჩვენს სამართალში ელაპარაკოს. ოკდონბრის კდ, ქორონიკონს უპჱ.

## 704. არზა ბარძიმ ამილახვრისშვილის დედისა სასისხლო საქმეზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 26 ოქტომბერი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 700. დედანი. ქაღალდი. 33×15 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჴელმწიფის წინაშე მოსახსენებელი ბარძიმ ამილახვრისშვილის დედისა.

ათის თვისა თქვენს საფარველს ქვეშ მოვიყვანე, ცამეტის წლისა გავხადე და ჭალას ვცხოვრებდი. ნახევარ დღის მიწა ჩემი მინდა მამეხნა, მამიხდა გოდა, უბრალოთ შვილი დამიკუწეს, ტანისამოსიც გა[ა]ხელ; ჩხეიძე ნინია საშველელად მისულიყო, ათგან ხანჯლით დაეჭრა, სულმობრძავი გახლავს. ერთი აზნაურშვილი ორი მსახური დაჩეხილნი ხლმით გახლანან.

ამას გარდა შემოსევას მიპირობენ და ამოწყვეტასა. მანამ თქვენს სამართალში მოვაწევდეთ, ერთი ოქმი გვებოძოს რომ ბექანის შვილები არ შემამესივნენ და არ ამამწყვიტონ. ამისთანა საცოდაობა არას დროს არ მამხდარა, ქრისტიანო ჴელმწიფეო, ჩვენი ამოწყვეტა მოიკითხეთ. ოკდო[მ]ბრის კვ, ქორონიკონს უპჱ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ამილახვრის შვილებ[illegible] და ბეჟანის შვილებო გიორგი და იოვანე! მერე ამ ბრძანებით რომ ასე მოუხსენებია, ჩვენ ამასა ვწერთ, რომ სამართლამდინ ეს შფოთი უნდა დააცხროთ, თავის ჟამზე ჭეშმარიტი სამართალი მოგეცემათ.

თუ ჩვენის ბძანების წინაამდეგი შეიქმნება ვინმე, სამართალშიაც ის იქმნება მტყუანი. და ამ ოქმს უკან რომელიც შფოთისა პირველი მიზეზი იქნება, ჩვენ შეცოდებათ მოვიკითხავთ. თუ ნამუსი გაქვთ, სასამართლოდ ესეცა კმარა, მეტ მიზეზს ნულარ მისცემენ ერთმანერთს.. სამართალს დააცალონ. ოკდომბერს კვ, ქორონიკონს უპჱ. [მეფე გიორგი]

# 705. არზა ისმეილ აღასი ყმობის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 28 ოქტომბერი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 807. დედანი. ქაღალდი. 29,8×13,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის სარაჩლი ისმეილ აღასი.

ძველი სარაჩლო მელიქ ჯუმშუტისთვის გიბოძებიათ; ჰყრის, მიჰყავს. მე დედოფლის მამულში გახლავარ. ამ წყალობას ვითხოვ: ან დედოფალს მიმაბაროთ და ან ერთი ოქმი გვიბოძოთ, საცა გახლდე, ჩემთან არის კ[აცს] საქმე არა ჰქონდეს რა. ოკდომბრის კგ, ქორონიკონს უპჱ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ამ არზის მომრთმევო! თქვენ ჩვენი სახასონი ხართ, თქვენთან არას კაცს საქმე არა აქუს. ხათრიჯამნი იყავით, სადაცა სდგეხართ, მანდავ იყავით, ვერავინ რას გაწყენინებსთ. ოკდომბერს კჱ, ქორონიკონს უპჱ. [მეფე გიორგი]

1 + ნის შვილო იოანე.

## 706. არზა ნიკოლოზ ციციშვილისა სამართლის მიცემაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ 29 ოქტომბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 395. დედანი. ქაღალდი. 33×15,5 სმ. ყოველი სიტყვის შემდეგ თითო წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი ციციშვილი ნიკოლოზ მდივანბეგისა და ჩემის შვილებისა რევაზისა ივანესი და დავითისა.

ამ დროდ კაცი გახლავარ, ერთი აზნაურშვილი მყავს. თქვენი ოქმი მებოძა, სამართალში უნდა გველაპარაკნა. ახლა იასაულები მისულან, ჩემი ყმა, რაღაც ორიოდე კომლი კაცი მყავს, სულ აუკლიათ. ხელი აუმართავთ. შვილი გიახლათ ჩემი.

მოწყალებას ვითხოვ, მ[იშველ]ოთ რამე. ეს რა [ა]ნბავია ჩემს თავსა, ას ორმოცი თუმანი ვის წავართვი? ასე გაუკითხავათ ნუ დამჯი, მოიკითხეთ, მერე ნება თქვენი გათავდეს. ოქდობრის კ, ქორონიკონს უპჱ.

თავში

ქ. ჩვენი ბრძანება არის რომელნიც ამისი მოასილნი ხართ! ეს მდივანბეგიც და რომელსაც უჩივის ის მღვდელიც, ორნივ ჩვენს სამართალში უნდა ალაპარაკო. ოქდონბრის კთ, ქორონიკონს უპჱ.

და რაც ამისთვის წაგირთმევიათ, სამართლამდის ის კი უნდა მოსცეთ. მეფე გიორგი

## 707. არზა დავით კახაბრიშვილისა გამოსაღების თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 30 ოქტომბერი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 697. დედანი. ქაღალდი. 32×14 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მო[სა]ხსენებელი მათის მონის გურჯანელს ენისელთ მოურავის ყმის კახაბრის შვილი დავითისა.

კაკაბეთს ობლობით გავიზარდე. ერთ წელიწადსაც ბიძაჩემთან ნიახურას გახლდი. ყანდიაურის მოურავს ოქმი აელო დავითიშვილს დიმიტრიზე, მოვიდა გურჯაანში, უნ-

და აიყაროო, ხარი წამართო. მკვიდრი გურჯანელი გახლავარ, სამართალს გევედრები. ოკდობრის **ლ,** ქორონიკონს **უპჱ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ერასტი შვილო დიმიტრი! მერე ამ არზით რომ ასე მოუკსენებია, თუ კი ენისელთ მოურავიანთ ყმა არის გურჯაანში მოსახლე, რას ემართლებოდი რომ ჯარი წაართვი. თავისი ჯარი ახლავ უნდა მოსცე. ჩვენთან ნუღარ აჩიველებ. ოკდომბერს **ლ,** ქორონიკონს **უპჱ.**

მეფე გიორგი

## 708. არზა თუმანიშვილებისა რუს გამოლეგის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 31 ოქტომბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 9037, **რნთ.** კრებული. პირი. ქაღალდი. მხედრული.

მისის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი ერთობით თუმანიანთაგან.

მერმე ძველადგან რომელიც ჩვენის სოფლის მამულების სარწყავი რუ გვაქვს მოცემული, ის რუ დიდათ წამხდარი არის და ჩვენი კაცნი და ჩვენც იმ რუს გამოყვანილობით დიდათ შეწუხებულნი გახლავართ და ნაკლულევანებაში, რომ სარწყავს მამულს თუ წყალი არ ექნება, მოგეხსენებათ არა მოვა რა. ღმრთით და თქვენის დოვლათით ვცდილობთ, რომ ის რუ გავაკეთოთ, მაგრამ ზოგან ასე წამხდარი არის, რომ იმ გაკეთება ჩვენგან შეუძლებელი არის.

ერთის ოქმის წყალობას ვითხოვთ, რომ სადაც იმისთანა დიდათ წამხდარი ალაგი იყოს, რომ გაგვიჭირდებოდეს იმის გაკეთება, იმისთანას ადგილის გვერდზედ სხვა ახალი რუ რომ გამოვსჭრათ, არ დაგვიშალონ, ვისიც მამული იყოს.

კვლავაც ასე მომხდარა, რომ თუ სადმე წამხდარა რუ, იმის გვერდზედ ვისიც მიწა ყოფილა, მეფეთ ბძანებით ის გაგვიჭრია და ისე გაგვიყვანია. ამისთვის, რომ რადგანც იმ მამულის პატრონების ბეგარა აძევს ჩვენს კაცთ ყოველ წლივ ხვნა და მკა, ამიტომ არ უნდა დაგვეშალოს. ოკდომბრის **კდ,** ქორონიკონს **უპჱ, ჩყ** წელს.

თავში

ჩვენი ბრძანება არის! მერმე ერთობით თუმანიშვილებს ასე რომ მოუხსენებიათ და რუ უნდათ გამოიღონ, როგორც ძველად განწესე-

ბული არის ამათის რუს გამოღება, რომ საცა ამჯობინებენ, ახალს რუს გამოიღებენ და გასჭრიან. ვისიც მამული უნდა იყოს, ვერავინ დაუშლის. ძველათ მეფეთაგანაც ასე ყოფილა ბძანებული და ჩვენც ასე ვბძანეთ, და ასეც გვინებია და ასეც უნდა იქმნას. და მამულის პატრონებისა ამათაც ერთი დღე ხვნა და ერთი დღე მკაც ამასთვის სდებიათ, რომ საცა დასჭირდეთ ახლის რუს გაჭრა და გამოღება, ვისიც უნდა იყოს, მამულის პატრონი ვერ დაუშლის. ოქტომბრის **ლა** დღეს,

ქორონიკონს **უპჱ**, ჩყ წელს.

## 709. არზა დიმიტრი ციციშვილისა ყმა-მამულის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 1 ნოემბერი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 842. დედანი. ქაღალდი. 33,4×16,4 სმ. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ქალანთრის შვილის შვილ[ი]სა ც ი ც ი ს შ ვ ი ლ დ ი მ ი ტ რ ი ს ა.

ჩემი შეწუხება და უსამართლობა კარგათ მოგეხსენებათ, რას გზით გახლავარ მწარედ შეწუხებული და ამოწყვეტილი ზ ა ქ ა რ ი ა [ს] შვილებისაგან, რომ ევლადით მკარგვენ თქვენის საფარველიდამ და ამდენს ქრთამებს ხარჯვენ და დახარჯეს. რომ ქრთამის მიზეზით ლამის სულ ამამაგდონ და ამ ქვეყნიდგან დამკარგონ. ჩემი შეწუხება და უსამართლოება თქვენს ჯელმწიფობას მოეხსენება.

გევედრები ჩემი წერილები და მოწმობა გაშინჯოთ და უსამართლოთ არ დავიღუპო. მამაც მამიკლეს და მეც მკარგვენ.

ღვთიურს მოწყალებასა გთხოვ, რომ არ გამოვემხო ჩემის წილის ყმასა და მამულისაგან. სამართალი დამემართოს. თქვენს იქით გზა არა მაქვს. ოქტომბრის **ლ**, ქორონიკონს **უპჱ**.

თავში

ქ. ე[მ]იკალაბაშო ა ს ლ ა ნ! ამ არზის პატრონი ქალანთრის შვილის შვილი დ ი მ ი ტ რ ი რომ ასე ჩივის, ესე და ამის მოდავე ჩვენს სამართალში უნდა მოიყვანო ორნივ. ორთავ საბუთებს გავსინჯავთ და სამართალს მივცემთ. ნოემბრის **ა**, ქორონიკონს **უპჱ**.

მეფე გიორგი

## 710. არზა დავით აბაშიძისა სარგოს თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 3 ნოემბერი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 656. დედანი. ქაღალდი. 32,2×13,5 სმ. მხედრული განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოს[ახ]სენებელი მათის მონის ქეშიკჩისბაშის აბაშიძის დავითისა.

თქვენმა შვილმა დავითმა აქ ბორჩალოს ციხეში დამაგდო გასამაგრებლათ. ბორჩალოელნი ციხესთან უნდა მივიყვანო. ამ მიზეზით ვეღარ გიახელ.

ამ წყალობას ვითხოვ, რაც მამაჩემს თქვენგან მოწყალება სჭირდა შინიხიდამ, მეც ერთი ოქმი მებოძოს, რომ ის მოწყალება მეც არ მამეშალოს. მოგეხსენებათ მრავალი სული შესანახი მყავს და ჯამაგირიც არა მ[მ]ბოძებია. [ოკტ]ობრ[ი]ს კე, ქორონიკონს უპც.

თავში

ქ. ჩვენ მაგიერად ბორჩალოს მოურავს აბაშიძე დავითს ასე ეუწყოს! მერე როგორც მამაშენს ჰქონდა განწესებული სარგო, ის არც შენთვის მოგვიშლია. რაც შენი სარგო არის, იმას უკლებად აიღებდე.

ნოემბრის გ, ქორონიკონს უპც. მეფე გიორგი

## 711. არზა ერასტი და დავით გედევანიშვილებისა საფიჩხულეს ჩადგმის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 7 ნოემბერი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 28. საბუთი № 18. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[20] მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის გედევანიშვილის ერასტისა და დავითისა.

ჩემო ჯელმწიფევ, [მ]ცხეთის საფიჩხულე ასე არის რიგი, რომ ერთს წელიწადს რომ იმ ჩვენმა განაყოფმა გა[ა]კეთოს, ერთს წელიწადს ჩვენ უნდა გაგვეკეთებინა. შარშან რომ იმათ გააკეთეს, წელს ჩვენი რიგი იყო. ახლა წელსაც ისინი [აკე]თებენ მძლავრებით.

წყალობას ვითხოვ ჩემო ჯელმწიფევ, რომ როგორც რიგი და კანონი წესება არის, წელს ჩვენ გაგვაკეთებინონ და მერმე იმათ გა[ა]გზავნოთ, ჩვენო ჯელმწიფეო. ოკდომბრის კ, ქორონიკონს უპც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავში

ჩვენი ბძანება არის მცხეთის მოურაო ბეცია! მერე როგორც ამ გედეონიანთ რიგი და კანონი ჰქონიათ საფიჩხულოს ჩადგმისა, ისე უნდა მოარიგო, ჩვენთან ნუღარ აჩივლებ. შენ გააშველე. ნოემბრის ზ, ქორონიკონს უპც.

## 712. არზა ივანე ამილახორისშვილისა სასისხლო საქმეზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 8 ნოემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1561. დედანი. დაზიანებული. ქაღალდი. 34× ×13,5 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ წერტილი. ა-ნაკლული.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ამილახორისშვილის ივანესი.

მერმ[ე] ამას მოვახსენებ ჩემს ხელმწიფეს, ღმერთმან ასე შენს მტერს დამართოს, როგორც მე [ჩ ხ ე ი ძ ე მ] ამამწყვიტა შინ მოხდომით ჩემს სახლში უსამართლოთ და უსაბუთოთ. ჩემი ძმა თქვენ[ი]ს ჭირის სანაცლო შეიქნა. მე ორი ხმალი მაქს ნაცემი.

ახლა კიდევ იმათ უჩივლიათ ჩვენთვინ და ბიძის ჩემის ბ ე ჟ ა ნ ი ს ა თ ვ ი ს, დიმს შვილებისთვის ამოწყვეტას გვიპირობენო. ბიძაჩემი ხომ მად გახლამთ, ოქმიც გიბოძებიათ.

საჩივარი მე მაქვს, მაგრამ ვინ მყავს პატრონი, ამისთანი უსამართლობა ვის დამართებია, იტრიელმან ჩხეიძემ ამამწყვიტა. აქაც ჩემს ქვეყანაში არის, დღეში სამს მოციქულს უგზავნი, გამეცალე და ვერ გავიცალე.

დედ[ოფალს] რომ ჩხეიძე ახლამს, სამის... გიახლათ. დღეში ორს და სამს თოფს შემოგვახლიან. უბედური ჩემი ძმა რომ გაიგონებდა თოფის ხმას, იკითხამდა — თოფი ვინ ესროლაო, შეიტყობდა ჩხეიძე მართამსო [თოფ]სო. ამაში ამოუვიდა სულ[ი ჩემს] ძმას.

ეს როგორ გეკადრებათ, [ახლა თ]ქვით, ჩემ[მ]ა სახლისკაცმა მამკლას; ჩხეიძემ რათ უნდა მამკლას, მუდამდღე ყურთუმუჯ შეყრილი გაგვივლის და გამოგვივლის.

ახლა ეფემიას შვილი გიახლათ თავისის კაცით, მოციქული გამოეგზავნა, შენი ძმა ორმა სხ[ვ]ამ მოკლაო, რაც იმას გამა[ა]რთვინო, ჩვენც იმას მოგცემთო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემო ხელმწიფევ, მე თქვენგან წყალობა და სამართალი მო[illegible]ბია; ჩემო ხელმწიფევ, ამას გევედრებით ერთი ოქმი უბოძეთ, მანამ ჩემი გული მხურვალებიდგან გამოვიდოდეს, მანამ ჩხეიძე[ე]ბი და ჩემის ძმის მკვლელები გამერიდნენ და გამეცალნო[ნ], რომ ერთი ხიფათი არ შემგვემთხვას რა. კიდევ ასე, [რომე მოკლულს] ძმას არ მამარხვინებენ, ამ[ით] შე[წუხებული] გახლავარ. ღმერთი გაგიმარჯვებს, მოიკითხეთ, ხელმწიფე ბძანდებით. გიორგობისთვის ვ, ქორონიკონს უპჱ.

გივის შვილებს ჩემი ამოწყვეტა რათ გაუკვირდებათ, საქართველოს მეფეს ყ[ო]ვლით ამოწყ[ვე]ტას უპირობდენ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ამილახვარიშვილო ცხინვალის მოურაო იოანე! და რომელნიც ამ არზის პატრონს ასე რომ მოუხსენებია, კაია, დასწყნარდით შფოთისაგანა, რაც მოხდა იკმარეთ, სამართალს მოუცადეთ ორთავ მხარემა. და ჩხეიძეები კი ახლავ თავის სახლში წავიდნენ, მანდ ნულარ არიან. ფხვენელებიც უნდა გაისტუმროთ. ერთმანერთზედ აღარც მიხდომა იქნება და არც კაცის აკლება. სამართალს უნდა მოუცადოთ. თუ სამართალს არ მოუცადეთ, ჩვენ გარდაგახდევინებთ, ასე იცოდეთ. ნოემბერს ჱ, ქორონიკონს უპჱ.

მეფე
გიორგი

## 713. არზა ბესარიონ სამთლიკუდაშვილისა სამართლის მიცემაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 8 ნოემბერი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 4276. დედანი. ქაღალდი. 31,7×14,4 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. მარცხენა კიდე ზევით მოხეული აქვს.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჴელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის სამთლიკუდაშვილი ბესარიონისა.

მრავალი თავადიშვილი და სახასო აზნაურშვილი გახლავსთ; ჩემისთანა უჯათი არას აზნაურსშვილს არ დამართვია, რომ გაუკითხობა ავალისშვილის პეტრესაგან მე მჭირს. ყმა და მამული წამართო: ამასაც არ დამაჯერა, რაც თქვენი წყალობა მჭირდა, სულ

ამიკლო. მთელ სა[ა]ვალიშვილოში მოიკითხეთ თუ დანაშაული მაქვს, თქვენ გადაახდევინეთ. თუ არადა, კვირაში ერთხელ მოგვახდება. სხმნი ძმანი გახლავართ, იმისის გაუკითხავ გულის მიზეზით [illegible] გვწყვეტს. ნოემბერს ბ, ქორონიკონს უპჱ.

იანვარში შემამესია, ამიკლო, დამარბია და წამართო. საქონელიდამ, ცხენიდამ გადამაგდო. ერთი ბიჭი და გოგო მყვანდა ისიც წამართო. ამას გარდა, მომკილი ჩემი ყანა თავის მოვალე[ე]ბს მისცა.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ო! მერე ამ არზის პატრონს ასე რომ მოუხსენებია, რაც ამისთვ[ის] უსამართლობით წაგირთმევია, ისევ უნდა მოსცე და უბრალოთ ნუღა[რას] აწ[ყენინ]ებ. თუ ერთი რამ საბუთი ამასთან ჰქონდეს, ეს სამართალში უნდა [ალაპარა]კო. ნოემბრის ჱ, ქორონიკონს უპჱ.

მეფე გიორგი

## 714. არზა ზაზა მესანთლისა გამოსალების თაობაზე

### გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 8 ნოემბერი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 32. საბუთი № 5. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[4] მათის უმაღლესობის ბედნიერის ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი თქვენი ნათლული მ ე ს ა ნ თ ლ ე ზ ა ზ ა ს ი.

თქვენის მოწყალებით გამოზრდილი ვარ. მოვალებიც მეტად მაღონებენ. ამ მოწყალებას ვითხოვ, ერთი ოქმი მიბოძოთ ერთის წლობით მესანთლე[ე]ბმა ან მეწვრილმანე[ე]ბმა ჩემზედ ხელი აიღონ. ხარჯი აღარ გამომართონ, ეგების ან ვალი შევისუბუქო და ან ჩემი ცოლშვილის შენახვა შევიძლო. მერე ისევ მიმსახუროთ, თქვენს იქით გზა არა მაქვს. თქვენად სადღეგრ[ძ]ელოთ ამისი მოწყალება მოიღოთ. ნოემბრის ე, ქორონიკონს უპჱ.

თავში

[3v] ჩვენი ბძანება არის მეწვრიმალების უსტაბაშო, მესა[ნ]თლე[ე]ბის უსტაბაშო! მერე ამ ჩვენს ნათლულს და ყმას ზაზას ასე რომ მოუხსენებია და ვალის პატრონიც არის, ამ ერთს წელიწადს ნურას ხარჯში [4] ნურაში გარევთ და ნურცარას შეაწუხებთ. ერთ წლამდინ კი უნდა და[ა]ცალოთ და მასუკან თავის შეძლებით უნდა გუმსახუროს. ეს ასე უნდა აღასრულოთ. თუ რომ შეაწუხეთ, ეს იცოდეთ, დი-

დათ გვეწყინება და თუ რომ სარუსო რამ შესწერდეს, ის კი უნდა მოს-ცეს. ნოე[მ]ბრის ზ, ქორონიკონს უპჱ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## 715. არზა იოსებ მაღალაშვილისა სამართლის მიცემაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 12 ნოემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1493. პირი. ქაღალდი. მხედრული. იხ. ამ საქმეზე 1801 წლის 30 მარტის განჩინება (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, საბ. № 155).

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ხელმწიფის მოსახსენებელი მაღალაშვილის მდივნის იოსებისაგან.

მეტეხის მოურავმა თავისი ხოდაბუნები სრულად დარწყო, რომ ჩვენ კუალი არ მოგვირწყავს. ჩემი ძმა იაკობ ასულიყო, ეგების მეც მოვრწყო რამეო. ამაში მეტეხის მოურავსა და იმის ძმას გიორგის შეეტყო, ცხენებზედ შემსხდარიყვნენ თავისი შვილებითა და მსახურებითა. რუზედ რომ ასულიყვნენ, მეტეხის მოურავს ეთქო: წყალი იქავ ხოდაბუნში დისო, არავის დაუწყვეტიაო.

ჩოჩეთს ჩუენ სოფელში მისულიყვნენ, ჩემი ძმა თავის კალოზედ მჯდარიყო, ცხენებიდამ გადამხტარიყ[ვ]ნენ და მაშინვე ხმალი და კეტები დ[ა]ეშინათ ერთათ; თავში აქუს ხმალი ნაცემი და მარცხენ[ა] ჴელი მაჯა აქუს გავარდნილი.

**თავში**

უგანათლებულესო შვილო ბატონო დავით! ამ არზით რომ ასე მოუხსენებით, ესე და მი[სი] მოდავე თქუენთან მიაყუანინე და ჭეშმარიტი სამართალი მოეცით დიამბეგების თანდასწრებით. ნოემბრის **იბ**, ქორონიკონს უპჱ.

მეფე
გიორგი

## 716. არზა გრიგოლ შატბერაშვილისა მამულის თაობაზე დავით მემკვიდრის ოქმით

**1800 წ. 15 ნოემბერი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 8896. დედანი. ქაღალდი. 17×10,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. მათის უგანათლებულესობის საქართველოს მ ე მ კ ვ ი დ რ ი ს მეფის ძის დ ა ვ ი თ ი ს წინაშე მოსახსენებელი მათის მონის შ ა ტ ბ ე რ ა შ ვ ი ლ ი გ რ ი გ ო ლ ი ს ა.

ს ვ ე ნ ე თ ს ჩემი ალალი ნასყიდი მიწები მაქვს და ჩემი სახლისკაცი არ მანებებს. სიგლები მე მაქვს და მიწები მას უჭირამს, ასე უსამართლოდ მართმევს.

წყალობას ვითხოვ, ერთი ოქმი და იასაული მებოძოს, რომ იმ ჩემ სახლისკაცს ხელი აუმართოს იმ მიწებზედა და მე მომცეს. და თუ სიტყვა აქვს რამე, თქვენს სამართალში მელაპარაკოს. გიორგობის **იბ**, ქორონიკონს **უპჱ**.

თავში

ქ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი დ ა ვ ი თ გიბძანებ თ ა რ ხ ნ ი შ ვ ი ლ ო დ ა ვ ი თ! მერე ამ მიწებზედ ხელი აუმართე და ამას მოაბარე. და თუ ამის სახლისკაცს სიტყვა ჰქონდეს რამე, სამართალში ელაპარაკოს. ნოემბრის **იე**, ქორონიკონს **უპჱ**. დავით

## 717. არზა ნიკოლოზ ციციშვილისა ვალის საქმეზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 16 ნოემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 417. დედანი. ქაღალდი. 33,2×14,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია თითო წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის, ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ც ი ც ი ს შ ვ ი ლ ი ს ნ ი კ ო ლ ო ზ მდივანბეგისა.

ჩემო ჯემწიფევ, ამ მ ა ღ რ ა ძ ე ხუცისაგან ილაჯი აღარა მაქვს. ამას წინად მიმიხდუნა იასაული და შვიდი სული ხარი და ძროხა წამართვეს. მოგახსენე და თქვენის ოქმითა და იასაულით გამოვართვი. ახლა კიდევ ოქმი აუღია და იასაული გაუგზავნია ჩემს კაცებზედ ხელის ასამართავათა.

ჯემწიფევ, გამიკითხეთ, ქრისტიანობა არის, ვისთან მოშცა ასორ-
მოცი თუმანი და სად მამცა? ეს კაცი ასე მიკლებს. ეს მოწყალება
მოიღოთ, ის კლიმიაშვილიც აქ დაიბარეთ და ვინც ამ ცბიერებაში დამსწრენ[ი] არიან, ისინიც. თქვენს შვილს იოანეს უბძანეთ, მოსამართლენი დაისხას და ჭეშმარიტი სამართალი განსაჯოს.

მოწყალებას ვითხოვ, უსამართლოთ ნურც კაცნი მერთმევიან და ნურც მე ვხდები. იმ ჩემს აზნაურსშვილს ჩემი ბატონყმობა არ უნდა და ის მტანჯავს. მაღრაძე მოყვარე არის შეთარხნებული. გაუკითხავათ ვხდები და ნუ წამახდენთ, ჯემწიფევ, უსამართლოდ.

ამ მაღრაძემ ჯერ აზნაურშვილი მომპარა, რუსეთს[1] წაიყვანა, ოთხი წელიწადი იქ გახლდა. იქიდამ მოვიდნენ, თეთრი მოიტანეს, ახლა ყმასა და მამულსაც მართმევენ. ქრთამითა და უსამართლობით ვხდები. რაც სამართლიანის საქმით დამემართება, რა სიტყვა მაქვს.

გევედრებით მანამ სამართალი გადაწყდებოდეს, ნურც კაცნი მერთმევიან და ნურც იასაულები მიკლებენ. ნოე[მ]ბერს **იე**, ქორონიკონს **უპჶ**.

თავში

ჩვენი ბძანება არის ვინცა ვინ ამ არზის პატრონის მოასილნი ხართ! მერე ესეცა და ამის მოდავე მაღრაძე მღუდელიცა და კლიმიაშვილიც ჩვენ სამართალში უნდა მოიყვანოთ. და ორსავ მხარეს რაც საბუთები ჰქონდესთ, ისიც მოატანინეთ და სამართალი მიეცემათ. სამართლის გადაწყვეტამდის ნურას გამოართმ[ე]ვთ. ნოემბრის **ივ**, ქორონიკონს **უპჶ**.

მეფე გიორგი

## 718. არზა ათანასე ჯვარისმამისა მამულის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 18 ნოემბერი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 51. საბუთი № 181. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[155] მათი უმაღლესობის ბედნიერის ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მლოცველის ათანასე ჯვარისმამისა.

მერმე აღდგომის მამულისა როგორც ღუტამ იმოწმა და თქვენის ბძანებითა ნეკრესლის წიგნი მოგვართვა და დაამტკიცეთ, ის მა-

[1] სუსეთს.

მულები ზოგი დაგვნებდა და ზოგი არა; ქვევით სამნებ[1] ნეკრესელმა რომ ჩაყარა, აბაშიძემ ამოყარა და არ გვანებებს; ზე[ვ]ით გუგუნაურს ელისენთ მოურავიანი [v] არ გვანებებენ.

შარშან თქვენის ბძანებით ხელის ამართვას ვაპირებდით და შეგვეხვეწნენ, ერთი თვე პირობა მოგვცეს — ბატონს ვნახავთო. და ეს ერთი წელიწადია არც თქვენ გიახლნენ და არცარას პასუხს ჩ[ვ]ენ გვაძლევენ.

ჩემო ხემწიფევ, ის იმათი კაცი იყო, იმან იმოწმა. თუ ის ტყვილად იმოწმა, სხვაც ტყუილი იქნება. და თუ არადა, მართალი მოწმობა იყო, წალობას ვითხოვ თქუენი ოქმი და იასაული გვებოძოს, რომ ჩვენი მამული დაგვნებდეს. ნოე[მ]ბრის **ივ**, ქორონიკონს **უპჱ**.

თავში

ყოვლად სამღვდელოვ ნეკრესელო ამბროსი! ამ არზით ათანასე ჯვარისმამას ასე რომ მოუხსენებია, მერე აღდგომის მამულებისა როგორადაც გაგერიგებინოსთ და გაგერჩიოს, იმაზედვე უნდა და[ა]ყენო. ზოგიერთი იმ [მა]მულიდამ არ მობარებია და ისიც უნდა მოაბარო. ზევით გუგუნაურს რომ ეძახიან, ისიც ამათ მოაბარე. და თუ სიტყვა ჰქონდეს ვისმე, სამართალში ელაპარაკნენ. ამათი მამული რაც იყოს, სრულებით შენ განურჩიე და მოაშორე. ნოე[მ]ბრის **იჱ**, ქორონიკონს **უპჱ**.

მეფე გიორგი

## 719. არზა მუხრანბატონის შვილის გაბრატისა ყმა-მამულის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 19 ნოემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 6666. დედანი. ქაღალდი. 35,7×14,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის, მუხრანბატონის შვილის ბაგრატისა.

წლევანდელი მუხრანის შემოსავალიდამ რაც რამ იყო შემოსავალი, სრულად გამამართვეს; სამუხრანო შემოსავალი და ჩემი წილი სრულათ იმას მისცეს მჯადისჯვარში[2] ოთხი საკომლო მამული გამამართვეს; და ერთი კომლი კაცი ჩერქეზიანიდამ მზითევ-

1 საბნები.

2 ჯადისჯვარში.

ში გამოტანებული, ისიც გამამართვეს. ოცდათხუთმეტის დღის მიწა მუხრანში გამამართვეს. ერთი ნასყიდი ბიჭი მყვანდა, ცოლი შევრთე, ისიც გამამართვეს. ერთი ცხენი და უღელა კანბეჩიც გამომართეს; რვა ხარი და კანბეჩი; ორი თუმანიც თეთრი იასაულებმა გამომართვეს. ნოემბერს **ივ**, ქორონიკონს **უპჱ**.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის ხალვათხანის ეშიკაღასბაშო ციციშვილო გიორგი!

მერე ამ არზის პატრონი რომ ასე ჩივის, ამას რომ ორი კომლი კაცი, უღელი კამბეჩი და მუხრანსა და მჭადისჯვარს მიწები და ოცდაცხრა მინალთუნი გამორთმევია, ვისაც ჰქონდეს, ახლავ უნდა გამოაბარო და ამას მოაბარო. უამისობა არ იქნება. ახლავ ასე აღასრულე.

ნოემბრის **ით**, ქორონიკონს **უპჱ**.

მეფე გიორგი

ქ. ჩვენ, მეფის ძე დავით ამას ვამტკიცებთ. აპრილ[ის] **კგ**, ქორონიკონს **უპთ**.

ქ. დავით თაყაშვილო! ეს ბატონის ბძანება ას[ე] აღასრულე.

ბეჭედი: ხალვათხანის ეშიკაღაბაში გიორგი.

## 720. არზა ბეჟან რატიშვილისა სახლის ალაგის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 23 ნოემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 9786. დედანი. ქაღალდი. 20×14,4 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ბეჟან რატიშვილისაგან.

ჩემო ჯემწიფევ! მრავალჯერ მოგხსენებიათ ჩემის სახლის კაცისაგან ჩემზედ უსამართლობა. და ახლა კიდევ, ჩემი მამა-პაპის სასახლე წამართვა და კაცნიც ცემით ამომიწყვიტა.

წყალობას ვითხოვ, თქვენს შვილ იოანეზე ერთი ოქმი მებოძოს, ჩემი სახლის ალაგი მევე დამნებდეს, რომ სახლი გავაკეთო. თუ სიტყვა აქვს, სამართალში მელაპარაკოს. ნოემბრის **კ**, ქორონიკონს **უპჱ**.

თავში

ქ. უგანათლებულესო შვილო ბატონო იოანე! ამ არზით ბე-
ჟან რატიშვილს ასე რომ მოუხსენებია, ამას ფიცხელი სახლის
ალაგი უნდა მოსცე, რომ სახლი გაიკეთოს.

და თუ საბუთიანი სიტყვა ქონდეს რამე იმისს სახლისკაცს, შენ-
თან ალაპარაკე ორნივ და სწორე სამართალი უსაჯე. ნოემბრის კგ, ქო-
რონიკონს უპწ.

მეფე გიორგი

## 721. არზა ზარაფხანის იჯარადრეგისა სამართლის მიცემაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 25 ნოემბერი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 5662. დედანი. ქაღალდი. 21,8×14 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აბზაცების ბოლოს ნახმარია ორი წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოხსენებული მათის მონათ ქორონიკონს უპე ამ წლის ზარაფხანის მომმატებელის იჯარადრებისაგან.

ვგონებთ უსამართლობით სარჭრის შემატება არავის დაუმადლოთ. უთრუთს დაუბეზღებივართ: მელიქი და კვეზერელი ქრთამს აიღებენ ისინი და სარჭარს დააკლებენო. არც ჩვენ გვინდა, ჩვენო ჯელმწიფევ, რადგან ისინი სარჭრის დამკლებნი არიან, ყოველთ იციან ფითოანთ აღა ჰეშმარიტების მიმხედველია. ამ აღასთან ზარაფხანის ომალა ოთხიოდ ან მოხელენი, ან რომელთაც თქვენი გული ენდობა მოჭალაქენი და უთრუთის მონდომებულნი კაცნი შეიყარნენ და ჩვენი საქმე გაშინჯონ. თუ უსამართლოდ და უწესოდ ხალათი აგვეღოს, მეტობით გამოგვერთვას. და თუ ხალათი ჯეროვნად აგვეღოს, ამის განაჩენი გაგვიკეთონ. უთრუთ ხმას აგდებს, ბატონი ხალათს უკანვე ართმევსო. იჯარებს აბათილებს და ნება თქვენია. ნოემბერს კდ, ქორონიკონს უპწ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის არმის ეშიკაღასო ხერხეულიძე გიორგი! მერე ამ არზის პატრონი და ამის მოდავე ფითოაშვილი აღასთან მი[ი]ყვანე, ორიოდე ზარაფხანის ამალა და ორიოდე მოჭალაქე დაუსხი და სამართალი მიეცი. თუ რომ მოუმატებიათ და ხალათი გაუ-

ტანიათ, ვის რა სიტყვა აქვს, რომ ამაზე ედავებიან. გიორგობის კვ, ქორონიკონს უპჱ.

მეფე გიორგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 722. არზა სოლომონ გაბაშვილისა სამემანდროს თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 27 ნოემბერი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 5757. დედანი. ქაღალდი. 36×14,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის გაბაშვილის სოლომანისა.

თქვენის ბძანებით შამლუღში წაველ, ლეკები მოვასხი და თორმეტიც ქრისტიანი ტყვე გა[ა]ხელი, რომელსაც ორმოცი წელიწადი ქართლში ეთარეშნა, ისიც გაფუჭდა. ახლაც თქვენის ბძანებით სარდალს ვახლდი. ჯარში თქვენის დოვლათით თავი ძლივ მოვარჩინე. ექვსი თვეა ამ ლეკების სამსახურში გახლავარ. ორმოცდაცამეტი კაცი ჩემი თაბუნი გახლავსთ. ან ამის სამემანდროს წყალობა დამემართოს, ან არა იმ მემანდრე[ე]ბთან გამანწესოთ. გევედრებით ერთერთის მოწყალება თქვენის ოქმით დამემართოს. ნოე[მ]ბერს კვ, ქორონიკონს უპჱ.

კაცით და საქონლით დაღუპული ვარ.

თავში

ქ. ჩვენი ბძანება არის მემანდრებო! მერე ამ სოლომონ გაბაშვილს რაც თავის წილად სამემანდრო ერგებოდეს, ნუ დააკლებთ. და უნდა მოსცემდეთ ხოლმე. ნოემბრის კზ, ქორონიკონს უპჱ.

რაც აკოფას ეძლეოდა, იმ კვალად ამას უნდა აძლევდეთ ხოლმე.

მეფე გიორგი

## 723. არზა სიხარულაშვილებისა ყმობის თაობაზე

### გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 27 ნოემბერი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 25. საბუთი № 90. პირი. ქაღალდი. მხედრული. ოქმის თარიღი მცდარია, რადგან ამ დროს გიორგი XII გარდაცვლილია.

**[101v]** მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი სიხარულაშვილებისაგან გაბრიელასი და რევაზასი.

მამა ჩვენი იმერეთიდამ ხიზნათ გადმოვიდა, აქა-იქ გაბლდით, რომ ჩვენთვის ყმობა არავის უთქომს. მამა ჩვენი ცხინვალიდამ[1] დაიკარგა, ჩვენ ობლათ დავრჩით. სანატრელის ლევანის დროს უპატრონობით ივანე ბოგველმა აგვყარა და მოგვიყვანა. რა ივანე ბოგველი ჭირის **[102]** სანაცლო შეიქნა, მას აქეთ როგორც მამა ჩვენი ხიზანი კაცი იყო, ჩვენც ისე ვიყავით სოფლებში.

ახლა ივანე ბოგველის ქალი გაუთხოებიათ და ჩვენ ოთხნი ვაჟკაცნი მზითევში გვატანენ. ჩვენთან ივანე ბოგველს საბატონყმოთ საქმე რომ არა ჰქონია, მზითევში რათ მიეცემით? ჩვენ ჩვენი თავი თქვენთვის ყმათ მოგვირთმევია და გვიპატრონეთ, უსამართლოთ ნურავის მიგვცემთ. თუ მამა-პაპით იმისი ყმა ვართ, წიგნი და საბუთი ექნება, თუ წყალობათ ვართ მიცემული, მაინც წყალობის წიგნი ექნება. ნოემბრის **კზ**, ქორონიკონს **უპჱ**.

თავში

ჩვენი ბძანება არის! მერმე რადგან ამ არზის პატრონები ხიზანი ყოფილან, ამათთან არას კაცს საბატონყმოთ საქმე არა აქვს, ჩვენი ყმანი არიან. და თუ ვისმეს საბუთიანი წერილი და ან სიტყვა ჰქონდეს, ჩვენ მოგვახსენონ, პასუხი მიეცემათ. გიორგობის **კ**, ქორონიკონს **უპთ**.

---

[1] + ცხინვალიდამ.

## 724. არზა გოგია ალანდრისა სახლის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 30 ნოემბერი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 13. საბუთი № 21. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[20v] მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის გ ო გ ი ა ა ლ ა ნ დ რ ი ს ა.

ა შ პ ა შ ი ს შ ვ ი ლ ი ს არუთინას სახლი ოცდახუთის თუმნის გირაოდ მეჭირა. ქალაქის წახდენაში ის სახლი დაიწო. მერე იმ სახლის პატრონის სიტყვით ცხრა თუმანი დავხარჯე, ერთი ქოხი გავაკეთე, შიგ ცხენი მიბია, ვდგავარ, გზირებისაგან ილაჯი არა მაქვს. ერთი სახლი სხვა მჭონდა ათის თუმნის გირაოთა, ისიც თქვენს მოძღვარს უჭირავს. არც სახლის პატრონი ვარ და არც თეთრისა.

წყალობას ვითხოვ, მელიქზედ ოქმი მიბოძოთ, სანამ ჩემი თეთრი მამეცემოდეს, არავინ წამართოს. ნოენბერს კზ, ჭორონიკონს უპფ.

თავში

მელიქო დ ა რ ჩ ი ა ვ! მე[რე] ამ არზის პატრონის სახლში ნურავის დააყენებ; მანამდის თავის თეთრი მიეცემოდეს, შიგ უნდა იდგეს. ამაზედ ჩვენთან ნუღარ აჩივლებ, თორემ გვეწყინება. ნოემბრის

ლ, ჭორონიკონს უპფ. [ ]

## 725. არზა ისაია თაყოაშვილისა ვალის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 2 დეკემბერი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 32. საბუთი № 50. პირი. ქაღალდი. მხედრული. საბუთის პირი დაცულია აგრეთვე ხელნაწერთა ინსტიტუტში (Qd 837).

[38v] მათის უმაღლესობის ბედნიერის ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი თ ა ყ ო ა ს შ ვ ი ლ ი ი ა ს ი ა ს ი.

მოგეხსენებათ ბ ე რ ძ ე ნ ა შ ვ ი ლ ე ბ ი ს ა გ ა ნ როგორც დაღუპვილი ვარ, რომ მრავალჯერ თქვენთვისაც თავი მიწყენია, მაბლაღი თეთრი მართებსთ. თავიანთ გამორჩეული მოქალაქების სამართლით და ანგარიშით თითონ ბერძენაშვილის ყაბულობის ხელმოწერილიც არის. იმათი [39] სახლები გირაოდ მიჭირავს თავისი საგლებით, რაც

ქონება აქვსთ და საქონელი, სულ გირაოდ მიწერია. და ანგარიშს და განაჩენს უკან ცოტა რამ აქ და ყირიმს სარგებელში მამბარებია სანატრელის მეფის და თქვენის ბრძანებით. და იმას უკან დავბრუნდები მრავალიც დაგვიხარჯამს.

ჩემო მოწყალევ! ამ ქალაქში გირაო არავის მოშლია, გავიგონე არზა მოურთმევიათ. წყალობას ვითხოვ, ჩვენი ქალაქის განწესება და სამართალი ნურც მე მომეშლება. გირაოებიც გაყიდონ, რაც მამბარებია, ისიც მიანგარიშონ, ჩემი ასაღებიც და ხარჯიც თავისი სარგებლით. თუ მეტი იყოს მოსული ჩემზედ, წაიღონ, სხვა მოვალე[ე]ბს გაუყონ. და თუ კიდევ ჩემი დარჩეს, იმისიც პასუხი მამცენ.

ეს ჩემი მოხსენება თუ სამართლიანი და ჰეშმარიტი იყოს, ოქმის წყალობას ვითხოვ, დეკენბრის... ქორონიკონს **უპჱ.**

თავში

თაყოაშვილო ისაი! ასე რომ მოგიხსენებია, ჩვენ ქალაქის განწესება სამართალი არ მოგვიშლია, არც მოვშლით. ჩვენგან რაც იქ გაუტანიათ, ისიც დაგვიყენებია. რაც შენი გირაოებიდამ აგიდგეს, და ან აქამდის საიდამაც თეთრი მოგბარებოდეს, თუ მეტი მოვიდეს, მიუბრუნე; და თუ დაგაკლდეს, უნდა მოგცენ. დეკემბრის **ბ**, ქორონიკონს **უპჱ.**

## 726. არზა პავლე მღვდლისა სამწყსოს თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 5 დეკემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 661. დედანი. ქაღალდი. 25,3×14 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის, ბედნიერის ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მლოცველის, გრემის კარის ეკლესი[ი]ს პ ა ვ ლ ე მღვდლისა.

მე რომ ბ...ლში გახლდი, ჩემი სამწყსოც[1] და მამის ჩემის სამწყსოც[1] გაეცათ. ამას გევედრები, უსამწყსო[2] გახლავარ, ნეკრესელზედ ერთი ოქმი მებოძოს, რომ მამის ჩემის სამწყსო მამეცეს. დეკე[მ]ბერს **ე**, ქორონიკონს **უპჱ.**

---

1 სამწხსოც. 2 უსამწყხსო.

ჭ. ყოვლად სამღვდელოვ უფალო ნეკრესელო ამბრ[ო]სი! მერე ეს პავლე მღვდელი გრემს ჩვენს კარის ეკლესიაში განგვიწესებია, მანდ უნდა იმყოფებოდეს. და რაც ამის მამას სამწყსო სჭეროდეს, ისიც ამას უნდა მოსცე. ამასთან საქმე არავისა აქვს. მანდ ჩვენს ეკლესიაში უნდა იყოს და იმყოფებოდეს. ყმაც ჩვენი არის და ეგ ეკლესიაც; და მანდ განგვიწესებია. და სამწყსოც უკლებრად უნდა მოსცე, რაც რომ ამისს მამას სჭეროდეს. დეკენბერს **ე**, ქორონიკონს **უპჱ**.

მეფე გიორგი

## 727. არზა დიმიბრი ციციშვილისა მამულის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 11 დეკემბერი**

ცსსა. ფონდი 1418. საბ. № 1252. დედანი. ქაღალდი. 23×18,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ჭ. ღმერთმან ბედნიერ[ი] ჯელმწიფის ჭირი მოსცეს საწყალს ედია ციციშვილის ობოლს დიმიტრის.

ღმერთი გაგიმარჯვებს, ერთი ჩემი საქმე დროზედ გარდაწყვიტეთ, ორი ოქმი მიბოძეთ ასლან ეშიყაბაშზედ, რომ ზაქარიაშვილები თავიანთის საბუთებით თქვენთან მოეყვანა და სამართალი ისე მოგეცათ, ჯერაც არ შეუსრულებია.

გუშინ მომიხდნენ ზაქარიაშვილები, კინაღამ მომკლეს. თუ ჩემი მოყვრები და სხვა სახლის კაცნი ციციშვილები არ შემსწრებოდენ, ცოლ-შვილით ამომწყვეტდნენ, შენს წილს ყმასა და მამულს რათ ითხოვო.

ახლა მე საიდუმლოთ შევიტყე, იმათ რაღაც განაჩენი ჭონიათ, და მე ჩემის წილის ყმიდამ და მამულიდამ უწილოთ გავეყვანო. ჩემი ცოლი და შვილი მშიერები ყრიან და ისინი ჩემის წილის ყმისა და მამულის შემოსავალს სჭამენ, რას ინაღვლიან, რომ საქმე არ გათავდეს.

თუ მართლა თქვენი განაჩენი აქვთ და მე უწილოთ გაუყვანივარ მამიჩემის წილის ყმიდამ და მამულიდ[ამ]. თქვენ კარგათ მოგეხსენებათ მამაჩემი პირველი კაციშვილია საციციანოში, სწორეთ მიბრძანეთ, რომ აღარ შეგაწუხოთ და ჩემს თავს მოუარო როგორმე. დეკემბრის **ი**, ქორონიკონს **უპჱ**.

თავში

ქ. ჩვენი ბრძანება არის ა ს ლ ა ნ ეშიყაბაშო! ამ არზის მომტა-ნის სახლის კაცნი ზაქარიაშვილები თავიანთის საბუთებიც ჩვენ წარმოადგინე; და ის განაჩენიც მოატანინე, რომელსაც დიმიტრი ციციშვილი თავის სარივარში ანბობს: ვნახო რა განაჩენია. იქნება ღმერთი გაუწყრათ და ძველი საქმე მოიგონეს, როგორც ნეტარხსენებულის მამიჩემის დროს წიგნები გა[ა]კეთეს და ბეჭდები მოსჭრეს ახლაც ის მოიგონეს.

მინამ მე იმ განაჩენს ვნახამდე, მინამ შენ ობლის წილის ყმის და მამულის შემოსავალი შეკრიბე და ერთ კაც[ს] მიაბარე ჩემს სამართლის მიცემამდინ, რომ ობოლი არ დაიჩაგროს. დეკემბრის ია, ქორონიკონს ჩყ. მეფე გიორგი

## 728. არზა გოგია ციციშვილისა ლალის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 11 დეკემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 9532. დედანი. დაზიანებული. ქაღალდი. 26,5×14,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჴელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ხალვათხანის ეშიკაღაბ[აშ ცი]ც ი ს შ ვ ი ლ ი ს გ ო გ ი ა ს ი.

ვისაც ჩემი ან ლალა და ან კულუხი ეჭიროს, ამას გარდა მიწა და სასახლის ალაგი ეჭიროს, ამისას ოქმისა და იასაულ[ის] წყალობას ვითხოვ, [ისე მო]მაბაროს. დეკემბერს ც, ქორონიკონს უპჱ. მეფე გიორგი

თავში

ჩვენი ბრძანება არის არმის ეშიკაღაბაშო ხ ე რ ხ ე უ ლ ი ძ ე გ ო გ ი ა ვ!

მერე ამ არზით ასე რომ მოუხსენ[ებია], ვისაც ამისი ან ლალა და ან კულუხი ეჭიროს და ან მიწა და ან სა[სახლის ად]გილი ეჭიროს, ამისი ყველა შენ უნდა [გამოურთო] და მოსცე სამართლ[იანად. და თუ] სიტყვა ჰქონდეს ვისმე, სამართალში ალაპარაკე. დეკემბრის ია, ქორონიკონს უპჱ. მეფე გიორგი

## 729. არზა მანუჩარ არღუთაშვილისა უმის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 12 დეკემბერი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 4266. დედანი. დაზიანებული. ქაღალდი. 28×14,4 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის არღუთაშვილი მანუჩარასი.

არღუთაშვილს სისუას ჩემი ერთი კომლი კაცი უჭირავს და არ მანებებს, თქვენი ოქმიც მიუტანე და არ შეიწყნარა.

გევედრებით ერთი ოქმისა და იასაულის წყალობა მოიღოთ, ჩემი კაცი მამაბაროს. თუ ვისმე სიტყვა აქვს, სამართალში მელაპარაკონ. დე[კემბერს] **იბ**, ქორონიკონს **უპწ**.

თავში

ქ. ჩვენ მაგიერად სარდალ სალთხუცესს ორბელიანს იოანეს ასე ეუწყოს! მერე ამ არზით არღუთაშვილს მანუჩარს ასე რომ მოუხსენებია, რადგან ამისი კაცი ყოფილა, სამართლიანის საქმით ამისი უნდა მოაბარო და თუ საბუთიანი სიტყვა ჰქონდეს რამე, შენ გამოიძიე და სწორე სამართალი უსაჯე. დეკემბრის **იბ**, ქორონიკონს **უპწ**. ჩვენთან ნულარ აჩივლებს.

მეფე გიორგი

## 730. არზა საამ ქვლივიძისა გამოსაღების თაობაზე გიორგი XII-ისა და დავით მემკვიდრის ოქმებით

**1800 წ. 17 დეკემბერი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 3611. დედანი. ქაღალდი. 32,3×15 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის საამ ქვლივიძისა.

ძველთაგან სვიმონ მეფისაგან აზნაურშვილი გახლავარ. მერე არეულობა მამხდარა. ამ [მ]იზეზით ჩვენის ალაგიდამ ჩვენც მო[ვ]შლილვართ. საგარეჯოს კურთხეულს მეფეს ოთხის დღის მიწა უბოძებია ჩვენთვის და აზნაურშვილობის სიგლით იმაზედ დაუსახლებივართ. კურთხეულის მეფის ოქმიც მიჭირავს აზნაურშვილობისა და თქვენის უმაღლესობისაცა. მე ამ ახალს მოხელე[ე]ბს ვერა შევასმინე რა და ვერც იმათ უჯათს მე უძლებ.

გევედრებით, ან ამ თქვენს ბოძებულს ოქმს სრულება მიეცით, რომ აღარც მე თავი გაწყინო და არც იმათ შემაწუხონ. ან არადა, იქიდამ ამყარეთ და საცა თქვენი ნება იყოს, იქ დამაყენოთ. დეკემბერს **იდ**, ქორონიკონს **უპჱ**.

თავში

ქ. ჩვენ მაგიერად ორბელიანს საგარეჯოს მოურავს ვახტანგს და ნაცვალს ასე ეუწყოს! მერე ეს ჭკვიანი აზნაურშვილი არის, თუ სხვა აზნაურშვილებს ეთხოება რამე, ისე ამას ეთხოება. ეს ხომ კარგად იცით, რომ აზნაურშვილს არა ეთხოება რა და რატომ არ ჩამოეხსნებით ამ კაცსა და ასე აჩივლებთ. თუ რომ ამაზედ ჯელი არ აიღევით და ამან ჩვენთან კიდევ იჩივლა. ეს იცოდეთ დიდათ გიწყენთ და კიდეც გარდაგახდევინებთ. ჩვენი გადაწყვეტილი ბძანება ეს არის და ახლა თქვენ იცით. რომელიც იასაული და მოსაქმე მივიდეს, იმანაც ასე იცოდეს დეკემბერს **იზ**, ქორონიკონს **უპჱ**.

ხალიჩა, რომ წაგირთმევიათ, ეგეც მიეცით. მეფე გიორგი

ქ. ბატონო საგარეჯოს მოურაო ზაქარიავ! როგორც კურთხეულის პაპის ჩვენისა და ან კურთხეულის ბატონის მამისჩვენის მეფის ოქმი აქვს, ჩვენც ასევე დაგვიმტკიცებია და ასე უნდა შეუსრულოთ, რომ ეს არასფერზედ არ შეაწუხო. აზნაურშვილი არის. ფებერვლის **იგ**, ქორონიკონს **უპთ**. დავით

## 731. არზა ბარძიმ ამილახვრისშვილის დედისა უმეგისა და წანართმევის თაობაზე გიორგი XII-ის ოქმით

**1800 წ. 17 დეკემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 1401:4. დედანი. ქაღალდი. 33,3×14,3 სმ. მხედრული. აქა-იქ წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი ბარძიმ ამილახვრისშვილის დედისა.

ომანის შვილისა და ჩემის შვილისა მოხსენებული გაქვსთ რაც მოხდა. ყმითა და თავით გაგვყარეს, ფხვენის[ს] გახლავართ. რაც სულს აქეთი მჭონდა, სულ წაგვართვეს ან ბატონსა და ან ყმასა. ამ ცივს ზამთარში სიცივითა და შიმშილით ვიხოცებით. იქაც ბეჟანის შვილი კარს გვადგანან, ხოცვას გვიპირობენ.

გევედრებით თქვენს შვილს დავითს უბძანოთ, ჩვენი კაცი თავ-თავის ალაგს დადგეს და არვისგან ეფიქრებოდეს; ჩვენზედაც თვალყური ეჭიროს, არავინ დაგვჩოცოს. რაც წანართმევი აქვსთ, ისიც მოაცემინოთ სამართლამდინ. ინებოთ, თქვენს სამართალში გადაწყდეს ჩვენი და იმათი დავა, ინებოთ, თქვენმა შვილმა დავითმა გადაწყვიტოს. დეკემბერს **იე**, ქორონიკონს **უპჱ**.

თავში

ქ. უგანათლებულესო შვილო ბატონო დავით! მერე ამ არზით ასე რომ მოუხსენებია, ამის კაცები თავ-თავის ალაგს დააყენე და თვალყურიც გეჭიროს, რომ უბრალოთ არავინ შეაწუხოს. და რაც წართმეული აქვსთ, ისიც მოაცემინე და ამათი სამართალიც შენთან გარდაწყვიტე სამართლიანად. დეკენბრის **იზ**, ქორონიკონს **უპჱ**.

| მეფე გიორგი |

## 732. არზა სიღნაღის ქევხის თეიმურაზისა ადგილის თაობაზე დავით მემკვიდრის ოქმით

**1800 წ. 30 დეკემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3399. დედანი. 33×14,2 სმ. ქაღალდი. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მისს უგანათლებულესობას მეფის ძეს საქართველოს მემკვიდრის დავითის წინაშე მოსახსენებელი თქვენის ნათლულის სიღნაღის ქევხის თეიმურაზისა.

სიღნაღში ყასაბს ქიტესას ერთი ბურჯი უჭირავს, ძირაც იმის სიძეს თათულს დაუჩემებია, ნაგომურია და ნაშენი არის რა კარისაკენ როსტომა შვილის არუთინას სახლის მიჯნამდინა, იქით კიდევ ციხელი პა[ა]ტას მიჯნამდინა, წინ დალალი დავითას ბანის გზამდინა.

წყალობას ვითხოვ ეს მებოძოს. სათქვენოდ ყავრული დავახურვინო, რომ როდესაც მობძანდეთ, იქ ჩამობძანდეთ. ქიზიყის მოურავსაც უბძანოთ, აყრილობა რომ მოხდეს, იქ ქოხები არავინ გა[ა]კეთოს. დეკემბერს **კჱ**, ქორონიკონს **უპჱ**.

ზემო კიდეზე

ქ. ბატონო ბიძავ ჩვენო სარდალო, ქისიყის მოურაო რევაზ! მერე ამ არზით სიღნაღის ქევხას რომ ასე მოუხსენებია, რომელიც

მიჯნები გამოუცხადებია, ამ მიჯნების საშუალო ადგილი ამისთვის გვიბოძებია. ამ[ას] უნდა დაანებოთ და ეს ბურჯიც ამას უნდა დანებდეს, რომ ყავრული დაადგმევინოს და ღმრთის მოწყალებით ჩვენ, რომ მანდ მოვიდეთ, იმაში დავდგეთ. დეკემბრის **ლ**, ქორონიკონს **უპჱ**.

დავით

## 733. არზა თბილისში მსახლობელ საეკლესიო ყმათა გამოსაღების თაობაზე პატრიარქის ოქმით

**XVIII ს. II ნახ.**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1772. პირი. ქაღალდი. ჰხედრული. უთარიღო.

ქ. ღმერთმან ყოვლად უწმიდესის პატრიარხის ჭირი მოსცეს ერთობლივ მემკვიდრესა და ეულს თქვენს ყმათა ქალაქში მსახლობელთ.

მემკვიდრე კაცნი აღარავინ არის, ყველანი ჩვენთავად შემოწირულნი გახლავართ. რაც ჩვენი შაძლება არის უნდა გემსახუროთ.

ვინცავინ სოფლის ხარჯში არ ურევია და ქალაქში თქვენ ყმად იხსნება და არც ჩვენ გვიდგება ხარჯში, თავის შაძლებით უნდა მოგვიყენოთ.

არას ქვეყანას თარხანი აღარვინ არის საქართველოში. ზოგი ჩვენი მამასახლისი ათარხნებს, ზოგი სხვანი. და ჩვენ ძალა დაგვემართა, მონანი გახლავართ.

ქ. შადინას შვილები მოყალნე

ქ. თარხანი უმორჩილო კაცი
ქ. ოქანთ სტეფან[ა]ს შვილი
ქ. ოზანთ კერძი დავითა
ქ. შამძლებელი პაპა
ქ. როსროხანთ პაპას შვილი გოგია
ქ. ოქინათ ოაჰნეზა
ქ. ფრანგი პეტრეს შვილები
ქ. ფეიქარი გრიქოლა
ქ. ბრმა ათოა
ქ. ქარშიკა პეტრე
ქ. სუქანას შვილი
ქ. ყარაოღლან[ა]ს შვილი
ქ. ჰინჭალის შვილი
ქ. ძეგველას შვილები
ქ. ოქრომჭედელი ფარსადანა

ქ. ოქოას შვილები
ქ. მეთევზე შაქარა
ქ. ჰასრათას შვილი
ქ. პარვართას შვილები
ქ. ქალიკოას შვილები
ქ. ოანეზა
ქ. კვეზერლის შვილები
ქ. ავაქა
ქ. ფეიქარ[ი] სულხანა
ქ. მეჩახმახე ავეტიქა
ქ. მესანთლე მელქოა
ქ. ბაყალბაში დანელა
ქ. უზბაშის შვილები
ქ. ოქრომჭედელი ლაზარე

ქ. შაუძლებელი არის ყუზუნას შვილები
ქ. ხუდადას შვილი
ქ. ყაზაზის შვილები
ქ. ნალბანდი
ქ. ძეგველას შვილი პეტრე
ქ. ფეიქრები გარეთუბანს
ქ. მუნთოას შვილი
ქ. შაროას შვილები
ქ. ისაკა ნამამასახლისარი
ქ. არაქელას შვილები
ქ. ქურქჩი არუთინა
ქ. ბრმა ოანეზა
ქ. შაჰანთ სტეფანა
ქ. გასტას შვილი გოგია
ქ. კოსტანას შვილი არუთინა
ქ. მკალავი ღარიბა
ქ. მელორე მოსია
ქ. დაბაღი ოსეფას შვილი
ქ. ჩახრი ბეჟანა

თუ აქედამ ერთი ვისმე ძალა დაემართოთ და გავიდეს, პასუხის გამცემი ჯარიმით ვიყ[ვ]ნეთ.

verso

ქ. მოქალაქელთ ამ არზით რომ მოუხსენებიათ, ვინცავინ სოფლის ხარჯში არ ურევია და ქალაქში სახლობენ, თავიანთის შაძლებით უნდა მოგვიდგნენ.

მამასახლისო გაბრიელ! თუ ძალა და უსამართლობა დაემართა ვისმე, შენ გადაახდევინე.

## 734. არზა ერეკლეს დისწულის მარიამისა ვალის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით

XVIII ს. ბოლო

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3840. დედანი. ქაღალდი. 19,5×11 სმ. დაზიანებული, მარცხენა ზემო კუთხე მოხეულია. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ღმერთმან თქვენი ჭირის მოსცეს თქვენს დისწულს მარიამს. მერე მიღდისაისშვილისაგან დიმიტრის საქორწილო ფარჩა ავიღე, იმის ფასათ ცამეტი ს[ა]პან[ლ]ე ღვინო გამომართო ქრისტისშობის თვეში ამ პირობით რომ: როგორც კახეთს იყოსო, ხუთ აბაზ მეტათ ავიღებო. მე მოვიკითხე, რომ მაშინ თუთხმეტ მინალთუნათ ყოფილიყო და თექვსმეტ მინალთუნათ მივეც. ოსეფაც ფიცამს ღორღანასშვილი, რომ მაშინ თვრამეტ მინალთუნათ ავიღეო. თამასუქიც იმასვე აქვს და თოთხმეტ მინალთუნსაც არ მაძლევს, ფარჩაშიაც სარგებელი ქნა და ამ ღვინოსაც ასე ნაკლებ იჭერს.

სამართალს ვითხოვ, ღმერთი გაგიმარჯვებსთ.

კიდეზე

ქ. ყორიასაულბაშო! ეს საქმე შენ გარდუწყვიტე ყმაწვილების გზით. ივლის... ქორონიკონს*.

## 735. არზა დიმიტრი ხიმშიაშვილისა ყმის თაოგაზე დავით მემკვიდრის ოქმით

**1801 წ. 6 იანვარი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 6746. ღედანი. ქაღალდი. 24,5×14,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის ჯელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ხიმშიაშვილის დიმიტრისა.

ფშაველში ერთი კომლი კაცი მყავს ჩემი მემკვიდრე ღარიბაშვილები მახარა. გევედრებით თუშ მოურავზედ ერთი ოქმი მიბოძოთ, ისინი ამიყაროს და მამაბაროს. დეკემბერს **ით**, ქორონიკონს **უპჱ**.

თავში

ქ. საქართველოს მემკვიდრის დავითის სიკეთით სახსოვარო თუშთ მოურაო დურმიშხან! მერე ამ არზის პატრონს ხიმშიაშვილს ასე რომ მოუხსენებია, ამას თავისი კაცი უნდა აუყარო და მოსცე. და თუ საბუთიანი სიტყვა აქვს რაშე, ჩვენს ძმას ბაგრატთან ალაპარაკე. იანვრის **ვ**, ქორონიკონს **უპთ**. დავით

verso

ქ. ჩვენის ძმის ბრძანებისამებრ აღასრულე. იანვრის **ვ**, ქორონიკონს **უპთ**. ბაგრატ

---

* დანარჩენი აკლია.

## 736. არზა გეჟან ლიპატანისა ყმის თაოგაზე იულონ გატონიშვილის ოქმით

**1801 წ. 10 იანვარი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 27. საბუთი № 293. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[203] ღმერთმან მეფის[1] ძის იულონის ჰირი ბეჟან ლიპატანს მოსცეს.

მერმე ამას მოვახსენებ, არბაბობას წინათ წელიწადს აქეთ ორი კომლი კაცი მყავს, რომ ამისი მცილე არა მყოლია. ახლა ღმერთმან ასე თქვენი ორგული შეაწუხოს, როგორც მე მდებარე გახლავარ. და ეს ჩემი სამკვიდრო კაცნი არღარას მეპოებიან. რა საციციანო წამხდარა, მეცა და ეს ჩემი კაცნიც ხიზნათ გახლავარ. აქამდინ მინამ ფეხზე გახლდი, კიდევ მეპუებოდნენ რასმე და ახლა რაკი მოუძლურდი, ღარას მეპუებიან. ახლა ამ მოწყალებას ვითხოვ, რომ ის კაცნი დატუქსონ და როგორც რიგი იყოს ისე მემსახურნენ. ღმერთი გაგიმარჯვებს. იანვრის ი, ქორონიკონს უპთ.

თავში

მეფის ძე იულონ გიბრძანებ ბოქაულთხუცესო ფირან! მერმე ამ არზის პატრონი ამ არზით თავის ყმებს რომ ასე უჩივის, ამაზე იასაული უნდა გაგზავნო, რომ იმ კაცებს თანბა უყოს და რაც შეეძლოს კიდეც ამ თავის ბატონისთვის ამსახუროს. და ესეც იცოდენ იმ კაცებმა, თუ კიდევ ის თავეთი ბატონი თავიანთის უარშიობით ჩვენთა[ნ] აჩივლეს, დიდათ გარდავახდევინებთ. იანვრის ი, ქორონიკონს უპთ.

ქ. როგორც ბატონყმობის რიგი იყოს და შეეძლოსთ, ისევ უნდა [მ]სახურო[ნ] ამ თავის ბატონს.

## 737. არზა რუისელებისა გამოსაღების თაოგაზე თეიმურაზ გატონიშვილის ოქმით

**1801 წ. 13 იანვარი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 393. დედანი. ქაღალდი. 20,2×13,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უგანათლებულესობის საქართველოს მეფის ძის თეიმურაზის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ციციშვი-

[1] ფების.

ლის ნიკოლოზ მდივანბეგის ყმების სამი კომლი კაცის რუისელებისა.

ასემც თქვენი ორგული წახდეს, როგორც ჩვენ წაგვახდინეს. უწლოდ სულ აგვიკლეს; პურით, ქერით, ღვინით, საქონლით; რაც გვებადა, სარჩოსაგან გაგვაყენეს; სულების მეტი აღარა შეგვრჩა რა.

წყალობას ვითხოვთ ერთი მაგარი ოქმი გვიბოძოთ, ან თქვენი მოსაქმე მოვიდეს, ან თქვენის ძმებისა; წრეულობით შეგვასვენონ, აღარაზე შეგვაწუხონ. ღმერთი გაგიმარჯვებსთ, აკლებულნი კაცნი ვართ. იანვრის **იგ**, ქორონიკონს **უპთ**.

თავში

მეფის ძე თეიმურაზ მოგიწერთ: რომელნიც ან ბატონისა და ან ჩვენი იასაულები მიხვიდოდეთ ხოლმე რუისს, ამ კაცთ წლეულობით ხარჯში ნუ გაარევინებთ. წლეულ ეს კაცნი გაგვითარხნებია. იანვრის **იგ**, ქორონიკონს **უპთ**.

ბეჭედი: მეფის ძე თეიმურაზ.

## 738. არზა ფარსადან ესიტაშვილისა ყმის თაობაზე დავით მემკვიდრის ოქმით

**1801 წ. 18 იანვარი**

ცსსა. ფ. 1449. საბუთი № 298. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. მათის უმაღლესობის სრულიად საქართველოს მეფის ძის მემკვიდრის დავითის წინაშე მოხსენება მათის მონის ფარსადან ესიტაშვილისაგან.

ხემწიფე მამის თქვენისაგან მონდომებული იყო საცხენის[ს] შენობა, საცა კახეთში ჩემი კაცნი დგანან, ოქმი მიბოძა და იასაულად იოსებ ზაალაშვილი, უნდა აეყარა და საცხენის[ს] დაეყენებინა. შვიდი კომ[ლ]ი კაცი სხვაც მიბძანა, რომ ოქმები მაქვს, მაგრამ მაშინ ის ჟამი იყო, რომ ველარ ავყარე.

ახლა ამ წყალობას ვითხოვ, მანამ თქვენი მოწყალებაც დამემართოდეს და ავყრიდე, ოქმი მებოძოს, ვის როგორ შე[ე]ძლოს, ჯერ ხანათ იქიდამვე მემსახურნენ. იანვრის **იე**, ქორონიკონს **უპთ**.

თავში

ჭ. სრულიად საქართველოს მემკვიდრე მეფის ძე დავით გიბრძანებ*. მერე ამ ესიტაშვილის ყმანი სადაც იდგნენ, თავეთის ძებლებით უნდა ამსახურო, როგორც რიგი იყოს. იანვრის **იჩ**, ქორონიკონს **უპთ.**

დავით

## 739. არზა სოლომონ არღუთაშვილისა ყმის თაობაზე ვახტანგ გაბონიშვილის ოქმით

**1801 წ. 8 თებერვალი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 52. საბუთი № 79. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[70] მათის უგანათლებულესობის მეფის ძის ვახტანგის წინაშე მოსახსენებელი არღუთოვის სოლომონისა.

ჟამთა ვითარებისაგან ჩვენის მამულიდამ ჩვენი ყმანი აყრილან და აქა-იქ [v] დაფანტულან და სამი კვამლი აქ არაგვზე გხლებიათ ორი კომლი ავეტაშვილები და არაქელაშვილი იოსებ. მამაჩემს სანატრელის თქვენის ძმისათვის მოეხსენებინა, ოქმი ებოძებინა აყრისა. ავეტაშვილი ვართანა აეყარა და წაეყვანა; ავეტაშვილი დავითაც თან წაეყვანა და შვილები და სახლობა კი აქავ დარჩომილიყვნენ ცხვრის მოსავლელათ. არაქელაც აეყარა, წაეყვანა და თავისი შვილი იოსებ აქ ბებიასათვის მიებარებინა. ომარხანობას ისევ აქეთ წამოსულიყვნენ. დავითა თქვენის ჭირის სანაცვლო შექმნილიყო. და ახლა ორი შვილი გახლავს იმისი — მოსია და გოგია. ვართანა თვითონ ახლაც ცოცხალი გახლავს და არაქელა რუსეთს გახლავს და იმის შვილი იოსებ აქ გახლავსთ.

ვითხოვ თქვენის მოწყალებისაგან, რომ ერთი ოქმი მიბოძოთ, როცა მინდოდეს ამ ჩემის ყმების აყრა და თავეთის მამულში წაყვანა, არავინ დამიშალოს და მარადის გახლდნენ, ხარკზე და გამოსაღებზე არავინ შეაწუხოს. თებერვლის **ჩ**, ქორონიკონს **უპთ.**

თავში

ბატონიშვილი ვახტანგ გიბძანებთ! მერე ამ არზით მიმბაშს არღუთაშვილს[1] სოლომონს ასე რომ მოუხსენებია, რომელიც ამ

---

* დატოვებულია ცარიელი ადგილი მოხელის სახელის ჩასაწერად.

1 არყუთაშვილს.

არზაში ამის ყმანი სწერიან, როდესაც მოინდომოს ამათი აყრა და ფა-
ვეთს მამულში წაყვანა, არავინ დაუშალოს. და მარამდის იქ იყვნენ, ხარჯსა და გამოსაღებში არავინ უნდა გარიოთ და არცვინ შეაწუხოთ, თორემ ჩემი საწყენი იქნება. თუ ამათ მოხელეს ვისმე სიტყვა ჰქონდესთ, ჩვენ მოგვახსენონ. თებერვლის ც, ქორონიკონს უპთ. [ვახტანგ]

## 740. არზა დიმიტრი მდივნისა ყმის თაობაზე დავით მემკვიდრის ოქმით

**1801 წ. 17 თებერვალი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 25. საბუთი № 38. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[48] ქ. მათის იმპერატორების დიდებულების ნებით სრულიად საქართველოს მემკვიდრის და მმართებელის მეფის ძის დ ა ვ ი თ ი ს წინაშე მოსახსენებელი მათის მონის მდივნის დ ი მ ი ტ რ ი ს ა გ ა ნ.

ჩემო მოწყალევ, ვგონებ თქვენც კარგად მოხსენებული გქონდესთ და მთლად საზოგადობამ იცის მ ა თ ე მღვდელი, იმის ძმისწული ბ ა ს ი ლ [V] მღვდელი თავისის შვილებით მამა-პაპით ჩემნი ყმანი გახლავან და არას კაცს სადაო და სალაპარაკო არავისა აქვს. სანატრელს პაპას თქვენს მ ე ფ ე ს ი რ ა კ ლ ი ს ასეთ რიგათ აწყინა თავი, აღარც დღე მოასვენა და აღარც ღამე. პაპა თქვენმაც წყალობის წიგნი უბოძა — შენს მაგიერს მივსცემო.

გევედრებით ან მაგიერი გვიბოძოთ და ან ჩვენი მამა-პაპის ყმანი. ყოვლის ივერის მოწყალე ბრძანდებით და მეც ნუ დამაგდებთ უნუგეშოს. თებერვლის **ივ**, ქორონიკონს **უპთ**.

თავში

ქ. ნ ი ნ ი ა ეშიკაღაბაშო! ჩვენ მაგიერი კაცი არა გვყავს, რომ მივსცეთ. ეს თავისი კაცი მოაბარე. თებერვლის **იზ**, ქორონიკონს **უპთ**.

[ ]

## 741. არზა ლუარსაბ გლურჯიძისა ვალის თაობაზე დავით მემკვიდრის ოქმით

**1801 წ. 17 თებერვალი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3796. დედანი. ქაღალდი. 19,5×7,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. მათის დიდებულობის ბრძანებით საქართველოს მემკვიდრის მეფის ძის დავითის წინაშე მოხსენებული მათის მონის ლუარსაბ გლურჯი[ძი]საგან.

ხუთი თუმანი ემართა ერთს კაცს ჩემი. შარშან თქვენ მოგახსენე. სოლომონ მდივანბეგის ძმას იოსებს უბძანეთ: გამოურთვი, მოეც. ოთხი თუმანი მე მომცა. ერთი თუმანი ჩემის თეთრიდამ აუღია და იმისთვის საიასაულო გამოურთმევია.

თუ სიტყვა არა ჰქონდეს, ჩემი ერთი თუმანი მომცეს; და თუ სიტყვა აქვს, მოსამართლე[ე]ბთან მომყვეს. ფებერვლის **ე**, ქორონიკონს **უპთ.**

თავში

ქ. უფალნო მსაჯულნო! ეს მოხსენება საჯეთ ჭეშმარიტად და აღასრულეთ. თებერვლის **იზ**, ქორონიკონს **უპთ.**

დავით თათო, შენ ახარარ(?)[1].

## 742. არზა იოსებ მაღაქელაშვილისა ვალის თაობაზე დავით მემკვიდრის ოქმით

**1801 წ. 18 თებერვალი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3684. დედანი. ქაღალდი. 21,3×14,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. ოქმის თარიღი მცდარი უნდა იყოს.

ქ. მათის იმპერატორების დიდებულების ბრძანებით საქართველოს მმართებლის და მემკვიდრის დავითის წინაშე მოსახსენებელი იოსებ მაღაქელაშვილისა.

ერევანს ქალოჰანეზას ჰირიანობის წელიწადს ერთი საპალნე რუსული საქონელი გაუგზავნე გასასყიდლად. ამისი ანგარიში გაუწმენდელი გახლავსთ. რამთენჯერ წიგნი მივწერე, არ გამიკითხა, ახლა იმის შვილი აქ გახლავსთ. ოქმი და იასაული მიბოძოთ, ვისთანაც იმან მოინდომოს, სამართალში მელაპარაკოს და ანგარიში გამიწმინდოს. თებერვლის **იჱ**, ქორონიკონს **უპთ.**

[1] ჩაწერილია სხვა ხელით.

თავში

ქ. მათის იმპერატორების დიდებულების ნებით სრულიად საქართველოს მემკვიდრე და მმართებელი დავით გიბრძანებ ქ ა ქ ა ბ ე რ მ ა ნ ო ზ ი შ ვ ი ლ ო! მერე ამ არზით ი ო ს ე ბ მდივანი რომელსაც უჩივის, სამი-ოთხი მოქალაქე დაუსხი და სამართლით და ანგარიშით პასუხი მოაცემინე. ფებერვლის იზ, ქორონიკონს უპთ. | დავით |

## 743. არზა გიორგი ნასახჩიბაშისა მამულის თაობაზე დავით მემკვიდრის ოქმით

**1801 წ. 19 თებერვალი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 9722. დედანი. ქაღალდი. 22,8×12,3 სმ. მხედრული. აქა-იქ წერტილი.

ქ. მათის დიდებულობის ბრძანებით სრულიად საქართველოს მემკვიდრედ დადგინებულის დ ა ვ ი თ ი ს წინაშე მოხსენებული ნასახჩიბაშის გ ი ო რ გ ი ს ა გ ა ნ.

ერთი ოქმი მიბოძეთ თ ა რ ხ ნ ი ს შ ვ ი ლ ს დ ა ვ ი თ ზ ე: დავ ი თ ი ს შვილმა ე ლ ი ს ბ ა რ მ ა, რომელიც მამული მომყიდა, იმისმა სახლისკაცმა ზ ა ა ლ მ ა გამირჩიოს და მომაბაროს. და თუ ზაალს ემართოს რამ, ისიც მოაცემინოს. ფებერვლის ზ, ქორონიკონს უპთ.

თავში

ქ. მათის იმპერატორობის ნებით ჩვენ, სრულიად საქართველოს მ ე მ კ ვ ი დ რ ე დ ა ვ ი თ, გიბრძანებ თ ა რ ხ ნ ი ს შ ვ ი ლ ო მიმბაშო დავით! მერმეთ როგორც ამ არზის პატრონს მოუხსენებია, ელისბარს რომელიც მამული მიუყიდნია ნასაღჩიბაშისათვის, იმის სახლის კაცს ზ ა ა ლ ს უნდა გაარჩევინო. და თუ ზაალს ემართოს რამე ამ არზის პატრონისა, ისიც გამოურთვი და მოეც. თებერვლის ით, ქორონიკონს უპთ. | დავით |

# 744. არზა ნინოსი მამულის საქმეზე დავით მეფკვიდრის ოქვით

**1801 წ. 20 თებერვალი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 8488. დედანი. ქაღალდი. 34×11 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ წერტილი. ა-ნაკლული.

ქ. მათის უმაღლესობის სრულიად საქართველოს მემკვიდრის მეფის ძის წინაშე მოსახსენებელი მათის მხევლის პაპიდაშვილის ნინოსაგან.

თქვენი ყმა რომ ცოცხალი გახლდათ, მ[ა]ლ[ა]ქიასთან მივიდა, თავდებათ დაუდგა გივი ციციშვილს ფარე[შ]თხუცეს[ს] და ოცი თუმანი აიღო და გივს მისცა. თავისი მამული და ყმა მალაქიას დაუდვა გირაოთ. და იმ გივმა თავისი სახლის ნასყიდობის სიგელი და თეთრის თამასუქი თქვენს ყმას მისცა. ეს სახლები ჩემია. საქმე არავის აქვს. და გავიგონე რომ სხვისთვინ გიბოძებია.

წყალობას ვითხოვ, რომ ეს ვალი გადაწყვიტოს და ჩემს შვილს გლურჯიძე მა[ა]შოროს, რა საქმე მაქვს; მე ჩემი თამასუქი და მამული მამბარდეს, ჩემთან საქმე არავის ქონდეს.

მე სხვას წყალობასაც ველი თქვენგან. ერთმა ობოლმა ყმაწვილმა თქვენს ერთგულობაზედ თავი დადვა. ღმერთი გაგიმარჯვებს, სამართალი მაღირსე. თებერვლის **ი**, ქორონიკონს **უპთ**.

თავში

ქ. მათის იმპერატორების დიდებულების ნებით სრულიად საქართველოს მემკვიდრე და მმართებელი დავით გიბრძანებთ ციციშვილო კოსტანტილე! მერმე ამ არზით რომ ასე მოუხსენებია, ამ ნინოსთან ჯელი არავისა აქვს და ვერცავინ რას გამოართმევს. გივის ციცისშვილის ყმისა და მამულიდამ უნდა მიეცეს.

ფებერვლის **კ**, ქორონიკონს **უპთ**. დავით

## 745. არზა ბარძიმ ამილახვრის შვილისა წანართმევის თაობაზე დავით მეფკვიდრის ოქმით

ერეკლეული ბიბლიოთეკა

**1801 წ. 26 თებერვალი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 8992. დედანი. ქაღალდი. 33,7×13,9 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის დიდებულების ბრძანებით საქართველოს მმართებლის დავითის წინაშე მოსახსენებელი ბარძიმ ამილახვრის შვილის ბარძიმისა.

როგორც კურთხეულის მამის თქვენის ბძანება ქონდეს ბეჟან მი[ნ]ბაშს, ებძანოს იმის შვილებს, რომ სამართლამდინ შფოთს დაგვეხსნან ჩვენც და ჩვენს კაცებსა. და რაც წანართმევი ქონდეს, ისიც გვებოძოს. ვენახი როგორც წაეხდინოს, ისევ იმისმა კაცებმა გა[ა]კეთონ, აკაფულს ხომ აღარ ეშველება რამ.

თქვენს ბედნიერს სამართლამდის დამაცალონ შფოთისაგან; ან სიკვდილისა არ მეშინოდეს ან მე და ან ჩემს ყმებს. ჩვენი დავა თქვენმა ბედნიერმა სამართალმა გადაწყვიტოს[1]. წანართმევის სია გახლამთ. თებერვლის **კე**, ქორონიკონს **უპთ**.

თავში

ქ. მათის იმპერატორების დიდებულესობის ნებით სრულიად საქართველოს მეფკვიდრე და მ[მ]ართებელი მეფის ძე დავით გიბძანებ იოსებ და დიმიტრი!

მერე ამ ბარძიმის საჩივარზე აქ ამილახვარის შვილის მინბაშის ბეჟანისათვისაც გვითქვამს და შენც ამის შვილებსაც უნდა შეატყობინო, რომ ამ ბარძიმს და ამის კაცებს არა აწყ[ე]ნინონ რა და არცა შესცოდონ რა, თორემ სამართალი დაუორკეცებს გარდახდას.

რაც ან ბეჟანს და ან ამის შვილებს და ან ომანის შვილებს ან ბარძიმისა წაეღოსთ და ჰქონდესთ თუ ამისის კაცებისა, ყველა უკლებრივ გამოართვი და მოეც. გამოურთმევლობა არას საქმით არ იქნება.

თებერვლის **კვ**, ქორონიკონს **უპთ**. დავით

---

[1] გადაწყვეტას.

## 746. არზა კეჩხუაშვილებისა სამართლის მიცემაზე დავით მემკვიდრის ოქმით

**1801 წ. 26 თებერვალი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 8725. დედანი. ქაღალდი. 22×10,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნები ნახმარი არ არის.

ქ. სრულიად საქართველოს მემკვიდრის დავით მმართებლის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ძევერიდამ კეჩხუაშვილების ივანეს და პავლესაგან.

თქვენი სახასო ყმა გახლავართ. ჩემი შვილი თოფჩი იყო. განჯას თქვენს სამსახურში ჭირი[ს] სანაცვლო შეიქნა. ცოლ-შვილით ტყვეთ ვიყავით და თითვან თქვენ დაგვიხსენით. ჯავახაშვილი სოლომან იულონის ერთგული იყო და ჩვენ აგვიკლო. დღეს აქამდინ დაჭერილი ვყვანდით. ახლა მეორეთ თქვენმა ბედნიერებამ დაგვიხსნა.

ახლა ჩვენი ვედრება ეს არის, არავის მიგვცე. თქვენს სახასო ყმათ გახლდეთ ჩვენის მამულითა. ფებერვლის კე, ქორონიკონს უპთ.

თავში

ქ. ეშიკაღაბაშო მირმანოზ! ამ არზის პატრონს რომ ასე მოუხსენებია, ამის მოდავეს თოფჩებთან ხომ ხელი არა აქვს. და თუ სიტყვა აქვს ვისმე, ამის მამას სამართალში ელაპარაკოს. ეს კაცი შენთვის მოგვიბარებია მამულითა* და თვალყური გეჭიროს. ფებერვლის კვ, ქორონიკონს უპთ.

დავით

## 747. არზა გოგია ნასახჩიბაშის ნაიბისა ყჳის თაოჳაზე დავით მემკვიდრის ოქმით

**1801 წ. 1 მარტი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 9215. დედანი. ქაღალდი. 32,5×13,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის დიდებულების ბრძანებით საქართველოს მმართებელის დავითის წინაშე მოსახსენებელი ნასახჩისბაშის ნაიბის გოგიასი.

ერთი ჩემი ყმა ოსიაურს მდგომი მკვიდრი ადრიდ ჟამიდგან წასულა ქიტიაშვილი და ხიდირბეგისშვილს ჰყმობია.

* „მამულითა“ მიწერილია ბოლოს.

მოგეხსენებათ, ჯემწიფის ყმა და ეკლესი[ი]სა, საცა უნდა იყოს წასული, არ დაიკარგება.

წყალობას ვითხოვ დათუა თარხნისშვილზე-ჭიაურიძე მი მიბოძოთ, რომ ჩემი ყმა ნინია ხიდირბეგისშვილიდამ გამოიყვანოს და მე მომაბაროს. ფებერვლის კე, ქორონიკონს უპთ.

თავში

ქ. უგანათლებულესო მეფის ძევ, ჩვენო ძმავ თეიმურაზ! მერე ამ არზით რომ ასე მოუხსენებია, თავისი კაცი უნდა მიაცემინო. და თუ სიტყვა ჰქონდეს, შენთან ალაპარაკე და გარდაუწყვიტე. მარტის ა, ქორონიკონს უპთ.

დათუა თარხნისშვილო! ეს კაცი შენ უნდა აუყარო და მოაბარო. თუ სიტყვა ჰქონდეს, ჩვენთან ალაპარაკე. დავით

## 748. არზა ზაალ დავითიშვილისა ყმის თაობაზე დავით მემკვიდრის ოქმით

**1801 წ. 3 მარტი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 606. დედანი. ქაღალდი. 21,3×12 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ წერტილი.

ქ. მისის სიმაღლის იმპერატორის ნებით დადგინებულის სრულიად საქართველოს მემკვიდრის დავითის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის დავითიშვილის ზაალისაგან.

ლიჩს ჩემის კაცის ქვრივი შე[ე]რთო ლომიძეს, საქვრიოს ვთხომდი, აიყვანა ის ქვრივი თავისის შვილით მამცა, მოკვდა; გადმოვიყვან[ე] ექვსის წლისა, გავზარდე, ჩემის კაცის ქალი შევრთე, ღვდლათ ვაკურთხებინე. ოცი წელიწადია მყამს.

რევაზ ერისთვის შვილი აბის[ს] რომ მოვიდა, მაშინ თეიმურაზისათვინ დაებეზღებინათ, სულ აეკლო. ახლა შიშით ვეღარ დადგა. იმერეთს წასულა ცოლ-შვილით, ეშინიან.

ერთი ოქმის წყალობას ვითხომ, აქავ გადმოვიყვანო, ფიქრი არავისი ქონდეს. და თუ მართებს ვისი რამ, სამართალში ელაპარაკოს და გამოართვან. ღმერთი გაგიმარჯვებს, ერთს კვამლს კაცს ნუ დამიკარგვენ. მარტის ა, ქორონიკონს უპთ.

თავში

ქ. სრულიად საქართველოს მემკვიდრე და მმართებელი დავით გიბრძანებ დავითიშვილო ზაალ! ამ არზით რომ ასე მოგიხსენებია, ახ-

ლავ კაცი გაგზავნე, ის მღვდელი ხათრიჯამი გახადე და გაღმოაყვანინე. და ეს ჩვენი ოქმი უჯათად დაიჭირე, რომ იმას არავისგან საფიქრალი არა ჰქონდეს. და თუ უსამართლოთ წართმევია რამე, იმასაც სამართალი

თალი დაემართება. მარტის გ, ქორონიკონს უპთ. დავით

## 749. არზა სოლომონ ბეგურიშვილისა ყმების თაობაზე დავით მემკვიდრის ოქმით

**1801 წ. 7 მარტი**

ცსსა. ფონდი 1448. საბ. № 6780. დედანი. ქაღალდი. 31,8×18 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნები ნახმარი არ არის.

ქ. მათის დიდებულების ბძანებით, სრულიად საქართველოს მემკვიდრის და მმ[ა]რთებელის დავითის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ბეგბურიშვილის სოლომანისაგან.

ჩვენო ჯელმწიფევ, ორი კვამლი კაცი გამექცნენ სესია, ნინია და იმისი ძმისწულები. პაპა თქვენთან მიჩივლეს, დედოფლის ყმანი ვართო, სოლომანს ტყუ[ი]ლად ვყე[ვ]ართო. პაპა თქვენმა სამართალს მიგვცა. მსაჯულთ გვალაპარაკეს და სამართლით მე დამრჩა, რომ განაჩენი ხელთ მიჭირავს პაპის თქვენისაგან დამტკიცებული. კურთხეულმა ბატონმა მამათქვენმა გვიბძანა: ეგ კაცები ჩვენ მოგვართვი და თეთრს გიბოძებო. უარი მოვახსენე, მაგრამ მი[ი]რთვა და ოცდაოთხის თუმნის ბარათი მიბოძა. არც იმ ბარათების თეთრი გამირიგდა და არც კაცები მებოძა.

წყალობას ვითხოვ, ან ჩემი კაცები მებოძოს და ან თეთრი. ბარათები ხელში მიჭირავს. ის ორი კვამლი კაცი ახლა ოთხ კომლათ არიან ჭიზიყში. უსამართლოთ ნუ გამხდით, ან თეთრი მებოძოს და ან ჩემი კაცები. მარტის ვ, ქორონიკონს უპთ.

თავში

ქ. მათის იმპერატორების დიდებულების ნებით, ჩვენ, სრულიად საქართველოს მემკვიდრე და მმართებელი დავით, გიბრძანებ ასისთავო პატარკაც, ქევხის ძმა სჯბავ! მერმეთ ნეტარხსენებულის პაპის ჩვენისაგან განაჩენი დამტკიცებული აქუს სოლომონს და ნეტარ ხსენებულის მამის ჩვენისაგან ბარათი აქუს, რომ ფასი უნდა მიეცა იმ კაცებში და არ მისცემია.

ახლა, რადგან ეს ნინიკა და იმისი ძმისწულები გოგია და ილარიონ და სესიას შვილები ჩვენ გვბოძებია, რადგან ამ სოლო-

მონის სამკვიდრო ყოფილიყო და არც თეთრი მისცემია, თქვენ უნდა მიხვიდეთ და ეს ოთხი კვამლი კაცი აუყაროთ თავისი ცოლ-შვილით და რისაც მჭონებელნი არიან და მოაბაროთ სოლომონს. თუ ან ერთი კაცის წაგივიდათ ამ[ა]თგანი და ან დააკლდათ, თქვენ გარდაგახდევინებთ და ავათაც მოგეპყრობით, ჭეშმარიტებით იცოდეთ. თუ გინდა პაპა ჩვენსაც არ ებოძებინა, ჩვენ მაი[ნ]ც თავის სამკვიდროს არ დაუკარგვიდით. და როგორც გვიბრძანებია ისე აღასრულეთ და მოაბარეთ. მარტის **ზ**, ქორონიკონს **უპთ**.

მაგ კაცთ ასე იცოდნენ და ასე გამოუცხადეთ: თუ რამ ურჩება იხმარეს და როგორც ბატონყმური სამსახური არის, ისე კარგათ არ ემსახურნენ სოლომანს, ყველას ჯინჯილში ჩავალპობ. აქამდისინ რომ ურბენიათ, ისე აღარ იქნება, ასე იცოდნენ მაგ კაცთა. დავით

verso

ჩვენ თეთრს გვაწუხებდა და ჩვენ თეთრი არა გვქონდა, რომ მიგვეცა. ამისთვის ამათ თავისი კაცები დავანებეთ. დავით

## 750. არზა ლუარსაგ გლურჯიძისა ვალის თაობაზე დავით მემკვიდრის ოქმით

**1801 წ. 12 მარტი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3803. დედანი. ქაღალდი. 29,5×10 სმ. მხედრული. ალაგ-ალაგ წერტილი.

ქ. მათის დიდებულების ბრძანებით, საქართველოს განმგებელის მეფის ძის მემკვიდრის დავითის წინაშე მოსახსენებელი გლურჯიძე ლუარსაბისა.

ჩემო ხელმწიფევ, პეტრე მღდელს რომ მოუხსენებია, ოთხის თუმნის მეტი თუ იქიდამ მომცემოდეს, ღმერთმან შენი რისხვა მომცეს. რაც ოთხს თუმანში სადივ[ა]ნბეგო ერგებოდეს, ის მი[ი]რთვას და ჩემი კი მებოძოს. კაცებიც აქ გახლავან, თუ სიცრუ[ი]თ მომეხსენებინოს, იმათ კითხეთ. მარტის **ია**, ქორონიკონს **უპთ**.

და ამასდა გარდა თორმეტი მინალთუნი ხატის თეთრი შეჭამა, რომ მ[ა]გისგან ვერა გამოვიტანე რა.

ამისს მოწყალებას გევედრებით, რო[მ] ეკლესიას თავისი თეთრიც მიერთოს, ერთის ოქმისა და იასაულის წყალობა მიბოძეთ. ერთი კაცი, რომელიც თქვენი ნება იქნება, დაგვისვას და სამართალი გვიყოს.

თავში

ქ. უფალო პეტრე მღვდელო! შენს მღველობაზე მოგვეგდია, ფიროსმანაშვილი
თოს კაცს მირვანოზ გამოგვირჩევსთ და ერთმანერთს გვიმტერდებით

მარტის **იბ**, ქორონიკონს **უპთ**. დავით

## 751. არზა იესე მსაჯულის შვილის ზაზასი ყმა-მამულის თაობაზე დავით მემკვიდრის ოქმით

**1801 წ. 12 მარტი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 26. საბუთი № 11. პირი. ქაღალდი. მხედრული. იქვე, საბუთი № 29.

[9] ქ. მათის ი[მ]პერატორების დიდებულების ნებით სრულიად საქართველოს მ ე მ კ ვ ი დ რ ი ს და მმართებელების დ ა ვ ი თ ი ს წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ი ე ს ე მსაჯულის შვილის ზ ა ზ ა ს ა გ ა ნ.

ჩვენო ჯელმწიფევ, ოცდათვრამეტი წელიწადია მ ა ნ უ ჩ ა რ ს ო ლ ა ღ ა შ ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ ყმა და მამული გვაქვს ნასყიდი. ჩვენი მამები დაბერდნენ და დაიხოცნენ და ერთმანერთისათვის არ უდავნიათ. სამს კობლს კაცს მედავება ზაზა სოლაღაშვილი და იმის ძმები. თუ სიტყვა ჰქონდა რამე, ორნი სანატრელნი ჯელმწიფენი ბძანდებოდნენ, რატომ მაშინ არ მიჩივლა, მაგრამ კარგათ მოგეხსენებათ, ახლანდელი ძმობა და ოჯახობა. ძმები გაცვივნული მყვანან, ზოგიერთი მამულის წიგნი იმათ გაჰყოლია. მე კარზედ გაზრდილი გახლავარ, ყმისა და მამულისა არა ვიცი რა, წიგნი მიმიწერია, ორნივ გიახლებიან და თქვენს წინაშე გაახლებთ. თქვენი იასაული მადგა.

გევედრებით ერთის ოქმის წყალობა მოიღოთ. მე ყმისა და მამულისა არა ვიცი რა, ისინი მოვიდნენ და თუ ვისმე სიტყვა აქვთ, იმათ ელაპარაკნენ, [v] ჩემზედ ხელი აიღონ, ვინც მოდავე არის, იმათ ელაპარაკნენ, ჩემზედ ყველამ ხელი აიღოს. მარტის **თ**, ქორონიკონს **უპთ**.

**თავში**

[8v] ნებითა მათის ი[მ]პერატორების დიდებულისათა ჩვენ სრულიად საქართველოს მ ე მ კ ვ ი დ რ ე და განმგებელი დ ა ვ ი თ გიბრძანებთ, რომელნიც ამ არზის პატრონის იას[ა]ულნი ხართ. მერე ამაზე ჯელი აიღევით და დაეხსენით. ამას თავის ძმები დაბარებულნი ჰყავსთ. როდესაც ძმები მოვლენ, ს ო ლ ა ღ ა შ ვ ი ლ ს ზ ა ზ ა ს სა-

მართალში ისინი ელაპარაკებიან. სანამ ძმები მოუვიდ[9]ოდეს, მანამდის უნდა დაეხსნათ.

სოლაღაშვილო ზაზავ! შენც ამას გიბძანებთ, რომ ჯავახიშვილს ძმები დაბარებული ჰყავს, სანამ ძმები მოუვიდოდეს, მანამდის უნდა დააცალო სამართალში ლაპარაკი. და როდესაც მოვა ძმები, მაშინ გელაპარაკება. მარტის **იბ**, ქორონიკონს **უპთ**.

## 752. არზა დიმიტრი ჯავახიშვილისა მამულის თაობაზე დავით მემკვიდრის ოქმით

**1801 წ. 14 მარტი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 4108. დედანი. ქაღალდი. 16,3×10,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. მათის დიდებულობის სრულიად საქართველოს მ ე მ კ ვ ი დ რ ი ს დ ა ვ ი თ ი ს წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს დ ი მ ი ტ რ ი ს ა.

მე და ჩემი სახლისკაცი რომ გავიყარენით, გლეხის კაცების მამული გავიყავით ბ ე გ ი შ ვ ი ლ ი ს ა და კ ა კ ნ ი ა შ ვ ი ლ ი ს ა. იმათი მამული ნახევარი ჩემია, ნახევარი იმათია, მუდამ დავა გვაქვს.

გევედრებით ერთი ოქმი გვიბოძოთ ს ო ლ ო მ ან მეითარზედ, რომ ჩემი წილი მამული მე მამცეს, იმათ თავისი წილი მამული მისცეს. სამართლიანის საქმით გაგვარიგოს. თუ მე მეტი მეჭიროს, გამ[ო]მართოს, იმას მისცეს. თუ იმას მეტი ეჭიროს, გამამირთოს და მე მამცეს. მარტის **ია**, ქორონიკონს **უპთ**.

თავში

ქ. მეითარო თ ა რ ხ ნ ი შ ვ ი ლ ო ს ო ლ ო მ ო ნ! ამ არზის პატრონი თავის სახლის კაცებს რომ ასე უჩივის, თავ-თავისი წილი მამული შენ გაურჩიე და სამართლიანად მოარიგე. მარტის **იდ**, ქორონიკონს **უპთ**.

დავით

## 753. არზა ხატიასი და კაკალასი სამართლის მიცემაზე დავით მემკვიდრის ოქმით

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1801 წ. 24 მარტი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 32. საბუთი № 7. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[5] მის[ი] უმაღლესობის ბძანებით სრულიათ საქართველოს მმართებელი მეფის ძე მ ე მ კ ვ ი დ რ ე დ ა ვ ი თ ი ს წინაშე მოსახსენებელი მათის მონისა ხ ა ტ ი ა ს ი და კ ა კ ა ლ ა ს [ი].

ხელმწიფევ, ფ ა რ ს ა დ ა ნ ა ს ლ ა ნ ო ვ ი ს სახლებისა სამი წილიდამ ერთი წილი კურთხეულ[მა] ბატონმა ფასით მამყიდა, რომ მელიქმაც იცის და მოხელე[ე]ბმაც, თორმეტი თუმანი გამამართვა, დღესაც [v] არა ღირს. ახლა ფარსადანა[მ] როგორღაც გაგაშინჯათ, მე აღარ მალაპარაკეთ, თქვენმა ეშიკაღასბაშმა სიგელი წამართვა.

წყალობას ვითხოვ, მოიკითხეთ, თუ თეთრით მოეცეს ჩემთვის, რას მემართლებიან. წყალობას ვითხოვ ოქმი მიბოძოთ, თუ ის კაცი, როგორც პირობა მოქცა, თუ წლამდინ მოვიდეს, თავისი სახლი თავისი იყოს. ჩემი თორმეტი თუმანი თავისი ანგარიშით მამცეს. თუ არ მოვიდეს, მე უბრალო სულ ვარ, რომ არც მამული მეჭიროს და არც თეთრი. ამისი სამართალი მომეც, ღმერთი გაცოცხლებს. მარტის **კა**, ქორონიკონს **უპთ**.

თავში

ქ. ბატონო მელიქო დ ა რ ჩ ი ა ვ! მერმე ამ არზით ხ ა ტ ი ა ს ა და კ ა კ ა ლ ა ს რომ ასე მოუხსენებია, ამათი მოხსენებული მართალი არის, სიგელი ჩვენ ჩამოვართვით, ამისთვის რომ ყმა არ დაგვეკარგოდა. მაგრამ ამათაც რომ თეთრი დაეწვასთ, უსამართლო იქნება. ამ ერთის წლით ვადა მივეცით, თუ პატრონი მოვიდეს, სახლის ადგილი პატრონს უნდა მიეცეს და თორმეტი თუმანი თავისის ანგარიშით ამათ უნდა მოსცეს სახლის პატრონმა, და თუ არ მოვიდეს ამ ვადაზედ, ის სახლი ამათი იქნება. სიგლის სავადი რომ აქვსთ, თუ ის სახლი ამათ დარჩათ, სავადი სიგლათ იქნება. მარტის **კდ**, ქორონიკონს **უპთ**.

## 754. არზა ზაალ დავითიშვილისა დარბეული ხუცესის თაობაზე დავით ბაბონიშვილის ოქმით

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1801 წ. 28 მარტი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2667. დედანი. ქაღალდი. 22×13 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ თითო წერტილი.

ქ. მათის დიდებულობის ნებით სრულიად საქართველოს მემკვიდრის და მართებელის დ ა ვ ი თ ი ს წინაშე მოსახსენებელი მათის მონის დ ა ვ ი თ ი შ ვ ი ლ ი ს ზ ა ა ლ ი ს ა.

ამას წინათ არზი მოგართვი: ერთი ხუცესი მყვანდა, უბრალოთ აიკლეს, იმერეთს გადავარდა, ერთის ოქმის წყალობა მიყავით, ფიქრის არავისი ქონდეს-მეთქი. ღმერთმან ადიდოს თქვენი ხემწიფობა, ოქმი მიბოძეთ: გადმოვიდეს, ფიქრი ნურავისი აქვსო და რაც წართმევია, იმასაც გამოურთმემე[ნ].

ეს ბძანება აღარ მოუცდევინებიათ, მოსულა[1] ა მ ი რ ე ჯ ი ბ ი ზ ა ა ლ და რ ო ს ტ ო მ. ა ბ ი ს[ს] სიმინდი ჰქონია, ორი ურემი წაურთმევიათ, თავისთვინ წაულიათ. ვისის ბძანებით ჩადიან? ეს მეორეთ აუკლიათ. მე თქვენს მეტი ბძანებელი არავინ მგონია, ღმერთმან ნ[უ]რცავინ ქნას. აგერ თავისთავად ჩემს კაცს შესევიან.

წყალობას ვითხოვ ოქმი და იასაული მებოძოს, რაც ამთგან იმ ღვდელს წართმეოდეს, გამოურთვ[ა]ს და მისცეს. თუ საბუთი აქვს ვისმე, თქვენს სამართალში გა[ა]ხლოს. იმ ღვდელსაც აქ გაახლებ. და თუ საბუთი არვის აქვს, მუდამ ამირეჯიბი ჩემს კაცებს რათ იკლებს! მარტის კზ, ქორონიკონს უპთ.

თავში

ქ. სრულიად საქართველოს მემკვიდრე და მართებელი დ ა ვ ი თ გიბძანებ იას[ა]ულო ზ ა[ა] ლ და ლ ე ვ ა ნ! მერმე ამ ხუცისათვის ამირეჯიბს ზა[ა]ლს რაც წ[ა]ერთმიოს, გამოურთვი და ამ ღვდელს მოაბარე: თუ სიტყვა ქონდეს რამე, ჩვენს სამართალში ელაპარაკოს.

მარტის კწ, ქორონიკონს უპთ. დავით

[1] მუსლა.

## 755. არზა ფალავანდისშვილებისა მამულის თაოგაზე დავით მემკვიდრის ოქმით

**1801 წ. 28 მარტი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 289. დედანი. დაზიანებული. ქაღალდი. 29×14 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის დიდებულების ბ[რ]ძანებით საქართველოს მმართებელის [დ]ავითის წინაშე მოსახსე[ნ]ებელი ფალავანდისშვილების [გ]ლახასი და გოგიასი.

ავნევსა ორიოდ საკომლო მამული გვაქვს, ზოგი ვიცით და ზოგი არ ვიცით. ამ წყალობას ვითხოვთ, როსტომ დავითისშვილზედ ერთი ოქმი გვიბოძოთ, მახსოვარი კაცნი შეიყარ[ო]ს და [გ]ვარჩიენონ, რომელიც [ჩუე]ნი მამული იყოს, მოგვაბარ[ოს]. მარტის კჱ, ქორონიკონს უპთ.

თავში

ქ. ჩუენ, სრულიად საქართველოს მემკვიდრე და მმართებელი დავით გიბრძანებთ როსტომ დავითისშვილო! მერე ამ არზით ასე რომ მოუხსენ[ებ]იათ, მახსოვარნი კაცნი უნდა შეჰყარო და ჭეშმარიტებით გამოიძიონ და [მა]თი მამულები გაურჩიონ. მარტის კჱ, ქორონიკონს უპთ. | დავით |

## 756. არზა ამილღაბარ ციცისშვილისა სამართლის მიცემაზე დავით მემკვიდრის ოქმით

**1801 წ. 20 მარტი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 392. დედანი. ქაღალდი. 20,8×12 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის დიდებულების ბრძანებით საქართველოს მმართებელის დავითის წინაშე მოსახსენებელი ციცისშვილის ამილღაბარისა.

ბარჩაკოზაშვილი ბერუა მსახურათ მახლდა და კანიაშვილმა დამიჭირა. შანშე ერისთავს ოქმით უბძანოთ, თუ სიტყვა აქვს რამე, თქვენ მოგახსენოს; თუ არადა, იმან გამირიგოს. მარტის ლ, ქორონიკონს უპთ.

თავში

ქ. ერისთვიშვილო შანშე! ამ არზით ეს ა[illegible] რომ ასე ჩივის, ეს შენ გაურიგე სამართლიანის საქმით. მარტის ლ, ქორონიკონს უპთ. [დავით]

## 757. არზა გიორგი ციციშვილისა ყმის თაობაზე დავით მემკვიდრის ოქმით

**1801 წ. 2 აპრილი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 7293. დედანი. ქაღალდი. 20,5×10,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. საქართველოს მემკვიდრის დავით მ[მ]ართებლის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის გიორგი ციცისშვილის ეშიკაღაბაშისაგან.

ერთი ურია გახლავთ ზაქარია ციცისშვილისა წიწაშვილი, იმისი ნასყიდობის სიგელი მე ვიპოვნე, პაპის ჩემისაგან არის ნასყიდი.

ოქმი და იასაული გვიბოძეთ, სამართალში მამყვეს. მარტის ლა, ქორონიკონს უპთ.

თავში

ქ. ჩვენ, სრულიად საქართველოს მემკვიდრე და მმართებელი დავით, გიბრძანებთ! მერე ამ არზით რომ ასე მოუხსენებია, მდივანბეგებთან ალაპარაკე. აპრილის ბ, ქორონიკონს უპთ. [დავით]

## 758. არზა დავით ენდრონიკაშვილისა ყმის თაობაზე დავით მემკვიდრის ოქმით

**1801 წ. 9 აპრილი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 7442. დედანი. ქაღალდი. 22×11 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნები ნახმარი არ არის.

ქ. სრულიად საქართველოს მემკვიდრის და მართებელის დავითის წინაშე მოსახსენებელი ენდრონიკაშვილის დავითისაგან.

ჩემო ხემწიფევ, ყაზახში ჩემი ორი კომბლი კაცი გახლავს, გარათში ნარგებია. ჩემს სახლის კაცებს ძალა დაუტანებიათ და გაქცეულან.

წყალობას ვითხოვ ერთი ოქმი და იასაული მიბოძოთ, რომ მოვიყვანო და მამაბაროს. აპრილის დ, ქორონიკონს უპთ.

ჩემს სახლის კაცებსაც ებოძა და მეც მიბოძეთ.

თავში

ქ. ჩვენო ეშიკალათბაშო ალექსანდრე! მერმე ამ არზით, რომ ასე მოუხსენებია, ამას თავისი კაცები აუყრევინე და მოაბარე. აპრილის თ, ქორონიკონს უპთ.

დავით

## 759. არზა გეგთაბეგიშვილებისა სამართლის მიცემაზე დავით გაბონიშვილის ოქმით

**1801 წ. 20 აპრილი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 339. დედანი. ქაღალდი. 21,5×16,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. სრულიად საქართუელოს მემკვიდრის და მმართებელის დავითის მოსახსენებელი ბეგთაბეგიშვილებისაგან.

ჩვენო ჯელმწიფევ, რუისს ნასყიდობით მამული გვიჭირავს, ქვემო ციციანთაგან არის მოსყიდული. ახლა მამაცაშვილი გლახა გვედავება. მდივანბეგებზედ ოქმი გებძანათ სამართალში ლაპარაკისა. მდივანბეგებთან ვილაპარაკეთ. ჩვენს მოდავეს განაჩენი მისცეს. იმ ჟამათ ნასყიდობის წერილი ჯელთ არა გვქონდა, ახლა ჩავიგდევით. ეს ჩვენი ნასყიდობის წერილიც გასინჯეთ. ვისაც მოუყიდნია, იმის ჩამამავლობა მანუჩარ ციციშვილი და ზაზა ციციშვილი გახლავსთ.

გევედრებით ეშიკალაბაშს მირმანოზს ოქმით ებძანოს, რომ ჩვენი მოდავე და ჩვენ და ციციშვილები თქვენს სამართალში გვალაპარაკოს. და სანამ თქვენს სამართალში გავივლიდეთ, მანამ ის განაჩენი დაყენებული იყოს. აპრილის თ, ქორონიკონს უპთ.

თავში

ქ. ერისთავისშვილო მირვანოზ! მერმე ამ არზის პატრონების მოდავისათვის რომ მდივანბეგებს განაჩენი მიუციათ, მაშინ ამათ სიგელი არა ჰსცოდნიათ და ახლა უპოვნიათ, რომელიც ჩვენ გავსინ-

ჯეთ. ამის მიზეზით ის განაჩენი ამ ოქმით დაყენებული არის. მერმედ უნდა შეჰკრიბო სამართალში და ეს ნასყიდობის სიგელიც უნდა წარადგინონ და რაც სამართალი უსაჯონ. იმაზედ უნდა დაუჯდნენ. აპრილის კ, ქორონიკონს უპთ.

ბიბლიოთეკა

| დავით |

## 760. არზა ზაზა მაჩაბლისა ყმა-მამულის თაობაზე დავით მემკვიდრის ოქმით

**1801 წ. 22 აპრილი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 7037. დედანი. ქაღალდი. 28,8×16,4 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნები ნახმარი არ არის.

ქ. საქართველოს მემკვიდრის და მართებლის მეფის ძის დავითის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ზაზა მაჩაბლისა.

ახლა პაპის თქვენისა და ნეტარხსენებულისა მამის თქვენისა ოქმები და ბრძანება გვქონდა. ამ მონასტრის ყმა და მამული ჩვენ გვებარა, რომ არავის რა შეეწუხებინა[1]. ახლა თქვენგანაც გვებოძა მიბარების ოქმი. მაინც არაფერი არა ეშველათ. თაქთაქისშვილებისაგან ლუას და არდაშელს. ეს საბრალო ჯაყელი კიდეც დაიჭირა და კიდეც აეკლო. არაფერი არა ეშვ[ე]ლა რა ამის ბედზედ.

ახლა ამას გევედრებით ერთი ძლიანი ოქმი გვიბოძოთ. რომ სიცრუით ოქმი აღარ აიღოს. ამ წმინდა ღვთისმშობელს ყმა და მამული არ დაეკარგოს; და რომელიც თქვენ[ი] ბრძანება გვებოძება, მროველს ისე ვამსახურებთ.

ახლა ეს განაჩენი და ოქმებიც მანდ მიახლებია. იმ საბრალოს ჯანყელს (sic) ულელი ხარი და სამი მილანთული წაართვეს. ჯანყელიც მანდ მიახლებია და ნება თქვენი აღსრულდეს.

თავში

ქ. ზაზავ მაჩაბელო! როგორც მამის ჩვენისაგან გბარებია, ისევ გებაროს. ეს მონასტრელი და წანართმევიც გამოურთვი და მოეც ამ ჯაყელს, ვისაც წაურთმევია. აპრილის კბ, ქორონიკონს უპთ.

| დავით |

[1] + რა.

## 761. არზა დათუა ფალავანდიშვილისა ყმის თაოგაზე დავით მემკვიდრის ოქმით

**1801 წ. 22 აპრილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 31. საბუთი № 22. პირი. ქაღალდი. მხედრული. ოქმის თარიღი მცდარი უნდა იყოს.

[8v] მათის დიდებულების ბრძანებით საქართველოს მმართებელის წინაშე მოსახსენებელი ფალავანდიშვილის დათუასი.

გოგიას ფალავანდიშვილს არზი მოურთმევია, ჩემი კაცნი არიანო. მოკითხული ქენით, მთელი ქართლი აქ გახლავსთ, თუ შაჰ-მელიქის შვილი საუფროსოში არა მრგებოდეს. ისინი იმის კაცნი გახლანან საძაგლისშვილი და ბათხაძე, ოქმი გიბოძებიათ, იმ კაცებზედ ხელი აუმართავთ და იმისთვის მიუციათ, იმათგან მძლაურობით მამულები მაქვს წართმეული. დავა და საჩივარი მე მაქვს და იმათ დაუსწვრიათ და მოუხსენებიათ.

ოქმისა და იასაულის წყალობას ვითხოვ, ის კაცები ამიყაროს, მამაბაროს. თუ სიტყვა აქვსთ რამე, თქვენს წინაშე სამართალში მელაპარაკონ. თქვენის სამართლით ვისაც დარჩეს, იმან წაიყვანოს. აპრილის **კბ,** ქორონიკონს **უპთ.**

**თავში**

[8] ჩვენ, სრულიათ საქართველოს მემკვიდრე მეფის ძე დავით, გიბძანებთ ფავლენისშვილო იორამ! მერე დათუა ფალავანდისშვილი რომ ამ არზით ასე ჩივის, ეს თავისი ყმები აუყარე და მოაბარე. და თუ გოგია ფალავანდიშვილს სიტყვა ქონდეს რამე, ჩვენს სამართალში ელაპარაკოს. აპრილის **კა,** ქორონიკონს **უპთ.**

ორნივ მდივანბეგებთან მი[ი]ყვანე და ალაპარაკე, ვისაც დარჩეს, იმას მიაბარე. □

## 762. არზა იოსებ ამირალაშვილისა გაურის თაობაზე დავით მეფკვიდრის ოქმით

**1801 წ. 24 აპრილი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 11093. დედანი. ქაღალდი. 28,8×13,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის დიდებულების ბრძანებით საქართველოს მ მ ა რ თ ე ბ ე ლ ი ს დ ა ვ ი თ ი ს წინაშე მოსახსენებელი გ ო რ ი დ ა მ ა მ ი რ ა ლ ა შ ვ ი ლ ი ი ო ს ე ბ ი ს ა.

სამოცი წელიწადია რაც ჩემს ძმასთან შემამწყრალი გახლავარ. არც მე შევაწუხე და არც იმან და იმისმა შვილებმა მამიგდეს ყური. ვალისაგან შეწუხებული და ტყვეობისაგან გათა[ვ]ებული მოხუცებული კაცი გახლავარ, არავინ ყური მამიგდო. გაუყრელი ძმა გახლავარ.

გევედრებით გორის მოხელე[ე]ბზედ და მოსამართლე[ე]ბზედ ერთი ოქმი მიბოძოთ, როგორც ძმობის რიგი და სამართალი იყოს, გაგვყაროთ და მოგვაშოროთ ერთმანერთსა. აპრილის **კბ**, ქორონიკონს **უპთ.**

თავში

ქ. სრულიად საქართველოს მ ე მ კ ვ ი დ რ ე და მმართებელი დ ა ვ ი თ გიბძანებ გორის მამასახლისო ი ს ა ი და გორის ჭედხუდებო! ამ არზის პატრონი ამ არზით რომ ასე ჩიეის, როგორც რიგი იყოს, ესენი ალაპარაკეთ და სამართალით გაჰყარეთ აპრილის **კდ**, ქორონიკონს უპთ. დავით

## 763. არზა წმიდის გიორგის კონდოლელებისა მამულების თაობაზე დავით მეფკვიდრის ოქმით

**1801 წ. 24 აპრილი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 253. დედანი. ქაღალდი. 32,8×14,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის დიდებულების ბრძანებით საქართველოს მ მ ა რ თ ე ბ ე ლ ი ს დ ა ვ ი თ ი ს წინაშე მოსახსენებელი ერთობლივ წმიდის გიორგის კონდოლელებისა.

სადაო მამულებზედ პაპის თქვენის დროს პ ა რ თ ე მ შემოგვაკიდა, იმათ პაპა თქვენთან გვიჩივლეს და სამართალი და[ა]ყენა. იმის

დროში რომ ვერა დაგვაკლეს რა, მერე კურთხეულის კუმწიფე მამა თქვენთან გვიჩივლეს. ოქმიც გვიბოძა: მანამ იმ მამულებს გაუშინჯევ-დეთ, სადაოსი დაგვიყენებიაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა თქვენთვის მოუხსენებიათ, ოქმი და იასაული გიბოძებიათ, სისხლსა გვთხოვენ.

ამ წყალობას ვითხოვთ, მამის თქვენის ოქმი გაშინჯოთ რაც ებრძა-ნებინოს, სანამ ის სადაო მამულები თქვენგანაც გაიშინჯებოდეს, ეს სამართალი და[ა]ყენოთ. როდესაც მობძანდეთ და გაშინჯოთ, მერე ნება თქვენი ათავდეს. და ამის იასაულსაც საიასაულოზედ ხელი ა[ა]ღე-ბინოთ. აპრილის კგ, ქორონიკონს უპთ.

ამის ბარობაზედ არც სხვა იასაულს აულია საიასაულო და არც ამათ მიგვაცემინოთ.

თავში

ქ. რომელნიც ამის იასაულნი ხართ და ეგრეთვე ქობულოვე-ბო ასე იუწყეთ! მისი უწმიდესობა და ჩვენ ერთათ მოგარიგებთ ამ თქვენს დავაზედ; და ჯელი აიღევით ამ ხელად. აპრილის კდ, ქორონი-კონს უპთ. დავით

764. არზა ავილღაბარ ციცისშვილისა ყმის მიბარებაზე დავით მემკვიდრის ოქმით

**1801 წ. 25 აპრილი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 307. დედანი. ქაღალდი. 20.2×14 სმ. მხედრუ-ლი. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის დიდებულების ბრძანებით საქართველოს მმართებე-ლის დავითის წინაშე მოსახსენებელი ციცისშვილის ამილღაბარისა.

დოეში თქვენი ყმა აზრუმელი ალავერდა გახლავსთ მჭე-დელი, ცოლი შევრთე და შიმშილობაში და ჭირში იქ ცხოვრებულა. იმას ორი-სამი ბიჭი აბარია, მჭედლობას სწავლობენ. სანამ ის ბიჭები ხელობას ისწავლიდნენ, წყალობას ვითხოვ, ის კაცი მე მებაროს. მერე თქვენი ყმა ისევ თქვენ მი[ი]რთვით.

მეტეხის მოურავი ასაყრელად მიხდომია, სოფელს არ დაუნებე-ბია. ერთი თუმანი წე[ე]რთმევინა და წასულიყო, ჰყრიდა და გორს მიჰყავნდა. თუ თქვენი ოქმი ჰქონდა, რატო[მ] არ მიჩვენა; თუ არადა, თქვენი ყმა რაში აიკლო. აპრილის კე, ქორონიკონს უპთ.

თავში

ქ. ამილღაბარ ციცისშვილო! რადგან სოფლელთათვის მჭედლის ყოლა სახმარი არის, ამისთვის მანამდინ ის ბიჭები ისწავლიდნენ, მანდ იყოს. და როცა ისწავლიან, მაშინ ხომ წევა აქვს მანდ წასლვისა. აპრილის კე, ქორონიკონს უპთ. დავით

ამილღაბარ! მანამდინ ეგ კაცი მანდ არის, შენ გებაროს და ნურავის უბრალოდ ააკლებინებ. დავით

## 765. არზა ზაალ დავითიშვილისა ყმის თაოგაზე დავით მემკვიდრის ოქმით

**1801 წ. 26 აპრილი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 598. დედანი. ქაღალდი. 26,5×11,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. სრულიად საქართველოს მემკვიდრის და მ[მ]ართებელის დავითის წინაშე მოსახსენებელი ზა[ა]ლ დავითისშვილისაგან.

ჩემო ხემწიფევ, ამას წინათ არზი მოგართვი: ამილახვარს ჩემი კაცი ყავს გორაჯოლაძის შვილები, ჭალას უსახლობს მძლავრობით; ოქმი და იასაული მებოძა, აუყარე და მოაბარეო. იასაული მიეიდა, დაემალა, აქ ჩამოსულიყო. ერასტის არზი მოერთმევინა, ამილახვარის აშვებამდინ და[ა]ცალეთო. რათ დავაცალო? აქნამდისინ იმას ყოლია ჩემი კაცი, ახლა მე მებოძოს.

და მასუკან რომელსაც სიტყვა ჰქონდეს იმ კაცთან, აქ თქვენს სამართალში მელაპარაკოს აპრილის იდ, ქორონიკონს უპთ.

თავში.

ქ. დავითელა დავითისშვილო! მერე ამ არზით რომ ასე მოხსენებია, ამის კაცი ჭალას რომ სახლობს, ახლავ აუყარე და მოაბარე. და თუ სიტყვა აქვს ვისმე, თუნდა ახლა ელაპარაკნენ სამართალში და თუ უნდათ ამის შემდგომად, ნება მიგვიცია, მაშინ ელაპარაკნენ. და ის კაცი კი ამას უნდა მოაბარო. აპრილის კვ, ქორონიკონს უპთ. დავით

## 766. არზა ზაზა ციციშვილისა ვალის თაობაზე დავით მემკვიდრის ოქმით

**1801 წ. 27 აპრილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1268. დედანი. ქაღალდი. 21×12,5 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ წერტილი.

ჭ. მათის დიდებულობის ნებით სრულიად საქართველოს მმართებელის მემკვიდრე დავითის წინაშე მოსახსენებელი ციციშვილის ზაზასაგან.

ამილახვარიშვილს ბეჟანს ჩემთვინ უჩივლია, ასე მოუხსენებია, ძმა დაუხსენო. ვისაც ჩემი ძმის სახსარი გამოვართვი, ეს ფალვენიშვილი ამან მამცა, აქ გახლამსთ. შენი რისხვა მჭონდეს, მე ბეჟანის ან მემართოს ან ჩემს სიცოცხლეში მაგისი მ[მ]ართებდეს რამე. თუ მაგ ბეჟანისა მართებს ვისმე, იმას ედაოს და ის მოვა. თუ მე მ[მ]ართებს ვისიმე და მე მთხო[ო]ს.

ასე მუჩალგა მამირთმევია: თუ მე ჭიტესასი მემართოს რამე. ერთისათვინ ოთხი წამერთვას. თუ ჭიტესას მაგისი მართებს რამე, ჭიტესას ცოლი ყავს და შვილი, მივიდეს და იმას თხო[ო]ს. ისინი ხომ მოვლენ და მე მთხოვენ, თუ მ[მ]ართებს რამე. არცარა ჭიტესასი მ[მ]ართებს და არცარა ბეჟანისა.

შენმა გამარჯვებამა, ოქმი მებოძოს, ჩემზედ ხელი აიღოს და ვისაც მაგისი ემართოს, იმასა თხო[ო]ს. აპრილის კა, ქორონიკონს უპთ.

თავში

ჭ. უფალნო მსაჯულნო! ამ არზით ციციშვილი ზაზა რომ ასე ჩივის, ეს თქვენ გარდაუწყვიტეთ. ამისთვის თუ ბეჟანს არა უსესხებია რა, ამასთან რა საქმე აქვს; ჭიტესას შვილებსა სთხოვოს და ჭიტესას შვილებმა ზაზას სთხოვონ. ეს კარგად გამოიძიეთ და სამართალი ისე მიეცით. აპრილის კზ, ქორონიკონს უპთ. დავით

## 767. არზა ამილღაბარ ციციშვილისა მამულის თაობაზე დავით მეფეკვიდრის ოქმით

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1801 წ. 30 აპრილი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 24. საბუთი № 27. პირი. ქაღალდი. მხედრული. იქვე, საბუთი №№ 29 და 33.

[29] მათის დიდებულების ბძანებით საქართველოს მმართებელის დავითის წინაშე მოსახსენებელი ციციშვილის ამილღაბარის და იოსებისა.

ბებია ჩემისაგან მოცემული გახლავს გომი დედი ჩემის მზითევში ოთხი საკომლო და რაც პაპის ჩემის წილი არის სამწევრისი, სიგლით თქვენგან გვებოძა. მეფის ერეკლეს დროს და მამის თქვენის დროს ჩვენ გვეჭირა და რადგან ზითევი იყო და ახლა ხომ სიგლით ჩვენ გვებოძა. კეზელს მღვდელს მოუხსენებია, ის მამული ჩემი არისო და ოქმი დაუტყუვნია.

ამ წყალობას [v] ვითხოვთ, რომ ერთი ბეჯითი ოქმი გვიბოძოთ, მუდამ ხომ თავს ვერ გაწყენთ. რადგან თქვენგან სიგლით გვებოძა, მაგაში ოქმი გვეჭიროს, რომ ვინიცობა არის კეზელმა ოქმი დაგტყუოთ, ამ ოქმის ძალით ბათილი იყოს, ჩვენო ხემწიფევ. აპრილის კვ, ქორონიკონს უპთ.

თავში

[28v] ჩუენ, სრულიად საქართველოს მემკვიდრე და მმართებელი დავით, გიბრძანებთ! მერმე ამ არზით რომ ასე მოუხსენებია, ამას ასეთი სარწმუნო წიგნი აქვს მამის ჩვენისაგან დამტკიცებული და ჩვენგან დამტკიცებული, რომ ჩვენგან ის არ მოიშლება.

თუ ამ საქმეზედ ოქმი აელოს ვისმე. დაგვიყენებია. და თუ ამის შემდგომად ოქმი აიღონ, ამ ოქმის ძალით ისიც დაგვიყენებია. აპრილის ლ, ქორონიკონს უპთ.

## 768. არზა თომა მეღვინეთხუცისშვილისა მამულის თაობაზე დავით გატონიშვილის ოქმით

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1801 წ. 4 მაისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 382. დედანი. ქაღალდი. 32,8×13,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან სამი წერტილი.

ქ. მათის დიდებულების ბრძანებით საქართველოს მმართებელის დავითის წინაშე მოსახსენებელი მეღვინეთხუცისშვილის თომასი.

სანატრელის პაპის თქვენის ოქმით და ბრძანებით ხიდისთავს გარეშემოში ორმოცდა[ა]თის დღის ბეითალმალი მიწა მებოძა სამამულეთა. ოცდასამის დღის მეტი არ მიჭირავს. ერთმა გლეხმა კაცმა სამი დღის მიწა არ დამანება. ოცდახუთი კოდი პური ჯემწიფის ოქმით და მდივანბეგის განაჩენით წ[ა]ერთო. და კიდევ თავისას არ იშლის, მე თქვენი მეშინიან; შორს ხელს მიშვერს უსარგებლოს ალაგსა, მე ის არ მინდა; და რომელიც განაჩენში ბეითალმანი მიწერია, იმას ვითხოვ.

ამ წყალობას ვითხოვ, ერთი მაგარი ოქმი და იასაული მიბოძოთ. ის მიწა მამაბაროს და რაერთი ხანი რომ იმას ეხმარებინოს, იმისი ღალაც წამირთოს და მამაბაროს. მაისის **დ**, ქორონიკონს **უპთ**.

თავში

ქ. საქართველოს მემკვიდრე და მმართებელი დავით გიბრძანებ თარხნისშვილო დავით! მერმე ამ თომა მეღვინეთხუცისშვილს, [როგორც] ბატონის ოქმი[1] და განაჩენი უცხადებდეს, ისე გამოურთვი ღალა რაც აკლია და სამი დღის მიწაც უნდა მოაბარო. და თუ იჩივლა და გამტყუნდა, როგორც ნეტარხსენებულის პაპის ჩვენის ოქმი უცხადებს, ისე გარდავახდევინებთ. ერთიორად უნდა წაგვერთმია ღალა, მაგრამ გვიპატიებია და სწორედ უანგარიშე და ისე გამოურთვი ღალა და მოეც. სწორეთ რომელსაც ედავება, ბეითალმანი მიწა ის უნდა მოაბარო. მაისს **ე**, ქორონიკონს **უპთ**. ღავით

[1] ოქმით.

## 769. არზა არხიმანდრიტ ილარიონისა ყმების თაობაზე დავით მეფკვიდრის ოქმით

**1801 წ. 5 მაისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 377. დედანი. ქაღალდი. 31×14 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის დიდებულების ბრძანებით საქართველოს მ მ ა რ თ ე ბ ე ლ ი ს დ ა ვ ი თ ი ს წინაშე მოსახსენებელი მათის მლოცველის დავით გარეჯლის არხიმანდრიტის ი ლ ა რ ი ო ნ ი ს ა.

ა ხ შ ა ნ შ ი მონასტრის ყმანი სამი კომლი გახლავსთ. ახშანში მოურავი არ ყოფილა იმათი და ახლა უშოვნიათ; და იმ მონასტრის ყმანი თავისუფალნი ყოფილან და მონასტრისათვის უმსახურნიათ.

ამ წყალობას ვითხოვ, ერთი ოქმი გვიბოძოთ, რომ იმათთან არავის საქმე არა ჰქონდეს. ამას წინათ როგორც ყოფილან და მონასტრის [მ]სახურებას გარდა არავის შეუწუხებია, არცა რა ახლა შეაწუხონ. არც მოურავი და მოხელე. მაისის **დ**, ქორონიკონს **უპთ**.

თავში

ქ. უფალო არხიმანდრიტო! ჩვენ შენს კეთილგანსჯილობაზე მოგვინდვია მაგ შენის კაცების საქმე, როგორც შენ გინდოდეს, ისე ჰქენ. მაისს **ე**, ქორონიკონს **უპთ**.

ვინც გინდოდეს, მოურავათ ის დააყენე, თუ არავინ გინდა, ისიც შენ იცი. დავით

## 770. არზა ამილღაბარ ციციშვილისა ყმების თაობაზე დავით მეფკვიდრის ოქმით

**1801 წ. 7 მაისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 298. დედანი. ქაღალდი. 20,7×15,6 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ წერტილი.

ქ. მათის დიდებულების ბრძანებით სრულიად საქართველოს მ ე მ კ ვ ი დ რ ი ს დ ა ვ ი თ ი ს წინაშე მოსახსენებელი მათი მონის ც ი ც ი შ ვ ი ლ ი ს ა მ ი ლ ღ ა ბ ა რ ი ს ა და ი ო ს ე ბ ი ს ა.

პაპის ჩვენის მამულის და ყმის მოწყალება დაგვემართა. და ამასაც გეედრებით რომ, საცა ან აზნაურშვილი და ან გლეხი კაცნი იყოს დაფა[ნ]ტული, ერთი ოქმი და იასაული გვებოძოს რომ ავყაროთ, და საცა ჩვენი ნება იყოს, იქ დავაყენოთ. მაისის **დ**, ქორონიკონს **უპთ**.

თავში

ქ. ეშიკალაბაშო მარვანოზ! ეს ჩვენი წყალობა კაცმა [illegible]-ბარს საცა უნდოდეს, აუყარე და იქ დაუსახლე. ამისთვის, რომ ყოველს კაცს თავისი ყმა თავის ნებაზე უნდა. ამაში ვერცარავინ ხმას ამოიღებს და არც ხომ ამილღაბარ შილთახით მოეჭიდება ვისმე უბრალოდ და არც ვინ დაანებებს თუ არ თავისას.

ესენი ყველა ასე აღასრულე. მაისს ზ, ქორონიკონს უპთ.

დავით

ქ. მაღრაძეს გიორგი მღუდელთან იმის ძმისწულებთან და იმათ გლეხკაცთან კი საქმე არა აქვს. და სხვა ყველა ამილღაბარისა არის.

დავით

## 771. არზა გიორგი XII-ის დის მარიამისა რჩენის თაობაზე დავით მემკვიდრის ოქმით

1801 წ. 9 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 870. დედანი. 23×12 სმ. ქაღალდი. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მათის იმპერატორების დიდებულების ბრძანებით სრულიად საქართველოს მემკვიდრის და მმართებელის მეფის ძის დავითის წინაშე მოსახსენებელი მათის მხევლის და მამის დის მარიამისაგან.

ჩემო ჯემწიფევ, დიმიტრი ციციშვილის ჯალაბს რომ ოქმი უბოძეთ დოესია: მანამ ცოცხალია, იმ კაცებმა უნდა არჩინონო და როდესაც აღსრულდება, ხომ ისევ ჩვენი უნდა იყოს; მისის უმაღლესობის პაპის თქვენის ბრძანებაც ხომ ასეა და თქვენიცა.

წინაზედ გევედრეთ, ერთი ოქმი მიბოძეთ — ან არავის მისცეს ან არავის შესწიროს და ან არ გაყიდოს-მეთქი. და მიბძანეთ, რომ არზა მომართვია და გიბოძებო. წყალობას ვითხოვ, ოქმი მებოძოს, ჩემო ჯემწიფევ, ღმერთი მრავალს წელს ბედნიერობით გადღეგრძელებსთ. მაისის თ, ქორონიკონს უპთ.

თავში

ქ. სრულიად საქართველოს მემკვიდრე და მმართებელი დავით გიბრძანებთ! მერმე ეს ქვრივი მამიდაჩემ[მ]ა ბატონისშვილმა მარიამ[მ]ა

უნდა შეინახოს. და ეს ქვრივი ვერცა რას გაჰყიდის და ვერცა რას შესწირავს. მაისის თ, ქორონიკონს უპთ. დავით

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 772. არზა გრიგოლ ჩოლაყაშვილისა სამართლის მიცემაზე დავით მემკვიდრის ოქმით

**1801 წ. 14 მაისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10373. დედანი. ქაღალდი. 43,6×19,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. არზის თარიღი მცდარი უნდა იყოს.

ქ. სრულიად საქართველოს მემკვიდრის მეფის ძის დავითის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ჩოლაყაშვილი გრიგოლისაგან.

თქვენი ბრძანება და ოქმი რომ მოიტანეს იასაულებმა მიწობილიძემ და გოგიამ, ჩვენივე საქონელი ჩამოგვართვეს და დიმიტრის მიაბარეს, რომელიც რომ თქვენის ოქმით და იასაულით გვბოძებოდა; და მიბარების წიგნი თქვენ მოგართვით.

მეორეთ ოქმის წყალობა გექნათ, რაც ბატონიშვილს ბაგრატს დაუხარჯავს და ან ჯარს შეუჭამიაო, იმას გარდა რაც წართმეული იყოს, სამათ გაყავითო და თავ-თავისი წილით გამოართვით და მიაბარეთო.

ეს ოქმი რომ გვებოძა, სამის კაცით ჩაველ წმინდის გიორგის კარზედ და გამოუცხადე ხარჭაშნელთან და შაყრილს ხალხთან კვირას დღეს, და პირობა მომცეს, იასაული მოიყვანე და ყველას მოგაბარებთ. მე ამას დავჯერდი და შინ წამოველ.

თურმე იმ ღამეს კაცი გაუგზავნია დიმიტრი მოურავს მატანს და თავისი კაცი ჭუდზედ დაუბარებია, აგრეთვე თქვენი სახასო მარილელნი და აგრეთვე თიანელნი ახმეტას მყოფნი ესენი შაყრილნი, დიმიტრი და ორი თავისი ძმისწულები, დიმიტრი თავისი შვილით და ჭუდზედ თავისი კაცით ურემშაბმული ქავთარ ჯიმშიტაშვილს მიხდომოდნენ.

კაცი მომივიდა, ქავთარი აიკლესო. ეს, დიახ, გამიკვი[რ]და, რომ უწინ ის პირობა დავსდევით, არ აიკლებთ-მეთქი. და მეორე კაცი რომ მომივიდა, წაველ, დაუჩოქე დიმიტრი თიანეთის მოურავს და უთხარ: ეგ კაცი სამჯერ არის აკლებული, დამეკარგება, მობძანდით და რომელიც იასაულმა ღვინო მოგვცა, ის წაიღევით. არ შაისმინეს ჩემი ვედრება. მაინც კიდევ თიანეთის მოურავს ველაპარაკებოდი.

იმ დროს დიმიტრი ჩოლაყაშვილმა დაიძახა: დამალული აღარ ვარგაო, დაჰკარითო. და დაჰკრა ერთს ჩემს კაცს, ვბრუნდი, უკანიდამ თიანეთის მოურავმა დამკრა. მე მიუბრუნდი და უთხარ: დიმიტრი, რათა მცემ, მეორეც დამკრა.

ღმერთს ვფიცავ და თქვენს თავს, მე ხმა არ გამიცია ამ დაკვრაში. მესამე რომ დამკრა, მასუკან მეც დავკარ. გაისვა ხმალს ჯელი. იმ დროს ჯიმშიტაშვილს გიორგის დავენახე და შამომეშველა; ეს ჩემთვის მოქნეული ხმალი დაჰკრა და მხარი დააჩეხა. ეს დაჭრილი კაცი აქ გახლავსთ.

ჩვენი მსახური სულხანა სულზედ ძევს; იოვანე მღვდელი, გოგია მამულაშვილი და სოსია ესენი ღმრთის ნებაა, რომ დარჩნენ. ის ერთი ხომ სიკვდილის პირობაზედ არის დადებული და სამთ კი არ შეეძლოთ, რომ აქ გხლებოდენ. ამას გარდა თავგატეხილები და ნაცემნი მღვდელი თუ ერი აქ გახლავან.

ჩვენო ჯელმწიფევ! ჩვენ ჩვენს სახლში გახლდით. რათ შეიყარა ჯარი და მომიხდა. თუ კიდევ მჭონდა რამე, რატომ იასაული არ მოიყვანა და ისრე არ გამომართვა, რაზედ მომიხდა და ან რათ ამოწყვიტა თავითა და ყმითა ხლმითა და ხანჯლით.

ამის სამართალს ვითხოვთ. ამისთანა საქმე არავის დამართებიათ, საქონელიც წაგვართვეს, კიდეც აგვიკლეს და კიდეც დაგვხოცეს. არც ეს ოქმი იოქმეს, რომელიც ჩვენ გვებოძა. ჩვენი თავი აქ მოგვირთმევია და ახლა ნება თქვენია. მაისის **იე**, ქორონიკონს **უპთ**.

თავში

ქ. დიმიტრი საგინაშვილო! მერე შენ უნდა ახლავ მიხვიდე. პირველი ჩემი ბრძანება ეს იყო, რომ, რაც ჩემ[მ]ა ჯარმა დახარჯა და ან ბაგრატმა, ჩემი ვალი იყო და კიდეც არის და მე გარდაუხდი.

და რაც ამ თავადთ საკუთარი თავისთვის დაეხარჯათ, ის უნდა მისცემოდა ქაიხოსროსა. და ეს ასეც უნდა აღსრულდეს. იმათ რაც[1] საკუთრად თავისთვის დაუხარჯავსთ, უნდა მისცენ.

ამას გარდა, ეს შფოთი რომ უქნიან, უნდა აქ სამართალში ჩვენ წინაშე მოიყვანო და გამოიკითხო ვითარება, ორსავე მხარეს დანაშაული, ეგრეთვე მიზეზის მიცემა, ეგრეთვე შეყრილობა, ეგრეთვე ორისავ მხარს გალახული, დაკოდილი და დამტვრეული დაწერილათ მუნ დასწრებულის მოწმობით და ხარჭაშნელ ეპისკოპოსის ჯელმოწერილობით ჩამოგვიტანე ის წერილი ამ მოჩივრებთან ერთათ, ასე იცოდე. მაისის **იდ**, ქორონიკონს **უპთ**. დავით

[1] რათ.

## 773. არზა ზაზა ციციშვილისა ღალის თაობაზე დავით მემკვიდრის ოქმით

**1801 წ. 18 მაისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3110. დედანი. ქაღალდი. 22×12,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის დიდებულობის ნებით, სრულიად საქართველოს მეფკვიდრე და მმართებელის დავითის წინაშე მოსახსენებელი ციციშვილის ზაზასაგან.

მოგეხსენებათ როგორ ვერანა ადგილს ვდგავარ, შვიდი კომლი კაცით გახლავარ. შენმა გამარჯვებამ, მარტო[ო]ბით საქმე მიჭირს, თუ დავცალო, თქვენი მეშინიან; და თუ იქავ ვიდგე, მტრისაგან მეშინიან.

მოწყალებას ვითხომთ, ვისაც იმ სოფელში წილი ჭონდეთ, იმანაც იქ მოიყვანოს ყმა, დააყენოს და ერთათ ვიცხოვროთ. თუ არ მოიყვანებენ და ჩემთან ჯირში და ლხინში ერთი არ იქნებიან, მანამ მოვიდოდნენ და იქ დადგებოდნენ, იქაურს მამულის ბარაზედ ხელი აიღონ. და როცა მოვლენ, დადგებიან, თავეთი მამული ღმერთმან მოახმაროს. მაისის **იბ**, ქორონიკონს **უპთ**.

თავში

ქ. სრულიად საქართველოს მემკვიდრე მმართებელი დავით გიბძანებ ციციშვილო უზბაშო ზაზავ! ამ არზით რომ ასე მოგიხსენებია, ეს შენი მოხსენება მართალი არის, თავი დაგიდვია, ერთს სამტროს ადგილში მისულხარ და დამდგარხარ; რაც შენ და შენმა კაცებმა მოხნათ, ვისიც მამული უნდა იყოს, იმისი ღალა შენ აიღე, ნურავის დაანებებ.

ვინც ნიჩბისში მოწილენი ხართ, თქვენი კაციც მიიყვანეთ და დააყენეთ; და რომ დააყენებთ, მაშინ თქვენის მამულის ღალაც თქვენ აიღევით. და თუ კაცს არ მიიყვანთ და ვერც ღალასა სთხოვთ, ასე იცოდეთ. მაისის **იწ**, ქორონიკონს **უპთ**. დავით

## 774. არზა სტეფანე ყაითმაზაშვილისა ყმის თაობაზე საქართველოს სამოქალაქო მმართებლობის ოქმით

**1801 წ. 27 ივნისი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 26. საბუთი № 1. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[1] ყოვლად უგანათლებულესო დიდო ხელმწიფევ იმპერატორო ალექსანდრე პავლეს ძევ თვითმპყრობელო სრულიად რუ-

სეთისათ, ყოვლად მოწყალევ ხელმწიფევ, ითხოვს ყაითმაზა-შვილი სტეფანე.

ბოსტანაში ჩემი მკვიდრი ყმა სახლობს გურგენა ხუტია, ექვსი წელიწადია არ მემსახურება. წყალობას ვითხოვ, ამი-ყაროთ იქიდამ და მამაბაროთ, თქვენის დოვლათით ჩემს სოფელში დავასახლო. ივნისის **იზ**, ქორონიკონს **უპთ**.

თავში

ბძანება საქართველოს მმართებელობისაგან, აწ ბოსტანა სოფელ-ში მყოფნო გურგენავ და ხუტიავ! თუ ამისი ყმანი ხართ, შემოდგომამ-დინ მაგავ ადგილიდამ ისე მსახურეთ, როგორც ბატონყმობის რიგია. მანამდინ ვერ აგყრისთ. და თუ თქვენ წინაამდეგი სიტყვა გაქვსთ და ამის ყმობას უარჰყოფთ, როდესაც მოსავალი მომკათ შემოდგომაზე, მოდით და სამართალში ელაპარაკენით. ივნისის **კზ**, ქორონიკონს **უპთ**.

გაფრთხილდით, რომ სიცრუით არ გასარჯოთ მმართებელობა.

Генералъ-майоръ Лазаревъ

თავადი ჩოლაყოვი ჩართელი

თავადი თუმანოვი სულხან

თავადი თუმანოვი ეგნატი

## 775. ᲐᲠᲖᲐ ᲛᲦᲕᲓᲔᲚ ᲘᲝᲕᲐᲜᲔ ᲛᲐᲦᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲦᲐᲚᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲑᲐᲢᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲝᲥᲛᲘᲗ

**1801 წ. 11 ივლისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1370. დედანი. ქაღალდი. 26,5×10,2 სმ. მხედ-რული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. მის უგანათლებულესობის მეფის ძის ვახტანგის წინაშე მოსახსენებელი მათის მარად მლოცველის მაღალაშვი-ლის იოვანე მღვდელისაგან.

მოგეხსენებათ რომ ციხებდავს მამული გვაქვს, ის მამული სამ წილათ არის გაყოფილი: ერთი წილი ჩემი გახლავსთ და ორი წი-ლი სულ ჩემის ბიძაშვილებისა. სამი წელიწადი არის ისინი იღებენ ღალას თქვენის ოქმით, ჩემს წილსაცა და თავიანთსაც.

წყალობას ვითხოვ, რომ ერთი ოქმი და იასაული მებოძოს, რომ ჩემის მამულის ღალა მომცენ. და თუ სიტყვა ქონდეს ვისმე, თქვენ-თან მელაპარაკნენ სამართალში. ივლისის **კბ**, ქორონიკონს **უპთ**.

თავში

ქ. ბატონისშვილი ვახტანგ გიბრძანებთ რასაც ჩვენ-ძე ანდრიავ და ბუჩაშვილო ნინიავ! მერე ეხ მაღალასშვილი მღვდელი იოანე ამ არზით ასე რომ ჩივის, თქვენ უნდა მიხვიდეთ ციხებდავს და რაც ამას სამართლიანად ღალა ერგებოდეს, და რომელთაც კაცთ ყანა, ქერი თუ ფეტ[ვ]ი სდგომოდესთ და ან ედგასთ, ყველამ უკლებრად უნდა მოსცენ. ივლისის **კბ**, ქორონიკონს **უპ[თ]**.

ბეჭედი: რტოდ ვარ დავითის, მგელ-ლომად ვით ის, ვახტანგ ვამტკიცებ მეფის ძეობით.

## 776. არზა ნინია ამილახორის სიდედრის მახიასი მზითვის თაობაზე სამოქალაქო მმართებლობის ოქმით

**1801 წ. 18 აგვისტო**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10076. დედანი. ქაღალდი. 20,7×16,6!სმ. მხედრული. აქა-იქ წერტილი.

ყოვლად უგანათლებულესო დიდო ჯელმწიფევ, იმპერატორო ალექსანდრე პავლეს ძევ, თვითმპყრობელო სრულიად რუსეთისაო, ყოვლად მოწყალევ ჯელმწიფევ!

ითხოვს ივანე დოლენჯისშვილის სიდედრი მახია. ომან ამილახვრისშვილი ნინიას ბარობაზედ ამას წინად არზი მოგართვი, რომ მზითევს ვედავებოდი და ოქმით გებრძანებინათ, მარიამობის თვის ნახევარში სამართალში უნდა გვიახლოსო.

ახლა ხომ თქვენ მიბრძანდებით და ის ჩემი სიძეც იქ გახლავსთ ჭალასა. მე იქ ხლება არ შემიძლიან. წყალობას ვითხოვ, რომ ჩემს სიძეს უბრძანოთ, აქათ გამოისტუმროთ, რომ ჩვენი დავა ამ ქალაქში გადაწყდეს. აგვისტოს **ივ**, ქორონიკონს **უპთ**.

ბძანება საქართუელოს სამოქალაქო მმართებელობიდამ, ამილახოროვო ომანი შვილო ნინიავ! შენი სიდედრი ამ არზით ასე გიჩივის და ახლავ უნდა ჩამოხვიდე და სამართალში ელაპარაკო. თუ ახლავ არ ჩამოხვალ, მმართებელობა ავათ ჩამოგართმევს. ოკდომბერს **იფ**, ქორონიკონს **უპთ**.

Генералъ-майоръ Лазаревъ

თავადი იოანე ჩოლაყაევი

თავადი სულხან თუმანოვი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## 777. არზა სოლომონ ჯავახაშვილისა უმის თაობაზე დავით მემკვიდრის ოქმით

**1801 წ. 26 აგვისტო**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 8722. დედანი. ქაღალდი. 34,5×11,4 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნები ნახმარი არ არის.

ქ. მათის უგანათლე[ბულე]სობის სრულიად საქართველოს მეფის ძის დავითის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის სოლომან ჯავახასაგან.

სუყველა კაცს ორმოცი წლის მამული დაკარგული ვისცა ჰქონდა, ყველას თქვენგან ებოძა და თავისი მამულის პატრონი გახდნენ. მე მამით-პაპით სამკვიდრო ერთი კომლი კაცი მყვანდა, ისიც თქვენის ბძანებით ჩამორთმეული მაქვს.

ღმერთი გაგაძლიერებს და გაგიმარჯვებს, უმეტესათ აღგამაღლებს, ნუ მიზამ, არაფერი დანაშაული არა მაქვს რა. ისევ მიბოძეთ. საქართველოში არავი[ს] გაუგონია იმისი სხვა ბატონი, ჩემი ყმა არის. თქვენი თავი მალოცვინ[ე], შენ სადღეგძელოთ მიბოძე ისევ. აგვისტოს **კე**, ქორონიკონს **უპთ**.

თავში

ქ. მის ბრწყინვალებას ამილახვარს ბატონს გიორგის ესრეთ მოხსენდეს. ამ არზით ეს ჯავახაშვილი სოლომან რომ ასე ჩივის, ამან თავისი წიგნები გვაჩვენა, რომ ეგ კაცი მკვიდრი ამისი ყმა ყოფილა და როგორც ბატონყმობის რიგი იყოს, ისე დაუმორჩილე და ამსახურე. და მაგ კაცს თუ ერთი ჭეშმარიტი სიტყვა ჰქონდეს რამე, რომ ამისი ყმა არ იყოს, სამართალში ჩამოვიდეს. მაგრამ თუ სამართალში გამტყუნდა რომ ამისი ყმა ყოფილა და ტყუილად აცოდვილებს, ძალიან დაისჯება. აგვისტოს **კვ**, ქორონიკონს **უპთ**.

დავით

## 778. არზა ზაალ დავითიშვილისა ღალის თაობაზე საქართველოს სამოქალაქო მმართებლობის ოქმით

**1801 წ. 13 სექტემბერი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 602. დედანი. ქაღალდი. 16,5×10,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ყოვლად უგანათლებულესო დიდო ჯელმწიფევ, იმპერატორო ალექსანდრე პავლეს ძევ და თვითმპყრობელო სრულიად რუსეთისაო, ყოვლად მოწყალევ ჯელმწიფევ!

ვითხოვთ დავითისშვილი ზა[ა]ლ: ალს მდგომნი გლეხნი კაცნი ჩემს მამულს ხუნენ ქინძათსა რამდენიმე ხანია და ღალას არ მაძლევენ.

გევედრებით ამილახვარს ებძანოს, რომ ჩემი ღალა გამამირთვას და მამცეს; ან კიდევ სხვაგან ჩემს მამულში ვისაც ედგას, ისიც გამამირთვას სამართლიანის საქმით. სექდემბრის **იბ**, გასულს, ქორონიკონს **უპთ.**

ბძანება საქართუელოს სამოქალაქო მმართებელობისაგან, ამილახვარო გიორგი!

ამ არზის პატრონი ასე რომ ჩივის, ამის მამულის ღალა შენ გაურიგე. და როგორც გა[ა]რიგო მმართებელო[ბა]ს გამოუცხადე. სექტემბრის **იგ**, ქორონიკონს **უპთ.**

Генералъ-майоръ Лазаревъ

თავადი ზა[ა]ლ ბარათოვი

თავადი ეგნატი თუმანოვი

## 779. არზა ზაალ დავითიშვილისა სამართლის მიცემაზე საქართველოს სამოქალაქო მმართებლობის ოქმით

**1801 წ. 14 სექტემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3014. დედანი. ქაღალდი. 21,5×17 სმ. მხედრული. ყოველი სიტყვის შემდეგ წერტილი.

ჭ. ყოვლად უგანათლებულესო დიდო ჯელმწიფევ, იმპერატორო ალექსანდრე პავლეს ძევ, თვითმპყრობელო სრულიად რუსეთისაო, ყოვლად მოწყალევ ჯელმწიფევ!

ითხოვს დავითისშვილი ზა[ა]ლ: ზარდიაშვილი ჩემი ყმა არის, თავი წამართვა, საერისთოში გავიდა. რამდენიმე წელიწადია სულ ვედავები, მაგრამ არას მეპუება. არც იმაზედ ბძანება გავიდა, პირველათ ერისთვიანთ ძლიერებით, შემდგომად ბატონის-

შვილის იულონის შეწევნით ვერც სამართალში მივიყვანეთ. მეფის ერეკლეს ბძანებები მაქვს; და თუ ეს მოხსენება ტყუილია, ის წერილები გამოაცხადებს.

ამასვე ჩემი კაცი ჰყვანდა მძლავრობით, აიყარა და თავის შამფურზედ გამოვიდა. იასაული მოიყვანა, არ დავანებე. ბატონს არზა ვაახელი, ოთარ ამილახვრისათვინ ოქმი ებოძა, მე მიბოძა. ამაში ხანი გავიდა. ტყუილად არზა მოეცა — ჩემი არისო; ამილახვარზედ ოქმი მოეტანა — ამასვე მოეციო; ყრიდა, საერისთოში მიყვანდა; არ დავანებე, აქ იყოს სამართლამდინ-მეთქი.

რაც ყოფა მიყო, სამართალს მოხსენდება. ორნივ მამაშვილნი კინალამ თოფებით დაგვხოცა ამ ჩემ[მ]ა ყმამა, რომ ამისი მოწმენი მზას არიან, მეფის ერეკლის ბძანებით და ოქმით, რასაც სოფელში ეს მიყო, ყოველივე მეფ[ე]ს ერეკლესთან არის გამოცხადებული ეს ჩემი მოხსენება; და ოქმებიც მაქვს. სამართლის გადაწყვეტა აღარ დაგვცალდა. ახლა გევედრები ყოვლად მოწყალეს ხემწიფეს, ამისი სამართალი მაღირსეთ.

ამანვე ჩემს კაცს ძროხა წაართვა თავის თავათ. ენკენისთვის **იბ**, ქორონიკონს **უპთ**.

ბძანება საქართველოს სამოქალაქო მმართებელთაგან, ამილახვარო გიორგი! ესე და ამისი მოდავე ჩვენს სამართალში მოიყვანე და რაც საბუთი ჰქონდესთ, ორთავ თან მოატანინეთ. სექდემბერს **იდ**, ქორონიკონს **უპთ**.

Генералъ-майоръ Лазаревъ

თავადი ბარათოვი

თავადი ეგნატი თუმანოვი

კასპის მოურაო ქარუმიძე იოანე! შენ უნდა ყაზახებიც თან წაიყვანო და ზარდიაშვილი თავის საბუთებით ჩამოიყვანო, რომ მმართებლობის წინაშე უნდა წარვაგლინოთ. ოკდომბრის **ლა**, ქორონიკონს **უპთ**.

იარანლის ოქმი რომ აქვს, რომ რასაც მოსაცემს იყო, უნდა მოეცა და არ მოუცია; როგორც ის ოქმი აცხადებს, ეს ყაზახები უნდა ჩაუყენო და ისიც ისე გამოართვა.

Подполковникъ Симоновичъ

თავადი გიორგი ამილახორი

## 780. არზა ჩხეიძეებისა ყმის თაობაზე სამოქალაქო მმართებელთა ოქმით

**1801 წ. 26 სექტემბერი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 14. საბუთი № 77. პირ. ქაღალდი. მხედრული.

[**108**] ყოვლად უგანათლებულესო დიდო ჴელმწიფევ, იმპერატორო ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე პავლეს ძევ, თვითმპყრობელო სრულიად რუსეთის, ყოვლად მოწყალე ჴელმწიფევ!

ითხოვენ ერთობლივ ჩხეიძე[ე]ბი: ჩვენის მტრებისაგან ასე შეწუხებული ვიყავით და მეზობლებისაგან, ჩვენი ყმანი დაფანტულნი გახლავან ყოველს კედლათ, მაგრამ არავის ყმობით არ წაურთმევია. მართალია, ნ ო ზ ა ძ ე მოყვარე ჰყვანდა დ ი ა ს ა მ ი ძ ე ს თ ა ნ, იმის კედლათ მივიდა, მაგრამ ჩვენს ყმობიდამ არ გასულა. ი ვ ლ ო ნ ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ წართმეული ჩვენი ყმები რომ თქვენგან სამართლით [გ]ვებოძა, ეს კაციც იმათი ძმა არის. თუ ჩვენი ყმა არ იყო, დიასამიძისა იყო, მოახლე რათ დამ(sic) რომ გამოვართვი ან რათ ვიმსახურებდი იქიდამ.

გვევედრები სამართალში გვალაპარაკოთ, ღვთის [V] წინაშე სამართალი გვაღირსოთ, მანამდის ის კაცი თავის ძმასთან იყოს, სამართალმა რომელსაც მისცეს, იმის იქნება. სეკდემბრის **კვ**, ქორონიკონს **უპთ**.

თავში

ბძანება საქართველოს სამოქალაქოს მმართებელთაგან, თავადო დ ი ა ს ა მ ი ძ ე ი ო ს ე ბ! შენ ხომ ბძანება ასე მოგეცა — თუ ამ შენს მოდავეს კაცს სიტყვა ჰქონდა, უნდა სამართალში მოგყოლოდა, თუ არადა, უნდა აგეყარა[1]. ახლა ეს კაცი ჩივის, სიტყვა მაქვსო. თუ აჰყრი, მოდი ელაპარაკე. და სამართლით თუ დაგრჩება, მაშინ აჰყარე. სეკდემბრის **კვ**, ქორონიკონს **უპთ**.

Генералъ-майоръ Л а з а р е в ъ

თავადი ზ ა [ა] ლ ბ ა რ ა თ ო ვ ი[1]

თავადი ე გ ნ ა ტ ი თ უ მ ა ნ ო ვ ი

---

[1] აგეყარა.

[1] + ზალ.

## 781. არზა გიორგი თამაზაშვილისა ვალის თაობაზე საქართველოს სამოქალაქო მმართებლობის ოქმით

**1801 წ. 3 მარტი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 7197. დედანი. ქაღალდი. 21,4×15,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. ოქმის თარიღი მცდარი უნდა იყოს.

ყოვლად უგანათლებულესო დიდო ჯელმწიფევ, იმპერატორო ალექსანდრე პავლეს ძევ, თვითმპყრობელო სრულიად რუსეთისაო, ყოვლად მოწყალევ ჯელმწიფევ.

ვითხოვ ორბელიანი თამაზის ყმა გიორგი თამაზაშვილი: ჩვენი სახლი ხარაზი მარტიროზასთან გირაოთ არის ოცდახუთ თუმნათა, თამასუქიც გვიჭირავს და ანდერძის წიგნიც არის. სახლებშიაც ისი დგას. თორმეტი თუმანი მოსაცემს არის და ცამეტი თუმანი კი მოუცია. და იმ დანარჩომს აღარ გვაძლევს.

წყალობას ვითხოვთ, თამასუქიც და ანდერძის წიგნიც გაშინჯოთ და სამართალი გვიბოძოთ. მარტის გ, ქორონიკონს უჟ.

ტყვე მოვიყვანე ოცდა[ა]თი თუმანი უნდა მივცე; თუ ახლა სახსარი არ მივცე, ტყვეს უკანვე წაიყვანს.

ბრძანება საქართველოს სამოქალაქოს მმართებელთაგან, თავადო ზურაბ ორბელიანო!

ესე და ამისი მოდავე მელიქს დარჩიასთან მიაყვანინე და სამართალი მოაცემინე. თებერვლის კვ, ქორონიკონს უჟ.

Генералъ-майоръ Лазаревъ

თავადი ბარათოვი
თავადი იოანე ჩოლაყაევ
თავადი სულხან თუმანოვი
თავადი ეგნატი თუმანოვი
მდივანი თავადი შიოშ თუმანოვ

## 782. არზა დავით და დიმიტრი აბაშიძეებისა ყმის თაობაზე საქართველოს სამოქალაქო მმართებლობის ოქმით

**1802 წ. 7 მარტი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3488. დედანი. ქაღალდი. 21,5×17 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ყოვლად უგანათლებულესო დიდო ჯელმწიფევ, იმპერატორო ალექსანდრე პავლეს ძევ, თვითმპყრობელო სრულიად რუსეთისაო, ყოვლად მოწყალევ ჯელმწიფევ!

ვითხოვ აბაშიძე დავით და დიმიტრი: ჩვენი ერთი ძმა-ხური მამა ჩვენთან გაზდილი და მამის ჩვენისაგან დაჭორწინებული მკვიდრი ყმა ხოსიკა ჭყოიძე, როდესაც იმან ჯვარი [illegible] და ჩვენის სახლიდგან თავის მოყვრებში გადვიდა, დარჩა და იქა დგას.

გიორგი მეფის ოქმიცა გვაქვს. თქვენგანაც წყალობას ვითხოვ, რომ მაიორს ოქმით ებძანოს, ამიყაროს და მამაბაროს. თვითონ ანაგის ქევხამაც კარგათ იცის, რომ მამის ჩვენისაგან მიბარებულია. და თუ ამისი წინააღმდეგი სიტყვა ჰქონდეს, სამართალს მ[ო]ახსენოს. მარტის ზ, ქორონიკონს უჟ.

ბძანება საქართველოს სამოქალაქო მმართებელობიდამ, ეშიკაღა-ბაშის ჭავჭავაძეს ნაიბო თავადო გურგენიძე დავით! აბაშიძე დავითს არზით ასე რომ მოუხსენებია, საცა ამისი ყმა ხოსიკა ჭყოიძე იყოს, ახლავ უნდა აუყარო და თავადს აბაშიძეს დავითს მოაბარო. მარტის ზ, ქორონიკონს უჟ.

მეფის გიორგის ოქმიცა აქვს მოურავს რევაზზედ, რომ აუყარე და თავისი კაცი მოაბარეო; და არ მიუციათ: ახლავ უნდა აუყარო და მოაბარო.

Генералъ-майоръ Лазаревъ

თავადი ბარათოვი
თავადი ჩოლაკაევი
თავადი სულხან თუმანოვი
თავადი ეგნატი თუმანოვი
მდივანი თავადი სერგის ჭობულოვი
მდივანი თავადი შიოშ თუმანოვი

## 783. არზა ოტია ზანდუკელისა მამულის თაობაზე ვახტანგ გაბონიშვილის ოქმით

**1802 წ. 21 მარტი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 13. საბუთი № 83. პირი. ქალალდი. მხედრული.

[68v] მეფის ძის ვახტანგის წინაშე მოსახსენებელი ზანდუკელი ოტიასი. ჟინვანს ერთი წისქვილი გავაკეთე და იმას ზეიდამ ერთი თქვენი ბეითალმანი ოციოდ ადლი მიწა უძეს. არც სახნავი არის, უბრალო ტყე და ყორე არის. და გევედრები მებოძოს, რომ იმაზე წისქვილის რუ გავატარო. ის ბეითალმანი ყორე სისველაშვილის ნაქონი არის.

გევედრები მოწყალება მოიღოთ. [69] ის წისქვილი თქვენის მოწყალებით გავაკეთე და გევედრები მოწყალება მოიღოთ, რომ წყალი გავიყვანო. მარტის კ, ქორონიკონს უჟ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავში

ბოქოულთხუცესო ბეჟან! ამ არზით რომ ასე უთხოვნია, რადგან ბეითალმანია და უხმარი ადგილიც არის და ამას კი გამოადგება, ჩვენც გვიბოძებია და ამას მოაბარე. მარტის კა, ქორონიკონს უჟ.

## 784. არზა ელისაბედ მილახვრის მეუღლისა ვალის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

**1802 წ. 3 მაისი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 6815. დედანი. ქაღალდი. 33,9×14,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია მძიმე.

ქ. მათის უმაღლესობის საქართველოს დედოფლის დარეჯანის წინაშე მოსახსენებელი მილახვრის მეუღლის მათის მონის ელისაბედისაგან.

მერე როდესაც თქვენი ყმა ზაქარია ღამბარაშვილი მიიცვალა, მოგეხსენებათ რომ ნეტარხსენებულის ბატონისა და თქვენის ბძანებით, რაც იმის სახლში იყო სულ დაწერეს, დაბეჭდეს და წამოიღეს, რომ ჩემი საკუთარი საქონელიც თან მრავალი გამოატანეს, რომ არ გაარჩიეს. და ვჰგონებ ესეც უწინვე მოხსენებული გქონდესთ. თუმცა ვიცი, რომ იმ ნივთებიდამ თქვენს სიმაღლეს არა მოუხმარებია რა და სულ ერთად სალაროში შენახული ღამაჰმადხანის მოსვლის დროს დაიკარგა. მაგრამ რადგანც მე ასე დავრჩომილვარ და იცით, რომ რაც სამართლით იმის საქონლიდამ მერგებოდა, ჯერ არც ის მომცემია და ჩემი საკუთარიც მასთან დაკარგულია, ამისთვის ვბედავ ამ მოხსენებას, რომ თუ თქვენის ყმის ზაქარიასი რომ შარუაშვილს გაბრიელს ორმოცდაათი თუმანი ვალად ალებული ჰქონდა და თამასუქი არის, იმ თამასუქის წყალობა მაინც დამემართოს, რომ უსამართლოდ არ დავრჩე თქვენის მოწყალებითა. და თუ თქვენი ნება არ იყოს, თავს ნუ შეიწყენთ. ისიცა და ჩემი თავიც თქვენი ჭირის სანაცვლო იყოს. მაისს ა, ქორონიკონს უჟ.

თავში

ქ. საქართველოს დედოფალი დარეჯან მოგიწერ მილახვრის ჯალაბო ელისაბედ! მერმე თუმცა ჩვენ მაშინვე მოგვხსენდა ზაქარია ლომბარაშვილის საქონელთან შენი ნივთებიც გამოეტანებინათ, მაგრამ რადგანც ჩვენის ჯემწიფის ბძანებით დაბეჭდილი იყო, სანამ გავსინჯევდით და გავარჩევდით, ისე ერთიან დაიკარგა. შენი რაც საკუთარი ერია. ამიტომ მაშინ ველარ მოგეცით; და ახლა იმისთვის და კიდევ, რომ სამართლით იმის ქონებიდამ შენ შენი რიგი უნდა მოგცემოდა. ამ ორის მიზეზით ზაქარიას რომ შარუაშვილის გაბრიელასი ორმოზდაათის თუმნის თამასუქი ჰქონდა, ის თამასუქი შენთვის გვიბოძებია. რასაც სამართლიანად იმ თამასუქით გამოართმევ, საკუთრად შენი არის, იმაში საქმე არავისა აქვს. მაისის გ. ქორონიკონს უჟ.

ბეჭედი: დედოფალი დარეჯან.

## 785. არზა ელისაბედ მრევლიშვილისა ოქმის განახლებაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

**1802 წ. 12 ოქტომბერი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 41. საბუთი № 248. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[174v] მათის უმაღლესობის ბედნიერის დედოფლის წინაშე მოსახსენებელი მრევლისშვილის ქალის ელისაბედისა.

თაქთაქისშვილის ყმასა ვყვანდი, ერთის თვის მიყვანილი არცკი ვიყავი, ის ჩემი ქმარი დაიჭირა ლუა კაკამა და ბორკილი შეუყარა: შენ რათ უნდა გყვანდეს ეს ცოლი, მე უნდა ხასათ მიჯდესო. იანვრის დღეში ერთ კოკა წყალს დილას და[ა]სხამდა და ერთ კოკას საღამოსა. ის თაქთაქისშვილებიც ორნივ ჩემის ქმრისგან დანათლულები არიან, რომელი ნათლის ცოლი დაჯდომია ხასათა, რომ მე დავჯდომოდი. მე დამიჭირა, შუაღამისას კოშკში ამიტყუა სასიავკაცოთა.

მერმე სახლიდამ გაღმოვარდი, ცხვირის ნესტო გამიტყდა და ნეკნები დამემსხვრია. რომ გამოვექე, კურთხეულს ბატონს მეფეს ერეკლეს მოვახსენე, ოქმი მიბოძა: შენი ქმარი გინდოდეს შენთან ბიჭათ იყოს, გინდოდეს ქმრათაო, შენთან საქმე არავის აქვსო. ის ოქმი თქვენგანაც დაბეჭდილი იყო და ქალაქის წახდენაში ის ოქმი დავკარგე.

წყალობას ვითხოვ, თქვენის შვილების სადღეგრძელოთ იმ ოქმის სამაგიერო ოქმი მიბოძოთ. ოკდომბერს ზ, ქორონიკონს უჟ.

[174] საქართველოს დედოფალი დარეჯან ამ მრუშობას გიწერ შენ, მრევლის ქალს ელისაბედს, რომ ქალაქის წახდენის წინად შენ ჩვენს ხელმწიფესთან თაქთაქიშვილს ლუა კაკას უჩიოდი შენის უპატიურად ყოფისათვის. და მისმა უმაღლესობამ შენ ოქმი გიბოძა, რომ: შენთან, არც შენ ქმარ-შვილთან საბატონყმოდ თაქთაქისშვილებს საქმე არ უნდა ჰქონოდათ. და ის ოქმი მეც დამამტკიცებინე. რადგან ის ოქმი ქალაქის წახდენაში დაგკარგოდა, ჩემი წერილი ამისთვის [v] მოგეც. ჰეშმარიტად ასე იყო. ოკდომბრის **იბ**, ქორონიკონს უჟ.

## 786. არზა სულხან თუმანოვისა მამულის თაობაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

**1802 წ. 6 ნოემბერი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 41. საბუთი № 107. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[71v] მათის სიმაღლის საქართველოს დედოფლის დარიას წინაშე მოხსენება თავადის სულხან თუმანოვისაგან.

გავიგონე გლახა როჭიკაშვილს თქვენთვის არზა მოურთმევია, რომ ვითომც იმას თეთრისოფლის მამულში წილი ჰქონდეს და თქვენ ზედ პასუხი მოგეწეროსთ. ვჰგონებ თქვენს სიმაღლეს ასე ჰგონებია, რომ იმ როჭიკაშვილს ერთის ან ორის [72] დღის მიწა ჰქონდეს, იმას ეჭიროს და მე გაბლავართ მევედე.

ამისთვის ვარწმუნებ თქვენს სიმაღლეს, რომ რამდენსამე თაობაში როჭიკოვს თეთრს სოფელში მამული არა ჰქონია რა. მართალია, ძველი სიგლები ჰქონია, მაგრამ მეფეთაგან ჩამორთმევია და გაბათილებულია როგორც იცით. და მართლაც არის, რომ საქართველოში მრავალთა აქვსთ იმისთანა ცუდი წიგნები უქმად და მამული სხვათა და სხვათა უჭირავთ, ეგრეთვე როჭიკაშვილებსაც დიდი ხანია რომ ჩამორთმეული აქვსთ, აღარც სჭერიათ.

და აქამომდე სანამ ჩვენ გვებოძებოდა, სხვადასხვა გვამთ მეფეთ, დედოფალთ და თავადთა სჭერიათ; და არცერთს დროს შეჰდგომად ჩამორთმევისა როჭიკაშვილებს წილი აღარ ჰქონიათ. და ამის გამო აღარა აქვს იმათ სამართალი, რომ ახლა მიიღონ რამე იქიდამ.

ამისთვის უმდაბლესად ვითხოვ ინებოთ წერილით გამოცხადება, რათა იმა როჭიკოვმან არ დასდვას მიზეზად თქვენი ახლად სხვა აზრის

გამო მიცემული წერილი. და თუ იმას თავის ძველის წერილებისა[ს] ძალით შეუძლია კანონით სამართალში შესვლა, ითხოოს [illegible] საგან სამართალი და ჩვენ პასუხს მივცემთ. ოკდომბერს [illegible] კონს უჟ.

თავში

როჭიკაშვილო გლახავ! მე რომ შენ წიგნი მოგეც ოქმი, მეფეების წიგნი რომ გქონდა და მაჩვენე, იმისთვის მოგეც, რომელიც მეფეთ წიგნები გაქვს, თუ იმითი სამართალში შეუხვალ რასმე ამათ, იმისი სამართალმა იცის; და მე რომ ოქმი მოგეც, ის ჩვენი ოქმი კი მიზეზათ არ დაიდება სამართალში. შენ რომ მეფეთაგან ბოძებული ძველი წიგნები გაქვს, თუ შეუხვალ რასმე, იმათ უნდა ელაპარაკო. ნოენბრის ვ. ქორონიკონს უჟ.

## 787. არზა სტეფანე ბასტამაშვილისა ვალის მოწმობის თაობაზე დავით გაბონიშვილის ოქმით

**1803 წ. 17 თებერვალი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 836. დედანი. ქაღალდი. 22,5×12,5 სმ. მხედრული. ალაგ-ალაგ თითო წერტილი.

ქ. მეფის ძის დავითის წინაშე მოსახსენებელი ბასტამაშვილი სტეფანესაგან.

ჩემი მოხსენება ეს არის: თქვენის მმართებელობაში თაყოაშვილმა ისაიამ რომ მიჩივლა და თეთრსა მთხოვდა. თქვენის ბძანებით როგორც გადასწყდა და ან რასაც უნდა დამჯერებოდა, მოწყალებას ვითხოვ, მოწმობა მამიწეროთ. ფებერვლის იზ, ქორონიკონს უჟა.

თავში

ქ. სტეფანე ბასტამაშვილო! ჩვენს მმართებელობაში თაყუაშვილმა ჩვენთან გიჩივლა და ჩვენ რომ გამოვიძიეთ და ვსცანით, რომ ეს იმის ვალი, რომელსაც გედავებოდა, ბარათის თეთრი ყოფილიყო ოცდაათი თუმანი. და რადგანაც ბატონის მამის ჩვენის ოქმიც გაცხადებდა, რომ შენს მოვალეს არ უნდა შეეწუხებინე, — ამ ორის მიზეზით და სამართლის გვარით ასე გარდავსწყვიტეთ რომ: ან ოცს თუმანს მაშინვე უნდა დაგეჯერებოდა და ან ეს ოცდაათი თუმანი ოთხად უნდა გაყოფილიყო და წელიწადში ერთი წილი უნდა მისცემოდა, და ასრე

ოთხს წელიწადში უნდა შეგესრულებინა. მაშინ სამართალი ასე გარდასწყდა. ფებერვლის **იზ, ქორონიკონს უჟა.**

რადგან ბარათის თეთრი იყო და ვალად არა ქონდა აღბეჭდილი მეფის ოქმიც შეძლებინებას გიცხადებდა მოვალეთაგანა, ჩვენც სამართლიანად დავინახედ და ასე გადავწყვიტეთ.

ხელრთვა: დ ა ვ ი თ.

## 788. არზა ხურო გოგიასი სახლის თაოგაზე დარეჯან დედოფლის ოქმით

**1803 წ. 6 მარტი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 9709. დედანი. ქაღალდი. 31,5×20,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია წერტილი ან მძიმე. ოქმის თარიღი მცდარი უნდა იყოს.

ქ. მათის უმაღლესობის ჯელმწიფე დედოფლის მოსახსენებელი მათის მონის ავლაბარში მდგომის ხურო გ ო გ ი ა ს ა გ ა ნ.

ოცი წელიწადი არის აქ ა ვ ლ ა ბ ა რ შ ი თქვენს ყმათ გახლავარ და ჩემის შეძლებით ხარჯი მიძღევია და მიმსახურნია. ადგილი და სახლი თქვენგან არა მბოძებია რა. თქვენის ყმის გ ო გ ი ა მ ა მ უ ლ ა შ ვ ი ლ ი ს ბეითალმანი სახლი არის, ის გირაოთ მიჰირავს, დუქნის ადგილი კი არა მაქვს, არც სახლისა იმ ბეითალმანის გირაოს მეტი. მოსული ყმა და მოსამსახურე გახლავარ.

წყალობას ვითხოვ, მეც ასეთი ბინა მებოძოს, რომ სხვას მეკომურებთან მეც ადგილი მქონდეს და როგორც მიმსახურნია, ისე შეძლებით თქვენი მოსამსახურე გახლდე. თუ ერთი რამ წყალობა და ბინა არა მებოძება რა, ის მებრძანოს, ნება გაქვსთ. მარტის **ვ, ქორონიკონს უჟა.**

**თავში**

ქ. ავლაბრის მოურაო მილახვარო ყ ო რ ღ ა ნ ა შ ვ ი ლ ო ი ო ს ე ბ და ავლაბრის მამასახლისო! მერე ეს გოგიტელა იმერელი, რომ ამდენი ხანია აქ ავლაბარში ჩვენს ყმათ სახლობს და ჯერ ამისთვის მამული არ გვიბოძებია, ახლა ამასა გწერთ, რომელიც ამ არზით ჩვენის ყმის მამულაშვილის ბეითალმანი სახლი უთხოვნია, რომ ის სახლი ამასთანაც გირაოთ ყოფილა, ის ბეითალმანი მამულაშვილის გოგიას სახლიცა და გომურიც ამისთვის სამკვიდროთ და საბოლოოთ გვიბოძებია შვილიშვილამდინ. და იმ მამულაშვილს გოგიას ხომ დუქნის ადგილიც ექნებოდა, ისიც მოიკითხეთ და ამას მოეცით. თუ ის ვერ

უპოვნოთ, სხვა დუქნის ადგილი მოუძებნეთ და ისე მოეცით და ამგვარათ აქ, ავლაბარში ერთი საკომლო ასე შეუსრულეთ და მუდმივად, სამკვიდროთ და საბოლოოთ ასე გვიბოძებია.

ამ ბეითალმანთან იმის განაყოფს მამულაშვილებთ საქმე არა აქვთ რა, ჩვენის ყმის ბეითალმანია. ჩვენი იყო და ამისთვის გვიბოძებია. ამას იქით იმის ალაგს ჩვენი მკვიდრი ყმა ეს არის. მარტის **დ**, ქრონიკონს **უჟა**.

ბეჭედი: დ ე დ ო ფ ა ლ ი დ ა რ ე ჯ ა ნ.
ბეჭედი: განაწო მოსე ფარაონის და მილახვარი ი ო ს ე ბ.

## 789. არზა გაბრიელ მაღალაშვილისა სახელოს თაობაზე ანტონ II-ის ოქმით

**1804 წ. 10 მარტი**

ცსსა. ფონდი 1450. დავთარი № 41. საბუთი № 218. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[159] უნეტარესო და უწმინდესო სრულიად საქართველოს კათალიკოზ პატრიარხო, ძეო სანატრელისა მეფისა ირაკლისაო, მოწყალეო ხელმწიფევ! ვითხოვ ობოლი თქვენი აზნაურიშვილი მ ა ღ ა ლ ა შ ვ ი ლ ი ზაზას შვილი გ ა ბ რ ი ე ლ.

ჩემი მოხსენება ეს არის თქვენ გიბძანებიათ, ანდრია სახელოებში ნულარ გაივლისო; რა დანაშაული მაქვს, რომ ნულარ გაივლის. თქვენ მომიკითხეთ, დედაკაცს ამკიდეს და თქვენთან ასე მომიყვანეს, რომ ფერხზედ დგომა არ შემეძლო, კუტი ვიყავ, ამან დამაყენა აქიმი და თქვენის მადლით ფერ[ხ]ზედ დავსდივარ. კარგათ რომ ხელი მომიკიდა, იქიდამ აქამდინ ვალიც ამან გარდამიწყვიტა, ჩემი დაც ამან გა[ა]თხოვა. როდესაც ჩემი დაჭირების დღე იყო, ეს იყო ჩემი მომ[ვ]ლელიცა და პატრონიც, ჩემთვის ამის მეტი მომ[ვ]ლელი და პატრონი არავინ იყო, არც [v] სახლისკაცი და არცავინ სხვა.

თქვენის ბრძანებით და ჩემის ნების დართვით ეს კაცი ჩემი ძმა არის და წერილებიც ხელში უჭირამს ძმობისა, რომელიც რომ მოგახსენებენ ჩემს წინაღმდეგომს, რა საქმე აქვთ ჩემთან. მე ბიძაჩემთან ვარ, მაგრამ მომ[ვ]ლელი და პატრონი მოურავი და იმისი შვილები არიან.

ჩემი სწორე მოხსენება ეს არის. მკვდარიც ამისი ვარ და ცოცხალიცა. ძმათა შეყრილობის წერილიც ისე აცხადებს.

მე, მამუკაშვილს გაბრიელას, ამ ზაზა მაღალაშვილის გაბრიელის სიტყვით და ნების დართვით დამიწერია ღვთის წინაშე და მოწამეცა ვარ. იანვრის კთ, ქორონიკონს უჟბ.

მე, გაბუაშვილი გაბრიელ, დამიწერია მაღალაშვილის გაბრიელის ნებით.

მე, მაღალაშვილს ანდრიას, ხელი მომიწერია. თუ ეს არზა მაღალასშვილის გაბრიელის ნების დართ[ვ]ით არ იყო დაწერილი, ჩემი ყმა და მამული დამიდვია ძირს. მარტის ი, ქორონიკონს უჟბ.

თავში

ქ. ამ არზით ასე რომ მოგიხსენებია, წერილებიც ვნახეთ, შენი მოხსენება სწორე და ჭეშმარიტი არის. რაგვარათაც ამას წინათ ემოქმედოს ანდრიას შენს სახელოებში, ახლაც ისე იმოქმედოს, რომელიც ამას წინათ დავსწერეთ ოქმები — სახელოში ნუღარ გა[ა]ტარებთო. ის ოქმები აქ ჩვენთან უნდა ჩამოიტანონ ვისაც ჰქონდეს. რომელიც მოხელობის რიგი არის, ასე იმოხელოს ანდრიამ. მარტის ი, ქორონიკონს უჟბ. ხელრთვა: კათალიკოსი.

## 790. არზა ნონია გიგაურისა მამულის თაობაზე ანტონ II-ის ოქმით

1807 წ. 16 დეკემბერი

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 776. დედანი. 19,5×17,5 სმ. ქაღალდი. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.

ქ. მათის უწმინდესობის წინაშე მოსახსენებელი მათ მონათ გიგაურის ნონიასაგან.

ჩვენო ჯელმწიფევ, როდესაც თქვენი მოწყალება დაგვემართა და ყიულისშვილის ბეითალმანი მამული ნაჭერი, ნაშენი, უშენი სახნავი, სახლი თუ კარი სრულიად რისაც მჭონებელი იყო ჩვენ გვებოძა თქვენის ოქმით და სიგლით და თქვენის მოხელე[ე]ბის დასწრებით და ნებადართვით, რომ არას კაცს იმის მამულთან დავა არა ქონიათ რა, ეს სამი თაობა არის იმათ ხელში ყოფილა. შარშან შამირანასშვილს (sic) თქვენ[თვი]ნ თავი უწყენიათ ყიულისშვილის მამულზედ და რუისპირელი კაციც მოწმათ მოუყვანიათ. ის კაცი იქავ რუისპირს ჩემი დაუძინებელი მტერი იყო და ახლა უარესია. რუისპირიდამ მოწმობის კაცი რომ არ მოეყვანა, იქავ ჩემი მკვიდრი მეზობლები გახლავან მომიჯნავენი, იმათ უკეთესათ არ იციან? ნახევარ[ი] დღის მიწა მომიჭრეს და იმას მისცეს.

თქვენის ოქმის ძალით გევედრებით ან მამაპაპას სჯეროდეს, დაწერილი აქვს, მე მტყუვანი გახლდები. და თუ უსაბუთოთ დარბდეს, ერთი ოქმი მებოძოს, ჩემი მამული ისევ მე მომეცეს. [illegible], ქორონიკონს უჟე.

ქ. ბოქ[ა]ულთხუცესო დავით! ამ არზით ასე რომ მოუხსენებია გიგაურს ნინიას, ის მამული ამას მოაბარე. და თუ სატყვა აქვს რამე შამინარაშვრლს (sic), თელავის სასამართლოში მივიდეს და ელაპარაკოს. დეკენბერს ივ, ქორონიკონს უჟე.

ხელრთვა: კათალიკოზი

სხვა ხელით

ქ. გამოცხადება თელავის უეზდის ისპრავნიკის მიერ, კეთილშობილო პა[ა]ტა სულხანოვო! როგორც მათ უწმინდესობას უბძანებია, ეს მამული ახლავ უნდა მოაბარო. და თუ სატყვა აქვს, სამ[ა]რთალში ილაპარაკოს. ივლისის ვ, ქორონიკონს უჟზ.

## 791. არზა დათუა ტატუაშვილისა გამოსალების თაობაზე ანტონ II-ის ოქმით

**1808 წ. 8 სექტემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 2335. დედანი. ქაღალდი. 22×17,5 სმ. ‘მხედრული. აქა-იქ წერტილი.

უნეტარესო და უწმიდესო საქართველოს პატრიარხო, მეფის ირაკლის ძევ ანტონი, მოწყალევ ჯელმწიფევ,

ვითხოვ მცხეთას მსახლობელი ტატუაშვილი დათუა: მერე ჩემი გვარი კაცი მამა-პაპანი კალატოზნი ყოფილან, რომ სვეტისცხოვლის საძირკვლის ჩამყრელნი ისინი ყოფილან, ხუთი თაობა კალატოზი გამოცვლილა ჩემის გვარისა და სვეტისცხოველს მოხმარებიან, თარხანი გხლებივართ ყოვლის გამოსაღებიდამა, რომ მქონდა წერილები მეფე[ე]ბისა და დამეკარგა.

ახლა მე ღალასა და ყოველი ვამოსაღ[ებ]სა მთხოვენ. ობოლი გახლავარ. წყალობას ვითხოვ თქვენის უწმიდესობისაგან, რომ ამის უსამართლობა არ დამემართოს. სექდემბერს ზ, ქორონიკონს უჟვ.

სამცხეთოს სარდალ-მოურაო ბეციავ! ამ არზით ასე რომ მოუხსენებია, რადგან ძველთაგან აზატი ყოფილა, ამას ნურასფერს ხარჯსა და გასაღებში ნუ გარევ. და სადაც ამას მამულები ჰქონდეს კოდმანსა თუ სხვაგან, სულ მოიკითხე და ამას მოაბარე. და აგრეთვე

საფიჩხულე და საოჩხე როგორც ჰქონოდეს, ისიც მიაბარე[1]. სეკდემბერს ც, ქორონიკონს ფუვ.

ხელრთვა: კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## სამეგრელოს სამთავროს საბუთები

### (1840—1856 წლ.).

### 792. ბრძანება დავით დადიანისა ვალში მძევალთა მიცემის აკრძალვის შესახებ

ხელნაწერთა ინსტიტუტი. რაფიელ ერისთავის პირადი საარქივო ფონდი. № 310. პირი. ქაღალდი. 22×17,5 სმ. ფურც. 3.

**სამეგრელოს უზენაეს სასამართლოს**

ა რ ძ ა ს ა ზედა ს ი კ ო რ ე ვ ი ა ს ა, რათა განხილვისამებრ ჯეროანისა სასამართლომან მისცეს კანონიერი კმაყოფილება და თანადვე მისა ქმნას თვისი განკარგულება ამა პირსა ზედა, რომელ არავის გარეშესა გინა შინაგან საზღვრისა არა მიეცემოდენ არავითარსამე დავალებას ზედა მძევალნი, არამედ ყოველნივე მოვალენი გაისტუმრებოდნენ ჯეროანის ვეჯით და ფულით.

მემკვიდრე მენგრელიისა დ ა ვ ი თ დ ა დ ი ა ნ ი

18 მაისს 1840 წელსა.

### 793. სჯულის დადება დავით დადიანის მიერ

**1841 წ. 1 იანვარი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. რაფიელ ერისთავის პირადი საარქივო ფონდი. № 310. პირი. დიდი ფორმატის ორადგაკეცილი ქაღალდი. 35×22 სმ. ტექსტს უჭირავს მე-4—5 ფურცლები. დაწერილია შავი მელნით. ფურცლის ორივე გვერდზე, ოღონდ პირველ სვეტში. მეორე (მარჯვენა) სვეტი ცარიელია რუსული თარგმანის ჩასაწერად. ეს საბუთი, გაზ. „შრომის“ 1881 წლის მე-10 ნომერში გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით, დაიბეჭდა „ქართ. სამართ. ძეგლების“ II ტომში, № 164.

**სამენგრელოს უზენაესს სასამართლოს**

შესვლისა ჩემსა მმართველობასა შინა სამენგრელოჲსასა განვიხილე, რომელ მცხოვრებნი მისნი — თავადნი, აზნაურნი, სამღვდელონი

[1] + მოაბარე.

და თითქმის გლეხნიცა აწარმოებენ რა სყიდვასა და გასყიდვასა, ანუ მიმზითვებასა, ჩუქებასა და დაგირავებასა უძრავთა გინა მოძრავთა, ყმათა და მამულთასა კერძოობითით ბარათით შეიკვრიან, ანუ რომე სინამდვილე ანუ სიყალბე მათ სიგელთასა ძნელად გამოსაცნობელ არს, რაჲსაგან გამოდის მრავალნი უწესობანი და საქმეთ წარმოებასა შინა სიძნელენი.

მოსასპობელად მომავლის დროჲსათვის ყოველთა ამათ სიძნელეთა სრულიად სამთავროსა შინა ჩვენსა დავსდებ შემდგომსა განკარგულებას.

**1.*** თავადნი, გინა აზნაურნი და სამღვდელონი უკეთუ სყიდულობდენ ურთიერთისაგან, ანუ გასყიდვიდენ, გინა აგირა[ვ]ებდენ მამულსა და ყმასა უმცირეს ას ორმოც და ათის მანეთისასა, დაიმოწმებდეს რომელ არავითარიმე საშვალობა დაბრკოლებისა არს მას შინა მაზრის განმგებელთ მეორე კლასის მდივანბეგებისაგან და დასამტკიცებლად წარმოუდგენდენ სამეგ[V]გრელოს უზენაესს სასამართლოს.

**2.** უმეტეს ას ორმოც და ათის მანეთისა საღირლის ყმასა და მამულის ნასყიდობაებთა წარმოადგენდეს უზენაესი სასამართლო მეგრელისა ჩემს დასამტკიცებელად.

3. ხოლო თამასუქი ვახშისა ორმოცდაათს მანეთამდის დაიმტკიცებოდეს მაზრის მდივანბეგებთაგან და უმეტესი ამისა უზენაესის მეგრელიის სასამართლოჲსაგან.

**4.** გლეხთა ნუ მიეცემათ ნება ნურცა ყმის გასყიდვისა, ნურცა სყიდვისა, ნურცა მიმზითებისა, გინა დაგირავებისა.,

**5.** იქონიონ ვითარცა სასამართლომ, ეგრეთვე მაზრის მეორე კლასის მდივანბეგთაცა ამა საგანთა ზედა განკერძოებული ჟურნალი ნომერსა ქვეშე და წლითი-წლად ესრეთი ჟურნალი წარმოიგზავნებოდეს დასაცველად ჩემს კანცელარიაში.

ვაცნობებ რა სამეგრელოს უზენაესს სასამართლოს, უბრძანებ განუცხადოს ყოველთა მოხელეთა ჩემსა სამფლობელოსა შინა ესრეთი სჯულის დადება და პირველს იანვრიდგან [5] **ჩყმა**-ის წლისა იხელთმძღვანელოს. და შემდგომი ყოველი წერილობითი საბუთი, თვინიერ ზემოთქმულთა წესთაებრ დამტკიცებული, იქმნეს უქმ.

ნამდვილსა ზედა ჴელმოწერილ არს: მემკვიდრე მმართველი მეგრელიისა დავით დადიანი.

**ჩყმა**-ს წელსა, **ა** იანვარს.

---

* ხელნაწერში მუხლების სათვალავი აღნიშნულია ასო-ციფრებით.

# 794. დარიგება დავით დადიანისა მდივანბეგთადმი მაზრების მმართველობის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

1841 წ. 26 იანვარი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. რაფიელ ერისთავის პირადი საარქივო ფონდი. № 362. პირი. დიდი ფორმატის ორადგაკეცილი ქაღალდი. 35×22 სმ. ტექსტი შეიცავს 6 ფურცელს. შავი მელნით დაწერილია ორ სვეტად: მარცხნივ — ქართული, მარჯვნივ — რუსული. საბუთის სათაურია რუსულად: «Инструкция, данная Правителем Мингрелии Окружным второклассным Мдиванбегам относительно управления округами».

## დარიგება მიცემული მენგრელიის მემკვიდრისაგან მეორე კლასის მდივანბეგთადმი შესახებელად მმართველობისა მათ მიერ მაზრათა

1.* დასაწყისად ვალდებულებათა თქვენთა სათანადო არს იყოთ კაცთმოყვარე და შეეთვისოთ საზოგადოებას, ცხადჰყოთ მას შორის ჭეშმარიტებისადმი ესრეთი პატივისცემა, რომელ თვით სიტყვანი თქვენნი შერიცხულ იქმნენ სარწმუნოდ, განაშორეთ თავი თქვენი პირმოთნეობასა, რამეთუ პირმოთნეობა არს დიდი ბიწი.

2. დანერგე მცხოვრებთა შორის კეთილ ზნეობით[1] წესიერება, მორჩილება სჯულიერთა. ჯელმწიფებათადმი და შრომის მოყვარება, განამხნევეთ იგინი მიწის მოქმედებისადმი, მამულის გამრავლების და ვაჭრობისა, განაშორეთ იგინი მცონარებისაგან, რომელ არს დედა ყოველთა ბიწიერებათა შეგონებათთა, რომელ ყოველი ბედნიერება თუ უბედურება წარმოსდგების თვით თავისა მათისაგან.

[v] და ოდესცა ყმათაგანი ჰპოვოთ დაჟინებულსა უქმობასა შინა, მაშინ ნება გეძლევისთ შტრაფათ განუწესოთ მუშაობა, რომელ ოდენ ერთი ღონისძიება არს განდევნად მცონარებისა.

3. რადგან დავანი არიან მავნებელნი და მათ შეუდგებიან თვით სიღარიბეც და სხვანიცა ბოროტი შემთხვევულებანი, მაშა თანა გაძსთ კეთილის თქვენის რჩევითა მოსპოთ იგინი მცხოვრებთა შორის.

4. დაიცევით საკუთრება თვითოეულისა და აღლაგმეთ ლაღნი თვით მნებელობითსა მოქმედებასა შინა მათსა, რამეთუ ყოველი დარ-

---

* ხელნაწერში მუხლების სათვალავი აღნიშნულია ასო-ციფრებით.

1 ზნეობით.

წმუნებული უშიშროებისათვის სჯულიერად განკარგვად თვისისა სულთვნელისა და დარწმუნებული, რომელ ნაყოფნი შრომისა მისნი არა მიიღებიან ძლიერისა მიერ განაღვიძებს თავსსა თვისსა [2] იქმნას სასარგებლო სახლეულობისა და თვით მამულისაცა.

5. შედით მდგომარეობათა შინა მცხოვრებთასა და ვითართა საგანთა შინა ჰპოვოთ საჭიროება, ანუ ნაკლულევანება მომახსენეთ მე, ვითარ სახედ შესაძლებელ არს, რათა იგინი მოვიდნენ უმჯობესობასა შინა.

6. უკეთუ რომელსამე სოფელსა შინა გამოჩნდეს ადამიანთა შორის სნეულება ანუ პირუტყვის ჭირი, მაშინ დაუყოვნებლივ შეტყობითა დაახლოებულთა მიზეზთა მომახსენეთ მე, ხოლო მასვე შორის, ვიდრე იქმნების ჩემგან განკარგულებასა, მიიღებდეთ ზომასა, რათა ქვემდებარენი სნეულებისადმი იყვნენ განცალკევებულნი კარგთა მყოფთაგან, რათა შეერთებითა ერთი მეორისა თანა არა განხშირდეს სნეულება.

[v] 7. იქონიეთ ფიცხელი ზედამხედველობა, რათა რწმუნებულსა თქვენდა მაზრასა მას არ მიმოფარვიდენ თავთა კაცნი გადამხედნი სჯულისანი და ეგრეთვე ლტოლვილნი მოპარულის საქონელითა ანუ ნივთითა.

გააფრთხილეთ ყოველნი მცხოვრებნი, რათა მათ არა თუ მისცენ იმნაირთა კაცთა სადგური, არამედ ვალად ედებისთ შეიპყრან და წარმოადგინონ თქვენთან, ხოლო თქვენ ჩემთანა. წინააღმდეგსა შემთხვევასა შინა აღრეულებისათვის ამისა შევარდებიან დასჯასა იგინი, რომელნიც აღმოსჩნდებიან დამნაშავედ.

8. საჩინოთ შემთხვევათათვის, ე. ი. კაცისა კულისა და მსგავსისა ამისა. თანამდებ ხარო მომახსენოთ მე, ხოლო დამნაშავეთა მოიძიებდით და პყრობილად წარმოგზავნიდეთ ჩემთან.

9. მეზობლობის გამო რწმუნებულისა თქვენდა მაზრისა იმერეთის [3] სოფლებთანა გა[ა]ფრთხილეთ მცხოვრებნი თქვენდა რწმუნებულის მაზრისანი, რათა იქონიონ მეზობლურნი დამოკიდებულება და მშვიდობა მით, რათა უთანხმოებითა არა აღტყდეს უსიამოვნო საჩივარი.

**10.** დაუყონებლივ აღასრულებდეთ ყოველს სახელმწიფოსა და სამთავრო მსახურებასა მცხოვრებთადმი შესახთომელსა, გარნა მეო, რათამცა გამოწვევანი მზგავსნი იმისა მოთხოვნილებანი ყოველნი ზედ შეწირულნი ერთ ზომად, ესრეთ, რომელ ერთი მეორის უმეტესის შეწირითა ანუ თქვენგან წარგზავნილის კაცის ბოროტმოქმედებითა არა მოხდეს ძვირის ხმევა და იწროება მცხოვრებთა შორის. ამისათვის შეადგინეთ განსაკუთრებითი ანაწერი, რომელსა სოფელსა რაოდენი მუშა კაცნი, ანუ ხარ-ურემნი შეხუდების და ანაწერი იგი წარმომიდგინეთ მე.

[v] **11.** უკეთუ მოხდეს, რომელ გამოიაროს ჯარმა რუსისამ, მაშინ მიეცეს მას ყოველივე შესაძლისი შემწეობა. ხოლო ავათმყოფნი სალდათნი წარიყვანონ ერთის სტანციის მეორის სტანციამდინ ჭირის აუღებლად.

**12.** მომეცით მე ცნობა სახასო ადგილ-მამულთაგან, არა არიან ამასთანანი, რომელნი შეიძლებოდენ გაიცნენ იჯარით სასარგებლოდ მთავრის სახლისა.

**13.** უნდა გაქვნდესთ საკუთარი მზრუნველობა მთავრის სახლის შემოსავლის შემოტანისათვის და ამასთანავე იმეცადინოთ, რათა აღმოაჩინოთ იმისთანა ადგილ-მამულნი, რომელნი დაუდევნელებისა გამო არიან უქმად დარჩენილნი და რომელთაგანც შესაძლო არს მიღება სარგებლობისა.

**14.** უკეთუ ვისმე ეჭიროს დაფარვით სახასო ყმანი და მამულნი, გაქვნდესთ უდიდესი ვალი მოხსენებად ჩემდა განცხადებითა რომლის [4] დროითგან უკანონო უფლობა იგი დაწყებულ არს; ხომ არ მომხდარა იგი ბოროტმოქმედებათა გამო მოურავთა ანუ სხვათა მიზეზითა, რაოდენი მიუღიეს მფლობელს მასსა წლიური შემოსავალი.

**15.** მიიღებდეთ საჩივართა თქვენდა რწმუნებულის მაზრისა მცხოვრებთა თუ სიტყვიერთა და თუ წერილობითთა, განიხილვიდეთ მათდა. გარდასწყვეტდეთ საფუძველსა ზედა არსებულის სამთავროსა შინა მენგრელიის სჯულდებულებათასა საჭიროებასა შინა, ძველისაც ქვეყნის ჩვეულებისა.

**16.** ნება გეძლევის თქვენ შეხვიდეთ განხილვასა შინა საქმეთა და შეუდგენდეთ განაჩენსა იმ საქმეთა ზედა, რომელნი იქმნებიან საღირალნი არა უმეტეს ას ორმოცდა ათის მანეთისა, განაჩენი თქვენი მოიყვანოთ აღსრულებასა შინა, მაშინ ოდესაც ორნივე [v] მხარენი იქმნებიან კმაყოფილნი.

წინააღმდეგისა შემთხვევასა შინა უკეთუ ერთი მხარე დაშთების კმაუყოფელი, მაშინ თანამდეთ ხართ განაჩენი თქვენი წარმოადგინოთ თანდართვითა თქვენის ჰაზრისათა უზენაესს სამენგრელოს სასამართ-

ლოსა შინა განსახილველად და დასაბოლოვებლად. ეგრეთვე მათ მოჩივართა, რომელნიცა გაიბჭობიან თქვენთანა, არა ეკრძალებას უკეთუ პოებენ თავსა თვისსა მართლიადათ, მიიქცენ საჩივრითა უზენაესს სასამართლოსა შინა.

**17.** ვალი წოდებისა თქვენისა მოითხოვს მიცემად ყოველთადმი მართლმსაჯულებისა და მეტადრე დაიცვა უბრალოდ დაჩაგრულთა, თანასწორ ყოველთა მოჩივართა მიეცით პასუხი თვით დაუყონებლად, რათა განგრძობითა დროჲსათა საჩივარისათვის არ მოსცდნენ იგინი შინაურთა თვისთა საქმეთა.

[5] **18.** უკეთუ თავადნი, აზნაურნი, ანუ გლეხთაგანნი აღმოჩნდეს წინააღმდეგ თქვენის ბრძანებისა, მაშინ ესრეთი მათი სჯულის გარდახთომა მომახსენე მე ყოვლისა საქმისა გარემოების აღწერითა. ხოლო გლეხნი დაისჯებოდენ თქვენგან პოლიციურის წესდებულებისამებრ; და თუ იმითაც არ მოიქცნენ იგინი შენანებისადმი და დააშაონ რაჲმე, მაშინ იგინი წარმომიგზავნეთ მე მისაღებელად მათზედ ღირსისა ზომისა.

**19.** უკეთუ ვისმეს თქვენდა რწმუნებლის მაზრის კაცსა ჰქონდეს რაჲმე სადაო ვისთანმე გარეშე ჩვენისა სამთავროჲსა, საჩივარი იგი მიიღებდეს თქვენ მიერ, რომელიც წარმოიგზავნებოდეს ჩემთან თქვენის მოხსენებითა.

**20.** ძველნი საქმენი დააბოლავეთ შესაძლებელის [v] სისწრაფითა და საჩინოთა მათგანთათვის, რომელნი მოაქცევენ თვისსა ზედა ყურადღებასა, მომახსენეთ მე ვითარი დასასრული მიეცეს მათ თქვენგან.

**21.** შესვლისამებრ თქვენისა განმგეობასა შინა მაზრისა, რომელიც მდგომარეობს ამა და ამ საზღვარშიდ, თქვენ თანა გაძსთ მყისვე ჩაიბაროთ, ხოლო ამათ შორის რომელთამე სოფელთა გამოსაღებითა ზრუნვიდეთ საკმაოდ გამოზრდასა ძმათა მონასტრისათა და უმთავრესის მათისათვის ეგრეთვე.

**22.** რადგან გამოცდილებით ცნობილ არს, რომელ ბოქაულნი და მაგიერნი ჩუენნი კაცნი ვითარცა უწინარეს ამისა იყვნენ, არიან მავნებელნი მცხოვრებთა ესრეთ, რომელ იგინი ჩაუდგებოდენ რა მცხოვრებთა არა ზოგავდნენ უკანასკნელისა მიღებითა, ამისათვის ბოქაულნი იგი ამიერითგან ნუღარ იქმნებიან, [6] არამედ ნაცვლად მათსა იყვნენ თქვენ მიერ აღმორჩეულნი ოთხნი იასაულნი ანუ სხვადასხვა სოფლებთა შინა, ვითარცა დაინახოთ საჭიროდ კეთილსაიმედონი კაცნი, რომელნიც წარმოადგინეთ ჩემდა დასამტკიცებლად.

**23.** მოიყვანეთ ცნობაშიდ და მომახსენეთ მე დებულება, რაჲცა ძევს რწმუნებულს თქვენდამი მაზრაში მცხოვრებთა სამოურავო ვარ-დასახადი.

**24.** თქვენთვის და თქვენთა მხლებელთ იასაულთათვის დამინიშნავს საზრდო იმ საფუძველზედ, ვითარცა წინებურნი მოურავნი სარგებლობდნენ ადგილობრივ შემოსავალთაგან, მუნამდე ვიდრე ამ საგანზედ მოვახდენდე ჩემსა გაკარგულებასა.

**25.** გარდა ჩემისა ბრძანებისა აღასრულებდეთ ყოველსა მოთხოვნილებასა უზენაესს სასამართლოს სამენგრელოჲსასა და შესახებელთა მისდა საქმეთა წარუდგენდეთ პირისპირ.

[v] **26.** თანა გაცსთ ყოველს თვეში დაითვლიდეთ თქვენ თქვენს განსამგებლო სოფლებს და განიხილვიდეთ[1] მოქმედებასა მუნებურთა მოხელეთასა, რათა იყვნენ ფრთხილ, ბეჯით და მართალ რწმუნებულსა.

**27.** აწინდელი მოურავები მათ სოფლებთა შინა მყოფნი მიიქცნენ თავთავისთვის, გარნა მაშინ· როდესაც ჩაიბარებთ[2] თქვენ მათგან ყოველსავეს. და რაჲცა აღმოჩნდეს საჩივარი ანუ სხვანი რაჲმე გარემოებანი, მომახსენეთ მე.

**28.** რეზიდენცია თქვენი, ესე იგი ადგილი საყოფელი, იყოს, საცა თქვენ უმჯობესად **აღმოირჩიოთ.**

**29.** მონდობილსა თქვენდა მაზრასა უსაქმოდ და თვინიერ ჩემის ნებართვისა ნუ განშორდებით.

**30.** დასასრულ დარწმუნებული ვარ, რომელ თქვენ ხელთმძღვანელი ამა დამოძღვრებითა განამართლებთ ჩემსა რწმუნებასა და მით დაიმსახურებთ ორნაირსა პატივდებასა[3]. ერთსა დაფუძნებულსა საზოგადოსა ჰაზრსა ზედა, ხოლო მეორესა[4] ღირსებისა თქვენდა მოცემულისა წოდებისასა.

წინააღმდეგს შემთხვევასა შინა არა უცნობელ არს თქვენდა, რომელ აღუსრულებლობა აქა აღწერილთა კანონთა მიგამთხვევს თქვენ იმ პასუხისგებასა, რომელსა ბრძანებენ სჯულნი.

1841 წელსა 26 იანვარს.

---

[1] განიხვლვიდეთ. [2] ჩაიბაროთ. [3] — პატივდებასა. [4] + პატივდებასა.

# 795. განკარგულება დავით დადიანისა სამღვდელოთა თავისუფლების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1841 წ. 26 იანვარი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. რაფიელ ერისთავის პირადი საარქივო ფონდი. № 310. პირი. დიდი ფორმატის ორადგაკეცილი ქაღალდი. 35×22 სმ. ტექსტს უჭირავს მე-9—10 ფურცელი. დაწერილია შავი მელნით ფურცლის ორივე გვერდზე, ოღონდ პირველ სვეტში, მეორე (მარჯვენა) სვეტი ცარიელია.

**მინგრელიის უზენაესს სასამართლოს**

ღირს პატივისცემა სახლისადმი უფლისა და მის გამო დაუფასებელი კეთილობა ვალად სდებენ ჩემზედა, რათამცა სამღვდელონი, ვითარცა მსახურნი საკურთხეველისანი, იყვნ ჩემს სამფლობელოსა შინა თავისუფალნი მონებისაგან მებატონეთასა. ამისათვის ყოველნი სამღვდელონი მიიღებენ დღეითგან თავისუფლებათა შემდგომთა საფუძველთა ზედა.

**1.*** სამღვდელოთა მათ ეძლევისთ თავისუფლება ერთად მათითა შვილებითა, რომელნიცა იშოებიან ამა ათას რვაას ორმოც და ერთის წლითგან.

**2.** შვილნი მღვდელთანი ამა წლადმდე შობილნი სურვილისამებრ მათისა შესვლად სამღვდელოდ ვისდაცა უნდა კუთვნილ იყოს, პირადის თავის დახსნისათვის მოვალე იქმნებიან მისცენ თავიანთ მებატონეს ოცდახუთი მანეთი, მაშინ ოდენ უნდა მიეცესთ მათ თავისუფლება თავიანთ მებატონეთაგან და აქვსთ ნება შევიდნენ სამღვდელო წოდებაში.

**[3]** ხოლო იმ შვილთა სამღვდელოთაგანია, რომელნი შობილ არიან **ჩყმა**-ს წლამდე და არა მდგომარეობენ სამღვდელო [v] ხარისხოვნებასა შინა, დაშთებიან სრულსა მფლობელობასა შინა მებატონეთასა.

**4.** ადგილ-მამულნი და ყმანი, რომელნი მოპოებულ არიან განთავისუფლებულთა სამღვდელოთა მიერ, უნდა დაშთეს მათს კუთვნილობასა შინა. ხოლო სხვანი ადგილ-მამულნი და ყმანი, რომელნი მისცემიან მათ ანუ მებატონეთა მიერ, ანუ სხვითა სახითა შესულან მათს სარგებლობასა შინა მებატონეთა განკარგულებისამებრ ანუ წოდებასა ქვეშე მემკვიდრეობისათა უპყრიათ, შეირაცხებიან საკუთვნელად მებატონეთასა და რომელთა სამღვდელოთა ექმნებათ მათზედ მდგომარეობა, ანუ სარგებლობა, თანამდებ არიან აძლიონ მებატონეთა ყოვლის გამოსავლისაგან ათისთავი.

---

* ხელნაწერში მუხლების სათვალავი აღნიშნულია ასო-ციფრებით.

5. შენობანი სახლ-კართა, ვითარი აქვსთ სამღვდელოთა მათ, ეგრეთვე ეკუთვნიან მათ შეუხებლად ვისამე პირისა.

6. ესრეთისა საფუძველსა ზედა მიეცათ რა თავისუფლება სამღვდელოთა, სხვებრ ვერა განვლიან ამით ჩვენის მთავრობრივის დამოკიდებულებისაგან. [10] იგინი თანამდებ არიან ეგნენ ჩვენსა მფლობელობასა შინა სწორეთ იმ სახეთ, ვითარცა სხვანი ქვეშევრდომნი ჩვენნი თავისუფლისა მდგომარეობისანი.

განკარგულებისა ამის ჩვენისათვის ვაცნობებ რა მინგრელიის უზენაესს სასამართლოსა, წინა დაუდებ, რათა ცხად ჰყოს ესე ყოველთა მათდამი, ვისდამიცა ჯერ არს. ხოლო საჭიროა შემთხვევათა შინა იხელთმძღვანელოს ამით.

მმართველი მემკვიდრე მენგრელიისა დავით დადიანი **26**-სა იანვრის **ჩყმა**-სა წელსა.

## 796. ბრძანება დავით დადიანისა ზუგდიდის მაზრის მდივანბეგისადმი

**[1841 წ.]**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. რაფიელ ერისთავის პირადი საარქივო ფონდი. № 310. პირი. რვეულის ფორმატის ქაღალდი. 22×17,5 სმ. ტექსტს უჭირავს მე-11—12 ფურცლები. დაწერილია შავი მელნით. მარცხენა სვეტში, მარჯვენა — ცარიელია. თარიღი არ უზის საბუთი დაწერილი უნდა იყოს 1841 წლის თებერვალში.

**ზუგდიდის მაზრის მდივანბეგს!**

მოუწერ თქვენს ბრწყინვალებას მორთმეულს არზასა ამას ზედა განცხადებულთა საქმეთათვის მთხოვნელისათა, შეხვიდეთ დაწვრილებითს განხილვასა და გამოძიებასა შინა გარემოებისასა და ვითარ თქვენდა შესახებელ ჰპოვოთ, მოიყვანეთ აღსრულებაშიდ კანონიერის გარდაწყვეტილებითა, გინა ჰაზრითა.

ხოლო ვითარსა საგანსა ზედა იქმნას თქვენ მიერ მოყვანილ აღსრულებაშიდ წარწერითა არძასა ამას ზედა და რიცხვით და ნომრით, წარმოადგინეთ ჩემთან, რომლისა [v] ესევითარი სახე თქვენს კანცელარიაშიდაც უნდა იმექონოთ თითოეულთა საქმეთათვის.

და უკეთუ საქმემ შეგახვედროს სასამართლოსადმი მაზრის მდივანთა ანუ ნაცვალთა მოხსენება ანუ კითხვა შესავსებელად საქმისა, მასვე არძასა ზედა დაიწერებოდეს და გაიგზავნებოდეს და იგინიცა მასზედავე მოაწერდენ თითოეული შეხვედრილის რიცხვით და თვისის საქმის ნომრითა და მიაქცევდენ თქვენდამი.

და განგრძობასა შინა ზედ მოწერათასა უკეთუ საკმაოდ[1] არ იქმნეს გვერდი ა რ ძ ი ს ა, მიეკერებოდეს სხვა ქაღალდი და მას ზედა დაიწერებოდეს საქმე და ესრეთ გარდაწყვეტილება და ანუ [illegible] ცნობილი მიზეზი დამაყენებელი მოარძის თხოვნისა წარმოიდგინებოდეს ჩემთან დაბოლოებული, ანუ მოხსენება გინა ცნობა.

მთავარი მენგრელიისა დ ა ვ ი თ დ ა დ ი ა ნ ი.

## 797. ბრძანება დავით დადიანისა ადამიანის დაგირავების აკრძალვის შესახებ

ხელნაწერთა ინსტიტუტი. რ. ერისთავის პირადი ფონდი. № 310. პირ. ფურ. 23.

ზოგად მაზრის მდივანბეგთა!

ფ ი რ ა ნ ა ა ს ა თ ი ა ნ მ ა გამოაცხადა თვისის ა რ ძ ა შ ი დ დაგირავება თვისის შვილისა, რომელი უცხო არს ყოველთა გამგონეთაგან. თქვენს მაზრაშიდ აღეკრძალვის ყოველთა ესევითარი, რომელ არავინ მამა შვილსა, გინა ძმა ძმასა და ნათესავთ ნათესავსა ანუ გლეხსა, ვითარცა არა შვილსა და ნათესავსა, არცაღა სხვა კაცი სულსა ვერ დააგირავებენ.

მთავარი დ ა ვ ი თ დ ა დ ი ა ნ ი.

16 ნოემბერს 1842 წ.

სუჯუნის № 2303. ჯვარის[2] № 2304.

ზუბის № 2305. მურის № 2306.

ზუგდ. № 2307. ლაილაშის № 2308.

მარტვირის № 2309. საჭილაოს № 2310.

---

1 საკმაოდ] არასაკმაოდ.

2 ჯვარის ]სუჯუნის.

## 798. ვედრება გეხუ ჭაჯაიასი გამოსაღების თაობაზე დავით დადიანის ოქმით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 13971. დედანი. ორად გაკეცილი ფურცელი. 22×18,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.

მისს მაღალ უგანათლებულესობას მთავარს მინგრილიის მემკვიდრეს სხვათა და სხვათა ორდენთა და კავალეროსანს დავით ლეონის ძეს დადიანს.

სოფელსა თამაკონს მცხოვრების
ყმის გეხუ ჭაჯაიასაგან.

### უქვეშევრდომილესი ვედრება

აწ უკვე მოვილტვი ვედრებად თქვენის ჯელმწიფებისადმი, რომელმე მქონდა იმედი მინდობილებასა ზედა თქვენისაა, აწ თუმცა მიუბრუნა მუნვე თავადს ფაღავას ჩემი თავი თქვენმა უგანათლებულესობამ, თანამდებ ვარ მსახურებად დებულზედ, რომელიც ჩემს წინაპარს უძლევია მის ფაღავასთვის ბეგარა თუ მსახურებაჲ.

მაგრამ მოვიდნენ ბრძანებისა თქვენისა მებრ გამოგზავნილნი ბოქაულები ხსენებული ბაკიჩია გეგელია და მაგიერი ფაღავასი ბერიკი ზაქარაია, მომიხდენ, დამიჭირეს და დამატუსაღეს ერთ დღე და ღამე. და მე თავი ავიშვი ტუსაღეობითგან სამის კაცის თავსმდებლით. და გარდამახდევინეს საბოქავლოდ სამი მანეთი, მწუხარებით სესხად აღებული. და ამასთანავე მომთხოვეს მათ ფაღავასათვის წლითი-წლად მოუკლებელი შინაყმაჲ, რომელიცა არ მემართა; და დებული იყო ბეგარა ჩემზედ წინაპარიდან რვა კოკა ღვინო და სხვა არა რაიმე მემართა ფაღავასათვის; მაგრამ მე მსახურებ თქვენს მოხელეებს ყოლისფრით მუშაობითა.

ამაზედ: ა. ვითხოვ დამიფაროთ უდებისაგან. თუმცაღა ვემსახურები მას ფაღავას შინაყმათ, მაშინ მივეცემი უკიდურესსა სიღარიბესა და დამსებასა, ამისთვის რომელ მე ვარ სიღარიბისა და მარტოხელობისაგან შეიწრებული და მყავს სარჩენნი ხუთი სული, გარნა ერთის მეტი მცირე წლოვანნი.

ბ. ვსთხოვ ფრიად თქვენს ხელმწიფებას, ნუ მოუშვებთ ჩემზედ უდანაშაუროდ ამგვარი ამაოხრებელი ბოქაულებს; ყოვლად მოწყალეო, გარნა ა მამა თხა არაფერი მყავს საქონელთაგანი, მყავდა მობარებული ორი ცხვარი, სხვა არაფერი გამაჩნდა და ისიც უსამართლობით წამართვეს.

გ. უმეტესად გევედრები, ნუ დამამსებინებთ ცეცხს, მე არავინ მყავს მოწყალე და მხედველი, გარნა თქვენს მეტი.

**ჩყმდ** წელსა, აპრილის **იბ.**

ბოლოში

ეროვნული

გეცხადების მოარძეს ამის, რომ ემსახურო მებატონესა შენსა ისე, როგორც სხვა თავადთა თვისნი ყმანი მსახურებენ და დამორჩილებულ ეგრეთ, ვითარცა რიგია ბატონყმურისა სამსახურისა და დებულს ბეგარას ვერც ის დაგიმატებს.

მემკვიდრე მენგრელიისა ხელრთვა: დ ა ვ ი თ  დ ა დ ი ა ნ ი.
კე-ს აპრილს, **ჩყმდ**-ს წელს. ზ უ გ დ ი დ ს.

## 799. ბრძანება დავით დადიანისა მოპასუხის სასამართლოში დაბარების შესახებ

ხელნაწერთა ინსტიტუტი. რ. ერისთავის ფონდი. № 310. პირი. ფურ. 33.

**მენგრელიის უზენაეს სასამართლოს!**

მოდაურთა პირთაღმი პასუხისმგებელი დაიბარებოდეს ორის მოწერილობითა, ხოლო მესამედ მაინც თუმცა არ მოვიდა, მაშინ მოდაური პირი, რასაც სჩივის უნდა 'გარდახთეს უსიტყველად მოპასუხესა, უკეთუ არ აღმოჩნდება ჯეროვანი მიზეზი.

მემკვიდრე მმართველი მენგრელიისა დ ა ვ ი თ  დ ა დ ი ა ნ ი
4 ივნისს 1844 წელსა.

## 800. ბრძანება დავით დადიანისა ქვრივ-ობოლთათვის ვალის გადახდევინების შესახებ

ხელნაწერთა ინსტიტუტი. რ. ერისთავის ფონდი. № 310. პირი. ფურ. 35-36.

**მაზრის მდივანბეგებთ!**

ვინაჲთგან კანონნი მეფის ვ ა ხ თ ა ნ გ ი ს ა მეშვიდე განყოფილება 134 მუხლში ბრძანებს ესრედ: „თუ ქვრივი იყოს და ობლები წვრილი ყვანდეს, და მევალემ თხოვნა დაუწყოს, სანამდი ობლები არ გაიზრდებიან, ვალი არ ეთხოვებისა. და თუ ობოლს და ქვრივს აქვს რაჲმე და ამ მოვალეს სხვა მოვალე ჰყავდეს და ალონებდეს, რა გინდ რა უნდა მიაცემინოს, რომ ერთობ სარგებლით საქმე არ გაუჭირდეს"*.

მუხ. 279** ამისათვისვე მესამე განყოფილებისა: „ნუ გამოიტანთ

* კანონის ტექსტი დამოწმებულია არაზუსტად. შდრ. ქართული სამართლის ძეგლები" I, 1963, გვ. 515.

** ხელნაწერშია „179".

ქვრივის დედაკაცისაგან სახლით გირაოთ ტანისამოსს ანუ ქვეშაგებს [v] სამართლად დააცალეთ და შეიბრალეთ შებრალებით. ნუ იქთ, როგორც ეგვიპტეს იქმოდენ. ვინც ქმნათ სამართალს ქვეშ დარჩენილ*

ამისთვის მაზრის მდივანბეგთ დაუდგენ ვალად, რათა [...] დაიცვან ესრეთსა სჯულსა ყოველსა შინა ძალასა თვისსა, ხშირად შემოდიან ხოლმე ესევითარნი ქვრივნი მაველრებლად შევიწროებაზედ და რა რომ ესრეთი კანონი ხელთსამძღვანელია, მაშა სიძნელე აღარ უნდა შეგვხთებოდესთ ამის გარჩევაში.

ხოლო წლოვანებისათვის მეშვიდე[1] განყოფილების 133 მუხლში ცხადად ჰსჩანს, რომ [36] 15-ის წელისას ბრძანებს ანუ 14-ის მეთუთხმეტი რომ უდგესო.

მთავარი მენგრელიისა დავით დადიანი.

17 ივნისს 1845 წ.

საქილაოს № 2710. ჯვარის № 2711.

ლაილაშის № 2712. მარტვირის № 2713.

მურის № 2714. ზუბის № 2715.

ზუგდიდის № 2716. სუჯუნის № 2717.

## 801. ბრძანება დავით დადიანისა მცხოვრებთა სამთავროს გარეთ წასვლის წესის შესახებ

ხელნაწერთა ინსტიტუტი. რ. ერისთავის ფონდი, № 310. პირი. ფურ. 37.

**ზოგად მაზრის მდივანბეგთა!**

უწინარეს ამისა იყო ჩემ მიერ მოწერილ ზოგად მაზრის მდივანბეგთადმი, რათა საჭიროებისამებრ მცხოვრებთასა წარსვლად გარეშე ჩემის სამთავროჲსა მიეცათ მათ ბილეთები თავისუფლის მსვლელობისათვის ერთის თვის ვადით. აწ ვხედავ ხშირთა მაგალითთა, რომელ არა თუ ოდენ მაზრის მდივანბეგთა მიუციათ ნება ძლევად ბილეთთა თავისა თვისისათვის თითო წლის ვადით, არამედ კერძო პირებიცა იძლევებიან ბილეთებსა თვინიერ მაზრის ნაჩალნიკის ცნობისა და ჩემის ნებართვისა.

ამისთვის ეძლევისთ ბრძანება ესე ყოველთა მაზრის მდივანბეგთა, მით რომელ გამოუცხადონ ყოველთა მცხოვრებთა, რათამცა ვისაც სურდეს გარეშე ჩემის სამთავროჲსა [v] წასვლად მოსაგებად

---

* ტექსტი დამოწმებულია არაზუსტად. შდრ. „სამართალი სომხური“ მუხ. 269 (ქართული სამართლის ძეგლები, I, 1963, გვ. 324).

[1] მეშვიდე] მესამე.

ანუ სხვათა საჭიროებათამებრ თვისთა, უკეთუ განშორებით მყოფობა მათი ერთს თვეს აღემატება, უნდა მიიღონ ბილეთი ჩემგან, ანუ ჩემ მიერ დანიშნულთ ვექილთაგან ჩემგან ხელმოწერილსა, [illegible] ვითარსა სხვა წერილობითსა სახესა არ ექმნების ადგილი ბილეთისა.

და ვისაცა ჩემი ბილეთი არ ექმნება, მას მოექცევიან ვითარცა დაკარგულსა კაცსა და გამოგზავნიან ჩემთან ყარაულით.

ხოლო მაზრის მდივანბეგთა მიიღეთ ზომა მკაცრი, რომელ ერთის თვის ბორჯის მეტით ბილეთი არავის მიეცენ.

მთავარი მენგრელიისა დავით დადიანი.

10 მარტს 1846 წ.

ჯვარის № 501. ზუბის № 502.

ზუგდიდის № 503. მარტვილის № 504.

მურის № 505. ლაილაშის № 506.

სუჯუნის № 507. საჭილაოს № 508.

## 802. ბრძანება დავით დადიანისა შვილის გასყიდვის აკრძალვის შესახებ

ხელნაწერთა ინსტიტუტი. რ. ერისთავის ფონდი. № 310. პირი. ფურ. 41.

**ზოგად მაზრის მდივანბეგთა!**

ერთის კერძოობითის შემთხვევისაგან ცნობილ არს მომხდარი 1835-ს წელშიდ მამისაგან გასყიდვა შვილისა, რასა ზედა მებატონეს განუცხადებია თანხმობა და ხელი მოუწერია.

განსალტოლველად უჩვეულოჲსა ამის უწესოებისა, რომ იქონიოთ თვისს რწმუნებულს მაზრაშიდ მხედველობა სჯულის და ბუნების წინააღმდეგი საქმე არა რომელსამე წინადადებასა ქვეშე არ იქმნას მიშვებულ შიშსა ქვეშე, წინააღმდეგს შემთხვევაში პირდაპირს თქვენსა პასუხისგებისასა.

ხოლო სხვათაშორის, უკეთუ მსგავსი ამისი მომხდარ იყოს 1842-ის წლითგან, ოდეს იგი იყო სენი და სიყმილი, შეკრიბეთ ცნობა განცხადებითა სახელისა, გვარისა გამსყიდველის და მსყიდველისა და გასყიდულისა და სად იმყოფებიან[1] დღეს.

---

[1] + და სად იმყოფებიან.

მთავარი მენგრელიისა დავით დადიანი.
3 ივნისს 1846 წ.

ზუგდიდის № 2055. ლაილაშის № 2056.
მურის № 2057. მარტვილის № 2058.
სუჯუნის № 2059. ზუბის № 2060.
საშვილაოს № 2061. ჯვარის № 2062.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 803. განწესება დავით დადიანისა სესხის სარგებელის შემცირების თაობაზე

ხელნაწერთა ინსტიტუტი. რ. ერისთავის ფონდი. № 310. პირი. ფურ. 42—43.

**მენგრელიის უზენაესს სასამართლოს და მაზრის ნაჩალნიკს**

შემოსრულთა განსახილველად ჩემდა საქმეთა ვხედავ, რომელ ჩემი სამფლობელო ლეჩხუმშიდ დიდ არსებობს ჩუეულება — სესხება ფულთა ვალდებულებასა ქვეშე აღნადგინებისა ძლევად მავასხებელთადმი ფრიად აღმატებულის ზომით, ესე იგი თითოეულს ვეცხლის ფულს მანეთზედ თითო გბრა პური, ღომი, სიმინდი თუ ღვინო.

შეეამსუბუქე რა ზომა ამგვარის სარგებლის ძლევისა ძალისათა 126, 127, 128, 129 და 130 მუხლის მეფე ვახთანგის კანონისა, რა ვპოებ რა სამძიმოდ და შემავიწროებლად მცხოვრებთა მეტად მაღალთა ამათ სარგებელთა, რომელნიცა კნინლა შეე[ν]თანასწორებიან თავსა[1] თვით ერთს წელსა, მიუცილებლად შევრაცხე შემცირება მაღლის აღნადგინებისა და დადგენა ჩემს სამფლობელოსა შინა ლეჩხუმს ჯერჯერობით შემდგომთა წესთა.

1.* ყოველი მოსურნე სესხებად ფულისა, ხორაგის სარგებლითა მისცემდეს მავახსებელსა (sic) თითოეულს მანეთზედ ნახევარს გოროს, ესე იგი ერთს ქილა პურს, ღომს, სიმინდს ანუ ერთს კოკას ღვინოს.

2. უმაღლეს ამა განწესებულის სარგებლისა არავინ გაბედოს სესხება და გასესხება ფულისა და თავით თვისით იგულისხმების, რომელ არა რომელსამე მოსამართლესა არა აქვს უფლება მიღებად დასამოწმებელად თამასუქთა[2] რომელთა შინა უმაღლეს [43] ამა დაწესებულისა სარგებელი განცხადებულ იქნების.

3. უკეთუ ვინმე გარდახთება დაწესებასა ამასა და საიდუმლოდ მოახდენენ სესხებასა და გასესხებასა უმეტეს აწინდელსა

---

1 თავსა] თავიანთსა.

2 თემესუქთა.

* ხელნაწერში მუხლების სათვალავი აღნიშნულია ასო-ციფრებით.

დაწესებულის სარგებლისა ვალდებულითა, მაშინ გამსესხებელს დაეკარგვის მთავნიცა და სარგებელიც და მავასხებელს გარდახდის ვალი ერთიორად სახასო სასარგებლოდ.

ხოლო უკეთუ მასესხებელი და მოვალე საიდუმლოდვე გაასწორებენ თვისს ანგარიშსა და შემდგომშიდ გამოცხადდება, მაშინ თვითოეულსა მათგანსა გარდახთეს სახასოდ მიუზღვევლად ვალისა ჩვენებულისა ას-ასი მანეთი ვერცხლისა.

მთავარი მენგრელიისა დავით დადიანი.

4 ივნისს 1846 წელსა.

მენგრ. უზენ. სასამარ. № 2075.
მაზრის მდივანბეგთ: ლაილაშის № 2073.

მურის № 2074.

## 804. განკარგულება დავით დადიანისა სამეგრელოს უმაღლესი სასამართლოს სამართალწარმოების თაობაზე

**1847 წლის 5 თებერვალი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. რ. ერისთავის ფონდი. № 310. პირი. დიდი ფორმატის ორადგაკეცილი ქაღალდი. 35×22 სმ. ტექსტს უჭირავს 44—45 ფურცლები, დაწერილია შავი მელნით ფურცლის ორივე გვერდზე, პირველ სვეტში ქართული ტექსტია, ხოლო მეორეში — მისი თარგმანი.

### მენგრელიის უზენაესის სასამართლოსა

ნაცვლად გარდაცვალებულის თავადის ნიკოლოზ დადიანოვისა ვნიშნავ რა შტაბს-კაპიტანს თავადს როსტომ ჩიქოანს, მოუწერ სასამართლოსა, რათა მიიღოს მიუცილებელ აღსასრულებელად შემდგომი.

1.* სასამართლოსა აქვნდეს ნიადაგი თანამეინახეობა სასახლეთა ჩემთა ზუგდიდს და გორდს, ესე იგი მუნ, სადაც მე მექმნეს მყოფობა.

2. საჩივართა და პასუხთა მოდაურთა მოისმენდეს ერთი ანუ ორი მდივანბეგი, გარნა განჩინებანი შეიდგინებოდეს არა უმცირეს ვითარ სამთა წევრთა მიერ.

3. ოდეს საჭიროდ იქმნეს შერაცხილ სასამართლოსა მიერ შეკრება ცნობათა, გამოძიება ანუ მოთხოვნა წერილობითთა საბუთთა და პასუხთა ადგილობრივ, სადაცა მდებარებს სადაო მამული, მაშინ სა-

* ხელნაწერში მუხლების სათვალავი აღნიშნულია ასო-ციფრებით.

სამართლოს მიერ წარიგზავნებოდეს ერთი ანუ მიხედვისამებრ საქმის სიმძიმისა ორი მდივანბეგი და იგინი ვალდებულ იქმნებიან წარმოდგენად სასამართლოსადმი შეკრებილთა[v] მათ მიერ ცნობათა აღებისა დობით განსახილველად და გარდასაწყვეტელად საქმეთა.

4. თითოეულთა საქმეთაგან შეიდგინებოდეს გამოწერილობაები და გამოეცხადებოდეს მოდაურთა ხელის მოწერითა მათითა, რათა შემდგომ არა ჭონდესთ მიზეზი განცახებად ახალთა საგანთა, რომელნიცა საქმეში არ იქნებიან შესრულ დასაწყისსავე.

5. განჩინებაები შეიდგინებოდეს საფუძველსა ზედა ადგილობრივთა ჩვეულებათა და ძველითგანვე დადგენილთა კანონებითა მ ე ფ ე ვახტანგისათა.

6. თითოეული განჩინება სასამართლოჲსა ჩაიწერებოდეს ყოველწლივ განსაკუთრებითსა ჩემის ღერძით დაბეჭდილსა რვეულსა შინა და დამტკიცდებოდეს იგი ხელის მოწერითა იმა მდივანბეგთათა, რომელთა მიერ დადებულ იქნას განჩინებაჲ. ხოლო ნანდვილი განჩინება გამოწერილობაებითურთ მიეკერებოდეს საქმეთა, ეგრეთვე ხელმოწერილი მდივანბეგთაგან გამოწერილობითა და იქმნეს დაცულ თანასწორ ვითარცა დაბეჭდილი რვეულიც.

7. შედგენილი და ხელმოწერილი განჩინება გამოეცხადებოდეს მოდაურთა თვით სასამართლოში. და უკეთუ მოდაურნი აღმოაჩენენ მას ზედა ყაბულობასა, მაშინ [45] მოდაურთა მოაწერონ ხელი ყაბულობისა და სასამართლო იქმოდეს თვისსა განკარგულებასა წესისაებრ მოყვანისათვის მისისა აღსრულებასა შინა.

გარნა უკეთუ რომელმანვე მხარემან განაცხადოს უყაბულობა, მაშინ მოეწერებოდეს განჩინებაზედ უყაბულობის ხელი და მოეთხოვებოდეს უყაბულს მხარესა. რათა განგრძობასა შინა ერთის თვისასა შემოიტანონ თვით სასამართლოში კანონიერი მიზეზი, თუ რომლითა საბუთითა არა არიან კმაყოფილნი იმა განჩინებითა; და ესევითარნი მიზეზნი ერთად განჩინებითურთ და სრულიად საქმის წარმოებითა წარმოიდგინებოდეს ჩემდამო განსახილველად.

და უკეთუ ესევითარი განჩინება ჩემ მიერ აღსრულებულ იქმნეს ჯეროვნად, მაშინ დაბეჭდილს რვეულშიდაც დაინიშნებოდეს განცხადებითა ჩემის მიწერილობის რიცხვისა და ნომრისათა, რომელ დამტიცებულ არს იგი ჩემ მიერ.

ხოლო უკეთუ მიეცეს განჩინებასა ჩემ მიერ ცვლილება, მაშინცა მსგავსადვე დაინიშნებოდეს რვეულში და მოიყვანებოდეს აღსრულებაში ჩემი გარდაწყვეტილება.

8. სასამართლოსა ვალად ედების, რათა ექმნებოდეს დაცულ წესიერად ყოველნი შემოსრულნი მას შინა ქალალდნი და გასრულის ქა-

ღალდების შაები და იყვნენ ყველანი ერთმანეთზედ [illegible]ნი წესისამებრ და მასთანვე იქონიოს ორნი რეეულნი, რომ[illegible]-უკლებელად ჩაიწერებოდეს შესავალ-გასავლის ქაღალ[illegible] თოეულის [V] წლის რვეულები დაიცვას უვნებლად.

**9.** ვინც აღმიჩენს უყაბულობასა განჩინებასა ზედა სასამართლოსასა, მას გარდაახთევინებდეს სასამართლო ჯარიმად ათას მანეთსა და ამა ფულთა მიაქცევდეს სასამართლო სასყიდლად სამწერლოთა საჭიროებათა, გარნა თუ ჩემ მიერ მხარე იგი იქმნების განმართლებულ, მაშინ უნდა დაუბრუნდეს მას ჯარიმაცა იგი.

და უკანასკნელ **10.** აღსრულებასა ყოველთა ზემო აღწერილთასა დავსდებ პასუხისგებასა ზედა წევრთა სასამართლოჲსათა და მეტადრე მივანდობ განსაკუთრებითსა მხედველობასა წინა მოინახისა მისისასა. ხოლო ამა ჩემისა განკარგულებისათვის მოუწერ სასამართლოსა, რათა მისცეს ცნობა ყოველთა მაზრის მდივანბეგთა ჩემის სამფლობელოჲსათა გამოსაცხადებლად მცხოვრებთადმი.

მთავარი მენგრელიისა დავით დადიანი.

**ჩყმზ**-ს წელსა, **ე**-ს თებერვალს.

## 805. ვედრება დიმიტრი მასხულიასი უმების თაობაზე დავით დადიანის ოქმით

**1847 წ. 25 მაისი**

ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერი № 1571. დედანი. ქაღალდი. 21,5×17,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

მის უგანათლებულესობას მთავარს მენღრელი[ი]ს ღენერალ-მაიორს და კავალერს დავით ლეონისძეს დადიანს.

### უქვეშერდომი ვედრება

საჭილაოს მაზრის მცხოვრების აზნაური ობოლი დიმიტრი მასხულიასაგან.

გთხოვთ თქვენს უგანათლებულესობას ისმინოდ ვედრება ჩვენი და განიხილოთ კანონისამებრ. და ესე იგი ჩემი ყმები ხარს არ ეკიდებიან და არცა სხვებ სამსახური მაკლიან ძლიერ სიობლისა გამო.

ამასთანავე გთხოვთ, მოწყალევო ხელმწიფევო, მოუბრძანოდ მაზრის ნაჩანიკს ალექსი დადიანოვს ზაპისქით და მიბოძოთ ზაპისქა ნაჩანიკთან და როგორ[იც] რიგი და რჯული იყოს, მისდა გვარად მამსახუროდ.

ამას გარდა, როცა თქუენი ბრძანება მოაწევს, მაშინ თქვენი წყა-ლობა ათი მოსახლე გლეხი მყავს და ერთობით წაიყვანებენ, მაშინ შინაყმა არ მოიცდის ჩემს სახლში, სახელმწიფო სამუშაოში [illegible] და გუთხოვთ რომ, როგორც რიგია, ისრე სამსახური არ დამაკლდეს და მოხედოთ ჩემს სიობლეს. მოწყალევო ხელმწიფევო.

წელს **ჩყმზ**-სა, მაისს **კგ**-ს.

სუჯუნის მაზრის მდივანბეგს თავადს ალექსი დადიანოვს!

განიხილეთ თხოვნა ესე მასხულიასი და შესაბამს თქვენს განკარგულებას ნუ დაუტოვებთ მორჩილებისათვის ყმებთა მებატონისადმი გლეხურს სამსახურსა ქვეშე.

მთავარი მენგრელიისა ხელრთვა: დავით დადიანი.

**კე**-ს მაისს, **ჩყმზ**-ს წელს. ზუგდიდს.

## 806. განწესება დავით დადიანისა დაკარგული ნივთისა და პირუტყვის თაობაზე

**1847 წლის 30 ივნისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. რაფიელ ერისთავის პირადი ფონდი. № 310. პირი. დიდი ფორმატის ორადგაკეცილი ქაღალდი. 35×22. ტექსტს უჭირავს 132—133 ფურცლები. დაწერილია შავი მელნით ფურცლის ორივე გვერდზე, რომლის პირველ სვეტში ჩაწერილია ქართული ტექსტი, ხოლო მეორე — ცარიელია.

**ზოგად მაზრის მდივანბეგთა!**

მოაღწია ჩემს ცნობადმდე, რომელ მცხოვრებნი ჩემის სამთავროჲსანი, ზოგთა რომელთამე როდესაც შეხვდებათ პოვნა დაკარგულთა ნივთთა, ანუ პირუტყვთა გაქცეულთა თუ ქურდისაგან დაგდებულთა, ესევითართა არ წარმოადგენენ მაზრის მდივანბეგთან და არც ცხად ჰყოფენ, არამედ თვით დაფარვით აკავებენ, ზოგს დაკლენ და ზოგს ხედნიან თუ სხვებრ გაიხმარებენ, რასა ზედა ამგვართ პოვნისათვის წინათვე აქვსთ დაწესება მაზრის მდივანბეგთა.

**1.*** ცხენი, ხარი, ზროხა თუ სხვა რაც იპოვონ და პატრონი არა მსჩანდეს, მაშინვე მაზრის მდივანბეგს წარუდგინონ, წინააღმდეგს შემთხვევაშიდ თუ დაფარეს და დროზედ არ წარმოუდგინეს მაზრის მდივანბეგს, უნდა ნაქურდლად გარდახთეს მათ, [V] რომელთაცა დაფარონ.

**2.** მაზრის მდივანბეგთ როგორც წარუდგენენ ესევითართა, მაშინ-

* ხელნაწერში მუხლების სათვალი აღნიშნულია ასო-ციფრებით.

ვე უნდა გამოცხადება ჰყოს ყოველგან მისდა რწმუნებულს მაზრაში და სხვა მაზრის მდივანბეგსაც აცნობოს და ვინიცობაა თუ ერთს თვემდის შემდგომ განცხადებისა არ აღმოუჩნდეს პატრონი, მაშინ ნივთების აღწერით წარმოადგინოს ჩემთან შემდგომის ჩემგან განკარგულებისათვის.

3. თუ ხელდახელ ჭურდს დააგდებინებენ ცხენს გინა პირუტყვს მოდევრობაში, მაშინვე წარმოუდგინოს მაზრის მდივანბეგს. როდესაც პატრონი მოიძებნება, პატრონმა კი უნდა მისცეს რაოდენიმე სასყიდელი დამდგებინებელს, ამიტომ რომ ყოველივე მდევარი დიდად თუ მომცროდ ფათერაკშიდ არს.

ამა საფუძველზედ წარმოუწერ ყოველთა მაზრის მდივანბეგთა გამოუცხადოს ესე საზოგადოდ და ქონიონ მკაცრი [133] ყურადღება.

მთავარი მენგრელიისა დავით დადიანი.

30 ივნისს 1847 წელსა.

სუჯუნის № 2312. ზუბის № 2313.
საჭილაოს № 2314. ზუგდ. № 2315.
ლაილაშის № 2316. მურის № 2317.
ჯვარის № 2318 მარტვილის № 2319.

## 807. ვედრება გეხუ ქაჯაიასი გეგრის თაოგაზე დავით დადიანის ოქმით

**1847 წლის 8 ივლისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 13977. დედანი. ქაღალდი. 22×18,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. ტექსტი ძლიერ გაფერმკრთალებულია.

მისს უგანათლებულესობას მთავარს მენგრელიისას[1] ღერენალშაიორს და კავალერს დავით ლეონის ძეს დადიანს

### ყოვლად უმორჩილესი ვედრება

სოფლის თამაკონის მცხოვრების გეხუ ქაჯაიასაგან მიერ მოხსენება.

მოწყალეო ჩემო ხელმწიფეო, მოგეხსენება, რომელიც რომ ერთი შვილი მყავდა და ის ჩემი შვილი ლევანს ფაღავას მიეცი მოსამსახურეთ. დღე და ღამე უმოცილებელად და ნიადაგ მას ყავს და ახლა ორი შვილი მყავს...* რომ ნიადაგ სამუშაოში მაწოვენ, რომე-

[1] მენგრელიისა.

* აქ ერთი სიტყვა არ ირჩევა.

ლიც რომ საჭიროებამ მომითხოვა, ყოულივეში შემაყვანეს და რომელიც კარგი გლეხი არის, ისე მიმსახურებენ. და ჩემისთანა გაჭირვებული ჩემს სოფელში კაცი არ არის.

მოწყალეო ხელმწიფეო, ეს წელი ისე გავიდა, ჩემი ყანა ბალახმა მიჭამა მუშავებია, გარნა ამისა, რომელიც ბეგარი მართებს, ის უნდა ვივალო და ისე უნდა მივართვა ჩემს ბატონს.

ვევედრები თქვენს უგანათლებულესობას, რომ ან მე დამაყენეთ ჩემს კარავში და ან ჩემი შვილი, რომ ცოლი და შვილი შიმშილით დამეხოცა და ცეცხლი აგერ დამებსება. და გევედრებით, რომ უკმაყოფილოთ ნუ დამაშთენთ, მოწყალეო ხელმწიფეო.

ბოლოში

თავადს ბეჟან დგებუაძეს! როგორც მოიხსენება ამ არძაში, უმჯობესი რჩებოდენ გაწვევისაგან და ერთი მხოლოდ მყოფი მისს სახლში იწვეოდეს სამუშაოდ. ამ გვარზედ სახლთხუცის[1] განკარგულება არის და მისაებრ უნდა იწვეოდეს მუშანი.

მთავარი მენგრელიისა ხელრთვა: დავით დადიანი.

ჩყმჯ-ს წელსა, ჱ ივლისს, გორდს.

## 808. ვედრება გეხუ ჟაჯაიასი სამართლის მიცემაზე დავით დადიანისა და მდივანბეგთა ოქმით

**1847 წ. 8 ივლისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 13975. დედანი. ორად გაკეცილი ფურცელი. 22×17,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. ტექსტი ალაგ-ალაგ გადასულია.

მისს უგანათლებულესობას მთავარს მენგრელისას ღერანალ-მაიორს და კავალერს დავით ლეონის ძეს დადიანს.

### ყოვლად უმორჩილესი ვედრება

სოფლის თამაკონი[ს] მცხოვრების გეხუ ჟაჯაიასაგან თხოვნა.

მოწყალეო ხელმწიფეო, ცხონებული დედა თქვენი სოფელს კვავაუთას ბრძანდებოდა გოგი ჩიქოვანის სასახლეში და მოხელეებს უბრძანა ერთი ხბო მიპოვეო. და მოხელეებმა ჩემთან მოვიდა და ხბო გამომართვეს. არა მართებდა ისე: და ის ხბო კოსთა

[1] სახუცის.

[დ]გებუაძემ მანათათ დააფასა, და ის ხბოს ფასი არ მომცა კაცმა და ჩემი თავი პეტრეიას ფარულავას ჩააბარა მშობელმა დედა თქვენმა რომ, ამოუღე ამ ხბოს ფასი ჰოხელეებისაგან და მოხელეებთან, მაგრამ ქალაბანი მიცეს და მე დავშთი უკმაყოფილოთ, გარნა ამასა ნახუნოევს მცხოვრების ყურუელა ჩხეტ[ი]ას ზიარი მყავდა ის ხბო. და იმის გულისათვის ყურუელამ მოხელე[ე]ბს შეეხვეწა და მოხელე[ე]ბმა მოვიდენ და ჩემთან და ორი ძროხა წამართვეს — ერთი [ჩემი] და მეორე ჩემი მეზობლის — შენი კაცის. და ის ჩემი მეზობელი ყოველ დღეს [მეუბნება], ჩემი ძროხა მომეციო. და მე ყოვლის გზით დამწვარი ვარ და რაით უნდა შევძლო მისი ძროხის გარდახთა. გარნა ამასა ყურუელას[1] სასამართლოში ვითხოვე და არ წამყვა.

და ვეუედრები თქვენს უგანათლებულესობას, რომ ამდენი გაჭირებისაგან უკმაყოფილო ნუ დამაშთენთ, მოწყალეო ხელმწიფეო.

**ბოლოში**

მენგრელიის უზენაეს სასამართლოს.

მან სასამართლომან განიხილოს თხოვნა ესე მოარძის ქაჯაიასი და საქმე ამას შინა მოხსენებული გამოიკითხოს და ჯეროანს მისს გამოკითხვას სამართალმა ვითარი გარდაწყვეტილება შეუდგინოს, მით დააკმაყოფილოს მთხოვნელი.

მთავარი მენგრელიისა ხელრთვა: დავით დადიანი.

ცხ-ს ივლისს, ჩყმზ-ს წელს, გორდს.

ჯვარის მაზრის მდივანბეგს თავადს ივანე ჩიქოვანს!

არძა ესე მირთმეული მისის უგანათლებულესობისადმი ყმის ქაჯაიასაგან, რომელიც უჩივის ყურუელა ჩხეტიას, მისის უგანათლებულესობისა მიერ სასამართლოსადმი გარდმოცემული, იგზავნების თქვენის ბრწყინვალებისადმი. უუკეთუ ყოთ თქვენის მხრით ჯეროვანი განკანონება, თორემ სასამართლოს წარმოუდგინეთ მომჩივან-მოპასუხე — ორნივ მხარენი განსარჩეველად.

მენგრელიის უზენაესის სასამართლოს მდივანბეგი თავადი ხელრთვა: ჩიქოვანი.

მდივანბეგთუხუცესი თავადი ხელრთვა: როსტომ მდივანბეგი.

1847-ს წელსა, ივლისის 8-ს.

---

[1] ყურუელამ.

* სახელი არ ირჩევა.

## 809. ვედრება ბეჭუ ქაჯაიასი მოდის თაობაზე დავით დადიანის ოქმით

**1847 წ. 6 სექტემბერი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 13970. დედანი. ორად გაკეცილი ფურცელი. 23×17 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.

მისს უგანათლებულესობას მთავარს მენგრელისას უფალს ღერენალ-მაიორს და კავალერს დავით ლეონის ძეს დადიანს.

ჯვარის მაზრისა სოფელსა თამაკონს მცხოვრების საწყალი ბეხუ ქაჯაიასაგან.

### ყოვლად უმორჩილესი ვედრება

წასულის თვის პირველს იცლისის აქეთ გახლავარ ძლიერ ავათმყოფი, რომ ვაგდივარ ყოვლის კაცის საცოდველად მშიერი, მოკლებული დღიურის საზრდოსაგან, და მწვლილი ჩემი ცოლ-შვილიც მეხოცებიან შიმშილით, რადგან მე ძლიერ ავათმყოფობის გამო არ შემიძლია მიმოსვლა და მე ვარ ეხლა მიწევნილი სასიკვდილოდ; და ვიდრე ჩემს დასნეულებადმდე დავიმუშავე ორი ყანა, ორივე მწირი ადგილი — ერთი საკუთარი ჩემი და მეორე ყანა სხვის საზიარო კაჟიანი, უნამყოფო ადგილი, უხროთ რომ არავის უნახავს.

მოწყალეო ჯელმწიფეო, მე ხარი მყოლოდეს და არცა ხარის სამუშაო ადგილი მაქუს ცუდის ფერდის და ქვიანის ადგილის გამო. და რომელიც დავიმუშავე ორი ყანა, ორივე გაფუჭებული გახლავს უმუშევრობისა გამო, რადგან მე კვდები, ამგვარი ავათმყოფი და ვიშიშვი, რომ იმ ყანის მოსავალს თუ რამ იქმნება შემოდე ათისთავს წამართმევს და დავრჩები სულამოწვდილი მწილი ცოლ-შვილიანათ.

ამისთვის გევედრები მე დაცემული მცხარე ცრემლით, მოწყალეო ჯელმწიფეო, თქვენ და თქვენის შვილის სადღენგრძელოთ მიბოძოთ იმ ზემორე მოხსენებულის ორის ყანის მოდი[1], რომ მომავლის წლისათვის არ გამიწყდეს შიმშილით ორი მცირეწლოვანი ბოვშები და მიხედოთ ჩემს ამგვარს სასაწყლო და ავათმყოფობით დაღონებას, დიდად მოწყალეო ხელმწიფეო.

**ჩემზ** წელსა, ა სეკდემბერს.

ბოლოში

მოდის მიცემა კაცს არ ამოსწყვეტს, მით რომე თქვენც დარჩე-

[1] მოოდი.

ბით და სამართლიანს ადგილის მეპატრონეს მისცემთ. ეს რიგია და ყოველს ადგილს არის დიდზე და მცირეზედაც მოდის აღება და შენც აძლიე ჯეროვანი მოდი. შარშან ხომ საზოგადოდ გეპატივათ და ერეულს მოუცემლობა ხუედრისა რა შარშანდელის პატივის სამაგიერო სამადლობელია.

მთავარი მენგრელიისა ხელრთვა: დავით დადიანი.

ჩყმზ-ს წელს, 3-ს სეკდემბერს, გორდს.

## 810. განკარგულება დავით დადიანისა სხეულებრივი სასჯელის თაობაზე

ხელნაწერთა ინსტიტუტი. რ. ერისთავის ფონდი. № 310. პირი. ფურ. 50.

### მაზრის მდივანბეგებთადმი[1]

ჩყმ-ს წელს გარდმოცემულსა ფორმასა შინა საზოგადოდ მაზრის მდივანბეგებთასა მუხლსა შინა მეათცხრამეტესა სახედ დადგინებულ გაქვსთ, რომელ წინააღმდეგისათვის აზნაურს ანუ გლეხს ვითარ დასჯიდეთ: აზნაურსა ხრმალს აყრიდეთ და მყისვე მომახსენებდეთ, ხოლო გლეხნი დაისჯებოდენ პოლიციურის წესდებულებისამებრ.

გარნა აწ მიმხედველი გარემოებისა დავსდებ ამ განკარგულებას, რომელ მაზრის მდივანბეგთ დაუშთების რა ფორმასა შინა განცხადებული [v] ყოველი მინდობილებანი, მხოლოდ რომე თვინიერ გარდა ჩემის გარდაწყვეტილებისა და სასამართლოს განკარგულებისა სხეულით ნუღარ დაისჯებიან ნურავინ ოცდახუთის როზგის დაკვრის ზევით, რაჲსათვის ამასთანავე წარეწერა სასამართლოს საუწყებლად და ხელსამძღვანელად.

მთავარი მენგრელიისა დავით დადიანი.

ჩყმზ-ს (1847 წ.) თ-ს (9) დეკემბერს.

## 811. განწესება დავით დადიანისა მეგობრონეთათვის ყმა-მამულის დაკავების თაობაზე

ხელნაწერთა ინსტიტუტი. რ. ერისთავის ფონდი. № 310. პირი. ფურ. 89.

### მაზრის მდივანბეგთადმი[1]

საუმჯობესოდ დავინახე უმეტეს უზრუნველყოფისათვის თითოეულთა საკუთრებათასა დადგინებად ამა წ ე ს ი ს ა ხელთსამძღვანელოდ მოხელე კაცთა ჩემის სამფლობელოჲსათა, რომელ ამიერითგან საკუთრებათა ზოგად[2] მებატონეთაჲსა ყმა და მამულს თვინიერ ჩემის გარდაწყვეტილების და სასამართლოს განკარგულებათა ნუ დაეკავებათ თქვენგან გინა სხვა მოხელეთაგან[3] ყმა და მამული მებატონეს როგორც აქამომდე, არამედ გარემოებასა საქმისასა წარმომიდგენდეთ მე. ხოლო სასამართლოსადმი შესახებელს სასამართლოს რაჲსათვისაც ამასთანავე ვაუწყებ სასამართლოს.

მთავარი მენგრელიისა დ ა ვ ი თ დ ა დ ი ა ნ ი.
9 დეკემბერს 1847 წელსა.

## 812. განკარგულება დავით დადიანისა უკანონოდ შობილთა შესახებ

ხელნაწერთა ინსტიტუტი. რ. ერისთავის ფონდი. № 310. პირი. ფურ. 89.

### მენგრელიის უზენაესს სასამართლოს

ჩვენს სამთავროში, როგორც სხვაგან გარემო ქვეყნებში იმ ე რ ე თ ს და გ უ რ ი ა ს, ადრიდანვე იყო ჩვეულება და დიდ ხნეობისაგან კურთხეულ კანონად მიღებული, რომ ბუშები, ვითარისა წოდებისად უნდა ყოფილიყო და რამდენიც საეკლესიოდ მიჩემებულ იყო. ესევითარი ჩვეულება ჩემს სამთავროშიდ აქამომდე არსებობს და არღა განვაგრძელებ განმარტებას[4] რას ურიგოებას ამისაგან იშობებოდა.

საუმჯობესოდ მოყვანისათვის მდგომარეობათა უკანონოდ შობილთასა დავსდებ ესრეთს გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა ს.

**1.*** ამიერითგან უკანონოდ შობილნი ჩემს სამფლობელოთა შინა გამოირიცხვიან სამღვდელთ მონებისაგან, არამედ ბუში, ვითარისა [v] წოდებისაგანაც იყოფებოდეს. დაუშთებოდეს დედას მკუთვნელობასა ქვეშე მებატონისა მის, რომელსაცა ეკუთვნის დედა ბუშისა მის.

---

[1] მაზრის მდივანბეგებთადმი] პირი მაზრის მდივანბეგთადმი მიწერილისა. [2] ზოგად. [3] მოხელეთაგან. [4] განმარტოებას.

* ხელნაწერში ტექსტი მუხლებად გაკვეთილი არ არის.

2. ხოლო, რათამცა სრულიად მოკლებული არ იქმნეს ალილეს შემოსავლისაგან ეკლესია, ამისთვის ხუთს მანეთს გარდიხდის მებატონე ბუშისა და მიერთმეოდეს ჭყონდიდელს.

3. განცხადება ესე ცხად ეყოს თვითეულს მაზრის მდივანბეგს ხელთსამძღვანელად შემდგომთა დროთა შინა. ხოლო თვით ნამდვილი ამის განსაზღვრებისა დაიცვეს სასამართლოში სახელმძღვანელოდ.

ხოლო ამისთვის უწყებელ არს საკუთრითა წერილითა ჩემითა მისი ფრიად უსამღვდელოესობაც ჭყონდიდელი.

მთავარი მენგრელიისა დავით დადიანი.

11 აპრილს 1849 წელსა.

## 813. ვედრება გეხუ ქაჯაიასი გამოსალეგის თაობაზე დავით დადიანის ოქმით

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 13972. დედანი. ორად გაკეცილი ქაღალდი. 22×17,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი ან ორწერტილი.

მისს უგანათლებულესობას მთავარს მენგრელიჲსას უფალს ღენერალ-მაიორს და კავალერს დავით ლეონის ძეს დადიანს.

ჯვარის მაზრისა თამაკო[ნ]ს სოფლისა მცხოვრების საბატონო ყმისა გეხუ ქაჯაიასაგან.

### ვედრება

მამა-პაპასა ჩემსა არ დებია სამთავრო ხარკი, ესე იგი საუდიერო, ვინაჲდგან არ ქონებიათ წინაპართა ჩემთა სახასო მთავრისა მოდებარე ადგილი საცხოვრებლად ჩვენდა, რომელიც ვცხოვრებულვართ მებატონისა ჩვენისა თა[ვა]დთ ფალავებთა სამკვიდრო ადგილებითგან დადებული ჩვენდა ბეგარები ჩვენის მებატონისა ფალავებთადმი მიმირთმევია. ხოლო ამავე უკანისქნელს შემთხვევაშიდ დამძინეს მთავრის სახლისადმი მისაძლეველად სახელწოდებით ხარკი საუდიერო ათი კოკა ღვინო და ერთი საკლავი, რომელიცა იქმნა ესე მოხსენებული ხარკისა დაწესება ჩემდამო ამავე ახალის კამელარიის აღწერაშიდ და მისდამო სოფლის მოხელეებმან თავადის დათა ჩიქოანისა ბრძანებით ძროხა წამართვეს.

და რომელისა გამო ვეედრები უგანათლებულესობასა თქვენს, რათა მოხედოთ სისაწყლესა ჩემსა და რაოდენიცა არა დებია მამა-პაპისა ჩემსა, მაზედ გარდამეტებით ნუ შემიყვანთ ხარკისა ზღვევაშიდ[1],

[1] ძღვევაშიდ.

რომელსაც არა მაქვს ისრეთი ღონე, რომელ მომატებული ბეგარი გარდვიხადო.

და უმეტეს ყოვლისა გეუბედრები, ხელმწიფეო, რაფერ ვიძლიანო ვისდამცა ჯერ არს, ქმნას ჩვენის სოფლისა მცხოვრებთადმი ძიება, რომელ თუ მართებია მამა-პაპასა ჩემსა მთავრის სახლისადმი ძისართმეველად საუდიერო და ანუ თუ ქონებია წინაპართა ჩვენთა მთავრისა სახასო ადგილ-მამული საცხოვრებლად თვისდა, თვინიერ ერთი ქცევა ადგილისა; და იმა ერთი ქცევა ადგილისა გამო ესეოდენსა საზღვეველს ქვეშე შეყვანას მიპირებენ.

და გეუბედრები, ხელმწიფეო, ვინადგან არა ვარ მე შემძლებელი გარდახთისა სიღარიბისა გამო ჩემისა მისამო და მიფაროთ ესე მომეტებულის საზღვეველისაგან[1] და უკეთუ ინებებენ ადგილობრივ მეუფროსე მოხელე ჩვენის სოფლისანი, იგი მცირედი ადგილი ჩემი სამთავრო ერთი ქცევა ადგილი კვლავ შერისადონ სხვანი სახასო მთავრის ად[გი]ლებსა, ხელმწიფეო ჩემო.

**ჩყმთ**-ს წელსა, სეკდემბრის **დ**-ს.

ბოლოში

თავადს ბეჟან დგებუაძეს! დაწესებული რაცა აქვს მთხოვნელსა ამას, გარდაახდევინეთ. ხოლო დაწესებულს გარდა ნურას შეეხებით მომატებულზედ.

მთავარი მენგრელიისა ხელრთვა: დავით დადიანი.

**ჩყმთ**-ს წელსა, **გ**-ს სეკდემბერს. გორდს.

## 814. არზა მათე ღვანიასი მეგაბონის ძალმომრეობის აღკვეთის თაობაზე დავით დადიანის ოქმით

**1850 წ. 26 ივლისი**

ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერი № 1571. დედანი. ქაღალდი. 17×16 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

მის უგანათლებულესობას სრულიად მინგრელიის მთავარს ღენერალ-მაიორს და კავალერს დავით ლეონის ძე დადიანს.

**უმდაბლესი თხოვნა**

მოწყალეო ხელმწიფეო, ღმერთმან ისრე თქვენი მტერი შეაწუ-

[1] საძღვევილისაგან.

ხოს როგორც მე შეიწროებული და მწუხარე გახთე[1] ჩემი მებატონის ფილიპია თოფურიასაგან.

რომელიც შემემთხვა მე წელს უბედურება ცეცხლით დაწვისაჲ ოჯახი გარდამეწვა და მამი თქუენისა ნაიმედევი წიგნი მჭონდა და ისიცა დამეწვა.

მაგრამ, რადგან ღმერთი გამიწყრა, კიდევ ვმეცადინეობდი, რომ ცეცხლი არ დამეფსო და თქუენი სამსახური ამესრულებია და ჩემი მებატონისა. და არცა დამიგდია მისთვის არცა შინაყმა და არცა მის დროზედ ნადობა.

და მე გახთი ამ წარსულს კვირაშიდ აბანოზედ თქუენ სამსახურში. და ჩემი იქ ყოფნაში, თვით მის შინაყმას, ჩემის ოჯახისას გაწყრომია და გაულახავს და მისი გალახულობით გაქცეულა. მე არა შემიტყვია და არცა ჩემი ოჯახისას. და როცა მოველ გუშინ აბანოდამ, ამ დილას ჩემს ყანაში წავედი სამუშევრად. და რაც ვიცოდი მე, თუმცა ის ჩემი ბატონი მომიხთებოდა ყანაში და სასიკვდინედ გამიმეტებდა.

ამისთვის, რომ რადგან მე თქვენს სამსახურშიდ ვიყავი და შინაყმა მასთან მეგულებოდა, ამის გამო ჩემს სამუშავოშიდ უშიშრად წავედი. მაგრამ მომიხთა ყანაშიდ და უნდოდა რომ მოვეკალი და კიდევაც არ მზოგა სასიკვდინედ და ერთი შემოკვრით კიდეც წამაქცია და სრულიად სიკვდილს რომ მიპირობდა, ღმერთმან დაუმადლოს ოქროპირა თოფურიას და ბოშალია ხაპეისშვილს, რომ სასიკვდინედ არ დაანებეს ჩემი თავი და როგორც მიპატივეს სიკვდილისაგან.

და მე იმისთანა უწესო მებატონე მყავს, არა რაიც არ მოველი მე მისგან, რომ ცეცხლი დამანთებიოს, რასაც არ დამაფასებინებს, რადგან მამა თქუენის ნუგეშის წიგნი დამეწვა, უიმედო ვარ მისგნით და აწ მოვიელტვი თქუენი მაღალუგანათლებულესობის წინაშე, რომ დანაშაურობა ჩემი მოკითხოთ და არ მიმცეთ უკანასკნელს განწირულებას და მოიღოთ ჩემზედ მთავრებრივი მოწყალება და არა დავშთე უკმაყოფილო, მოწყალეო ხელმწიფეო.

ჩყნ-სა, ივლისის კვ-ს.

აზნაურს მეთოდე ხოშტარიას!

ამ ღვანიამ ეს არძა შემომართვა და რომ სჩივა თავის მებატონე თოფურიაზედ გალახულობასა და ლოყაზედ დანაკრობაც აჩნია, როგორც ეს განაცხადებს, შინაყმა მოუცილებლად ყოლია და ისიც მას გაქცევია და ამას ეხლა სამუშაოდამ გასრულსა ასრე მოქცევია,

---

[1] + თავისი. [2] დაცვისი.

სახლკარობაც დასწვია საწყალებელსა. არ უნდა მოეკიდოს ესრეთ დაზარიბებულ კაცსა.

განიხილეთ ამათ შორის სიმართლე თუ რომელს მხარეზე იყოს და შეაგნეთ, რომ ესეც ბატონყმურის რიგითა მშვიდობა ჭონდეს და ისე ნუ მოიქცევა ყმაზეც როგორც აქამოდე და სჩანს მისგან მოპყრობა და ამ გვარისაგან დაიფარეთ.

მთავარი მენგრელიისა ხელრთვა: დ ა ვ ი თ დ ა დ ი ა ნ ი.

ჩყნ-ს წელსა, კზ-ს იელისს, გ ო რ დ ს.

## 815. დაწესება ბოქაულთუხუცესისათვის

**1851 წ. დეკემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. რაფიელ ერისთავის პირადი საარქივო ფონდი. № 315. პირი. დიდი ფორმატის ორადგაკეცილი ქაღალდი. 35×22 სმ. ტექსტი შეიცავს 4 ფურცელს. დაწერილია შავი მელნით ფურცლის ორივე გვერდზე, ოღონდ პირველ სვეტში. მეორე (მარჯვენა) სვეტი ცარიელია ქართული ტექსტის რუსული თარგმანის ჩასაწერად. საბუთი უთარიღოა. 1851 წლის 30 დეკემბერს „მმართველი მთავრისა მენგრელიისა ეკატერინა დადიანი“ წერს უმაღლეს სასამართლოს: „მენგრელიის ბოქოულთუხუცესად მე დავნიშნე მაიორი კნიაზი კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე დ ა დ ი ა ნ ი... სახელმძღვანელოდ სასამართლოსა წარმოვგზავნი ამასთან დაწესებასა ბოქაულთუხუცესისათვის“ (იქვე, № 310, ფურც. 72). მაშასადამე, ბოქოულთუხუცესის განწესება შედგენილია 1851 წლის ბოლოს.

### თავი ა. მნიშვნელობისათვის ბოქაულთუხუცესისა

§ 1. დასაცავად სიმარჯვისა ყოველთ მოხელეთა კაცთა და სასამართლოთა ადგილთაგან და თანასწორ ზედსამხედველოთ მცხოვრებთა განლაღებულსა თავხედობასა შინა დაინიშვნის ბოქაულთუხუცესი.

§ 2. ბოქაულთუხუცესი აღმოირჩევის და განწესდების თვით მთავრისაგან და მიიღებს მხოლოდ მისგან ბრძანებათა.

§ 3. იგი ხარისხთა თვისთა ეთანასწორების სახლთუხუცესისა და მსაჯულთუხუცესისა, რომელთა თანა და თანასწორ მდივანბეგთა თანა უზენაესისა სასამართლოსათა და შინაყმათუხუცესისა თანა აქვს თანასწორი მიწერ-მოწერა. ხოლო მაზრის მდივანბეგთა ქალაქი უხუცესსა და განმგეთ ქალაქისათა და სხვათა აძლევს იგი ბრძანებათა საქმეთათვის მისდა შესახებთა ხოლო უკანასკნელ ესე შემოდიან მასთან მოხსენებითა.

§ 4. ბოქაულთუხუცესისა მოვალეობა არს შემდგომი მტედველობა, რათამცა ვითარცა უზენაესსა შინა სასამართლოსა თანასწორვე ყოველთა მაზრის მდივანბეგთა და განმგეთაგან ქალაქისათა არა მიგდებულ იქმნას მინდობილებანი მათდა საქმენი მყოფარ ჟამ გარდაუწყვეტლად და 2. მხედველობა, რათამცა განწესებულნი თავხედობისათვის საბრიყვო გარდახდომილებისათვის კანონთა ჯარიმა და ზღვევა ქურდობისათვის ნაქურდალი იქმნეს მცხოვრებთაგან თავის დროზედ მიღებული.

§ 5. ზემო მუხლებსა შინა § 4 ითქვა, რომელ ბოქაულთუხუცესი ზედამხედველობს, რათამცა საქმენი არა დაშთენ გარდაუწყვეტელად. ამისათვის იგი მოვალე არს, მხოლოდ რათამცა შენიშნულისა მის მიერ საქმისა სიგვიანისათვის შესაბამის წესით აცნობებდეს უზენაესსა სასამართლოსა და საქმისათვის ქალაქისათა უბრძანებდეს ქალაქთუხუცესსა და ითხოვდეს მისგან დაჩქარებასა, ხოლო მაზრის მდივანბეგთა აძლევდეს ამისთვის[2]ვე ბრძანებასა. გარნა იგი არა უფალ არს შევიდეს განხილვასა შინა საქმის წარმოებისასა — ჯეროვნად ანუ უჯერად არს იგი გარდაწყვეტილი.

§ 6. სასამართლო ქალაქთუხუცესი, მაზრის მდივანბეგნი მიმღებნი ბოქაულთუხუცესისაგან მიწერილობისა და დაჩქარებისათვის რაჲსამე საქმის დაბოლავებისა თანამდებ არიან აცნობონ განმავლობასა შინა ერთის კვირისასა მიზეზი, რომლითაც ყოვნდება დაბოლოება საქმისა.

§ 7. უკეთუ მიწერილობასა ზედა დაჩქარებისათვის საქმისა ბოქაულთუხუცესმან არა მიიღო დადებულ ბორჯზედ პასუხი ვისგანცა ჯერ არს, იგი განუცხადებს კვალადვე მასვე მოთხოვნილებას და უკეთუ კვალადცა მიიღო მასზედ პასუხი, მაშინ მოახსენებს მისთვის მთავარსა.

§ 8. საბრიყვო ჯარიმა და ზღვევა ნაქურდლისათვის არის დამოკიდებულ მაზრის მდივანბეგთა და განმგეთა ზედა ქალაქისათა და ამისათვის ესე უკანასკნელი [v] ვალდებულ არს ყოველთვეობით მიართმევდენ ბოქაულთუხუცესსა ანგარიშსა თუ ვის ან რაჲსათვის რაოდენი უნდა ეზღვია საბრიყვო ჯარიმა და ნაქურდალი ვის უკვე გარდახთა რაოდენი და სად წარსდგა რაჲსათვის რომელნი მათგანი ჯერეთ არ გარდახთევინებულ არს და უნდა გარდახთეს და რაჲსათვის სხვანი უიმედო არიან? სახე ამ ანგარიშისა ამასთანავე დადების ქვეშე (ასოჲსა ა).

§ 9. ესევითარსავე ცნობასა აღლევს სამთავროჲცა სამწერლოჲ, ოდესცა გარდახთევინებანი განწესებულ არიან მთავრისაგან.

§ 10. ოდესცა ბოქაულთუხუცესი შენიშნავს სისუსტესა ადგილობითის მოხელისასა გარდახთევინებისათვის ამა საზღვეველთა დგშემდგომადცა ორგზითისა მისის მიწერილობისა უკანასკნელნი[1] კვალადვე ეგებიან პირველსავე თვისსა სისუსტესა შინა, მაშინ თვით იგი თვისითა საშვალობითა ხელჰყოფს [3] ამა გარდახთევინებისათვის ვისგანცა ჯერ არს, უსაშვალოდ ადგილობითისა მოხელისა.

§ 11. ესევითარისავე სახითა მოიქცევის მაშინცა, ოდესცა ადგილობითთა მოხელეთა არა აღასრულეს განჩინება მთავრისა, სასამართლოჲსა და თვისი და ანუ მეორის მაზრის მდივანბეგისა, მათდა აღსასრულებელად წარდგენილი.

§ 12. ვინაჲთგან მაზრის მდივანბეგნი იღვწიან, რათამცა ყმანი დამორჩილებულ ექმნენ მებატონეთა თვისთა, მისთვის ოდესცა იგინი თვისითა საშვალობითა ვერა მოიყვანებენ მათ მორჩილებასა შინა, თანამდებ არიან მოახსენონ ბოქაულთუხუცესს და ესე ვალდებულ არს მიიღოს ზომანი მორჩილებისადმი მათის შესაფერნი.

§ 13. მცხოვრებთა ნება აქვს საგანთათვის ზემოაღწერილთა მიიქცეოდნენ საჩივრითა თვისითა ბოქაულთუხუცესისადმი და ითხოვდენ მისგან შემწეობასა დაჩქარებისათვის მათის საქმისა.

### თავი გ. ანგარიშისათვის ბოქაულთუხუცესისა

§ 14. ბოქაულთუხუცესი ყოველ[v]თვეობით და არა უშორეს იე-ის რიცხვისა მაისის, სეკდენბრის და იანვრისა წარუდგენს მთავარს ანგარიშსა შესავალთათვის მისის საგანმგებოჲსათა სახისამებრ (ბ).

### თავი დ. სარგებლობისათვის ბოქაულთუხუცესისა

§ 15. ბოქაულთუხუცესი მიიღებს ოცისთავსა სამთავროჲსა შამოსავალისასა საგანთაგან: საბრიყვო, ჯარიმა და ნაქურდალისაგან, რომელნიცა გარდახთევინებულ იქმნენ საშუალებითა მაზრის მდივანბეგთა. ხოლო ოდესცა შემთხვევასა შინა აღწერილ ი და ია §§ შინა თვით განკარგულებითა თვისითა გარდაახთევინებს ამათ, მაშინ მიიღებს საბოქაულოსა, რომელიც დაწესებულ არს მაზრის მდივანბეგთათვის.

§ 16. თანასწორვე სახითა იგი მიიღებს საბოქაულოსა იმა საქმეთათვისცა, რომელნიცა ყურადღებლობისა გამო მაზრის მდივანბეგთა ანუ ქალაქის განმგეთა თვისის განკარგულებითა აღასრულა [4] ბოქა-

[1] უკანასკნელნი.

ულთუხუცესმან, ვინაჲთგან მაზრის მდივანბეგნი და განმგენი ქალაქთანი, მაშინ ველარას მიიღებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### თავი ე. პასუხისგებისათვის ბოქაულთუხუცესისა

§ 17. უკეთუ ბოქაულთუხუცესი გარეწარ ექმნების თანამდებობასა თვისსა, მაშინ განწესება სასჯელისა მისისა დამოკიდებულ არს თვით მთავარსა ზედა, ხოლო ზიანი, რომელიცა მოხდა მისის დაუდევნელობისაგან, იგი თანამდებ არს იზღვიოს[1].

## 816. ბრძანება დავით დადიანისა სამეგრელოდან აფხაზეთში უნებართვოდ ნასვლის თაობაზე

**1853 წ. 13 მარტი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. რ. ერისთავის ფონდი. № 310. პირი. ვურ. 79.

**ზოგად მაზრის მდივანბეგთ**

ვითარცა ცნობილ ვიქმენ, მენგრელიიდან მიდიან უბილეთოდ აფხაზეთში და მუნ დგებიან.

ამისთვის უჯეროვანესთა აღუკრძალოთ თქვენ თავისუფალი მიმოსვლა და იმხედველონ ნაცვლებთა, რომ არავინ გაიყვანებოდეს ენგურიდ, სადაც გასასვლელი ადგილი აქვს ფონად თუ ნავით უბილეთონ[ი] კაცნი და რომელთაცა უკანვე მიაქცევდნენ თავიანთ საცხოვრებელზედ, გარნა არა გა[ცა]რცვით და არცა რამე მიუღოთ.

მთავარი დავით დადიანი.

13 მარტს 1853 წ.

მაზრის მდივანბეგთ: ზუგდიდისას № 1383.
ჯვარის № 1384.
და კოკის მოურავს № 1385.

## 817. არზა დათიკა თოფურიასი ყმის თაობაზე დავით დადიანის ოქმით

**1853 წ. 1 აპრილი**

საისტორიო კრებული, წიგნი II, 1928, გვ. 93—94.

მის უგანათლებულობას სრულიად მენგრელიის მთავარს ღერანალ-მაიორ და კავალერს დავით ლეონის ძეს დადიანს.

---

1 იზღვიოს.

### ვ ე დ რ ე ბ ა[1]

სუჯუნის მაზრის აბაშის სოფლის მცხოვრები [illegible]
აზნაურის დ ა თ ი კ ა ა მ ე რ ა ნ ი ს [illegible]
ფ უ რ ი ა ს ა გ ა ნ ყოვლად უმორჩილესი.

გასრულს **ჩყნბ**-ს წელსა ვევედრეთ თქვენს უგანათლებულესობას ზ უ გ დ ი დ ს სასახლეშიდ მე და ჩემმან ძმამ დეკანოზმან ბ ე ს ა - რ ი ო ნ თ ო ფ უ რ ი ა მ ჩვენის მამით-პაპეულით კუთვნილი ყმა მოჯალაბების გვარად ჯ ა ლ ა ღ ა ნ ი ე ბ ი ს ა თ ვ ი ს. და კიდევაც ინება თქვენმან უგანათლებულესობამ უზომო მოწყალება ჩვენზედ და მისწერეთ მაზრის მდივანბეგს ტ ა რ ი ე ლ დ ა დ ი ა ნ ო ვ ს, ვითარ მოჯალაბობის წესია და ჩვენის ძველისათვის უმსახურნია, ისე უნდა დაემორჩილებინა.

ამაზედ ინება მაზრის მდივანბეგმან და მიანდო მიწერილობით პომოშნიკს კნიაზ ნ ი კ ო დ ა დ ი ა ნ ო ვ ს. და როგორათაც იყო ბრძანება, იმ მოწერილობისა ძალით განიხილა მათი წინააღმდეგობა ჩვეულებრივი სამსახურისა ჩვენზედ და გასრულის დროების უმსახურობა მიგვატოებინა და ახალი მტკიცე ხელწერილი დაადებინა. ამიერიდან მოჯალაბობის წესით უნდა ემსახურა და [ა]რა რაი სამსახური ეთაკილებინა.

შემდგომ ამისა შეგვიშალა ყოველი გარდაწყვედილობა სამსახური და უმეტესი წინააღმდეგობა სამსახურის ძველის ჩვეულებისა და უსიამოვნება დაგვიწყო; რომელიც ამ გასრულსა დღესასწაულსა ხარებას სტუმრები მყავდა და პური გამოსაცხობი გაუგზავნე პატარა დაფქული. ეს ფქვილი თხრილშიდ ჩაუყრია და მიმტანი გაულახავს და ჰურჰელიც დაუნტრევია.

ამგვარის წინააღმდეგ სამსახურს სხვანიც ჩემი კაცებიც არ მსახურობს, უმეტესად ერთი მოსახლე კაცი გვარად მ ი მ ი ნ ო შ ვ ი ლ ი ო თ ა მ ა. აგერ ორი წელი განმავლობას, რაც სამსახური მისი დღეულის შინაყმა თუ ბეგარი სრულიად არ მშოვია და არც შემეპუა.

ამაზედ ვთხოვ თქუენს უგანათლებულესობას, ქმნათ ღვთაებრივი მოწყალება და ვისდამცა ჯერ-არს [ბრძანოთ] და თქვენი გარდაწყვეტილის სამართლიანის კანონით დამიმორჩილონ, დაკლებულისაგან მაკმაყოფინონ, მოწყალეო ხელმწიფეო.

**ჩყნგ**-სა წელსა აპრილის **დ**-სა.

სუჯუნის მაზრის 2 კლასის მდივანბეგს თავადს ტ ა ი ა დ ა დ ი ა - ნ ო ვ ს! როგორც მოარზე ესე აცხადებს, მათის მოჯალაბის დამორჩი-

[1] ვერდება.

ლებისათვის წინეთაც ყოფილა განკარგულება და თქვენს თან[illegible]ეს დაუმორჩილებია გარნა ეხლა ისრეთი დადგინება თქვენ[illegible]მე-წისა არ აღესრულებიათ და კ̄ვე ურჩება დაუწყიათ. [illegible] წერთ: ყოვლის მოჯალაბურის წესით ამსახუროთ, უკეთუ მოჯალაბის ღირსებისა არს, რომ არავითარს არ თაკილობდეს.

მთავარი მეგრელიისა დ ა ვ ი თ.

ჩუნგ წელსა, 1 აპრილს. ზ უ გ დ ი დ ი.

## 818. ვედრება გეხუ ქაჯაიასი საყანის თაოგაზე დავით დადიანის ოქმით

**1853 წ. 28 აპრილი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 13973 დედანი. ორად გაკეცილი ფურცელი. 22×17 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი და სამწერტილი.

მისს უგანათლებულესობას მეგრელიის მთავარს უფალს ღენერალ-მაიორს და კავალერს დ ა ვ ი თ ლ ე ო ნ ი ს ძ ე ს დ ა დ ი ა ნ ს.

ჯ ვ ა რ ი ს მაზრის თ ა მ ა კ ო ნ ი ს სოფლის მცხოვრების საბატონო ყმის ბ ე ხ უ ქ ა-ჯ ა ი ა ს ა გ ა ნ.

### უქვეშევრდომილესი ვედრება

ყოვლად უმოწყალესო ხელმწიფეო. თ ა მ ა კ ო́ ნ ი ს მთაში, რომელიც არის საკმაოს დროჲდან სამოდო, იმაშიდ დასაბამიდან მოუტეხელი ადგილი ყანად გავთიბე[1], რადგან იყო იგი სამთავრო და სამოდავი. გარნა მოცილედ აღმიჩნდა გასულს წელს საფალავო ყმა, — ზ ო ს ი კ ი ა ს ი გ უ ა მ შემაცდინა და ორი მანეთი მივეცა და დამანება ყანად დასადებად, რომელშიდ არამცირედი შრომა ვნახე, რადგან იყო ადგილ იგი უტეხი, დიდი ქვიანი უსჯულო, გავწმიდე ყანა იგი და წელს ღომი დავთესე, თითქმის სამარგელი ღომი ესხა, ისრე ჩავიდა ს ი მ ო ნ ი კ ა დამასია ს ი გ უ ა და ის ღომი დარიეს და მათ მიათესეს სიმი[ნ]დი, და მე ცოლ-შვილითურთ წყალშიდ ჩამყარა. მე თუ რამე ვ[უ]თხარი, სასიკვდინედ გამომეკიდენ; ისინი არიან შეძლებული, ყავან ბევრი პირუტყ[ვ]ი-საქონელი და ზლვევა[2] შეუძლიათ და მე ფრიად ღარიბი, მოვშორდი და აწ რა ღონე ვიხმარო, ხემწიფეო. გაწმენდილი ყანა და დათესილი სამარგელი ღომი მიმიღო და დარია.

---

[3] გავთიფე. [2] ძლევვა.

მე სრულიად სხვაგან ყანა არ მაქვს გარეშე მისა. და იქ რადგან საზრ-
გადოება იწევს საზრდოს და არის დიდის ხნიდან სამოდავი, ამის გამო
მეცა ვმუშაობდი. და ერთი უშველებელი მოუტეხელი ადგილი
და ჯერ თვინიერ შრომისა არავითარი სარგებლობა არ მინახავს და
ისრე ახლა აღმიკრძალა ყმებითა მით.

ამისათვის გევედრებით, მოწყალეო ხელმწიფეო, ბრძანოთ თქვე-
ნი მთავრული უზომო მოწყალება ვისდამიცა ჯერ-ქმნას და დამიბრუ-
ნოს ნაშრომი ყანა იგი, თორემ წყალშიდ უნდა ჩავიყარო მწვილი
ცოლ-შვილითურთ. და ანუ საიდან ეუფლება, ხელმწიფეო, ყმებთა
მათ მთა იგი, რომ ყოველსა დროსა და ჟამშიდ სამთავროდ მიაქვთ და
უბრალოდ ჩემობენ ყმებნი ფალავასნი ნახუნოეს მცხოვრებნი. და
პირველ უნდა ყოფილიყოს მათი, მაგრამ პირველშიდ რა იყო ჩვენ არ
ვიცით; და ახლანდელს ხსოვნაშიდ არის სამთავრო სამოდო და ამის
ძალზედ ჩვენცა ვმუშაობთ.

ამაზედ გევედრები, ხელმწიფეო, ის ყანა დამიბრუნოთ და ცოლ-
შვილითურთ შიმშილით არ ამომწყვიტოთ.

**ჩუნგ წელსა, აპრილის კზ-სა.**

ბოლოში

სასამართლოს წევრს და ჯვარის მაზრის გამგეს თავადს სიკო
ჩიქოანს! თქვენს განხილვას მოგანდობთ მორთმეულს თხოვნასა
ამას ყმის ქაჯაიასასა, რომელ სარჩელი ამისი სიგუაზედ სამართლაღ
განიხილეთ და დააზავეთ ორნივე მხარენი.

მთავარი მენგრელიისა ხელრთვა: დავით დადიანი.
**ჩუნგ-სა წელსა, კზ-ს აპრილს, ზუგდიდს.**

## 819. განწესება დავით დადიანისა შეკუროგილ კაცთა ნაცარცვის თაობაზე

**1853 წ. 10 დეკემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. რ. ერისთავის ფონდი. № 310. პირი. ფურ. 90.

**ზოგად მაზრის მდივანბეგთა**

შეპყრობილთა კაცთა ჩემის ბრძანებით ანუ საქმის კაცის მიხედ-
ვით ცუდის საქციელისათვის რომ ერთმევათ ნა[ცა]რცვი და შემოდიან
ჩივილით, ამაზედ სახელმთძღვანელოდ დაიდვა შემდგომისათვის.

**1.*** რომელთაც იარაღი აეყრება და ყარაულს ქვეშ დაჰდება ჩე-

* ხელნაწერში მუხლების სათვალი აღნიშნულია ასო-ციფრებით.

მის ბრძანებით ანუ თქვენის განკარგულებით, ამათ არ წაერთმევათ ნა[ცა]რცვი, არამედ შემდგომ განთავისუფლებისა მიუბრუნდებათ ყოველივე, ანუ ჰირისუფალთ შთაბარდებათ თვინიერ ყო[illegible]ბისა.

2. რომელნიც ურჩებას იხმარს და განსდრკება ბრძანებულზედ და არ დატუ[V]სალდება მისდამი განცხადებით, გინა ქურდობისა და ავაზაკობისათვის იდევნება ვინმე, ისრეთს შეპყრობილს ნულარ მიეცემათ ნა[ცა]რცვი, არამედ დამჭირავს ქონდეს. და ესრეთ იმხედველეთ.

მთავარი მენგრელიისა დ ა ვ ი თ დ ა დ ი ა ნ ი.

10 დეკემბერს 1853 წ.

ჯვარის № 3823. ზუგდიდის № 3824.
ლაილაშის № 3825. მურის № 3826.
მარტვირის № 3827. ზუბის № 3828.
საჰილაოს № 3829. სუჯუნის № 3840.

## 820. განწესება დავით დადიანისა სამთავროს რწმუნებულთადმი

**1840—1853 წლ.**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. რ. ერისთავის პირადი ფონდი. № 314. პირი. დიდი ფორმატის ორადგაკეცილი ქაღალდი. 35×22 სმ. ტექსტი შეიცავს 4 ფურცელს. დაწერილია შავი მელნით ფურცლის ორივე გვერდზე, ოღონდ პირველ სვეტში. მეორე (მარჯვენა) სვეტი ცარიელია ქართული ტექსტის რუსული თარგმანის ჩასაწერად. საბუთი უთარიღოა. თარიღდება დ ა ვ ი თ დ ა დ ი ა ნ ი ს ზეობის წლებით.

### დარიგება მიცემული ვექილთადმი მენგრელიის მთავრისა

ალგირჩიეთ და ამასთანავე დაგნიშნეთ თქვენ ვექილად ჩემდა საქმეთა შინა საქართველოში და სხვათა კავკასიის გარდმოღმა ადგილებთა შინა გასრულთა სამენგრელოს მცხოვრებთა და საცხოვრებელთა მათდამი შესახებელთა, ამისთვის ვალად გდებთ, რომელ გაქვნდეს გულსმოდგინება სიწრფოებით აღსრულებასა ზედა ამისა დიდისა ჩემის მონდობილებისათა, რომელზედაც სრულიად იმედნეულ ვარ პირადი მცნობი თქვენი მარად შემისწავებიეს რა თქვენ შორის სიწრფოება და ერთგულება სრულჰყოფთ ჩემს მონდობილებას, ხოლო ხელთსამძღვანელად თქვენდა მოქმედებათათვის მოგცემთ შემდგომ დარიგებასა.

1.* პირველად უნდა გამოცხადდეთ თქვენ თანამდებობისამებრ

* ხელნაწერში მუხლების სათვალი აღნიშნულია ასო-ციფრებით.

თქვენისა უფალს სამოქალაქო ნაჩალნიკთან და მიიღოთ მისგან წარწერილობანი რწმუნებულთა [v] მისდამი მხარეთა ადგილობრივ მეფეთა როსესთან, რომელ მიგიღებდნენ თქვენ ვექილად ჩემდა და მოიცდიდნენ ჯეროვანს შემწეობასა ვითარცა წინამოადგილესა თქვენსა, რაჲსათვის ამასთანავე მივსწერე მისს ბრწყინვალებას უფალს სამოქალაქო ნაწილის ნაჩალნიკს და თფილისის სამხედრო ღუბერნატორს.

2. რომელნიცა მცხოვრებნი ჩემის სამთავროჲსანი არიან გასრულნი სავაჭროდ თუ სხვებრ საქართველოშიდ მათი სია იქონიეთ და მიცემდეთ წლიურს ბილეთს მათგან თითოეულს და ნურავინ უბილეთოდ ნუ დაგირჩებათ.

3. ვინაჲთგან განსვლითა მცხოვრებთათა ადგილობრივ სამსახურისათა გვაკლდების სამსახური, მის წილ ვისაც მისცემდე წლის ბილეთს გამოართმიდეთ ფულს უკეთუ მოჯამაგირედ იყოს თქვენის მიხედვისამებრ სამის მანეთისაგან ხუთადმდე და სხვათა შემძლებელთა ხუთის მანეთიდგან ათ მანეთადმდე.

4. საბატონო ყმებნი, რომელ[2]ნიცა იქმნებიან მუნ და ისურვებენ მოქცევასა თავის ყმისასა უნდა მაშინვე მიიღოთ საშვალობა მოქცევისა მათისა, უკეთუ არ ექმნებათ ჯეროვანი მიზეზი.

5. უნდა იქონიოთ წიგნი რვეული, რომელშიდაც უნდა ჩაიწეროდეს თვითოეულის ბილეთის ნომერი და ქვეშ უნდა მოაწეროს მან, რომელსაც ბილეთი მიეცემა, თავისი სახელი და გვარი და რამდენიც ფულიც შემოუტანია. და ვინიცობაა თუმცა წერა არ იცოდეს, იმ შემთხვევაში მან ჯვარი დაასვას და მის მაგიერად ვინც წერა იცოდეს, მან ხელი მოაწეროს ორითა მოწამითა დამოწმებული.

6. ბილეთის შემოსრულის ფულისაგან ხუთისთავი დამინიშნავს სარჩოდ თქვენსა.

7. ანგარიში ბილეთის და ეგრეთვე თქვენის მოქმედების ყოველის ოთხის თავზედ წარმოადგენდეთ.

[v] 8. არიან რომელნიმე ადგილობრივ მოხელენი, რომელნიც იძლევებიან და ანუ უნდა აძლიონ ხარჯი და თავთავის დროს არ იძლევიან და უმეტეს საეკლესიოდ მიჩემებულთა რამდენთამე და ამაზედ თქვენის მიხედვისამებრ მომახსენებდე გარემოებასა მათსა, რაჲცა ჩემდამო მოსაწვთენი იყოს შემდგომის ჩემის განკარგულებისათვის.

9. არიან მრავალნი ესევითარნიცა, რომელთაც დაუტევებიესთ ცოლ-შვილი და იქ სხვა ცოლი შეურთავს, გინა სხვა დანაშაულობაში შეცვენილან, რომელთაც სჯული სდევნის საზღვეველად და სახელი და გვარი გარდასხვავებიათ. ამათი განრჩევა ხამს, რათა მიეცეს კანონიერი განკარგულება.

**10.** იქონიეთ მკაცრი მხედველობა, რომელ თვინიერ ვაჭრობისა და ჯამაგირს ქვეშ ყოფნისა და სხვებრ სასარგებლოდ [3] წასრულმა, უბრალოდ და უსაქმოდ რომ არვინ დაწოწიალებდეს. და თუ ვინ ხვდეს[1] ესრედ ჰყოფნა ვისმეს, წარმოგზავნიდეთ თვისად ადგილად; და თუმც ბრალეულად აღმოჩნდეს და შეეწამოს ურიგო ჰყოფა-ქცევა, ადგილობრივ მმართებლობას წარუდგენდეთ ესევითართა მოქმედებისაებრ მისისა განსაკითხველად.

**11.** უკეთუ შეხვდეს ვისმეს მცხოვრებთა ჩემის სამთავროჲსათა, რომელ შეავიწროვოს ვინმემ ან წართმევით ანუ ფულის დაკავებით ანუ როგორმე სხვებრ, თქვენი პირადი ვალია, რომ შეხვიდეთ მისს მდგომარეობაშიდ და ადგილობრივ მთავრობასთან უშვამდგომლოთ.

**12.** არავის თავით თვისით არ ემძლავროთ, არცაღა შეავიწროვოთ [v] ვინმე, არამედ უკეთუ შე[გ]ხვდესთ ვისმესგან უსიამოვნება ანუ ისრეთი, რომ საქმე ყოველსავე ზედ მიიქცეოდეთ ადგილობრივ მეუფროსეფთადმი და მათის განკარგულებისაებრ იქმოდეთ ჯეროვანს შესახებელს.

**13.** ეგრეთვე დაწესებულს სასამართლოებში შეიტანდეთ უკეთუ სასამართლო რამე საქმეები შეგხთებათ, ესე იგი, ადრევე გარდასრულის კაცის ამოყვანა მოსახლობით ისრე, რომელნიც ჩაწერილან უმართლოდ და მირჩენილან თუ სხვანი მსგავსნი ამისნი.

**14.** რომელიც გუბერნატორის შესახებელი საქმე იყოს, გუბერნატორთან მიიქცეოდეთ და საჭირო და მძიმე [4] საქმეზედ თვით მთავარმართებელთან საქმის გარემოების მიხედვით.

მეექვსესა მუხლსა შინა განწესებულ ხუთისთავი დანიშნულ არს მხოლოდ სარჩოდ ტფილისის ვექილისა, ხოლო სხვათა აქვსთ დაწესება ათისთავის მიღებისა.

ნამდვილზედ ხელმოწერილ არს: მთავარი მენგრელიისა დავით დადიანი.

## 821. მიმართვა ეკატერინე დადიანისა სამეგრელოს უზენაეს სასამართლოსადმი ჭალაქეგის დეგულეგის შესახებ

**1854 წ. 20 ოქტომბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. რაფიელ ერისთავის პირადი საარქივო ფონდი. № 406. პირი. დიდი ფორმატის ორადგაკეცილი ქაღალდი. შეიცავს 13 ფურცელს. ტექსტი დაწერილია შავი მელნით ფურცლის ორივე გვერდზე ოღონდ პირველ სვეტში; მეორე (მარჯვენა) სვეტი ცარიელია, ალბათ ამ სვეტში ნა-

---

1 + შეხვდეს.

ვარაუდევი იყო დებულების რუსული თარგმანის ჩაწერა. პირველი ფურცელი წარმოადგენს სამეგრელოს მთავრინას ეკატერინე დადიანის მიმართვას სამეგრელოს უზენაეს სასამართლოსადმი დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ, ხოლო მე-2—13 ფურცლები შეიცავს თვით დებულების ტექსტს.

## [1] უზენაესს სამენგრელოს სასამართლოს

ვგზავნი რა ამასთანავე დაწესებასა მმართველობისათვის ქალაქთასა მენგრელიის სამთავროჲსათა საცნობლად და სახელთმძღვანელოდ მაგა სასამართლოჲსა, ვაცნობებ მას, რომელ განმგედ ქალაქთა ზუგდიდის და სენაკისა მე განვაწესე პირველსა აზნაური გოგისა ყიფიანი, ხოლო მეორესა აზნაური გიგო გობეჩია.

ხოლო სხვანი ქალაქნი დრომდის შთებიან პირველსავე წყობილებასა[1] შინა.

მმართველა მთავრინა ეკატირინა დადიანი.

20 ოკდონბერს 1854 წ.

### დადებილება ქალაქთათვის სამენგრელოჲს სამთავროჲსათა

### თავი ა. ზოგად ქალაქთათვის და მმართველთა მათთა

§ 1. მმართველობა ქალაქთა განსხვავდების მმართველობისაგან სოფელთა.

§ 2. აწმყოსა დროსა შინა ქალაქნი სამენგრელოსა შინა არიან შემდგომნი: ა. ზუგდიდი, ბ. სენაკი, გ. სუჯუნა, დ. ორპირი, ე. ნაოღალევი, ვ. ლაილაში და ჭრებალო.

§ 3. მმართველობა თვითოეულისა ამა ქალაქთაგანისა ერწმუნების დადგენილსა მთავრისაგან პირსა, რომელსაცა ეწოდების განმგე ქალაქისა.

ხოლო ზოგად განმგენი ქალაქთანი არიან ხელქვეშეთნი აღრჩეულისა თვით მთავრისა მიერ ერთისა პირისა, რომელსაც ეწოდების ქალაქთუხუცესი.

§ 4. განმგე ქალაქისა ესწორების უფლებათა შინა საქმისა განხილვასა და გადაწყვეტისათა [v] თანაშემწეთა მაზრის მდივანბეგისათა, ხოლო ქალაქთუხუცესი მდივანბეგთა.

§ 5. მდივანბეგნი მაზრათანი რომელთაცა შინა არიან ქალაქნისა, არა შეეხებიან საქმეთა მცხოვრებთა ქალაქისათა, არამედ ყოველსა

[1] წყოფილებასა.

საქმეთადმი შესახებსა შემთხვევასა შინა აცნობებენ განმგეთა ქალაქისათა ანუ ქალაქთუხუცესსა და მოითხოვენ მათგან რაჲცა საჭირო არს.

§ 6. მცხოვრებნი ქალაქთანი საქმეთათვის თვისთა მცხოვრებთა თანა მაზრისათა უნდა მოიქცნენ განსარჩევლად და გარდასაწყვეტად მაზრის მდივანბეგისადმი. და ეგრეთვე მცხოვრებნი მაზრისანი საქმეთათვის მცხოვრებთათა ზედა ქალაქისათა მიიქცევიან სამართლისადმი განმგეთა ქალაქისათა, ესრეთ რათამცა, სადაცა არს მოპასუხე, მუნ იყოს განრჩევაჲცა საქმისა.

[3] § 7. გარდა მისა მცხოვრებნი ქალაქისანი ექვემდებარებიან სასჯელსა მაზრის მდივანბეგისასა ყოველსა იმა შემთხვევასა შინა, ოდესცა საძიებელი საგანი მდებარეობს მაზრასა შინა.

§ 8. მცხოვრებთა ქალაქისათა და თანასწორვე ზოგად ყოველთა აღეკრძალვის გაშლა სავაჭროისა სახლისა გარეშე ქალაქისა შიშსა ქუეშე მძიმისა გარდახდევინებისასა, ვინაიდგან ამით შესაძლო არს დაეცნენ თვით არსებულნი ქალაქნი.

§ 9. სოფელსა ბანძას გარეშე ქალაქისა სცხოვრებენ ურიანი რომელთა მხოლოდ და არა სხუასა და არა ნება აქვსთ მუნ ვაჭრობისა.

## თავი ბ. მოვალეობისათვის ქალაქთგანმგისა

§ 10. განმგე ქალაქისა მიიღებს ბრძანებასა ქალაქთ-უხუცესისაგან და მოართმევს მას მოხსენებასა.

[v] § 11. იგი აღასრულებს ბრძანებათა ქალაქთ-უხუცისათა ესრეთ ვითარცა მთავრისათა თვინიერ მცირედისცა წინააღმდეგ სიტყვაობისა და საზოგადოდ ემორჩილების მას ყოველსა შინა შემთხვევასა არა კანონთა შინა გარეშესა.

§ 12. გარნა უკეთუ შენიშნავს ბრძანებასა შინა მისდამი ქალაქთუხუცესისა რასამე საქმის გარემოებისადმი არა სათანადოსა, მაშინ იგი შესაბამითა მორჩილებითა მოახსენებს დაწვლილებითსა მიზეზსა თვისსა.

§ 13. უმთავრესნი საგანნი მოვალეობათა ქალაქის განმგისათა არიან შემდგომნი:

ა. რათამცა ყოველი მოულოდებელი შემთხვევა ვითარ იგი: კაცისკვლა, კაცის ერთმანეთშორის ჩხუბშიდ დაჭრა, გამოჩენილი ქალაქშიდ სენი კაცთა და პირუტყვთა, ცეცხლით ქალაქის ანუ ნაწილისა ქალაქისათა დაწვა და ყოველი [4] მზგავსი ამათი მოახსენოს ქალაქთ-უხუცესსა და ვიდრე მიღებადმდეცა მისგან დარიგებისა ჰქმნას მაშინვე შესაძლო თვისის მხრით ზომა უკუნქცევისათვის უშორეს თავნებათა.

**ბ.** რათამცა უცხო ქვეყნისა ჯაცნი უბილეთონი, აგრეთვე მაგნებელნი და დევნილნი სამართლისაგან ქურდნი და ავაზაკნი არა ცხოვრობდნენ ქალაქშიდ, არამედ იქმნენ იგინი შეპყრობილ, შეკრებისაებ ცნობათა წარმოუდგენენ ქალაქთ-უხუცესსა.

**გ.** რათამცა უკუნ აქცევდეს რა მცონარებასა და გარეწრობასა მცხოვრებთაგან ქალაქისათა, განაღვიძებდეს მათ კეთილთა შეგონებითა, ხოლო სადაცა საჭირო არს თვით დასჯითაცა, სურვილსა პატიოსნისა შეგინებისადმი და განშვენებისადმი ქალაქისა კეთილთა შრომათა მიერ.

**დ.** რათამცა უკუნ აქცევდეს ყოველთა ურთიერთ შორის განხეთქილებასა მშვიდითა შეგონებითა რომელ ბრძოლა [v] და დეობა არს მიზეზი ყოვლისა უბადრუკებისა. ხოლო დროსა საჭიროებისასა განარჩევდეს იგი სარჩელთა მათთა იმა უფლებითა ვითარცა აქვს მაზრის მდივანბეგის თანაშემწესა და შემდგომად თვისს დროზედ წარმოუდგენდეს ქალაქთ-უხუცესსა, გარნა უმჯობეს არს, რათამცა მცხოვრებნი ქალაქთანი მიიქცეოდნენ მედიატორეთ სამართლისადმი ესრეთ სახელდებულისა ვაჭრის სამართლისადმი[1].

**ე.** რათამცა შემოსავალთა სამთავროთა შეკრებდეს იგი თავის დროზედ და მათ თანასწორ დაწესებულთა ანგარიშთაცა წარმოუდგენდეს ქალაქთ-უხუცესსა.

**§ 14.** ყოველსა შინა შემთხვევასა, რომელიც გარდაემატების უფლებას განმგეთა ქალაქისათა, ანუ გარდასწყვეტად საჭირონი არიან ანუ არის ახალი რაჲმე შესაძენი თვით ქალაქისა და ანუ წყარო შემოსავლისა, იგინი [5] წარმოუდგენენ ქალაქთ-უხუცესსა და მისგან ითხოვენ გარდაწყვეტილებასა.

**§ 15.** განმგენი ქალაქთანი მოვალე არიან დასაწყისსა ყოველსა თვისსა თანადასწრებითა ოთხთა უპირველესთა ქალაქის მოვაჭრეთათა განა[წე]სებდნენ ფასსა სანოვაგეთასა, ვითარ იგი პურისა, ღომისა, ღვინისა, ოტკისა, ხორცისა, მარილისა, შაქრისა, ჩაჲსა, სანთლისა და ყოველთა მზგავსთა ამისთა მზგავსად სახისა ა, რომელთა მიხედვითა უნდა განვაჭრდებოდეს ყოველი იგი მოვაჭრეთაგანი; რაჲსათვის ესევითარსა განწესებასა ყოველსა დასაწყისსა თვისასა იგინი გამოაცხადებდეს საზოგადოდ საცნობელად და რაოდენსამე აღწერილსა ქაღალდზედ ხელმოწერილთა აღაკვრენ სხვადასხვა ადგილებზედ, ხოლო ერთსა წარუდგენ[ენ] ქალაქთ-უხუცესსა.

**[v] § 16.** ვინცა წინააღმდეგ ამა დადებილებისა გაბედავს გასყიდვასა სანოვაგისასა უმეტეს დანიშნულისა მის ფასისა, მას გარდახთე-

---

[1] + და.

ბის პირველად ხუთი მანეთი, მეორედ ათი, მესამედ[1] ოცი. და თუმც კვალადვე გაბედა, მაშინ გარდა გადახთევინებისა დაისჯების გარეხვეთაც განწესებისაებრ ქალაქთ-უხუცესისა, რომელსაცა ამისთვის ვინ-ეს სენებს განგე ქალაქისა.

### თავი გ. მოვალეობათა და უფლებათათვის ქალაქთ-უხუცესისა

§ 17. ქალაქთ-უხუცესი, ვითარცა ზემო ითქვა, არს უმაღლესი ზედამხედველი ყოველთა ქალაქის მცხოვრებთა მისთა და განმგეთა ქალაქისათა.

§ 18. უმთავრესნი მოვალეობანი მისნი შეიცვიან იმავ საგანთა შორის, რომელნიცა ითქვნენ ზემო § 13 განმგეთათვის ქალაქისათა. [6] ამისთვის იგი იღვწის, რათამცა განმგენი ქალაქთანი მოვალეობასა თვისსა აღასრულებდენ სიმარჯვით და ერთგულებით ღირსთა ყურადღებისათა თვისითა კეთილმოქმედებითა იგი წარუდგენს მთავარსა და მოითხოვს მათთვის მოწყალებასა. ხოლო წინააღმდეგ შენიშნულთა გარეწრობასა შინა ანუ თვით უფლებითა მისდა მინიჭებულთა განმართავს და ანუ წარუდგენს ეგრეთვე მთავარსა.

§ 19. იგი მღვიძარებით ზედამხედველობს, რათამცა მცხოვრებნი ქალაქისანი არა იქმნენ დამძიმებული გარდასახადთა მიერ უმეტესი განწესებულისა და წინა უკმო, რათამცა ჯეროვანნი შემოსავალნი არა დაშთნენ შემოუტანელად.

§ 20. შემთხვევასა შინა, ოდესცა მცხოვრებნი ქალაქთანი არა კმა არიან განჩინებითა განმგეთა ქალაქთათა და ანუ საქმე აღემატების [v] უფლებათა მათთა ქალაქთ-უხუცესი შევალს განხილვასა შინა და გარდაწყვეტილებასა საქმისასა იმა უფლებითა ვითარცა[2] მაზრის მდივანბეგი.

§ 21. წარმოდგენილთა განმგეთაგან ქალაქისათა ანგარიშთა ქალაქთ-უხუცესი განიხილავს დაწვლილებით და უკეთუ და სწორე და უნაკლულო არს, მაშინ წარუდგენს მთავარსა და ფულსა სამთავროსა წარუგზავნის ხაზინადარსა სამთავროსსა.

ხოლო უკეთუ ანგარიში არს შეცთომით ანუ ნაკლები, მაშინ იგი უკუნ აქცევს მას განმგისადმი ქალაქისა განსამართველად.

§ 22. საგანთათვის, რომელშიდაც შეხვდა განმგესა ქალაქისასა სიძნელე გარდაწყვეტისა და წარმოუდგინა იგი ქალაქთ-უხუცესს, ესე უკანა ანუ გარდაწყვეტს [7] თვით და ანუ დროსა სიძნელისასა თვით-

---

1 მესამედი.

2 + ვითარცა.

ცა თავისი ჰაზრით წარადგენს, უკეთუ საგანი არს განსასჯელი და ანლად სჯულსადებელი, უზენაესსა შინა სასამართლოსა, ხოლო უკეთუ სხვა რაჲმე — თვით მთავარსა და მოითხოვს მათგან გარდაწყვეტილებასა, მიღებისა შემდგომად რომლისა აუწყებს განმგესა ქალაქისასა აღსასრულებლად.

### თავი დ. შემოსავალთათვის ქალაქისათა

§ 23. ქალაქთაგან მიიღებიან სასარგებლოდ სამთავროისა სახლისა თვისისა: ა. საადგილო, ბ. მოვაჭრეთაგან ნაქსოვთა საქონელთა და ჭედილთა ნივთთა, გ. ვაჭართაგან სანოვაგისათა, დ. მეწვრიმალეთაგან, ე. ყანთარისა ანუ სასწორისაგან. ვ. გასასყიდად დაკლულთა პირუტყვთაგან, ზ. პირუტყვთაგან განსასყიდელთა გარეშე ქალაქისა, ჱ. ოტკისა და ღვინისაგან, თ. სამღებროჲსაგან, ი. მატყლისა და ბანბისაგან, ია. აბრეშუმისაგან, იბ. ცვილისა ანუ თაფლის სანთლისაგან, იგ. თაფლისაგან, იდ. კვერნისა და წავის ტყავისაგან, იე. თუთუნისაგან, ივ. თერძთაგან, დალაქთა და ხარაზთაგან, იზ. შემოსრულთა დროებით მოვაჭრეთაგან.

§ 24. ყოველთა ამათგან განმგე ქალაქისა შეკრებს განწესებულსა ქვემო და მიღებასა შინა მისცეს ბარათსა აღწერითა, რომელ ამა და ამ დროჲსათვისათვის ამდენი ფული მიღებულ არს.

§ 25. საადგილო შემოსავალი არის თვითო მანეთი რაოდენი სავაჭრო სახლი ქალაქშიდ არს.

[8] § 26. მოვაჭრეთაგან ნაქსოვთა საქონელთა და ჭედილთა ნივთთაგან მიიღებიან ბაჟი მიხედვისამებრ მათისა საქონლისა ესრედ, რომელ უკეთუ განსავაჭრებელი მათი ფასდება ას მანეთად მიიღებოდეს არა ნაკლები ერთის მანეთისა, ორასისაგან — ორი, სამასისაგან — სამი და ესრედ შემდგომი.

§ 27. ვაჭრისაგან სანოვაგისათა ვითარ იგი პურისა, ხორცისა და სხვა მიიღების უფლებისათვის ვაჭრობისა თვითოეულის ხუთის თუმანისაგან წელიწადში თვითო მანეთი.

შენიშვნა: ესე დაწესებულ არს მის გამო, რომელ ვაჭარნი სანოვაგეთანი[1] ფულისა თვისისსა ერთს წელს აბრუნებენ რაოდენიმე გზის და არა ოდეს ნაკლებ ორისა და სამისა.

[v] § 28. განმსყიდველნი ღვინისა, ოტკისა და უცხო ქვეყნის სასმელებთა იხდიან წლიურსა ხარჯსა, ესე იგი ვინცა განვაჭრებს მხოლოდ ღვინისა, იგი აძლევს ათსა მანეთსა წელიწადშიდ; ვაჭარი ღვი-

---

1 სანოგეეათანი.

ნისა და ოტკისა ოცსა მანეთსა, ხოლო განმსყიდველნი უცხო ქვეყნისა სასმელებთა — ოცდაათ მანეთს.

§ 29. ორმოცდაათის მანეთისაგან ერთი მიიღების მეწუნძალეთა-გან მგზავსად § 27-სა, რომელთ რიცხვშიდაც შესდის შემოტანილიცა ქალაქშიდაც სახმარნნო ჭურჭელნი, ჩოხა, ნაბადი, ჭილოფი და სხვანი მგზავსნი ამისნი.

§ 30. ყოველნი შემოტანილნი ქალაქშიდ საქონელნი და ხორაგი საპა[ლ]ნე ანუ ნახევარი საპა[ლ]ნე უნდა აიწონებოდეს სასწორსა, ანუ ყანთარსა ზედა სამთავროსა და ამისათვის მიიღების მისგან თვითოეულის ორის ბათმანისათვის თითო კაპეიკი ვერცხლისა, ესე იგი საპა[ლ]ნისაგან ორი შაური და ნახევარი საპანლისაგან[1] ერთი აღწონად ნაკლების ნახევარის საპა[ლ]ნისა [9] ორ ქილამდე ნება აქვთ ყოველთა უბაჟოდ.

§ 31. უკეთუ ვინმე გაბედავს აღწონასა ამათსა თავის ყანთარსა ზედა მას გარეშე საყანთროჲსა გარდახთების პირველად ხუთი მანეთი, მეორედ — ათი, მესამედ[2] — თუთხმეტი და ესრედ შემდგომი.

§ 32. პირუტყვთაგან დაკლულთა გასასყიდლად ქალაქშიდ უნდა მიიღებოდეს კანბეჩის, ხარის და ზროხისაგან თითო აბაზი, ხოლო ცხვრისა, თხისა და ღორისაგან თითო შაური ვერცხლისა.

§ 33. ვინც მიუცემლად ბაჟისა ფარულად გაბედავს დაკვლასა პირუტყვთასა და იგი აღმოჩნდების, მაშინ დაკლული პირუტყვი მიეღების მას და გაისყიდვის სამთავრო სასარგებლოდ.

§ 34. თავისა თვისასათვის დაკვლად პირუტყვთა აქვთ უფლება მცხოვრებთა ქალაქისათა, გარნა უკეთუ აღმოჩნდეს რომელ არს გასასყიდლად, მაშინ უნდა მოექცნენ მას [v] ესრეთ ვითარცა ზემო ითქვა § 23-სა შინა.

§ 35. მზგავსადვე § 33-სა უნდა მოექცნენ მათ, ვინც ანუ შემოიტანს გასასყიდლად დაკლულთა პირუტყვთა და ანუ დაკლავს მას გარეშე ქალაქისა და მოუწოდს მუნ მსყიდველთა ქალაქისაგან.

§ 36. პატრონი ცოცხლისა პირუტყვისანი, რომელიც განვაჭრებენ ქალაქსა შინა თვისთა პირუტყვთა მოვალე არიან შემოიტანონ კანბეჩთაგან ორი, ხოლო ხართა და ზროხათა ერთი აბაზი, თხა და ცხვართაგან ნაკლებ ხუთთა არას აძლევენ ხოლო ხუთისაგან ერთსა აბაზსა.

§ 37. თვითოეულის საპან[ლ]ისა ოტკისაგან შემოტანილისა გასასყიდლად ქალაქშიდ მიიღების ოთხი აბაზი, ხოლო ღვინისაგან ერთი.

---

1 საპანესაგან. 2 მესამედი.

§ 38. სამღებრო ქალაქთა შინა იხდიან მიხედვისამებრ მოგებასა მათისა გარნა არა ნაკლებ სამის თუმნისაგან თუთხმეტ თუმნადმდე.

[10] § 39. შემომტანნი ქალაქშიდ გასასყიდლად[1] მატყლისა ნაბანბისა იხთის თითო საპან[ლ]ეზედ თითოს მანეთსა ვერცხლისასა.

§ 40. აბრეშუმი რომელიცა გაიტანების ქალაქისაგან გასასყიდლად ექვემდებარების ბაჟსა თვითოეული ოყა თვითო შაურსა.

§ 41. თანასწორთავე სახითა ქალაქიდამ გატანილის ცვილისათვის მიიღება ბათმანისაგან ორი შაური.

§ 42. თაფლითაგანაც გატანილის ქალაქიდამ უნდა მიიღებოდეს საპა[ლ]ნისაგან, ესე იგი ოცის ბათმანისაგან ათი შაური.

§ 43. ამოდენივე მიიღების თუთუნისაგანაცა ქალაქიდამ გატანილისა.

§ 44. ვინცა ქალაქისაგან განავაჭრებს ბეწვსა კვერნისასა და წავისასა, იგი აძლევს ბაჟსა ათის ტყავისაგან ერთს მანეთსა ვეცხლისასა.

§ 45. ვინათგან უცხო ქვეყნისა ვაჭარნი შემოდიან მცირის დროთი ქალაქშიდ [v] და მოისყიდიან მხოლოდ იგინი აღწერილთა ზემო აბრეშუმსა, სამთელსა, თაფლსა, თუთუნსა, კვერნის და წავის ტყავითა და მით ძირეულად მცხოვრებნი ქალაქთანი შედიან დაკლებაშიდ. ამის გამო ბაჟი ამ ნივთთაგან უნდა გარდახთეს ესევითართა უცხო მოვაჭრეთა ორი ზომა, რაოდენიცა ზემო განწესებულ არს აქაურთ მოვაჭრეთათვის.

§ 46. ყოველთა მჭედელთაგან, ესე იგი, ოქროჩასა, რკინისა და სპილენძისა, მიიღების სამ-სამი წელშიდ, ხოლო ნალბანდისაგან — ხუთი.

§ 47. თერძნი და დალაქნი თვითოეულს წელშიდ იხთიან ხუთსა მანეთსა ვერცხლისასა, ამოდენსავე იხთის ხარაზიცა.

§ 48. შემოსრულნი დროებითად ვაჭარნი ექვემდებარებიან იმა კანონთა, რომლებნიცა ცხადად არიან 26, 27, 28 და შემდგომთა §§ შინა.

[11] § 49. რიცხვთა შორის შემოსრულთა ვაჭართასა არიან დროებითად დამსხ[დ]ომნი სამთავროთა ვაჭრებთა[2] შინა ქალაქისათა და მუნ განვაჭრებულნი.

§ 50. გარდა აღწერილთა ზემო ყოველი ვიდრე აქამომდე არსებულ სხვადასხვა საგანთაგან შემოსავალი მოისპობის და განვაჭრება მათი იქმნების თვინიერ ყოვლისა საზღვეველისასა.

§ 51. მსგავსად გამოტარებულთათვის ქალაქშიდ საქონელთა, ესე

---

1 ყასასყიდლად.

2 ვავრებთა.

იგი, პირუტყვისაგან, ოტკისა, ღვინისა, ცვილისა, თაფლისა, ამრეშუმისა, მატყლისა და ბამბისაგან არავითარი ბაჟი არა ეთხოვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

### თავი ე. იჯარით გაცემისათვის ქალაქის შემოსავალთა

§ 52. თვითოეული ზემო თავსა შინა აღწერილთა საგანთანი შესაძლო არს აქაურისა ჩვეულებისამებრ გაიცეს იჯარით მიცემითა მოიჯარადრისადმი [v] უფლებათა არა წინააღმდეგთა ამა დადებილებისათა და მით არა შემაწუხებელთა მოვაჭრეთადმი.

§ 53. ვისაც სურს აღება იჯარით რომელისამე ზემო განცხადებულის საგნისა, იგი არა უშორეს **იე**-ს ნოენბრისა გამოცხადდების განმგისაგან ქალაქისა და განუცხადებს მას სურვილსა თვისსა. ხოლო იგი მოვალე მოელოდეს კვალად სხვათა მოვაჭრეთა, ვიდრე ოცს რიცხვადმდე იმავ თვისსა და შემდგომ ხელს ჰყოფს შეკვრასა პირობისასა.

§ 54. უკეთუ სავაჭროდ იჯარისა წარმოსდგების რაოდენიმე პირი, მაშინ განმგე ქალაქისა მოახთენს ვაჭრობასა და ვინც განაცხადებს უმეტესსა გამოსაღებსა, შეუკრავს მას პირობასა.

§ 55. პირობასა შეუკრავს მოიჯარადრესა: **ა**. განმგე ქალაქისა, უკეთუ საიჯარადრო არა გარდაემატების 50-ს მანეთსა, **ბ**. ქალაქთუხუცესი უკეთუ [12] რაოდენობა ფულისა არა აღემატების ას ორმოცდა ათ მანეთსა. და უკეთუ აღემატების, მაშინ ესე ვითარი პირობა უნდა შეიკრას თვით მთავრისაგან, რომელთანაც მოვაჭრენი[1] იქმნების წარმოდგენილ შორის **კე**-სა **ლ**-სა რიცხვის ნოემბრისა.

### თავი ვ. ანგარიშისათვის

§ 56. განმგე ქალაქისა ვალდებულ არს იქონიოს დაწვლილებითი სია რაოდენი არს ქალაქშიდ სავაჭრო სახლი, ვინ მას შინა რომლის დროიდამ ვაჭრობს, რას რაოდენისასა ფასისას და რა უნდა მისგან შემოვიდეს. სახე ამა სიისა არის აღწერილი ქვეშე ასოჲსა **ბ**.

§ 57. სიასა ესევითარსა განმგე ქალაქისა დასაწყისსა შინა თვითოეულსა წლის მესამედისასა, ესე იგი იანვრისა, მაისისა და სექტენბრისა არა უშორეს ათის რიცხვისა ამა [v] თვეთა წარმოუდგენს საცნობელად ქალაქთუხუცესსა, ხოლო იგი — მთავარსა.

§ 58. ამავ რიცხვშიდ, გარნა მესამედს გასრულს წლისათვის წარუდგენს სიასა მიღებულთა შემოსავალთასა სახისამებრ [გ] ერთად ფულითურთ მზგავსად **ე**-ის მუხლის § 13-სა.

---

[1] + უნდა

§ 59. ქალაქთ-უხუცესი მიმღები ამათი მოიქცევის ესრედ, ვითარცა ითქვა § 21-სა შინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### თავი ზ. სარგებლობისათვის ქალაქთ მმართველთა

§ 60. ქალაქთ-უხუცესი და განმგენი ქალაქთანი მიიღებენ სასარგებლოდ შრომათათვის ყოვლისაგან სამთავროჲსა ქალაქთაგან შემოსავალისა ათის-თავსა, რომელთაგანი ორი წილი ეკუთვნის განმგესა ქალაქისასა, ხოლო მესამედი — ქალაქთ-უხუცესს.

[13] § 61. გარდა ამისა დაჯილდოებისა მათისა სარგებლიანის და ერთგულის მსახურებისასა იგინი უნდა მოელოდენ მთავრისაგან.

### თავი ჱ. ზღვევისათვის ქალაქთა მმართველთა ქალაქისათა

§ 62. ქალაქთ-უხუცესი და განმგენი ქალაქთანი დაუდევნელობისათვის თვისთა მოვალეობათა ექვემდებარებიან ზღვევასა განწესებისამებრ თვით მთავრისა.

§ 63. ყოველთა ზიანთათვის მომხდართა ესე ვითართა დაუდევნელობათაგან დამნაშავე მათგანი მოვალე არს პასუხის გებად.

ამას შინა არს შეცთომა*. § 3 ჩამატებული: მიერ ერთისა; § 16 ამოფხეკილზედ დაწერილი: ამა დადებილებისა და მესამედ; § 21. ჩამატებული მთავარსა და ფულსა სამთავროსა წარეგზავნის; § 23 მუხლი ივ: ამოფხეკილზედ დალაქთა; § 34. ამოფხეკილზედ: უფლება; § 36. ამოფხეკილზედ: აბაზი; § 42. ამოფხეკილზედ: ათი; § 50. გასწორებული: შემოსავალი; § 55. ჩამატებული ასორმოცდა ათს მანეთსა და უკეთუ [v] აღემატების. ესე ყოველი ჭეშმარიტი არს.

## 822. ბრძანება ეკატერინე დადიანისა მსაჯულთა განწესების შესახებ

**1855 წ. 21 ივლისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. რ. ერისთავის ფონდი. № 310. პირი. ფურ. 118.

**უზენაესს სამენგრელოს სასამართლოს**

მსაჯულთუხუცესად მაგა სასამართლოსა შინა მე დავნიშნე თავადი პეტრე ნიკოს ძე დადიანი.

მდივანბეგი მაგა სასამართლოჲსა თავადი დუტუ მანუჩა-

---

* იგულისხმება დებულების ტექსტში დაშვებული შეცდომები და გასწორებანი. ი. დ.

რის ძე დადიანი, თანახმად მისის სურვილისა, მე განვათავისუფლე ამა თანამდებობისაგან.

და ნაცვლად მისა აღვიყვანე ამა ხარისხზედა [v] [illegible]-რის მეორე ხარისხის მდივანბეგი თავადი ანტონ ჩ[illegible]

ნაცვლად მისა განვაწესე თანაშემწე მისი თავადი დიმიტრი დადიანი.

ხოლო ადგილი თანაშემწისა მივეცი თავადს დავით როსტომის ძეს ჩიქოვანს.

ვაცნობებ რა ამას უზენაეს სამეგრელოჲს სასამართლოს, ვარწმუნებ მას აცნობოს ყოველთა ამა ცვალებათათვის ვისდამიცა ჯერ არს.

მმართველთა მეგრელიისა მთავრინა ეკატერინა დადიანი

21 ივლისს 1855 წ.

## 823. დარიგება ეკატერინე დადიანისა სამეგრელოს სამთავროს მცხოვრებთადმი

**1856 წ. 2 თებერვალი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. რ. ერისთავის პირადი ფონდი. № 411. პირი. დიდი ფორმატის ორადგაკეცილი ქაღალდი. 35×22 სმ. ტექსტი შეიცავს 5 ფურცელს. დაწერილია შავი მელნით ფურცლის ორივე გვერდზე, ოღონდ პირველ სვეტში, მეორე (მარჯვენა) სვეტი ცარიელია.

### [1] გამოცხადება მმართველასაგან სამეგრელოჲსათა მცხოვრებთადმი ზოგად სამეგრელოჲს სამთავროჲსათა

რიცხვთაგან რომელთამე უწესოებათა შენიშნულია სასულიერო მხრით ერის კაცთა შორის დანახულ არს, რომელ:

ა. მცირეწლოვანნი პირნი იწინდვიან საცოლქმროდ, ხოლო შემდგომად სრულ წლოვანობისა რომელნიმე მათგანნი დაუტევებს დაწინდულსა და ესრედ წარმოსდგება განხეთქილება უთანხმოებისა შემაწუხებელი სასულიეროჲს და სამოქალაქოჲს მთავრობისა.

ბ. ხალხნი არიან გარეწარნი წირვა-ლოცვის მოსმენისა და შეგონებათადმი მღვდელთაგან შთების უნამყოფოდ[1].

გ. მრევლი არ აძლევს მღვდელთა სათანადოსა საზრდოსა და არც სცემენ პატივსა მამობრივსა.

[v] ჩემთვის საყვარელნო შვილნო სამეგრელოჲსანო!

ვანგებისაგან დადგენილ მმართველად და დედად თქვენდა, მე მარადის დაუძინებელად ვზრუნავ მისთვის ოდენ, რათა საქმეთა შინა

---

[1] + და.

სასულიეროთა და მსოფლიოთაცა წარემატებოდენ დღითი-დღე, ამის ვსთხოვ მარადის ღმერთს მომცემელსა ჩვენდა ყოვლისა კეთილისა და ღირსმყოფსა ჩვენდა წოდებად უძვირფასესისა და უსაღმრთოესისა სახელისა ქრისტიანობისას, რომელიც ღაწერგა მან ქვეყანასა მამათა ჩვენთა პირველსა შინა საუკუნესა განხორციელებიდან ძისა ღმრთისა მხსნელისა და უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა, რომლითაცა ვქადით ჩვენ განგრძობათა შინა უმეტეს ათას რვაასთა წელთასა, რომელიცა აწცა შინა ცხოვრებასა განგვამტკიცებენ ჩვენ, ყოველთა შინა განსაცდელთა დაგვიცავს შეუძრ[ა]ველად, ხოლო მომავლისათვის განგვიმზადებს ჩვენ საუკუნესა ნეტარსა ცხოვრებასა, რომლისად მონაწილეობად არა ძალუძსთ არა შემდგომთა ქრისტეს მცნებისათა.

და ამისათვის ნუ უკვე აწ მისდრკებით, ანუ შეუსუსტდებით, ანუ გარეწარ ექმნებით სანეტაროსა მას სჯულსა, რომელიცა ესრეთ მტკიცედ და სიქადულად იპყრეს მამათა ჩვენთა, ნუ უკვე წარმოვაჩენთ ან ჩვენ თავსა თვისსა უღირსად მოცემულთა ზეგარდმოთ ჩვენდამო ნიჭთა ამათ, ნუ იყოფინ და ნურცა ჰყოს ესე უკუნისამდე ღმერთმან, არამედ განგამტკიცენინ მანვე სიმტკიცითა ჭეშმარიტისა სარწმუნოებისათა წინააღმდგომად ყოველთა მსოფლიოთა მაცთურებათა.

და. ესრეთ საყვარელნო! დასძინეთ და ერჩდით სწავლათა სულიერთა მოძღვართა თქვენთა, რომელნი დაგადგენენ თქვენ [V] გზათა ზედა ჭეშმარიტისა ქრისტიანობისათა, რომელნი იღვწიან სულთა და ხორცთა თქვენთათვის, რომელნი აღავლენენ დაუცხრომელთა ლოცვათა[1] თქვენთათვის წინაშე საყდართა ღმრთისათა დიდებისათა, რომელნი შეცოდებათა თქვენთა განსწმენდენ შვამდგომლობითა თვისითა ქრისტესადმი, პატივსცემდით მათ მამობრივთა პატივსცემელთ, გაქვნდესთ სასოება ღმერთსა ზედა და შვამდგომლობასა ზედა თქვენთა სულიერთა მამათასა.

ნუ გარეწარ ექმნებით მოსვლისა ეკლესიად, სადაცა სინანულით შესწირეთ აღსარება გულისა თქვენისა და სადაცა მღვდელი, შემწირველი უსისხლოჲსა მსხვერპლისა[2] შვამდგომელ გექმნებისთ მიტევებისათვის ცოდვათასა ქრისტეს ღმრთისა ჩვენისათა.

განეშორენით ყოველსა დაკრძალულსა ეკლესიისაგან [3] ჩვეულებასა და მეტადრე ღვთის საწინააღმდეგოსა მეუღლეობასა მცირე წლოვანთასა, ვინათგან კეთილთაგან ოდენ მეუღლეობისა წარმოსდგების ქვეყნიერი კეთილი ზეციერითა კურთხევითა, შვილნი და შვილის შვილნი სანუგეშონი იქმნებიან მშობელთა. ხოლო დაკრძალული სჯუ-

---

1 + ლოცვათა. 2 მსხვეპრილისა.

ლისაგან მეუღლეობა მცირე წლოვანთა შთაგაგდებსთ ქალსასა უბედურებასა შინა და რისხვასაცა შინა ღმრთისასა.

ხოლო საცნობელად თქვენდა ვიტყვი: მცირეწლოვანება ბოს უკეთუ ვაჟი არ არს ათთხუთმეტისა და ქალი ათცამეტისა წლისა.

სრულიად დაიმედოვნებული, რომელ შვილნი სამენგრელოჲსანი დაიცვენ ამა ჩემსა დედობრივსა დარიგებასა, [v] რომლისათვისცა თავადნი და აზნაურნი უმეტეს ხალხთა განსწავლულნი სარწმუნოებითა ქრისტესითა მაგალით და შემაგონებელ ექმნებიან მდაბიოთა, მე უკანასკნელ[1] ვალისა და უფლებათამებრ ჩემთა ვაცნობებ საზოგადოდ, რომელ არაყურადმღებელნი და გარდამხთომნი ამა დარიგებისანი ექვემდებარებიან ამიერითგან შემდეგთა კანონთა.

1.* უკეთუ ვინმე აღმოჩნდება არაპატივისმცემელ თვისთა სულიერთა მამათა მრევლის მღვდელთა და ამას დაამტკიცებენ ერთმემრევლენი მისნი, ესევითარს პირველს შენიშნულობაზედ იქმნების [4] გაგზავნილ სასინანულოდ უდაბნოსა შინა ერთის კვირიდამ ერთს თვემდე მიცემითა საზრდოდ პურისა ოდენ და წყლისათა. და უკეთუ კვალადცა არ განიმართა, მაშინ სასჯელი, ესე გაორკეცდების.

2. გარეწარნი წირვის მოსმენისანი კვირას და დღესასწაულსა ზედა დასჯილ იქმნებიან გარდახთევინებითა ყოვლის კვირის და დღესასწაულისათვის თვითოეულისათა აბაზისათა, რომელნიც შეირაცხვიან ეკლესიის სასარგებლოდ. ამა სასჯელისაგან თავისუფალ არიან მხოლოდ იგინი, რომელნიცა [v] დააკლდნენ წირვასა ვითარისამე ცხადისა პატივისცემის მიზეზისა გამო[2].

3. ვინცა ამიერითგან მიუხედველად ეკლესიურისა და სამოქალაქოთა აღკრძალვათა დასწინდავს შვილსა თვისსა მცირეწლოვანთა, ანუ თვით მცირეწლოვანნი დაიწინდვიან და შემდგომად სრულწლოვანობისა მათგანი ვინცა ისურვებს დაუტევებს დაწინდებულსა, მაშინ არავითარი სამოქალაქო დაწესებული სისხლი და საუპატიო და ხარჯი დაგდებულსა არ მიეცემის.

გარნა დასასრულ განვაახლებ იმედსა, რომელ მცხოვრებნი სამენგრელოჲსანი ამიერითგან მოსპობენ ყოველთა ამათ უწესოებათა და არა მიუშვებენ მაიძულებელთა ამა ზომათა აღსასრულებლად.

მმართველა მენგრელიის მთავრისა ეკატერინა დადიანი.

2 თებერვალს 1856 წ.

---

[1] უკანასკვნელ. [2] + და.

* ხელნაწერში მუხლების სათვალავი აღნიშნულია ასო-ციფრებით.

## 824. წერილი ეკატერინე დადიანისა სამეგრელოს უზენაეს სასამართლოს წესის შედგენის შესახებ

**1856 წ. 20 მაისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. რ. ერისთავის ფონდი. № 310. პირი. ფურ. 130.

**უზენაესსა სასამართლოსა სამენგრელოჲასა**

არსებულნი სხვათა და სხვათა დროთა შინა გარდმოცემულნი სასამართლოჲსადმი სახენი მისისა წყობისა და მოქმედებისანი, შემსგავსებისამებრ აწინდელთა გარემოებათა, ითხოვენ აღსებასა რაოდენმე.

მიმღებმან საფუძველად ამისმან, მე შევადგინე აწ სა[v]ჭირონი სახელთმძღვანელოდ სასამართლოჲსა წ ე ს ნ ი, რომელსაცა, ვგზავნი[1] რა ამასთანავე დასაცველად და აღსასრულებლად, მივანდობ უზენაესსა სასამართლოსა ცხადჰყოს იგი საზოგადოდცა.

მმართველა მთავრისა ე კ ა ტ ე რ ი ნ ა დ ა დ ი ა ნ ი.

20 მაისი, 1856 წ.

## 825. წესი უზენაესის სამენგრელოჲს სასამართლოჲსა

**1856 წ. 20 მაისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. რ. ერისთავის პირადი საარქივო ფონდი. 413. პირი. დიდი ფორმატის ორადგაკეცილი ქაღალდი. შეიცავს 16 ფურცელს. ტექსტი დაწერილია შავი მელნით ფურცლის ორივე გვერდზე, ოღონდ პირველ სვეტში, მეორე (მარჯვენა) სვეტი ცარიელია ქართული ტექსტის რუსული თარგმანის ჩასაწერად.

1. განსასჯელად საგანთა კერძოობითთა და ზოგადთაცა და განსასაზღვრებლად მათთა წესთა არს დაწესებულ სამენგრელოსა შინა უზენაესი სასამართლო.

2. საზღვარი უფლებათა სასამართლოჲსათა არა განვალს გარეშე სამენგრელოჲსა.

3. სასამართლო შედგების ერთის მსაჯულთუხუცესისა და ექვსთა მსაჯულთაგან, ხოლო აღმასრულებელად წერისა საქმეთა არიან მუნ მწერალნი: ერთი უფროსი, ორი საშვალ და ორი უმცირესნი.

4. მსაჯულთუხუცესი და მსაჯულნი აღმოირჩევიან, განწესდებიან და დათხოვნილ იქმნებიან დროებით ანუ სრულადცა, ნებითა ერთისა [v] ოდენ მთავრისა.

5. დათხოვნა მათი წარმოსდგების დროებითად საჭიროებისა გამო

[1] ვსგავნი.



რომელთამე მათგანთა, რაჲსათვის მსაჭიროებელ მოახსენებს მთავარს, ხოლო სრულად თანამდებობისაგან, ანუ თხოვნისა გამო ანუ ნებისამებრ მთავრისა.

**6.** მწერალნი განწესდებიან და დათხოვნილ იქმნებიან ბრძანებითა მთავრისათა, ხოლო დროებითად უფლებითა თვით სასამართლოჲსათა.

**7.** მწერლად შესვლისა უფლება აქვსთ: თავადთა, აზნაურთა სამთავროთა, აზნაურთა საეკლესიოთა, აზნაურთა საბატონოთა და ძეთა მღვდელთა და დიაკონთასა.

**8.** აზნაურთა საბატონოთა ძალუძთ შესვლა სამსახურშიდ არა თვინიერ ნებისა თვისისა მებატონეთასა, ხოლო ძეთა სასულიერო პირთასა არა თვინიერ ნებისა ეპარხიისა მთავრო[2]ბისათა, რაჲსათვისცა სასამართლო იმა შემთხვევათა შინა მსურველსა განწესებად სამსახურსა შინა მოსთხოვს წერილობითსა ნებართვასა მებატონისა ანუ სასულიეროჲსა უწყებისსა და შემდგომად გამოითხოვს გადაწყვეტილებას მთავრობისსა.

### ადგილისა, სახლისა და მმართველობისათვის სასამართლოჲსა

**9.** ადგილნი სასამართლოჲსათვის დაწესებულნი არიან ზ უ გ დ ი დ ს და გ ო რ დ ს, ე. ი. მუნ ოდენ, სადაცა იმყოფება მთავარი.

**10.** სახლი სასამართლოჲსა განიყოფების ორ ნაწილად: ერთსა შინა ოთახსა შემკულსა გრძელითა ტაბლითა და დაბურვილითა წითლის მაუდით გარეშემოვლებულით სირმის არშიით და შვიდთა სავარძელთა მიერ სხედან მსაჯულთუხუცესი და მსაჯულნი.

**11.** ამა ტაბლათა ზედა გარდა საწერ კალმისა ჰსძევს მხოლოდ წიგნი სამართლისა, ხოლო ბოლოშიდ სასწორი და ზედა [v] სასწორისა ჯვარი და სასწორი მოოქროვილნი, სასწორნი ნიშნად სიმართლისა, ხოლო ჯვარი მოსახსენებლად ურცხვენელისა განჩინებულისათვის პასუხის გებისა დროსა წარდგომისა ჩვენისასა წინაშე ჯვარისა (სასწორი და ჯვარი წარიგზავნების პირველად მთავრის ხარჯით).

**12.** თავსა ამა ტაბლისასა პირისპირ ჯვარისა ჰზის მსაჯულთუხუცესი, ვითარცა პირველ მოინახე შორის მსაჯულთა, ხოლო მსაჯულნი უსხედან ამას ამიერ და იმიერ, ესრედ რათამცა მარჯვენით უსხედან მას მსაჯულნი: პირველი, მესამე და მეხუთე, ხოლო მარცხნივ — მეორე, მეოთხე და მეექვსე.

**13.** პირველობა, მეორეობა და შემდგომნი შორის მსაჯულთა განისაზღვრების მით, ვინც მათგან უწინ განწესებულ არს მსაჯულად სასამართლოსა შინა.

14. დროსა ადგილის დაცალიერებისა ანუ უქეიფობისა ანუ სხვებრ უმყო[3]ფობისა გამო მსაჯულთუხუცესისა ადგილსა მისსა შეიცავს პირველი მსაჯული და ასრულებს ყოველსა მისსა მოვალეობასა.

15. განყოფილებასა შინა მეორესა, რომელსა შინაცა უნდა ისხდნენ მწერალნი არიან დადგმულნი წესიერად მაუდგარდაფარებული ტაბლა და სკამნი საკმაონი დასასხდომად, მას ზედა საწერელ-კალამნი მწერალთათვის, ხოლო საქმეთათვის დასაცველად განჯინანი.

### დროჲსა და წესისათვის შესვლისა სასამართლოსა შინა

16. შეკრება მსაჯულთა სასამართლოთა შინა და მათგან საქმის წარმოება უნდა იქმნეს დილით რვა საათიდამ თორმეტამდე და საღამოჲთ ოთხითგან ექვსამდე ყოველდღეობით თვინიერ პირველის და უკანასკნელის დიდის მარხვის შვიდეულთა, ბრწყინვალისა კვირიაკისა. დღეთა ჩვენის მაცხოვრისა ამაღლებისა და ფერისცვალებისა, სულის წმინდის მოსვლისასა, წმინდათა მოციქულთა პეტრესა და პავლესი, ყოველად წმინდის ღვთისმშობლის ხარებისა და დაძინებისა და ქრისტეს შობის დღითგან, [v] ვიდრე ნათლისღებამდე, თანასწორვე დღესასწაულსა ჴელმწიფე იმპერატორისა და სამენგრელოჲს მთავრისა.

შენიშვნა: დროდმდე შეკრება კვირათა და სხვათა უქმებთა შინა სასამართლოჲსა პატივისცემისა გამო საქმეთა სიმრავლეთა და ჩვეულებისა გამო საზოგადოჲსა შესაძლებელ არს.

17. მწერალნი უნდა მოვიდნენ ყოველთვის წინეთ მსაჯულთა და გამოვიდოდნენ შემდგომად მათს, ხოლო მსაჯულნი შეკრბებოდნენ წინეთ და გამოვიდოდნენ შემდგომად მსაჯულთუხუცესისა.

18. შესვლა სამსაჯულოსა, ანუ სამწერლოსა ოთახთა შინა ქუდით, ჯოხით, ნაბადით და ჩიბუხით[1] აღიკრძალვის, ვითარცა მსაჯულთა და მსახურთა სასამართლოჲსათა, თანასწორ ზოგად ყოველთა მთხოვნელთა.

19. უსაქმოთ ანუ გარეშეთა საქმეთათვის შესვლა სასამართლოსა შინა და ბა[ა]სი ზოგად ყოველთა აღეკრძალვის. ხოლო უმეტესად ყოველისა მაღალი და უწესო [4] ლაპარაკი, ანუ წაჩხუბება სახლსა შინა სასამართლოჲსასა დაისჯების ზღვევითა გამბედავისაგან ორმეოც და ათი მანეთისა.

ამისთვის სასამართლოსა ჰყავს თვითოეულს დღეს თვითო მოწესე მწერალთაგანი, რომელიცა მოვალე არს, რათამცა დროსა მსაჯულთ

---

1 ჩუბუხით.

ჰსჯად მყოფობისასა იქმნეს მიმომსვლელთაგან დაცულ დადებულნი წესნი კრძალულებათანი.

ხოლო დროსა მათისა მუნ არამყოფობისასა აქვნდეს მეფეთა ბა დაცვისათვის საქმეთა და ყოველთა სასამართლოჲსადმი საკუთვნელთა ნივთთა და თანასწორ სიწმინდისათვისცა სასამართლოჲს სახლისა.

### წესისათვის მიწერ-მოწერისა

**20.** უზენაესი სასამართლო, ვითარცა უპირველესი ადგილი სამთავროსა შინა, მიიღებს ბრძანებას მხოლოდ მთავრისაგან და მიართმევს მას ოდენ მოხსენებასა. ბოქაულთუხუცესსა, სახლთ[v]უხუცესს და შინაყმათუხუცესსა აქვსთ თანასწორი მიწერ-მოწერა. ხოლო ქალაქთუხუცესი, მაზრის მდივანბეგნი და სხვანი ყოველნივე მოხელენი შედიან მას შინა მოხსენებით და მიიღებს მისგან ბრძანებასა, რომელსაცა აღასრულებენ სინამდვილით.

**21.** დროსა საჭიროებისასა სასამართლოსა აქვს უფლება მიწერ-მოწერად ყოველთა გარეშეთა მმართველთა პირთა და ადგილთადმი, გარდა ღუბერნატორისა და უმაღლეს მისსა. და ოდესცა ესე ვითარი საჭიროება წარმოსდგება, თანამდებ არს მოახსენოს მთავარს.

### საგანთათვის სასამართლოჲსათა

**22.** სასამართლოსა შინა შესდიან ვითარცა ითქვა პირველს[1] მუხლსა შინა:

ა. ყოველნი საგანნი ახლად წეს ანუ სჯულსადებელნი.

ბ. ყოველნი საქმენი სადაონი შორის საზოგადოებათა, ანუ კერძოობითთა პირთანი.

გ. ყოველნი საქმენი [5] შესახებნი სარგებელთა ანუ ზიანთადმი[2] სამთავროთა ანუ საეკლესიოთა, რომელთა რიცხვშიდ არიან ძიებანი კერძოთა პირთაგან ყმათა და მამულთა ანუ სხვისა რაჲსამე მთავრისა ანუ ეკლესიისაგან და წინაუკმო ძიებანი მთავრის ანუ ეკლესიის მიერ სხვათაგან რაჲსამე, საქმენი მეძიებელთანი მონებისაგან თავისუფლებისა.

დ. ყოველნი საქმენი ძიებისათვის კმაყოფილებისა, განჭიქებისათვის, ოჯახისა ანუ პირისპირ ვისსამე ერთისაგან მეორისა.

ე. საქმენი სასისხლონი, რომელთათვისცა განეწესების დამნაშა-

---

1. პირველს]ა-ს.
2. ზნიანთადმი.

ვესა მხოლოდ სამოქალაქო ზღვევინება დასაკმაყოფილებლად დაჩაგრულთა.

**3.** საქმენი ქურდობათათვის და საზოგადონი ყოველნი საქმენი სამოქალაქონი.

**23.** სჯასა სასამართლოჲსასა ეკუთვნიან საქმენი იგი უწესოებათათვის მოხთენილთა ყოველთა დადგენილთა მთავრისაგან მოხელეთასა, რომელთა [v] განხილვასა უბრძანებს მთავარი.

**24.** თანასწორვე სასამართლოშიდ შედიან განსახილველად განხილულნი და გარდაწყვეტილნი მაზრისაგან მაზრის მდივანბეგთა და ქალაქთუხუცესისა, რომელთა ზედა შემოვიდა საჩივარი, ანუ სასამართლოსა შინა თვით უკმაყოფილოსაგან და ანუ გარდაეცა მთავრისაგან.

**25.** ოდესცა აღსრულებისათვის განჩინებათა სასამართლოჲსათა შეხვდა ვისმეს ვითარმე სიძნელე, მაშინ აღხსნა და გარდაწყვეტილებისა მიცემა ეკუთვნის სასამართლოსა. და ეგრეთვე სასამართლოსვე ეკუთვნის მსჯულობა საჩივართა გამო დაჩაგრულთასა უსწოროდ აღსრულებისათვის განჩინებისა; და მოქმედებაჲცა ესევითართა აღმასრულებელთა ზოგად ყოველთა მოხელეთა განსჯილ უნდა იქმნეს სასამართლოსა შინა.

**26.** საქმენი მზითეობისა, სყიდვისა, ჩუქებისა, დაგირავებისა, პირობისა და ვალის აღებისანი არიან საგანნი სასამართლოჲსანი განწესებულისა მისდა [6] საზღვარსა შინა უფლებათასა.

**27.** სასამართლოს არა ეკუთვნის განჩინება კაცის მკვლელობათათვის, განჩინება შეურაცხმყოფელთათვის სარწმუნოებისათა, განჩინება მკრეხელთათვის ეკლესიისა და სიწმინდის მპარავთათვის, განჩინება დამნაშავეობასა ზედა სასულიეროთა პირთასა და განჩინება უკანონოთა ქორწინებათათვის. და სხვანიცა შესახებნი სასულიეროჲსადმი მსჯელობისა და განკანონებისა მძიმენი საქმენი.

**28.** თანასწორვე სასამართლო არა მიიღებს თავსა ზედა თვისსა საგანთა აღსასრულებელთა ოდენ, უკეთუ ესევითარნი არა არიან წინეთ განხილულნი და გარდაწყვეტილნი მისგან.

### შემოსავლისათვის საქმეთა სასამართლოსა შინა

**29.** სასამართლოსა შინა შემოდიან საქმენი: **ა.** ბრძანებითა მთავრისათა, **ბ.** მიწერილობითა ბოქაულთუხუცესისა [v] და სახლთუხუცესისათა[1], **გ.** წარმოდგინებითა ქალაქთუხუც[ეს]ისა და მაზრის მდივანბეგთათა, **დ.** წერილობითთა ანუ სიტყვიერთა თხოვნათა გამო

1 სახლთუხუცესისათა] ბოქალთუხუცესისათა.

მცხოვრებთა სამენგრელოჲსათა, და უკანასკნელ განსჯისამებრცა თვით მსაჯულთა სასამართლოჲსათა.

**30.** თანასწორითავე სახით სასამართლო იწყებს საქმეთა განსჯისამებრცა გარეშე მოსაზღვრეთ მმართველობათა ანუ თხოვნათა გამო გარეშეთა მცხოვრებთასა, ოდესცა მოპასუხე არს სამენგრელოსა შინა.

## წყებისათვის საქმეთა სასამართლოსა შინა

**31.** ყოველი ქაღალდი შამოსული სასამართლოსა შინა უნდა წაიკითხებოდეს ზოგად მსაჯულთაგან, შემდგომად აღინიშნებოდეს მას ზედა ხელითა მსაჯულთუხუცესისათა ანუ მისის მოადგილისათა წელი, თვე და რიცხვი, ოდესცა იგი შემოვიდა და გარდაცემისა შემდგომად მისისა სამწერლოსა შინა უნდა ჩაიწერებოდეს რვეულსა შინა, რომელიც [7] ამისათვის აქვს სასამართლოს.

**32.** შემდგომად მიხედვისამებრ საქმისა სასამართლო ანუ მისცემს ვისდაცა ჯერ არს პასუხსა შემოსრულისა ქაღალდისასა და ანუ ხელჰყოფს წყებასა წარმოებისასა.

**33.** ამისა გამო ყოველი პასუხის მისაცემი, გინა სხვებრ გასრული სასამართლოსა ქაღალდი უნდა ჩაიწერებოდეს მეორესა რვეულსა შინა, აღნიშვნითა თვისა, რიცხვისა, ნომრისა და საგნისათა.

**34.** ქაღალდთაგან შემოსრულთა და შავთაგან გასრულთა სასამართლოჲსაგან განკარგულებათასა თითოეულსა საგანსა ზედა შედგების განსაკუთრებული საქმე, რომელიცა ჩაიწერების განსაკუთრებისა სიასა შინა, ჩვენებითა წლისა, თვისა და რიცხვისათა ოდეს დაიწყო საქმე და საგნისა იმა საქმისათა.

## დამტკიცებისათვის საბუთთა

**35.** ყოველი წარმოდგენილი სასამართლოსა შინა საბუთი, რომელიცა გარდადის [v] ერთისაგან მეორისადმი ყმა, ადგილი, მამული ანუ სხვა რაჲმე საცხოვრებელი და ანუ პირობა ურთიერთისა შორის, უნდა იქნეს სასამართლოჲსაგან განხილულ:

ა. აქვს ანუ არა წარმომადგენელსა სიმართლე განსყიდვისა, ჩუქებისა, დაგირავებისა, მიმზითვებისა, პირობის მიცემისა და სხვანი ამასა ზედა, რასაცა იგი სცემს და ბ. არა არს დადებულ წინააღმდეგ კანონისა და ჩვეულებათა მხარისათა.

**36.** ესევითარნი სიგელნი და თანასწორ თამასუქნიცა ვაჭრისანი უსათუოდ უნდა იქმნეს სასამართლოსა შინა წარდგენილ არა სხვას ვისმესგანმე, ვითარ პირისპირ მათგან, ვინცა აძლევს მათ, რომელსაცა

სასამართლო ჩამოართმევს ჩვენებასა, რომელ სიგელნი და თამასუქ-
ნი[1] მის მიერ წარმოდგენილნი ნამდვილ სრულის ნებით მ[illegible]
ცემულ არიან და ყოველსა პასუხისგებასა იღებს თავსა [illegible].

[8] **37.** შემდგომად ამისსა სასამართლო ანუ დაამტკიცებს, უკეთუ ესე არა აღმატების უფლებათა მისთა, ესე იგი სიგელთა ვიდრე ას ორმოცდაათ მანეთამდე, ხოლო თამასუქთა სამას მანეთამდე და ანუ წარუდგენს მას მთავარს მოხსენებითა, რომელ დამტკიცებისადმი მათისა არავითარი კანონით დამაბრკოლებელი მიზეზი არა არიან.

**38.** არავითარისა ფასისა სიგელთა და თამასუქთა[2] არა დაამტკიცებს სასამართლო უკეთუ მიმცემი მათი არა არს: ა. ანუ ძირეული მცხოვრები სამენგრელოჲსა, ბ. ანუ დიდის ხნით მოვაჭრე ამა სამთავროსა შინა, და ანუ სხვებრ მყოფი, რომელსაცა აქვს აქა უძრავი ქონება და დამყარებული ცხოვრება.

**39.** მსგავსადვე სასამართლო არა დაამტკიცებს თამასუქთა[2], ანუ ვისგანმე პირობათა და სიგელთა უმეტეს ას ორმოცდა ათის მანეთისა გაცემულთა მცხოვრებთაგან სამენგრელოჲსათა გარეშეთადმი პირთა თვინიერ მთავრის ნებისა.

**40.** უფლება ყმათ სყიდვისა და სხვებრ შოვნისა ეკუთვნის მხოლოდ თავადთა და აზნაურთა, ხოლო გლეხთა არა.

**41.** ამავ უფლებითა სარგებლობენ სამღვდელონიცა პირნი, ოდესცა იგინი სწარმოებენ წოდებისაგან აზნაურთასა.

**42.** სამთავროთა თავადთა და აზნაურთა თვინიერ მთავრისა და აზნაურთა საბატონოთა თვინიერ ნებართვისა თვისთა მებატონეთასა გასყიდვა და გაცემა ყმათა და ადგილ-მამულთა არა ძალუძსთ.

**43.** გარდა ყმათა, სყიდვა ადგილ-მამულთა და სხვათა ყოველთავე ძალუძთ გლეხთაცა.

**44.** ვინაჲდგან გლეხთაგანთა სამღვდელოთა და გლეხთაცა ძველის დროჲთგან ყვანან აქა ყმანი, ამისთვის იგინი შთებიან დროდმდე მათსა შინა მფლო[9]ბელობასა და გადადიან მემკვიდრეთადმიცა გასყიდვა, გაჩუქება და დაგირავება და სხვებრ გაცემა თვისთა ყმათა, თუმცაღა აქვსთ მათ უფლება, გარნა არა თვინიერ მთავრის ნებისა, ხოლო საბატონოთა — თვისთა მებატონეთასა.

**45.** ზოგად გაცემა ყმათა გარეშე სამენგრელოჲს სამთავროჲსა თვინიერ ნებართვისა არავის ძალუძს.

**46.** ჩასაწერად ესევითართა სიგელთა არს სასამართლოსა შინა რვეული დაზორნილი და მთავრის ბეჭდითა აღბეჭდილი, რომელთა შინა სიტყვითი სიტყვად ჩაიწერების სიგელნი და თამასუქნი და და-

---

[1] თემესუქნი. [2] თამასუკთა.

მტკიცების შემდგომად სასამართლოსაგან ხელმოწერითა მსაჯულთათა მიუბრუნდების წარმომადგენელსა, რომელიცა მასვე რიცხვს [illegible] სა შინა, მოაწერს ხელს მიღებისათვის დამტკიცებულის სიტყვისა.

47. ყოველთა ესევითართა და მსგავსთა [v] მძიმეთა შემთხვევათა შინა, ოდესცა თვით სიგელისა მიმცემმან არა იცის წიგნი და წერა, უნდა წარუდგინოს მან სასამართლოს სხვა ჯელის მომწერი და აღიაროს, რომელ მან არწმუნა მას ხელის მოწერაჲ თვისდა ნაცვლად.

### განხილვისა და გარდაწყვეტილებისათვის თითოეულთა საგანთა სასამართლოჲსათა

48. ოდესცა სასამართლოსა წინა დაუდვა მთავრისაგან ანუ სხვებრ წარმოუდგა ვითარიმე საგანი, რომელიცა ითხოვს განხილვასა და ახლად წესსა ანუ კანონთა დადებასა და ანუ არს იგი შესახებ საზოგადოჲსა სარგებლობისა და ზიანისა[1], მაშინ მიხედვისამებრ ამა საგანთ სიმძიმისა ანუ თვით ხელჰყოფს მსჯელობას და ანუ გარდა მსაჯულთაცა მოუწოდს ხარისხოვანთა და პატივსაცემთა გამოცდილებითა და გონიერებითა პირთა და საზოგადოსა მათთანა შეკრებილებასა, დასდებს ჰაზრსა თვისსა, რომელსაცა წარუდგენს იგი დასამტკიცებლად [10] მთავარსა. ხოლო მოქცევისა შემდგომად მისისა უგანაოლებულესობისაგან, ანუ დამტკიცებულად და ანუ ცვალებითად სასამართლო მოიყვანს აღსრულებასა შინა და ექმნების მას ხელსამძღვანელოდ სხვათაცა მსგავსთა შემთხვევათა შინა.

49. ესევითართა შემთხვევათა შინა, ოდესცა მოწოდებულ იქმნებიან ხარისხოვანნი პირნი, მაშინ პირველსა ადგილსა იპყრობს მსაჯულთუხუცესი, მარჯვენით მისსა ზის ბოქაულთუხუცესი, მარცხნით სახლთუხუცესი, შემდგომად შინაყმათუხუცესი და შემდგომად რიგისაებრ მსაჯულნი სასამართლოჲსანი და მათსა შემდგომად მოწოდებულნი გარეშენი თავადნი და აზნაურნი.

### განრჩევისათვის სადეოთა საგანთა

50. ყოველი წერილობითი თხოვნა უნდა იქმნეს მიცემულ სახელსა ზედა უზენაესის სამენგრელოჲს სასამართლოჲსასა.

[v] 51. მცხოვრებთა ნება აქვსთ სიტყვიერადცა განუცხადონ სასამართლოსა თავისი საჩივარი.

52. მოსმენისაებრ ამ თხოვნათა ანუ საჩივართა, სასამართლო დაუყოვნებლად ხელჰყოფს წარმოებასა მისსა მოთხოვნითა წერილობით ანუ სიტყვიერადცა მოპასუხისაგან პასუხისათა.

---

1 ზნიანისა.

**53.** გარნა უკეთუ მოპასუხე არა არს მუნ, მაშინ იგი მოითხოვეს მას საშვალობითა ადგილობითის მაზრის მდივანბეგისა ანუ ქალაქის გამგისათა, რომელიცა გამოუცხადებს რა მოპასუხესა ბრძანებასა სამართლოჲსასა დაბარებისათვის მისისა ამა და ამ საქმისათვის მას და ეგრეთვე მომჩივანსაცა, დაუდებს ბორჯას, ოდესცა იგინი თანამდებ არიან განაცხადდენ სასამართლოშიდ, ჩამოართმევს ორთავ ერთად ხელწერილს და ესე ვითარს წარგზავნის სასამართლოსა შინა.

**[11] 54.** ვინცა დადებულს ბორჯზედ სასამართლოშიდ არა გამოცხადდება, პირველად გარდახდება მას ჯარიმა ერთი თუმანი, მეორედ ორი და მესამედ სრულიად დაკარგავს სიმართლესა თვისსა სადეოსა შინა საქმესა.

**55.** მიზეზნი მისაღებნი პატივსდებასა შინა დამაბრკოლებელად სასამართლოშიდ გამოცხადებისა არიან: ჭორწილ და ნათვლა თვისსა შინა ოჯახსა და უმახლობელისასა ნათესავისა მისისა, ავადმყოფობა თავისი, მძიმე უქეიფობა და სიკვდილი ოჯახეულთა მისთა, სიკვდილი მახლობელთა ნათესავთა, მემირონეთა ანუ სხვებრ დაახლოვებულთა მეგობართა და მეზობელთა, რომელთა ტირილს აწვევს ქვეყნის ჩვეულებას, თოვლისაგან, ანუ წყლის გადიდებისაგან გზის შეკვრა და მსგავსნი მძიმენი რაჲმე ესევითარნი.

**[v] 56.** ოდესცა ძიება შეეხების სამთავროსა ანუ საეკლესიოსა საკუთრებათა, მაშინ საქმისადმი მოიწოდებიან სახლთუხუცესი მთავრისა ანუ დეპუტატი სასულიეროს მხრით.

**57.** ესრეთ ოდესცა წარმოსდგებიან სასამართლოსა შინა მომჩივან-მოპასუხენი, მაშინ ჩამორთმევისა შემდგომად ორთა მხარეთაგან პასუხებთა და საბუთთა სასამართლო შეკრებს ცნობასა ფასისათვის და საზღვრისათვის საძიებელისა საგნისათა, შეადგენს აღწერასა მათის საქმის საგნისასა და გამოუცხადებს მათ ორთა მხარეთა ხელმოწერითა, რომელ გარდა აღწერილთა ამას შინა არავითარი პასუხი და საბუთნი შესახებელად ამა საქმისა მათ არა აქვსთ.

### ბრძანება მთავრისა

**58.** ხოლო ოდესცა მოდავეთა პასუხნი [12] და წარმოდგენილნი მათ მიერ წერილობითი სახენი არასაკმაოდ აღხსნიან საგანსა სადაოსა და ამის გამო საჭიროდ ჰპოებს სასამართლო, მაშინ შეუდგენს მას გამოძიებასა კითხვითა დანიშნულთა ორთავ მხარეთა თანხმობითა მოწამეთათა რაჲსათვის მიხედვისამებრ საქმისა სიმძიმისა და სიმცირისა გამოძიებასა ამას მოანდობს ანუ მაზრის მდივანბეგს, ანუ თვისსა ერთსა ანუ ორსა და სამსა მსაჯულთა და ანუ უკანასკნელ ჰყოფს ესევითარსა ძიებასა თვით მრთელითა მსაჯულთ შეკრებითა.

**59.** წარგზავნისათვის სადმე ესევითართა და მსგავსთა საჭიროებათათვის მსაჯულთა, სასამართლო მოახსენებს მთავარს.

**60.** შემდგომად ამისა სასამართლო ხელჰყოფს ჰსჯასა და გარდაწყვეტასა საქმისასა, რომლისათვისცა ხმარობს კა[V]ნონთა საქართველოჲს მ ე ფ ი ს ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ა თ ა და სახელთმძღვანელოთა ბრძანებათა მთავრისათა.

**61.** განხილვა საქმეთა და განჩინებისა შედგენა უნდა იქმნეს მუნ მხოლოდ, სადაცა არს დაწესებული სასამართლოს ადგილნი და არა სხვაგან და ერთმეინახეობასა შინა ყოველთა მყოფთა სასამართლოსა შინა მსაჯულთასა.

და ოდესცა რომელნიმე მსაჯულნი საქმისა გამო ანუ სხვებრ არა იქმნენ ერთად, მაშინცა არა ნაკლებ სამისა მაინც მსაჯულისა (რომელთა რიცხვშიდ მსაჯულთუხუცესიცა).

### ბრძანება მთავრისა

**62.** გარნა ვინათგან ჩვეულებისამებრ მხარისა დროსა სასამართლოჲს მსაჯულთა სოფლად მყოფობისასა შეხვთებათ განსარჩეველად რომელიმე საქმე, მაშინ ერთი ანუ ორი და სამი მსაჯული მოისმენს საჩივარსა და პასუხსა შეუდგენს გამო[13]წერილობასა საქმისასა, მოაწერინებს მაზედ ორთავე მხარეთა ხელს (მსგავსად მუხლისა იმავე ბრძანებისა) და ერთად ჰაზრითა თვისითა ანუ თვინიერ ჰაზრისათა წარადგენს სასამართლოსა შინა, რომელიცა განიხილავს რა, ანუ დაამტკიცებს წარდგენილსა ჰაზრსა და ანუ დასდებს ახალსა განჩინებასა და მოიქცევის ვითარცა ითქმის ქვემო.

**63.** ესე ვითარისავე წესითა მოიქცევის სასამართლო ოდესცა განჩინება მაზრის მდივანბეგისა ანუ ქალაქთუხუცესისა შევიდა მას შინა განსახილველად უყაბულობისა გამო რომელიმე მხარისა.

**64.** შეადგენს რა გარდაწყვეტილებასა თვისსა საზოგადოჲსა მსაჯულთაგან თანხმობითა და მათ მიერ ხელის მოწერითა სასამართლო ესევითარსა განჩინებასა პირველად ჩასწერს რვეულსა შინა ამისთვის მუნ ქონებულსა [V] და მოაწერენ ყოველნი მას ზედა ხელსა და შემდგომად გამოუცხადებს ორთავ მხარეთა და ნებას მისცემს განუცხადონ მას ზედა ყაბული ანუ უყაბულობა.

### ბრძანება მთავრისა

**65.** მოსარჩლეთა ნება აქვსთ განსაჯონ დაბოლავება საქმისა მათისა და ყაბული ანუ უყაბულობა განაცხადონ განმავლობასა შინა ოცდაოთხის საათისა.

**66.** არა გამომცხადებელი ყაბულობისა ანუ უყაბულობისა განმავლობასა შინა ამა ბორჯისასა კარგავს სიმართლესა თვისსა, მაშასადამე, არა ძალუძს ითხოვოს დარღვევა სასამართლოჲს განჩინებისა, რომელიცა მაშინ და თანასწორ ოდესცა ორნივ მხარენი განაცხადებენ უკმაყოფილებასა, უნდა მოყვანილ იქმნას სრულსა თვისსა ძალასა შინა საშვალობითა ადგილობითის მაზრის მდივანბეგისა ანუ ქალაქთგანმგისათა, რომელიცა აღსრულებისთვის მოახსენებს თვის დროზედ სასამართლოსა.

[14] **67.** ხოლო ოდესცა ერთმა მოდავეთაგანმა ანუ ორთავ განაცხადონ უყაბულობა წარმოდგენითა ჯარიმის ათის მანეთისათა, მაშინ სასამართლო მისცემს უყაბულო მხარეს პირს თვისსა განჩინებისასა ხელის მოწერითა ერთის მსაჯულთაგანისა და გამოუცხადებს, რათამცა განმავლობასა შინა დღიდგან განჩინების პირის მიღებისა ოცდაათის დღისასა შემოიტანოს დამარღვეველი განჩინებისა თხოვნა, რომელსაცა ერთად განჩინებითურთ სასამართლო წარუდგენს მთავარს.

## ბრძანება მთავრისა

**68.** დამტკიცება ცვალება ანუ ახალისადმი განჩინებისა უკუნჭცევა სასამართლოჲს განწესებისა არის დამოკიდებულ ნებასა ზედა მთავრისასა.

**69.** განჩინებანი შესახებთა საქმეთა საკუთრებათადმი მთავრისა და [V] ეკლესიისა უნდა გამოუცხადონ სახლთუხუცესსა მთავრისასა და დეპუტატსა სასულიეროთ მხრით, რომელნიცა მოვალე არიან განაცხადონ ყაბული ანუ უყაბულობა.

**70.** უკეთუ ძალითა ამ განჩინებათათა ჩამოერთვა რაჲმე სამთავროსა ანუ საეკლესიოსა უწყებასა სასარგებლოდ სხვისა, მაშინ განჩინება უნდა იქმნეს წარდგენილი მთავრისადმი იმ შემთხვევასაცა შინა უკეთუ სახლთუხუცესმან და დეპუტატმან სასულიეროთმან განაცხადონცა კმაყოფილება, ხოლო უკეთუ არა, მაშინ წარუდგენელადცა მთავრისადმი განჩინებისა მოიყვანოს სასამართლომ აღსრულებასა შინა.

**71.** მიმღები მთავრისაგან გარდაწყვეტილებისა სასამართლო ჰყოფს განკარგულებას აღსრულებისათვის მისისა სინანდვილით.

**72.** დარღვევად სასამართლოს განჩინებისა[1] [15] არა აქვს არა-

---

[1] + განჩინებისა.

ვითარი უფლება არავის არცაღა[1] თვით სასამართლოს, გარდა ერთის ოდენ მთავრისა.

**73.** სასამართლოსა აქვს მხედველობა, რათამცა განჩინებანი და ზოგად ყოველი განკარგულება წარგზავნილი მის მიერ აღსასრულებლად მაზრის მდივანბეგისადმი ანუ ქალაქთუხუცესისადმი არა იქმნენ მიგდებულ მყოფარ ჟამ აღუსრულებლად, და ამისთვის ოდესცა იძულება მიღებული მისის მხრით ვერა მისწვთება ჯეროანსა ნამყოფსა, მაშინ აცნობებს იგი ბოქაულთუხუცესს და მოითხოვს მისგან მიღებასა ზომათასა.

### დაწესება ბოქაულთუხუცესისათვის მუხლისა*

**74.** უკეთუ მხარისაგანცა ბოქაულთუხუცესისა დაყოვნება აღსრულდება, მაშინ სასამართლო მოახსენებს მთავარსა.

### სარგებლობისათვის მსაჯულთა სასამართლოჲსათა

[v] **75.** მსაჯულნი სასამართლოსანი მიიღებენ სარგებლობასა გარდაწყვეტილთა მათ მიერ საქმეთათვის ოცისთავსა მისსა, რათაცა ღირს სადეო საგანი.

**76.** ნახევარი ჯარიმის ფული, რომელიცა წარმოადგინა უყაბულმან მხარემან და განხილვისა შემდგომად მთავრისაგან განჩინება სასამართლოჲსა დამტკიცდა, ეკუთვნისთ მათ, ხოლო მეორე ნახევარი დაცულ არს საჭიროებისათვის სასამართლოჲს სახლისათა.

**77.** დამტკიცებულთაგან უზენაესსა სასამართლოსა შინა სიგელთა, რომელთაცა რაჲმე ყმა და მამული გარდადის ერთისაგან მეორისადმი, სასამართლო მიიღებს ოცისთავსა და ესეცა ნახევარი შთების სასარგებლოდ სასამართლოს საჭიროებათა, ხოლო მეორე ნახევარი მსაჯულთათვის.

**78.** დამტკიცებისათვის პირობის წერილითა და ვასხებითთა ბარათთასა მიიღების ორმოცდა ათის თავი და ესეცა განიყოფის ორად, ვითარცა ითქვა ზემო 77 მუხლსა შინა.

### განწილადებისათვის შემოსრულთა სარგებლობათა შორის მსაჯულთა

**79.** ყოველი საბჭო ჯარიმა და დასამტკიცებელი ფული ექვემდებარების განაწილებასა ესრეთ, რათამცა ნახევარი მხოლოდ საბჭოჲსაგან დაუშთეს სასარგებლოდ მსაჯულთუხუცესისათა, ხოლო ნახევარი

[1] + თუ.

* ბოქაულთუხუცესის განწესება იხ. აქვე, საბ. № 810.

საბჭოჲსა; და სხვა ყოველივე განიყონ თანასწორად ზოგად, ვითარცა ყოველთა განჩინებისა ხელის მომწერთა მსაჯულთა თანასწორვე მათცა, ვინცა საქმისათვის წარგზავნილ არს სადმე მთავრის ანუ სასაჯულო მართლოჲსაგან.

80. მწერალნი სასამართლოჲსანი იღებენ მოდავეთაგან ათისთავს მისსა, რაოდენიცა ზემოჲსა განწესებისამებრ ერგებათ ზოგად მსაჯულთა.

81. გარდამწერალნი მთხოვნელთათვის სასამართლოჲს განჩინების პირისანი თანამდებ არიან კმა იქმნენ თითო მთელის თაბახისათვის თითო აბაზი.

[v] 82. ამა შემოსავალთაგან მესამედსა მიიღებს უმთავრესი მწერალი, ხოლო დანაშთენსა განინაწილებენ თანასწორ სხვანი ოთხნი.

ნანდვილსა ზედა ხელმოწერილ არს: მმართველა მთავრინა მენგრელიისა ეკატერინა დადიანი.

20 მაისს, 1856 წელსა.

## კერძო-სამართლებრივი აქტები

### 826. ნავენაჯობის ნასყიდობის დაწერილი ანდრია დეკანოზისა დემეტრე წითლისძისადმი

**1413 წ. 12 მაისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 1358 ბ. დედანი. ეტრატის გრაგნილი. 57×19 სმ. დაზიანებული. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამწერტილი. საბუთი მიწერილია გრაგნილის ზურგზე. წინა გვერდზე დაწერილია სხვა საბუთი. ღვთისმეტყველური შესავალი გამოვტოვეთ.

...ესე დაწერილი დაგიწერე მე, დეკანოზმა ანდრია და მოამავალთა სახლისა ჩემისათა შენ, წითლისძესა დემეტრასა და შენთა შვილთა ვარდუასა და ვაროზასა და მომავალთა სახლისა შენისათა.

მე, ანდრია ვიყიდე ნავენაჯობი ერთი მონასელიძისაგან. დამეჭირა, სხუა ღონე აღარა მქონდა და მე შენ მოგყიდე წითლისძეს დემეტრასა შენისავე ვენაჯისა გაპირისპირებით' შარას იქით ერთი ნავენაჯობი ნიშნად ერთი საწ[ი]სჭუილეცა ყოფილიყო შიგა და ერთი საბზელ-კალო. ყუელაი შენ მოგყიდე და ავიღე ფასი სრული რაოდენიცა კაცთა თქუეს და ჩუენ შევჯერდით.

აწ ამისნი მოწამენი არიან: მონასელიძე გიორგი, ბასი-

ლისძე ნაცვალა, დედაშვილი ნადირა, დეკანოზი ალაპი (sic).

დაიწერა სიგელი ესე ქორონიკონსა რა, მაისსა აფრილსა მე, იოვანეს დამიწერია და მოწამეცა ვარ.

## 827. სავენახეს ნასყიდობის წიგნი დიმიტრი მეფისა დარიგეგაშვილეგისადმი

**1445 წ.**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10402. პირი. გადაწერილი მხედრული ხელით XIX ს. დამდეგს.

ქ. ჩვენ, მეფეთა მეფისა ალექსანდრეს ძემან, მეფემან დიმიტრი ესე ნასყიდობის სიგელი ამისად ნიშნად გიბოძეთ თქუენ დარიგეგაშვილთა ზაქარიას და დავითს, შენსა შვილსა ბარლსა მას ჟამსა, როდის მოხვედით წინაშე ჩვენსა და გუეაჯენით, რითამაც მეფისა ზურისა თავსა მიწა თქუენთვის მოგვეყიდნა.

ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და მოგყიდეთ ქალაქს მეფის ზურისა თავს მიწა სავენახე კლდე ქვეით ქვემო სრიმდის (sic) წყაროთურთ ჯევს გალმა და გამოღმა და ავიღეთ თქუენგან ფასი სრული რითაც შეგჯერდებოდი.

გიბედნიეროს ღმერთმან თქუენ და თქუენდა შვილთა და შვილისშვილთა და მომავალთა ყოველთავე სახლისა თქუენისათა ყოველისა ადამისა ნათესავისა კაცისავან უცილებლად, არავის რა საქმე უც თქუენს გვერდის. ვინაც და რაცა კაცი მოგესარჩლოს პირსა და პასუხის გამცემი ჩვენა ვართ.

დაიწერა სიგელი ესე ქორონიკონს რლგ, თვესა აგვისტოსა კვ.

ჯელჩართული არს მეფე დიმიტრი.
ნამდვილსა თანა სწორ არის არხიმანდრიტი ელევთერ.

## 828. წყალობის წიგნი ბატონ გარათასი ბუჭულაშვილებისადმი

**1461 წ. 17 იანვარი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14858. დედანი. ქაღალდი. 32,5×14,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამწერტილი. ღვთისმეტყველური შესავალი და კრულობითი ნაწილი გამოტოვეთ.

... ესე წიგნი დაგიწერე და გიბოძეთ მე, ბატონმან ბარ[ა]თამან, მეუღლემან ჩუენმან თინათინ, შვილთა ჩუენთა დავით

და გერმანოზ, შენ, ჩუ[ე]ნსა ერთგულსა ყმასა ბუქდულა-შვილსა თევდორეს და ნავროზს, მომავალთა შენთა.

მოგეცით ნაქურდევი მისითა მზღვრითა, თეთ[illegible]-აქათითა და მისითა სახოვითა, დიდსა წლევსა ქუეთი, ურთხ-ნალსა ქუეშეთით, უძებრითა და საძებრითა, ყოველითა მისითა მთითა და ბარითა, ყოვლითა[1] არა შეგეცვალოს.

ვინცა შეგიცვალოს... წყევა.

დამამტკიცებელნი ღმერთმან აკურთხნეს. ამინ.

დაიწერა იანვარსა ათჩუიდმეტსა ქრონიკონსა ას ორმოცდა ცხრა-სა მეფობისა დიდისა ალექსანდრესა.

ზურგზე: „ქ. ნაქურდევის [წყალობის] წიგნი. ბუქდულასშვილისათვის წყალობა უქნიათ".

## 829. ანდერძის წიგნი მამისა მეჯინიბეთუხუცესისა ძმისწულ ზაქარიასადმი

**1477 წ.**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 1354. დედანი. ეტრატის გრაგნილი. შედგება ორი კეფისაგან. პირველი კეფის ზომა 30,5×18,4 სმ. მეორესი 33×19. კეფე-ბი ერთიმეორეზე გადაკერებულია წითელი ძაფით. პირველი კეფი თავში და-ზიანებულია. ორივე კუთხე და ორივე აშია უსწორმასწოროდ ჩამოხეულია. შუაშიაც აქა-იქ ჩრჩილისაგან გამოჭმულია. II კეფის აშიებიც ალაგ-ალაგ ჩა-მოგლეჯილია. მელანი გაფერმკრთალებულია, ზოგან ტექსტი გადასულია და არ იკითხება. დაწერილია ლამაზი მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი. თავში შავი მელნით: „გა-დაწერილია მღ. პ. კარბელაშვილი". გამოქვეყნებულია: „საქართველოს სი-ძველენი", ტ. III, დამატება, 1926, გვ. 16—18. თავის დროზე ე. თაყაი-შვილის მიერ წაკითხული სიტყვებიც ამჟამად თითქმის აღარ ირჩევა. საბუთის ბოლო ნაწილს გამოცემის მიხედვით ვბეჭდავთ.

ქ. სახელითა ღმრთისა[2], სამგუამოვნად ცნობილისა, ერთარსებისა, ერთუფლებისა და [ერთ] ღმრთაებისა[3] ღმრთისა[2] მამისა, ღმრთისა[2] ძი-სა და ღმრთისა[2] სულის წმიდისა[თა].

თავსმდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა ყოვლად[4] წმი-დისა[5] [უხრწ]ნელისა უმეტეს კურთხეულისა დედოფლისა ჩუ[ენი]სა ღმრთის[6] მშობელისა და მარადის ქალწულისა, მარიამისითა.

ძლიერებითა ცხოველსმყოფელისა და [პა]ტიოს[ნისა]* ჯუარისა, ძელისა ცხორებისათა.

---

[1] ყოვლათა. [2] ღ˜თისა. [3] ღ˜თეებისა. [4] ყ˜ღ. [5] წ˜ისა. [6] ღ˜თის.

* აქ ეტრატი ამოგლეჯილია.

ოხ[ით]ა და შუამდგომელობითა წმიდათ[ა და ზ]*ეცისა ძალთა ანგელოზთა და მთავარანგელოზთა მიქაელ [და] გაბრიელისათა.

თანამოქმედება-მდგომარეობითა წმიდისა[5] და ყოველთა ნა[შვთა უზენაესისა წინასწარმეტყუელისა, წინამ[ო]ძღუარსა და ნათლისმცემელისა იოანესითა[7] და წმიდისა[5] იოანე[8] მახარებელისა და ღმრთის[6] მეტყუელისათა.

თავსმდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობითა წმიდათა[9] [თავთა] მოციქულთა [პეტრეს და პავლესითა], ათორთა მოციქულთა და სამოცდაათეულთა ქრისტეს[10] მოწაფეთათა.

თავსმდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა წმიდათა[9] მოწამეთა გიორგი[11], თევდორე[12], დიმიტრი, პროკოპი და პანტელეიმონისითა და წმიდათა[9] ქალწულ-მოწამეთა თეკლა, ეკატირინა, ირინა, მარინა და ბარბარესითა და ყოველთა ქრისტესთუის წამებულთა, რომელთა დასთხივნეს სისხლნი მათნი და სისხლითა დათხევითა გუირგუი[ნოს]*ან იქმნნეს.

ოხითა და შუამდ[გო]მელობითა წმიდათა წინასწარმეტყუელთა, მღრდელთმოძღუართა მოწამეთა და ნეტართა მამათათა და ყოველთა ღმრთისა წმიდათა ზეცისა და ქუეყანისათა, რომელნი საუკუნითგან სათნო ეყუნეს უფალსა ჩუენსა იესოს ქრისტესა** და კულადცა სათნოყოფად არიან;

და ყოველთა ჩრდილოეთისა***, კედართა შორის უალრეს უზენაესისა კათოლიკე დედაქალაქისა მცხეთისა საყდრისა და მუნ შინა ღმრთივ[13] აღმართებულისა სუეტისა ცხოველისა, კუართისა სამეუფოსა, და მირონისა ღმერთ-მყოფელისათა[14].

ამათ ყოველთა ღმრთისა[2] წმიდათა[9] თავსმდებობითა და შუამდგომელობითა მე, ყოველთა კაცთა უნარჩევესმან მ ა მ ი ს მ ა ნ ესე უკუნისამდე ჟამთა გასათავებელი ა ნ დ ე რ ძ ი ს ა წ ი გ ნ ი მოგეც შენ, ჩემსა ძმისწულსა ზ ა ქ ა რ ი ა ს, კითხვითა და დამოწმებითა წმიდისა მეუფისა კათალიკოზისა[15] დ ა ვ ი თ ი ს ა თ ა და ყოველთა ჩემთა უფროსთა მცხეთისშვილთათა. მას ჟამსა ოდეს ცოდვათა ჩემთა სიმრავლისაგან უშვილოდ დავრჩი და ჩემი კერძი შვილიერობა დასრულდა.

ამასწინათცა ერთსახლნი და გაუყოფელნი ვიყვენით და აწცა ისრევე დავაგდე ჩემი სახლი და მამული, ასრე რომე, რაცა საყდრისა და

---

7 ი~ესითა. 8 ი~ე. 9 წ~თა. 10 ქ~ს. 11 გ~გი. 12 თ~ე. 13 ღ~თივ. 14 ღ~თ მყოფელისათა. 15 კ~ზისა.

* აქ ეტრატი ამოგლეჯილია.

** აქ მთავრდება პირველი კეფი.

*** „ჩრდილოეთისა“ ორჯერ დაუწერია და შემდეგ მელნით წაუშლია.

კათალიკოზთაგან წყალობა გუჰირდა და მამული მჭონდა, ყუალა ჩუენთუის სამკუიდროდ ბოძებული იყო და მამულიცა ერთი და გაუყოფელი იყო, აწ იმავე წესითა გაუყოფლად მე დავაგდე და მოგეც შენი და ჩემი კერძი ორივე ასრე და ამა წესითა:

რაცა სამცხეთისშვილო წილი და საძმო ჩუენსა სახლსა მოხდომია. იმავე წესითა მოგხუდებოდეს

მცხეთას რაცა სახლი და მამული არის, იგი უკლებად გჭონდეს;

კარსანს გლეხნი სამნი ღუინიასშვილი, სოლომონას შვილნი და მი[ხითარ]ასშვილი მათითა მამულითა;

ჯუარს ესემბუღასშვილი მისითა მამ[ულითა;

და ძა]გნა კორნათა [შალვია]სშვილი, ხუტლიასშვილი;

და სარუე ახატანს ვენაჯი სულიაური.

[და] სოფელი ხატისწობენი მისითა შესავლითა და გამო-[სავლითა], მით წესითა, [რა]გუარაცა [სა]ყრისა კათალიკოზთა[16] და მეფეთაგან ს[ამკუი]დროდ ბოძებული არის.

ესე ასრე გაგითავდეს და არა[ვინ დაგაცილოს], რაგუარაცა არავინ გემართლების [და] რაგუარაცა სხუასა არავის მართებს ესე ჩუენი მამული და მონაგები, აგრე[ვე] ვერავინ მოგიშალოს შენ ჩემსა ძმასა ზაქარიას და შენთა შვილთა და მომავალთა ყოველთავე.

და ვინცა ეს ჩემი ნაღუაწი და ანდერძი მოგიშალოს და შეგიცვალოს, შე-მცა-იცვლების სჯულისაგან ქრისტიანეთასა;

რისხავსმცა დაუსაბამო ღმერთი[17] მამა ძე და სული წმიდა, ყოველნი წმიდანი ღმრთისანი[18] ზეცისა და ქუეყანისანი;

კრულმცა არს ცათა შინა [და ქუეყანასა] ზედა და ნურათამცა სინანულითა იქმნების ჯსნა სულისა მისისა [და ჩემთამცა] ცოდვათა და ბრალთა მზღველი არს წინაშე ღმრთისა.

[და ვინ] და[ა]მტკიცოთ, ღმერთმან* [ყოვ]ელი გაგებული მისი** მტკიცე იყოს.

ამისნი მოწამენი არ[იან]... ჯუარის მტუირთველი(?) იოანე[8](?) გი(?) ბირახუასძე(?) ვირშელი(?) გი(?) და სულთა მამა(?) ანთაჯუისძე(?) ნუგზარ, ცოცხასძე კახა, მთვარასძე ამირინდო, კუირილესშვილი დიმიტრი, დეკა-

---

16 კ˘ზთა. 17 ღ˘თი. 18 ღ˘თისანი.

* აქ ეტრატი ამოგლეჯილია. იკითხება ასო „ღ“ ჭარაგმით.

** აქ იწყება გრაგნილის ზურგი, რომელზეც ტექსტი ალაგ-ალაგ გადასულია და არ იკითხება.

ნოზი იორდანე, გაბრიელისშვილი ბადრი და ერთსულობით(?) მცხეთის შვილნი.

დაიწერა ჭრონიკონსა რ სამოცდახუთს კელითა(?) ფრიად(?) ცოდვილისა მახარებლისათა. მოწამეცა არს. †

## 830. მამულის ნასყიდობის წიგნი ნიკოლოზ პალატისშვილისა გოგიტა არდაშელისშვილისადმი

**1477 წ. 4 ივლისი**

„დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან“, I, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1940, საბუთი № 4.

ქ. სახელითა ღუთისაჲთა... ეს მტკიცე ნასყიდობისა სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩუენ, პალატის-შვილთა ნიკოლოზ, ზა[ა]ლ, აეთანდილ, ბეშქენ, დემეტრე და შვილთა ჩუენთა რამინ, ერანგი, და ჯანგიშერ, და ზავრან და შვილისშვილთა და მომავალთა გუარისა ჩუენისათა ყოველთავე თქუენ, არდაშერას-შვილს გოგიტ[ა]ს და შენთა შვილთა ლაგაურს და პაპიასა და შენთა შვილისშვილთა მამულასა, შალვას და მამაგულას.

მოგყიდეთ ჩუენი მკუიდრი მამული კრწანისა ველაჯი, შენგანვე აშენებული. ყოვლისა კაცისაგან მოუდევარი და მოუსარჩელი მისითა წყლითა, რა გუარაცა ამას წინათ ჰქონებია, მისითა გზითა და მისითა სამზღურითა გოსალას-შვილისა და გრიგოლასა და ლიტრასა ველაჯსა შუა, გზას ქუეით. და ავიღეთ ფასი სრული და უკლები, რათაცა გული ჩუენი შესჯერებოდა და მისი ფასი საყდარსა მოვახმარეთ.

გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან; როგორაცა თქუენგან მკუიდრსა წასყიდსა მამულსა მართებს, აგრე ვერავინ დაგვეცილოს. და თუ ვინმე მცილე და მოსარჩელე გამოჩნდეს, პირისა და პასუხის გამცემნი ჩუენ ერთობით პალატის-შვილნი ვიყუენეთ.

ვინცა და რამანცა გვარისა კაცმან, ანუ ჩუენისა გუარისა კაცმან, ანუ სხვისა გუარისა კაცმან შეგიცვალოს... წყევა.

დამამტკიცებელნი და გამთავებელნი ღმერთმან აკურთხნეს. ამინ.

დაიწერა ჟამსა მეფეთ-მეფისა ბაგრატისა, და ჭრონიკონსა **რნიე**, თვესა ივლის[ს]ა **დ**, კელითა მიწა იოვანე ხუცისათა.

††† ჩუენ, ავთანდილ, ბეშქენ, დეემეტრე ამისნი გამთავებელნი ვართ.

მე, ფილიპე ხუცესი მოწამე ვარ. †

ჩუენ, დარჩიბეგის-შვილი დავით და მათეს-შვილი მახარებელი და თევდორეს-შვილი ბასილი ამა მამული[ს] დამფასებელნი ვიყუენით და მოწამენიცა ვართ.

†††.

ჩუენ, გოსალას-შვილი ნიკოლოზა და ბადრიას-შვილი გრიგოლა და ლიტრას სიძე გიორგი მოწამენი ვართ.

† მე, თუმანბეგას-შვილი სადათიერ ამის მოწამე ვარ.

და არც კულუხი გეთხოვებოდეს.

† მე, ნიკოლოვოზზ ამისა გ[ა]მთ[ა]ვებელი ვარ.

† ესე ჯუარი ზა[ა]ლისი და გამთავებელი ვარ.

მე, ამბრის-შვილი იოვანე ამის მოწამე ვარ †

ჩუენ, ზა[ა]ლის ყმანი: ჯანიბეგა, სუჯა და ნუქრადინ ივანე მოწამენი ვართ †††

ჩუენ, გოგიტას მეზობელნი: ულუბეგა, ანტონე, ჯანბახშა, გრიგოლ, ღარიბშა, მახარებელი მოწამენი ვართ.

† მე, მეუნაგრე ხატისა და გუჰუნასშვილი... მურადა ამისი მოწამენი ვართ. †

## 831. სავენახეს ნასყიდობის წიგნი სუმბაძეებისა მარკოზ დედაბრიშვილისადმი

**1509 წ.**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 136. პირი, გადაწერილი ორადგაკეცილ ქაღალდზე მხედრული ხელით XIX ს. დამდეგს. ღვთისმეტყველური შესავალი გამოვტოვეთ.

...მოგყიდე მე, სუმბასძემა მისრიამან და როინამან ჩემი მკვიდრი მამული სავენახე ალაიანში დედაბრის-შვილთა მოძღვარსა მარკოზს და შენსა ძმასა ნაცვალასა და მისთა შვილთა მღუდელსა გრიგოლსა, ლონგინოზს და იოანეს, გიორგის და ელიოზს, თქვენთა შვილთა და მომავალთა ყოველთავე და ავიღე შენგან ფასი სრული და უკლები, რითაც ჩვენი გული შეგჯერდებოდა.

და თუ ვინმე გამოგენახვის ანუ დიდი ბატონი და ანუ კათალიკოზი[1] და ანუ მცხეთისშვილნი, ჩვენ ვიქნებით პასუხისგამცემნი.

არასთანა არა გეთხოებოდეს რა, როგორც ნასყიდსა მართებს, ისრე ჰგქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან.

ამისა გათავებისა თავსდებად ესე ზემოწერილნი წმინდანი მამიხსენებიან, კაცთაგან: მწყნესელაშვილი ბედიანა,, ვარდიაშვილი გრიგოლა, ჟამიარაშვილი დავით, სარუაშვილი ესტატე, სრულად ერთობილნი აღაიანელნი მოწამენი არიან ამისნი.

დამამტკიცებელნი ღმერთმან აკურთხნეს და წმინდამან დედაქალაქმან და ამისნი შემცულელნი წყეულნი და შეჩვენებულნი იყვნენ.

დაიწერა ქორონიკონს **რჟზ**, მეფეთ-მეფობასა დავითისასა. მე, საითასძესა მღუდელსა შიოშს, დამიწერია და მოწამეცა ვარ.

აშიაზე: † ჯვარი მისრიასი, † ჯვარი როშნიასი

verso

ეს წერილი მე, გიორგი მღუდელმა დუშეთისამა ახალშენაშვილმა, ეტრატიდამ გადმოვსწერე უმეტნაკლებოდ.

## 832. მიწის ნასყიდობის წიგნი დავით შაბგერისშვილისა ხოჯა ასვატურისშვილებისადმი

**1546 წ.**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 1573. დედანი. ეტრატის გრაგნილი. 46×19 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი ან სამი წერტილი. ღვთისმეტყველური შესავალი და კრულობითი ნაწილი გამოვტოვეთ.

...ესე უკუნისამდე მტკიცე ჟამთ[ა] გასათავებელი ნასყიდობისა წიგნი მოგეცით ჩუენ, შატბერისშვილმან დავით თქუენ, ხოჯა ასვატურის შვილთა ამასარგისს და ამირაღასა, დოვლათიარს, სადათირს, თქუენთა შვილსა ასვატურს.

მოგყიდე ჩუენი მკუიდრი სამისა დღისა მიწა დევაურს და მამისას მიწას შუა. და ავიღეთა ფასი სრული, რომლითა ჩუ[ე]ნი გული შესჯერდებოდა.

---

[1] კათალიკოზი.

გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან როგორაცა თქუენითა ალალითა საქონლითა ნასყიდსა მართებს. ვერავინ დაგეცილოს, და ვინც დაგეცილოს, პირისა და პასუხის გამცემნი ჩუ[ე]ნ ვართ. და ვინც და გეცილოს... წყევა.

დამამტკიცებელნი ღმერთმან აკურთხნეს. ამინ.

არიან ამისნი მოწამენი აფიღო(?) და ხუცისშვილი ამირა, ამპატაშვილი პაროხ, ბაბა ქიმხაჯაშვილი მიკირტიჩა, მისი ყმა ფოცხუერა და იობა და ბასილა.

დაიწერა სიგელი ესე ქორონიკონსა **სკიდ.** და მე, შიოს, დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. ††

## 833. მამულის ნასყიდობის წიგნი სანასარასი ვეციკასადმი

**1547 წ.**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 1555. დედანი. ეტრატის გრაგნილი. 56×16 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამწერტილი. ღვთისმეტყველური შესავალი და კრულობითი ნაწილი ვამოვტოვეთ.

... ესე უთუო და უთუმცაო, დროდაუდებელი, მიზეზშემოუღებელი, ყოვლისა ჩხუბისა და ილათისაგან გამოსული სიგელი მოგეცით ჩუენ, სანასარამან და ჩემთა შვილთა გრიგოლამან, შვილთა და მამავალთა სახლისა ჩემისათა ყოველთავე თქუენ, ვეციკასა და შენთა შვილთა ანტონასა, ნექინასა, ნიკოღოსასა და ხეჩუმასა, შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთაევე.

მას ჟამსა, ოდეს დაგუეჭირა და მოგყიდეთ ჩუენი მკუიდრი მამული მიწა დამპალათ ფშნის პირსა ბოლო შარამდისინ, თავი ამირას გოზალბეგათ მიწის ბოლოს. და ავიღეთ ფასი სრული, რითაც ჩუენი გული შეგუჯერდებოდა, აღარა დარჩა და თქუენს ჯელთა ძმობისა და მოყურობის მეტი.

მოგცეს ღმერთმან და გიბედნიეროს როგორც მრავალსა ალალსა ნასყიდსა მართებდეს, ჯელგეწიფებოდეს გასყიდვად, გაზითვად, შეწირვად რათაც ფერად გინდოდეს. ვერავინ შემოგეცილოს, თუ შემოგესარჩლოს პირისა და პასუხისა გამცემნი ჩუენ ვიყუნეთ. ვინც ამისად შლად ჯელყოს... წყევა.

დამამტკიცებელნი აკურთხნეს ღმერთმან.

არიან ამისნი შუადამხუდომნი: მოურავი გაბრიელ, გიორგიშვილი ზურაბ, მეთოფეშვილი აღაბაბა, მამასახ-

ლისი ბაბაჯანა, მამასახლისი ასვატურა. ხატისშვილი ივანა(?), გრიგოლაშვილი პეტროზა, მურადაშვილი მურადა.

მე, კოზალაშვილსა შანშეს, დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა ეს მ[ტ]კიცე სიგელი ქორონიკონსა **სლე**. †††

## 834. მამულის ნასყიდობის წიგნი თურქისტანიშვილებისა პატრონ იესესადმი

**1558 წ.**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 734. დედანი. ეტრატი. 83×28,2. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია სამი წერტილი. ღვთისმეტყველური შესავალი და კრულობითი ნაწილი გამოტოვეთ.

... ესე მტკიცე, უცვალებელი და უკუნისამდე საბოლოოდ ქამთი გასათავებელი ნასყიდობისა წიგნი და სიგელი მოგეცით ჩუენ, თურქისტან და ჩუენთა შვილთა გიორგი, ესტატე და ზაქარია და სახლისა ჩუენისა მომავალთა ყოველთავე თქუენ, პატრონსა იესეს და თქუენსა შვილსა შალვას, ივანეს და შერმაზანს* და მომავალთა სახლისა თქუენისა ყოველთავე.

მას ჟამსა, როდეს მოგყიდეთ ჩვენი მკუიდრი მამული მუხანი ჯევის პირისავე და ავიღეთ ფასი სრული, რომლითაცა ჩვენი გული შესჯერდებოდა.

არის სამზღუარი ზემოთ სოლაღიანთა სამზღურამდი და ქვემოთ ჯევის პირსა, ცოტა თელა დგას იქიმდი, ასრე რომე ამ თელას ქუემოთ სხუა ხე აღარა დგას ერთის ტირიფის მეტი, რასაც თელა გაიტანს; შუა მინდორშიგა ერთი წითელი ქვა თუითან მელიქ შაველი ჩასუა, რასაცა ის წითელი ქვა გაიტანს, მარბადათავე ზეით ბეგზედა, ტაგნაგეთის სამზღურამდი.

მოგყიდეთ თქუენ. პატრონსა იესეს და თქუენსა შვილსა შალვას, ივანეს და შერმაზანს და მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე ჩუენ, თურქისტან და ჩუენთა შვილთა გიორგი, ესტატე და ზაქარია, და ავიღეთ ფასი სრული, რომლითაცა ჩუენი გული შესჯერდებოდა.

გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან მუხანი ჯევის პირსა, ყოვლის კაცისაგან უცილებლად და ჯელშეუვალად, არა მოგეშალოს და შეგეცვალოს არა ჩუენგან, და არა ნათესავთაგან, არა მეფეთა და დედოფალთაგან, არა დიდთა, მცირეთაგან.

---

* „ივანეს და შერმაზანს“ ჩამატებულია სტრიქონს ზემოთ სხვა ხელით.

და ვინცა და რამანც გუარმან კაცმან ჴელყოს ამისად შლად და ჭცევად... წყევა.

არიან ამისნი მოწამენი: სოლაღაშვილი ზაქარია, მელიქ შაველი, ვაშლოვნელი გამგებელი ბაბულაი და მისი ძმა ალავერანაშვილი გარსუაი, ერტის: ოქრიასაშვილი უსეინა, ხუციშვილი მახარებელი, იორდანაი, მეკარისშვილი ხატისა, დიდებელი ჩაჩხიპარასშვილი ამირანაი, ზაზიაშვილი ყანდუაი.

დაიწერა სიგელი ესე ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა ქორონიკონსა სმვ-სა ჴელითა მეტეხლიშვილისა ერაჯისითა†††.

## 835. სასახლის ნასყიდობის წიგნი დეკანოზიშვილებისა მათი განაყოფის ლომისადმი

**1558 წ.**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 1556. დედანი. ეტრატის გრაგნილი. 49×21,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი. ღვთისმეტყველური შესავალი და კრულობითი ნაწილი გამოვტოვეთ.

... ესე უთუო და უთუმცაო, დროდაუდებელი, მიზეზშემოუღებელი, ყოვლისა ჩხუბისა და ილათისაგან გამოსული ნასყიდობისა სიგელი მოგეცით ჩუენ, დეკანოზიშუილთა ფარნაოზ, ონისიმედ და ფილაროზ და სახლისა მამავალთა ჩუენისა ყოველთაჲე.

მას ჟამსა, ოდეს დაგუეჭირა და მოგყიდეთ თქუენსა გუერდივ სასახლე, თქვენვე იყიდეთ, თქუენ, ჩუენსა განაყოფს ლომს, თქუენთა შვილთა გარსევანს, გიორგის, სახლისა მამავალთა თქუენისათა ყოველთაჲე.

და ავიღე ფასი სრული, რომლითაც ჩუენი გული შეგუჯერდებოდა. და არა დარჩა რა თქუენს ჴელთა ძმობის მეტი.

მოგცეს ღმერთმან და გიბედნიეროს როგორც მრავალს ალალს ნასყიდს მართებდეს.

ვერავინ შემოგეცალოს, ვერა ჩუენი გუარის კაცი. თუ ვინმე შემოგეცილოს, პირისა და პასუხის გამცემნი ჩუენ ვიყუნეთ. და თუ დაგესარჩლოს... წყევა.

დამამტკიცებელნი აკურთხოს ღმერთმან. არიან ამისნი შუადამხუდომნი და მოწამენი: ბატონი დმანელი მამასახლისი...*

---

* ტექსტი გადასულია, მოწმეთა გვარ-სახელები ძნელად ირჩევა.

მე, მამასახლისი შვილს შ ა ნ შ ე ს, დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა ესე მტკიცე სიგელი ჭორონიკონს სმვ.

თუ რამ სხვა სიგელი გამოჩნდეს, ამან ის გააცუდოს. მოწამე ვარ და(?) სთაველი(?) დ ა ვ ი თ ა შ ვ ი ლ ი ლ ო მ ი ტ ა(?) †††

## 836. მამულის ნასყიდობის წიგნი გესარაშვილისა დათუა თათარაშვილისადმი

**1563 წ.**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10570. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ქ. ნებითა და შეწევნითა მღვთისათა, ესე ნასყიდობის წიგნი მოგეც მე, ბ ე ს ა რ ა შ ვ ი ლ მ ა ნ შ ე ნ, თ ა თ ა რ ა ს შ ვ ი ლ ს დ ა თ უ ა ს და ს ი მ ო ნ ა ს ა თ ვ ი ნ მოგყიდე ქრისტეს ჯვარის მიწა წყლის პირს ქვემო თუთამდის და ლამიზედ დიდი ქვა რასაც [გ]აიტანს და ბოლოს საქათმეს მიწამდი ზედად ოლის თამამად რასაც ის ძეძვი [გ]აიტანს ზედდადე გუვერდამი ქვეით საწყლისპიროთა.

ავიღეთ სრული ფასი უკლებელი, რასაც ჩვენი გული შეჯერდებოდა. ეს ჩვენი უცილობელი მამული მოგვიყიდია. არას კაცს ხელი არა აქვს თქვენთანა.

ამისად მოწამედ, დამხდ[ო]მად თავად პირველათ ღმერთი და ყოველნი მისნი წმინდანი და სვეტის[ცხო]ველი და კაცთაგან: სვეტისცხოველის დეკანოზი ი ე ს ე, კანდელაკი ლ ა ზ ა რ ე და მ ო ზ ა რ ე ბ ე ლ ი ამისნი მოწამენი არიან.

აღარა დარჩომილა რა ჩემსა და შენში. ესე ასე გაგითავდეს და გიბედნიეროს ღმერთმან.

დაიწერა წიგნი ჭორონიკონსა სნა. მე, მდივანს დამიწერია და მოწამეცა ვარ †

## 837. მამულის ნასყიდობის წიგნი გიორგა ტოხვაძისა ივანე ციცრილაძესადმი

**1565 წ. 12 აპრილი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 1566. დედანი. ეტრატის გრაგნილი. 41,5×22 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი. ღვთისმეტყველური შესავალი და კრულობითი ნაწილი ვამოვტოვეთ.

... ესე ს ა ნ ა ს ყ ი დ ო ს ი გ ე ლ ი მტკიცე და უქცეველი და მიზეზშემოუღებელი და არაოდეს მოუშლელი, უთუოდ და უთოდმცა

არაოდეს მოუშლელი დაგიწერე მე, ტოხვაძემა გიორგამა და ჩემ[მ]ა შვილმა აბრამამა და ნასყიდამა და მამისე-დამა (?), მამავალმა შვილთა და მომავალთა სახლისა ჩემისათა, თქვენ, ივანეს ცირილაძესა, თქვენთა შვილსა გიორგის [illegible]-რონპი[რ]სა, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა მას ჟამ-სა, ოდეს დიდი შიმშილობა იყო.

მოგყიდე მე, ტოხვაძემა გიორგამა თქვენ, ივანეს ცირი-ლაძესა მამული ჩექოლიანს მამული ნახევარი დადუნაშვილი-სეული, სულმამასეული ნახევარი ჩემი კერძი რაც მხუდებოდა, სრუ-ლად[1] მამიყიდია. მე ხელი აღარა მიც რა.

და ავიღეთ თქვენგან ფასი რარიგათც გული შეგვჯერდებოდა. ამი-სი მოწამე თავად ღმერთი და ყოველნი წმიდანი მისნი, კაცთაგან: ჯვა-რის მტვირთველი სეფეთა ანანია, ხახვილაძე ესტატე, მუქიფი ნიშნიანიძე.

აწე ამა წიგნისა რამანც გვარმა კაცმა შლად და ქცევად ხელყოს... წყევა.

დაიწერა ესე წიგნი აპრილსა ათორმეტსა, ქორონიკონსა ორას ორმოცდა ათცამეტსა. მე, ორესტიშვილს ათანასეს დამი-წერია და მოწამეც ვარ ამისი †††††.

## 838. ყმა-მამულის ნასყიდობის წიგნი ელიზბარ სოლოლაშვილისა პაპუნა მაღალაძისადმი

**1565 წ. 25 სექტემბერი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 5087. დედანი. ქაღალდი. 84,3×22,3 სმ. მხედრული. თავში დაზიანებული. რესტავრირებული. ჩვენი საბუთი ნუსხახუცური ხელით მიწერილია ძირითადი საბუთის ზურგზე. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახ-მარია წერტილი **ან მძიმე.**

ქ. ნებითა ღთისათა, ესე წიგნი მოგეც მე, ელისბარ სოლა-ლაშჳლმან და ჩემმა შჳლმან შალვამ და გიორგიმ, შენ მედარაჯეთხუცეს* პაპუნას მაღალაძესა და შენთ[ა] შჳლთა და მომავალთა.

ასე რომე, დამეჭირა და მოგყიდე კავთისჴევს გლეხი დე-მეტრე თავისის მამულითა, ვენაჴითა, მიწითა, წყლითა, წისქჳლითა და გზითა, ერთი საკომლო ვენაჴი და ჩემი ზვარი და ორი ხვადაბუნი,

---

1 სულად.

* „მედარაჯეთხუცესს“ ჩაწერილია სტრიქონთ შუა დედნის ხელით.

ერთი დამპალაში, ერთი თვალათუბნის ბოლოს, — თრიგ ოცდაათის დღისა და ჩემი სასახლე და გარეშემო ქუევრი და მარანი. და ქოთაჯევს, რაც ჩემი წილი იყო, ყოვლითურთ უწაკლოდ ან მთაში ნასოფლარი და საძოვარი, ყოვლითურთ სრულად მოგუცემია.

მოგყიდეთ და ავიღეთ ფასი სრული და უკლებლივ, ბატონიშვლის გიორგის ბრძანებით, ზოგი ქალაქს მამული გამოგართუა და ზოგი ფასი ღირებული. ჩუენში სალაპარაკო საქმე არა დარჩომილა რა. ასე გარდასწყდა.

არის ამისი მოწამე და შუადამხდური ბარათაშვლი ბოქაულთხუცესი საჩინო, ჯავახიშვლი ბერუკა, თურმანიძე სულხან, ქავთარაძე შალვა, მიწობლიძე გიორგი, ელიოზიძე გედევან და სრულად ერთობილნი კავთისჯევის მოსაქმენი და მოსახლენი.

მე, ქოთაჯევის წინამძღვარს იოვანეს დამიწერია და მოწამეც ვარ. დაიწერა ნასყიდობის წიგნი და სიგელი ესე ქორონიკონს სმიგ, სეკდემბრ[ი]ს კე.

ამაში სალაპარაკო და მისადევარი არა დარჩომილა რა. ასე გარდასწყდა. რაც მამული მოგვეცით, წიგნი ჩუენიც აგუღია თქუენგან და ჩუენც ეს წიგნი თქუენთუს მოგვიცემია.

ღმერთმან მშჳდობით გაკმაროსთ ჩუენი ალალი მამული სამკჳდროთ თქუენა და თქუენი მამული და ფასი ჩვენა.

დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხნეს. ამინ. ამინ †††

## 839. მზითვის წიგნი გამრეკელ ჯავახიშვილისა ბატონ ივანესადმი

**1597 წ.**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14425. დედანი. ქაღალდი. 38,3×15,5. რესტავრირებული. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი.

ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა და ყო[ვ]ელთა მისთა წმიდათა, თავსმდებობითა, ძლიერებითა და მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა მარადის ქალწულის მარიამისათა და პატიოსნისა და ცხოელის მყოფელისა ჯუარისათა და წმიდისა მღდელთმოძღურისა ნიკოლოზისისა, — ამათითა შეწევნითა და მოწმობითა და დიდის და მაღლისა ჴელმწიფისა ბრძანებითა და ნება დართულობითა.

... ესე ზითვისა წიგნი და ნიშანი დაგიწერეთ და მოგეცით

ქალი ჩუენ, ჯავახიშვილმა, გამრეკელმა და შვილთა ჩემთა თამაზ და შანშერ.

მივათხოეთ ჩუენი პირმშო შვილი და ასული ჩუენი ბატონი შალვა მანდუხ ბატონისა მეფეთ-მეფისა სახლისუხუცესისა ბატონისა ზურაბ რაბისა ძმასა, ბატონსა ივანეს.

მივეცით და წარუძღვანეთ ზითევად ცხირეთი გოჩიას გარეთად, რაცა ჩუენი კერძი მამული იყო, ანუ ციხეშიგან, ანუ სოფელშიგან, ანუ სამებათა, ანუ მთასა ანუ ბარსა — ამა ალაგებშიგა, რაცა ჩუენთ მონახდომი იყოს, ჩემის ქალისათვის ზითევად მიგუიცემია მათისა მთითა, ბარითა, წყლითა, წისქუილითა, საძოვრითა, ტყითა, სათიბითა, ველითა, ვენ[აჯ]ითა მათითა სამძღურითა, გზითა, რუთა ყოვლისა მისისა სამართლიანითა, რაცა ჩუენ კერძად მჭონებელნი ყოფილვიყუენით[1], ჩუენის ქალისათვის მიგვიცემია ზითვად და მოუშლელად ასრე და ამა პირსა ზედა, რომე ღარიბი ვიყავით, ზითვისა და წესისა ალაგი არა გუქონდა[2].

არიან ამისნი მოწამენი: ჯავახისშვილი ქაიხოსრო, მახუილასძე ოთამ და მისი შვილი და გამცემარიშვილი დავით, კოკოზაშვილი ქრისტესია, ლაგრასძე ღვინიაი, სთუელიაშვილი შიო, ურუმბეხაშვილი გოჩაი, ცხირეთის მოურავი იორამ.

და მე, რუსთველის შვილს მურვანს, დამიწერია და მოწამეცა ვარ. ქორონიკონს სპე, მეფობასა შინა პატრონისა სვიმეონისასა.

მოგცეს და გიბედნიეროს ღმერთმან სიგრძესა შინა ჟამთასა უკუნითი უკუნისამდე ამინ †††.

სათაური: „ჭ. გამრეკელის ჯავახიშვილის წიგნი ცხირეთის მზითვად მიცემისა“.

## 840. შვილის ნასყიდობის წიგნი ნადირა ლომიტაშვილისა რევაზ ნამურაძისადმი

**1605 წ. აგვისტოს დამდეგს**

ცსსა. ფ. 1448. საბუთი № 4826. დედანი. ქაღალდი. 43,3×15,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახვარია სამ-სამი წერტილი. ა-მეტ-ნაკლული. ღვთისმეტყველური შესავალი და კრულობითი ნაწილი გამოვტოვეთ.

... ესე დროდაუდებელი და მიზეზშემოუღებელი ყოვლისა ჩხუბისა და ილეთისაგან გამოსული ჟამთა და ხანთა და ადამიან[ი]ს ნათე-

[1] ყოფილვიყუნეით. [2] გქუნდა.

სავისა კაცთაგან უცილებელი ესე ნ ა ს ყ ი დ ო ბ ი ს წ ი გ ნ ი და სი-გელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, გლდანიერი ლ ო მ ი ტ ა ს შ ვ ი ლ-მ ა ნ ა დ ი რ ა მ ა და სახლისამა ჩემ[მ]ან მამავალმან თქვენ [illegible]-რ ა ძ ე ს შალვას შვილს რ ე ვ ა ზ ს ა და სახლისა თქვენ[ი]სა [illegible]-ვალსა.

ასრე და ამა პირსა ზედან, რომე ჩემის ნებაყოფლობითა მოვიყვა-ნეთ, ჩვენი შვილის დედა მოკლა. და პატარა ორი წლის ობოლი იყო და პატრონ[ი] არა მყონდა, მოვიყვანე, შენ მოგეც ჩემი შვილი რ ა-მ ა ზ ა და, რითაც ჩემს გულს შეჯერდებო[და], გამოგართვით ფასი.

[გ]ქონდეს და გიბედნიეროს, როგორც სხვას ნასყიდს მართებდეს. არა ვინ იყოს თქვენი მცილე და მოდავე ერთი თუინიერისა ღთისა მეტი. თუ ვინმე წამოგედავოს, დიდმან და ან პატარამან ან ჩვენმან ბატონმან პირისა და პასუხის გამცემი ჩვენ ვიყოთ.

რამანც კაცმან ხელი უყოს ამისის შლასა და ქცევასა... წყევა.

არის ამისი შუადამხდომი და მოწამე თავად ღმერთი მერმე მისნი ყველა წმინდანი[1] ხორციანი და უხორცონი, კაცთაგან: ბ ა გ უ რ ი-ძ ი ა ნ თ ნ ი კ ო ლ ო ზ ა, მ ე ყ ო ნ დ ა ხ თ ა ყმა ს ე ხ ნ ი ა.

მე, ყ ა ლ უ ა ნ თ ს უ თ ი ნ ა ს შ ვ ი ლ ს მწერალს მ ე ლ ქ უ ა ს, დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი.

დაიწერა ესე წიგნი მარიამობის დამდექსა, ქორონიკონს ტუგ. † მოგე და გამოგართვით თქვენგან ფასი, რითაც ჩემს გულს შეჯერდე-ბოდა. აღარა დარჩა რა თქვენზედა არც ერთი იოტის ფასი*.

გქონდეს და გიბედნიერო[ს]. თუ ვინმე მოდავე გამოჩნდეს, თვეში ერთი მარჩილი მოგცეს შესანახი ფასი. † [illegible]

## 841. საკანონოს წიგნი ზაქარია და იესე ჯავახიშვილებისა სვეტიცხოველისადმი

**1607 წ.**

საქ. ლიტერატურული მუზეუმი. საბ. № 19566. დედანი. ქაღალდი. 34×15 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-წერტილი.

ქ. ღმრთისა და ყოველთა მისთა წმიდათა თავდებობითა და შუა-მდგომელობითა, სვეტისა ცხოველისა და კვართისა საუფლოსა და მირონისა ღმრთმყოფელოსათა, ესე უკუნისამდე ჟამთა გასათავებ-

---

[1] + და.

* ბოლო ორი სიტყვა წაშლილია შავი მელნით.

ლი წიგნი მოგახსენეთ ჩვენ, ჯავახიშვილმა ზაქარიამ და ძმამა ჩემმა იესემ და შვილთა და მომავალთა სახლისა ჩვენისთანა ყოველთავე მას ჟამსა, როდესცა საკანონო ცოლი შევირთეთ და ერს ლიერის წესით გაგვიწყერით.

და მოვედით და მოგიდეგით კარსა და შემოგეხვეწენით თქვენ, დიდსა და ცათა მობაძავსა სვეტსა ცხოველსა და კვართსა საუფლოსა და მირონსა ღმერთმყოფელსა და მის[ს]ა საჭეთმპყრობელსა ქართლისა კათალიკოზსა პატრონსა დომენტის და შემოგწირეთ სულისა ჩვენისა საჯსარად და ცოდვათა ჩვენთა შესანდობლად ქვენადრის[ს] ღორიჭედასშვილი ქერობინ და მისი შვილი, მისით მამულითა, რაც მამულის მჭონებელი იყო ან მთასა და ან ბარსა — წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენაჯითა, ჭალითა, სათიბითა, სავენაჯითა, საჯმრითა და უჯმრითა და ტატუასშვილი მეჯურჯლე გიორგი, და* შემოგწირეთ თქვენ სვეტსა ღმრთივაღმართებულსა და კვართსა საუფლოსა და მირონს ღმერთმყოფელისა.

ვინცა და რამანცა ჩვენმა მონათესავემა კაცმა ჯელყოს შლად და ქცევად ამისად, გაგებული მისი ღმერთმა მოშალოს, რისხ[ა]ვ[ს]მცა ღმერთი და ყოველნი წმიდანი ღმრთისანი, სვეტიცხოველი და ჯვარი პატიოსანი, კრულმცა არს ცათა შინა და ქვეყანასა ზედა და ჩვენთამცა ცოდვათათვის გაიკითხვის.

დაიწერა წიგნი და სიგელი ესე ქორონიკონსა სჟე ††

ჯიმშერას საქმე ფიცით გარდასწყდა. ამ სიგელში ჩვენ, ქრისტეფორე კათალიკოზმან, ამოვშალეთ, ნუღრავის რა პასუხი აქვს.

ხელრთვა: კათალიკოზი ქრისტეფორე.

## 842. ძმა-მამულის ნასყიდობის წიგნი შანშე ჯავახიშვილისა გიორგი ცალჭალამანიძისადმი

**1609 წ. ახლო**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3295. დედანი. ქაღალდი. 42,5×21,3 სმ. მზედრული განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი ან სამი წერტილი. ამავე ფონდში დაცულია საბუთის პირი (Hd 7567). ღვთისმეტყველური შესავალი და კრულობითი ნაწილი გამოვტოვეთ. თარიღი არ უზის. შანშე ჯავახიშვილი გვხვდება საბუთებში 1609 წელს („დოკ. საქ. სოც. ისტ." I, 1940, გვ. 15).

... ესე ნასყიდობისა წიგნი და სიგელი მოგეცით ჩუენ, ჯავახიშვილმან პატრონმან შანშე, შვილთა ჩუენთა შალვა და

* შემდეგ ეწერა: „მისი ძმა ჯიმშერა", რაც ქრისტეფორე კათალიკოზს ამოუშლია.

ქაიხოსრო, თქუენ ცალქალამანიძეს გიორგის, შეილთა თქუენთა იოთამს და სეხნიასა.

მას ჟამსა ოდეს ქალაქსა და გორში ვალის გარდამწდენი შევიქენით. დიდად დაგუეჭირა და მოგყიდეთ სკრას ჩუენი მკუიდრი და ყოვლის ადამის[1] და მის მონათესავეს კაცისაგან უცილებელი გლეხი ბესალაშვილი პა[ა]ტა, მისი ძმა გიორგი და მისი შვილი შოშია და ძმისწული ზუბია და სვიმონა მათის ორის ვენაჯითა და მრთელის მამულითა ყოვლითურ, რისაც მჭონებელი იყოს, მთითა, ბარითა, წყლითა, წისქუილითა, ველითა, ვენაჯითა, სახლ-კარითა, ჰურ-მარნითა, კალო-საბზლითა, საჯნავითა და უჯნავითა და ყოვლის მისის სამართლიანის სამზღურითა და საქმითა.

და ავიღეთ თქუენგან ფასი მარჩილი ორას ოთხმოცი და შეგჯერდა ჩუენი გული. მოგუებარა უკლებად და აღარა დარჩა რა ჩუენი თქვენს ჯელთა მოყრობისა და მოსამართლობის მეტი.

გჭონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან სამკუიდროდ და სამამულოდ, რა რიგაცა სხვას ნასყიდსა მართებდეს დღეს და საბოლო[ო]დ უკუნისამდი ყოვლის ადამის[2] მონათესავეს კაცისაგან უცილებლად.

აწე ვინცა და რამანცა რჯულმა კაცმა ესე ჩუენგან მოსყიდული გლეხი და მამული შეგიშალოს და ანუ შემოგეცილოს... წყევა.

არიან ამისნი მოწამენი და გარდამწყუეტნი: გოგიბაშვილი გოგიბი, მართიროზიშვილი ავთანდილი და მისი ძმა ბეჟან, გოდაბრელიძე იესე, ბეჟანიშვილი ადოლა და ჩუენი ყმა ბერუა და გოგია. †††.

verso: „სკრის წიგნი“. „სკრის წიგნი ცალქალამანიძისა“.
პირშექცევით: „მ. დ. ჯავახიშვილისა“.

## 843. მამულის ნასყიდობის წიგნი ამილბარაშვილებისა ხახანაშვილებისადმი

**1613 წ. მარტი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2966. დედანი. ქაღალდი. 22,5×13 სმ. დაზიანებული. რესტავრირებული მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ნებითა [ღვთის]ათა ესე[3] ნასყიდობის წიგნი მოგეცით ჩვენ, ამილბარაშვილებმა ამილბარმა, ქიტუამა, ესტატემა, შვილმან ჩემ[მ]ა ტატიამ და მომავალთა სახლისა

[1] ადამის]და მის. [2] ადამის] და მის. [3] ესე]სძე.

ჩვენისამან შენ, ხახანაშვილს ესტატეს, ქიტიას, მწყობრას და ბატატასა, მომავალთა სახლისა თქვენისათა.

ასრე რომე, დაგვეჭირა და მოგყიდე გორას უკან ორის დღის მიწა, ზევით თავში ჩვენის მიწის მიდგმამდინ, საქვენაჭროთ ერთა-წმინდის გზამდინ, ქვევით ბოლოს გორამდინ.

ავიღევით ფასი სრული და უკლებელი. არა კაცი არ გედავებოდეს. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან.

არიან ამისი მოწამენი: ჯობიაშვილი ოთარა, ბასილიშვილი ნიშა, კორკოტაშვილი გიორგი, ელისაბედაშვილი ელისე, გედავ[ა]ნიშვილი ივანე, ხუციაშვილი იასე.

მე, გედავ[ა]ნიშვილს ფადისას, დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა გასულს მარტს, ქორონიკონს ტა ††††.

## 844. სავენახეს ნასყიდობის წიგნი ციხუა სულბასასშვილისა ბაბონ სულხანისადმი

**1613 წ.**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 528. დედანი. ქაღალდი. 21,5×15 სმ. რესტავრირებული. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი. ღვთისმეტყველური შესავალი და კრულობითი ნაწილი გამოვტოვეთ.

... ესე უკუნისამდე ჟამთა გასათავებელი ნასყიდობისა წიგნი და პირი და ნიშანი მოგეც მე, სულტასასშვილმა ციხუამა და შვილმა ჩემ[მ]ა ავთანდილ, თქუენ ბატონს სულხანს და თანამეცხედრესა თქუენსა ბატონს ქეთავანს.

ასრე და ამა პირსა ზედა, რომე მოგყიდეთ ატენს სავენაკე მიწა ზედათ დიდს კლდემდი, ქუეშეთ ნეფის ზურამდი მისის ნიგზნარითა, მისის რუთა და სასაროთა, სულა შენთვი[ს] ნასყიდათ მოგვიცემია.

ავიღეთ ფასი სრული, რომლითა ჩუენი გული შეგჯერდებოდა. მოგცეს და გიბედნიეროს ღმერთმა ესე ვერავინ შეგიშალოს, ვერცა დიდმა და ვერცა მცირემა. ვინცა შეგიშალოს ანუ შემოგეცილოს... წყევა.

და გამთავებელნი ღმერთმან აკურთხნეს.

არიან ამისი მოწამენი კაცნი და გარდამწყვეტნი სრულიად ატენელნი.

დაიწერა წიგნი ესე ქორონიკონს ტა ††.

სხვა ხელით: „ატენური“.

## 845. მამულის ნასყიდობის წიგნი გაგუჩასი შიოშ სოლაღაშვილისადმი

1619 წ. 21 მაისი

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 735. დედანი. ქაღალდი. 42,2×15,3 სმ. დაზიანებული. რესტავრირებული. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამწერტილი. ა-მეტი. კრულობითი ნაწილი გამოვტოვეთ.

ქ. მ[ღთი]სა და ყოვალთა მისთა წმინდათა თავდებობითა და შუამდგომლობითა ესე მონასყიდობის წიგნი და სიგელი მოგეცით ჩუენ. ბაბუჩამ და შუილმან ჩუენმან ყულიამ და ნამახოშმა და ფიყინამ[1], საქ[ხლის]ა მამავალთა ჩუენისათა ყოველთავე თქუენ, სოლაღაშვილს ბატონს შიოშს და თქუენს შვილთ და შვილისშვილთ, სახლისა მამავალთა თქუენისათა ყოველთავე.

მოგყიდეთ ჩუენი მკუიდრი მამული კალოთა ხევჩი საქუდაში შუიდის დღის მიწა, ერთი მხარი ღელე და ერთი მხარი ალიყულას მიწამდინ.

აგიღეთ ფასი სრულად თქუენგან, რითაც ჩუენი გული შეგეჯერდებოდა. არა დარჩა რა ჩუენი თქუენს ხელთა არცა ერთისა ფულისა.

და თუ ვინმე[2] ამისა მცილე და მოდავე გამოჩნდეს, პირისა და პასუხის გამცემნი ჩუენ — ბაბუჩამ და შუილმან ჩუენმან ყულიამ და ნამახოშმა და ფიყინამ ვიყუენეთ.

და თუ ვინმე ჟამთა შლილობისათჳს შემოგესარჩლოს და ან შემოგედავოს... წყევა.

და დამა[მ]ტკიცებელი აკურთხოს ღმერთმან.

არიან ამისნი მოწამენი და შუადამხდომნი: მამასახლისი ჰამაზა, ხუცესი ტერ-სარქისა, ჭედლის შუილი სულხანა, ასლან[ის] შუილი შავერდა. აბრია და შერმაზანა[ს] შუილი ხოსიტა და სრულად კუმელნი.

მე, იბრეიმას დამიწერია და მოწამეცა ვარ. ქორონიკონსა ტჯ, მაისის კა. †††††††††† კუმელნიცა იციან † ხატისა თ[ე]მურაშვილი †.

---

1 ფაიყიამა.

2 ვინმა.

## 846. მიწის ნასყიდობის წიგნი იესე მაჩაბლისა დათუნა გაგნიძისადმი

**1621 წ. მაისის გასულს**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 529. დედანი. ქაღალდი. 15×20 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი. კრულობითი ნაწილი გამოვტოვეთ.

ქ. სახელითა სახიერისა, არსება დაუსაბამოსა, მამისა, ძისა და სულისა წმიდისა, ესე ამიერ უკუნისამდე ყამთა და ხანთა გასათავებელი, დროდაუცემელი, მიზეზშემოუღებელი ნასყიდობის წიგნი მოგცით ჩვენ, მაჩაბელმან იესემ, შვილმა ჩემმა პაატამ (sic), შიოშ, ზურაბ, ფარემუზ, ქუაბულ, თაყამ შენ, დათუნას გაგნიძეს, გიორგის, პაპ[ი]ტას, ნინიას და ხარებას, შვილთა და მამავალთა სახლისა შენისათა, ალე რომე, მოგყიდეთ სამი დღის მიწა მუხასთან წყაროს თავს.

არის ამისი მოწამე ჯერეთ ღმერთი, მერმე მისი წმიდანი ზეციერნი და ქვეყნიერნი, ჯორციელნი და უჯორცონი; კაცთაგან არიან ამისი მოწამენი: დათუაშვილი დათუნა, რაზმაძე პაატა, ტრამაკიძე თამაზა, ფაცინაშვილი ბერიკა, ბეჟიტაშვილი პაპუნა, ქებაძე ბერი, პაატა გორგომელიძე, ბერი ფუტკარაძე.

ვინცა და რამანც კაცმან ესე ჩვენგან მოცემული წიგნი მოგიშალოს... წყევა.

დაიწერა მაის[ის] გასულს, ქორონიკონს ტთ †††††

## 847. შეურილობის წიგნი ზაქარია და იესე ჯავახიშვილებისა გიორგი მოურავისადმი

**1624 წ.**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14693. დედანი. ქაღალდი. 54,7×20,5 სმ. მარჯვენა კიდე ალაგ-ალაგ ჩამოცრეცილია. რესტავრირებული. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი ან სამი წერტილი.

ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა, ესე წიგნი და პირი მოგაროთვით ჩუენ ჯავახისშვილთა ზაქარიამ და იესემ თქუენ, ბატონს მოურავსა.

ასრე და ამა პირსა ზედა, რომე ჩუენი სახლი და თქუენი სახლი მისთა დღეშიგ ერთი ყოფილიყო; და ვითაც სამიდღეჩიოდ ერთნი ვყოფილვართ, დღეს კიდევ [უ]ფრო ერთნი შევიქენით, ამად რომე

ჩუენი სამკუიდრო თა[ა] მისთა დღეში ჩუენი ყოფილაყო და მერმე ბედნიერის ყეენისაგან არ წაგურთმეოდა და ისრეე ჩუენი იყო.

და შალვა[ს] შვილი შერმაზან თავისის ძმებითა და სახლისა გაყრილი იყო და ჩუენი შემოყრილი იყო; და სოფელმან მისი წესი არ დაიშალა და მოკუდა; და იმისი მამულიცა, რარიგადაც ჩვენი სამკუიდრო, ისრე ჩუენ დაგვრჩა. და ესეები თქუენ მოგართვით და დაგანებეთ, ამისთვის რომე ერთმანერთის პასუხი და ვალის დადება შეგვეძლო და ამისთვის გავერთდით, რომე მისთა დღეში ერთნი ვყოფილვიყვენით.

ღმერთმან გაგითაოს და გიბედნიეროს, რარიგადაც შენი მკუიდრი მამული არის, ჩუენი მამული რომე თქვენთვის მოგვირთმევია.

აზნაურშვილი აბულვარდის შვილი მისის სასახლითა და ათის კომლის კაცითა.

შოთაშვილები თაყა სასახლითა და ოთხის კომლის კაცითა და ოთხის საკომოთა.

ბეჟანიანი იესეს შვილები ნასყ[ი]და სასახლითა და ოთხის კომლის კაცითა.

გიორგისშვილები სასახლითა და ხუთის კომლის კაცითა.

იორამისშვილები ბეჟიტა სასახლითა, ორის კომლის კაცითა და ორის საკომოთა.

გლეხები სკრას ორი კომლი კაცი საზუტა და პაპუნა მისის მამულითა, სამსონაური მამული, თიბელაური მამული, ნახევარი სასახლე მისის ქვევრებითა, ზურის ნახევარი და ხოდაბუნები.

ხოვლეს ერთი კომლი კაკნიაშვილი. მისის მამულითა და სასახლე.

ხოვლეს ფიროლაყოლი(?) ზვარი სახასოდ*.

ზეს სასახლე მის მარნითა და წამალაშვილი ლუღაურის მამულითა.

ფიცეს[ს] ტატუაშვილები მათის მამულითა და სახასო ხოდაბუნები.

საყავრეს მაგანაშვილი, ვარდანაშვილი მისის მამულითა და ირემა გულიაურის მამულითა და სასახლე მისის ქუევრითა და ხოდაბუნებითა.

ზაკუ[ა]ს დევლინისძე, ნადიმაშვილი და ბახტასძე მათის მამულითა და ტაველიშვილის მამული, და ჩვენი სახასო ყანობირი.

---

* ეს სიტყვები მიწერილია მარცხენა კიდეზე გასწვრივ და უზის ბეჭედი.

ქუენადრის სახასო ციხე და სასახლე მისის ქუევრითა და გარეშემოთა, და უსური ჩემ წილად ნახდომი.

რკონს ორი დუღასძე, ორი სთველიაშვილი და ერთი ერთგულა მათის მამულითა.

წოდორეთს სვიმონა, გულია, და ხიმშია მათით მამულითა და გარგლის ნახევარი.

ამისი მოწამენი და შუადამხდომნი არია[ნ]: ერისთავი ბატონი იესე, ხერხაულისძე ბეჟან და აბაშისძე ლონა და ციციშვილი პაპუნა.

დაიწერა წიგნის ესე ქორონიკონს ტიბ □ † □ †

თავში პირშექცევით: „ქ. ჯავახიანთ მონაცემი. სხვა ხელით: „ზაქარიასა და იესესაგან მოყიდული“.

Verso: „ჯავახიშვილის მამულისა არის“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 848. ყმობის წიგნი გიორგი ვარამაშვილისა ქაიხოსრო ბარათაშვილისადმი

**1628 წ. 19 თებერვალი**

ცსსა. ფ. 1450. დავთარი № 12. საბუთი № 117. პირი. ქაღალდი. მხედრული. ღვთისმეტყველური შესავალი გამოვტოვეთ.

**[154v]** ...ესე უთუო და უთუმცაო[1], დრომ[ო]უდებელი და მიზეზშემოუღებელი, ყოვლის ჩხუბისა და ილეთისაგან გამოსული, ჟამთა გასათავებელი ფიცი და პირობა მოგეცით ჩვენ, ვარამაშვილმა გიორგიმა და მამა ჩემ[მ]ა წამალამა და ძმამა ჩემ[მ]ა იერემამა და ჩემ[მ]ა განაყოფმა ნადირამა და მამუკამა და ქიტიამა და გოგიამა, და შვილთა და მამავალთა სახლისა ჩვენისათა ყოველთავე თქვენ, სახლისუხუცეს ბატონს ქაიხოსროს და შვილს თქვენს გუგუნას და ნიკოლოზს და ბარათას და შვილს და მამავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე.

მას ჟამსა, როდეს დაგვეჭირა და სიღარიბემა[2] და შიმშილმა მიგუაჭირვა და ველარა რჩებოდით და მოვედით და თქვენ გეყმევით.

თქვენ დაივალევით და ჩვენ მოგუეცით და პურტკბილობაშიგა[3] შეგუინახეთ[4].

---

[1] უთომცმო. [3] ისიღარიბემა. [3] პურტკბილობაჩიგა. [4] შეგუიხეთ.

და ჩვენი თავი და შვილები ასრე გაყმევით, რომ ერთის ღვთის მეტი ჩვენს [155r] თავს არაკაცი არა გეცილებოდეს.

მოგვიცემია ამისად გასათავებლად პირველად ღმერთი და ყოველნი მისნი წმინდანი ზეცისანი და ქვეყანისანი.

ვინცა და რამაც კაცმა ეს[1] მოგიშალოს, ურიასამც რჯულზედა შეიცვალების და ჯორცი მისი ჯოჯოხეთიდამ ნუ დაიხსნების.

მე, ყორღანაშვილს პა[ა]ტას, დამიწერია და მოწამეცა ვარ[2] ამ საქმისა. დაიწერა ნიშანი [ესე] ქორონიკონს ტივ, თებერვალს ით. †††

## 849. ᲣᲛᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘ ᲐᲚᲐᲘᲐᲜᲔᲚᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲡᲘ ᲓᲐ ᲮᲣᲪᲘᲐᲡᲘ ᲡᲣᲛᲒᲣᲚᲘᲫᲔᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ

**1630 წ. 25 დეკემბერი**

ცსსა. ფონდი 1448. საბუთი № 1060. დედანი. ქაღალდი. 42,5×16,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამწერტილი. ა-მეტი.

ნებითა და შეწევნითა ღთისათა, ესე წიგნი მოგეცით ჩვენ, ალაიანელმა გიორგამა და ხუციამა და მომავალმა სახლისა ჩემისამა თქვენ, სუმბულიძეს შერმაზანს და ფარემუზს და გიუნას.

ასე რომე ქათალიკოზს მემზურეთა ვყუანდით და კახეთს წაველით. და ავი დრო შეიქნა და ცოლ-შვილი დამიტყვევდა. ალაიანელი მემკვიდრე ვიყავ მოველით და კათალიკოზს შემოვეხვეწენით, რომ ცოლ-შვილი დამიხსენო, იესე ჭარმეული და კანდელაკი მიუგზავნე.

და ასე მიბძანა კათალიკოზმა. მე ახალი მოსული და ღარიბი ვარო და საყდრისა არა მაქ[ვ]ს რაო და ვინც დაგიხსნასო, იმასვე ეყმევიო.

ავდექ და ვალი ავიღე და ცოლ-შვილი დავიხსენ. მანამდი ძმა მიველი გირაოთ, სანამდი იმის ვალს გარდავწყვეტდი.

მოველ და შემოგეხვეწე. და ჩემი სამკვიდრო მამული თქვენ გქო[ნ]დათ, ორი კვამლი კაცი გესახლათ ჩემს მამულზე. ავდექ და შემოგეხვეწე: «მევე მემკვიდრე გირჩევნივარ». სულაშვილი შუა შემოვიყვანე, რომ ის კაცები აჰყარეო და მევე დამისახლეო.

რადგან თქვენი ყმა შევიქენ, პური ორმოთი მამეცი სამოცი კოდი, ფეტვი მოსამკალი მოგვეც, ვენაჯი მოსაკრეფი — ცხრა საპალნე

---

1 ესა. 2 ვარა.

ტკბილი გამამივიდა. ამ შენის მამულითა ძმაც გამოვიხსენ და შენი საჭონელი მოგვეც: ცხრამეტი სული მაკე ცხვარი, ცხრა თოხლი, ორი ერკემელი, ჭედილა ერთი, თხა ცხრა. ესეები ასე მოგვეც და დაგვა-სახლე და ნასყიდათ დაგრჩით. ამ თქვენის წყალობით ცოლ-შვილიც დავიხსენით და ჩვენც დავრჩით.

არის ამისი მოწამე თავათ ღმერთი დაუსაბამო და სვეტიცხოველი, კაცთაგან: ჭარმეული იესე და სვეტიცხოვლის კანდელაკი და თამაზა სულუაშვილი და ერთობლივ აღაიანელნი.

დაიწერა წიგნი ესე ქორონიკონს ტიჩ, დეკემბერს კე. †††

## 850. ყმის ნასყიდობის წიგნი იოვანე აფხაზისა მერაბუღრანაჲვილისადმი

**1654 წ. 11 მარტი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 748. დედანი. ქაღალდი. 73×19,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი. ღვთისმეტყველური შესავალი და კრულობითი ნაწილი გამოვტოვეთ.

... ესე საბოლო[ო]დ გასათაებელი, მტკიცე და შეუცვალებელი ნასყიდობის ფიცი, პირი და წიგნი მოგეცით ჩვენ, დედოფლის მესტუმრემ აფხაზმა იოვანემ და შვილთა და მომავალთა სახლისა ჩვენისათა თქვენ, ყორღანაშვილს მდივანს მერაბს და შვილთა[1] თქვენთა შაველის და იარალის და შვილისშვილთა თქვენთა ავთანდილს და ჭაიხოსროს.

ასრე და ამა პირსა ზედა, რომე საგინაშვილი აღათანგი ამოვარდა და ჯელმწიფემ ამოვარდნილის მამული მე მიბოძა; სთონეთიდამა ერთი იმავ აღათანგის გაზრდილი და მკვიდრი ყმა ფირია ამეყარა და თქვენ მოჭრის აშენებდით და იქ დაგისახლდათ და სამდივნოთ და სალაპარაკოდ შეგვექნა; და სამართალმა ჩემი ყმა ისევ მე მომცა; გვინდოდა აგვეყარა, აღარ ავჰყარე, რასაც ჩემი გული შეგჯერდებოდა, სრული ფასი ავიღე. ჩემსა და შენს შუა ძმობისა და მოყვრობის მეტი არა დარჩა რა.

რაც კაცი ამის მოდავე გამოჩნდეს, პირისა და პასუხის გამცემი მე ვიყო.

აწე ვინცა და რამანც ძემან კაცმან, ანუ დიდმან და ანუ მცირემან, ამა ჩვენგან მოსყიდულს[2] ყმას შლად და ქცევად ჯელჰყოს და ანუ შემოგეცილოს და ანუ მოგიშალოს. მასმცა რისხავს პირველ დაუსაბამო ღმერთი... წყევა.

---

[1] შვლისთა. [2] მოსყიდოლს.

ხოლო გამთავენი ამისნი ღმერთმან და წმინდამა ღმრთისმშობელ-მან აკურთხოს.

არის ამისი მოწამე თავად ძვირუხსენებელი ღმერთი და ყოველნი მისი წმინდანი, ზეცისა და ქვეყანისანი, კორციელნი და უკორცონი; კაცთაგან: თუმანიშვილი მდივანი ბირთველი, მოვდარი მანუჩარ, ბატონის დედოფლის მდივანი ავთანდილ და მისი ძმა შალუა.

მე, სულხანს, დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა მტკიცე და შეუცვალებელი საფიცარი ესე, ქორონიკონსა ტმზ, თვესა მარტს თერთმეტს. [იოვანე] †

ქ. მე, ავთანდილ ვარ ამისი მოწამე.

ბოლოში: „ქ. ესე წიგნი მოქრელის ფირიასი არის“.

## 851. ნასოფლარის ნასყიდობის წიგნი პაპუნა ბარათაშვილისა მერაბ ყორღანაშვილისადმი

**1661 წ. 15 მარტი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 1375. დედანი. ეტრატი ორ კეფად. 71×17,5 სმ. პირველი კეფი დაუწერელია. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი. კრულობითი ნაწილი გამოვტოვეთ.

ქ. ესე ფიცი, პირი და ნასყიდობისა წიგნი მოგეცით ჩუენ, ბარათაშვილმან პაპუნამან, ძმამან ჩემ[მ]ან ქაიხოსრომ, შვილმან და მამავალმან სახლისა ჩუენისამან თქუენ, ყორღანაშვილს მერაბს, შვილსა შენსა შაველის, იარალის და ავთანდილს, ასრე და ამა პირსა ზედა.

ნასოფლარი ზემოშავნი მამა ჩუენს გოსტაშაბს თქუენთვის მოეყიდა და ნასყიდობის წიგნიც ხელთ გეჭირათ. ჩუენ ზოგი ყმათ გვითხრეს და ზოგი მოყუარეთ გვითხრეს, რ[ო]მე «სრულ არ მიუყიდიაო», და თავს შევიდევით და სამდივნოთ გავხადეთ.

ხელმწიფემ მეფემ პატრონმან შაჰნავაზ სამართალი გვიყო და ჩემი სიძე საააკაძე პაპუნა მოფიცრად მომიდვეს, ასრე უნდა[1] შემომეფიცებინა, რომე მშავნის მესამედის მეტი არ მოეყიდა; თუ ამ მოფიცრით დამეფიცა, ორს ზომას მე გავიტანდი და მესამედი თქუენს დაგრჩებოდა. თან ბოქოულთუხუცესი ზედგინიძე შიოშ გამოგუატანეს, რომ ფიცში უნდა[1] დაგუხუდომოდა.

---

[1] უნდოდა.

თქუენ წაგვიძეხით და ლიყურეთს საფიცრად შეგვიძეხით, ვარხუნას მივედით. ჩამოდგეს შუა ზედგინიძე შიოშ, რევაშვილი გივი, ჩიჩიკაშვილი გივი და ერთობილ[illegible] ფიცი ჩაარონინეს: «ფიცი მტყუვნისათვინაც ავი არისო და მართლისათვინაც ავი არისო და დამიფიცებლისათვინაც ავი არისო», და ორნივ ერთმანერთს შეგვაჯერეს ჴელახლად, რაც ჩუენი გული შეგჯერდებოდა, ფასი მოგვეცით. ასრე შემოგირიგდით, რომე თქუენზედ აღარა დარჩა რა ძმობისა და მოყურობის მეტი.

და მოგყიდეთ მთლივ ზემო მშავნი მისის საჴნავითა, სათიბითა, წყლითა, წისქუილითა, მთითა, ბარითა, საძებრითა, უძებრითა, კილოვლის საყდრითა, რასაც იმისი ხევი შეიტანს ზეით სადილმოს შარამდის, პირდაპირ საარწივის კლდეს ზეით, საქოლავის ბოლოს რომ დიდი გორა არის, იქიმდის რასაც შარა შეიტანს, მოქრისის სამძლურამდის გზას აქათ ნაკარევამდის, ქვეშეთის ზემოთ ფიცხისის მჴრისაკენ რასაც ვერის წყალი შეიტანს, კიდევე სადილმოს შარამდის, მოგყიდეთ და დაგიმტკიცეთ. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან, როგორცა სხვას მონასყიდეს მართებდეს.

აწე ვინცა და რამანცა[1] რჯულმა კაცმან ამ ჩუენგან მოსყიდულის მამულის შეშლა და შემოცილება მოინდომოს... წყევა.

ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხნეს.

არის ამისნი მოწამენი და შუამდგომელნი თვით დაუსაბამო დაუსრულებელი ღმერთი, მამა, ძე და სული წმინდა და ყოველნი წმინდანი ღმრთისანი, ზეცისა და ქუეყანისანი, ჴორციელნი და უჴორცონი; კაცთაგან: ჩემი განაყოფი მეჯინიბეთუხუცესი პაატა, ქაიხოსრო სოლოლაშვილი, სახლისუხუცესი ზურაბ, ჩემი სიძე დურმიშხან, საგინაშვილი იორამ, ისივ მოფიცარი საჰკაძე პაპუნა, მდივანი ბირთველი, მისი ძმისწული ბაინდურა, ჩემი აზნაურშვილი შანშე, არეშიშვილი ფრიდონა და სოლოლა, მახვილაძე მსახური, კაჯაძე გიორგი, ჩანთაძე გურასპა, ჩეკურაშვილი პაპია, თეგასასშვილი ახალშნელი, ალავერდას თუმანა, იშხანაშვილი ვარძიელა.

მე, ბატონის დედოფლის მდივანს ბე.გთაბეგს, დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. ქორონიკონს ტმთ, მარტს იე.

Verso-ზე პირშექცევით: „ჟგ. ქ. მშავნის ნასყიდობისა". მარჯვენა კუთხეში: „სიონისა".

---

1 რამამაცა.

## 852. თავნასყიდობის წიგნი პაატა რაზმაძისა დავით კოზმანაშვილისადმი

**1664 წ.**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 2338. დედანი. ქაღალდი. 23×15,4 სმ. მხედრული. დაზიანებული. რესტავრირებული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი.

ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისა[ათა ესე ნას]ყიდობისა წიგნი და ფიცი მოგართვით მე, [რაზ]მაძემ მჭედელმა პაატამ თქუენ, კოზმანი[შვილს] პატრონს დავითს.

ასრე და ამა პირსა ზედა, რომე თუმანიშვილის გიორგისა და მისის ბიძების ყმად ვიყავ. კახეთს მოველ. მოვიდნენ და ისრევე მიკყვანდი. და მე თავის დახსნას შევეხვეწე, იმათ, დიაღ, ბევრი მთხოვეს, ვეცადე და ვერას თავს აუველ და ვერცავინ დამიხსნა.

მასუკან თქვენ შემოგეხვეწეთ და თქვენ ჩემში სრული ფასი მიეცით, რითაც იმათი გული შესჯერდებოდა და მიყიდეთ.

დღეს და დღეის უკან ჩემზედ თქუენს მეტს კაცს ჯელი აღარა ჰქონდეს და არცავინ თქუენ ჩემი მოდავე კაცი გამოგიჩნდეს.

არის ამისი მოწამე და დამხდომი თვითან ბატონი ალავერდელი, ბაზიერთუხუცესი დავით, კიდევე ჩემი ცოლის ძმა მჭედელი ხახუტა და სრულ თელაველნი. კიდევე ამისი მოწამე და დამხდომი სრულ ერთობილნი საყდროვანი.

ეს წიგნი მე, ბეჟანს, დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა წიგნი ესე ქორონიკონსა ტნბ. †

სხვა ხელით: „ქ. ზ კოზმანიშვილის ნასყიდი კაცი“.

## 853. აზატობის წიგნი გიორგი თუმანიშვილისა პაატა რაზმაკისადმი

**1664 წ.**

ცსსა. ფ. 1448. საბუთი № 3276. დედანი. ქაღალდი. 26,6×16,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი, სამი ან მეტი წერტილი. უთარიღო. თარიღდება წინა საბუთის მიხედვით.

ქ. ესე წიგნი მოგეცით ჩვენ, თუმანიშვილმა მდივანმა გიორგიმ და ზაქარიამ შენ, რაზმაძეს პა[ა]ტას.

ასრე რომე ჩვენ წამოგვიხველ და კახეთს ჩამოხველ. მასუკან შემოგვეხვეწე და ჩვენ ჩვენად სადღეგრძელოდ და მამის ჩვენის შესანდობრათ, რაც ჩვენი გემართა, ისიც გაპატიევეთ და აზატიც ასრე

გიყავით: ვისთანაც გინდა მიდი, ღმერთია თავდები, ჩვენ არას მოგედავებით და აზატიც გვიქნია.

და ვინც მოგედაოს, ჩვენთან მოდი; და თუ საყმოდ გირჩის, ჩვენ უპასუხებთ. გიორგი ზაქარია

Verso-ზე „რაზმაძეს წიგნია დახსნილობის“.

## 854. გარდაწყვეტილების წიგნი მამუკა მაისურაძისა ყარშა გამყრელიძისადმი

**1666 წ. ახლო**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 8925. დედანი. ქაღალდი. 34,5×17 სმ. დაზიანებული, რესტავრირებულია. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი. ა-ნ მეტ-ნაკლები. უთარიღო. საბუთი თარიღდება პაპუნა ფავნელიშვილისა და ბაადურ მაჩაბლის 1665 წლის მორიგების წიგნის მიხედვით (ქართ. სამართ. ძეგლები, IV, გვ. 692—693).

ქ. ნებითა და შეწევნითა მღთისათა ესე გარდაწყვეტილობის წიგნი და სიგელი მოგეცით ჩვენ, მაისურაძემ მამუკამან, შვილმა ჩვენმა ნასყიდამან, შვილიშვილმან ჩვენმან დათუნამ და პაატამ და ივანეს შვილმან გიორგიმ, შვილთა და მომავალთა ჩვენთა ყოველთავე თქვენ — ყარშას გამყრელიძეს და თქვენს შვილს ბეჟანს ასრე და ამა პირსა ზედა, რომე:

ჩვენი ნაბატონარი ნიკოლოზ და ბაადურ ჩვენი ბატონი აიშალნენ და ძალიანი ჩხუბი იქნა. აწ იმ ჩხუბში ჩემი ძმა ივანე ყარშას შვილს შეაკვდა, შეიქნა საბატონოდ და სამდივნოდ და მრავალი საქმე ჩამოვარდა მაჩაბელსა და ფავნელიშვილს შუა.

იქნა იმათი მდივანი. დაბძანდა იმათ მდივანში მეფეთ-მეფე ბატონი მეფე შანავაზ, ბატონიშვილი ბატონი კათალიკოზი, კიდევ კოსტანტილე ბატონიშვილი, სარდალი ამილახორი ბატონი გივი და ერისთვის შვილი მდივანბეგი ბატონი ედიშერ, სახლთხუცესი სარდარი ბატონი ზაზა, ბოქოულთხუცესი ბატონი ელიაზარ, ბატონი თბილელი და ბატონი ბოლნელი და ბარათაშვილი რევაზ და მდივანი გიორგი თუმანიშვილი.

მეფემა და ამდენმა დარბაისელთ ასრე გაუჩინეს: ჩვენის ძმის სისხლი ჩააროინეს და ჩვენი თავი ბაადურს სამკვიდროდ და საბოლო-

ვოდ ნასისხრად მისცეს. ამდონს ჩვენი ბატონიც ტყუოდა ბაადურზედა და ჩვენც ვსტყუოდით.

აწ ამ ჯელმწიფეთა და დარბაისელთ ნაბრძანებს გარდვალიდეს ყარშას შვილს ჩვენის ძმის სისხლს და ან სხვარიგად რამ ვემტეროდა ან წავედაო რასმე, ან ღალატობითა და ან ჩხუბით, ანუ ჩვენდა ან მთასა ბარს...* ჩვენი ნათესავი ედევოს, ამისდა გასათავებლად მოგვიცემია თავად ღმერთი და ყოველხი მისნი წმინდანი, სვეტიცხოველი მღთივ-ამაღლებული, საქართველოს ჯვარ-ხატთ დამტვრევით გვაკითხოს ჯელმწიფეთ და დარბაისელთ თუ ამაში გაუმტყუნდეთ და ჩვენის ჯელით ყარშას შვილს უშავდეს რამე.

თუ ამაში გაუმტყუნდეთ, შანავაზ მეფემ მისდა შვილების ისრის სროლად მოგვაკითხოს.

ხუთი ჯვარი-ხელრთვა †††††
თავში

ხელრთვა: კათალიკოზი.
ბეჭედი: რომელი განჯსნათ ქვეყანასა ზედა, ჯსნილ იყოს იგი ცათა შინა.

## 855. თავნასყიდობის წიგნი გეროა ტერტერაშვილისა მამაჯანა ტერზაქარაშვილისადმი

**1668 წ. 15 აპრილი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2578. დედანი. ქაღალდი. 62,2×21,5 სმ. მხედრული, განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამწერტილი. ღვთისმეტყველური შესავალი და კრულობითი ნაწილი გამოუტოვეთ.

...ესე უთუო და უთუმცაო, ღროდაუდებელი და მიზეზშემოუღებელი, ყოვლისა ჩხუბისა და ილათისაგან გამოსული ნასყიდობის სიგელი დაგიწერე და მოგეცი მე, [ტერტერაშვილმა]** გეროამა თქუენ, ბატონს ჩემს ტერ-ზაქარა შვილს მამიჯანასა, ძმას თქუენსა პეტროზასა, ბეჟიასა და სახლისა მამავალთა თქუენისა ყოველთავე.

მას ჟამსა, როდესაც სამცხიდამ ქართლით გარდმოვედით და დედმამა დამეხოცა, დავრჩი მარტო, აქა-იქ ვიარებოდი და ვერ დავრჩი.

მოვედი თქვენთან და გეყმევ; თქუენი ნასყიდი მოახლე შევირთევ და ეს ნასყიდობის წიგნიც მოგეცი, რომე სიდამდის ცოცხალი ვიყო

---

* აქ ქაღალდი წაჭრილია, ჩანს ასოთა ნაშთი, უნდა აკლდეს ერთი სტრიქონი.

** აქ დატოვებულია ცარიელი ადგილი გვარის ჩასაწერად.

და პირში სული მედგას, თქუენს თავს სხვა ბატონი არ ვირჩიო და არც სადმე წავიდე.

თუ ეშმაკმან მაცდინოს და წავიდე სადმე, ვერავინ შემაგინებინოს ჩემს თავს თუნიერ ერთის ღმერთის მეტი.

გყუანდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩემი თავი, როგორც მრავალს ალალს ნასყიდს მართებდეს. ჯელგეწიფებოდეს ჩემი თავი თქუენ და ჩემი შვილი თქუენს შვილსა, ვერავინ შეეცილოს.

ვინცა და რამაც გუარმა კაცმა ამისად შლად ჯელყოს... წყევა.

დამამტკიცებელი აკურთხოს ღმერთმან. ამინ.

არის ამისი მოწამე მამასახლისი ზალია, ხითარაშვილი როსტომა, გარსევანაშვილი დეკანოზი მამუკა, გოგინაშვილი ესტატე.

და ძე, დავითაშვილს პაპუნას, დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა ესე მტკიცე სიგელი ქორონიკონს **ტნვ**, აპრილის[1] **იე** †

Verso-ზე: „ქ. ტერტერაშვილისა“.

## 856. ᲧᲛᲘᲡ ᲜᲐᲡᲧᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘ ᲪᲘᲪᲘ ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲝᲮᲘᲐᲧᲣᲠᲩ ᲠᲝᲡᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ

**1669 წ.**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1537. დედანი. ქაღალდი. 31,2×19,4 სმ. დაზიანებული. რესტავრირებული. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი.

ქ. ესე წიგნი და პირი მოგეცით ჩუენ, ფანასკერტელმა ციციშვილმა ბატონმა ციც[ი]მ თქუენ, [ო]ხიაყორჩს პატრონს როსებს.

ასე რომე ჩუენი [ყმ]ა ხიმშიაშვილი საგინა აგუეყარა და თქუენს მამულში მოვიდა. რადგან თქუენ მოინდომეთ, ჩუენ თქუენის გულისათვის დავთმევით; და თქუენ მოგვართვით ფეშქაში სრული[2] რითაც ჩუენი გული შეჯერდა.

და მოგართვით ყოვლის კაცის [უ]ცილებლად. იმ კაცთან ჯელი აღარავის ჰქონდეს არა ჩუენგან და არა ჩუენს ნათესავისაგან. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან გ[ამარ]ჯვებასა შინა.

არის ამის მოწამე და დამხუდური ბაზიერთუხუცესი დათუნა.

დაიწერა წიგნი [ესე] ქორონიკონს **ტნზ**. ციცი

---

1 აპრიელის. 2 სურული.

## 857. ᲫᲛᲐ-ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲪᲕᲚᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘ ᲙᲐᲙᲣᲜᲐ ᲒᲝᲡᲢᲐᲨᲐᲒᲘᲡᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲐᲡᲐᲜᲒᲔᲒᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1671 წ. 12 თებერვალი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2236. დედანი. ქაღალდი. 16,7×16,8 სმ. რესტავრირებული. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ერთი, ორი, სამი ან ოთხი წერტილი. ა-მეტ-ნაკლული.

ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა მოგეცით ესე წიგნი ჩვენ, გოსტ[ა]შ[ა]ბისშვილმა პაპუნამ და შვილმა ჩვენმა გოსტ[ა]შ[ა]ბ, ყაფარბეგ, ნიკო[ლო]ზ და თამაზ თქვენ, ასანბეგისშვილს თაყას, ასლამაზს და შვილთა თქვენთა გიორგის, ასლ[ა]ნს და იოსებს.

ასე და ამა პირსა ზე[და]ნ, რომე მოგ[ი]ცვალეთ ენაგეთს ჯანიკასშვილები სამივ კომლი მისის მამულითა და შესავალ-გასავლითა. პაპისგორში ხუთი დღის მიწა. კიდევ ვალი გემართათ, და ცამეტი თუმანი თეთრი მოგეცით და ვალი გარდაგიწყ[ვ]იტე. და ამისი სანუქფო[1] გამოგართვი ტბისში[2] რისაც მქონებელი იყავი. ასე გამიდექით ტბისიდამე[3] ერთმანეთ[თ]ან ჯელი აღარა გვქონდეს, ძმობისა და ამხანაგობის მეტი.

ამისათ გასათავებლათ მამიცემია თავად[4] ღმერთი და ყოველი მისი წმინდანი ზეცისანი და ქვეყნისანი, ხორციელი და უხორცონი.

არის ამისი მოწამე: მეჯინიბეთხუცესი პა[ა]ტა, მისი ძმა ოთარი, სულხან ბარათასშვილი, მისი ძმა იონათამ, რევაზისშვილი შერმაზ[ა]ნ, თამაზისშვილი იესე და დათუნა, აბდარბაში გიორგი; ჩვენი ყმები: არეშისშვილი ფრიდონა და გურგენა, ჩიტიასშვილები მახარა და მისი შვილები.

მე, მოლარე ბეჟანს დამიწერია და მოწამეცა ვარ: ქორონიკონს **ტნთ,** თებერვლის თორმეტს დაიწერა. პაპუნასია

მინაწერი სხვა ხელით: „დავით თაყასშვილმა რომ დაგიგირავა ენაგეთს, ჯანიკაშვილების წიგნია“.

---

[1] სანუქოფო. [2] ტაბისში. [3] ტაბისიდამე. [4] დავად.

## 858. ᲫᲛᲐ-ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲪᲕᲚᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘ ᲐᲡᲐᲜᲑᲔᲒᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲙᲐᲙᲣᲜᲐ ᲒᲝᲡᲢᲐᲨᲐᲕᲘᲡᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐᲓᲛᲘ

**1671 წ. 12 თებერვალი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 6777. დედანი. ქაღალდი. 17,5×17,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი ან სამი წერტილი. ა-მეტ-ნაკლული.

ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა მოგეცით ესე წიგნი ჩვენ. ასანბეგისშვილმა თაყამ, ასლამაზ და შვილმა ჩვენმა გიორგიმ, ასლ[ა]ნ და იოსებ თქვენ, გოსტაშ[ა]ბისშვილს პაპუნას, შვილთა თქვენთა გოსტაშაბს, ყაფარბეგს, ნიკოლოზს და თამაზს.

ასე და ამა პირსა ზედან, რომე მოგ[ი]ცვალეთ ტბის[ს] ჩვენი კერძი, რისაც მჭონებელი ვიყოთ, სასახლე მისის მარანითა, ქვევრითა და შესავალ-გასავლითა, შენითა და უშენითა.

ჯოსშვილები მისის მამულითა, რისაც მჭონებელი იყონ იმითა. თხვინთვ[ი]ს[ს]ს[1] გარდისად.

მირზიასშვილის მამული, რისაც მჭონებელი იყოს ან სასახლითა და ან მამულითა; სეულოები არის და ისიც მამიცემია თავისი მიწა-წყლითა და სასახლითა; ჩემი ახალშენი, მისი შენითა და უშენითა, ისიც მამიცემია.

ამისი სანუქფო[2] გამოგართვით ენ[ა]გეთს ჯანიკასშვილები სამივ კომლი მისის მამულითა და შესავალ-გასავლითა, ცამეტი თუმ[ა]ნი თეთრი და ხუთის დღის მიწა პაპისგორში. არღარა დარჩა რა ჩვენზე ერთმანეთისა ძმობისა და მოყვრობის მეტი.

ამისად გასათავებლათ მოგვიცემია თავად ღმერთი და ყოველი მისნი წმინდანი ზეცისანი და ქვეყანისანი, ხორციელნი და უხორცონი.

არის ამისი მოწამე: მეჯინიბეთხუცესი პ[აა]ტა, მისი ძმა ოთარი, სულხ[ა]ნ ბარათაშვილი, მისი ძმა იონ[ა]თამ, რევაზისშვილი შერმაზან, თამაზისშვილები იესე და დათუნა, აბდარბაში გიორგი, ჯავახიშვილი ქაიხოსრო, მისი შვილი ბახუტა და დურმიშხან და იასე;* ჩუენ ყმათაგან: პაპუა და უნჯულაშვილი.

მე, მოლარე ბეჟანს, დამიწერია და მოწამეცა ვარ. ქორონიკონს ტნთ, თებერვლის თორმეტს გასულს. †††††

მინაწერი: „ჯოგი შვილებისა. ქ. თაყანთ მოცემულია ტბისისა“.

---

* „ჯავახიშვილი ქაიხოსრო, მისი შვილი ბახუტა და დურმიშხან და იასე“ მიწერილია გასწვრივ მარცხენა კიდეზე.

1 სანუქაფო.

## 859. ყმის ჩუქების წიგნი იესე ერისთავისა აშოთ გატონიშვილისადმი

**1672 წ.**

ცსსა. ფ. 1450. დავთარი № 5. საბუთი № 102. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[96r] ესე საბოლო[ო]დ გასათავებელი, მტკიცე და შეუცილებელი წიგნი და პირი მოგართვით ჩვენ, ერისთავმან ბატონმა იესემ, ძმამა ჩემ[მ]ა ზა[ა]ლ თქვენ, ბატონიშვილს ბატონს აშოთანს და შვილთა თქვენთა ქაიხოსროს და იესეს.

ასრე რომე ჩვენს ყმას გორელს კაცს ჭოჭილასშვილს ჩვენგან ნასყიდი და ნაწყალობევი ჩვენი ყმის შვილი ყვანდა. ის ბიჭი იორდანეშვილი ბასილა, პაპუნა თქვენ მოიდომეთ და გვთხოვეთ. იმ გორელს კაცს ალიხანას ძმას გოგინას გამოვართვით და იმისი გული შევიჯერიეთ და თქვენ მოგართვით.

ასრე უცილებლად მოგვირთმევია, რომე არც იმ გორელს კაცსა, არც სხვას სომეხსა და არც ქართველს კაცსა ამ ჩვენგან მორთმეულს იორდანეშვილს ბასილასთან ხელი არავის ჰქონდეს.

თუ ვინმე ამისი მოდავე და მაცილებელი[1] კაცი გამოჩნდეს, პასუხის [v] გამცემი ჩვენ ვიყოთ. ქორონიკონს ტნა. [redacted]

## 860. მამულის გაცვლილობის წიგნი ელიზბარ ხარატასშვილისა ქალაქის მოურავ მანუჩარისადმი

**1673 წ. 1 იანვარი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 1765. დედანი. ქაღალდი. 29×23,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამწერტილი.

ჭ. ნებითა ღვთისითა ესე წიგნი დაგიწერეთ და მოგეცით ჩუენ ხარატასშვილმა ელიზბარამა და ჩემ[მ]ა ძმამ შერმაზანამა და ჩუენმა ძმისწულმა ზურაბამა თქუენ, ქალაქის მოურავს[2] მანუჩარს და თქუენს შვილს სუფრაჩის იმამყულის და პა[ა]ტა-ბეგს.

ასრე და ამა პირსა ზედა, რომე მამასახლისისაგან ნასყიდი მამული გუქონდა[3] უმეკას სახლების პირდაპირ. ის თქუენ მოგეცით

[1] მოცილებული. [2] მავრავს. [3] გუაქონდა.

და თქუენ იმ სახლების სანაცულოდ ჩუენს დერეფანში რომ თქუენი საჯინიბო იყო, ის მოგუეცით.

და თუ ამ მამულების მოცილე და ან მოდაეე გამოჩნდეს, ჩუენ ნერთს პასუხი გაეცეთ.

არის ამისი მოწამე თავად ღმერთი[1] და კაცთაგან: მელიქი ენალა და მე, მამასახლისს ასლამაზას, კიდეც მამიყიდია და მოწამეცა ვარ და ნაცუალი დათინა და გომშატალათ უმეკა და ნარიმანასშვილი ბაღდასარა და ივარგულათ გასპარა და გოგინაშვილი პაპუა.

და მე, მწერალს მარტიროზას, დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა ესე წიგნი იანვრის ა, ქორონიკონს ტნია.

მერმე არის იმ საჯინიბოს გუერდი ორი თქუენი ქულბაქის[2] უკანა კედელი და საჯინიბოს სიგრძე რვა ადლი დ[ა] განი ექუსი ადლი დანახევარი. †††

## 861. ჯენახის გაცვლილობის წიგნი საამ გარათაშვილისა პაპუნა გოსტაშაბისშვილისადმი

**1673 წ.**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 6020. დედანი. ქაღალდი. 50×21,5 სმ. დაზიანებული. თავი და ბოლო მოხეულია. რესტავრირებული. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი. ა-მეტნაკლული.

... [წიგ]ნი მოგართვით ჩქენ, ბარათაშვილმა საამ, ძმამ[ა ჩემ]მა შიოშ და ზაქარია[ს]შვილმან ქაიხოსროვ და ზაალ.

ასე და ამან პირსა ზედან, რომე ტბის[ს] თქუენის ზურის გვერდით ჩუენი ენაჯი იყო; და ვითაც თქუენი სამჯრო იყო, ყოველის კაცის უცილებრად მოგიცვალეთ და მოგეცით მის [სა]წნახლითა თქუენ, გოსტაშაბიშვილს პაპუნასა, შვილთა და თქუენთა გოსტაშაბს, ყაფარბეგს, თამაზს და ნიკოლოზს.

და ავიღეთ ენაგეთს ჩუენის ზურის გვერდით თქუენი ენაჯი იყო მისის წყაროთა და საწნახლითა.

და კიდევ ტბის[ს] აბულფათისშვილის პირდაპირ თქუენს წინა ჰალა და საწისქუილო, მუხას ქუემოთ, ერთი დღისა.

არის ამის მოწამე: მ[ე]ჯინიბეთხუცეს პაატა და ჩუენი მსახუ-

---

[1] ღ~თნ. [2] ქლბაქის.

რები — სომეხი შვილი ამირანა, არე შის შვილი გურგენა, კიდე სააკაძე ავთან[დილ].

[და მე გიორგ]ის ლაღაძეს დამიწერია და მოწამეცა ვარ. ქორონიკონს ტ]ნია. †

თავში ლურჯ გადაწებებულ ქაღალდზე: „სამის შვილსა და ჩვენ მამული გავიცვლია ენაგეთში და ტბისში“.

პირშექცევით: „თერთმეტი წიგნია ჩაწერილი სიაში ტბისისა ია 11“.

## 862. ქალიშვილის მოახლედ მიცემის წიგნი პაატასი მერაბასადმი

**1676 წ. 18 აპრილი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2797. დედანი. ქაღალდი. 20,5×15,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ერთი, ორი ან სამი წერტილი. ა-მეტ-ნაკლული.

ქ. ესე წიგნი მოგეც მე, ახალდაბელ სულხანის ყმა პაატამა შენ, მერაბას ასე და ამა პირსა ზედან, რომ ჩემი ქალი მარიამ შენ მოგეც ჩემის ნებით მოახლეთ.

გჭონდეს[1] და გიბედნიეროს, შენის ნებით ქმარიც შერთო და შენთვინ ყმათ დაასახლო. ამის იქით შენთან ჯელი არავის არა ჰქონდეს. არც ბატონი და არც ყმა, არც ჩემის გუარის კაცი, ერთი ღ¯თიერსა მეტი.

თუ ვინმე მაგისი მოდავე გამოჩნდეს, პირის და პასუხის გამცემი მე, პაატა[2], ვიყო.

და არის ამისი მოწამე ბეროა. და მე, გასპარსა, დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი.

დაიწერა ქორონიკონს ტნიდ, აპრილის იჱ გასულს. †

## 863. შვილის გირაოდ დადების წიგნი გაინდურა ბიძინაშვილისა ხოჯა გულინათ ნაზარისადმი

**1678 წ. 14 ივნისი**

ცსსა. ფონდი 1448. საბუთი № 5108. დედანი. ქაღალდი. 29,3×20,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი. ა-მეტ-ნაკლული.

ქ. ნებითა და ღთისით[ა], ავიღე მე, ალელი ბიძინასშვილი გაინდურამა შენ, ხოჯა ბულიანათ ნაზარასაგან ოცდახუთი მინალთუნი.

---

1 ჰაქონდეს. 2 პატამა.

ასე და ამა პირსა ზედან, რომე ჩემი შვილი ბიძინა ათის წლი-
სა შენთან გირავოდ დავდევი, ამა ერთი წელიწადი ვადა. და თუ ვა-
დას გადასცილდეს და შენი თეთრი არ მოგიტა[ნ]ო, ჩემი შვილი ბიძინა
შენი იყოს ნასყიდობლით.

არა კაცი შენთან ხელი არა ჰქონდეს, არც ბატონი და არცა ყმა და არც ჩემის გვარის კაცი ერთი ღმერთის[1] მეტი. [გ]ქონდეს და გა-
ბედნიეროს.

და თუ ამ პირობას[2] გარდავიდე, ბატონის ჩემის შემცოდე ვიყო და სალთხუცესი იასონისა.

არის ამისი მოწამე გოზალათ ანაშელა და მუშრიბი ჰა-
ხვერდა და დემეტრა და ჭონი მელქოა.

და მე, გასპარას, დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. დაიწე-
რა ქორონიკონს ტნივ, თიბათვის იდ გასულს. †

## 864. რუს გასაბარებლად მიწის მიცემის წიგნი დავით ერისთავისა თუმანიშვილებისადმი

**1678 წ. 18 დეკემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1016. დედანი. ქაღალდი. 51,6×19 სმ. მხედრუ-
ლი. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შედეგ ნახმარია სამწერტილი.

ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისითა ჩუენ, ქსნის ერისთავ-
მან პატრონმან დავით ძმამა ჩვენმა რევაზ ესე ამიერ უკუ-
ნისამდი ჟამთა და ხანთა გასათავებელი მტკიცე და უცვალებელი წიგ-
ნი[3] და ნიშანი მოგეცით თქვენ, ჩვენთვის კარგის მდომთა თუმანი-
შვილს გიორგის, ზურაბს, ზა[ა]ლს, სულხანს, პა-
პუასა, გოჯასპის, ესტატეს, ფარსიასა, ბეჟანს, კი-
დევ ბეჟანს, ყალანდარასა, ბახუტასა, ზა[ა]ლს, და-
თუნასა, ოთარსა, გივსა, შიოშსა, ბაინდურს, შვილ-
თა და მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე.

მის ჟამსა, ოდეს ამასწინათ კურთხეულის ბატონის ბიძის ჩუენის იასეს ერისთვის ჟამში პატარას ლიახვის რუვის სა-
თავე და წყალი მოგენდომებინათ და კიდეც მოეცა და დაენებებინა და რუ გამოგეღოთ. დიაღ, ქვემორ დარჩომილიყო წყალი და მძიმედ დიოდა, ბევრს ირჯებოდით.

მოხვედით სრულად თუმანიშვილები. კურთხეულის ბატონის მა-
მის ჩემისა და კურთხეულის ბიძის ჩემის ელიზბარ ერისთა-

---

[1] ღთიერის. [2] ბირობას. [3] + და ნი.

ვის ჟამშია წყალობა ექნათ მარანის გვერდზედ ლიახვისაკენ რუვი დაენებებინა. და თქვენც იმის სამუქბოდ ჩვენი სოფელი ბეგ-თარხნებინათ მარანა ჯელმწიფისაგან. აწე მარან[illegible]ლები გაჯავრებდეს და წყალს გიხეთქდეს.

მოხველდით და შემოგვეხვეწენით. ქიწნისისაკენ მოინდომეთ და იქივ მარანის თავს რუ[ს] სათავე აგართვით. ჩვენი სათემოს თავი გაგაჭრევინეთ და ქიწნური ზოგ-ზოგი მიწები და იმაზედ გაგატარებინეთ.

ყოვლის კაცის უცილებლად გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან და არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არა ჩვენთა ნათესავთაგან.

**სამი მერუე** მარანიდამა გვიჩენია გარეჯურის თავამდინ უნდა რომ წყალს გიდენდენ: და რომელიც ჯამაგირი თქვენგან მერუეთ ჰქონებოდეს, ნუ მოუშლით.

ამის გასათავებლად თავდებად მოგვიცემია თავად ღმერთი და ყოველნი მისი წმინდანი ზეცისა და ქვეყანისანი, კორციელი და უკორცონი.

დაიწერა წიგნი ესე ქრისტიშობის **ჩჲ** გასულს, ქორონიკონს **ტნივ**.

ბეჟედი დავით ერისთავი.

## 865. საპატრონყმო წიგნი არაქელაშვილებისა თუმანიშვილებისადმი

**1679 წ. 1 ივლისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 6300. დედანი. ქაღალდი. 27,6×15 სმ. რესტავრირებული. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი ან სამი წერტილი.

ქ. ნებითა ღვთისითა, მამისა, ძისითა, სულისა წმინდითა ესე საპატრონყმო წიგნი მოგართვით ჩვენ, ალიხანაშვილებმა არაქელამ და ასატურამ და ბაინდურამ და ჩვენმა შვილმა თქუენ, ბატონს ჩვენს, ბატონს მდივანს ზურაბს და სულხანს, ყალანდარს, გივს, დავითს, შიოს და თქუენის სახლისა მამავალთ ყოველთავე.

ასრე რომ, თუ ჩვენ ყმობით სადმე წაგივიდეთ, თუ ყიზილბაშის ქვეყანას წაგივიდეთ, ყე[ე]ნის მესისხლე ვიყოთ, თუ ურუმის ქვეყანას წაგივიდე, ხონთქრისა და ფაშის მესისხლე ვიყო, თუ ქართლის ქვეყანას წაგივიდე, გიორგი მეფისა და ამილახორის მესისხლე ვიყო.

არის ამისი მოწამე ნაზირი ზა[ა]ლ, ჩელაბაშვილი ბეჟან. თუმანისშვილი ბეჟან.

მე, პაპუას, დამიწერია და მოწამეც ვარ. [მ]კათათვის ა. ტნიზ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

††

## 866. ვალისა და გირავნობის წიგნი ქაიხოსრო ბარათაშვილისა პაპუნა გოსტაშაბისშვილისადმი

**1679 წ.**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 4156. პირი, გადაწერილი ქაღალდზე მხედრული ხელით XIX ს. დამდეგს.

ჴ. ესე წიგნი მოგეც მე, ბარათასშვილმან ქაიხოსრო, ჩემ[მ]ა ძმისწულმან ბარათასშვილმან სუფრაჯმან ქაიხოსრო თქვენ, ბარათასშვილს, ჩვენს განაყოფს გოსტაშაბისშვილს პაპუნასა, შენს შვილს გოსტაშაბს და თამაზსა.

ასე რომე ავიღეთ შენგან ოცდათოთხმეტი თუმანი, თვეში თუმნის თავს აბაზი სარგებელი უნდა მოგცე. აპრილის დამდეგს თეთრი აგვიღია.

ამ თეთრის გირაოთ დაგიდეკით:

ენაგეთს სადუნიშვილი პაატი, მიწისა და ვენახისა რისაც მამულის მჭონებელი იყოს, თავისის ყმითა, თავისის კერძის რისაც მჭონებელი იყოს.

მისი განაყოფი სამნა. დღეს რისაც მამულის მჭონებელი იყოს. კიდევ იმის განაყოფი გურგენა, დღეს რისაც მამულის მჭონებელი იყოს.

ენაგეთს მემშვილდისშვილი. რისაც მამულის მჭონებელი იყოს.

ენაგეთს რაც შენი წილი მამული იყო და ჩვენ გვეჭირა, სრულ ყველა გირაოთ დაგვიდებია.

სადუნიშვილები სადაც აყრილნი იყვნენ და მოიყვანო, ისიც გირაოთ დაგვიდებია.

ტბის[ს] დილენჯაშვილები ქიტია და ბერუკა თავის ძმითა, ხვინთბას გარდაის, ტბის[ს][1] ხოდაბუნის ნაჭერ გარდაის, რისაც მამულის მჭონებელი იყვნენ. —

ესე[ე]ბი ყველა იმ ოცდათოთხმეტის თუმნის გირაოთ დაგვიდებია, ღვინობისთვეს დამდეგამდი ამ სარგებლით გირაოთ იყოს.

თუ ღვინობისთვეში შენი თეთრი ვერ მოგცე თავის სარგებლით,

[1] + რომ.

მასუკან რაც ამ წიგნში ყმა და მამულები გიწერია, შენთვის საქვეიდროდ მოგვიცემია, ხელი აღარა გვაქვს. თუ ამ ბორჯალუ[illegible]
ვერ მოგცეთ, მასუკან ნასყიდობის წიგნი მოგცეთ და [illegible]
ნებოთ.

არის ამისი მოწამე: ბატონი თბილელი იოსებ, მეჯინიბეთუხუცესი პაატა, მისი მამა ოთარი, ბოქოულთუხუცესი საამ, მეჯინიბეთუხუცესი სეხნია, ბოქოულთუხუცესი შიოშ, ქავთარისშვილი სულხან, იონათამ და მანუჩარ, საგინაშვილი ქაიხოსრო, საგინაშვილი ზაალ, ყორღანაშვილი ლამაზა, რევიშვილი შალვა და ადამ, ბლორძელი ოტია და ზურაბა, სარაჯი ჯიმშიტა.

მე, მღუდელ-მონაზონს ელისეს, დამიწერია და მოწამეცავარ, ჭორონიკონს ტნიზ [ ] [ ] ხელრთვა: ქაიხოსრო.

## 867. სათავდებო წიგნი ლაზარე გურძენიძისა ქაიხოსრო წერეთლისადმი

**1680 წ. ახლო**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2670. დედანი. ქაღალდი. 12,5×16 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამწერტილი. ა-ნაკლული. საბუთი უთარიღოა. წერეთელი ქაიხოსრო იხსენიება 1680 წლის საბუთში (დოკუმენტები I, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1940, გვ. 433).

ჭ. ესე სათავდებო წიგნი მოგართვი მე, ლაზარე ბურძენიძემ თქვენ, ბატონს ქაიხოსრო წერეთელს და ბატონს ამილახორის ჭალს.

თუ თქვენ ეს გიორგი ბურძენიძის შვილი პაპუნი სადმე წაგივიდეს, ჩემი თავი და ჩემი ცოლი ღმერთმან გიალნოს.

ბატონის ჩემის ფარსადანის მოწმობით, იესე აბდუშენიშვილის და უგემურის მოწმობით †

მე, გომართელს თამაზას, დამიწერია, მოწამეცა ვარ ამისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 868. შვილად აყვანის წიგნი ლამექისა გიორგისადმი

**1680 წ. ახლო**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 65. დედანი. ქაღალდი. 41×15 სმ. [illegible] ზიანებული. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი. ა-მეტ-ნაკლული. ღვთისმეტყველური შესავალი და კრულობითი ნაწილი გამოვტოვეთ. თარიღი არ უზის. ჯავახიშვილი გოშფარ, მანუჩარ და ფარსადან იხსენიებიან 1682 წლის საბუთში (Hd 2370). ჩვენი საბუთიც ამის ახლო ხანებში უნდა იყოს შედგენილი.

...მოგეც ესე წიგნი და სიგელი[1] ჟამთა[2] გასათავებლათ მე, მამაშენმა ლამექიმ და დედაშენმა ხორაშან შენ, ჩვენს შვილს გიორგის, მითამც შვილი არა გვყავს და შენ გიშვილეთ[3]. სანამდი ცოცხალ[4] ვიყვნეთ, ჩვენ არ გაგვეყარო. ჩვენს უკან სანამდი შენ გინდოდეს ჩემს ძმას და ძმისწულებთან იყო, თუ შენი გული ვერ დასტიო, ვისთანც შენ მიხვიდე, არაკაცი შენი მშლელი არ იყოს.

ჩემის მამულის წილი დაგედოს ბარსაც, მთასაც, ტყესაცა. როგორც სხვას შვილს დასდებია წილი მამულისა, ასრე შენ დაგედვას.

არის ამისი მოწამე მოურავისშვილი ავთანდილ, გოშფარ ჯავახიშვილი, მისი ძმა მანუჩარ. ჩვენ ოთხთავ დავეწერია, ფარსადანის მარანში რომ ვიდევით.

აწე ვინცა, რომელმანცა ძემან კაცისამა... ეს ჩვენგან მოცემული წიგნი და ნიშანი და სიგელი მოგიშალოს... წყევა.

ხოლო დამამტკიცებელი განმთავებელნი ღმერთმან აკურთხნეს. დაიწერა ესე წიგნი ქორონიკონს...*

სამი ბეჭედი: გოშფარ*, ავთანდილ, მანუჩარ*.

## 869. თავდებობის წიგნი როსტომა მაზმნიშვილისა ზაალ ციციშვილისადმი

**1680 წ. ახლო**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 945. დედანი. ქაღალდი. 9×12,6 სმ. მხედრული. ტექსტი ალაგ-ალაგ გადასულია. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამწერტილი. ა-მეტი. საბუთი უთარიღოა. ციციშვილი ზაალ მოხსენიებულია 1679 და 1684 წლების საბუთებში (ქართ. სამართ. ძეგ. IV, გვ. 143; საქართ. სიძვ. II, გვ. 143). ეს საბუთიც ამის ახლო ხანებში უნდა იყოს შედგენილი.

ქ. ესე თავდებობის წიგნი მოგართვი მე, მაზმნიშვილმა როსტომმან და ბექუამან თქუენ, ციცი-

---

1 + მე. 2 ჟამათ. 3 და დედაშენმა ხორაშან... გიშვილეთ] მითამც შვილი არა გვყავს და შენ გიშვილეთ და დედაშენმა ხორაშან შენ ჩვენს შვილს გიორგის. 4 ვსცოცხალ.

* ტექსტი გადასულია და არ იკითხება.

შვილს ბატონს ზაალს, ასრე რომე[1] თუ თქუენ ეს თქუენი ყმა მნათაშვილი ოთია და მისი შვილები ლამაზა, ბერი და ეუა წაგივიდნენ სადმე, მე თქუენ ასრე გაგცე პასუხი, რომე თქუე-სათვინ თავი მოგცეთ. ცოლისათვინ — ცოლი, შვილისათვინ — შვილი, საქონელისათვინ — საქონელი.

თუ მე თქუენ ამაში გაგიმტყუნნე, ჯერ ვიყო მხთისა შემცოდე, მერე ქართლისა კელმწიფის.

არის ამისი მოწამე შოშიტაშვილი გოწერამ (?), საამაშვილი თარეშიშვილი თამაზა, როსადაშვილი ბერი ††

## 870. ფიცის წიგნი პაპუნა გოსტაშაბისშვილისა თავისი ძმების ვახტანგისა და თამაზისადმი

**1684 წ. 17 იანვარი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 1928. დედანი. ქაღალდი. 39,8×14,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი. ღვთისმეტყველური შესავალი გამოვტოვეთ.

... ესე პირი, ფიცი და წიგნი მოგეცით ჩუენ, ბატონმა პაპუნამ და თანამეცხედრემან ჩუენმან ბატონმა ბანგიჯასპი თქვენ, ჩემს ძმებს მდივანბეგს ვახტანგს და სარდარს თამაზს, ასე და ამა პირსა ზედა.

მოჴდა ბრძანება ღმრთისა და შვილი არ მოგვეცა, და ჩუენდა შვილად ჩვენი ძმისწული ერასტი ვიშვილეთ; და ამ მიზეზით ძმათ-ში სამდურავი ჩამოგვივარდა და ლაპარაკი შეგვექნა.

და რადგან მდივანბეგისა და სარდლის ქართული ერთი იყო, მეც თქვენკენ მოვიზივე. ჩემს ძმას ასლანს და ძმისწულებს დავე-ლაპარაკნეთ, თუ ამ პირობით ყაბული ქნან, რომ თქვენში საუფროსო და საუმცროსო აღარ იყოს, ჩემს საუფროსოს არავინ წამოეჭიდოს, ძმანი ხართ და ჩემს წილად საუფროსო ყუალა სასწორით იყოს, ისევ ტკბილად და საყუარლად იყავით და ერთობა ქენით.

თუ ვინ იცის ეშმაკის საბრჯემ არ აქნევინოს და ამის ყაბული არ ქნას, კიდეც გავეყარო, თქვენთანაც მოვიდე, არც თქვენის მეტი სხვა ძმა ვინდომო, ჩემი კერძი მამულიცა და საუფროსოც თქვენს დაგანებო, და არც ამ პირობაზე ზურგი გადრიკო, კიდეც გაგითაო.

---

[1] რომენ.

ამისად გასათავებლად მომიცემია თავად ღმერთი, ყოველნი მისი წმინდანი, ზეცისანი და ქვეყნისანი, ჯორციელნი და უჯორცონი და ზემოწერილნი ყოველნი. ქორონიკონს ტობ, იანვრის იზ



## 871. საბაზიეროს ნასყიდობის წიგნი ზაალ ციციშვილისა ორბელ ორბელისშვილისადმი

**1684 წ. 1 ნოემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 541. დედანი. ქაღალდი. 45,3×23,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი. ღვთისმეტყველური შესავალი გამოვტოვეთ.

... ესე ჟამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და უცვალებელი, საბოლოო ნასყიდობის წიგნი მოგეც მე, ციციშვილმა ბატონმა ზაალ და მომავალთა სახლისა ჩემისათა თჭუენ, ორბელისშვილს მდივანბეგს ბატონს ორბელს და შვილსა თჭუენსა, ბატონს სულხანს, ბატონს ერასტის, ბატონს ვახუშტის, ბატონს ყაფლანს, ზურაბს, დიმიტრის.

ასე და ამა პირსა ზედა რომე, მოვინებეთ და მოგყიდეთ ჭალაჭს ჩვენი საბაზიერო გურგენის ნაჭონი, აჭათ აჯიშამფურას ყმის ადუას სახლამდისი, უკან გურგენას დარბაზის მიდგომდის, დასავლით ნაზირი ზაალის სახლის კედლამდი და წინ შარამდის. გჭონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან.

ვინცა და რამანცა კაცმა ამის ცილებად იწყოს, პირისა და პასუხის გამცემი მე ვიყო.

არის ამისი მოწამე პირველად ღმერთი და ყოველი მისი წმინდანი; კაცთაგან: სააკაძე მოურავიშვილი ბატონი ავთანდილ [ ], ამირეჯიბი ბატონი ქაიხოსრო [ ], ჭალაჭის მელიქი ავთანდილ, მამასახლისი გიორგი. [ ]

მე, იესე სიონის დეკანოზს, დამიწერია, მოწამეცა ვარ. დაიწერა ესე წიგნი გორგობისთვის ერთს, ქორონიკონს ტობ. [ ]

Verso-ზე პირშეჭცევით: „ჭ. ზაალ ციციშვილის ნასყიდობის წიგნი. ხატუას სახლები, მეფემ რომ საჯინიბოდ ააშენა, ცალკე არის“.

## 872. სათავდებო წიგნი იორდანე მჭედლისშვილისა პაატა აბაშიძისადმი

**1675—1685 წწ.**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 8914. დედანი. ქაღალდი. 16,2×11,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი. ა-მეტ-ნაკლული. თარიღი არ უზის. თარიღდება პაატა აბაშიძის მიხედვით (დოკუმენტები საქ. სოც. ისტ. I, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1940, № 600).

ესე სათავდებო წ[ი]გნი მოგეცით ჩვენ, მჭედლისშვილმა იორდანემა, მჭედლისშვილმა გოგიამა†,* ბასაძე დათუნ[ა]მა, შარიქაძე ძაღლუამა თქვენ, ბატონს აბაშიძე პაატასა.

ასე რომ, შარიქაძე ხახუტასი და გიგანასი ძევალი რომ მოგაბარა ბ[ა]ტონისშვილმა არჩილმა. ეს ჩვენ გვითავდებია. როცა შენი ბძანება იყოს, მძევალი ისე მოგართვა. თუ შენ მძევალი ვერ მოგცეთ, ხუთასი მარჩილი მოგცეთ.

არის ამისი მოწამე ნახუცრიშვილი ბეჟანა, შაბერასშვილი გიორგაი. მე. ბერუკას დამიწერია, მოწამეც ვარ.

დაიწერა ქრი[სტი]შობისთვ[ი]ს ი გასულსა. †††

## 873. საქვრივოსა და გასამყრელოს მირთმევის წიგნი ფავლენიშვილებისა ნიქოზის ეკლესიისადმი

**1693 წ.**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1504 ვ. კრებული ნიქოზის ეკლესიის საბუთებისა. პირი. საბუთი დაწერილია კრებულის მე-6 ფურცლის recto-ზე. კრულობითი ნაწილი გამოვტოვეთ.

[6] ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა, ესე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი წიგნი მოგართვით ჩვენ, ფავნელისშვილმა პაპუნამ, თმოგველმა იოთამ და შიოშ თქვენ, ღმრთაებასა[1] და ბატონს ნიქოზელსა მას ჟამსა, ოდეს საქვრივო გლეხისა და გასამყრელო ერთი ჯარი უნდა მოგართვან საყდრის ყმისა. საყდრისა ყოფილიყო, ჟამთა ვითარებისაგან მოეშალათ.

ახლა ისრევ თქვენთვის მოგვირთმევია. არას კაცს საქვრივოსა და

---

* „მჭედლისშვილმა გოგიამა †“ მიწერილია მარცხენა კიდეზე.

1 მღვთაებასა.

გასამყრელოსთან ჯელი არა აქვს, არც საყდრის ყმას ბეგარასთანა: არც შემოგეცილოთ.

ვინცა და რამანცა ნათესავმან ჩვენმან ანუ სხვამან გვართმეოდეს ესე ამ ჩვენს მონასტერს მოუშალოს... წყევა.

და დამამტკიცებელნი ღმერთმან აკურთხნეს. არიან ამისნი მოწამენი სახლისუხუცესი ნამორაძე იორამ, ნამორაძე დათუნა, დეკანოზი ბასილი, მოურავი ებიტა და სულ საფავნელისშვილო.

მე, იოსებ მღუდელს ხახულარს, დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა წიგნი ესე ქორონიკონსა ტპა.

ხელრთვა: პაპუნა ††

## 874. თამასუჭი იესე და დათუნა გერმანოზიშვილებისა ქალიბი ჯაფარასადმი

**1693 წ.**

„საქართველოს სიძველენი“ ტომი I, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით 1899, № 426.

ქ. ავიღეთ ჩვენ გერმანოზისშვილმა იასემ, დათუნამა შენ, ქალიბი ჯაფარასაგან ერთი თუმანი თეთრი მარტის დამლევსა. რასაც ხანს ჩვენს ჯელთ დაყოს, თვეში ორი კოპური (sic) მოგაბარო.

მაყასშვილი ფარსადანა ამისი მოწამე. ათინასშვილი ესტატე.

მე, დომენტის, დამიწერია, მოწამეცა ვარ ამისა. ქორონიკონს ტპა. † იასე

## 875. საფიცრის წიგნი გივი ამილახორისა პაპუნა ორგელიშვილისადმი

**1685—1695 წლ.**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 566. დედანი. ქაღალდი. 37×23,6 სმ. დაზიანებული. თავი აკლია. რესტავრირებული. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი. ღვთისმეტყველური შესავალი გამოვტოვეთ. საბუთს თარიღი არ უზის.

... ესე ჟამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და უცვალებელი, უჭერჯო, უილათო, პირუტყუარი პირი, ფიცი და საფიცარი მოგეცით

ჩვენ, ამილახორმა ბატონმა გივმა და ძმამა ჩემ[მ]ა ყორჩიბაშმა პაატამ, ძმისწულმა ჩემ[მ]ა ბოქოულთუხუცესმა ირთამ და ავთანდილ და რევაზ თქვენ, ორბელიშვილ-ბატონს პაპუნას, სარდალს თამაზს, სულხანს და ბოქოულთუხუცეს ერასტის და ვახუშტის.

[ასე]რომე, ვიყუნეთ თქვენთვის დღეს და დღეის იქით კარგნი და კარგის მდომნი და უზიანონი, ბატონის ჩვენის უზიანოს საქმით, რაც ან ღვთისაგან და ან კაცისაგან კარგი დაგემართოს, იმისი მდომნი ვ[ი]ყ[უ]ნეთ. ყოველის თქვენის ამხანაგისას თქუენი გვერჩიოს და არას კაცს თქვენზედ არ მოუდგეთ.

ამის გათავების თავდებად მოგვიცემია თავად ღმერთი და ყოველნი მისნი წმიდანი ზეცისანი და ქუეყანისანი, ჯორციელნი და უჯორცონი და ჯელიც ასე ჩაგირთოთ. ამის გათავების მეტი აღარ აღვიაროთ რა.

და თუ ძმა გაგიუარშივდეს. თქვენი ვირჩიოთ.

ამილახორი გივი

## 876. გირაოს დახსნის წიგნი თუმანიშვილებისა ხითარაშვილებისადმი

**1696 წ. 28 ივნისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 482. დედანი. ქაღალდი. 43,7×20,3 სმ. თავში დაზიანებული. რესტავრირებულ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი.

ქ. ესე წიგნი მოგეცი მე, თუმანიშვილმან ყალანდარამ, მდივანმან შიოშ, ჩემ[მ]ან ძმამ მანუჩარამ. შენ, ხითა[რას] შვილებს სარჭისასა, ამასა შენსა გასპარასა.

ასე რომე [თ]ქუენი ოთხი რასტაბაზრის დუქანი მოქალაქეს [გა]რსუას ყაზაზ არაქელასთან, სამი ჭულბაჭი ოცდაორ თუმნათ, ერთი კიდევ იყო გირაოდ დუქანი ჩორსუსი: ნახევარი იყო უეზანაშვილს ბეჟუასთანა ქჭვს თუმან[ად] და ნახევარი დუქანი ზარაბ ბერიანაშვილთან თათოზასთან შვიდ თუმნათ.

ამ მოქალაქებისაგან ჩვენ დაგვეხსნა და გვეპირა.

მერმე მოხვედით ერეკლეს მეფესთანა და იჩივლეთ. სა[ა]კა აბედინაშვილი იასაულათ დაგვაყენეს. რაც თეთრი გაგველო, ამ ქეთხუდებით მოსაცემს შეიქენით, ის თეთრი მოგვებარა და დუქნებზედ ჯელი აგვაღებინეს და შენ დაგნებდა.

ამის თეთრი სულ უკლებლად[1] მოგვებარა, არა დარჩომილა რა.

[1] უკლებრადთ.

ყალანდარა აქ არ იყო და იმის კერძი თეთრიც მე, შო...ს. მომებარა. თუ ამ თეთრის აღება იმან არ იყაბულოს, პასუხი მე გა...ცე. შენთან თეთრის საქმეზედ ხელი არა ჰქონდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის თამასუქი ამ ორიანობაში დამეკარგა. თუ ის ... გამოჩნდეს, ამ ჩემგან მოცემულმან წიგნმან გა[ა]ცუდოს.

არის ამისი მოწამე თავათ ღმერთი, და კაცთაგან: ქალაქის მოურავი ფირან □, მელიქი ავთანდილ □, მამასახლისი პაპუა □, სიონთა მღთისმშობლის დეკანოზი იესე □, მდივანი ხოსინა □, მდივანი დავით □, ნაზირი ქაზუმა □, ყაზუასშვილი მელიქ ავთანდილა □, იეზა[ა]ნთ ასლამაზა □, ჩითახ[აან]თ არ[უ]თენ † ფითუასშვილი გასპარა. □, აბესალამასშვილი როსტომა □, შაუასშვილი ფარსადანა □, მამასახლისი გიორგი □, ოქუასშვილი ბექუა □, ზენალა[ა]ნთ მელიქის შვილი ბეჟან □, ნ...ეუანთ ყაზარა*, გემიჩი ზურაბა ხელრთვა: ზურაბ, ივანგულა[ა]ნთ მელქუა □, ფირყულა[ა]ნთ გიორგი □

მე, იესე მემანდარბაშს, ამისი მოწამე და დამწერიცა ვარ † დაიწერა ესე წიგნი თიბათვის კჱ გასულსა, ქორონიკონს ტპდ. თუმანისშვილმან □ ††

---

* დატოვებულია ცარიელი ადგილი ბეჭდისათვის.

ამა თეთრისა მობარება მე, ყალანდარს, ყაბული მაქვს ††
ჭ. მე, გოგინას შვილი ნაზარა, ამისი მოწმე ვარ.
ბაბანაშვილი გარჭორა 
კიდეზე: მე, დინიბეგანთ როსტომა, ამისი მოწამე ვარ.


## 877. ბაით სარგებლობის წიგნი ფარსადან ციციშვილისა გორელებისადმი

**1699 წ. 24 თებერვალი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 13151. დედანი. ქაღალდის გრაგნილი. 77×28 სმ. თავი დაზიანებული. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი. ამავე ფონდში დაცულია ამ საბუთის პირიც (Hd 10126). ღვთისმეტყველური შესავალი და კრულობითი ნაწილი გამოვტოვეთ.

... ესე ამიერით უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და მოუშლელი, უკერპო და უმიზეზო პირი და სიგელი მოგეცით ჩვენ, ფანასკერტელმა ციციშვილმა ნოდარის შვილებმა ბატონმა ფარსადან, ბატონმა ვახტანგ, ბატონმა პ[აა]ტამ და ბატონმა ამილღანბარ და შვილმა ჩვენმან ზაზამ, დომენტიმ, სეხნიამ, ედიშერ, ციციმ და ნოდარ და შვილმა და მამავალმა სახლისა ჩვენისამა ყოველმანვე.

თქვენ ერთობილთ გორელთა: მდივანს დავითს, მამასახლისს ზურაბასა, გორგიჯანაშვილს ავთანდილს, ძველ მამასახლისს გაბრიელასა, ოსტევანაშვილს მამუკასა, ტერ-[გრი]ქორას შვილს ს[ა]კასა, შიხიბეგისშვილს ბეჟანს, ფიბინასშვილს გოგინასა, ოსინაშვილს მერაბასა, ამირაღსაშვილს ფარსადანას და გაბრიელასა, ნეფისაშვილს ათაბეგას, დიაკვნიშვილს გიორგის, ჯულაბასშვილს ბაინდურასა, ხუდადასშვილს ბაღდასარასა, ხოჯბეგასშვილს მამულასა და ნაზარასა, სუხინას ძმას გაბუასა, ხითარასა და სულერთობილთ გორელთა — დიდთა და ცოტათა, შვილთა და შვილიშვილთა ყოველთავე, ასე და ამა პირსა ზედა.

ასე რომე, თქვენ ჩვენს მთაში შეშას არ გან[ე]ბებდით და თქვენ ჯელმწიფეს შე[ე]ხვეწენით. ჯ[ე]მწიფეს მოკითხული ექნა და არა ალა-

გიდამ გორსა და ქალაქს შეშაარ დასჭიროდა; და ჯელმწიფესაც თქვენთვინ წიგნი ებოძებინა და ჩვენზედაც ფეშქაშათ გვიხარჯენით. ჩვენც ეს წიგნი და პირი მოგეცით და ჯელმწიფე ნაბრძანები ლიხანის ბრძანება და წიგნი ასე დავამტკიცეთ, რომე ნარუალას გარდა ზედაველის მთაშია, სანიაჟოროში და ურიულშია და სადაც ჯელი მიგიწვდეს, შეშა და ვერც საჯმარი ხე-ტყე ვერავინ დაგიშალოს, და არცა ჩვენ და არცა მამავალმა სახლისა ჩვენისამა, მოგეცით და მოგანებეთ, გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან.

ვინც და რამაც გ[უა]რმა კაცმა ამისად შლად ჯელყოს... წყევა.

ხოლო დამამტკიცებელი ამისი აკურთხოს ღმერთმან. ამინ.

არის ამისი მოწამე თავად ღმერთი; და კაცთაგან: ბატონი ამილახორი ავთანდილ, ბაზიართუხუცესი ბატონი ბეჟან, თარხნიშვილი მეჯინიბეთუხუცესი ავთანდილ, ჯავახიშვილი სახლთუხუცესი ბატონის შვილისა ფარემუზ, ჯავახისშვილი ნიკოლოზ, სა[ა]კაძე გიორგი, გლურჯიძე შალვა, ჯომარდიძე ავთანდილ, ჩვენი აზნაურიშვილი მეღვინეთხუცისშვილი როსტევან[1], ჩვენი სახლთუხუცესი ალიბეგისშვილი ბერუკა, მუჩიძე ავთანდილ, ხუციშვილი ხოსია.

მე, პარკაძეს ნიკოლაოზს, დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. ჭორონიკონს **ტპზ**, თებერვალს **კდ**.

## 878. მამულის გაცვლილობის წიგნი ხოსუა ასლუაშვილისა ნასყიდა დოლმაზაშვილისადმი

**1699 წ. 27 სექტემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10257. ქაღალდი. პირი. გადაწერილი მხედრული ხელით XIX ს. დამდეგს. ღვთისმეტყველური შესავალი და კრულობითი ნაწილი გამოვტოვეთ.

... ესე ამიერ უკუნისამდი ჟამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და მიზეზშემოუღებელი, სამკვიდრო და საბოლოო წიგნი და ნიშანი მოგეცით ჩვენ, ასლუაშვილებმა ხოსუამ, ბანდუამ და ფეშაგამ, ჩემი ბიძაშვილმა დავრიშამ, შვილთა და მამავალთა სახლისა ჩვენისათა თქვენ, დოლმაზაშვილებს ნასყიდას, როსტომას, დავითას. მანდენას, ავთანდილას, შვილთა და მამავალთა სახლისა თქვენისათა.

ასე და ამა პირსა ზედა, რომ ჩვენი ქვემო ახალშენი ზოგი

[1] როსტევავან.

უწინ მამა ჩვენს მამის თქვენისათვინ გაეცვალა მამულზედა და ცოტა რამ კიდევა ჩვენ გვეჭირა. თქვენ გემხრობადათ და ჩვენზედა უმჯობოთ იყო. ჩვენ ჩვენის ბატონის ბძანებითა და ჩემის მოხუცებულობის გამო თხულობით მისი ორი ზომა მიწა ავიღეთ, რაგვარადაც ჩვენი გული შესჯერდებოდა, იმგვარად შევრიგდით და გარდავწყვიტეთ; და ის ვენახი თქვენ დაგანებეთ, რომ მისი მოცილე და მოდავე არავინ იყოს.

ვინ იცის, ჩემი ბიძაშვილები მოვიდნენ და წამოგედაონ, მისი პასუხის მიმცემნი ჩვენ ვიყვნეთ.

არიან ამისნი დამხდურნი და მოწამენი თავად ღმერთი და ყოველნი მისნი წმინდანი ზეცისანი და ქვეყანისა, ჯორციელნი და უხორცონი, კაცთაგან: თუმანიშვილი ბახუტა [ ], ნაცვალი კაცია, დოლანელიშვილი წმიდის დიდის საფლავზედა მყოფი ბერი არსენ, ყორღანაშვილი ბერუა, ქვემო ბოლნისის მამასახლისი პაპუა† მთავარი მარკოზა, ზემობოლნელი მოურავი მახარობელი, მამასახლისი ვართანა† ალავერდაშვილი პეტრუზა† ტერტერაშვილი ავთანდილა† მახარაშვილი† ზალახოთელი მამასახლისი თამაზა და სულ ერთობილნი საყდრის ყმანი ამისი დამხდურნი და მოწამენი არიან.

ვინცა და რამანიც ადამის მონათესავემ კაცმა დიდმა ანუ მცირემა ამისად შლად ჴელჰყოს... წყევა.

ხოლო გამთავენი და დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმა აკურთხნეს.

დაიწერა ენკენისთვის კზ გასულს, ქრონიკონს ტპზ. მე, სიონთა ღვთისშობლის დეკანოზს ოქროპირს დამიწერია და მოწამეცა ვარ. †††† [ ]

თავში

ჩვენ, ბატონი ასლან, ამისი მოწამე ვარ [ ]

ჩვენ, ბატონი სარდალი ლუარსაბ, ამისი მოწამე ვარ [ ]

გიორგიშვილი პაპა.

ყაფლანიშვილი ერასტი [ ]

სულხან მდივანბეგიშვილი ამისი მოწამე ვარ.

მარცხენა კიდეზე

ასლოა და დოლმაზაშვილს ერთმანერთისათვის ვენახი და მიწა გაეცვალა და ჩვენს ყმას ცოტა კიდეც გამოერთმია. და მოვიდენ ჩვენ, ბოვნელს მაქსიმეს, მოგვაბსენა და ჩვენ დაგვიმტკიცებია, ერთმანერთში სადაო საქმე არა არი რა. ვერ[ც] დოლმაზაშვილი სთხოვს ღალას და არც ვენახს ეთხოება კულუხი [ ]

ჩვენ, ბოვნელს რევისშვილს იოანეს ჩვენც ასე დაგვიმტკიცებია, რაგვარადაც ეს სიგელი არის. ხელრთვა.

verso მარცხენა კიდეზე

ნაზირი ედიშერ ამისი მოწამე [ ], ალავერდაშვილი დურმიშხანა [ ], თუშმლიშვილი ბეჟან [ ], თუმანიშვილი მდივანი ოთარ [ ], შანშიაშვილი ბეჟან [ ], არყუთაშვილი ფარსადან †, მდივანი შიოშ [ ], ამისი მოწამე მდივანი თუმანიშვილი გივი [ ].

## 879. ვალის გარდაწყვეტილობის წიგნი სულხან გურადიაშვილისა მდივან გივისადმი

**1700 წ. 1 მარტი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 58. დედანი. ქაღალდი. 17,4×14,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამწერტილი. ა-მეტ-ნაკლული.

ჭ. ესე წიგნი მოგეც მე, ბურდიასშვილმა სულხან, თქვენ, მდივანს გივსა. ასე რომე იასეს ჯილა ზაზას თქვენთვის გიროვოდ დაედო და იასესათვის თეთრი აეღო.

ახლა მოვედით, თქვენი თეთრი მოგეცით და ჩვენი გიროვო წავი-

ღევით და სარდალს მივყიდევით. ჩვენში ერთმანერთ[თ]ან სადავო არა დარჩა. რა.

არის გამრიგე თვითან ზაზა [ ] და მოწმე მელიქი [ ], მამასახლისი [ ] ოსეფა და ყარაქამზასშვილი გასპარა*, ყუზ[ა]ნთ როსტომა [ ]

მე, ნაცვალს ქაიხოსროვს, დამიწერია და მოწმეც ვარ ამისი [ ]. დაიწერა მარტის ა დამდეგს, ქორონიკონს ტბჱ †

## 880. თამასუქი იოთამ ფავნელიშვილისა ბატონ მაქსიმესადმი

**1703 წ. 1 ივნისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 347. დედანი. ქაღალდი. 14,3×15 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი.

ქ. ავიღე მე, ფავნელიშვილმა იოთამ და ჩემ[მ]ა შვილმა დავით, თქვენ, ბატონი მაქსიმესაგან, ცამეტი მინალთუნი. რას[ა]ც ხანს ჩემს ჯელთ დაყოს, თვეში ამ ცამეტი მინალთუნისათვის ერთი აბაზი სარგებელი მოგცე.

არის ამისი მოწამე მაღალაშვილი ნიკოლოზ, სოლაღაშვილი ერეკლე, შუაშვილი ფარსადან, მგალობელი იაკობ [ ] და მარკოზა [ ]

მე, თუმანიშვილს მამუკას, დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა იანვარს დამდეგს, ქორონიკონს ტჟა.

ბეჭედი: ფავნელიშვილი იოთამ.

verso-ზე: „ფავნელიშვილის თამასუქია“.
„ქ. ეს წიგნები ფავლენისშვილის დავითის ვალისა არის“.

---

* დატოვებულია ცარიელი ადგილი ბეჭდისათვის.

## 881. აზატოგის წიგნი ანა დედოფლისა ესტატე ივანესშვილისადმი

**1695—1703 წლ.**

ერეკლეული
ბიბლიოთეკა

ცსსა. ფ. 1448. საბუთი № 2290. დედანი. ქაღალდი. 27,3×15,5 სმ. დაზიანებული. რესტავრირებული. ფრაგმენტი. მხედრული. მარცხენა კიდეზე შემორჩენილი მინაწერიდან მხოლოდ ცალკეული სიტყვები და ასოები იკითხება. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი ან სამი წერტილი. უთარიღო. საბუთი თარიღდება ანას დედოფლობის წლებით.

ქ. ჩვე[ნ], ღვთისა მ[იერ]...* სამართლად [მ]ონიჭე[ბულმან]...** დედოფალთ-დედოფალმან და თვით ჴელმწიფემან პატრონმან ანამ ესე ივანესშვილი [ეს]ტატე დავიხსენით ყოვლის [კაცისაგან მოუდევარი]...*** და დროუცემელი, არას კაცს ამასთან ჴელი არა ჰ[ქ]ონდეს, არცა ჴელმწიფეთა, არცა სხვათა დედოფალთა თვინიერ ღვთის მე[ტს]...** თეიმურაზის სადღეგრძელოთ ჩვენ ჴელი ავიღევით. [ვისთ]ანა[ც უნ]დოდეს [მივიდეს].

verso-ზე: „სლზ. ქ. ანნა დედოფლის წიგნი... გათავ[ისუფლებისა]“.

## 882. უმობის წიგნი დათუნა ჭადისგულისა ქაიხოსროს გამდლიშვილისადმი

**1707 წ. 15 მაისი**

ცსსა. ფ. 1448. საბ. № 1294. დედანი. ქაღალდი. 30×17,7 სმ. დაზიანებული. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი, ორი ან სამწერტილი.

ესე წიგნი მ[ო]გართვი მე, ჭადისგულმა დათუნამა და ჩემ[მ]ა შვილმა ბასილამა თქვენ, გამდლისშვილს ქაიხოსროს და თქვენს ძმისწულებს იორამსა და დემეტრეს.

ასე რომე ჭურდობა შემაჩნდა და ხევისთავებმა[1] დამიჭირეს; და სხვა სახსარი ვერა ვიშოვნე და ცოლ-შვილით მყიდ[დ]ენ. მანავს ჩამიყვანეს, მოურავის სახლთუხუცესს მავაჭრებდენ.

და ადექ და შენ დამიხსენ და ჩემი საზღაურიც შენ გაიღე და შვიდი ჯარი და ერთი მილანთუნი თეთრი.

და ახლა მე შენთვის უმობის წიგნი მომიცია და კიდეც

---

* აკლია ერთი სიტყვა.

** აკლია რამდენიმე სიტყვა.

*** აკლია ორი სიტყვა.

1 ხევისთავებმა.

ყმათ დაგისახლდე და ერთგულად და ერთსულად გ[მ]სახურო, არცა წაგივიდე სადმე.

თუ, ვინ იცის, ან ჩემის ნებით და ან ჩემს უნებურად [illegible]-მე, თქვენის საჭონლის მომცემი ვიყო, სადაც წავიდე.

ამისდა გასათავებლად მომიცემია თავად ღმერთი, ყოველნი მისნი წმინდანი, და კაცთაგან არიან მოწამენი ხევისთავები და მომსყიდველნიც არიან: ქაიხოსრო მაყაშვილი, გურგენ მდივნისშვილი, ზურაბ ჯადიერისშვილი, ჩერქეზისშვილი ჯანასლან.

და მე, იაკობ მგალობელს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა ესე წიგნი მაისის თხუთმეტს, ქორონიკონს ტჟე.

Verso-ზე სხვა ხელით: „ქადისგულას დათუნასაგან მოცემული წიგნი გამდლისშვილის ქაიხოსროსი“.

## 883. თავდახსნილობის წიგნი პაპუა თურქისტანიშვილისა იასე ადუასშვილისადმი

**1706—1707 წწ.**

ცსსა. ფონდი № 1448. საბუთი № 942. დედანი. ქაღალდი. 24,7×13,2 სმ. დაზიანებული. თავი აკლია.მხედრული.განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამწერტილი. ა-ნაკლული. უთარიღო. „ყრელიობა გაჩნდა“, გვაფიქრებინებს, რომ საბუთი 1706—1707 წელს არის დაწერილი“ (ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები, I, 1940, გვ. 149).

[ესე დახსნილობის წიგნი მოგეც მე, ბატონმა შენმა თუ]რქისტანისშვილმ[ა] პაპუამა, ტარიელ, შენ, ადუასშვილს იასეს, ძმასა შენსა ელიობსა, შვილსა და მამავალსა სახლისასა.

ასრე, ყრელიობა გაჩნდა, მოველ და თავი დაიხსენ, ავიღევით ფასი სრული, რითაც ჩვენი გული შეჯერდებოდა. დღესა და დღეის იქით შენთან ხელი არავის ქონდეს.

არის ამისი მოწამე თავათ ღმერთი, კაცთაგან: ლუარსაბ ყავრიშვილი, სოლაღასშვილი ელიზბარ, სალთხუცის შვილის აძნურაშვილი(?) ბერი, კიდევ მოწამე დათუნა, მექვ[ე]რისშვილი შალვა, ზაქუტასშვილი შალვა.

მე, გორელი ნაზარასშვილს მანუჩარს დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. ††

## 884. თავმდებობის პირობის შესრულების წიგნი ბერი ბოჭორაძისა სახლთუხუცესს რევაზ მაღალაძისადმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1708 წ.**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1882. დედანი. ქაღალდი. 35×12 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი. ღვთისმეტყველური შესავალი და კრულობითი ნაწილი გამოვტოვეთ.

...წიგნი მოგართვი მე, ბოჭორაძემ ბერმა, შვილმა ჩემ[მ]ა ოთარმა და იასემ თქვენ, მაღალაძეს სახლთუხუცეს[ს] რევაზს, ზურაბს და ამილბარს და მომავლითა სახლისა თქვენისათა.

ასრე რომე მერაბაშვილი თქვენი ყმის კარიჭაშვილის თავდები იყო. ახლა რისაც პასუხის მომცემი ვიყავით, ყველა მოგართვი. ერთი ცხენი ჩვენზედ დარჩა და იმისათვის ორის დღის მიწა მოგართვით ჩოჩეთის ბოლოს რუს ქვეით, თავისის სამართლიანის სამძღურითა.

ესე არა მოგეშალოს, არა ჩვენგან და არა ნათესავისა ჩვენისაგან. ვინცა ესე ჴელყოს შლად... წყევა.

არის ამისი მოწამე მეტეხის მოურავი ივანე, მაღალაშვილი ხუცია, აზმეიფარაშვილი იასე, ნაცვალაშვილი ბერი და უნებავისშვილი მგელია.

მე, ხოსიას, დამიწერია, მოწამეცა ვა[რ]. ქორონიკონს ტჟვ.

†††

## 885. თავნასყიდობის წიგნი პაპუნაშვილებისა გივი თუმანიშვილისადმი

**1712 წ.**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 86. დედანი. ქაღალდი. 28,6×22,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი. ღვთისმეტყველური შესავალი გამოვტოვეთ.

...ესე ნასყიდობის წიგნი და ფიცი მოგართვით ჩუენ კახმა აწყვერელმა პაპუნაშვილმა ბერმა, ჩემ[მ]ა ძმამ ივანემ და შვილმა და მამავალმა სახლისა ჩუენისამან ყოველმანვე თქუენ, თუმანიშვილს მდივანს ბატონს ·გივს, შვილთა თქუენთა დავითს და ზურაბს.

ასრე რომე ვალი გვემართა და მიცემის ღონე და ილაჯი არა გვქონდა. მოვედით და შემოგეხვეწენით და ვალი გარდაგვიწყვიტეთ და მოვალისაგან გამოგუიხსენით.

ახლა ჩუენც ეს ჩუენის თავის ნასყიდობის წიგნი

მოგართვით და ჩუენი თავი ნასყიდათ მოგეცით. ასრე რომე ერთის ღმერთის მეტი კაცი ჩუენს თავს ვერავინ შემოგეცილოსთ. ერთგულათ და კარგ[გ]ვარათ გემსახურნეთ.

თუ ვინმე ჩუენს თავს წამოგედაოს, პასუხიც ჩუენ მოგვცეთ

არის ამისი მოწამე თავად ღმერთი და ყოველნი მისნი წმინდანი, კაცთაგან: ნაზირი ედიშერ, სააკაძე ზურაბ.

მე, თუმანიშვილს ქაიხოსროს, დამიწერია და მოწამეცა ვარ. ქორონიკონს უ. ††

Verso: „კახი ბერას ნასყიდობის წიგნია“.

## 886. თავნასყიდობის წიგნი კაცია გურნაძისა მროველ ნიკოლოზ ორბელიშვილისადმი

**1715 წ.**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 1904. დედანი. ქაღალდი. 32,5×17,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ნებითა ღვთისათა ესე ნასყიდობის წიგნი მოგართვი მე, ბურნაძე ქრისტესია[ს]შვილმა კაციამ თქვენ, ორბელაშვილს მროველს ბატონს ნიკოლოზს.

ასე რომე ვალისაგან შეწუხებული ვიყავ და არას ღონით იმისი გარდახდა არ შემეძლო. მოველ შამოგეხვეწენით. თქუენ წყალობა მიყავით და იმ ჩემის ვალებისაგან დამიხსენით.

მე ეს წიგნი მოგართვი თქვენ მე და ჩემი შვილი ადამ და დავით — ეს სამნი მამაშვილნი თქუენი ნასყიდნი ვართ.

თუ ვინმე ჩვენს თავს წამოგედაოს, პასუხის მიმცემი ჩვენ ვიყოთ.

ღმერთმან ჩვენი თავი სამსახურით მოგახმაროსთ, როგორც სხვას მონასყიდეს არას კაცს ჩვენთან ჯელი არა აქუს, ღმერთს გარდა ჩვენს თავს ვერავინ წამოგედაოსთ.

არის ამისი მოწამე ბეგთაბეგისშვილი მდივანი ავთანდილ, მელიქი აშხარბეგა*, მამასახლისი ფარსადანა*, მამათმთავარი ზაალ*, მხატვარი გიორგი*.

მე, მგალობელს ლეუანს, დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა წიგნი ესე ივნისს ა, ქორონიკონს უგ †††

მარცხენა კიდეზე

ამისი მოწამე მე, სახლთხუცესი თეიმურაზ ბეჭედი: სალთხუცესი თეიმურაზ.

---

* დატოვებულია ცარიელი ადგილი ბეჭდისათვის.

## 887. შეურილობის წიგნი დათუნა და პაატა გარათაშვილებისა იესე გარათაშვილისადმი

**1717 წ. 7 თებერვალი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 8378. პირი. გადაწერილი მხედრული ხელით XVIII ს. ბოლოს. ღვთისმეტყველური შესავალი გამოვტოვეთ.

... ესე ძმობის წიგნი მოგართვით თქვენმა ძმისწულებმა დათუნამ და პაატამ თქვენ, ბიძა ჩვენს იესეს, შვილსა თქვენსა ოთარსა და გერმანოზს ასე და ამა პირსაზედა.

გაყრილნი ვიყავით და ისევ ერთმანერთის თავი მოვინდომეთ და ისევ ძმათ შევიყარენით. ეს პირობა დავზდევით, რომ მამის მამული და ბიძის და ოთარისაც და რაც ჩვენი მამა-პაპათ მამული იყოს, ნასყიდიცა და უსყიდიცა, ყველა გაგვიერთებია. რაც ერთობაში შევიმატოთ, საერთო იყოს, რაც დაგვეკარგოს, ისიც საერთო იყოს.

თუ ვინ იცის, ჩვენი შვილის შვილი გაიყაროს, ქართლში როგორც რიგი იყოს უფროს-უმცროსობისა, ისრე ვქნათ. სანამდინ ცოცხალი ვიყოთ, არც ჩვენ გაგეყაროთ. როდესაც შვილიშვილნი გაიყარნენ, მე საუფროს[ო] ავიღო და შენ საუმცროსო აიღო. სხვა შუა გავიყოთ.

ვინც ამაში უმტყუნოს და ეს პირობა გატეხოს, თავად იყოს ღვთის შემცოდე და მერმე ქართველის ბატონისა.

ახლა ჩვენ რომ ვალი გუმართებს ოცი თუმანი, საერთოდ გარდავიხადოთ. და სხვა რაც დარჩეს, თავ-თავისთვის გარდავიხადოთ.

თქუენდა უკითხავად არც მამული გავსცე, არც დაგირბიო კაცი, არც გამოვიყვანო მსახური და მხლებელი.

თუ პური და ღვინო გარდაგურჩეს, საერთოთ მოვიხმაროთ, ან მამული ვიქრთამოთ, ან ვიყიდოთ, ყველა საერთოდ იყოს.

არის ამისი დამხდომნი თავად ღმერთი, კაცთაგან: გოსტაშაბიშვილი ამილღაბარ, იარალისშვილი ვახტანგ, იოთამისშვილი ორბელი, ციციშვილი ნოდარ [ ], დოლენჯიშვილი ზაალ, ზაალიშვილი ერასტი.

მე, დეკანოზის შვილს იოსებას დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა ესე წიგნი თებერვლის შვიდსა, ქრონიკონს **უე**.

ამას იქით რაც წიგნი გამოჩნდეს ან ბარათი, ან ხელმწიფის ნაწყალობევი, ამ წიგნმა გაამტყუნოს. [ ] [ ]

რადღან უფროსი ბრძანდებით, რაც პური და ღვინო გარდაგვრჩეს ორი წილი შენა და მესამედი ჩვენა. თუ პური და ღვინო დაგვაკლდეს, საერთოთ აიღე და მამულიდამ მიეცი. 

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარცხენა კიდეზე

ბედნიერის ხელმწიფის შემცოდე ვიყვნეთ მე დათუნა, პაატა, რაც თქვენმა მოყვრებმა გაარიგოთ, თქვენს გარიგებაზედ...*

## 888. მამულის გაცვლილობის წიგნი ქაიხოსრო თუმანიშვილისა ბიძაშვილ ალხაზასადმი

**1717 წ.**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 6596. დედანი. ქაღალდი. 31,4×14,2 სმ. მხედრული განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი.

ქ. ესე წიგნი და პირი მოგეც მე, შენმა ბიძაშვილმა ქ ა ი ხ ო ს რ ო მ, შენ, ჩემს ბიძაშვილს ა ლ ხ ა ზ ს ა.

ასრე რომე, შენი ვ ა რ დ ო ვ ა ნ ა ს მიწა მე გამოცვალე და მე მოგეც პირდაპირ ზომით ჩემი წილი გ რ ძ ე ლ ა. რაც იმაში დამაკლდა ს ო ბ ი ს ი ს გზაზე შემითავებია და ორი მხარი ნამეტნავიც მამიცია ამიტომ, რომ მე გ ი ვ ს მ დ ი ვ ა ნ ს რომ შევეყარე, საყდართან ორის დღის მიწა მამაშენსაც მივეც.

თქვენ ჩემთან პასუხი არა გქონდათ რა და ჩემი მიწა მევე მამინდა და ჩემთვინ დამიჭერია ამისთვის.

ეს კიდევ კაის ძმობისათვის მიქნია, რომ ვ ე რ მ ი შ ა შ ვ ი ლ ი ს ე ლ ი ზ ბ ა რ ი ა ნ თ ა გ ა ნ გამოცულილი სენაკის ალაგი რომ მაქუს, წინ გზისაკენ ერთის დუქნის ალაგი ჩემთვის დამიჭერია და სხვა შენთვის გამინახევრებია, რომ სწორეთ ავაშენოთ და სწორეთ დავესაფლაოთ.

კიდევ ეს პირობაც დაგვიდებია; ჩუენი ძმობა ასეთი იყოს, რომ გაუყრელსავით ვიყუნეთ; თუ ყმამ ჩუენში სალაპარაკო ჩამოაგდოს, იმ ყმას ავათ მივეპყრათ და კიდეც გარდავახდევინოთ. წყლის რიგი რომ გაჩნდებოდეს, თუ გვინდოდეს, რომელიც ჩვენი ნათესავი ჩუენ მოვინდომოთ, ის მოვიყუანოთ. თუ არ მოვინდომოთ და ჩუენი წილი წყალი ერთად ვადინოთ და ყმისაც ერთად გავარიგოთ.

———————

* დანარჩენი აკლია. გადამწერის შენიშვნა: „ამ ადგილას არა სჩანს ცხოვლათ ასოები“.

სხვა ჩუენში სალაპარაკო აღარა დარჩომილა რა კაის ძმობისა და ერთობის მეტი.

არის ამისი მოწამე სულ თუმანიანი და სულ ჩუენი ყმანი. მე თვითონ ქაიხოსროს, დამიწერია და ყაბულიცა მაქუს. ქორონიკონს უე

††

სათაური: „ვარდოვანას გაცვ[ლი]ლობის წიგნია“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 889. ვალისა და გირავნობის წიგნი ზაალ თარხნიშვილისა ამილბარ სახლთუხუცესისადმი

**1718 წ. 15 მაისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3784. დედანი. ქაღალდი. 17,4×15,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნაზმარია ორწერტილი.

ქ. ავიღე მე, ზა[ა]ლ თარხნისშვილმა, თქვენ, სახლთუხუცესის ამილბარისაგან, თერთმეტი თუმანი თეთრი. რასაც ხანს ჩემს ჴელთ დაყოს, თვეში თუმნის თავს აბაზი სარგებელი მოგცე.

მომიცია ამის გირაოთ: გუდალეთს ნიკოდიმე თავისის მამულითა, წინარეჴს ლეკიშვილები თავისის მამულითა, ახალქალაქს ყანდურალაშვილი თავის მამულითა.

ამათი გამოსაღები ესევ მევე უნდა ვჭამო და თეთ[რის] სარგებელი გაძლიო.

არის ამისი მო[წამე]: ჩემი ბიძაშვილი მამუკა*, ოქუაშვილი ბეჟუა ______, ცალქალამანიძე გივი*, გოგიბაშვილი ბეჟან*.

მე, ლუარსაბს, დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა მაის[ს] ნახევარ გასულსა, ქორონიკონს უვ.

მე, ზა[ა]ლს, ამისი ყაბული მაქ, ამღებიც ვარ.

Verso-ზე „თარხნიშვილის ზაალის თამასუქია“.

---

* დატოვებულია ცარიელი ადგილი ბეჭდისათვის.

## 890. გირაოგის წიგნი გიორგი ჩხეიძისა იესე ჯაბადრიშვილისადმი

**1720 წ. 1 იანვარი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3808. დედანი. ქაღალდი. 20,7×9,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი ან სამი წერტილი. ა-ნაკლული.

ქ. ეს გირაოგის წიგნ[ი] მოგეცით ჩვენ, ჩხეიძემა გიორგი და სეხნიამა, თეიმურაზმა, როსტომ თქვენ, იესე ჯაბადრიშვილს, შვილსა თქვენს გიორგისა.

დაგვეჭირა და დაგიგირავეთ ჩვენი სამკვიდრო ვახუსტის არახჩიაშვილის ვენახი და მიწა, ორის დღის მიწა. გამოგართვით ორი თუმანი თეთრი. ამის გირაოდ [გ]ქონდეს ვენახი და მიწა. როდისაც დაგიგირავეთ იმ დროს ჩვენი[1] ვენახი და მიწა, თეთრი რომ გიშოონოთ, დაგ[ვა]ხსნევინე.

არის ამისი მოწამე: კოტონაშვილი აკოფა, შემაზა ბოლოკაძე, ზურაბა კობალაძე, შიო წვერიანიშვილი.

მე, სეხნია ჩხეიძეს, დამიწერია ჩემის ძმების ყაბულობით, ყაბულიც მა[ქ]ს ამისი. დაიწერა ეს წიგნი იანვრის დამდეგს, ქრონიკონს **უჩ**. †††

## 891. შეურილობის წიგნი ბრმა გიორგაშვილებისა მეჭანარის შვილებისადმი

**1720 წ. 10 დეკემბერი**

ცსსა. ფონდი 1448, საბუთი № 5490. დედანი. ქაღალდი. 45,3×22,2 სმ. დაზიანებული. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ნებითა და შეწევნითა მღთისა, ესე უკუნისამდე ჟამთა და დროთა გასათავებელი პირი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, ბრმა გიორგაშვილებმა ოთარამ და ესტატემ შენ, ჩვენს ძმასა და სახლისკაცს მეჭანარისშვილს ნასყიდას და ჭიტესას.

ასე რომ ძმათ შაგიყარეთ და ჩვენი მამული გაგიერთეთ და საძმოთ დავდევით მინდორში თუ კარზე, მთასა თუ ბარსა.

ასე რომე დაგვჭირდა და გოსტიბეს ხაროში ვეყარენით ორნი

---

[1] + ჩვენი.

ძმანი. ავიღევით შენი მკვიდრი მამული, ს ა რ ი დ ა ნ ს მ ა ღ ა ლ ა-შ ვ ი ლ ს მივყიდეთ, ჩვენი თავი დავიხსენით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგეცით ჯელმწიფის ნაწყალობევი წისქვილი, დ ვ [illegible] ლ ი ს ე უ ლ ი ნაფუძარი ქვევით ბ ა ს ი ლ ი ს შ ვ ი ლ ი ს კარამდი, ზემოთ საჯინიბომდინ. და საცა რომ ჩვენი ან ნასყიდი იყოს, ან ნაწყალობევი, ყველგან წილი გედვას. ამოვწყდეთ, ჩვენი მამული შენ დაგრჩეს. ამისთვის კიდევ უფრო, რომ შენი მამული ჩვენს დაჭირებაში ჩვენ მოვიჯმარეთ.

არა ჩვენს ნათესავს, არა ჩვენს სახლისკაცს შენთან და ამ მამულთან საქმე არა ქონდეს შენს მეტს.

რამაც ეს პირი და სიგელი კაცმა შლად ჯელყოს, მასამც რისხავს მამა და ძე და ყოველნი მისნი წმიდანი, ზეცისანი და ქვეყნისანი.

ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხოს.

არიან ამისნი მოწამენი და დამხდურნი თავად ღმერთი, კაცთაგან: გ ი ო რ გ ი ა ლ ფ ა შ ვ ი ლ ი, ბ ე თ ი ა შ ვ ი ლ ი დ ა თ უ ნ ა, კ უ რ-დ ღ ე ლ ა შ ვ ი ლ ი დ ა თ უ ნ ა.

მე, ი ა ს ე ს ნ ი ნ ი ა შ ვ ი ლ ს, დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. დაიწერა ქრისტისშობის თვეს ათს გასულს, ქორონიკონს **უჱ**, ქრისტეს აქეთ **ჩღკ** ††

.Verso-ზე სხვა ხელით: „ქ. მექანარისშვილისა და ბრმა გიორგაშვილების..."

## 892. ვალისა და გირაოს წიგნი ქაიხოსრო სოლაღაშვილისა ზურაბ რატიშვილისადმი

**1721 წ. 6 დეკემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14623. დედანი. ქაღალდი. 31,7×24,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი. ა-მეტ-ნაკლული.

ქ. ნებითა ჩემითა ავილე მე, ს ო ლ ა ღ ა შ ვ ი ლ მ ა ქ ა ი ხ ო ს-რ ო მ და შვილმა ჩემ[მ]ა ზ უ რ ა ბ და ზ ა ზ ა მ ა, თქვენ, რ ა ტ ი-შ ვ ი ლ ი ჩემი სიძე ზ უ რ ა ბ ი ს ა გ ა ნ და შენი შვილი დ ა ვ ი-თ ი ს ა გ ა ნ, ოცდა[ა]თი თუმანი ახალი თეთრი, რომე ამისი ნახევარი იქს თხუთმეტი თუმანი.

დაგიდევ ამის გირაოთ ა ს უ რ ე თ ს ჩემი კერძი რაც ალალათ ბარათში გამამყოლოდეს ან გლეხი, ან ხოდაბუნი, ან ზუარი, ან მიწაწყალი, ასე და ამა პირსა ზედან, რომე:

სანამ შენს თეთრს მოგცემდე, შენ, ჩემი წილი ასურეთის გამო-

სალეპს[1] შენ სჭამდე, თეთრ[ი]ს სარგებელს არა მსთხოვდე. არც შენ თეთრის სარგებელს მთხოვდე, არც მე ჩე[მ] მოცემულს სოფლის და მამულის გამოსავლებს გთხოვდე. რახან შენი თეთრი მო[...] სო-ფელი დამანებო.

თუ ამ ჩემგან დადებულს მამულს შემოგეცილოს ვინმე, პირისა და პასუხის გამცემი მე ვიყო.

არის ამისი მოწამე თავათ ღმერთი, ყოველი მისი წმინდანი, კაცთაგან: მდივანი გიორგი [ ], ნაზირი ედიშერ [ ], მდივანი ბირთველი, ციცისშვილი უთრუთ [ ], ჩემი ძმისწული იესე*, ეშიკაღასბაში დურმიშხან*, მდივანი ბეგთაბეგ*, სოლაღაშვილი ასატურა [ ], ფანდოანთ გრიქორა*, გორგიშვილი შერმაზანა* და ენიბეგანთ ანდრიასა*.

მე, შანშაშვილსა სოიბათიასაულს გიორგის [ ] დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა ესე წიგნი ქრისტიშობის ვ გასულს, ქორონიკონს უთ.** [ ] [ ] [ ]

verso

ქ. ჩვენ მაგიერად ეშიკაღასბაშს დიმიტრის ასე უამბეთ. ამ თამასუქის თეთრი რატისშვილს დავითს და იმის ძმებს თავეთის დისათვის უჩუქებიათ.

თუ სოლაღაშვილმა მანუჩარ და იორამ ენკენისთვემდის ეს თეთრი მისცენ სარიდან მდივანბეგსა, ეს მამული სოლოღაშვილებს დარჩესთ. და თუ წელს ენკენისთვემდის ამ თამასუქის თეთრი ვერ მისცენ, რომელიც მამული ამ თამასუქში გირაოთ უწერია, სარიდან მდივანბეგს დანებდეს.

ხელი ახლავ აუმართე და მოაბარე.

თუ ვადამდის დაიხსნეს, ის არის, თუ არადა მამულად დარჩეს სარიდან მდივანბეგსა და იმის შვილს ბეჟანს. სადაც ამ თამასუქის

[1] გამოსავლები.

* დატოვებულია ცარიელი ადგილი ბეჭდისათვის.

** მთელი ტექსტი აქამდე ხაზგადასმულია, ალბათ თამასუქის განაღდების გამო.

კაცნი იყვნენ, ისინიც სარიდან მდივანბეგისა არის. აპრილის კგ, ქორონიკონს უნბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჭედი: ქნარს მიცემს, დავით მიჰმობს ძეღ კახეთის მეფის ძე ერეკლე.

ქ. ბედნიერს მეფეს ამისი საქმე ჩვენ, ეშიკაღაბაშის დიმიტრისათვის ებრძანებინა: ვადამდინ თუ სოლოღაშვილებმა ეს თავეთი მამული დაიხსნანო, ხომ დააჴსნევინეო, თუ არა სარიდანს დარჩესო

აჴლა ამ სოლოღაშვილებმა ველარ დაიხსნეს. და რაც ამ წიგნში მამული უწერია, სარიდანს და ამის შვილს ბეჟანს დარჩა.

ქ. ჩვენ, მდივანბეგმა ბეჟან თქვენ, სოლოღაშვილს იასეს, ზაზასა, ნინიას და იოსებს ეს წიგნი მოგეცით, ასე რომე ამ წიგნის ძალით თქვენი მამული ასურეთი, ამ წიგნის თარიღიდამ ამ თარიღამდე, ჩვენ გვეჭირა და ახლა ისევ თქვენ დაგახსნევინეთ. ამ [მა]მულის კაცებიდამ ჩვენ ჩვენთვის ავიყვანეთ რევაზაშვილები დათია, ნინია და გოგია, რომ ამათში თქვენ საქმე არა გაქვსთ და ამავ მამულის კაცები დათუნაშვილები იასე თავისის ძმით და შვილებით და პაპაშვილები, ესენი თქვენ დაგახსნევინეთ და მოგეცით ეს ორი კომლი.

და თუ ამისი მოდავე ვინმე იყოს, პასუხის გამცემი ჩვენ ვიყვნეთ.

იანვრის 3, ქორონიკონს უპ.

## 893. ვალისა და გირაოს წიგნი ზაალ თარხნიშვილისა გერმანეს ძმისწულის შიოსადმი

**1722 წ. 1 იანვარი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3812. დედანი. ქაღალდი. 25,3×13,7 სმ. დაზიანებული. აქა-იქ ამოხეული. რესტავრირებული. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი.

ქ. ავილე მე, თარხნისშვილმა ზაალ, შვილმან ჩემმან დავით, როსტომ, ონოფრემ, [ყე]შთერ შენ, გერმანეს ძმისწულის შიოსაგან, ცამეტი თუმანი ახალი თეთრი. ამის ნახევარი იქს [ე]ქუსი თუმანი და ხუთი მინალთუნი. რაც ხანს ჩემს ჴელთ იყოს, თვეში თუმნის თავს ერთი აბაზი სარგებელი მოგცე.

არის ამისი გირაო. ერთაწმიდას ჩემი ყმა მჭედელი თევ-

დორე თავის შვილებითა, გოჩიაშვილი გიორგი, ხუციაშვილი ივანა მისის ძმისწულითა; ნოსტეფანოზ[ოზ]იაშვილი(?) ნიკოლი; ახალქალაქს სამსჯ[ველ]ოს ტე[რ]ტერა.

ესენი თავიანთ მამულითა მიწითა, წყლითა, ვენაჯითა, ნასყიდითა, უსყიდითა თავიანთ მამულითა შენთან გირაოდ არიან. ამათი გამოსავალი რაც იყოს, [თუ პ]ური, თუ ღვინო, თუ ძღვენი, ცხვარი, ძროხა რაც რამ ფერი, ყუელა შენ [სარგე]ბელში მოგცემოდეს.

ამათი გამოსაღები შე[ნს] სარგებელზე თუ მეტი მოვიდეს, შემომიბრუნე; და თუ დაგაკლდეს, მე შეგითაო. მე ამ კაცებთა[ნ] ჯელი არა მჭონდეს. თუ მე ამათ თავიანთ გამოსაღები ან რამ ბეგარა ვაჭნევინო და გამოვართო, ჯერ ღმრთის შემცოდე ვიყო და მერმე მეფის ვახტანგისა და იმის შვილის ბაქარისა.

არის ამისი მოწამე მოლარეთუხუცესი სეხნია*, მდივანი გიორგი [□] †, ბიძა ჩემი ზურაბ [□], ჩემი ბიძაშვილი მამუკა [□], თარხანი ლუარსაბ†, დეკანოზი გაბრიელ**, ერთაწმიდის დეკანოზი პავლე. [□]

მე, დეკანოზისშვილს მიქელს, დამიწერია, მოწამეც ვარ. დაიწერა იანვრის დამდეგს, ქორონიკონს **უია.** [□] †††

## 894. მამულის გაცვლილობის წიგნი გიორგი შანშიაშვილისა გეროა შანაზარაშვილისადმი

**1722 წ. 15 თებერვალი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 1012. დედანი. ქაღალდი. 45×17,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი. ა-მეტ-ნაკლული.

ქ. ნებითა და ღვთისითა ესე წიგნი მოგეცი, მე შანშიაშვილმა ბეჟანი[ს]შვილმა გიორგიმ, ძმა ჩემ[მ]ა ავთანდილ და იარალიმ და სა[ა]მ თჭუენ, შანაზარასშვილს ყაფიჩიბაშს გეროას, ძმასა შენსა გიორგის და დავითს.

---

* ბეჭედი ამოხეულია.

** დატოვებულია ადგილი ბეჭდისათვის.

ასე და ამა პირსა ზედან, რომ ჯილიზას მე ქარმიშას/ბარათში ნარგები გლეხი და მამული მეყიდა. ჩემი ნასყიდი მოგეც თქვენ. გოგაბაშვილის ბეჟიას წილი ბატონის წყალობა გეჭირათ. შენ შენს ბიძაშვილს გაჰყროდი, ნახევარი იმას გაჰყოლოდა, ნახევარი — შენა. ან ზიკრუტსა, ან შანშიოფელს, ან ტანძეტს ან ჭიპექებში, საცა ბეჟიას წილი ჰქონია, იმისი ნახევარი მე მერგება[1].

იმ ბეჟიას წილს ნახევარში შენს წილში მე გამოგიცვალე ჯილიზას ჩემი წილი ნასყიდი მიწა-წყალი.

თუ ამ ჩემგანს მოცემულს მამულს წამოგედავოს ვინმე, პირისა და პასუხის გამცემი მე ვიყო. თუ ამ შენგანს მოცემულს მამულში წამედაოს, პირისა და პასუხის გამცემი შენ იყო.

არის ამისი მოწამე თავათ ღმერთი, კაცთაგან: შანშაშვილი ჭაიხოსრო*, ზავრაშვილი გიორგი*, თუშმალიშვილი გოდერძი.

მე, გიორგის, დამიწერია და ყაბულიც ვარ ამისი*.
დაიწერა თებერვლის ნახევარს გასულს ქორონიკონს უი.

ბეჭედი: მონა ღვთისა გიორგი.

ორის დღის მიწა ფარემუზს ნამეტნავი უჭირავს, მასთან ხელი არა მაქვს.

ბეჭედი: მონა ღვთისა გიორგი.

## 895. უმის გირავნობის წიგნი ავთანდილ ჯავახიშვილისა ომან თარხნიშვილისადმი

**1722 წ. 21 აპრილი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3198. დედანი. ქაღალდი. 24,3×13,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი.

ქ. ესე წიგნი მოგეც მე, ჯავახიშვილმა ავთანდილ თქვენ, თარხნიშვილს ომანს.

ასრე რომე, შენი თეთრი რომ მემართა და ისრევ მმართებს, იმ თეთრის საქმეზე ზენადრის[ს] ამირაზაშვილი და ლულს იმერლიშვილი — ესენი შენი გირაოები იყო. დამეჭირა და ზე-

---

[1] მარგება.

* დატოვებულია ცარიელი ადგილი ბეჭდისათვის.

ნადრის[ს] ის ამირაზაშვილი შენათ შეუკითხავათ სალთხუცესს ამილბარს მივყიდე.

ახლა იმის სამუქბოთ ყარაღაჯს დემე[illegible] თევდორა[1] შენთვის დამიდებია მისის მამულითა [illegible] კაცებითა.

მანამდი შენი თეთრი თავნი და სარგებელი არ მოგაბარო, მანამდინ ვერც გავყიდო ეს კაცები და ვერც სხვას დაუგირაო. როგორც იმ თამასუქში გიწერია, ისრე თუ სარგებელს მე ვერ მოგცემდე თხუთმეტის თუმნისა, იმ კაცებისაგან აიღებდე. თუ ეს კაცები ან სხვის გირაო იყოს და ან სხვას დაუგირაო ვისმე, ჩემის ჯელმწიფის შემცოდე ვიყო.

არის ამისი მოწამე შიხაიდარიშვილი როსებ, ჯორაშვილი ზურაბ. მე, თუმანიშვილს ქაიხოსროს, დამიწერია და მოწამეცა ვარ. ქორონიკონს უი, აპრილის კა.

მინაწერი პირშექცევით: „ავთანდილ ჯავახიშვილის თამასუქი“.

## 896. სათავადებო წიგნი დავით ცუცქირიძისა და მგელია ძინძიბაძისა პაპუნა წერეთლისადმი

**1724 წ. 10 მარტი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2767. დედანი. ქაღალდი. 21×10,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი. ა-მეტ-ნაკლული.

ქ. ნებითა და შეწ[ე]ვნითა ღმთისათა, ესე სათავდებო წიგნი მოგართვით ჩვენ, დავით ცუცქირიძემ და ძინძიბაძემ მგელიამა თქვენ, ბატონს წერეთელს პაპუნას.

რომე თქვენი ყმა აბრამისშვილი სეხნია და კვირია აეყარათ და ქართლს წაიიდა. ახლა ისევ იშოვეთ ქართველს ბატონისაგან და ისევ მოიყვანეთ. უთავდებოთ ვერ ენდევით.

ახლა თუ ეს აბრამისშვილი სეხნია და კვირია წაგივიდეს სადმე, პასუხის და პირის გამცემი ჩვენ ვიყოთ. ცოლისათვის ცოლი, შვილისათვის შვილი, საქონლისათვის საქონელი, თავ-თავეთ ამათთვის თავი.

არის მოწამე თავად ღმერთი და კაცთაგან: მაჭავარიანი

---

[1] + იმის სამ[უ]ქბოდ.

ძაღლუა, გოდაბრელიძე ოთია, შალელასშვილი ყობია.

დ[ა]იწერა წიგნი ესე მარტს ათს, ქორონიკონს უიბ. ✝

ეროვნული ბიბლიოთეკა

Verso-ზე სათაური სხვა ხელით: „აბრამისშვილის სეხნიას სათავდებო წიგნია“. 1822 წლის 8 ივლისს საბუთის ნამდვილობას ადასტურებენ: პოლკოვნიკი მდივანბეგი თავადი ქაიხოსრო წერეთელი და მდივანბეგი თავადი დავით ჩხეიძე.

## 897. ყმის ჩუქების წიგნი ავთანდილ სოლოღაშვილისა დავით კაციაშვილისადმი

**1724 წ. 22 დეკემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 1631. დედანი. ქაღალდი. 54,5×25 სმ. თავში დაზიანებული. რესტავრირებული. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი ან სამი წერტილი. ღვთისმეტყველური შესავალი გამოტოვეთ. ა-მეტი.

... ესე წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, სოლაღასშვილმა ავთანდილმა თქუენ, კაციასშვილსა დავითასა.

ასე რომე, ჩვენსა შვილი მომინათლე და ჩემის ნებითა და ნებაყოფლობითა გაჩუქე ჩემი ყმა პაპა და მისი ძმა გარსევანა. და ამის მაგიერ თქვენ მაჩუქეთ ერთი ერისთვისეული კარგი თოფი და ერთი იეზდის ზარბაბის კაბა და ერთი ლადრის ქათიბა და ერთი თუმანი თეთრი. და თქუენ ესენი მაჩუქეთ და მე ჩემი ორი ბიჭი გაჩუქე.

და გქონდეს და ღმერთმან გიბედნიეროს. არავინ იყოს თქუენი მოცილე და მოდავე, თუნიერი ერთი მღთის მეტი.

და თუ ვინმე წამოგედაოს ან ბატონმა, ან ყმამა, ან ჩვენის ნათესაის კაცმა. პირის და პასუხის გამცემი ჩვენ ვიყოთ.

და არის ამისი მოწამე, თავად ღმერთი და მისი ყველა წმინდანი;

და კაცთაგან: ქალაქის მელიქ-მამასახლისი აშხარბეგა [ ] და ნაცვალი ის[ა]იამა* და ოსინათ ნაცვალი ზალინამა* და ჩითახათ თაყამა* და სიმონასშვილი პალვემა* (sic) და ანაშელანთ ბაღდასარამა [ ]

---

* დატოვებულია ადგილი ბეჭდისათვის.

და მე, მწერალს[1] ფარსადანსა, დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა ესე წიგნი და სიგელი ქრისტესშობიდა ოცდაოთხსა გასულს, ქოროხკონს უიბ †

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარცხენა კიდეზე

ქ. მე, ამილახვრიშვილი აბდულაბეგ, ამის მოწამე და მომსწრე[2] ვარ.

Verso-ზე „ქ. ალდადანას ყმის გიორგის და გარსევანისა“. პირშექცევით: „პაპასია“.

## 898. ანდერძის წიგნი ქაიხოსრო თუმანიშვილისა თავის ცოდვისშვილის გოდერძასადმი

**1711—1724 წლ.**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 251. დედანი. 10,6×11 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი. უთარიღო. ქაიხოსრო თუმანიშვილი საბუთებში გვხვდება 1711—1724 წლებში („დოკუმენტები საქართ. სოც. ისტორიიდან“ I, 1940, გვ. 148).

ქ. ესე ანდერძის წიგნი მოგეც მე, თუმანიშვილმა ქაიხოსრომ შენ, ჩემს ცოდვის შვილს გოდერძას.

ასე რომ, შენ რომ აზატულობის წიგნი მოგეც, ვისთანაც მიხვიდე და ფეხი მოჰკიდო, ჩემის მადლისათვინ ათი მარჩილი თეთრი და ათის მარჩილისა ღირებული მოგცე.

## 899. ვალისა და გირავნობის წიგნი ოთარ ჯავახიშვილისა რიონ ჯავახიშვილისადმი

**1725 წ. 15 აპრილი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 8588. დედანი. ქაღალდი. 30×16,3 სმ. დაზიანებული. რესტავრირებული. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამწერტილი. ა-მეტ-ნაკლული.

ავიღე მე, ჯავახიშვილმა ოთ[არა]მა. შენ, ჯავ[ახ]იშვილი როინისაგან და ძიქა შერმაზანთა (sic) შერ[მა]ზანასაგან ხუთი თუმანი ახალი თეთრი.

---

1 მწერალი. 2 მასაწარეგი.

არის ამისი გირავთ ყველიჭამასშვილები თამაზა და გულია და გეგელა. რასაც ხანს ესენი შენს ხელთ იყოს, არც შენ თეთრის სარგებელი მთხოვო და არც მე ამ სამი კომლი კაცების გამოსავალი გთხოვო. რაც ფერი გამოსავალი ჰქონდეს ყოვლიფერით[1] შენ იმსახურო შენის თეთრის სარგებელში, მე არაფერისთანა იმათ[თ]ან ხელი არა მქონდეს.

და როცა[2] შენი თეთრი მოგცე, ჩემი ეს სამი კომლი გლეხები მე დამანებო და არც მუ[ში]თა ვიმსახურო.

არის ამისი მოწამე ბატონისშვილი ოთარ* და ბაზიართხუცესი ბეჟან* და ნაზირი ადამ და თამაზა მგლოველი* და მამასახლისი ელიზბარა*.

და მე, ხეჩატურას შვილს[3] პაპას, დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი.

დაიწერა ესე წ[ი]გნი აპრილის[4] იე, ქორონიკონს უიგ.

მე, ოთარას, ამ წიგნის ყაბული მაქ[ვ]ს. †

## 900. ვალისა და გირავნობის წიგნი ერასტი ფავლენიშვილისა გივი ამილახვრისადმი

**1725 წ. 14 ივლისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14915. დედანი. ქაღალდი. 21,7×15,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ავილე მე, ფავლენისშვილმა ერასტიმა და შვილმა ჩემმა შიოშმა თქვენ. ბატონის ამილახვრის გივისაგან ოთხი თუმანი ახალი თეთრი. რასაც ხანს ჩემს ხელთ დაყოს, თვეშიდ თუმნის თავს სამი შაური სარგებელი მოგართვა.

ამის გირაოთ გვრიტიაშვილი პაპუნა, იმისი ძმები ბერი და ოთარი თქვენთვის დაგვიდვია, დღეს რისაც მამულის მქონებელი არის, ნასყიდითა და უსყიდითა. ვინემდინ თქვენს თეთრს თავისის სარგებლით მოგართმევდეთ, ეს კაცნი თქვენი გირაო იყოს.

არის ამისი მოწამე: მურადაშვილი შერმაზან, გრიგოლისშვილი იესე. იალღუზისშვილი ოტია, ქრისტესიაშვილი მახარა და ოთარა, მეტრეველი არღაზიანის შვილი გიორგი, ასანასშვილი მღვდელი ბერი.

---

[1] ყოველიფერითა. [2] როიც. [3] შვილის. [4] აპრიელის.

* დატოვებულია ცარიელი ადგილი ბეჭდისათვის.

მე, გარსევან მიწობლიძეს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა მკათათვის თოთხმეტს გასულს, ქორონიკონს უიგ.

## 901. ვალისა და გირავნობის წიგნი ნოდარ ციციშვილისა ბაგრატ ციციშვილისადმი

**1725 წ. 4 ოქტომბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 129. დედანი. ქაღალდი. 19,7×10 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი. ა-მეტ-ნაკლული.

ჭ. ავიღე მე, თქვენმან ბიძაშვილმა ნოდარ თქვენ, ჩემის ბიძაშვილის ბატონის ბაგრატისაგან ოთხი თუმანი და ნახევარი თეთრი.

ამისად გირაოდ მოგეც თქვენგან გამოსყიდული და ჩემგან ნასყიდი გლეხი ხევედურეთს ვიგრიაშვილი ხოსია და ივანა და თამაზას შვილები თავისის მამულითა, დღეს რისაც მჭონებელი იყოს.

სანამდი ეს გლეხი თქვენ გ[ე]ჭიროს და თქვენს თეთრს მოგართმევმდე, მე გლეხის გამო[სა]ვალი არა გთხოო და თქვენ თეთრის სარგებელი არა მთხო[ო]თ; და როდისაც თქვ[ე]ნი თეთრი მოგართვა, ჩემი გლეხი ის[ე]ვ უნდა მეევე დამანებო.

არის ამ[ი]სი მოწამე პაპუნა შვილი ბატონი ციცი*, ედიშერა შვილი ჭაიხოსრო*, სალთხუცესი პაატა*.

მე, ძამუა შვილს გიორგის, დამიწერია, მოწამეცა ვარ. დაიწერა ივანობისთვის დ, ქორონიკონს უიგ.

სათაური სხვა ხელით: „ჭ. ნაზარას თამასუქი“.

## 902. ყმის ჩუქების წიგნი ავთანდილ ერისთვისშვილისა ელიზბარ დავითიშვილისადმი

**1705—1728 წწ.**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2543. დედანი. ქაღალდი. 31×12,9 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი. უთარიღო. საბუთის გამცემი და მიმღები დოკუმენტებში 1705—1723 წლებში იხსენიებიან („დოკუმენტები საქართ. სოც. ისტ.“ I, ნ. ბერძენიშვილის რედ. 1940, გვ. 129).

ჭ. ესე წიგნი მოგეცით ჩვენ, ერისთვისშვილმან ბაზიერთხუცესმა ბატონმა ავთანდილ თქუენ, დავითიშვილს ბატონს ელისბარს.

---

* დატოვებულია ცარიელი ადგილი ბეჭდისათვის.

ასე რომე ურიები მომივიდნენ, არაგვისპირს [illegible]. თქუენ მობძანდით აქ თქუენი დის სანახავადა და თქუენ [illegible] დაგვენუკევნით.

ბიბლიოთეკა

ჩვენც მოკითხული ექენით. ვალიც ემართა და შვილიც იმერეთს დაგირავებული ყუანდა, და ჩვენ არა თავს შევიდეთ; და ის შვილიც თქვენ დაუხსენით, ვალიც თქუენ გარდაუჴადეთ და შიმშილობა იყო და ძველობითაც თქუენ გამოკუებეთ.

ჩვენც სხვა საჩუქრის მაგიარად გაჩუქეთ ერთი კუამლი ნაცვალაშვილი მოძღვარა, შაბათა და მეორე კუამლი ქონიაშვილი ბერი, მათის შვილებითა.

ასე მოგვირთმევია, რომ არას კაცს ამათთან ჴელი არა ქონდეს, არც ჩვენს სახლის კაცსა, არც სხვას ვისმე. თუ ვინმე გეცილოს, პასუხი ჩვენ გაცსცეთ.

არის ამისი მოწამე მდივანბეგი პაატა, ედიშერ და ვამეყ.

ბოლოში: „ქ. ავთანდილ ჩემა სიძემ რომ ურიების წიგნი მომცა, ის არის".

## 903. მჴოვრეთის ბაჲის იჯარით აღების წიგნი გაბრიელა ფირალიშვილისა ბაგრატ ციციშვილისადმი

**1729 წ. 1 იანვარი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3795. დედანი. ქაღალდი. 14×10,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი.

ქ. ესე წიგნი მოგართვით ჩვენ, ფირალიშვილმა გაბრიელამ თქვენ, ბატონს ბაგრატს.

ასე რომე, მძოვრეთის ბაჲი ბედნიერის ვეზირის ბძანებით და ბუირუთით ჩემის ნებაყოფლობით მამეცით ამ იანვრის დამდეგიდამ იმ იანვრამდის. ექვსი თუმანი თეთრი უნდა მოგართვა, რომ ამაში ქართული აღარა გვაქვს რა.

დაიწერა იანვარს ა, ქორონიკონს უიზ.

ამისი დამხდური და მოწამე ბატონი ამილახორი გივი*.

თუ ამაში გავმტყუნდე, ბედნიერის ვეზირის შემცოდე ვიყო.

მე, ძამუაშვილს პაპუას, დამიწერია, მოწამეც ვარ †

Verso-ზე: „ფირალიშვილის გაბრიელის ბაჲის წიგნი".

---

* დატოვებულია ცარიელი ადგილი ბეჭდისათვის.

## 904. სახლისკაცობისა და ერთობის წიგნი დიმიტრი ორბელიანისა ბიძაშვილისადმი

ერევნული ბიბლიოთეკა

1732 წ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 717. დედანი. ქაღალდი. 43,3×10 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი. ა-მეტ-ნაკლები.

ქ. ჩვენ, გიორგისშვილმა დიმიტრიმ ესე უმიზეზო და უცვ[ა]ლებელი, ძმობისა და სახლისკაცობის და ერთობის წიგნი და ფიცი მოგართვით თქვენ, ჩვენს ბიძაშვილებს, ორბელ მდივანბეგის შვილებს, ბატონს სალთხუცესს, ბატონს ელისბარს და ვახტანგს.

ასე რომა ჩვენის ოჯახის უზიანოს საქმით რაც რომა ხელიდამ გამამივიდეს და შემეძლოს, თქვენზე სამსახური და სიკეთე არა დავიშურო და რაც რომა კარგი დაგემართოსთ, იმისი მცდელიც ვიყო, მტერზე მტერი ვიყო და მოყვარეზე მოყვარე ვიყო თქვენი და თქვენის შვილის. და თუ თქვენ ჩემზე არა იმტყუნოთ რა, რაც რომა ძმობად პირი დაგიდევით, არც რა მე თქვენზე ვიმტყუნო, თქვენი სიკეთისა და სიამოვნის მდომი ვიყო. ღვთით[1] და კაცით რაც რომა შეგემატებოდეს, იმისი მდომი და მცდელი ვიყო.

ვინც ეს ფიცები და ძმობა და პირობა[2] გატეხოს, მასცა რისხავს ღმერთი დაუსაბამო და მისი წმინდანი, და ჩვენი სასაფლაო ფიტარეთი და დმანისი მა[სამ]ც რისხავს და ქართლის ჯვარ-ხატნი ორთავეში და სამთავ ძმობაში ვინც ეს ფიცებ[ი] და პირები გატეხოს და ძმობა და პირობა უარყოს.

დაიწერა ესე ფიცი და პირი ქორონიკონს უკ, ქრისტეს აქათ ჩლბ.




*

---

1 ხავთითა. 2 პირეობა.

* ... თურქული და სომხური წარწერა.

## 905. შვილად აყვანის წიგნი ქაიხოსრო წერეთლისა პაპუნა წერეთლისადმი

**1721—1732 წწ.**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 10189. დედანი. ქაღალდი. 22×11 სმ. თავი აკლია. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამწერტილი. უთარიღო. საბუთი თარიღდება ალექსანდრე მეფის ზეობის პირველი ათწლეულით.

...ჭ ვ ე ლ ი წ ე რ [ე თ ე ლ ს]...* პ ა პ უ ნ ა ს, მე, წ ე რ ე თ ე ლ მ ა ქ ა ი ხ ო ს რ ო მ ასე და ამა პირსა ზედა, რომე გიშველე და საფიცარი მოგეცი, სანამდის სული მედგას, არც გაგეყარო და არცარა შენს იქეთ ვიცოდე რამე. ჩემი მამული და ალაგი შენთვის მომიცემია.

თუ მე ამაშიდ გაგიმტყუნდე, მ ე ფ ე ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე მ მისად შეცოდებად მკითხოს, ზ უ რ ა ბ ა ბ ა შ ი ძ ე მ მისად სიკუდილათ გკითხოს.

ამისი მოწამე ძ ა ღ ლ უ ა მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, პ ა [ა] ტ ა ფ ლ ა ვ ა ნ დ ი შ ვ ი ლ ი, ო თ ი ა გ ო დ ა ბ რ ე ლ ი ძ ე, ფ ი რ ა ნ კ უ რ ც ხ ა ლ ი და ი ე ს ე ა ბ დ უ შ ე ლ ი შ ვ ი ლ ი.

თუ შვილი მეყოლოს და, ძმათ იყავით. ††

* ბეჭედი: წ ე რ ე თ ე ლ ი ქ ა ი ხ ო ს რ ო.

## 906. ამხანაგობის წიგნი გაამანის, გერმანოზისა და პაკუასი

**1733 წ. 1 დეკემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 7283. დედანი. ქაღალდი. 13,5×10,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ერთი, ორი, სამი ან ოთხი წერტილი.

ქ. ესე წიგნი დავდევით ჩვენ ბ ა ა მ ა ნ და გ ე რ მ ა ნ ო ზ და პ ა პ უ ა მ, რომე ოცდათორმეტი ფლური აქ მიმ[ა]ბ[ა]როთ. და თამასუქი დავიხსნათ. და სხვა რაც დარჩეს, ზიანიც და სარგებელიც ერთი იყოს.

არის ამისი მოწამე რ ა მ ა ზ ა, ე ბ ა ლ ო აკურელი.

მე, ბ ე ჟ ა ნ ს, დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა ესე წიგნი ქრისტიშობის დამდეგს. ქორონიკონს უკა. †††

---

* აკლია ორი-სამი სიტყვა.

## 907. შეურილობის წიგნი ბირთველ და პაპუა თუმანიშვილების

**1735 წ. 15 ივლისი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 167. პირი, გადაწერილი 1754 წელს. ქაღალდი. 38,3×15,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი. ა-მეტი.

ქ. ნებითა მღთისათა ესე შ ე ს ა მ ყ რ ე ლ ო წ ი გ ნ ი დავდევით ჩვენ, ფ ა რ ს ი ა ს შ ვ ი ლ მ ა ბ ი რ თ ვ ე ლ მ ა და ე ლ ი ზ ბ ა რ ი [ს] შ ვ ი ლ მ ა პ ა პ უ ა მ ა.

ასრე რომე ერთმანერთის ნებაყოფლობით ძმობა მოვიდომეთ და ძმათ შევიყარენით; ან მამული, ან ყმა და საქონელი, რისაც მქონებელი ვიყავით ნასყიდისა თუ უსყიდისა, შევაერთეთ. ჩვენი ძველი თუ ახალი ვალი რომლისაც გამოჩნდეს, საერთოთ უნდა მივსცეთ. ასაღები თუ გამოგვიჩნდეს რამე, ისიც საერთოთ უნდა ავიღოთ. მე, პაპამ ეს პირობა დაგიდე.

ჩემი ბიძაშვილი მ ი რ ვ ე ლ ა, რომ მოვიდეს, თუ იმან ჩვენი ძმობა ყაბული ქნას, ისიც ჩვენი ძმა იყოს. თუ ჩვენთან ძმობა არ მოიდომოს, რაც ჩემგან წილი ერგებოდეს, თავისი წილი მამულიც მივცე და ვალიცა.

და მე და შენ ისევ ძმანი ვიყვნეთ. ჩვენი მამული თუ ყმა თუ საქონელი, ნასყიდი თუ უსყიდი, სულ გაგვიერთებია. დღესა და დღეისიქით რაც მოვიგოთ, სულ საერთო არის. შინ თუ გარეთ ერთმანერთს მიუტანდეთ და ერთათ დავხარჯვედეთ. ჩვენს ცოლებს თუ სამთავნო ქონდესთ[1], სახლში ნუ შეინახავენ, გარეთ ვისაც უნდა მისცენ და ასაქმონ. ერთის ტანისამოსის მეტი ერთმანერთში გაყოფილი არა უნდა რა ვინდომოთ რა.

ღმერთმა ნუ ქნას, თუ ჩვენმა შვილებმა გაყრა მოინდომონ, ორთავე სწორეთ უნდა გაიყონ. და თუ მ ი რ ვ ე ლ ა ჩვენთან დადგეს, მაშინ სამთ უნდა გაიყონ.

ჩვენში რაც ძველი ბარათები თუ წიგნები იყო, სულ დავხიეთ. რომელმაც ამ ჩვენს ძმობაში ერთმანერთში ღალატი მოინდომოს, ჯერ იყოს ღვთის შემცოდე, მერმე ქართლის ხემწიფის მამულიდამ, ყმიდამ, საქონლიდან ტიტველი გავიდეს.

არის ამისი მოწამე თავათ ღმერთი, კაცთაგან: ყ ა ლ ა ნ დ ა რ ა შ ვ ი ლ ი ქ რ ი ს ტ ე ფ ო რ ე. ბ ა ხ უ ტ ა შ ვ ი ლ ი გ ი ო რ გ ი, მ ა ნ უ ჩ ა რ ა შ ვ ი ლ ი გ ო რ ჯ ა ს პ ი, გორელი ო ს ი ნ ა შ ვ ი ლ ი ქ ა ი ხ ო ს რ ო, ა ვ თ ა ნ დ ი ლ ა შ ვ ი ლ ი ზ ა ლ ი ა, ხ ი თ ა რ ა შ ვ ი-

---

[1] ოქნდეს.

ლი გიორგი, თაყინაშვილი გაბრიელა, ფეშანგ[ი]-შვილი ანდრია და დავით.

მდივნი[ს]შვილს გიორგას დამიწერია [illegible] ვარ ამისი. დაიწერა ესე წიგნი მკათათვის ნახევარს, ქორონიკონს უკგ.

მე, თუმანიშვილმა ლიპარიტი[ს] შვილმა გიორგიმ, ამისი სავალი გარდმოვწერე ასლი ვნახე ბეჭდებითა და ღვთის ქვეშ რაც იმასში ეწერა, ისრე ეს სავალი გარდმოვწერე კოჩერაშვილის ბერის მოწმობით. იანვრის კბ, ქორონიკონს უმბ.

მარცხენა კიდეზე დედნის ხელითა და მელნით.

ჩვენ, ამილახორი ოთარი, ამისი მოწამე [ვარ] და ბეჭედი ზის.

ქ. მე, ყარან, ამისი მოწამე ვარ და ბეჭედი ზის.

სხვა ხელითა და მელნით

ქ. მე, ნიკოლოზმა, ამისი ასლი ვნახე, ეს იმისი პირია.

ხელრთვა: ნიკოლოზ.

ქ. მე, თუმანიშვილმა იოსებმა ამის ასლი ვნახე და ეს სავალი სწორედ იმისი პირი იყო. ხელრთვა: იოსებ .

ქ. მე, თუმანისშვილმა მდივნის ეგნატის შვილმა იესემ ამისი ასლი ვნახე, ეს სავალი სწორედ იმისი პირი იყო. ხელრთვა: იესე.

ხელრთვა: იესე.

ამ სავალის ასლი მე, თუმანიშვილს ელიზბარს და იოვანეს გვაქვს.

მე, ცარიელაშვილს გოგიას, ელიზბარის და იოვანეს სიტყვით დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი.

ბოლოში: „ქ. შეყრილობის წიგნი".

## 908 პირისსანახავად ყმის მირთმევის წიგნი ივანე ერისთვისშვილისა მერაბ მილახორისადმი

**1735 წ.**

ცსსა. ფ. 1450. დავთარი № 53. საბუთი № 28. პირი. ქაღალდი. მხედრული. ა-ნაკლული.

ჩვენ[1], ერისთვისშვილმა ივანემ მოგეცით ეს წიგნი შენ[2], ბატონს[3] მილახორს მერაბს.

---

1 ჩვენი. 2 შენი. 3 ბატონის.

ასე რომ, ბატონმან ჩემმან სიძემ ალიხანმა ჩემს დას პი-რ[ს] სანახავად მოგართვა და წამოსვლის დროს ბატონი მეფე ჩემი აქ არა ბრძანდებოდა და შენც დიად გულით მოინდომე და მოგეცით ჩვე-ნი ყმა ბენტერისშვილი გიორგი მეჭურჭლე ცხათ-ელი. ქორონიკონს უკვ.

## 909. თავდახსნილობის წიგნი იასე სოლაღაშვილისა ოქრუა ამილბარასშვილისადმი

**1736 წ. 28 იანვარი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14277. დედანი. ქაღალდი. 29,5×23 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი. ა-მეტ-ნაკლული.

...ეს თავდახსნისა და აზატულობის წიგნი მოგეც მე, სოლაღაშვილმა ბატონმა შენმა იასემ, შვილმა ჩემ[მ]ა ივანემა შენ, მონასტრელს ჩემს ყმას ამილბარასშვილს ოქრუასა, ძმასა შენსა ოთარასა.

ჩემს მამულიდამ ხელი აგაღებინე ნასყი[დი]დამაცა, უსყიდიდამაცა. მამულს გარდა თავიც დაგახსნევინე. მე შენთან ხელი აღარა მქონდეს, შენთან არც ჩემს შვილს ჰქონდეს ხელი, არც ჩემს ნათესავს. თავი დაგახსნევინე. საცა გინდა, იქ წადი და საცა გერჩომლებოდეს, იქ დარჩი. მე შენთან ხელი აღარა მაქ[ვ]ს, ღმერთმან გიშველოს.

ვინც ეს წიგნი შეგიშალოს, მასამც შეშლის ღმერთი და ყოველნი მისნი წმინდანი.

არის ამისი მოწამე თავად ღმერთი და ყოველნი მისნი წმინდანი, კაცთაგან: პა[ა]ტასშვილი ოთარა, ბანაძეშვილი მღ[ვ]დელი იასე, მოურავი გიორგი, პეტრიასშვილი გიუა, ვარსიმაშვილი პაპა.

დ: მე, აზარიაშვილს გიუას, დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. დაიწერა ესე წიგნი იანვარს კჱ, ქორონიკონს უკდ. ხელრთვა: იასე.

Verso-ზე პირშექცევით: „ქ. მონასტრელის ამილბარასშვილის ოქრუას წიგნი თავდახსნილობისა“.

## 910. სათავდებო წიგნი სეხნია დევიძისა ზალიკა აბდუშენიშვილისადმი

**1736 წ. 1 დეკემბერი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14752. დედანი. ქაღალდი. 17,9×11,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი. ა-მეტი.

ქ. ნებითა ღვთისითა, ესე სათავდებო წიგნი მოგეცი მე, დევიძე სეხნიამა შენ, აბდუშენიშვილი იესე[ს] შვილს ზალიკას.

ასე რომე, ჩემი დისწული პაპუნიკი თავის მამას მოეყიდა და მერე გასწყრომოდი. და მოვედი და ჩემის ბატონის დასტურითა თავდებათ დაგიდექი, რომე დღეს და დღეის იქით თუ ეს ჩემი დისწული წაგიდეს სადმე, პასუხის გამცემი მე ვიყო.

არის ამისი მოწამე ცქიტიშვილი იესე, აბდუშენიშვილი ზურაბ და გიგია და გოგატიშვილი მახარიკა, ბატონთანაც მახარიკა არის დამსწრე.

და მე, ტინტოლიზანა[ნ]თა გივინაშვილს ბაინდურას, დამიწერია და მოწამეცა ვარ.

დაიწერა ქრისტიშობის[1] თვის დამდექს, ქორონიკონს უკდ



## 911 ამხანაგობის წიგნი დავით, ოთარ და იორამ თარხნიშვილებისა

**1736 წ. 8 დეკემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2783. დედანი. ქაღალდი. 24,5×11 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ჩვენ, დავით და ოთარმა და იორამ ანგარიში გავსწმინდეთ წლევანდელის მირის სურსათისა და ბრინჯის თეთრისა. და თუ რამე სხვა დანახარჯი იყოს, ამაების ანგარიში გავსწმინდეთ.

დღეს აქამდის რაც ერთმანერთში ზარალი მოგვეიდა თუ სარგებელი, ყველა ჩავარონინეთ, ყველამ გაიარა; აღარც მირი, არც სურსათი, არც ბრინჯის ფასი, არც სამასპინძლო აღარა დარჩომილა რა.

დღეის იქით რაც სამსახური მოვიდეს, ჩვენ ჩვენი მამულის ზიანი და სარგებელი გავსწიოთ. თუ ერთმანერთის მოიტაცონ რამე, პასუხი გავსცეთ.

---

1 ქარიშტიშობის.

არის ამისი მოწამე ეშიკაღადბაში სულხან [□], მთავალ-
ქაიხ[ო]სრო [□] სვიმონ [□] გაბაშვილ[ებ]ისგან[ე]ბით
ჩვენი ყმა ცალქალამანიძე ფირან*, ქვლივიძე სვი-
მონ*, ჩივაძე დავით*, ოჰანა.

და მე მგალობელს დამიწერია და მოწამეცა ვარ. ქრისტიშობის გ,
ქორონიკონს უკდ[1]. [□] [□]

## 912. ყმის მზითვად მიცემის წიგნი ალხაზ თუმანიშვილისა თაჟა მანდენასშვილისადმი

**1732—1736 წწ.**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 804. დედანი. ქაღალდი. 35,6×16 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი. უთარიღო. ბეჟან თუმანიშვილი საბუთებში გვხვდება 1732—1736 წლ. („დოკუმენტები, საქართ. სოც. ისტ." I, ნ. ბერძენიშვილის რედ., 1940, გვ. 236).

ქ. ნებითა და შეწევნითა მღთისითა, მამისა, ძისა და სულისა წმინდისათა, მარადის ქალწულისა მარიამისითა ესე მზითვის წიგნი დავიწერეთ და მოგეცით ჩვენ, თუმანისშვილმან ალხაზმან, ჩემმან ძმამ ბეჟანამ თქვენ, ჩვენს მოქალაქეს სიძეს თაჟას მანდენასშვილსა.

ჩემი და დუნიახათუნ მოგათხოვე შენდა მეუღლეთა, გამოღატანე ჭონება, რაც ჩემის ჯელითგან გამოვიდოდა, ჩემი მემკუიდრე ყმის შვილი ხარ[ა]ზისშვილი გიორგი.

ღმერთმან ასე გაგითაოსთ ეს ჩემი ყმის შვილი ჩემგან მზითვად გამოტანებული: გინდოდეს გასასყიდათა, გინდოდეს გასამზითვათა, რათაც ფერად შენდა გამოსადეგათა. არავინ შემოგეცილოს ერთი ღმერთის მეტი. ასრე გაგითაოს, როგორც მრავალს კაცთ ნამზითვი მსახური და მხლებელი გასთავებოდესთ. არ მოგეშალოს ეს ჩემი მზითვის ყმის შვილი ხარ[ა]ზისშვილი გიორგი.

---

[1] + თუ.

* დატოვებულია ცარიელი ადგილი ბეჭდისათვის.

მე, თუმანიშვილს იესეს, დამიწერია ეს წიგნი [□] თავში: ქ. ამისი მოწამე მე, დავითა სუფრაჩი [□]

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარცხენა კიდეზე:

ქ. ამისი მოწამე მე, მდივ[ა]ნი შერმ[ა]ზ[ა]ნ [□]

ქ. მე, თამაზ თუმანიშვილი, ამისი მოწ[ა]მე ვარ [□]

ქ. მე, მემანდარბ[ა]ში მამუკა, ამისი მოწამე ვარ [□]

ქ. მე, თუმ[ა]ნიშვილი ზაქ[ა]რია, ამისი მოწამე ვარ [□]

Verso-ზე: ქ. მე, აღმურა[ა]ნთ ესტატე, ამისი მოწამე ვარ [□]

ბოლოში „მანდენაშვილისა“.

## 913. გათილაშის წიგნი ტოლუხან-ბეგისა დავით თარხნისშვილისადმი

**1737 წ. 20 აგვისტო**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14578. დედანი. ქაღალდი. 15,5×13 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი.

ქ. ესე გათილაშა მოგეც მე. ტოლუხან-ბეგ შენ, თარხნისშვილს დავითს. ასე რომე ჩემი ოთხი თუმანი გემართა და თამასუქი მქონდა. თამასუქი დამკარგოდა და თამასუქის ვეჩი თამამად მომებარა. თუ ეს თამასუქი გამოჩნდეს, ამ წიგნით ბათილი იყოს.

არის ამისი მოწამე ბატონი ერისთავი დემეტრე [□],

როჭიკასშვილი ოთარი [□], და მე, მდივანს გორჯასპის, დამიწერია. დაიწერა მარიამობის კ, ქორონიკონს უკე.

[□] [□]

## 914. ხელწერილი იასე სოლოღაშვილისა იოსებ წინამძღვრისშვილისადმი

**1741 წ. 31 მარტი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 11312. პირი. ქაღალდი. მხედრული.

ჭ. მამებარა მე, სოლაღაშვილს იასეს, იოსებ წინამძღვრისშვილისაგან ხუთი მილანთუნი[1] და ათი შაური თეთრი ვახტანგ ყაფლანისშვილის ხანჯლის ფასი. მარტის გასულს, ქორონიკონს უკთ. იხ

## 915. შეურილობის წიგნი მერალიბეგ ციციშვილისა დავით ციციშვილისადმი

**1744—1750 წწ.**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 1306. დედანი. ქაღალდი. 35,5×31,7 სმ. მარჯვენა ზემო კუთხე მოხეულია. ბოლო აკლია. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ორი ან სამი წერტილი. საბუთი უთარიღოა, თარიღდება მერალიბეგ ციციშვილის ქალანთაროზის წლების მიხედვით (1744—1750).

ჭ. ნებითა და შეწევნითა მღთისითა ესე ძმო[ბის] წიგნი მოგეცით ჩვენ, თქვენმან ბიძაშვილმან ქალანთარმან[2] მერალიბეგ, ძმისწულმან ჩემ[მ]ან ივანემან. შვილმან ჩემ[მ]ან ედიშერ, ძმამან ჩემ[მ]ან თამაზმან თქვენ, ჩვენს ბიძაშვილს დავითს და პა[ა]ტას და დემეტრეს.

ასე რომ ცოტას ხანს მამა ჩვენები გაყრილიყვნენ. მასუკან ისევ სახლისკაცობა ექნათ. ავი დროს გულისათვის ერთმანერთში ცოტა რამ სამდურავი გამოგვერია. ბატონის მეფის თეიმურაზის ბრძანებით ისევ ძმობაზე შევრიგდით. რაც ერთმანერთზედ დანაშაულობა[3] გვქონდა, ხელი ავიღევით, ძმობა და სახლისკაცობა მოვინდომეთ და ისევ შევიყარენით ძმათა.

დავითს და პა[ა]ტას უნდა გახლდესთ: „ბუნიათისშვილი ნიკოლოზ თავის ყმითა და მამულითა, ქიმაძე თავის მამულით, ნასყიდასშვილები თავის მამულით, კოპაძე თავის მამულით, ქობულაშვილი თავის მამულითა, აბრამის-

---

1 მილან თუმანი. 2 ქარანთარმან.

3 დანაშაურობა.

შვილი თავისის მამულით. ამათ არც ეთხოვებოდეს ხემწიფის სა-თხოვარი, არც ჩვენი, არც ლალა, არც კულუხი.

მსახურად უნდა გახლდეს: გვერდწითელი [illegible] უზნაძე ნიკოლოზ, ჩინჩალაძე ქაიხოს[illegible] რაშვილი ბერო, ალიბეგისშვილი გოგია, დალაქი ნასყიდა, ლონლაძე ბერო, ფურცელაძე დათუნა, წინამძღვრისშვილი ივანე. ამ მსახურებს მალი არ ეთხოვოს თავის თავათ.

თქვენ — დავითს და პა[ა]ტას, დემეტრეს, — საცა მოხნათ და ვენახი იმუშაოთ, არც გთხოო ლალა, არც კულუხი.

სხვა ამას გარდა ჩვენს სა[ე]რთოს მამულში და ყმაში არც კაცს წაართვათ რამე, არც და[ა]რბიოთ, არც ჩვენი უნებური ქნათ რამე, არც ერთის ფულისა სათხო[ო]თ რამე და არც გამოართვათ რამე.

დღეს და დღეის იქით რაც ხემწიფიდამ შემოვიმატოთ, ან რაც მამულიდამ ნასყიდობა შემოვიყიდოთ, საერთო იყოს; რაც სათავნოდამ ვიყიდოთ და შემოვიმატოთ, ერთმანერთ[თ]ან ხელი არა გვქონდეს.

ჩვენ სანამ ცოცხალი ვიყვნეთ არ გავიყარნეთ. რომელმაც ერთმანერთზე დავაშაოთ რამე და გაყრა მოვინდომოთ, მამულიდამ ხელი ავიღოთ. თუ ჩვენმან შვილებმან გაყრა მოინდომონ, როგორც ქართლის დასტური იყოს იმ რიგათ გაიყარონ.

ხემწიფის სათხოვარს თქვენთან ხელი არ ქონდეს. თუ ხემწიფის სათხოვარი არ ეთხოვებოდეს, თქვენ მამულს გამოსავალთან ხელი არა ქონდეს, არცარ[ა] მთხოვოთ.

თუ ამაში ვიმტყუნოთ რამე, ჯერ ვიყოთ მღთის შემ[ცო]დე, მერმე ჩვენის ხემწიფისა.

დაიწერა ესე წიგნი კარ[ისა?]...*

მარცხენა კიდეზე

ქ. ჩვენ, ბატონი არჩილ, ამის მოწამე ვართ.
ქ. ჩვენ, სარდალი ქ[ა]იხოსრო, ამის მოწამე ვართ.

ქ. ჩვენ, აბაშიძე ვახუშტი, ამისი მოწამე ვარ.

ქ. მე, ქეშიქჩიბაში რევაზ, ამისი მოწამე ვარ.

ქ. მე, თარხანი ლუარსაბ, ამისი მოწამე ვარ.

* დანარჩენი აკლია.

ქ. მე, ჩხეიძე გორგასალ, ამისი მოწამე ვარ.
ქ. მე, ფარსადან უზბაში, ამისი მოწამე ვარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 916. ᲣᲛᲘᲡ ᲩᲣᲥᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘ ᲘᲝᲕᲐᲜᲔ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲑᲔᲒᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲡᲣᲚᲮᲐᲜ ᲒᲐᲕᲒᲐᲕᲐᲫᲘᲡᲐᲓᲛᲘ

**1750 წ.**

ცსსა. ფ. 1450. დავთარი № 11. საბუთი № 21. პირი. ქაღალდი. მხედრული.

[27] ესე წიგნი მოგართვი მდივანბეგმა იოვანემ თქვენ, ჩემს ბებიდაშვილს ეშიკაღასბაშს სულხან.

ასე რომე ჩემი ნასყიდი ყმა სომხითის დეღცნუტელი ახნაზარა და მელქუა, ეს ორი კომლი, თქვენთვის მამიცემია ყოვლის კაცისაგან უცილებლად, რომე არას კაცსა იმათთან ჯელი არა აქვს.

ღმერთმან მოგახმაროსთ, როგორც ბატონყმობის რიგია, ისრე იმსახურეთ. არაოდეს ჩემგან არ მოგეშალოს. მტკიცედ თქვენთვის მამიცემია. ქორონიკონს ულჱ.

## 917. ᲪᲝᲚ-ᲥᲕᲠᲘᲡ ᲒᲐᲧᲠᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘ ᲒᲐᲘᲓᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲨᲣᲨᲐᲜ ᲙᲐᲙᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐᲓᲛᲘ

**XVIII ს. შუა წლები**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 1233. დედანი. ქაღალდი. 20,8×10,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი ან სამი წერტილი. ა-მეტ-ნაკლული.

ქ. ესე წიგნი მოგეც ჩვენ, ბაიდურაშვილებმან სიყმიამან, შანმაზან და იოსებ შენ, კაკიაშვილს შუშანს.

ასე რომ ჩემი და [გ]ყვანდა. და თქვენ ცოლ-ქმართ ერთმანეთის რაზნი არ იყავით. და ახლა შამოგეხვეწე და გაგაშვებინეთ. არც შვილი ყვანდა ჩემს დას, იმიტომ, თორემ სხვა ერთმანეთ[თ]ან დანაშაული არა რა; გაგაშვებინეთ ჩემი და, რაც მართებელი იყო, ყველა გამოგ[არ]თვით. კაცები დავისხით და ამას იქით შენთან ძმობის და მოყვრობის მეტი აღარა ჯელი გვქ[ო]ნდეს რა.

არის ამისი მოწამე: ციხისთვისშვილი იასე, აბრამა სალთხუცის მსახური, თელეველი ირემა ხამხაძე, ცქვიტისშვილი ბერო, გაბიდაური ვარდიასშვილი, მარტყოფელი მიქელისშვილი ლუარსაბ.

მე, დავით, დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი †††

## 918. ანდერძის წიგნი ბეჟან თუმანიშვილისა გოჩჯასაი თუმანიშვილისადმი

**1755 წ. 12 სექტემბერი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 227. დედანი. ქაღალდი. 44,5×15,5 სმ. შხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ერთი, ორი ან სამი წერტილი. ა-მეტ-ნაკლული. საბუთის პირი, გადაწერილი 1797 წ. დაცულია იქვე (Hd 14375).

ზე ადიდოს ღმერთმან მეფეთა მეფე თეიმურაზ და ძე მისი ირაკლი[1] განაძრიელოს ღმერთმან, ისმინოს აჯა და მოხსენება ჩემი თუმანიშვილი თავილდარი ბეჟან მოვახსენებ ანდერძსა ამას.

რადგან სოფელი წარმავალი არის და მეც უცოლშვილო გახლდი, ჩემს უკან ჩემის პაპის და ბიძის და მამის დანარჩომი სასახლე, ბაღის ადგილი, ყმა-მამული, მიწა-წყალი, შესავალი, გასავალი, რაც რამ ფერი დამრჩა, სულ ხელელთპირ (sic) მდივნის გორჯასპისათვინს ანდერძი მიქნია.

მამის ჩემისაგანც მე ასე მჭონდა ანდერძი და მეც ჩემის მამის ანდერძის გატეხა ვერ შევიძელ. რადგან უცოლშვილო ვიყავი, მამას ჩემსაც მაგისთვის ჯელი მოეკიდა. მეც მაგის კედლათ ვიყავი ჩემს სიცოცხლეში და ჩემს უკან ანდერძიც მაგას, დაუწერე და მივეცი.

თქვენს სამსახურს და რაც რამ ფერით შეძლება იქნებოდეს ჩემის მამულიდამ, მდივანს გორჯასპის იმსახურებდეთ. რაც მართებელი სამსახური იყოს, ყმასაც ისე იმსახურებდეს და კარგად მოუვლიდეს სამართლიანის საქმით. უსამართლოს ნურც თვითონ უზამს და ნურც სხვას აქნევინებს უსამართლოს, რომ ჩემის მოხსენებით თქვენი უკადრისი არ იქნეს და ჩემის სულის საგინებელი და ღვთის საწყენი არა მოხდეს რა.

ეს ჩემი მოხსენება და ანდერძი დასრულდეს. და მამშლელს ქრისტეს სამართალში პასუხს ვთხოვ და სამართალს ღვთისგან მოველი და მოგახსენებ.

დავსწერე ეს ანდერძი ენკენისთვის.იბ გასულს, ქორონიკონს უმგ. ეს ჩემი ხელია.

---

[1] ირეკალე.

## 919. შეწირულების წიგნი დარეჯან აბაშიძისა გერმანე კათალიკოსისადმი

**1756 წ. 27 ნოემბერი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცსსა. ფონდი 1448. საბუთი № 3309. დედანი. ქაღალდი. 31×14,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი წერტილი. საბუთი რეგისტრირებულია 1822 წლის 15 ივნისს № 32-ით იმერეთის დროებითი მართებლობის მიერ, რომელსაც ხელს აწერენ: „პოლკოვნიკი მდივანბეგი თავადი ქაიხოსრო წერეთელი და მდივანბეგი თავადი დავით ჩხეიძე“, და 1844 წელს № 540-ით ქუთაისის საეკლესიო კომიტეტის მიერ.

ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა, ესე სწორი და უტყუელი აღთქმა და ფიცი და პირობა მოგართვით ჩვენ, დედა თქვენმა, აბაშიძის ასულმან დარეჯან შენ, ჩვენს შვილს ბატონს კათალიკოზს გერმანეს ასე და ამა პირსა ზედა, რომე უხუცესი და საყვარელი შვილი ბძანდები ჩემი და ხორცითაც და სულითაც მისანდო და მისამართი იყავი.

და აწ თუ შენ ჩემთვის სწორისა და ჰეშმარიტის გულით კარგი და რაც შეგეძლოს ორისავ სოფლის შემწე და ნუგეში იქნე, როგორც დედაშვილობის მარებული არის, ღმრთის უწყინარის საქმით სიამის, მორჩილების და სამსახურის მდომი იქნე, არც სიტყვით და არც საქმით შენ ჩემზე ზაკვა და ტყუვილი არ გამოიყვანო, მეც აგრე შენთვის მონდობილი, უხერხო, უტრელო (sic), უზაკვო, ჰეშმარიტის გულითა და საქმით ვიქნე; არც რაგინდარას ტყუვილის სიტყვით შენი ჩხუბი დავიჯერო, სანამდი არ გაგიკითხო და ტყუვილი და მართალი არ შევიტყო.

რაც ჩემი სათავისთავო მამული და ადგილი მაქვს, იმაში არას ადამიანს ხელი არა აქვს, არც შვილებს, არც სხვას კაცს ხელი არა აქვს რა. კურთხეულის მამის ჩემის გიორგის აბაშიძის წყალობა იარაღებით შოშიტა ერისთავისაგან ვიყიდე.

სხვა შვილებიც დამეაჯენ, მარა ჩემის სულისთვის ამის მეტი საგძალი არა მქონდა რა; ნასამართლის ქონებით ნაშოვნი იყო და ჩემის სულისათვის შენს წმინდას ეკლესიას — ნიკოლაოზ მღვდელთმთავრისას შევსწირე ჩემის სულის საოხად.

ასე რომე სანამ სული მედგას, სიყვარულსა და მოვლასა და მართებულს საქმეს ჩემზე ნუ შეორგულდები. და რა მოვჰკუდე, თუღა ცოცხალი დამრჩე, ჩემი გვამი იღვაწე და რიგით დამ[მ]არხევ. მერმე სანამდისაც იცოცხლო, სულის საქმესა და წესსა და რიგსა და მის დროს ჩემთვის აღასრულებდე.

ეს ჩემი სათავისთავო მამული უკუნისამდე შენს წმინდას ეკლესიას ჩემდა საოხად ეპყრას. ამაში მცილე არავინ აუჩნდეს.

ვინც ეს წიგნი შენს საყდარსა და შენ გაგიტეხოს და ამაზე მეცილება დაიწყოს, მე ამის მეტი არა მქონდა რა და ჩემდა ცოდვის სასახსროთ იესო ქრისტესთვის მიმირთმევია და წმინდის ნიკოლოზისათვის შემიწირავს.

და თუ ვინმე ეს მას გამოახვას, ჩემის ცოდვის პასუხი დიდს მეორედ მოსვლას იესო ქრისტეს მან მისცეს და ჯერ ღმრთისაგან და მერმე შვიდის კრებისაგან და ოთხის პატრიარქისაგან შეჩვენებული იყოს.

ამას გევედრები, შენ, ჩემო შვილო გერმანე, რომე ამ კაცებს ძალა და უსამართლოთ მიპყრობა არ დაემართოს და არც საეროთ გახდეს, როგორც ღვთის სამართალი იყოს. საყდარსაც ისე ამსახურე; და ჩემს სიცოცხლეში — მე, და მერმე შენ, ღმერთო.

დაიწერა წიგნი ესე ქორონიკონს ქრისტეს აქეთ **ჩლნვ**, თვესა ნოემბერსა **კზ**, დღესა შაბათსა.

მარცხენა კიდეზე

რა სწორეთ ეს საქმე დამტკიცდეს, რომ სათუოთ აღარ იქნეს, რომელიც ჩვენის მიცემის დაპირება მქონდეს, ისიც გვიბოძეთ.

## 920. ამანათად მიბარების წიგნი ანახანუმისა ელიზბარ თაქთაქიშვილისადმი

**1762 წ. სექტემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 13008. დედანი. ქაღალდი. 37,8×16,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი. ა-მეტ-ნაკლული.

ჭ. ესე ვეჭილამა წიგნი მოგართვით ჩვენ, ცხილვანელმა გედე[ო]ნას ქალმა ან[ა]ხანუმ, ზაქარია ჭონის ქვრივმა, თქვენ ელიზბარ თაქთაქიშვილს.

ასე რომ, ჩვენი სამკვიდრო სასახლე არის ჭალაქსა, თქვენს სასახლეს და ბეზიტანთ ბაინდურას სასახლეს შუა არის. თქვენთვის ამანათათ მოგვიბარებია, სანამ ჩვენ მოვეპატრონებოდეთ ჩვენს სასახლესა, მანამდი თქვენ გებაროსთ. ამ სასახლის ბატონის წყალობის სიგელიც თქვენ მოგართვით. სიგელიც და სასახლეც — ორივ თქვენ გებაროსთ.

დაიწერა ენკენისთვის ნახევარს გასულს, ქორონიკონს **უნ**.

ჭ. მე, ცხინვალის მამასახლისი ბ ე ჟ ა ნ, ამ ზაქარია ჭონის ქვრივის ილრაღით, ამ წიგნის მოწამე ვარ. 

ჭ. ჩვენ, ბატონი სალთხუცესი დ ი მ ი ტ რ ი, ამ ვექილამის მოწამე ვართ 

ჭ. მე, ი ე ს ე უზბაში, ამ ვექილამის მოწამე ვარ ზაქარია ჭონის ილრარითა. 

Verso-ზე: პირშექცევით: „ქალაქის სასახლის არის“.

## 921. ყმის მზითვად მიცემის წიგნი იორამ თარხნიშვილისა თავისი შვილის მარიამისადმი

**1765 წ. 15 დეკემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2575. დედანი. ქაღალდი. 26×16,3 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ერთი ან ორწერტილი. ა-მეტი.

ჭ. ესე წიგნი მოგართვი მე, მამა თქვენმა თ ა რ ხ ნ ი ს შ ვ ი ლ მ ა ი ო რ ა მ შენ, ჩემს შვილს მ ა რ ი ა მ ს.

ასე რომე, ჩემი ყმა თ ა მ ა ზ ა ნოსტელი, ქვეყანა რომ აიყარა, ჩვენს სოფელში აღარავინ დადგა, ის თამაზა ს ა ს ი რ ე თ ს ჩამოვიდა. იქიდამ დაიკარგა, ლეკმა წაიყვანა. ყ ი ზ ლ ა რ ი დ ა მ მამავალებულიყო, გზაზე მომკდარიყო. იმას ორი პატარა ობოლი დარჩა ბიჭები.

რადგან შენც ჩემი შესანახავი იყავ და დასარჩენი, ის ობლები თქვენ ზითვათ მამიცია ყოვლის კაცის უცილებელი, იმათთან არას კაცს ხელი არა ქონა თქვენს მეტს.

ამისი მოწამე: ჩვენი წმიდის ესტატის დეკანოზი ს ვ ი მ ო ნ, ბ ე ჟ ა ნ ა ს შ ვ ი ლ ი ო თ ა რ ი, ლ ა ფ ე რ ა შ ვ ი ლ ი მღდელი ზ ა ქ ა რ ი ა, მ გ ე ლ ი ტ ა ს შ ვ ი ლ ი ბ ე რ უ ა, ატენელი მამასახლისი და სულ სასირელი.

მე, ი ო რ ა მ ს, დამიწერია და ყაბულიც მაქვს. დაიწერა ქრისტიშობის თვის **იე**, ჭორონიკონს **უნგ**.

## 922. პიროგის წიგნი მარიამა მკითხავისა ნეკრესელისადმი

**1767 წ. 11 აპრილი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 531. დედანი. ქაღალდი. 16,3×11 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორი წერტილი.

ესე წიგნი მოგართვი მე, მ კ ი თ ხ ა ვ მ ა რ ი ა მ ა მ, თქვენ ბატონს ნ ე კ რ ე ს ე ლ ს. ასე რომე მკითხავი ვიყავ და ჩვენის ვართაპეტისაგანაც საკანონო დამედო და ხელი ავიღე [მ]კითხაობაზე. და ეს წიგნიც თქვენთვინ მა[მ]ირთმევია: ამას იქით თუ ჩემი მკითხაობა კიდევ მოგხსნდეს, ცეცხლში დამწვით.

არის ამისი მოწამე სულ ერთო[ბ]ლივ ლომისციხელნი, და აქ: ფეიქარი კ ი რ ა კ ო ზ ა, მეწისქვილე ე ი ვ ა ზ ა.

და მე, ა ნ ტ ო ნ ა ს, დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა აპრილის **ია**, ქორონიკონს **უნე**.

## 923. შეყრილობის წიგნი გიორგი წერეთლისა ქაიხოსრო წერეთლისადმი

**1768 წ. 31 მაისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 1212. დედანი. ქაღალდი. 31,3×15 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ერთი ან ორწერტილი. ა-ნაკლული.

ქ. ესე უტყუველი ე რ თ ო ბ ი ს და სიყუარულის წ ი გ ნ ი და პირი დაგიწერე და მოგართვი თქვენ, ჩემს ძმას წ ე რ ე თ ე ლ ს ქ ა ი ხ ო ს რ ო ს და თქვენს შვილებს პ ა პ უ ნ ა ს და ზ უ რ ა ბ ს მე, შენმა ძმამ წ ე რ ე თ ე ლ მ ა გ ი ო რ გ ი მ, შვილმა და მომავალმა ჩემ[მ]ა.

ასე რომ გავერთდით. დღეის ამას იქით მამულიც, ალაგიც, ყმაც, ყოფაც ერთი იყოს. რაც ან ახლა მაქვ[ს] ღ[ვ]თის და ბატონის წყალობა, ან ამას იქით ვიშოვნო, ყოველისფერი ერთი იყოს. რაც ბატონის სამსახურს და ხარჯს გადაერჩინ[ო]თ, ძმურებ გავიყოთ. მტრის მტერი ვიყო[თ] და მოყუარის მოყუარე.

აგრევე შენ ამის[1] გასათავებლად მომიცემია თავათ[2] ღმერთი, ყველანი მისი წმინდანი ზეცისანი და ქუეყანისანი, ხორციელნი და უხორცონი.

---

1 ამისთ. 2 დავათ.

არც გიხერხო, არც გიტრულო, კიდეც წმინდის გულით შენი ერთგული და სიკეთის მდომი ვიყო, თუ შენ ხერხობა და ტრუ[illegible] ჩემს და ჩემს შვილზე არა გამოგივიდეს რა, ან ჩემს სიცოცხლე[illegible] ყარო.

არის ამისი მოწამე: დედოფლის კარის მწირველი სვიმონ იშხნელი, პეტრე მღდელი, კიდევ ამის მოწამე ზაალ აბდუშელიშვილი და ბეჟიკ გოდაბრელიძე*. მე, დავით მდივანს, დამიწერია, მოწამეცა ვარ. დაიწერა მაისის გასულს, ქორონიკონს ჩლჲს †

Verso-ზე პირშექცევით: „გიორგი წერეთლის ერთობის მიცემული წიგნი“.

## 924. ყმის მიბარების წიგნი დავით სახლთუხუცესისა გიორგი თუმანიშვილისადმი

**1768 წ. 6 ივნისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 236. დედანი. ქაღალდი. 21,5×12 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. ა-მეტი.

ქ. დავით სახლთუხუცესის სიკეთით სახსენებელო თუმანიშვილო გიორგი!

მერე ეს ჩვენი ყმა სკრელი თამაზა მანდ ხელთუბანს ხიზნათ დგას. სანამ ჩვენ ავყრიდეთ და წავიყვანდეთ შენთვის მოგვიბარებია. უბრალოთ ნურავის ამსახურებ და ნურავის გა[ა]გლეჯინებ. ამასთან ან თქვენ რა საქმე გაქვსთ, ან სხვასა რომ გასარჯოს ვინმე. შენი მობარებულია, როგორც აქამდინ შენს ბიძაშვილს გიორგის ებარა, ახლა შენ თვალყური დაიჭირე ამაზე. მთიბათვის ვ, ქორონიკონს უნჱ.

ამას ერთი თოფი ჩითი დაჰკარგვია. ვისაც ედავებოდეს, სამართლით თუ შეუვიდოდეს, გამოურთვი, მოეც, ნუ აჩივლებ.

* ეს წინადადება მიწერილია მარცხენა კიდეზე.

## 925. უმეგის მზითვად მიცემის წიგნი ამირინდო ამილახვარისა თავისი ქალიშვილის თამარისადმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1774 წ. 19 იანვარი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 1237. დედანი. ქაღალდი. 17,3×10,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. საბუთის პირი დაცულია იქვე (Sd 2043ა).

ჭ. მამიშენის დამტირებელო შვილო ბატონო თ ა მ ა რ, მ ა რ ტ ი ლ ო ზ ა, ს ა რ უ ხ ა ნ ა და გ ი გ უ ა ა ს რ ა თ ა შ ვ ი ლ ე ბ ი შენთვის მიმიცია. ხელი არავის აქვს იმასთან.

ბატონმა რომ მ ა მ ა დ ხ ა ნ ზ ე გაიმარჯვა, მაშინ ე რ ე ვ ნ ი დ ა მ მომიყვანია ა ს რ ა თ ა თავისის შვილებით. ის ასრათა მოკუდა, ობლები მე დამისდია, შენთვის მომიცია, შენ იმსახურე, მზითევში მომიცია.

არას კაცს ამათთან ჯელი არ აქვს. ვინც ეს ჩემი სიტყვა და წიგნი მოგიშალოს, იესომ ის მოშალოს ორისავ სოფლის ცხოვრებიდამ და დასწყევლოს. იანვრის **ით**, ქორონიკონს **უჟბ**.

ბეჭედი: მონა ღთისა ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი ა მ ი რ ი ნ დ ო.

## 926. წიგნი გიორგი მურუზიძისა დოსითეოს ნეკრესელისადმი ცოლის გაშვების შესახებ

**1775წ. 1 ოქტომბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Ad 582. დედანი. ქაღალდი. 17,6×13,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი.

ჭ. ესე წიგნი მოგართვი მე, გ ი ო რ გ ი იმერელმა მ უ რ უ ზ ი ძ ე მ რაჭველმა. თქვენ — ყოვლად სამღვდელოს დოსითეოს ნ ე კ რ ე ს ე ლ ს[1].

თქვენ მოგხსენებ[ი]ათ: თავის ადგილს ცოლი ჰყვანდა, გაუშოო, აქ ცოლს აძლევთ. მართალია, გაუშვი, მაგრამ ბოზობის მიზეზით გაუშვი[2]. თუ სხვას მიზეზით გამეშოს და ბოზობის მიზეზით არ გამეშოს, ქრისტეს წინა შენ პასუხი მოგცე.

მე, ა რ ა შ ე ლ ი ძ ე მ ი ჭ ე ლ ა იმერელი, ვარ ამისი მოწამე რომე ეს სიტყვა ჰეშმარიტია; და ორმა ამისმა მეზობელმა მე, ჩ ი ტ ა შ ვ ი ლ ს პ ა პ ა ნ ა ც ვ ა ლ ს ა ც, ასე შემომფიცეს: მართალია, რომე ბოზობის მიზეზით გაუშო.

[1] დოსითეოს ნეკრესელს] დოსეთიოს ნეკრეს. [2] გაუშვიო.

მე, ანტონა სომეხს, დამიწერია და მოწამეცა ვარ ამათის სიტყვისა. დაიწერა ღვინობისთვის ა, ქორონიკონს ჩჟგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 927. შეყრილობის წიგნი ზურაბ და ერასტი გოშტაბაშვილებისა

**1778 წ. 10 დეკემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 1843. დედანი. ქაღალდი. 45×15,5 სმ. რესტავრირებული. მხედრული განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. ამავე ფონდში დაცულია საბუთის მეორე დედანი (Hd 9359).

ჭ. ესე საძმო და ერთობის წიგნი მოგე მე, გოშტაშაბისშვილმა ბეჟანის შვილმა ზურაბმა და სახლისა ჩემისა მომავალმა შენ, ჩემს ბიძაშვილს დავითის შვილს ერასტის და სახლისა შენისა მომავალსა.

ასე და ამა პირსა ზედა, რომ ავის დროს მიზეზით მამაჩემი და პაპა შენი ერთმანერთს დაშორებიყვნენ და გაყრილიყვნენ; და მასუკან კიდევ ძმობისა და სახლისკაცობის სიყვარულით ძმათ შეყრილიყვნენ და ერთათ ყოფილიყვნენ, რომ მაშინდელი იმათი შეყრილობის წიგნი დღესაც არის. მასუკან კიდევ გაყრილიყვნენ.

და ახლა ჩვენ ერთმანერთის სიყვარულით მოვინდომეთ[1] ძმათ შეყრა და ერთად ყოფნა. და მე, ზურაბმა ეს წიგნი და პირი ჩემის ნებით და ნდობით მოგე, რომ რაც მამაჩემს ბეჟანს თავისის საჭირნახულოთი სახლისკაცებიდამ წილი გამოჰყოლია სამკვიდრო, თუ ნასყიდობა და თუ მასუკანდელი შემატებული ყმა და მამული, დღეს რისიც მჭონებელი ვარ ამ წიგნის მოცემაში ყმისა თუ მამულისა, ამით ძმათ შეგყრივარ, რომ დღეის უკან ღმრთის მოწყალებით მე ჩემის მამულით და ყმით და შენ შენის მამულით და ყმით ერთათ ძმურებ სიყვარულიან უნდა ვიყვნეთ, და სიკვდილითაც ერთმანერთის ხელში უნდა დავიხოცნეთ.

კურთხეულის ჩემის რძლის, ბებია შენის ნაყიდი რაც მამული არის, რომ იმისი ნასყიდობა წიგნი სახელდობრივ გამოაჩენს, მანამდის ჩვენ ერთათა ვართ და ბებია შენის ნასყიდს მამულს მიუდგებით, იმ მამულის გამოსავალიც ორთავ ერთობაში უნდა მოვიხმაროთ, და სხვა რიგათ სამამულოთ ბებია შენის ნასყიდობასთან მე საქმე არა მაქვს.

ამას გარდა, შენი წილი ნასყიდი, თუ უსყიდი ყმა და მამული, და ასრეთვე ჩემი ნასყიდი, თუ უსყიდი ყმა და მამული ლხინში, თუ ჭირში საძმოთ უნდა მოვიხმაროთ.

---

[1] მოვიმდომეთ.

ღმერთმან მაშოროს, თუ ჟამთა ვითარებისაგან რომელისამე მიზეზით ან მე და შენი, და ან ჩვენის შვილებისა გაყრა მოხდეს, ერთმანეთს უნდა დავშორდეთ: რაც შენ შენის საუფროსოთიდან შემატებულით ჩემს ძმობაში მამული [და] ყმა მოგყოლიყოს, ის ისევ სრულებით შენი იყოს; და ასრეთვე რაც მე ჩემის საჯირნახულოთი და ან შემატებულით შენს ძმობაში მომყოლიყოს, ის ისევ სრულებით ჩემი იყოს. და რაც ღვთის მოწყალებით ერთობაში ან ოჯახს და ან მამულს შევმატოთ, ის თანასწორეთ საერთო იყოს.

ღმერთმან გვაშოროს, თუ ამოვსწყდე უძეოთ, ჩემი მამული და ყმა შენ დაგრჩეს; და თუ შენ ამოსწყდე უძეოთ, შენი ყმა და მამული მე დამრჩეს ერთობაში.

არის ამისი მოწამე ქავთარიშვილი ნიკოლოზ [ ], ნამანგლელავის შვილი სესია [ ], იოთამის შვილი რევაზ*, და მუსხელასშვილი დავით*.

მე, თუმანისშვილს მდივნის გორჯასპის ძეს მდივანლაშქარნივისს მანუჩარს, ზურაბის სიტყვით დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. ხელრთვა: მანუჩარ.

აღიწერა ქრისტიშობის **ი**, ქორონიკონს **უჲვ**.

მარცხენა კიდეზე

ქ. მე, ორბელიანი სარდალ-სალთხუცესი დავით, ზურაბის ყაბულობით ამ საძმოს წიგნისა თანამოწამე ვარ. [ ]

ქ. მე, იოთამის შვილი რევაზ ნაზირი, ზურაბის სიტყვით მოწამე ვარ.

ქ. მე, ზაალ საამი[ს] შვილი, ამ საძმოს წიგნის მოწამე ვარ. ხელრთვა: ზაალ.

ქ. მე, დავით აბაშიშვილი, ზურაბის სიტყვის მოწამე ვარ. ეს ჩემი ხელია.

ქ. მე, ზურაბს, ამ წიგნის ყაბული მაქვს [ ]

თავში

---

* დატოვებულია ცარიელი ადგილი ბეჭდისათვის.

ქ. მათის იმპერატორების დიდებულების ნებით სრულიად საქართველოს მ ე მ კ ვ ი დ რ ე და მმართებელი დ ა ვ ი თ [illegible] წიგნსა ამას ვამტკიცებთ. ფებერვლის კ, ქორონიკონს უპთ. დავით

ბოლოში სხვა ხელით: „ზურაბის მოცემული საძმო წიგნია“.

## 928. შეურილობის წიგნი ფირან და გორჯასპი თუმანიშვილებისა

**1779 წ. 10 ივნისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 31. დედანი. ქაღალდი. 44,7×11,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორწერტილი. ა-ნაკლული.

ქ. ნებითა და შეწევნითა მღვთისითა, მამისა, ძისა და სულისა წმინდისითა, ესე ამიერით უკუნისამდი ჟამთა და ხანთა მტკიცე და შეუცვალებელი და საბოლოოთ გასათავებელი წიგნი და პირი დავდევით ჩვენ, თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ მ ა ფ ი რ ა ნ და ჩემ[მ]ა შვილმა ბ ე ჟ ა ნ მ ა.

ასე რომე მოვედით და თქვენ ჩემს განაყოფს მ ა ნ უ ჩ ა რ ი ს შვილს გ ო რ ჯ ა ს პ ი ს შემოგეყარეთ, ასე რომ მანამდი ცოცხალი ვიყოთ, შენ არ გაგეყაროთ, ჩვენის სასახლითა და ყმითა და მამულით, თუ რამ გვაქ[ვ]ს ქონებითა და ამ პირობითა, რომ მანამდი ცოცხალი ვიყოთ, არ მოგშორდეთ და ჩვენს უკან ჩვენი მამული და სასახლე და თუ რამ გვაქ[ვ]ს, ისიც სულ შენი იყოს. არა კაცი არ გედ[ა]ვებოდეს და ვერცავინ მოგიშალოს.

ვინცა და რამაც კაცმა ამის შლათ ხელიყოს, მასამც რისხავს თავად ღმერთი და ყოველი მისი წმინდანი ხოროციელი და უხოროცონი.

არის ამისი მოწამე თავად ღმერთი და ყოველი მისი წმინდანი, კაცთაგან: თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი მდივანი ბ ი რ თ ვ ე ლ ი [illegible], ქ რ ი ს ტ ე ფ ო რ ე †, ა ს ა ნ ა † და ს ა ლ მ [ა] ზ ა ნ ა † და პ ა პ უ ა ი ა ს ე შ ვ ი ლ ი, ტ ე რ-გ რ ი ქ ო ლ ა †

მე, თვითონ ფ ი რ ა ნ ს, დამიწერია და ყაბულიც ვარ †

მე, პ ა პ უ ა თ უ მ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ი, ამის მოწამე †

ქ. მე, თ უ მ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ს ბ ე ჟ ა ნ ი ს შვილს გ ო გ ი ა ს, ამ კურთხეულის პაპის ჩემისაგან და მამის ჩემისაგან მოცემულის შე-

ყრილობის წიგნის ყაბული მაქვს, ღმერთმა[1] სიცოცხლეც და სიკვდილიც თქვენთან მამცეს. თიბათვი[ს] ი, ქორონიკონს **უჲზ**, ხელრთვა: გიორგი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარცხენა კიდეზე

მე, იასეს შვილი პაპუა, ამის მოწამე †

## 929. ანდერძის წიგნი მდივანბეგ იოანე ორბელიანისა

**1779 წ. 2 დეკემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 14311. დედანი. ქაღალდი. 35×21 სმ. რესტავრირებული. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია ერთი ან ორი წერტილი.

ქ. სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ.

ვინათგან ყოველი კაცი მოკვდავნი ვართ და მიწად მივიქცევით, ვალი არის რომ კაცმა თავის სიცოცხლეში თავისი ანდერძი დაწეროს, და გაარიგოს.

მეც, იოვანე მდივანბეგი ლუარსაბ სარდლის შვილი, ვწერ ამ ანდერძსა.

ამად რომე ქაიხოსრო სარდალი დავით სარდლის პაპა თავის მამის სიკვდილის დროსა ოთხის თვისა თავის დედას მუცელში დარჩომილიყო. რადგან რომ მამიჩემის ძმისწული იყო და დედაც მოჰკდომოდა და ობლათ დარჩომილიყო, მერმე მამაჩემმა ქაიხოსრო სარდალი, დიაღ, დიდის ჭირნახულით და რომელიც მართებული იყო, ისე გაზარდა დაქორწილებითა, შენახვითა მართებულათ შე[ი]ნახა.

მეც ამიტომ ეს ანდერძი დავწერე. რაც რომ ჩემი ნასყიდი იყოს და უსყიდი — მამული, სახლი, გლეხი — ესე[ე]ბი დავით სარდალსახლთხუცეს[ს] და ნიკოლოზს უანდერძე და დაუგდევი.

მერმე რადგან ბატონიშვილი თამარი მეფის ერეკლეს ასული იყო, ამის გულისათვისაც მართებელი იყო ასე მექნა.

ამას გარდა, ბიძის ჩემის ოთარის, მანუჩარისა და რევაზისა ნასყიდი და უსყიდი, ამათი ნასყიდი და უსყიდი, ნახევარი ჩემი იქნებოდა და ნახევარი დავით სარდლისა იქნებოდა. ეს ჩემი წილიც ამათთვის მიანდერძებია ამ პირობითა ღმრთის წინაშე და ყოვლად წმიდის წინაშე, რომ სანამდის ცოცხალი ვიყო, ჩემი ყმა მემსახუროს; ამ ჩემს სიცოცხლეშია ნუგეში და შეწევნა არ დამაკლოს.

ჩემის სიკვდილის სამარხი, რომელიც დავით სარდლის საკადრი იყოს და მე მეკადრებოდეს, ის ჩემს მოძღვარს მისცენ და ისე დამ-

1 ღ̃თ.

[მ]არხონ. ჩემი ვალიც გარდაიხადონ, რომ ჩემის სულის მოვალე არ დარჩნენ.

მერმე ჩემი მეუღლე, კახთ სალთხუცის ასული ანა ნამდისინ ცოცხალი იყოს, შეინახონ. ორი კომლი კაცი, რომელიც მოიხდომოს ჩემი ნასყიდი, თავის სიცოცხლეში მისცენ. სანამდის ცოცხალი იყოს, ცოცხალი შეინახონ, მკვდარი დამარხონ და სიკვდილს უკან სარდალს დარჩნენ. კიდემ ამის სამარხიც ჩემს მოძღვარს მიეცეს. ამ ჩემის მეუღლისა დიდი ვალი მძევს მე, ამიტომ რომ ამის ზითევი სულ ჩემს სახლში არის დახარჯული. ერთი ქალი მყავს და თუ იმასაც მისცემ რასმე კარგი იქნება და და-ძმურათ გამოგადგება.

ტანძი[ი]ს ბოლოს რომ თოფრაყალა არის, იმის ძირში ერთი სოფელი არის რომ ძეძვნარიანი ჰქვიან, ჩემის მარგალიტის საყელოთი ნასყიდი არის, მამისჩემისაგან ისი ფიტარეთის ეკლესი[ი]ს შეწირული არის, ის არ მოუშალო რომ ღმრთისმშობლის შეწირული არის.

იოსებ კორკოტაშვილი მანგლელი რომ იყო, იმისი ვალი დაგვრჩომია ოთხი-ხუთი თუმანი; ისი, თუ ახლო ნათესავი იყოს ვინმე, იმას მიეცეს, თუ არადა იმის სულისათვის უნდა გაიცეს.

რაც ჩემის კაცებისათვის მამული მიმიცია თუ სახელო, დიდათ გევედრებით, რომ არ მოუშალოთ.

ვეჭობ, თქვენც მოგხსენებოდესთ, რომ ერთის კაცისათვის აზატობის წიგნი მიმიცემია, ამიტომ რომ ჩემის მამისა და დედისათვის მეალაპეთ დამიყენებია; და ის ჩემი მიცემული წიგნი არ მოუშალო და არც წესია.

ერთს ამას გევედრები, რომ ჩემი მსახური და გლეხი დიდის შეღავათით შემინახავს და თქვენც შაღავათით შეინახეთ, რომ ძალი არავინ უყოს. რაც რომ ამ ჩემის ანდერძის წიგნით შემომიკვეთია თქვენთვის, ღმრთის წინაშე ის პირობა გამითაოთ და ერთი პირობის წიგნი თქვენც მომცეთ, ღმრთის წინაშე და ყოვლად წმიდის წინაშე ის პირობა გამითაოთ.

ეს ჩემი ანდერძის წიგნი და თქვენი პირობის მოცემული წიგნი — ორივ ჩემს მოძღვარს ებაროს. ასე არს, რომ პავლე მოციქული იტყვის: ანდერძი სიკვდილისა შემდგომად მტკიცე არისო.

სხვა რაღა მოგახსენოთ. თქვენ იცით და საუკუნო ღმერთმა, თუ ეს ჩემი პირობა არ გამითავოთ.

ჩემის სულიერის საქმის ვექილი პატრი უფროსი დომენიკა არის, ჩემი და ჩემის მეუღლის სულიერი სამარხი რაც იქნება, იმას

უნდა მიბარდეს და იმან მოუაროს. დეკენბრის[1] ბ, ქორონიკონს უჲზ. წელსა ჩლოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჭედი: ქ. სჯის მსჯელი, ტვიფრავს ორბელთაცა, გულის მმბჭომი(?) ღმერთმან-ცა იოანე 1748.
მარცხენა კიდეზე

ქ. ღმრთის წინაშე მე, პატრი უფროსი ანდრია, ამ იო[ვა]ნეს მდი[ვ]ანბეგისაგან მოცემულის ანდერძის წიგნის მოწამე ვარ. ეს წიგნი სწორეთ იმისი სიტყვით არის დაწერილი, რომ ეს წიგნი ჩვენ გვებარა და ჩვენც ამისი სავადი ავიღევით. ლათინ.

## 930. საამხანაგო წიგნი არაქელა ტერ-ასატურას შვილისა და აკოფა აზიზასშვილისა

**1783 წ. 29 მარტი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 1082. დედანი. ქაღალდი. 22×16,8 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. ა-მეტ-ნაკლული.

ქ. ღვთის წინაშე შევიყარენით ამხანაკათ ჩვენ, ქალაქის მოსახლე ტერ-ასატურასშვილი არაქელამ და დუშეთს მოსახლე აზიზასშვილი აკოფამ.

არის არაქელას მხრივ[1] სამოცდათხუთმეტი თუმანი და არის აკოფას ხრმაე (sic) ორმოცდაათი თუმანი. იქს ორის ჯამი რკე ამდენი.

ღმრთით[2] ეს თანხა მოზდოკიდამ წავილო ქალაქს, შენი ურდუნოსთან გავყიდო, თუ მე წამოვიდე, აკოფამა, შენი ურდუნოსთან ხრიდი ვქნა და წამოვილო, რაც ღმერთმა სარგებელი მოგვცეს, ნახევარი შენი სათავნოთ შენ, არაქელამ, აილო; და ნახევარი სარგებელი ჩემი სათავნოთი მე, აკოფამ, ავილო.

და თუ მე, აკოფამ, არ წავიდე, შენი ანგარიში შენს ურდუნს მივაბარო.

ზიანი ღმერთმა გვაშოროს. თუ ზიანიც მოგვივიდეს, ზიანიც სარგებლის კეცათ[3] გავყოთ.

დაიწერა მოზდოკს, თარიღი ჩღპგ, მარტის კთ გასულს.

ზემო საამხანაკო წიგნისა ყაბული მაქვს, ეს ჩემი ხელია. არაქილა ძე ტერ-ასატუროვ.

---

[1] დეკენბრის.
[2] ღ˜თი. [3] კეცათ.

ქ. ზემო საამხანაკო წიგნისა ყაბული მაქს, ეს ჩემი ხელია აკოფ ძე აზიზოვ.

ქ. ზემო საამხანაკო წიგნისა არაქილას და აკოფას სიტყვით მოწმე ვარ ავეტიქ ძე ზორაბ †

ქ. ზემო საამხანაკოს წიგნის მოწამე ვარ არაქილას და აკოფას სიტყვით, გურგენ ძე თემოვ †

ქ. ამ საამხანაკო წიგნის მოწმე ვარ არაქილს და აკოფას სიტყვით. არუთინ ძე ტეფანოვ †

ქ. ეს საამხანაკო წიგნი აკოფას და არაქილას სიტყვით დამიწერია და მოწამეცა ვარ მე, ზაქარა ძე საფაროვ.

## 931. ყმების მიბარების წერილი დავით თუმანიშვილისა თავის ძმისადმი

**1783 წ. 5 დეკემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 155. დედანი. ქაღალდი. 13,5×13,2 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად აქა-იქ ნახმარია წერტილი.

ქ. ძმას ბატონს თუმანიშვილს მათი სიკეთის მოწადე ნაზირი დავით მოკითხვას მოვახსენებ.

მერე ეს ჩვენი ყმები ოჰანა და ათუა რომ მანდა სახლობენ, ესენი უნდა თქვენ გებარებოდესთ, მინემ მე მოვიკითხევდე. და ამათზედ ასე თვალყური უნდა მიუგდოთ, რომ არავინ არა გაგლიჯონ რა.

და შენის ძმობისაგან ამას ველი, რომ როდესაც ჩემი ყმები მოვიკითხო, ესენი ისევ თქვენვე მამაბაროთ.

და აბაზას მცხვართან, მინემ არ გაიყოფა, არცერთს ჯელი არა აქვს. დეკემბერს ე, ქორონიკონს უოა. [redacted]

აბაზაც ამათ[თ]ან უნდა მოვიდეს, მატყლსა და ყველს ამათ[თ]ან მოიტანდეს, მაგრამ რიგიანათვე უნდა დახარჯონ. [redacted]

## 932. ანდერძის წიგნი შიოშ გარათაშვილისა იულონ გაბონიშვილისადმი

**1783 წ. 29 დეკემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 2935. პირი. ქაღალდი. მხედრული. ქაღალდის ჰვირნიშანია „1835“.

ქ. ნებითა და ჯერჩინებითა ღვთისათა, მამისა და ძისა და წმიდისა სულისათა ეს მტკიცე და უცვალებელი წიგნი მოგართვი თქვენ მეფის

ძეს ბატონისშვილს იულონს მე, ბარათასშვილ-მან[1] შიოშ.

ასრე რომე მე დავბერდი, უშვილო კაცი გახლდი და არცავინ შემწახავი და პატრონი მყვანდა. მოველ ჩემის მონდომებითა და ბითა და ჩემი თავი შენ შემოგავედრე, და ჩემი ყმა და მამული თქვენ გიანდერძე.

და თქვენც ეს მოწყალება მოიღევით ჩემზედა, რომ მინამ ცოცხალი ვიყო, თქვენ შემინახოთ და როცა მოვკუდე, თქვენ უნდა დამმარხოთ.

და ჩემის ანდერძის წიგნი ეს არის. და ვინც ეს მოშალოს, ჩემისამც ბრალისა და ცოდვის მტვირთველი ის იქნება.

და რაც ჩემი ყმა და მამულია, იმისი სიაც ეს არის.

ჭ. ბობნავს კოშკი თავისის სასახლითა და გარეშემოთი.

ჭ. აქვე ბობნავს თოთხმეტი საკომბლო.

ჭ. ციციშვილისაგან მოსყიდული სოფელი ნიგოზეთი მთლათა.

ჭ. ამათგანვე მოსყიდული სოფელი გარმუდეთი მთლათა.

ჭ. სამკვიდრო სოფელი ასიჭალეთის ნახევარი საუფროსოთი.

ჭ. თრიალეთზე სამკვიდრო სოფელი ფარეხას ნახევარი საუფროსოთი.

ჭ. აქავ თრიალეთზე სამკვიდრო სოფელი მეორე კარუშეთის ნახევარი საუფროსოთი.

ჭ. რუისს ნასყიდასშვილები ოთხი კომლი კაცი და კიდევ მამულები.

ჭ. კიდევ ბობნავს ზვარი ორის საწნახლითა.

ამას გარდა, კიდევ თუ სადმე ჩვენი მამული არის ნასყიდი თუ უსყიდი, სამკვიდრო თუ ბატონის წყალობა ყველასი ანდერძი თქვენთვის მომიხსენებია. და როგორც ზემოთ მომიხსენებია ჩემი მოწყალება, თქვენც ისე უნდა აღმისრულოთ და ცოცხალიც შემინახოთ და მკუდარიც დამმარხოთ.

არიან ამ ჩემის ანდერძის მოწამე და დამსწრე: ხერხეულიძე ლაშქარნივისი მდივანი ომან, როჭიკასშვილი ბეცია, მამაცაშვილი მროველის სალთხუცესი იოსებ.

და მე, დეკანოზს მიხაილს, ამ შიოშის პირითა და ნებართვითა დამიწერია და მოწამეცა ვარ.

---

[1] ბაბათასშვილმან.

დაიწერა დეკე[მ]ბრის კთ, ქორონიკონს უოა, ქრისტეს ქვეთსა ჩლპგ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარცხენა კიდეზე

ქ. მე, გლახა ციციშვილი, ამ ბარათაშვილის[1] შიოშის სიტყვით ჭეშმარიტად მოწამე ვარ. იანვრის ვ, ქორონიკონს უობ.

ქ. მე, როჭიკაშვილი ნაზირი იოანე ამ შიოშ ბარათაშვილის[1] მიცემულის წერილის მოწამე ვარ. იანვრის ვ, ქორონიკონს უობ.

მინაწერი: „ასლიდამ თანასწორებით გარდავსწერე უმეტნაკლებოთ მე თავადმა ანტონ ფალავანდოვმა“.

## 933. სამღებროს იჯარის წიგნი უცნობი პირისა გოგია ციციშვილისადმი

**1784 წ. 10 მარტი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3835. დედანი. ქაღალდი. 21,8×7,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი.

ქ. ესე წიგნი მოგართვი შენ, გოგიას ციციშვილსა, ასე რომა შენი სამღებრო მიბოძე ექ[ვ]ს თუმნათ და ორ მინალთუნათ.

ასე უნდა იჯარა მოგართვა, რომა ექ[ვ]სის თვის თავს მოგართვა; და ექ[ვ]სი თვე რომ გამოვიდეს, იმას გარდა რამთენი თვე გამოვიდეს, თვის და თვის თავს მოგართვ ხო[ლ]მე ხუთ-ხუთი მილანთუნი.

არის ამისი მოწამე უთრუთიშვილი ნიკოლოზ, ზაალ მეღვინეთხუცისშვილი.

დაიწერა ეს წიგნი მარტის ათს იმა მარტის ათამდი ი, ქორონიკონს უობ.

Verso-ზე: „შართლამის. მამებარა გოგიას ციცისშვილსა სრულათ“.

## 934. თავდებობის წიგნი ბარძიმ მაჩაბლისა ზურაბ ფალავანდიშვილისადმი

**1785 წ. 12 ივნისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 650. დედანი. ქაღალდი. 14,5×10 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი. ა-ნაკლული.

ქ. ესე წიგნი მოგეცი მე, მაჩაბელმა ბარძიმ[მ]ა შენ, ფალავანდისშვილს ზურაბსა.

---

1 ბაბათაშვილის.

ასე რომა ბაძია სანაყოშვილი დაჭერილი გუჯანდა ის ბაძია ექვსმა თავდებმა აგაშვებინეთ. რაც იმ ბაძიას დაედევას, ამ ექვსმა კაცმა მოგცეთ.

არის ამისი მოწამე გრიქოლაშვილი ფარსადან.

და მე, უნაძე მამუკას, დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაწერა ივნის[ის] თვის იბ, ქორონიკონს უოვ.

ბეჭედი: მონა ღთისა ბარძიმ.

## 935. ამანათის მიბარების წიგნი ალა ტერ-შიმონაშვილისა საამ შიხინაშვილისადმი

**1785 წ. 22 ივნისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Qd 703 დედანი. ქაღალდი. 14,5×14,6 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნები ნახმარი არ არის. ა-ნაკლული.

ქ. მამებარა ტერ-შიმონაშვილს ალას შენ, სა[ა]მა, გორ[ე]ლი შიხინაშვილისაგან თავისი ხელწერილით კრიანოსანი მარგალიტ[ი]სა და სამი თით[ა] ალმასისა, ორიც კიდევ იაღუთ ზურმუხტ[1] ნარევი, ოცდაოთხი ოქროს ბეჭედი, ექ[ვ]სი ალმასისა, თორმეტი იაღუთისა, შვიდიც ლალია, ორიც ყულაბა იაყუთ ზურმუხტ ნარევი გულებიც ალმასია, თორმეტი შალი, ოთხი თავის, რვა წელისა.

მამბარდა ესენი მე ისპანს, ჯულფას, — სა[ა]მისაგან. აღიწერა [თიბათვის] კბ, ქორონიკონს უოგ.

სხვა ხელითა და მელნით: ნიკოლოზ საგინოვი.

## 936. იხტიაროგის წიგნი ხადაკანთ კარაპიტასი თავის სიძის დემეტრესადმი

**1790 წ. 21 მარტი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 7752. დედანი. ქაღალდი. 18×24 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია წერტილი ან ორწერტილი.

ქ. ესე იხტიარობის წიგნი მოგეცი მე, ხანდაკანთ გასპარასშვილმა კარაპიტამა,' შენ, ჩემი სიძე დემეტრესა.

ასე რომ, მე ინდოეთს მივდიოდი, მოგეცი ჩემი ყოველი სახლის, კარის, ცოლისა, შვილის, ასაღების და მისაცემის ყოვლის-

1 სურმუხტ.

ფრით იხტიაროობა. შენთან არავისა ჭონდეს საქმე არც ჩემიანი, არც ჩემი სიმამრიანი ჩემი მოს[ვ]ლამდინ. როცა მშვიდობით მოვა[ლ], ჩემი უმცროსი ძმა შენ იქნები.

და თუ უბედურობა მეწვია და ვერ მოველ, ისევ შენ იქნები ჩემი ყოველი სარჩოს იხტიარი.

მე, კარაპიტას, დამიწერია და ყაბულიცა მაქვს. დაიწერა მარტის კა, ქორონიკონს უოჩ. ხელრთვა კარაპიტ.

მე, სუფიშინის კადელაკმა, კარაპიტას მოძღვარმა ტერ-სტეფან, კარაპიტას სიტყვით ამ იხტიარობის წიგნის მოწმე ვარ. ხელრთვა სტეფან †

ქ. ავეტიქ ო[ა]ნეზა ბატონი კარაპიტას ყაბულობით ამ იხტიარობის მოწმე ვარ. □

ქ. ამ იხლორის (sic) დამსწრე ღუკასამ □

## 937. შვილად აყვანის წიგნი გიორგი ჩხეიძისა როსტომ ჩხეიძისადმი

**1790 წ. 8 აგვისტო**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 6355. დედანი. ქაღალდი. 34×22 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან სამი წერტილი.

ქ. წყალობითა და შეწევნითა მღვთისათა, ესე მტკიცე და შეუცვალებელი წიგნი და სიგელი დაგიმტკიცეთ და მოგეცი მე, ჩხეიძე გიორგიმ თქვენ, ჩემს ძმისწულს ჩხეიძეს როსტომს და იესეს.

ასე რომ, მე შენი გაყოფილი ბიძა ვიყავი და შვილი არ მყავდა. ახლა თქვენ გიშვილე და მოგეცი, რისიც მჭონებელი ვარ.

გლეხი, რომელიც მყავს, მათის ცოლ-შვილით და ყოფით და საძებარით და უძებრით.

ადგილ-მამული, რაც მაქვს, მისის საზღვრით, საძებრით და უძებრით, სამართლიანის გზისათა; საფლავი სამარხით, ტყით და წყლით, რასიც მჭონებელი ვარ.

ერთი სამოსახლო ზეით ღელეს გაღმა სახორე და სახარდნე და გვერდზე კარანაძის საზღვარს აქეთ, დაბლა ჭალა საყანე კარანაძისა და სომხის საზღვრამდის. ქვედეთ წყლის პირზე კიდევ სამოსახლო, ზეთისხილები — ისიც ზედეთ სომეხის საზღვრამდის და კა-

ლამიანი და წითლიანი შემოურას ღელემდინ, იმ ღელის მგნივ სწორათ ჯაშიაშვილისსეულის საზღვრამდის.

კოშკი სამ წილათ გაიყოფა: ერთი წილი ჩემი არის [illegible] მომიცემია და მეორე წილი მაინც თქვენი არის და მესამე წილი ლევან ჩხეიძისეულია.

ეს წიგნი ასე დამიმტკიცებია და ხომ ამაში მოდევე მე არავინ მყავს.

არის ამისი მოწამე და გამრიგე მაჭავარიანი ბერი და მისი შვილი გოგია, ბუჭუა და დავით და ერთობით ჩვენი კაცები.

მე, ჯაფარიძეს დიაკონს, დამიწერია ჩხეიძე გიორგის სიტყვითა და მოწამეცა ვარ ამ წიგნის.

აღიწერა აგვისტოს ც, წელთა უფლისათა ჩლჱ †

მარცხენა კიდეზე

ქ. ჩვენ, სრულიად იმერეთა მეფეთ-მეფე სოლომონ, ვამტკიცებ წიგნსა ამას ნებითა ღვთისათა[1].

ბეჭედი: სალთხუცესი თეიმურაზ.

## 938. ანდერძის წიგნი გიორგი თუმანიშვილისა

**1790 წ. 22 დეკემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3685. ქაღალდის ორადგაკეცილი ფურცელი. 31×21 სმ. პირი გადაწერილი მხედრული ხელით 1797 წელს.

ქ. სახელითა წინაშე უფლისათა. როდესაც მუხთალმან სოფელმა არა აჯად უმართებლად გამხადა, ქამმა სიკვდილისამ მისწრა, დავატყე თავსა ჩემს, რომ ამიერის სოფლიდამ სალმობა ვიწყე წუთის სოფლის გაუხარელმან თუმანიანთ ბეჟანის შვილმან გიორგიმა. უწინ ვახსენე სახელი სამებისა დამსწრეთ და მერმე ვთქვი ანდერძი ჩემი ყოვლის შესაბრალისად ქრისტიშობის კბ, ქორონიკონს უოჱ.

გორს ავად გავხდი. ჩემს თავს შევატყევ, რომ ჩემი მორჩომისაგან იმედი გადავიწყვიტე. ჩემს მოძღვარს ავაქერეცს, დეკანოზს ტერ-ყაზარას, დაუძახე, ახსარება ვქენ და ეს ანდერძი წიგნათ დავაწერინე. ვინც ამ ანდერძის წიგნზე ხელი მოვაწერინე, ამათი დამსწრეობით ეს დავაწერინე.

---

1 მხვთისათა.

ასე რომე, მე ოთარ მდივნისა და ზაქარიას შვილების შონახევრე ვარ, სულ თუმანიშვილებმა იციან. ესეც ყველა[illegible] დი ხანია გაყრილნი ვართ და მოშორებული, რომ ჩემთან საქმე ვისა აქვს, არც საძმოთ და არც სადაოთ.

ჩვენი წილი მამულიდამ ან პაპისაგან, ან მამისაგან გაყიდულა, ხომ სიგელი ექნებათ და იმ გასყიდულს გარდა ჩვენი მამული მიწა, თუ ვენახი, თუ წისქვილი, თუ ყმა, რისაც მქონებელი ვართ, ჩემი წილი გორჯასპის შვილების სულხანის და მანუჩარისათვის მიანდერძებია. მეც ამიტომ უანდერძე, ობოლი ვიყავ და ღარიბი, მამობაც და ძმობაც ამათ მიყვეს და ამათ გამზარდეს და მიპატრონეს, ამათით მიცხოვრია, რომ სხვა ილაჯი და პატრონი არავინა მყოლია. დღესაც მკვდარს სულხან და მანუჩარმა უნდა მიპატრონოს. ვისთვისაც მისაცემი დამიწერია, მისცეს, და მკვდარიც უნდა დამმარხონ. ჩემი სული ებრალებოდესთ.

ბატონო სულხან მდივანო და ბატონო მანუჩარ მდივანო, ეს მომიხსენებია, საცა თქვენთვის საფლავი გინდოდესთ, მეც თქვენს ფეხთით დამმარხეთ.

თუ თქვენი ნება იქნებოდეს, ჩემი ვალიც თქვენ უნდა მისცეთ. იოსებ მდივნისა რაც მმართებს, თამასუქი აქვსთ, მისცემთ. ჩემი რძლისა მმართებს და თამასუქი გაქვსთ, იმის გარდა არავისი არა მმართებს რა.

ბატონო მდივნებო, დედა ჩემს ჩემზე დიდი ამაგი აქვს. მამაჩემ[მ]ა პატარა მოიყვანა, ღარიბი იყო მამაჩემი და კარგად ვერ შეინახა. მრავალი წვა და დაგვა გამოიარა, დაჭირიანდა. ჩემზე მრავალი ამაგი ქნა, ახლაც დიდი ღარიბი არის. ათი თუმანი დედაჩემს უნდა მისცეთ. ღვთის მოყვარულნი ხართ და თქვენთვის სამადლო არის, თქვენი შვილების სადღეგრძელო იქნება.

ქ. ჩემს მოძღვარს ტერ-დავითას საორმოცე უნდა მისცეთ.

ქ. ჩვენის ეკლესიის დეკანოზს ტერ-უაზარას საორმოცე უნდა მისცეთ.

ქ. სურფ-სტეფანოს დეკანოზს საორმოცე უნდა მისცეთ.

ქ. ორი ცხენი მყავს: ერთი ბიძის ჩემის იოსეფისათვის მიმიცია, იმისიც მემართა რამე; და მეორე ცხენს ხომ ვართაპეტს მიართმევთ და ის წაიყვანს.

სხვა დამარხვისა ეხტიბარი თქვენია. ვიცი ცოცხალი გებრალებოდით და გიყვარდით, მკვდარსაც ვიცი არ დამივიწყებთ. ჩემზე ეს თქვენი დანახარჯი, თქვენი შვილი ჯიმშიტის დანახარჯი იქნება.

ჩემი ხმალი ბოლნისელი მარიამასთან არის ერთის თუმ-

ნის გვრაოთ. უნდა უბოძოთ და ხმალი თქვენ მოგერთვასთ. თქვენ იცით და ღმერთმაცა, რომ მე არაფერი მაქვს.

ქ. ეს ჩვენი ანდერძი რომ დავწერე, ყოველს გეხვეწებით ბატონებსა საც. თავადსაც და აზნაურსაც, ყველამ მომიწონეთ, ნუ მომიშლით.

ვინც ამ ანდერძის შლად ხელი ყოს, ქრისტეს სამართალში პასუხი გამცეს.

დამამტკიცებელნი ამისნი აკურთხოს ღმერთმა. პატარა ვიყავ და ასე მაგონა ღმერთმა.

ქ. ეს ანდერძის წიგნი მე, თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ მ ა ბეჟანის შვილმა, ჩემის სიტყვით და ჩემის ნებით დავაწერინე და ყაბულიც მაქვს.

ღა მამის ჩემისაგანაც გქონდათ ერთად შეყრილობის წიგნი და მეც თქვენ ჩემს მაცხოვრებელს ბიძებს ს უ ლ ხ ა ნ მდივანს და მ ა ნ უ ჩ ა რ მდივანს გიანდერძებთ.

რამაც ხორციელმა ადამიანმა ეს ანდერძი მოგიშალოსთ, ღმერთმა ის შეშალოს.

მაინც ყოვლის გზით ამ ქვეყნიდამ გაუხარელი მოვკვდი და ჩემი სული გებრალებოდეთ. ღმერთმა თქვენი სულიც შეიბრალოს.

ქ ე ბ ა ძ ი ს თამასუქით თორმეტი მინალთუნი მართებს, მაგრამ რაც ავი თუ კარგი ღალა იყოს იმაზედ, ის თ ა მ ა ზ ა გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ მ ა იცის, ის კი ჩაუგდეთ.

ხელრთვა: გ ი ო რ გ ი †

ქ. მე, დეკანოზი ახალი საყდრისა ტ ე რ-ყ ა ზ არ ა გ ი ო რ გ ი ს მოძღვარი, ამ ანდერძის დამხდური ვარ. დაწერაზედაც მე ვიყავი და მოწამეცა ვარ. ეს ჩემი ბეჭედია. 

ქ. მე, თ უ თ უ ნ ა შ ვ ი ლ ი დ ა ვ ი თ ა, ამ ანდერძის მოწამე ვარ. ეს ჩემი ხელია. ამის დაწერაზედაც დამისწრო.

ქ. მე, ზ ა ლ ი ა შ ვ ი ლ ი ი ო ს ე ფ ა, ამ ანდერძის მოწამე ვარ. და დაწერაზედაც დამ[ს]წრე ვარ. ეს ჩემი ხელია. ხელრთვა ი ო ს ე ფ.

ქ. მე, ო მ ა ნ ლ ა შ ქ ა რ ნ ი ვ ი ს მ ა, ამისი ასლი ვნახე და წინაშე ღთისა უმეტნაკლებოდ გადავწერე. ეს ჩემი ხელია და ბეჭედი 

ქ. ამისი ასლი ვნახე ამა სავადზე და მოვაწერე ხელი მე, ბ ა ბ ა ლ ა ს ა შ ვ ი ლ ი ა ვ თ ა ნ დ ი ლ ი. ხელრთვა: ა ვ თ ა ნ დ ი ლ.

ქ. ჩვენ, ამილახვარმა ოთარმა, ამისი ასლი ვნახეთ და ეს სავადი დავბეჭდეთ. 

ქ. მე, ნიკოლოზ ორბელიანი, ამისი ასლი ვნახე და ამ სავადს ვბეჭდავ. 

ქ. მე, ამილახორის შვილმა გიორგიმ, ამისი ასლი ვნახე და ჴელი მოვაწერე და დავბეჭდე. 

მარცხენა კიდეზე

ქ. ჩვენ, ბატონიშვილმა იულონ, ამის ასლი ვნახეთ და ეს სავადი დავბეჭდეთ. მაისის თ, ქორონიკონს უპე 

ბეჭედი: ღთისმშობლის სასოიანი იულონ დავითიანი.

## 939. ანდერძის წიგნი ქაიხოსრო აბაშიძისა თავისი ძმებისადმი

**1792 წ. 30 ოქტომბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 9473. დედანი. ქაღალდი. 33,3×21,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია მძიმე, წერტილი და ორწერტილი. საბუთს უზის ორი თარიღი „ჩღქბ“ (1792) და „ჩ˝კს უპბ“ (1794). მეორე თარიღი კალმის შეცდომა უნდა იყოს, რადგან ერეკლე მეორისადმი 1794 წ. 15 ნოემბერს შედგენილ დაწვრილებით ანდერძში (იხ. აქვე, № 944) „მძიმე და გრძელი სნეულებით“ შეპყრობილი ქაიხოსრო აბაშიძე იხსენიებს წინამდებარე ანდერძს.

ქ. ყოველთა მოკვდავთა კაცთა შემდგომად ცთომისა საჭირო ექნა წერილი მით, რამეთუ წერილი შემდგომად მრავალთა საუკუნეთა ცხოვლად წარმოადგენს პირსა მას, რომლისა არს წერილი იგი და აუწყებს ყოველსა მნებელობასა მწერლისასა და სრულსა ჴერჩინებასა.

და აწ შედგომილი სჯულისა ამის ვჰსწერ ჰაზრსა ჩემსა ყოვლითა ნებითა და ჴერჩინებითა ჩემითა მე, აბაშიძე ქაიხოსრო ჴელითა მოძღვრისა ჩემისათა, რომელსაც უწოდებ მე ანდერძად ჩემდა.

ძე სახლისა ჩემისა და ოჯახისა, ვიტყვი მინდობითა და ღვთისათა, არა ვარ უმსახურო; და რაც მამული, ან ყმა თჳთ ჴელით ჩემით, ან მიშოვნიან, ან მიყიდიან, როგორც ჩემია, ეგრეთვე საყვარელთა ძმათა ჩემთა ევგენისა და დავითისია. და როგორც შვილთა ჩემთათჳს მინდან, ეგრევე შვილთა მათთათჳს.

ჩემმან კელმწიფემ მეფემ ერეკლემ მიბოძა ხვითი და კუსირეთი, თუმცა ოქმი მარტო ჩემს სახელზედ არის, მაგრამ ესეც საძმო არის.

კიდევ ბატონის წყალობა ტაშისკარს სამი საკომლო წიგნი ბატონისშვილის დარეჯანის სახელზედ არის, მაგრამ ესეც საძმო არის.

ამას გარდა, ბატონიშვილმა ალმასხანმა მიბოძა ორი კომლი ბაღდინასშვილი, ერთი კომლი კოკმანასშვილი და ერთი კომლი ურია, ეს ურია ამოსწყდა და ესენი არიან. ამათი წიგნიც ბატონისშვილის დარეჯანის სახელზედ არის, მაგრამ ესენიც საძმო არის.

ჩხეიძისაგან ვიყიდე, წვერიანასშვილის მამული, ამაში ცამეტი თუმანი ბატონისშვილის დარეჯანის მზითვის თეთრი მივეც, ბატონისშვილს თავისი თეთრი ოჯახიდამ უნდა მიეცეს. და ესეც საოჯახო დამიძს.

ჭალაჭს სასახლე ვიყიდე, ესეც საძმო არის და საოჯახო არის. ჩვენ რაც გვიყიდნია და ან რაც გვიშოვნია, ყოველივე საძმოდ დამიდვია, ბატონიშვილის დარეჯანის ზითვის გარდა.

ჩვენ ასეთი ძმობა და ერთობა გვჭონია, რომ თუ არ საერთო, სათავისთაო არა გვნდომებია, რა. თუ ღმერთმან მაცადა მე სიცოცხლე, ამას იქითაც ამისთანა ძმობა და ერთობა მინდა.

და თუ ღმერთმან აღარ მაცადოს, თქვენ* იცით და ღმერთმან, ჩემო საყვარელო ძმაო ევგენ და დავით**. როგორც ამ ჩემს სიტყვას აღასრულებთ.

ჩემის შვილებისა და თქვენთვის ერთად მნდომებია და მინდა, და თქვენც ასე გინდესთ ყოველი თქვენი საქმე. თუ ღმერთმან მოგცესთ რამე, თქვენც ასე უნდა ჰქნათ.

თუ ღმერთმან მაცადა, თუ თქვენს ცოლსა და შვილზედ ვიმტყუვნო, ღმერთმან გამიკითხოს; და თუ თქვენ იმტყუვნოთ თქვენც ასევე.

ჭ. მე, აბაშიძე ქაიხოსრომ ეს ანდერძის[1] წიგნი ჩემის ნებით და სიყვარულით, სიკვდილს შინა მყოფმა, ჩემს მოძღვარს დავაწერინე, ყაბულიც მაქვს[2] და მოწამეც არის***.

ოკდომბერს **ლ**, წელსა **ჩლუბ**, ქორონიკონს **უპბ**.

---

* „თქვენ“ ჩაწერილია სტრიქონთშუა ხაზგადასმულ „შენ“ის ნაცვლად.

** „და დავით“ ჩამატებულია იმავე ხელით.

*** მიწერილია ქაიხოსრო აბაშიძის ხელით.

1 ადაერძის. 2 მაქვს.

მარცხენა კიდეზე

ქ. მე, ულირსი იოანე იკონომოს ღეკანოსი სიონისა [illegible] სა ამას ყოვლითა ნებითა სულიერისა მოწაფისა ჩემისაგან [illegible] ქაიხოსრისათა[1] (sic) და ამ წიგნში ორს ადგილას რომ ჩამატებული არის, აბაშიძის სიტყვით მომიშლია და ჩამიმატებია ორთავე ძმებთან ერთად, ჭეშმარიტებით ვწერ ამას. | იოანე |

## 940. განწესება ვახტანგ ბატონიშვილისა ხევში სოვდაგართა საქონლის გადაზიდვის ქირის თაობაზე

**1793 წ. 13 მარტი**

საქ. ლიტერატურული მუზეუმი. საბ. № 16572. დედანი. ქაღალდი. 36×17 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის.

ქ. ბატონიშვილი ვახტანგ გიბრძანებ ერთობით ჯევის მოხელეებო და ერთობით მოხევენო!

მერე ამ სოვდაგრის თაობაზე და გზაზე ამათ შეწუხებაზე, დიაღ, დიდი ყოფა არის და მრავალი საყვედური გვაქვს: თქვენ კი არ გესმისთ და ჩვენ მუდამ გვაწუხებენ.

ჩვენ, ღმრთის მოწყალებით, ახლა ასე განვაწესეთ და ასე დავსდევით ბინა:

აქედამ რომ სოვდაგარი ამოვიდეს და სტეფანწმიდას მოვა, ამისი ქირა გადავკვეთეთ ზაფხულისა, რომ ჯადელთ უნდა მოიტანონ მანდამდი და ქირას ესენი აიღებენ. და სტეფანწმიდიდამ ნიშამდი სტეფანელთა და გერგეტელთ უნდა წაიღონ და ქირა ცხრა აბაზი მიეცემათ, მაგრამ ცხენი, რომელიც სოვდაგარს უნდა, იმის ცხენს აკიდებს, ვერავინ დაუშლის.

და იქიდამ მომავალი ქარავნი რომ მოვიდეს, კიდევ ნიშიდამ სტეფანწმიდამდი კიდევ უნდა ამათვე მოიტანონ. და სტეფანწმიდიდამ მოხევეთ აკიდონ, ვისაც სოვდაგარი შეჯერდეს, და კაიშაურთ კარს მოიტანონ ზაფხულისა. და ქირა სამი მანალთუნი გამოართონ, მეტის გამორთმევა არ იქნება. და ზამთარს სტეფანწმიდიდამ კოპამდი და კოპიდამ სტეფანწმიდამდი ქირა ექუსი აბაზი არის მივისაცა და მოვისაცა.

ამას გარდა, რომელიც მეტს მონდომებს და სოვდაგარს შეაწუხებს რასმე, თუ იმ სოვდაგარმა ჩვენ მოგვახსენა და ან წიგნით შეგვა-

---

[1] + ვწერ წიგნსა ამას.

ტყობინა, ჩვენ იმის მოხელეს მოვკითხავთ, ან უნდა მქნელი მოგვცეს ჯელში და ან იმას გარდავახდევინებთ.

და ჩოფიკაანთ და ჭიალაშვილი რომ [illegible] იღებენ და ან კიდევ ჯიდებზე რომ პერანგებსართმევენ, აღარც იმისი აღება იქნება.

რომელიც ჩვენი მორჩილია, ამ განწესებაზე დადგება. და თუ ვინმე წინააღმდგომი იქნება, ჩვენად მესისხლედ მოვიკითხავთ იცოდეთ. მარტის ივ. ქორონიკონს უპა.

რომელნიც პერანგებს იღებენ, თუ ვისგანმე წყალობა სჭირსთ, წიგნები გვაჩვენონ და ჩვენც დაგვამტკიცებინონ, თუ არა ჯელი აიღონ.

ბეჭედი: რტოდ ვარ დავითის, მგელ-ღომად ვით ის, ვახტანგ ვამტკიცებ მეფის ძეობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 941. სახლისკაცობის რიგი ზურაბ და ქაიხოსრო წერეთლებისა

**1793 წ. 6 ივნისი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 1216. დედანი. ქაღალდი. 45,5×15,7 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი. ხოლო ყოველი მუხლის ბოლოს ორწერტილი ხაზით (:—).

მე სა[ხ]ლთუხუცესი წერეთელი ზურაბ და ჩემი ძმა ბერი, ჩემს ძმისწულს სარდალს ქაიხოსრო წერეთელს თუმც ჩვენი მტკიცე შეერთება უნდა, ეს აზრები უნდა სრულყოს.

1. ჩვენს ოჯახშიდ რომელიც ჩვენი კაცი ან უცხო კაცი ვინმე რომლისამე საქმისათვის წავიდეს თუ მოვიდეს, ჩემი უკითხავი არ იქნეს: რომელს საქმეზედ წავა და მოვა, სრულებით უნდა ვსცნა.

2. რომელსაც ჩვენის ჯელმწიფის ყმას ჩვენი ჯელი მისწვთება და ან ჩვენი მახლობელნი მეზობელნი არიან, ჩვენგან და ჩვენის ყმისაგან არ შესწუხდენ, ძალა და უსამართლობა არ დაემართოს, ამისთვის რომ ჩვენის ჯელმწიფის საწინა[ა]ღმდეგო იქმნება.

3. რაჭას თუ იმერეთს რომელიც მგზავრი ჩვენს გზაზედ დაიარება, ცალიერს კაცს ბაჟი სულ არ ეთხოვოს, არც გამვლელს არც გამომვლელს. და საპალნიანს კაცს, რომელიც განწესებული არ არის, მისგან მეტი ბაჟი არ გამოერთვას.

4. რომელიც შენი შინაყმა ჩვენი აზნაურიშვილი არის, რომლისამე საქმისათვის რომ დამეჭიროს და მოგახსენო, შინიდამ წამომყვეს; და კარზედ კიდევ საქმისათვის დამეჭიროს, ვიხმო კარზედ, მოვიდეს, შენ არ დაუშალო, უარი არ მითხრას. თუმც უარი მითხრას, რომ გა-

უწყრე თქვენც მწყრომიალეთ იყავი მასზედ. ეს სიტყვა მტკიცე უნდა იქმნეს.

5. მოგეხსენება, ჩემი გიორგი მარტო დაიარება, და ვისმე სა[ც] შეელიო და თქვენ ინებო, ოთხი ყმარწვილი აზნაურიშვილები უნდა აახლო.

6. რაჭას თუ იმერეთს რომელიც მამული გვაქვს ან ვაჭარი გვყავს, თუმც არ გაგვიჭირდეს, რომელიც განწესებული ბეგარა არის, მეტი ძალა და უსამართლობა არა დაემართოს. და თუმც გაგვიჭირდეს, სამივემ ერთმანეთის დასტურით განვაწესოთ და ისე ავაღებინოთ; ერთმანეთის უკითხავათ არ იქმნეს.

7. იქნება ბატონმა ორივე თავის საქმეზე გაგვგზავნოს და როგორათაც რიგი იყოს, ყმა ზოგი შენ იახელი და ზოგი მე მაახელი.

8. სასახლის მოხელეს[1] ხარჯის საქმეზედ გარეთულმა მოხელ[ე]მ რო[მ] სიტყვა არ გაუგონოს[2], იმას რომ ავათ მოვემყრო, თქვენი საწყენი ნუ იქმნება.

9. რომელსაც ჩემს კაცს რომლისამე საქმისათვის ჩემი წიგნი მ[ი]უვიდეს და მაგიერი პასუხი არ მომცეს, იმის გაწყრომა თქვენი საწინააღმდეგო ნუ იქმნება.

10. ვინც ჩვენმა კაცმან თავის მეზობელს უსამართლობა და მძლავრება უყოს, იმას ავათ მოვემყრო, დანაშაული გარდავახდევინო, თქვენც მისი წყრომიალე ბრძანდებოდეთ.

11. ჩვენს მამულშიდ ქურდი და ავი კაცი თუ სადმე გამოჩნდეს, რომლისაც ჩვენის ყმის სახელო იყოს, და იმისი ავათ მომყრობა შეუთვალო და იმას ავათ არ მოემყროს, იმ მოხელეს რომ ავათ მოვემყრო, თქვენი საწინააღმდეგო ნუ იქმნება.

12. რაჭას თუ იმერეთს სამკვიდრო თუ ნაშოვნი მამული თუ ციხე, რომელიც გვაქვს, სადეო თუ უდეო, შესავალი თუ გამოსავალი, ერთი იყოს. ასე, რომ საჩხერის ბაჟი მესამედი ჩვენს ძმას ბერს ქონდეს; წელიწადში ასი მარჩილი რაჭიდამ ბერს ეგზავნოს; ნახევარი ჩვენი გამოსავალი სასახლის მოხელეს მიებაროს; და სხვა მე და შენ სწორეთ გავიყოთ. და მამულსა და ციხე[ე]ბშიდ ასე გაერთებული[3] უნდა ვიყოთ, ჩვენშიდ ეჭვი აღარ იყოს.

13. გლეხი, მამული, მიწა უჩემოთ არ გაიცეს; და არც კაცი აიყაროს უჩემოთ.

14. შემდგომად ამ ჟამისა ჩვენმა საერთო კაცმან იმერეთშიდ

---

1 მოხელემს. 2 გაუგოვნოს.

3 გააერთებული.

თუ სხვაგან რაც იშოვნოს, ფანჯიაკი, როგორათაც ძმობის რიგი არის, ისე გავიყოთ.

**15.** ახალო (sic) ციხის მოურაობისაგან უნდა გამოდგეს.

**16.** მათის უმაღლესობის მეფის სოლომონის, ყოვლად სამღვდელ[ო]ების მღვდელთ-მთავრების და ერთობით ჩვენის ყმებისაგან ეს პირობა უნდა მომეცეს: ჩვენსობას ან შემდგომად ჩვენსა გაყოფა მოხდეს, სამკვიდრო თუ ნაშოვნი მამული, თუ ციხე, რომელიც გვაქვს, ძმობის სამართლით ჩემს შვილებს და ჩემს ძმას თავ-თავისი წილი მიეცეს.

წელთა უფლისათა **ჩლუგ**, ივნისის **ვ**.

ორი ბეჭედი: 1. ზურაბ.
2. სარდალი წერეთელი ქაიხოსრო.

## 942. სახლისკაცობის რიგი ზურაბ და ქაიხოსრო წერეთლებისა

**1793 წ.**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd 1209. დედანი. ქაღალდი. 36,6×14,5 სმ. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. უთარიღო. საბუთი თარიღდება ზურაბ და ქაიხოსრო წერეთლების 1793 წლის 6 ივნისის სახლისკაცობის წიგნის მიხედვით.

ქ. ღვთით, ესე წიგ[ნი] და პირობა მოგართვით ჩვენ, სარდალ წერეთელმა ქაიხოსრომ, თქვენ, ბიძაჩემს სახლთხუცესს წერეთელს ზურაბს, ასე და ამა პირსა ზედა, რომ: უმფროსობა და ბატონობა დაგანებეთ ჩვენის ქვეყნისა და ჩვენის ოჯახისა, ციხისა, ქალაქისა, აზნაურისა, მოურავისა. გლეხისა, რაც რომ ჩვენ გვაქ[ვს], ყოვლის უმფროსობა და ბატონობა დაგანებეთ. როგორც ბატონობის რიგი იყოს, ისე იუმფროსოთ, იბატონოთ და იუფლოთ.

თუ შენ ჩვენი დასამადლებელი არა ქნათ რა, ჩვენ თქვენი მორჩილი ვიქმნეთ. და ვინც ჩვენი ან მოურავი, ან მოხელე, ან მეციხოვანი, ან აზნაური, ან გლეხი შენს ბრძანებას გარდახდეს[1] და არ გემორჩილოს, როგორც უბრძანოთ, ყველასთან გამომიცხადებია, რომ გამოსცვალო, თუ გაუწყრე[2], თუ გადა[ა]ხდევინო, ჩვენც თქვენი შემწე ვიყოთ და რისხვაც მივაგოთ, თორემ არც მოვეხმარო და არც ნუგეშინი ვცე; და არც ღმერთთან და არც კაცთან არ გისაყვედურო.

---

[1] გადახტეს. [2] გაუწყარე.

ეს ასე გამომიცხადებია ყველასათვის — მოურავისთვის, მოხელისთვის, მეციხოვანისთვის, აზნაურისთვის, ვაჭრისთვის და გლეხისთვის — ყველასათვის ერთობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჭედი: სარდალი წერეთელი ქაიხოსრო:

## 943. სამღებროს იჯარით აღების წიგნი მიკირტუმა სურგუნოვისა და მღებარ ოსეფასი

**1794 წ. 1 იანვარი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3541. დედანი. ქაღალდის დავთარი. შეიცავს 14 ფურცელს. 33,3×10,7 სმ. ჩვენ ტექსტს, რომელიც დავთრის მე-10 ფურცლის verso-ზეა, წინ და ბოლოს დართული აქვს ხარჯის ვრცელი სახელობითი ნუსხა. ფურცლის მარჯვენა ზემო კიდე ჩამოცრეცილია.

[10v] ქორონიკონს უპბ. ამ წელს იანვრის ა, მე [და] მღებარი ოსეფამ დუშეთის სამღებრო, ბაჟი და იქაური ბეჭედი იჯარით ავიღევით მეფის ძე ვახტანგის სარქრიდამ ო (სამოცდაათ თუმნად). ამაში მღებარი უჯამაგიროდ უნდა იყოს. რაც ლილო მიყიდნია და გამიგზავნია, ამას ქვეით სახელობით სწერია. ვისაც წაუღია.

## 944. ანდერძის წიგნი ქაიხოსრო აბაშიძისა ერეკლე II-სადმი

**1794 წ. 15 ნოემბერი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 9474. დედანი. ქაღალდის ორადკეცილი ფურცელი. 34×22,7 სმ. პირველი ფურცელი შუაში დაზიანებულია. მხედრული. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია წერტილი, ხოლო ქარწილიანი აბზაცების ბოლოს ორწერტილი.

[1] ქ. უბრძანებს ღმერთი მეფესა ეზეკიას პირითა ესაია წინასწარმეტყველისათა, ოდეს იგი დასნეულდა — ეზეკია მეფე: „ბრძანე სახლისა შენისათვის და განაწესე, რამეთუ მოჰკვდები და არა ჰსცხოვნდე“. და ესრეთ სჯულ უდვა ჟამსა სიკვდილისასა დაწერა ანდერძისა.

მე, ქაიხოსრო, ყოვლად უბადრუკი კაცი და უფროს ეზეკიასასა შეცოდებული, რადგან მართლმსაჯულმან ღმერთმან სამართლად საქმეთა ჩემთათვის მიმცა მძიმესა ამას და გრძელსა სნეულებასა და ვხედავ, რომ ვკვდები, ამისთვის ვწერ სახლისა ჩემისათვის ანდერძსა ამას.

მისი უმაღლესობა ჩემი ჴელმწიფე მეფე რომ მობძანდა ღმრთის მოსამადლებლად და ჩემის სნეულების ნუგეშინის საცემლად, ჩემი

სულიერო მამაო და მოძღვარო, დეკანოზო ი ო ა ნ ე, შენისა და ჩემის ძმის ე ვ გ ე ნ ი ს თანდასწრებით, მაშინ ჩემი ანდერძი ხომ პირად მოვაჯსენე ჩემს ჯელმწიფეს და წერილითა ამით იმასაც თქმულს ანდერძსა ჩემსა ვამტკიცებ და შენცა და ჩემს ძმას ევგენისაც ამას გაბარებთ.

მე ეს არის მივალ დიდს მოსამართლესთან, რომ იქ ვერც ძმა, ვერც ცოლი და შვილნი, ვერცალა მამული და ყმა ვეღარას გამომადგებიან. მე რომ ჩემს ქრისტესთან ჩემი ურიცხვი და მძიმე ცოდვები მიმდევს, ამათის პასუხისა და ანგარიშის მიცემა ნეტავი შევიძლო და საკმაოც არის, თვარემ მე სხვა უსამართლობა და ნატაცები გავიტანო რამე რაში მიჯობს.

ქ. მოწყალეო ჯელმწიფევ, ქ ა რ თ ლ ი ს ა და კ ა ხ ე თ ი ს ა მემკვიდრეო, მეფეო კეთილმსახურო, ჯელმწიფევ და მეფობას გარდა ჩემო. მაშავ და ორისავ სოფელში მჯსნელო, ჩემის პირითაც მომიჯსენებია ჩემი ანდერძი და ამ წერილითაც ამას მოგაჯსენებ. ჩემმა საშინელმა ცოდვაებმა, არც ღმრთის სამსახური დამაცალა და არც თქვენი. რადგანაც ღმრთის ნება ასე იყო, ჩემს ძმებსა და ჩემს შვილებს ქრისტეს წინაშე თქვენ გაბარებ.

ჩემის ჯელმწიფის დ ე დ ო ფ ლ ი ს თ ა მ ა რ ი ს ა და თქვენის დედის დის ანდერძსაც მოგაგონებ, რადგანც ჩვენც პ ა ა ტ ა ს შვილები ვართ, ქრისტესთვის ჩემს ბიძაშვილებს ჩემს ოჯახს მძლავრობით ნუ დააჩაგ[ვ]რინებთ და ნურც ერთმანერთში უსამართლოს აქნევინებთ, ერთი სისხლი არა მოუჯდესთ რა. ჩვენს ოჯახში სისხლი მოჩანს და ნუ მოაჯდენინებთ.

ვფიცავ ჩემს სასოებას ღმრთისმშობელსა და ჩემის სულისა და ჯორცის გაყრის დღესა, რომ რაც პაპის ჩემისაგან და მამის ჩემისაგან და ჩვენთან მოსწრებულს კაცთაგან რაც გამიგონია და რაც მინახავს, იმას ვწერ. და არც ჩემის ბიძაშვილებისა მინდა რამე, ჩემის მამის წილის მეტი.

ქ. ჩემო ჯელმწიფევ, წ ი ქ ა რ ა უ ლ ი ს დავა ჩემის ბიძაშვილებისა და ჩვენი ეს არის: პაპაჩემს ვ ა ხ უ შ ტ ი ა ბ ა შ ი ძ ე ს რომ წ ი ქ ა რ ა უ ლ ი უშოვნია, რამდენსამე წელიწადს შოვნას წინათ ჰსჭერია პაპაჩემს, მანამდის ს ე ხ ნ ი ა ჩ ხ ე ი ძ ე მოლარეთხუცესი იმ ჭალას იშოვნიდა. ხ ა შ უ რ ი ს ჭალა, ს უ რ ა მ ი დ ა მ რომ შარა გამოვა, ფონი რომ არის, ის არის, რომელსაც წერილშიაც აცხადებს. ბ ე დ ი ა ნ ი ს შ ვ ი ლ ი ს ა და ბ ო ლ ო ქ ა ძ ი ს მიწა შარას გვერდზედ აქვს, ფონს გალმა.

იმას ქვემოთ ჩვენი და ბიძის ჩვენისა ორისავ არის: რასაც ის ფონი მტკვრამდის გადასჭრის, არც სეხნია მოლარეთხუცესსა, გ ო რ გ ა-

სალს, როსტომს, ქაიხოსროს და მის შვილებს, არც პაპაჩვენს, მამაჩვენსა და ჩვენ ერთმანერთში არც დავა გვქონდეს და არც ამის მეტად გაგონილ იყოს. იმას ქვემოთ ჩვენია და იმ[illegible] თი ცხრამუხის სამზღვრამდინ.

როდესაც ბიძაჩემი და ჩვენ თქვენის უმაღლესობის წინ რომ ვიყრებოდით, იმ ბიძის ჩემის ცოდვის მზიდველი ვიყო თუ თქვენთვისაც და მდივანბეგისათვისაც ასე არ მოეჯსენებინოს: „ჩემმან ძმამ ეს ზაკვით მიყოო, ჩემს ნასყიდს მიწაში კოდის წყაროზედ ვაკეთებდიო სიმაგრესა, მაგრამ საერთოს მიწაში გამაკეთებინაო“. იმ ბიძის ჩემის მაგიერ ქრისტესთან სამართალში იმის ცოდვის მზიდველი მე ვიყო, თუ ეს იმის ნათქვამი არ იყოს. და რასაც უსამართლობით და მძლავრობით არ ართმევს ჩემს ძმებსა.

ჩემი მოჯსენება ეს არის და ნება სამართლისა არის.

ქ. ცხრამუხის სამზღვარი სამზიარო და საბადური რომ სწერია, მთელმა სოფელმა იცის, იმასთან ძველი ნაწისქვილარი არის. ომარ-ხანის მოსვლამდინ ჩემმა ბიძაშვილმა გიორგიმ ჩხეიძის კაცის ქურდაძისაგან მიწა იყიდა. იმას ზევით საცხრამუხო არის, ქვემოთ საჩხეიძო არის, არც ჩვენს მამასა და პაპას და არც ჩხეიძეების პაპასა [2] და მამას ერთმანერთში დავა არა ჰქონიათ. ქვევით იმათი არის და იმ მიწას ზევით ჩვენი არის.

ჩემო ჯელმწიფევ, თუ ჩემი ბიძაშვილები ჩემის ძმებისაგან სამართალს მოინდომებენ, ჩემი ძმები სამართალს მისცემენ. ჩემო ძმებო, ევგენ და დავით, ეს სამართალი მიეცით, რომელიც ამ ჩემს ანდერძის წიგნში სწერია. ქრისტესთან თქვენი მოვალე მე ვიყო, თუ სწორე და ჭეშმარიტი ეს არ იყოს; და თუ ტყუილად მსჯიდენ, ქრისტესთან იმათ მე მომცენ სამართალი.

ქ. ბეკამს რომ მედავებიან ალეწიძე და ბეჟან მათიაშვილი, დედის ჩემის მიცემულია. სხვა ოთხი საკომლო საერთო არის.

ქ. ამისს სამაგიეროდ იმათ უჭირავს ნაძალადევად მონასტერს კიკო ბასილასშვილი, ჭერეკასშვილი დალაქი, სვიმონ, თაბაგრის შვილები, მხიარულ თაბაგრის შვილები. პაპას ჩემსა და ბებიაჩემს პირშავი შევეყარო, თუ ძალუა ჩემისათვის უწილოდ იმათ ესენი მიეცეს და საერთო გასაყოფი [არ იყოს. და ნება]* სამართლისა არის.

ქ. ჯმალი, სახარება და სადღესასწაულო საერთო არის, რომ ძალის მეტი სიტყვა არა აქვსთ რა. იმ წმიდის სახარების მადლმან, რომ ანდერძში პაპას ჩემს თავს ვადეგ, ჯმალი სამარხად დააგდო: ამით დამ-

* ამოხეულია ორი-სამი სიტყვის ადგილი.

მარხეთ, ბატონი და ჩემი ამხანაგებიც შემომეწევიანო. სახარება და-სადღესასწაულო ოჯახს საერთოდ დაუგდო და სხვარიგად ჩემს და-მარხვაზედ ქვეყანას ნუ შეაწუხებთო.

ჯმალი აღარ დაშალეს, საოჯახოდ იყო. ხოხონა ძეს და ხიზანა ლალაშვილს წამოაღებინა, ტერ-ყაზარასშვილის სახლებში რომ ცოლ-შვილით იდგა, ჯმალი დაშალა. სახარება თორმეტს თუმნად მთავარეპისკოპოსისაგან სარდალმა იყიდა. და სადღესასწაულო შინ უძეს. თუ ეს ასე არ იყოს, ქრისტესთან მოვალე მე ვიყო. თუ მოსამართლეებმა ჩემს ძმებს უსამართლო უყონ, ქრისტესთან პასუხი იმათ მომცენ.

ქ. ნათლისმცემლის მონასტრის ეკლესიაზედ რომ ლაპარაკობენ, იმ ნათლისმცემლის მადლმან და ნუნისა ღმრთისმშობლის მადლმან, ამათ ორთავანვე შეჩვენებული ვიყო, თუ თავისის შეწირულობით, ან დედის ჩე[v]მისათვის მიეცეს ან ძალუა ჩემისათვის. თუ ის მონასტერი თავის შეწირულობით ორისავ საერთო არ იყოს. როგორც ნუნისი არის საერთო, ისე ეს მონასტერი არის საერთო.

ქ. ჩემო ჯელმწიფევ, და არათუ მხოლოდ ჯელმწიფევ, გავბედავ, ტკბილო მამაო, ბუნებითად ჯელმწიფეო და მადლითად მამაო, მე დღეს ჩემის მოძღვრის ჯელით წმიდის ზიარების საიდუმლო მივიღე და იმისს მიღებას უკან ჩემი ანდერძი დავაწერინე. პირითაც ასე მომიკსენებია და წერილითაც ეს არის მოკსენება. მოსამართლემ თუნდა დაიჯეროს, თუ უნდა არა. რომელმაც მოსამართლემ უსამართლო მიყოს, ქრისტესთან რომ წარვდგეთ, იქ მომცენ პასუხი.

ახლა ჩემი ძმები და ჩემი ბიძაშვილები ერთნი არიან ჩემთვის. მე ცოდვილი კაცი ვარ, მეშინიან ჩემს ოჯახში სისხლი არ მოჯდეს და ჩემი სული უფრო არ დამძიმდეს, თვარამ ყმისა და მამულისა და საჭონლის [რა]იმე არა გამირევია რა. რაც ჩემის მამისა და პაპისაგან გამიგონია და თვალით მინახავს, იმას ვამბობ და ვწერ. და თუ ვტყუოდე და ნაწილი რამ დამეწეროს, რაც აღსარებაში ცოდვა მითქვამს, ნუმც მომეტევება.

დაწერა ოქდომბერს, წელსა ქრისტეს აქეთ **ჩღუდ**, ქორონიკონს **უპბ**.

ქაიხოსროს ხელით.

ქ. მე, აბაშიძე ქაიხოსრო, ვსწერ ჩემის საშინელის ცოდვილის პირით, რომ ორჯელ ჩემის ხემწიფისთვის პირით მამიხსენებია, ერთხელ — ეს ჩემი მოძღვარი და ეს ჩემი ძმა ევენისთან დასწრებით; და ესევ ის მოხსენება და ჩემ[ი] ვედრება ჩემს ხემწიფეს-

---

1 სიტაყვიცათ.

თან რომ სიტყვითაც[1] ასე მამიხსენებია და ჩემის მოძღვრისთვისაც აქ დამიწერინებია. ყოველივე ჩემი სიტყვა არის, რაც ამ წერილში წერია. მართლმსაჯულო ხემწიფევ, რაც მენახა და გამეგონა, მოხსენებია და ნება და ბძანება[1] თქვენია.

ალიწერა გიორგობისთვის იე, ქორონიკონს უპბ.

ვინც დაიჯერებთ, ეს არის სწორე მოხსენებ[ა]; ვინც არ დაიჯეროს[2], ქრისტე რომ იმ საშინელს[3] სამართალში დაბძანდეს, მე და იმან მივსცეთ ერთმანეთ[ს სამართალი]* იმ გა[ნ]კითხვის დღეს.

სხვა ხელით

ქ. მე ეს ამისთვის ჩემის ჴელით დავსწერე, რომ არავინ გამოსცვალოს.

## 945. თავდებობის წიგნი იოვანე თედორაძისა და აბრამელა მეძმარიაშვილისა მაქსიმე კათალიკოსისადმი

**1776—1795 წწ.**

ცსსა. ფონდი 1448. საბუთი № 2404. დედანი. ქაღალდი. 22,5×10,3. მხედრული. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. უთარიღო, საბუთი თარიღდება მაქსიმე აბაშიძის კათალიკოსობის წლებით.

ქ. მაქსიმე კათალიკოსმა თედორაძის შვილი ამოვიყვანე. აბრამელასი შვილი ზალიკა ავალიანისავან ამოვიყვანე.

აწ ისევ მამას მივეცი გასათხოვრათ. აწ ამისი თავმდებელი მომცა, რომ სასხვისშვილოთ არ გახდეს და კიდეც გათხოვდეს.

არის ამისი თავმდებელი: მე, იოვანე თედორაძე, ოთხმოცი მარჩილის წიგნი მომცემი ვიყო. ამას კიდემ აბრამელა მეძმარიაშვილი თავმდებელი ვარ, ოთხმოცი მარჩილის მომცემი ვიყო, თუ სასხვისშვილოთ გახდეს ან გაიყიდოს.

არის ამისი მოწამე: ივანე მარდალეიშვილი და შაქარიკა მეძმარიაშვილი; ამისი მოწამეცა ვარ და მდივანიც მე, მანუჩარ ნიჟარაძე. ††

---

1 ბძანებება. 2 + და. 3 დაიქდაით.

* ამოხეულია.

## 946. შართლამის წიგნი თარხნიშვილებისა მღებრების გასპარა და შაქარასადმი

**1796 წ. 1 იანვარი**

ხელნაწერთა ინსტიტუტი. Hd 3859. დედანი. ქაღალდი. 21×13,5 სმ. რესტავრირებული. მხედრული: განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი.

ქ. ესე შართლამის წიგნი გიბოძეთ ჩვენ, თარხნიშვილმა მეითარმა სოლომონ, ძმამა ჩემმა დავით, დიმიტრიმ, ლუარსაბ და ბესარიონმა, თქვენ — მღებრებს გასპარასა და შაქარას.

ასე რომ, ბედნიერის დედოფლის ბრძანებით ახალქალაქის სამღებრო ჩვენ გვებოძა და ჩვენ თქვენთვის გვიბოძებია წელიწადში თორმეტ თუმნათ, რომ იქს ამის ნახევარი ვ (6 თუმანი) ამდენს.

ორს წელიწადს თქვენს ხელში უნდა იყოს, რომ ამისი თქვენი მცილე არავინ იყოს და მას უკანაც როგორც თქვენი ეხტიბარი ვნახოთ, კიდევ თქვენვე მოგაბაროთ.

მაგრამ, თუ ვინ იცის, ღმერთმა ნუ ქნას, და ერთი ბაგრასტობა მოხდეს რამე, ჩვენგანაც სამართალი დაგემართოსთ. იანვრის ა, ქორონიკონს უპდ. | სოლომონ |

ხელრთვა: დავით, დიმიტრი, ლუარსაბ, ბესარიონ.

## 947. ანდერძის წიგნი ავთანდილ ბეგთაბეგიშვილისა

**1796 წ. 25 ივლისი**

„საქართველოს სიძველენი“, ტ. I, ე. ქ. თაყაიშვილის რედაქტორობით, 1899, საბუთი № 261.

თთუჱსა იულისსა კე, ქორონიკონს უპდ.

მე, ცოდვილი ბეგთაბეგიშვილი მდივანი ავთანდილ, უკანასკნელისა მიმყცოვანებისა და სიბერისა ჩემისა ჟამსა ესრეთ ესწერ წინაშე ღვთისა და წინაშე სულიერის მამისა და მოძღურისა ჩემისა, გორის ეკლესიის წმიდის სტეფანეს კრებულთაგანისა, ტერ-გეურქასამებრ უკანასკნელისა ანდერძისა.

ოდეს უსჯულო აღამამადხან მოადგა ტფილისს და აოხრა და მოწვა სრულიად, მაშინ იავარ-ვიქმენ ყოველითა საცხოვრებელითა ჩემითა მათგან და დაიწვა სახლიცა ჩემი, და მეცა მათგან ტყვე ვიქმენ, და გაკურვებულითა რკინითა წყლულება მძვინვარედ დადებულ, კნინღა ცოცხალ მპოვეს თვისთა და შვილმან ჩემმან.

გორის ქალაქს მოვაწიე და მუნ სნეულებას მივეცი. მოუწოდე

მოძღვარსა ჩემსა ზემოხსენებულს ტერ-გიურჭას და აღვავსებიდე შეშმარიტებით, რომელი წიგნები მამულისა და ან სხვა მეფეთაგან წყალობა გვქონდა, რომელიც მახსოვდა, ზედახედვით ვაჩვენებდი აღსწერე ესენი.

ჰ. უწლევს ხერხეულიძებისაგან ნასყიდი ერთი საკომლო, რომ ოთარა საყვარელიძის შვილი ესაწლა, ის მამული მამის ჩემისაგან ნასყიდი იყო და ჩვენი კაცი დავასახლეთ.

ჭ. დუმაცხოს თეიმურაზ ხერხეულიძისაგან მოსყიდული ერთი საკომლო კობერიძისა ვენაჯით, სასახლით და სახნავის მიწით.

ჭ. აქავ დუმაცხოს კიდევ ხერხეულიძეებისაგან მოსყიდული ნინიაშვილი თავისის მამულით, ვენახით, სასახლით და სახნავით.

ჭ. აქავ დუმაცხოს კიდევ ხერხეულიძეებისაგან მოსყიდული ბასილა და ადამა თავიანთის მამულით, ვენაჯით, სასახლით და სახნავით და ეკლესიაშიც ისინი ხუცობდენ, გვარათ კოპაძეები.

ჭ. ნაბახტევს დავით თარხნის, ზაალის მამისაგან, მოსყიდული ზემოუბანში ვედრების ღვთისმშობლის ჩამოსწვრივ, კაცი კი არ ესახლა და მამული იყო ერთი საკომლო, ვენახით, სასახლით და სახნავით და იმ მამულზედ მამაჩემმა ოსმალობას ჩვენი კაცი ლომაშვილი დაასახლა.

ჭ. კიდევ დავით თარხნის მამის ზაალ-საგან მოსყიდული იშხანაშვილი თავის ვენახით, სასახლით და სახნავით ქვემოუბანს აკოფაშვილის წინ ესახლა, იქავ ნაბახტევს.

ჭ. რამაზიანთაგან მოსყიდული გუგულის ქედზედ საირმე ხოდაბუნი, რომ მამა ჩემმა ორჯერ კიდეც მოახვნევინა.

ჭ. ვაყას ჩვენი განაყოფის ზაქარიასა და სულხანისაგან მოსყიდული ღამბარაშვილი გიორგი თავის მამულით და წისქვილით.

ჭ. აქავ ვაყას ჩვენის განაყოფის ზაქარიასაგან მოსყიდული ჩვენის ბაღის გვერდზედ საქვენაქროდ ორის დღის ხარაზისშვილის ნაქონი.

ჭ. მოხისს რამაზას შვილის ლევანისაგან მოსყიდული ქლიბაძის მამული.

ჭ. თარხნიშვილს ზაალს და იმის შვილს დავით ს ჩვენი ოცი თუმანი ემართათ თამასუქითი და ნაბახტევს იმათი წილი მამული გვეწერა გირაოთ, მამული იმათვე უნდა სჭეროდათ, და ჩვენთვის თუმანზედ ორი შაური სარგებელი უნდა ეძლიათ. იმ ჟამიდამ ამ ჟამამდე არც სარგებელი მოგვცემია და არც თავნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას წინათ კურთხეული ჩემი ძმა სულხან რომ ცოცხალი იყო, მე და იმან მოციქულად ნახუცრისშვილი ქაიხოსრო [illegible] გზავნეთ თარხნისშვილს სოლომონ მეითარს, [illegible] ვუჩვენეთ და ის თეთრი ვთხოვეთ. სოლომონმან ერთი სრული პასუხი არ მიეცა რა.

